სოსო სიგუა

კულტუროლოგიის საფუძვლები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კულტუროლოგიის ინსტიტუტი

სოსო სიგუა

კულტუროლოგიის საფუძვლები

თბილისი - 2020
გამომცემლობა „საარი“

UDC (უაკ) 008
ს – 476

პროფესორ სოსო სიგუას ნაშრომი „კულტუროლოგიის საფუძვლები“ სამი წიგნისაგან შედგება: „კულტურის გენეზისი”, „კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიები“, „კულტურა და გლობალიზაცია“.

ცალკეული კულტუროლოგიური პრობლემები ავტორს უფრო ვრცლად აქვს განხილული წიგნებში – „მარტვილი და ალამდარი“, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“, „ქართული მოდერნიზმი“, „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“, „ქართული კულტურის ისტორია (I-IV)“.

რედაქტორი – პროფ. იგორ კვესელავა
პროფ. რევაზ მიშველაძე

რეცენზენტები – პროფ. მურმან თავდიშვილი
პროფ. ავთანდილ სონღულაშვილი
პროფ. თეიმურაზ მთიბელაშვილი
პროფ. ეკა ცხადაძე

სტიქია, სისტემა და ინტეგრალი

კულტუროლოგიის მიზანია კულტურის ზოგად პრობლემათა და კანონზომიერებათა გამოვლენა, რაც სხვადასხვა რასის, სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის მიერ შექმნილ სულიერ თუ ტექნიკურ ფასეულობას აერთიანებს, რის გამოც იგი მეტ-ნაკლებად გასაგებია, საჭირო და აუცილებელი, რადგან ყველა ადამიანს აქვს ერთი ბიოლოგიური ბაზისი, მიუხედავად რასობრივი თუ ინტელექტუალური სხვაობისა, რწმენის თუ ენობრივი განტოტვისა.

კულტუროლოგია ემყარება ანთროპოლოგიას, კულტურის ისტორიას, კულტურის თეორიას. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ კულტუროლოგია და კულტურის ფილოსოფია, ისევე როგორც ენათმეცნიერება და ენის ფილოსოფია.

კულტურა და სტიქია

კულტურას ქმნის მხოლოდ ადამიანი და მხოლოდ ადამიანს სჭირდება იგი.

„კულტი“ და „კულტურა“ მოდის ერთი, ლათინური ძირიდან, რაც დამუშავებას ნიშნავს და მიწას უკავშირდება. შემდეგ კი ციცერონის საუბრებიდან (ძვ. წ. პირველი საუკუნე) გონებისა და განათლების მნიშვნელობით გავრცელდა. მაგრამ კულტურა „ოკულტიზმსაც“ გაგვახსენებს.

ეს სიტყვა კი ლათინურად საიდუმლოს ნიშნავს.

განმანათლებლობის ეპოქიდან სიტყვა კულტურა იქცა ინტელექტუალობის, ესთეტიკურობისა და ზნეობრიობის სინონიმად.

კულტურა არის ადამიანის მრავალსაუკუნოვანი აზროვნების შედეგი, ცხოველურ ინსტინქტთა გონებით სახეცვლა და აკრძალვათა სისტემა, როგორც თვლიდა იმანუელ კანტი.

აზროვნების განვითარებასა და რაციონალიზებას მოაქვს კულ-ტურის დიფერენცირებული დარგები და ფორმები, როგორც წმინდა ესთეტიკური, ისე შემეცნებითი და პრაქტიკულ-პრაგმატული.

კულტურა და უნარი არ გადადის გენეტიკურად, მაგრამ შთა-მომავლობას გადაეცემა გენეტიკური ბაზისი, რათა მრავალწლიანი აღზრდით მასზე დამკვიდრდეს სულიერი ზედნაშენი.

როგორც ხის ფესვები არის მიწის წიაღში დაქსელილი, ისე ემ-ყარება კულტურის მრავალიარუსიანი სისტემა პრეისტორიას.

კულტურის ინსტინქტურად წარმოქმნილ პრაფორმებს ჰქონდა პრაქტიკული, გამოყენებითი ფუნქცია (მაგ., ბრძოლისა და შრომის იარაღები, ტომი და კლანი, აკრძალვები, ტოტემისტური წარმოდ-გენები, მსხვერპლშეწირვა, ცხოველთა გამოსახულებანი, რიტუალუ-რი როკვა).

ჩვენი წინაპარი თავს იცავდა, საარსებო პირობებს იუმჯობესებ-და, უფრო მარჯვედ ეგუებოდა ულმობელ გარემოს. ხოლო ამ პრა-ფორმების განვითარებას, ვარიაციებსა და დახვეწას, რასაც აკეთებდა მრავალი თაობა, მოჰქონდა ესთეტიკური გრძნობა და დაკვირვების ალღო.

გადარჩებოდა ის, რაც პრაქტიკულთან ერთად მიმზიდველიც იყო.

უძველეს დროშივე **წარმართი ქურუმი-წინასწარმეტყველი** წარ-მოისახავდა სამყაროში დაცულ ღვთაებრივ წესრიგს. შემდეგ კი ცდილობდნენ მსგავსი წესრიგის შეტანას სულიერ სამყაროსა და ადამიანთა ურთიერთობაში, რაც ქმნიდა კანონთა მკაცრ სისტემას, რომელსაც ემყარება სახელმწიფო.

კულტურის დამკვიდრების გარანტი იყო ძალაუფლება (ბელა-დი, მეფე, ფარაონი, იმპერატორი), რომელიც ქურუმთა მიერ **ღმერ-თების სახელით** მოპოვებულ და შეთხზულ ცოდნას და წარმოდგე-ნებს ნერგავდა და სისხლით ავრცელებდა.

ყოველი სახის კულტურა წარმოშობის თვალსაზრისით ტომობ-რივი ან ეროვნული მოვლენაა. მაგრამ მხოლოდ ის კულტურა არის

ფასეული, რომელიც შეაღწევს სხვა ერის ცნობიერებაში და იქაც ადგილს დაიკავებს.

შეიძლება ამგვარი ინტერვენცია იყოს დროებითი მოვლენა და სწრაფად გაქრეს, ან შეერწყას სხვათა გამოცდილებას და იქცეს მორიგი ევოლუციის შემადგენელ ნაწილად.

ხოლო ის, რაც არქაულია, ყველა ერის კუთვნილებაა, რომლის შემდეგაც იწყება დიფერენცირება. მაგრამ რელიგიებს, ომებს, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს მოაქვს ხელახალი სინთეზის ტენდენციაც.

როგორც იცვლება საზოგადოებრივი სტრუქტურა, ისე იცვლება პიროვნების ფსიქიკა და ცნობიერებაც, რაც აღიბეჭდება კულტურაში და რჩება სააზროვნო ნაკადთა და სტილთა, კულტურის სანიშნო ძეგლთა სახით.

კულტურა ერთიანი პროცესია და ვინც მის მაგისტრალს მოსწყდება, განვითარება არ უწერია. იგი ჰგავს ლიანდაგიდან გადავარდნილ მატარებელს. ასე დაემართათ ამერიკის, ავსტრალიისა და აფრიკის აბორიგენულ ტომებს, რომელთაც ლამის დღევანდელობამდე შემორჩათ ველური წარმოდგენები და ჩვევები.

ისინი კაცობრიობის პროგრესს ჩამორჩნენ და ქვის ხანის ადამიანის დონეზე გაიყინნენ. ამიტომ კულტურები ერთმანეთისაგან განირჩევა ქრონოლოგიურად, სტადიალობით, გეოგრაფიული გავრცელებით, ლოკალობით, ზეგავლენის ფაქტორით, უნივერსალობისა და ინტელექტუალობის ხარისხით.

კულტურაში ხან პრაქტიკული ფუნქციაა წამყვანი (მაგ., არქიტექტურა, მედიცინა, ეკონომიკა, ტრანსპორტი), ხანაც ესთეტიკური (მაგ., ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი), ან შემეცნებითი (მაგ., ფილოსოფია).

კულტურა ცდილობს ბუნების გარდაქმნას, შესწორებასა და შევსებას, ადამიანის ინტერესებისადმი დამორჩილებას. შესაბამისად – ბიოსფეროს განავრცობს და უპირისპირებს ნოოსფეროს (ახალი ტერმინოლოგიით – არტეფაქტი), რაც გონების საუფლოა.

სტიქია კი კულტურას მოსპობით ემუქრება.

ადამიანი მუდმივი აღზრდით, წესრიგის დაცვით, საკუთარი თავისადმი ძალდატანებით ინარჩუნებს გონების მონაპოვარს, სწორედ გარდასახულ ანუ დამორჩილებულ სტიქიას.

კულტურას განეკუთვნება ყველაფერი, რაც ინტელექტუალური მოქმედების ნაყოფია. მაგრამ ინტელექტუალურ მუშაობას, განსჯას თუ ქცევას, რაც მხოლოდ ადამიანის თვისებაა, აქვს შეუცვლელი საფუძველი – ეს არის **ინსტინქტურ-ინტუიციური მოქმედება, მილიონობით წელთა მანძილზე გარემოსთან შეგუებით ჩამოყალიბებული რეფლექსების მექანიზმი,** ე. ი. გონება ახდენს სასიცოცხლო, ბიოლოგიურ ძალთა რაციონალიზებასა და კონსტრუირებას, თარგმნასა და გადატანას, ამ ენერგიის დამორჩილებასა და გადანაწილებას, დაცვასა და გააქტივებას.

სიცოცხლეს წარმოშობს და ინარჩუნებს ცხოველური პროცესები – სექსი და კვება (ერთის სიცოცხლის შთანთქმა მეორის მიერ), ენას – ველური და სახელმწიფოს – ბარბაროსი.

კულტურა ველურ ინსტინქტებზე ტრიუმფია. მაგრამ ამ ინსტინქტებს ისე ეყრდნობა, როგორც ანთეოსი მიწას, ე. ი. გულისხმობს არა მხოლოდ მათ დამორჩილებას, არამედ – თამაშსაც.

ამდენად, კულტურაში განივთდება ადამიანის ინსტინქტურ-ინტელექტუალური მოთხოვნილებანი, ფიქრი, სწრაფვა და ოცნება, რომელთაც წარმოქმნის გული და გონი.

კულტურა ქმნის ცივილიზაციას – თავის გარეგნულ სახეს – საარსებო ფორმას.

კულტურის სისტემა

შესაბამისად კულტურა არის სულიერი, მატერიალური, ფიზიკური, რაც არქაულ პერიოდში ერთიან, სინკრეტულ ხასიათს ატა-

რებდა და ფანტაზიის გავრცობამ და ინტელექტუალიზებამ დაშალა და დაანაწევრა.

სულიერი კულტურა დარგობრივად განიყოფა რელიგიად, ხელოვნებად, მეცნიერებად და ძირითადად არსებობს ენის ბაზაზე.

ენას უკავშირდება ცნობიერების წარმოშობა, ცნობიერებას – აზროვნება, აზროვნებას – კულტურა, მისი მრავალგვარი ფორმა, კულტურას – ცივილიზაცია.

მატერიალური კულტურაა არქიტექტურის ძეგლები, შენობა-ნაგებობები, ავეჯი, ტრანსპორტი, ტექნიკა, ყოფითი ნივთები, ტანსაცმელი, შრომისა და ბრძოლის იარაღები, ე. ი. კულტურა გადადის ცივილიზაციაში და ემსახურება საარსებო პირობების შექმნას, დაცვასა და კეთილმოწყობას, კომფორტსა და ესთეტიზებას, ცხოვრების რაციონალურ მოწესრიგებას, ძალთა ხარჯვის შემცირებას;

ფიზიკური – გონის მიერ სხეულის დაუფლება და სრულყოფა, ფიზიკური მოქმედება, ტანვარჯიში, სპორტი, მათი მრავალი სახეობა, როგორც ბრძოლის თამაშად იმიტირება, აგრესიული ინსტინქტების რაციონალურ მოქმედებად გადატანა;

რელიგიის საფუძველია ღმერთის – უზენაესი ძალის ცნება. ბნელ საუკუნეთა წიაღში მას აყალიბებდნენ ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, მაგია და ანიმიზმი, რაც თავისი მხრივ, ემყარება რწმენად ქცეულ მიამიტურ, სტიქიურ წარმოდგენებს (მაგ. ველური კბენდა ქვას, რომელიც დაეცა, ან ისარს, რომელმაც დაჭრა; თუ ვეფხვი დაგლეჯდა, კლანის წევრებს შური უნდა ეძიათ – მოეკლათ და შეეჭამათ იგივე ან სხვა რომელიმე ვეფხვი; ბენგალელებს სჯეროდათ, რომ ვარსკვლავები ადრე ადამიანები იყვნენ; იაპონელებისათვის ქარიშხალი გრძელკუდა დრაკონი იყო და ა. შ.).

რელიგია შეუცნობი და უზენაესი სასტიკი ძალის სახელით აწესრიგებდა და აყალიბებდა ენასა და აზროვნებას, ზნეობას, ცხოვრების წესს და ქმნიდა აკრძალვათა ახალ სისტემას.

რელიგია ემყარება რწმენას, რაც განსჯას არ ემორჩილება.

ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს ღმერთის ობიექტურ არსებობას: მორწმუნის ფსიქიკაში იგი არის მყარად აღბეჭდილი, თუნდაც ილუზიად მიგვაჩნდეს.

ხელოვნება რელიგიის პარალელური განშტოებაა, თავისუფალი ფიქრისა და ოცნების ნაყოფი. მათ ერთი ძირი აქვთ. მაგრამ რწმენას თანდათან ცვლიდა პირობითობა, თამაში და გარდასახვა, ხდებოდა შინაგან სწრაფვათა და განცდათა, არქაულ წარმოდგენათა ინტელექტუალიზება, დროის შესატყვისი მოდელირება, აგრესიულ ძალთა სიმბოლური სახეცვლა, მრავალფერი სამყაროს დიფერენცირებული აღქმა და ათვისება.

ხელოვანი აზროვნებს გრძნობად სახეთა კონფიგურაციით, ბუნებრივის სტილიზებით (მაგ., ლექსი, ცეკვა, სიმღერა), ერთი რომელიმე საწყისი ნიშნის გაშლითა და ფანტაზირებით (მაგ., ეს არის სიმღერისათვის – ჰანგი, მუსიკისათვის – მელოდია, მხატვრობისათვის – ფერი, ლიტერატურისათვის – სიტყვა).

უძველეს დროშივე ინტერესი, ეჭვი და შიში გონიერ არსებას უბიძგებდა საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობისაკენ.

ეს დასაბამს აძლევდა საარსებო ცოდნას, ნამდვილს თუ ილუზიურს, რაც ნისლეულიდან გამომკრთალ მზის სხივს ჰგავდა. ადამიანს უნდა შესძლებოდა არა მხოლოდ სახლის ან ნავის აგება, ბრძოლის იარაღების გაკეთება, არამედ – ბოროტი სულებისაგან ანუ სნეულებისაგან თავის დაცვაც, რაც ბიძგს აძლევდა სამედიცინო დაკვირვებათა დაგროვებას.

კულტურას ცივილიზაციად აქცევს მეცნიერული და პრაქტიკული გონი, გამოხატული ტექნიკით.

მეცნიერება ემყარება ცნებებს, ცნებებით აბსტრაგირებულ საგნებს და მათში და მათ შორის აღმოაჩენს სისტემურ წესრიგს. პირველად გამოცდილებას კი სიტყვა ინახავდა და ასოციაციურად წარმოქმნიდა სიტყვათა ახალ ქსელს.

მხატვრულ ფიგურას შეენაცვლა ცნება, პოეტიზებულ მეტყველებას ტერმინოლოგიური ენა, რათა საგნისა და მოვლენის თვისება-

ნი ზუსტად ყოფილიყო ფიქსირებული, რათა კულტურას საკუთარი თავიც შეემეცნებინა.

ამ თვალსაზრისით არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია შექმნილი (მაგ., **ჰეგელის, ფრ. ნიცშეს, ე. ტაილორის, ჯ. ჯ. ფრეზერის, ლ. ჰ. მორგანის, ფრ. ბოასის, ლ. ლევი-ბრიულის, ზ. ფროიდის, კ. გ. იუნგის, ო. შპენგლერის, ე. კასირერის, ა. ტოინბის, კ. ლევი-სტროსის** გამოკვლევები), თუმცა მათ ავტორთათვის ჯერ არ არსებობდა კულტუროლოგიის ცნება, ვიდრე იგი არ დაამკვიდრა **ლესლი უაიტმა**, ამერიკელმა ანთროპოლოგმა.

ეს დაახლოებით იგივეა, რენესანსის ეპოქის მოღვაწეებმა რომ არ იცოდნენ თუ რა იყო რენესანსი და მხოლოდ მოგვიანებით დაერქვა ამ უდიდეს კულტურულ მოძრაობას ეს სახელი (მაგ., „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ არაფერს ამბობს კულტუროლოგიაზე).

სულიერ კულტურაში დაგროვილ გამოცდილებათა, იდეათა და მოთხოვნილებათა საგნებად კონსტრუირება არის მატერიალური კულტურა.

ეს არის ოცნების სინამდვილედ ქცევა.

თანამედროვე საზოგადოებაში კულტურის პრაგმატული და ტექნიკური დარგები, დიზაინი და ტექნიკური ესთეტიკა იმორჩილებენ ადამიანის ინტერესებს, რაც მასობრივია და ყოვლისმომცველი; რასაც მოაქვს კომფორტი, რეალობის ესთეტიზება. არსი – სიცოცხლის გალამაზება და ტკბობა, რაც ნიშნავს ცივილიზაციის მიერ კულტურის შთანთქმას.

ის, რაც ადრე იყო ელიტარული, დღეს მასობრივი გახდა. გერმანული სულიერი ძიებანი და იდეისათვის მარტვილობა იცვლება ამერიკული სარგებლიანობის პრინციპით.

მაგრამ სულიერების ბირთვი და, შესაბამისად, კულტურის განმსაზღვრელი კვლავაც იქნება რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება, რომელთა ამოძრავება და ენერგიად ქცევა არის პოლიტიკა – საზოგადოების მართვის ხელოვნება.

კულტურას ქმნის შემოქმედი, რომლის ბუნებაში ერთიანდება გმირი და ბრძენი, ემოციური და გონითი სამყარო, როგორც სიცოცხლის ანალოგი.

მაგრამ კულტურა მუდმივად განახლებადი პროცესია და ამიტომაც შექმნა რღვევის პარალელურად მიმდინარეობს, ძველს ცვლის ახალი და მოსპობით ემუქრება: შემოქმედი ამავე დროს დამანგრეველიცაა. რაც გადის დრო, მით უფრო ივსება ემოციები ინტელექტუალური ნაკადით, გრძნობით სამყაროში იჭრება ლოგიკური ცოდნა და კატეგორიები.

კულტურა არსებობს როგორც იერარქიული სისტემა, როგორც სტრუქტურის, ისე ღირებულების თვალსაზრისით.

კულტურის ყოველი დარგი აყალიბებს თავის ორგანიზაციულ სტრუქტურას, რათა ეფექტურად შეძლოს ფუნქციონირება.

მაგ., პოლიტიკა – სახელმწიფო სტრუქტურას (მეფის, იმპერატორის ან პრეზიდენტის ინსტიტუტები, პარლამენტი, სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები...), ეკლესია – სინოდს, ეპარქიებს, მონასტრებს, მეცნიერება – საგანმანათლებლო ქსელს (ბიბლიოთეკები, სკოლები, უნივერსიტეტები...) და ა. შ.

კულტურის გატანა, გავრცელება და მასების ცნობიერებაში დამკვიდრება ხდება სხვადასხვა სპეციფიკური ფორმით: მაგ., მწერალი გამოსცემს წიგნს, ჟურნალისტი – გაზეთს, მხატვარი აწყობს გამოფენებს, მომღერალი გამოდის ესტრადაზე, სპორტსმენი – სტადიონზე, სარბენ ბილიკზე თუ კორტებზე, ბიზნესმენი აარსებს საწარმოო და სავაჭრო ობიექტებს და ა. შ.

ყველა მათგანი გულისხმობს მომხმარებელს: მწერალი და მეცნიერი – მკითხველს, მუსიკოსი – მსმენელს, ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა – მლოცველს, აქტიორი, დიქტორი, სპორტსმენი – მაყურებელს, ბიზნესმენი – მყიდველს, სახელმწიფო სტრუქტურა – აღმსრულებელს და ა. შ.

ამგვარი დიფერენცირება აზრს ჰკარგავს, როცა არ არსებობს სათანადო პროფესიონალიზმი, როცა შემოქმედი, პოლიტიკოსი თუ

ბიზნესმენი ვერ ფლობს თავის საქმეს, თავის ხელობას (მაგ., ლექსის სტრუქტურის ტექნიკური ცოდნა არ არის პოეზია).

მხოლოდ ის ლექსი, მუსიკა, რწმენა თუ აზრი გაგრძელებს არსებობას, რაც გონის უმაღლესი მიღწევაა, რაც შესძრავს მასების გულისყურს, დაიმორჩილებს და წარმართავს. ეს კი შეიძლება განსაკუთრებული უნარის საშუალებით, რაც მხოლოდ ერთეულებს გააჩნიათ. ასეთი ერთეულები არიან **ლიდერები.**

მეცნიერება და მისი პრაგმატული შედეგები, გადასული საგნებად, იპყრობენ ადამიანის ფიქრსა და ხედვას, ცვლიან ცხოვრების წესსა და რიტმს.

ინტეგრალური ხედვა

მეცნიერებაში კი მონაცვლეობს დიფერენცირებისა და ინტეგრირების პროცესი, ისევე როგორც რელიგიასა და ხელოვნებაში.

საგნის შეცნობისაკენ სწრაფვა იწვევს აზრის განტოტვას, სხვადასხვა მიმართულებით გაშლას.

ამის შედეგად იქმნება ვიწრო სპეციალობები, როცა ერთი დარგის მკვლევარებსაც ნაკლებად ესმით ერთმანეთისა.

მაგრამ პარალელურად არსებობს ინტეგრირების ტენდენცია (მაგ., **სტრუქტურალიზმი, ფსიქოანალიზი, სემიოტიკა**), რათა დაგროვილი ცოდნის დასისტემება მოხდეს, რათა მეცნიერული აზრის მონაპოვარი არ დარჩეს ერთი კასტის ხელში.

ასე, მაგალითად, ფილოლოგიაში სხვადასხვა დარგის მონაცემთა შემოტანის შედეგად თავად ფილოლოგიის საზღვარი დაირღვა.

ზოგი შეეცადა კვლევის ლინგვისტიკაზე დაფუძნებას. ზოგიც – პრობლემატიკის გავრცობას, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიისაკენ გზის გაკაფვას.

ყველა შემთხვევაში ლიტერატურის კვლევის ტრადიციული სპეციფიკა იკარგებოდა ან იმდენად იცვლებოდა, რომ ეს უკვე რაღაც სხვა სფეროში გადასვლას ნიშნავდა.

ასე თანდათან ჩამოყალიბდა **კულტუროლოგიური ხედვის ინტეგრალური მოდელი,** რომელსაც მხოლოდ გაფორმება აკლდა.

ხოლო რაც შეეხება **ლიტერატურისმცოდნეობას** (ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია, სალიტერატურო კრიტიკა), **იგი უნდა იქცეს კულტუროლოგიის ნაწილად**.

ინტეგრალური მეთოდი მიემართება აზროვნების და არა რელიგიის, მუსიკის ან ლიტერატურის ფორმალურ, თუმცა აუცილებელ კომპონენტებს.

ისეთი მასშტაბური კულტურული მოძრაობები, როგორიცაა რენესანსი, რომანტიზმი, მოდერნიზმი თუ ავანგარდიზმი, არც ერთი რომელიმე ერის კუთვნილებაა და არც რომელიმე დარგით შემოსაზღვრული.

მათ ასახსნელად არ კმარა არც ფილოსოფია, არც ხელოვნებათმცოდნეობა, არც ფილოლოგია. საჭირო ხდება ჰუმანიტარულ დისციპლინათა ინტეგრირება, რასაც შეეცადა კიდეც სტრუქტურალიზმი თუ სემიოტიკა. მაგრამ ჭარბი აბსტრაგირების გამო ისინი საგანს მოსწყდნენ და ახალი ფორმალიზმი დაამკვიდრეს.

ამიტომ კულტუროლოგია ზოგად პრობლემათა ასახსნელად და კანონზომიერებათა დასადგენად მიმართავს ინტეგრალურ მეთოდს. იგი სამეცნიერო დისციპლინების მაკავშირებელი ცნებებით ქმნის შეცნობის ახალ სახეს, რომელშიც ხან ერთი დარგი არის წარმმართველი, ხან – მეორე (მაგ., რელიგია, ლიტერატურისმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ლინგვისტიკა, ანთროპოლოგია), იმის მიხედვით თუ რომელი მათგანია მკვლევარისათვის ან პრობლემისათვის საყრდენი.

ამდენად არის საჭირო სხვადასხვა მიმართულებით წასულ სპეციალობათა კავშირების ისევ ერთად თავმოყრა, ოღონდ სისტემატი-

ზების უფრო მაღალ საფეხურზე, როგორც ეს მოხდა კიბერნეტიკასა და სემიოტიკაში.

ანტიკურ საბერძნეთში ფილოსოფია იყო მეცნიერების ყოველი დარგის დასაბამი, დღეს კულტუროლოგია იბრუნებს „უძღებ შვილებს“.

მაგრამ ერთია ზოგად პრობლემათა გააზრება, მეორე – ამ პრობლემათა თვალთახედვით კონკრეტული დარგების გაშუქება (მაგ., მითების, ენის, ფერწერის, ლიტერატურის, მუსიკის).

კულტუროლოგიური ანალიზი არ ნიშნავს მხოლოდ ზოგად მსჯელობას, ან – სახელმძღვანელოთა შედგენას, არამედ – ამ თვალთახედვით კონკრეტულ კვლევას, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მათზე მაღლა დგება, როგორც **ერთიანი ხედვის პრინციპი**.

ეს კი არის კონკრეტული სივრცის გაფართოება და დაახლოება სხვა დარგებთან, რათა კვლევა არ იყოს ერთ სფეროში ჩაკეტილი და აზროვნების პროცესისაგან იზოლირებული (მაგ., ქართულ სინამდვილეში – **შ. ნუცუბიძის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, მ. კვესელავას „ფაუსტური პარადიგმები“, ზ. გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“**).

ამიტომ უწოდებენ ასეთ ხედვას გერმანიაში – კულტურის ფილოსოფიას, საფრანგეთში – კულტურის სოციოლოგიას, აშშ-ში – კულტურის ანთროპოლოგიას.

ჰერმეტული კვლევა გარკვეულ პერიოდში გადამწყვეტია, რათა მოპოვებულ იქნას ზუსტი ცოდნა. მაგრამ დროთა მანძილზე ეს ნიშნავს კასტური აზროვნების შექმნას, რომლის მონაპოვარი სხვათათვის უქმია და უსარგებლო, უცხო და გაუგებარი. ასეთ დროს მკვლევარი ჰგავს ჩიტებზე მონადირეს, რომელიც უსიერმა ტყემ გაიტყუა და გზა აებნა.

კულტუროლოგი არის კონსტრუქტორი, რომელიც სხვების მიერ დამზადებული დეტალებისაგან აგებს თავის თვითმფრინავს (შდრ – ფროიდი და ფსიქოანალიზი).

ამიტომ იგი უფრო აზროვნებს ინდექსებით, სიმბოლოებით, არქეტიპებით, პარალელებით, ვიდრე კონკრეტული დეტალების კვლევით.

ამდენად, კულტუროლოგია არის არა მეცნიერება, არამედ – აზროვნების მოდელი, ისევე როგორც ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ესთეტიკა.

ერთიანი ტერმინოლოგია

აქ დგას ტერმინოლოგიის საკითხიც, რადგან ცნებითი აზროვნება სიზუსტეს ესწრაფის, თუმცა ენა თავადაც შეიცავს შეცდომების წყაროს და ვერ ხერხდება სიტყვის მეშვეობით ზუსტი ფორმულირება.

თვით კულტურაც უამრავი სახით არის განმარტებული (არსებობს ათასზე მეტი განსაზღვრა!), ისევე როგორც ნიშანი, მოდელი და სტრუქტურა.

თითქოს მეცნიერებიც ვერ უგებენ ერთმანეთს მაშინაც, როცა ლაპარაკობენ ერთი ენით. მაგრამ სიტყვაში სდებენ განსხვავებულ შინაარსს.

ამიტომ ტერმინოლოგიური მაქსიმალიზმი იქცევა ახალ ბარიერად, რომელსაც ვაწყდებით ხოლმე. მაგრამ არც მათ გარეშე შეიძლება შემეცნება. ამიტომ სჯობს ვიფიქროთ არსზე და არა ფორმალურ, ლექსიკოგრაფიულ სიზუსტეზე.

პლატონის სიტყვით რომ ვთქვათ, მთავარია არა ტერმინი, არამედ – ამ ტერმინის მიღმა არსებული იდეა.

ჰერმეტული კვლევა აყალიბებს ვიწრო, სპეციალურ ტერმინოლოგიას, რომლითაც ასაბუთებს თავის ავტონომიურ არსებობას. ხოლო **ინტეგრალური კვლევა არღვევს ამ ჯებირებს და ქმნის გამაერთიანებელ ტერმინოლოგიას**, რადგან ეძებს იმ საერთოს, რაც აქვს

რელიგიას, ხელოვნებას, ლიტერატურას, ენას, საერთოდ ინტელექ-ტუალურ მოქმედებას, რითაც გამოეყო ჩვენი წინაპარი ცხოველთა სამყაროს და გახდა ღვთის ხატი (ვრცლად იხ. ჩემი წიგნი – „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“. 2007).

ამრიგად, კულტუროლოგიის საგანია კულტურის ზოგადი პრობლემები და კანონზომიერებანი, მათი თვალთახედვით – კონკ-რეტული დარგისა (მაგ: ლიტერატურის) და მისი ფორმების გააზ-რება, მეთოდი კი ინტეგრალური – სხვადასხვა დისციპლინათა შერ-წყმა დარგის გენეზისის, პრობლემების, სტრუქტურისა და სპეციფი-კის ამოსახსნელად.

წიგნი პირველი

კულტურის გენეზისი

I. ბიოლოგიური საწყისი: ფანტაზია და რეალობა

როგორც მოსემ ეგვიპტიდან გამოიყვანა ისრაელის ძენი, 40 წელი უდაბნოში ატარა, ბრძოლებში გამოაწრთო და გამოზარდა, ჩვენს წინაპარსაც ასე სდევდა და სჯიდა განგება, სისხლს ართმევდა და სულს უდგამდა, ჯვარზე აკრავდა და მზის ჩირაღდანს გადასცემდა, რათა იგი ცხოველთა სამყაროდან გამოეგლიჯა და თავის ხატად ექცია.

გადაშენდნენ ტომები და ხალხები (მაგ., რომაელები, კიმერიელები, სკვითები, ხურიტები, ყივჩაღები. ტასმანიელები, ბუშმენები, აშშ-ის ინდიელთა ორი მესამედი, ბრაზილიის 30-ზე მეტი ტომი), გაქრნენ ქვეყნები (მაგ., ბაბილონი, შუმერი, პონტო, ფრიგია, კაბადოკია, ხეთა, ურარტუ, ალბანეთი, თრაკია, დაკია, ხაზარეთი, გალია) და იმპერიები (მაგ., რომი, ბიზანტია), ომებით, სნეულებით, შიმშილით გაწყდა უამრავი ადამიანი, ამერიკის კოლონიებისათვის მონათვაჭრობას შეეწირა 100 მლნ აფრიკელის სიცოცხლე...

ქირურგი მცირე სისხლის გამოშვებით დიდ საფრთხეს – სიკვდილს აცილებს ადამიანს.

ასე – კულტურა და ცივილიზაცია მილიონებისა და მილიარდების ტანჯვითა და სისხლით არის მოპოვებული და განმტკიცებული. მათი ფესვები სისხლით იკვებება და სისხლითვე სჭირდება დაცვა.

ამიტომ არის კაცობრიობის ემბლემა წამებული, ტანჯული, მომმეთა მიერ განწირული ღმერთი.

როგორც შენიშნავდა ფრ. ნიცშე, კულტურა არის გავარვარებული ქაოსის თხელი კანი.

1. ქრონოლოგია და სტადიალობა

კულტურის გენეზისი შეუძლებელია თუ არ ვიცით როგორ მოხდა ჰომინიდების ევოლუცია უძველესი დროიდან დღემდე, რამაპითეკიდან Homo sapiens-მდე.

კულტურა ემყარება აზროვნებას, აზროვნება – ფსიქიკასა და ცნობიერებას, რაც არის თავის ტვინის თვისება.

ცენტრალური ნერვული სისტემის ფორმირება კი ხდებოდა ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, ენდოკრინულ-გენურ, ფსიქიკურ ტრანსფორმაციებთან ერთად, როგორც ერთდროული პროცესი.

ტვინი ემორჩილება და ასრულებს სხეულებრივი პროცესების ბრძანებას. იგი არის შუამავალი ორგანიზმსა და გარემოს შორის, მათი ინფორმაციების – სიგნალებისა და იმპულსების მიმღები, შემნახველი და გარდამქმნელი.

ადამიანის ბიოლოგიურ ევოლუციას აქვს მრავალი მილიონი წლის ისტორია, რომლის სისტემაში მოსაქცევად გამოყოფენ პერიოდებს:

გეოლოგიური თვალსაზრისით ეს არის მეოთხეული პერიოდი, პლესტოცენისა (წინაგამყინვარება და გამყინვარება) და ჰოლიცენის (გამყინვარების შემდგომი) ეპოქები;

არქეოლოგიური თვალსაზრისით ეს არის ქვის (პალეოლითი), ბრინჯაოსა და რკინის ეპოქები.

ქვედა პალეოლითი იწყება 1,5 მლნ. წლის წინათ და დამთავრდა 40.000 წლის წინათ, რა დროიდანაც ჩნდება Homo sapiens – თანამედროვე ადამიანი.

ზედა პალეოლითი დამთავრდა 14.000 წლის წინათ.

ამის შემდეგ დგება მეზოლითის, ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდები, რაც გრძელდება ძვ. წ. მესამე ათასწლეულამდე, ბრინჯაოს ხანამდე.

ძვ. წ. პირველი ათასწლეულიდან იწყება რკინის ხანა, რაც დღემდე მოდის.

ეს პერიოდები ყველა ტომმა, ყველა ერმა, ყველა სახეობამ ინდივიდუალურად გაიარა. ერთგან თუ დაწინაურდა, სხვაგან უსაშველოდ ჩამორჩა. ამიტომ მთავარია არა ქრონოლოგია, არამედ – სტადიალობა;

ანთროპოლოგიის თვალსაზრისით, ეს არის მაიმუნ-ადამიანის ევოლუცია უძველესი დროიდან – დრიოპითეკიდან (ადამიანისა და ადამიანისმაგვარი მაიმუნების საერთო წინაპარი) დღემდე. დრიოპითეკი გიბონის შტოს გამოეყო 28 მლნ წლის წინათ (ბერძნ. pithekos – მაიმუნი). 20 მლნ წლის წინათ ჩნდება რამაპითეკი: 4,5 მლნ წელია ავსტრალოპითეკის ასაკი; მას მოჰყვება პითეკანთროპი...

გონიერი არსება არის მხოლოდ ადამიანი, რომელიც განეკუთვნება ძუძუმწოვართა კლასს, პრიმატების რაზმს (მაიმუნები, ნახევრადმაიმუნები, ადამიანისმაგვარი მაიმუნები), ჰომინიდების ოჯახს (ავსტრალოპითეკი, პითეკანთროპი, პალეოანთროპი, Homo habilis, Homo sapiens...).

ეს კლასიფიკაცია ეკუთვნის კ. ლინეის (1758 წ.), ხოლო ტ. ჰექსლიმ ცალკე გამოჰყო **ჰომინიდების ოჯახი** (1863 წ.).

ადამიანის ჯიში განიყოფა სამ რასად – თეთრკანიანი (ევროპეიდი), შავკანიანი (ნეგროიდი), ყვითელკანიანი (მონგოლოიდი) და ანთროპოლოგიურ ტიპებად (მაგ., ქართველებს განაკუთვნებენ წინაააზიურ ტიპს), რომელთა შეჯახებამ, შერწყმამ და დიფერენცირებამ წარმოშვა ერთიანი ენისა და კულტურის მატარებელი ერები.

500 000 წლის წინათ არქანთროპები გაიყვნენ ორ ხაზად, რომლისგანაც წამოვიდნენ ნეანდერტალელთა და ჰომო საპიენსის წინაპრები.

300.000 წლის წინათ მოხდა არსებითი გარდატეხა ჰომინიდების ისტორიაში – ასპარეზზე გამოდის პალეოანთროპი (ნეანდერტალელი ადამიანი), რომელიც უკვე აღარ იყო მაიმუნი.

როგორც შენიშნავენ, „ადამიანის ჩანასახი განვითარების ადრეულ სტადიებზე ჰგავს თევზის, ამფიბიის, ქვეწარმავლის ჩანასახებს. მხოლოდ განვითარების გვიან სტადიაზე ემსგავსება ძუძუმწოვრის ნაყოფს“ (არნ. გეგეჭკორი), ე.ი. ონტოგენეზში მეორდება ფილოგენეზი – პრეისტორია.

ადამიანსა და შიმპანზეს, რომელიც ყველაზე ახლოსაა ჰომინიდთან, აქვთ საერთო ანატომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქტურა, ქრომოსომების რიცხვი, გენების 91% (ზოგის მტკიცებით – 98%) .

9% არის იმ გენთა რიცხვი, რითაც ადამიანი დასცილდა შიმპანზეს და აზროვნების უნარი შეიძინა, რამაც შექმნა სამყაროს საოცრება – ინტელექტუალური არსება.

ზოგის ვარაუდით, 40.000 წლის წინათ გაქრნენ ნეანდერტალელები და გაბატონდა Homo Sapiens-ის შტო.

ნეანდერტალელების მუსტიური კულტურა წყდება 45 000 წლის წინათ. მას ენაცვლება პროტო-ორინიაკის კულტურა, როგორც ამტკიცებენ პალეოგენეტიკოსები. ნეანდერტალელები და Homo Sapiens-ი ერთმანეთს შეერწყნენ.

აფრიკიდან წამოსულ ურდოებთან შერწყმის შედეგი – თანამედროვე ევროპელს აქვს ნეანდერტალელთა გენების 2-5%, იაპონელებს - 49%, სამხრეთ ჩინელებს - 66%.

Homo sapiens-ის პირველი წარმომადგენლები იყვნენ კრომანიონელები. მოღწეულია მათი მრავალი ნაშთი (საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, კუნძული იავა, ავსტრალია, ჩრდილოეთი ამერიკა...).

Homo sapiens-ს გადმოეცა ნეანდერტალელთა გამოცდილება, აზროვნების, მეტყველებისა და კულტურის პრაფორმები. იგი ჯოგური ცხოვრებიდან გადავიდა გვაროვნულ-ტომობრივი ცხოვრების წესზე, პოლიგამიიდან – მონოგამიაზე.

ნადირობას დაემატა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ხოლო 5.000 წლის წინათ – მეტალურგია (ბრინჯაოსა და რკინის წარმოება). ეს აღმოჩნდა უდიდესი ფაქტორი აზროვნების, კულტურის, ტექნიკისა და ცივილიზაციის პროგრესისათვის, რაც მითოლოგიამ ღმერ-

თებისათვის პრომეთეს მიერ წართმეული ცეცხლის სიმბოლოთი გამოხატა.

კულტურის თვალსაზრისითაც გამოყოფენ ევოლუციის რამდენიმე უძველეს ფაზას, რაც უკავშირდება კაჟის, ქვის, რქის, ხისა და ძვლისგან დამზადებულ ბრძოლისა და შრომის იარაღებს, პირველყოფილი ჯოგების სადგომებს, ქოხების ნაშთებს, მღვიმურ თავშესაფრებსა და იქ კედლებზე მხატვრობას, ტოტემთა და ქალთა ქანდაკებებს, ტოტემისტურ და ანიმისტურ წარმოდგენებს, კანიბალიზმის აღკვეთას, კაცთშეწირვას, ეგზოგამიასა და მონოგამიას – სექსუალური კავშირების რეგულირებას, ბელადისა და ქურუმის ძალაუფლებას, მეტყველების წარმოშობას, დედის უფლებას, უზენაესი ძალების ტრანსფორმაციას, აკრძალვათა სისტემას (ტაბუ)...

შელის (550.000 – 430000 წლები), აშელის (430.000-150.000), მუსტიეს (100.000-40.000), ორინიაკის, აზილის თუ მადლენის პირველყოფილი კულტურები ერთგვაროვანი ვერ იქნებოდა. აქაც გამოიყოფა რამდენიმე სახე-სხვაობა, ისევე როგორც შემდეგ, ვიდრე მოხდებოდა ერებისა და სახელმწიფოების წარმოქმნა (მაგ., გრიმალდის, კოსტენკის, მაიკოპის, ლუნშანის, თრიალეთის, მტკვარ-არაქსის, ბადარის, ნატუფის კულტურები).

პრეისტორიულ თუ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებში წესრიგი შეაქვს ქრონოლოგიას. დროის ფაქტორის გარეშე ყოველი საგანი ფიქციაა.

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მიწის სქელ ფენებში არქეოლოგების მიერ ნაპოვნ ძვალთა და ხელცულთა, ტაძართა და კედელთა ნაშთების, აკლდამების, ქანდაკებების, სამკაულების, კერამიკის, ადამიანთა და ცხოველთა ჩონჩხების, შრომისა და ბრძოლის იარაღების დასათარიღებლად მიმართავენ ქიმიასა და ფიზიკას.

ეს არის: კალიუმ-არგონული და რადიოკარბონული (როცა რადიოაქტიური ელემენტის დაშლის პერიოდია საზომად აღებული), გეოქრონოლოგიური (თიხების წლიური ფენების სისქის მიხედვით), დენდროქრონოლოგიური (ხეების წლიური რგოლების სისქის მი-

ხედვით) მეთოდებით გეოლოგიურ საფეხურებთან და არქეოლოგიურ ტიპებთან შეპირისპირება (ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ., 1986).

როგორც შენიშნავენ, უახლესი ტექნოლოგიით შეიძლება გაირკვეს კედლებისა და ქვების ანაბეჭდების ავტორთა ასაკი და სქესიც კი.

2. მითოსურ-კოსმოგონიური წარმოდგენები

დასაწყისი და დასასრული

ძველი ხალხების ფანტაზიასაც აინტერესებდა სამყაროსა და ადამიანის წარმოშობა. ისინი, ტოტემისტური წარმოდგენებიდან გამომდინარე, თხზავდნენ ნაირგვარ მითებს, რომლებიც, ამასთანავე, საერთო ნიშნებს იმეორებენ, თუმცა შეუძლებელია ერთმანეთთან რაიმე კავშირი ჰქონოდათ.

ველურებმა იცოდნენ, რომ ოდესღაც არ იყო არც ცა, არც მიწა, არც კაცი, არც ქვა, არც ფრინველი, არც ცხოველი ანუ არ იყო არაფერი.

ეს ასეა ყველა ხალხის მითებში, იქნება ეს შუმერული, ებრაული, სკანდინავიური, ბერძნული, პოლინეზიური თუ ინდიური.

მაგრამ ასევე ყველგან აღნიშნულია **ოთხი სტიქია,** პირველელემენტი – წყალი, ცეცხლი, მიწა და ჰაერი, როგორც სამყაროს პირველადი მასალა, რაც ემპედოკლეს მოძღვრების სახელით გავრცელდა ისტორიულ პერიოდში.

შემდეგ მოხდა ცისა და მიწის განყოფა, ოკეანისა და მიწის დაცილება, სიცოცხლის გაჩენა.

სამყაროს შექმნას ასეთი სქემით გამოსახავენ მითოლოგიურ წარმოდგენათა საფუძველზე:

ქაოსი → ცა და მიწა → მზე და მთვარე, ვარსკვლავები → დრო → მცენარეები → ცხოველები → ადამიანი (Мифы народов мира, II, М., 1992, стр. 7).

თავად სამყარო კი – მიწისქვეშეთი, ხმელეთის პირი, ზეცა, მცენარეები, ცხოველები და ადამიანები, ღმერთები და ქურუმები, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებული იყო მსოფლიო ხის გარშემო (რომლის ვარიაციებია ხე სიცოცხლისა და სიკვდილისა, ხე ცნობადისა).

ასევე ყველგან იყო გავრცელებული წარმოდგენა სამყაროს ესქატოლოგიურ დასასრულზე.

ტოლტეკებს, აცტეკებს, მაიას ხალხებს ეგონათ, რომ ყოველი 52 წლის შემდეგ, როგორც მათ მიერ შედგენილი კალენდარი ამცნობდათ, ქვეყანას დაღუპვა ელოდა.

ამ განსაცდელს კი ადამიანებს ქურუმები ააცილებდათ.

ქრისტიანებს მიაჩნდათ, რომ სამყაროს აპოკალიპსური დასასრული და განკითხვის ჟამი დადგება ყოველი ათასწლეულის ბოლოს.

შუმერში სწამდათ, რომ კაცთა მოდგმას ყოველ 1200 წელიწადში დიდი განსაცდელი ელოდა. მაგრამ ენლილის რისხვისაგან ადამიანებს იხსნიდა ათრახასისი.

ქაოსი

ვედელ არიელთა წარმოდგენით, სამყაროს საწყისი წყალია და წყლიდან იშვა მიწა; ბერძნული მითოსის თანახმად, სამყაროს საფუძველს ქმნიან ქაოსი, გეა, ტარტაროსი და ეროსი. ქაოსს კი ხან წყალთან, ხან ჰაერთან აიგივებენ.

ბიბლიური კოსმოგონიით, ღმერთმა თავდაპირველად გააჩინა ცა და მიწა, შემდეგ – დღე და ღამე.

ქაოსზე წარმოდგენა ძველეგვიპტურ და შუამდინარულ მითოსში ჩნდება ძვ. წ. III ათასწლეულში.

ეგვიპტელები პირველად ოკეანეს ნუნს უწოდებდნენ, რაც იგივე არყოფნას ნიშნავს. მისი ქმარია ნაუნეტი (ზეცა). მათგან მოდის შემოქმედი ატუმი, ატუმისგან – შუ (ჰაერი) და ტეფნუტი (სისველე)...

შუმერული ვერსიით, ეს არის პრადედა ნამუ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა და სიცოცხლე მისცა ყველა ღმერთს. იგი უნდა ყოფილიყო ხთონური წყალი, როგორც მიწისქვეშა მსოფლიო ოკეანე ენგურა.

აქადური ვერსიით, თიამათი (ზღვა), შვიდთავა ჰიდრა, თავის ქმარ აპსუსთან (იგივე ენგურა) ერთად საწყისს აძლევს ღმერთების უფროს თაობას. იგი შუაზე გააპო ახალმა ღმერთმა მარდუქმა, ერთი ნაწილისაგან ცა შექმნა, მეორე ნაწილისაგან – მიწა.

დასავლეთსემიტურ მითოსში მუტუ არის სიკვდილის ღმერთი და განასახიერებს ქაოსს, ქვესკნელს, მიცვალებულთა სამეფოს.

ინდუისტური მითოსით, სამყაროს პირველმიზეზი არის პრაჯაპათი. იგი მიჩნეულია მსხვერპლად და გაიგივებულია ბრაჰმასთან. ხოლო სამსხვერპლო მოქმედებას თვლიდნენ ერთიანი მსოფლიო პროცესის ანალოგად. ამიტომ სამყარო არის ღმერთის მკვლელობის, თვითშეწირვის შედეგი.

თესლი კვდება და ამოდის მცენარე, როგორც გვეუბნება სახარება (იოანე, 12, 24).

პრაჯაპათი მონაწილეობს ყოველი ფორმის განვითარებაში, განსახიერდება მზესთან გაიგივებულ „ოქროს ჩანასახში“. იგი დაცურავს ოკეანეში და ფართოვდება კოსმიური სიცხის – ტაპასის ზემოქმედებით, დასაბამს აძლევს თავის ნაწილთაგან მთელს სამყაროს (Культура древней Индии, М., 1975).

აგნიც მსხვერპლის დახმარებით ქმნიდა სამყაროს.

სამსხვერპლო სისხლი აერთებდა კაცსა და ღმერთს. სისხლი კი სულთან, ე. ი. სიცოცხლესთან იყო გაიგივებული.

კონფუციანური თვალსაზრისით, ქაოსი უფორმო, არეული სტიქიაა, რომლის წმინდა ნაწილი ცად გამოიყო, ამღვრეული – მიწად.

ლაო ძის მიხედვით, სანამ ქაოსიდან ცა და მიწა გამოვიდოდა, ჩაისახა უფორმო დაო, რაც არის მატერია.

ქაოსიდან გამოყვანილი წესრიგი არის კოსმოსი, რომელთა შორის ბრძოლა მუდმივად გრძელდება.

ჩვეულებრივ-მითოსური წარმოდგენით, ცა არის მამა, მიწა – დედა, მზე და მთვარე – და-ძმა და ცოლ-ქმარი. მაგრამ ზოგან მზე არის მამრი, ზოგან – მთვარე. უფრო სწორად, მთვარე მზისათვის არის მდედრი, მიწისათვის – მამრი (თ. მანი). ასევე განუყრელად სდევს მთვარეს დრაკონი, რომელიც მას ჩაყლაპვით ემუქრება.

მზე საღამოს იმიტომ არის წითელი, რომ იგი ჯოჯოხეთში იყურება. ზოგიერთი ტომის რწმენით, მზე არის ბელადთა და გმირთა ნათელი საცხოვრისი (შდრ – რუსთაველი: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი, განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი! მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“!).

ალტაურ-მონღოლური წარმოდგენით, მარადიული ცა არის მთავარი ღმერთი – თენგრი. ასევე ცას უკავშირდებიან ურარტული ხალდი, ბერძნული ზევსი, შუმერულ-აქადური ანუ, რომაული იუპიტერი, ძველარაბული ალაჰი, ძველჩინური ლეი-გუნი, ვედური ათასთვალება ინდრა, რომლის ტრაპეზი 300 ხარი იყო, სკანდინავიურ-გერმანული ოდინი (ვოტანი), რომელიც ცალთვალა იყო (თვალი-მზე). ინდიელი ოლმეკებიც ცას ეთაყვანებოდნენ.

მიწიერი ცხოვრება ფანტაზიამ ცაში აიტანა და ზეციური რუკა შექმნა პლანეტების განლაგებით, მზისა და მთვარის მოძრაობით, სადაც ძვირფას სულებს მიუჩინა სასუფეველი (იხ. „სიკვდილი და საიქიო“).

ამიტომ გავრცელდა 12 თანავარსკვლავედის, რომელთა შორის ყოველწლიურად გაივლის მზე, სახელდება ცხოველთა სახელებით (მაგ., ირმის ნახტომი, დიდი დათვის თანავარსკვლავედი) ან წელთა აღნიშნვა (მაგ., ვეფხვის ან თაგვის წელიწადი), რაც დასაბამს აძლევდა ჰოროსკოპსა და მკითხაობას, ასტროლოგიასა და ასტრონომიას.

მზის ამოსვლა, თესვა, გაზაფხული, სითბო სიცოცხლე იყო, მზის ჩასვლა, მოსავლის აღება, ზამთარი, სიცივე – სიკვდილი.

მითოლოგიურ-კოსმოგონიურ წარმოდგენებში მეცნიერული იდეებიც ჩნდებოდა. მაგ., ინდოელმა არიაბჰატამ (ძვ. წ. V ს.) გამოთქვა აზრი, რომ დედამიწა მრგვალია და ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო.

ქურუმები ციურ მნათობთა განლაგებით ადგენდნენ წელიწადის დროთა მონაცვლეობას, კავშირს ამინდთან, თესვის ვადასთან, მოსავლის აღებასთან, აწესებდნენ შესაბამის მსხვერპლშეწირვებს ანუ დღესასწაულებს.

ძვ. წ. IV ათასწლეულში ეგვიპტელებს ჰქონდათ მზის კალენდარი, წელიწადს ყოფდნენ 365 დღედ, თვეს – 30 დღედ. კალენდარი ჰქონდათ ჩინელებს, ინდოელებს, შუამდინარეთის ხალხებს, მაიას ტომებს ანუ ისინი დაკვირვებამ ერთნაირ შედეგამდე მიიყვანა – ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

მითოლოგიურ-კოსმოგონიურ წარმოდგენათა რაციონალიზებამ საწყისი მისცა ფილოსოფიას, რომელიც ყოველთა მეცნიერებათა დედაა. განსჯა, დაკვირვება, ანალიზი ფანტაზიას აცლიდა როგორც ემოციურ ტალღას, ისე ჰალუცინაციურ ლანდებს.

ადამიანის შექმნა

ზოგი მითის მიხედვით, პირველკაცისაგან იშვა სამყარო – მზე და მთვარე, ვარსკვლავები, საგნები, ცხოველები და მცენარეები, ე. ი. აქ საფუძველია ადამიანის სხეული, რაც, ალბათ, სიმბოლურად აღქმას, წარმოდგენას ნიშნავს.

სკანდინავიური მითი გვეუბნება, რომ ღმერთის მიერ მოკლული გოლიათის პირველწინაპარ იმირის სხეული იქცა მიწად, ძვლები – მთებად, თავის ქალა – ცად, სისხლი – ზღვებად.

ირანული, ვედური, დოგონური წარმოდგენებით, სამყაროს ნაწილები შეესაბამება სხეულის ნაწილებს. მაგ., კლდეები ძვლებია, წითელი თიხა – სისხლი, ნიადაგი – კუჭის შიგთავსი.

აფრიკულ, ამერიკულ, ოკეანეთის მითებში ჯერ იქმნება არა ადამიანი, არამედ – მისი წინაპარი, ანთროპომორფული არსება, რომლის სიკვდილის შემდეგ ჩნდება ადამიანი.

ჩრდილოამერიკელი ინდიელების თანახმად, ადამიანი წარმოიშვა ცხოველის, თევზის, ფრინველის ჩონჩხისაგან, პერუელი ინდიელების აზრით – პალმის ნაყოფისაგან, მელანეზიელების შეხედულებით კი – ქოქოსის ნაყოფისაგან, ციმბირელი და ჩრდილოამერიკული ტომების წარმოდგენით – არყის ხისა და ლარიქსისაგან, რაც ტოტემური დროის რწმენაა.

უფრო მეტად კი ადამიანის გაჩენა უკავშირდება თიხას: ადამიანი თიხისაგან იქმნება ეგვიპტურ, ბერძნულ, ალტაურ, ბიბლიურ, ტაიტურ, აფრიკულ, იროკეზულ მითებში; აქადური ვარიანტის მიხედვით, მარდუქმა და ეიამ ურჩხულ კინგუს სისხლისა და თიხისაგან მოზილეს ადამიანი; ახალზელანდიელთა ღმერთმა ტანემ კი საკუთარი სისხლით მოზილა თიხა და ასე იშვა ადამიანი; ტაიტელების წარმოდგენით, პირველი ქალი ღმერთმა ტანგაროამ კაცის ძვლისა და თიხისაგან შექმნა (შდრ – ლათინურად მიწა არის humus, ადამიანი – homo); ბიბლიის თანახმად, ღმერთმა ადამის ნეკნისაგან გამოიყვანა ქალი.

პირველკაცი და ეთნარქი

სამყარო ანთროპომორფული მოდელია, რაც სიცოცხლისა და ბუნების ერთიანობას გამოხატავს. მითოსურ ფანტაზიას ყველაფერი გამოჰყავს ადამიანისაგან ანუ ადამიანური წარმოსახვისა და ხედვი-

საგან. მას შეესაბამება ფილოსოფოსთა მსოფლიო სული (გერმ. Weltseele).

ვედების პირველკაცი პურუშა ღმერთებს შესწირეს და ამ რიტუალიდან იშვნენ ჰიმნები, სიმღერები, ლექსები, ცხოველები და ღმერთები.

ძველირანულში მას შეესაბამება ჰაიომარტი, რომელიც აჰურამაზდამ შექმნა, ზულუსებში – უნკულუნკულუ, სკვითებში – ტარგიტაოსი, პოლინეზიელებში – მაიუი, ინდუსებში – იამა, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებში – პოშეიანკია.

რაბინების ტრადიციით, ადამ კადმონი სიმაღლით ცას სწვდებოდა და ხმელეთს ფარავდა. ეს აფრთხობდა ანგელოსებს. ამიტომ ღმერთმა დააპატარავა იგი.

ძველეგვიპტური წარმოდგენით პირველკაცი არის პტახი. მისი მკვდარი სხეულის ნაწილებს შეეფარდება ეგვიპტური ღმერთები (მაგ., სახე – რა, კეფა – ისიდა, ზურგი – სეტი, ფალოსი – ოსირისი).

ძველჩინური პან-გუსაგან ასევე წარმოიშვა სამყარო.

გერმანულ-სკანდინავიურ მითოსში ორსქესიან ღმერთ ტუისტოსაგან წარმოიშვა პირველი ადამიანი – მანი, რომლის შვილებმა მისცეს საწყისი სამ გერმანულ ტომს.

ყველა მათგანი უკავშირდება მსხვერპლშეწირვას, პირველკაცის წმინდა სხეულის ნაწილების დაყოფასა და დარიგებას, სისხლის დაღვრას (შდრ – „წამებული ღმერთი – კაცთა მხსნელი“).

ცალკეული ხალხებიც თავიანთ დასაბამს კონკრეტულ პირებს უკავშირებენ. მაგ., ლათინთა ეთნარქია ენეასი, ბერძენთა – ჰელინოსი, კავკასიელთა – თარგამოსი, არმენ – სომეხთა – არამი, ქართველთა – ქართლოსი, სომეხთა – ჰაოსი, კორეელთა – ტანგუნი, ჩინელთა – ფუ-სი.

თარგამოსი ყოფილა თარშის ძე, ბიბლიური ნოეს შთამომავალი. როცა ვერ აშენდა ბაბილონის გოდოლი და ღმერთმა ენა აურია ადამიანებს, თარგამოსი ჩრდილოეთისაკენ წასულა, უცხოვრია 600 წელი, ჰყოლია რვა ძე და უამრავი შთამომავალი.

მითოსურმა ფანტაზიამ და ტოტემისტურმა წარმოდგენებმა მატერია – სიცოცხლე გამოიყვანეს წყლისა და სითბოსაგან, პირველადი ქაოსისაგან, ადამიანი – ცხოველთა სამყაროდან, კერძოდ – მაიმუნისაგან.

ადამიანი და მაიმუნი

ვიდრე მეცნიერები დაამტკიცებდნენ, მითოსურმა ფანტაზიამ დაინახა ადამიანისა და მაიმუნის სიახლოვე: ზოგან უძველეს მღვიმეებში ადამიანები გამოსახულია მაიმუნის თავითა და კუდით.

ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტომებს მაიმუნის წინაპრად ადამიანი მიაჩნდათ; სამხრეთ ინდოეთის ტომები ადამიანის წარმოშობას მაიმუნ რამას უკავშირებდნენ, მალაიზიელები – თეთრ მაიმუნებს; ინდოელები და ინდონეზიელები ველურსა და მაიმუნს აიგივებდნენ; მალაიზიელები ორანგუტანგს „ტყის კაცს“ ეძახდნენ.

არსებობდა ლეგენდა, რომ ადამიანს ოდესღაც კუდი ჰქონდა. ალბათ, ამის ნიშნად ზოგჯერ ეგვიპტის ფარაონი კუდს ატარებდა.

ტიბეტელებსა და სამხრეთ აფრიკელებს სწამდათ, რომ ადამიანის მაიმუნისაგან წარმოიშვა; ბუშმენების აზრით, ბაბუინები ოდესღაც ადამიანები იყვნენ. სხვა აფრიკულ ტომებში ეგონათ, რომ შიმპანზე ტყეში გასული, გატყიურებული ადამიანის შთამომავალია.

ტოტემისტურ მითებში ადამიანსა და ცხოველთა შორისაც ნაკლებად ხედავენ განსხვავებას (მაგ., ზოგან დათვი არის „მთის კაცი“).

ამიტომ ხატავდნენ მღვიმის კედლებზე ადამიანებს ფრინველის, ბაყაყის, ბიზონის თავით, ძაღლის თუ ირმის ფეხებით. ხოლო ელინური და პრა-ელინური გველ-ქალები, ხარ-კაცები და ვაც-კაცები საყოველთაოდ ცნობილია.

ქართველური კოსმოგონია

ქართველთა წარმოდგენით, სამყარო მრგვალია, გარს აკრავს ზღვა ან მთები. ქვეყნის ბოლოს დგას სიცოცხლის ხე. მას განასახიერებს ირმის უზარმაზარი დატოტვილი რქები, რომლებიც ცას სწვდება.

ზეცაში არიან ღმერთები, მიწაზე – ადამიანები, მცენარეები და ცხოველები, მიწისქვეშ – დევები, ქაჯები, დრაკონები.

ამ სამ სამყაროს შეესაბამება სამი ფერი – თეთრი, წითელი და შავი.

სამყარო შედგება რამდენიმე ნაწილისაგან:

სკნელი – მიწის პირი, ზესკნელი – ზეცა, ქვესკნელი – მიწისქვეშეთი, წინასკნელი – წინა ნაწილი, უკანასკნელი – უკანა მხარე, გარესკნელი – გარეთა ბნელი მხარე (ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003).

ამ სიტყვათა ძირია სკნ, რაც უკავშირდება სკვნას (შდრ – მეგრ. სკვირი – ბმული, სკირი – ვაჟი, სკუა – შვილი, სკუალა – ერთი მხრივ – სკვნა, მეორე მხრივ – კვერცხის დადება, ანუ შერწყმა; შვილი და კვერცხი ერთად გაიაზრება).

ქართველთა უმაღლესი ღვთაება – ღმერთი იმყოფება მეშვიდე ცაში.

წარმართული წარმოდგენით, ასტრალური ღმერთები მზე და მთვარე და-ძმაც არის და ცოლ-ქმარიც – მათი შვილები არიან როგორც ვარსკვლავები, ისე ადამიანები:

ალბათ, უძველეს დროში მთავარი ღმერთი მზე (დედა) უნდა ყოფილიყო, რაც დედის პრიმატობით ქართულმა ენამ შემოინახა. ხოლო პატრიარქატის დროიდან მას შეენაცვლა მთვარე (მამა), მთვარის კულტი (შდრ – გერმანულში მზე – die Sonne მდედრობითი სქესისაა, მთვარე – der Mond – მამრობითისა).

ამიტომ ხდებოდა ხალხების წარმოდგენაში მათი სქესის აღრევა.

სტრაბონი აღნიშნავს, რომ ჩვენი მეზობელი ალბანელები საგანგებოდ გამზადებულ პირს სწირავდნენ მთვარის ღვთაებას.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართველურ ტომებშიც მსგავსი წესი უნდა არსებულიყო.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მზე ყაბარდოულად არის დიღღა, ჩერქეზულად – ტტოღო; მთვარე აფხაზურად არის ამზა, ძველაფხაზურად – მეზე, ჩეჩნურად – დე, ჩერქეზულად – მაზერ, ყაბარდოულად – მაზე, ხოლო შუქი – მაზაღო (შდრ – ალ. ყაზბეგის ჩერქეზი პერსონაჟის სახელი მზაღო).

დღე სიტყვას აკავშირებენ რომანულ, გერმანულ და სლავურ ენებთანაც.

საწყისი უნდა ყოფილიყო ძველინდური dinam.

ლეონტი მროველის (XI ს.) გადმოცემით, კავკასიის ხალხთა ეთნარქი არის თარგამოსი, რომლის შვილებმა დასაბამი მისცეს ქართულ, სომხურ, მეგრულ, ალბანურ, ლეკურ ტომებს („ქართლის ცხოვრება“).

ეს არის იბერიულ-კავკასიური სამყარო, რომლის გენეტიკურ ერთიანობას ამტკიცებენ ქართველი მეცნიერები (მაგ., ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და არნ. ჩიქობავა).

პრაქართველურ წრეში ერთიან სემანტიკურ წარმოდგენას ქმნიან ცხელი, ცოცხალი, ცეცხლი და ცხოველი.

ცხელისაგან უნდა წარმოქმნილიყო ცა (ცხა), რომელიც იყო მზის შესატყვისიც.

ამისი დასტურია მეგრული ჩხანა, რომელიც ცხელს (ჩხე) უკავშირდება და მზეს ჰქვია.

ცა ერთნაირი ფორმით შემოინახეს ქართულმა, მეგრულმა, ლაზურმა და სვანურმა ენებმა.

ხოლო ცის ვარიაცია შეიძლება ყოფილიყო ზა (მეგრ. მჟა, ლაზ. მჟა, სვან. მიჟ) და დღე (მეგრ. დღა, ლაზ. ნდღა, სვან. დეღ), როგორც ეს არის ჩრდილოკავკასიურ ენებში.

მათ უკავშირდება სისხლი (მეგრ. – ზისხირ. ლაზ. – დიცხირი, სვან. – ზისხ), რაც ცხელ მზეს ნიშნავს, ისევე როგორც ცეცხლი (მეგრ. და ლაზ. – დაჩხირი).

საწყისი შეიძლება ყოფილიყო ხეთური „ესხარ“, რაც სისხლს ერქვა (შდრ – ძველქართული ისხარი – ჩქარი წვიმა).

ქართველური ენების მონაცემებით სიცოცხლის საწყისი არის მზე – სითბო და არა წყალი. მზე კი მდედრობით ღვთაებას განასახიერებდა.

ამ სიტყვათა სემანტიკაც ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენს წინაპარს ზღვა არ ჰყვარებია, როგორც ეს იყო შემდეგშიც – ისტორიულ პერიოდში.

როგორც ჩანს, იბერიულ-კავკასიურ ენათა პირველად წრეში დღე, მზე, ცა და მთვარე ერთი სიტყვით გამოითქმოდა და იგი ნიშნავდა შუქს, სინათლეს, სინათლე კი – სითბოს.

მაგრამ ღამეც დღისაგან უნდა წარმოქმნილიყო (სვანურად ღამე არის ბაზ), ისევე როგორც მზისაგან – ზაფხული და ზამთარი, ცხელისაგან – ცივი. ზამ ებრაულსა და არამეულში დროს, სეზონს ნიშნავს. ავესტაში Zua არის ზამთარი, ხეთურში – giimaanza.

რაკი დღე სინათლისგან მოდის, შეიძლება იგი დავაკავშიროთ დილასთანაც.

ბაბილონში ცისკრის ვარსკვლავი ყოფილა დილ, რომელსაც ბერძნები აფროდიტეს უწოდებდნენ, რომაელები – ვენერას.

დილა სინათლის მოფენაა, რომლის მაცნეა ცისკრის ვარსკვლავი და შემდეგ ამოდის მზე.

ღმერთს ყაბარდოულად ჰქვია ტხა, ჩერქეზულად – ტყა, ჩეჩნურად – დალი (დელე), ქისტურად – დალა, წოვურად – დალე, სვანურად – დალი.

დილ ხმიანობს როგორც დატირების რიტუალში (დალაი), ისე სიმღერის ჰანგსა (ჰა დილა) და პურობის სახელში – სა-დილ-ი, რაც უნდა ნიშნავდეს არა ჩვეულებრივ დილის პურისჭამას, არამედ – ღვთაებისათვის სუფრის გაშლას.

ალბათ პურობა დღეში მხოლოდ ერთხელ იმართებოდა და იგი ღმერთის სახელზე ეწყობოდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე მოქალაქეებისაგან განსხვავებით, ჩვენი წინაპრები დღეში 3-4-ჯერ როდი ღებულობდნენ საკვებს.

მაგ., ქსერქსეს ჯარი დღეში ერთხელ იკვებებოდა (ჰეროდოტე).

რომაელები სუფრასთან სხდებოდნენ დღეში ერთხელ, ნაშუადღევს. სულხან-საბას განმარტებით, ქართველები ორჯერ იკვებებოდნენ, ოღონდ პურობას დროის მიხედვით ერქვა სხვადასხვა სახელი.

მაგ., სადილი – დილის საჭმელი, სამხარი – შუადღის ჭამადი, სერობა – მიმწუხრის ჭამადი. სერი – მეგრ. ღამე, რაც ხურიტულიდან თუ ლათინურიდან მოდის). ხურიტ. სერი (შერი) – ღამე.

ივ. ჯავახიშვილი იბერიულ-კავკასიურ ენებში მთვარის სახელის ვარიაციებს უკავშირებს ვერძს, როგორც უფროსი მამაკაცის ალბათ სიმბოლურ აღმნიშვნელს. ხოლო მის საწყისად მიაჩნია პროტოხეთური ღმერთი – უაჟაუ.

აქედან – ვაჟი და ვაშა (საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თხზ., ტ. XI, 1998).

იბერიულ-კავკასიური ტომების ასტრალურ-კოსმოგონიურ წარმოდგენებს აყალიბებდნენ, ერთი მხრივ – საკუთარი დაკვირვებანი, მეორე მხრივ – მცირეაზიიდან და მესოპოტამიიდან შემოჭრილი ღმერთები, რაც ენაში აირეკლა.

მითოსურ ფანტაზიას შეჰქონდა წესრიგი ადამიანთა და ცხოველთა სამყაროში, რომელთა გაჩენამდე ქვეყნად ქაოსი სუფევდა.

3. წყალი – სიცოცხლის საწყისი

გენეტიკური ჯავშანი

ადამიანის ფორმირება ხდებოდა ინსტინქტურ მოთხოვნილებათა ბიძგებით.

უძველესი ჰომინიდების – ავსტრალოპითეკების, პითეკანთროპების, პალეოანთროპების ცხოვრებას ინსტინქტები წარმართავდა.

სახეობათა წარმოშობა უკავშირდება ქრომოსომებისა და გენების ჩამოყალიბებასა და მათ ფუნქციას.

ეს არის გენეტიკური ჯავშანი, რაც იცავს სახეობას გადაგვარებისა და გაქრობისაგან, ადგენს მის მკაცრად განსაზღვრულ ჯიშს.

ეს ინსტინქტურად იცოდნენ ძველ დროშიც. იცოდნენ, რომ მსგავსი მსგავსს შობს.

ვეფხვი, აქლემი, გველი თუ არწივი ერთმანეთს არასოდეს დაემგვანება, რაც არის ბიოლოგიური წესრიგი სამყაროში.

მილიონობით წელთა მანძილზე სახეობებს არც გაუკეთესება, არც გაუარესება არ დასტყობიათ.

თითქოს მართლაც ღმერთმა გააჩინა ისინი, გადმოსხა დედამიწის ხომალდზე, განასხვავა ერთმანეთისაგან და მიანიჭა გადამრჩენი უცვლელი ინსტინქტები (კვების, სექსუალობის, თავდაცვის, დედობის...).

მაგრამ ეს იყო ხანგრძლივი ევოლუციისა და მუტაციის შედეგი, როცა მოხდა არაორგანული (მინერალური) მატერიის ორგანულად გარდასახვა.

ლუი პასტერის თანახმად, ყოველი ცოცხალი ორგანიზმი ჩანასახისაგან ვითარდება, სიცოცხლე სიცოცხლისაგან წარმოიშობა და გადაიცემა სასქესო უჯრედებით.

ერთი სიცოცხლე არსებობს მეორის მოსპობისა და შთანთქმის ხარჯზე (შდრ – რუსთაველი: „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს თუ მეორე არ წასწყმიდოს“).

ხოლო არსებობს თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტაზე – ამას ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, იმდენად დიდია მანძილი ვარსკვლავებამდე.

მათ რომ მივწვდეთ, საგანი ენერგიად ანუ სინათლის სხივად უნდა იქცეს, რომლის სიჩქარეა წამში 300.000 კმ. ხოლო უშორესი კვაზარი ჩვენგან დაცილებულია 14 მლრდ სინათლის წელიწადით!

მაგრამ უამრავი კაშკაშა ვარსკვლავი, რომელთაც ვხედავთ, შეიძლება სულაც მილიონი წლის წინათ გაქრა და მხოლოდ სინათლემ მოაღწია ჩვენამდე!

ვარსკვლავებით მოოჭვილი ზეცა, რომელიც ღამით დაგვყურებს, იქნებ აღარც არსებობდეს და ჩვენ მხოლოდ მირაჟები გვიტაცებდეს!

ასე რომ – ვერასოდეს გავიგებთ, რა არის რეალობა და რა – ილუზია.

მაგრამ ეს უფრო მძაფრად აჩვენებს სიცოცხლისა და განსაკუთრებით – ადამიანის უნიკალობას.

ოკეანის შვილები

სიცოცხლე ჩაისახა მზის სითბოსა და ჟანგბადის მეშვეობით, წყლის სტიქიაში, მდუღარე ოკეანის სიღრმეში, ვულკანური ზონების ირგვლივ.

აქ იგი მოხვდა ატმოსფეროდან – ნახშირბადოვანი ნაერთების სახით, წყალთან ერთად, რაც მოჰყვა მეტეორიტების წვიმასა და გავარვარებული ვარსკვლავის – დედამიწის ჩაქრობას.

მას შემდეგ ეს ჯოჯოხეთის ცეცხლი დედამიწის გულში მძვინვარებს და არყევს მის ზედაპირს. თვლიან, რომ ეს არის ნიკელისა და რკინის გავარგვარებული შენადნობი. ტემპერატურა – 5400 C^0.

ყველა მითის მიხედვითაც, როგორც ვთქვით, ადამიანის გაჩენამდე დედამიწა წყლით იყო დაფარული. ალბათ ამიტომ იყო გავრცელებული წყალში განათლვა, რაც მიიღო ქრისტიანულმა რელიგიამ.

ბიბლიის თანახმადაც, ჯერ იყო წყალი და შემდეგ ღმერთმა მისგან გამოჰყო მყარი, ე. ი. მიწა.

წყლის ზედაპირი, როგორც სარკე, აირეკლავდა დამღუპველ მოკლეტალღოვან ულტრაიისფერ გამოსხივებას.

ახლაც 410-660 კმ-ის სიღრმეში არსებობს გიგანტური ოკეანე, რომელიც ჩამოყალიბდა 1600^0 ტემპერატურისა და მაღალი წნევის ზემოქმედებით – 4-2,5 მლდრ წლის წინათ.

ნივთიერებას აქვს მიდრეკილება კრისტალების შექმნისაკენ, რომელსაც გააჩნია მკაცრი სტრუქტურა.

ზოგი მათგანი წყალთან შერევისას გვაძლევს გამჭვირვალე ხსნარს (კრისტალოიდი).

ზოგი ძნელად იხსნება (კოლოიდი) და ხდება მღვრიე ხსნარი (ცილები, სახამებელი, ლორწო...).

იგი პროტოპლაზმას სწრაფად ერწმის და მასში იხსნება.

შუაზე გაყოფილი ნივთიერების კრისტალი ხსნარში უცებ ერთიანდება, ისევე როგორც განიყოფა ცოცხალი უჯრედი და წარმოიქმნება ახალი, ე. ი. უსულო მატერიას აქვს სიცოცხლის მსგავსი თვისება (შდრ – ჰეგელის მსჯელობა კრისტალზე, მცენარესა და ცხოველზე – „ესთეტიკა“, I, 1973, გვ. 159-161).

უსულო მატერიისა და სიცოცხლის შუალედია ვირუსები და ბაქტერიოფაგები, მაკრომოლეკულები – ცილები და ნუკლეინის მჟავები (А. Опарин, Происхождение жизни, Тб., 1984).

უძველესი ბაქტერიების ნამარხი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 3,5 მლრდ წელს ითვლის.

სიცოცხლის ერთადერთი საწყისი ფორმა არის ცილა, რომელიც შეიცავს ნუკლეინის მჟავებს და ქმნის უჯრედებს.

ორგანიზმის სასიცოცხლო უნარი, ძალა და თვისება ეს არის მოლეკულებში მიმდინარე ცილების ბიოსინთეზი, ასიმილაციადი-სიმილაციის პროცესი, რაც ნუკლეინის მჟავების სახით გენეტიკურად არის განსაზღვრული. მაგრამ ზემოქმედებს და ცვლის გარემო, რომელიც მრავალი არხით იჭრება ფსიქო-ნერვულ სისტემასა და უჯრედებში.

ამ ძალის ტრანსფორმაცია და გამოვლენაა სექსუალური, ფიზიკური თუ ინტელექტუალური აქტივობა.

მილიარდობით წელი გრძელდებოდა მიკროორგანიზმების ფიზიკურ-ქიმიური სტრუქტურის გართულება და დიფერენცირება, რიბონუკლეინისა და დეზოქსირობინუკლეინის მჟავების ფორმირება, ორგანულ ნაერთთა შერწყმა და განშლა.

სიცოცხლის კონკრეტიზება და სტრუქტურიზება მოხდა გენეტიკური კოდების სახით.

ეს იყო სახეობათა დასაბამი, რომელთა რაოდენობა დღეს 9 მლნ-ია.

მაშინ, 600 მლნ წლის წინათ, სხვაგვარი იყო დედამიწაც, ატმოსფეროც, ბიოსფეროც.

ადამიანის წინაპრის ტვინის ღერო გაჩნდა დაახლოებით 200 მლნ წლის წინათ, როცა დაიწყო ხერხემლიანთა წარმოქმნა.

გენეტიკური ჯავშანი, ერთი მხრივ, იცავდა და ერთმანეთისაგან განასხვავებდა უთვალავ ბიოლოგიურ სახეობას, მეორე მხრივ – ზღუდავდა განვითარებასა და ტრასფორმაციას, როგორც განგების განაჩენი.

4. რამაპითეკიდან Homo sapiens-ისაკენ

რამაპითეკი თუ არდიპითეკი

პალეონტოლოგებმა ეთიოპიაში აღმოაჩინეს ჩვენი უძველესი წინაპრის თითქმის მთლიანი ჩონჩხი (ასაკი – 4,4 მლნ წელი), რომელსაც არდი შეარქვეს.

იპოვეს სხვა ჰომინიდების ძვალთა ფრაგმენტებიც.

არდიპითეკი არ განეკუთვნება შიმპანზეს შტოს, რომელიც ყველაზე ახლო დგას ადამიანთან.

იგი ადამიანის პირდაპირი წინაპარია, ე.ი. ადამიანი და ადამიანის მაგვარი მაიმუნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოდიან პრეისტორიის ქვესკნელიდან.

გამოდის, რომ Homo sapiens-ის სხვადასხვა მატერიკზე გაფანტვა და გავრცელება მოხდა 40.000 წლის წინათ და არა მისი ბიოლოგიური სრულქმნა.

არდიპითეკი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ჩვენი პრასამშობლო არის აფრიკა.

ცალკეული პალეონტოლოგები ადრეც ამტკიცებდნენ, რომ ნეანდერტალელი ჰომინიდების სხვა შტო იყო, რომელიც გადაშენდა და Homo sapiens მისგან არ მოდის.

ჩინეთში XX საუკუნის 80-იან წლებში მიაგნეს უცნობი სახის ადამიანის ძვალთა ფრაგმენტებს. მას უწოდეს „წითელი ირმის ადამიანი“, ასაკი – 14 500 წელი.

ასე ჩამოყალიბდა ორი თვალსაზრისი:

ერთნი ნეანდერტალური ადამიანის ფაზის თეორიას იცავენ, მეორენი – პრესაპიენსის თეორიას.

ერთნი თვლიან, რომ ნეანდერტალელი გადაიზარდა საპიენსში, მეორენი ამტკიცებენ, რომ ნეანდერტალური ხაზი დაკონსერვდა, ისევე როგორც ავსტრალოპითეკი, რომ პარალელურად არსებობდა

განსხვავებული მორფოლოგიური ტიპის „გონიერი წინარეადამიანი“.

დრო გაარკვევს თუ ვინ არის მართალი. ჩვენ კი გავყვეთ ტ. ჰექსლისა და ჩ. დარვინის შემდეგ მეცნიერებაში მიღებულ და აღიარებულ კონცეფციას, რადგან კულტურის გენეზისის თვალსაზრისით ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

ადამიანის გენეალოგია შეიძლება შევადაროთ ათასწლოვან მუხას, რომელსაც მრავალი შტო და ტოტი აქვს. აქედან ზოგი გახმა, ზოგიც ქარმა მოამტვრია ან სუსტად გაიზარდა და მხოლოდ რამდენიმემ დაიპყრო ლაჟვარდი. ხოლო ფესვები მიწის ბნელ წიაღში იკარგება.

ახლახანს სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ მღვიმეში სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს Homo Sapiens-ის მონათესავე ჰომო ნალედის თავის ქალები და ძვლები (ასაკი – 3 მლნ წელი, სიმაღლე – 1,5 მ).

მისტიკური პირველბიძგი

სამყაროში მხოლოდ ჰომინიდების ბუნება შეიცვალა, გამოეყო ცხოველებს და ინსტინქტები ინტელექტად გარდაესახა.

როგორი იყო პირველბიძგი, რომლის ძალითაც რამაპითეკი 15 მლნ წლის წინათ განსხვავდა პრიმატების რაზმისაგან?

დაახლოებით ეს იგივეა, რაკეტა რომ კოსმოსურ სივრცეში ხომალდს გაიყვანს და შემდეგ აღებული სიჩქარის ინერციით მიექანება.

მთავარი იყო პირველბიძგი, რაც უცნობია თუ რატომ და როგორ მოხდა. თორემ შემდეგ როგორ შეიცვალა რამაპითეკის შთამომავალი, ეს უკვე ევოლუციის პროცესია და ახსნაც შეიძლება.

მსგავსი ტრანსფორმაცია არ განუცდია არცერთ სახეობას. ისინი თითქოს დასრულებული წარმოიშვნენ და საკუთარ თავს იმეორებენ, საკუთარ ტერიტორიაზე კვდებიან.

ფრინველები ბუდეს ისე აკეთებენ, როგორც უხსოვარი დროის წინათ.

ჩიტის ბუდე, ობობას ქსელი, ფუტკრის ფიჭა მონოტონურად ერთი და იგივეა, თუმცა ზუსტად შესრულებული.

ერთ ჭიანჭველას დავაკვირდებით თუ მილიონს – შედეგი არ შეიცვლება: ისინი ავტომატურად და ერთნაირად მოქმედებენ.

მათ არა აქვთ შემოქმედებითი უნარი და ამიტომ რჩებიან ინსტინქტების გარსში: მხოლოდ შესრულება შეუძლიათ.

შემსრულებელი არსებულს იცავს და ქმნის უსასრულო ვარიაციებს.

იერარქია არსებობს ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა სამყაროშიც. მაგრამ ამის გამო ისინი მოაზროვნე არსებად არ ქცეულან.

მხოლოდ რამაპითეკის გენებსა და ქრომოსომებში გაჩნდა კოდი, რომლის გაშლას შეეძლო ცხოველური გარსიდან გასვლა.

ალბათ ეს იყო მილიონი გენური ვარიაციიდან ერთადერთი რადიკალური ვარიანტი.

შეიძლება ამ მისტიკური პირველბიძგის, ამგვარი მუტაციის პირველმიზეზი ყოფილიყო პათოლოგია, მაიმუნური ნორმიდან გადახრა.

როცა მთვარისაკენ რაკეტა გაუშვეს, ტრაექტორია ზუსტად უნდა ყოფილიყო გათვლილი, რადგან მცირე უზუსტობა შეიძლება სივრცეში ასეულობით კილომეტრად ქცეულიყო.

ასეთი მცირე გენური ცვლილება რამაპითეკის შთამომავლობის განვითარების ტრაექტორიაშიც მილიონობით წელთა მანძილზე არსებით გადახრად იქცეოდა.

პათოლოგია და მუტაცია

უჯრედებსა და ქსოვილებს შორის ცოცხალ ორგანიზმებში ნივთიერებათა ცვლას და ბიოქიმიურ რეაქციებს არა აქვს სისტემური წესრიგი. ეს ქმნის **მუტაციის** წინაპირობას, რაც არის ნორმისაგან გადახვევა ანუ ანომალია.

განსაკუთრებით მაშინ, როცა სხეულს იპყრობს პათოლოგიური დარღვევები, მაგ., ძვლების დისტროფია, ენდოკრინული დისბალანსი, ვირუსული და ინფექციური დაავადებანი, ფსიქო-ნერვული ანომალიები (В. Алексеев, Становление человечества, М., 1984).

მათგან მთავარი უნდა ყოფილიყო ენდოკრინული დისბალანსი, ჰუმორალური სისტემა, ჰორმონალური დარღვევები.

ამგვარი დარღვევა არ ნიშნავს გადაშენებას, ჯიშის მოსპობას.

გამრავლების ენერგიის საპირისპიროდ მოქმედებს შემკავებელი და მომსპობი ენერგია, მაგ., სადაც მგელი გადაშენდება, იქ შველი და ირემი ჰკარგავენ სისწრაფეს.

მტაცებელი თავის პოტენციურ მსხვერპლზე ყოველთვის როდი ნადირობს, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი შეაწუხებს. სხვა დროს შეიძლება თხა და მგელი მართლაც ერთად ძოვდეს.

გამრავლების ენერგია გარემოზე დაწოლაა, რადგან ილევა საკვები რესურსი და საარსებო სივრცე ვიწროვდება.

მაგრამ სიმჭიდროვე ხელს უწყობს ინფექციის გაჩენას, რომელიც აჩერებს პოპულაციას ან ბადებს სახეობის შიგნით კონკურენციას. მაგ., ქათმების გუნდში ერთი მამალი ვერ ჰგუობს მეორე მამალს; ერთი ხვადი ლომი კლავს ან ჯოგიდან აგდებს მეორე ხვადს;

ასევე ხდებოდა ადამიანთა შორისაც, სადაც ბელადი იყო საერთო მამაც.

ვინც სიკვდილს გაექცეოდა, მის მოდგმას ეკუთვნოდა მომავალი.

როცა მგელი, ვეფხვი, ნიანგი ან მარტორქა იბრძვის არსებობისათვის, ეს არის ნორმის დაცვა და შენარჩუნება და არა ბუნებრივი გადარჩევა, რადგან სისხლისღვრა ცხოველისათვის არ არის თვითმიზანი; იგი ინსტინქტური მოთხოვნილებით რეგულირდება.

ხოლო პათოლოგია ერთი მხრივ იცავს სტიქიურ წონასწორობას, მეორე მხრივ – ცვლის ჯიშის სახეს, იწვევს მოლეკულურ-გენურ მუტაციას.

გავიხსენოთ სელექცია – მცენარეთა და ცხოველთა უკეთესი ჯიშების გამოყვანა ხელოვნური შერჩევით.

ჰომინიდების ისტორიაში ბუნება იყო სასტიკი და ულმობელი სელექციონერი და ეს ხდებოდა პათოლოგიური გადახრის ნორმად ქცევით.

ზოგის ვარაუდით, ინტენსიურად მიმდინარე მთათა წარმოქმნა და ვულკანური ამოფრქვევები ზრდიდა რადიაციის ფონს და ესეც უნდა ყოფილიყო პათოლოგიური ცვლილებების, გენური მუტაციის მიზეზი.

ძირეული ცვლილებების გამომწვევია არა ხანმოკლე სნეულებები, არამედ ისეთი დაავადებები, რომლებიც ხანგრძლივად შლიან ორგანიზმს, რომლებიც ზემოქმედებენ ფიზიოლოგიასა და გენეტიკურ გარსზე.

გენეტიკური დარღვევა კი სქესის ქრომოსომებშია ლოკალიზებული და გადაეცემა ჯიშის მთელ პოპულაციას, რაც ხდება მემკვიდრულ ნიშან-თვისებათა შეცვლის საფუძველი.

ამიტომ არის **პათოლოგია** რეგულირების მექანიზმი, რაც იცავს ბუნებრივ წონასწორობას. სხვა მხრივ ბიოსფერო ერთი სახეობით დაიფარებოდა.

მუტაციას ძირითადად იწვევს მემკვიდრეობითი დაავადებისა და განვითარების დეფექტები, რაც შეადგენს 87%-ს, 13% კი ეხება ბიოქიმიურ, იმუნოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და მორფოლოგიურ გადახრებს (ნ. დუბინინი).

მუტაცია ეხება ტვინის განვითარებასაც, რაც ფსიქიკაზე გენების ზემოქმედებით ვლინდება.

მუტაცია შემთხვევით ცვლის გენეტიკურ კოდს ბიო-ქიმიური პროცესების მეშვეობით, რაც ხდება დნმ-ის მოლეკულებში.

არსებულ წესრიგთან მიმართებით მუტაცია არის პათოლოგია, ნორმიდან გადახრა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს როგორც პროგრესული, ისე რეგრესული.

ასე რომ ადამიანის ევოლუციის გზაზე უმთავრესი უნდა ყოფილიყო პათოლოგია, რომელიც აღძრავდა მუტაციებს.

იგი იწვევდა ჰომინიდის გენეალოგიური ხის ცალკეული შტოების გახმობას, ხოლო ცალკეულის გაძლიერებასა და აყვავებას.

მუტაციის გარეშე ავსტრალოპითეკი ვერ გამოეყოფოდა პრიმატებს, არქანთროპი – ავსტრალოპითეკებს, ნეანდერტალელი – არქანთროპებს, Homo sapiens – ნეანდერტალელებს.

მშვიდი ევოლუციის ათასწლოვან პერიოდებს უეცრად ცვლიდა ნახტომი. მაგრამ ეს ხდებოდა ქრონოლოგიურად თითქმის ერთსა და იმავე დროს დედამიწის სხვადასხვა უბანში.

მიგრაცია და ადაპტაცია

ფრინველთა მსგავსად მაიმუნ-ადამიანებს ჰქონდათ ნავიგაციის უნარი და ინსტინქტურად გრძნობდნენ ცის რუკას, რაც ემყარებოდა ციურ სხეულთა მოძრაობის თანაფარდობას დედამიწის წერტილებთან და საკუთარ შეგრძნებებთან. ამ თვისებას ისინი თაობათა მანძილზე ჰკარგავდნენ.

რადიკალურ ცვლილებათა ერთ-ერთი ფაქტორი უნდა ყოფილიყო პირველყოფილი ჯოგების მუდმივი მიგრაცია, მომთაბარე ცხოვრების მსგავსი (მაგ., რუსეთის ტერიტორიაზე, ვორონეჟთან და კრასნოიარსკთან ნაპოვნია ზანგი არქანთროპის ჩონჩხები), რაც მაი-

მუნ-ადამიანს აიძულებდა ახალ მიწასთან და კლიმატთან შეგუებას, სასიცოცხლო ძალთა მაქსიმალურ მობილიზებას (შდრ – ესკიმოსი და ყინულის ქოხი).

ეს კი იწვევდა ინსტინქტების შესაბამის ცვალებადობას, წინა თაობის პრაგმატული გამოცდილების, სასარგებლო ქცევათა შთაბეჭდვას ნერვულ სისტემაში, უპირობო რეფლექსების ახლებური ჯაჭვის წარმოქმნას.

მაგ., რასების ჩამოყალიბებას უკავშირებენ გეოგრაფიულ და ქრონოლოგიურ ფაქტორებს.

თაობათა მანძილზე გარემო ცვლის სისხლის ჯგუფს, თმის საფარველს, თვალის ჭრილს, ნესტოებს, თავის ზომას, ხელისგულისა და თითების ხაზებს. ერთმანეთისაგან განირჩევიან ქალაქისა და სოფლის, მთისა და ბარის მოსახლენი, ინტელიგენტები და ჯარისკაცები, მეზღვაურები, მიწის მუშაკები და ა.შ.

მიაჩნიათ, რომ მეტწილად იცვლება ის ნიშან-თვისებანი, რაც აქვთ ადამიანებს.

ცივ კლიმატში მცხოვრებთ აქვთ ვიწრო ნესტო, მოკლე კიდურები, მკვრივი აგებულება, თეთრი კანი, ქერა თმები, ცისფერი თვალები, თხელი ტუჩები, ტროპიკელებს – ფართო ნესტო, გრძელი კიდურები, გამხდარი ტანი, შავი კანი, შავი და ხუჭუჭა თმა, შავი თვალები, სქელი ტუჩები.

აქედან გამომდინარე პალეოანთროპოლოგები ასკვნიან, რომ ნეანდერტალელთა წინაპრებს, ე.ი. არქანთროპებს უკვე დატოვებული ჰქონდათ ტროპიკული სარტყელი, სადაც უხვად იყო ბანანი, მანგო, ქოქოსი. მილიონობით წელთა მანძილზე ადაპტაციასაც შეეძლო რადიკალურად შეეცვალა ჰომინიდის სტრუქტურა.

ავადმყოფობას სხეული ეგუება და იქცევა არსებობის შემადგენელ ნაწილად (მაგ. სიფილისი ინდიელებში, შიდსი ზოგიერთ აფრიკულ ტომში, კოხის ჩხირები), გამოიმუშავებს იმუნიტეტს (მაგ. ევროპელთა დაავადებები მუსრს ავლებდა ველურ ტომებს; ევროპელებს არ ჰქონდათ სიფილისისაგან შეუვალობა).

ადაპტაციის შედეგი უნდა ყოფილიყო გამართული სიარული, რომელმაც შეცვალა თავის ქალას პროპორციები – კეფა შემცირდა, შუბლის ნაწილი სიმაღლეში გაიზარდა.

ამის შედეგად გაჩნდა ბრაქიკეფალია (სიგრძივი ზომა ცხვირიდან კეფის ფუძემდე განივს ოდნავ აღემატება) და დოლიქოკეფალია (სიგრძივი ზომა ცხვირიდან კეფის ფუძემდე განივს საგრძნობლად სჭარბობს).

მხოლოდ გამართული სიარული რომ კმაროდეს, მაშინ მაიმუნიც სწრაფად შეიცვლებოდა. ანთროპოიდებიც დადიან, ჯოხსაც იღებენ ხელში და ადამიანებივით სხდებიან კიდეც.

ადაპტაცია შეიძლება ისე მუტაციას არ უწყობდა ხელს, როგორც ჯიშის გადარჩენას ევოლუციური სახეცვლით.

საერთოდ, სტაბილობას ანუ უცვლელობას განაპირობებს ერთ ადგილზე მშვიდი ცხოვრება, ცვალებადობას – შფოთი, არევა, ახალი გარემო, რომლებშიც სხვაა ლანდშაფტი და კლიმატი, ფლორა და ფაუნა.

იცვლება საგნებთან მიმართება, სხეულის თერმორეგულაცია, ფსიქიკა, რაც იწვევს უჯრედში ქიმიური პროცესების განსხვავებულ მოდელირებას.

ველები და სტეპები ხელს უწყობდა ერთგვაროვანი ტიპების ჩამოყალიბებას, მთები და იზოლირებული გარემო – განსხვავებათა სიმრავლეს. მაგრამ ჰომინიდის ყოველი სახეობა – სინანთროპი თუ ატლანთროპი, ნეანდერტალელი თუ რუდოლფელი ერთმანეთისაგან შორს იდგა არა მხოლოდ გეოგრაფიულად ან ქრონოლოგიურად, არამედ – განვითარების დონითაც განირჩეოდა.

ზოოლოგები მიუთითებენ, რომ ცხოველი ახალ გარემოს ძნელად ეგუება. მისი ინსტინქტები ვიწრო და ნაცნობ თვალსაწიერზე არის დეტერმინიზებული.

არა თუ ცოცხალი არსება, თითქოს ქვა და ხეც კი მტრულად ეპყრობა, რაც ზღუდავს ინსტინქტების მოქმედებას.

ამიტომ აქვს ყოველ მწერს, ფრინველს თუ ცხოველს საკუთარი ტერიტორიის შეგრძნება, რომელსაც არ სცილდება, რადგან ეს დაღუპვას ნიშნავს.

ლომიც კი უფრთხის თავისი ტერიტორიიდან გასვლას.

მერცხალი ყოველ გაზაფხულზე უბრუნდება სწორედ თავის ბუდეს, რომელსაც შემოდგომაზე ათასობით კილომეტრით დასცილდა.

ინსტინქტებიდან გამომდინარე ორგანიზმს აქვს ბიოლოგიური დრო. იგი ემყარება სხეულის შინაგან რიტმს, რაც ყველაზე მკვეთრად ფრინველებშია გამოხატული.

შიმპანზეს გუნდში იცვლება წესრიგი და იერარქია, როცა ტყიდან გადადიან სავანაში და პირიქით, როცა მშობლიურ ტყეს უბრუნდებიან, სადაც მშვიდად და თავისუფლად ბინადრობენ.

არსებობისა და სიცოცხლის გაგრძელებისათვის სამი პირობაა მთავარი – **ტერიტორია, საკვები, სექსი.**

ზოოპარკში პოლარული ბატები არ მრავლდებოდნენ, სანამ გუბურის პირზე ქვები არ დაყარეს, რაც მათ მშობლიურ ზღვისპირეთს გაახსენებდათ.

გუბურა და ქვები იყო გამღიზიანებელი.

ვოლიერში ერთმანეთისადმი გულგრილად მსხდომ დედალ-მამალ თუთიყუშს შეუტანეს ფუღუროიანი საშოშიე.

ისინი სწრაფად დაწყვილდნენ, მაგრამ საშოშიე რომ გაიტანეს, ისევ გაუცივდათ გული ერთმანეთზე.

ამჯერად ფუღუროიანი საშოშიე იყო გამღიზიანებელი, რაც მშობლიურ ტყეებს ახსენებდათ.

ამოძრავდა ჯაჭვური რეფლექსების სერია, რაც იწვევდა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აქტივობას, ჰორმონების გამოყოფას, ეს კი – სექსუალურ ლტოლვას.

ადამიანსაც უძველესი დროიდან აქვს ტერიტორიის, პირველხილული მიწისა და საგნების, ე.ი. სამშობლოს სტიქიური გრძნობა, მისი დაცვისა და გავრცობის ინსტინქტი, რასაც მოსდევდა სხვა ტომებთან და ერებთან შეტაკებანი და საშინელი ომები.

სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მუდმივი ყოფნა, შიში, დევნა და მსგავსი მძაფრი გაღიზიანებანი აღძრავდა ენერგიას, სწრაფვის უნარს, თავისუფლად ყოფნისაკენ ლტოლვას (შდრ – „ტერიტორიის გრძნობა“).

ასეთი გაღიზიანებანი არსებობს არაორგანულ სამყაროშიც და აქაც მცირე ბიძგი დიდი ენერგიის გამოყოფას იწვევს (მაგ., ქარი და ზვავი, ნაპერწკალი და თოფის გასროლა), რომელსაც საწყისთან კავშირი თითქოს არც აქვს.

გამღიზიანებელი ძალა არის პროგრესის ფაქტორი, როცა იგი ჩააღწევს გენურ სისტემამდე.

ხილიდან ხორცამდე

როგორც ბიოლოგები და ანთროპოლოგები ამტკიცებენ, Homo Sapiens-ის შორეული წინაპარი ავსტრალოპითეკები და პითეკანთროპები (მაიმუნ-ადამიანები) ვეგეტარიანელები იყვნენ.

ისინი ხორცს არ სჭამდნენ, არჩევდნენ მცენარეულ ნაყოფს, მათ შეგროვებას (მაგ., გორილა დღესაც ვეგეტარიანელია).

ტროპიკულ აფრიკაში, სამხრეთ ინდოეთში, ინდონეზიის კუნძულებზე ტყეები ბუნებრივ სარჩოს – მცენარეთა ნაყოფს უხვად იძლეოდნენ.

იქ ზამთარი არ იყო და ხეები მთელი წლის მანძილზე მსხმოიარობდნენ. მხოლოდ გვალვა და სიცხე აწუხებდათ, ან – ნადირი.

მაგრამ გეოლოგიური კატასტროფები, კლიმატის შეცვლა, მუდმივი შეტაკებები გადაადგილებას აიძულებდნენ.

სტოვებდნენ მშობლიურ სამოთხეს და მიდიოდნენ სტეპებისა და უდაბნოებისაკენ, ან – მთებისა და ყინულოვანი მიწებისაკენ, სადაც თითქოს საფრთხე აღარ ელოდათ.

ისინი გადარჩენის ინსტინქტს ემორჩილებოდნენ. აქ ბუნება მათზე აღარ ზრუნავდა და ადრევე იღუპებოდნენ. ეს უცხო სივრცე აღარ იყო დედა მიწა, არამედ – ულმობელი დედინაცვალი.

აქ ყველაფერს მოპოვება და შეჩვევა სჭირდებოდა.

ცუდი კვება ცვლის სხეულის წონასა და პროპორციებს, თავის ტვინის წონასა და მოცულობას. კვების რაციონი აქ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

პითეკანთროპს თავად უნდა ეშოვა სარჩო, რასაც ახალი გარემო და კლიმატი ნაკლებად იძლეოდა, გამკლავებოდა უცნობ მხეცებს.

იცვლებოდა პითეკანთროპის ის შტო, რომელმაც დატოვა მშობლიური სივრცე და დაიწყო ბრძოლა თავის გადასარჩენად და გახდა მტაცებელი.

დანარჩენის განვითარება დაკონსერვდა ან გადაშენდა.

მიგრაცია არ ახასიათებს არცერთ სახეობას. ყველა იქ კვდება, სადაც დაიბადა, გადამფრენ ფრინველებს მარშრუტი და დრო მკაცრად აქვთ განსაზღვრული ან ორაგულს, რომელიც ქვირითს მდინარის სათავეში ყრის, ან ნიანგს, რომელიც კვერცხებს ქვიშაში სტოვებს მზის სითბოს ანაბარა.

პითეკანთროპს უნდა მოეპოვებინა ახალი ტერიტორია, საარსებო სივრცე, შეჭრილიყო უცხო და საზარელ მიწაზე.

აქ ყველა თავის ალაგსა და თავს კბილებითა და ბრჭყალებით იცავდა.

სტიქია წონასწორობის ხელოვნურ დარღვევას არ სცნობს.

მაგ., გამდნარი ფოლადი როცა გამყარდება, ცდილობს დაუბრუნდეს საწყის ფორმას.

სიკვდილიც სიცოცხლის მიერ დარღვეული მარადი ჰარმონიის აღდგენაა.

სასტიკი სინამდვილე, მუდმივი ბრძოლა და დევნა, სუსხი და შიმშილი ჰომინიდს აიძულებდა თავის გადასარჩენი ძალა და ხერხი გამოეჩინა, თავი დაეცვა მხეცებისა თუ მოძმეებისაგან.

არათუ ცოცხალ, არამედ კრისტალთა სამეფოშიც კი შენიშნულია ურთიერთშეჯახება და ბრძოლა არსებობისათვის!

პითეკანთროპი ხიდან ჩამოვიდა, სარჩოს მოპოვების წყურვილმა აიძულა უკანა კიდურებზე ხშირად დამდგარიყო, რომლებიც წინა კიდურებზე მოკლე ჰქონდა.

ასე უფრო ეფექტური იყო როგორც ბრძოლა, ისე მიგრაცია, როგორც დაჯდომა, ისე ნაყოფის მოგროვება.

გაშლილი ველები და უდაბნოები, მთები და კლდეები, მუდმივი გადაადგილება და წინა კიდურების მოქმედება აჩვევდა გამართულ სიარულს. ეს კი ცვლიდა სხეულის მორფოლოგიას.

ახალ გარემოში მცენარეული საფარველი სეზონურად იყო.

ამიტომ უნდა ეპოვა კვების მუდმივი წყარო – ხორცი. ეს კი იწვევდა ორგანიზმის გარდაქმნასაც (მაგ., წარმოვიდგინოთ ცხვარი ან ირემი, რომელიც ცხოველურ საკვებზე გადავიდა).

პითეკანთროპი შეეჩვია ცოცხალი არსებებით კვებას – ეს იყო მღრღნელი, ქვეწარმავალი თუ კურდღელი, პავიანი თუ თავისივე ჯოგის წევრი.

მის თითებში გაჩნდა ქვის იარაღები – ხელცულები, საფხეკები, საჩეხები, წვეტანები და ცეცხლიც გაკრთა.

ეს მაიმუნ-ადამიანს ძალას ჰმატებდა, თითქოს მოკავშირე გაუჩნდა და ერთი ცხოველ-კაცი ორად იქცა.

ცხოველური საკვების დამკვიდრება, სისხლი და ხორცი, რაც შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავებს, აჩქარებდა ბიოლოგიურ პროგრესს (ფრ. ენგელსი). მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი იყო ხორცის მოპოვების – ნადირობის პროცესი, რამაც ჩვენს წინაპარს განუვითარა გონი და ხელი. სიცივემ კი სახლის აშენება ასწავლა, ისევე როგორც ხეზე ცხოვრებამ – ტანის გამართვა.

აქ დროის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ.

ახალ საკვებს, მუდმივ მიგრაციასა და ადაპტაციას, მათგან მოგვრილ შიშსა და აგრესიას მილიონობით წელთა მანძილზე შეეძლო ორგანიზმის ბიოქიმიური პროცესების შეცვლა, ცილების სხვაგვარი

ბიოსინთეზი და ჰუმორალური სისტემის დარღვევა ანუ სხვაგვარი ფუნქციონირება (შდრ – „საკვები და წარმოშობა“, „კანიბალიზმიდან კაცთშეწირვამდე“).

ეკოლოგიური კატასტროფები, ტექტონური ძვრები კი გრძელდებოდა. იცვლებოდნენ მატერიკები, პოლუსები (მაგ., ანტრაქტიდა მუდმივი ყინულით დაფარულა მხოლოდ 100 000 წლის წინათ!), მთები და ზღვები, ფლორა და ფაუნა, იცვლებოდა კლიმატი.

დედამიწაზე დგებოდა უკანასკნელი დიდი გამყინვარების პერიოდი. მასთან გამკლავება ინსტინქტების მორგებით თუ შეიძლებოდა, არადა – არქანთროპის ყოველ შტოს ისევე ელოდა დაღუპვა, როგორც ოდესღაც დინოზავრსა და ბრონტოზავრს.

პრასამშობლოს ძიება

საიდან მოდის ადამის მოდგმა, სად არის ჩვენი პრასამშობლო – ბუნებრივად ჩნდება ეს კითხვა, როცა პრეისტორიაში ვმოგზაურობთ.

აქაც ორი თეორია ჩამოყალიბდა.

ერთის მიხედვით, არსებობდა რამდენიმე ცენტრი, სადაც მოხდა ადამიანის ფორმირება, პრიმატების სამყაროდან დაცილება:

აფრიკიდან მოდის შავი რასა (ნეგროიდი), ევროპიდან – თეთრი რასა (ევროპეიდი), აზიიდან – ყვითელი რასა (მონგოლოიდი).

ყველა მათგანის საფუძველია ნეანდერტალელის ტიპი, რომელმაც მოიცვა სამივე კონტინენტი – ინგლისიდან ჩინეთამდე, გერმანიიდან იავამდე, აფრიკიდან შუა აზიამდე. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის ტერიტორიაზეა აღმოჩენილია ერთადერთი ნეანდერტალელის, მუსტიეს პერიოდის ბავშვის თავის ქალა (ა. ოკლადნიკოვი).

რასები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთდროულად ჩამოყალიბდნენ და შემდეგ დაიწყეს განსახლება, ახალი ტერიტორიების დაკავება.

ეს არის **პოლიცენტრისტული თეორია** (ფრ. ვაინდერაიხი, ი. სემიონოვი, ვ. ალექსეევი...). ამ თეორიას მხარს უჭერენ არქეოლოგები და ფილოსოფოსებიც.

ანთროპოლოგების დიდი ნაწილი თვლის, რომ არსებობდა გაადამიანების ერთი ცენტრი, ერთი საცხოვრისი, რომ ნეანდერტალელი ან ავსტრალოპითეკი არ არის ჩვენი უშუალო წინაპარი; რომ მოხდა ჰომინიდების სხვადასხვა მიმართულებით გაჭრა, ახალ სივრცეთა ბრძოლით ათვისება.

მათგან ერთნი პრასამშობლოდ მიიჩნევენ აფრიკას, მეორენი – მესოპოტამიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს.

გენების რუკის მიხედვით თანამედროვე მოსახლეობა წამოვიდა აფრიკიდან, რომელმაც განდევნა, მოსპო ან შეიერთა ევრაზიის ბინადარი ნეანდერტალელები.

ეს არის **მონოცენტრისტული თეორია** (ი. როგინსკი, ვ. იაკიმოვი...).

ორივე თეორიას თავისი არგუმენტები აქვს, რის გამოც არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი.

მაგრამ ალბათ უფრო სწორი უნდა იყოს პოლიცენტრისტული კონცეფცია: ჰომინიდების მსგავსი სახეობანი, აკრძალვათა სისტემა, ტოტემისტური წარმოდგენები, ამეტყველების პროცესი, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რელიგიის, ხელოვნებისა და ზნეობის პრაფორმები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და თითქმის ერთდროულად ისახებოდა გეოგრაფიულად დაცილებულ წერტილებში.

ველურ ტომებს ერთმანეთთან კონტაქტი ვერ ექნებოდათ, რადგან ჰყოფდათ სივრცე და ენობრივ-რელიგიური წარმოდგენები.

ხოლო ერთმანეთს ჰგვანან იმიტომ, რომ საერთოა ბიოლოგიური ბაზისი. მაგრამ სხვადასხვაობას ჰქმნიდა გარემო და შინაგანი აქტივობა.

ამიტომ ცნობიერების პროგრესი ზოგან წინ წავიდა, ზოგან ჩამორჩა, რაც აისახა კულტურაში, როგორც ეს დღესაც ხდება.

ავსტრალიასა და ამერიკაში ადამიანი გადავიდა დაახლოებით 20-22 ათასი წლის წინათ, იაპონიის კუნძულებზე – 15000 წლის წინათ. იქ არსად არის ნაპოვნი უძველესი ჰომინიდების კვალი.

ახალი მობინადრეები ჩამოსცილდნენ თავიანთ მშობლიურ გარემოს. მათი განვითარება დაკონსერვდა.

დროთა მანძილზე ოკეანემ მატერიკს მოსწყვიტა ავსტრალია, ინდოეთის ნახევარკუნძული კი მატერიკს შეაჯახა. ხოლო აზია და ამერიკა ერთმანეთისაგან გათიშა.

წარმოიშვა ბერინგის სრუტე, რომელსაც ცალფა ნავებითა და ტივებით ვერ გადალახავდნენ.

აფრიკაში გაჩნდა საჰარის უდაბნო, რომელმაც მოსპო ხეებით, ტბებითა და ბალახით, ცხოველებითა და ფრინველებით დაფარული სტეპები.

ტროპიკული სარტყელი საზღვარი გახდა ჰომინიდებისათვის. ტექტონური და კლიმატური ცვლილებანი კი საბედისწერო აღმოჩნდა.

ავსტრალიური და ამერიკული ტომები, რომელთაც განაკუთვნებენ მონგოლოიდურ რასას, ჩამორჩნენ კულტურის პროგრესს.

განსაკუთრებით ეს ითქმის ავსტრალიელებზე, ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკულ ტომებზე, რომლებიც ევრაზიას უდაბნოებითა და ტროპიკული სარტყელით გამოეყვნენ.

მათი განვითარებაც დაკონსერვდა და ჩარჩნენ მეზოლითის ხანაში.

შედარებით უფრო დაწინაურდნენ ამერიკაში აცტეკები, ინკები, მაიას ტომები, რომელთაც შექმნეს ევროპისაგან იზოლირებული კულტურა, თუმცა არ იცოდნენ რა იყო ცხენი და ბორბალი, ან ცეცხლსასროლი იარაღი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია საკულტო ძეგლები და შემზარავია კაცთშეწირვის რიტუალი.

ავსტრალიური, ამერიკული და აფრიკული ტომები უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე ევროპელებს ან აზიელებს. მიზეზი ის არის, რომ ისინი მოსწყდნენ კულტურის მაგისტრალს და შემოინახეს ის სახე, ცნობიერება და წარმოდგენა რაც გააჩნდათ 20–22 ათასი წლის წინათ.

ორნამენტული კერამიკა და კლდეებზე ნახატები გვიმტკიცებენ, რომ 5.000 წლის წინათ (და ალბათ გაცილებით ადრეც) ადამიანებს მთლიანად დაკავებული ჰქონდათ ყინულოვანი სივრცე: ისინი ცხოვრობდნენ ბაიკალისპირეთში, ვოლგისპირეთში, ურალისპირეთში, ლადოგისა და ონეგის ტბების პირას, ლენის აუზში, კამჩატკაზე, სახალინსა და კურილიის კუნძულებზე, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე...

იქ სარჩოს იძლეოდა მონადირეობა და მეთევზეობა.

ანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ მონგოლოიდების ფორმირება ხდებოდა ციმბირში, ხოლო სათავე აფრიკაში ჰქონდათ.

სასტიკი სტიქიის დაძლევა მწირი საშუალებებით მეტად ძნელი იყო. ადამიანს ყოველდღიურ ლუკმაზე უნდა ეზრუნა. ყინულის სამეფო მას გასაქანს არ აძლევდა, განსხვავებით მცირეაზიური, ინდური და ჩინური ტომებისაგან.

ამიტომ შეფერხდა მათი განვითარება და ზომიერი სარტყელის მკვიდრთა პროგრესს ათასწლობით ჩამორჩნენ.

კულტურის ერთ სტადიაში მყოფი ტომები ერთმანეთს ჰგვანან ქცევითა და წარმოდგენებით, არა აქვს მნიშვნელობა ქრონოლოგიასა და გეოგრაფიულ დაცილებას.

თავის ტვინი და აზროვნების დასაბამი

ანთროპოლოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თავის ტვინის მოცულობის ზრდას (მაგ., ავსტრალოპითეკი მამაკაცის

ტვინის მოცულობა 600 კუბ. სმ-ს არ აღემატება, ნეანდერტალელისა – 1460-ს, თანამედროვესი – 1600-ს), მის სტრუქტურულ დაყოფასა და ფუნქციონირებას, ისევე როგორც გამართულ სიარულსა და ხელის მტევანის მოქმედებას.

შენიშნავენ, რომ ეს იყო ერთიანი პროცესი.

ტვინის ცვლილებანი – ზრდა სიმაღლესა და შუბლის ნაწილში, იწვევდა სხეულის ცალკეული ნაწილების შესამჩნევ გარდაქმნასა და ფუნქციის გაძლიერებას – მაგ., გამართული სიარული, ხელებისა და თითების განვითარება, ბალნის გაცვენა, სახის ჩონჩხის და ნაკვთების (შუბლი, ნიკაპი, ცხვირი) პროპორციის განსხვავებული შეფარდებანი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლისა, ნადირობისა და შრომისათვის ხელის მტევანისა და თითების დამორჩილებას, მათ დინამიკას (ნ. მარი). „ხელოვნება“ ეტიმოლოგიურად რომანულ და სლავურ ენებში, ისევე როგორც ქართულსა და სომხურში, ამოდის „ხელ“-იდან.

ტვინი ასრულებს სხეულებრივი პროცესების ბრძანებას, რაც ფიზიონომიაში ვლინდება. იგი შიფრავს გარეგან სიგნალებსა და შინაგან იმპულსებს და იძენს მეტ ეფექტურობას, სისწრაფესა და ზუსტი კოორდინირების უნარს, მაგრამ თავად არ არის წყარო.

ამიტომ მთავარი უნდა ყოფილიყო ნერვული სისტემის გარემოსთან ადაპტაციით მოქმედების ჰარმონიზება, დიფერენცირებული ფუნქციონირება.

ვიწრო თვალსაწიერი (სარჩო და მდედრი), რაც პითეკანთროპს თუ არქანთროპს ჰქონდა, თანდათან ფართოვდებოდა, ივსებოდა ახალი სწრაფვებითა და საგნებით.

რთულ ვითარებათა წარმოქმნა, საგანთა და მოვლენათა სიმრავლის აღქმა, მათთან შეჩვევა იწვევდა ინტერესთა და მიდრეკილებათა განტოტვას, სხეულებრივი პროცესების სხვაგვარობას (ნივთიერებათა ცვლა, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აქტივობა, სექსუალობა...), ინსტინქტების მოდელირებას.

ველური მოქმედებდა და მოქმედებიდან გამოდიოდა აზრი, – მას ინსტინქტები, ინსტინქტური მოთხოვნილებანი წარმართავდა.

ეს ირეკლებოდა ტვინში და აიძულებდა შესაბამისი სტრუქტურული აზროვნებისა და კვანძების წარმოქმნას (მაგ. სუნთა და ფერთა აღქმა, ბგერების გარჩევა, მათი ტონალობის განსაზღვრა).

მაგრამ ტვინი ზემოქმედებდა სხეულებრივ პროცესებზეც, რასაც არქანთროპი თუ პალეოანთროპი მიჰყავდა აზროვნების ამუშავებამდე.

როგორც ნეანდერტალელის (პალეოანთროპი), ისე ველური Homo sapiens-ის აზროვნება კი, გარდა იმისა, რომ იყო მარტივი და პრიმიტიული, არაადეკვატურიც იყო, ე.ი. რეალობის სურათები გონებაში იჭრებოდა და ილექებოდა არა ნამდვილი, არამედ – ფანტასტიკური სახით, როგორც ელამ სარკეში, რაც ჰგავს შიზოფრენიკის ფანტაზიას, ბავშვის წარმოდგენებს, სიზმრების ქვეყანას, გაშმაგებასა და განრისხებას, ე.ი. როცა ჭარბობს გრძნობათა ნაკადი და სუსტია ლოგიკური კავშირები (იხ. „პალეოანთროპის ფსიქიკა“).

ლაბიალური გრძნობები სწრაფად იცვლიან ფორმებსა და მიმართულებას, არა აქვთ მყარი სტრუქტურა და ამდენად წესრიგსაც არ სცნობენ. მაგრამ გონება მათ იმორჩილებს, გადაანაწილებს და მიმართავს, როგორც ენერგიას, მიზნის აღსასრულებლად.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჰომინიდი ცხოველურ სამყაროს დასცილდა, ადამიანად იქცა და კულტურის ნიშან-თვისებანი შეიძინა გონების განვითარებით, ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების შეცვლით.

მაგრამ ეს ხომ გარეგნულად უნდა გამოვლენილიყო აღქმასა და წარმოდგენაში, ქცევასა და მოქმედებაში.

კულტურის თვალსაზრისით სამი ცხოველური ფაქტორის დაძლევა ანუ ინსტინქტურ-აფექტური მოწესრიგება და გარდასახვა იყო უმთავრესი: **შიშები** (გრძნობები და რწმენა), **ინცესტი** (სექსი) და **კანიბალიზმი** (სისხლი და საკვები).

ცხოველური შიშებიდან გამოვიდა ჯერ ჯოგური ერთიანობა, შემდეგ – წარმომშობი და მფარველი ტოტემი, მეტყველება და აკრძალვათა სისტემა და ბოლოს – ღმერთი და ტომი ანუ რწმენა.

ტოტემის მოკვლა ან შეჭმა დასაშვები იყო მხოლოდ რიტუალური იშვიათობით, ისევე როგორც სექსი ერთი ტოტემის წრეში.

ამიტომ ტოტემის ფეტიშმა ზღვარი დაუდო ჯოგურ ინცესტს. ინცესტის და პროსტიტუციის წიაღიდან კი გამოიკვეთა, როგორც მათი აკრძალვა, ქორწინება და ოჯახი, სიყვარული და ცოლქმრული ერთგულება და მოვალეობა.

ტოტემის ფეტიშმა საწყისი მისცა კანიბალიზმის კაცთშეწირვით რეგლამენტირებას, საკვების შეწვასა და მოხარშვას, ინსტინქტების რიტუალურ აზვირთებას და სახეობრივ ფანტაზირებას, საცხოვრისის, ჰიგიენის, ქცევისა და კონტაქტების, კვების მოწესრიგებას.

ჯერ ეს ხდებოდა ერთი ტომის ანუ ტოტემის წრეში, შემდეგ – ფრატრიებში, ბოლოს ტომთა კავშირებსა და გაერთიანებებში. აქ ერთმანეთს შეერწყა განსხვავებულ ტოტემთა და აკრძალვათა სიმრავლე, რომლისგანაც გამოვიდნენ ღმერთები.

ამ ინსტინქტურ მოთხოვნებსა და წარმოდგენებს ღმერთების ნებითა და სახელით, კონავდა, კრებდა და განავრცობდა, წარმართავდა ქურუმი, ხოლო ბელადი სასტიკი ხელით ამკვიდრებდა.

როგორც შენიშნავენ, ადამიანის მამოძრავებელი ძალა არის ტანჯვა, რომელიც წინ უსწრებს სიამოვნებას.

II. ველურის ცნობიერება და აზროვნება: საგნების სახელდება და აკრძალვათა სისტემა

1. რეკონსტრუქციის მოდელი

ველურისა და თანამედროვე ადამიანის ცნობიერება და აზროვნება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება, რადიკალურად სხვადასხვაა აზრის წარმოქმნის, მოვლენების ხედვისა და საგანთა ასოციაციური დაკავშირების მექანიზმი.

ველურის მოქმედება ემყარება ინსტინქტურ მოთხოვნილებებს, თანამედროვე ადამიანისა – ინტელექტსა და ინსტინქტურ მოთხოვნილებებს.

მათი გამყოფი არის ინტელექტი.

ინტელექტის ხარისხი სხვადასხვაა, მაგრამ სტრუქტურა ერთია.

ველურის ცნობიერებისა და აზროვნების რეკონსტრუქციისათვის არსებობს რამდენიმე საყრდენი:

ა) არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემები, მითოლოგიური გადმოცემები, რაც მოდის პრეისტორიის სიღრმიდან;

ბ) ამერიკელ, აფრიკელ და ავსტრალიელ ტომთა წარმოდგენები და ეთნოგრაფიული მასალა (მაგ., 1930 წელს ავსტრალიაში აღმოაჩინეს ბინდიბუს ტომი, რომელიც დღესაც ისე ცხოვრობს, როგორც ჩვენი წინაპარი ქვის ხანაში);

გ) ადამიანის ფსიქო-ნერვულ დაავადებათა მოდელირება, რადგან ეს სნეულებანი არღვევენ ცნობიერის კონტროლს, კულტურის ცენზურას და ავლენენ უცვლელ ინსტინქტურ წარმოდგენებსა და სწრაფვებს;

დ) ბავშვობის ადრეული პერიოდი;

ე) სიზმრების სამყარო;

ვ) ანთროპოიდების ბუნება...

ამ მრავალფეროვანი მასალიდან გამოტანილი ზოგადი სტრუქტურა – ეს იგივე არქაული მოდელია.

ველურის მოქმედება ემყარებოდა ინსტინქტებსა და იმპულსებს და ამდენად იყო რეალური, ხოლო აზროვნება – აკრძალვათა სისტემას, მაგიას, სულთა რწმენას და ამდენად იყო წარმოსახვითი, როგორც სიზმარი და ჰალუცინაცია.

მაგრამ არქაული მოდელი ერთგვაროვანი და უცვლელი ვერ იქნებოდა. აქ გამოიყოფა განვითარების სხვადასხვა დონე (მაგ., ავსტრალიურ ტომებს XIX საუკუნეშიც არ ჰქონდათ მითები; აცტეკებისათვის XVI საუკუნეშიც კაცთშეწირვა უმთავრესი რიტუალი იყო). ამიტომ ქრონოლოგიასთან ერთად აუცილებელია სტადიალობის გათვალისწინება, როგორც ვწერდით ამ წიგნის დასაწყისში.

2. პალეოანთროპის ფსიქიკა

მას შემდეგ, რაც დასრულდა ჰომინიდის ბიოლოგიური სრულქმნა, რაც ჩამოყალიბდა თავის ტვინი, ფსიქო-ნერვული სისტემა და ანატომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქტურა – დაიწყო ინსტინქტების სტიქიური დამორჩილება და რეგულირება, რომლითაც ეძლევა საწყისი კულტურას.

შიში და ფანტაზია

არქანთროპი აკეთებდა ხელცულებს, კაჟით ანთებდა ცეცხლს, თავს აფარებდა მღვიმეს, რადგან შემოდგომაზე ხეები ფოთლებისაგან იძარცვებოდა და სიცივეში ტყე ვეღარ დაიფარავდა.

ზამთარში საკვები მხოლოდ სისხლიანი ხორცი იყო, რომელიც უნდა მოეპოვებინა, ცალკე ან – ჯოგის წევრებთან ერთად.

არსებობისათვის ბრძოლამ საზარელ პირობებში, სტიქიასთან (მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები, მეხთატეხა, გრიგალები, ხანძრები, წყალდიდობები) და უცხო არსებებთან ანუ ურჩხულებთან, მუდმივმა სისხლისღვრამ და დევნამ არქანთროპს ჩაუნერგა შიშის დამთრგუნველი გრძნობა, რაც საფუძვლად უდევს სიცოცხლეს (ფრ. ნიცშე).

ამავე შიშმა (არსებობს გამოთქმა ცხოველურ, პანიკურ, თავზარდამცემ შიშზე) აღუძრა მძვინვარე და შმაგი ხასიათი, რაც ნადირობით, შეტაკებით, სისხლისღვრით დაცხრებოდა, სისხლით უნდა გადაელახა ნევროზული მდგომარეობა, ე. ი. ყალიბდებოდა ჰომინიდის შეუპოვარი, მტკიცე, მეომარი ბუნება.

მაგრამ შიშის წარმოსაშობად უფრო მთავარი უნდა ყოფილიყო სამყაროს ბუნდოვანი აღქმა: ადამიანს ღამით უფრო იპყრობს შიში, ვიდრე დღის სინათლეზე.

არქანთროპისა თუ პალეოანთროპისაგან რადიკალურად განსხვავდება თანამედროვე ადამიანი, რომელსაც დაუჩლუნგდა შეგრძნებათა ორგანოები მეხსიერებისა და აზროვნების განვითარების ხარჯზე, მოუდუნდა და დაუსუსტდა ძვალ-კუნთოვანი სისტემა.

პალეოანთროპი ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი არც სამოსით, არც საცხოვრისით, არც კვების წესით ცხოველთა სამყაროდან; ჰქონდა გაცილებით ძლიერი მკლავი, ბასრი კბილები, ფაქიზი ყნოსვა და სმენა, მახვილი მზერა და ხედვითი მეხსიერება, შიმშილისა და სექსუალობის დაუძლეველი განცდა, ადგილისა და მიმართულების გრძნობა; მეტად იტანდა ტკივილს, არ ჰქონდა ცივილიზაციის თანამდევი ავადმყოფობები (მაგ., გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, რადიკულიტი, ინსულტი, რაც მოიტანა ვერტიკალურმა მოძრაობამ).

ქართული ანდაზა ამბობს, თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო.

მამალი აქლემი რამდენიმე კილომეტრზე გრძნობს დედალი აქლემის სუნს.

ყვავი ასეულობით მეტრის სიმაღლიდან ჭიანჭველასაც კარგად ხედავს.

ვეფხვი შორეულ ფაჩუნსაც აღიქვამს და არჩევს, რომელმა ნადირმა გაიარა.

ცხოველი, მათ შორის შინაურიც, წინასწარ გრძნობს ავდრისა და მიწისძვრის მოახლოებას, წელიწადის დროების ცვლას.

აღრენილი ძაღლი ხვდება, კაცს მისი შეეშინდა თუ არა.

როცა იგი ავადაა, ყნოსვით პოულობს სამკურნალო ბალახს და ჭამს, თუმცა ვეგეტარიანელი არაა.

მსგავსი მაღალი მგრძნობელობა და სულის ტემპერატურა ჰქონდა პალეოანთროპს, რომელიც ასეულ ათასობით წელი (მაგ., აშელის ეპოქაში) ნახევარმაიმუნად რჩებოდა.

ეს უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვმსჯელობთ არქაული პერიოდის ჰომინიდებზე (შდრ – „სულთა კავშირი“).

პარალელი: ბუშმენი და ჰოტენტოტი სხეულის აგებულებით ჰგავს გარეულ ცხოველს, ევროპელი – შინაურს: კვება, კულტურა, ცხოვრების წესი ცვლის ანატომიური სტრუქტურის მაჩვენებლებს (ფრ. ბოასი).

პალეონთროპს ფანტაზია არც ექნებოდა, რადგან ეს საგანთა დაკავშირებისა და გარდაქმნის უნარია. იგი მოთხოვნილებასა და მოქმედებას აიგივებდა. მისი ინსტინქტები საკვებისა და სექსის გარშემო ტრიალებდა.

მხოლოდ მუსტიეს ეპოქიდან იწყება მწირი ფანტაზირება, საშიში და იდუმალი საგნების წარმოსახვა ანუ აფექტების ფსიქიკიდან გამოძევება, რაც ჰალუცინაციურ და ფანტასტიკურ სურათებად წვებოდა ველურის გონებაში. ისინი განლაგდნენ ტოტემის – პირველწინაპრის გარშემო, რომელიც კვებისა და სექსის ინსტინქტებიდან გამოვიდა (იხ. „ტოტემისტური წარმოდგენები“).

სწორედ მუსტიეს პერიოდში ყალიბდება ნეანდერტალელი ადამიანად. ხოლო ჩვენი წინაპრების მანამდელ ინსტინქტურ ქცევებს, მოქმედებას თუ შრომით საგნებს ზოგი ცხოველის თვისებად მიიჩნევს (მაგ., ბ. პორშნევი).

შდრ – მგელს დაჭრილი მგლისთვის საჭმელი მიაქვს; გიბონი მღერის; მაიმუნები მოძმის დაღუპვას გაბმული ყმუილით – გლოვის ზარით აღნიშნავენ; ზოგჯერ ცხოველი ზრდის ბავშვს; დელფინებს სიამოვნებთ ადამიანებთან სიახლოვე; ძაღლი აღიქვამს პატრონის ქცევას და ა.შ.

ამიტომ როცა ვსაუბრობთ ნეანდერტალელზე, ვგულისხმობთ მუსტიეს დროის პალეოანთროპს.

ცხოველური ბურანიდან გამოსვლის პროცესი გარემოს აღქმა და დანახვა იყო, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებდა ჰომინიდს და მუდმივი შიშები ნევროტიკად აქცევდა.

სხვადასხვა სახის აფექტებით, ნადირობით, ამეტყველებით, ტოტემ-ღმერთების წარმოდგენებითა და მათდამი მიძღვნილი სისხლიანი რიტუალებით, ტაბუირებით იგი ნევროტიკულ-ფსიქოზური მდგომარეობისაგან განთავისუფლდა. მაგრამ ეს იყო არა უკუქცევა, არამედ – ახალ, გონიერების სტადიაში გადასვლა.

შიში და აგრესია

შიშების როგორც გამოწვევა, ისე შენელება უკავშირდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აქტივობას, ჰორმონალურ დარღვევებს და პირიქით – მუდმივი შიში და ექსტრემული პირობები ცვლიან ჰუმორალურ სისტემას ანუ ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, როგორც საქანელას ორი ბოლო.

უძლიერესი შიშები და აფექტები გადაეცა პალეოანთროპსაც, რაც სიტუაციისა და გარემოს საპასუხო რეაქცია იყო.

ეს კი იწვევდა ცნობიერების ამოძრავებას, პირველყოფილი ბუ-რანიდან გამოხედვას.

გავიხსენოთ ქრესტომათიული მაგალითი:

მაიმუნმა გალიიდან ბანანის მისაწვდენად ჯოხი აიღო მხოლოდ ხანგრძლივი წრიალის, ყმუილისა და წვალების შემდეგ, ე. ი. სურ-ვილმა და ტანჯვამ დაანახა ჯოხი, რომელიც თითქოს მისი ხელების გაგრძელება იყო.

ძლიერი შოკი, ნერვული სისტემის უეცარი შერყევა ზოგჯერ შეიძლება იქცეს პროგრესის საწყისად.

მაგ., ამასწინათ სერბ ნადია აკიმოვიჩს, რომელსაც გულის მწვავე დაავადება აწამებდა, მეხმა დაარტყა. ქალი გადარჩა, რადგან რე-ზინის ფეხსაცმელები ეცვა, გადარჩა და განიკურნა კიდეც.

მსგავს იშვიათ მოვლენებს ღვთის მსახურები უფლის სასწაულს მიაწერდნენ.

ნელ-ნელა არქანთროპის ადგილს იკავებდა საშუალო სიმაღ-ლის, მოკლეფეხება, მკვრივი, ძლიერი პალეოანთროპი – Homo primi-gemnus, რომელიც თანამოძმეებს გამოეყო 300.000 წლის წინათ (აღ-მოჩენის ადგილის მიხედვით ამ სახეობას უფრო ნეანდერტალელ ადამიანს უწოდებენ), რომლის გენომი გაშიფრეს 2009 წელს.

ისინი ბინადრობდნენ ჩინეთის, პალესტინის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ეთიოპიის, ზამბიის, სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე, ე. ი. მთელს იმჟამინდელ მსოფლიოში.

პალეოანთროპი აგრძელებდა არქანთროპის იმ შტოს, რომელმაც შინაგანი ტრანსფორმაციით ანუ ახლებური ინსტინქტების ჩამოყა-ლიბებით შეძლო თავის გადარჩენა.

დანარჩენი მოისპო ან დაკონსერვდა.

ამ თვალსაზრისით ნეანდერტალელი დიდად განსხვავდება მშვიდი და წყნარი გორილისაგან, შედარებით მღელვარე, მაგრამ მაინც უკონფლიქტო შიმპანზესაგან.

ალბათ ამგვარი სტაბილობა ხელს უშლიდა განვითარებას.

ნეანდერტალელი იარაღს იყენებდა თავდასხმისათვის. ხოლო მაიმუნი სწორედ ჩხუბის დროს გადააგდებს ხოლმე ხელკეტს და მეტოქეს ხელებითა და კბილებით სწვდება.

პალეოანთროპოლოგები შენიშნავენ, რომ ნეანდერტალელებს სჩვეოდათ ხშირი აღგზნება და გააფთრება, რაც იწვევდა სასტიკ შეტაკებებს, სისხლისღვრასა და ტრავმებს ჯოგის წევრთა შორის (ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ., 1986, გვ. 93, 115-116).

აგრესიას იწვევს ჰორმონი ტესტოსტერონი („მამაკაცური ჰორმონი“), რაც მცირდება ასაკის მატებასთან ერთად. აგრესიას კი მივყევართ კონფლიქტამდე, რაც არის შიშის გადალახვა.

ნეანდერტალელთა სადგომებზე ნაპოვნია უამრავი ტრავმირებული თავის ქალა, დამწვარი და გაპობილი ძვლები, რაც მიგვითითებს, ერთი მხრივ – შიდა შეტაკებებზე, მეორე მხრივ – შიდა კანიბალობაზე.

ეს იყო იოლი გაღიზიანებისა და არაადექვატური აღქმის შედეგი, რადგან ნეანდერტალელ ადამიანს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული აგზნება-დამუხრუჭების მექანიზმი. აგზნება სწრაფი იყო, დამუხრუჭება – ნელი, შიში კი – მუდმივი.

მაგ., შიში სისხლისადმი, რაც გადავიდა დეფლორაციული და მენსტრუალური სისხლის მიმართაც (შდრ – ქართული ურჩხული, რაც ეტიმოლოგიურად არის გაურეცხავი ანუ სისხლიანი, უწმინდური).

ამგვარი შიში სიკვდილსა და ტანჯვას უკავშირდებოდა, რადგან ხედავდნენ, რომ სისხლის დაღვრას მოსდევდა სიკვდილი როგორც ტომის, ისე ტომის წევრებთან ან უცხოტომელებთან შეტაკებისას (შდრ – მეგრული „ღურა“ – სიკვდილი და ქართული „დაღვრა“, ე. ი. დასხმა, დაქცევა).

70 000 წლის წინათ, ვურმის გამყინვარების პერიოდში, ლამის ამოწყდა ადამიანთა ჯიში და მათი რიცხვი, ზოგის ვარაუდით, დავიდა 2 000-მდე!

აზროვნების ჰალუცინაციური სისტემა

თანამედროვე ადამიანის ფანტაზია და აზროვნება ასოციაციებს ემყარება, რომლებიც თავისუფლად მოძრაობენ, მაგრამ ექცევიან გონის მიერ შექმნილ ჩარჩოში, მისი კონტროლიდან არ გამოდიან.

სიზმრის ალოგიკური სამყარო კი სავსებით შეთავსებადია ჯან-მრთელ ცხოვრებასთან, რადგან მკვეთრად არის გამიჯნული ცხადი და სიზმრული ილუზია.

ხოლო ნეანდერტალელი და საერთოდ ველური შეიძლება შევა-დაროთ დღევანდელ ფსიქო-ნერვულ ავადმყოფს (კ. გ. იუნგი, ზ. ფროიდი), რომელსაც პერიოდულად შიში იპყრობს, აწვალებს დეპ-რესიები და ჰალუცინაციები, აწვალებს და ემორჩილება, ხანაც – ებრ-ძვის; რეალობასა და სიზმარს ერთმანეთისაგან ვერ ჰყოფს; საგნებსა და მოვლენებს შორის ეჭვით ეძებს უხილავ კავშირებს, რომელთაც ძირითადად მიიჩნევს, რათა მათი მიგნებით განდევნოს მტანჯველი ლანდები.

ამას ვერ ახერხებს და ისევ შიში ეძალება („შიშს დიდი თვალები აქვს“, – ამბობს ქართული ანდაზა), რასაც მოსდევს ხან უმწეობა და დათრგუნვა, ხანაც – ეიფორიული აგზნება, აგრესია ან მხეცური გაა-ვება.

იგი შიშის წყაროდ მიიჩნევს კონკრეტულ სახეს (მაგ., ტერო-რისტი ბინ ლადენი), რომელიც არის ამღვრეული გონების მეტაფო-რული ხატი. მასთან დაპირისპირებას, გამკლავებას ანუ დარღვეული ჰარმონიის აღდგენას ახალი, ძლიერი ძალა სჭირდება.

ამიტომ ახდენს თავისუფალი ნეირონებით საკუთარი პერსონის ღმერთთან თუ ნაპოლეონთან იდენტიფიცირებას.

ეს არის იგივე გრძნობათნაკადში დაძირული და ცენზურის შე-სუსტებით თავჩენილი უძველესი დროის მფარველი ხატი – ტოტე-მი, პირველწინაპარი.

გონება დადის არქაულ პლასტებამდე, რათა ახალშემოჭრილი მტკივნეული სახე განეიტრალდეს ეიფორული დამხმარე ძალით.

უძლიერესი შიშები, აკვიატებული, მტანჯველი წარმოდგენები ააქტივებს ერთი ჯგუფის ნეირონების მუშაობას, რომლებიც ასეთ დატვირთვას ვერ უძლებენ და არასწორად ფუნქციონირებენ; ფსიქიკა იხლიჩება, აღქმა ირღვევა.

ამიტომაა, რომ ადამიანს აღიზიანებს ერთიდაიგივე, გაუთავებელი ხმაური, სიტყვები, მუსიკა და ესწრაფვის გადანაცვლებას საგნიდან საგანზე, ინფორმაციის გადანაწილებას, იცვლის განწყობილებასა და გრძნობებს, ელტვის სიახლეს, რადგან ნეირონები მაშინ ფუნქციონირებენ სრულყოფილად, როცა დატვირთვა, სიგნალები და იმპულსები პერიოდულად იცვლება.

ეს ერთი მხრივ. მაგრამ მეორე მხრივ ამგვარი დაწოლა ცვლის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობას. ირღვევა ჰორმონების გამოყოფა, რაც სისხლთან ერთად მიეწოდება ტვინს.

ეს კი ზემოქმედებს სიგნალებისა და იმპულსების გაშიფრვაზე, ინსტინქტების აქტივობაზე.

ამიტომაა, რომ შიზოფრენიის გამომწვევ მიზეზად მიაჩნიათ ჰორმონ დოფამინის სიჭარბე, რაც წამლავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას.

ამის შედეგად კი ირღვევა აზროვნებისა და კულტურის მიერ წარმოქმნილი კონტროლი ინსტინქტებსა და ქცევაზე, ფიქრსა და მოქმედებაზე.

ხდება ადამიანის ატავისტური უკუქცევა.

იგი ბიოლოგიურად არ იცვლება, მაგრამ გონება იბინდება, თითქოს ნისლით იბურება და წყდება ლოგიკური კავშირები, საგნები ქიმერებს ემგვანება.

ადამიანი თითქოს საზარელ სიზმარს ხედავს, ფანტასტიკურ ლანდებს და თავად არაფერი შეუძლია, ემორჩილება უცნაური სურათების მდინარებას.

ასეთი უნდა ყოფილიყო პალეოანთროპის ფსიქიკაც, რომელიც ფსიქო-ნერვული ავადმყოფის მსგავსად ნიუანსებზე, ოდნავ ცვლილებებზე აგრესიულად რეაგირებდა.

ეს თვისება შერჩა ველურ Homo sapiers-საც.

ველურის სიტყვას აკლია ლოგიკა. ამიტომ ზოგი მას მისტიკურსა და პრა-ლოგიკურს უწოდებს (მაგ., ლევი-ბრიული): იგი ენდობა რწმენას, ხასიათი გაუწონასწორებელი აქვს, ემორჩილება იმპულსებსა და ემოციებს, სწრაფად მოქმედებს, ლაპარაკი მალე ღლის, როგორც კი ძაბავს აზრსა და მეხსიერებას; თავს ვერ იკავებს, რადგან არ იცის ეს როდისაა საჭირო; ემორჩილება ვნებათა ღელვას; ხელის მოცარვას ან წარმატებას უკავშირებს მაგიას, ზებუნებრივ ძალას; წვრილმანებს არსებითად მიიჩნევს, რადგან პოულობს ფარულ, იდუმალ კავშირებს, მათი მეშვეობით აკეთებს უეცარ დასკვნას.

ფსიქო-ნერვული ავადმყოფის მსგავსად ველურის აზროვნებას, ქცევასა და მოქმედებას ეჭვი და შიში განაგებს.

ეჭვი და შიში იწვევს სინამდვილის დეფორმირებულ აღქმას, რის გამოც ველურის თვალით დანახულ რეალობის სურათებს, წარმოდგენებს, აზრებს, ქცევასა და მოქმედებას არაადექვატურად მივიჩნევთ.

გავიხსენოთ ზოგი მათგანი:

კაცი რომ სენით მოკვდებოდა, დამნაშავეს ეძებდნენ, ეძებდნენ ჯადოსანს, რათა სამაგიერო გადაეხადათ. თითქოს მაგი (ჯადოსანი) სიკვდილს იწვევდა სიბერითა და ჭრილობით. ამიტომ იგი უნდა დასჯილიყო; დამნაშავედ მიჩნეულს საწამლავს გადააყლაპებდნენ, თუ გადარჩებოდა – მართალი იქნებოდა; იროკეზებს სჯეროდათ, კაცი იმიტომ კვდება, რომ სურვილს ვერ ისრულებსო; ერთგან სიკვდილს სიზმარს აბრალებდნენ, ნაცნობს, რომელმაც გათვალა; ზოგიერთ აფრიკულ ტომში ძროხას უკანალში სულს უბერავენ, რათა მეტი მოიწველოს!..

ველურს ხილული სურათი არ აკმაყოფილებს. იგი ეძებს ფარულ მიზეზს, რათა იგი მოსპოს. მაგ., მკვლელს ეძებდნენ სისხლის ნაკადის მიმართულებით: თუ მოკლედ იყო დაღვრილი, დამნაშავე ახლო უნდა ყოფილიყო, თუ გრძლად იყო დაღვრილი – სხვა ტომში უნდა ეძებნათ და უცხო ტომს თავს დასხმოდნენ;

მზის ან მთვარის დაბნელება სიკვდილის ან ომის ნიშნად მიაჩნდათ; ჩინეთში ეგონათ, რომ საგანთა სულები ერთმანეთს ეჯახება და ეს იწვევს უბედურებას. ინდიელებს სჯეროდათ, რომ თევზებიც ისე ცხოვრობენ, როგორც ადამიანები, რომ მათაც აქვთ თავიანთი დასახლებანი და გზები წყალქვეშ; ფიჯიში ჩრდილზე დაბიჯებას სიკვდილი მოჰყვებოდა; ასევე თვლიდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში; ამერიკის ჩიროკის ტომში თუ კაცს სიზმარში გველი უკბენდა, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ნამდვილად გველნაკბენი; მალაიზიის ერთ ტომში ნიანგი თავიანთი ნათესავი ეგონათ, რადგან ნიანგმა ერთი მათგანი სიზმარში წყლიდან ნაპირზე უვნებლად გამოიყვანა; ახალ გვინეაში ხელმოცარული კაცი ნადირობიდან რომ ბრუნდება, ფიქრობს როგორ იპოვოს ის კაცი, ვინც მის იარაღს ჯადოთი ძალა წაართვა. ამ დროს კლავს მას, ვინც გზაზე შეხვდება; აცტეკების წარმოდგენით, მაგიური თვისება აქვს შეწირული კაცის არა მხოლოდ სისხლს, გულს, თირკმელს ან თვალებს, არამედ – ექსკრემენტებსაც კი...

ანთროპოლოგებმა გამოიკვლიეს თუ რა უნდა ყოფილიყო ასეთი ემოციური თუ ამღვრეული ცნობიერების მიზეზი.

ი. როგინსკიმ კლინიკური თვალსაზრისით შეისწავლა შუბლის ნაწილის ტრავმები, რაც არღვევს ცნობიერებას. ეს იმიტომ, რომ აქ ხდება ასოციაციური აზრების კოორდინირება.

ტვინის მოცულობის ზრდაც ასევე არყევდა თავის ქალას და ცვლიდა მის პროპორციებს (მაგ., სიმაღლის მატება და შუბლის ძვლის გასწორება), შესაბამისად – ცნობიერების დინამიკას.

ამიტომ თვლიან, რომ პროგრესი მოჰქონდა არა ტვინის მოცულობის ზრდას, არამედ – ამ ნაწილის ცვალებადობას.

პალეოანთროპი კი იდგა ცხოველსა და თანამედროვე ადამიანს შორის: მეტი იყო მხეცსა და ნადირზე. მაგრამ, ცხადია, თანამედროვე მოქალაქეს ჩამორჩებოდა.

მისი მღელვარე, მშფოთვარე ფსიქიკა კი უნდა ყოფილიყო გარემოს შეცნობით შეძრწუნების შედეგი (ე. კასირერი), რაც ცვლიდა მიამიტური აზრების კოორდინირებას (შდრ – ზოგი უცნაური ფაქტი: ქამელეონი სიკვდილისას ალისფერი ხდება; ფლორიდის ობობას ზურგზე გამოსახული აქვს მკაცრი კაცის სახე ფარით; იაპონური ცხრაფეხა კიბორჩხალა თავის ჯავშანზე სამურაის პორტრეტს ატარებს; ერთ-ერთი თევზი – არიუს პრუუსი ჯვარცმულ ქრისტეს ფორმას იმეორებს...).

ამას კი მოსდევდა ცხოველურად დალაგებული გონების არევა, არევას – განრისხება და გაცოფება, რაც არ სჩვევია, ვთქვათ, გორილას, რომელიც სავსებით მშვიდი და წყნარი პრიმატია, თუმცა წონით და ფიზიკური ძალით სამჯერ აღემატება თანამედროვე ადამიანს.

ამგვარი ამღვრევა იყო ფსიქიკის დაწმენდის წინაპირობაც, რაც ცვლიდა ტვინის სტრუქტურას, ფიზიონომიას, სხეულის აგებულებას, სახის ნაკვთებს თუ ხელების ელასტიკას, ფიქრისა და მოქმედების შეთანხმებას.

ცხოველური თვალსაზრისით – ეს იყო გადაგვარება.

პალეოანთროპი დასცილდა და აღემატა მოძმეებს.

ამიტომ არის თანამედროვე ადამიანის ასოციაციური აზროვნების არქეტიპი ჰალუცინაციური სისტემა, რომელიც არაცნობიერში ჩაიძირა და ფიქრის ენად შემოგვრჩა, ან დღეს ვლინდება სიზმარში, გაშმაგებისა და მასობრივი ფსიქოზის ჟამს, შემოქმედებაში (უფრო ვრცლად იხ. „ინსტინქტები და სულის არქაიკა“ წიგნში – „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“).

ამგვარი ჰალუცინაციური წარმოსახვა მითოსში ფანტასტიკურ პერსონაჟებად და მოქმედებად იქცა. მაგ., ზევსმა დაამარცხა ასთავიანი ცეცხლმფრქვეველი გველეშაპი და ეტნას მთა დაამხო თავზე.

დროდადრო ურჩხული (ტიფონი) ამოძრავდებოდა და ქვესკნელი-დან ცეცხლის ნაკადს, ქვებსა და კვამლს ამოისროდა.

ასე ხსნიდნენ ვულკანის დამანგრეველ მოქმედებას.

ჰალუცინაციებს წარმოქმნის როგორც არასწორი აღქმა და ამის შედეგად გაჩენილი მძაფრი გრძნობები (მაგ., შიშები), ისე პირიქით. ამიტომ მუდამ იცვლება, თუმცა ტრიალებს ერთი ძირითადი სახის გარშემო. მათაც აქვთ ასოციაციური, უფრო ზუსტად – სიმბოლური კავშირები, რაც აგებულია შემთხვევით სუბიექტურ მინიშნებებზე.

კ. გ. იუნგს მოაქვს ერთი ღვთისმეტყველის ნათქვამი, მოსეს რომ ზეციდან უფლის ხმა ესმოდა, ეს იყო მხოლოდ ჰალუცინაცია, რომელიც მას სტანჯავდა (К. Г. Юнг, Архетип и символ, М., 1991, გვ. 44).

ჰალუცინაციურ სახეთნაკადს მითებში ჰყოფდა ბინარული ოპოზიციური სისტემა (მაგ., ნათელი – ბნელი, ახალი – ძველი, ახლობელი – შორეული, ზედა – ქვედა, მშრალი – სველი, მარცხენა – მარჯვენა, მხდალი – გულადი), არა შუალედური ტონები და ფერები (შდრ– ისიდას ჰიმნი: „მე ვარ მრუში და წმინდანი, ცოლი და ქალწული, ბერწი და მრავალშვილიანი, ავი და კეთილი, პირველი და უკანასკნელი“).

ცნობიერების გამკვეთრების კვალდაკვალ ჰალუცინაციური წარმოსახვები განლაგდნენ პირველწინაპრის – ტოტემის გარშემო, დატოვეს ფსიქიკა და აკრძალვათა სისტემად გადანაწილდნენ, ე. ი. შინაგანი დაძაბულობა და ღელვა საგნებად გარდაისახა. შემდეგ კი ტოტემის ადგილი ღმერთმა დაიკავა.

ჰალუცინაციური აზროვნება გაგრძელდა და დაკონკრეტდა მითებსა, მისტერიებსა და რიტუალებში. ეს იყო მისტიკური დანთქმა არაცნობიერი ფსიქიკის ტალღებში და ინტუიციური წვდომა, რომლის სიმბოლურ-მეტაფორული ფორმები და სახეები ახსნილია კ. ლევი-სტროსის გამოკვლევებში.

ამგვარი არაადექვატური აღქმა, არაადექვატური აღქმით თამაში იქცა კომიზმის წყაროდ, რაც განმუხტავს ფსიქიკურ დაძაბულობას და მოაქვს შვება-სიხარული.

მუსტიეს ეპოქა – კულტურის დასაბამი

მუსტიეს ეპოქის ველური ფართოდ იყენებდა ცეცხლს, ამზადებდა შრომისა და ბრძოლის ქვისა და ხის იარაღებს, ნადირობდა კოლექტიურად მსხვილფეხა ცხოველებსა და ნადირებზე (ირემი, სპილო, დათვი, მამონტი, ტახი), ატარებდა ტყავის ტანსაცმელს, თავს აფარებდა არა მხოლოდ მღვიმეს, არამედ – დიდი ხის ტანის გარშემო აკეთებდა ქოხის მსგავს გადახურულ თავშესაფარს ან ვრცელ მიწურს, მარხავდა მიცვალებულს, იყენებდა კოსმეტიკასაც კი.

მუსტიეს ეპოქა, რომელიც დაიწყო 100.000 წლის წინათ და გაგრძელდა მთელი 60.000 წელი, ადამიანის ცნობიერებისა და აზროვნებისათვის გადამწყვეტი პერიოდია.

ამ დროს იზღუდება კანიბალიზმი, ისახება რელიგიური წარმოდგენები, ხელოვნების საწყისები, ტოტემი და ტაბუ, ეგზოგამია, მონოგამია და მატრიარქატი, გვარ-ტომი და ტომი ანუ ის ნიშანთვისებანი, რაც თანამედროვე კულტურის სათავე აღმოჩნდა.

ნეანდერტალელებს შორისაც გამოიყო ის შტო, რომელმაც უფრო ეფექტურად დახვეწა ინსტინქტების მექანიზმი და ნათლად დაინახა სამყაროს სურათი (დღეს უფრო ვარაუდობენ, რომ ისინი გადაშენდნენ).

ადამიანის ევოლუცია ბიძგებისა და სპირალური ხაზებისაგან შედგება. ძლიერი გადარჩა, სუსტი დაიღუპა, ძლიერი არა ფიზიკურად, არამედ გარემოსთან შემგუებელი ინსტინქტებით, გამძლეობით.

მკაცრი ბუნებრივი პირობები (მაგ., გამყინვარება), სისხლიანი შეტაკებანი, ხშირი გადაადგილება ან მუდმივი შიმშილი იწვევდა შიშსა და დეპრესიას, რასაც მოსდევდა რეგრესი. მაგრამ შემდეგ, მათი გადალახვის წყალობით, პროგრესად იქცეოდა, რადგან ორგანიზ-

მი გამოიმუშავებდა შემგუებელ ინსტინქტებს და რომელი შტო თუ კლანი შესძლებდა ამას, მას ჰქონდა მომავალი.

ეს იყო სტიქიური გადარჩევა, რამაც დაასრულა რამაპითეკის შთამომავალთა სრულქმნა. ეს კი მოხდა 40.000 წლის წინათ. მას შემდეგ Homo sapiens-ს ბიოლოგიურად არც რეგრესი, არც პროგრესი არ განუცდია.

რეგრესი და პროგრესი კულტურაში გადავიდა, სულიერ სფეროში გამოვლინდა.

2. აფექტები და სიტყვა-საგნები

ველური თითქოს დანისლული მინიდან ხედავდა ქვეყანას. საგნებიც ბუნდოვანი, არამყარი და სიზმარეული იყო.

ცნობიერების გამკვეთრება კი ფანტავდა ცხოველურ ბურანს. ეს პროცესი მტკივნეული იყო, როცა გონება აღიქვამდა სულებით ავსილ ქვეყანას. ამ სულებს საგნობრივი სახე და ფორმა ჰქონდათ – ეს იყო ქვა, ხე, ხორცი, წყალი, თოვლი, წვიმა, ყინული, მთა, ცა, მზე, მთვარე; როცა ფიქრმა განყო საგნები ერთმანეთისაგან, გამოაცალკევა და განასხვავა – ძალით, ზომით, ფერით, მოცულობით.

ისინი უსახო საშიშ ძალას შეიცავდნენ, რომელთა შეხება აკრძალულია (შდრ: ლათინურად anima სულს ნიშნავს, ხოლო animal – ცხოველს).

დემოკრიტე (ძვ. წ. V ს.) ფიქრობდა, რომ საგნები ასხივებენ სახეებს, რომლებიც იპყრობენ გარემომცველ ჰაერს, ასე შედიან აღმქმელის სულში და ასე აღიბეჭდებიან.

მიაჩნიათ, რომ ეს უძველესი დროის რწმენა უნდა ყოფილიყო.

ალბათ მაშინ, ცხოველთა მსგავსად, ადამიანიც ვერ არჩევდა ფერებს. ფერი საგნის ელექტრომაგნიტური ტალღებია, რომელთა

რხევა და სიგრძე აირეკლება თვალის ბადურაზე და გადაეცემა მხედველობის ცენტრს კეფის ნაწილში.

ალბათ არქანთროპსა და აშელის ეპოქის ნეანდერტალელს ეს მექანიზმი არც ჰქონდათ გამოკვეთილი და ამიტომ ქვეყანას ერთ, რუხ ფერში ხედავდნენ. მაგრამ თანდათან საგნები ფერად სხივებს იძენდნენ და სამყარო მრავალფერად ელავდა და ციმციმებდა. ეს კი მომეტებულად აღიზიანებდა ხედვის რეცეპტორებს და აძლიერებდა აღქმას.

თანამედროვე ანთროპოიდი ისევე აღიქვამს ფერებს, როგორც ადამიანი.

საგნის აფექტური შთაბეჭდვა

საგანთა ფერადი აღქმა, წარმოდგენაში შთაბეჭდვა და სახელდება ერთდროული პროცესი უნდა ყოფილიყო.

ველური ხედავდა, რომ ქვა და ლოდი კლავდა ცხოველს, რომლის ხორცს ჭამდა, ხე იფარავდა და საზრდოს იძლეოდა, ე. ი. მათდამი ჰქონდა კმაყოფილების განცდა.

დედამიწა ტყეებით იყო დაფარული. ტყე ცხოველებს ვერ იტევდა, წყალი – თევზებს, ცა – ფრინველებს.

ამ მოელვარე ფერებით დაბურულ სამყაროში ჯერ ზეცასა და ვარსკვლავებს ჰომინიდი ვერ ხედავდა.

იგი პირველ რიგში ქვებსა და ხეებს აწყდებოდა, რომელთა თაყვანისცემა მთელ მსოფლიოში გავრცელდა (შდრ – რუსთაველი: „შიში შეიქს სიყვარულსა“).

საგნები – ქვა, კლდე, ხე, ნადირი, ღრუბელი, ბუნების მოვლენები – მეხი, ელვა, ჭექა, ქუხილი, ხანძარი, ზვავი, წყალდიდობა ადამიანს სიკვდილით ემუქრებოდა. თვითონ ვერაფერს აკლებდა. ამი-

ტომ უნდა განრიდებოდა, ან შესჩვეოდა, მისი გული მოეგო, მფარველად დაესახა (შდრ. გველის კულტი).

არქანთროპისა თუ ნეანდერტალელისათვის შიშის, თაყვანის, მორჩილების საგანი იყო ქვა, რომელიც მის თვალწინ მაგიურად სახეს იცვლიდა. იგი იყო კენჭი, ლოდი, კლდე, ნამსხვრევი, ხელცული, რომელიც შემდეგ იქცა მენჰირად, ფალოსის გამოსახულებად, კაცის ქანდაკებად, პირამიდად, ტაძრად, სანადირო იარაღად.

ასევე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მხეცებთან თუ მოძმეებთან შეტაკებებს, აღმომხდარ მშფოთვარ სიგნალებსა და ბრძანებებს, რიტუალური კაცთშეწირვის ექსტაზს, სექსუალური ლტოლვის სიშმაგეს, ე. ი. დიონისურ სტიქიას.

ასევე ხდება ცხოველთა სამყაროში, რომელთა ბგერითი სიგნალები აფექტების გამოხატვაა. ბგერითი სიგნალების დიაპაზონი შეზღუდულია. გარდა ამისა, ცხოველთა ბგერების ნიუანსების აღქმა ადამიანის სმენას არ შეუძლია. ეს დაახლოებით იგივეა, როცა გვესმის უცხო ენაზე საუბარი, მაგრამ ბგერებს ვერ ვარკვევთ და გვეჩვენება, რომ ერთიდაიგივე სიგნალები უაზროდ მეორდება.

პალეონთროპი თუ ველური თაყვანს სცემდა საგანს, რომელიც გამოარჩია და მისდამი გამოხატა აფექტური დამოკიდებულება (შიში, ძრწოლა, მორჩილება, აღტაცება...), რაც ბგერით სიგნალებად აღმოთქვა, ფილტვებით, გულით, სისხლით.

ამიტომ სიტყვას გამოჰყვა აფექტების ექსპრესია.

შდრ – გერმანული der Geist არის როგორც სული, ისე აჩრდილი, მოჩვენება. მისი ძირები ძველსკანდინავიურში, ძველგერმანულსა, გოთურსა, ანგლო-საქსურსა და თანამედროვე ინგლისურში უკავშირდება გაშმაგებას, ე. ი. აფექტებს.

ველური ყოველ საგანში სულს ხედავდა. ხოლო სიტყვა იყო ამ სულის აჩრდილი, ანარეკლი, აფექტების პერსონიფიცირება.

იგი სახელდებულ საგნებს თაყვანს სცემდა ანუ, ჩვენი ტერმინით რომ ვთქვათ, ფეტიშად სახავდა. შემდეგ ფეტიშები ტოტემებად იქცა, ტოტემები – ღმერთებად.

საკომუნიკაციო ფუნქცია სიტყვას დახვეწის, ურთიერთობის პროცესში უნდა შეეძინა. კომუნიკაცია უკვე გონების სფეროა, ხოლო აფექტები და ექსპრესია – გრძნობითი სამყაროსი, რომელსაც ინსტინქტები წარმართავენ.

ამდენად არის სიტყვა ბგერით სიგნალებში გადასული მოქმედება ან მოქმედების სურვილი. ამიტომ ორატორს ან პოლიტიკოსს იმდენად აზრის გადაცემა არ აინტერესებს, რამდენადაც – აფექტების აღძვრა, მასების აგზნება და სამოქმედოდ გამზადება (შდრ – ადოლფ ჰიტლერი).

ნადირი სავსებით გულგრილია ნეიტრალური საგნების მიმართ. მას არ აინტერესებს ხე, ბალახი ან ბილიკი, ქვა ან კლდე, ტაძარი ან ცისარტყელა, ოქრო ან ვერცხლი.

თუ არ შია, არც შველს გაეკიდება.

მაგრამ ადამიანს უფრთხის და შიშის გამო თავს ესხმის.

ინსტინქტურად გრძნობს, რომ კაცი მისი მტერია და სიკვდილს უქადის. შიშის ძლევა კი არის თავდასხმა, მისგან განმუხტვა.

პითეკანთროპის თუ არქანთროპის ბგერითი სიგნალები აფექტური გრძნობებით ხმიანდებოდა. მათ შეადგინეს პირველადი აუცილებელი, პროტო-სიტყვების ვიწრო წრე.

ამ წრეში შემოდიოდა ის საგნები, რაც დაუკავშირდა სიკვდილს, სისხლს, სექსს და აღმოითქვა უაღრესი სასოწარკვეთით ან აღტკინებით.

ვერავინ იტყვის, რომელი ჯოგისა ან მისი წევრისათვის რა საგანი იძლეოდა განცვიფრებას ან ძრწოლას, რას როგორ შეხედა და შთაებეჭდა წარმოდგენაში.

ძველ ბერძნულ ენაში სიტყვათა ძირითადი, უძველესი ფენა არის ღმერთების, გაღმერთებული ბუნების მოვლენების, მცენარეების, ცხოველების, ასტრალური საგნების, გმირების, დემონების, ტიტანების, ნიმფების სახელები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი საგანი აღიქმებოდა როგორც ფეტიში და ანიმა, ჩვენი ენით რომ ვთქვათ.

ასევე უნდა მომხდარიყო სხვა ენებში. მაგ., ბაბილონში ითვლიდნენ 2.500-ზე მეტი ღმერთის სახელს, ხეთებს ათასზე მეტი ღმერთი ჰყავდათ.

ნეანდერტალელის მდუღარე ფსიქიკის განმუხტვა მოხდა ამგვარი ამეტყველებით, როცა გარემო აღიქვა როგორც გრძნეული, უჩვეულო, საშიში საგნებით აღსავსე სამყარო და მათ დაემორჩილა.

ბავშვს მეტად, მოზრდილს კი ნაკლებად აქვს შიში ღამისადმი ანუ ბუნდოვანი, გაურკვეველი, ბნელი სამყაროს მიმართ, რაც არის არქაული ჟამის მოლანდება.

ამგვარ შიშთან თამაში ესთეტიზმის ნაწილად აქციეს და პოეტებმა ღამის კულტად დაამკვიდრეს ლიტერატურაში (შდრ – გალაკტიონის „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“).

ბავშვის ამეტყველება და მეხსიერება

მსოფლიოში 5.000-მდე სხვადასხვა დონის ენაა. მათ მეტ-ნაკლებად განსხვავებული გრამატიკა აქვთ. მაგრამ აზროვნების სტრუქტურა და ანატომიურ-ფიზიოლოგიური სისტემა ყველა რასისათვის ერთიანია.

მეტყველება არ არის თანდაყოფილი თვისება, არამედ შეძენილი ენობრივ წრეში, მაგრამ – აუცილებლად ცნობიერების გამოკვეთის პერიოდში.

ამიტომ ბავშვი, რომელიც ცხოველებთან გაიზარდა (მაგ., მგლებთან), შემდეგ ლაპარაკს ვერ ეუფლება. სამაგიეროდ ოთხზე დადის, უძლიერდება ყნოსვა და სმენა, ემგვანება თავის აღმზრდელებს: მაგ., მაიმუნის შვილობილი ხიდან ხეზე მარჯვედ დახტის.

ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არქაულ ხანაში ერთდროული პროცესი იქნებოდა გონების განათება და სიტყვათხზვა, საგნის ძალით გაოგნება.

ჩვილი სამყაროს ევლინება ყვირილითა და ტირილით. ეს არის გარემოსთან პირველი კონტაქტი. შემდეგაც მოთხოვნებს გამოხატავს ყვირილითა და ტირილით, დაჟინებით. ერთმანეთს ენაცვლება თხოვნა, აკრძალვა, ბრძანება, შიში და აღტაცება, ე. ი. აფექტები.

როცა ბავშვი ენას იდგამს, სიტყვებს სწორად ვერ გამოთქვამს, იგონებს ახალ სახელებს, ბგერებს ვერ გამოკვეთს და როგორც ენის რეფორმატორი, არღვევს ნორმებს, ფანტაზირებს უცხო და უცნაური ასოციაციებით (კ. ჩუკოვსკი).

აქაც კომუნიკაციას წინ უსწრებს ექსპრესია, სიტყვის ემოციური მნიშვნელობა, რადგან ბავშვისათვის არ არსებობს სიტყვა: იგი ხედავს და გრძნობს საგანს, მისდამი ავლენს თავის აფექტურ დამოკიდებულებას – ემოციებს, ეპოტინება ან იცილებს, უცინის ან აგდებს.

ბავშვის ლუღლუღს ან სიბრაზეს ჩვენ ვერ ვიგებთ. მაგრამ თავად ბავშვმა იცის რა უნდა, ე. ი. გამოთქმას წინ უსწრებს აზრი, გამოთქმის მოთხოვნილება. მიღებულ ინფორმაციაში იგი ინსტინქტურად ესწრაფვის სისტემის პოვნას.

ბავშვი მეტყველებას უფრო იოლად და სწრაფად ითვისებს, ვიდრე ზრდასრული – უცხო ენას, რომლის არამშობლიურობის კვალი მას ბოლომდე მიჰყვება.

ენის ამოდგმისათვის არა აქვს მნიშვნელობა ეს ენა ბიოლოგიურ დედას ეკუთვნის თუ მამას. იგი მშობლიურად აღიქვამს იმ სიტყვებს, რომელთა წრეშიც აღმოთქვამს პირველბგერებს.

როგორც მაშინ მოიმართება საარტიკულაციო ბაზისი, ისეთი ხმის ტემბრი, ტემპი, აქცენტი და ინტონაცია გასდევს სიცოცხლის ბოლომდე.

აფექტებს ჩვილი გამოხატავს ღიმილით, ტირილით, ხელების ქნევით, გაურკვეველი ბგერებით, რომელთაც სმენითი აღქმით და მიბაძვით ანაწევრებს და მათში ბურუსიდან გამომკრთალ საგანს ახვევს.

დედის მუცელში ადამიანისა და შიმპანზეს ნაყოფთა ერთმანეთისაგან გარჩევა შეუძლებელია, იმდენად დიდია მსგავსება.

ასევე იმეორებს ბავშვის ამეტყველების პროცესი შეკუმშულ დროში ენის ქმნადობის ინსტინქტურ სტადიას, უძველეს ხანას.

გამართულ მეტყველებას ბავშვი საკმაოდ დიდ დროს ანდომებს, ვიდრე ენის ადგმას. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენს წინაპარსაც მრავალი საუკუნე დასჭირდა, ვიდრე ენობრივ კონსტრუქციებს გამოიმუშავებდა და მეტყველებას ავტომატიზმამდე დაიყვანდა. ბავშვის მეხსიერება იწყება საგანთა სახელდებით. ვიდრე იგი ინსტინქტურად გამოსცემს ხმებს და ისვრის ნაწყვეტ–ნაწყვეტ სიტყვებს – ვერაფერს იხსომებს.

ამდენად – ერთდროულად ყალიბდება მეტყველება და მეხსიერება.

ჩვენს წინაპარსაც მას შემდეგ გაუჩნდა დახსომების უნარი, რაც საგნები ბგერებში მოაქცია. მეხსიერების გარეშე კი არ არსებობს ფანტაზია.

ბგერითი სიგნალები და საარტიკულაციო ბაზისი

აფექტური სიტყვა-საგნები კი ივსებოდა და იხვეწებოდა ყოფითი ხმაურებით (ვ. ბუნაკი), ნადირთან თუ ურთიერთშეტაკებების პროცესში.

საგნისადმი დამოკიდებულება სიტყვად სახელდებით გამოიხატა – შიში და სიყვარული, ლოიალობა და მრისხანება, ძრწოლა და აღტაცება.

თაყვანს მიაგებდნენ ბგერებად გამოტანილ საგნის სულს. მათ ადამიანი ისეთივე შიშით დაემორჩილა, როგორც ფსიქო-ნერვული ავადმყოფი აკვიატებულ წარმოდგენებს, ამ წარმოდგენათა ხატს.

მაგრამ სიტყვა რომ გაჩენილიყო, სიტყვები რომ დალაგებულიყო, ჰომინიდს უნდა ჩამოყალიბებოდა საარტიკულაციო ბაზისი.

ბგერით სიგნალებს გამოსცემენ თევზები და წყლის სხვა ბინადარნი, ფრინველები, მწერები; ჰყეფს და იღრინება ძაღლი, ბღავის და კუნტრუშებს საქონელი, დვრინავს ლომი, ჭიკჭიკებს მერცხალი, ღრუტუნებს ღორი, ყროყინებს კამეჩი...

ეს სიგნალები გამოხატავენ საფრთხეს, გაფრთხილებას, სექსუალურ ლტოლვას, შიშს, კმაყოფილებას, საკვებზე მიპატიჟებას, მსხვერპლზე თავდასხმას, გამოხატავენ განსხვავებული ტემბრითა და ტონალობით.

შიმპანზეს აქვს 25-30 გამოკვეთილი ბგერითი სიგნალი, ისევე როგორც პავიანს.

მაგრამ ისინი ბგერებში საგანს ვერ ხედავენ, სიტყვად ვერ კონავენ, მხოლოდ მიმართებასა და დამოკიდებულებას ავლენენ, რაც ემოციების სფეროა.

მათ არა აქვთ შეუცნობი ძალის განცდა – შიში და ინსტინქტური ლტოლვები ფსიქიკიდან საგნებად არ გამოაქვთ, ისე ემორჩილებიან.

საამისო ფუნქცია მათ ტვინს არ გააჩნია, რადგან არ აქვთ ენის გენი.

რომც გააჩნდეთ, უნდა ჩამოუყალიბდეთ საწარმოთქმო ორგანოები, რომლებიც ფილტვებიდან ამოჭრილ ჰაერნაკადს ბგერებად დაანაწევრებენ და შემდეგ საგნის გარშემო შეკრავენ.

აფექტები – შიში და მრისხანება, აღტკინება და განცვიფრება ქმნიდა გამოთქმის მოთხოვნილებას, რასაც ფილტვებიდან ამომსკდარი ჰაერნაკადი ყელს, ხორხს, კბილებს, პირის ღრუს, ენას, ცხვირს, ბაგეებს კვეთდა საწარმოთქმო ორგანოებად (ე. კასირერი, ა. ლეონტიევი, ვ. ალექსეევი).

აფექტური გრძნობები ხმიანდებოდა შეტაკებისას, როგორც კივილი და ღმუილი, მონადირეთა სიხარულის ყიჟინა, მომაკვდავის გმინვა თუ ვნების აღტკინება.

შესაბამისად ჩნდებოდა ხახისმიერი, ხორხისმიერი, სასისმიერი, კბილისმიერი, ცხვირისმიერი ბგერები, რაც ყველა ენაში განსხვავებულად ხმიანებს.

მათ აწესრიგებდა, ერთმანეთისაგან განარჩევდა ბრძოლისა და შრომის პროცესი, თამაში თუ ვნებათა ღელვა, რაც იწვევდა გამომსახველობით, ცეკვის მსგავს მოძრაობას.

ფუტკრები ცეკვით, ცეკვის სიჩქარითა და ფიგურებით აჩვენებენ მანძილსა და მიმართულებას საკვებისაკენ (კ. ფრიში).

ამგვარ მოძრაობათა კომუნიკაცია შეიძლება მხოლოდ დღის სინათლეზე და გამორიცხავს დიალოგს, რაც აუცილებელია მეტყველებისათვის.

მაგრამ ჟესტ-მიმიკა, რაც ნ. მარს ენის საწყისად მიაჩნდა, როგორც ნადირობისათვის აუცილებელი კომუნიკაცია, უნდა არსებულიყო. იგი გავრცელებული ყოფილა ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის ტომებში, როგორც ადასტურებს არაერთი ანთროპოლოგი. ისინი ფლობდნენ როგორც ვერბალურ, ისე ჟესტების ენას.

ჟესტ-მიმიკას, ბგერით სიგნალებთან ერთად, აქტიურად იყენებენ ადამიანის მაგვარი მაიმუნები. მას იყენებს თანამედროვე ადამიანიც ეგზალტირების ჟამს, როცა უნდა სიტყვას მეტი დამაჯერებლობა შემატოს, ან როცა მოსაუბრეს, ვთქვათ, უცხოელს, ვერ აგებინებს.

ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ – სმენითი ანალიზატორიც უნდა დახვეწილიყო და შესძლებოდა ბგერითი ნიუანსების ცვალებადობათა აღქმა და გარჩევა (ე.წ. ვერნიკეს ცენტრი).

მაგ., ბახის თუ ბეთჰოვენის მუსიკა სრულად მოქმედებს მელომანზე. მაგრამ ვერ შესძრავს მუსიკისაგან შორს მდგომს. ხოლო შიმპანზეს ან გორილას სმენისათვის მხოლოდ ბგერათჩხარუნია.

ენის გენი და ბროკას ცენტრი

დროთა მანძილზე ჩამოყალიბდა ენის გენიც (FOXP2), რაც ტვინში ქმნიდა ე. წ. ბროკას ცენტრს. ეს კი წარმართავდა მეტყველებას,

აჩენდა მეტყველების უნარს, რაც განურჩეველია რომელიმე კონკრეტული ენისადმი.

გორილასა და შიმპანზეს სახმო აპარატი ვარგისია სიტყვების გამოსათქმელად. მაგრამ არ გააჩნიათ ბროკას ცენტრი. მათი სიგნალები – ეს არის მხოლოდ ემოციების გამომხატველი ბგერითი რეაქცია.

ანთროპოლოგების აზრით, ნეანდერტალელს უკვე ჰქონდა პროტო-ენა, მეტყველების ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ტელეგრაფული სტილი, შეეძლოთ ერთმანეთთან სიტყვით დაკავშირება.

ასეთ დროს პოლისემია ბუნებრივი მოვლენა იყო: ერთი სიტყვა მრავალ მსგავს საგანს ერქვა, ხედვით აღქმას საგნები ბუნდოვანების ნისლიდან გამოჰყავდა და ბგერითი სიგნალებით იმახსოვრებდა. მაგრამ თვით ეს ბგერები ვერ იქნებოდა გამოკვეთილი. ეს კი ალბათ იწვევდა ერთი სიტყვის უამრავ ვარიაციას. მაგ., უცხო ენაზე მოლაპარაკე იშვიათად თუ იცილებს მშობლიური ენის აქცენტს, რის გამოც მის მეტყველებას გარკვეული დისონანსი შეაქვს კომუნიკაციაში.

დღესაც ადამიანი ბგერებს გამოთქვამს მეტ-ნაკლები განსხვავებით, რასაც იწვევს საარტიკულაციო ბაზისი და აზრისა ან საგნისადმი დამოკიდებულება, ემოციური პოზიცია.

არათუ ენებში, ერთი ენის დიალექტთა ფარგლებშიც კი იცვლება ბგერების მოდულაცია. ეს მყისვე იგრძნობა, როგორც კი მშობლიური ენის ან დიალექტის სივრცეში შემოდის სხვა ენაზე ან დიალექტზე მეტყველის ინტონაციები.

უფრო მეტიც – ყოველი ჩვენგანის წარმოთქმულ სიტყვას აქვს ინდივიდუალური ვიბრაცია. მაგრამ სმენა არჩევს განსხვავებათა დონეს – ეს არის იდიოლექტური, დიალექტური თუ ენობრივი, უცხო თუ მშობლიური.

პროტო-ენები

თავდაპირველად უნდა გაჩენილიყო ერთმარცვლიანი, მარტივი შედგენილობის არსებითი სახელები (მაგ., ქვა, ხე, ცა, მზე), შორის-დებულთა მსგავსი, რადგან გამხოლოებული ბგერების გამოთქმა თუ იქნებოდა შესაძლებელი, შემდეგ – სახელზმნები და ზმნები, რო-გორც ბრძანება და მოქმედების დანახვა, ფერთა დიფერენცირებით კი – ზედსართავი სახელები, რომელთაც აერთებდა საგნებისა და მოქმედების კავშირები – წინადადება. მაგრამ არა დღევანდელი გა-გებით – სიტყვიერი ეკონომიითა და სიზუსტით.

ლ. ლევი-ბრიულს მოაქვს მაგალითი თუ როგორ გამოთქვამს ინდიელი მარტივ წინადადებას – „კაცმა კურდღელი მოკლა“:

„კაცმა, მან, ერთმა, ცოცხალმა, მდგარმა, განზრახვით მოკლა, ეს-როლა ისარი, მას, ცოცხალს, მჯდარს“.

როგორც ვხედავთ, დეტალიზებას უფრო ექცევა ყურადღება, ვიდრე სიტყვათა სინტაქსურ კავშირს:

მეტია სტატიკური აღწერა, ნაკლებია მოქმედების ჩვენება. ასევე ყურადღება არ ექცეოდა მრავლობით რიცხვს. საგანთა სიმრავლეს სცვლიდა საგანთა კონკრეტული სახელები, ზოგან – ორობითი, სა-მობითი და ოთხობითი სისტემა.

ფერთა აღქმა დღევანდელი გაგებით არც ხდებოდა. ფერებს გა-ნარჩევდნენ სიმკვეთრის მიხედვით, რაც თვალს ხვდებოდა. ამიტომ ძირითადად იყო ორი ფერი – ბნელი და ნათელი.

არათუ ველურობისა და ბარბაროსობის ეპოქებში, არამედ – ბიბ-ლია, ავესტა, რიგვედა და ჰომეროსიც კი ვერ ასხვავებენ შავს, მწვა-ნეს, ლურჯს, ცისფერს. მათ აღსანიშნავად მხოლოდ ბნელი ანუ შავი არსებობდა. წითელიც შავიდან გამოიყო, ისევე როგორც ყვითელი.

ალბათ ფერთა აღქმას მნიშვნელობა არ ეძლეოდა, შესაბამისად – არც ენობრივი დიფერენცირება მოხდა (К. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления, Тб; 1973).

თავდაპირველად გრამატიკულ პირთა გარჩევაც არ იქნებოდა. პროცესს არ ჰყავდა არც სუბიექტი, არც ობიექტი (მაგ., წვიმს, es regnet) – მოქმედება ხდება თავისთავად.

შემდეგ გამოიყო მესამე პირი, რომელიც ჩანს. ხოლო ურთიერთობაში გამოიკვეთა „მე“ და „შენ“.

სიტყვისქმნადობის პროცესი არაცნობიერი იყო და ვიდრე ბგერათნაკადი შეიძენდა კატეგორიებსა და საკლასიფიკაციო ნიშნებს, მრავალი ტომი და პროტოენა შეერწყმოდა ერთმანეთს, მრავალი ათასწლეული ჩაივლიდა.

ეს იოლი და ბუნებრივი იყო, რადგან პირველადი ენები სიტყვათა მინიმალურ რიცხვს შეიცავდა და მათაც აკლდა მკაფიო ჟღერადობა და ბგერათფორმა. ყველაზე გვიან უნდა წარმოქმნილიყო რიცხვითი, ზოგადი და აბსტრაქტული სახელები, როცა გონებას შეეძლო განსჯა, დაკვირვებათა შეჯამება, საგანთა საერთო ნიშან-თვისებათა პოვნა.

ავსტრალიური ტომები XIX საუკუნეშიც კი ვერ სცილდებოდნენ კონკრეტულ საგნებს, აბსტრაგირება და განზოგადება არ შეეძლოთ: ჰქონდათ ზოგადად გველის აღმნიშვნელი სიტყვა, მაგრამ არა ცხოველისა; იცნობდნენ ზოგადად ხეს და ბალახს, მაგრამ არა მცენარეს.

ამბობდნენ არა 2 ან 3, არამედ – ორი კენგურუ ან კურდღელი, სამი კენგურუ ან კურდღელი, არა ხუთი კენგურუ, არამედ – ორი და სამი კენგურუ.

ტომთა ენებში განასხვავებენ საგნის ინდივიდუალურ ნიშნებს, ამჩნევენ დეტალებს. მაგრამ არ გააჩნიათ აბსტრაქტული კლასიფიკაციები, არც ფერთა აღმნიშვნელი ზოგადი სახელები.

ამიტომ ერთის ნაცვლად ჩნდება უამრავი სიტყვა.

ასეთ დროს ენა ჰორიზონტალურად ვითარდება. ხოლო ვერტიკალი – სიღრმე უცვლელი რჩება. იგი ხედვის ნაყოფია და არა განსჯა-გააზრებისა. მაგრამ გონება აღიქვამდა და აწესრიგებდა საგნებს. მაგ., მანძილი, სიგრძე და სიგანე იზომებოდა დღის სავალით, ისრის სასროლით, იდაყვით, თითით, ფრჩხილით; წელიწადის

დროები უკავშირდებოდა ცხოველთა და ფრინველთა გამოჩენას, კვერცხის დებას, წიწილების გამოჩეკვას, ანგარიშობდნენ ხელის თითების განლაგებით და ა. შ.

აზრის დიფერენცირება წინ უსწრებდა სიტყვიერ ფიქსირებას (შდრ – ჯ. ქარჩხაძის ნოველა „იგი“).

სიტყვის აკუსტიკა

სიტყვის აკუსტიკაც ისევე იცვლებოდა ყველა დროში, როგორც შედგენილობა. როგორც ვარაუდობენ, ბგერები უფრო ნაზალური უნდა ყოფილიყო, არ უნდა არსებულიყო ი, უ, ა ხმოვნები (В. Алексеев, Становление человечества, М., 1984, გვ. 222).

როცა ვუსმენთ ძველ ფონოჩანაწერებს, ყურს ჭრის ჩვენთვის უჩვეულო ხმის ტემბრი და ტონალობა, მეტყველების რიტმი.

ასევე იცვლება სიტყვის ჟღერადობა დიალექტებში, იცვლება იმდენად, რომ ერთი დიალექტი შეიძლება ვერც უგებდეს მეორეს. მათ მხოლოდ სახელმწიფო, საეკლესიო ან სალიტერატურო ენა აერთიანებს (გავიხსენოთ დაღესტანი, რომელიც მრავალ ენას ითვლის).

ენის ძირითადი ერთეულები დგას ლინგვისტიკის მიღმა. მაგ., ბგერის ფიზიკო-აკუსტიკური პარამეტრები, ენა – აზროვნების კავშირები, საარტიკულაციო ბაზისის ანატომია, სიტყვათწარმოქმნის მექანიზმი – შინაგანი იმპულსებისა და გარე სიგნალების მიერ ფსიქიკაში საგნის აღბეჭდვა და ამ გამოსახულების ბგერებად დანაწილება. ამიტომ აქვს ყოველ ინდივიდს თავისი ინტონაცია. მას აქვს ნაციონალური სახეც. ამიტომ მშობლიური ენის აქცენტის მოცილება თითქმის შეუძლებელია ახალ ენობრივ წრეში (მაგ., სტალინს, რომელიც 50 წელი რუსულ გარემოში ცხოვრობდა, წერდა და აზროვნებდა, მაინც შერჩა ქართული აქცენტი).

ამდენად – ბევრს ენის წარმოშობა ენათმეცნიერების საგნად არც მიაჩნია (მაგ. ჟ. ვანდრიესს). მიზეზი – მთავარი იყო ენის გენის ფორმირება.

გეოგრაფიული ფაქტორი და პრაენა

ნეანდერტალელთა ჯოგები ერთმანეთისაგან იზოლირებულად ბინადრობდნენ. როგორც ტერიტორიულად, ისე ქრონოლოგიურად სიტყვათ გაჩენა არაერთგვაროვანი იყო.

ერთი თუ სიტყვებს გამოსთქვამდა, მეორე მხოლოდ ცხოველურ სიგნალებს გამოსცემდა.

შესაბამისად – უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დონის უამრავი პროტო-ენა. მაგრამ შეტაკებანი, ურთიერთშერევა სპობდა ან ცვლიდა ძველს და წარმოშობდა ახალს.

ამის გამო ქრებოდა და ჩნდებოდა ახალი პროტოენები. მაგრამ რჩებოდა ცალკეული სიტყვები და სიტყვათძირები, რომლებიც დღესაც თავს იჩენენ სხვადასხვა ენაში, თუმცა ამ ენებს არა აქვთ არც გენეტიკური, არც ისტორიული, არც გეოგრაფიული კავშირი: მაგ., ურალური kev/kov (ქვა) – ქართველური ქუა; ურალური tav/tov (ტბა) – ქართველური ტაბ; დრავიდული mama (ბიძა) – ქართველური მამ – ; დრავიდული ciccu (ცეცხლი) – ქართველური ძეცხ; დრავიდული dadd (დედა) – ქართველური დედ; დრავიდული dod/did (დიდი) – ქართველური დიდ; დასავლეთ აფრიკული ევეს ენა: dada (დედა) – ქართველური დედა; ევეს didi (გრძელი) – ქართველური დიდ – ; ევეს kud (კვდომა) – ქართველური კუედ – ; მელანეზიური nena (დედა) – ქართველური ნენა და ა. შ. (ვრცლად იხ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1990, გვ. 23-26).

ამასვე გვაფიქრებინებს ივ. ჯავახიშვილის, გ. მელიქიშვილის, გ. კლიმოვის, რ. გორდეზიანის, თ. გამყრელიძისა და ვ. ვ. ივანოვის

დაკვირვებანი, რაც ხშირად სცილდება გენეტიკურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ არეალს. ალბათ პრაენა არც არსებობდა. თუმცა ენათმეცნიერები ფორმალური ლინგვისტური რეკონსტრუქციიდან გამომდინარე იცავენ ერთიანი ენის იდეას.

მაგ., ვ. ვ. ივანოვის აზრით, ერთიანი პრაენა უნდა ჩამოყალიბებულიყო 100.000 წლის წინათ, მუსტიეს ეპოქის გარიჟრაჟზე. ხოლო ენათა ოჯახები უნდა გაჩენილიყო Homo sapiens-ის დროს, მას შემდეგ, რაც ტომთა შეჯახებით, მოსპობითა და შერწყმით იქმნება ახალი კავშირები, ფართოვდება სივრცე, ირღვევა ვიწრო არეალი და ტომები გადაადგილდებიან.

ესენია: ინდო-ევროპული, იბერიულ-კავკასიური, აფრაზიური, დრავიდული, ურალური, ალტაური ენების ოჯახები. მათი პრაენიდან გამოყოფა უნდა მომხდარიყო 15 ათასი წლის წინათ.

მაგრამ წარმოუდგენელია, 70 თუ 80 ათასი წელი ევრაზიასა და აფრიკაში გაფანტულ ტომებს ჰქონოდათ ერთი ენა!

ამიტომ უფრო ლოგიკურია ვთქვათ, რომ გვარტომები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ოღონდ სხვადასხვა დროს, იწყებენ ამეტყველებას.

აქეთკენ მიჰყავდათ ისინი საერთო ბიოლოგიურ ბაზისსა და განვითარების ტენდენციას.

შემდეგ კი ამ პროტო-ენების ქაოსს მოსდევდა გაერთიანების, ინტეგრირების პროცესი.

გამარჯვებული ამკვიდრებდა თავის ენას, რომელსაც ცვლიდა დრო და გეოგრაფიული გარემო, ახალი ღვთაებანი და წეს-ჩვეულებანი.

ამის შედეგად ენა ისევ იშლება მრავალ სახედ, რომლებიც ერთმანეთს აღარ ჰგვანან, როგორც ერთი დედის შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები (იხ. „გვარ-ტომი და ფუძე-ენა“).

განვითარება სახეცვლა და ძირისგან დაცილებაა, როცა ქრება პირველსაწყისი.

ასე რომ, დიფერენცირება და ინტეგრირება დრო-სივრცით განსაზღვრული ურთიერთმონაცვლე და თანამდევი პროცესებია, როგორც ეს ხდება ღმერთის ცნების ტრანსფორმაციის დროს (იხ. „კულტურის ფორმირება: ღმერთების ნება“).

როგორც ვიცით, ნუკლეინის მჟავების კომბინაცია ქმნის გენეტიკური ინფორმაციის ტექსტს, რომლის ამოსავალია ოთხი ქიმიური რადიკალი.

მათ შეესაბამება, მათგან ამოდის ენობრივი სეგმენტები (რ. იაკობსონი, თ. გამყრელიძე).

ასევე ოთხი საწყისი ელემენტის ბგერათა ტრიადას ემყარება ნ. მარის გლოტოგონიური თეორია (სალ, ბერ, იოშ, როშ – ტომთა ტოტემური სახელები), რაც პარალელს პოულობს ძველი ჩინელების ფილოსოფიაში.

ამიტომ შეიძლება ფორმალური აღდგენა არარსებული პრაენისა.

სიტყვა-საგანი: ფეტიში – სული

აღქმა იმისა, რასაც ვერ სწვდებოდა რეფლექსები, რაც არ გადმოვიდა ცხოველ წინაპართაგან – შიშსაც იწვევდა, როგორც უეცარი ელვა.

თვალისმომჭრელი, მრავალფერი სამყაროს დანახვა, რაც იყო ტვინის ზრდის, სტრუქტურული დაყოფისა და მეტყველება – აზრის კოორდინირების შედეგი – ზრდიდა ფობიებს, აღიზიანებდა გონებას, რომელიც საგნებს ერთმანეთთან სიტყვით აკავშირებდა.

შიშისა და ძრწოლის დასაძლევად, რაც ფსიქიკიდან მოდიოდა, ნორჩმა გონებამ, ნეირონების სუსტმა ქსელმა მოუხმო მშველელს და მას შეეფარა, როგორც შიზოფრენიკი ნაპოლეონის, კეისარის თუ ღმერთის ნიღაბს, როგორც ჩვილი – დედას.

ადამიანმა საგნები და მოვლენები გააფეტიშა, მათში დაინახა ყოვლიშემძლე ძალა. ის, რისი მოსპობაც არ შეეძლო – თავისთავზე აღმატებულად მიიჩნია, გრძნობათა ნაკადით შემოსა ანუ აღნიშნა და დაემორჩილა.

ეს იყო შიშისაგან შობილი, აკვიატებული საგნის ფსიქიკაში შთაბეჭდილი მტკივნეული ხატი, რომელიც გარეთ ბგერათნაკადად იჭრებოდა, უკიდურესი მღელვარებით აღმოითქმოდა.

მას გადაეცემოდა კეთილი და ულმობელი თვისებანი, შფოთი და ძრწოლა ანუ მაგიური ბუნება.

ველური ყოველ საგანში იდუმალსა და შეუცნობელს ხედავდა. არა მხოლოდ ჩრდილი, მოჭრილი თმა, ფრჩხილი ან სახელი იყო მისი ნაწილი, არამედ – გამოსახულებაც, რომელიც წყალში აირეკლებოდა, ქვის სანადირო იარაღიც, რომელსაც ქალი ან ბავშვი არ უნდა შეხებოდა.

საგნის იდუმალ ძალას ანუ სულს ყველა თავის სახელს არქმევდა. ეს იყო ვაკანი, მულუნგუ, ზოგო, ორენდა, უონგი, არუნგკვილიტა, ე.ი. ღმერთის პრასახე.

ამიტომ მაიას ხალხები შესაწირავ საგნებს ამტვრევდნენ, ე.ი. სულს უკლავდნენ.

სიტყვა საგნის ნიშანი იყო, მოიცავდა მხოლოდ ნაწილს. მაგრამ ველურისათვის ნაწილი იგივე მთელი იყო, რადგან მინიშნებით წარმოიდგენდა როგორც რეალურს, ისე იდუმალს.

ქვების, ხეების, ცხოველების, ფრინველების, მზის, მთვარის სახელდებით იწყება ამ საგნების თაყვანისცემა, ამ საგანთა კულტი, რაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ყველა კონტინენტზე, ყველა რასაში, ოღონდ სხვადასხვა დროს, რაც უნდა ყოფილიყო ადამიანური ცნობიერების სხვადასხვაგვარი განვითარების შედეგი.

ამგვარ კულტს ფეტიშიზმს უწოდებენ. ხოლო სული ყველა საგანს ჰქონდა. ამიტომ სიტყვისა და ღმერთის წარმოქმნის პროცესი ერთმანეთისაგან განუყრელია, ისევე როგორც დღეს სიტყვისა და

აზრისა, ანუ უძველეს დროში საგნიდან გამოდიოდა აზრი, რომელიც მას ზებუნებრივ თვისებას ანიჭებდა.

გავიხსენოთ იოანეს სახარება, სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთიო, რომ გვეუბნება, ე.ი. ხაზი გაესმის სიტყვის იდუმალ, შეუცნობ, მისტიკურ თვისებასა და მნიშვნელობას, არა ჩვეულებრივ, არამედ – ზებუნებრივ წარმომავლობას (ბერძნული ლოგოსი ნიშნავს როგორც სიტყვას, ისე აზრს, სიმბოლურად – ქრისტეს).

„უპანიშადებში“ ნათქვამია, რომ პირველად იყო ბრაჰმა, რომელსაც ვედებამდე სიტყვის მნიშვნელობა ჰქონია.

ასე რომ უძველეს დროში სიტყვა იყო არა საგნის პრედიკატი, არამედ – თავად საგანი. საგანი კი მაგიურ ძალად აღიქმებოდა, ჩვენი ტერმინოლოგიით – ღმერთად.

4. ტოტემისტური წარმოდგენები

ურდო თუ ჯოგი ტომი ხდებოდა.

ტომი სათავეს იღებდა ერთი რომელიმე სახეობისგან (მაგ. მგელი, მუხა, დათვი) და იგი კრავდა სისხლით ნათესაურ წრეს, ხდებოდა მისი გვარის განმსაზღვრელი, მის სახელს ატარებდა. მას ტოტემს უწოდებდნენ, რომლის სისტემა აღმოაჩინა მაკ-ლენანმა.

ეს სიტყვა მოდის ჩრდილო ამერიკული ოჯიბვეს ტომიდან და ნიშნავს „მის გვარს“ (ევროპაში ჩამოიტანა ვაჭარმა და თარჯიმანმა ჯონ ლონგმა 1791 წელს).

საკვები და წარმოშობა

ტომი თავის თავს უკავშირებდა იმ ცხოველს ან მცენარეს, რომელიც ყველაზე მეტ საკვებს იძლეოდა ან ძლიერი იყო, ახდენდა

გაიგივებას ამ სახეობასთან, თითქოს მისგან იყო წარმოშობილი, თითქოს მისგან მომდინარე სული ანუ სიცოცხლე ჩაესახებოდა ქალს, რადგან ველური ვერ ხედავდა კავშირს სქესობრივ აქტსა და ბავშვის დაბადებას შორის (იხ. „სექსის რეგულირება და მატრიარქატი“).

ეს იყო ტოტემის, როგორც ტომის თუ კლანის პირველწინაპრის, წარმოქმნის საფუძველი. შემდეგ კი ტომის წევრები ქცევით, გარეგნობით თუ ხმით ცდილობდნენ ტოტემთან დამსგავსებას, რათა სიახლოვე აშკარა ყოფილიყო.

საკვები ველურისათვის, ისევე როგორც ცხოველისა თუ ფრინველისათვის, როგორც ძალისა და სიცოცხლის მომცემი, უმთავრესი იყო. მას საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. შდრ – პროტოხეთურში „პური“ ბატონს, უფალს ნიშნავს. ხეთურში – ბაგეს, კასიტურსა და ძველინდურში – ხორბლის ფქვილისგან გამომცხვარს; წინარებერძნული Πορος არის პური, ხორბალი (რ. გორდეზიანი).

კვების ერთიანი რაციონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს – გლობალიზაციის ეპოქაში.

ადამიანი საკვებით იშინაურებს და იჩვევს ცხოველებს, გეშავს მიმინოს თუ ათვინიერებს ნადირს.

ძაღლი იმის ერთგულია, ვინც პურს აჭმევს.

ცხოველს სარჩო გამუდმებით სჭირდება, ხოლო სექსის მოთხოვნილება პერიოდულად უჩნდება, მკაცრად არის განსაზღვრული და წელიწადში რამდენიმე დღეს მოიცავს.

ველურიც ასევე იყო მიბმული საკვებთან, რომელიც უკვე უმთავრესად ხორცი იყო: ჯერ – სისხლიანი, შემდეგ – შემწვარი, ბოლოს – მოხარშულიც (შდრ – „კანიბალიზმიდან კაცთშეწირვამდე“).

ასე რომ წარმომშობი სული საკვებში ბინადრობდა და დედის სხეულში ექცეოდა. ამიტომ უძველესი გვარ-სახელები მცენარეებს, ცხოველებს, ფრინველებს, ბუნების ძალებს უკავშირდება (მაგ., ქართული გვარები – მგელაძე, ლომიძე, ვეფხვაძე, მუხაძე, ჭყონია, ჯიქია, რცხილაძე, ცისკარიძე, ვეშაპიძე, თუთაშხია, მდინარაძე, ტაბიძე,

ფოცხვერია, ქირია, ქორიძე, კოდალაშვილი, მელაძე, ტურაშვილი, აფთარაული, სირაძე, ჩიტაძე, წეროძე, თევზაძე; სახელები – ძაღლიკა, ჯოღორია, მგელიკა, დათვია, ვეფხვია, მთვარისა, ცისანა, მზისა...).

ასეა სხვა ენებშიც.

ტოტემი იყო არა ცალკეული ცხოველი ან მცენარე, არამედ – მთელი სახეობა (მაგ., საერთოდ მგელი, კენგურუ თუ ლომი), რომელსაც ერთნაირი სუნი ჰქონდა.

ის, რომელიც საზრდოს იძლეოდა, მფარველი და დამცველიც იყო. მფარველი კი იდუმალ ძალას შეიცავდა, რაც შიშს, სიფრთხილეს და მორიდებას იწვევდა.

როგორც ვთქვით, ნეანდერტალელი ჰალუცინაციის მსგავსი აზროვნებით, შესაბამისი ქცევითა და მოქმედებით ჰგავდა თანამედროვე ფსიქო-ნერვულ ავადმყოფს, სჩვეოდა მისებრი შიში და აგრესია.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლა და განმუხტვა უნდა ყოფილიყო შინაგანი ღელვის, ლტოლვებისა და აფექტების გამოტანა ტოტემის სახედ, ისევე როგორც უფრო ადრე – ამეტყველება.

იგი იყო საგანთა სიმრავლეში აღმატებული ძალა, რომელთაც თაყვანს სცემდა ველური და ჩვენ ფეტიშებს ვეძახით.

ამას კი მოჰყვა დრამატიზმისა და განგაშის შენელება, სულის ტემპერატურის დაწევა და გონების გააქტიურება, ჰუმორალური სისტემისა და ნეირონების ადექვატური ფუნქციონირება.

ტოტემები და ღმერთები იქმნებოდნენ ადამიანის ცნობიერებაში და ავლენდნენ ცნობიერების აქტივობის ხარისხს. ხოლო ბელადები და ქურუმები რეალურად არსებობდნენ.

ადამიანი ორივე ძალას – წარმოსახულსა და ხილულს ემორჩილებოდა, ემორჩილებოდა იმ უღელს, რომელიც თავად დაიდგა.

როგორც ვიცით, ტოტემი არ უნდა მოეკლათ, ტოტემის ხორცი არ უნდა ეჭამათ. მას უკავშირდებოდა გადმოცემები და აკრძალვათა სისტემა, მაგრამ განსაზღვრულ დროს ტოტემს ჰკლავდნენ, მის სისხ-

ლსა და ხორცს ინაწილებდნენ, რათა თანაზიარობა გაეხსენებინათ და ტოტემის ძალა შეჰმატოდათ.

ტოტემთან ნათესაობა და კავშირი სისხლით უნდა განახლებულიყო, ისევე როგორც შემდეგ ღმერთებთან.

ასეთი წარმოსახვა რეალური ძირიდან იყო ამოზრდილი, რაც იშლებოდა და ივსებოდა ახალი საგან-სიტყვებით. მაგ., კალიფორნიელი ინდიელები წელიწადში ერთხელ მართავდნენ ფრინველ კაკაჩას დღესასწაულს. ფრინველს კლავდნენ უსისხლოდ, შემდეგ გაპუტავდნენ და დამარხავდნენ. ქალები ტიროდნენ და გლოვობდნენ, თითქოს ნათესავი დაჰკარგვოდათ. ეგონათ, რომ კაკაჩა ადრე ქალი იყო, რომელიც ღმერთმა ჩინიგჩინიჩმა ფრინველად აქცია, როცა ტყეში თავზე წაადგა (ლევი-ბრიული).

მოკლული ფრინველი ისევ აღდგებოდა (შდრ – ფენიქსის მითი).

ავსტრალიურ ტომებში 700-მდე ტოტემს ითვლიან.

მათი უდიდესი ნაწილი ცხოველთა და მცენარეთა სახელებია. ზოგან მიაჩნდათ, რომ მხეცები ადრე ადამიანები იყვნენ, რომ ადამიანის სული გადადიოდა ცხოველებსა და ფრინველებში. ამიტომ ძლიერ მამაკაცს თუ ტომის ბელადს ტოტემ-ცხოველთან აიგივებდნენ.

დროთა მანძილზე ტოტემთა სახელები ტომთა სახელებად იქცეოდა, ტომთა სახელები – გვარებად (დედის ხაზიდან), აისახებოდა ტოპონიმიკაში, ზეციურ მნათობთა იერარქიაში.

ტოტემური ჰიპოსტასები

ასე იკვრებოდა სიცოცხლის ერთიანი წრედი, რომელშიც სული უსასრულოდ მოგზაურობდა – ცხოველიდან ადამიანში, ადამიანიდან – ცხოველში.

როგორც ზეცაში მზეს, ისე მიწისქვეშეთში მიცვალებულის სულს ცხოველები და ფრინველები მიაცილებდნენ.

პალეოლითის პერიოდის ნახატების აბსოლუტური უმრავლესობის პერსონაჟები ცხოველებია. ყველაზე მეტად კი – ცხენი და ბიზონი.

მითოლოგიური პანთეონი სავსეა ნაირგვარი ცხოველებითა და ცხოველთა ნიღბებით, ჰიპოსტასებითა და სიმბოლიკებით.

ტოტემი – ტომის პირველწინაპარი – თანდათან გაიგივდა ტომის ბელადთან, რასაც მოჰყვა დაღუპული ბელადის კულტი. იგი შეერწყა ცხოველსა და მცენარეს და მიიღო ცხოველ-კაცის, ხე-კაცის, გველ-კაცის ნიღაბი.

ბელადი და ქურუმი ტოტემის ტყავით იმოსებოდნენ, რათა უფრო დამგვანებოდნენ პირველწინაპარს, ე.ი. მხეცს.

მოღწეულია ზედა პალეოლითის დროინდელი ნახატი კლდეზე, მღვიმეში: ბიზონისთავა და ირმისტანა შიშველი კაცი მისდევს დამფრთხალ ბიზონებს.

ტოტემის სახით მონადირეს, იარაღის შემდეგ ახალი ძლიერი მოკავშირე გამოუჩნდა, რომელსაც გაფრთხილება და პატივისცემა სჭირდებოდა. ამიტომ ჰქონდათ ღმერთებს რამდენიმე ჰიპოსტასი:

ერთი მხრივ – ადამიანის სახე აქვთ, მეორე მხრივ – ბუნების ძალებს ასახიერებენ, გველს, ლომს, ცხვარს, ჭექა-ქუხილს, მესამე მხრივ – ზებუნებრივ ძალებს გამოხატავენ.

მათ არსებაში შერწყმულია აბსტრაქტულ-ღვთაებრივი და კონკრეტულ-ყოფითი ნიშან-თვისებები.

ტოტემური ჰიპოსტასები ღმერთებს მიწიერ საყრდენს აძლევდათ. მაგ., ეგვიპტური: ჰორი – შევარდენი, სეტი – გველი, ოსირისი და ამონი – ცხვარი, ატონი – ხბო, აპისი – ხარი, რა – მზე, ჰატორი – ძროხა, ტოტი – ძაღლი, სებეკი – ნიანგი.

ელინური: ზევსი – მოზვერი, არწივი, მუხა, დიონისე – ხარი და გველი, დემეტრა – ქალი ცხენის თავით, ათენა – ზარნაშო, ესკულაპე – გველი.

ათენის დამაარსებელი კეკროპი გველისფეხება იყო, სილენი-თხისფეხება, კენტავრი – ცხენ-კაცი, მინოტავრი – ხარ-კაცი, ასურუ-ლი შედუ – ფრთოსანი ხარ–კაცი და ლომ-კაცი, ეგვიპტური სფინქსი – ლომ-კაცი, ბერძნული სფინქსი – ფრთოსანი ურჩხული ლომის ტანითა და ქალის თავით.

ჩინეთში ინის დინასტია წინაპრად მერცხალს მიიჩნევდა; იმპე-რატორი იაო დედას წითელი დრაკონისაგან ჩაესახა, ფილოსოფოსი ლაოძი – დაცემული ვარსკვლავისაგან.

დუმუზი ზეციური გველის შვილი იყო.

პაპუასების რწმენით, ზღვის არწივს ცოლად ქალი ჰყავდა; ქო-ქოსის პალმა წარმოიშვა გველის ვაჟისაგან, მტრედი – ბანანის ფოთ-ლებიდან და ა.შ.

ტოლტეკების და აცტეკების მთავარი ღმერთი კეცალკოატლი მწვანე ფრთოსანი გველკაცი იყო, უიცილოპოჩტლი – კოლიბრი, მზის ხატი მეომრის ფორმით, მაიას კუკულკანი – ფრთოსანი გველი და ა.შ.

მაიას ქვეყანას ერქვა „დიდი გველის სახელმწიფო“.

ავსტრალიურ ტომებს ჰყავდათ კაცი-ძაღლი, კაცი-შევარდენი, მთვარე-კენგურუ, მთვარე-მამაკაცი, მზე-ქალი...

ამგვარი ტოტემისტური რწმენა შუასაუკუნეების ევროპაში ჯა-დოსნებს გადაეცათ, რომლებიც თითქოს მგლად, ლეოპარდად თუ კატად იქცეოდნენ (Э. Тайлор, Первобытная культура, М., 1989). ან როცა ეგონათ, რომ კაცს ნამდვილის გარდა კიდევ ჰქონდა „ტყის სუ-ლი“, რომ მისი სული ცხოვრობდა გარეულ ცხოველსა ან ხეში, ე.ი. კონკრეტული მცენარე თუ ცხოველი ისევ ნათესავად (თუ წინაპრად არა) მიიჩნეოდა.

მაგ., ნიანგს თუ მოკლავდნენ და ამ დროს სოფელში ვინმე მოკ-ვდებოდა, ჩათვლიდნენ, რომ გარდაცვლილის სული ცხოვრობდა ნიანგში და ეს ნიანგი კი არა – კაცი მოკლეს, ე.ი. ვლინდებოდა ტო-ტემური რწმენა, როცა ეგონათ, რომ რაც ტოტემს გადახდებოდა,

იგივე დაემართებოდა მის ტომს (შდრ – მსგავსი სიმბოლიკა კ. გამსახურდიას პროზაში).

ამდენად – ტოტემის წარმოშობა შიშის შედეგი უნდა ყოფილიყო, შიშით აღძრული ფანტაზიის ხატი, რასაც ჰალუცინაციის ფორმა მიეცა.

ტოტემის მკვლელობა

განსაზღვრულ დროს ტომი ტაბუს არღვევდა და ტოტემს კლავდა, რათა მის სისხლსა და ხორცს ზიარებოდა, მისი ძალა გადასცემოდა.

ეს იყო ველურთა დღესასწაული, რაც შემდეგ ტოტემ-ბელადისა და ბელადის რიტუალური მკვლელობის პარალელურად გაგრძელდა (იხ. „ბელადის მკვლელობა“).

იესო ქრისტემ პური მონათლა ხორცად, სისხლი – ღვინოდ და გამოაცხადა, რომ ასეთი სახით ეჭამათ მისი სისხლ-ხორცი, ე.ი. ერთი მხრივ აღკვეთა კანიბალიზმი, მეორე მხრივ – განმარტა სარჩოს ღვთაებისგან წარმომავლობა.

თავად საკვები იყო ღმერთი – ცხოველი, თევზი, მცენარე, ადამიანი.

ტოტემი ტომს აკავშირებდა ტერიტორიასთან, რიტუალებით აერთებდა ტომის წევრებს, ტაბუირებით აწესრიგებდა სექსუალურ ლტოლვებს.

ტოტემისა და ტაბუს სისტემა ძალას ჰმაგებდა ტომს, ტომი დაცულად, უსაფრთხოდ გრძნობდა თავს.

ასე უფრო მარჯვედ და კარგად შეეძლოთ ნადირობა, სარჩოს განაწილება, წესრიგის დაცვა, შინაშეტაკებათა აცილება, რაც სექსს უკავშირდებოდა.

ამის შედეგად გრძელდებოდა სიტყვებისა და წარმოდგენების დიფერენცირება, ხედვა ივსებოდა ახალი საგნებით, მეტყველება – სიტყვებით.

დროთა მანძილზე ტოტემები ღმერთებად გარდაისახნენ (იხ. „კულტურის ფორმირება: ღმერთების ნება“), რომელთაც მშობელთა, წინაპართა, ბელადთა სახეები ჰქონდათ.

5. აკრძალვათა სისტემა (ტაბუ)

ადამიანი ცხოველთა სამყაროს გამოეყო აკრძალვათა სისტემით, რაც ეფუძნება გონს, აზროვნებას, თავდაპირველად – ტოტემისტურ წარმოდგენებს.

კულტურა ნიშნავს ბიოლოგიურ ინსტინქტთა შეკავებას, გარდასახვას ან აკრძალვას. მაგ. მოსეს ზნეობრივი კოდექსი თუ როგორ ეცხოვრა ებრაელთა ტომს, რაც მოსეს უფლისაგან გადმოეცა.

რელიგიით დამკვიდრებულ და კორექტირებულ ადათ-წესებს აზუსტებდა და აკონკრეტებდა იურიდიული კანონი.

მას სათავე ჰქონდა უძველეს წარსულში, ველური ტომების მიერ დაწესებულ აკრძალვებში, რაც ტოტემის გარშემო ტრიალებდა.

ტაბუსაც წარმოშობდა შიში, შიში სიკვდილისა და შეუცნობელისადმი, იმ სულისადმი, რომელსაც ტაბუირებული საგანი ატარებდა. ყოველი საგანი, რომელიც ველურის ცნობიერებაში შეიჭრა, საფრთხეს ქმნიდა და საჭირო იყო თავდაცვა, არიდება თუ მორიდება.

რასაც ვერ ეგუებოდა ველურის გონი, ეს იყო ცვალებადობა, საგნისა თუ მოვლენის მეტამორფოზა.

სახეცვლა, რაც არღვევდა სიმშვიდესა და სტაბილობას (მაგ., მიცვალებულის გაშეშება და გახრწნა), კეთილის მავნედ მოქცევად მიაჩნდათ. მაგრამ თუ თავად მიმართავდნენ – საფრთხეს აიცილებდნენ.

სახელთა წარმოქმნა და ცვლა

სახელთა ტაბუირება იწვევდა მრავალსახელიანობას, ნამდვილს ერთვოდა შერქმეული.

სულთა მაგიური შემოტევა ასე გადაჰქონდათ შერქმეულზე, რათა ნამდვილი გადარჩენილიყო, ხიფათი აეშორებინათ (შდრ – სვანური სამონადირეო ტაბუ კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“).

ავსტრალიური და ამერიკული ტომები, ეგვიპტელები, ქართველური ტომები ნამდვილ სახელს მალავდნენ.

სახელის გამჟღავნება არ შეიძლებოდა.

სახელიც სხეულის ნაწილი იყო, შინაგან ძალთა, ფარულ ენერგიათა კონდენსატორი (ზ. გამსახურდია).

სახელი წარმოიქმნებოდა რაღაც ნიშნის აქცენტირებით, სიტყვათა შერწყმით, რომელიც ტაბუირების გამო დაშიფრული იყო – პიროვნებას მალავდა ან მისი პრედიკატი იყო:

მაგ. „ჰამუ-რაბი“ – „ჩემი ღვთაებრივი ბიძია“, „ოიდიპოსი“ – „ტერფებდასიებული“, „აბრაამი“ – „უზენაესი მამა“, „ზიგფრიდი“ – „გამარჯვება და დაცვა“, „ემანუილი“ – „ღმერთი ჩვენთანაა“...

ერთ ადამიანს შეიძლება მრავალი სახელი ჰქონოდა, რაც იცვლებოდა ასაკის, მდგომარეობის, დროისა და ადგილის მიხედვით.

აკრძალული იყო ღმერთის, ბელადის, ქურუმის, ქმრის, დედამთილის, მამამთილის, სიმამრის, სიდედრის, რძლის, სიძის, მიცვალებულთა სახელების ხსენება.

ტაბუირება წარმოშობდა მრავალსახელიანობას, რაც ენის განტოტვას იწვევდა;

ღმერთის ჭეშმარიტი სახელი მხოლოდ ქურუმებმა და ხელდასხმულებმა იცოდნენ.

აკრძალვათა სისტემა ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. მას ჰქონდა ერთიანი ზოგადი სტრუქტურა და ამ სტრუქტურის უამრავი ვარიაცია.

ვარიაციები იცვლებოდა, ქრებოდა, ახალი ჩნდებოდა ან რჩებოდა ერთი ან რამდენიმე ტომის სივრცეში.

ზოგადი კი ყველგან თავს იჩენდა, ყველგან ვლინდებოდა კავშირებისა და კონტაქტების გარეშე.

შიში და აკრძალვა

არა თუ ადამიანს, ცხოველსა და ფრინველსაც კი აქვთ აკრძალვათა ინსტინქტური სისტემა; მაგ. ლომი, ვეფხვი ან მგელი ბალახს არ ჭამენ, ცხვარი და ძროხა – ხორცს. შინაური ცხოველები (მაგ., ძაღლი და კატა) ადამიანთან სიახლოვემ მცენარეულ საკვებს (მაგ., პური) შეაჩვია, თუმცა ცხოველური ურჩევნიათ.

აკრძალვათა წარმოქმნა ხდებოდა თავდაცვისა და ინსტინქტურ მოთხოვნილებათა შესაბამისად, არა გონების კარნახით; უკავშირდებოდა ტოტემისტურ, შემდეგ – რელიგიურ წარმოდგენებს.

ამიტომ ჰქონდა კანონზე მეტი ძალა.

კანონი მხოლოდ ცნობიერის დონეზე მოქმედებს. ტაბუირება კი სწვდება სულის სიღრმესაც, ბნელ ინსტინქტებს, რომლის დარღვევა ველურს არ შეეძლო. იგი ამ აკრძალვათა სისტემით, მის მიერ დადგენილი მიმართებებით აღიქვამდა საგნებს და მათ ემორჩილებოდა.

დარღვევის შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ ველური შეიძლება მომკვდარიყო კიდეც უეცარი ელდით. ეს შიში ზებუნებრივი ძალებისაგან მოდიოდა.

ველურების ტაბუირების სისტემა ჰგავს თანამედროვე ფსიქონერვულ ავადმყოფთა აკვიატებულ წარმოდგენებს, რიტუალურ აკრძალვებს (З. Фрейд, „Тотем и табу“, წიგნში: „Я и Оно“, М.- Х; 1999).

ყნოსვა და სულთა კავშირი

როგორც ვთქვით, საკვები განსაკუთრებული თაყვანის საგანი იყო, რადგან მის მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

მუდმივი საზრდო კი იყო ირმის, მარტორქის, ბიზონის, ტახის ხორცი.

ისინი თავიანთ სისხლსა და ხორცს აძლევდნენ ველურს, რასაც სჭირდებოდა მოპოვება, დასაკუთრება.

ამისთვის კი აუცილებელი იყო სამონადირეო ხერხები, წესების დაცვა, რაც ამკვიდრებდა ტაბუირების სისტემას, ე.ი. მონადირეს უნდა სცოდნოდა თუ რა შეიძლებოდა და რა არა. ეს ცოდნა რაღაც მინიშნებებზე იყო აგებული.

ველურს სწამდა, რომ ყოველ საგანს აქვს ადამიანის მსგავსი სული, ალბათ იმიტომ, რომ საგანსაც ისევე აქვს ჩრდილი, როგორც ადამიანს.

ჩრდილი არსებობს, მაგრამ უსხეულოა, ისევე როგორც სულს არა აქვს მატერიალური სახე. სული – ეს ველურის მიერ შემჩნეული საგნის სიცოცხლეა, რომელიც სუნის სახით შეიგრძნობა.

ტაბუირების საფუძველი უნდა ყოფილიყო რწმენა სულთა კავშირზე, მათ მიგრაციაზე, დამხმარე (კეთილ) და ხელშემშლელ (ბოროტ) ძალებზე, რომ არსებობდა უხილავი კავშირი ნადირსა და მონადირეს შორის.

ამ კავშირს სულები განაგებდნენ.

შეიძლება ამგვარ რწმენას რეალური საფუძველიც ჰქონოდა.

ერთი მხრივ – შესაძლოა ეს მავნე სულები დღევანდელი გაგების ვირუსებიც ყოფილიყო. ისინი უხილავად სპობდნენ მთელ პოპულაციას და უძველეს დროში მისგან თავის დაცვა ამგვარი განრიდებით თუ მოხერხდებოდა (შდრ – სულხან-საბა: „ქარიცა სულად უთქვამთ“).

მეორე მხრივ – სულების მოძრაობად იყო მიჩნეული ჰაერის უჩინარი რხევები.

დღესაც ნადირის ყნოსვა გაცილებით ძლიერია, ვიდრე ადამიანისა, მაგ., მეძებარი ან დეტექტივის სამძებრო ძაღლი სუნს 100-ჯერ ძლიერ იღებს, ვიდრე ადამიანი.

ვარანი 8 კმ-ზე გრძნობს მსხვერპლს; სატურნის ჯიშის პეპლები მდედრს 11 კმ-დან შეიგრძნობენ; მწერები ყვავილის სურნელს გრძნობენ კილომეტრნახევარზე. ცხვარი ახალმოგებულ ბატკანს ათას ბატკანში გამოარჩევს. ნაშიერს ზრდასთან ერთად ეცვლება სუნი და მშობელიც მისდამი გულგრილი ხდება.

როგორც ვთქვით, სულებს აღიქვამდნენ და განარჩევდნენ სუნის მიხედვით, რაც საერთო იყო ერთი სახეობისათვის.

ველური არჩევს ყოველი ცხოველისა და ფრინველის ნაკვალევს, სცნობს ახლობელთა ფეხის ანაბეჭდებს, ასხვავებს ქალისა და კაცის ნაფეხურებს, მყისვე ხვდება – ცხოველი სოროში არის თუ არა.

სუნის აღქმაც ველურს ძლიერ ექნებოდა გამახვილებული, რასაც ხელს უწყობდა წმინდა ჰაერი და დაურღვეველი სიჩუმე, რაც მცირე ჩქამსაც შორს ატარებდა. სულის აღქმა მხოლოდ ყნოსვით შეიძლებოდა.

ძუ დათვი შარდის სუნის სიმძაფრით საზღვრავს თუ როდის იყო აქ ხვადი.

ზღვის დონე ყველგან ერთნაირია, რადგან ყველა ზღვა და ოკეანე ერთმანეთს უკავშირდება.

ასევე ერთმანეთს უკავშირდება ატმოსფერული მოვლენები, რასაც გრძნობს ნადირი და ფრინველი.

ჰაერი უმნიშვნელო რხევებით დედამიწის ყოველ წერტილს აერთიანებს, რის გამოც უკაბელოდაც ხორციელდება რადიო, ტელე და მობილური კავშირები.

ჰაერს რომ ნადირის ან მონადირის სუნი მოჰქონდა, ეს იგივე სული იყო (სუნთქვა – სულთქმა; душа, дух и дыхание სლავურ ენებში), ე.ი. სიცოცხლე.

ასეთ კავშირს ტელეპათიას უწოდებენ, რაც გულისხმობს ერთი პირის ფსიქო-ნერვული მდგომარეობისა და აზრების მეორისათვის უხილავად შორს გადაცემას (შდრ. – „შიში და ფანტაზია“).

თუ აკრძალვათა სისტემა არ იქნებოდა დაცული, თუ მონადირე ამ ცოდნაში განდობილი არ იქნებოდა, ხელი მოეცარებოდა, რადგან ეს იყო საიდუმლო ცოდნა, საგნის გადასახელება, ნამდვილის შეცვლა შერქმეულით.

ტაბუირების სისტემა ახალ-ახალ სიტყვათა გუნდს წარმოქმნიდა. იგი ნადირობიდან სხვა სფეროზე გადავიდა, ყველაზე მეტად – სექსუალურ კავშირებზე.

ალბათ შურისძიებაც, რაც ქართველურ ტომებშიც იყო გავრცელებული, არ იყო მხოლოდ სამაგიეროს მიგება, დამნაშავის დასჯა, არამედ – მართლაც სულის ძიება (შური მეგრულად როგორც სულს, ისე სუნს ნიშნავს), იმ მავნე სულისა, რომელმაც მტრის ხელით მოიტანა სიკვდილი.

სვანურშიც ერთი სიტყვა ქუინ აღნიშნავს სულსაც და სუნსაც.

უფრო მეტიც – სუნ/სულ ძირი საერთოა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის.

ტაბუირება პირველ რიგში ეხებოდა ტოტემს: ტოტემი არ უნდა მოეკლათ, არც მისი ხორცი ეჭამათ, რადგან იგი ველურის წინაპარი იყო.

ტოტემის მოკვლა და მისი ხორცის ჭამა დასაშვები იყო რიტუალურად, მთელი ტომის მიერ, განსაზღვრულ დღეს.

ეჭვი და ხიფათი

წარმოშობის თვალსაზრისით ტაბუს არავითარი კავშირი არა აქვს დღევანდელ ზნეობასთან და მორალთან. მაგრამ სწორედ იგი

იქცა ზნეობისა და მორალის ქვაკუთხედად, რაც რელიგიურ წარ-მოდგენებში გაგრძელდა და სახე იცვალა.

ადამიანი საფრთხისაგან თავს იცავდა, რაც ყოველ ნაბიჯზე ჩა-საფრებოდა, თუმცა რეალურად იქნებ არც არსებობდა, მაგრამ ასე მიაჩნდა.

სამყარო კი სავსე იყო ხილული თუ უხილავი უკეთური ძალე-ბით, რომელთა შორის გზა დაუზიანებლად უნდა გაეკვლია ვე-ლურს. ამიტომ უნდა სცოდნოდა – რა არ შეიძლებოდა.

რაც არ შეიძლებოდა, რასაც ტაბუ ედო, იმის გარდა ყველაფერი დასაშვები იყო. ეს იყო ნეგაციის ხერხით მიღწეული შედეგი, საარსე-ბო ფორმა, რათა ველურს სულის ფორიაქი დაეცხრო.

ტაბუირებული იყო როგორც დამნაშავე, ისე მშობიარე ქალი. ეს თითქოს გაუგებარია, მაგრამ ამ ორ საგანს შორის არსებობს სისხ-ლით კავშირი – დამნაშავე უნდა მოიკლას, ე.ი. სისხლი დაიღვაროს, მშობიარობაც სისხლდენას უკავშირდება, რაც შეიძლება ასევე სასიკ-ვდილო აღმოჩნდეს.

ველურს კი სისხლი აფრთხობს და აშინებს, ისევე როგორც მკვდარი. სისხლი იგივე სულია, კეთილი თუ ბოროტი. ბოროტი სუ-ლები ინფექციურ დაავადებებს ავრცელებდნენ და სიკვდილს თესავ-დნენ გარშემო.

ველურმა ინფექცია არ იცოდა, მაგრამ რაღაც უხილავ ძალას რომ ზიანი მოჰქონდა, ამას კარგად ამჩნევდა.

ტაბუირებული იყო, როგორც მიცვალებული, ისე ახალშობილი, როგორც ტოტემი, ისე უწმინდური; შეხებაც ისევე საბედისწეროა, როგორც შეხედვა; უკეთური ფიქრი იგივეა, რაც მავნე მოქმედება;

ტაბუს სისტემაზეა აგებული როგორც სექსუალურ ურთიერთო-ბათა, ისე კანიბალიზმის მოწესრიგება, ბელადისა და ქურუმის დაც-ვა, უფლის და კაცის მრავალსახელიანობა.

ძალაუფლების შეზღუდვა

ჯ. ჯ. ფრეზერს გამოკვლეული აქვს ტაბუირების სისტემა და უამრავი მაგალითი მოაქვს სხვადასხვა ტომთა ცხოვრებიდან, რომლებიც 20 ათასი წლის წინათ მოსწყდნენ ევრაზიის კონტინენტს და დარჩნენ ქვის ხანის ადამიანის ცნობიერების დონეზე.

მსგავსი წარმოდგენები შემორჩა ბრინჯაოს ეპოქის ხალხებსაც.

ეგვიპტის ფარაონს ღმერთად მიიჩნევდნენ, მაგრამ ცხოვრება მკაცრად ჰქონდა რეგლამენტირებული. განსაზღვრული იყო სეირნობის, სადილობის, ბანაობის, ცოლთან დაწოლის, სახელმწიფოს მართვის საათები.

უნდა ეჭამა მხოლოდ ხბოსა და ბატის ხორცი, დაელია მცირეოდენი ღვინო, თავზე დგმოდა მრავალი სიმბოლოს შემცველი გვირგვინი.

რომში იუპიტერის ქურუმი ცხენზე არ უნდა შემჯდარიყო, ჯარისათვის არ ემზირა, არ შეხებოდა ცხოველებსა და უმ ხორცს, მიცვალებულს, არ გაევლო ვენახში; თმა მისთვის უნდა შეეჭრა ბრინჯაოს დანით თავისუფალ მოქალაქეს; თავსაბურველის გარეშე არ გასულიყო გარეთ...

ცოლსაც მსგავსი წესები უნდა დაეცვა. მაგ., უნდა ჩაეცვა მხოლოდ შეწირული ცხოველის ტყავის ფეხსაცმელი.

ამგვარი აკრძალვები მიმზიდველობას უკარგავდა ძალაუფლებას და ზოგი მემკვიდრე უარსაც აცხადებდა დაეკავებინა მმართველის ან ქურუმის სახელო.

მაგრამ ასეთი შეზღუდვა აუცილებელი იყო, რათა ხელისუფალს განუსჯელად არ ემოქმედა. ამიტომ არსებობდა დემოკრატია ბარბაროსობის შემდგომი პერიოდის ათენსა და რომში (იხ. „არქაული დემოკრატია“).

ტაბუს სისტემას იცავდნენ მმართველი (ბელადი) და ქურუმი. ასე უფრო იოლი იყო ხიფათის აცილება და უფლის გულის მოგება.

მთელი და ნაწილი

ღვთაებრივი არსება ცეცხლს ჰგავდა: თუ აკრძალვებს დაიცავდი, მისგან სიკეთე მოდიოდა, თუ დაარღვევდი – დაგწვავდა.

ერთგან სჯეროდათ, რომ ქურუმ-ბელადის სახლში შესვლა სიკვდილს ნიშნავდა, მეორეგან – შეხედვაც იგივე იყო; მესამეგან – თუ ბელადს ველური შეეხებოდა და დაუბანელი ხელით საჭმელს შეჭამდა – მოკვდებოდა, რადგან ბელადს შხამის ძალაც ჰქონდა, რაც ხელიდან საჭმელზე გადადიოდა; არც მისი სამოსელით ან თუნდაც სუფრის ნარჩენებით სარგებლობა შეიძლებოდა.

როგორც ფსიქო-ნერვული ავადმყოფი, ისე კატასტროფულად რეაგირებდა ველური წვრილმანებზე. რწმენის ფაქტორი სიცოცხლის ნებაზე ძლიერი იყო. წარმოსახვა სძლევდა რეალობას და სავსებით ჯანმრთელიც კი დეპრესიით კვდებოდა.

თმის შეჭრა და ფრჩხილების დაქნა სხეულის მოკლება იყო და სიკვდილთან ასოცირდებოდა.

ზოგ ტომში, როცა კაცი მოკვდებოდა, მიიჩნევდნენ, რომ ეს იმიტომ მოხდა, რომ მდინარეზე გადასვლისას მისი ლანდი ნიანგმა მოიტაცა. ლანდი კი სხეულის ნაწილი იყო. ამიტომ ძველ ინდოეთსა და ძველ საბერძნეთში წყალში თავიანთ გამოსახულებას არ შეხედავდნენ.

ახალ დროშიც ბევრგან ტაბუირებული იყო სარკეში ჩახედვა, პორტრეტის დახატვა, სურათის გადაღება, რადგან ეს იგივე სულის მოტაცება იყო. ეს კი სიკვდილს მოასწავებდა. გარეთ დარჩენილ სულს, სხეულიდან გამოსულს, ვინ იცის რა ფათერაკი შეემთხვეოდა. ამიტომ კრძალავდნენ მხატვრობას მუსულმანები და დიდხანს ქრისტიანებიც (მაგ., ხატმებრძოლობა ბიზანტიაში).

ნადირის კვალის პოვნა – ეს იგივე ნადირის დანახვა იყო, რადგან ნაკვალევი მას ეკუთვნოდა, მის ნაწილს შეადგენდა, როგორც ადამიანის მოჭრილი თმები თუ ფრჩხილები.

ნადირის მღვიმურ ნახატზე თუ ჭრილობას გამოსახავდნენ, ეს იგივე ცოცხალი მხეცის მოკვლას ნიშნავდა.

ხშირად სულს ფრინველად წარმოიდგენდნენ, რომელიც შეიძლება გაფრენილიყო. ამიტომ მალაიზიელები სატყუარად ბრინჯს უყრიდნენ.

ეგონათ, რომ ძილის დროს სული სხეულს სტოვებდა და ცალკე აგრძელებდა მოქმედებას, რადგან სიზმარში ნანახი ნამდვილად მიაჩნდათ.

მძინარის სწრაფი გაღვიძება არ შეიძლებოდა, რადგან სული დაბრუნებას ვერ მოასწრებდა. უსულოდ გაღიძებული კი ან მოკვდებოდა, ან დასნეულდებოდა (შდრ – „სული განუტევა“, ე.ი. გაუშვა).

ზოგ ტომში ეგონათ, რომ ხილულ დიდ სხეულში ცხოვრობდა პატარა, უხილავი სხეული, რომელსაც ჰქონდა თავი, ტანი, ხელ–ფეხი.

ავადმყოფობის დროსაც სული სტოვებდა სხეულს და სადღაც დაეხეტებოდა. ექიმბაშს იგი უკანვე უნდა დაებრუნებინა, ან თავად ეყვირა ავადმყოფს, რასაც სული გაიგებდა.

ჩრდილი ისევე იყო სული, როგორც წყალში არეკლილი გამოსახულება ანუ ადამიანის სხეულის ნაწილი.

სხვა ტომის წევრი უცხო სული იყო, ამიტომ სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ. უცხო უნდა განწმენდილიყო, რადგან შეიძლება მავნე სულებს ატარებდა. მავნე აზრები იგივე მავნე სულები იყო. მათ კი შეეძლოთ ზიანის მოტანა.

ამიტომ ბელადი უცხოს მხოლოდ განწმენდის შემდეგ შეხვდებოდა: საამისოდ ერთგან თხას კლავდნენ და გზას, რომელზეც ბელადი გაივლიდა, მისი სისხლით რწყავდნენ; მეორეგან პალმის ფოთლებით მოჰყავდათ ჭიანჭველები, რომელთაც უცხოს სხეულზე დაახვევდნენ; მესამეგან ზარებს არისხებდნენ, ცხვარს კლავდნენ და უცხოს კოცონებს შორის გამოატარებდნენ და ა.შ.

ასევე ხდებოდა მაშინაც, როცა ველური უცხო მხარეში გადადიოდა, სადაც ხიფათი ნამდვილად ელოდა; ერთგან მუგუზალი ეჭირათ ხელში ან ხის ტოტს ზურგზე ირტყამდნენ და ა.შ.

უკან მობრუნებულს, ვიდრე ცოლთან მივიდოდა, ტანი უნდა დაებანა; ასევე უნდა მოქცეულიყო ბრძოლიდან მობრუნებული, რათა სისხლი, ე.ი. უცხო სული გასცლოდა.

ტაბუირებული იყო საჭმელ-სასმელიც.

ჭამის დროს კარს ხურავდნენ, რათა მავნე სული ანუ სული არ შემოჭრილიყო. დამრღვევს სასტიკად სჯიდნენ, თუნდაც იგი ბელადის შვილი ყოფილიყო.

ასევე ტაბუ ედო შიშველ სახეს, სახლის შენებას.

შუასაუკუნეების საბერძნეთშიც კი სახლის ფუნდამენტს ამაგრებდნენ ბატკნის, ცხვრის ან მამლის სისხლით. შემდეგ მათ იქვე მარხავდნენ.

ეს შენობას სიმტკიცეს აძლევდა.

ზოგჯერ მშენებელი ფარულად ქვებში ატანდა ადამიანის ზომას ან ჩრდილს (ჯ. ჯ. ფრეზერი).

ითვლებოდა, რომ ეს ადამიანი მალე უნდა მომკვდარიყო.

ალბათ, ეს იყო უძველესი რწმენის გადმონაშთი, როცა სახლის კედელში ან საძირკველში ცოცხალ ადამიანს ჩააშენებდნენ და ეგონათ, რომ მისი სული დაიცავდა შენობას (შდრ. დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“), რადგან შეწირული სისხლით ღმერთს დაუკავშირდებოდა.

ასე იქცეოდნენ ბენგალიაში, მთელს ინდოეთში.

ბორნეოზე 1847 წელს უყიდიათ მალაიზიელი მონა–გოგონა. იგი მოუკლავთ და მისი სისხლით გაუმაგრებიათ სახლის ფუნდამენტი და ბოძები, სხეული კი მდინარეში გადაუგდიათ (ე. ტაილორი).

ველურისათვის ერთიანი იყო სული, სუნთქვა, ჩრდილი და გამოსახულება, რაც ბევრ ტომში ერთი სიტყვითაც აღინიშნებოდა.

ბევრგან მათ ერთვოდა სისხლი და გულიც.

ყველა ერთად კი სხეულის ანუ სიცოცხლის ნაწილი იყო (შდრ. ქართული „მოკვდა“ და „მოკლება“ ანუ სხეულის ნაწილის მოჭრა, მოცილება).

მონადირე და სისხლი

ტაბუს რთული სისტემა არსებობდა მონადირეებსა და მეთევზეებში, რასაც წარმოქმნიდა სარჩოს მოპოვების აუცილებლობა.

მონადირეს ცხოველი აშინებდა მოკვლის შემდეგაც; ეგონა, რომ ნადირის სულები გარშემო ტრიალებდნენ და შეეძლოთ ზიანი მოეტანათ.

ამიტომ ნანადირევს პატივისცემით ეპყრობოდნენ, ისევე როგორც მოკლულ მტერს, აქებდნენ და ეფერებოდნენ. გველს კი ერიდებოდნენ, არ კლავდნენ, ეგონათ, რომ მოკლულის სული მათ სამაგიეროს მიაგებდა.

პატივისცემით ეპყრობოდნენ ნადირის ძვლებსაც, რადგან მიაჩნდათ, რომ წელს მოკლული ბიზონი ხორცს ისევ შეისხამდა. ამიტომ ზოგან ძვლებს სიმეტრიულად ალაგებდნენ, ზოგან – მარხავდნენ. ან ზღვაში ყრიდნენ. აქედან – ტრაპეზის მოწესრიგება, სისუფთავის დაცვა.

დღესაც ადამიანი უვლის და პატრონობს თავის ცხვარს, ძროხას თუ ღორს, მაგრამ რომ დასჭირდება – დაკლავს.

ჭამდნენ მტრის გულს, თირკმლებს, ქონს, ტვინს, რათა მოკლულის სიმამაცე შეჰმატოდათ. მაგრამ ხელს არ ჰკიდებდნენ ქათამს, კუს, თევზს, ცხვარს, რადგან ასეთი ნაზი საჭმელი ძალის მომკლები იქნებოდა. სამაგიეროდ, ეტანებოდნენ ვეფხვის, ბიზონის, ირმის, ტახის ხორცს.

აცტეკები სიმინდის ფქვილისგან ცომს სისხლში ზელდნენ და ომის ღმერთის – უიცილოპოჩტლის ფორმის ჭადებს აცხობდნენ. ასე გადმოდიოდა მეომარი ღმერთის ძალა ადამიანში.

ინდოეთში სწამდათ, თუ კაცი ბუს თვალს შეჭამდა, ღამითაც მჭრელი მზერა ექნებოდა.

ჩიროკებს სჯეროდათ, რომ სწრაფი ნადირის ხორცი კაცს სისწრაფეს ჰმატებს, შინაურისა – ადუნებს.

ტაბუირებული იყო ქვის მაგიური იარაღებიც (ჩურინგები). მათ ქალი ან ბავშვი არ უნდა გაჰკარებოდა.

აკრძალვა ვრცელდებოდა საკვებზე, რაც პირველ რიგში შეეხო კანიბალიზმს. დასაშვები იყო მხოლოდ შეწირულის ხორცის ჭამა, რადგან ეს ტოტემის თუ უფლის სისხლად და ხორცად მიიჩნეოდა, მაგრამ რეგლამენტირებული იყო. ეს აკრძალვა ამჟამადაც მოქმედებს (მაგ., იუდეველები და მუსულმანები არ ჭამენ ღორის ხორცს, რომელიც ერთ-ერთი მათი ტოტემი უნდა ყოფილიყო).

მონადირესა და მეომარს ტაბუ სთიშავდათ ქალისაგან.

არც ნადირობის ან ომში წასვლის წინ, არც დაბრუნების შემდეგ კაცი ქალთან არ დაწვებოდა, სანამ უცხო სულებს არ მოიცილებდა.

მენსტრუალური ტაბუ

ტაბუ დაედო ყოველ ქცევასა და საგანს, რაც შეუძლებელს ხდიდა აკრძალვათა აღსრულებას.

ველური არ უნდა შეხებოდა ბელადს, ქურუმს, ქალს მენსტრუაციის ან მშობიარობის პერიოდში, მგლოვიარე პირს, მიცვალებულს, კაცისმკვლელს, მიცვალებულის ძვლებს და ა.შ.

ქალი მენსტრუაციის პერიოდში იზოლირებული უნდა ყოფილიყო, არ გაევლო მამაკაცთან, არ შეხებოდა მის ნივთებს, ხორცი არ

ეჭამა. შეეძლო მხოლოდ წყალი დაელია, შემდეგ ჭურჭელი თუ ბანანის ფოთლები უნდა დაეწვათ.

ასევე მკაცრად ექცეოდნენ ქალწულებს სქესობრივი მომწიფებისა და პირველი მენსტრუაციის დროს (მაგ., ესკიმოსები, ინდიელები, ბენგალელები, კამბოჯელები, ავსტრალიური და აფრიკული ტომები, ხევსურები). ქალებს ბნელ ქოხში ამწყვდევდნენ, ან საქონლის სადგომში – ბოსელში, სადაც მშობიარობდნენ. ქალწულს ფეხი მიწაზე არ უნდა დაეკარებინა, არც მზის შუქი შეხებოდა (შდრ – ქართული მზისუნახავი), რათა არ დაორსულებულიყო.

ქალი მენსტრუაციის დროს დიდი ხიფათის მომტანი იყო: შეეძლო კაცი ხედ ექცია, ბრინჯის ყანა გაეხმო, საქონელი გაეწყვიტა თუ სისხლის წვეთები მიწაზე დაეცემოდა და მასზე ვინმე გაივლიდა, გველი გაეშეშებინა და ა.შ.

ამიტომ ზოგან ცალკე სავალ ბილიკებს უკეთებდნენ.

ასევე პანიკური შიში ჰქონდათ ძველ რომში, შუა საუკუნეების ევროპაში. ამის გამო ზოგი მეცნიერი სირცხვილის გრძნობის გაჩენას უკავშირებს მენსტრუალური ტაბუს დარღვევას, ამ დროს სექსუალური კავშირისა და მისი შედეგების დამალვას.

ამგვარი შიში და იზოლირება არსებობდა ყველა კონტინენტზე, ყველა ტომში მანამდეც, ვიდრე ისინი განკერძოებულად ცხოვრობდნენ.

ზოგს ინცესტის აკრძალვაც მენსტრუალური შიშისგან გამოჰყავს, რასაც ვაჟებს ჰგვრიდათ მათი ნათესავი ქალები (ე. დიურკჰაიმი).

მენსტრუაციის დროს სისხლი, რომელსაც ველური აიგივებდა სულთან და სიცოცხლესთან, რომელსაც სწირავდნენ უზენაეს ძალებს, უეცრად იცვლებოდა და ჰკარგავდა სიწმინდეს. ამას თვლიდნენ მავნე სულთა მოქმედებად. ქალი მათგან უნდა განწმენდილიყო. ამიტომ უფრთხოდნენ, ეშინოდათ და თავიდან იშორებდნენ. ამგვარი შიშის საფუძველი ქალის ფიზიოლოგიაში ძევს: მენსტრუალური ციკლი მდედრის სხეულს ამზადებს განაყოფიერებისათვის, რაც

ფერტილობის ასაკში ყოველთვიურად იწყება და მთავრდება. როცა კვერცხუჯრედი მომწიფდება, იგი გადადის საშვილოსნოს მილში, სადაც სპერმატოზოიდს ელოდება. ყალიბდება ყვითელი სხეული, რომელიც გამოჰყოფს ჰორმონ პროგესტორენს. აქტიურდება სასქესო ჰორმონი ესტროგენი, რაც ცხოველებში იწვევს ახურვებას, ამძუვნებას (მაგ., მგელს მწვავე სქესობრივი ლტოლვა აქვს წელიწადში სამი კვირა).

ეს პროცესი, განაყოფიერებისათვის სრული მზადყოფნა, გრძელდება 3-4 დღე. შემდეგ კვერცხუჯრედი სკდება და სისხლთან ერთად გამოიყოფა (გივი მაყაშვილი).

მეტწილად მენსტრუალური ციკლი 28 დღე გრძელდება და ამიტომ მას მთვარის ფაზას უკავშირებდნენ (მაგ.: ლათინური men – მთვარე; რუსული месячные და ქართული თვიური აღნიშნავენ როგორც მენსტრუაციას, ისე მთვარესა და თვეს; გერმანული der Mond არის როგორც მთვარე, ისე თვე).

ველური მამრი ყნოსვით გრძნობდა მდედრის სექსუალური ჰორმონების გამოყოფას, რაც აღაგზნებდა, როგორც ეს ხდება ძუძუმწოვარ ცხოველებში (მაგ., ჰორმონ ფერომონს უმატებენ თანამედროვე სუნამოებს).

მათი ზემოქმედების გარეშე მამრი მდედრისადმი გულგრილი იყო. ამგვარი მექანიზმი მდედრს საშუალებას აძლევდა ნაყოფი შეენარჩუნებინა. მამრი მას აღარ გაეკარებოდა მომდევნო მენსტრუალურ ციკლამდე. ეს კი მოხდებოდა მშობიარობის შემდეგ. თუ კვერცხუჯრედი არ განაყოფიერდებოდა, იგი ჩამოიშლებოდა. სუნის შეცვლა და სისხლდენა ველურს ზიზღსა და შიშს აღუძრავდა (შდრ. – „ყნოსვა და სულთა კავშირი“).

ალბათ ველურის შიშს კიდევ უფრო ის აძლიერებდა, რომ მდედრი ჯოგსა თუ ტომში იშვიათად თუ დარჩებოდა ორსულობის გარეშე. ამას ხელს უწყობდა პროსტიტუციის სხვადასხვა ფორმაც.

ასე რომ, მენსტრუაცია იშვიათი და გამონაკლისი იქნებოდა. იშვიათი და გამონაკლისი კი ამდენად არის უცნაური, საშიში და სახიფათო.

ქალს კარანტინს უწესებდნენ, როგორც უწმინდურს, მშობიარობის შემდეგაც. იგი სამი კვირა იზოლირებული უნდა ყოფილიყო. მისვლა შეეძლო მხოლოდ დედას ან ახლობელ ქალს.

საკვებს გრძელი ჯოხით აწვდიდნენ.

ამიტომაც იბადებოდნენ ღმერთები, მეფეები და გმირები საქონლის სადგომში, ბაგაში, ბოსელში.

კლანის და ტომის საფრთხე დიდი იყო თუ ქალი მკვდარ ბავშვს დაბადებდა. ხოლო თუ მუცელი მოეშლებოდა, ეს ლამის ქვეყნის დაქცევას მოასწავებდა.

შიშველი თუ ნახევრად შიშველი ქალისათვის, დღევანდელი თვალსაზრისით, ჰიგიენის დაცვის ერთადერთი საშუალება იზოლირება იყო. მაგრამ თავდაპირველად ეს ჰიგიენური მოსაზრებით რომ არ ხდებოდა ჩანს იქიდან, რომ არც ველური, არც ბარბაროსი ტანს არ იბანდა.

არა თუ უძველეს დროში, XIII საუკუნეშიც კი, ჩინგის-ხანი სიკვდილით სჯიდა მას, ვინც მდინარეში იბანავებდა ან ტანსაცმელს გარეცხავდა!

აკრძალვათა წარმოქმნის მექანიზმი

ყოველ აკრძალვას თავისი რეალური საფუძველი აქვს, რომელიც დრომ წაშალა. ველურის აზროვნებას სხვა ლოგიკა აქვს, ვიდრე დღევანდელი ადამიანისას. ამიტომ იგი მიამიტური და გაუგებარი გვეჩვენება, მაგრამ საგანთა აღქმა და ერთმანეთთან დაკავშირება თავის დროზე ცხადი იქნებოდა.

ესკიმოსებს ტაბუირებული ჰქონდათ ერთ დღეს კანადური ირმისა და სელაპის ხორცის ჭამა.

ეს წესი ღიმილის მომგვრელია. მაგრამ აქვს ახსნა. კანადელები როცა ქვეყნის შიგნით ნადირობენ, იქ არ არის სელაპი და ნადირობენ ირემზე. როცა სანაპიროზე ნადირობენ, იქ არ არის ირემი და ჭამენ სელაპის ხორცს.

ასე რომ, ძალიანაც რომ სდომებოდათ, ერთდროულად სელაპისა და ირმის ხორცს ვერ შეჭამდნენ. ეს რეალობა ტრადიციად განმტკიცდა და მივიღეთ ტაბუირების ერთი მაგალითი;

ერთი ტომი ცხოვრობდა ისეთ ადგილას, სადაც თევზი არ იყო. ამიტომ ტაბუ დაედო თევზის ჭამას, თითქოს იგი მავნე იყო (Фр. Боас, Ум первобытного человека, М. 1926).

ეს დაახლოებით იგივეა, კედელზე გიჟები ლურსმნებს რომ აჭედებდნენ და ერთმა უთხრა მეორეს, როცა თავი და ბოლო აერიათ, ეს ლურსმანი ამ კედლის კი არა, იმ კედლის ყოფილაო!

ტაბუს სისტემის წარმოქმნა და მექანიზმი უნდა აიხსნას ფსიქონერვული ავადმყოფის აზროვნებისა და სიზმრის ლოგიკით.

როგორც ამ კატეგორიის უამრავი დაავადება არსებობს, ისე უამრავი სახის ინსტინქტური ქცევები და კავშირები ჰქონდათ ველურებს, რაც მოგვაგონებს შიშით გამოწვეულ ბოდვას, მოლანდებებს, პარანოიას, ოლიგოფრენიას, შიზოფრენიას, ისტერიას, ეპილეპსიას, ნევროზებს...

ეს არის მსგავსება და არა იდენტივობა.

ველურის გონება არ იყო იმდენად განვითარებული, რომ ლოგიკური აზროვნება შესძლებოდა, საგნის ან მოვლენის არსი განესაზღვრა.

ფსიქო-ნერვული დაავადება კი არის ცნობიერების დაბინდვა და კონტროლის მოხსნა, ატავისტური უკუქცევა, ემოციური ნაკადის სიჭარბე და გონის სინაკლეზე, ინსტინქტების თარეში.

გრძნობები კი ლაბილურია, მერყევი და არამდგრადი, სწრაფად იცვლებიან და გადადიან ერთი მდგომარეობიდან მეორეში (მაგ.,

შიშიდან – ეიფორიაში, სიყვარულიდან – სიძულვილში, ერთგულებიდან – ღალატში).

ამის გამო წარმოიქმნება ურთიერთსაპირისპირო წარმოდგენები და აზრები, რაც ფსიქიკური დაავადების დროს იწვევს ფსიქიკის გახლეჩას, ტვინის ცენტრის გაორებას.

ამბივალენტური იყო ველურის მიმართებაც საგნისა თუ წესებისადმი – შიში და მორჩილება შეიძლება ქცეულიყო მრისხანებად, ტაბუს დარღვევის მოთხოვნილებად.

ველური არ სცნობდა შემთხვევითობას, იგი წარმატებას ტოტემსა და მაგიას მიაწერდა, ხოლო მარცხს – ტაბუს დარღვევას, უცხო სულს, ჯადოსანს.

ამიტომ დამნაშავე უნდა დასჯილიყო.

უცხო სულის ანუ სუნის მოგერიება კი აუცილებელი იყო.

ომიდან მომავალი მეომრები, რომელთაც მოჰქონდათ მოჭრილი თავები, კარგა ხანს იზოლირებული უნდა ყოფილიყვნენ, შეესრულებინათ მსხვერპლშეწირვა, საჭმელს ხელით არ შეხებოდნენ. ისინი მღეროდნენ, როკავდნენ და დასტიროდნენ მოკვეთილ თავებს.

ზოგი წყალში უნდა განბანილიყო, ან – სახლში რამდენიმე დღე არ მისულიყო, რათა უცხო, მტრული სისხლისა და სულისაგან განთავისუფლებულიყო.

ტაბუს ერთიანი კოდექსი ამოდიოდა ერთმანეთის მსგავსი ველურების ინსტინქტებისა და ფსიქო-ნერვული სისტემიდან.

ამიტომ წარმოიშვა იგი ყველგან – ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (შდრ – როგორც შენიშნავენ კ.ლევი-სტროსი და სხვა მკვლევარები, არსებობს საოცარი პარალელიზმი ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების, ძველი ჩინელების, ავსტრალიელი, ახალზელანდიელი ტომების, ნეოლითის პერიოდის ამურისა და ბაიკალისპირეთის ხელოვნების სიღრმისეულ სტრუქტურას შორის), მაგრამ პედანტური სიზუსტისა, მიზეზთა სიმრავლისა და ძნელად აღსაქმელი იერარქიის გამო თვითლიკვიდაციამდე მიდიოდა.

ტაბუს შესატყვისი არსებულა ივრითში, ძველ ბერძნულში, ლათინურში (ზ. ფროიდი). იგი არა აქვს ქართულს, არც თანამედროვე ევროპულ ენებს. მეგრულს კი შემორჩა: ეს არის „ვაშინერს“ – ხსენება არ შეიძლება.

პარალელური ფორმაა ყოფითი „ვეშილებე“ – არ შეიძლება. ორივე აკრძალვას გულისხმობს. მაგრამ პირველს აქვს რელიგიური აზრი, მეორეს – არა. ამიტომ იწვევს „ვაშინერს“ გამოუცნობ, შიშისმომგვრელ ასოციაციებს, რასაც ადამიანი კარგად გრძნობს, თუნდაც უვიცი იყოს.

ეს ორი სიტყვა მეტყველების დროს მკაფიოდ არის გამიჯნული და აღრევა არ ხდება. აკრძალვათა სისტემით ველური გზას იგნებდა საშიში საგნების სამყაროში, თავს იცავდა, ნერგავდა წესრიგსა და დისციპლინას, რომელსაც შემდეგ თავად ემონებოდა.

ტაბუს საფუძველზე, რელიგიურ წარმოდგენათა გავლენით, ყალიბდებოდა ზნეობრივი, მორალური ნორმები, ადამიანთა ცხოვრების წესი.

ამ ნისლიან და სისხლიან გზაზე კი უმთავრესი იყო სექსისა (ინცესტის) და კვების მოწესრიგება (კანიბალიზმისა და უმი საკვების უარყოფა), შიშის ძლევა და თავდამცავი პირობების შექმნა ანუ ბიოლოგიური წესრიგიდან ინტელექტუალურ წესრიგში გადასვლა.

III. ინსტინქტების რეგულირება: სექსი და კანიბალიზმი

1. რიტუალი – კულტურის სახეობათა ბირთვი

თეორიები

რელიგიები კულტურის საწყისს ღმერთის სახელს უკავშირებენ, კულტურას ღვთაების ემანაციად თვლიან;

ჰეგელი სულიერებას მიიჩნევდა განმსაზღვრელად, სულის (გონის) პიროვნულ, საზოგადოებრივ და აბსოლუტურ თავისუფლებას, რაც გამოვლინდა რელიგიის, ხელოვნების, ფილოსოფიის, მეცნიერების ფორმებით, ენასა და სახელმწიფო სისტემებში.

კულტურის საწყისს ფრ. ენგელსი შრომასა და შრომის იარაღების დამზადებას უკავშირებდა, რომ შრომის პროცესმა წარმოშვა კომუნიკაციის მოთხოვნილება, რასაც მოჰყვა ამეტყველება.

ენგელსი ემყარებოდა ლ. ჰ. მორგანის კონცეფციასა და კ. მარქსის ეკონომიკურ თეორიას.

ზ. ფროიდმა კულტურის საწყისი გამოიყვანა ადამიანის შინასამყაროდან – ფსიქიკიდან. იგი „ოიდიპოსის კომპლექსში“ ხედავდა რელიგიის, ხელოვნების, ზნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დასაბამს.

მან ადამიანისა და ცხოველის განმასხვავებელ ნიშნად სინდისი ჩათვალა, რაც მოჰყვა პირველცოდვას – პრამამის მკვლელობას, რასაც ტომი რიტუალურად ასრულებდა.

ზ. ფროიდის ამოსავალი იყო ეთნოლოგიური თეორიები და თავისი ფსიქოანალიტიკური კონცეფცია, რომლის საფუძველია სექსუალობის ტრანსფორმაციები.

კ.გ. იუნგმა კულტურის საფუძვლად არქეტიპები მიიჩნია, რასაც კაცობრიობის უძველეს ფსიქიკურ დანაშრევებს, სულის ქტონურ ნაწილს უწოდებდა.

ი. ჰაიზინგამ, ისევე როგორც ადრე ფრ. შილერმა, თამაში ჩათვალა კულტურის სტიმულატორად, რომ თამაში, რაც სჩვევიათ ცხოველებს, არის კულტურის ყველა სახეობის თვისება, ე.ი. გარდასახვა.

ე. კასირერის აზრით, ადამიანი სამყაროს სიმბოლურად აღიქვამს, რაც განსხვავდება ცხოველურ ნიშანთა სისტემისაგან. ცხოველი პირდაპირ რეაგირებს სიგნალზე, ადამიანი ახდენს აზრობრივ გადამუშავებას.

კასირერი ეყრდნობოდა თავისი სიმბოლური ფორმების ფილოსოფიას, ამ თვალსაზრისით სწავლობდა რელიგიას, მითოლოგიას, ენას, ხელოვნებას.

ლ. მამფორდსა და ს. ლანგერს კულტურა გამოჰყავდათ რიტუალიდან, რაც კოლექტიური და სიმბოლური მოქმედება იყო.

კ. იასპერსი აღნიშნავდა, რომ ჩვენ ვიცით შედეგი, არ ვიცით როგორ იქცა ადამიანი ადამიანად, მაგრამ ხაზს უსვამდა შიშსა და სიმამაცეს.

პ. ფლორენსკის აზრით, ძველი კულტები შემაძრწუნებელი იყო და ამიტომ იძლეოდნენ იდუმალებათა წვდომის სტიმულს.

ნ. ბერდიაევი კულტურის საფუძვლად რელიგიას მიიჩნევდა, წინაპართა კულტს, რელიგიური მსახურების იერარქიულ ხასიათს. ასევე თვლიდა ჟ. მარიტენი. პ. გურევიჩი კომპლექსურ საწყისებზე აკეთებს აქცენტს: ცეცხლი და იარაღი, მეტყველება და აკრძალვათა სისტემა (ტაბუ), გაერთიანებების შექმნა და მითის თხზვა, რომელთა საფუძველია გონება.

ალბათ ყოველი მათგანი ხელს უწყობდა ცხოველური ინსტინქტების ალაგმვასა და გარდასახვას, ხელს უწყობდა მეტნაკლები ინტენსივობითა, დროის ლოკალითა და რომელიმე მათგანის რომელიმე ტომისათვის მეტი აქცენტირებით.

პირველყოფილი ადამიანი სასიცოცხლო ინსტინქტებით იმართებოდა და ამიტომ ყოველი ნაბიჯი, რომელიც მას აცილებდა ცხოველთა სამყაროს და სძენდა კულტურის ნიშნებს, ნაკარნახევი იყო აუცილებლობით. ამ აუცილებლობას კი ხსნიდა მაგიურ ძალთა მოქმედებით, მათდამი რწმენით.

ამდენად იყო მისი ქცევა, მოქმედება და აზრი რეალობის არასწორი აღქმის შედეგი.

არსი – აფექტები

მართებული იქნება თუ ჩავთვლით, რომ როგორც ენის, ისე კულტურის სახეობათა საწყისი დაუკავშირდეს დრამატულ, სულის შემარყეველ, უძლიერეს აფექტებს, ექსტრემულ სიტუაციებს, კონფლიქტებს, რაც სიკვდილის ზღვრამდე მისვლით გარდაქმნიდა ცნობიერებას.

აფექტები ბუნების უდიდესი ძალებია (ფრ. ნიცშე). მათ იწვევს სისხლის უეცარი აზვირთება, ნეირონების აღვსება, რაც ააქტივებს ფსიქო-ნერვულ სისტემას, აძლიერებს შინაგან პროცესებს, მათ ფუნქციონირებას.

აფექტები ჰუმორალურ-ენდოკრინული, ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემების მკვეთრი ცვლილებანია, რაც ვლინდება მოძრაობით, კუნთების დინამიკით, სუნთქვით, გულისცემით, სისხლის დინებით, ხმით, მიმიკით, ჟესტებით და არღვევს სიმშვიდესა და სტაბილობას.

ყველაზე მძაფრი და შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო ტოტემბელადის მკვლელობის, კაცთშეწირვის, ნადირობის, გლოვა-დამარხვის ერთიანი ექსტაზური რიტუალები, რომელთაც დროის ნახევარზე მეტი ეკავათ.

მათ ჰქონდა სასტიკი და სისხლიანი კოლექტიური სპექტაკლის ფორმა, რომელშიც გაერთიანდა ველურთა და ბარბაროსთა ტემპერამენტი, სული და ხედვა, მაგია და რეალობა, ტოტემისტური წარმოდგენები და აკრძალვათა სისტემა.

რიტუალებში ერთმანეთს ერწყმოდა რელიგიის, ხელოვნების, ომის, სპორტის პრაფორმები, როგორც უზენაეს ძალთა დიდება და მსახურება, მათდამი შიში და მათზე ტრიუმფი.

ფორმა – თამაში

აფექტების გამოვლენა და გადანაწილება, ნადირობა თუ რიტუალები და მისტერიები თამაშის ფორმას ატარებდა, როცა შინაგანი სწრაფვები და ლტოლვები გარდაისახებოდა.

თამაშობენ ცხოველები. განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში (მაგ., ძაღლის ლეკვები, კატის კნუტები, დათვის ბელები), თამაშობენ ერთმანეთთან და დედასთან, რაც არის შერკინების იმიტაცია, ფიზიკური გამაგრება და მოძრაობის დაუფლება.

არტისტიზმი ახლავს მეტყველებას, მოქმედებას თუ ქცევას, რათა მოხდეს მოძალებული გრძნობების, შიშისა თუ აგრესიისაგან განმუხტვა, მათგან დისტანცირება, მათდამი თავისუფალი მიმართება. მაგრამ არსი არ შეიძლება თამაში იყოს.

თვით სპორტული შეჯიბრებებიც კი შინაგანად ბრძოლასა და დაპირისპირებას გულისხმობენ – ერთმა უნდა სძლიოს მეორეს, ოღონდ უსისხლოდ. ადრე კი თამაშსაც სისხლი ახლდა. მაგ., აცტეკებისა და მაიების ბურთაობას ერქვა „ტლატჩილი“. თამაშობდა ორი გუნდი. გამარჯვებულის კაპიტანი თავს აჭრიდა დამარცხებულის კაპიტანს. ზოგჯერ გამარჯვებულსაც სიკვდილიც სჯიდნენ, რათა თავისი სისხლითა და სხეულით თანამოძმენი გაეძლიერებინა.

რიტუალი – სპექტაკლი

ველურები შმაგი როკვით (ტოტემ-ცხოველის – ბიზონის, ირმის, ლომის თუ გველის მოძრაობის იმიტაცია), დოლების ბრაგუნითა და ფლეიტების წივილით (ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის იმიტაცია), სურნელთა კმევით (ბუნების ყვავილობის იმიტაცია), აღგზნებული შეძახილებით (ტოტემ-ცხოველის ღმუილის იმიტაცია), შუბებითა და ხელცულებით (ნადირობისა და ბრძოლის იმიტაცია) საზეიმოდ კლავდნენ ტოტემ-ცხოველს, ტოტემ-ბელადს, ღმერთისა თუ ბელადის (მეფის) მონაცვლეს თუ სამსხვერპლო პირს.

შემდეგ კი იყოფდნენ შეწირულის სისხლსა და ხორცს, როგორც მაგიურ ძალად ქცეულ მზის ენერგიას, ეძლეოდნენ რიტუალურ პროსტიტუციას.

მათ ამოძრავებდათ სისხლიდან, ქრომოსომებიდან და გენებიდან გადმოსული დაუდეგარი რიტმი, იგივე ბიოლოგიური რიტმი, როგორც მიიჩნევდნენ ვ. ვუნდტი და კ. ბიუხნერი.

რიტუალები ამოდის ცხოველთა ინსტინქტური ქცევებიდან, რომელთა უამრავი თაობა ერთნაირი სიზუსტით იმეორებდა წინაპართა მოქმედებას. საწყისი კი იყო ნადირობა – მხეცის ანუ შიშის ძლევა.

საწესჩვეულებო, სეზონური თუ ორგიასტული დღესასწაულებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო კაცთშეწირვის რიტუალები, როგორც ტოტემისა და ბელადის მკვლელობა, ვარიაცია და იმიტაცია.

მისტერიები და რიტუალები იყო კანიბალისტური და სექსუალური ვნებების აზვირთება და დაცხრომა, აფექტების კულმინაცია, შიში და ძრწოლა, სიშმაგე და ექსტაზი, რაც არყევდა და ცვლიდა ცნობიერებას.

ეს იყო ტაბუირებით შეზღუდული თავისუფლების აღდგენა, თავისუფალი ქცევითა და მოქმედებით თრობა.

ამგვარი ეგზალტირებული რიტუალები, რომლებშიც შემდეგ სისხლი შეცვალა ღვინომ, იყო რეგლამენტირებული ამბოხი ახალი წესრიგისადმი, უფლის დიდება და ვედრება.

რიტუალებსა და მისტერიებში ემოცია უმაღლეს რეგისტრს აღწევდა, რაც იყო საკუთარ შეგრძნებებში, რიტმიკასა და ჰარმონიაში ჩაძირვა.

ემოციების საფუძველი კი არის სისხლ-ძარღვთა და ენდოკრინული სისტემები (ჯეიმს-ლანგე), რაც ადრენალინის გამოყოფას უკავშირდება (კენონი).

როგორც კაცთშეწირვა, ისე ნადირობის ან დაღუპულთა გლოვის სამეფო თუ სეზონური დღესასწაულები, სექსუალური ლტოლვებისა და კავშირების რიტუალები ღმერთებით (ტოტემებით) იყო შთაგონებული და მათ მიემართებოდა.

ეგზალტირებულ რიტუალებში თავდაპირველად ყველა თანაბრად მონაწილეობდა, შემდეგ კი მასას გამოეყვნენ წარმმართველები – ქურუმები, როგორც მაყურებელს მსახიობები და დარბაზს – სცენა.

რიტუალები და მისტერიები აძლევდნენ საწყისს მღვდელმსახურებას, თეატრალურ-კარნავალურ წარმოდგენებს, მითოსს, ცეკვას, სიმღერას, ლექსს, მუსიკას, მხატვრობას, სკულპტურას, სპორტულ შეჯიბრებებს, ტრაგედიასა და კომედიას, საკულტო ტაძრებს – არქიტექტურას, მორალსა და ზნეობას, დრამატულ, კომიკურ, ლირიკულ ესთეტიკურ გრძნობებს, ადამიანთა ეთნიკურ ერთიანობას, ცერემონიალებს.

ეს კი ნიშნავდა ენისა და მეტყველების განვითარებასაც. ხოლო მითოსი ავსებდა და ავრცობდა რიტუალების შინაარსს, რომელშიც ერთვებოდნენ არა მხოლოდ ქურუმები, არამედ რიტუალის მონაწილენიც ანუ დიონისურ სტიქიას ენაცვლებოდა აპოლონური სტიქია.

მითები თაობიდან თაობას ზეპირი სიტყვით გადაეცემოდა, რაღაც აკლდებოდა, რაღაც ემატებოდა და ასე შორდებოდა პირველსაწყისსა და ქურუმთა თვალსაწიერს.

მოქმედება კედლის რელიეფებსა, ლარნაკებსა და სიტყვაში გადავიდა, სახე და გარეგნობა – ქანდაკებაში, ამბავი – მწერლობაში, ხმა და ხმაური – მუსიკაში.

მითების თხზვა სიტყვიერი ხელოვნება იყო, რომელსაც აკლდა წერილობითი გაფორმება, რათა ლიტერატურად ქცეულიყო.

დაკრძალვა აერთებდა რელიგიურ რიტუალს, არქიტექტურას, სკულპტურასა და ფერწერას, რიტორიკასა და პოეზიას.

კულტურა ამოდის ანიმისტური, ტოტემისტური ანუ პრარელიგიური წარმოდგენების, კონკრეტული სახით – კანიბალიზმისა და პროსტიტუციის წიაღიდან, როგორც ჯერ ღმერთების ნებით მათი რეგლამენტირება და შემდეგ – აღკვეთა, ამ უმძაფრესი განცდების ჯერ ჩაძირვა ქვეცნობიერში, შემდეგ – სიმბოლური ტრანსფორმაცია.

უზენაესი ძალის რწმენა, რომლითაც შეპყრობილია ადამიანი, შეუძლებელს აღწევს: მღელვარე სისხლის ნაკადი აწყდება ნეირონებს, ჟანგბადისა და გლუკოზის უეცარი სიჭარბე ააქტივებს ნეირონებისა და ნერვული სისტემის მოქმედებას, საგანთა ფსიქიკაში აღბეჭდვას.

სტაბილობის დარღვევას კი მოსდევს გადაცდომა – მოულოდნელი სიახლე. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური და მასობრივი.

კაცთშეწირვის რიტუალებს თეატრი გამოეყო ძველ საბერძნეთში (ძვ. წ. VI საუკუნე), როგორც სიტყვის, მუსიკისა და ცეკვის სინთეზი, როგორც რეალობის თამაშით აღქმა, ექსტაზის წარმოსახვით აღძვრა, უძველესი სისხლის წყურვილის წარმოსახვით დაკმაყოფილება. კაცთშეწირვა სცენაზე თამაშდებოდა. ხოლო ამფითეატრებში გლადიატორები რეალურად ხოცავდნენ ერთმანეთს, რაც მაყურებელს აღაგზნებდა.

მთელი ისტორიის მანძილზე კულტურას არ სცილდება ღმერთის შარავანდედი, რაც რჩება როგორც იდუმალის, შეუცნობელისა და ყოვლისმქმნელის სიმბოლო (იხ. „კულტურის ფორმირება: ღმერთების ნება“).

2. სექსის რეგულირება და მატრიარქატი

ჰომინიდების ცხოველური ინსტინქტების აღკვეთა, სახეცვლა და რეგულირება ათეულ ათასობით წელი გრძელდებოდა.

ამ გზაზე უპირველესი იყო სექსუალურ კავშირთა რეგულირება, რომელიც ემყარებოდა ტოტემისა და ტაბუს სისტემას.

ერთი მხრივ – ეს იყო ცნობიერების განვითარების შედეგი, მეორე მხრივ – ლტოლვათა დამორჩილება გონებისადმი, ახალი წესრიგის პოვნა, რაც არის კულტურა.

ყოველი არსების მთავარი ფუნქცია არის სიცოცხლის გაგრძელება და დაცვა.

ნეანდერტალელთა მშფოთვარე ხასიათი, მრისხანება და გააფთრება ხშირ კონფლიქტებს წარმოშობდა. კონფლიქტები არღვევდა ჯოგის ერთიანობას. მათ აკავშირებდათ ნადირობა, თავშესაფარი, სარჩოს შოვნის აუცილებლობა. მაგრამ სექსი სთიშავდათ. შიდაშეტაკებანი ფლეთდა ჯოგს, რომელიც იშლებოდა მცირე ჯგუფებად.

ჰომინიდები ცალ-ცალკე გარბოდნენ.

მარტოობა სიკვდილს ნიშნავდა.

ჯოგური პოლიგამია

ჯოგში აგრესიისა და კონფლიქტების მიზეზი სექსი უნდა ყოფილიყო, ბრძოლა მდედრისათვის. ჯოგს მრავალი მდედრი ჰყავდა, რომელთაც ძუძუმწოვარ ცხოველთა მსგავსად დროგამოშვებით ეუფლებოდათ სექსუალური ლტოლვა (მაგ., როგორც ძროხას, ძაღლს, ღორს თუ კატას), როგორც მცენარეს აქვს ყვავილობის განსაზღვრული ჟამი. სხვა დროს მამრი გულგრილია მდედრისადმი – ეს არის სექსის ზოოლოგიური რეგლამენტირება.

მდედრების სიმრავლე კი ნიშნავდა, რომ სექსუალურ ლტოლ-ვათა წყარო მუდმივად არსებობდა, ეს კი დაუსრულებელ შუღლსა და სისხლისღვრას იწვევდა.

ჯოგში ყველა მდედრი ეკუთვნის მამრს, ყველა მამრი – მდედრს. არ არსებობს დედის, და–ძმის გარჩევა, როგორც ეს ხდება ბუნების წიაღში.

ასე შენიშნავს იაკობ ბახოფენი – მატრიარქატის სისტემის აღ-მომჩენი.

ფრინველებში პოლიგამიაა გავრცელებული, მაგრამ არსებობს წყვილადი კავშირებიც. ასეთ დროს დედალ–მამალი მთელი ცხოვ-რება ერთად არიან. მამლები იბრძვიან დედალთა დასაუფლებლად, რადგან მათი თანაფარდობა დარღვეულია.

აქაც არიან მარტოხელები და ქვრივები, არის ეჭვი, კორტნა და ძალის გამოჩენა. მაგრამ თუ მამალი მოკლეს, დედალი შეიძლება ერთ საათში სხვასთან გაფრინდეს.

ცხოველებშიც უფრო პოლიგამიური წესია, მაგრამ მათშიც არიან მუდმივი წყვილები. მაგ., კურდღლებში, მგლებში. ცხენებიც არჩევენ ერთმანეთს.

როცა ცხოველს გაუვლის ახურვების პერიოდი, იგი ხვადს არ იკარებს.

შიმპანზე და გორილა ცხოვრობენ როგორც წყვილად, ისე ჰარამხანული წესით. გველები ერთმანეთის მისაზიდად „მხედრულ ცეკვას“ მართავენ.

ცხოველი თუ ფრინველი თავს გასწირავს თავისი ნაშიერისათ-ვის, მაგრამ არა მამრისათვის. ამიტომ თვლიან რომ მდედრისათვის მთავარია დედობის ინსტინქტი და არა სექსი.

ტოტემური ინკარნაცია

დაქუცმაცებულ ჯოგებში წამოიწია დედის ფუნქცია. კონკრეტული დედის შვილები ქმნიდნენ ახალ ერთობას, ახალ ჯოგს, რომელიც უკვე სისხლით ნათესავებისაგან შედგებოდა. აქ ყველა მათგანი ერთი დედისაგან მოდიოდა, რომლის ტოტემის სახელი გადადიოდა შვილებზე.

ველური ვერ ხედავდა კავშირს სექსსა და ბავშვის დაბადებას შორის. ზოგ ტომში სწამდათ, რომ ბავშვი მაინცდამაინც სექსის შედეგი არ იყო – ეს ისეც შეიძლება მომხდარიყო, სექსი მხოლოდ ამზადებდა ჩასახვის პროცესს.

დაბადება წარმოედგინათ როგორც სიცოცხლის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლა, გარდაცვალების მსგავსად.

სამყარო სულებით იყო აღსავსე და ყოველი საგანი მათ ატარებდა. არათუ მუსტიეს ეპოქაში, XIX საუკუნის II ნახევარშიც კი ზოგმა ტომმა (მაგ., არუნტას ტომი) არ იცოდა, რომ ქალს ნაყოფი კაცისაგან ჩაესახება.

ეგონათ, რომ ამ ფუნქციას ასრულებს ხესთან, ხის ფესვებთან, ქვასთან შეხება.

მათ ერთმანეთს დაუკავშირეს მიზეზი (შეხება) და შედეგი (დაბადება), მაგრამ არასწორად, რადგან არც დროის აღქმა ჰქონდათ და არც იმის გარკვევა შეეძლოთ – სექსს რა უნდა მოჰყოლოდა.

სელკუპების აზრით, ქალს ბავშვი ჩაესახება მაშინ, როცა მას დაეცემა მზის სხივი, გამოგზავნილი ზეციური დედაბრის მიერ.

ფრიგიული კოსმოგონიით, ყოველი არსების მამა არის ნუში.

ავსტრალიელს სწამს, რომ ქალის სხეულში სული შედის, რომელიც თავად ირჩევს დედას. სული კი ბინადრობს ტოტემურ ცხოველსა თუ მცენარეში, ე.ი. ის არის სიცოცხლის საწყისი.

ქალს თუ შვილი არ უნდოდა, გაურბოდა ტოტემთან სიახლოვეს.

ტოტემის სული შეხებით ან სუნის სახით გადმოდიოდა ქალის სხეულში და ამიტომ ატარებდა შვილი დედის ანუ ტოტემის გვარ-სახელს (შდრ, რძე და ძე ქართულში, აგრეთვე – გვიანდელი: ამირან დარეჯანის ძე, „სხვა ძე არ ესვა მეფესა“).

ეს იყო მატრიარქატის საფუძველი.

ევოლუციის გზა ტოტემიზმიდან მატრიარქატისაკენ მიდიოდა.

ანიმისტური წარმოდგენით, ქალი შეიძლება დაორსულებულიყო არათუ მცენარისა და ცხოველისაგან, არამედ – წყლისაგან, ქვისაგან, კლდისაგან, ქარისა თუ წვიმისაგან.

კუნძულ პონაპაზე მამის აღმნიშვნელი სიტყვაც კი არ ჰქონდათ. მათთვის არსებობდა მხოლოდ დედა, რომელიც ბავშვს შობს.

ანთროპოიდებიც დედის გარშემო ჯგუფდებიან, მათთანაც დედაა მთავარი, ისევე როგორც საერთოდ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში.

ანიმისტურ-ტოტემისტური რწმენა გაგრძელდა მითოსურ და ისტორიულ პერიოდებშიც: მითოლოგიური წარმოდგენით, ქალი შეიძლება ღვთაებისაგან დაორსულებულიყო, რათა ასე გაესვათ ხაზი მეფის, სარდლის თუ წინასწარმეტყველის განსაკუთრებული ბუნებისათვის.

ითვლებოდა, რომ ეგვიპტეში ფარაონი დედოფალს ამონ-რასაგან ჩაესახებოდა, რომელიც ქალის სარეცელს ქმრის სახით ეწვეოდა.

„ყვითელი იმპერატორი” ხუან-დი ჩაისახა ელვისაგან, იაო – წითელი დრაკონისაგან, ფილოსოფოსი კონფუცი – ურჩხულის მიერ მოტანილი თვალი პატიოსანისაგან, შაკიამუნი – ციური ხუთფეროვანი შუქისაგან, ქრისტე – სულიწმინდისაგან, ზარატუსტრა – მცენარის ღეროსაგან, ჩინგისხანი – ღმერთის მზერისაგან, რომული და რემი – მარსისაგან, ჰორი – მკვდრეთით აღმდგარი ოსირისის სხივისაგან.

გილგამეში შვა ქალწულმა, რომელიც მამას კოშკში ჰყავდა ჩაკეტილი.

ატისის დედა ქალწული იყო. იგი დაორსულდა მკერდზე ბროწეულის მიკარებით. ეს ბროწეული ამოსული იყო ნახევრად მხეცის – აგდესტისის მოკვეთილი პენისის სისხლისაგან.

მარიამსაც ასევე უმანკოდ შთაესახა იესო ქრისტე.

ადონისი ხორბლის მარცვლისაგან იშვა, ე.ი. საკვებისაგან.

რომისა და საბერძნეთის გამოჩენილ პირთა წარმომავლობასაც ღმერთებთან აკავშირებდნენ (მაგ., ოქტავიანე აპოლონის ძედ ითვლებოდა).

დოგონების წარმოდგენით, ყოველ ადამიანს ჰყავს ტყუპისცალი ცხოველი; რუანდელების ერთი მითის პერსონაჟი ძროხის სხეულისგან იშვა, ე.ი. არათუ მამა, შეიძლება არც დედა იყოს ადამიანი.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არაერთი უხერხემლოთა კლასის ცხოველი მრავლდება განაყოფიერების, ე.ი. მამრის გარეშე, რასაც პართენოგენეზს უწოდებენ (ბერძნ. parthenos – ქალწული).

დედობის ინსტინქტი და სისხლით ერთიანობა

დედა არის დამბადებელი, მკვებავი, მზრუნველი და დამცველი, რომელიც სიცოცხლესაც გასწირავს თავისი ნაშიერისათვის, მაგრამ ასეთი თავგანწირვა ქრება როგორც კი შვილს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლია.

შვილისათვის დედის ცნება გათანაბრებულია სამშობლოსთან.

მდედრი ორაგული ათასობით კილომეტრს გასცურავს და ადის მდინარის სათავემდე, სადაც ქვირითს ჰყრის. შემდეგ მიდის ქვირითთან მამრი და ანაყოფიერებს.

მდედრი დუნდება, იფიტება, ქვებს ენარცხება და მათი უმრავლესობა იღუპება, უკან ვეღარ ბრუნდება.

ასე სწირავს იგი სიცოცხლეს შთამომავლობისათვის, ჯიშის გადარჩენისათვის.

მხოლოდ გველები არ ზრუნავენ შვილებზე.

მგელი ძუძუს აწოვებს ლეკვებს, მაგრამ ისინი ჭამას რომ შეაჩვიოს, კუჭიდან ამონერწყვავს ხორცის ფაფას და ასე კვებავს მათ.

ახალშობილი მაიმუნები გაზარდეს დედის მსგავსი მანეკენის საშუალებით.

მაიმუნები დიდ ინტერესსაც კი იჩენდნენ. მაგრამ მათმა უმრავლესობამ სქესობრივ სიმწიფემდე ვერ მიაღწია. ვინც მიაღწია, შვილებს არ იკარებდა.

მათ დაკარგეს დედობის ინსტინქტი.

ისინი ნევროპათები და ფსიქოპათები გახდნენ.

სჩანს, დედა-შვილს შორის არსებობს რაღაც უჩინარი სიგნალები, რომელთა პოვნა და ახსნა შეუძლებელია. უდედოდ გაზრდილი ცხოველი მძვინვარეა და სისხლის მოყვარული.

მგელი, რომელმაც ლეკვი დაკარგა, თუ ბავშვი ჩაიგდო, არ შეჭამს, ძუძუს აწოვებს და ზრდის.

აგრესიაზე მაღლა დგება დედობის ინსტინქტი.

ამიტომ ჰქონდა და აქვს ფსიქო-ნერვული სისტემისათვის, ინდივიდის ჰუმანიზებისათვის, ადამიანურ გრძნობათა განვითარებისათვის და შესაბამისად კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა დედის ფაქტორს (შდრ – ბუდის შენების ანუ შექმნის ინსტინქტი ფრინველებში).

დედის სახელს უნდა დავუკავშიროთ კულტურის ჩასახვა, ხოლო განვითარება და დამკვიდრება – მამაკაცს (იხ. „ბელადი და ქურუმი“).

დედამ ჯოგური და ტოტემური ერთიანობა შეცვალა სისხლით ნათესაობით, კლანურ-ოჯახური პრინციპით.

მამისმკვლელობიდან ეგზოგამიამდე

როგორც ვთქვით, ტოტემი არ უნდა მოეკლათ, მისი ხორცი არ ეჭამათ. ამგვარი აკრძალვა ვრცელდებოდა სექსუალურ კავშირებზეც ერთი ტოტემის წრეში.

ჯოგში მრავალი მდედრი იყო და ერთ მათგანს პრივილეგია ვერ ექნებოდა, ისევე როგორც ცხოველთა გუნდში.

იზრდებოდნენ ახალი მდედრები და მამრები და ჯოგის მსგავსად გვარიც დაშლის წინაშე დგებოდა.

გრძელდებოდა სისხლიანი კონფლიქტები მამრებს შორის მდედრის გამო, რომელმაც თავის დროზე ჯოგი დაშალა. ტოტემისტურ რწმენას სძლევდა სექსუალური ლტოლვა.

როგორც ჩ. დარვინი აღნიშნავდა, გორილას კლანს ჰყავს ერთი, ძლიერი მამრი, რომელსაც მდედრები ემორჩილებიან. იგი სხვა მამრებს სექსს უკრძალავს და სდევნის ან თავად იღუპება შეტაკებაში. დამარცხებული მიდის და ცალკე კლანს ქმნის, სადაც ცოტა ხანში ეს პროცესი განმეორდება.

ერთი მაიმუნი მეორეს აშინებს ღრიალით, მკერდზე ბრაგუნით, თვალებში ჩაშტერებით;

ადამიანთა შორისაც იგივე ხდებოდა, სადაც ძლიერი მამრი – ბელადის პირველსახე, სდევნიდა ან კლავდა სხვა მამრებს, ან თავად ეწირებოდა ბრძოლას, რასაც თანდათან რიტუალური ფორმა მიეცა.

სისხლისღვრა მდედრის გამო წარმოქმნიდა სექსის აკრძალვას ერთი ტოტემის წრეში, რომლის დარღვევა სიკვდილს ნიშნავდა.

ეს იყო ეგზოგამიის – ინცესტის აკრძალვის არსი, რაც უცნობია მაიმუნებისათვის. ინცესტის დარღვევა კი ნიშნავდა გენოფონდის გაცვლას, რაც გენეტიკურად სრულყოფდა ადამიანის ჯიშს.

მაგრამ ინცესტი, რომლის გვიანდელ გამოვლენას გვაცნობს მრავალი ლეგენდა და ლიტერატურული ტექსტი (მაგ., სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), დასაშვები იყო მითოსურ პირველწინაპრებში

(მაგ., ჩინელი გველკაცი ფუ-სი და მისი დაი და ცოლი ნიუი-ვა, აფრიკელი ოლორუნი და ოდუდუვა, ადამისა და ევას შვილები, ბიბლიური ლოთი და მისი ქალიშვილები, ბერძნული და-ძმა და ცოლ-ქმარი ზევსი და ჰერა, ეგვიპტური და-ძმა და ცოლ-ქმარი ისი-და და ოსირისი) ან დინასტიური ქორწინებით (მაგ., ეგვიპტელი ფარაონები; კლეოპატრას ქმარი მისივე ძმა იყო).

ერთი ვერსიით, ადონისი მირას ჩაესახა მამის – კინირასაგან.

ერთიანობის შესანარჩუნებლად, ტოტემისტური რწმენის დასა-ცავად, ერთი გვარ-ტოტემის მამრები ერთიანად ქორწინდებოდნენ მეორე გვარ-ტოტემის მდედრებზე.

ამგვარი წესი უნდა იყოს არეკლილი ხეთურ „ქანესის დედოფ-ლის შვილების ამბავში“: დედოფალმა ერთბაშად შვა 30 ვაჟი, რომ-ლებიც მდინარეს ზღვისკენ გააყოლა.

შემდეგ ერთბაშად შვა 30 ქალი. ვაჟები რომ გაიზარდნენ, დედა მოძებნეს, მაგრამ ქალები ვერ იცნეს. ერთი ძმა დაეჭვდა, ჩვენი დები არ შევირთოთო. მაგრამ გვიან იყო – მათ უკვე გაეყოთ სარეცელი. ჯგუფური ქორწინებაც კი ინცესტით დამთავრდა.

ქორწინება ნიშნავდა უცხო ქალის საკუთარ გვარტომში შემო-ყვანას, სექსის რიტუალიზებას, გაცვლას ან მოტაცებას.

მდედრები სტოვებდნენ დედის სამყოფელს და გადადიოდნენ უცხო მამრების მფლობელობაში. მაგრამ გვარებს შორის კავშირი იკვრებოდა, რაც თანდათან რთულ ნათესაურ სისტემას წარმოქმნი-და. ეს იყო კოლექტიური ქორწინება, რასაც დუალურ–გვაროვნულ ეგზოგამიას უწოდებენ. იგი და-ძმას შორის სექსს გამორიცხავდა, რადგან ერთი ტოტემი ჰყავდათ. ინცესტი ტოტემიდან გამომდინარე ტაბუირებული იყო.

ტომში, რომელიც ორი ტოტემის შვილებისაგან შედგებოდა, ყველა უფროსი ქალი იყო დედა და კაცი – მამა.

ახალგაზრდა ქალები კოლექტიურად სხვა ტომში უნდა გადა-სულიყვნენ, ვაჟებს კოლექტიურად სხვა ტომის ქალები უნდა შემო-ეყვანათ. ეს კი გაყოფასა და კლანთა წარმოშობას მოასწავებდა, ისე

რთულდებოდა ტოტემური კავშირები და შესაბამისად – აკრძალვები (ლ. ჰ. მორგანი). ხდებოდა პირიქითაც – ვაჟები გადადიოდნენ სხვა გვარის წრეში.

ალბათ უკვე დარღვეული იყო სექსის ბიოლოგიური რეგულირებაც და ქალისა და კაცის ურთიერთობას მუდმივი სახე მიეცა, რაც დასაბამს აძლევდა როგორც ახალ კონფლიქტებს, ისე ბიოლოგიური მამის ცნებას. ქალი იწყებს მონადირე მხეცკაცის მოშინაურებას, როგორც ეს არის „გილგამეშიანში“.

და-ძმა ერთმანეთთან ახლობლობას გაურბოდა, რადგან ქალისა და კაცის განცალკევება სექსს ნიშნავდა.

ასევე იქცეოდნენ ქალიშვილები მამების მიმართ.

მამებს შეიძლებოდა სექსი ჰქონოდათ თავიანთ ქალიშვილებთან, რადგან სხვადასხვა ტოტემი ჰყავდათ.

ორი ტომი გენეტიკურად ნათესავი იყო. მათ მორგანმა ფრატრიები დაარქვა. მაგ., ავსტრალიაში არსებობდა შავი და თეთრი კაკადუს, ბრაზილიელ ინდიელებში – აღმოსავლეთისა და დასავლეთის, მელანეზიელებში – არწივ-თევზმჭერისა და შევარდენის ფრატრიები და ა.შ.

ჯოგისგან განსხვავებით ახალი კავშირები სექსის რეგულირებას და ტოტემურ ნათესაობას ემყარებოდა, რაც ყოველთვის სისხლის ერთობას არ ნიშნავდა.

ავსტრალიურ ტომებში ქმარს ძირითადთან ერთად ჰყავდა დამატებითი ცოლი, ისევე როგორც ცოლს – დამატებითი ქმარი. ამასთან ერთად ქალი მორიგეობით გადადიოდა ყველა კაცის ხელში.

ამას მოსდევდა ახალი სისხლიანი კონფლიქტები.

ვამბობთ ქორწინებასა და ცოლ-ქმრობას. მაგრამ ეს პირობითი ცნებებია, რადგან ქალი და კაცი ერთად არც ცხოვრობდა, არც საერთო საკუთრება ჰქონდათ. შვილი კი დედის ტოტემის გვარს ატარებდა.

ამის შემდეგ იწყება ქორწინების ასაკობრივი შეზღუდვა, ქორწინება ერთ წრეში, ვთქვათ – ბიძაშვილების დონეზე ან რამდენიმე დასთან ერთად (კროს-კუზენური ქორწინება).

დედის გვარი და ეგზოგამია – ინცესტის აკრძალვა მუსტიეს ეპოქაში უნდა წარმოქმნილიყო, ისევე როგორც პრაკულტურის სხვა მრავალი ნიშან-თვისება. აქეთკენ მიჰყავდა ველური ინსტინქტს, რომელიც უცხოს ელტვოდა (მაგ., მდედრი თავის ნაშიერს არ იკარებს).

დედის გვარის გაჩენა კი გამოყოფდა ნათესავთა წრეს, რაც სისხლით ახლობელთა ერთობაა. ნათესავი ახლობელია, იგი დედას უკავშირდება, სხვა კი – უცხოა (შდრ – მეგრულში დადი არის ბებია, დიდდედა, ხოლო დადია – ბატონი, მთავარი).

სისხლისმიერი ნათესავები აყალიბებენ გვარ-ტომს, რომელთაც ჰქონდათ ტოტემთან ერთად ზიარი აკრძალვათა სისტემა, წეს–ჩვეულებანი და ტერიტორია. მაგრამ გონის პროგრესი წარმოქმნიდა სოციალურ იერარქიას, რაც განსხვავდებოდა ნათესაური წესრიგისაგან და არაიშვიათად მას უპირისპირდებოდა.

მშობლიურობისა და მოვალეობის სინთეზი კი თავს იყრიდა ზნეობრიობის ცნებაში, რაც ინსტინქტების რეგულირების და კონტროლის შედეგი იყო.

პროსტიტუცია და წყვილადი ქორწინება

კონფლიქტების ასაცილებლად ჩნდებოდა ახალ-ახალი აკრძალვები. მაგრამ მდედრის ძებნა სხვა ტომის წრეში, საიდანაც მოდის მოტაცების ტრადიცია, მაინც სისხლისღვრას იწვევდა.

აქ ისევ ტაბუირებამ შეიტანა წესრიგი:

წრე კიდევ უფრო დავიწროვდა და დაიწყო წყვილადი ქორწინება, რაც ქმნიდა ინდივიდუალურ ოჯახებს და მიეცა რიტუალის სახე.

ამასთან ერთად ისევ არსებობდა ჯოგური სექსი, რასაც ჰეტერიზმს უწოდებდნენ, დღევანდელი გაგებით კი პროსტიტუციაა.

ქალს ქორწინებამდე სექსი ჰქონდა მრავალ მამაკაცთან. არსებობდა სასტუმრო ჰეტერიზმი, რაც გულისხმობდა ნებადართულ სექსს მასპინძლის ცოლთან ან ასულთან (შდრ – აღაზა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“. ჰეტერიზმის გადმონაშთია ხევსურული სწორფრობა და ფშაური წაწლობა).

ფინიკიურ-სირიული ადონისის კვდომა–აღდგომის დღესასწაულზე ქალები თავს იპარსავდნენ და თმებს ღმერთს სწირავდნენ ან უცხოსთან მეძაობდნენ ტაძარში.

ფინიკიელთა ტაძრებში ქალები პროსტიტუციას ეწეოდნენ ფულისთვის, რაც ადონისისთვის გროვდებოდა. ისინი ასტარტას როლს ასრულებდნენ, მამაკაცები – ადონისისას; ასევე იქცეოდნენ არმენიაში (სტრაბონი).

ეს ხდებოდა განსაზღვრულ დღეებში, რაც იყო უძველესი ჯოგური ცხოვრების გახსენება, ღვთაებრივი სიშმაგე.

ქალები ასე იქცეოდნენ გათხოვებამდე და ეს იყო წმინდა პროსტიტუცია. ეს ისევე იყო დაშვებული, როგორც რიტუალური კაცთშეწირვა და კანიბალიზმი.

ამგვარ ურთიერთობათა გამო ბევრ ტომში ქალწულობა ღირსებად კი არა, სათაკილოდ ითვლებოდა.

სექსი არ საჭიროებდა განმარტოებას. ეს ყველას თვალწინ ხდებოდა და არავის ინტერესს, სირცხვილს ან ცნობისმოყვარეობას არ იწვევდა.

ზოგან ქალი იმდენ სამაჯურს ან მძივს ატარებდა, რამდენ კაცთანაც სექსი ჰქონდა. მათი სიმრავლე სასახელო იყო. ჯერ არ არსებობდა ევრაზიაში მძიმე ვენერული დაავადება სიფილისი, რომელიც ამერიკიდან ჩამოიყოლეს კოლუმბის მეზღვაურებმა. ამიტომ თავისუფალი სექსი საფრთხეს არ შეიცავდა. ინდიელები ისევე ბუნებრივად ატარებდნენ მკრთალ სპიროქეტს, როგორც აფრიკელი ზანგები – შიდსის ვირუსებს ანდა ევროპელები – კოხის ჩხირებს.

კამბოჯაში გათხოვებამდე ქალწულს ერთი ღამე ქურუმთან უნდა გაეტარებინა (შდრ – პირველი ღამის უფლება საქართველოში). ასეთი გარჯისათვის ქურუმი საზღაურს ღებულობდა.

როგორც შენიშნავს ჩ. ლომბროზო, ქორწინება ისევე იშვა პროსტიტუციიდან, როგორც სამართალი – დანაშაულიდან. მიზანი იყო პროსტიტუციისა და დანაშაულის მაქსიმალური შემცირება.

ასევე იყო გავრცელებული ღია ჰომოსექსუალიზმი, პედერასტია და ლესბოსელობა (მაგ., საბერძნეთსა და რომში).

სპარტელები ცოლის შერთვას გაურბოდნენ. ქალს ვაჟურად თავს გადაპარსავდნენ, რათა კაცი ქალს შეგუებოდა. ცოლ-ქმარი თავისუფალ ცხოვრებას შემდეგაც აგრძელებდნენ.

ქალისადმი პატივისცემას გამოხატავს ერთი უცნაური წესი, რომელსაც კუვადას უწოდებენ: ზოგ ტომში ქმარი ასრულებდა მშობიარობის იმიტაციას და ცოლის მაგივრად იტანჯებოდა. ხოლო ცოლის მშობიარობის შემდეგ რამდენიმე დღე ლოგინში უნდა წოლილიყო! ასეთი წესი არსებულა ტიბარენების ქართველურ ტომებშიც (აპოლონიოს როდოსელი).

ოჯახის წარმოქმნა უკავშირდება დედას, რომელიც ქმნიდა საკუთრებას, რაც გადაეცემოდა შვილებს. მამა კი სტუმარი იყო. მეფის ტიტულიც გადადიოდა დედის ხაზით, რაც ისევ ინცესტს აღადგენდა. თუ ცოლი მოუკვდებოდა, მეფე ტახტს სტოვებდა, არადა – თავის ასულს ირთავდა. მაგრამ ეს ბრინჯაოს ეპოქაა. ხოლო გაცილებით ადრე, შეიძლება მეზოლითამდე, ოჯახი პირობითად არსებობდა, ქალი და კაცი ერთად არ ცხოვრობდნენ. ეს ისევ ჯოგურ ერთიანობას ჰგავდა, ოღონდ ერთი გვარ-ტომის წრეში.

ცოლ-ქმრობას ჰქონდა ხშირი ნახვის, მონახულების ხასიათი, რადგან გამოყოფილი ადგილი, თუნდაც ეს ყოფილიყო ეროკეზების გრძელი, კოლექტიური სახლის მსგავსი, სადაც ისინი ერთად იცხოვრებდნენ – არ არსებობდა. ერთად ყოფნის სურვილი კი აიძულებდათ ეძებნათ თავშესაფარი, ღამის სათევი, რაც მღვიმური ცხოვრების დასასრული იყო.

ალბათ, შეხვედრა და დაცილება, გულაცრუება და ურთიერთ-ლტოლვა იძლეოდა როგორც განშორების, ისე სიყვარულის მსგავს განცდას, რაც უცნობი უნდა ყოფილიყო ჯოგური ცხოვრების ეპოქებ-ში, რომელიც ყველაზე დიდხანს შემორჩათ ავსტრალიურ ტომებს, სადაც ქორწინების აღმნიშვნელი სიტყვაც კი არ არსებობდა.

ტომების წარმოქმნის შემდეგ სექსს ერთვოდა და აძლიერებდა გრძნობა ერთისადმი, რასაც სიყვარულს ანუ ნებაყოფლობით მონო-ბას უწოდებენ.

ეს გრძნობა კი ნიშნავდა ქალის დასაკუთრებას, სხვათა ჩამოცი-ლებას და მკაცრი ეტიკეტის დაწესებას, რასაც ქალის სოციალური ჩაგვრა მოჰყვა. უკვე ქმარი აღარ მიდიოდა ცოლთან – მას თავისთან მოჰყავდა ცოლი. შეიძლება გარდამავალი ფორმა იყო ქალის მოტა-ცება – თავისთან ჰყოლოდა ცოლი.

სიყვარული იწყება სასურველი სახის ფსიქიკაში აღბეჭდვით (იმპრიტინგი), რაც ააქტიურებს ჰორმონების გამოყოფას. კაცს ეს გრძნობა სწრაფად ეუფლება, ქალს – თანდათან. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყნოსვას ცვლიდა ხედვა, რაც მოჰქონდა გენომის ძახილს.

ქალისა და კაცის ურთიერთობის სხვადასხვა ფაზებს ჰორმონე-ბი არეგულირებენ (მაგ., პროგესტორენი, ესტროგენი, ფერომონი, ანდროსტენოლი, ნორეპინეფრონი, დოფამინი, ენდორფინი, ადრენა-ლინი, ოქსიტოცინი), კულტურის ფაქტორთა მონაწილეობით.

სიცხე აძლიერებს სექსუალობას, სიცივე – ანელებს. ეს აირეკ-ლება შინაგანი ენერგიის გადანაცვლებაზე. ამიტომ ინტელექტს უფ-რო ავლენენ ჩრდილოელები, ვიდრე ტროპიკის მკვიდრი აფრიკე-ლები.

ველურთა ეროტიკა მხოლოდ სექსი იყო და ყნოსვით იწყებოდა. მოხიბვლა, დაახლოება, ალერსი, კოცნა არ არსებობდა. მათ სანაცვ-ლოდ იყო ცხოველთა, თევზთა და ფრინველთა სამყაროში დამკვიდ-რებული სექსუალური თამაშები.

ცხოველური დაყნოსვა იყო მისალმება ან გაცნობა, არც ეროტი-კული ზონების დღევანდელი სპექტრი არსებობდა.

მკერდი, ტუჩები, ვნებიანი კოცნა ჰომეროსთან არც იხსენიება. ესენი აღძრავდნენ არა სექსუალურ, არამედ – დედობრივ გრძნობას.

ასევეა ინდურ „რამაიანაში“.

კოცნას ერთნი მიიჩნევენ დაყნოსვის, მეორენი – დაკბენის სახეცვლად (შდრ – გერმ. Küssen - კოცნა და რუს. Кусать – კბენა, ქართული ხალხური ლექსი: „ლამაზი გოგონასათვის ლოყაზე მაკბენინაო“), რაც ველურთა სექსს ახლდა.

ზოგი სექსს უკავშირებს ხახუნით ცეცხლის გაჩენას (მაგ., გ. ბაშლიარი), როგორც იმიტაციას, ისევე როგორც მიწის ხვნასა და დამუშავებას.

სიყვარული, ეროტიკული განცდები, მათი სუბლიმირება და ტრანსფორმაციები გახდა კულტურის, კერძოდ – ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი შთამაგონებელი და განმსაზღვრელი ფაქტორი.

ეგოიზმი და ოჯახი

ოჯახს აწესრიგებდა ქალი, რომელიც იძენდა და განაგებდა საკუთრებას (შდრ – ირმების გუნდს ხელმძღვანელობს ხნიერი ფური). დედის ინსტინქტმა მას გაუჩინა საკუთრებისაკენ სწრაფვა, რათა შვილები უფრო დაცული ჰყოლოდა.

ქალი უვლიდა შვილებს, მონაწილეობდა ჯოგის კოლექტიურ ცხოვრებაში, სადაც როგორც შრომა, ისე შრომის პროდუქტი, ისევ თანაბრად ნაწილდებოდა. მაგრამ დედობრივი ინსტინქტი და შვილებისადმი ყურადღება აღვივებდა ეგოისტურ ზრახვებს, რასაც იგი მიჰყავდა განკერძოებისაკენ. განკერძოება კი ნიშნავდა ოჯახისა და კერძო საკუთრების წარმოქმნას, ეგოისტურ მიდრეკილებათა რეალიზებას.

ქალები გამოეყოფოდნენ ჯოგს და ქმნიდნენ თავიანთ საბჭოს. კაცი იყო მისული და ძალა არ ჰქონდა.

ქალთა საბჭო არსებობდა XIX საუკუნეშიც კი იროკეზებსა და მელანეზიელებში.

საქართველოს ტერიტორიაზე V-IV ათასწლეულთა მოსახლენი თაყვანს სცემდნენ ნაყოფიერების ღვთაებას ქალის ქანდაკების სახით; ძველ ეგვიპტეში ოჯახის უფროსი ქალი იყო. ტახტის უფლება ქალს ჰქონდა. ამიტომ ძმა ქორწინდებოდა დაზე და ასე ხდებოდა ფარაონი; ასევე იქცეოდნენ ძვ. ხეთები, ინკები, ელამელები. კრეტაზე მთავარი იყო დედაღმერთის კულტი; ფრიგიაში მთავარი იყო დიდი დედა კიბელეს კულტი. ასეთივე წესი შემორჩათ მონღოლებს ჩინგის ხანის შემდეგაც კი.

შემდეგ, კოლექტივიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ტომის ცხოვრების წესს განსაზღვრავდა უხუცესთა საბჭო, რომელშიც დედებიც მონაწილეობდნენ. საბჭოს უნდა დაეძლია წევრთა ცხოველური ეგოიზმი, დაესაჯა ტაბუსა და ეგზოგამიის დამრღვევი (რასაც ჩვენ სისხლის აღრევას – ინცესტს ვეძახით) – მოეკლათ ან ტომიდან გაეგდოთ, ეზრუნათ ნადირობაზე, თავდაცვაზე, ამინდის შეცვლაზე.

ამიტომ ირჩევდნენ ბელადს, რომელიც განაგებდა ტომის ძალოვან მოქმედებას. ამასთან ერთად იკვეთებოდა ქურუმის როლიც, რომელიც მაგიურ ძალებთან და სულებთან იყო დაკავშირებული.

ტოტემს უკვე ბელადი განასახიერებდა, რაც პატრიარქატის დაწყებას ნიშნავდა (ზოგის აზრით მატრიარქატი საერთოდ არც არსებულა).

პატრიარქატი და ქალის ჩაგვრა

ამის შემდეგ კი, თითქმის შეუმჩნევლად, დაიწყო ქალის უფლებათა შეკვეცა, ჩაგვრა და ხშირად – მონური დამცირებაც. კაცი მინი-ბელადივით სასტიკი და ტირანი ხდებოდა.

მაგ., ჩინეთში ქალი კაცთან ვერ ისადილებდა. ასევე ყოფილა ძველ საქართველოშიც (იხ. „შუშანიკის წამება“). რომში, პარაგვაიში, ჰოტენტოტებში ქალს სიმთვრალისათვის სიკვდილით სჯიდნენ. ასევე თითქმის ყველგან სიკვდილით ისჯებოდა ქმრის მოღალატე ცოლი (შდრ. – „სექსის თავისუფლება“).

მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს ქალის მკაცრად იზოლირება ყველგან წესად იყო მიღებული.

ამასვე მოითხოვდნენ ბიბლია (ლევიანნი, თ. 15, მ. 19-33) და ყურანი (2, 220).

პრივილეგია შერჩათ არისტოკრატ ქალებს. მაგ., ხეთების თავანანა – დედოფლები (ძვ. წ. II ათასწლეული) მეფის უფლებებით სარგებლობდნენ, ისევე როგორც ფარაონის მეუღლე ნეფერტიტი (ძვ. წ. XIV ს.), ასურეთის დედოფალი ბაბილონელი სემირამიდა (ძვ. წ. IX ს.), პალმირელი მეომარი დედოფალი ზენობია (ახ. წ. III ს.) ან ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა (ძვ. წ. I ს.). თუმცა ძირითადი აკრძალვები მათზეც ვრცელდებოდა, როგორც ეთიკურ-ზნეობრივი და ჰიგიენური ნორმა.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, ქალის თავისუფლება უფრო იზღუდებოდა. მაგ., ახალბაბილონურ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პატარძლის ქალწულობას (А. Оппенхейм, Древняя Месопотамия, М., 1990); ინდური „მაჰაბჰარატა“ გვაცნობს როგორ იწვავენ თავს დაქვრივებული ქალები; მამა-ბელადის მიერ დამკვიდრებული ჰარემული ცხოვრების წესი არსებობდა მუსულმანებში. შუასაუკუნეებში კითხვაც დაისმოდა – აქვს თუ არა ქალს სული?

რუსეთში ქორწინების წინ მამა ქალიშვილს სამჯერ მათრახს გადაჰკრავდა ზურგზე, ქმრის მორჩილებას უბრძანებდა და მათრახს სიძეს გადასცემდა; რუსეთში ქმარს შეეძლო ცოლი მონად გაეყიდა და მოეკლა კიდეც!

ბელადის კვალმიდევნებით მამა გახდა ღმერთის, სახელმწიფოსა და კანონის სიმბოლო. მას დაუკავშირდა წესრიგი და დისციპლინა, რაც მხედრულ სულში ვლინდებოდა. წესრიგი კი მოითხოვდა

იერარქიას, ძალაუფლების გადანაწილებას (იხ. „ძალა და ძალაუფლების ნება“).

მხოლოდ XX საუკუნეში დაიწყო ქალთა გააქტივება, ბრძოლა თანასწორუფლებიანობისათვის, რასაც ლამის მატრიარქატის აღდგენა მოჰყვეს (იხ. „სექსუალური რევოლუცია“ მესამე წიგნში).

სამოსელი და სირცხვილის გრძნობა

ედემის ბაღში სიშიშვლისა და სირცხვილის გრძნობა მას შემდეგ გაუჩნდათ ადამსა და ევას, რაც გველის წაქეზებით იგემეს ცნობადის ხის ნაყოფი ანუ სექსის შედეგად აეხილათ თვალი და ლეღვის ფოთლები მიიფარეს.

სირცხვილი ადამიანური განცდაა და იგი უკავშირდება ზნეობას, ცნობიერების განვითარებას, სექსის რეგულირებას, ინტიმურ სფეროს. სირცხვილი იწვევს სიწითლეს, შიში – სიფითრეს.

ცხელი სარტყლის ბინადარ ტომებს სამოსი არ სჭირდებოდათ. მათ XIX საუკუნეშიც არაფერი ეცვათ. ტანსაცმელს ცვლიდა ტოტემის იდეით ტატუირება (ცხოველებში, შემდეგ მონებში – დადაღვა), სხეულის შეღებვა, ფრინველის ფრთები, მძივები და ცხოველთა კბილები, ქვის სამაჯურები, როგორც მაგიური ნიშნები.

როცა ევროპელებმა შიშველ ავსტრალიელებს ტანსაცმელი მისცეს, მათ იგი მხრებზე გადაიფარეს.

ზოგან მხოლოდ თავსაბურავს ატარებდნენ, რაც მზის მაგიური მოქმედებისაგან იცავდა ადამიანს.

რაც ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ, კლიმატი იცვლებოდა. ზაფხულის თაკარა მზეს თოვლი და ყინვა მოსდევდა. სუსხი გათოშილს აიძულებდა მოეხურა ნადირის ბალნიანი ტყავი, მოეგროვებინა ფრინველის ბუმბული და ფრთები, მღვიმე მოეძებნა.

ალბათ უძველესი სიშიშვლის გადმონაშთი იყო, როცა ესკიმოსების იურტაში – ქალს და კაცს, ბავშვს და მოხუცს – ყველას ერთად დედიშობილას, თევზებივით ერთმანეთზე მიწყობილს ეძინა, ან როცა ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებზე შიშველი გამოდიოდნენ.

შემდეგ – სექსის რეგულირებასთან ერთად ძლიერდებოდა სირცხვილის გრძნობა და ადამიანი ზაფხულშიც ატარებდა წინსაფარს, ფოთლებს, დარბილებულ ხის ქერქს, რაც სასქესო ორგანოებს უფარავდათ.

ტომის ბელადი და ქურუმი ფერადი ჭილობებით, სირაქლემის ფრთებით, სამაჯურებით, ნიჟარების ყელსაბამებით და საყურეებით ირთვებოდნენ და საახალწლო ჩიჩილაკს ჰგავდნენ.

ზოგ ავსტრალიურ და აფრიკულ ტომში ატარებდნენ საგოს პალმისაგან გაკეთებულ რიტუალურ თავსაბურავს, რომლებზეც გამოსახული იყო ღრუბლები, მზე და მთვარე.

ტანსაცმელი ჩნდება მას შემდეგ, რაც დაიწყეს რთვა და ქსოვა.

სამოსელი სექსის რეგულირების თანამდევი გამოხატულება იყო. იგი იქცა კულტურის აუცილებელ ატრიბუტად.

3. ბელადი და ქურუმი

ველური – მონადირე და მეომარი

პირველყოფილი ადამიანი ჯერ იკვებებოდა წვრილფეხა ცხოველებით. მაგრამ შემდეგ, როცა ჯოგის წევრებს გაუჩნდათ ხელკეტები, ხელცულები, რქისა და ძვლის იარაღები, დაიწყეს მსხვილფეხა ცხოველებზეც ნადირობა. ქვედა ნეოლითის დროს დედამიწაზე ადამიანთა რიცხვი ათასჯერ ნაკლები იყო დღევანდელზე, ხოლო ცხოველთა რიცხვი – ალბათ ათასჯერ მეტი.

ეს აიოლებდა სარჩოს მოპოვებას, მაგრამ აძნელებდა სიცოცხლის დაცვას. ამიტომ პითეკანთროპს თუ არქანთროპს უნდა ჰქონოდა ფიზიკური ძალა და მოხერხება, რათა ნადირს გამკლავებოდა ან თავს დასხმოდა და მოეკლა.

მაგრამ ინდივიდუალურად ეს შეუძლებელი იყო.

ჰომინიდები ჯოგებად ცხოვრობდნენ და ერთადაც ნადირობდნენ. აქ ჯერ არ იყო ბელადი, არც ქალის საკუთრება, არც საზრდოსი.

ჯოგის წევრთა რიცხვი ალბათ 30-დან 80-მდე თუ იქნებოდა (ზოგი ჯოგს ურდოს არქმევს, ზოგიც – პრათემს).

ჯოგს აერთიანებდა გადარჩენის ინსტინქტი, არა სისხლით ნათესაობა. ყოველ ნაბიჯზე ხიფათი და სიკვდილი იყო ჩასაფრებული, რომელსაც ურჩხულის ნიღაბი ჰქონდა აკრული.

უცნობი და საზარელი გარემო, უცხო და სასტიკი ცხოველები თუ წყლის ბინადარნი აკავშირებდნენ ჯოგის წევრებს და ამიტომ შიდაკონფლიქტების მიზეზი ნაკლებად არსებობდა.

მათი ძირითადი საზრუნავი იყო ჯერ საკვები, შემდეგ – სექსი.

ჯოგის აგრესია ნადირისკენ იყო მიმართული, საითკენაც მას ერეკებოდა შიში და შიმშილის გრძნობა, სისხლის წყურვილად ქცეული.

ნადირობდნენ ყველგან – არქტიკასა და უდაბნოებში, ტუნდრასა და სტეპებზე, მთებსა და ტყეებში, სიცხესა და ყინვაში, წყალსა, ჰაერსა და ხმელეთზე.

ნადირობა ადამიანის უძველესი თვისებაა და არა ერთი რომელიმე ჯოგის პრივილეგია. მაგ. ზედაპალეოლითური დროის სადგომებზე ერთგან აღმოჩენილია ათასამდე მამონტის (ჩეხოსლოვაკია), მეორეგან – ათი ათასამდე ცხენის (საფრანგეთი), მესამეგან – ათასამდე ბიზონის (უკრაინა), მეოთხეგან – ოცდაათამდე სპილოს (ესპანეთი) ნაშთი.

ხორცი შედგება ცილებისა, ცხიმებისა და ნახშირწყლებისაგან, რაც ადამიანს მეტ ენერგიას აძლევს, ვიდრე მცენარეული საკვები. ენერგია კი შფოთვა და სწრაფვაა.

ამას კარგად ხედავდნენ წმინდა მამები, რომელთაც ქრისტიანთა ცხოვრებაში შემოიღეს ხორცის მოხმარების რეგლამენტი, დააწესეს მარხვა და ხსნილი, რათა ცხოველურ ვნებათაგან ამღვრეული სული პერიოდულად მცენარეული საკვებით დამცხრალიყო (იხ. „ასკეზი“).

ველური ნანადირევს დიდხანს ვერ შეინახავდა – მზე და სიცხე გამხრწნელად მოქმედებდა.

ნანადირევი რომ სწრაფად არ წამხდარიყო, უნდა წასულიყვნენ მთებისა და ჩრდილოეთისაკენ, სადაც მკაცრი კლიმატი სუფევდა.

ჯოგის წევრებს უწევდათ ხშირი ნადირობა ცხოველებზე თუ თევზჭერა. ამიტომ სხვადასხვა ხერხიც ჰქონდათ (ჩასაფრება, ცეცხლით დაშინება, ნადირის გამორეკა, ორმოში ან კლდეზე გადაჩეხვა, ქვებითა და ხელკეტებით მოკვლა).

პითეკანთროპმა ცეცხლსაც მიაგნო, რასაც აჩენდა მეხი ან მზის მცხუნვარება, მიაგნო და გამოიყენა.

ცეცხლი ედებოდა გვალვით გადამხმარ ბალახებს, ხეებს და ადამიანსაც სდევნიდა.

იღუპებოდნენ ცხოველებიც, ცეცხლი სწვავდა მათ სხეულს და დამწვრის სუნი აღიზიანებდა ყნოსვას.

დამწვარი ხორცის სურნელი კამკამა ჰაერს შორს გადაჰქონდა, რასაც ხარბად იკრებდა ძლიერი ყნოსვა.

ალბათ ველურსაც შემწვარი ხორცი უფრო იზიდავდა, ვიდრე უმი და სისხლიანი.

ტომის ორგანიზება

ნადირობის ორგანიზების აუცილებლობამ ჯოგის წევრებისგან გამოჰყო ძლიერი მამაკაცი, ყველაზე თავგანწირული და მამაცი, ვისაც შეეძლო მოძმეთა დაცვა და გადარჩენა, სარჩოს მოპოვება.

იგი იქცა გვარ-ტომის ბელადად.

ალბათ, ეს უნდა მომხდარიყო მუსტიეს პერიოდში, როცა ნეანდერტალელები სტოვებდნენ არენას.

კლანს თუ ტომს უწევდა ასევე თანამოძმეებთან ბრძოლა, წევრების დაცვა. კონფლიქტს იწვევდა ისიც, რომ ტომებს სხვადასხვა პროტოენა ჰქონდათ და ველური ველურს ვერ უგებდა. რომც გაეგო, უცხოს მაინც არავინ დაინდობდა, რადგან ისტორიულ პერიოდშიც უცხო, არანათესავი მტერთან ასოცირდება: იგი უნდა მოეკლათ.

ამიტომ ტომის ბელადი მონადირესთან ერთად მეომარიც უნდა ყოფილიყო. ველურთა სიცოცხლე ხანმოკლე იყო, სიბერით სიკვდილი იშვიათად თუ ეწერა ვინმეს (შდრ – ანთროპოიდი ცოცხლობს 50 წლამდე). ბელადიც შეტაკებებში, შიდა თუ გარე კონფლიქტებში იღუპებოდა. მაგრამ ტომსა თუ კლანში მტკიცდებოდა ტრადიცია, რომ ბელადი არის გადამრჩენი ძალა და იგი უნდა იყოს ყველაზე კარგი მონადირე და მეომარი.

ბელადის მიერ ორგანიზებული ტომი მღვიმეების გარდა თავს აფარებდა მიწურებს, რომელთაც ტყავებითა და ხის ტოტებით გადაფარავდნენ, აკეთებდნენ საცხოვრებელ ბორცვებს – თეფეებს. მაგრამ როცა გაჩნდნენ ინდივიდები და ჯოგური ცხოვრება დაირღვა, შეიცვალა ნადირობის წესიც: გვარტომი ანუ მონადირეთა მცირე ჯგუფი იძულებული ხდებოდა სხვაგვარად მოქცეულიყო. ახლა მთავარი გახდა ტაბუს დაცვა, მაგიური ქცევა, ნადირის გულის მოგება, რათა იგი დანებებოდა, ხოლო მოკვლის შემდეგ არაფერი ზიანი მოეტანა მონადირისათვის (შდრ – გველის კულტი).

ეს იყო ნეანდერტალელებისაგან გამოყოლილი შიში, რომელსაც ველური სხვადასხვა მაგიური ქცევით, ტოტემისტური რწმენითა და ტაბუირების სისტემით შეებრძოლა.

ამიტომ ნანადირევს პატივით ეპყრობოდნენ და ეფერებოდნენ. ზოგან ბიზონზე ნადირობის წინ ასრულებდნენ ბიზონის როკვას, დათვზე ნადირობის წინ – დათვურ როკვას, რაც იგივე მათი დახოცვის იმიტაცია იყო.

ამ დროს გადაიცვამდნენ შესაბამისი ცხოველის ტყავს ან ატარებდნენ მისი ტყავის ნაგლეჯს.

ზოგჯერ ამგვარი ქცევა 2-3 კვირა გრძელდებოდა, ვიდრე ნადირი გამოჩნდებოდა. მონადირეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, რათა როკვა უწყვეტი ყოფილიყო.

ზოგ ტომში მონადირე ბეჰემოთის მუცელში შეძვრებოდა, სისხლითა და ექსკრემენტებით ითხვრებოდა და ასე ეხვეწებოდა, რომ არც მას, არც სხვა რომელიმე ბეჰემოთს ვნება არ მოეტანა.

ასე რომ, რიტუალები ეწყობოდა როგორც ნადირობამდე, ისე ნადირობის შემდეგ.

მოღწეულია შავი საღებავით შესრულებული გვიანპალეოლითური კედლის მხატვრობა ლოს კაბალოს მღვიმიდან (ესპანეთი): მონადირეები მშვილდისრით როგორ ხოცავენ მათკენ მომქროლავ ირმების გუნდს.

მიაჩნიათ, რომ კედლებზე გამოსახული ნადირობის სცენები, ცხოველები და ფრინველები მაგიური მოქმედების ნაწილია.

ბელადი – ტოტემის ხატი

ადამიანთა ჯოგი, მუდმივ კონფლიქტებში გახვეული შმაგი, ეგზალტირებული ნეანდერტალელები წესრიგსა და დისციპლინას დაუმორჩილა დედამ, დედის ტოტემურმა გვარმა. შემდეგ, Homo sapiens-ის ეპოქაში, დედის გვარიდან, გვარტომიდან გამოიკვეთა ცხოვრების წესის წარმმართველი და განმსაზღვრელი ორი ძალა – ბელადი და ქურუმი.

მათ დედის გვარ-ტომი განავრცეს, შეაერთეს სხვა გვარ-ტომებთან და შექმნეს ტომის სახე, სადაც არსებობდა არაერთი დედა და ამიტომ ქალი ჩრდილში მოექცა.

დედის ადგილი დაიკავა საერთო ტოტემმა, რომელიც მრავალ გვარს აერთიანებდა.

როგორც ვთქვით, ბელადი ქრება მას შემდეგ, რაც გვაროვნულ-ტომობრივი გაერთიანებანი სახელმწიფოს მსგავს სახეს იღებენ, ე.ი. ხდება მეტი კონსოლიდაცია, შერწყმა, ასიმილირება.

ბელადის ადგილს იკავებს მეფე, რომელიც ასევე სასტიკი და დაუნდობელი უნდა ყოფილიყო მტერთა მიმართ.

კონსოლიდაცია გულისხმობდა სისხლისღვრასა და განადგურებას, დამარცხებულთა მოსპობას ან დამონებას.

ეს იყო საშინელი, მაგრამ აუცილებელი პროცესი, რომელიც ინდივიდების და ეგოიზმის დათრგუნვით პროგრესისაკენ მიდიოდა.

ფრ. ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, მორალურ ღირებულებათა მიღწევა შეიძლება მხოლოდ უზნეო ძალებისა და აფექტების მეოხებით („Воля к власти“, М., 2005, стр, 167).

როგორც ვწერდით, პროგრესისა და კულტურის ფესვები ადამიანთა სისხლის ზღვაშია გადგმული, რასაც ქრისტიანობა პირველ-ცოდვას უწოდებს.

ამ ცოდვის გამოსყიდვას და სულის ხსნას ეწირებიან, ამისთვის ეწამებიან ახალი ღმერთები (იხ. „წამებული ღმერთი – კაცთა მხსნელი“).

ბელადი – ძალაუფლების არქეტიპი

ბელადი იყო ლიდერი, ძლიერი მამაკაცი, რომელიც განაგებდა ტომის მოქმედებას, არჩევდა და წინ მიუძღოდა მონადირეებსა და მეომრებს, ანაწილებდა სარჩოს, სჯიდა დამნაშავეს.

ფიზიკურ ძალასთან ერთად მას უნდა ჰქონოდა ქარიზმული მაგია, რათა მზერით, გარეგნობით თუ სიმამაცით მოენუსხა ტომის წევრები, ჩაენერგა მათთვის არა მხოლოდ შიში, არამედ – რწმენაც,

რათა ასე დაეძლია მოძმეთა ცხოველური ეგოიზმი; ტომისათვის აერიდებინა გვალვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, შიდა კონფლიქტები, გარე მტერი. ამიტომ ბელადს თავისი სიმამაცით უნდა მოეპოვებინა ავტორიტეტი. იგი იდუმალი გამოსხივებით იცავდა ტომის წონასწორობასა და მთლიანობას. მაგრამ თუ ტომი დამარცხდებოდა, სიკვდილი ელოდა.

სიკვდილი ელოდა მაშინაც, როცა ასაკი დაეტყობოდა ან გვალვას თუ წვიმას ვერ შეაჩერებდა, თუ კალიების ლაშქარს ვერ მოსპობდა (იხ. „ბელადის მკვლელობა“).

მანამდე თავად იყო აბსოლუტური განმსჯელი და განმრიგე. სასჯელი კი ერთადერთი იყო – სწრაფი მოკვდინება ან ტომიდან განდევნა.

ასე რომ გაღმერთებიდან დამხობამდე ერთი ნაბიჯი იყო. ტაბუს ზუსტი დაცვა ბელადს ამ განსაცდელს ააცილებდა. ამიტომ მას ჯადოსნის, მაგის, ექიმბაშის თვისებანიც უნდა ჰქონოდა. აქედან – ქურუმ-ბელადი.

ბელადის მომნუსხველი ძალა მოქმედებასა, მზერასა და სიტყვაში ვლინდებოდა, რითაც თრგუნავდა თანამოძმეებს.

ეს თვისებანი გადაეცემათ შემდეგ დროებში მეფეებს, იმპერატორებს, სარდლებს: ისინი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდნენ, რადგან ღმერთების შთამომავლებად მიიჩნეოდნენ.

ქურუმს მსგავსი ეფექტის მიღწევა სხვა გზით შეეძლო. იგი არ იყო ნადირობისა და ბრძოლის ლიდერი, მაგრამ კავშირი ჰქონდა სულებთან, უსხეულო, ზებუნებრივ ძალებთან და მათი მეშვეობით მბრძანებლობდა.

პირველყოფილი ჯოგი თანასწორუფლებიანი იყო, ვიდრე ბელადი და ქურუმი გამოეყოფოდნენ და ძალაუფლების იერარქიას დაადგენდნენ. თუ ხე უხვ ნაყოფს მოისხამდა, ამას დაღუპული ბელადი აგზავნიდა გაღმა ქვეყნიდან.

ზოგი ტომი ბელადის ხელისა და ფეხის ფრჩხილებს, თმასა და წვერს ინახავდა. ამ გუნდას შეჰკრავდნენ და მცველს მიუჩენდნენ.

ხოლო ჯანმრთელ ბელადს ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც ფუტ-კრის გუნდი დედა ფუტკარს.

ბელადი იყო ტომის მამა, რადგან მან ჰარემული ცხოვრების წესი დაამკვიდრა – ყველა ქალი ბელადს ეკუთვნოდა, რასაც სდევდა სისხლიანი კონფლიქტები ძმებთან და შვილებთან (შდრ – ქათმებში: მამალი და დედლები).

ეს კი იწვევდა ახალი ტომების წარმოქმნას, სწრაფ დიფერენ-ცირებას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაჩნდა შუბი და მშვილდ-ისარი (შდრ – ქართული „ისროლა“ და „ისარი“) – ეფექტური საბრძო-ლო იარაღები (შდრ – ლივიური issari და ხეთური hessar, რაც ხელს ნიშნავს.

ეს უნდა მომხდარიყო მეზოლითის დასაწყისში, რაც გარდაუ-ვალს ხდიდა ტომების შეტაკებებს ანუ გაერთიანებას.

ტერიტორიის გრძნობა

ველური იმ მიწასთან, რომელზეც დაიბადა, მაგიური საგნებითა და ქცევებით არის დაკავშირებული. აქ ცხოვრობენ მისი ტოტემი, დედა და ტომის წევრები, აქ არიან მიცვალებულთა სულები, ის მცე-ნარეები, რომლებიც ნაყოფს იძლევიან, ის ცხოველები, რომლებზეც ნადირობენ.

ველურმა ზუსტად იცის ყველა ხე, ბუჩქი, ბილიკი, წყარო. იგი ნიანგთანაც კი მეგობრობს და თუ ნიანგი თავს დაესხა, ამისი მიზეზი ბოროტი სული ან ჯადოქარი იქნება, რომელმაც ნიანგი სამტროდ განაწყო.

თავის ბუდესთან მამრი ამარცხებს მასზე ძლიერს – ბუდე (ბინა) იძლევა რწმენასა და ენერგიას.

ყოველი საგანი ველურის სიცოცხლის ნაწილია, ხილულიც და უხილავიც, მცენარეც და ცხოველიც, მკვდარიც და სულდგმულიც.

ეს ყოველივე მას ეკუთვნის და ამიტომ ვერ გავა ამ წრიდან. მაშინაც, როცა მეზობელ ტომს თავს ესხმიან, არ აპირებენ მიწის მიტაცებას, რადგან იქ უცხო ტოტემები, საგნები და სულებია, რომლებიც შურს იძიებენ.

იქ უცნობი გარემოა და ყოველი საგანი მტრული თვალებით იმზირება. ამიტომ თუ ტომი ვინმეს მოიკვეთს, იგი იღუპება – შიმშილით, მტრის ხელით ან დეპრესიით. ძაღლი სასეირნოდ რომ გაჰყავთ, ყველა ბუჩქთან მოშარდავს. ეს არის საკუთარი ტერიტორიის მონიშვნა, რომელსაც იგი სუნით სცნობს;

ძაღლი პატრონის სახლს კი არ იცავს, არამედ – თავის ტერიტორიას, რომელშიც ცხოვრობს.

გორილებს აქვთ თავიანთი საზღვარი და მას არ სტოვებენ. აქვთ თავიანთი გზები, იცავენ ამ სამფლობელოს, რომელიც ცხოველთა და ფრინველთა მსგავსად ზონებად აქვთ დაყოფილი (საქორწინო, საბინადრო, დასაზამთრებელი...).

სხვადასხვა სახეობის მწერი, ცხოველი თუ ფრინველი ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობს. ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან და მიწის ეს ფართი თავისებური გავლენის სფეროებად აქვთ გადანაწილებული. მაგრამ იქ უცხო არ უნდა შევიდეს.

ველური შეპყრობილია მშობლიური წარმოდგენებით, რაც მკვიდრდება და მტკიცდება ექსტაზური რიტუალებითა და აკრძალვათა სისტემით.

ასე ყალიბდება ტერიტორიის გრძნობა (შდრ – „მიგრაცია და ადაპტაცია“).

ქურუმი – შემოქმედის არქეტიპი

ქურუმი, სულხან-საბას განმარტებით, არის „კერპთ მღუდელი, მისანი“, კერპი – „წარმმართთ ცრუ ღმერთი“, ხოლო მოგვი – „ვარს-

კულავთ მრიცხველი, გინა გრძნეული“. გრძნეული კი „ეშმაკურობის მოქმედია“.

ქურუმებს ჰქონდათ თავისუფალი დრო და კარგი პირობები დაკვირვებისა და განსჯისათვის, სხვადასხვა სახის ცოდნის დასაგროვებლად, რაც ღმერთებისგან წამოსულად მიიჩნეოდა. მაგრამ ეს ცოდნა რჩებოდა კასტის ხელში. მისი პროფანაცია არ უნდა მომხდარიყო, მასას არ უნდა გადასცემოდა.

ეზოტერული ცოდნა რიტუალებსა და მისტერიებში ვლინდებოდა, ინიციაციების გზით გადაეცემოდა ხელდასხმულს, განდობილს.

ქურუმი (დრუიდი, ბრაჰმანი, კოგენი, შამანი) პოლითეისტურმა რელიგიებმა ბოლომდე შეინარჩუნეს, ვიდრე წარმართული ტაძრები არ დაიხურა.

იგი შეცვალა იუდაიზმში რაბინმა, ქრისტიანობაში – მღვდელმა, ისლამში – მოლამ.

მონოთეისტურმა (ერთღმერთიანმა) რელიგიებმა შექმნეს ღმერთთან მიმართების რთული იერარქიული სისტემა, ახალი დოგმები და ლიტურგიის წესი, სადაც სისხლი შეცვალა წყალმა და მირონმა, როკვა და ყიჟინა – სიტყვამ, მსხვერპლშეწირვა – სანთელმა, დამწვარი ხორცის სურნელი – საკმეველმა, სამსხვერპლო ლოდი – ტრაპეზმა, ღია სივრცე – სარკმელმა, დანა – ოლარმა. ქურუმი ტომს გამოეყო ბელადის შემდეგ, როცა გავრცელდა ქვათა, ხეთა, ცხოველთა თაყვანისცემა, როცა საჭირო გახდა ამ ძალთა გამოყენება, ილუზიური თუ რეალური განსაცდელისაგან თავის დაცვა.

ამას აკეთებდა და განაგებდა ის, ვინც ფანტაზირების მეტი უნარით გამოირჩეოდა, ვისაც შეეძლო მოძმენი განეცვიფრებინა და დაეჯერებინა.

ქურუმი იყო არქაული სულიერების გამომხატველი, მაგი, წინასწარმეტყველი, ექიმბაში და ასტროლოგი, რომელიც ზებუნებრივ ძალებსა და ადამიანებს შორის იდგა.

მას უკავშირდება პირველყოფილი ცოდნის მოპოვება, შენახვა და გადაცემა, კულტურის პრაფორმების თხზვა და გავრცელება.

მაგ. ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე ქურუმმა მანეთონმა დაადგინა ეგვიპტის ფარაონთა 31 დინასტია, რაც სპეციალისტებმა ძირითადად გაიზიარეს.

ქურუმები თხზავდნენ და ადგენდნენ პირველად ანიმისტურ და ტოტემისტურ რიტუალებს, წარმართავდნენ კაცთშეწირვას (შემდეგ – მსხვერპლშეწირვას), ანაწილებდნენ შეწირულის სისხლსა და ხორცს, უძღვებოდნენ პროცესიებს, მიმართავდნენ ყოვლისშემძლე ძალებს და მათი წყალობა გადმოჰქონდათ ტომის წევრებზე.

ღვთაებებს თავიანთი ქურუმები ჰყავდათ (მაგ. ამონ-რას ქურუმი, აპოლონის ქურუმი, დიონისეს ქურუმი, არტემიდას ქურუმი).

ქურუმი განაგებდა დამარხვის რიტუალს, აწესრიგებდა როგორც ცერემონიალს, ისე მიცვალებულის მიწიერ სამყოფელს – როგორ წოლილიყო, ვინ ჩაეყოლებინათ, რა ჩაეტანებინათ, რანაირად მოერთოთ საფლავი.

მათ ფანტაზიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლეს პირთა, მაგ., ფარაონთა დაკრძალვის დროს; საჭირო იყო მდიდრულ სამარხთა, აკლდამათა, პირამიდების არა მხოლოდ აგება და დაგეგმარება, არამედ – ღვთაებრივი ელვარებით მორთვა.

ეს კი ცოდნასა და გემოვნებას მოითხოვდა, რასაც ითვალისწინებდა არქიტექტურული პრინციპი.

ქურუმები მთელს სამყაროში განსაკუთრებულ ძალაუფლებას ფლობდნენ. ამის გამო ყალიბდებოდა იერარქიული სტრუქტურა: რომაული კულტის მსახურთა კასტა ქურუმთა რამდენიმე კოლეგიისაგან შედგებოდა (მაგ., ავგურები, ვესტალები, პონტიფიკები) და განსხვავებული ფუნქციები ჰქონდათ.

ეტიმოლოგიურად სიტყვა „ქურუმი“ შეიძლება მოდიოდეს შუმერული „ქურ“-იდან, რაც ნიშნავს როგორც მთას და წმინდას, ისე უცხოსა და წყლის ურჩხულს;

ხეთურად კლდის მწვერვალსა და სამლოცველოს ერქვა „ხექურ“ (hekur).

სექსი და ექსტაზი

ბელადის მსგავსად, ქურუმიც ფიზიკურად უნაკლო უნდა ყოფილიყო. ამასვე მოითხოვდა მოსეს სჯული.

ქურუმი შემწირველთა წინაშე ტრანსში ვარდებოდა, სახეზე ოფლი გადასდიოდა, ბაგე ულურჯდებოდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და გაუგებარ სიტყვებს აღმოთქვამდა, რაც ჰგავდა ეპილეპტიკის კონვულსიებს, ხოლო ბოდვითი სიტყვათნაკადი – შიზოფრენიკის მეტყველებას.

ასეთი უეცარი გარდასახვა აოცებდათ და აშინებდათ. ქურუმის არსებაში აღსდგებოდა მშფოთვარე ნეანდერტალელი, მისებრი ბნელი და იდუმალი წარმოდგენები.

ამას აღწევდნენ ნარკოტიკული სასმელებით, სამკურნალო ბალახების ნაყენებით, ოპიუმით. ინდიელი ქურუმები თამბაქოსაც იყენებდნენ, რასაც „ღვთაებრივ ბალახს“ ეძახდნენ.

ბუნდოვან მეტყველებას ალაგებდნენ და ღებულობდნენ, როგორც ღმერთების ნების გამოცხადებას.

ძველ საბერძნეთში შემოქმედს ნევროზთან და ფსიქოზთან ანათესავებდნენ, რადგან იგი ან ქურუმი იყო, ან ქურუმთა წიაღიდან მოდიოდა.

ქურუმი კი რიტუალურად ნეანდერტალური ჟამისკენ უკუიქცეოდა, თუმცა ეგონათ, რომ ავი სულებით იყო შეპყრობილი.

ასე მოტანილი უცხო ჭეშმარიტება ღვთაების გამონათებად მიაჩნდათ, რადგან მისი მოპოვება მხოლოდ ბნელმეტყველებასა და კონვულსიებს შეეძლო.

ექსტაზი იყო ღმერთთან კავშირის საშუალება, რასაც ქურუმები ასევე აღწევდნენ სისხლით, სისხლის დაღვრით ან სექსით. ამიტომ სექსის წინ პენისზე იწერდნენ ღმერთის სახელს.

იქ, სადაც ქურუმს სექსი ეკრძალებოდა, რიტუალურად მაინც უშვებდნენ.

მაგ., ბაბილონში ქურუმი ღმერთ მარდუქს განასახიერებდა და ყველაზე მაღალი, მერვე გოდოლის დარბაზში მართავდა კულტი-სადმი შეწირულ მონა ქალთან ქორწინებას.

სექსის შემდეგ ქალს კლავდნენ.

რომში ღმერთქალ ვესტას ქურუმი ქალები ქალწულად უნდა დარჩენილიყვნენ მსახურების ოცდაათი წლის მანძილზე. თუ აღ-თქმას დაარღვევდნენ – ცოცხლად დამარხვა ელოდათ.

საპოტეკების ქურუმი ასკეტურად ცხოვრობდა. მაგრამ წელი-წადში ერთხელ შეიძლებოდა ეცეკვა, ენადიმა, უგრძნობლად დამ-თვრალიყო. ასეთ დროს მასთან მიჰყავდათ ქალწული. თუ იგი ვაჟს დაბადებდა, ის იქნებოდა სისხლის პრინცი და ქურუმის მემკვიდრე.

საჭურისები იყვნენ ფრიგიული ატისის, სირიულ–ფინიკიური ადონისის, ასტარტას, კიბელეს, არტემიდა ეფესელის ქურუმები. ისინი ღმერთს თავიანთ პენისს სწირავდნენ, ან ერთმანეთს სჭრიდ-ნენ.

ექსტაზის დროს, როცა აღგზნებული ბრბო ყვიროდა, როკავდა, დოლს აბრაგუნებდა და ფლეიტას უკრავდა, ქურუმი დანით პენისს იჭრიდა და ეს იყო კურთხევა.

ზოგან პირიქით იქცეოდნენ. მაგ., ინდოეთში ახლად ხელდასხ-მული ბრაჰმანი დოლის ბრაგუნში, რაც სულებს ჰფანტავდა, სექსს ეძლეოდა; საბერძნეთში კი ქურუმი იქცეოდა იმ ღვთაებად ან მის ჰიპოსტასად, რომლის დღესასწაულიც იყო. მაგ., არტემიდას ჰიპოსტასი იყო დათვი და ატიკაში რიტუალის დროს იცვამდნენ დათვის ტყავს, როკავდნენ დათვურად და ნადირობის ღმერთქალს მსხვერპლად სწირავდნენ დათვს (შდრ – ლუკაიას გაცხენება კ. გამ-სახურდიას „მთვარის მოტაცებაში“).

ღმერთებთან კავშირს ქურუმი სამსხვერპლო პირის სისხლის დაღვრით კრავდა (შდრ – კაენმა ღმერთს შესწირა მიწის ნაყოფი, რადგან მიწის მუშაკი იყო. არ მიიღო ასეთი ნობათი უფალმა. მაგრამ მიიღო პირუტყვი, რომელიც მეცხვარე აბელმა შესწირა, ე. ი. აქაც უპირატესობა ეძლევა სისხლს).

ადამიანთა მოდგმას სიცოცხლე ღმერთებისაგან ეძლეოდა. ამიტომ სისხლი უფლისთვის უნდა დაებრუნებინათ ცალკეულ პირთა შეწირვით, რაც მოდგმის გადარჩენას ნიშნავდა.

ღმერთებსა და ადამიანებს ერთმანეთი სჭირდებოდათ, ერთმანეთს აცოცხლებდნენ და სულს უდგამდნენ.

ქართულში სისხლი (მეგრ. ზისხირი) მზეს უკავშირდება, როგორც სითბოსა და სიცოცხლის წყაროს, სული (მეგრ. შური) – ჰაერს (სუნი, სულთქმა, სუნთქვა, ყნოსვა).

ამდენად სიცოცხლეს აქვს სისხლის მნიშვნელობა. მაგ., „სისხლი დაღვარა“, „სისხლი აიღო“, „სისხლის ფასად“, „მამასისხლად“, „უსისხლო“, „სისხლსავსე“...

ამიტომ საგაზაფხულო თესვის წინ მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს და მათი სული იქცეოდა თავთავად, რომელიც შეწირულის სისხლისგან ამოდიოდა. თუ თესლიც სისხლში იქნებოდა ამოვლებული, მეტ ბრინჯს, ქერსა და ხორბალს მოიწევდნენ. მოსავლის აღებასაც ასევე მსხვერპლშეწირვით ზეიმობდნენ (მაგ., ეკვადორში, მექსიკაში, გვინეაში).

იქ, სადაც ბევრი სისხლი იყო დაღვრილი, ველი თუ ბორცვი ალისფერი ყაყაჩოებით იფარებოდა (შდრ. ლადო ასათიანის ლექსი „კრწანისის ყაყაჩოები“).

ქურუმი – კანონმდებელი

ქურუმის უკან ღმერთის ლანდი იდგა. ამიტომ ჰქონდა მის სიტყვასა და მოქმედებას ულმობელი ძალა.

სიტყვა იგივე მოქმედება იყო. განყოფა სიტყვასა, ფიქრსა და მოქმედებას შორის არ არსებობდა. შესაბამისად – არც სიცრუე არსებობდა.

„სიცრუე და ორპირობა“, რასაც გმობდა რუსთაველი, ინტელექტის თვისებაა, რომელმაც ღონეს ხერხი შეუნაცვლა.

ღმერთებისა და ქურუმების წინაშე ტომი წრფელი და მართალი უნდა ყოფილიყო.

როცა ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურმა მუცალის სულს „შავი კურატი“ თავად დაუკლა, ამას ტომის წევრთა განრისხება მოჰყვა („საკლავს თვითონ კლავს ალუდა“), რადგან ეს ფუნქცია ეკუთვნის ხუცესს და მან იცის როგორ მოიქცეს, ვის მიუვა სამსხვერპლო სისხლი.

მოსეს სჯულის თანახმად, უფლის ნებით, შესაწირი უნდა ყოფილიყო საღი საქონელი ან ცხვარი, გვრიტი ან მტრედი. შესაწირი უნდა დაეკლათ აარონიან მღვდლებს, სისხლი კი სამსხვერპლოს კედელს მისხურებოდა; ხორცი შეეწვათ ცეცხლზე, რათა მისი კეთილი სურნელი უფალს მისვლოდა.

რჩებოდა გამონაკლისი, რაც სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას უკავშირდებოდა. ქურუმი განმსჯელიც იყო, სამართლის დამდგენი.

განაჩენი მარტივი იყო – სიკვდილი ან სიცოცხლე. ტყვეთა სიცოცხლე მონობა იყო, შინაურთა შეწყალება კი – ტომიდან მოკვეთა (შდრ – ვაჟას ალუდა ქეთელაური), რაც იგივე სიკვდილი იყო.

შემდეგ მოხდა დასჯის მოტივირება და დიფერენცირება, რასაც სასტიკი კანონი აწესრიგებდა (მაგ., ჰამურაბის კოდექსი).

ქურუმი – მისანი და ჯადოქარი

ექსტაზში ჩავარდნილი ქურუმის ბნელმეტყველების ახსნა სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა, რაც მომავლის წინასწარხილვა იყო.

ორაკული პირდაპირ პასუხს არ იძლეოდა – იგი მიანიშნებდა.

ძველ საბერძნეთში განსაკუთრებით პოპულარული იყო დელ-ფოს სამისნო. მისი სახელი მთელს აღმოსავლეთს სწვდებოდა.

განსაცდელის ჟამს პოლიტიკოსები მას რჩევას ეკითხებოდნენ (მაგ., თემისტოკლე, როცა საბერძნეთს ქსერქსეს ჯარი შეესია).

დელფოში აპოლონის კოლონებიანი ტაძარი იდგა. იგი მთებში, „წმინდა კლდეებს“ შორის აუშენებიათ, სადაც ჰაერი წმინდაა და ზე-ცა კრიალა. მაგრამ ეს სეისმური ზონა იყო. ამიტომ მიწისძვრა, მეხ-თატეხა, ელვა, ღრუბლები, თოვლი და გრიგალები მეტი იდუმალე-ბით ავსებდნენ ამ გარემოს.

დელფოსკენ დახვეული საღვთო გზა მიიკლაკნებოდა.

აქ იყო თეატრი, სარბენი ბილიკები, მათ გასწვრივ – კვარცხლ-ბეკები, პრაქსიტელისა და ფიდიასის ქანდაკებები.

შეჯიბრება ეწყობოდა კრივში, ჭიდაობაში, ეტლებით რბოლაში, გალობასა და სალამურის დაკვრაში.

დელფოში მდგარა 3000 ქანდაკება.

დელფოს ორაკულის ქურუმი ქალი იყო – პითონესა.

მანამდე ეს ადგილი ეპყრა დედალ გველეშაპს, ურჩხულს. იგი მოკლა აპოლონ ზევსის ძემ, ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ბერძნუ-ლი ტომების ღმერთმა.

ადრე აქ უცხოვრია მუქკანიან ხალხს, რომელიც თაყვანს სცემდა მიწის ღვთებას. მისი სიმბოლო კი გველი იყო, ისევე როგორც კრეტა-ზე.

ქურუმი ქალი ნაპრალთან სამთავა სპილენძის გველზე დადგ-მულ ტრიპოდზე ჯდებოდა, საიდანაც მყრალ ოხშივარს ისუნთქავ-და, რათა ასე გაბრუებულიყო და ბნელმეტყველებას მისცემოდა.

ზამთრის თვეებში მზის ღმერთის აპოლონის ადგილს დიონისე იკავებდა. ირმის ტყავით შემოსილი შმაგი თიადები, მთვრალი მენა-დები ჩირაღდნებით ხელში, ბნელ ღამესა და ცივ ქარში, როკავდნენ და ყვიროდნენ – „მოდის“! „მოდის“ (ევოე)! შემდეგ მისდევდნენ ჭა-ბუკს, რომელიც სალამურს უკრავდა; სისხლმოწყურებულნი და აგზ-

ნებულნი ჭამდნენ თხის უმ ხორცს, რაც უძველესი დროის გახსენება იყო (ლ. კოტრელი), როცა გლეჯდნენ ადამიანს.

გადარევა მთავრდებოდა სექსუალური ორგიებით.

მისნობა ქურუმის მოღვაწეობის ერთი ასპექტი იყო, რაც შემდეგ დროში მკითხაობად იქცა. მაგ., რომაელი ავგურები წინასწარმეტყველებდნენ ფრინველთა ფრენის მიხედვით.

ქურუმები მისნობისათვის მიმართავდნენ ზეციურ მნათობებს, მათი განლაგებითა და მოძრაობით ხსნიდნენ კაცთა ბედს, ადგენდნენ ჰოროსკოპებს, მზისა და მთვარის კალენდრებს. მაგ., მაიას ქურუმების მიერ შედგენილი კალენდარი უზუსტესი აღმოჩნდა. მაიას ხალხი კალენდრის რიცხვთა მისტიკას ემორჩილებოდა.

ეგვიპტური წელიწადი სირიუსის მოძრაობის წლიური ციკლით განისაზღვრებოდა. წელი სამი სეზონის ოთხ-ოთხი თვისა ანუ 365 დღისაგან შედგებოდა.

ქურუმები ცთომილებასაც ამჩნევდნენ.

აშურბანიპალის ბიბლიოთეკაში ინახებოდა თიხის ფირფიტებზე დაწერილი ასტროლოგიური ტექსტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს.

განსაკუთრებით აღიარებდნენ ქალდეველ ვარსკვლავთმრიცხველებს.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, რომელიც დაიწვა რომაელთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის დროს, 700.000 ერთეულს ითვლიდა. აქვე ძვ. წ. III საუკუნეში ჩამოყალიბდა უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მუსეიონი (აქედან – მუზეუმი) ერქვა.

ქურუმი სიტყვისა და მოქმედების მაგიით კურნავდა სნეულს. ველურისა და ბარბაროსის რწმენა კი ძლიერი იყო, რომლის საფუძველზეც ზემოქმედებდა მათ არაცნობიერზე. სნეულს ეცვლებოდა სუნთქვა, გულისცემა, სისხლის მიმოქცევა, ნერვული და ენდოკრინული სისტემების ფუნქციონირება, უჯრედების ბიოსინთეზი და ინსტინქტების აქტივობა, ე.ი. იწვევდა აფექტებს.

ამგვარი ძლიერი ემოციური რყევების ჟამს იღვიძებენ უძველესი მითოსური არქეტიპები, გრძნობათა აზვირთებას მოსდევს დაცხრომა ანუ განკურნება (შდრ – ესთეტიკური გრძნობა).

ამიტომ ადარებდა კ. ლევი-სტროსი ერთმანეთს შამანსა და ფსიქოანალიტიკოსს („სტრუქტურული ანთროპოლოგია“).

ქურუმ-ბელადი – ძალაუფლების კონცენტრირება

ქურუმს ამგვარი მაგიით, მისნობით, ექიმბაშობით, წესების გამოგონებითა და დაცვით, რიტუალური მსხვერპლშეწირვით დიდი გავლენა ჰქონდა ტომზე და ამიტომ თავადაც ხდებოდა ბელადი.

მაგრამ ბელადიც ხშირად ხდებოდა მთავარი ქურუმი, რათა ხელთ ჰქონოდა როგორც ხილული, ისე იდუმალი ძალაუფლებაც. თანაშემწეებად კი ჰყავდა რიგითი ქურუმები.

ეგვიპტეში ფარაონი უმაღლესი ქურუმიც იყო.

იაპონელთა მონარქიც ქურუმი იყო, რომელსაც მიკადო ერქვა. იგი იყო სულიერი მბრძანებელი, რომელიც ღმერთებს მართავდა. იგი არ იჭრიდა თმას, წვერს, ფრჩხილებს. მიწას არ უნდა შეხებოდა. ამიტომ ზურგით დაჰყავდათ. მზის ან მთვარის შუქი არ უნდა დასცემოდა. საკვები მუდამ ახალი ჭურჭლით უნდა მიერთმიათ.

მეფე ასურეთში ღვთაება აშურის უმაღლესი ქურუმი იყო.

ასევე იყო ხეთების სახელმწიფოში, არმენიაში.

ქართველურ ტომთა ბელადები, იბერიის მეფეები უმაღლესი ქურუმებიც იყვნენ. მეფე-ქურუმები ჰყავდათ ძველ იტალიასა და ძველ საბერძნეთში. ათენში ყოველწლიურად ირჩევდნენ მეფეს, რომელიც მსხვერპლშეწირვას ასრულებდა.

რომში ქურუმს მსხვერპლშეწირვის მეუფე ერქვა. ხოლო იულიუს კეისრის შემდეგ იმპერატორს ჰქონდა ქურუმის უმაღლესი ხარისხი – დიდი პონტიფიკი.

სპარტას ერთდროულად ჰყავდა ორი მეფე-ქურუმი: ერთი ლაკედონიის ზევსისა, მეორე – ურანოსის ზევსისა.

ჩინეთში მსხვერპლშეწირვას იმპერატორი ასრულებდა.

ასევე იქცეოდნენ ტევტონელი, მალაიზიელი, მადაგასკარელი, აღმოსავლეთ აფრიკელი ბელადები.

ველური ვერ არჩევდა რეალურს ზებუნებრივისაგან, შემთხვევითობა არ ესმოდა და მუდამ მიზეზს ეძებდა. ეჭვი და შიში მისი თანამდევი იყო.

სამყარო მისთვის ჯადოსნური საგნებითა და სულებით იყო აღსავსე, ვიდრე გონი ზეცად აიყვანდა უხილავ და ყოვლისშემძლე ძალას.

ამიტომ ბელადი თავის ძალაუფლებას მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც მომეტებულად იდუმალსა და მრისხანეს ხდიდა.

შემდეგ ისევ მოხდა რელიგიური და სამხედრო ძალაუფლების განყოფა, როცა მართვა გართულდა. მაგრამ ზოგან შემორჩა როგორც თეოკრატიული მმართველობის ფორმა (მაგ., არაბებში ხალიფას სახით); რუსეთში 1701 წლიდან იმპერატორი სინოდის მეთაურადაც ითვლებოდა.

4. კანიბალიზმიდან კაცთშეწირვამდე

კულტურის თვალსაზრისით მეტყველების და სექსის რეგულირების შემდეგ მნიშვნელოვანი იყო კანიბალიზმიდან გამოსვლის პროცესი, რაც ასევე ემყარებოდა ტოტემისა და ტაბუს სისტემას, კვების რეგულირებას, საკვების კონტროლს (იხ. „საკვები და წარმოშობა“).

იგი დაიწყო კანიბალიზმის შეზღუდვით ანუ რიტუალური რეგლამენტირებით.

კვებას მონოთეისტური რელიგიები აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მაგ., მოსეს თორაში დეტალურად არის მითითებული თუ რისი მოხმარება შეიძლება, რისი – არა.

ხორცი უმი და სისხლიანი კი არა – შემწვარი ან მოხარშული უნდა ყოფილიყო, ცომი – გამომცხვარი (შდრ – ესკიმოსო ოჯიბვეს ენაზე უმი ხორცის მჭამელს ნიშნავს), რაც ცეცხლის გარეშე ვერ იქნებოდა.

საკვები – ეს იგივე ღმერთების სხეული და სისხლი იყო, რომელსაც ჰქონდა ადამიანის, წყლის, ცხოველის, ფრინველის თუ მცენარის სახე. იგი საღი უნდა ყოფილიყო.

კვების რაციონი მოქმედებდა სხეულის აგებულებაზე, ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე, ნერვულ სისტემაზე, სექსუალობაზე, ყველა ესენი კი – ცნობიერებაზე.

ადამიანი როგორ საზრდელსაც ღებულობდა, ძალაც ისეთი ეძლეოდა.

ქრისტიანობამ მარხვით დააწესა რეგლამენტი ხორცეულ საკვებზე. მორწმუნისათვის მარხვა-ხსნილის დაცვა სავალდებულო იყო.

კანიბალიზმი

Homo Sapiens-იც ჩვეულებრივი კანიბალისტი იყო, ჭამდა არა მხოლოდ უცხო ტომის წევრებს, არამედ – კლანის შიგნით ბრძოლაში დაღუპულებს, სისხლით ნათესავებს, მიცვალებულებს, მათ შორის – მშობლებსაც.

ზოგი ტომის რწმენით, თუ მიცვალებულ დედას ან მამას შეჭამდნენ, უკეთესი იყო, რადგან კუჭში ის უფრო დაცული იქნებოდა!

ტოტემის წევრებს შორის სექსს ტაბუ ედო, რადგან მათ ერთი სისხლი და ხორცი ჰქონდათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ არც ერთმანეთის ხორცი უნდა ეჭამათ.

ტაბუ ერთდროულად დაედო ინცესტსა და კანიბალიზმს, რაც ბევრ ენაში ერთი სიტყვით აღინიშნება (ვ. ტოპოროვი). აქაც ტოტემი იყო რეგულატორი.

ბრინჯაოს ხანიდან კანიბალიზმის მსხვერპლი ხდებოდნენ მეტწილად ტყვეები და დამნაშავეები, რომელთაც ქურუმები განსაცდელის თუ რელიგიური დღესასწაულის გამო თავიანთ ღმერთებს სწირავდნენ (შდრ – ხეთურად Saklai – რიტუალი, წმინდა ჩვეულება).

ასე იქცეოდნენ ჩრდილოეთ ევროპაში, საბერძნეთში, იტალიაში.

ფინიკიაში, პალესტინაში, კართაგენში მოლოქს ადამიანს სწირავდნენ, მეტწილად – ბავშვებს. ზოგის ვარაუდით, მოლოქის მიღმა იდგა იახვე, რომელსაც ასევე ადამიანს სწირავდნენ.

აფრიკული ტომები კაცის ხორცს ნადირისა თუ საქონლის ხორცისაგან არ ანსხვავებდნენ.

როცა პუნიკურ ომებში კართაგენელები დამარცხდნენ, მათ მოლოქს შესწირეს კეთილშობილ ოჯახთა 200 შვილი, რათა ღვთაების წყრომა გაენელებინათ. შემდეგ ეს წესი იტალიაში გადაიტანეს. მსხვერპლს ფასი იმდენად ეძლეოდა, რამდენადაც ძვირფასი იყო იგი.

ჰეროდოტეს ცნობით, სკვითები ბრძოლაში მოკლულის სისხლს სვამდნენ, შემდეგ – ატყავებდნენ, კანს ხელსახოცებად, მოსასხამებად და კაპარჭის ბუდეებად ხმარობდნენ, თავის ქალას – სასმურებად.

ამერიკელი კარაიბები, რომელთა სახელი დაერქვა კაციჭამიებს, კეთილი და მოკრძალებული ხალხი იყო. მაგრამ ტყვეებს სასტიკად აწამებდნენ, შემდეგ შეწვავდნენ და საზეიმო ნადიმზე ჭამდნენ, ე. ი. ადამიანის კეთილი ბუნება კანიბალიზმს არ გამორიცხავდა.

კანიბალისტური მოტივები გავრცელებული იყო ყველა ტომისა და ხალხის მითოსში. მაგ., ტანტალოსი თავისი შვილის პელოპის ხორცით გაუმასპინძლდა ღმერთებს: პელოპის ვაჟი ატრევსი ხოცავს ძმისშვილებს და ნადიმზე თავის ძმას აჭმევს მათ ხორცს; კრონოსი ყლაპავდა საკუთარ შვილებს.

იაკუტების რწმენით, სულები მხოლოდ იმ შამანებს შველოდ-ნენ, რომელთა სისხლსა და ხორცს იგემებდნენ ეს უხილავი არსე-ბები.

კანიბალიზმი კვების ჩვეულებრივი ფორმა იყო. მაგრამ შე-ზღუდვის შემდეგ იგი გახდა რიტუალური, ინიციაციური, ეროტი-კული (მაგ., პარტნიორის სრული დაუფლება), იძულებითი (მაგ., ომის დროს) და ა. შ.

ფარაონები კეთრის დასაძლევად ახალგაზრდების სისხლის აბა-ზანაში ბანაობდნენ; აფრიკული ტომებისათვის კაცის ხორცი მხო-ლოდ ხორცის ერთი სახეობა იყო, ოღონდ უმს ერჩიათ შემწვარი და მოხარშული.

ისტორიაში კანიბალიზმი მეორდება ხოლმე ომიანობის, ეპი-დემიების, კატასტროფების, მოუსავლიანობის ჟამს, როგორც დაღუ-პულთა ხარჯზე სიცოცხლის გადარჩენის საშუალება. მაგრამ ასევე არსებობს კანიბალიზმი, როგორც სადიზმისა და ფსიქიკური გადახ-რის ფორმა (ნ. კონსტანტინი, კანიბალიზმის ისტორია, თბ., 2012), რაც არქაიკის აღდგენაა.

მიცვალებულთა დამარხვა

არც მაიმუნი, არც რომელიმე ცხოველი ან ფრინველი გარდა-ცვლილს ან დაღუპულს არ მარხავს. სხეული იხრწნება ან ჭამენ მწე-რები, ქვეწარმავლები, ცხოველები და ფრინველები.

ასე რომ დასამარხი არც არაფერი რჩება. ამდენად კანიბალიზმის პერიოდში მკვდრის თავიდან მოცილების, წყალგაღმა გადატანის ან კლდეზე გადაგდების აუცილებლობა არც იყო.

ველური თუ მიწაში დაფლავდა ცხედარს, ეს უნდა ყოფილიყო არა დამარხვა, არამედ – შენახვა, რათა ნადირს საკვები არ წაერთმია.

ამას ადასტურებს ზოგი ცხოველის (მაგ., დათვის) ნამარხები, ორმოებში ნანადირევის შენახვა. ასევე ზოგ ტომში გავრცელებული წესი, როცა ქურუმი ანაწილებდა შეწირულის სხეულს და თავიანთ წილს ყველანი ცალ-ცალკე მიწაში ინახავდნენ (ე. ტაილორი).

კანიბალიზმის რეგულირება დაიწყო ნეანდერტალელთა დროს, მუსტიეს ეპოქაში, როცა უკვე მარხავდნენ მიცვალებულს, ოღონდ არა ყველას, არამედ – იერარქიის დაცვით.

ქართულში გვაქვს სიტყვები – „დაფლობა“, „საფლავი“, „სასაფ-ლაო“. ეს სიტყვები დამარხვას, მითუმეტეს დაკრძალვას არ გამოხა-ტავენ, რომელიც რიდსა და პატივისცემას შეიცავს (შდრ. – მეგრული ფულუა (დამალვა) და საფულე (საფლავი)). კრემაცია – ეს იყო კანიბალიზმის აღკვეთით შეწირვა ღმერთებისადმი.

საფლავი უნდა ყოფილიყო ის ორმო, რომელშიც განურჩევლად ყრიდნენ ნანადირევს, დახოცილებს, მიცვალებულებს და მათ მიწით ფარავდნენ.

ეს იყო დამალვაც, შენახვაც და შემდეგ მიტოვებაც ანუ დამარხ-ვა, თავიდან მოშორება, როცა ცხედარი იხრწნებოდა (შდრ. – მეგრ. „თხორუა“, რაც ნიშნავს როგორც თხრას, ისე დასაფლავებასა და დამალვას). შემდეგ დაიწყო სამაროვნის გამოყოფა საცხოვრისისაგან.

მოგვიანებით გაჩნდა დოლმენები – ლოდებით აგებული კო-ლექტიური სამარხები, კატაკომბები – მკვდართა მიწისქვეშა ქალაქი, რომელსაც ჰქონდა დერეფნები და ახლობლები შიგ ჩადიოდნენ, მავზოლეუმები – მეფეთა მდიდრული სამარხები, პირამიდები, სა-დაც ფარაონის მუმიას განსაკუთრებული ბრწყინვალებით ინახავდ-ნენ და ა. შ. ამ დროის საქართველოს ტერიტორიაზე მიცვალებული გვერდზე წევს და ფეხები მოკეცილი აქვს (საქართველოს არქეოლო-გია, თბ., 1959), ე.ი. მიცვალებული ემბრიონის მდგომარეობას უბ-რუნდებოდა (შდრ – ს. ჩიქოვანი: „ჩემი ჩატევა აკვანში სცადეთ, კუ-ბოს მაგიერ აკვანში ვიყო, რომ დასასრული დასაწყისს ჰგავდეს, სიკ-ვდილის შემდეგ არ გავირიყო“).

ქართველურ ტომებში არსებობდა მიცვალებულთა დაწვა, ჰაერზე დამარხვა, ქვევრის, კრამიტის, ქვის, ორმოსამარხებსა და აკლდამებში დაკრძალვა.

წარჩინებულ პირებს ატანდნენ ძვირფას და აუცილებელ ნივთებს – ჭურჭელს, მძივებს, სამაჯურებს, საყურეებს, ჯამებს, ფიალებს, ქვაბებს, ადამიანთა და ცხოველთა ქანდაკებებს, მახვილებს, კვერთხებს, ცხოველებს, ქალებს, რადგან საიქიო სააქაოს გაგრძელებად წარმოედგინათ (იხ. „სიკვდილი და საიქიო“).

კანიბალიზმის კაცთშეწირვით რეგლამენტირება

კანიბალიზმის დაძლევა, ისევე როგორც დაწყება, უნდა მომხდარიყო რაღაც ძლიერი, შემაძრწუნებელი ფაქტორით თუ რწმენით, რომელიც შეარყევდა გონებას და შეცვლიდა ცნობიერებას, როგორც ხანძარს გზას გადაუკეტავენ შემხვედრი ცეცხლით.

დაწყებისათვის ასეთი ძალა იყო შიმშილი, აღკვეთისათვის – ტოტემი, მისგან მომდინარე აკრძალვათა სისტემა.

კანიბალიზმის დაძლევა დაიწყო მისი მოწესრიგებით ანუ არა საერთოდ უარყოფით, არამედ – ტომის წევრთა შორის რეგულირებით: ბელადი უკავშირდებოდა ტოტემს, ტოტემს განასახიერებდა.

ტოტემის ხორცის ჭამა კი აკრძალული იყო. მაგრამ ბელადი ხომ ტომის მამა იყო, ე. ი. ტომის წევრთა ხორცის ჭამაც აკრძალული უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც სექსი ტომის წევრთა შორის.

აქ ზნეობის პრინციპი არ მოქმედებდა, არამედ – დამოკიდებულება პირველწინაპრისადმი, რაც შემდეგ ღმერთის სახით შთაეჭრა ველურის ცნობიერებას.

მაგრამ არსებობდა ხსნილი, როცა ბელადი რიტუალურად უნდა მოეკლათ და მისი სისხლ-ხორცი დაენაწილებინათ შვილებს, რათა

ტოტემის ძალა მათ შეჰმატოდათ. ამგვარ წესრიგს ახლდა აგრესია, რათა მას დამორჩილებოდნენ, და შიში, როცა მას არღვევდნენ.

კაცთშეწირვა იყო კანიბალიზმის რეგლამენტირება, რადგან იგი მიემართებოდა ტოტემს (უფალს) და ემორჩილებოდა გარკვეულ გრაფიკს (მაგ., ზევსისა და დიონისეს ადრეული დღესასწაულები).

ინდურ ნარაიანას დამნაშავეებს სწირავდნენ, რაც ხუთი დღე გრძელდებოდა.

ნიკარაგუელი ინდიელები ვულკანის კრატერში ადამიანებს ყრიდნენ, რადგან ეგონათ, რომ იქ ცხოვრობდა მრისხანე ღმერთი. მისი გულის მოლბობა ასე თუ შეიძლებოდა.

ხოლო წვიმის ღმერთს – კვიატეოტს ბავშვებს სწირავდნენ, რათა გვალვა დამცხრალიყო; ასევე იქცეოდნენ ვირჯინიელი ინდიელები.

აცტეკების მმართველმა მონტესუმამ კორტესს, რომელიც ცით ჩამოსული კეცალკოატლი ეგონა, სამსხვერპლო პირები გაუგზავნა. ისინი კორტესის თვალწინ უნდა დაეკლათ. თავად მონტესუმას გამეფების აღსანიშნავად აცტეკებმა 12.000 ადამიანის სიცოცხლე გასწირეს!

შეწირულის სისხლი აცოცხლებდათ ღმერთებს, რადგან მათი სიკვდილი იგივე ტომის დაღუპვა იყო. მაგრამ მსხვერპლშეწირვა სჭირდებოდა ტომსაც გამოკვებისათვის, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ და წილი ყველას რგებოდა (შდრ – ვაჟა-ფშაველას „ამოდის, ნათდება“, ბებერი მგლის დაგლეჯა მშიერი მოძმეებისაგან).

ასე იქცეოდა მისტიკური რწმენა რეალობად.

კაცთშეწირვის რიტუალი

კაცთშეწირვა, რომელიც უნდა დაწყებულიყო ნეანდერტალელებთან, მუსტიეს ეპოქაში, ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა Homo sapiens-ის დროს, ტოტემისა და ტაბუს განმტკიცების შემდეგ.

კაცთშეწირვა რამდენიმეგვარი იყო:

ბელადის ან მისი შვილის შეწირვა; სპეციალურად გამზადებული პირის შეწირვა; ტყვეებისა და მონების შეწირვა; დასჯა–შეწირვა (შდრ – ზვიადაურის დაკვლა საფლავზე ქისტების მიერ ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში“); მეფის, პატრონის ან მეუღლის სიკვდილის გამო მონების საფლავში ცოცხლად ჩატანება, ქვრივთა შეწირვა ქმრებისადმი.

გალელი კელტები კაცთშეწირვის დიდ დღესასწაულს მართავდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ, მცირე დღესასწაულს – ყოველწლიურად. დრუიდები (ქურუმები) ცეცხლში წვავდნენ დამნაშავე პირს ან ტყვეებს.

რაც მეტი იქნებოდა შეწირული, უკეთესი იყო – მიწა მეტ ნაყოფს გამოიღებდა. ამას აღნიშნავს იულიუს კეისარიც.

პლუტარქეს დროს, ბეოტიის ქალაქ ორქომენში დიონისეს ქურუმი დღესასწაულზე მახვილით მისდევდა სამეფო გვარის ქალებს და თუ დაეწეოდა, ჰკლავდა.

ესენი იყვნენ იმ მეფის შთამომავლები, რომლის ასულებს ჰქონდათ დაუძლეველი სურვილი – ეგემნათ კაცის ხორცი. ამის გამო ერთმა საკუთარი ვაჟი დაგლიჯა.

ალბათ ქურუმის საქციელი იყო სასჯელი კანიბალისტური ცოდვა-დანაშაულის გამო.

კართაგენში მოლოქს, რომელსაც ხბოს თავი ჰქონდა, სწირავდნენ ცხოველებსა და ადამიანებს. მისი ბრინჯაოს სხეული მრავალ მსხვერპლს იტევდა, რომელთაც შიგ წვავდნენ. განწირულთა კივილი რომ ჩაეხშოთ, ქურუმები დოლებს აბრაგუნებდნენ, ფლეიტებს აწივლებდნენ, ყიჟინებდნენ.

ბრბოც ასევე იქცეოდა: ღმერთი კაცის სისხლს მოითხოვდა.

XVI საუკუნის აცტეკები კაცთშეწირვისათვის სპეციალურად არჩევდნენ ჭაბუკს და თვეების მანძილზე ამზადებდნენ, რთავდნენ ყვავილებით, ოქროს სამაჯურებით, ყელსაბამით. იგი იყო ღმერთის – ტეცკატლიპოკას მიწიერი წარმომადგენელი – იმპერსონატორი. ჭა-

ბუკ ღმერთ-კაცს მეფური პატივით ეპყრობოდნენ, უმართავდნენ ნადიმებს, სადაც იგი უკრავდა ფლეიტაზე, ცეკვავდა, ეწეოდა სიგარას, ჰყავდა ცოლები, დაატარებდნენ ქუჩებში, სადაც ხალხი ზეიმით ხვდებოდა.

განსაზღვრულ დღეს აჰყავდათ პირამიდის ფორმის ტაძარში, რომლის თავზეც ხალხის თვალწინ ქურუმები კლავდნენ. ასეთსავე წესს აღწერს სტრაბონი ალბანურ ტომებში. ერთი მათგანი გულს ამოგლეჯდა და მზეს უჩვენებდა. ასევე ექცეოდნენ ღმერთ-ქალად არჩეულ 12-13 წლის ქალწულს, რომელსაც სწირავდნენ ღმერთქალ ჩიკომეკოხუატლს.

ამჯერად მსხვერპლშეწირვა ღამით ხდებოდა, ჩირაღდნებისა და სანთლების შუქზე, ფლეიტების, ბუკებისა და მოზეიმე ბრბოს გნიასში. ქურუმი ქალწულს სწრაფად თავს აცლიდა. ღმერთქალის სისხლს იყოფდნენ ჯერ უხუცესები, შემდეგ – სხვა კაცები და ქალები.

ქურუმები ქალწულის მორთულობას ინაწილებდნენ.

ერთი მათგანი ტყავს გააძრობდა, ტანზე მოიხურავდა და აღგზნებული ბრბოს წინაშე ნადირივით როკავდა, რათა სისხლით კარგად დამბალიყო მისი სამოსი (ჯ. ჯ. ფრეზერი).

კმაყოფილი აცტეკები შინ ბრუნდებოდნენ, როგორც ქრისტიანები, წირვის ან თეატრალური სპექტაკლის შემდეგ. აცტეკებს ჰყავდათ კაცთშეწირვის მფარველი ღმერთი – შიპოტოტეკი, რომლის სახელით ცეცხლში წვავდნენ ტყვეებს, სამსხვერპლოზე მიჰყავდათ ქალები და კაცები, ბავშვები და მოხუცები. ბავშვებს სწირავდნენ გვალვის ან სიმინდის ამოწვერის დროს. წელიწადში მათი რიცხვი 30.000-ს აღწევდა.

მარტო ერთ დღეს – 1486 წელს ომის ტაძრის კურთხევაზე დახოცეს 20.000 ტყვე. ამავე დროს აცტეკები კეთილი, მშრომელი, ხალისიანი, სტუმართმოყვარე ხალხი იყო. განსაკუთრებით ჰყვარებიათ ყვავილები და თავიანთ სახლებსა და ქალაქებს ყვავილების გირლიანდებით რთავდნენ, აკეთებდნენ ყვავილების მოცურავე კუნძულებს.

XVI საუკუნის ინკები კაცთშეწირვას აწყობდნენ არა თავიანთი მთავარი ღმერთის, მზის ღმერთის ირაკოჩას, არამედ – უმაღლესი ინკას სახელზე. მას მიმართავდნენ ინდიელი, საკმაოდ ცივილიზებული ოლმეკებიც (ძვ. წ. II-I ათასწლეული).

ინკა ავად რომ გახდებოდა, თავის ერთ-ერთ შვილს სწირავდა.

პოლინეზიელები ხოცავდნენ შვილების ორ მესამედს; ანგოლის ერთი ტომი კლავდა ყველა შვილს, შემდეგ კი შვილად აჰყავდათ 13-14 წლის გოგო-ბიჭები სხვა ტომთაგან, სადაც კაციჭამიობა იყო გავრცელებული.

სამხრეთ ამერიკის ზოგ ტომში თავად დედები ხოცავდნენ შვილებს, რასაც მათი გადაშენება მოჰყვა; ზოგან თავს იწამლავდნენ, რათა სიმართლე დაემტკიცებინათ (შდრ – შუასაუკუნეების ორდალია – ცეცხლისა და წყლის სამართალი).

ზოგ აფრიკულ ტომში ახალ ბელადს ძველი ბელადის ენა ან სხეულის სხვა ნაწილი (მაგ., გული) უნდა შეეჭამა, რათა წინამორბედის სული და ძალა შეჰმატოდა.

არაერთი ტომი თვითმკვლელობით გადაშენდა.

ინდური ომის ღმერთქალი კალი-დურგა კაცთშეწირვას მოითხოვდა.

მოღწეულია ხეთების კაცთშეწირვის რელიეფები.

სამსხვერპლო პირიც უნაკლო უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც შემდეგში პირუტყვი (ცხვარი, თხა, მოზვერი).

მას თაყვანს სცემდნენ, ყველა სურვილს უსრულებდნენ, მეფურად მოსავდნენ, შემდეგ კი უფალს შესწირავდნენ.

მარდუქის დღესასწაულზე მონა ერთი დღით მონარქი ხდებოდა: სკიპტრითა და გვირგვინით მორთავდნენ, თაყვანს სცემდნენ, შემდეგ კი კლავდნენ, ე.ი. ეს იყო ღმერთის მკვლელობის ვარიაცაია.

მკვლელობის რიტუალს ქურუმები ასრულებდნენ.

ისინი ისევე გულცივად და მარჯვედ მოქმედებდნენ, როგორც ყასბები. სისხლს ასხურებდნენ სამსხვერპლო ქვას თუ ხეს, ტომის წევრებს, უძღვებოდნენ კანიბალისტურ აქტს:

ხორცს ანაწილებდნენ, ცალკეულ ნაწილებს თავად იტოვებდნენ. მაგ., ფიჯის კუნძულებზე და აფრიკულ ტომებში სახეს ნაკვთებს აცლიდნენ, რაც ქურუმებს უფალთან აახლოებდათ.

აღგზნებული ტომის წევრები როკვით, ყვირილით, შეძახილებით, დოლების ბრაგუნით ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ, რათა წილი რგებოდათ თავიანთთვის და თავიანთი მიწის გასანოყიერებლად.

მაიას ღმერთებს ქურუმები ყვავილებსა და ხილს სწირავდნენ. მაგრამ გვალვის დროს წვიმის ღმერთს ჩაკ-მოოლს ულამაზეს, დედოფლის მსგავს ასულს სწირავდნენ – მას ჭაში აგდებდნენ და შიგ აყოლებდნენ ძვირფას ნივთებს; მიაჩნდათ, რომ იგი ჩაკ-მოოლის ახალი საცოლე იყო.

ქურუმების მოქმედებას ემორჩილებოდნენ. მაგრამ სულაც არ უხაროდათ ამგვარი მსხვერპლი ღმერთებისადმი, რაზეც მეტყველებს უმწეო ინდიელის გლოვა:

სიცხეს გადაუწვავს სიმინდის ყანები,
სიცხეს გადაუწვავს ტრამალი ვრცელი;
ჩაკ-მოოლი გიხმობს, გოგონავ ჩემო,
გაალღობს მიწას ჩემი მდუღარე ცრემლი.

ძველი სლავები მთავარღმერთს პერუნს სწირავდნენ სამხედრო ტყვეებს, თუ ტყვეები არ ჰყავდათ – თანამოძმეებს.

სამსხვერპლო პირს კენჭისყრით ირჩევდნენ.

კაცთშეწირვას ინდიელთა ტომები მიმართავდნენ ჯერ კიდევ ახ. წ. I საუკუნეებში. მაგ., თეოტიუაკანში, სადაც იდგა მზის, მთვარის, ფრთოსანი გველის გრანდიოზული სამსხვერპლო ტაძრები და პირამიდები.

როცა რომში შეწყდა კაცთშეწირვა, იგი ამფითეატრებში გადავიდა, სადაც საგანგებოდ გაწვრთნილი გლადიატორები და სიკვდილმისჯილები ებრძოდნენ ერთმანეთს ან – მხეცებს. ზოგ დღესასწაულზე დახოცილთა რიცხვი ათასზე მეტი ყოფილა.

რომაული ამფითეატრები ეტრუსკული კაცთშეწირვის რიტუალების სანახაობად ქცევა იყო.

გლადიატორთა ბრძოლის სახეცვლაა ესპანური და ლათინურ-ამერიკული კორიდა, არქეტიპულად – ცხოველ-ღმერთის (ტოტემის) მკვლელობა.

კანიბალიზმისა და კაცთშეწირვის აღკვეთა

ველური კაციჭამიობაზე ისევე არ ფიქრობდა, როგორც ჩვენ არ ვფიქრობთ ძროხის, ცხვრის თუ გოჭის დაკვლაზე, მათ სისხლსა და ტკივილზე, როცა ვსადილობთ თუ საბანკეტო სუფრას ვუსხედვართ.

მილიარდობით ქათმის თუ ღორის დახოცვა ადამიანს დანაშაულად არ ეთვლება, მათი სისხლის დაღვრა დანაშაულად არ მიაჩნია. მაგრამ დანაშაულად ვთვლით მათ უმიზნო, განუსჯელ დაკვლას, ვკრძალავთ მათი სისხლის სმას, წამებას, მოუხარშავის ან შეუწვავის ჭამას, ე. ი. მოქმედებს რეგულირების პრინციპი.

ჯერ კიდევ მოსეს სჯული მოითხოვდა, რომ ხორცი სისხლისაგან დაეცალათ, სისხლი მიწაზე დაექციათ, პური ეჭამათ გამომცხვარი, ხორცი – შემწვარი ან მოხარშული... სისხლის მსმელი სასტიკად ისჯებოდა. ეს იყო დაახლოებით 3.500 წლის წინათ (შდრ – რომაელები მოკლული გლადიატორის სისხლს სვამდნენ).

ყურანიც ასევე კრძალავდა ლეშის ჭამასა და სისხლის სმას (სურა 2, აია 173; სურა 5, აია 4).

სისხლის სმა და უმი ხორცის ჭამა იწვევს კანიბალისტურ და მხეცურ ასოციაციებს.

ვეგეტარიანელი, წყნარი, მშვიდი, ხიდან ხეზე მოხტუნავე პითეკანთროპი ჯერ სასტიკ, სისხლის მოყვარულ მხეცად გადაიქცა და შემდეგ დაიწყო მისგან მოაზროვნე არსების ფორმირება ანუ უკუქცევა და სისხლისღვრის რეგულირება, კანიბალიზმის აღკვეთა...

ეს ჰგავს ამღვრეული ზღვის ღელვასა და მრისხანებას, როცა ტალღები ნაპირზე გამოაგდებენ ზედმეტ საგნებს ან ფსკერზე ძირავენ.

შემდეგ ზღვა წყნარდება, წყალი კამკამა და გამჭვირვალე ხდება.

კაცთშეწირვა იყო ველურისათვის ხსნილი, აკრძალულის გახსენება, სიგიჟე და სისხლით თრობა, მაგრამ უფლის მზერის არეში მოქცევა.

ეს საშინელი წესი, რომელიც არსებობდა ყველა კონტინენტზე, ყველა ტომში, კულტურის განვითარებისა და მონოთეისტური რელიგიების დამკვიდრების შემდეგ საბოლოოდ აღიკვეთა.

უფრო დიდხანს გასძლო ცოლთშეწირვის ტრადიციამ:

ბელადს, გმირს ან მეფეს საფლავში ცოცხლად ატანდნენ ცოლს (ან ცოლებს), მონა-მსახურებს, ტყვე-მეომრებს, ცხენებს, ძაღლებს.

ზოგან თავს იკლავდნენ, ცეცხლში ცვიოდნენ ან ხარაკირს იკეთებდნენ:

მიცვალებულს რაც ამქვეყნად ეკუთვნოდა, საიქიოშიც უნდა ჰქონოდა, რათა იქაც მშვიდად ეცხოვრა. ზოგან ეს სასტიკი რიტუალი ყოველწლიურად მეორდებოდა (ე. ტაილორი).

უზენაესი ინკა რომ მოკვდებოდა, ყველა ცოლი საიქიოში უნდა გაეყოლებინათ.

ცოლთა მსხვერპლშეწირვა ყველა კონტინენტზე იყო გავრცელებული (შდრ – ქართული გამოთქმა: „საფლავში ხომ არ ჩავყვები“).

1839 წელს, როცა აფრიკის ერთ-ერთი ტომი განადგურდა, 80 ქალი დაახრჩვეს და გააყოლეს დაღუპულ ქმართა სულებს.

ჩინეთში კაცთშეწირვამ მოატანა ძვ. წ. IV საუკუნემდე, საქართველოში – ახ. წ. III საუკუნემდე.

კაცთშეწირვა ევროპაში ყველაზე გვიან კელტებს შემორჩათ: კერპებს ავსებდნენ ტყვეებით, დამნაშავეებით, მონებითა და რიტუალურად წვავდნენ, როგორც ეს ხდებოდა კართაგენში.

რომის იმპერატორმა კლაუდიუსმა, რომელიც სიამოვნებით უყურებდა გლადიატორების საზარელ ბრძოლებს, კელტური კაცთ-შეწირვა ველურობად ჩათვალა და აკრძალა.

საკულტო კანიბალიზმი ჩვეულებრივი მოვლენა იყო აფრიკისა და ოკეანეთის ცალკეული ტომებისათვის. იგი XX საუკუნეშიც არსებულა დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის „ადამიანი-ავაზას“ ტომებში (ა. დონინი).

მსხვერპლშეწირვა არის დღევანდელი ქელეხის პირველსახე.

სისხლის გამოშვება

დრო გადიოდა და კაცთშეწირვას სცვლიდა კაცის არა მოკვდინება, არამედ – სისხლის მხოლოდ დაღვრა ან გამოდენა, როგორც ეს ხდებოდა ძმად გაფიცვის დროს ჩვენს მთიელებში.

რიტუალის მონაწილეებს ისევ სისხლი აერთებდათ უფალთან.

ატისის დღესასწაულს ასე აღწერს ჯ. ჯ. ფრეზერი:

22 მარტს, ბუნიობის დროს, როცა დღე და ღამე თანასწორდება. ტყეში ჭრიდნენ ფიჭვს, რადგან ატისი მას შემდეგ, რაც ტახმა დაფლითა, ფიჭვად იქცა. ხის ტანს, რომელიც ქურუმებს მოჰქონდათ, ქსოვილში ახვევდნენ, როგორც ცხედარს, აყრიდნენ იებს, რადგან ატისის სისხლის წვეთებზე ამოდიოდა იები. ძელის ბოლოში ამაგრებდნენ ატისის ქანდაკებას.

23 მარტს ბუკს უკრავდნენ, როკავდნენ და ზეიმობდნენ.

24 მარტი სისხლიანი დღე იყო: მთავარქურუმი ვენებს იხსნიდა და სისხლს იდენდა ბარბაროსული მუსიკითა და ყვირილით შეშლილი ბრბოს წინაშე. სცემდნენ ბუკსა და საყვირს, დოლებსა და წინწილებს, აწივლებდნენ ფლეიტებს. თავშიშველა, თმაგაშლილი დაბალი რანგის ქურუმები გაცოფებამდე როკავდნენ და როცა ჰკარგავდნენ მგრძნობელობას, დანით ან თიხის ჭურჭლის ნამსხვრევე-

ბით ტანსა და სახეს ისერავდნენ, სისხლით რწყავდნენ საკურთხეველსა და წმინდა ხეს (შდრ – მუსულმანური „შახ-სეი ვახ-სეი“). ასე დაცხრებოდა სისხლის წყურვილი, კაცთშეწირვის მოთხოვნილება.

რიტუალებს ახლდა ლოცვა, შელოცვა, დალოცვა, თხოვნა-ვედრება, მადლიერება უფლისადმი და უფლის სახელით.

ქურუმები გალობდნენ ჰიმნებს.

კაცთშეწირვის სანაცვლოდ სხეულის ნაწილის შეწირვა და სისხლგამოშვებაა წინადაცვეთა ანუ ღმერთთან სისხლით კავშირის ჰუმანური ვარიანტი.

უფლის ბრძანებით, აბრაამის შთამომავალ ყოველ მამაკაცს რვა დღეში უნდა ჩატარებოდა წინადაცვეთა. ღმერთი მსხვერპლად ღებულობდა კაცის სხეულის ნაწილს, როგორც ამას დღესაც აკეთებენ იუდეველები და მუსულმანები.

წინადაცვეთა (ისევე როგორც ტატუირება) არსებულა კოლხურ ტომებშიც. მათ ეს წესი შეუთვისებიათ ეგვიპტელებისაგან და შემდეგ გაუვრცელებიათ, როგორც ამბობს ჰეროდოტე. ასევე არსებობდა ქალიშვილთა წინადაცვეთისა და ხელოვნური დეფლორაციის წესი.

კაცთშეწირვიდან გამოსვლის ფორმა იყო მსუბუქი ჭრილობა, მცირე სისხლის გამოშვება (მაგ., საბერძნეთში), როგორც ეს იყო მიღებული ხევსურებში ძმად გაფიცვის დროს.

დრავიდები ინიციაციის დასრულების ნიშნად საჩვენებელ ან ნეკა თითს, ზოგან კი თმებს იჭრიდნენ; ქმარს ცოლის მოკვეთილ თითს ატანდნენ საფლავში ანუ მთელის ნაცვლად ნაწილს სწირავდნენ.

ცხოველთზვარაკი

აბრაამს თავისი ერთადერთი ვაჟი ისააკი მსხვერპლად უნდა შეეწირა უფლისათვის, რადგან ასე ეწადა უფალს.

აბრაამმა წაიყვანა შვილი დათქმულ ადგილას.

ღმერთმა ერთგულება მოუწონა, მაგრამ ურჩია, შვილი არ შეეწირა და სანაცვლოდ ვერძი გამოუგზავნა, ე. ი. ადრე თუ ღმერთები კაცის სისხლს მოითხოვდნენ, ამჯერად არჩევენ პირუტყვის სისხლს.

ასე იცვლება ადამიანის ცნობიერება.

ბარბაროსობის პერიოდიდან კაცთშეწირვას დაერთო ცხვრის, ცხენის, აქლემის, მოზვრის, თხის, მტრედის, პურის თავთავის, წითელი ღვინის შეწირვა. ორივე დიდხანს პარალელურად იმართებოდა, ერთმანეთს ავსებდა.

ეს იყო გარდამავალი პერიოდი, როცა ადამიანი კანიბალიზმს თავიდან იცილებდა და სისხლის წყურვილს არა მონაწილეობით, არამედ ხედვითა და წარმოსახვით იცხრობდა (მაგ., გლადიატორების ბრძოლა, თეატრალური სპექტაკლები, სპორტული შეჯიბრებები, ბუფონიები).

ელადაში შეჭრის წინ სპარსეთის მეფე ქსერქსემ ილიონის ათინას მსხვერპლად შესწირა ათასი ძროხა.

რომში საშემოდგომო თესვის წინ ეტლებით სრბოლაში გამარჯვებულ ცხენს მარსს სწირავდნენ. თავს ხორბლის თავთავებით მოურთავდნენ და პატრონს უგზავნიდნენ. ხოლო სისხლს, დამწვარი ცხენის ფერფლსა და ნამჯას ერთმანეთში აურევდნენ და წვავდნენ საქონლის ღმერთქალ პალესისათვის, რათა ღმერთებს კარგი მოსავალი მოეცათ.

წარმართობის მიწურულს ადამიანს თითქმის მთლიანად ცვლის პირუტყვი. ალბათ, თავიდან ეს ჰუმანური მოსაზრებით არ ხდებოდა: არ იყო იმდენი სამსხვერპლო პირი, რომ ქვეყნის სხვადასხვა წერტილში სადღესასწაულო გრაფიკი შეევსო.

ქრისტიანობამ კი ყოველგვარი მსხვერპლშეწირვა უარყო: „მე მო - ვედ მოსპობად მსხვერპლშეწირვისა, ხოლო თუ თქვენ არ შეწყვეტთ მსხვერპლთა შეწირვას, არ დაცხრება მძვინვარება თქვენზე“, – აცხადებს იესო ქრისტე „თორმეტთა სახარებაში“. მხოლოდ ზიარე-

ბის დროს სიმბოლურად ღებულობდა მორწმუნე ქრისტეს სისხლსა და ხორცს, რაც უფალთან თანაზიარობას ნიშნავდა.

კაცთშეწირვის ვარიაციაა, როცა მცდარი წარმოდგენების საფუძველზე თავს იკლავენ სხვისი ბედნიერებისათვის, როცა ადამიანი ემორჩილება ფსიქიკურ „ბრძანებას ზემოდან“.

იეზუიტური კაცთშეწირვა

კაცთშეწირვამ ახალი ძალით იფეთქა შუასაუკუნეებში, როცა კათოლიკურმა ეკლესიამ იეზუტთა ორდენი (იესოს საზოგადოება) დააწესა.

იეზუიტების განაჩენით უამრავი ადამიანი დაწვეს ცეცხლში, მათ შორის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე (მაგ., სავონაროლა, ჯორდანო ბრუნო).

ეს ხდებოდა ღმერთის სახელით ეშმაკეულის მოსასპობად, რწმენის ისევ სისხლით განსამტკიცებლად.

ბოლშევიკური კაცთშეწირვა

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული და შემზარავი კაცთშეწირვა მოაწყვეს ბოლშევიკებმა. მათ სოციალიზმის იდეალების სახელით დახვრიტეს მილიონობით თანამოქალაქე, მათ შორის – მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და ხელოვანი, რათა ახალი წესრიგი ტყვიით და სისხლით ჩაეწერათ ხალხის ფსიქიკაში.

ბოლშევიკები, აცტეკების მსგავსად, ასე განადიდებდნენ თავიანთ მზეს – სტალინს, რაც გადავიდა სოციალისტური ბანაკის სხვა

ქვეყნებშიც (მაგ., კამბოჯელმა კომუნისტმა პოლ პოტმა დახვრიტა ორ მილიონამდე თანამოქალაქე).

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ჯერ კიდევ ნიცშე სოციალიზმს მიიჩნევდა იეზუიტობის ნაირსახეობად.

ჩეკას ერთ-ერთ ინსტრუქციაში სანიმუშოდ არის დასახული იეზუიტური ხერხები, რასაც კარგად იცნობდა სემინარიელი სტალინი.

სიმბოლური კაცთშეწირვა

რეალური კაცთშეწირვის პარალელურად გავრცელდა სიმბოლური კაცთშეწირვის ფორმები, რაც მოიცავს კულტურის ყოველ სფეროს და გულისხმობს იდეისათვის თავგამეტებას, სიცოცხლის გაღებას. ეს იქნება პოლიტიკის, მეცნიერების, რელიგიის თუ ხელოვნების სფერო. ეს არის არა იმპულსური აქტი, არამედ გააზრებული, ინდივიდუალური მოქმედება, რაც წლების მანძილზე გრძელდება. მას სიკეთე მოაქვს უფრო სხვისთვის, ვიდრე თავად სუბიექტისათვის.

ეს არის თანამედროვე პროგრესის საფუძველი, რომლის ფესვები პრეისტორიასა და სულის ქვესკნელშია ჩაშვებული.

უძველესი კაცთშეწირვა, მსხვერპლშეწირვა და სხვა რიტუალები რელიგიური მსახურების თუ ხალხური დღესასწაულების პარალელურად სიმბოლურად გაგრძელდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, როცა მთავარი პერსონაჟები გაივლიან ინიციაციის საფეხურებს და ტრაგიკულად ამთავრებენ სიცოცხლეს. მაგრამ დაღვრილი სისხლის ფასად, გმირული სიკვდილით ცოცხლობენ მკითხველისა და მაყურებლის მეხსიერებაში (ვრცლად იხ. – „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“).

ასე ჩაიძირა კაცთშეწირვის მოთხოვნილება, სისხლის წყურვილი არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმეში.

5. მუხის კულტი და კაცთშეწირვა ქართველურ ტომებში

კაცთშეწირვა იმართებოდა ტყით დაბურულ მთაზე ან ბორცვზე, სადაც დიდი ხე იდგა, მეტწილად – მუხა ან ცაცხვი.

მუხას მსხვერპლს კაცები სწირავდნენ, ცაცხვს – ქალები (შდრ. აფრიკულ ტომებში განასხვავებდნენ მამრობითი და მდედრობითი სქესის ხეებს). მუხა სიცოცხლის ხეს განასახიერებდა.

ხის ფესვები შეწირულის სისხლით ირწყვებოდა.

მუხის კულტი ხეთა თაყვანისცემის ნაწილია, როცა როგორც საგნები, ისე ტომი იერარქიულად გადანაწილდა. ადამიანის წინაპარი კი მილიონობით წელი ხეზე ბინადრობდა.

მუხა – ღვთაება

მცირეაზიაში, ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში, საბერძნეთში, იტალიაში, გერმანულ და სლავურ ტომებში მუხა იყო წარმართული პანთეონის მთავარი ღმერთი, რომლის ანთროპომორფიზება მოხდა ზევს – იუპიტერის სახით ელადასა და რომში.

დოდონაში ზევსს თაყვანს სცემდნენ მუხა – ორაკულის ფორმით (Дж. Дж. Фрэзер, Золотая ветвь, М., 1980); ბუდამ 43-ჯერ ხის სულად იცვალა სახე (Э. Тайлор, Первобытная к ультура, М., 1989).

სლავებში მუხა იყო პერუნის წმინდა ხე, ტევტონებში – დონარისა, ლიტველებში – პერკუნისა; კელტები საითკენაც წავიდნენ, თან წაიღეს მუხის კულტი. თვით დრუიდები კი ნიშნავს „მუხის ხალხს“; აფრიკის ზოგ ტომში სწამდათ, რომ მუხის მოჭრას შეიძლება ბელადის სიკვდილი მოჰყოლოდა; სერბები მუხის გარშემო როკავდნენ, მოჰყავდათ საქონელი, რათა გამრავლება მეტი ყოფილიყო.

გერმანელები სიკვდილით სჯიდნენ მას, ვინც მუხას ქერქს შემოაცლიდა. მათ უძველესი სალოცავები უსიერ ტყეებში ჰქონდათ, სადაც მზის სხივიც ძლივს ატანდა. მუხის ზოგი სახეობა ათას წლამდე სძლებს. ასე რომ იგი ცასთან და დროის მუდმივობასთან იყო გაიგივებული.

მცენარის სული

როგორც ნადირი, ისე მცენარე სიცოცხლის ნაწილად იყო მიჩნეული. მათ სული ჰქონდათ და ხის მოჭრაც იგივე იყო, რაც ნადირის მოკვლა.

ინდიელები ხის მოჭრას დანაშაულად თვლიდნენ. მხოლოდ ის ხე უნდა გამოეყენებინათ, რომელიც თავად წაიქცა – ქარისა თუ სიბერისაგან. ერთ-ერთ აფრიკულ ტომში ქოქოსის პალმის მოჭრა დედის მკვლელობის ტოლფასი იყო, რადგან იგი აძლევდათ საკვებს, როგორც დედა-შვილს.

როცა მუხა ჭრიალითა და გმინვით ეცემოდა, ეგონათ, რომ ეს მუხის სულები ჰკიოდნენ.

როცა ქურუმი (აფრიკის ტომში) ხის მოჭრის ნებას იძლეოდა, მომჭრელი ხეს ნაჯახს დაჰკრავდა და წვენს ამოსწოვდა, ე. ი. ძმობილდებოდნენ. ველური ჭრიდა არა უცხო ხეს, რომელსაც შეეძლო ზიანი მოეტანა, არამედ – კლავდა თავის სისხლისმიერ ძმას, რომელიც მასზე ზრუნავდა (შდრ – გველი ხის სული იყო, რომელიც მის ფესვებსა და ტანში ცხოვრობდა, აქედან – გველის კულტი).

ავსტრალიურ დიერის ტომში ზოგ ხეს არ ჭრიდნენ, არც წვავდნენ, რადგან სწამდათ, რომ ეს მათი წინაპრები იქცნენ ხეებად.

ასევე სჯეროდათ ფილიპინების კუნძულებზე.

კორეელებს ეგონათ, რომ ხეებში ცხოვრობდნენ ჭირისაგან დაღუპულთა და მშობიარობას გადაყოლილთა სულები.

ფრიგიელების ღმერთი ატისი თავდაპირველად ფიჭვის სული იყო. ჩინეთში უძველესი დროიდან არსებობდა წესი – საფლავზე ხე დაერგოთ, რათა ცად მიმავალ სულს სხეული ეხსნა გახრწნისაგან.

ეს ყველაზე უკეთ შეეძლო ცისკენ აჭრილ კიპარისს.

სამხრეთ აფრიკელები სასაფლაოზე ხეებს არ ჭრიდნენ, არც ცხოველს ჰკლავდნენ, რადგან მიწაში წინაპართა სულები და ძვლები ბინადრობდნენ.

მუხის, ვაზის ან დაფნის ფოთლებით შემოსილ კაცს ან ქალს საგაზაფხულო და საზაფხულო დღესასწაულზე მეფის ან დედოფლის ტიტულს ანიჭებდნენ (შდრ – ანტიკური დაფნის გვირგვინი, როგორც დიდების სიმბოლო; აფხაზური მიზიტხუს დღესასწაული).

XIV საუკუნეშიც კი წარმართი ლიტველები მეფეს ევედრებოდნენ – არ მოეჭრათ ხეები, რომლებიც უგზავნიდათ წვიმასა და მზის სხივებს.

ხეს უკავშირებდნენ როგორც სულსა და სიცოცხლეს, ისე მოსავალსა და ნაყოფიერებას, ჩასახვას და მშობიარობას, სურვილთა აღსრულებას.

მალაიზიაში გაბერწებულ ხეს ნაჯახს დაჰკრავდნენ და ასე აშინებდნენ, რომ თუ ნაყოფს არ გამოიღებდა, მოჭრიდნენ.

ასევე იქცეოდნენ იაპონიაში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, საქართველოში (შდრ. ნ. დუმბაძის ნოველა „ხაზარულა“).

აღმოსავლეთში ბრინჯის ყანას ისევე კრძალვით ექცეოდნენ, როგორც ფეხმძიმე ქალს. ყვავილობის ჟამს კი ცოლ-ქმარი ყანაში წვებოდა და სექსს ეძლეოდა, რათა უხვი მოსავალი ჰქონოდათ.

ინდიელები ასევე იქცეოდნენ თესვის წინ, როცა თესლს სისხლში ამოავლებდნენ. ზოგი ტომის მამაკაცი გადიოდა მიხაკის პლანტაციაში და მთელი ხმით ყვიროდა. ეს კი მიხაკების განაყოფიერებას ნიშნავდა და მოსავალიც კარგი იქნებოდა.

ნიკარაგუას ინდიელები კი თესვის წინ არც ქალს ეკარებოდნენ, არც საჭმელს. ეს თესლის აღმოცენებას შველოდა, რადგან საკუთარ ენერგიას მას გადასცემდნენ.

ასე რომ, ველური ხან სექსუალური მოქმედებით, ხან თავშეკავებით ერთი მიზნის მიღწევას ცდილობდა. ხოლო მოსავალს რომ მოიწევდნენ, ახალ მსხვერპლშეწირვას ამზადებდნენ, რათა ნაყოფი, რომელიც ღმერთებს ეკუთვნოდა, ან თავად ღმერთის სახეცვლილი სხეული იყო, სასარგებლო და უვნებელი ყოფილიყო.

ადამიანის ცნობიერებამ მრავალ მცენარეთაგან გამოარჩია მუხა, როგორც მფარველი ძალა, ჩრდილის, მზისა და წვიმის მომტანი.

იგი ყველგან მიიჩნეოდა წვიმის, ელვისა და ჭექა–ქუხილის ღვთაებად, რომელიც ცას უერთდებოდა, მიწას ცასთან აკავშირებდა. ასე ყოფილა ქართველურ და აფხაზურ–ადიღეურ ტომებშიც.

მუხა – ტოტემი და სამსხვერპლო ხე

ფშავ-ხევსურებს სწამდათ, რომ არსებობს „მუხის ანგელოზი“.

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ აფხაზებსა და აფშილებს ხეები ღმერთები ეგონათ. მათ მუხის კულტი ახალ დროშიც შემორჩათ, რასაც ამშაპის დღესასწაული ერქვა (შდრ – კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“).

თეძმის ხეობაში, რკონში, მდგარა უზარმაზარი ცაცხვის ხე, რომელიც ჯავახიშვილების საგვარეულო სალოცავი ყოფილა და თავიანთ წინაპრად (ტოტემად) მიიჩნევდნენ.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, რადგან ამ ადგილს რკონი ჰქვია, აქ უძველეს დროს ცაცხვი კი არა, მუხა უნდა მდგარიყო, რომელსაც ადრევე შემუსრავდნენ ქრისტეს მსახურნი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I).

მუხის ტოტზე დაჰკიდა კოლხთა მეფე აიეტმა ფრიქსის ნაჩუქარი ოქროს საწმისი. ეს მუხა იდგა არესის ჭალაში და დრაკონი იცავდა. ეს ის დროა, როცა ქართველური ტომები ჯერ ტაძრებს არ აშენე-

ბენ და მსხვერპლს ღმერთებს ღია ცისქვეშ სწირავენ, განსხვავებით ელინელთა და რომაელთაგან.

ლეონტი მროველი (XI ს.) წერს „პირველ მამათა ჩუენთა“ კაცი-ჭამიობასა და „ყრმათა“ კერპთშეწირვაზე. მაგრამ ადგილს არ უთი-თებს; ახსენებს კერპებს, მაგრამ არაფერს ამბობს ხეების თაყვანის-ცემაზე.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი წერს, რომ არმაზსა და ზადენს ჩვილებს სწირავდნენ.

ძვ. წ. IV-III საუკუნეებში რიტუალურად შეწირულის არაერთი ჩონჩხი აღმოჩნდა ორმოსამარხებსა და ქვევრსამარხებში (მაგ., ვანსა და ნოქალაქევში).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, რომ არმაზსა და ზადენს სწირავდნენ პირმშო (პირველშობილ) ყრმებს.

დიდი ჭყონი

არსებობს ლეგენდა, რომ მარტვილში, გორაკზე, მდგარა სამსხ-ვერპლო ხე – დიდი ჭყონი (მუხა), რომელსაც ბავშვებს სწირავდნენ.

შემდეგ იგი მოჭრეს და VII საუკუნეში მის ადგილზე აშენდა ქრისტიანული ტაძარი, ისევე როგორც მცხეთაში – სვეტიცხოველი. შდრ – VIII საუკუნეში, ჰესენში, წმ. ბონიფაციმ მოჭრა „დონარის მუ-ხა“; უფრო ადრე, 658 წელს, ნანტის საეკლესიო კრებამ მიიღო გა-დაწყვეტილება მენჰირების – ადამიანის მსგავსი გიგანტური საკულ-ტო ქვების – მიწაში ჩამარხვის შესახებ (ა. დონინი, ადამიანები, კერ-პები და ღმერთები, თბ., 1976, გვ. 73).

მეგრული სახელი „ჭყონი“ შეცვალა ბერძნულმა „მარტვილმა“ (martiros), რაც წამებულს ნიშნავს. მაგრამ არ დამკვიდრდა „ეკლესია“ და დარჩა წარმართული „ოხვამე“ (ხვამა – ლოცვა, ოხვამე – სალოცა-ვი).

მარტვილის ეპარქიის წინამძღოლი იწოდებოდა არა მარტვილელად, არამედ – ჭყონდიდელად, როგორც ქურუმი წარმართობის ჟამს.

ეს კი ნათლად მეტყველებს თუ მუხის კულტის როგორი ძლიერი წარმართული ტრადიცია არსებულა, რომ მის დასაძლევად ეკლესიას კომპრომისის დაშვება დასჭირდა, რაც არ მომხდარა არმაზის მიმართ.

ახლა მარტვილის მონასტრის ეზოში დგას უზარმაზარი ცაცხვის ხე, თუმცა, როგორც ვთქვით, ეპისკოპოსს ჭყონდიდელი ჰქვია (რკონშიც ხომ მუხა ცაცხვით შეუცვლიათ).

სხვა გადმოცემით, ამ ადგილას აღუმართავთ კაცის სახის ლითონის კერპი, რომელსაც კაპუნიას ეძახდნენ. კერპს პირი ღია ჰქონდა და შიგ ცოცხალ ბავშვებს ყრიდნენ (ი. ყიფშიძე).

აქედან მოდის წყევლა-კაპუ ქიდკოლაფუდას, ე. ი. ენა ჩაგივარდესო (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2.002), რაც სიკვდილის იდიომური შესატყვისია.

ალბათ კაპუნია არმაზის მსგავსი კერპი იყო (სულხან-საბას ახსნით, კაპუნი „ყბათა ყბის ტკეცებაა“).

ფხოვში, ლაშარის ჯვართან მდგარა უძველესი ბერმუხა, რომელმაც ახალ დრომდე მიაღწია. მაგრამ ზურაბ ერისთავის დაჟინებული მოთხოვნით მოუჭრიათ.

ხალხს მუხის მოჭრა არ სდომებია, რადგან იგი „ოქროს შიბით“ ცას ება და ღმერთთან ადიოდა, ე. ი. მისი სახელი არქაულ რწმენას ეხმიანებოდა (შდრ – ცხრა მუხა და ბერმუხა კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობაში“, როგორც ქართული სულის გამძლეობის სიმბოლო; ლეო ქიაჩელი ტარიელ გოლუას კანდაკორძილ, ტოტებდამსხვრეულ, მაგრამ ძლიერ, „ძველ მუხას“ ადარებს).

ეს იმიტომ, რომ მუხა წარმართულ ქართველურ ტომებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტოტემი იყო, ჩვენი წინაპარი მასთან გენეტიკურად იყო დაკავშირებული. მისი სულის ნაწილიც მას ებარა, მასში ცხოვრობდა.

მუხის მოჭრა ან დაზიანება – ეს იგივე საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა იყო. რაც მუხას გადახდებოდა, ის ელოდა მის თაყვანისმცემელსაც, ტომსა და ხალხს.

„კრკოს ხე“ – წყანი

კაცთშეწირვის რიტუალი და მუხის კულტი შთაიბეჭდა ქართველურ ენებში, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია არქეტიპული ხატის პოვნა:

„კრკოს ხეს“ ქართველები „წყანს“ ეძახდნენ (შდრ – გეოგრაფიული ტოპონიმი წყნეთი), რაც არის მეგრულში „ჭყონი“, ლაზურში – „ჭკონი“.

თვით ეს სიტყვა კაცთშეწირვის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო, როგორც სასიკვდილო გმინვა – ხროტინი (შდრ – ჭყონი – ჭკონი – ჭკნობა). ხოლო მის მიღმა ალბათ იდგა ასტრალური ღმერთი მზე – სითბოს, სინათლისა და სიცოცხლის მომნიჭებელი, რომელიც სისხლს მოითხოვდა, როგორც აცტეკების მზის ღმერთი კეცალკოატლი.

მუხას უკავშირდება არაერთი ქართული გვარი. მაგ., ჭყონია, ჭყოიძე, ჭონიშვილი (ჭყონიშვილი), მუხაძე, მუხაშავრია.

წყანის ფოთლების შრიალში ღმერთების ნებას შეიცნობდა ქურუმი (მაგ., წვიმის მოსვლა ან წვიმის შეწყვეტა), რადგან ეს იგივე სულების ჩურჩული იყო. მათ კი ყურადღება და პატივისცემა სჭირდებოდათ, ე. ი. მსხვერპლი.

ადამიანს მუხა, როგორც ცისარტყელას კიბე, აკავშირებდა მზესთან და ცასთან, რადგან იგი ძლიერია და ცადაწვდილი, ცოცხლობს მრავალი საუკუნე და მუდამ იზრდება.

წყანისგან მოელოდნენ გვალვაში წვიმას, სიცხეში – სიგრილეს, ქარში – სიწყნარეს. მაგრამ რისხვაც მისი სიმაღლიდან მოდიოდა

(ელვა, ქუხილი, მეხი). ამიტომ იყო ელინელთა უმაღლესი ღვთაების ზევსის ეპითეტი „ფეგონაიოს“ – მუხაში მცხოვრები.

წყანს არ იცნობს ქართული მწერლობა. მაგრამ ფიქსირებულია „ჭყორი“. მაგ., ალ. ჭავჭავაძე წერს: „ჭანდრის ისარს ჭყორის მშვილდი“, რასაც ი. გრიშაშვილი განმარტავს როგორ მუხას, რაც არასწორია.

ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ წყანს ეკლესია არ ახსენებდა. ამიტომ „კრკოს ხეს“ მოგვიანებით დაერქვა დაღესტნური წარმომავლობის „მუხა“ (შდრ – ქურმუხის ეკლესია საინგილოში).

მიზეზი ცხადია: მრევლში წყანი აღვივებდა წარმართულ წარმოდგენებს, სისხლის წყურვილს. მაგრამ დარჩა შესატყვისები მეგრულსა და ლაზურში, რადგან მღვდელმსახურება ამ ენებზე არ აღევლინებოდა. თავად „კრკო“ ინდოევროპულ სიტყვად მიაჩნიათ.

ბიბლიის გავლენით გავრცელდა ნაძვი, კედარი, ზეთისხილის ხე, პალმა. ისიც გვინდა შევნიშნოთ, რომ „ხეც“ არ არის ქართული სიტყვა – იგი ვაინახური წარმოშობისაა (არნ. ჩიქობავა).

ქართველური ტომებისათვისაც წყანი უნდა ყოფილიყო მთავარი ხე, როგორც ძალისა და მუდმივობის სინონიმი:

ქართულში საწყისის, დაწყების ძირი არის – წყ – ბგერათკომპლექსი – მეგრ. „გე-ჭყ-აფ-ა“, ლაზ: „გე-ჭკ-აფ-უ“.

ქურუმი იგივე „მწყემსი“ იყო (მეგრ. „ჭყეში“, ლაზ. „ჭკეში“), ცხოვართა შემკრები და წინამძღოლი ანუ ტომის თუ ხალხის განმრიგე, უზენაესთან მაერთებელი.

წყან/ჭყონს ასევე უკავშირდება – „მოწყუედა“, „წარწყმედა“, „წყევლა“, „ჭყუნვა“, „ჭყივილი“, „წყალობა“ და „წყალი“, „ჭყანი“, „გიმნაჭყანი“, „მოჭყუდუ“, „ჭყორინი“ (გაწყრომა), ალბათ – წამებაც.

ახლა შევადაროთ ქართული „მოწყუედა“ (ამოწყვეტა), მეგრ. „ჭყვადუა“ (მოსპობა) და „მოჭყვიდუა“ (მოწყვეტა), ლაზ. „გიოჭყვიდუ“ (დაარტყა; გადაწყვიტა) და „ეჭკვადუ“ (ამოგლეჯა), სვან. „ლიშყედ“ (გაწყდომა), რაც ღმერთების სასტიკ განაჩენთან – სიკვდილთან არის ასოცირებული.

ქართულ „ჭყივილს“ შეესაბამება მეგრული „ჭყია“, რაც შეწირულის სასიკვდილო გმინვაა. ხოლო სულხან-საბას განმარტებით – „გოჭთ ხმიანობა“.

ეს კი ეთანხმება გადმოცემას ბავშვთა მსხვერპლშეწირვაზე.

კაცთშეწირვა ქართველურ ტომებში საკმაოდ გვიან, წარმართული ეპოქის მიწურულს შეიცვალა ცხვართა და ზროხათა შეწირვით, რაც III საუკუნეში დაუწესებია ქართლის მეფე რევი მართალს (ლეონტი მროველი).

ძვ. წ. IV საუკუნეში ჰერაკლიტე პონტოელი ერთ-ერთ ქართველურ ტომს – ჰენიოხებს „კაციჭამიასა და ადამიანის ტყავის გამხდელ ტომს“ უწოდებს.

რუსებს ეს ველურთა წესი შემორჩათ X საუკუნის ბოლომდე, მაგ., კიევის მთავრის სვიატოსლავის მეომრებმა 971 წელს ბიზანტიელებთან ბრძოლაში დაღუპულთა სულებს შესწირეს თოთო ბავშვები და მამლები.

შდრ: жертва (მსხვერპლი), жертвенник (სამსხვერპლო, საკურთხეველი), жрать (სანსვლა, ხარბად ჭამა) და жрец (ქურუმი).

სლავურ და გერმანიკულ ენებში მუხის (дуб, der Eiche) ეტიმოლოგიას ზოგი უკავშირებს „სახლის საშენ მასალას“, ზოგიც – „ჭაობსა“ და „ბნელ ხეს“, მაგრამ არა მსხვერპლშეწირვას (М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, I, М., 1986).

1615 წელს ერთი კათოლიკე მისიონერი შენიშნავს, რომ მეგრელებს განსაკუთრებით ჰყვარებიათ დიდი ხის ძირას მიწაზე სუფრის გაშლა. რაც უნდა იყოს ძველი, მუხასთან დაკავშირებული მსხვეპლშეწირვის გამოძახილი, იგივე – „დიარა“ (ლხინი, სიტყვასიტყვით – ბალახობა).

უძველესი ფაქტები და მოვლენები დავიწყებას ეძლევა ან ზღაპარივით გადმოიცემა. მაგრამ ბარბაროსულ თუ კულტურულ გამოცდილებათა ნალექი ქვავდება ენაში, ცოცხლობს ფსიქიკაში და ასე აგრძელებს არსებობას.

IV. კულტურის ფორმირება: ღმერთების ნება

1. ფეტიშიდან ღმერთამდე

ფეტიშიზმი და ღმერთის ცნება

ღმერთის ცნების წარმოქმნა გარემომცველ საგნებში (ქვა, ხე, ცხოველი) უჩვეულო ძალის დანახვითა და მათდამი შიშით (შდრ – უფალი ბერძნულად არის – despotes) უნდა დაწყებულიყო, როგორც შენიშნავდა ფრ. ნიცშე („ძალაუფლების ნება“).

შიში – ეს იყო იგივე დღევანდელი სულით ავადმყოფის „ბრძანება ზემოდან“.

შიში ველურს აიძულებდა, რომ ყოველი უცხო საგანი, მოვლენა ან მოქმედება ღმერთად დაესახა (ჰ. უზენერი).

ეს იყო პროტო-სიტყვებით სახელდება, რაც ყველა ადამიანთა ჯოგში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდებოდა.

მაგ., ბერძნები თავდაპირველად თაყვანს სცემდნენ ხის ჯირკვებს, რაც ვითომ არტემიდა იყო, ბოძს, რომელიც ათინა პალადას განასახიერებდა, ლოდს, რომელსაც ჰერკულესი ერქვა.

ამგვარი რწმენა შემორჩათ კლასიკურ ხანაშიც.

ეგვიპტელები თაყვანს სცემდნენ ქვა ბენ-ბენს. იგი შემდეგ ღვთაება რა გახდა (შდრ – „საგნის აფექტური შთაბეჭდვა“).

ძველინდურში asma არის როგორც ქვა, ისე ზეცა.

ტაბუირების შედეგად ხდებოდა გადასახელება.

ნამდვილი იფარებოდა, მას ცვლიდა სიმბოლური. სიმბოლოები ყველამ იცოდა, დაფარული – ქურუმთა კასტამ. ასევე იყო მთელს ევროპაში (შდრ – ძერასფერი ქვის ლოინი კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში”).

სულთა ნივთიერი სახე იყო ქვისა და ხის კერპები, რაც ანთროპომორფული ღმერთების დროიდან საწყისს აძლევს ქანდაკების ხელოვნებას.

ხელოვანს ღმერთი და ქალი, კაცი და ცხოველი გამოჰყავდა ქვისა და ხისაგან, როგორც ცეცხლი ხახუნით.

სიცოცხლე გაიგივებული იყო არა მხოლოდ სულთან, არამედ – სინათლესთანაც. ამიტომ ინდოევროპულ ენებში ეტიმოლოგიურად ღმერთის ცნება მოდის დღისა და ზეცისაგან (О. Фрейденберг, Миф и литература древности, М., 1978, стр. 33).

როგორც ვთქვით, ოდესღაც ველურის ფანტაზიამ კვებისა და სექსის ინსტინქტებიდან, მაგიური ძალებით დამუხტული და სულებით აღვსილი საგნებიდან გამოაცალკევა ერთი მათგანი – პირველწინაპარი, ტოტემი, რომლის სახეს და სახელს ატარებდა ჯერ გვარტომის დედა, შემდეგ – გამორჩეული პირი, მფარველი და ძლიერი განმრიგე – ბელადი.

ხოლო სულები ქვეყანაზე ისევე აურაცხელი იყო, როგორც მიკრობები და ვირუსები.

როცა პაციენტი ფსიქოთერაპევტს სრულად ენდობა, მაშინ მეტია გამოჯანმრთელების შანსი.

ასეთი მკურნალი, შემწე და საყრდენი იყო უზენაესი ძალები შიშითა და აგრესიით შეპყრობილი ველურისათვის. ხოლო შიში სიკვდილს და გადარჩენის ინსტინქტს უკავშირდება. ღმერთის ცნების მიღმა დგას სიკვდილი – სიცოცხლის რეგულატორი.

ღმერთების ნება ძალაუფლების ნებაში განხორციელდა, რამაც შვა ომები, სახელმწიფო და კულტურა.

ძალაუფლება კი, როგორც გვიჩვენებს ისტორია, მაღლა დგას ნათესაობასა და მეგობრობაზე, ეთიკასა და საკუთრებაზე.

ტოტემი – ღმერთის პირველსახე

ცხოველ-ტოტემი იყო ღმერთის პირველსახე, რომელსაც მამა (ბელადი) განასახიერებდა (იხ. „ტოტემისტური წარმოდგენები“).

სულები განიყოფოდა ბოროტ და კეთილ ძალებად.

მათ ველური იგონებდა და ანაწილებდა, ზოგს იცილებდა, ზოგსაც ემსახურებოდა.

ტომები და ფრატრიები არაინცესტური სექსის – საქორწინო კავშირების შედეგად მრავალტოტემიანი ხდებოდა. ტოტემთა სიმრავლეს აკრძალვათა სისტემაც სხვაგვარი ექნებოდა, რაც მრავალღმერთიანობას ნიშნავდა.

ეს ბუნებრივი ევოლუციის თავისთავადი შედეგი იყო.

მაგრამ ტომები ერთმანეთს ებრძოდნენ, სპობდნენ, ერწყმოდნენ და ამ შეტაკებებში ჩართული იყვნენ ტოტემები და სულებიც.

გამარჯვებული ამკვიდრებდა თავის იერარქიას.

მაგრამ დამარცხებულსაც შეჰქონდა საკუთარი წარმოდგენები – ჯერ ტყვეობას არ ჰქონდა მონობის ფორმა, ჯერ ღმერთები ერთმანეთს არ ებრძოდნენ.

„От тотемизма по-старому остается вся схема: ареальный мир, принимаемый в едином лице (культ), коллективизм,выраженный в едином лице (жрец), внешняя действительность, отождествляемая с обществом людей (человекообразные стихии - боги).

Наконец, остается вся сумма готовых ритмов, вещей, слов, действий и представлений.

Сохранено рещительно все. Однако, в такой же мере все изменено. И то, что было прежде тотемизмом, теперь становится религией“ (ო. ფრეიდენბერგი, დას. წიგნი, გვ. 129).

ცხოველ-ღმერთები

ასიმილირება ხდებოდა ტოტემისა და ტაბუს სფეროშიც. იცვლებოდა იერარქია და ტოტემები ერთად ლაგდებოდა, რომლებიც ატარებდნენ ცხოველის ნიღაბს, შემდეგ – ჰიპოსტასს.

ცხოველს გაუჩნდა კაცის თავი ან სხეული. კაცი-ცხოველი, კაცი-ფრინველი, კაცი-გველი, კაცი-ნიანგი ღვთაების სახედ წარმოედგინათ (იხ. „ტოტემური ჰიპოსტასები“).

მათ ადამიანის სხეულის პროპორციები ემლეოდათ.

ცხოველ-ღმერთები თანდათან ადამიანის სახით ცხადდებოდნენ ანდა სულაც უხილავი ხდებოდნენ. მაგ., ჰატორი (ჰატჰორი) სიტყვასიტყვით არის „ჰორის სახლი“, მაგრამ ნიშნავს „ზეცას“. იგი ჯერ წარმოედგინათ როგორც ზეციური ძროხა, რომელიც შობს მზეს, შემდეგ როგორც ქალი – ძროხის რქებითა და ყურებით.

უჩინარი უზენაესი ძალა ადამიანს რისხვად ევლინებოდა. მისი შეხედვა სიკვდილს ნიშნავდა, როგორც ჭექა-ქუხილად ქცეული ზევსი თუ ზღვად მშფოთვარე პოსეიდონი.

ზოომორფიზმი შეცვალა ანთროპომორფიზმმა.

ადამიან-ღმერთები და პოლითეიზმი

ღმერთი იცილებდა ცხოველის სახეს და ქანდაკებად, კედლის თუ ლარნაკის მხატვრობად ცხადდებოდა, რომელსაც კაცის თავი ჰქონდა (მაგ., ეგვიპტურ ამონს ჯერ ცხენის თავი ჰქონდა, შემდეგ – ადამიანისა).

ბრინჯაოს ეპოქიდან ანთროპომორფული ღმერთები მრავლად ჰყავდათ ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, ინდოეთსა და ჩინეთში, ელადასა და რომში.

ცხოველ-ტოტემი თუ ხე-ტოტემი ჯერ დედის, შემდეგ მამა-ბელადის სახედ შთაიბეჭდა ცნობიერებაში. ტოტემში სქესი არ არის განსაზღვრული. ღმერთებში ეს საკითხი გარკვეულია. მაგრამ ზოგ-ჯერ ღმერთქალს აქვს მამაკაცური ნიშნები (მაგ., ათინას, აფროდი-ტეს), ღმერთს – ქალური (მაგ., დიონისეს, ეგვიპტურ რას).

ტოტემისტური რწმენის ინერციით, პირველ ღმერთებს ქალკა-ცის სახელები ერქვათ: დიო-დიონა, ჰერა-ჰერაკლე, ლიბერ-ლიბერა, იანუსი – იანა ან ქალადაც წარმოიდგენდნენ და კაცადაც (მაგ., მზე და მთვარე, ძველინდური ადიტი, ძველგერმანული ტუისტო). დი-ლის ვარსკვლავი იშთარი დილით კაცი იყო, საღამოს – ქალი. ასევე თამუზიც ხან ქალი იყო, ხანაც – კაცი (თ. მანი). შემდეგ ამგვარი ტრა-ვესტიზმი გაიაზრეს როგორც ღმერთის გაზრდილი მაგიური ფუნქცია.

პოლითეიზმის დროსაც გამოიყოფოდა მთავარი ღმერთი. მაგ: ენლილი – შუმერში, მარდუქი – ბაბილონში, აშური – აქადში, აჰურა-მაზდა – ირანში, ზევსი – ელადაში, იუპიტერი – რომში, თეშუბი – ხურიტებში, არამაზდი – სომხეთში, ხალდი – ურარტუში, არმაზი – ქართლში, გველთავა ნდენგეი – ფიჯიელებში, რაც გადადიოდა მო-ნოთეიზმში.

ერთღმერთიან რელიგიებს – იუდაიზმს, ქრისტიანობას, ისლამს ჰყავთ მიწიერი წარმომადგენლები (მოსე, ქრისტე, მუჰამედი), რომ-ლებიც არიან ან ძე ღვთისა ან უფალს ელაპარაკებიან და მისი ნებით მოქმედებენ.

ქრისტიანობამ დაუშვა კომპრომისი: ქრისტიანული ღმერთი ერთარსებაა, მაგრამ სამსახოვანი (მამა-ღმერთი, ძე ღმერთი – ქრისტე და სულიწმინდა), რაც ამავე დროს სამყაროს მოდელია.

უფრო ადრე ასევე მოხდა ინდოეთში – ბუდისტური ტრიკაია, ინდუისტური ტრიმურტი (ბრაჰმა, ვიშნა და შივა), ჯაინების ტრი-რატნა.

ქრისტიანული ღმერთი დაუსაბამოა, უჟამო და უხილავი (შდრ: რუსთაველი – „ვინ არს ძალი უხილავი...“).

ისლამი კრძალავდა კერპთაყვანისმცემლობას, შესაბამისად – ქანდაკებასა და მხატვრობას.

ქრისტიანობაც ებრძოდა კერპებს, ასევე – ღმერთისა და წმინდანების გამოსახვას, თავდაპირველად – გალობასაც. ბიზანტიაში წარმოიშვა ხატთმებრძოლობა და მხოლოდ IX საუკუნიდან აღიარეს ბიბლიური პერსონაჟების, სასულიერო იერარქების, ქრისტესა და მისი მოწაფეების, წმინდანების ხატწერა. მაგრამ ეს არ შეეხო მამა–ღმერთს. იგი დარჩა უხილავი, მიუწვდომელი და შეუცნობი.

IV საუკუნეში სომხებმა და ქართველებმაც იწამეს ნაზარეველის რჯული, უარყვეს როგორც საკუთარი, ისე ირანიდან შემოსული ღმერთები.

ბერ-მონაზონი იყო ცხოვრებისაგან განმდგარი, მუდმივად მარხული, ვისაც სექსი ეკრძალებოდა ანუ ნებაყოფლობით, უსისხლოდ ეწირებოდა ქრისტეს სამსახურს.

ბერ-მონაზვნები ქმნიდნენ საეკლესიო იერარქიას.

VII საუკუნიდან ასპარეზზე გამოდის უდაბნოს კიდევ ერთი უფალი – მუჰამედი, რომელიც ალაჰის სახელით გაავრცელებს ახალ მოძღვრებას არაბულ და ირანულ სამყაროში.

სინაგოგებისა და ეკლესიების შემდეგ გაჩნდა მეჩეთები, რომელთა თავზე ნახევარმთვარე აღმართეს.

პირველი ხის მეჩეთი 631 წელს საკუთარი ხელით ააგო ხალიფა ომარმა იერუსალიმში, სამოთხიდან მოტანილ კლდეზე, როცა ეს ქალაქი წაართვა ბიზანტიელებს.

ამის შემდეგ ახალი რელიგია არ წარმოშობილა, მაგრამ მათაც ვერ აიცილეს სექტებად დიფერენცირება და ურთიერთშუღლი (მაგ. ქრისტიანობაში არიოზობა და ნესტორიანელობა, ისლამში – შიიტიზმი და სუნიტიზმი), ეკლესიის განყოფა (მაგ., ქრისტიანობაში ჯერ დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა, შემდეგ – კათოლიკობა, მართლმადიდებლობა, პროტესტანტიზმი; შდრ – ლუთერი მოითხოვდა, თავს დასხმოდნენ რომის კარდინალებს, პაპებს, მათი სოდომის ხროვას, მათი სისხლით შეეღებათ ხელები). მაგრამ იგი გამო-

დიოდა, როგორც კულტურის მფარველი და ერის ინტერესების დამცველი.

შესაბამისად – ქრისტიანული კულტურაც ან რელიგიის ნაწილი იყო ან მასთან კავშირს არ სწყვეტდა, რომელთა იდეალების დაცვა სახელმწიფოს უნდა ეტვირთა.

პოლითეიზმიდან მონოთეიზმისაკენ

ერთი, საერთო ღმერთის დამკვიდრების ცდას უკავშირებენ ფარაონ ამენ-ხოტეფ IV-ს (ძვ. წ. XV საუკუნის მიწურული), რომელმაც აკრძალა ამონ – რას კულტი, დატოვა თებე, გააბატონა ატონის – მზის ახალი რელიგიის კულტი, სახელად დაირქვა ეხნ-ატონი და გახდა მთავარი ქურუმი. მაგრამ გარდაცვალების შემდეგ ისევ პოლითეიზმი აღადგინეს.

ატონის ერთღმერთიანი რელიგია ეგვიპტელმა მოსემ ებრაელებში გადაიტანა და წარუძღვა მათ აღთქმული ქვეყნისაკენ. მაგრამ ებრაელებმა არ მიიღეს ღმერთი ატონი, მოკლეს მოსე და იაჰვეს კულტი დაამკვიდრეს (ზ. ფროიდი). ღმერთის ცნების ევოლუცია დაიწყო წარმომშობი ერთით (ტოტემი) და დასრულდა ასევე ერთი ღმერთის აღიარებით.

მისტიკა

ღმერთები რეალურ სახესა და ძალას იღებდნენ მისტიკური შთაგრძნობითა და ჭვრეტით. მისტიკა ბერძნულად იდუმალს ნიშნავს და ზებუნებრივს უკავშირდება, ეტიმოლოგიურად თვალის დახუჭვასა და პირის აკვრას გულისხმობს. იგი რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება – ვღებულობთ მხოლოდ გრძნობითა და რწმენით.

მისტიკა იყო განდობილთა ნაგრძნობი, ხილვა და ექსტაზი, რომლის გამოთქმა შეუძლებელი იყო და არც შეიძლებოდა. იგი მოდიოდა ჰალუცინაციური აზროვნებიდან და ვლინდებოდა ქურუმების ექსტაზური ბნელმეტყველებით, რიტუალებითა და მისტერიებით, რაც გაგრძელდა რელიგიებსა და მხატვრულ შემოქმედებაში.

2. ღმერთები და კულტურა

ღმერთების რწმენა

მას შემდეგ, რაც ჰომინიდი ბიოლოგიურად ჩამოყალიბდა, რაც დასრულდა თავის ტვინისა და სხეულის ფორმირება, მის კულტურულ არსებად მოქცევისათვის უმთავრესია უზენაეს ძალთა ტრანსფორმაციები.

ველური, როგორც ვთქვით, სამყაროს აღიქვამდა როგორც გრძნეული სულებით აღსავსე სამყაროს, რაც შიშებად წვებოდა ცნობიერებაში.

იგი სიბნელიდან გამოდიოდა და უეცარი შუქი თვალს სჭრიდა.

ნევროზული განცდებისა და შიშებისაგან განსამუხტავად, მათ დასაძლევად თავდაცვის ინსტინქტებმა გამოძებნეს უფრო ძლიერი მოკავშირე ძალა, იმპულსებიდან გამოყვეს და გონებით დაუპირისპირეს სულებად გამოსხივებულ შეუცნობ საგნებს.

ეს იყო ტოტემი – მისტიკური მამა.

იდუმალ, მტრულ საგნებს შორის ველური ტაბუირებით მიიკვლევდა გზას, თითქოს დანაღმულ ტყეში მიდიოდა, იცილებდა საფრთხეს და შოულობდა საკვებს, რასაც მას კარნახობდა ტოტემი–პრაღმერთი.

აკრძალვათა სისტემა მოემართება უზენაესი ძალის რწმენისგან და ჰომინიდს მორჩილებას უბრძანებს.

მას ამკვიდრებდნენ და სისხლით იცავდნენ ქურუმები და ქურუმ-ბელადები.

დედის მიერ ჩანერგილი უზენაესი ძალისადმი რწმენით მოხდა მხეცკაცის ჰუმანიზება, ველურ და ბარბაროსულ წეს–ჩვეულებათა შეცვლა, შიშისა და აგრესიის დაცხრომა, ინსტინქტების მოწესრიგება, გარდასახვა და წარმართვა (იხ. „რიტუალი – კულტურის სახეობათა ბირთვი“).

ბელადი (მეფე) იცავდა საკუთარ ღმერთებს, ხალხს, მიწას, ცხოვრებისა და მსხვერპლშეწირვის წესებს. მაგრამ შეტაკება, ურთიერთმოსპობა, აღრევა გრძელდებოდა. იცვლებოდა ქურუმთა კასტა და შემოდიოდა განსხვავებული წარმოდგენები.

ერთადერთი, რაც განსჯას არ ექვემდებარებოდა, ეს ღმერთებისადმი რწმენა, ერთგულება და მორჩილება იყო.

უზენაეს ძალას ნათესაურ ტომებსა და ხალხებში, თუნდაც ენობრივი ერთობა დიდი ხანის დარღვეული იყოს, ერთი სახელი შერჩა.

მაგ., ქართული ღმერთი, მეგრული ღორონთი, ლაზური ღორმოთი, სვანური ღერმეთ; ინდოევროპულ ენებში – ძველსლავური богъ, რუსული бог, უკრაინული bir, ხორვატული бог, ძველსპარსული бага, ძველინდური bharac, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა ყოფილა წარმატება და ბედნიერება. შდრ: ქართული ბაგა, სადაც ღმერთი და კაცი იბადება, ბაგე, რომელიც გამოსცემს უფლის ნებას, ბაგინეთი, რომელიც ღმერთების სამყოფელია – ქართული ოლიმპი.

ღმერთის რწმენა იყო ცნობიერების, აზროვნების, კულტურის ქვაკუთხედი. იგი სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ (მაგ., ეგვიპტური ოსირისი, ბერძნული ზევსი, რომაული დიანა, გერმანულ-სკანდინავიური ოდინი, სპარსული აჰურამაზდა, ინდური შივა).

მაგრამ არსი ერთი იყო: ღმერთი ყველგან იყო ყოვლისმოქმედი და ყოვლისმხილველი, არსთა განმრიგე და სიკვდილ–სიცოცხლის რეგულატორი. ამიტომ განსაზღვრავდა იგი ინდივიდის, ტომის, მეფის თუ ქვეყნის ბედს.

ამგვარი რწმენა ძალას იძლეოდა; მეომარს სიმამაცეს ჰმატებდა, ქურუმს – შთაგონებას, სნეულს – განკურნების იმედს, ცხოვრებას – სიკეთეს, მონას – ხსნის რწმენას (შდრ. – გერმ. Gott - ღმერთი და gut – კარგი, სიკეთე; რუს. Бог – ღმერთი და благо – სიკეთე).

როცა უფსკრულის პირას მივდივართ, შეიძლება სიღრმისკენ გახედვამ თავბრუ დაგვასხას და გადავიჩეხოთ. მაგრამ თუ ვიცით, რომ თოკია გაბმული, გაცილებით მშვიდად ვივლით, რადგან, თუ გაჭირდა, თოკს ვტაცებთ ხელს.

ამგვარი მაშველი თოკი იყო ღმერთის რწმენა, რაც უფსკრულის პირას მავალს შეუძლებელს შეაძლებინებდა.

ილუზიაც კი, როცა არ იცი, რომ ეს ილუზიაა, ფსიქოლოგიურად რეალობის ტოლფასია (ა. ტოინბი).

ღმერთის ცნების ტრანსფორმაციას ბიძგს აძლევდა და აჩქარებდა ცნობიერების პროგრესი, რაც სხვადასხვა სფეროში ვლინდებოდა. მაგრამ თავად ღმერთის ძალაც ააქტივებდა და ცვლიდა ცნობიერებას, ქმნიდა ძეგლებს, რაც ანცვიფრებდა ადამის მოდგმას (მაგ. ანტიკური დროის შვიდი საოცრება – დიდი პირამიდა, ალექსანდრიის შუქურა, სემირამიდას ბაღები, როდოსის კოლოსი, მაუზოლუსის აკლდამა ჰალიკარნასში, არტემიდას ტაძარი ეფესოში, ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში).

გაოცებისა და განცვიფრების უნარი შეცნობისა და შექმნის სტიმულს იძლეოდა: ეგვიპტესა, მესოპოტამიასა და კრეტა–მიკენში, ინდოეთსა და ჩინეთში, საბერძნეთსა და რომში გაიშალა და აყვავდა ის კულტურა, რომელზეც დგას თანამედროვე ცივილიზაცია.

ღმერთების ცხოვრება – მითოსი

უზენაესი ძალა, ისევე როგორც მეტყველება, აფექტების სფეროდან ამოდიოდა და რწმენად იყო ქცეული. დროის დინება, ტომებისა

და სახელმწიფოების შეტაკება, შერწყმა, ურთიერთგავლენა, ახალი თაობის ქურუმთა ფანტაზირება ცვლიდა წარმოდგენებს. მაგრამ არსი უცვლელი რჩებოდა, როგორც ვთქვით.

შემოდიოდა უცხო ღმერთები (მაგ., ელადაში – კრეტულ-თრაკიული დიონისე, რომში – ეგვიპტური ისიდა და ოსირისი, ფრიგიული ატისი) ან ხდებოდა მათი კოპირება (მაგ., ბერძნული ზევსი რომში იუპიტერად იქცა, არესი – მარსად, დემეტრე – დიანად, აფროდიტე – ვენერად). ზოგჯერ დამპყრობელი დამარცხებულ ღმერთებს სცნობდა (მაგ., კასიტების მთავარი ღმერთი გახდა ბაბილონური მარდუქი).

ქრებოდნენ ძველი ღმერთები ან სუსტდებოდა მათი გავლენის არეალი (მაგ., დონარი გერმანულ-სკანდინავიურ მითოსში, კრონოსი და ურანოსი საბერძნეთში), იცვლებოდა ცალკეული ეპიზოდები (მაგ., ადონისს ერთი ვერსიით არტემიდას მიერ მიგზავნილი ტახი დაგლეჯს, მეორე ვერსიით – აპოლონის რისხვა დაღუპავს), მსხვერპლშეწირვის რიტუალები (მაგ., ზოგან ქურუმები თავადაც ისახიჩრებდნენ თავს), სამსხვერპლო საგანი (მაგ., კაცს სცვლიდა ცხოველი), მსხვერპლშეწირვის ადგილი (მაგ., ტყის ან მღვიმის სამაგიეროდ – ტაძარი).

ახალი ღმერთები იმეორებდნენ ძველი ღმერთების ცხოვრებას, ცალკეულ ეპიზოდებს. მაგ., ქალწულის მიერ ქრისტეს შობა; 25 დეკემბერს ეგვიპტეში ზეიმობდნენ ოსირისისა და ისიდას ვაჟის – ჰორის დაბადებას; ამავე დღეს აღნიშნავდნენ მზის ღმერთის – მითრას შობის დღეს ირანში, ისევე როგორც ქრისტიანები – ქრისტეს დაბადებას;

ეგვიპტურ ხელოვნებაში ისიდა ძუძუს აწოვებს ჰორს, როგორც საუკუნეთა შემდეგ ღვთისმშობელი – ჩვილ იესოს;

300 წლის ხუანდი დრაკონს მოახტა და ცად ამაღლდა, ცად ამაღლდა, როგორც შემდეგში ქრისტე.

ქრისტიანული წყლით მონათვლის ანუ განწმენდის ტრადიციას, რომელიც იოანე ნათლისმცემლისგან აიღო იესომ, წინ უსწრებს

ისიდას, ადონისის, ატისის, მითრას მისტერიებში საქონლის სისხლში განბანვა („ტაურობოლიოს“).

უძველეს დროში ამგვარი განმწმენდი ძალა კაცის სისხლი იქნებოდა. ასევე იყენებდნენ ცეცხლსა და კვამლს.

ნათლობა ნიშნავდა ერთი სიცოცხლის დასრულებას და მეორეში გადასვლას ანუ როგორც ამბობს პავლე მოციქული, ღმერთთან ერთად სიკვდილში დაძირვას და აღდგომას.

ღმერთების ერთი ნაწილი ქვესკნელის ბინადარი იყო (მაგ., ბერძნული პერსეფონე). ქთონური ძალები ნაყოფიერებას უკავშირდებოდნენ და სიცოცხლეს მიწის ბნელი წიაღიდან, რომელიც ქალს (ბერძნული გეა) განასახიერებდა, სამზეოსაკენ აგზავნიდნენ. ზოგი კვდომადი და აღდგომადი იყო (მაგ., ეგვიპტური ოსირისი).

ღმერთების მეორე ნაწილი ასტრალური ღვთაება იყო, როგორც ბერძნული ჰელიოსი, რომაული ვენერა და მარსი. პლანეტა მარსი წითელი ფერის გამო ხალხის მეხსიერებაში ასოცირდებოდა სისხლთან და სისხლისღვრასთან.

ამიტომ იყო იგი ომის ღმერთი (მაგ., არა მხოლოდ რომში, არამედ – შუმერულ-აქადურ მითოსშიც).

მიწიერი ღმერთები ბუნების მრისხანე ძალებს განსახიერებდნენ (მაგ., თეშუბი და ზევსი – ჭექა-ქუხილს, პოსეიდონი – ზღვას) ან ადამიანის ოცნებას (მაგ., პრომეთე და ჰეფესტო). ზოგიც შველოდა ადამიანს, რომ სარჩო მოეპოვებინა (მაგ., არტემიდა და დიანა).

ინკების, მაიას, ტოლტეკების, აცტეკების, საპოტეკების ხალხებს სწამდათ ფრთოსანი გველი, რომელიც წვეროსანი თეთრი ღმერთის სიმბოლო იყო.

აფრიკული ტომები კერპებს იმიტომ ამზადებდნენ, რომ ღმერთების სული მათში მოექციათ. ქურუმების კურთხევით ეს ასეც ხდებოდა და ღმერთები დროდადრო ნიღბებით იმზირებოდნენ. მაგრამ ასევე სტოვებდნენ მათ, საგანში თავისუფლად შედიოდნენ და გამოდიოდნენ, იცვლიდნენ ადგილსა და სახეს.

შემორჩა კლდის მხატვრობის მრავალი ნიმუში პრეისტორიული ჟამიდან.

პრიმიტიულ ტომებს ღმერთებისა და სულების პრიმიტიული გამოსახულებანი ჰქონდათ, განვითარებულ ხალხებს – მრავალფერი და მწყობრი.

ველურისა და ბარბაროსის ფანტაზიას ასევე აინტერესებდა თუ როგორ წარმოიშვა ეს ქვეყანა, მიწა და წყალი, ცა და ციური მნათობები, ადამიანი და ცხოველ-ფრინველთა სამყარო (იხ. „მითოლოგიურ-კოსმოგონიური წარმოდგენები“). მაგ., ელინურმა მითოსმა შექმნა ღმერთების, გმირების, ტიტანების, ცხოველ-კაცების, სულების, მათი სიმბოლიკური ჰიპოსტასებისა და ატრიბუტების ყველაზე მწყობრი და რთული იერარქია და სტრუქტურა, რაც იყო ფსიქიკური წარმოდგენებისა და ლტოლვების საგნებად სახელდება, ცნობიერების განვითარების შედეგი.

ძველ ბერძნებს არ ჰქონდათ ისტორიული მეხსიერება: ისინი მითებში ცხოვრობდნენ (ო. შპენგლერი).

ღმერთიდან გმირამდე

ღმერთის ძალა ადამიანს შთააგონებდა, რომ შესაძლებლად ექცია შეუძლებელი. მოკვდავი რეალობასა თუ ფანტაზიაში ქმნიდა მეომრის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც თავისი მოქმედებით სძლევდა შიშს, მტერს, ბოროტებას, ურჩხულს და მომძეთათვის სიკეთე მოჰქონდა (მაგ., ბერძენი ჰერაკლე, აქილევსი, თეზევსი, შუმერი გილგამეში, აქადელი სარგონი, კაბადოკიელი წმ. გიორგი). მისი სიმამაცე სამაგალითო იყო და მიმართულებას აძლევდა ხალხის მოქმედებას და თვალთახედვას.

გმირი ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, რომლის შემდეგ მას გაღმერთება ელოდა. ღმერთები აძლევდნენ ადამიანს სულსა და სხე-

ულს. მაგრამ ცხოვრების ეტლსაც ისინი განუსაზღვრავდნენ, რასაც ბედისწერა ერქვა. ბედისწერის დაძლევა ადამიანს არ შეეძლო (შდრ – ოიდიპოსის ტრაგედია).

ბრინჯაოს ეპოქიდან დაწყებული ომებს ასპარეზზე გამოჰყავს ახალი ძალა – გმირი. ხალხი მისგან მოელოდა დაცვას, ხსნას, სიკეთეს. გმირი იყო ღმერთებსა და ადამიანებს შორის მდგარი მედიატორი, მათი მაკავშირებელი მოქმედებით, ისევე როგორც ქურუმები – მსხვერპლშეწირვის ცერემონიალით (შდრ – ამირანის მამას ჰქვია სულკალმახი, რაც არის შუმერული სუქქალმახი – ღმერთის ტიტული).

ქრისტიანობის შემდეგ მოხდა საერო და სასულიერო ცხოვრების განყოფა. გმირი ხმლით იცავდა ქვეყანას, ღმერთმსახური – სიტყვით, ლოცვით და ჯვარით.

ფიზიკური გმირის გვერდით ადგილს იკავებს სულის გმირი – წმინდანი, რომელიც თავს ან მთელ ცხოვრებას სწირავს იდეალების დაცვასა და აღსრულებას (იხ. ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები).

ბარბაროსული პერიოდის ღმერთებსა და გმირებს ხალხები თავიანთ ინსტინქტურ ლტოლვათა შესაბამისად ქმნიდნენ, თხზავდნენ მათ ან მათი ცხოვრების ვარიაციებს.

მითოლოგიური წარმოდგენები გადადიოდა ხელოვნებაში და იქცეოდა ლიტერატურად, ქანდაკებად, ფერწერად, კონკრეტულ ფორმებად.

საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურის უძველესი ნიმუშები ასახავენ მითოლოგიზებულ ისტორიულ რეალიებს. მათი პერსონაჟები არიან ღმერთები და ღვთაებრივი წარმომავლობის გმირები (მაგ., შუმერულ-აქადური გილგამეშის ეპოსი, ინდური „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“, ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ირანული „ავესტა“, ებრაული „ძველი აღთქმა“).

ყველაფერი იქმნებოდა ღმერთებისათვის, მათივე შთაგონებითა და მათივე სახელით.

უფლის სახლი – ტაძარი

მსხვერპლშეწირვას, ისევე როგორც სხვა რიტუალებს, მართავდნენ ღია ცისქვეშ – ტყეში, გორაკზე, დიდი ხის ძირას, ან – მღვიმეში.

თავდაპირველად ეს იყო ტოტემური ცენტრი.

შემდეგ, ძვ. წ. III ათასწლეულიდან, აგებენ ქვის უზარმაზარი ლოდებისაგან მეგალითურ ძეგლებს – მენჰირებს, დოლმენებს, კრომლეხებს, ეგვიპტეში – პირამიდებს (პირველი – ჯოსერის პირამიდა ააშენა ხუროთმოძღვარმა იმხოტეპმა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში), შუამდინარეთში – ზიქურათებს.

კრომლეხები ერქვა გვარტომის სალოცავს, რომელსაც ქვები წრიულად ჰქონდა შემოწყობილი. ეგვიპტეში პირამიდა ფარაონის სამარხი იყო, ინდიელებში კი – სამსხვერპლო, რომელიც ზეთავზე იდგა.

პირამიდებს ასევე აგებდნენ ირანში, სუდანში, ჩინეთში, ინდონეზიაში, კამბოჯაში.

ჯერ სამსხვერპლო, შემდეგ ტაძარი წმინდა მიწაზე უნდა აღმართულიყო. წმინდად ითვლებოდა ის ადგილი, სადაც მეხი დაეცემოდა. ეს იყო ღმერთის მყოფობა, მისი ციდან ცეცხლის სახით ჩამოსვლა.

წმინდა იყო ის გზაც, რომელიც სამსხვერპლოსა თუ ტაძრისაკენ მიდიოდა. ზოგ ტაძარს ჰქონდა გვირაბი და ქურუმები ასე უკავშირდებოდნენ მიწისქვეშა სამეფოს (შდრ – მღვიმე), რაც სიცოცხლის წარმოშობის ადგილად მიაჩნდათ.

მიწათმოქმედი და მეჯოგე ხალხი ტოვებდა უღრან ტყეებსა და მღვიმეებს.

ქურუმმაც ტყიდან ტაძარში გადაინაცვლა (შდრ – გერმანულ ენაში der Heide არის წარმართი, ხოლო die Heide – უდაბური ადგილი, მდელო ან სტეპი. სლავურ ენებში წარმართი – язычник უკავ-

შირდება თევზს – язь. ხოლო ლათინურიდან შემოსული поганый არის არაწმინდა, ბინძური).

ტაძარი ღვთის სახლი იყო. იგი კონკრეტულ ღვთაებას ეკუთვნოდა (მაგ., ამონ-რას, ისიდას, აპოლონს, ზევსს), მის სახელზე იგებოდა.

შესაბამისად თავიანთი ქურუმები ჰყავდათ.

ტაძარს თავისი გრანდიოზული იერით ღმერთების სიდიადე უნდა შთაეგონებინა, გაეძლო დროის მდინარებისათვის.

არქიტექტურის დასაბამი უკავშირდება საკულტო ტაძრებს, რომლებიც იცავდნენ სამსხვერპლო ლოდს თუ ფიცარნაგს, გამოყოფდნენ ცისა და მონაწილეთაგან.

ჯერ იგი იყო ხის კოლონებით (ძელებით) შემოსაზღვრული. შემდეგ კოლონებს დაემატა კედლები. ხე შეცვალა ქვამ, კირქვამ, აგურმა, ანტიკურ პერიოდში – მარმარილომ.

გამარჯვებული მმართველი თავისი ალაფის (ოქრო–ვერცხლი, მიწა, საქონელი, მონები) დიდ ნაწილს ტაძრებს სწირავდა, რათა ღმერთებისათვის მადლი მიეგო.

ძვ. წ. V-IV ათასწლეულების შუამდინარეთში მონუმენტურ ტაძრებს აგებდნენ (მაგ., აბუ-შაჰრაინის ტაძარი, რომლის ზომაა 26X16 მ).

ძვ. წ. III ათასწლეულის დამლევიდან კი აშენებდნენ მრავალიარუსიან ფერად ტაძრებს – ზიქურათებს. იგი ერთმანეთზე დადგმული წაკვეთილი პირამიდებისაგან შედგებოდა. ზეთავზე, რომელზეც გარეთა კიბით ადიოდნენ, სამლოცველო – სამსხვერპლო იდგა.

მესოპოტამიელთა ზიქურათი ჰგავს ინდიელთა პირამიდებს. „ტაძარი ქალაქ-სახელმწიფოს ცენტრი იყო“ (ვ. აფანასიევა, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, თბ., 1986, გვ. 53).

ქალაქის საწყისიც ტაძარი იყო. მაგ., ნინევიის მშენებლობა დაიწყო ღმერთქალ იშთარის ტაძრის ირგვლივ.

არტემიდას ტაძარი ეფესოში, რომელიც ასი წელი შენდებოდა, ანტიკურობის ერთ-ერთ საოცრებად ითვლებოდა (ძვ. წ. VI ს.). იგი ძვ. წ. 356 წელს დაწვა ჰეროსტრატემ. ასევე გრანდიოზული იყო ჰერას ტაძარი კუნძულ სამოსზე, რომელიც ძვ. წ. 525 წელს ხანძარმა შთანთქა (54X112 მ), აპოლონის ტაძარი კორინთოში (ძვ. წ. VI ს.), აპოლონის ტაძარი დელფოში (ძვ. წ. VIII-VI ს.ს.), ათენის პართენონი, სოლომონის ტაძარი იერუსალიმში (რაც იქცა სინაგოგას, ეკლესიისა და მეჩეთის პირველსახედ), რომის პანთეონი (გუმბათის დიამეტრი – 42 მ.)...

ტაძარში ღმერთი ცხოვრობდა, სასახლეში – მეფე. მათ თავიანთი მომსახურე პერსონალი ჰყავდათ.

ტაძრის ადმინისტრაციას განაგებდა მთავარი ქურუმი.

მაგრამ თავდაპირველად ტაძარი და სასახლე ერთი შენობა იყო. ეს მაშინ, როცა მეფე უმაღლესი ქურუმის ფუნქციასაც ასრულებდა.

მაგ., კუნძულ კრეტაზე, კნოსოსში, ძვ. წ. III ათასწლეულში მინოსმა ააშენა ხუთსართულიანი სასახლე – ლაბირინთი, სასახლე – ტაძარი, სასახლე – ქალაქი.

ასევე იყო ასურეთში, ხეთებში (ქალაქი ხათუსა). შემდეგ კი ტაძარს სასახლე დასცილდა.

ტაძარი იყო სამსხვერპლო რიტუალებისა და პროცესიების ცენტრი, რომელთაც ქურუმები წარმართავდნენ.

ადამიანი ღმერთს უახლოვდებოდა, მის მყოფობას განიცდიდა სამსხვერპლო სისხლით, რაც ქრისტიანობაში შეცვალა სიტყვამ – ლოცვამ და წყევლამ, ექსტაზი – დუმილმა და მედიტაციამ.

ტაძართა სიმრავლეს იწვევდა ღმერთების სიმრავლე. ღმერთების იერარქია დაცული იყო. ამიტომ კულტის მსახურებს კონფლიქტი არ ჰქონდათ.

ტაძრის კედლები შიგნით და გარეთ, სვეტები და კოლონები, ისევე როგორც ცეცხლში გამომწვარი თიხის ჭურჭლები, დოქები და ლარნაკები, ოქროსა და ვერცხლის თასები, დაფარული იყო ღმერთებისა და გმირების, ცხოველების, ფრინველების, თევზების, ცხოველ-

კაცთა გამოსახულებებით, თიხის, ქვისა და ბრინჯაოს ქანდაკებებით, ორნამენტული კომპოზიციებით.

ისინი მაგიურ ნიშნებს იმეორებდნენ.

ტაძრის სტრუქტურა მაიას ხალხმა მათემატიკას დაუმორჩილა, მათემატიკურ სიმბოლიკას (მაგ., ტაძრის კიბე 365 საფეხურისაგან შედგებოდა, რაც წელიწადის დღეთა რიცხვია).

ხეთების ტაძრებში ჰყავდათ მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავები, ე. ი. ისინი, რომელთაც შემდეგ თეატრში გადაინაცვლეს. მანამდე კი რიტუალებსა და პროცესიებში მონაწილეობდნენ.

ტაძარში ცეცხლი არ უნდა ჩამქრალიყო.

ღმერთები თავიანთ გარშემო კრავდნენ საკრალური ნივთებისა და სიტყვების წრეს.

ტაძარს საუკეთესო პროდუქტები ეძლეოდა. ღმერთებს გამორჩეული კვება სჭირდებოდათ, არადა – თავიანთ ფუნქციას ვერ შეასრულებდნენ.

მაგ., ურუქის ტაძარში ღმერთს, რომლის ქანდაკება საკურთხეველთან იდგა, დღეში ორჯერ, დილასა და საღამოს უმართავდნენ ტრაპეზს.

ღმერთების სადილი ასეთი იყო:

მაგიდას დგამდნენ გამოსახულების (ქანდაკების) წინ. შემდეგ მოჰქონდათ ხელსაბანი წყალი, სუფრაზე დაალაგებდნენ ჭურჭლეულს. ჯერ შემოიტანდნენ პურს, წვნიანს, სასმელებს (ლუდი, ღვინო, რძე), შემდეგ – ხორცსა და ხილს.

ხორცი მოხარშული ან შემწვარი იყო, რათა ღმერთებს იოლად გადაეყლაპათ და მისი სურნელით დამტკბარიყვნენ.

ღმერთები საკვებს მზერით და ყნოსვით ღებულობდნენ. ამ დროს ქანდაკებასა და სუფრას ფარდას ჩამოაფარებდნენ.

ასეთი წესი არსებულა ბაბილონსა და ირანში.

ეგვიპტური ტრაპეზი გაცილებით უხვი იყო.

ქრისტიანები ეკლესია-ტაძრებში ატარებდნენ ქორწინების, მონათვლის, აღსარების, მიცვალებულთან გამოთხოვების რიტუა-

ლებს, მანამდე კი აღსარება იყო საჭირო, რათა სული ცოდვებისაგან განეწმინდათ. ეს იყო ფსიქოთერაპია, რათა მორწმუნეს თავი კარგად ეგრძნო. ცოდვა იყო ეთიკური ნორმების დარღვევა, დანაშაული – სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფა, რწმენისა და ხალხის ღალატი, რაც სასტიკად ისჯებოდა.

ქრისტიანული ტაძარი იყო სულიერი კულტურის ცენტრი, ხოლო ეკლესია – მისი გავრცელების ადგილი და საშუალება, რომელმაც წარმართული რიტუალების სანაცვლოდ დააწესა ახალი დღესასწაულები (მაგ., შობა, აღდგომა, წმინდანთა ხსენების დღეები) და შემოიღო შვიდი საიდუმლოს სისტემა (ნათლობა, მირონცხება, ზიარება, აღსარება, ქორწინება, ზეთისცხება, აღსაყდრება).

უფლის სახე – ქანდაკება

უძველესი დროის ნახატები შემორჩა კლდეებსა და ლაბირინთული მღვიმის კედლებს (მაგ., ალტამირის მღვიმე ესპანეთში). ველური ხატავდა ცხოველებს, თევზებს, ფრინველებს, ნადირობის სცენებს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ფერწერა ან გრაფიკა როდია, არამედ – მაგიური მოქმედება.

მათ ათარიღებენ 25.000-30.000 წლით და უკავშირებენ ევროპელ კრომანიონელებს, ორინიაკის კულტურას.

ცხოველებსა და ფრინველებს გამოსახავდნენ ნატურალისტური სიზუსტით, ხოლო შიშველ ქალებს – სიმბოლური ფორმით, სქესის ნიშნებით ანუ გეომეტრიული აბსტრაქციებით. ხატავდნენ მეტწილად მარცხენა ხელით, ძნელად მისაწვდომ ადგილას.

წყალი იყო სპირალი, სამყარო – რომბი, ქალი – სამკუთხედი, ნაყოფიერების სიმბოლიკა.

მღვიმეების ფერწერამ ათასწლეულებს გაუძლო და ჩვენს დრომდე უცვლელად მოატანა: მღვიმეში მუდმივად ერთნაირი კლიმატი იდგა, რაც იცავდა ფერებსა და ხაზებს.

ხატავდნენ წითელი ჟანგმიწით, რაც იგივე სისხლი და ცეცხლი იყო და თვალს სჭრიდა ბინდ-ბუნდის ბინადართ.

ველურის თითები თითქოს თავისით მოძრაობდნენ და მიმსგავსებით ალაგებდნენ ხასხასა ფერებსა და ხაზებს, ზელდნენ თიხას და გამოჰყავდათ ნადირი თუ შიშველი ქალი – პალეოლითური ვენერა.

ალბათ აქედან მოდის რწმენა, რომ ღმერთმა პირველკაცი თიხისაგან მოზილა.

მღვიმეთა და კლდეთა მხატვრობა ყველგან ნათესაურ სურათებს იმეორებს.

ნადირის მოგერიება ან დაუფლება, მაგიური ხერხებით წარმატების გარანტირება იყო ველურთა გრაფიკის, ფერწერის თუ ქანდაკების მიზანი, როგორც ნადირის მოკვლისა და აღდგომის (გამრავლების) რიტუალის ნაწილი.

მაგრამ მღვიმის ბინადარს უნდა შესძლებოდა ფერების შერჩევა და შეზავება, ხვეული ხაზების გასწორება, ხილული ცხოველის კოპირება, ე.ი. აქ სხვა, უჩინარი უნარი მოქმედებდა და სურვილი არ კმაროდა.

მცირე მოცულობის ქანდაკებებს, როგორც ავგაროზებს, ისე ამზადებდნენ. მათი ტარება და შენახვა იოლი იყო.

ამზადებდნენ ქვის, ძვლისა და თიხისაგან.

მოგვიანებით სპილოს ძვალი ჰპოვებს დიდ გავრცელებას.

ქანდაკებებიც ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს გვიჩვენებს. მაგრამ შემოდის ადამიანთა ფიგურებიც, რომლებიც ტლანქია, ან მულტიპლიკაციურ ფილმთა პერსონაჟებს მოგვაგონებს.

ძირითადი ადგილი ქალს უკავია.

შემდეგ, როცა დაიწყო ღმერთების ანთროპომორფიზება, გამოსახავენ ცხოველ-კაცის, ფრინველ-კაცის სახით. ფიგურას აქვს ფრინ-

ველის ან ცხოველის ტანი და ადამიანის თავი, და პირიქით – ფრინ-ველის ან ცხოველის თავი და ადამიანის ტანი.

ეს არის ტოტემიდან ღმერთებისკენ გარდამავალი პერიოდი. ამ დროიდან მოდის ანტიკურობის დროს გავრცელებული კენტავრები, ხარ-კაცები, ლომ-კაცები. ზოგჯერ მათ ფრთებიც უჩნდებათ და ფან-ტასტიკურ არსებებად იქცევიან.

ღმერთის კერპად გამოსახვამ განავითარა ქანდაკების ხელოვნე-ბა.

თანდათან ქრება ფრინველ-ცხოველთა ნიშნები და ღმერთები ადამიანის სახის ქანდაკებებად გვეცხადებიან.

ქანდაკებები იღებდნენ არა მხოლოდ უფლის, არამედ – მეფეთა და გმირთა სახესაც. ჩვეულებრივ, მათ სხვადასხვა ფერად ღებავდ-ნენ.

ქანდაკებების სიუხვით გამოირჩეოდა ეგვიპტე, მესოპოტამია, საბერძნეთი, რომი, ინდოეთი.

ქანდაკებებს აკეთებდნენ ინდიელი ((მაგ., ულმეკები 3000 წლის წინათ), ავსტრალიელი და აფრიკული ტომებიც. მეტწილად მათ ავ-გაროზის მნიშვნელობით ამზადებდნენ და ამიტომაც მცირე მოცუ-ლობა ჰქონდათ.

ქანდაკებები იდგა ტაძრებში, სასახლეებში, გზების გასწვრივ, თეატრებსა და ამფითეატრებში, სტადიონებზე. სვეტიდან გამოსულ უფლისა თუ გმირის თავსა და მხრებს ეყრდნობოდა სასახლის ჭერი და სახურავი. მათი რელიეფებით იყო დაფარული კედლები, საბეჭ-დავები, აკლდამები, სტელები.

მაგ., ასურეთის მეფე სარგონ მეორის (ძვ. წ. 722-705) სასახლის თაღები ეყრდნობოდა ფრთოსანი ხარკაცების ხუთმეტრიან ქანდაკე-ბებს.

ღმერთებისა და მეფეების გვერდით ჩნდებიან ფასკუნჯები, სფინქსები, დაგრაგნილი გველები, ირმები და ლომები, ვირები და ცხენები, ნადირობის, ლაშქრობის, მსხვერპლშეწირვის სცენები, მო-

ცეკვავე ქალები: ქალი ავაზის ბოკვერით, ქალი – ავაზა ტახტზე, ლურჯი ფრინველი, მოცეკვავე ქონდრისკაცები, კაცი ირმის რქებით.

ერთგან ფრინველები კორტნიან თხის ლეშს, მეორეგან საქონელს კლავენ, მესამეგან გაქროლილი ეტლიდან ისარს ესვრიან მომხტარ ლომს.

ერთი მხრივ – ლარნაკებიდან, თასებიდან, დოქებიდან გადმოვიდნენ კომპოზიციები და რელიეფებად ან ქანდაკებებად იქცნენ, მეორე მხრივ – გაგრძელდა ეს ტრადიცია და მეტი სიზუსტე და ფერთა ელვარება შეიძინა.

შემოვიდა ახალი მასალა – ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, სპილოს ძვალი, დაიხვეწა ესთეტიკური გრძნობა, ფერისა და ხაზის აღქმა, საგნის პროპორციები.

მულტიპლიკაციური პირობითობა, მინიშნება მაგიაზე, შეცვალა რეალობამ – ღმერთი გამიწიერდა.

მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ღმერთების ქანდაკებები ქურუმებს უნდა ეკურთხებინათ, განებანათ, თვალები მოეხატათ, ღამეულ ცერემონიებში მაგიური აქტები ჩაეტარებინათ, რათა იგი ელვარე და მრისხანე ყოფილიყო.

ასე ჩაედგმოდა ქანდაკებას უზენაესის სული.

კერპებს თაყვანს შორიდან სცემდნენ, მეფენიც კი.

ზოგ ტაძარში რიგით მოქალაქეს არც უშვებდნენ.

ქანდაკებებს ადგილს უცვლიდნენ, გამოჰქონდათ ტაძრის გარეთ, მონაწილეობდნენ პროცესიებში. ზოგი მათგანი სანადიროდაც კი მიდიოდა (მაგ., ასურული ნაბუ).

უფლის სიტყვა – ანბანი

სიტყვას მაგიური, დამთრგუნველი თუ ზეაღმტაცი ძალა დღემდე შერჩა, რადგან იგი არის ხმასა და ნიშნებში ფიქსირებული ფსიქი-

კა. უძველესი დროიდან კი უფლის ბაგეს უკავშირდებოდა, მეტი იდუმალება ჰქონდა.

ამიტომ ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ქადაგებასა და აღსარებას, ლოცვას, დალოცვას, შელოცვას, გამოლოცვას, წყევლასა და შეჩვენებას, მიმართვასა და ბრძანებას, სიტყვის დაცვასა და აღსრულებას.

ყოველი შეთანხმება ფიცით იყო განმტკიცებული. ფიცის გამტეხი უნდა შესწირვოდა იმ ღმერთს, რომელსაც მან შეჰფიცა (შდრ – რუსთაველი: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“).

კეთილი სიტყვა ადამიანს კურნავდა, ავი სიტყვა კი აავადებდა.

განგების ნება მეფისა, წინასწარმეტყველისა და ქურუმის სიტყვაში ცხადდებოდა, რაც ბრძანებად გადაეცემოდა ხალხს და დისციპლინას ნერგავდა. მაგ., მოსეს უფალი ჰკარნახობდა; მუჰამედი ზეციური ანგელოსის ჯიბრაელის ნათქვამს იმეორებდა, რომელიც გადმოსცემდა ალაჰის გამოცხადებას.

ზეპირ ნათქვამს სიცოცხლეს უნახავდა დაწერილი სიტყვა, რაც აიოლებდა მის გავრცელებას. მაგრამ ძველ დროში, როცა ცოტა იყო წერა-კითხვის მცოდნე და არც ქაღალდი არსებობდა, არც ტირაჟირება ხდებოდა, უფრო ეფექტური იყო ზეპირი სიტყვა, რაც სრულად ვლინდებოდა ორატორის მეტყველებაში.

ზეპირად წარმოითქმოდა ლექსი და პოემაც (მაგ., „ილიადა“).

სიტყვაზე იყო დაფუძნებული მითოსი, რომელიც ზეპირი გზით ფოლკლორულ ვარიაციებს ქმნიდა, წერილობით კი – ლიტერატურას.

ლიტერატურის გამოხატვისა და ფიქსირების საფუძველი არის ანბანი. მხატვრულმა სიტყვამ დღევანდელი გაგების ჟანრები ჩამოაყალიბა საბერძნეთში – ეპოსი (მაგ., ჰომეროსი და ჰესიოდე), ტრაგედია (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე), კომედია (მენანდრე, არისტოფანე), ლირიკა (ქორიკა და მელიკა: ჰიმნები, ელეგიები, დითი-

რამზები), შეიქმნა ესთეტიკური აღქმის, ჟანრთა და სტილთა თეორია (არისტოტელეს „პოეტიკა“), ბერძნული ლექსის სახე – ჰეგზამეტრი.

პოეზია გამოვიდა ექსტაზური სიტყვათნაკადისა და კაცთშეწირვის ბნელი წიაღიდან, როკვის რიტმიდან, საბრძოლო და ვედრება-დიდების რეფრენებიდან, რაც ახლდა ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალებს, პროცესიებსა და მისტერიებს, როგორც ძრწოლა და აღმაფრენა, ზეიმი და გლოვა.

სამყაროს შეცნობის წყურვილმა კი ფილოსოფია წარმოშვა, რამაც განსაკუთრებულ წარმატებას ძველ საბერძნეთში მიაღწია (მაგ., პლატონი და არისტოტელე).

ანბანიც ქურუმთა წიაღში ჩაისახა, როგორც ღმერთების ნობათი (შდრ – მოსემ პირველად სინაის მთაზე ჩაიწერა ღმერთის სიტყვა) და მათი საიდუმლო იყო.

ქურუმებს სჭირდებოდათ ღმერთების, რიტუალების, მითების ფიქსირება, კორექტირება, შენახვა და გავრცელება, მაგრამ მეფეთა ხელში იქცა ინფორმაციის შეგროვების ეფექტურ საშუალებადაც, რათა ღმერთებისათვის ანგარიში წარედგინათ.

ეს ინფორმაცია ეხებოდა ღმერთებს, კანონებს, ქვეყნის მდგომარეობას, საკუთარ ძლევამოსილებას, მტერთა ძლევას.

თავდაპირველად წარმოიქმნა პიქტოგრაფიული (ხატოვანი) დამწერლობა, როცა საგანი ან მოქმედება ნახატების თანმიმდევრობით გადმოიცემოდა (ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან).

აქედან ეგვიპტელებმა და ჩინელებმა იეროგლიფები გამოიყვანეს. ისინი გადმოსცემდნენ ცალკეულ მარცვლებსა და სიტყვებს (ბერძნ. hieros - საღვთო).

სამხრეთ ამერიკის ინდიელებმაც, ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში, გამოსახეს ათასობით ნახატი და პიქტოგრამა, ირმის ნახტომი და ორიონის თანავარსკვლავედი (ბრაზილიის ინგას ქვები, საერთო ფართობი 250 კვ/მ, სიმაღლე – 3,8; სიგრძე – 46 მ).

ეგვიპტელები იყენებდნენ 700-მდე, ჩინელები – 50 ათასამდე იეროგლიფს, რომელთა რიცხვი თანდათან 6-7 ათასამდე დაიყვანეს.

შუმერსა (შუმერები სემიტები არ ყოფილან) და კრეტა-მიკენში მარცვლოვანი დამწერლობა განვითარდა, რაც აითვისეს ბაბილონელებმა და ასურელებმა.

ძვ. წ. XII საუკუნეში ფინიკიელებმა შექმნეს პირველი ანბანი – ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც 22 ნიშნისაგან შედგებოდა. ისინი მხოლოდ თანხმოვნებს აღნიშნავდნენ. წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც ეს არის მიღებული დღევანდელ არაბულში (თავიდან ასევე წერდნენ ბერძნები).

მეფეებსა და ქურუმებს სპეციალური გადამწერები ჰყავდათ. მათ ლურსმული ნიშნები თიხის სველ და რბილ ფირფიტაზე გამოჰყავდათ. შემდეგ ფირფიტებს გამოწვავდნენ ან მზეზე გამოაშრობდნენ.

როცა ფირფიტებს ატანდნენ სახლის ფუნდამენტში, მათ ქვისა ან ლითონისაგან ამზადებდნენ. ფირფიტები ინომრებოდა.

მათ ჩვენამდე უფრო იოლად მოაღწიეს, ვიდრე პაპირუსმა და პერგამენტმა, ან ხის დაფებმა (მაგ., შემორჩა 100.000-ზე მეტი შუმერული ფირფიტა).

ფინიკიურის საფუძველზე ძვ. წ. IX საუკუნეში ჩნდება ბერძნული ანბანი. იქ ფინიკიური ანბანი კადმოსმა შეიტანა. ამის გამო დელფოში სამისნო აუგეს. ბერძნებმა შეინარჩუნეს ფინიკიური ანბანთრიგი და ხმოვნები დაურთეს.

ბერძნულისაგან, ეტრუსკულის გავლენით, წარმოიშვა ლათინური ანბანი, რომლისგანაც მთელს ევროპაში გავრცელდა.

ინდური დამწერლობის უძველესი ძეგლები განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულს, მაგრამ მათი წაკითხვა ვერ მოხერხდა.

ინდური ანბანი – ბრაჰმი მოდის სემიტური დამწერლობიდან, ათარიღებენ ძვ. წ. VI საუკუნით.

ანბანის მსგავსი პირობითი ნიშნები ჰქონდათ ინდიელებს.

ქართული ანბანის საფუძველია ბერძნული დამწერლობა. იგი შეიქმნა ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, V საუკუნოს დასაწყის-

ში როგორც მღვდელმსახურების აუცილებელი საშუალება (კ. კეკელიძე, თ. გამყრელიძე).

ქართული „წერა“ უკავშირდება წვეტიანი იარაღით მიწის დამუშავებას (კავწერა), ე. ი. სიტყვის ქვაზე ამოკვეთას (შდრ – „ეწერი“ – მომწვარი, დაუმუშავებელი მიწა).

მსოფლიოში სულ 14 ძირითადი ანბანია და მათ შორის არის ქართული, რომელსაც სამი განსხვავებული გრაფიკა აქვს (მრგვლოვანი, კუთხოვანი, მხედრული).

ეგვიპტური იეროგლიფური და შუამდინარული ლურსმული დამწერლობა მრავალი საუკუნის მანძილზე კაცობრიობისათვის უცნობი იყო. მხოლოდ ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობის შემდეგ აღმოაჩინეს ეს იდუმალი სამყარო და გაშიფრეს უძველესი ნაწერები (იეროგლიფები – ფრანგმა შამპოლიონმა, ლურსმული დამწერლობა – გერმანელმა გროტეფენდმა), რომლებიც აღბეჭდილი იყო თიხის ფირფიტებზე, კლდეებზე, კედლებზე, პაპირუსებზე, სამარხებზე, ლარნაკებზე, სტელებზე და ა.შ.

მოგვიანებით აღმოჩნდა ხეთური სამყარო: გერმანელმა არქეოლოგმა ვინკლერმა იპოვა უამრავი ლურსმული ფირფიტა. ხოლო ჩეხმა ჰროზნიმ ამოხსნა ისინი.

კულტურა და ისტორია შემოინახა დაწერილმა სიტყვამ, რომელიც კაცობრიობის კოდური მეხსიერებაა. იგი გახდა აზროვნების, ცოდნის დაგროვების, გადაცემისა და გავრცელების გადამწყვეტი ფაქტორი (მაგ. ასურეთის მეფემ ასურბანიპალმა ძვ. წ. VII საუკუნეში შექმნა ბიბლიოთეკა, რომელიც ინახავდა თიხის 30.000 ფირფიტას. ასევე დიდი ბიბლიოთეკა არსებობდა ალექსანდრიაში, რომელიც კლეოპატრასა და ოქტავიანეს ბრძოლის დროს განადგურდა).

ანბანის შემქმნელები წმინდანებად არიან შერაცხული (მაგ; გერმანელი ულფილა, სომეხი მესროპ მაშტოცი, სლავურისა – კირილე და მეთოდე).

წერა-კითხვას მხოლოდ ქურუმები ფლობდნენ. ამიტომ დაწერილი სიტყვა და მისი გახმიანება ანუ უფლის ნების გაცხადება სასწაულს უდრიდა.

დამწერლობის შექმნას ქურუმები ღმერთებს მიაწერდნენ. მაგ: ეგვიპტელები – ტოტს, ბაბილონელები – ნაბუს, ბერძნები – ჰერმესს, ინდოელები – სარასვატის. ამიტომ ასოთა გრაფიკას ბუნდოვნების სამოსელში ახვევდნენ, ანიჭებდნენ საკრალურ მნიშვნელობას, უკავშირებდნენ რიცხვთა მისტიკას.

მაგ., ებრაული ანბანის პირველი ასო ალეფ აღნიშნავდა ხარს, ჰქონდა რიცხვითი ნიშანი 1, ფიზიკურად შეესაბამებოდა სუნთქვას, ზოდიაქალურად – მზეს, სიმბოლურად – ძალას, ფერად იყო ბაცი ყვითელი, მიმართული იყო ზევიდან ქვევით და ა.შ. (Мифы народов мира, ტ. II, М. 1992).

დღეთა სახელები ჩამოყალიბდა რომში (ძვ. წ. 47 წ. ასტრონომ სოზიგენის მიერ და იულიუსის კალენდარი ეწოდება).

მანამდე მოქმედებდა მთვარის კალენდარი.

ყოველი დღის სახელი შეესაბამებოდა ასტრალურ ღვთაებას: მაგ.: ორშაბათი – მთვარეს, სამშაბათი – მარსს, პარასკევი – ვენერას, შაბათი – სატურნს, კვირა – მზეს.

კვირეულის ამგვარი სახელები შეინარჩუნეს გერმანულმა, ფრანგულმა და ინგლისურმა ენებმა. იგი შემოინახა არასამწერლო ქართულმა ენებმაც (მაგ., მეგრულში – ჟაშხა – მზის დღე – კვირა, თუთაშხა – მთვარის დღე – ორშაბათი, ცაშხა – ცის დღე – ხუთშაბათი).

ასევე რომაული ღმერთების სახელი დაერქვა თვეებს (მაგ., იანვარი შეესაბამება ღმერთ იანუსს, მარტი – მარსს, მაისი – მაიუსს, ივნისი – იუნონას), აგრეთვე გაღმერთებული მმართველებისა (მაგ., იულიუს კეისრის პატივსაცემად – ივლისი, ავგუსტუსის პატივსაცემად – აგვისტო).

სიტყვის მაგიურ მნიშვნელობას დაერთო მისი მაგიური გამოსახვაც, რომელიც შესაბამის აზრებს გადმოსცემდა.

როგორც ვხედავთ, ღმერთების წიაღიდან მოდიოდა კულტურა და ხელოვნება, მაგრამ თავად ღმერთების პანთეონიც ფანტაზირებისა და აზროვნების ნაყოფი იყო, ფსიქიკურ სწრაფვათა წარმოსახვა.

ასკეზი – ღმერთისადმი თვითშეწირვა

ქრისტიანობამ უარყო წარმართთა და მათ ქურუმთა ღმერთმსახურების სისხლიანი რიტუალები, ზოგიც გარდასახა, ახალი ფორმა მიანიჭა; შეცვალა ცხოვრების წესიც, გული გონს დაუმორჩილა, რათა სული სრულქმნილიყო.

სამღვდელო პირებს პირველ საუკუნეებში დემოკრატიული წესით ირჩევდნენ. ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული მკაცრი დოგმები და იერარქია (მაგ., რომის ეკლესიის მეთაურმა პაპის წოდება ოფიციალურად მიიღო მხოლოდ XV საუკუნეში. ეს სიტყვა უხუცესს, წინაპარს ნიშნავს და თავდაპირველად ყველა მღვდელს მიემართებოდა), არც ქორწინება ეკრძალებოდათ. მხოლოდ IV საუკუნიდან ვრცელდება ბერ-მონაზვნური ცხოვრება (ქართლში – VI საუკუნიდან, დაამკვიდრეს ე.წ. ასურელმა მამებმა), რაც სექსის აკრძალვას გულისხმობს.

ეს იგივე სიმბოლური სიკვდილი იყო: აღკვეცილი სახლსა და ახლობლებს ტოვებდა, ღებულობდა ახალ საცხოვრისს – მონასტერს, ახალ – შავ ტანსაცმელს, ახალ სახელს. ერთი აპოკრიფი მათ „დაუმარხავ მკვდრებს“ უწოდებს, ნიცშე – „არშემდგარ ადამიანებს“.

დაქორწინება სავალდებულო იყო ათენში, სპარტაში, რომში. მაგრამ პლატონის დროიდან ჩნდება თავშეკავების იდეა, რასაც ხსნიან სპარსული სამყაროსა და ჰომოსექსუალური წესის გავლენით. მეორე მხრივ კი, როგორც ვთქვით, არსებობდა გარკვეულ პერიოდებში (მაგ; ნადირობის წინ) ქალთან ურთიერთობის აკრძალვის,

ცალკეულ ღვთაებათა მიერ ქურუმებისათვის სექსისაგან თავშეკავების ტრადიცია.

ქრისტიანობამ მრევლს მკაცრი კონტროლი დაუწესა კვების რაციონისა და გრაფიკის მიმართაც, რაც გამოიხატა ხორცის მოხმარების რეგლამენტირებით, მარხვითა და ხსნილით.

სისხლის იდეას შეენაცვლა სულის იდეა, მზადება ღვთისა და კაცთა მსახურებით მარადიული სასუფეველის მოსაპოვებლად.

ნეტარად მიიჩნეოდა ის, ვინც თავი გამოისაჭურისა.

ქურუმები ბრწყინვალედ მორთულ ტაძრებში ცხოვრობდნენ და ასრულებდნენ ღმერთმსახურებას, ატარებდნენ მდიდრულ ნადიმებს, ეცვათ ძვირფასი სამოსელი.

ქრისტიანი ბერები კი ღარიბულად ცხოვრობდნენ, სხეულს უფარავდათ შავი ჯვალო, ცუდად იკვებებოდნენ. ადრეულ ტაძრებს, ეკლესია-მონასტრებს არც ფრესკები და ხატები ამკობდა, არც ოქრო და ვერცხლი.

ხორცისა და ვნებათა დათრგუნვით სულს უნდა ეზეიმა, რადგან გნოსტიკოსების მსგავსად სხეული სულის საფლავად მიაჩნდათ.

უკიდურესი ფორმები იყო განდეგილობა, მესვეტეობა (დიდ-ხანს დგომა ქვაზე), დუმილის აღთქმა (შდრ – ლაო-ძი: „კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს: სიმარტოვეში უნდა უკუდგეს“).

ასკეზისადმი მიმართებით მართლმადიდებლური ქრისტიანობა განიყო შავ და თეთრ სამღვდელოებად. ეკლესიას წარმართავს შავი სამღვდელოების (ბერ-მონაზვნური) იერარქია (პატრიარქი, მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი).

ყველა დროში ღმერთი მსხვერპლს მოითხოვდა. მაგ., მაიას ტომთა აზრით, ღმერთმა ადამიანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება მისცა. ადამიანმა კი მას უნდა მისცეს თავისი სისხლი და ენერგია.

ფორმები იცვლებოდა, არსი იგივე რჩებოდა.

3. წამებული ღმერთი – კაცთა მხსნელი

უძველესი დროის ადამიანი მცირე ხანს ცოცხლობდა, მაგრამ თავის ცხოვრებას უსასრულო დროსთან აიგივებდა, რომელიც მდორედ მიედინებოდა. ამიტომ სიცოცხლეს საიქიოშიც აგრძელებდა (შდრ – გარდაცვალება, ქრისტიანული მიძინება). დროის აღქმა არ მთავრდებოდა, არც წყვეტილი და არც დანაწევრებული არ იყო, თითქოს გარშემო არაფერი იცვლებოდა.

ადამიანი ცხოვრობდა ნადირის ინსტინქტებითა და ჩვევებით. იგი ცხოველთა სამყაროს ნაწილი იყო, არა დაპირისპირებული მტრული ძალა.

ბრტყელი დედამიწა იქ მთავრდებოდა, სადაც მზერას ანუ მზეს მთა ან ზღვა კეტავდა (შდრ – ქართული ზღვარი, საზღვარი). ხოლო ციური მნათობები, რომლებიც ყოველდღიურად ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, თითქოს ახლოს იყვნენ.

ისინი მარადიული ციდან ხან სითბოსა და შუქს აგზავნიდნენ, ხანაც – მეხსა და სეტყვას. ამიტომ მთავარღმერთები ყველგან იყვნენ ზეცა, მზე და მთვარე.

სიკვდილი და საიქიო

ადამმა იცოცხლა 930, შეთმა – 912, ენოშმა – 905, კაინანმა – 910, ხუან-დიმ – 300 წელი, ხოლო შუმერის მეფეებმა – ასეულ ათასობით წელი – სიცოცხლე მარადისობასთან იყო გაიგივებული.

ველურისათვის სიკვდილი იყო მხოლოდ ძალადობის ან ტაბუს დარღვევის შედეგი ძალადობის მიზეზი კი იყო არა მკვლელი, არამედ – მაგი და ჯადოქარი, რომელმაც სულთა მეშვეობით აამოქმედა მტერი.

სიკვდილი ნორმალური ცხოვრების განზრახულ დარღვევად მიაჩნდათ. თორემ იგი სხვაგვარადაც მოვიდოდა.

ერთი მხრივ არსებობდა შიში მკვდრებისადმი, მეორე მხრივ – ახლოს ინახავდნენ, რათა კოლექტივის მთლიანობა დაეცვათ;

ერთი მხრივ პატივს მიაგებდნენ (მაგ., ბერძნები და რომაელები; ეგვიპტელები ყოველ მიცვალებულს ოსირისს უწოდებდნენ), მეორე მხრივ – უფრთხოდნენ, რადგან ისინი საფლავიდან ამოდიოდნენ და ავრცელებდნენ შიშს, სნეულებასა და სიკვდილს.

მაგრამ თავდაპირველად ეს არა პატივისცემის, არამედ – ტაბუირების გამო ხდებოდა.

ველურისათვის სულთა სამყოფელი მიწაა. შემდეგ იგი გადავიდა მიწისქვეშეთში. მიწა კი წარმოედგინათ არა როგორც მრგვალი ბურთი, არამედ როგორც ბრტყელი სივრცე.

ბოლოს მიწისქვეშეთი დაეთმო ჯოჯოხეთს, ზეცა – სამოთხეს.

საიქიო სააქაოს კოპირება იყო, სადაც ნადირობდნენ, ცოლი ჰყავდათ და ზოგჯერ შვილებიც უჩნდებოდათ (მაგ. ისიდას ჰორი ჩაესახა მკვდარი ოსირისისაგან), ჰქონდათ დასახლებები. ამიტომ აყოლებდნენ მიცვალებულს ცოლს, მსახურებს, ცხენს, იარაღს, პირად ნივთებს, რადგან ესენი იქაც დასჭირდებოდა.

ზოგჯერ მიცვალებული ცხოველად ან ფრინველად იქცეოდა, ტოვებდა თავის სამყოფელს და ცოცხალთა საფარს უბრუნდებოდა.

ბერძნულ ჰადესში სულებს სისხლი სწყურიათ, გერმანულ-სკანდინავიურ ვალჰალაში კი ერთმანეთს ხოცავენ.

როცა აქ მზეა, იქ ღამეა; აქ ზაფხულია, იქ – ზამთარი; აქ მზეა, იქ წვიმს; მათი იქაური საჭმელი აქ შხამია.

უძველეს დროში არ არსებობს სულისა და სხეულის განყოფა. მიცვალებული გადადის სხვა ქვეყანაში და იქ აგრძელებს ცხოვრებას, ახლობელთაგან დამოუკიდებლად.

მას სამგლოვიარო რიტუალს უწყობენ და ასე ეთხოვებიან.

ეგვიპტელი ფარაონები გრანდიოზულ პირამიდებს აგებდნენ, რაც მათი მუმირებული სხეულის მუდმივი სამყოფელი უნდა ყოფი-

ლიყო. მუმირება სხეულის გაუკვდავებას ნიშნავდა. ასევე იქცეოდნენ პერუელი ინდიელები.

კრეტა-მიკენში (ძვ. წ. II ათასწლეული) ქვის ფილებისაგან აგებდნენ 10-12 მეტრი სიმაღლის გუმბათოვან აკლდამებს.

გვინეელი ზანგები ახლობელთა ძვლებს ყუთში ინახავდნენ და ზოგჯერ განმარტოებული ესაუბრებოდნენ.

კარაიბებს ეგონათ, რომ გარდაცვლილის სული ამ ძვლებში ბინადრობდა. ამიტომ მათ უვლიდნენ, ქსოვილში ახვევდნენ და ასე ინახავდნენ, როგორც ფეტიშსა და ავგაროზს (შდრ – ქრისტიან მარტვილთა სხეულის წმინდა ნაწილები).

ჩინელების წარმოდგენით, სულის ერთი მესამედი ამ ქვეყანაზე რჩებოდა და თუ კაცი შორეთში მოკვდებოდა, მისი სული მამლით უნდა ჩამოეყვანათ (შდრ – მსგავსი რწმენა სვანებში).

ავსტრალიელი მოკლულს მარჯვენა ცერა თითს აჭრიდა, რათა მტრის სულს მშვილდის სროლა არ შესძლებოდა და შური ვერ ეძია (შდრ – მარჯვენის მოკვეთის ტრადიცია ხევსურებში, ვაჟა-ფშაველას პოეზიაში). ესკიმოსები მოხუცებულს აისბერგზე სვამდნენ და ასე უშვებდნენ საიქიოში.

ჩინელები განსაკუთრებით უფრთხოდნენ თავის მოკვეთას, რადგან მოკლულს იმქვეყნად უთავოდ უნდა ევლო.

მარადიულ სასუფეველში გადასვლის წინ სულს მრავალი ბარიერი ეღობებოდა. უნდა გაევლო მდინარე, მთები, უფსკრული, ცეცხლოვანი ტბა, ცეცხლის ხიდი.

ამ ძნელ გზაზე მას შველოდნენ ცხენი, ძაღლი, მსახურები, ფული, ნავი. მაგ. ბერძნულ აქერონზე მენავე ქარონს ობოლოსის ფასად გადაჰყავდა მიცვალებული; საფრანგეთსა და გერმანიაში მეომრის ცხენს კლავდნენ და საფლავში ატანდნენ; არაბები აქლემს აყოლებდნენ, ესკიმოსები – ძაღლის თავს, ჩრდილო ამერიკის ინდიელები – ჩიბუხსა და თამბაქოს ან კომბალს, ინდუსები – შავ ძროხას, ხოლო ბელადებსა და მეფეებს – ცოლებს, მონებს, მსახურებს, პირად ნივთებს.

საიქიოს კართან კი ყარაულად იდგა ურჩხული (მაგ. ცერბერი), რომელიც უშვებდა მხოლოდ მას, ვინც სააქაოში წესებს იცავდა და მიჰქონდა მსხვერპლშეწირვის ხორცი (შდრ – დღევანდელი ქელეხი).

ვინც ასე არ მოიქცეოდა, საბოლოო სიკვდილი ელოდა ან მუდმივი ხეტიალი. თვით სიტყვა „ნავიც“ ინდოევროპელებთან სიკვდილს ნიშნავს. ბერძნულ მითოსში სიკვდილს თანატოსი განასახიერებდა. ხოლო საიქიოს განაგებდნენ ცოლ-ქმარი ჰადესი და პერსეფონე. ადესი მდიდარი და სტუმართმოყვარე იყო. შუმერულ-აქადურში მათ შეესაბამებოდა ცოლ-ქმარი ნერგალი და ერეშქიგალი.

ეგვიპტურ მითოსში მკვდართა საუფლოს მთავარი ჯერ ტურისთავა ანუბისი იყო, შემდეგ – ოსირისი, ძმისაგან განწირული.

როგორც სულები ამოდიან საიქიოდან, ისე ცოცხალსაც შეეძლო ქვესკნელში ჩასვლა (მაგ. გილგამეში, ორფეოსი, ოდისევსი, იშთარი, ენეასი; ასევე ხდება ფინურ, იაპონურ, აფრიკულ, ჩრდილოამერიკელ ინდიელთა მითებში). მაგრამ ეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა და აუცილებელი იყო ეტიკეტის ზუსტი დაცვა, რაც ვერ შეძლო ორფეოსმა.

იქ მკრთალად ანათებს მზე, არ არის სინანული და ბინდში მოძრაობენ უგრძნობი სულები. გარშემო მხოლოდ მოწყენა სუფევს. ფეხმარდ აქილევსსაც კი ფერი დაჰკარგვია.

ფინურ ტუონელში ანათებს მზე, არის წყალი და მდელო, ცხოველები და მცენარეები, მაგრამ ყველაფერი საზარელია: წყალი შავია, ტყე – ბნელი, ხორბლის ნაცვლად გველის კბილები ამოდის. ხოლო მკვდრები რომ არ გაიქცნენ, მათ სდარაჯობს სასტიკი ტუონი. ასეთივეა ებრაელების შეოლი და ბაბილონური ირკალა – მღვიმე და ქვესკნელი.

ხეთებისათვის საიქიო uellu (შდრ - ქართ. ველი) არის მკვდართა მდელო და საძოვარი.

ინდუსების რაიათი, ზეციური სამოთხე, სავსეა ჭაბუკებითა და ქალიშვილებით, ჰყვავიან ვარდები, იმართება მდიდრული დღესასწაულები, მაგრამ იქ ბინადრობენ მხოლოდ ბელადები და ქურუმები.

იქ მბრძანებლობს სიკვდილის ღმერთი იამა.

ძველი გერმანული ტომებისათვის შინ სიკვდილი დიდი სირცხვილი იყო, რადგან ასეთ მიცვალებულს მარადი ტანჯვა ელოდა იმქვეყნად. ამიტომ არსებობდა „წინაპართა კლდე“, სადაც ცვიოდნენ და თავს იკლავდნენ მოხუცები.

ნიკარაგუელი ინდიელების წარმოდგენით, სახლში გარდაცვლილები ქვესკნელში ცვივიან, ხოლო ომში დაცემულები – მზის მხარისაკენ მიემართებიან (შდრ – შანდორ პეტეფი: „მე ერთი ფიქრი მაწუხებს მარად, ვაითუ მოვკვდე ლოგინში წყნარად“).

ვაჟა-ფშაველას შავეთი წყალგაღმაა. იგი ცხენით უნდა გადალახო. თუ წაგექცა, კუპრის ზღვა წაგიღებს.

ჩრდილოამერიკელთა რწმენითაც, სააქაოსა და საიქიოს შორის ჩამოდის მდინარე, როგორც ბერძნული აქერონი, რომელიც უნდა გადაცუროს მიცვალებულის სულმა, რათა იმქვეყნად გადავიდეს.

მთელს მსოფლიოში გავრცელებულ ამგვარ წარმოდგენას მზის ჩასვლისა და ამოსვლის ალეგორიად მიიჩნევენ.

ასეთივე სიკვდილის მდინარეა ხუბური მესოპოტამიურში, სან-ზუ – სინტოიზმში.

მუსულმანური სამოთხე ძვირფასი ქვებითა და მეტალით არის შემკობილი, სადაც ცხოვრობენ წმინდანები და შავთვალა ქალწული ჰურიები, ჰყვავიან ლოტოსები და ბანანები. ყველა მათგანი ფიზიკურად და სულიერად უნაკლოა. ყველა მათგანს აქვს ერთი ასაკი – 33 წელი.

გერმანული ვალჰალა ცეცხლის ნაცვლად ხმალთა ელვითაა განათებული. იქ, ზეცაში, მამაც მეომრებს ვალკირიები ემსახურებიან, იქ ცხოვრობს ღმერთი ოდინი (ვოტანი).

ვალკირია არის ქალწული, რომელიც ირჩევს დაღუპულ გმირს და მას მიჰყვება ოდინთან – მკვდართა ქვეყანაში, ვალჰალაში – მკვდარი მეომრების სახლში.

შუამდინარელთა რწმენით იმქვეყნად თიხით იკვებებიან. ხოლო ომში დაღუპული ვაჟკაცი საწოლზე წევს, ახლობლები ახვევია, სვამს გრილსა და ანკარა წყალს.

ბრძოლის ველზე დაცემული მეომარი სხვა ქვეყანაში ტკბება მარადიული ნეტარებით, – ამბობს „ბჰარაბჰარატა“ (შდრ: რუსთაველი – „ვინაც მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცად რბიან“).

მეომარი ხალხები საიქიოს მიმზიდველ სამყაროდ წარმოსახავენ, სადაც შესვლა ღირსებად მიაჩნიათ. ხოლო პესიმისტი და მჭვრეტელი (მაგ., ელინელი) იქ სევდასა და მოწყენას ხედავს.

ქრისტანულმა მითოსმა საიქიო გაჰყო სამოთხედ და ჯოჯოხეთად (კათოლიკეები უმატებენ განსაწმენდელს), სადაც მიცვალებულის ადგილი განისაზღვრება არა ქონებით ან აქაური სოციალური სტატუსით, არამედ – უფლისადმი მსახურებით, ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული გარჯით, ზნეობის დაცვით.

სამოთხე არის ზეციური ქალაქი-ბაღი. ხოლო ჯოჯოხეთი – ქვესკნელი, ადამიანთა მუდმივი საწამებელი, სადაც მბრძანებლობს სატანა.

ქრისტიანული თეოლოგიის საიქიოს სტრუქტურა დაედო საფუძვლად დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიას“, რომელშიც წარმართი ვირგილიუსი მიუძღვის ქრისტიან პოეტს სულთა საუფლოში.

საიქიო უბნებად იყო დაყოფილი, როგორც თანამედროვე ქალაქი. ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ მოკლულები, დამხრჩვალები, ბავშვები, მოხუცები. ბრძოლაში დაცემულებს გერმანელები და აცტეკები სამოთხეში ათავსებდნენ. ხოლო აფრიკელები და ინდონეზიელები მავნეებად მიიჩნევდნენ.

სოციალური იერარქია იქაც იყო გადატანილი: ბელადები და მეფეები, ქურუმები, ფარაონები და არისტოკრატები მზიან მხარეში დადიოდნენ. მათი მდგომარეობა იქაც უცვლელი იყო. კარგი მონადირე და მამაცი მეომარი ასევე პატივით იყო მოსილი, ხოლო მხდალი, მკვლელი, ტყვე ან მდაბიო – ბნელში რჩებოდა.

რკინის ეპოქაშიც კი მკვეთრად არ იყო გამიჯნული სააქაო და მიცვალებულთა სამყოფელი. ამიტომ აგებდნენ მავზოლეუმებს, კატაკომბებს (მაგ., რომსა და ალექსანდრიაში): მიწისქვეშეთში გაჰყავდათ დერეფნები, რომელთა გარშემო გამოჭრილ ოთახებში ათავსებდნენ მიცვალებულს.

იქ ჩასვლა და მკვდართა ნახვა ყოველთვის შეიძლებოდა. ზოგჯერ ეგვიპტელებს სახლშიც კი მიჰქონდათ ახლობლის მუმია, რათა ერთად ეზეიმათ. საიქიოს სამსჯავროც ჰქონდა: იქ ცოდვა-მადლი იწონებოდა, რათა გაერკვიათ თუ ვინ იყო ღმერთების ერთგული, მისტერიების მონაწილე, ვინ – მკრეხელი, ცრუ და მოღალატე, ვინ განვლო ინიციაციების საფეხურები. მსაჯული არავის აჯილდოებდა, შურსაც არავისზე იძიებდა.

აი, როგორი აღსარება უნდა ეთქვა ოსირისისა და 42 მსაჯულის წინაშე ეგვიპტელი მიცვალებულის სულს ამენტში:

„ო, მეუფენო სამართლისა!

მომეცით ნება, გაგაცნოთ ჩემი ცოდვები. მე ბოროტებას არ ჩავ - დიოდი. მე სამსჯავროსთვის სიცრუე არ მითქვამს. მე სიავეს არ ვა - კეთებდი. მე მიწის მუშაკს ზომაზე მეტად არ ვამუშავებდი. მე მონას ბატონთან არ ვაბეზღებდი. მე არავინ მომიკლავს. მე არავინ მო - მიტყუებია. მე ჩემს ქვეყანაში საწყაოს არ ვაყალბებდი. მე ღმერთების გამოსახულებებს შეურაცხყოფას არ ვაყენებდი. მე მიცვალებულის სუდარა არ მომიხევია. მე არ მიმრუშია. მე ჩვილის ბაგისთვის რძე არ მომისხლიტავს. მე საძოვრებზე არ ვნადირობდი. მე წმინდა ფრინვე - ლები ბუდიდან არ ამომიყრია.

მე სუფთა ვარ! მე სუფთა ვარ! მე სუფთა ვარ“ (შდრ – ბიბლიური ათი მცნება)! ამის შემდეგ წონიდნენ განსასჯელის გულს.

ქრისტიანული განკითხვის ჟამი უკავშირდება სამყაროს აპოკალიფსურ დასასრულს. იგი გაიმართება ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს, როცა ანგელოსები დასცემენ ბუკს, მიცვალებულები აღსდგებიან და აიწონება მათი ცოდვა-მადლი: ზოგს მარადი ნეტარება ელის, ზოგს – მარადი ურვა.

ადამიანი ვერ ეგუებოდა გაქრობას, არყოფნას. მოფიქრალი არსება წარმოსახვით განავრცობდა სააქაოს, რომლის გაგრძელებად, სახეცვლად მიიჩნევდა მკვდართა საუფლოს. ქმნიდა სულის უკვდავებისა და ტრანსფორმაციის, ცოდვა-მადლის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის მითებს, რათა ბედნიერს არც იმქვეყნად მოჰკლებოდა სიკეთე, ხოლო ტანჯულს – საიქიოში მაინც რგებოდა სიხარული. ასეთი ფიქრი და რწმენა სულს ურვასა და შფოთვას განაშორებდა.

ადამიანი ხედავდა, რომ ქვეყნად ყველაფერი იცვლებოდა და ამასთან ერთად არც არაფერი იცვლებოდა, ე. ი. საწუთრო ბრუნავდა და თავისთავს იმეორებდა. სულიც მოგზაურობდა და სახეს იცვლიდა, არსი კი იგივე რჩებოდა, რაც გაიგივებული ჰქონდათ საკუთარ მარადიულ არსებობასთან, ვიდრე გილგამეში არ შეიტანდა მტანჯველ ეჭვს და არ დაარღვევდა ჰარმონიას, ვიდრე ადამიანს არ შესძრავდა სიკვდილის შიში და საიქიოს „მოუსავლეთს“ არ დაარქმევდა.

ისტორიულ დროში გაჩნდა ბზარი – ადამიანი მოკვდავი გახდა. მაგ., ძვ. ინდურსა და ავესტაში ადამიანსა და მოკვდავს ერთი ძირი აქვთ. ხეთურში კი ადამიანსა და მოკვდავს ერთი სიტყვით აღნიშნავდნენ – danduri (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

სულთა მიგრაცია

სიკვდილს, საიქიოსა და სიცოცხლის განახლებას უკავშირდება რწმენა სულთა მიგრაციაზე, მუდმივ მოძრაობასა და გადასახლებაზე, რასაც მისტიკოსები მეტემფსიქოზს უწოდებენ.

ინდიელი ალგონკინები მიცვალებულ ბავშვს გზის პირას მარხავდნენ, სადაც დედას უნდა გაევლო, რათა მისი სული ისევ დედის სხეულს დაბრუნებოდა და ხელმეორედ შობილიყო.

ბავშვებში თითქოს წინაპართა სულები ცოცხლდებოდნენ. ქურუმები მარჩიელობდნენ, ახალდაბადებულს თუ ვისი სული ჩაედგა. ზოგი აფრიკელი მონა ზანგი თავს იკლავდა, რათა სამშობლოში ხელმეორედ აღმდგარიყო.

ზანგებს სჯეროდათ, რომ თეთრი ევროპელები საიქიოდან დაბრუნებული მათი წინაპრების სულები იყვნენ. მიტომაც ჰქონდათ ლანდივით მკრთალი სახე და ზებუნებრივი ძალა.

ეგონათ, რომ სულები გადადიან მცენარეში, ფრინველსა და ცხოველში და პირიქით – მათგან ადამიანებში ჩასახლდებიან.

სული მიგრაციის შედეგად განიწმინდება, მაგრამ არა მთლიანად.

მაიმუნი, გველი, ხვლიკი ან ტურა შეიძლება ოდესღაც ადამიანები ყოფილიყვნენ, იმის მიხედვით თუ როგორ იცხოვრეს მზისქვეშეთში.

სასტიკი კაცი მხეცად იქცეოდა, კეთილი – მსხმოიარე ხედ, ქურდი – ვირთხად, დამნაშავე – ბრმად და ყრუ-მუნჯად და ა. შ.

სულები ღამესა და სიბნელეში მოგზაურობენ, განსაკუთრებით სიამოვნებთ ნათესავთა და ახლობელთა წრეში ყოფნა. მაგრამ სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს ვერ იტანენ და ამიტომ ცდილობდნენ, რომ ზოგ ტომსა თუ ქვეყანაში მიცვალებულის სულისათვის გზა აებნიათ, რათა ვეღარ მობრუნებულიყო. მაგ., გრენლანდიელებს ცხედარი კარიდან კი არა – ფანჯრიდან გაჰქონდათ, ასევე იქცეოდნენ ჩინეთის ზოგიერთ პროვინციაში; ბრანდენბურგელები სახლის ზღურბლს წყლით რეცხავდნენ; ჩუვაშები გავარვარებულ ქვას ესროდნენ მიცვალებულს.

ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ მიცვალებულის სული ახლობელს ღამე ეწვეოდა, კოშმარულ სიზმარს აღუძრავდა ან სნეულებას შეჰყრიდა და ასე გადაჰყავდა თავის სამყოფელში, ზოგჯერ კი სისხლს სწოვდა, რათა სხეული აღედგინა (აქედან – მითი ვამპირებზე).

ბევრგან კი მიცვალებულებს საჭმელს უმზადებდნენ, სუფრას უშლიდნენ, საფლავთანაც მიჰქონდათ ანუ ცდილობდნენ წასულთა

კეთილგანწყობის მოპოვებას, რაც შემდეგში ხსოვნა და პატივისცემა გახდა.

ასევე სჯეროდათ, რომ სულთა დანახვა ცხოველს შეუძლია. ძაღლები იმიტომ ყმუიან, რომ ხედავენ და ყნოსავენ სიკვდილის მოფარფატე ლანდებს.

ინდუისტურ და ბუდისტურ მითოსში მიიჩნევდნენ, რომ სული აღორძინდება შთამომავალთა სახით. ეს სულთა მუდმივ მოგზაურობას, სულთა გადასახლებას (რეინკარნაცია) ნიშნავდა, ალეგორიულად შეესაბამებოდა ბუნების ციკლურ ცვალებადობას, დროთა მონაცვლეობას, აღვსებასა და განლევას, მცენარეთა მიწიდან ამოსვლას (მაგ., ოსირისის დაკრძალვა ანუ საიქიოში ჩასვლა), აყვავებას, მწიფობასა და გახმობას (მაგ., დიონისეს დაგლეჯა ტიტანების მიერ).

შესაბამისად იქმნებოდა კვდომადი და აღდგომადი ღმერთების (მაგ., ატისი, ადონისი, დიონისე) მითებიც.

კვდომადი და აღდგომადი ღმერთები

ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან შუამდინარეთში, მცირეაზიასა და ეგვიპტეში ჰყვაოდა კვდომადი და აღდგომადი ღმერთების მითები.

ღმერთები ებრძვიან ბოროტებას, იღუპებიან და ქვესკნელში ჩადიან, მაგრამ ისევ აღდგებიან და მიწაზე ბრუნდებიან (თამუზ-დუმუზი, ოსირისი, ბაალი, ატისი, ადონისი, დიონისე, ტელეფუნისი).

ეს არის სიცოცხლის ბრძოლა სიკვდილთან – ქთონურ ურჩხულთან (მაგ., ოსირისი ებრძვის სეტს, ბაალი – მუტუს, ინანა – ერეშქიგალს). ატისსა და ადონისს ტახი დაგლეჯს, რომელშიც არესი იყო განსახიერებული.

თამუზი (დუმუზი) ყოველ წელს ქვესკნელში ჩადიოდა იშთარის საძებნელად და სამზეოზე ამოჰყავდა.

იქ მას დიდი ღმერთი ეა აგზავნიდა.

ქალები და კაცები დასტიროდნენ ქვესკნელში დანთქმულ თამუზს. რიტუალურ წმინდა შეშლილობას (ჰიერომანია) ახლდა წმინდა პროსტიტუცია, რასაც მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ერთი ვერსიით, ნილოსის წყალი ძმის მიერ მოკლული ოსირისის სხეულიდან მოედინებოდა, მეორე ვერსიით – ეს ისიდას ცრემლები ავსებდა მდინარეს, რომელიც დაღუპულ ქმარს გლოვობდა.

ადონისი წლის ერთ ნახევარს მიწისქვეშეთში პერსეფონესთან ატარებდა, მეორე ნახევარს – მიწაზე, აფროდიტესთან. ერთ დღეს გლოვობდნენ ადონისს, მეორე დღეს მის აღდგომას ზეიმობდნენ.

მიაჩნიათ, რომ ესეც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მემცენარეობისა და მიწათმოქმედების სემანტიკასთან, წელიწადის დროების ცვალებადობასთან, დღე-ღამის მონაცვლეობასთან, ადამიანის ცხოვრებასთან, ცხოველების მუდმივ კვდომასა და აღდგომასთან:

მდინარე ერთვის ზღვას, იქ აორთლდება მზის მოქმედებით, იქცევა ღრუბლად, ღრუბელი წვიმას დაუშვებს, წვიმის წყალი ჩადის მდინარეში, მდინარე კი ისევ – ზღვაში, ე. ი. ყველაფერი უცვლელი წრიულობით მოძრაობს, ქრება და აღდგება.

ღმერთმსახურების რიტუალებს ახლდა ცრემლი, სისხლი და გლოვა, ექსტაზი, სექსი და ფსიქოზი.

თუ ღმერთები არ აღდგებოდნენ, მიწას გაბერწება ელოდა, გვალვა და შიმშილი, კაცთა და ცხოველთა სიკვდილი.

მიწა ყოველ სეზონში საბურველს იცვლიდა და ქურუმებს მაგიის საშუალებით უნდა შესძლებოდათ დროისა და ამინდის შეცვლა თუ შეჩერება.

ადამიანისათვის მთავარი იყო საკვები, რაც ღმერთებს უნდა მოეცათ ან თავად სახეცვლილი ღმერთი იყო. ამიტომ კვდომადი და აღდგომადი ღმერთები უკავშირდებოდნენ ცხოველს ან მარცვლეულს, შიმშილის გრძნობას, შიმშილისადმი შიშს.

ეს მოდელი გადავიდა ელინურ სამყაროშიც და გმირთა ბუნებაში განხორციელდა (მაგ., ჰერაკლე, ოდისევსი, აქილევსი, ორფეოსი

და ევრიდიკე). ბოლოს კი ყველაზე სრულად გამოვლინდა ქრისტეს ცხოვრებაში, მისი კვდომა-აღდგომის მისტერიაში.

მათ საკუთარი სიცოცხლის შეწირვით უნდა ეხსნათ სხვათა სიცოცხლე ან გამოესყიდათ ადამიანთა მიერ ჩადენილი ცოდვა-დანაშაული: ხალხი სცნობს მხოლოდ წამებულ გმირს – მთლიანის სიკეთეს ნაწილი უნდა შეეწიროს.

როგორც ამბობს ლაო-ძი, ის გამეუფდება ცის ქვეშეთში, ვინც დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტანჯვით (შდრ. მანიქეიზმის შემოქმედს ცოცხლად გააძვრეს ტყავი).

ღმერთების ტანჯვა-წამებისა და კვდომა-აღდგომის მითები გენეტიკურად მომდინარეობს, ერთი მხრივ – ნადირის, მეორე მხრივ – ბელადის ტოტემისტური მკვლელობის რიტუალიდან. შემდეგ კი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში პარალელურად იმართებოდა, ისე რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ ხმელთაშუაზღვისა და მესოპოტამიურ ღმერთებზე. მაგრამ ეს არ ეხება ქალს. ალბათ იმიტომ, რომ ქალი არის მიწა, საშო და საფლავი.

ბელადის მკვლელობა, როგორც მსხვერპლშეწირვა

ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში იშვიათად თუ არსებობს ბუნებრივი სიკვდილი, რაც არის შინაგანი ბიოლოგიური ენერგიისაგან დაცლა. როგორც კი სისუსტე შეეპარება ნადირს, მას მყისვე სპობს უფრო ძლიერი ძალა.

ველურს ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი ვერ წარმოედგინა. და თუ მაინც უსისხლოდ მოკვდებოდა, ეგონა, რომ მისი სული სხვა ბოროტმა სულმა მოიტაცა.

მშვიდად და წყნარად ანუ სიბერით ვერც ბელადი მოკვდებოდა. იგი უნდა წასულიყო, მაგრამ სული გადასულიყო ახალი ბელადის სხეულში.

სულს არსებობა არ უნდა შეეწყვიტა. იგი ტოტემისგან იყო მოცემული და, როგორც სიცოცხლის წრედი, უწყვეტი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ სახე ეცვალა – გარდაცვლილიყო.

ამდენად, ბელადი მანამდე უნდა გამოსთხოვებოდა თავის ტომს, სანამ ძალა ჰქონდა.

ეს ტომისათვის სასიკეთო იყო, რადგან მისი ძლიერება არ დაიკარგებოდა, ახალ ბელადსა და ტომის წევრებს გადაეცემოდათ.

გმირისა და ახალგაზრდის დაღუპვა იწვევს გულისდაწყვეტას, სინანულსა და სიმძიმილს ანუ მძაფრად ზემოქმედებს ჩვენზე, მოხუცის სიკვდილს კი გაცილებით მშვიდად ვხვდებით.

ეს არის ფსიქიკური ენერგიის გადაცემა.

ბელადი ხან მეფე იყო, ხან – ბელადი-ქურუმი, ზოგჯერ უმაღლესი მმართველი. მაგრამ ყველგან ღმერთკაცად მიაჩნდათ, ტოტემის განსახიერებად, როგორც გვეუბნება ფრეზერი.

ეს მანამ, ვიდრე ტომს სჭირდებოდა, არადა – თავად უნდა შესწირვოდა მომმეთა მოთხოვნას.

ღმერთკაცს ფეხი მიწაზე არ უნდა დაედგა, მზის სხივი თავზე არ დასცემოდა, ისევე როგორც ქალწულს (ალბათ ამ ტაბუირების შედეგია ფეხსაცმელი და თავსაბურავი).

კამბოჯაში ცეცხლისა და წყლის მეფე ბუნებრივი სიკვდილით ვერ მოკვდებოდა. უხუცესები თუ შეატყობდნენ, რომ მომაკვდავი იყო, ხანჯლის დაკვრით კლავდნენ.

კონგოს ტომებს სწამდათ, რომ თუ უმაღლესი ქურუმი ჩიტომე მოკვდებოდა, სამყაროც დაიღუპებოდა. ამიტომ მას ჰკლავდა ის, ვინც მისი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო.

ეთიოპიაში მეფეს ღმერთად თვლიდნენ, მაგრამ თუ ქურუმები გადაწყვეტდნენ – უნდა მომკვდარიყო.

ეს წესი დაარღვია ერგამენმა, ეგვიპტის მეფე პტოლემეოს მეორის თანამედროვემ, რომელსაც ელინური განათლება ჰქონდა მიღებული.

იგი ჯარისკაცებთან ერთად შეიჭრა ოქროს ტაძარში და ქურუმები დახოცა.

ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთი ტომის ბელადს დათქმული ხის ძირას ყოველდღე უნდა გაემართა მართლმსაჯულება. თუ ამ წესს ზედიზედ დაარღვევდა – იმავე ხეზე ჩამოჰკიდებდნენ.

თეთრი ნილოსის ღვთაებრივ მმართველს თუ სისუსტე დაეტყობოდა და რომელიმე ცოლს ვერ დააკმაყოფილებდა, ქალი ამ შემზარავ ამბავს ბელადებს განუცხადებდა.

მათ მმართველი შეჰყავდათ ქოხში, თავს ჩააყოფინებდნენ ქალწულის კალთაში და ორივე ასე შიმშილით უნდა მომკვდარიყო.

სანამ მხნედ იყო, რომელიმე ვაჟს შეეძლო ორთაბრძოლაში გამოეწვია ან მოულოდნელად თავს დასხმოდა.

თუ გაიმარჯვებდა, მამის ადგილს დაიკავებდა. მოკლულს კი დიდი პატივით დამარხავდნენ და საფლავს ზრუნვას არ მოაკლებდნენ. ეგ იმიტომ, რომ უმაღლესი მმართველის დაძაბუნება არ შეიძლებოდა, რადგან ეს ნიშნავდა საქონლის დახოცვას, გვალვას, ნათესის გახმობას, ხალხის გაწყვეტას.

ტომის დაღუპვას ბელადის სიკვდილი სჯობდა, ბელადი თავისი სისხლით იცავდა მოძმეებს (შდრ – ქსენოფონტეს ცნობით, დამარცხებული მოსინიკების ბელადები ხის კოშკთან ერთად ცეცხლში იწვებოდნენ).

აფრიკის ერთ-ერთი ტომის ბელადს უნდა შესძლებოდა წვიმის გამოწვევა. თუ სიბერის ან სნეულების გამო თავს ცუდად იგრძნობდა, საფლავს გაათხრევინებდა და ხალხის წინ ცოცხლად მარხავდნენ.

ცენტრალურ აფრიკაში ბუნიოროს ტომის ბელადს თავი უნდა მოეკლა, როცა ძალის კლებას იგრძნობდა.

ჯინჯიროს ტომის ბელადი თუ ბრძოლაში დაიჭრებოდა, მანამდე უნდა მოეკლათ, სანამ თავად მოკვდებოდა.

ნიგერიის ერთ-ერთ ტომში თუ შეატყობდნენ, რომ მეფე დიდხანს შერჩა ტახტს, გადაწყვეტდნენ, რომ იგი დასნეულდა და უნდა

მომკვდარიყო. სიკვდილის წინ კი ნადიმს უმართავდნენ და ლუდს ასმევდნენ.

ასე ხდებოდა სხვა აფრიკულ ტომებშიც.

ზულუსები უმაღლეს ბელადს კლავდნენ თუ ჭაღარა გამოერეოდა. ეს ბელადმაც იცოდა და შიშით ელოდა ამ დღეს.

სოფალის ტომში ბელადს ღმერთად მიიჩნევდნენ, მაგრამ თუ წინა კბილები მოსძვრებოდა ან იმპოტენცია დაეტყობოდა, თავი უნდა მოეკლა. მაგრამ კუიტევემ, ისევე როგორც ერგამენმა, ეს წესი დაარღვია და ტომს განუცხადა, რომ მართალია, წინა კბილები მოსძვრა, მაგრამ თავის მოკვლას არ აპირებდა.

დაგომეაში, ოიოს სამეფოში, თუ ხალხი იტყოდა, რომ მობეზრდათ მონარქის მმართველობა და ამის ნიშნად თუთიყუშის კვერცხებს გაუგზავნიდნენ, მონარქი ბრძანებას აძლევდა თავის ცოლებს, რომ იგი იქვე დაეხრჩოთ.

ძველ პრუსიაში უმაღლესი მმართველი, რომელსაც უფლის ბაგეს უწოდებდნენ, თუ შეატყობდა, რომ სიბერე მოეძალა, წმინდა მუხის ძირას ცეცხლს აღაგზნებდა და თავს იწვავდა.

ასე კვდებოდნენ ღმერთკაცები, ბელადები და ქურუმები თავიანთი ტომის სიკეთისა და სიცოცხლისათვის.

სამხრეთ ინდოეთში მმართველს 12 წლით ირჩევდნენ, რაც ზოდიაქოს ციკლს შეესაბამებოდა. ვადის გასვლამდე იგი ხალხის თვალწინ ფიცარნაგზე დგებოდა, დანით ისერავდა სახეს, ხალხს ესროდა ყურსა თუ ცხვირს და შემდეგ ყელს იჭრიდა.

ასევე იქცეოდნენ კალიკატის (ინდოეთი) მმართველები, რაც რეგულირდებოდა ვარსკვლავთა მოძრაობის მიხედვით.

ბენგალიაში ტახტის დაკავება შეეძლო ყველას, ვინც მეფეს მოკლავდა. ხალხი იყო არა მეფის, არამედ – ტახტის ერთგული.

სუმატრაზე თუ გამძვინვარებული ხალხი ქუჩაში გამოცვივდებოდა და ყვირილს მორთავდა – „მეფე უნდა მოკვდეს“, მეფეს მისივე ნათესავი კლავდა.

სკანდინავიაში მეფის მმართველობა 9 წელი გრძელდებოდა. შემდეგ რომელიმე მოადგილე კლავდა. ეს წესი შეცვალეს და მეფე ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ ღმერთ ოდინს თავის ერთ-ერთ ვაჟს სწირავდა, ე. ი. თავისი სიკვდილი შვილზე გადაჰქონდა.

ძველ საბერძნეთში მმართველობის ვადა 8 წელი იყო, რასაც ვარსკვლავთა განლაგებით განსაზღვრავდნენ. კალენდარს ქურუმები ადგენდნენ.

შემდეგ მეფე უნდა მომკვდარიყო.

ასევე ხდებოდა კუნძულ კრეტაზე. შემდეგ ეს წესი აქაც შეიცვალა: მეფე მღვიმეში შედიოდა, იქ ზევსს ეთათბირებოდა, ძალას აღიდგენდა და მეფობას აგრძელებდა.

ბაბილონში მეფეს ერთი წლით ირჩევდნენ. მაგრამ ყოველწლიურად, ზაგმუკის დღესასწაულზე, ტაძარში ხელით ეხებოდა მარდუქს და ძალას აღიდგენდა. ამის შემდეგ ერთი დღით ტახტზე დასვამდნენ დამნაშავე პირს და მეფური პატივით ეპყრობოდნენ, მეორე დღეს კი კლავდნენ, ე. ი. მეფე ამ ხერხით იცილებდა განაჩენს (შდრ – ხალიფა ერთი საათით).

ასურეთშიც მეფის კორონაცია ყოველწლიურად მეორდებოდა. ამ დროს ხალხი ყვიროდა – „მეფე აშურია“, ე.ი. ღმერთი.

ებრაელი და კართაგენელი მმართველები შვილს სწირავდნენ, უგანდაში – ძმებს, ან ირჩევდნენ დროებით, ერთ ან სამდღიან მმართველებს (ჯ. ჯ. ფრეზერი) და ა. შ. (არსებობს გამოკვლევა, რომელიც უარყოფს ამგვარ რიტუალურ მკვლელობას).

ბიბლიური მითის თანახმად, მოსე ვერ შევიდა აღთქმულ ქვეყანაში – გარდაიცვალა 120 წლის ასაკში. მაგრამ არსებობს ისტორიული ცნობები, რომ იგი მოკლეს ებრაელებმა, როგორც სასტიკი ლიდერი, როგორც ეგვიპტელი და მათი კერპების დამამხობელი, რომელიც ახალ რელიგიას ამკვიდრებდა.

ზ. ფროიდმა ფრეზერის მიერ წარმოდგენილი ბელადის თუ მეფის მკვლელობა გაიაზრა როგორც მამისმკვლელობა, რაც დასაბამს აძლევდა კონფლიქტს მამებსა და შვილებს შორის.

ამგვარი კონფლიქტი განვითარების ზამბარაა, რაც არღვევს ძველ წარმოდგენებს და ამკვიდრებს სიახლეს, როგორც უარყოფის უარყოფა.

კონფლიქტი და მამისმკვლელობა აისახა ბერძნულ მითოსშიც: ურანოსი სტანჯავდა შვილებს (ტიტანები, კიკლოპები, ჰეკატოხეირები), ისინი ქვესკნელში ჩაყარა და ზევით არ უშვებდა.

მამის წინააღმდეგ აღდგა კრონოსი, ცელით მოსჭრა პენისი და დაამხო მისი ძლიერება.

კრონოსმა დაიკავა ურანოსის ადგილი.

მაგრამ ისიც მამის კვალს გაჰყვა: კრონოსი ყლაპავდა ახალდაბადებულ ბავშვებს, რომელთაც რეა შობდა. დედამ ზევსი გადამალა და ასე გადაარჩინა.

რომ გაიზარდა, ზევსმა ომი გაუმართა მამას, ათი წელი ებრძოდა და შემდეგ დაამხო; მუცლიდან ამოაყრევინა ჩაყლაპული შვილები და მამა ქვესკნელში ჩააგდო.

ზევსი იქცა ბერძენთა უმაღლეს ღვთაებად, ოლიმპიური ღმერთების მბრძანებლად.

ბელადისა და ღმერთის მკვლელობამ ხალხის შემეცნებაში განამტკიცა რწმენა, რომ მმართველი და ღმერთი ხალხისათვის ეწამება, რათა გამოისყიდოს მათი ცოდვა, დაიცვას სამართლიანობა და უძველესი თანასწორობის პრინციპი. რათა ყველას მიეცეს საშუალება – ღმერთისადმი კრძალვითა და ერთგული სამსახურით მოიპოვოს მარადიული სასუფეველი.

ამ უძველესი ტრადიციის დაგვირგვინებაა იესო ქრისტეს მოწამეობრივი სიკვდილი, მოწაფისაგან გაყიდვა, მოძმეთაგან გაწირვა, გოლგოთამდე საკუთარი ჯვარის ზიდვა და ზედ გაკვრა, აღდგომა და ცად ამაღლება.

თესლი კვდება და ამოდის მცენარე (შდრ – „მითოსურ-კოსმოგონიური წარმოდგენები“).

ბელადის მკვლელობა და კანიბალიზმი ქრისტიანობამ ევქარისტიის საიდუმლოდ გარდასახა, როცა წირვის დროს იესოს სისხლად

და ხორცად სიმბოლურად გარდაქმნილ ღვინოსა და პირს ეზიარე-ბიან მონაწილენი, როგორც მაცხოვრის სიწმინდეს.

ქრისტე – ძე ღვთისა

იმპერიულ ხმალთა ელვარების შუქზე, პოეზიის, ფილოსოფი-ური აზრის, ბედისწერის თეატრის, ხალხთა დაახლოების კვალდა-კვალ ანუ კულტურის განვითარების შედეგად პოლითეისტური ღმერთები ჰკარგავდნენ ძველ ძალმოსილებას. ადამიანის ხედვას იზიდავდა უმაღლესი ერთი, რომელშიც შერწყმული იყო ყველა ის ნიშან-თვისება, რაც ირანულ, ეგვიპტურ თუ ელინურ ღმერთებს ჰქონდათ.

იგი ტანჯული უნდა ყოფილიყო, როგორც მსხვერპლად შეწი-რული ბელადი.

აზიური წამებული ღმერთები იჭრებოდნენ რომის იმპერიაში (ადონისი, ოსირისი, ატისი, ქრისტე...).

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ორი ღმერთი და-ეჯახა ერთმანეთს. ერთი იყო პალესტინაში დაბადებული ჯვარცმუ-ლი იუდეველი იესო ქრისტე, მეორე – ხარისმკვლელი, გველშემო-გრაგნილი ლომისთავა ირანული მზის ღმერთი მითრა (შდრ – ხარზე მდგარი თეშუბი და ლომზე მდგარი ხალდი).

მითრა ძველი მისტერიებისა და რიტუალების განსახიერება იყო, ქრისტე – სულის ახალი გმირი, რომელიც ადამიანის ზნეობაზე აკეთებდა აქცენტს.

გარდა ამისა, მოძმეთა მიერ გაყიდული და წამებული, ჯვარზე გაკრული ქრისტე აგრძელებდა უძველეს ტრადიციასაც, რომ ტოტემ-მა, ბელადმა, მეფემ, ღმერთმა უნდა დასთხიოს სისხლი, შეეწიროს ტომის თუ ხალხის ინტერესებს, მოიკლას მოძმეთა ხელით, საკუ-

თარი სისხლით გამოისყიდოს სხვათა ცოდვა-დანაშაული, უჩვენოს მათ მოწამეობრივი მაგალითი.

ამგვარი თავის გაწირვა, რაც ტომისათვის საზეიმო იყო, თანდათან იქცევა სინანულად, მონანიებად, გლოვად. ქრისტეს სახელს დაუკავშირდება კაცობრიობის ცოდვისგან განწმენდა და განთავისუფლება, რათა ველური ინსტინქტები მაქსიმალურად ყოფილიყო დამორჩილებული, რათა ადამიანის ცხოვრების წესი გონებას განესაზღვრა.

იუდაიზმის წიაღიდან გამოსული ქრისტეს მოძღვრება მთელს რომის იმპერიას მოედო, როგორც ჩაგრულთა, უპოვართა და მონათა რელიგია, რომელიც ზნეობრივ სიწმინდეს, სამართლიანობასა და თანასწორობას ქადაგებდა, კრძალავდა ბარბაროსულ და პირუტყვულ ჩვევებს, მოითხოვდა ინსტინქტებისა და ემოციების დათრგუნვას.

ასე იშვა სულთა მიგრაციის მისტიკიდან, მსხვერპლშეწირვის წიაღიდან კაცთა მხსნელი ჯვარცმული – სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი.

4. ინსტინქტები, სიმბოლოები და არქეტიპები

ახლა თავი მოვუყაროთ ჩვენს მსჯელობას თუ როგორ წარმოიშობოდა ინსტინქტური მოთხოვნილებებითა და ლტოლვებით კულტურის პირველადი მოდელები, რაც გონების ევოლუციით – სააზროვნო ბაზისის მოწესრიგებით ივსებოდა და იშლებოდა.

მუსტიეს ეპოქიდან დაწყებული, რაც ადამიანს ჩამოსცილდა მაიმუნის სახელი, ტოტემისა და ტაბუს მკაცრი სისტემით ყალიბდება ტრადიციები, რაც იყო ჰალუცინაციური და რეალური წარმოსახვის შედეგი. მაგრამ ისინი ლოკალური იყო და ტომთა შერევის შედეგად იცვლებოდა ან ქრებოდა.

მუდმივი ბრძოლა მდედრისა და სარჩოსათვის, ზებუნებრივ ძალთა შიში და რწმენა ააქტივებდა ტვინის მოქმედებას.

ცენტრალური ნერვული სისტემის მუდმივი მობილიზება, სამოქმედო მზადყოფნა ასევე იმორჩილებდა სხეულებრივ სისტემებს ანუ სინქრონული მოქმედებით ვლინდებოდა ჰარმონია.

სტიქია წვრთნიდა ჰომინიდის გონსა და სხეულს – ძლიერი გადარჩა, სუსტი და უგნური დაიღუპა.

ასევე ჩნდებოდა და ქრებოდა კულტურის პრასახეები. მათგან მხოლოდ ის გააღწევდა მომავალში, რომელიც ყველაზე მეტად იქნებოდა სასიცოცხლო ინსტინქტების გამომხატველი, გამოავლენდა სისხლის ბნელ ძალას (იხ. „ძალა, ძალაუფლების ნება და კულტურშემოქმედი“).

ბოროტ ძალებთან ბრძოლისა და ინიციაციის, ცხოვრებისეული ძიებისა და ზნეობრივი სრულყოფის არქეტიპები მოცემულია ძველეგვიპტურ, ძველინდურ, მესოპოტამიურ, ძველბერძნულ მითებში, მისტერიებსა და რიტუალებში, რაც არაცნობიერად გამოავლინა ველურისა და ბარბაროსის გონმა, ფიქრმა და სისხლის სიმღერამ. ხოლო მოაწესრიგა, ფორმა და მიმართულება მისცა ქურუმების კასტამ.

სიმბოლო – საკრალური ნიშანი

ველურის სიტყვა, ქცევა და მოქმედება სიმბოლური აზრის მატარებელია – იგი რეალურთან ერთად შეიცავს უხილავს, მაგიურს, უზენაეს ძალასთან წილდებულს ან მისგან მომდინარეს.

სიმბოლო დიადისა და იდუმალის მაუწყებელია, რომლის მნიშვნელობათა ამოწურვა შეუძლებელია. ამიტომ თავის გარშემო იკრებს და აერთიანებს ჰალუცინაციას, რწმენას, აკრძალვას, განწყობილებას, განსაზღვრავს ხედვის მიმართულებას.

ამდენად სცილდება ლოკალურ გარემოს და პიროვნულ წარმოდგენებს.

სიმბოლო მოდის ბერძნული სიტყვიდან და ნიშანს აღნიშნავს.

სიტყვა, საგანი ან მოქმედება სიმბოლოდ რომ იქცეს, უნდა ჰქონდეს ადამიანთა გარკვეული წრისათვის ერთიანი მნიშვნელობა, აკავშირებდეს მათ, როგორც პაროლი.

ასეთი პაროლები და სიგნალები არსებობს ცხოველთა სამყაროშიც: მაგ., დამარცხებული ნადირი გამარჯვებულს შეუშვერს სხეულის ყველაზე სუსტ, დაუცველ ნაწილს.

ამით გამარჯვებული არ სარგებლობს.

დანებების სიმბოლოა, როცა მეტოქე იარაღს ყრის; როცა ადამიანი ქუდს იხდის და თავს ხრის – ეს არის სამსხვერპლოდ თავის დადება;

ადამიანი მეტყველებს უსიტყვოდაც – მიმიკით, ჟესტიკულაციით, მოძრაობით, შორისდებულებებით, სიტუაციის შესაბამისად.

ტოტემი, ტაბუ თუ მითოსი ან რელიგიური დოგმები და წარმოდგენები აზრს იძენენ სიმბოლური განმარტების შემდეგ, როცა ვპოულობთ არაცნობიერის საკონტაქტო დონეს.

სიმბოლოს საფუძველი სიგნალი, იმპულსი და ასოციაციაა, რაც მოდის სხეულებრივი სისტემებიდან, ფსიქიკური წარმოდგენებიდან და ტაბუირების შედეგად საგნობრივად ან სიტყვიერად ფიქსირდება.

მაგ., სიმბოლურია მეფის ატრიბუტიკა – გვირგვინი, ტახტი, კვერთხი, სამოსელი...

გვირგვინი, რათა მბრძანებელს თავზე მზის სხივი არ დასცემოდა. ისიც არაერთი სიმბოლური ნიშნისაგან შედგებოდა (მაგ., ფარაონის გვირგვინი); კვერთხი, რომელიც მწყემსის კომბალის სახეცვლა იყო და იუწყებოდა, რომ მეფე ხალხს ისევ პატრონობდა, როგორც მწყემსი – ცხვრის ფარას; ტახტი, რომ მიწაზე ფეხი არ დაედგა და ქვეშევრდომთათვის, როგორც მზეს, სიმაღლიდან ემზირა; სამოსე-

ლი, რომელიც მზის ელვარებას ინახავდა და თვალს სჭრიდა ხალხს...

ხელისუფალის ძალმოსილებას, ღვთაებრივ წარმომავლობას ხალხის ცნობიერებაში განამტკიცებდა და საკრალურ მნიშვნელობას აძლევდა ატრიბუტიკა, მისი განსაკუთრებული ფერი და სხივი.

ფანტასტიკური ქანდაკებები, რელიეფები, ნახატები სიმბოლურ შინაარსს ატარებდნენ. მაგ., ქართველური ტომების ბრინჯაოს ხანის ვერძისთავა ფრინველი, გაშლილი ფრთებით, მზითა და საომარი ცულით, რაც ცხვრის ფარას სწრაფად და უხიფათოდ გავლას ნიშნავდა.

ალბათ ეს უნდა ყოფილიყო ფასკუნჯი.

ისტორია იწყება შუმერში, – გვეუბნება ზოგი მკვლევარი. მაგრამ შუმერამდე, ე.ი. ხუთი ათასი წლის წინათ, ვიდრე ისინი ტიგროსისა და ევფრატის დაბლობზე გაბატონდებოდნენ, იქ სხვა ხალხი ბინადრობდა. მათ ეკუთვნოდათ ჯვარი და სვასტიკა, რაც მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მაგრამ საწყისები ზედა პალეოლითსა და ნეოლითში იკარგება.

სვასტიკა ძველინდური სიტყვაა და ნიშნავს სიკეთესთან დაკავშირებულს. იგი მოდის ნეოლითის დროიდან და განიმარტება როგორც მზისა და ცეცხლის სიმბოლო.

შუმერის გარდა, მას მიმართავდნენ ინდურ კულტურაში, ჩინეთში, ძველ ეგვიპტეში. სვასტიკა ხშირად გვხვდება ქართველურ ტომთა საყოფაცხოვრებო ჭურჭლებზეც.

ჯვარი ქვეყნიერების ცენტრისა და ხელგაშლილი ადამიანის, სიკვდილისა და სიცოცხლის სიმბოლიკაა. იგი ქრისტიანულმა ეკლესიამ მიიღო IV საუკუნეში და ამ დროიდან ჩნდება ქრისტეს ჯვარცმაც.

ქრისტიანობას უამრავი სიმბოლო აქვს. მათგან ცენტრალურია ჯვარი, რომელზეც აცვეს მაცხოვარი, რომლისგანაც გამოდის სამება.

ბუდისტურ მითოსში დაუსაბამო სამყაროს, სიცოცხლის უსასრულო განმეორებას გამოსახავდნენ კვადრატში ჩასმული წრით,

წრეში ჩასმული კვადრატით, 12 ელემენტით, რომელთა ცენტრში იდგა მზე – დროის ბორბალი.

ეს იყო სამყაროს მრავალნიშნიანი, კონცენტრირებული მოდელი, რომელსაც მანდალას უწოდებდნენ.

რაც გადის დრო, უფრო და უფრო მცირდება სიმბოლოთა მნიშვნელობა. რაც შევდივართ რელიგიებისა და წარსულის სიღრმეში – იზრდება მათი როლი, ხოლო პრეისტორიულ ეპოქებში – სრულად ბატონობს და განაგებს საგანს, სიტყვას, ქცევასა და მოქმედებას.

სიმბოლოთა და ნიშანთა შერწყმა, მათი დაყვანა უნივერსალურ, პირველად ერთეულებამდე გვაძლევს არქეტიპებს, რაც საერთოა ადამიანთა ფსიქიკისათვის, ისევე როგორც ქრომოსომები და გენები.

ფსიქიკური დანაშრევი

არქეტიპების ჩასახვა უკავშირდება ფსიქო-ფიზიკურ ტანჯვას, ნევროზულ მდგომარეობას, მისგან გამოსვლასა და დაძლევას.

ათასწლეულების მანძილზე მუდმივი შიში და ტანჯვა, წარმატება და აღმაფრენა ცვლიდა ენდოკრინულ-ჰუმორალურ სისტემას. ჰორმონების დისბალანსი ზემოქმედებდა ინსტინქტურ მიდრეკილებებზე, რაც აფექტურ წარმოდგენაში, სიტყვასა და მოქმედებაში ხმიანდებოდა.

ხოლო აფექტები გენომში მინიშნებათა სახით სტოვებდა ანაბეჭდებს, რაც არის არქეტიპები. შდრ – ბელადის მკვლელობა და წამებული ღმერთი, რომლის პრასახე იყო მხეცის ანუ ურჩხულის დამარცხება.

პრეისტორია მეხსიერებას შერჩა ბიოლოგიურ ცვლილებათა სახით, მათი ტვიფარით, როგორც ფსიქო-ნერვული და ანატომიურ-ფიზიოლოგიური ევოლუციის ანარეკლი.

გავიმეოროთ: აფექტები, შიშები, აგრესია მეტყველებად იქცა;

სექსუალობისა და დედობის ინსტინქტებიდან ინცესტის აკრძალვითა და პროსტიტუციის დაძლევით გამოვიდა ოჯახი;

კვების ინსტინქტები მოწესრიგდა კანიბალიზმის ჯერ ღმერთებისადმი მიძღვნილი კაცთშეწირვის რიტუალური რეგლამენტირებით, შემდეგ კი – სრული აღკვეთით:

მრავალსახოვანი შიშები დაიძლია ფანტაზირებით – მათი ტოტემებად, აკრძალვებად და ღმერთებად ქცევით, მათდამი სამსხვერპლო ერთგულებით – სისხლის გაღებითა და მორჩილებით;

თავდაცვისა და ჯოგური ერთიანობის ინსტინქტები წარიმართა აგრესიის, საარსებო სივრცის გაფართოების მიმართულებით, რასაც მოჰყვა სახელმწიფოთა წარმოქმნა.

თანამედროვე ადამიანსაც იგივე უძველესი ინსტინქტები შერჩა, მაგრამ შენელებული სახით. მაგ., რეაქცია სექსზე, შიმშილზე, სიცხესა და სიცივეზე, ხმაურსა და საფრთხეზე, სუნსა და ფერზე.

რეაქციისა და მგრძნობელობის დაქვეითება მოჰყვა ბუნებისაგან დაცილებას, ცენტრად გონების ქცევას.

ლტოლვები და ჰალუცინაციური წარმოსახვები, რაც ველურს ჰქონდა, თანდათან ჩაიძირა არაცნობიერის სიღრმეში. თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ ადამიანს აცოცხლებს ინსტინქტები და რეფლექსები, რომელთა რეგულირება შეიძლება, მაგრამ არა აღკვეთა.

ამიტომ ისინი აღვიძებენ არაცნობიერში დანთქმულ ლანდებს, რაც კულტურის მიერ განიდევნა ან სახე ეცვალა. როგორც შენიშნავდა ოსვალდ შპენგლერი, ანტიკური დროის ადამიანს არც მეხსიერება ჰქონდა, არც ისტორია. იგი წარსულისაკენ არ იხედებოდა, მაგრამ წარსული წვებოდა არაცნობიერში, როგორც ფლორა და ფაუნა მიწის წიაღში.

ვითარების შესაბამისად არაცნობიერი პლასტები თავიანთი სიღრმიდან წამოსწევენ ყველა დროის ადამიანისათვის საერთო და უცვლელ გრძნობად ხატებს, რომელთაც არქეტიპებს უწოდებდა კარლ გუსტავ იუნგი.

ეს არის არქაული მემკვიდრეობა, სულის ქთონური ნაწილი, კულტურის კოდებად სახეცვლილი ინსტინქტები და აფექტები, კოლექტიური გამოცდილებისა და ოცნების ნალექი.

ეს არის ბაზისი, რომელზეც მაგრდება, რომლიდანაც ამოდის ინდივიდუალური ცნობიერება. როგორც ერთიანია ადამიანის ქრომოსომულ-გენური სისტემა და ინსტინქტები, ანატომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქტურა, ისე ერთიანია მათგან წამოსული, მათზე დაშენებული სულიერი დანაშრევი – არქეტიპები.

კოლექტიური არაცნობიერი წარმოდგენები ინდივიდუალურ ფსიქიკაში ახლებურად იშლება, ივსება რელიგიურ-კულტურული და ცხოვრებისეული სურათებით, მაგრამ არქაული არსი არ იცვლება.

ამიტომ ფსიქო-ნერვულ ავადმყოფებს, რომელთაც შეუსუსტდათ ან დაემსხვრათ ცნობიერის კონტროლი, აღუდგებათ არქაულ-ტოტემური და მითოსური დროების ხატები.

პრასახეთა სისტემა

არქეტიპები ემყარებიან და თავადაც ქმნიან ტრადიციებს, რომლებიც ასევე ინსტინქტებიდან და არაცნობიერის სფეროდან მოდიან (მაგ., მამა-შვილის კონფლიქტი, დედის კულტი, წინაპართა კულტი, ტოტემ-ღმერთის ხატი, სიყვარულისათვის თავგანწირვა, გმირის მიერ ურჩხულის ძლევა...).

ადამიანი ამგვარი არქეტიპების ტყვეა, ამ ტრადიციებით ისევე არის შეზღუდული, როგორც საკუთარი გენებით. მათგან კი თავისუფლდება მაშინ, როცა ქრება ან სუსტდება გონების კონტროლი.

მაგ., სიზმრად ნანახი უძველეს დროში სინამდვილედ მიაჩნდათ, შემდეგ – მომავლის მინიშნებად, ღმერთების ან ბოროტ სულთა ჩაგონებად. მაგრამ ამ უკონტროლო სურათების მდინარებას რა-

ღაც ბიძგი ხომ წარმოშობს, ე.ი. რაღაც აზრიც ექნება, რადგან ამ სურათებით ინსტინქტების მოქმედება იშიფრება.

სიზმრის ენით ინსტინქტები და აფექტები მეტყველებენ. ეს არის შიში, აღმაფრენა, უზენაესი ძალის იმედი, ბრძოლა და სწრაფვა, სექსისა თუ საკვების მოთხოვნილება. ხოლო შემოქმედებაში, რაც ჰგავს სიზმარსა და თრობას, ხდება არაცნობიერის მოქმედების სტილიზება, კადრების ამოქაჩვა და გადარჩევა, ფანტაზიით გამოხმობა და სახეცვლა.

კულტურშემოქმედი მხოლოდ თავის გონებას, გემოვნებას ან ესთეტიკურ იდეალს როდი ემორჩილება. იგი ანგარიშს უწევს ტრადიციებს, პოლიტიკურ სიტუაციას, არსებულ მოდას, საზოგადოებრივ თუ პიროვნულ შეკვეთას, საკუთარ ცოდნას, რათა მათთან შეაგუოს ფსიქიკის უფსკრულიდან ამოჭრილი წარმოდგენები, გრძნობები და ლტოლვები (იხ. „ლიტერატურა და არქეტიპული წარმოდგენები“ წიგნში – „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“).

მათი სინთეზი არის გონების კონტროლი.

ფანტაზია ეურჩება რაციონალიზმს. მაგრამ მის უნაპირო მოძრაობას, ცხოველურ აზვირთებასა და ჰალუცინაციურ ლანდებს სისტემაში მოაქცევს ცნობიერი.

გონებას კი სტიმულსა და მიმართულებას აძლევდა ჯერ ღმერთი, შემდეგ, ახალ საუკუნეებში – ესთეტიკური გრძნობა და იდეალი.

ბიოლოგიური გენების მსგავსი სიზუსტით ფსიქიკური არქეტიპები არ იშიფრება, რადგან სული, გრძნობები, აფექტები მერყევია, შინაგან იმპულსებზე და გარემოს სიგნალებზე დამოკიდებული.

ობიექტების ლაბილობა და ცვალებადობა, არა მათი იზოლირებული, არამედ ერთიანი არსებობა და აღქმა არქეტიპებსაც მსგავს შინაარსს სძენდა.

განსხვავებული აზრი შეაქვს, ვთქვათ, რელიგიურ აღზრდას. მას ასევე სხვაგვარ ნიუანსებს, სიმბოლოებსა და ელფერს სძენს კონკრეტული რელიგია – ქრისტიანული თუ მუსულმანური.

ამის შემდეგ მოდის ნაციონალობა, კულტურული წრე, ინდივიდი – მისი გრძნობების, აფექტების, ლტოლვების, მიდრეკილებების სამყარო, რაც ცვლის გარეგნულ საბურველს, მაგრამ სიღრმისეული შრე უცვლელია.

როგორც არსებობს მხატვრული სახე და მეცნიერული ცნება, ასევე წარმოიქმნება მათი სიმრავლე.

ერთი ძირი უამრავ ვარიაციას გვაძლევს.

ამის დანახვა უფრო იოლია ენაში, პოვნა საერთო და უძველესი ძირისა, არქეტიპული საწყისისა, რომელიც პრეისტორიასა და ისტორიაში მეორდება, განიშლება, იძენს ახალ-ახალ მნიშვნელობებს, გადადის ენიდან ენაში.

ასევე ფსიქიკურ წარმოდგენებს, მათ სიმრავლეს აქვთ საერთო საწყისი. მაგრამ ენისაგან განსხვავებით ფსიქიკურ-კულტურულ არქეტიპებს თითქმის არ აქვთ ნაციონალური სახე – ეს უფრო კულტურის ზოგად სფეროს განეკუთვნება, აჩვენებს განვითარებისა და დიფერენცირების სტადიებს.

ინსტინქტებს განსხვავებულ ემოციურ შეფერილობას აძლევს ენდოკრინულ-ჰუმორალური სისტემა. მაგ., სექსუალობის ინსტინქტებს ააქტივებს ან ანელებს ჰორმონების მოქმედება. შესაბამისად იცვლება მათი როლი ფანტაზირების პროცესში, იცვლება ემოციების ძალა, ხარისხი და მნიშვნელობა.

როცა ადამიანს შიში იპყრობს, ფარულად თუ აშკარად აქტივდება თავდაცვისა და აგრესიის ინსტინქტები, მათგან წამოსული აფექტები.

როცა შიში დამთრგუნველია, ადამიანს დეპრესია იპყრობს, რაც ზღუდავს მოქმედების სურვილს და სიკვდილს აახლოებს;

ეს არის ფსიქიკაში შთაბეჭდილი მხსნელის დაღუპვის მოდელი, მაგრამ როცა მძლავრობს სასიცოცხლო ინსტინქტები, ადამიანი სძლევს შიშს, რომლის არქეტიპია ურჩხულთან ბრძოლა და გამარჯვება.

ასე რომ შიშის ძლევა და შიშისადმი მორჩილება წარმოქმნის საწყის სახეებს, ჰალუცინაციურ ლანდებს, რომელთა ვარიაციები ვრცელ უნივერსალიებს გვაძლევს და მიდის ღმერთამდე.

არქეტიპები მოცემულია ყველა ადამიანის ფსიქიკაში. მაგრამ მათი გაშლა, სტიმულირება და მოდელირება აღზრდისა და ნიჭის სფეროებია.

ისინი ადამიანში ისევე არსებობენ, როგორც ჩიტებში ბუდის ქსოვისა და შენების იმპულსი, რაც მათთვის არავის უსწავლებია (კ.გ. იუნგი).

ინსტინქტები ფიზიოლოგიური მოთხოვნებია, გრძნობები და აფექტები – მათი გამოხატვა, არქეტიპები კი – ფსიქიკაში გენეტიკური კოდის მსგავსად შთაბეჭდილი პრასახეთა სიმბოლური სისტემა.

როგორც ყველა რასის ადამიანებს ერთნაირი ინსტინქტები აქვთ, რომელთაც აყალიბებენ გენები და ქრომოსომები, ცილების ბიოსინთეზი, ასეთივე არქეტიპები ექნებათ.

განსხვავებას ქმნის აღზრდა, გარემო, განათლება, ნიჭი. ამიტომ კაცობრიობის ერთიანი სულიერება ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული.

მითოსმა არქეტიპები ღმერთებისა და გმირების სახით განალაგა, რაც გადავიდა კულტურაში, მიეცა მეტი სიღრმე, სიმძაფრე და ნიუანსობრივი დატვირთვა (მაგ., გილგამეში, ოდისევსი, აქილევსი, მოსე, იოდიპოსი, ჰამლეტი, დონ-კიხოტი, ფაუსტი).

ღმერთები, როგორც ვთქვით, სხვადასხვა ხალხების მიერ ნაირგვარი სახელებით იწოდებოდნენ. მაგრამ არსი ერთი ჰქონდათ. ისინი ამოვიდნენ არაცნობიერის სიღრმიდან. შემდეგ შეცვალეს ცნობიერება და ასე დაუბრუნდნენ არაცნობიერის უფსკრულს (მაგ., ბუდა, ქრისტე, მუჰამედი).

ადამიანმა ფსიქიკური ბიძგებითა და სწრაფვებით შეთხზა ღმერთები. ღმერთები ზემოქმედებდნენ და არეგულირებდნენ ცნობიერებას. შემდეგ შეცვლილ ცნობიერებას კორექტივი შეჰქონდა ღმერთების აღქმასა და გააზრებაში და ა.შ.

ასე რომ ადამიანი და ღმერთი ერთმანეთისაგან ისევე განუყ-რელია, როგორც საგანი და ჩრდილი, სული და სხეული.

იგივე ითქმის გმირებსა და ცხოველ-კაცებზე.

არქეტიპი ფანტაზიიით ისევე იშლება და ვითარდება, როგორც ბიოლოგიური კოდი, როგორც თესლი მიწის ბნელ წიაღში.

ამ თვალსაზრისით სიზმარი თავისუფალია, მასზე გონება კონტროლს ვერ აწესებს. მაგრამ აღზრდის ფაქტორი, კულტურა, ლტოლვათა სპექტრი და ფსიქიკური მდგომარეობა არის ბაზისი, რომელიც მიმართულებას აძლევს სიზმარსაც და სიმბოლურ შინა-არსს სძენს.

ველური სიზმარს არც ხედავდა, რადგან ღრმა ძილის დროს სიზმარი არ წარმოიქმნება: ეგონა, რომ სიზმარს ნახულობდნენ მხო-ლოდ ბელადი და ქურუმები, რადგან სიზმარში მომხდარი ცხადა-დაც მოხდებოდა. ამის გაგება ან განსაცდელის აცილება კი მხოლოდ ბელადსა და ქურუმებს შეეძლოთ.

სიზმარშიც ვლინდება ის არქეტიპები, რაც ძირეულია მითები-სათვის და აცოცხლებს ხელოვნებას.

ამგვარი პრასახეები გადადის, გენეტიკური ერთგვაროვანი ბუ-ნებიდან გამომდინარე, მემკვიდრეობით, ტრადიციებითა და მიგ-რაციით.

იგი საფუძვლად ედება კულტურის სხვადასხვა სახეს – რელი-გიას, პოლიტიკას, ხელოვნებას, აზროვნებას, მორალს, ადამიანთა ურთიერთობას.

ბიოლოგიურ ბაზისზე აღმოცენდა სულიერების ბაზისი – კულტურის პირველმოდელები, რაც გონმა და ვნებებმა სხვადასხვა მიმართულებითა და ფორმით, აურაცხელი ვარიაციით გაშალეს.

ამიტომ შეიძლება გონი შევადაროთ ჭადრაკის დაფას, ხოლო არქეტიპები – ფიგურებს, ინდივიდი – მოჭადრაკეს, ცხოვრება კი – ჭადრაკის თამაშს, რაც არის ბრძოლა მეფისა და გამარჯვებისათვის.

ტალანტი და არქეტიპი

ყოველი ქცევა, აზრი თუ მოქმედება ეფექტურია მაშინ, როცა კარგად ვლინდება. ამიტომ ყველა დროში ნიჭი იყო საჭირო, რაც ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფის თვისებაა.

ნიჭის გარეშე კულტურა არ იქმნება და ვერც ჩაისახებოდა. მაგრამ ტალანტი ინდივიდუალური მოვლენაა, რომელიც შლის გაბატონებულ წარმოდგენებს. ნიჭი არქაული სულიერი ენერგიაა, ინტუიციური განათება.

იგი პროგრესის სახელით არღვევს ტრადიციებს ან არსებულს მაქსიმალური დამაჯერებლობით წარმოადგენს.

ტალანტს საფუძვლად ჰქონდა უძლიერესი აფექტებისაგან წარმოქმნილი ჰალუცინაციური წარმოსახვები, რასაც ცნობიერება სხვადასხვა, მაგრამ ნათესაურ სახეს აძლევდა, რადგან ერთი იყო არქეტიპული საწყისი.

ასე ყალიბდებოდა ტოტემიზმი, ანიმიზმი, მაგია, ფეტიშიზმი, რაც რელიგიურ წარმოდგენათა პრაფორმებია, სამყაროსა და მისდამი მიმართების პირველადი გააზრება.

ვინც მეტად ნიჭიერი იყო, ამას უფრო მარჯვედ და ეფექტურად აკეთებდა, უფრო არწმუნებდა ტომის წევრს, ფანტაზიით ხლართავდა რეალურ-მაგიურ წარმოდგენებს და აზრს აძლევდა ჰომინიდის მოქმედებას. ამიტომ ჰქონდა კულტურისა და პროგრესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გვარის, ტომის თუ ტომთა კავშირის ბელადს, ქურუმს, ბელად-ქურუმს, ე. ი. ლიდერს.

ისინი მიმართულებას აძლევდნენ ადამიანის მზერას, ავითარებდნენ და ამკვიდრებდნენ პირველად ცნობიერ წარმოდგენებს, ზღუდავდნენ ინსტინქტურ მოთხოვნებს, კრძალავდნენ ან სახეს უცვლიდნენ (იხ. „ძალა, ძალაუფლების ნება და კულტურშემოქმედი“).

V. სახელმწიფოს წარმოქმნა: ძალაუფლების ნება

1. ცხენითა და მახვილით

ადამიანმა მხოლოდ მეზოლითის დასაწყისში, 13-14 ათასი წლის წინათ აღმოაჩინა, რომ შეიძლება ტყის მცენარეების მოშინაურება, მათი გამორჩევა და უკეთესის გავრცელება.

შემდეგ იგივე მოხდა ცხოველთა მიმართ.

მიწა და მცენარე

სტიქიური შემგროვებლობა და ნადირობა ისევ იყო უმთავრესი საზრდოს მომტანი, მაგრამ მათ გვერდით ჩნდებოდა კულტურული მცენარეები (მაგ. ხორბალი, ვაზი).

მათი უძველესი კვალი ჩანს ჩრდილოეთ აფრიკაში, პალესტინაში, სირიაში, ბირმაში, კავკასიაში (ძვ. წ. V ათასწლეულიდან), ამერიკაში (ძვ. წ. VI ათასწლეულიდან).

მიწათმოქმედებას სჭირდებოდა სითბო, წყალი, ნოყიერი ნიადაგი, რაც წარმოქმნიდა მცენარეულ საფარველს. ამიტომ სახლდებოდნენ მდინარის გარშემო, მდინარეთა შორის არსებულ ველობზე ან გორაკებზე. მაგრამ ეს არ ითქმის მაიას, ტოლტეკების, ინკებისა და აცტეკების ბარბაროსულ ცივილიზაციებზე:

უწყლობის გამო ზოგი მათგანი იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი ქალაქი და სხვაგან წასულიყო.

ადამიანი უფრო დაკავშირებული აღმოჩნდა მიწასთან, რომელსაც ახლა ისე ებრძოდა, როგორც გუშინ ნადირს.

იგი მომთაბარე ცხოვრებას უნდა გამოთხოვებოდა. გადაადგილება უფრო ნელი ტემპით ხდებოდა. მაგ., როცა მიწა გამოიფიტებოდა ან გვალვა მოსპობდა ხორბალს და ქერს, ეპიდემია დაერეოდათ ან ერთი ტომი მეორეს სძლევდა.

პირველხილული ტერიტორიისადმი ცხოველურ ნდობას დაერთო მშობლიურობის გრძნობაც.

მიწა, რომელსაც ველური სახეს უცვლიდა, მისი იყო და მას ვერ მიატოვებდა, თუ მტერი არ განდევნიდა.

მიწა ისევე იძლეოდა საკვებს, როგორც დედა. მიწის დამუშავება სექსუალური ორგიის იმიტაცია იყო, მიბარებულ თესლს, რომ ინახავდა და აღმოაცენებდა.

ამიტომ იყო ბერძენისა და ქართველისათვის მიწა დედა – გეა.

გაჩნდა გამწევი ძალაც – ხარი, ზებუ, კამეჩი.

ერთ ადგილზე ცხოვრებამ კი ახალი წესები წარმოქმნა. ველური მღვიმის ბინადარი ვეღარ იქნებოდა, ვეღარც დიდი ხის გარშემო გამართავდა ქოხს.

მაგიის იდუმალება ადგილს უთმობდა სასტიკი რეალობის მოთხოვნებს.

ზოგან მღვიმის იმიტაციით მიწის სიღრმეში კვეთდნენ საცხოვრისს, რაც ქალაქებად იქცა. მაგ., თურქეთში, პევშეხირაში აღმოჩნდა 5 000 წლის წინანდელი მიწისქვეშა უზარმაზარი ქალაქი. კრეტაზე კი გამოუკვეთავთ მიწისქვეშა მეგალითური ტაძარი – 7 000 წლის წინათ.

თავდაპირველად იგი მღვიმე ყოფილა, 11 მეტრის სიღრმისა.

მთელს ევროპაში დაქსელილი ყოფილა მიწიქვეშა გვირაბები, რაც მღვიმური სისტემის მოწესრიგებაა.

ფანტასტიკური მიწისქვეშა ქალაქი-სასახლე აღმოჩნდა ჩინეთში, რომელიც მრავალი საუკუნე წყლით იყო ამოვსებული (ლონგიუს გამოქვაბულები, 24 ოთახი, ჭერი – 30 მ, ქანდაკებები, რელიეფები, 2 200 წლისა, ფართი – 30 000 კვ/მ).

ნეოლითის პერიოდში უფრო ეფექტურად ამუშავებდნენ ქვის, კაჟის, ძვლისა და რქის იარაღებს. არსებულა კაჟის მაღაროები და დამმუშავებელი სახელოსნოები (მაგ., ინგლისისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე). ასეთი იარაღებით (მაგ., ცულით) შეიძლებოდა ხის მოჭრა და დამუშავება, ნავისა და ნიჩბების გამოთლა, სახლის ძელების დამზადება.

კეთდებოდა ხელსაფქვავები, როდინები, ისრისა და შუბის ბუნიკები, თიხის ჭურჭლები, კაჟისა და ძვლის ნამგლები და თოხები, ძვლის ნემსები და ანკესები.

გამოიგონეს ბორბალი და იალქანი, გუთანი და ჭურჭელი. დაიწყეს რთვა და ქსოვა. მიწათმოქმედება ადამიანს მიწასთან და სახლთან ამაგრებდა. ეს კი მოითხოვდა საარსებო პირობების კეთილმოწყობას, აუცილებელი ნივთების დამზადებას, წესების გამომუშავებას.

პირველად „შავთავიანმა“ ბრაქიცეფალმა შუმერებმა ამოაშრეს ჭაობები, გაიყვანეს არხები და მოიწიეს უხვი მოსავალი. ისინი მესოპოტამიაში გამოჩნდნენ ძვ. წ. IV ათასწლეულში.

მარცვლეულთან ერთად ინახავდნენ მარცვალგარეული თიხით გამოძერწილ ფალოსის, მოზვრის, ქალისა და კაცის გამოსახულებებს ცხოველთა სახით, რაც საფუძვლად დაედება ნაყოფიერების ღვთაებებს.

ქსენოფონტეს ცნობით, მოსინიკებს ორი წლის ხორბლის მოსავალი ჰქონიათ ბეღლებში შენახული. თუ ბოსელი ითვლებოდა შობის ადგილად, ბეღელი და ყანა განაყოფიერების ადგილი იყო.

მიწათმოქმედების დამწყებად ქალს მიიჩნევენ, ვინც დასაბამიდან იყო დაკავებული შვილების მოვლითა და შემგროვებლობით (სოკო, ფესვები და ბოლქვები, ყლორტები, ტყის ხილი, კენკროვანები, კალიები, კიბორჩხალები, ფრინველის კვერცხები), ისევე როგორც ნადირობით – მამაკაცი.

ასევე ქალი იწყებს ჭურჭლის ძერწვას, კერამიკას, ქსოვას, კულინარიას. ინდოევროპულ ენებში თავისუფალი ადამიანი ეტიმოლო-

გიურად უკავშირდება ზრდას, მცენარის ამოსვლას, მინდორს, ხვნას, თავთავს, ე.ი. მიწათმოქმედებას (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

მწყემსი

მესაქონლეობა მამაკაცს უკავშირდება, ისევე როგორც საერთოდ ცხოველთა მოშინაურება. იგი მუდმივ, ყოველდღიურ შრომასა და ზრუნვას მოითხოვდა, ძალასა და ენერგიას.

ჯოგს მწვანე ბალახით დაფარული ველები სჭირდებოდა, გადაადგილება და ტერიტორიის ცვლა. მწყემსი ადგილის მკვიდრი ბინადარი ვერ იქნებოდა. ადამიანის მთავარი მეგზური ცხვარი და ძაღლი გახდა, შემდეგ – აქლემი და ცხენი.

მეჯოგეს სადგომი უნდა ჰქონოდა, სადაც იცხოვრებდა მისი ცოლ-შვილი. სადგომს გადახურვა სჭირდებოდა, ცოლ–შვილს – საკვები და ტანსაფარველი.

ხორცისა და ტყავის მოსაპოვებლად მიწის მუშაკი ყოველდღე ვერ ინადირებდა. მას ცხოველები ახლო უნდა ჰყოლოდა. ასე ჩნდებოდა მემცენარეობისა და მიწათმოქმედების შემდეგ მესაქონლეობის აუცილებლობა. აქეთკენ უბიძგებდა ველურს სასიცოცხლო ინსტინქტები.

ყველაზე ადრე მოიშინაურეს ცხვარი. ეს მოხდა მესოპოტამიაში (11.000 წლის წინათ), შემდეგ თხა (10.000 წ.) და ძაღლი (9. 000 წ.), რომლის წინაპარია მგელი.

ცხვრის ფარა და ხორბლის თავთავი გახდა უძველეს დროშივე საარსებო წყარო (საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია 6.000 წლის წინანდელი ცხვრის ქანდაკება).

ზოგი ცხოველი არ დაემორჩილა მოშინაურებას და ისევ ველური დარჩა (მაგ. ანტილოპა, მაიმუნი, მელა, წერო, აფთარი).

მიწათმოქმედის მსგავსად მესაქონლეც შრომით აღმოჩნდა დაკავებული, თუმცა გადაადგილება შეეძლო.

მწყემსი იქცა როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ისე მღვდელ-მთავრის სიმბოლურ სახელად, ისევე როგორც კომბალი (არქეტიპუ-ლად – ფალოსი) გარდაიქმნა კვერთხად – ძალაუფლების განუყრელ ატრიბუტად.

მწყემსი ისევე პატივდებული გახდა, როგორც მონადირე. მაგ., ხეთების კანონით მწყემსის ძაღლის მკვლელს 20 სიკლი ვერცხლი უნდა გაეღო, ხოლო ეზოს ძაღლისას – მხოლოდ ერთი სიკლი.

მწყემსიც ისევე უნდა დაღუპულიყო, როგორც გმირი, ბელადი და ღმერთი (შდრ – მწყემსი ეწოდება დუმუზს, ატისს, ადონისს, დაფნისს, ქრისტეს).

ამრიგად, შემგროვებლობამ შვა მიწათმოქმედება, ნადირობამ – მესაქონლეობა, რასაც „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ.

ცხენი

ცხენი მხოლოდ 4.000 წლის წინათ გახდა ადამიანის მეგზური და მეგობარი. მან, როგორც გადაადგილების ეფექტურმა საშუალე-ბამ, აჯობა ვირს, აქლემს, სპილოს და დიდად დააჩქარა პროგრესი, ისევე როგორც ბრინჯაომ და რკინამ (ჰამურაბის კოდექსი არ იხსენი-ებს ცხენს – ძვ.წ. XVIII ს.).

ბაბილონში ცხენი შეიყვანეს კასიტებმა: კრეტა-მიკენის ადრეუ-ლი ხანის პონის მსგავსი ცხენი მხოლოდ ეტლებისათვის იყო გამო-სადეგი (კნოსოსს ჰყოლია 200 ეტლი).

ქართველურმა ტომებმა ცხენი გახედნეს 3.200 წლის წინათ.

ცხენმა ისევ ააბობოქრა ველური წინაპრების სისხლი, რასაც მოჰყვა ტერიტორიების ათვისება და სახელმწიფოთა წარმოქმნა.

ამერიკის კონტინენტზე ცხენს არ იცნობდნენ, ისევე როგორც ბორბალს, თუმცა ველური ცხენის პრასამშობლო სწორედ ამერიკაა. იქ მხოლოდ 500 წლის წინ დაინახეს ცხენოსანი და გაოცებულ ხალხს კაცი და ცხენი ერთი არსება ეგონა, რამაც თავზარი დასცათ.

ირ ოკეზებს მხოლოდ ძაღლი ჰყავდათ მოშინაურებული.

ცხენის გამოჩენამდე იბრძოდნენ ვირშებმული ოთხთვალა საომარი ეტლებით (მაგ., მესოპოტამიელი ლაგაშელები).

ინდოევროპულ ენებში mar ძირიდან მოდის კაცი, ზღვა, ცხენი, სიკვდილი და დამარხვა.

სპილენძი და რკინა

5.000 წლის წინათ დასრულდა ენეოლითი – ახალი ქვის ხანა: ადამიანმა მიაგნო ლითონის წრთობის საიდუმლოს. დაიწყო სპილენძის და ბრინჯაოს (90% სპილენძი + 10% კალა ან დარიშხანი) მუზარადების, ჩუგლუგების, ფარების, მახვილების, ჯავშანის, ისრისა და შუბის ბუნიკების, შრომის იარაღების, ყოფითი ნივთების დამზადება.

კერამიკულ ნაკეთობათა გვერდით სულ უფრო მეტ ადგილს იჭერდა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეული, თასები, საყურეები, ყელსაბამები, ძეწკვები, ცხოველთა და ადამიანთა ქანდაკებები.

ძვ.წ. III ათასწლეულიდან ეგვიპტელები ამზადებდნენ გამჭვირვალე და ფერად მინებს, ხელის სარკეებს; ლამპებსა და ჩირაღდნებს ანთებდნენ ქონით, ფისით ან ცვილით გატენილი მცენარის ღეროსაგან.

მაგრამ პროგრესისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა საბრძოლო იარაღების გამოჭედვა, რომლის შედეგი იყო დაპყრობითი ომები, მიტაცებულ მიწაზე მცხოვრებთა დამონება, მონური შრომის გამოყენება.

3.000 წლის წინათ რბილი სპილენძი შეცვალა ბასრმა რკინამ, შემდეგ – ფოლადმა. მაგ., თანამედროვე საბერძნეთის, გერმანიის, რუსეთის, უკრაინის, ციმბირის, ჩინეთის, ესპანეთის ტერიტორიაზე.

ელინელთა ფანტაზიამ ეს პრომეთეს მითში მოაქცია.

პრომეთეს კულტურულ გმირს უწოდებენ, რომელმაც გააცნო მოძმეთ ცეცხლის საიდუმლო, ასწავლა ლითონის წრთობა და საგნების გამოყვანა, შეაბა გუთანში ხარი, რომელსაც დიონისეს ჰიპოსტასად მიიჩნევდნენ, და მიწის მუშაკს შრომა გაუადვილა.

ამის გამო ზევსმა პრომეთე კავკასიონის კლდეზე მიაჯაჭვა, სადაც არწივი თირკმლებს უკორტნიდა, ზაფხულში სიცხე სტანჯავდა და ზამთარში – სუსხი.

ქართველური ტომები (მაგ., მოსინიკები და ხალიბები) II ათასწლეულის მიწურულისათვის დაეუფლნენ რკინის მადნის დამუშავების საიდუმლოს. ეს კვალი ჩანს რაჭაში, სამთავროს სამაროვანში, ძველ ბერძენ ავტორებთან.

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჰეროდოტეს ცნობით, ქართველურ ტომებს (მოსხებს, კოლხებს, მაკრონებს, მოსინიკებს, ტიბარენებს), რომლებიც მონაწილეობდნენ ქსერქსეს ლაშქრობაში ბერძენთა წინააღმდეგ (ძვ. წ. 480 წ.), თავზე ხის მუზარადები ხურებიათ, ხოლო ფარები რკინისა კი არა – ტყავისა ჰქონიათ. მხოლოდ ხალიბებს ეხურათ ხარისრქიანი სპილენძის მუზარადები.

თუკიდიდე წერს, რომ ძველი ელინი იარაღს სახლშიც კი არ იხსნიდა.

თავდაპირველად რკინა ოქრო-ვერცხლზე გაცილებით მეტად ფასობდა. მაგ., ასურეთში იგი ყოფილა ვერცხლზე 40-ჯერ და ოქროზე 5-ჯერ ძვირი. შდრ - კელერმესის ერთ-ერთ სკვითურ ყორღანში ნაპოვნ რკინის ცულს ოქროს ტარი აქვს (ძვ. წ. VI ს.).

ლითონი ჯერ იჭედებოდა. შემდეგ დაიწყეს დნობა და ყალიბში ჩამოსხმა.

ქართული სიტყვა ლითონი მოდის ბერძნულიდან, რაც ქვას (lithos) ნიშნავს, ისევე როგორც ლათინური metallum.

ქართული ქვა კი ხეთური ძირის სიტყვაა (გრ. გიორგაძე), რაც გახდა რკინის საწყისი (აქუ – ქვა – რქა – რქენა – რკენა – რკინა).

გ. მელიქიშვილის აზრით, რკინა მოდის ხეთურიდან – kuuanna, რაც სპილენძს ნიშნავს.

ასეა თუ ისე, ქვას უკავშირდება ქონა და ქონებაც.

სისხლი და ოფლი

იქმნებოდა ეკონომიკისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა ბაზისი, მატერიალური საგნების გაცვლა შესაძლებელი ხდებოდა. ეს კი უკავშირდება ზედმეტ პროდუქტს, რაც იქცევა აღებ-მიცემობის, ვაჭრობის, წარმოებისა და საწარმოო ძალთა განვითარების საწყისად (იხ. „ვაჭრობა და ფული“).

მონადირე სისხლს ღვრიდა და სარჩოს ასე შოულობდა. მიწათმოქმედი და მესაქონლე კი ოფლს ღვრიდა. ისინი არა ბრძოლით, არამედ – შრომით იძენდნენ საარსებო ლუკმას. თავგანწირული შრომით აშენდა უდიდესი ტაძრები, პირამიდები და ამფითეატრები, აკროპოლი და კოლიზეუმი, ალექსანდრიის შუქურა და დიდი ჩინეთის კედელი, გაყვანილ იქნა გზები და არხები, გამოიჭედა იარაღები, გაკეთდა მრავალგვარი ჭურჭლეული და სამკაული.

ჭაობიან ადგილებში არხები გაჰყავდათ და წყალს აშრობდნენ. უდაბნოში წყალი არ იყო და იქაც არხები იყო საჭირო, რათა წყალი შეეყვანათ.

გაზაფხულზე ნილოსი, ტიგროსი და ევფრატი მიდამოს წარღვნასავით გადაუვლიდა და ტბორავდა.

აუცილებელი იყო ჯებირებისა და წყალსაცავების აგება.

ირიგაციის გარეშე სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდებოდა.

ძველი ეგვიპტელები ხის დასამუშავებლად იყენებდნენ შალაშინს, შეეძლოთ ავეჯის აწყობა; ეგვიპტესა და მესოპოტამიაში ხელოსნები ამზადებდნენ გრძელ სკამებს, სავარძლებს, საწოლებს, ერთ თუ ოთხფეხიან მაგიდებს, ზანდუკებს, სამფეხიან ტაბურეტებს, კარადებს.

შრომა ადამიანისათვის საარსებო აუცილებლობა გახდა. მშრომელის ხელი სჭირდებოდა ცხვრისა თუ ცხენის მოვლას, ხორბლისა თუ ბრინჯის მოწევას, სახლის თუ ნავის აგებას, ქსოვას თუ თიხის ნაკეთობათა გამოწვას ანუ, როგორც ამბობდა ენგელსი, შრომამ შექმნა ადამიანი.

ახლაც ფსიქიატრები ფსიქო-ნერვული ავადმყოფისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავისუფალ შრომას, რომელიც თამაშსა და გართობას ჰგავს.

თუ სნეულში შრომის უნარი გაძლიერდა, დატვირთვა გადადის სხვა ნეირონებზე და შიში და აგრესია განიმუხტება. ის ნეირონები, რომლებიც აკვიატებასა და ფობიებს ატარებენ, თავისუფლდებიან მუდმივი დაწოლისაგან, როგორც კომპიუტერი – ვირუსებისაგან.

ველურისა და ბარბაროსის მიწაზე დამაგრება, აგრესიული ინსტინქტების შრომითი სახეცვლა ანელებდა შინაგან ღელვას და ასპარეზი ეძლეოდა მოძალებულ, ამღვრეულ გრძნობათა კულტურის წესრიგად კონსტრუირებას.

2. სახელწიფო – კულტურის გარსი

ღმერთები ზეცაში აიჭრნენ ან ქვესკნელში ჩავიდნენ. ადამიანი კი მტანჯველ რეალურ საგნებს ეხლებოდა, შრომობდა, იგერიებდა შინა და გარე მტერს, იცილებდა საფრთხეს, უმკლავდებოდა მზესა და ავდარს, შიმშილსა და სნეულებას, უყვარდა, სძულდა, ანგრევდა და აშენებდა და ასე ლევდა სულს.

ცხოვრებისაგან შერისხული ოცნებობდა და ეს ოცნება იყო ხელოვნება, რომელიც ღმერთების თვალებიდან იხედებოდა.

აგებდა სახლებსა და ქალაქებს, ოჯახს უვლიდა, შვილებს ზრდიდა, მათ გადასცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას, იცავდა რწმენასა და ღმერთებს, კერასა და მიწას.

სახელმწიფო და მმართველობა ჰკრავდა კულტურულ წარმოდგენათა გარსს, რომელშიც ისევ იწვრთნებოდა გონი და რეგულირდებოდა ინსტინქტები, იზრდებოდა ინტელექტი.

ტოტემური კავშირები და ტერიტორიის გრძნობა ადამიანმა სახელმწიფოდ აქცია, რაც ნიშნავდა ენის, მიწის, ღმერთების, ადათ-წესების, წინაპართა სულების ნებაყოფლობით ან ძალდატანებით ერთიანობას.

Homo sapiens-ის ბუნებას მრავალსაუკუნოვანი ულმობელი წრთობა სჭირდებოდა, ვიდრე ბელადი მეფედ იქცეოდა, გვარტომი შექმნიდა ფრატრიებსა და ტომთა კავშირებს, ტომთა ერთიანობა კი – სახელმწიფოს.

სახელმწიფოები თითქმის ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩნდებოდა (შდრ – ადამიანისა, ტოტემისა და ტაბუს, ღმერთებისა და ენის წარმოშობა) დედამიწის სხვადასხვა წერტილში:

ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს ნილოსის დაბლობსა და შუამდინარეთში, III ათასწლეულის ბოლოს – ინდის აუზში, II ათასწლეულში – ეგეოსის ზღვის აუზში, მცირე აზიაში, ფინიკიაში, სამხრეთ არაბეთში, ხუანხეს აუზში (ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი).

სახელმწიფო ძალდატანებითი გაერთიანება იყო, სისხლითა და მახვილით შექმნილი ანუ სახელმწიფოს წარმოშობდა ომი – ტომთა და ფრატრიათა საარსებო სივრცის გაფართოება.

შუასაუკუნეებში ერი ქმნიდა სახელმწიფოს, ბრინჯაოს ეპოქაში კი – სახელმწიფო ერს, როცა ერთი ან რამდენიმე მონათესავე ტომი იერთებდა სხვათა მიწას და განავრცობდა თავის მზერასა და სარბიელს.

ღმერთი, სატრფო და სამშობლო იქცა კულტურისა და ხელოვნების ფუძედ და შთაგონებად.

ომი და პროგრესი

შრომის კულტურა ცხოველთა სამყაროსათვის უცნობი უნარია. იგი ინსტინქტთან ერთად მოითხოვს გონს, მაგრამ გონის აფეთქებამ კაცობრიობა საომარ ეტლზე შეაყენა და სწორედ ომმა მოახდინა ადამიანურ ძალთა და შესაძლებლობათა უმაღლესი კონცენტრირება, რა დროსაც აფექტები კულმინაციას აღწევენ.

კომპიუტერულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ ბოლო 5200 წლის მანძილზე გამართულა 14500 ომი და დახოცილა 3 მლრდ. 640 მლნ. ადამიანი.

კაცთშეწირვას, ტომის გამოკვებას მტრის ხორცი და მუშახელი სჭირდებოდა; XX საუკუნეშიც კი ბორნეოს კუნძულზე ადამიანის თავებზე ნადირობდნენ. მათ სასუქად იყენებდნენ, რათა მეტი მოსავალი მოეწიათ. ასეთი მოსავალი ქალს ნაყოფიერებას და კაცს ძლიერებას შემატებდა.

ცხენზე ამხედრებული, რკინით შეჭურვილი მეომარი ხმლით იპყრობდა ახალ მიწებს. იქ მოსახლეებს ხოცავდა ან მოერეკებოდა თავის სამშობლოში, ავრცელებდა თავის რელიგიას, ცხოვრების წესს, ძარცვით ამდიდრებდა საკუთარ ხალხს და უფრო განიმტკიცებდა ძალაუფლებას.

ველური თუ თავისი ტომის სივრციდან გასვლას უფრთხოდა, ახლა იმსხვრეოდა მაგიური და რეალური ჯებირები.

კაცთა სისხლი უმოწყალოდ იქცეოდა, ინგრეოდა ქალაქები და სოფლები, ტაძრები და სასახლეები, გადამწვარ ნასახლარებს მიწა და ეკალ-ბარდი ფარავდა.

მოსახლეობა კი მაინც სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ცხვრის ფარა და ხორბლის თავთავი საკმარისი აღარ იყო. გამოფიტული მიწა მოსავალს ვეღარ იძლეოდა, საძოვრები მცირდებოდა.

ახალ მიწათა ათვისება კი უსისხლოდ შეუძლებელი იყო, რადგან მეზობელსაც იგივე საწუხარი ჰქონდა.

ისიც მიწის სიმწირეს უჩიოდა.

სასახლეთა და ტაძართა ანუ არისტოკრატთა და ქურუმთა მთავარ შემოსავალს მიწა იძლეოდა.

ქონების მატება ტერიტორიის გაზრდით უნდა მომხდარიყო. ეს ომს ნიშნავდა. ომს დიდი ხარჯი და დიდი მსხვერპლი ახლდა.

ნებაყოფლობით არავინ არავის დაექვემდებარება.

ომი და ომის მუდმივი საფრთხე, დაპყრობის ჟინი, თავდაცვის აუცილებლობა ავითარებდა ორგანიზაციულ სტრუქტურას, საბრძოლო ტექნიკას, ქალაქებისა და სიმაგრეთა მშენებლობას, ქირურგიას, სასიცოცხლო განცდებს, იწვევდა ძალთა უკიდურეს მობილიზებას; ომი აძლევდა დასაბამს და აყალიბებდა როგორც მართლმსაჯულებას, ისე ვაჭრობას.

ევროპის, კერძოდ – გერმანიის ტერიტორიაზე პირველი ომი მომხდარა ბალტიის ზღვის ახლოს ძვ. წ. 1250 წელს. დაღუპულა რამდენიმე ათასი. ჰყოლიათ ცხენები, ჰქონიათ შუბები, მშვილდისრები, ხმლები, ცულები.

შიშითა და კომფორტით ფრთაასხმული, გამარჯვებებით მთვრალი სული მიწაზე ვერ ეტეოდა.

დაიწყო ტყვეებისადმი სასტიკი მოპყრობა.

უფასო მუშახელი აგებდა ტაძრებს, სასახლეებს, გემებს, გაჰყავდა გზები და არხები, ემსახურებოდა დამპყრობელს, ამზადებდა იარაღს, უვლიდა მცენარესა და საქონელს.

ველური და ბარბაროსული ინტეგრაცია კრავდა იზოლირებულ, უცხო ტომებს, ქმნიდა ადამიანთა ერთობის ახალ სახეს – სახელმწიფოს (მაგ., ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი).

უდიდეს მსხვერპლთან ერთად ომებს მოჰქონდათ უდიდესი პროგრესიც: რომ არა ასეთი შეჯახებანი, ერთა, ენათა და კულტურათა შერწყმა, ევრაზიაც დარჩებოდა ავსტრალიური, აფრიკული და ამერიკული ტომების დონეზე.

შრომა ევოლუციაა, ომი – რევოლუცია. შრომა მორჩილებაა, ომი – ამბოხი. შრომა წესრიგი და პროპორციაა ანუ აპოლონური სტიქია, ომი – დაუთრგუნავი სულის შფოთვა ანუ დიონისური სტიქია, სახეცვლილი კანიბალიზმი, რაც იქცა ხელოვნების უშრეტ წყაროდ.

ორივე მათგანს კი მივყევართ ინსტინქტურ მოთხოვნილებათა რეალიზებისაკენ.

სიცოცხლე კი, როგორც ვთქვით, ვითარდება სხვათა სიცოცხლის შთანთქმის ხარჯზე, ანუ კანიბალისტური ნადირობა იყო ომის პრა-ფორმა, ომი კი – სახელმწიფოსი.

ამიერკავკასია – კულტურის ერთ-ერთი კერა

მეცნიერთა აზრით, ამიერკავკასიაც არის ის ტერიტორია, სადაც დაიწყო ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი (მაგ., უდაბნოპითეკი, მლნ 700.000 წლის დმანისური თავის ქალა) და ჩაისახა კულტურის ფორმები:

„კავკასიაში (პირველად ამიერკავკასიაში) მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ჩასახვა მიეკუთვნება გვიან ნეოლითს (ძვ. წ. VI ათასწლეული). მისი ხასიათი მეტყველებს ადგილობრივ ღრმა ფესვებზე, მაგრამ შეიმჩნევა სტიმულირებული გავლენის როლი სამხრეთიდან, წინა აზიის განვითარებული ოლქებიდან. ძვ. წ. VI ათასწლეულის ბოლოს ამიერკავკასიაში ყალიბდება დამჯდარი ენეოლითური კულტურა, რომელიც ვითარდება ძვ. წ. V–IV ათასწლეულებში. მოსახლეობა ცხოვრობდა ალიზით ნაგებ მრგვალ სახლებში, მოჰყავდა ხორბლისა და ქერის რამდენიმე სახეობა, აგრეთვე ფეტვი.

მოშინაურებული ჰყავდათ ცხვარი, თხა, მსხვილფეხა საქონელი, ღორი. ძვ. წ. III ათასწლეულში კავკასიაში განვითარებულია ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურა“ (ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ, ალექსეევი).

ამ პროცესში მონაწილეობდა იბერიულ-კავკასიური, ქართველური ტომების ერთი ნაწილი, რომელსაც ეკავა დღევანდელი საქართველოს ტერიტორია. დანარჩენი ტომები ცხოვრობდნენ მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში, სადაც მათ უხდებოდათ ხშირი შეტაკებანი სემიტებთან და ინდოევროპელებთან, ძვ. წ. VII საუკუნეში კი – სკვითებთან და კიმერიელებთან.

კიმერიელებმა დაამარცხეს და დაფანტეს ქართველური ტომები, რომლებიც სტოვებდნენ მცირე აზიას და მიიწევდნენ დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისაკენ.

დაკარგული მცირე აზია

როგორც მეცნიერები ცხადყოფენ, იბერიულ-კავკასიური და ქართველური ტომები აქტიურად მონაწილეობდნენ წინააზიისა და მცირეაზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხათებისა და ხეთების, ურარტუს, ხურიტების (მითანის), ფრიგიის, კაბადოკიისა და პონტოს სახელმწიფოთა ფორმირებაში.

მათ განადგურებას მოსდევდა მორიგი მიგრაცია ჩრდილოაღმოსავლეთისაკენ ან ასიმილირება მომხდურებთან. მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო თავის გადარჩენა – ლაზებმა შავიზღვისპირეთში და მესხებმა მტკვრისა და ჭოროხის ხეობაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია).

„მკვლევრები ვარაუდობენ, ძვ.წ. I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიაში ქართველური და ჩრდილოკავკასიური მოდგმის ტომების არსებობასაც. ასეთ ტომთა რიცხვს ჩვეულებრივ აკუთვნებენ

მუშქებს (გვიანდელ მოსხებს – მესხებს), თაბალელებს (გვიანდელ ტიბარენებს), ქასქებს (გვიანდელ ქაშაგებს), ცუფანელებს (გვიანდელ წოვებს) და სხვ.“ (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 250).

ენათმეცნიერების აზრით, **„იბერიულ-კავკასიური ოჯახის ენები მომდინარეობენ წინააზიურ-კავკასიური უძველესი ენობრივი ერთობისაგან“** (ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, თბ., 2005, გვ. 252).

პროტოხეთების (ხათების) ენას სპეციალისტები აკავშირებენ აფხაზურ-ადიღეურთან და კოლხურთან, ხურიტების ენას (მითანის სახელმწიფო) – ნახურ-დაღესტნურთან.

ეს ხალხები მცირეაზიაში ძვ.წ. III ათასწლეულში ცხოვრობდნენ.

ამ დროს უკვე დარღვეულია იბერიულ-კავკასიური ენების ერთობა.

უძველესი ქართველური სახელმწიფოებრივი გაერთიანებანია მუშქების სამეფო და კოლხების სამეფო, რომელთა წარმოქმნა უკავშირდება ხეთების სახელმწიფოს დაცემას (ძვ. წ. XIII ს.).

დიაოხის ქვეყანა, რომელიც მდიდარი და მრავალრიცხოვანი ყოფილა, ასურელ მეფეთა ლურსმულ წარწერებში იხსენიება ძვ.წ. XII საუკუნიდან. იგი გაუძარცვავს და გაუნადგურებია ურარტუს მეფე არგიშთი პირველს (ძვ. შ. 781-760).

ეს სამეფო არსებულა ევფრატის სათავისა და არზრუმის რაიონში (გ. მელიქიშვილი).

ძვ. წ. XII საუკუნიდან ჩანს მცირეაზიელი მუშქების (მოსხების) სახელიც (შდრ. შუმერში არასრულუფლებიან ხალხს ერქვა „მუშქენუ“).

სპეციალისტები აიგივებენ ფრიგიასა და მუშქების (ბიბლიური მოსოხების, თანამედროვე მესხების) ქვეყანას.

ფრიგიელებმა შექმნეს საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, კულტურა, დამწერლობა, რომელიც ფინიკიურიდან მოდიოდა (ძვ. წ. VIII საუკუნის 30-იანი წლები).

ფრიგიელების მთავარი ღვთაება იყო დიდი დედა კიბელე, რომელსაც შეესაბამება ქართული კოპალე, ისევე როგორც ურარტულ კუერას – კვირია.

ფრიგიაში მუშქებთან ერთად სხვა მრავალი ტომიც ბინადრობდა, რომლებმაც საერთო სახელმწიფო შექმნეს. მათგან ალბათ ბერძენი იონიელები იქნებოდნენ მთავარი ძალა.

ძვ. წ. 676 წელს კიმერიელებმა და ურარტუელებმა გაანადგურეს ფრიგია. მეფე მითამ (მიდასმა) თავი მოიკლა (შდრ – მეგრული „მითაჟამი“ – რაც მითას დროს, უხსოვარ დროს ნიშნავს).

კოლხეთი ცნობილია ბერძნული არგონავტების მითით, რომელსაც ძვ. წ. XIII საუკუნეს განაკუთვნებენ (გ. მელიქიშვილის აზრით, VIII საუკუნე, რაც სწორი უნდა იყოს).

ურარტული წყაროები მას VIII საუკუნიდან იხსენიებენ კულხას სახელით (შდრ – ასურეთის ძველ დედაქალაქს ერქვა კალახა). ისიც VII საუკუნეში გაანადგურეს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა კიმერიელებმა, თრაკიულმა ტომებმა.

ამის შემდეგ დგება „ბნელი პერიოდი“.

დღეს უარყოფენ ქართველურ ტომთა მცირეაზიიდან კავკასიისაკენ გადმოსახლების ევროპელ ისტორიკოსთა თეორიას, რომელიც განავითარა ივანე ჯავახიშვილმა.

მიგრაციის თეორია მართებული აღმოჩნდება თუ მოხდება ქრონოლოგიური კორექტირება, თუ გავითვალისწინებთ ქართველური და კავკასიური ტომების განფენის არეს, მათ არა უეცარ, არამედ – საუკუნეთა მანძილზე მიგრაციას, VII საუკუნიდან ცენტრის გადანაცვლებას სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, კიმერიელების მიერ დამარცხებული ქართველური ტომების შემოსვლას ქართლში, თავიანთი ღმერთების დამკვიდრებას, მცხეთის დაარსებას.

ალბათ ამ თეორიას, ისევე როგორც იბერიულ-კავკასიური ენების ერთიანობას, უფრო მოსკოვის გავლენით უარყოფდნენ.

რუსებს უნდოდათ ქართული არეალის მაქსიმალური დავიწროება როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე ასპექტში, მოწყვეტა როგორც მცირე აზიისაგან, ისე ჩრდილოეთ კავკასიისაგან.

რუსებისათვის კიდევ უფრო მიუღებელი იყო სიმონ ჯანაშიას კონცეფცია, რომელმაც ქართველური ტომები წინააზიის მკვიდრ მოსახლეობად გამოაცხადა, მათ დაუკავშირა შუმერები, ხეთა-სუბარები (რომელთაც შექმნეს ურარტუ), ბალკანეთის (პელაზგები), აპენინის (ეტრუსკები), პირენეის (იბერები) ნახევარკუნძულთა უძველესი მოსახლენი.

ს. ჯანაშიას კონცეფცია ემყარებოდა ფ. ჰომელის, ნ. მარის და სხვა გამოჩენილ ისტორიკოსთა და ლინგვისტთა შეხედულებებს.

როგორ ჩანს, ძვ. წ. III ათასწლეულიდან დაიწყო დღევანდელი ქართველებისა და აფხაზ-ადიღეველების წინაპართა ეთნიკური ჩამოყალიბება და ლტოლვა სამხრეთიდან დასავლეთისაკენ. ბირთვი იყო მრავალეთნიკური მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურები (აღმოაჩინა არქეოლოგმა ბ. კუფტინმა).

ძვ. წ. IV-III ათასწლეულში აღმოსავლეთ ანატოლიასა, ურმიის-პირეთსა და ვანის ტბის რაიონში, დღევანდელი დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო საკმაოდ ერთგვაროვანი მტკვარ-არაქსის კულტურა.

ამ კულტურას მიიჩნევენ არა ადგილობრივად წარმოქმნილ, არამედ – მცირეაზიიდან ან ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შემოსულად. ეთნიკურად ზოგი მას უკავშირებს უძველეს, ერთიან იბერიელ-კავკასიელებს, ზოგიც – ინდოევროპელებს.

შემდეგ, III ათასწლეულის დამლევს, კავკასიაში ირანიდან მოდის ახალ ხალხთა ნაკადი, იგი ცვლის მტკვარ-არაქსის კულტურის სახესა და საზღვრებს.

ყალიბდება თრიალეთის განსხვავებული ყორღანული კულტურა, რაც სიახლოვეს ამჟღავნებს როგორც ხეთებთან (მაგ., დამარხვის წესი – მიცვალებულთა კრემაცია და ეტლზე დასვენებული ფერფლის დამარხვა), ისე ჩრდილო კავკასიასთან და ხურიტებთან (უდი-

დესი ქვაყრილის დიამეტრი – 100 მ, სიმაღლე – 8 მ, ფართი – 150 კვ/მ.).

ზოგი ვარაუდობს, რომ ხურიტები იყვნენ დაღესტნელთა და ვაინახთა წინაპრები, რომლებმაც დატოვეს კავკასია და სამხრეთისაკენ წავიდნენ (ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგი). მათ კვალს ხედავენ სევანის ტბის მიდამოებისა და სამხრეთ აზერბაიჯანის ტოპონიმიკაში.

ამიტომ ეკავათ დღევანდელი ვაინახებისა და დაღესტნელების წინაპრებს საკმაოდ დიდი ხანი ქართლი, კახეთი და დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილი (ალბანეთი), ხოლო აფხაზთა და ჩერქეზთა წინაპრებს – ჩრდილო-დასავლეთი საქართველო (ივ. ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი).

ქართველური ტომები ამიერკავკასიაში

პალეოლითის დროს კავკასიონის ქედის მუდმივი თოვლის ხაზი 1200-1300 მეტრით დაბლა იყო ჩამოსული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს დღევანდელ მიწაზე მკაცრი კლიმატი იდგა (მაგ. საგვარჯილეში ნაპოვნია გრძელბეწვიანი მარტორქის, საკაჟიაში – ლოსის, ხოლო მღვიმევში – გამოქვაბულის ლომის ნაშთები).

ადამიანი მღვიმეს უნდა შეფარებოდა ან სამხრეთისაკენ წასულიყო.

აქ ჰომინიდი უძველესი დროიდან ბინადრობდა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია აშელისა და მუსტიეს კულტურათა ძეგლები (მაგ., იაშთხვასა და ოჩამჩირეში).

აღმოჩენილია ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ნასახლარებიც, საგვარეულო სოფლები. აქაც ნაპოვნია ქვის, რქის, ძვლის სხვადასხვა იარაღი, თიხის ჭურჭლები, ქანდაკებები, ბრინჯაოს ნივთები.

როგორც ვთქვით, ძვ. წ. VII საუკუნიდან – დიაოხის, მუშქებისა და კოლხების განადგურების შემდეგ დგება „ბნელი წლები“.

დარტყმა იმდენად შემარყეველი აღმოჩნდა, რომ მათ დატოვეს თავიანთი საცხოვრისი ან აღირივნენ სხვა ტომებთან.

დავიწროვდა ტერიტორია და თვალსაწიერი.

დაჩქარდა მიგრაცია სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მესხური და კოლხური ტომების ერთი ნაკადი შემოვიდა თანამედროვე ქართლის ტერიტორიაზე.

ძვ. წ. VI საუკუნეში მესხებმა დააარსეს ქალაქი მცხეთა.

ქართველური ტომები წელში მაინც ვერ გაიმართნენ:

ახლად წარმოქმნილი იბერია ირანის შემადგენლობაში აღმოჩნდა, სამხრეთ კოლხეთი VI საუკუნიდან ირანის XIX სატრაპია გახდა, შემდეგ პონტომ შეიერთა.

მხოლოდ ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში, 284 წელს, მცხეთელმა ფარნავაზმა, დედით ირანელმა, აღადგინა იბერიის სამეფო და შეიერთა ჩრდილო კოლხეთი.

ეს იყო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედეგი, რომელმაც დაანგრია ირანის იმპერია. იბერია კი აქემენიდების ირანის ერთ-ერთი სატრაპია იყო.

იბერია ჩამოსცილდა ირანს. პირველი მმართველი იყო არიან – ქართლიდან მოსული აზო (ariana – არიული, ე.ი. ირანული – გ. მელიქიშვილი).

ტრადიციულად – საქართველოს აღმოსავლეთი მოქცეული იყო ირანის პოლიტიკურ-კულტურულ არეალში. დასავლეთი საქართველო კი ბერძენთა კულტურის გავლენამ მოიცვა, რაც ჩვენი წინაპრების ცნობიერებაში ბრძენის სახელით შემოვიდა. ასე რომ, ქართული კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულ ახალშენებს შავი ზღვის სანაპიროზე (დიოსკურია, ფაზისი, ტრაპეზუნტი, გიენოსი – ოჩამჩირე, ამისოსი – სამსუნი, პიტიუნტი), რაც ჩნდება ძვ. წ. XI საუკუნიდან (შდრ – Rhion – კონცხი კრეტაზე, Kutaion – ადგილი კრეტაზე (შდრ– ძვ. ინდური patara – მფრინავი, ხეთური pattar –

ფრთა, ურარტული patari – ქალაქი), პატარა – ანტიკური ქალაქი მცირე აზიაში). ფუთი – ქალაქი ჩილდირის ტბის სამხრეთ-დასავლეთით – ძვ. წ. VIII ს.

ამრიგად, ძვ. წ. I ათასწლეულში ქართულ ცნობიერებაში ორი დიდი კულტურული ნაკადი ერთიანდებოდა – ელინური და ირანული, რომელთა ჭიდილში იშვა ქართული სახელმწიფო. ამგვარი გაორება, როგორც ბედისწერა, დღემდე მოსდევს ქართულ ეროვნულს შეგნებასა და სახელმწიფოებრიობას.

ერთი მხრივ – იგი კარჩაკეტილობას არღვევდა და პროგრესთან გვაკავშირებდა, მეორე მხრივ – არისტოკრატიის ამ კულტურებზე აღზრდა, მეფეთა უცხოური წარმომავლობა, უცხო ღმერთებისადმი ერთგულება ქართულ სულს განვითარების სტიმულს უსპობდა.

უცხო გახდა მისაბაძი და სანიმუშო ანუ საუცხოო (შდრ – ლათინური hostis ნიშნავს როგორც უცხოს, ისე მტერს), რაც ხელს უშლიდა ერთიანობას, სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

3. არქაული დემოკრატია

თანამედროვე მოქალაქეს აოცებს თუ როგორ უნდა არსებულიყო ძვ. წ. I ათასწლეულში ათენში, რომსა და კართაგენში დემოკრატია, სადაც ჰყავდათ უხუცესთა საბჭო, ირჩევდნენ განსაზღვრული ვადით შეზღუდულ ერთ ან ორ მმართველს, ჯარის სარდალს, ღებულობდნენ დღევანდელი პარლამენტის მსგავსად კოლექტიურ გადაწყვეტილებებს ძირითად საკითხებზე, თავისუფლად მსჯელობდნენ, ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი იყო...

ეს მაშინ, როცა არც კაცთშეწირვას ივიწყებდნენ (მაგ., კართაგენში), თაყვანს სცემდნენ უამრავ ღმერთს, სერიოზულად კამათობდნენ, მონას აქვს თუ არა სული (მაგ., არისტოტელე), ყველა უცხოს ბარბაროსს ეძახდნენ (მაგ., ათენში). ადამიანს ისე იოლად კლავდნენ,

როგორც პირუტყვს, გლადიატორების სასტიკ შეტაკებებს უყურებდნენ, როგორც სპექტაკლს (მაგ, რომში)...

XV-XVI საუკუნეების ინკების სახელმწიფოში არ ჰქონდათ ფული, არ იყო ვაჭრობა. ყველანი შრომობდნენ და ერთ ადგილზე აგროვებდნენ პროდუქციას. შემდეგ თანაბრად ანაწილებდნენ.

ამგვარი დემოკრატია ჰგავს დეკემბრის მზეში ტყემლის აყვავებას. იგი ამოდის ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა, მწერთა სამყაროდან, სადაც სუფევს საოცარი დისციპლინა და იერარქია.

ჯოგური თანასწორობა

რომ გავიხედოთ დანისლული პრეისტორიისაკენ, აღმოჩნდება, რომ ასე უცხოვრიათ 50 თუ 100 ათასი წლის წინათ ჩვენს წინაპრებსაც, ოღონდ ნაკლები კულტურით.

ველურისა და ბარბაროსისათვის სასჯელის ერთი ფორმა არსებობდა – სიკვდილი. ხოლო კაციჭამიობა და ინცესტი ცხოვრების წესი იყო.

იცავდნენ კოლექტივიზმის პრინციპს, წევრთა უფლებებს, დიდ ცხოველებზე ერთად ნადირობდნენ. ცალ-ცალკე მხოლოდ მღრღნელებსა და ქვეწარმავლებს თუ მოკლავდნენ. მაგრამ როცა ჯოგი ერთად გამორბოდა, იოლი იყო ბიზონის თუ მამონტის გამოდევნა, ჩასაფრება, ცეცხლით დაშინება, ხრამში გადაჩეხვა თუ ქვებით განტვინვა.

ზოგი სხვა წევრზე უფრო მარჯვედ ნადირობდა, უფრო ძლიერი და მამაცი იყო, მაგრამ ნადირობა კოლექტიური იყო და ცალკეული წარმატება გამოსარჩევ ველურს არ აძლევდა უფლებას ჯოგისაგან გამოყოფისა, მოძმეებზე ამაღლებისა.

ჯოგს ჯერ არ ჰყავდა ლიდერი – ბელადი.

ნანადირევი თუ ქალთა მიერ შეგროვილი მცენარეული ნაყოფი ან მოკლული მღრღნელი, კურდღელი თუ ხვლიკი, თანაბრად იყოფოდა.

კოლექტიური განაწილებისა და მოხმარების პრინციპს ყველა იცავდა, ძლიერი მამრი, წარმატებული თუ ხელმოცარული მონადირე.

(მაგ., ავსტრალიურ ტომებში კენგურუს მომკვლელ მონადირეს არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა ხორცის ნაჭერზე. მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების ჟამს შეეძლოთ მონადირეებს მიეღოთ უკანასკნელი დარჩენილი საკვები).

ჯოგი კოლექტიურად ცხოვრობდა მღვიმეებსა, ხის ქვეშ თუ მიწურებში (მაგ., ზოგი აღმოჩენილი მიწური სიგრძით არის 35 მ, სიგანით – 15 მ.), ერთად იცავდნენ უსაფრთხოებას, ერთად შოულობდნენ საკვებს. მაგრამ ასევე ჰქონდათ შრომის განაწილების წესი – კაცები ნადირობდნენ, ან თევზაობდნენ, ქალები უვლიდნენ ბავშვებს, საცხოვრებელ ადგილს, აგროვებდნენ მცენარეულ საზრდოს.

მაგ., კუნძულ კრეტაზე აშენებდნენ კოლექტიურ სახლებს, რომელთაც უამრავი ოთახი ჰქონდა. კოლექტიური იყო აკლდამებიც.

ბავშვები და მოხუცები (თუ ასეთი ვინმე იყო დარჩენილი) ქალებს ეხმარებოდნენ.

ქალი იყო გვარ-ტომის ცენტრი, რომელიც ინსტინქტურად იცავდა შვილთა თანასწორობას, წესრიგსა და იერარქიას, საკუთრებას.

აი, როგორ ახასიათებს ამ პრეისტორიულ კომუნიზმს ჩინელი კონფუცი (ძვ. წ. 551-479) თავის „დადგენილებათა წიგნში“ („ლიძი“):

„ყოველ მამაკაცს საკუთარი საქმე ჰქონდა. ქალიშვილებს შეეძლოთ დროზე გათხოვება, პროდუქტების დაყრა ადგილზე არ შეიძლებოდა. მაგრამ არ არსებობდა მათი საკუთარ სახლში შენახვის აუცილებლობაც. ისინი შრომისათვის თავის არიდებას სამარცხვინოდ თვლიდნენ. მაგრამ შრომობდნენ არა საკუთარი თავისთვის. აი, რატომ არ ხორციელდებოდა ბოროტი ზრახვები. არ არსებობდა მოტყუება. არ იყო ქურდობა და ყაჩაღობა. ამიტომ არ კეტავდნენ შე-

მოსასვლელ კარებს. ყოველივე ამას „დიადი ერთობა“ ეწოდებოდა”; „ადამიანები ნათესაურად ექცეოდნენ არა მარტო თავის ნათესავებს, მამაშვილურად – არა მარტო საკუთარ შვილებს“...

ამგვარი იდილია ვერ იქნებოდა. მაგრამ მთავარი – თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპი მეტნაკლებად უნდა არსებულიყო. ადამიანთა ჯოგი თუ გვარ-ტომი სხვაგვარად თავს ვერ დაიცავდა, სარჩოს ვერ მოიპოვებდა, სტიქიის შემოტევას ვერ გაუძლებდა. ეგ იმიტომ, რომ გვარ-ტომი შედგებოდა ერთი დედის ნაშიერებისაგან, სისხლით ნათესავებისაგან.

ლიდერი

როგორც ითქვა, ჯოგის დაშლა და სახეცვლა დაიწყო მაშინ, როცა გამოიყო ჯერ დედის გვარი, როცა დაირღვა პოლიგამია, შემდეგ – როცა გამოიკვეთნენ მეომარი ლიდერი – ბელადი და ქურუმი – მაგი და მისანი.

ჯოგი გვარ-ტომით შეიცვალა.

დედას ემორჩილებოდნენ შვილები, მათგან წარმომდგარი ტომის სხვა წევრები, რომელთაც ერთი სისხლი ჰქონდათ.

მაგრამ გვარს სჭირდებოდა დაცვა. იგი ისე მრავალრიცხოვანი და ძლიერი აღარ იყო, როგორც ჯოგი.

დედას ეს არ შეეძლო და ამიტომ გაჩნდა ძლიერი ხელის აუცილებლობა, რაც წამოსწევდა ბელადს. იგი ძალას განასახიერებდა და დედას ისე ემორჩილებოდა, როგორც დღევანდელ სამოქალაქო ხელისუფლებას – სამხედრო უწყება.

გვარ-ტომს მოგვიანებით ტომად აქცევს და უფრო მტკიცედ შეჰკრავს საერთო ტოტემი და ტაბუირების სისტემა ანუ პრაკულტურა – ველურთა ღმერთი და კანონები.

ველურთა დემოკრატია წმინდა ინსტინქტურ ქცევებს დასცილდა, გაჩნდა ახალი წესრიგი, რომელიც გონების მიერ იყო შექმნილი (შდრ – „ძალაუფლების შეზღუდვა“).

ასე იყო XX საუკუნემდე ამერიკულ, ავსტრალიურ და აფრიკულ ტომებში, ხოლო ქვისა და ბრინჯაოს ეპოქებში – ევროპასა და აზიაშიც.

ტომის წონასწორობას იცავდა და კონფლიქტებს არეგულირებდა სისხლის აღების წესი, როცა მკვლელი უნდა მოკლულიყო ან სისხლის საფასური უნდა გადაეხადა, რაც საკმაოდ ჭირდა.

ლიდერი განავრცობდა სამშობლოს საზღვრებს, მაგრამ სამშობლოდ მაინც ვიწრო სივრცე რჩებოდა, ის ადგილი, საიდანაც დაიწყო ექსპანსია. მაგ., ათენელისათვის ათენის მიღმა სხვათა სამშობლო იწყებოდა; რომაელისათვის რომი იყო სამშობლო და არა იტალია (ო. შპენგლერი).

ამგვარი ტომობრივი თვალსაწიერი დროს, ლიდერსა და ომებს უნდა დაერღვია – ნებელობით, ძალით, მოქმედებით ანუ სისხლისღვრით.

სექსის თავისუფლება

უძველესი დროიდან, რაც დაიწყო წყვილადი ქორწინება და ჯოგური სექსი მოწესრიგდა, დარჩა სექსის თავისუფლება, როგორც მრავალცოლიანობა (პოლიგინია), ისე მრავალქმრიანობა (პოლიანდრია), როგორც რელიგიური, სამოქალაქო, ესთეტიკური და სასტუმრო პროსტიტუცია, ისე ჰომოსექსუალური კავშირები.

ველურთა დემოკრატიის ნაწილი იყო სექსის თავისუფლება, თავისუფალი სექსუალური არჩევანი.

მაგ., ინდურ „მაჰაბჰარატაში“ ხუთ ძმას ჰყავს ერთი ცოლი.

ეგვიპტეში, კართაგენში, კვიპროსზე, პართიაში, კილიკიაში, ისრაელში, ათენში, ბაბილონში, რომში უამრავი საროსკიპო არსებობდა. სექსს ახლდა ვაჭრობა. ქალები ფულს აგროვებდნენ, ნაწილს ტაძარს სწირავდნენ, ნაწილს ინახავდნენ და შემდეგ თხოვდებოდნენ.

მათი წარსული დავისა და ეჭვის საგანი არ იყო. ღალატისათვის კი ქალი სიკვდილით ისჯებოდა თუ ქმარს დასტური არ ჰქონდა მიცემული.

ხეოფსის ქალიშვილებიც პროსტიტუციით აგროვებდნენ ფულს, რათა ფარაონს პირამიდის მშენებლობაში დახმარებოდნენ (ჰეროდოტე).

ათენში სოლონმა (ძვ. წ. VII-VI სს.) საროსკიპოების შემოსავლით ტაძარი ააშენა, რომელსაც დიქტერიადა ერქვა.

შემდეგ ასეთი ტაძრები აშენდა თებეში, ბეოტიაში, არკადიაში.

აფროდიტეს, ვენერას, ასტარტას, ისიდას კულტი – ეს იგივე პროსტიტუციის კულტი იყო.

ჰეტერები ტაძრებში ცხოვრობდნენ (შდრ. – „წყვილადი ქორწინება და პროსტიტუცია“).

ისინი ატარებდნენ გამჭირვალე სამოსელს. ზოგი სახეს ვუალით და მკერდს თხელი ქსოვილით იფარავდა, ქვევით კი შიშველი იყო (Ч. Ломброзо, История проституции, წიგნში: „Гениальность и помешательство“, Симф. 1998).

პროსტიტუციამ ლამის წალეკა რომის ტაძრები და ქუჩები. თეატრები კი საროსკიპოს სინონიმად იქცა.

თავდაპირველად რომაელისათვის ბერძნების თავისუფალი ქცევა ამორალიზმის სინონიმი იყო. შემდეგ კი თავად მინებდნენ გარყვნილებას, რომლის უარყოფა იყო ქრისტიანული ზნეობა და ასკეტიზმი.

ქრისტიანობის დროიდან, როცა აიკრძალა თეატრები, სექსუალური თავისუფლება და გაძლიერდა ზნეობა და მორალი, ინსტინქტებმა ნევროზულ სფეროში გადაინაცვლა.

აკრძალვა ბადებს ნევროზს, ნევროზი ბიძგს აძლევს კულტურას, ოცნების სფეროს, გამომგონებლობას, გახსენებას.

ხალხის არჩევანი

ველურთა დემოკრატიას თუ კომუნიზმს მრავალი ფორმა ჰქონდა. მაგრამ არსი ყველგან ერთი იყო – თანასწორუფლებიანობა და მმართველის შეზღუდვა – ტოტემით, აკრძალვათა სისტემით, ვადით, რადგან ასე მოითხოვდნენ ღმერთები.

ცხადია, ამგვარი სისტემა ხშირად ირღვეოდა. შიდა კონფლიქ-ტები თუ გარეშეტაკებანი წამოსწევდა ძლიერ პიროვნებას, რომელიც ეურჩებოდა როგორც არსებულ წესრიგსა და დისციპლინას, ისე მმართველს (ბელადს), ცვლიდა მას ძალით ან ასევე არსებული წესის თანახმად.

ეს იყო სოციალური მუტაცია.

ტომებში როგორც ძალაუფლება, ისე ქონება თანაბრად, კო-ლექტიურად იყო გადანაწილებული.

კერძო საკუთრება ჯერ არ არის ფორმირებული, ინდივიდი არ გამოყოფილა მასისაგან (ჯოგისაგან).

მაგ., XVIII საუკუნის ერთ-ერთ ციმბირულ ტომში ოჯახს 100-ზე მეტი ირემი არ უნდა ჰყოლოდა. ზედმეტს ართმევდნენ ან ურჩი შე-იძლება სიკვდილითაც დაესაჯათ.

პაპუასები ისრებით ცხრილავდნენ გამდიდრებულ თანატო-მელს და დასძახოდნენ – „ჩვენ ყველა თანასწორი ვართ“!..

ზოგან ბელადს მთელს სიმდიდრეს საფლავში ატანდნენ, რაც, ალბათ, ნაალაფარი იყო. ეს იმიტომ, რომ მისი მემკვიდრეები არ ყოფილიყვნენ გამორჩეული.

ინდიელებს ჰქონდათ საგანგებო დღესასწაული – პოტლაჩი, რო-ცა ჭარბი ქონება ურიგდებოდათ ტომის წევრებს.

მელანეზიელები დაგროვილ ჭილოფებს, რაც ქონების საზომი იყო, მეზობლებისა და ახლობლების თვალწინ სწვავდნენ.

კერძო საკუთრება, ქონებრივი აღმატება, სიმდიდრით გამორჩევა იკრძალებოდა.

მაგრამ ჩნდებოდა საომარი იარაღები, ძლიერდებოდა უცხოთა აგრესია, რაც იწვევდა თავდაცვისა და თავდასხმის აუცილებლობას. ბრძოლას წინამძღოლი (ბელადი) სჭირდებოდა, რომელსაც ირჩევდა სახალხო კრება და უხუცესთა საბჭო განსაზღვრული ვადით.

ბელადი იკრებდა თანასწორუფლებიან მეომრებს.

ეს იყო სამხედრო დემოკრატია, ტომობრივი ერთიანობის მოწესრიგებული ფორმა.

მაგრამ თანდათან ძალის დიქტატი არღვევდა ამ ჰარმონიას, ჩნდებოდა ორი პოლუსი – მჩაგვრელთა და ჩაგრულთა.

ბელადთა შორის უამრავი იყო არსებული წესის მორჩილი მიმდევარი და დამცველი, თითო-ოროლა – ურჩი, თავნება და თავზე ხელაღებული.

სწორედ ასეთები ამკვიდრებდნენ სიახლეს და ცვლიდნენ ძველ წარმოდგენებს, რაც კლასობრივ დაყოფას, უმცირესობის აღმატებას და სისხლისღვრას უკავშირდებოდა.

დემოკრატია თუ კომუნიზმი სათავეს იღებდა ინსტინქტური მოთხოვნილებებიდან, სისხლით ნათესაობისაგან. ბრძოლა არსებობის, გადარჩენისა და გამრავლებისათვის აერთიანებდა ჯოგს და კოლექტიურად ამოქმედებდა. განდგომა სიკვდილს ნიშნავდა. ეგოისტური ლტოლვები, აფექტური აფეთქებანი, სისხლის წყურვილი საერთო ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა.

გონის პროგრესმა ეს წონასწორობა დაარღვია, უფრო სწორად – ახალი ფორმა მოუძებნა. მისი შენარჩუნება ათენში, რომსა და კართაგენში შესაძლებელი გახდა მხოლოდ ომებისა და მონების ხარჯზე, მონათა სისხლითა და ოფლით, რაც ბრძოლის მონაპოვარი იყო.

ძვ. წ. 753 წლიდან ათენში არქონტს (მმართველი) არეოპაგი (უხუცესთა საბჭო) 10 წლით ირჩევდა, VII ს-დან ერთი წლით. ამის შემდეგ კი არეოპაგის წევრი ხდებოდა.

არქონტი შეზღუდული იყო 9-კაციანი კოლეგიით, რომელსაც არეოპაგი ირჩევდა.

ისინი განაგებდნენ სხვადასხვა სფეროს: ბასილევსი – რელიგიას, პოლემარქოსი – ჯარს, თესმოთეტესი – მართლმსაჯულებას და ა.შ.

ჯარს ხელმძღვანელობდა 10 სტრატეგისაგან შემდგარი კოლეგია.

ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდნენ.

უხუცესთა საბჭოზე მაღლა იდგა სახალხო კრება. ათენში სახალხო კრების სათათბირო ორგანო იყო ბულე, რომელიც 400 წევრისაგან შედგებოდა.

ხეთებში მეფე შეზღუდული იყო სახალხო კრებით (ძვ. წ. II ათასწლეული), რომელსაც ფანქუ ერქვა, დიდ საკრებულოს – თულია. ფანქუ ამტკიცებდა ტახტის მემკვიდრის კანდიდატურას.

ურუქის მეფე გილგამეში (ძვ. წ. XXVII ს.) ეთათბირებოდა უხუცესთა საბჭოსა და მოქალაქეთა კრებას. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტდა, მტერს შებმოდა თუ დანებებოდა.

ასურეთში თავდაპირველად მეფე იყო თანასწორთა შორის პირველი.

მას კენჭისყრით ირჩევდნენ. ამიტომ არ იყო დესპოტი, არც სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა.

სასტიკი სინაქერიბიც კი, რომელმაც ამოწყვიტა ბაბილონის მოსახლეობა, ქალაქი დაანგრია და წყლით დაფარა, მიწა კი ხომალდებით გაიტანა და გაანიავა, რჩევას ეკითხებოდა საბჭოს – თავისი ერთ-ერთი უმცროსი შვილი ასარგადონი ტახტის მემკვიდრედ დაენიშნა თუ არა.

ბაბილონში ახალ წელს, ტაძარში შესულ მეფეს მთავარი ქურუმი სამეფო ნიშნებს აჰყრიდა, სილას შემოჰკრავდა და ყურს აუწევდა.

შემდეგ მეფე მიწაზე გაწვებოდა და ღმერთს არწმუნებდა, რომ მთელი წლის მანძილზე არცერთი მოქალაქის ღირსება არ შეულახავს (ა. ოპენჰაიმი).

სპარტას სათავეში ორი ბასილევსი ედგა. მაგრამ მათი ძალაუფლება მხოლოდ ომის დროს იყო საგრძნობი, მშვიდობიანობის დროს მთავარი იყო უხუცესთა საბჭო (გერუსია). უმაღლესი ორგანო კი იყო სახალხო კრება (აპელა), რომელშიც ყველა სრულასაკოვანი სპარტელი მონაწილეობდა. ამ სისტემის შექმნას ლიკურგეს მიაწერენ (ძვ. წ. IX-VIII სს.).

ასევე იყვნენ შეზღუდულნი რომში კონსულები და კართაგენში სუფეტები (მსაჯულები).

რომი იყო ჯერ სამეფო, შემდეგ – რესპუბლიკა, ბოლოს – იმპერია. მეფეს ირჩევდნენ და იგი იყო უმაღლესი ქურუმი, სარდალი და მსაჯული, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მისი კანონები ძალას კარგავდა.

არისტოკრატები ქმნიდნენ სენატს, დემოკრატები – სახალხო კრებას. თავიანთი წრიდან ირჩევდნენ თითო ტრიბუნს, რომელსაც ვეტოს უფლება ჰქონდა.

ასე აკონტროლებდნენ პატრიციები და პლებეები ერთმანეთს.

ფორმალურად ოქტავიანესაც კი ყოველწლიურად ირჩევდნენ პროკონსულად, თუმცა ჰქონდა სამუდამო ტიტულები – იმპერატორი და დიდი პონტიფიკი.

ძველგერმანულ ტომებში ხელისუფლება ეკუთვნოდა სახალხო კრებას, რომელიც განიხილავდა ომისა და ზავის საკითხებს, ირჩევდა სამხედრო ბელადს, განაწესებდა სამართალს.

კრებას უძღვებოდა უხუცესი.

ასევე იყო სლავურ ტომებში. სტრაბონის ცნობით, სვანებს ჰყოლიათ ბასილევსი და 300-კაციანი საბჭო.

როგორც ვთქვით, ქართულში „რჩეული“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს მხცოვანსა და უხუცესს, ე.ი. თეთრით მოსილს, რჩევა – მოხუცის დარიგებას (შდრ – მეგრულში „ჩე“ არის თეთრი). დღევანდე-

ლი გაგებით, რჩეული ჭარმაგი უნდა ყოფილიყო (შდრ – რომში 40-ს გადაცილებული მოხუცად ითვლებოდა) ანუ ჩვენშიც არსებობდა არქაულ დროში უხუცესთა (რჩეულთა) საბჭო.

დემოკრატია გახდა ხელისშემშლელი ფაქტორი ბერძენ ტომთა გაერთიანებისათვის. მათ ვერ შექმნეს ერთიანი სახელმწიფო და დარჩნენ პოლისებად, თუმცა ჰქონდათ საერთო ენა, ღმერთების პანთეონი და კულტურა, ჰყავდათ ჰომეროსი.

ბერძნული პოლისები ერთმანეთს ებრძოდნენ, მაგრამ არ უცდიათ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში, მცირეაზიაში მცხოვრებ მოძმეთა სახელმწიფოებრივი კონსოლიდირება, ვიდრე არ გამოჩნდა ალექსანდრე მაკედონელი.

ერთი სიტყვით, ადამიანს უნდა ჰქონოდა თავისუფლება, პური, რწმენა და სანახაობა (დღესასწაულები, სპორტული შეჯიბრებები, ტაძრები, ქანდაკებები, თეატრები, ჰიპოდრომები), რათა ყველას თანასწორად ეგრძნო თავი.

ტყვე და მონა

ამგვარი დემოკრატია ტყვეთა და მონათა ზურგზე იდგა, იგი მტაცებლური ომებით იყო განმტკიცებული.

გამარჯვებული ნაალაფარით ამაგრებდა ეკონომიკას.

მეფეები ყოველთვის სიამაყითა და ტრაბახით აღნიშნავდნენ მონათა მოპოვებას. მაგ., ხეთების მეფე მურსილი II გვაუწყებს: „იმ ტყვეთა რიცხვი, რომელიც მე, მზემ, სასახლეში მოვიყვანე, 15.500 კაცს შეადგენს“.

ურარტუს მეფე არგიშთი I-ის მატიანე გვამცნობს 280.512 ადამიანის დატყვევებას, სარდური II-ის მატიანე – 197.521-ისას.

უძველეს დროში ტყვეებს სასტიკად არ ექცეოდნენ. მაგ. მონის მკვლელი ეგვიპტეში სიკვდილით ისჯებოდა. ისინი თანდათან გა-

მარჯვებული ტომის თუ ხალხის ნაწილი ხდებოდნენ. ძველ ჩინეთში მონები თითქმის არ ჰყავდათ.

ხეთაში მონები ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ. ისინი უფრო მსახურები იყვნენ, მეტწილად – ქალები.

ხეთები მონას აძლევდნენ მიწის ნაკვეთს, პირუტყვს, იარაღს. მონა ბატონის წინაშე სუფთად ჩაცმული უნდა წარმდგარიყო, შეესრულებინა მისი მოთხოვნები.

თუ მონა მოკვდებოდა, მთელი ოჯახი საფლავში უნდა ჩაეტანებინათ. თუ ვინმე მონას ყურს მოახევდა, სამი ვერცხლის სიკლი უნდა გადაეხადა.

ურჩობისათვის კი სასტიკად ისჯებოდა (შდრ, „ყურმოჭრილი მონა“, „ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“).

ბიბლია, მოსეს სჯული პირიქით – მონის მკვლელობას დანაშაულად არ თვლიდა. ხოლო მტრის მოსპობას, მათი ქალაქების დანგრევასა და მიწის მიტაცებას სასიკეთო საქმედ მიიჩნევდა.

სპარტაში, ათენში, რომში, კართაგენში დემოკრატია იყო არა საერთო ადამიანური თვალსაზრისით, არამედ – მარტოოდენ ათენელისა, რომაელისა, სპარტელისა, კართაგენელისათვის.

ეს იყო ნაციონალისტური დემოკრატია (შდრ – გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი), გამომდინარე სისხლით ნათესაობიდან.

საბერძნეთში ტერმინი „დოულოს“ (მონა) ჩნდება ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა პერიოდში; ამ დროს მათ ტყვეებად აჰყავდათ მხოლოდ ქალები და ბავშვები, დანარჩენს ხოცავდნენ; სპარტაში ჰელოტები არ იყვნენ უუფლებო, უმიწაწყლო მონები (რ. გორდეზიანი). რომაელებს მონის შესატყვისი არც ჰქონდათ და იგი ეტრუსკებისაგან ისესხეს – „servus“. ხოლო ქართული „მონა“ მოდის ირანული „მანიასაგან“.

ეგვიპტურად ადამიანი – „რემეჩ“ არის მხოლოდ ეგვიპტელი, დანარჩენი ველურია; ელინელთათვის ადამიანი იყო მხოლოდ ბერძენი, დანარჩენი ყველა ბარბაროსია – „ქვესკნელში მცხოვრები“; ისრაელთათვის ადამიანი იყო მხოლოდ ებრაელი, დანარჩენი კი – „გო-

იმი“, წარმართი. ასურელისათვის ყველა უცხოელი იყო ნუაუმი – ბარბაროსი.

როგორც აღნიშნავენ, ძვ. წ. V საუკუნეში ყოველ სრულწლოვან ათენელზე 18 მონა და 2-ზე მეტი ხიზანი მოდიოდა, ძვ. წ. 322 წელს – 20.000 თავისუფალზე – ნახევარ მილიონზე მეტი მონა და ხიზანი (ბერძნებს ჰყოლიათ კოლხი მონებიც). ასეთი თანაფარდობა თავისუფალ და კარგ ცხოვრებას უზრუნველყოფდა, მაგრამ საშიშიც იყო, როგორც ცეცხლი და პოლიტიკური რყევების ჟამს – კატასტროფის მომტანი.

ეს ასეც მოხდა, რასაც შეეწირა არა მხოლოდ ათენი და რომი, არამედ – რომაელებიც და ლათინური ენა-კულტურაც, ათენელებიც და ძველი ბერძნული ენა-კულტურაც. მაგ., როცა ალარიხი რომს მიადგა, ვესტგუთების მხარეს გადავიდა 40.000 მონა (410 წ.).

მონათა, მომხდურთა და ადგილობრივთა ასიმილირების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ენა, კულტურა და სახელმწიფო.

ინდური „მაჰაბჰარატა“ (ძვ. წ. VI-V სს.) მონას შინაურ ცხოველად თვლიდა – აიგივებდა ცხვართან, ძროხასთან, თხასთან, ცხენთან, ჯორთან და სახედართან.

მისი გაყიდვა, გაჩუქება ან მოკვლა პატრონს შეეძლო. მაგრამ, ამავე დროს მონასთან იყვნენ გათანაბრებული ცოლი და შვილი, ე.ი. ისინიც უუფლებონი იყვნენ.

მონა 20-ჯერ ძვირი იყო, ვიდრე ცხვარი.

მესოპოტამიაში მონათა ნაწილი სატაძრო მსხვერპლშეწირვის მასალად იქცა. მაგ., აქადის მეფე სარგონმა (შარუქანმა) დამარცხებული ლაგეშის მეფე ლუგალზაგესი ერთ-ერთ ღვთაებას შესწირა.

ნაწილს ასაჭურისებდნენ, უმეტესს კი სასიკვდილო შრომა ელოდა, ანდა – ტყავს აძრობდნენ, ხელ-ფეხს აჭრიდნენ, თვალებს სთხრიდნენ, ცეცხლზე წვავდნენ...

ასურეთის მეფე სალმანსარ I-მა 14 000 ტყვეს თვალები დასთხარა.

ამგვარ სისასტიკეს შუასაუკუნეებში ფანტაზია ნაირგვარ ფორმას უძებნიდა. მაგ., ვიკინგებს ჰქონდათ "სისხლიანი არწივის" დასჯის წესი: მსხვერპლს ნეკნების გასწვრივ სხეულს უსერავდნენ და ფილტვები გამოჰქონდათ, თითქოს ფრთები გამოსხმოდა,

თავისუფალი მოქალაქეც შეიძლება მონად გაყიდულიყო. მაგ., შუმერული კანონით (ძვ. წ. XX ს.) თუ უმცროსი შვილი უარყოფდა დედას და მამას. მაგრამ მონაც შეიძლება თავისუფალი გამხდარიყო (მაგ., თუ ერთ-ერთი მშობელი სრულუფლებიანი მოქალაქე იყო).

მონები ეკუთვნოდათ ტაძრებს, ჯარისკაცებს, სარდლებს. დიდ ნაწილს კი მეფე იტოვებდა. ისინი იყვნენ შინამოსამსახურენი, მშენებელნი, მუშები. ზოგი საჭურისი თვალსაჩინო სახელმწიფო მოხელეც გამხდარა.

აცტეკებს ტყვეები სჭირდებოდათ კაცთშეწირვისათვის.

მონობა არსებობს ბუნების სამყაროშიც. მაგ., ჭიანჭველებს ჰყავთ „მონა" თანამოძმეები, რომელთაც ძალით ამუშავებენ, მაგრამ სასტიკად არ ეპყრობიან (არნ. გეგეჭკორი).

როგორც ვხედავთ, ტყვე და მონა უფრო ჩაგრული და დატანჯული ხდებოდა, რაც წინ მიდიოდა საზოგადოების პროგრესი. ამიტომ მათ ჰქონდათ ერთი გამოსავალი – აჯანყება, რათა დაემხოთ უცხო არისტოკრატია, მასობრივად ეძიათ შური მჩაგვრელებზე (მაგ., მონების აჯანყება ხეთაში ძვ. წ. XVI ს-ში, სპარტაკის მეთაურობით რომში ძვ. წ. I ს-ში).

ინიციაცია – აღზრდის პრაფორმა

ინიციაცია იყო საიდუმლო ცოდნის გადაცემის გზა ანუ, დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ – სწავლა და აღზრდა, ფიზიკური და ფსიქიკური წრთობა.

ეს იწყებოდა ბავშვის მშობლისაგან იზოლირებით. შემდეგ იგი სულიერად და ფიზიკურად უნდა გარდასახულიყო. ბოლოს კი აღედგინა სოციალური კავშირები.

ინიცირებული პირი პროფესიონალი იყო, ხელდასხმული, რომელიც ეზიარა საკრალურ ცოდნას.

ქალებში აუცილებელი იყო რიტუალური დეფლორაცია.

ვაჟებს სასტიკად წვრთნიდნენ, ასწავლიდნენ სიმამაცესა და დისციპლინას, ამტანობასა და მორჩილებას, ქვის იარაღების ხმარებას, აკრძალვათა სისტემას. მათ უნდა შესძლებოდათ შიმშილის, ტკივილის, დამწვრობის თუ ჭრილობის ატანა (შდრ – სპარტანული აღზრდა). აფრიკულ ტომებში ინიციაციის შემადგენელი ნაწილი იყო მოკლული მტრის გულის, ყურის, თუ თირკმლების ჭამა. ინიცირებული ანუ ხელდასხმული ის ხდებოდა, ვინც სიკვდილს გადალახავდა (შდრ – სამხედრო აღზრდა).

ნადირი რომ მოეკლა, ახალგაზრდას ძლიერი მკლავი უნდა ჰქონოდა და სცოდნოდა ნადირობისათვის აუცილებელი აკრძალვათა სისტემაც, მაგიური ქცევა.

ამის შემდეგ ვაჟი ხდებოდა ტომის სრულუფლებიანი წევრი. ამგვარ წრთობას ყველა ვერ უძლებდა და ხელდასხმას ვერ ღებულობდა.

ინიციაცია ინდივიდის ერთი სტატუსიდან მეორე – ჩაკეტილ წრეში გადასვლაა (მაგ. ქურუმების, შამანების, მონადირეების, ეზოტერული კულტის), იგივე ქაოსიდან – კოსმოსში, რელიგიურ სფეროში – სიკვდილი და აღდგომა, ცხოვრებისეულ ასპექტში – ახალგაზრდის მიერ სრულ უფლებათა შეძენა.

ინიციაცია წვრთისა და აღზრდის პირველადი ფორმაა.

ასევე სასტიკად წვრთნიდა მოსე ისრაელის თორმეტ ტომს, რომელიც მან ეგვიპტიდან გამოიყვანა და წარუძღვა აღთქმული ქვეყნისაკენ, უფლის ნებითა და რჩევა-დარიგებით.

შემდეგ არქაულ ინიციაციას გამოეყო ერთი მხრივ – ფიზიკური კულტურა (მაგ. გიმნასტიკა, იოგა, უ-შუ) და სპორტი (მაგ. ბერძნული

ოლიმპიური შეჯიბრებანი). მეორე მხრივ – ინტელექტუალური ვარჯიში, სწავლა და განათლება, რაც თეოლოგიის სფეროთი იყო განსაზღვრული.

ინიციაცია მისტერიებში გადავიდა.

მაგ. ელევსინის მისტერიები საბერძნეთში, რომელთაც ახლდა ექსტაზი და სიშმაგე, ძრწოლა და ვნებების აფეთქება; დიონისურ მისტერიებში „ღვინო და თრობა, უწმაწურობა და ე.წ. რიტუალური პროსტიტუცია, ნიღბები და ცხოველურის ადამიანურთან შერევა“ (რისმაგ გორდეზიანი) დროებითი გაგიჟება ანუ კანიბალისტური ჟამის გახსენება იყო, რაც თავისუფლებით თრობას ნიშნავდა.

ფსიქო-ფიზიკური წრთობის ნაწილი იყო ექსპერიმენტები საკუთარ სხეულზე, რათა ადამიანი ყოფილიყო ძლიერი და მარჯვე, გონიერი და მიმზიდველი. ამიტომ იცვლიდნენ სახისა და ტანის პროპორციებს, მოძრაობას, ჟესტიკულაციას, თვალის ჭრილს, ფეხის ტერფების ზომას; იცვლიდნენ სამოსელსა და სამკაულებს; ცხვირს იმოკლებდნენ, ტუჩებს ისქელებდნენ, კბილებს იძრობდნენ, თავის ქალას იზრდიდნენ, იჭრიდნენ პენისს (ა. სკრიპნიკი), იკეთებდნენ ტატუირებას, რაც ძველად მაგიური ნიშნების კომბინაცია იყო; ნიკაპის კანქვეშ იყრიდნენ ხის ფირფიტას (მაგ. ეგვიპტელები, ზოგი თანამედროვე აფრიკელიც), რაც ვაცის წვერის, ე.ი. ლიდერის იმიტაცია იყო. ანტიკური საბერძნეთის გიმნასიებში მთავარი იყო გიმნასტიკა, ფილოსოფია და რიტორიკა. პედაგოგი ერქვა მონას, რომელსაც ბავშვები დაჰყავდა გიმნასიაში.

ინიცირებულ პირთაგან იქმნებოდა სხვადასხვა სახის კავშირები, რომელთა მემკვიდრედ მიიჩნევენ მაფიებსა და მასონურ ლოჟებს.

ასეთივე იყო უშიშროების სისტემა სსრკ-ში (ჩეკა და კგბ), SS – ჰიტლერულ გერმანიაში.

დაგროვილ ცოდნას სჭირდება მუდმივი ათვისება და განახლება, გადაცემა და გავრცობა, ფიზიკურის შერწყმა ინტელექტუალურთან.

აღზრდის გარეშე საკმარისი იქნება რამდენიმე ათეული წელი, რათა კაცობრიობა წინაპართა მღვიმეს დაუბრუნდეს.

ცოდნა იქმნება კასტის მიერ, მაგრამ თუ ამ წრეში დარჩა, მატერიალურ ძალას ვერ შეიძენს.

ცოდნის გამასობრიობა კი გაუფასურებას ნიშნავს.

ეს არის საკრალურის პროფანაცია. ამიტომ არის საჭირო ოქროს შუალედი, სიმწრით ანთებული შუქი ბნელმა რომ არ მოიტაცოს.

4. დემოკრატიიდან დიქტატურისაკენ

მეზოლითის დროიდან ველურს უკვე ჰქონდა შუბი და მშვილდისარი, კომბალი და ქვის ცული. ამ იარაღებით უფრო წარმატებით შეეძლო ნადირობა, მხეცის თუ მომხდურ ტომთა მოგერიება. მაგრამ თავდასხმასაც უკეთ ახერხებდა.

ტერიტორიული ერთიანობა

ცხვრის ფარას გადაადგილება სჭირდებოდა, გამოფიტულ მიწას – შეცვლა, მშიერ ტომს – გამოკვება.

იარაღი და მიწა ტომებს ბრძოლისაკენ უბიძგებდა. ნებით არავინ არაფერს სთმობდა. უკეთესი მიწის ან ნადავლის ხელში ჩაგდება კი ყველას უნდოდა.

ნელ-ნელა ველურებმა ადამიანზე გადაინაცვლეს, ცხოველებთან ერთად მოძმეებზეც დაიწყეს ნადირობა.

ტომის გამოკვება, საკუთრების მოპოვება, გამდიდრება, ბელადის ავტორიტეტის ამაღლება ერთ დღეში შეიძლებოდა.

საჭირო აღარ იყო თვეობით მიწის დამუშავება, ცხვრის დევნა ან ქურუმის მაგიური სიტყვითა და მოქმედებით ამინდის შეცვლის მოლოდინი.

ერთი ტომი იარაღის იმედით მეორეს ებრძოდა, სპობდა ან ისპობოდა. ასეთი სასტიკი ინტეგრაციის გვერდით დაშლაც გრძელდებოდა. წარმოიქმნებოდა ახალი გვარ-ტომები, რომლებიც თავიანთ სარბიელს ეძებდნენ:

მაგ., სემიტების ტალღა მესოპოტამიაში, რომელსაც საფუძვლად დაედო ძვ. წ VI ათასწლეულის ჰასუნის კულტურა, შეიჭრა ჩრდილოეთიდან, ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში. მათ დაარსეს ქალაქი აქადი, შეითვისეს შუმერების კულტურა და მოახდინეს მათი ასიმილირება.

მაგრამ შუმერებიც მოსული იყვნენ – ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანებში, რომელიღაც ხალხთა ადგილზე. მათმა ტოპონიმიკამ ჩვენამდეც მოაღწია.

შემდეგ შემოდიან სემიტი ამორეველები, კასიტები, ხეთები და ა. შ. (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988).

ასევე შეიჭრნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე აქაველები, იონიელები და დორიელები, დრავიდების ინდოეთში – ვედები (არიელები), ხათების ადგილზე დამკვიდრდნენ ჩრდილოეთიდან კავკასიის გავლით მოსული ხეთები, ანატოლიაში – „ზღვის ხალხები“... ხათებიც (პროტოხეთები) მოსულნი იყვნენ – სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

დამპყრობლებს ჰქონდათ ბარბაროსული ენერგია და მცირე კულტურა.

მტაცებლური ომების მონაპოვარი, მატერიალურ დოვლათთან ერთად, იყვნენ მონები – ქალები და კაცები. ისინი მძიმე შრომისა და მსხვერპლშეწირვისათვის იყვნენ განწირული (მაგ., ჰამურაბის ომები).

რიტუალურ მოკვდინებას, დაკრძალვას, ინიციაციას, საგაზაფხულო თესვას, გემის თუ სახლის აგებას დიდი მსხვერპლი სჭირდებოდა.

სისხლის გაღება საკუთარი წრიდან ნაკლებად უნდოდათ.

ეს ფუნქცია მონებზე გადავიდა.

გამარჯვებული ბელადი სივრცეს განავრცობდა. ქურუმიც თავის ფეტიშებს ამკვიდრებდა. მაგრამ, როგორც ვთქვით, დამარცხებულთაც შემოჰქონდათ თავიანთი ტოტემები, წარმოდგენები, ლექსიკური ფონდი.

ასე რომ სხვადასხვა მასალისაგან ახალი შენადნობი სისხლითა და ტანჯვით მზადდებოდა, რაც წარმოშობდა გაბატონებულ ფენას, ფიზიკური ძალის, ქონებისა და ავტორიტეტის მქონეს.

ეს იყო ელიტა – არისტოკრატია.

ტომთა კავშირი, რომელიც იყოფოდა ჩაგრულებად და მჩაგვრელებად, სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. სახელმწიფო ქმნიდა გამაგრებულ პოლისებს – ქალაქებს, რაც კულტურის ცენტრი ხდებოდა.

სახელმწიფოს სჭირდებოდა ერთიანი სამხედრო ლიდერი, ჯარისკაცები, კულტის მსახურები, სასამართლო, საპყრობილე, მუშახელი.

ტომობრივი სისხლით ერთიანობა იცვლებოდა ტერიტორიული ერთიანობით, სადაც ცხოვრობდნენ სხვადასხვა წარმომავლობის, რწმენის, ენობრივი წრის ტომები. გრძელდებოდა მათი ასიმილირება.

მაგ., ნილოსის დინების ირგვლივ დიდხანს არსებობდნენ ტომები, რომელთა შერწყმით წარმოიქმნა ორი ეგვიპტური სახელმწიფო – ჩრდილოეთისა და სამხრეთისა.

შემდეგ ესენიც ებრძოდნენ ერთმანეთს.

გაიმარჯვეს სამხრეთელებმა, მათ დაიმორჩილეს კულტურულად დაწინაურებული ჩრდილოელები და ასე გაერთიანდა ეგვიპტე ძვ. წ. 3100 წელს.

ამ ფაქტისა და ერთიანობის აღსანიშნავად ფარაონები წითელ-თეთრ გვირგვინს ატარებდნენ (წითელი ჩრდილოეთის სიმბოლიკა იყო, თეთრი – სამხრეთისა), რომელსაც გველი ჰქონდა შემოხვეული.

ინგრეოდა ვიწრო ზღუდეები. ქრებოდა ძველი კერპები და სახელები.

ბელადი გახდა მეფე, მმართველი ან ფარაონი, რომლის ძალასა და გავლენის არეალს განსაზღვრავდა იარაღი და ჯარისკაცი.

სახელმწიფო ომის წიაღიდან წარმოიქმნა, როგორც კაცთა გადამრჩენი აუცილებელი ერთიანობა.

სივრცე და სწრაფვა

არქაული დემოკრატია ხელს უშლიდა მტაცებლურ ომებს, აბრკოლებდა ელვისებურ მოქმედებას, მმართველის უნარის გამოვლენას.

საჭირო ხდებოდა ძალთა კონცენტრირება ერთი კაცის ხელში, რომლის ნება გადაეცემოდა ქვეყანას.

არქაული დემოკრატია ვერ იცავდა წესრიგს ქვეყანაში, სადაც ველური ვნებები ბობოქრობდა. ეს მითუმეტეს საგრძნობი მაშინ ხდებოდა, როცა სივრცე ფართოვდებოდა.

ხალხის აღზრდასა და შემოკრებას მტკიცე ხელი სჭირდებოდა, რათა წაეყვანათ ქვეყნის დასაცავად, უცხო მიწის დასაპყრობად, მონებისა და ქონების დასაუფლებლად.

დემოკრატიის ბაზისი არის ეკონომიკა. ეკონომიკა განამტკიცებს შეგნებას, ადამიანურ ღირსებას. მაგრამ შრომით ქონების შექმნაზე უფრო იოლი და სწრაფი იყო მიტაცება, წართმევა.

ნადავლი თანაბრად აღარ ნაწილდებოდა. ამიტომ წარმოიშვა არისტოკრატია – პრივილეგირებულთა ფენა, რაც იგივე უხუცესთა საბჭოს სახეცვლილი ფორმა იყო.

უხუცესთა საბჭო და სახალხო კრება ფიქციად იქცეოდა, ანდა – სულაც ქრებოდა.

მეფე ერთპიროვნულად და ხშირად განუსჯელად მართავდა ქვეყანას.

ზოგი თავს არა ღმერთის ჩამომავლად, არამედ – ღმერთადაც კი აცხადებდა (მაგ., შუმერ-აქადის მეფე შულგი, ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული) და მის კულტს უმაღლესი ღვთაების კულტს უთანაბრებდნენ: უხილავი ხილული ხდებოდა.

ამგვარი მოქმედების საფუძველი იყო სამხედრო და პოლიტიკური წარმატებანი.

მოლაშქრეებს წინ მიუძღოდათ ომის ღმერთი: ბაბილონელებს – ნერგალი, ეგვიპტელებს – სეხმეტი, ბერძნებს – არესი, რომაელებს – მარსი.

როგორც ვთქვით, მონათმფლობელური საზოგადოების დროს არსებული დემოკრატია იყო არისტოკრატთა დემოკრატია, სადაც ყოველი პატრიციუსი თავს სრულუფლებიანად და დამოუკიდებლად მიიჩნევდა. ეს კი ხელს უწყობდა ანარქიას, დისციპლინის დაცემას.

დემოკრატიამ, ქვეყნის გაძლიერების კვალდაკვალ, წარმოშვა დიქტატურის აუცილებლობა. დიქტატურა ულმობელ წესრიგს ნიშნავს, რაც თანდათან გადადის კანონში და შთაიბეჭდება ხალხის ფსიქიკაში. სისასტიკეს მწვავედ განიცდიან თანამედროვეები და ბევრიც ეწირება მას, მაგრამ ეს არის აღმავალი პროგრესის გზა.

ხელისუფლება და რელიგია, კულტურის სხვადასხვა დარგები მოითხოვდნენ ინსტინქტების დათრგუნვას, ადამიანთა მორჩილებას, გონების პრიმატს, ხალხის სწრაფვის ერთიანობას.

რესპუბლიკას ცვლიდა იმპერია, დემოკრატიას დიქტატურა, ხალხის მმართველობას – მეფე და იმპერატორი, არისტოკრატია.

მმართველობის დისციპლინა, ძალის კულტიდან გამომდინარე, თავიდანვე ემყარებოდა იერარქიასა და სტრუქტურას. იერარქია მმართველობის ვერტიკალია, რაც გულისხმობს ურთიერთდაქვემ-

დებარებულ სისტემას, სტრუქტურა კი ამ იერარქიის სივრცობრივი განფენილობაა, რაც მოიცავს ქალაქებსა და სოფლებს. მათ იდეურად აერთიანებდა ღმერთების ნება, ფიზიკურად კი ჰკრავდა სამხედრო ძალა. ორივე მათგანი ერთად ქმნიდა სახელმწიფოებრივ შეგნებას.

დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ

როგორც დიქტატურა იშვა დემოკრატიიდან, ისე დიქტატურა აძლევს საწყისს დემოკრატიას, როცა მყარდება წესრიგი და მთავრდება ანარქია, მტკიცდება ეკონომიკა და იზრდება შეგნება და მოქალაქე კანონმორჩილი ხდება.

მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულიდან დაუბრუნდა კაცობრიობა დემოკრატიული ცხოვრების არქაულ მოდელს, ახალი რეალობის გათვალისწინებით (აშშ, საფრანგეთი). ოღონდ არა ერთი ერისათვის, არამედ საერთოდ ადამის მოდგმისათვის, თუმცა ეს თავდაპირველად არ შეხებია შავ რასას – ნეგროიდებს.

ამჯერად დემოკრატიის საფუძველი გახდა არა ინსტინქტები, ინსტინქტების ბიძგები და კარნახი, არამედ – გონება, ინტელექტი, კანონები, ეკონომიკა და კულტურა, შესაბამისად – კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი.

5. სახელმწიფოს პრამოდელი

გადარჩენის ინსტინქტებს ადამიანი მიჰყავდა მღვიმისა და მიწურისაკენ, სიმაგრეთა მშენებლობისაკენ, ახალი – ძალადობრივი ერთიანობისაკენ, რაც არის სახელწიფო.

სახელმწიფოც ღმერთების სახელით იქმნებოდა. ამიტომ წამყვანი იყო იდეოლოგიური ფუნქცია და მიზანი, რომელიც ნიღბავდა დაპყრობისა და დამორჩილების აგრესიულ ინსტინქტებს.

სახელმწიფოს შექმნა ადამიანური გონის ერთ-ერთი დიდი მიღწევაა. იგი ერთ მთლიან იერარქიულ სისტემად აქცევდა ინსტინქტურ და ინტელექტუალურ მოქმედებას, სწრაფვასა და აზროვნებას, კულტურასა და ცივილიზაციას.

ყოველი ტომი ცდილობდა განევრცო თავისი თვალსაწიერი, თავისი ოიკუმენი.

პრაქტიკულ მოქმედებას მოსდევდა თეორიული განსჯაც. ცალკეულ გონიერ პირებს აინტერესებდათ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქვეყნის არსი და მართვის ფორმა.

მაგ., ეგვიპტელი პტახოტეპის სწავლება, ბაბილონის მეფის ჰამურაბის (ძვ. წ. 1792-1750) კოდექსი, ინდური მანუს კანონები (ძვ. წ. II ს. – ახ. წ. II ს.), ჩინელი კონფუცის პოლიტიკური მოძღვრება (ძვ. წ. 551-478), პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის კონცეფციები, სხვა ბერძენ და რომაელ მოაზროვნეთა შეხედულებანი, რაც შეივსო და დაიხვეწა, ახალ რეალიებთან მიმართებით, შუა საუკუნეთა მოღვაწეების მიერ (მაგ., მაკიაველი, ლუთერი).

სახელმწიფოს ცნებას წინ უსწრებს გვარ-ტომთა დიდი ნაკადის მატერიალური ერთობა (მაგ., მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, ბადარის, გრიბალდის კულტურები), რასაც არღვევენ ძლიერი ბელადის კლანები.

სახელმწიფოს სტრუქტურა ყველაზე ადრე ეგვიპტეში ჩამოყალიბდა, სადაც მოხდა ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა დიფერენცირება. ქალაქისა და სახელმწიფოს წარმოქმნით დაიწყო ცივილიზაცია. ტოტემურ და გვაროვნულ ორგანიზებას ცვლიდა კლასობრივი დიფერენცირება.

ხელისუფალი

სახელმწიფოს ქმნიდა ერთეულთა სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, რაც იყო საკუთარი ტერიტორიის გავრცობა. მას მიწათმოქმედებისათვის, თავიანთი საძოვრებისა და ყანებისათვის მოიპოვებოდნენ მონადირეები.

ტომის ბელადი იერთებდა სხვა ტომებსა და მათ მიწებს. მისი ძალაუფლება მტკიცდებოდა, რასაც ხელს უწყობდა არა მხოლოდ სამხედრო ძლიერება ან შეძენილი ქონება, არამედ – მითი ღვთაებრივ წარმომავლობაზე.

ეს ასე ხდებოდა: დროთა მანძილზე გვარ-ტომთა ტოტემები სხვადასხვა ხარისხისა და სახის ცხოველ და ფრინველ ღმერთებად გადანაწილდნენ.

ბელადის ტოტემიც, რომელსაც თავის წინაპრად თვლიდა, ამ უამრავ ღმერთებს შორის იყო. მაგრამ იგი გზას იკაფავდა, წინ მიიწევდა და მეტ ძლიერებას იხვეჭდა.

თავდაპირველად მეფე იგივე ბელადი იყო, ოღონდ მეტი უფლების მქონე და არა ვრცელი ტერიტორიის მბრძანებელი. მაგ., ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I იუწყება, რომ დაამარცხა და დაატყვევა ნაირის ქვეყნების 83 მეფე (ძვ. წ. XII ს.); ამავე მეფის სხვა წარწერიდან ვიგებთ, რომ 20.000 მუშქს 5 მეფე ჰყოლია; ბიბლიის მიხედვით, ქანაანელ ადონი-ბეზეკს 70 მეფე დაუმარცხებია...

ბელადი ქურუმ-ბელადი, მმართველი, მეფე (თუ მეფუკა), ფარაონი, იმპერატორი ხდებოდა. ტოტემური წარმომავლობა თავისთავად იცვლებოდა ღვთაებრივი წარმომავლობით.

ტოტემური ნიშნები თავდაპირველად მმართველის ატრიბუტიკაში შედიოდა, ისევე როგორც ღმერთის გამოსახულებაში. (მაგ., ეგვიპტური ღმერთები ცხოველის, ფრინველის, ქვეწარმავლის თუ მწერის სახით).

ბაბილონში ჰამურაბის დრომდე მეფე და ღმერთი ერთი დეტერმინანტით აღინიშნებოდა – DINGIR, რაც შუმერულად ცას ნიშნავდა, ისევე როგორც ვედური ინდრა და ალტაურ-მონღოლური თენგრი.

თენგრის ტიტული იყო „ხანი“, რაც გადადიოდა მმართველებზე.

ქართულშიც ასევე უნდა ყოფილიყო: უფალი – მეუფე – მეფე.

ღმერთებისა და მეფეების გამოსახულებანი შარავანდედს ატარებდნენ, რომლის ნათება შიშსა და კრძალვას იწვევდა.

მას შუმერულად „ზარდამცემი ნათება“ ერქვა.

ხელისუფალი ქმნიდა ადმინისტრაციას, სამხედრო და სამოქალაქო, ცენტრალურ და პერიფერიულ იერარქიას. მეტწილად იგი იყო უმაღლესი ქურუმიც.

გამარჯვებათა კვალდაკვალ უმაღლესი ერთიც ხდებოდა (მაგ., ეგვიპტის ფარაონი ამავე დროს იყო ბეხდეტელი ჰორი, მზის ღმერთის რას შვილი), თუმცა შეზღუდვათა სპექტრი მასზეც ვრცელდებოდა.

საომარ ეტლზე მდგარი, ოქროს მუზარადიანი, ოქროს სტილეტით, სპილენძის ფარით, ოქროს ბუნიკიანი შუბით აღჭურვილი, ოქროსა და ლილაქვის მძივებით მკერდაფარული ტრიუმფატორი, რომელიც ბრინჯაოს მუზარადიან მეომრებსა და ტყვეებს მოუძღოდა, თავზარს სცემდა ქალაქს: იგი მიწად ჩამოსული ღმერთი ეგონათ.

მას რკინის გული და ნერვები უნდა ჰქონოდა, რათა შესძლებოდა უამრავი თანამოძმის სასიკვდილოდ გაწირვა, როცა თავს ესხმოდა მეზობელ ტომებს და სწვავდა მათ ტაძრებს.

იგი ჯერ არ იყო დესპოტი და ტირანი. ამიტომ რიტუალებს მკაცრად იცავდა, უფრთხილდებოდა ქვეშევრდომთა ღირსებას, ზრუნავდა ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწესრიგებაზე, ემორჩილებოდა ან ითვალისწინებდა უხუცესთა საბჭოს რჩევებსა და გადაწყვეტილებებს.

ხოლო ერთპიროვნული მმართველობა ძალაუფლებით თრობასა და ტირანიაში გადადიოდა, როცა ხელისუფალი შეშლილს ემსგავსებოდა.

მაგ., ასურეთის მეფე ასურნასირფალ II (ძვ. წ. 884-860) **„დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობას მასიურად ცოცხლად სარზე აცვამდა, კედელში ატანდა, თვალებს სთხრიდა, ხელებს, თითებს, ცხვირსა და ყურებს აჭრიდა, ცოცხლად წვავდა ცეცხლში (მეტადრე ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალებს) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, არა მარტო დამარცხებული ქვეყნის ბელადებს, არამედ სხვა მრავალსაც ცოცხლად ტყავს აძრობდა და ხალხის დასაშინებლად მათი ან ასურეთის ქალაქების კედლებზე გადაფენდა ხოლმე“** („ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია”, თბ., 1988, გვ. 340–341).

როცა სჭირდებოდა, ხელისუფალს არც დიპლომატია აკლდა (მაგ., ირანის მეფემ კამბისმა დაამარცხა ეგვიპტის ჯარი, მაგრამ ქვეყანა არ გაძარცვა და ფარაონიც დაინდო) და არც ვერაგობა (მაგ., იმავე კამბისმა ეგვიპტეში დაშქრობის წინ თავისი ძმა მოაკვლევინა – ბაქტრიის სატრაპი – ძვ. წ. VI საუკუნე).

ზოგჯერ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებაც იდებოდა. მაგ., ასეთ უძველეს საზავო ხელშეკრულებად მიიჩნევენ ხეთების მეფე ხათუსილი III-სა და ეგვიპტის ფარაონ რამზეს II-ს შორის სამშვიდობო შეთანხმებას ძვ. წ. 1296 წელს. იგი დაიდო აქადურ და ეგვიპტურ ენებზე. ამის შემდეგ რამზესმა ცოლად შეირთო ხათუსილის ასული (რამზესი რას შობილს ნიშნავს, ხოლო რა – მზეს).

ხელისუფალი ღმერთების ნებითა და კარნახით მართავდა ქვეყანას, ქმნიდა სიმბოლიკასა და ატრიბუტებს, სტრუქტურასა და იერარქიას, უახლოეს გარემოცვას – დიდებულთა წრეს, რაც თანამედროვე მინისტრების პროტოტიპია.

მბრძანებელს ღმერთები აგზავნიდნენ სხვათა მიწების დასაპყრობად. მაგ., თუქულთი-ნინურტა პირველი იუწყება, რომ ნაირის ქვეყნების დასაპყრობად იგი ღვთაება აშურმა გააგზავნა (ძვ. წ. 1245-1209).

ასევე მოუწოდებდა მოსეს უფალი დიდი ცეცხლის შუაგულიდან, რომ დაპყრობილ ქვეყანაში ცოცხალი არავინ დაეტოვებინა, არც დიდი, არც პატარა, გარდა პირუტყვისა. მანვე დაუწესა ისრაელს ქანაანის საზღვრები.

ჰომეროსის „ილიადაში" ღმერთები ებრძვიან ერთმანეთს, ოღონდ ადამიანის გონითა და ხელებით.

ერთ-ერთი ლურსმული წარწერა გვაუწყებს: **„თიამათის წინააღმდეგ საომრად წავიდა აშურის ფიგურა, რომელსაც ასახიერებს სინაქერიბი"**, მეფე-ქურუმი (ძვ. წ. VIII ს.).

ურარტუს მეფე იშფუინი და მისი ძე მენუა აღნიშნავენ, რომ ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ, რომ ხალდმა დაამარცხა მტერი, რომ მამა-შვილი და მათი ჯარიც იქ იყვნენ (ძვ. წ. IX).

ყოველი ხელისუფალი თავისი გამეფების დღიდან იწყებდა წელთაღრიცხვას.

ძალაუფლებისათვის ბრძოლას ახლდა შიდაინტრიგები, კონფლიქტები და სისხლიანი დაპირისპირება, რაც ხელისუფალის დაღუპვით მთავრდებოდა (მაგ., ავადმყოფ ჰამურაბს ტახტი წაართვა შვილმა, სინაქერიბი მოკლეს შვილებმა).

დაღუპულ ან გარდაცვლილ ხელისუფალს განსაკუთრებული პატივით მარხავდნენ. მაგ., შუმერების ერთ-ერთ მეფე ა-ბარგს (ძვ. წ. XXVIII ს.) ლამის მთელი სასახლე აკლდამაში ჩააყოლეს – მეომრები, მსახური ქალები, ვირები, ოქროსა და ვერცხლის უამრავი ნივთი.

მეფის აკლდამა ხვრელით შეუერთეს მეუღლის აკლდამას, რომელსაც ასევე ცოცხლად ჩააყოლეს მსახურები და ჩაატანეს ძვირფასი სამკაულები.

ზოგი აკლდამა ისევე დიადი იყო, როგორც პირამიდა. მაგ., ლიდიის მეფე ალიატეს (ძვ. წ. VII ს.) აკლდამას ჰქონდა 69 მ სიმაღლე, დიამეტრი – 335 მ.

აკლდამაში გამოკეტილი ადამიანები სვამდნენ გამაბრუებელ სასმელს, ზეიმობდნენ, უკრავდნენ არფას. შემდეგ, როცა ჩაეძინებო-

დათ, ქურუმები შედიოდნენ, სტილეტის სწრაფი დაკვრით ხოცავდნენ მძინარეებს და კარს გმანავდნენ.

ეგვიპტური გრანდიოზული პირამიდები ფარაონთა სამარხი იყო.

პირამიდის შიგნით იყო ხვრელის მსგავსი დახლართული გზა, დიდი ორმოები, მიმალული კიბეები, ცრუ აკლდამები, მათ სიღრმეში კი – ნამდვილი აკლდამა.

აქ ოქროს სამმაგ კუბოში ესვენენ მუმირებული ფარაონი და მისი მეუღლე.

აკლდამის კედლები წარწერებით, ნახატებით, ღმერთებისა და ადამიანების ფიგურებით იყო დაფარული და ჩირაღდნებით განათებული.

აქვე იყო ფარაონის საომარი ეტლი, ოქროს ტახტები და საწოლები, სამკაული.

სიცოცხლე საიქიოშიც გრძელდებოდა. ამიტომ იმ ქვეყნად უნდა გადაეტანათ აქაური ნივთები (იხ. „სიკვდილი და საიქიო“).

რაც დრო გადიოდა, ხელისუფალთა განსასვენებელი მით უფრო სადა ხდებოდა – საზეიმო რიტუალს სცვლიდა გლოვის რიტუალი, რადგან ადამიანის ცნობიერება სხეულებრივ მუდმივ არსებობას შეელია.

რომის იმპერატორი გაღმერთებული ჰყავდათ, მისი ხელყოფა სახელმწიფო დანაშაული იყო. მიუხედავად ამისა, არაერთი იმპერატორი შეეწირა შეთქმულთა მახვილს.

ცენტრი და საზღვრები

ხილულ ქვეყანას თავისი საზღვრები ჰქონდა. ეს სახელმწიფო იყო და მას მეფე განაგებდა – უფლის შვილი, რომელიც ძალაუფლებას იერარქიული სისტემით ავრცელებდა.

ავსტრალიურ ტომებს ერთმანეთს შორის ტერიტორია ისეთი სიზუსტით ჰქონდათ განაწილებული, თითქოს მიწისმზომელის ნახელავი ყოფილიყო.

ამ საზღვრების დარღვევით იწყება სახელმწიფოს წარმოქმნა, როცა ტომები კარგავენ დამოუკიდებლობას.

ცხოველსა და ფრინველსაც შემოსაზღვრული აქვს საარსებო სივრცე, რომლიდანაც არ გამოდის. მხეცებიც უფრთხიან უცხო საგნებსა და გარემოს (იხ. „მიგრაცია და ადაპტაცია“, „ტერიტორიის გრძნობა“).

ეს მითუმეტეს ითქმის ადამიანზე, რომლის ხედვას პირველხილულ საგნებთან ამაგრებდნენ ღმერთები და მშობლიური ენა, თანამდევი რიტუალები.

უცხო ტომს სხვა, გაუგებარი ენა ჰქონდა და ღმერთებიც უცნაური ჰყავდა.

სახელმწიფოს მმართველი ქმნიდა ცენტრს, საიდანაც ხელმძღვანელობდა თავის სამფლობელოს. იგი გამაგრებული უნდა ყოფილიყო, რათა თავდაცვა შესძლებოდა ბარბაროსთა შემოტევისაგან.

ამგვარი სიმაგრე აყალიბებდა თავის ინფრასტრუქტურას – სასახლე, ტაძრები, სახლები, ბაზარი, ქუჩები, რაც დღევანდელი გაგების ქალაქს ნიშნავდა (მაგ., რომის უდიდესი ცირკი 485.000 მაყურებელს იტევდა, თეატრი – 40.000-ს, ამფითეატრი – 50.000-ს).

ასეთი ცენტრები მდინარის პირას ჩნდებოდა, რაც ხელს უწყობდა როგორც მომარაგებას, ისე უსაფრთხოებას, ნაოსნობასა და თევზჭერას (მაგ., ბაბილონი, ათენი, რომი). მაგრამ არჩევდნენ ისეთ ადგილს, სადაც გორაკი ან ხომლი იქნებოდა. მაგ., აშური კლდეზე იდგა და მონუმენტური კიბით ადიოდნენ.

სახელმწიფო საფუძველს უყრის ურბანულ კულტურას – ეს არის ქალაქი. ამიტომ ერქვა სახელმწიფოსა და ქალაქს ბერძნულ ენაზე ერთი სახელი – პოლისი (შდრ. – გერმ. die Stadt და der Staat).

ქალაქები ჩნდებიან ძვ. წ. V ათასწლეულიდან.

ქალაქი იყო ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, ქვეყნის გული და ტვინი, ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი. გამოირჩეოდა ტაძართა სიმრავლითაც (მაგ., ნაბუქოდონოსორის დროს ბაბილონში მდგარა 53 დიდი ტაძარი).

ქალაქის სიძლიერეს განსაზღვრავდა გალავნისა და კოშკების სიმტკიცე, სიმაღლე და სისქე. თავიდან აგებდნენ თლილი ქვებით, შემდეგ – კირის ხსნარით (ქართლში – ძვ. წ. III საუკუნიდან).

მთავარ გამაგრებულ ადგილს ბერძნები აკროპოლს უწოდებდნენ.

ქალაქი გალავნით ან თხრილით იყო შემოსაზღვრული და დაცული დანარჩენი დასახლებისაგან. ჰქონდა ერთი ან რამდენიმე ჭიშკარი, ქუჩები, წყალმომარაგება, კანალიზაცია; ფორმა – წრიული ან კვადრატული. წრე მოძრაობა და განვითარებაა, კვადრატი – წესრიგი და სიმტკიცე.

მტერი პირველ რიგში ანგრევდა გალავანს, რადგან იგი ქმნიდა წინაღობას.

როცა ვედები შეიჭრნენ ინდის ველზე, მოსპეს ყველა სიმაგრე. ამიტომ იყო მათი ღმერთის ინდრას ეპითეტი „ციხეთმმუსვრელი“.

ძირითად საკვებ პროდუქტს ქალაქი ღებულობდა გარშემო მდებარე დასახლებებიდან.

ქალაქი გეგმის მიხედვით არ შენდებოდა. სახლები და ქუჩები სტიქიურად წარმოიქმნებოდა. ქუჩები მეტწილად ვიწრო, ბინძური და მიხვეულ-მოხვეული იყო. ადამიანი და პირუტყვი ერთმანეთში ირეოდა. სახლებსა და ტაძრებს სარკმელი არ ჰქონდა.

მოწესრიგებული იყო მთავარი ქუჩა, რომელიც აერთებდა ტაძარს, სასახლესა და ქალაქის გარეთა ტაძარს.

საზეიმო პროცესია ამ ტაძრისაკენ მიემართებოდა, მაგ., ბაბილონში ღმერთქალ იშთარის ჭიშკრიდან.

მას საღვთო გზა ერქვა.

ძველ აღმოსავლეთში ყველაზე ლამაზი, მდიდარი და დიდი ქალაქი იყო ბაბილონი, რომლის სემირამიდას ბაღები მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად ითვლებოდა (ბაბ-ილო – ღმერთის კარიბჭე).

ეს ქალაქი ევფრატის ნაპირებზე იყო გაშენებული. მაერთებელი ხიდის სიგრძე ყოფილა 115 მ, სიგანე – 6 მ.

ქალაქს, რომელიც სამ და ოთხსართულიანი სახლებისაგან შედგებოდა, გარს ერტყა სამმაგად ნაშენი აგურის გალავანი, რომელსაც რვა ჭიშკარი ჰქონდა. ყოველ ორმოცდაათ მეტრზე კოშკი იყო აღმართული, შიდა კედელზე – 360, გარეთა კედელზე – 250.

გალავნისაკენ მიდიოდა რვა პროსპექტი. ცენტრში იდგა მარდუქის სატაძრო კომპლექსი, ეზოს კუთხეში კი – შვიდსართულიანი ზიქურათი.

კიდევ უფრო გამაგრებული იყო ნინევია. გალავნის სიმაღლე იყო 24 მ, სიგანე – 10 მ. დატანებული ჰქონდა 15 კარი და მრავალი კოშკი.

გალავანს უვლიდა 42 მ სიგანის თხრილი.

მიუხედავად ამისა, ნინევიაც აიღეს და დაანგრიეს. ძვ. წ. 612 წელს ქალაქი მიწასთან გაასწორა მიდიელთა მეფე კიაქსარმა.

ასურელთა მეფემ ცოლებთან ერთად თავი დაიწვა.

ასე იყო იბერიაშიც: არმაზციხეს ეკავა 30 ჰექტარი მიწა, ერტყა კოშკებიანი გალავანი – სიგრძე 4 კმ, სიმაღლე – 4,6, გარეთა კედლის სისქე – 4 მ.

მათგან განსხვავებით მინოსს არც გალავანი ჰქონდა და არც სასახლეები იყო დაცული. კრეტაზე მხოლოდ ბერძენთა შეჭრის შემდეგ ჩნდება ვაზებზე მეომართა გამოსახულებანი და მეომართა სამარხები.

არც სპარტას ჰქონდა საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

ბაბილონის ფართი იყო 2.500 აკრი, ნინევიისა – 1850; თემისტოკლეს დროს ათენი იყო 550 აკრი, ე. ი. ბაბილონზე თითქმის 5-ჯერ პატარა (აკრი – 4.047 კვ. მ.).

ქალაქებში თავს იყრიდა ყველა კულტურული ნაკადი, რაც გადაეცემოდა პერიფერიას, ცვლიდა ადამიანთა ცნობიერებასა და ცხოვრების წესს.

ადმინისტრაციული ცენტრი იყო მეფის სასახლე, რომელსაც ჰქონდა შიდა ეზო, გარეთა კიბე. იგი სახლისა და ციხე-სიმაგრის შერწყმა იყო, რომელსაც გალავანი ერტყა.

გაჰყავდათ მიწისქვეშა გვირაბებიც (მაგ., ხეთების დედაქალაქ ხათუსაში). სასახლე თანდათან ციტადელს დაემგვანა. მაგ., ასურეთის მეფე სარგონ მეორის (ძვ. წ. 722-705) სამეფო რეზიდენცია დურ-შარუქინი 18 ჰექტარზე ყოფილა გაშენებული. სასახლეს ეკავა 10 ჰ და უამრავი ოთახისაგან შედგებოდა.

მათგან გათხარეს 200-ზე მეტი ოთახი.

ქალაქს ჰქონდა მრგვალი მოედანი (ბერძნებში – აგორა, რომაელებში – ფორუმი), რაც იყო ბაზრობის, მართლმსაჯულებისა და სახალხო კრების ადგილი.

მთელი ქალაქი ცისა და მზის სიმრგვალეს იმეორებდა.

სახელმწიფოებრივობის აუცილებელი ნიშანია საზღვრები, რაც უძველეს დროში პირობითად არსებობდა.

ამის გამო შემოდიოდნენ უცხო ტომები და სახლდებოდნენ.

სახელმწიფოს ჰქონდა ბუნებრივი საზღვარი – ქედი, ზღვა, მდინარე, უდაბნო. მაგრამ უცხო ძალთა შემოჭრა და თარეში ან მომთაბარეთა მიგრაცია მაინც გარდაუვალი იყო.

ჩინელებმა განახორციელეს ფანტასტიკური იდეა – მათ ააშენეს დიდი კედელი, რომლის სიგრძე არის 5 000 კმ (ზოგი ცნობით – 21 196 კმ); სიმაღლე – 6.6 მ. აშენდა ძვ. წ. IV-III საუკუნეებში. დიდი კედელი გზაც იყო, რომელზეც ეტლები და ცხენოსნები დაქროდნენ.

მიწის ძირითად ფონდს ინაწილებდნენ მეფე, ქურუმები და უმაღლესი მოხელეები.

სახელმწიფო მართვის გაიოლების მიზნით ოლქებად იყო დაყოფილი (მაგ., ნომი ეგვიპტეში, სატრაპია ირანში).

ეს იყო ერთგვარი კომპრომისიც, რათა ტომობრივი თუ ენობრივი ნიშნით დაყოფა შეენარჩუნებინათ (მაგ., ქართლი ირანის XVIII სატრაპია იყო, კოლხეთი – XIX).

ასე რომ უძველეს დროშივე არსებობდა დღევანდელი ფედერაციის მსგავსი სტრუქტურა, ავტონომიური ერთეულები.

როცა ქვეყანა ძლიერი იყო, ასეთი დაყოფა მმართველობას სიმტკიცეს ჰმატებდა. მაგრამ პოლიტიკური რყევების ჟამს სეპარატიზმის ანდა სულაც დაშლის წყაროდ იქცეოდა (მაგ., ირანის იმპერიაში).

ცენტრს რომ ოლქებთან, პერიფერიულ უბნებთან კავშირი გაიოლებოდა, საჭირო იყო გზები და ხიდები.

სადაც მდინარე გადიოდა (მაგ., ნილოსი), ან გარშემო ზღვა აკრავდა (მაგ., საბერძნეთს), ნავებითა და გემებით სძლევდნენ სივრცეს. არადა – გზები უნდა გაეყვანათ, როგორც იქცეოდნენ რომაელები, რათა მთებში გავლა, უდაბნოს გადალახვა, მდინარეზე გადასვლა შესძლებოდათ.

ჯარი და იარაღი

ხელისუფალი ეყრდნობოდა ჯარს. იგი თავადაც სარდალი უნდა ყოფილიყო, რათა შესძლებოდა მტერთა წინააღმდეგ ლაშქრის გაძღოლა – არა მხოლოდ გონივრული მოქმედებით, არამედ – სიმამაცითაც უნდა გამოეწვია პატივისცემა.

დიდი ქვეყნის მმართველებს ეს არ სჭირდებოდათ, ამ ფუნქციას სხვა სარდლები ასრულებდნენ. ისინი კოორდინაციასა და საერთო ხელმძღვანელობას სჯერდებოდნენ. მათ მუდმივი ჯარი ჰყავდათ.

ჯარი იყო როგორც საგანგებოდ გაწვრთნილი, ისე მოხალისე, როგორც დაქირავებული, ისე მკვიდრ მოსახლეთაგან შემდგარი. მამაცი მეომარი, გმირი, ქვეყნისათვის დაცემული ყველგან სიყვა-

რულით იყო გარემოსილი. მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საიქიოშიც დიდ პატივს სცემდნენ.

ისეც ხდებოდა, რომ ჯარი გამოდიოდა საკუთარი ხელისუფალის წინააღმდეგ (მაგ. აქადში, რომის იმპერიაში). ამიტომ იგი მორჩილი უნდა ყოფილიყო, არ ჩარეულიყო პოლიტიკურ ინტრიგებში, შიდა დაპირისპირებაში. მას სახელმწიფო უნდა დაეცვა უცხო ძალთა აგრესიისაგან ან განევრცო ქვეყნის საზღვარი.

არ იქნება ჯარი, არ იქნება კანონი, – შენიშნავდა პლატონი.

ჯარის სიმტკიცისა და ძალისათვის აუცილებელი იყო იარაღი. მარტო მეომარი, თუ აბჯარი და დროის შესაფერი იარაღი არ ექნებოდა, ბრძოლას ვერ მოიგებდა.

2200 წლის წინათ ცინის საიქიო ცხოვრებისათვის ჩინელებმა გააკეთეს 8.000 ჯარისკაცის ნატურალური სიდიდის ტერაკოტას ქანდაკება. ყველა მეომარი სხვადასხვა სიმაღლისაა და ინდივიდუალური სახე აქვს. მათი ქრომირებული საჭურველი დღესაც პრიალებს! ეს უჩვეულო აკლდამა 1974 წელს აღმოაჩინეს.

დროის კვალობაზე იცვლებოდა ფარ-აბჯარი, შურდული, მშვილდ-ისარი, შუბი და მახვილი, ხე და ბრინჯაო, რკინა და ფოლადი, საბრძოლო ხომალდები და ეტლები.

ცხენის გამოჩენის შემდეგ კი კავალერია იყო გადამწყვეტი ძალა. მაგრამ ვერც სიმრავლე, ვერც წვრთნა, ვერც იარაღი წარმატებას ვერ მოიტანდა თუ ჯარს სათავეში არ ედგა მამაცი სარდალი, რომლის დაღუპვა ლაშქრის განადგურებას და დამარცხებას ნიშნავდა, ან თუ მეომარს არ ექნებოდა სწრაფვის პათოსი და მოტივი.

მართლმსაჯულება

ქართული მართალისა და სამართალის ცნებებს უკავშირდება ინდოევროპული ენების კანონს (ძვ. სპარს. arta – კანონი, ძვ. ინდ. rta

– კანონი), ღმერთს (წინააზიის ინდოევროპელებში – ard) და ადამიანს (ძვ. ინდ. marta – ადამიანი).

მართლმსაჯულება ხელისუფალის ხელში აუცილებელი ინსტრუმენტი იყო ქვეყნის სამართავად, რათა დამნაშავე დაესაჯათ, ეჭვმიტანილი განესაჯათ, დაენერგათ ღმერთების პარალელურად კანონებისადმი პატივისცემა. ეს ისევე განამტკიცებდა წესრიგსა და დისციპლინას, როგორც შურისძიება, სისხლის აღების წესი ველურ ტომებში.

მართლმსაჯულება სიმართლის დაცვას ემსახურებოდა. მაგრამ ირიბად ხალხს შიშსაც უნერგავდა, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩებოდა.

სასამართლო კოლეგია უხუცესთა საბჭოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა.

ყველა სახელმწიფო ადგენდა თავის კანონებს, რაც არსებულ სპეციფიკას ითვალისწინებდა და ასახავდა საზოგადოებრივ ცნობიერებას.

მაგ., **„სასამართლო ორგანოები ეგვიპტეში წარმოდგენილი იყო სა – მეფო სასამართლოს, ათთა საბჭოს სასამართლოს, ექვსთა პალატისა და სატაძრო სასამართლოს სახით. სამეფო სასამართლოს ფარაონი თავმჯდომარეობდა, ხოლო ექვსთა პალატის სასამართლოს – ჯატი. სატაძრო სასამართლოებს თავმჯდომარეობდნენ ქურუმები. მთელი სასამართლო სისტემა კი ფარაონს ექვემდებარებოდა“** (თ. თოდუა, სახელმწიფო მართვა, თბ., 2.008, გვ. 69).

სასჯელი ბარბაროსულად სასტიკი იყო. მაგ., ჩინელი იმპერატორის ცინ-ში ხუანდის (ძვ. წ. 246-210) კანონებით კონფუციანელთა ნაწერებს წვავდნენ, კანონის დამრღვევს კლავდნენ, აჭრიდნენ ცხვირს, ფეხს, შუაზე ფატრავდნენ, სხეულს ანაკუწებდნენ, ცოცხლად საფლავში აგდებდნენ, დღე და ღამე ამუშავებდნენ ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაზე და ა. შ.

მოსეს სჯულის თანახმად, სიკვდილით ისჯებოდა კაცისმკვლელი, დედის ან ქალიშვილის ცოლად შემრთველი, მღვდლის მეძავი ქალიშვილი და ა.შ.

ასევე მკაცრი იყო ჰამურაბის კოდექსი (ძვ. წ. XVIII ს.), გაცილებით ლმობიერი კი – ხეთური კანონები (ძვ. წ. XIII ს.).

დასჯის ფორმები იყო – ჩაქოლვა, თავის მოკვეთა, ჩამოხრჩობა, წყალში ჩაძირვა, ცეცხლზე დაწვა, სხეულის დაჩეხვა-დანაწილება...

ხეთური კანონებით, ცხოველთმავლობა ცხენთან და ჯორთან არ იყო დანაშაული, მაგრამ ძაღლთან და ღორთან – სასიკვდილო განაჩენს იმსახურებდა.

საბერძნეთში მართლმსაჯულების ღმერთქალი იყო თემიდა, რომელსაც ერთ ხელში სასწორი ეჭირა, მეორეში – მახვილი, ე. ი. სიმართლეს დაცვა სჭირდებოდა. ოსირისსაც სასწორი ეჭირა ხელში, ე.ი. სიმართლე, როგორც ანგარიშსწორება, ვაჭრობასაც გულისხმობდა.

რომში დამნაშავეს შეიწყალებდნენ თუ ტაძრის საკურთხეველთან მისვლას მიასწრებდა; თუ ვესტალს შეხვდებოდა; თუ ქალი კაბას შემოახვევდა, ან დაქორწინდებოდა. ეს იმიტომ, რომ საკურთხეველი და ქალი სიკვდილს – ქვესკნელს განასახიერებდა და დამნაშავეს სიკვდილის ფაზა უკვე განვლილი ჰქონდა.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა აჯანყება ან შეთქმულება მეფის წინააღმდეგ. როცა ხელისუფლების დამხობა წარმატებით მთავრდებოდა, გამარჯვებული მმართველი სჯიდა წინამორბედის მომხრეებს. თუ დამარცხდებოდა შეთქმული, მას, მის ოჯახსა და მხარდამჭერებს სასტიკი რისხვა ატყდებოდათ თავზე.

დამარცხებული ყოველთვის დამნაშავე იყო, გამარჯვებული კი – მართალი და სამართლიანი.

ძველი დროიდან ყველაზე სრულყოფილად ითვლება რომის სამოქალაქო სამართალი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ისწავლებოდა. მას ჰქონდა სამი წყარო – წინაპართა წეს-ჩვეულებანი,

ღმერთების მიერ ნაბოძები კანონები და მმართველთა მიერ დადგენილი სამართალი.

ენა და დამწერლობა

ქვეყნის მართვისათვის აუცილებელი იყო ერთი ენა, რომლითაც გაიცემოდა ბრძანებები, განკარგულებები, სრულდებოდა ღმერთმსახურება.

სახელმწიფო მეტნაკლები სიმრავლით ენებს შეიცავდა. ყველა მათგანი ვერ იფუნქციონირებდა. აქაც ერთს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა.

გამარჯვებული ხელისუფალი თავის ენას ავრცელებდა და აიძულებდა სხვებსაც იგი მიეღოთ და ესწავლათ. როცა იგი უცხო ტომიდან იყო, თმობდა თავის ენას და ღებულობდა იმ ხალხის ენას, რომლის ძალასაც ეყრდნობოდა (მაგ., რომის ზოგი იმპერატორი არარომაელი იყო, მაგრამ ქვეყანას ლათინური ენით მართავდა).

ბრძანება, განკარგულება, ხარკის აღება თუ ვაჭრობა მოთხოვდა არა მხოლოდ ერთიან სამეტყველო ენას, არამედ – მის ფიქსირებასაც.

ამიტომ მართვისათვის მეტყველება არ კმაროდა. საჭირო იყო დამწერლობაც, რათა ხელისუფალს შესძლებოდა საზოგადოების საჭირო მიმართულებით ინფორმირება, ინფორმაციის შენახვა.

დამწერლობა ვითარდებოდა იმ ენაზე, რომელზეც გამარჯვებული ხელისუფალის ხალხი მეტყველებდა.

გამარჯვებული ქვეყნის ენას საფრთხე არ ემუქრებოდა. იგი ვითარდებოდა და ევოლუციის პროცესში ივსებოდა და იცვლებოდა.

ენა ხალხის ბნელ წიაღში სტიქიურად იქმნება. მაგრამ მოწესრიგებასა და განვითარებაში მთავარი არის ლიტერატურა. ხოლო უნივერსალიზმს ანიჭებს სახელმწიფო სისტემა, რომელიც ახდენს მის პოლიტიკურ, სამხედრო, სამართლებრივ, მმართველობით ევფონიურ-ორატორულ ორგანიზებასა და აჟღერებას.

ამიტომ არის ლათინური ყველა დროის საუკეთესო ენა, რომელიც მრავალი საუკუნე დარჩა ინტელექტუალთა სააზროვნო საშუალებად.

ვაჭრობა და ფული

უძველესი დროიდან, ვიდრე სახელმწიფო გარსი, დისციპლინა და იერარქია წარმოიქმნებოდა, არსებობდა აღებ-მიცემა, საგნების გაცვლა. ეს იყო საკუთარი დანაკლისის შევსება, მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ერთი მეტს ამზადებდა, ვიდრე სჭირდებოდა, ამზადებდა ისე, რომ მეორეს იზიდავდა. მეორე აკეთებდა იმ ნივთს, რაც პირველს სჭირდებოდა, მაგრამ არ გააჩნდა.

ვაჭრობას თავიდან ჰქონდა წართმევის, ძალადობის, ბრძოლის ფორმა. ამიტომ აქვთ ერთი სათავე ვაჭრობასა და ომს (შდრ – როგორც გადმოგვცემს პლუტარქე, ჰერაკლემ მწყემსს ერთი ცხვარი სთხოვა. მწყემსმა მიუგო, რომ ცხვარს მისცემდა თუ დაეჭიდებოდა და გაიმარჯვებდა. შდრ, აგრეთვე – აიეტი და არგონავტები, თანამედროვე ფორტ ბოიარდის თამაშები). ძვ. წ. II ათასწლეულიდან ანატოლია და შუამდინარეთი მოფენილი იყო აქადელი და ასურელი ვაჭარ-კოლონისტებით.

ვაჭრობა ავითარებდა ეკონომიკას. მაგრამ ბარტერული გაცვლა-გამოცვლა, როცა სახელმწიფოში ომებისა და ძარცვის შედეგად დიდ-ძალი საქონელი დაგროვდა, მოუხერხებელი გახდა.

გამარჯვებულ სახელმწიფოს ჰყავდა მოხარკენი (მაგ., კოლხები აქემენიდებს ხუთ წელიწადში ერთხელ უგზავნიდნენ 100-100 გოგობიჭს). მათგან აღებული ოქრო-ვერცხლი ქვეყნის დამატებითი (ზოგჯერ – ძირითადი) შემოსავალი იყო. მაგრამ ომებს დიდი ძალა და რესურსები სჭირდებოდა და ამიტომ საკუთარ ხალხსაც გადასახადს ახდევინებდნენ.

დაბეგრილი იყო ტაძრებიც, რაც ქურუმთა უკმაყოფილებას იწვევდა. შეიძლება იმიტომაც, რომ ტაძარი სავაჭრო ადგილიც იყო (რამაც აღაშფოთა ქრისტე).

ხელისუფლება ნაირგვარ გადასახადებს იგონებდა (მაგ., ასურეთში თეთრი ცხვარის გაკრეჭა უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე შავისა).

ხეთებს კანონით განსაზღვრული საქონლის ფასების დეტალური ცხრილი ჰქონდათ.

საკუთარ უფლებათა დასაცავად ჩნდებოდა, მაგ., მესოპოტამიაში, პროფესიონალური გაერთიანებანი – ვაჭართა, ხელოსანთა, ჯადოქართა, რომელთაც ბოროტი სულები უნდა განედევნათ.

ღირებულების ძირითადი საზომი, მაგ., მესოპოტამიაში, იყო ვერცხლი (ა. ოპენჰაიმი), საბერძნეთში – რკინა, რომში – სპილენძი, ქვის ხანაში კი – მძივები, ნიჟარები, მრგვალი თეფშისებური ან ბეჭდისებური ქვები.

გაჩნდა გაცვლა-გამოცვლის სიმბოლო – ფული, რომელშიც განივთდა საგნის ღირებულება, მის წარმოებაზე დახარჯული შრომა. მაგრამ საგანი მოგების წყარო უნდა ყოფილიყო და ამიტომ მას უნდა დამატებოდა ხარისხისა და მოთხოვნილების შესაბამისი ღირებულებაც.

მაგ., სოლონის დროს ათენში ხარი ღირდა 5 დრაქმა, ცხვარი – 1, ოლიმპიადაზე გამარჯვებულს ჯილდოდ ეძლეოდა 500 დრაქმა.

ფული თავდაპირველად ლითონის მონეტებისაგან მზადდებოდა, რამაც ხელი შეუწყო მის პოპულარობასა და გავრცელებას, ფასეულობათა შენახვას, დაცვასა და გადაცემას (გაჩნდა ძვ. წ. VII საუკუნეში ჩინეთსა და ლიდიაში). მას ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ერქვა. მაგ., სიკლი – ბაბილონში, ობოლოსი – საბერძნეთში, თეთრი – კოლხეთში (ბერძნული ტეტრადრაქმადან), დარიკი- ირანში. ძველრუსულში „скот“, სანსკრიტში – „რუპია“. თანამედროვე განას ფულის ერთეული „სედი“ მათ ენაზე ნიჟარას ნიშნავს. შე-

იძლება ფულის გაჩენამდე ვაჭრობის ერთეული ცხვარიც ყოფილიყო (შდრ – მეგრ. კირიბი – ბატკანი, კირიბუა – შეკრება და კრება).

ასე რომ ბრინჯაოს ეპოქის ქვეყნებს ჰქონდათ ყველა ის ნიშანი და ატრიბუტი, რაც საფუძვლად დაედო შემდგომი დროის სახელმწიფოებსა და ხალხთა ცხოვრებას, რაც მოასწავებდა კულტურიდან ცივილიზაციის გამოსვლას.

6. ძალა, ძალაუფლების ნება და კულტურშემოქმედი

ღმერთების ნება ძალაუფლების ნებაში განხორციელდა, რომელთაც იწვევდა გადარჩენის ინსტინქტი, სიცოცხლის უნარი.

ღმერთების მიერ ფრთაასხმული ძალა და ძალაუფლება აყალიბებდა ადამიანსა და კულტურას, სახელმწიფოებრივ და მორალურ შეგნებას. აქ ორი ფაქტორი იყო მთავარი – შიში და აღზრდა.

შიში იმისა, რომ არსებულის დარღვევასა და გადაცდომას მოსდევს სასჯელი, როგორც უფლისა, ისე ხელისუფალისაგან;

აღზრდა, რომ ყრმას გადასცემოდა წინაპართა ცოდნა და გამოცდილება, რათა ველურობისაკენ არ უკუქცეულიყო. როგორც აღვნიშნეთ, უძველეს დროში აღზრდა წრთობას ნიშნავდა (იხ. „ინიციაცია“).

ინტელექტი მოქმედებად უნდა ქცეულიყო. ჯოგური ინსტინქტები და არქაული დემოკრატია კრძალავდა ერთიანობისა და თანასწორუფლებიანობის დარღვევას, განდგომას და ამაღლებას. ორივე მათგანი დაპირისპირებად მიიჩნეოდა.

წონასწორობის დამრღვევი მტერი იყო და იგი უნდა დაესაჯათ. ეს კი კონფლიქტს წარმოშობდა, მეტწილ – ქონებრივ და სექსუალურ სფეროებში.

ერთი და სიმრავლე

როცა ჯოგს გამოეყო ბელადი – მარჯვე და თავგანწირული მონადირე, ეს თითქოს ბუნებრივად მოხდა. მაგრამ იგი თუ ძალას არ გამოავლენდა, მალე თავიდან მოიცილებდნენ.

როცა ქურუმი უზენაეს ძალთა გამოყენებით იცავდა და ანცვიფრებდა ტომს, ხელს ვერ ახლებდნენ და ემორჩილებოდნენ. მაგრამ თუ შიში გაქრებოდა და ქურუმი ტომს ვერ მონუსხავდა – მას სხვა შეცვლიდა.

ამიტომ მოხდა ქურუმისა და ბელადის შერწყმა ერთ არსებაში, რადგან წარმოდგენების ფორმირება, დამკვიდრება ძალას უნდა დამყარებოდა. ძალა ძალაუფლებაში გადადიოდა, რაც გულისხმობდა დაცვას, მფარველობასა და მბრძანებლობას.

ძალას იძლევა გააფთრება და გაშმაგება ანუ უკუქცევა პრეისტორიისაკენ, ცხოველურ ინსტინქტთა აზვირთება.

„ყველა ერთნი ვართ“ – ეს პრინციპი დიდხანს მოქმედებდა. მაგრამ ძლიერი პიროვნება მას არღვევდა და ადამიანთა სიმრავლეს თრგუნავდა. „სახელმწიფო – ეს მე ვარ“, – იტყვის ძალაუფლებით მთვრალი მონარქი.

უძველესი დროიდანვე არსებობს ერთისა და სიმრავლის კონფლიქტური დილემა. კაცობრიობა – ეს არის ზოოლოგიური ცნება ან ცარიელი სიტყვა, შენიშნავდა ოსვალდ შპენგლერი. პროგრესის ჩირაღდანი ხელთ უპყრია ინდივიდს, რომელიც არღვევს მასების წონასწორობას, ითვალისწინებს მათ სწრაფვას და ფორმასა და მიმართულებას აძლევს.

ძალაუფლების ნება პიროვნების მტანჯველი ძალაა, რომლიც აკვიატებულ იდეად ვლინდება. მისი რეალიზება მოითხოვს ნებისყოფას, სწრაფვის უნარს, დისციპლინასა და იერარქიას. დისციპლინა უფლებათა შეკვეცაა, იერარქია – ძალთა გადანაწილება როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ჭრილში.

ორივე მათგანს ქმნის და კრავს ხელისუფალი, რაც არის სახელმწიფოს არსებობის გარანტია. „შენ უნდა გააკეთო, თუნდაც სიცოცხლის ფასად“, – ასეთია ბრძანების არსი (იხ. „ლიდერი“ და „ხელისუფალი“).

ძლიერი პიროვნება თავს წარმოიდგენს უფლის ნების აღმსრულებლად, სამყაროს ცენტრად. იგი ადამიანთა ნედლეულისაგან ხან თამაშითა და მათი ინსტინქტების დაკმაყოფილებით, ხანაც ულმობელი მოპყრობით ძერწავს თავის ოცნებას.

ასეთი სწრაფვა აწყდება წინააღმდეგობას, ან გულგრილ სტაბილობას. დაძლევისათვის კი აუცილებელი ხდება ნორმების დარღვევა ანუ დანაშაულის ჩადენა. ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ პიროვნებას უნდა მიზნის აღსრულება მოკლე დროში, თავისი არსებობის არეალში. დროში გაწელვა თავისთავად იწვევს ტრაექტორიის გამრუდებას, ახალ იდეალთან შეჯახებას.

ხელისუფალის დანაშაული, მას შემდეგ რაც ისტორიას ჩაბარდა არქაული დემოკრატია და გაბატონდა პიროვნების ფაქტორი, არსებულის დამსხვრევა იყო, რაც ნიშნავდა როგორც მოძმეთა დათრგუნვას, ისე მათი ძალის ბოროტ გამოყენებას, წარმართვას უცხო მიწების დასაპყრობად, სივრცის გასაფართოებლად.

ქარიზმა – ღმერთების ნობათი

ძალაუფლების ნება გარეგნულად ვლინდება როგორც ქარიზმა. იგი იდუმალი, მისტიკური, ამოუხსნელი სინათლეა, რომელიც მოდის სულის ქვესკნელიდან და გაუცნობიერებლად იმორჩილებს მსმენელს, მაყურებელს. თავისკენ მაგნიტივით იზიდავს და კრებს მათ და მიჰყავს სიკეთისა თუ ძალადობის გზით (მაგ., ბიბლიური მოსე).

თუ ქარიზმა ახლავს ხელისუფალის მზერას, სიტყვასა და მოქმედებას (მაგ., ნაპოლეონი ან ჰიტლერი), მაშინ იგი იწვევს მასობრივ ფსიქოზს, ნაციონალიზმის აზვირთებას, ბრძოლის წყურვილს, რაც არის ძალთა ვულკანური ამოხეთქვა, სისხლისღვრა და ომი.

ომი ათავისუფლებს აგრესიულ ძალებს, შინაგან ენერგიას და ასეთსავე სურვილს უნერგავს ქვეშევრდომებს, რომელთა არაცნობიერი ისედაც ატარებს მხეცურ ინსტინქტებს, სისხლის წყურვილს.

როგორც შენიშნავს ფრ. ნიცშე, ბაგირზე გადის ზეკაცი და არა ჯოგი, ე. ი. მაგალითს იძლევა გმირი, რასაც შეიძლება შეეწიროს კიდეც. ჯოგურ ეგოიზმს ცვლის ინდივიდუალური ეგოიზმი.

იდეალი

ძალაუფლების ნება წარმოშობს იდეალს, რომლის რწმენა და ხორცშესხმა, რომლისათვის ლაშქრობა აფექტების აფეთქებით ვლინდება, გადადის სისასტიკესა და დანაშაულში. მაგრამ იდეალების აღსრულება ამართლებს მისაღწევ საშუალებას – გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

ხელისუფალისათვის ასეთი იდეალი არის სახელმწიფო, მისი საზღვრების შორს გადაწევა, სხვათა მიწების, ქონებისა და უფლებების მიტაცება, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ბედნიერება.

იდეალი ადამიანს აიძულებს იმოქმედოს, გააკეთოს შეუძლებელიც და მიუღებელიც, მოკავშირედ იგულვოს ბოროტება.

ამდენად არის სიდიადე საშინელების შემცველი, რასაც გვიჩვენებს დიდი მმართველების მოქმედება და მართვის წესი (მაგ., XX საუკუნეში ლენინი, სტალინი და ჰიტლერი).

ძალაუფლების ნება ამოძრავებს პოტენციურ ძალებს, წინ სწევს ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარს, რაც პრაქტიკულად ვლინ-

დება იდეოლოგიებისა და ომების საშუალებით ქვეყნისა და ადამიანთა ცნობიერების გადაკეთებაში, აღზევებასა და დაცემაში.

ამიტომ დიდი ხელისუფალი დიდი უბედურებაც არის ხალხისათვის.

იგი მომავალს უფრო სჭირდება, ვიდრე თანამედროვეს (იხ. ფრ. ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ და „ძალაუფლების ნება“, ნ. მაკიაველის „მთავარი“). იგი ამქვეყნად სიმშვიდისათვის არ მოდის. ამიტომ მუდმივად წრთვნის და დაცხრომის საშუალებას არ აძლევს მასებს.

ჩვენი მსჯელობა ეხება მამაკაცს, რომლის წინაპარია მონადირე და მეომარი, ვისთვისაც ეგოიზმი იძლევა სწრაფვის უნარს. ხოლო ქალი ალტრუისტია, ვისთვისაც უმთავრესია დედობის ინსტინქტი.

კაცი იპყრობს და ასე ქმნის, ქალი ითვისებს და ემორჩილება; კაცი სიცოცხლეს ქმნის, ქალის – ინახავს; ქალისა და კაცის მეხსიერება თანაბარია. მაგრამ ქალის ასოციაციური აზროვნების არეალი შეზღუდულია, შესაბამისად – მსჯელობისა და წარმოსახვის მასშტაბიც.

ძალა და ძალაუფლების ნება ქალის ცხოვრებას არ წარმართავს. მისი ქარიზმა არის სილამაზე, რაც სექსუალურ ლტოლვათა ევფემისტური საბურველია (мужчина и женщина, т. 1, кн. 1, Тб., 1990).

რეალობიდან ოცნებისაკენ

როცა ძალაუფლების ნება, იდეალები, გმირული სული ვეღარ მჟღავნდება პრაქტიკულ სფეროში, როცა პიროვნება მარცხდება ან ფსიქიკურად ტრავმირებულია – ეს ყოველივე გადადის სულიერებაში, სახეს იცვლის, რაც საფუძველს აძლევს კულტურას, არქეტიპულ წარმოდგენათა გააქტივებას.

ხელოვანისათვის უმთავრესია ესთეტიკური იდეალი, მეცნიერისა და ფილოსოფოსისათვის – ჭეშმარიტება, რელიგიური მოღვაწისათვის – რწმენა, პოლიტიკოსისათვის – ხელისუფლება, რათა შეცვალოს ცხოვრების მდინარება. კულტურშემოქმედისათვის ომი და რევოლუცია ხდება წარმოსახვების სფეროში. მაგრამ როცა სუსტია ნებელობა, მაშინ ზეიმობს ფორმა, ქმნადობას ენაცვლება რაფინირება, კულტურა იქცევა თვითმიზნად. კულტურშემოქმედთა უმრავლესი ნაწილი დამარცხებული ან არშემდგარი ლიდერია. ამიტომ იყო კულტურის წიაღი ქურუმების წრე, რომელიც აყალიბებდა შიშიდან, განცვიფრებიდან, ტოტემური და აკრძალვათა სისტემიდან გამომდინარე ღმერთების პანთეონს, ღმერთების სახელით კი – ხელოვნებასა და მეცნიერებას, ცხოვრების წესს, მორალსა და ზნეობას, სქესთა კავშირს, ენას (იხ. „ინსტინქტები, სიმბოლოები და არქეტიპები“), სძლევდა „არასრულფასოვნების კომპლექსს“.

კულტურშემოქმედი, სულ ერთია – მასში მღერის სტიქია, შფოთავს სენი თუ ეწირება აკვიატებულ იდეას, ხელისუფალის მოპირისპირე ძალაა, რომელიც ოცნებაში ადგენს და ქვაში, ფერში, სიტყვაში, ბგერებში წარმოისახავს თავის სამყაროს. იგი ღვთაების ნების პიროვნებაში ამეტყველებად მიიჩნევა და ამდენად ხელისუფალი სარგებლობს ასეთი ასკეტური თავგანწირვის შედეგებით, გადააქვს ხალხზე და რკინის ნებით კვეთს ადამიანთა ახალ ერთობას, მის კულტურულ და ცივილიზაციურ პროფილს – სახელმწიფოს.

ასე ხდებოდა ძალისა და ინტელექტის ბალანსირება, რაც ქმნიდა როგორც კულტურის პირველსაფუძვლებს (არქეტიპებს), ისე მისგან მრავალკეცი ვარიაციით წამოსულ სახეებსა და ფორმებს.

2009, ოქტომბერი – 2010, აპრილი

პირველ წიგნში გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, თბ., 1989.
2. ვ. აფანასიევა, ე. ლუკონინი, ნ. პომერანცევა, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, თბ., 1986.
3. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.
4. ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისსია, თბ., 1990.
5. მისივე, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991.
6. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
7. არნ. გეგეჭკორი, აზროვნების სათავეებთან, თბ., 1982.
8. არნ. გეგეჭკორი, ადამიანის ევოლუცია. გაუჩინარებული და ტრაიბალური ცივილიზაციები, თბ., 2004.
9. გრ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988.
10. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, 1, თბ., 1988.
11. ა. დონინი, ადამიანები, კერპები და ღმერთები, თბ., 1965.
12. თ. თოდუა, სახელმწიფო მართვა, თბ., 2008.
13. თუკიდიდე, ისტორია, თბ., 2007.
14. ე. კასირერი, რა არის ადამიანი? თბ., 1983.
15. რ. კეინესი, დარვინი, მისი ქალიშვილი და ადამიანის ევოლუცია. თბ., 2013.
16. კ. კერამი, ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები, თბ., 1972.
17. ნ. კონსტანტინი, კანიბალიზმის ისტორია, თბ., 2012.
18. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979.
19. ზ. კესიდოვსკი, როცა მზე იყო ღმერთი, თბ., 1982.
20. ე. კოდუა. ისტორიის საზრისის საკითხისათვის, თბ., 1976.
21. ლ. კოტრელი, ანტიკურობის საოცრებანი, თბ., 1987.
22. კულტურა, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, თბ., 1977.
23. კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები, ბათ., 2009.
24. კულტუროლოგია, თბ., 2002.

25. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თბ., 1983.
26. ნ. მაკიაველი, მთავარი, თბ., 1984.
27. ნ. მარი, წარმართული საქართველოს ღმერთები, ჟ. „ლიტერატურა და სხვა“, 2001, №1.
28. გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმო სავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999.
29. ბ. მიშველაძე, თანამედროვე ბუნებისმეტყველების კონცეფციები, თბ., 2000.
30. რ. მიშველაძე, ქართული ფენომენი, თბ., 2007.
31. ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
32. ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსეევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ., 1986.
33. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975.
34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, თბ., 1970.
35. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
36. ს. სიგუა, მარტვილი და ალამდარი, II, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 2001.
37. ს. სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, თბ., 2007.
38. ირ. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.
39. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
40. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 1, თბ., 2005.
41. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, III-IV, თბ., 1964.
42. რ. შოვენი, ფუტკრიდან გორილამდე, თბ., 1977.
43. ქართლის ცხოვრება, თბ., 1996.
44. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-III, თბ., 2001–2002.
45. არნ. ჩიქობავა, ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
46. ჯ. ჩედვიკი, მიკენური სამყარო, თბ., 1989.

47. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
48. ნ. ხაზარაძე, ლ. მელიქიშვილი, ნ. მინდაძე, თ. ხოხობაშვილი, ნ. ბახსოლიანი, ქალი დროსა და სივრცეში, თბ., 2016.
49. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბ., 1951.
50. მისივე, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზ. 12 ტომად, X, თბ., 1992.
51. მისივე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, XI, თბ., 1998.
52. ჰეგელი, ესთეტიკა, I, თბ., 1973.
53. ჰეროდოტე, ისტორია, თბ., 2007.
54. В. Алексеев, Становление человечества, М., 1984.
55. Бессознательное, I-IV, Тб., 1978-1985.
56. Библейская Энциклопедия, М., 1990.
57. Фр. Боас, Ум первобытного человека, М.-Л., 1926.
58. Большая иллюстрированная энциклопедия древностей, Прага, 1986.
59. Л. Выготский, Психология искусства, М., 1965.
60. Т. Гамкрелидзе, В.В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, Тб., 1984.
61. П. Гуревич, Культурология, М., 2001.
62. А. Гущин, Происхождение искусства, Л., М., 1937.
63. Н. Дубинин, Что такое человек, М., 1983.
64. Д. Жданов, У истоков мышления, М., 1969.
65. Коран, М., 1991.
66. А. Кравченко. Культурология, М., 2001.
67. Культура древней Индии, М., 1975.
68. Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, М., 1930.
69. К. Леви-Стросс, Структурная антропология, М., 1983.
70. Ч. Ломброзо, История проституции, წიგნში: „Гениальность и помешательство“, Симф. 1998.
71. А. Лосев, Проблема символа и реалистическое искусство, М., 1976.
72. Т. Манн, Иосиф и его братья, I-II, М., 1991.

73. Э. Маркарян, О генезисе человеческой деятельности и культуры, Ер. 1973.
74. К. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления, Тб., 1973.
75. Мифы народов мира, М., I, 1991, II, 1992.
76. Мужчина и женщина, т. I, кн. 1, Тб., 1990.
77. Фр. Ницше. Воля к власти, М., 2005.
78. „—“, Соч. в двух томах, I-II, М., 1990.
79. А. Окладников, Утро искусства, Л., 1967.
80. А. Опарин, Происхождение жизни, Тб., 1984.
81. А. Оппенхейм, Древняя Месопотамия, М., 1990.
82. В. Полевой, Искусство Греции. Древний мир, М., 1970.
83. Ранные формы искусства, М., 1972.
84. Я. Рогинский, Проблемы антропогенеза, М., 1977.
85. А. Скрипник, Культурология, М., 2006.
86. А. Слоним, Инстинкт, Л., 1967.
87. Э. Тайлор, Первобытная культура. М., 1989.
88. С. Токарев, Ранные формы религии, М., 1990.
89. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка. I–IV, М., 1986-1987.
90. З. Фрейд, Я и Оно, М., - Харьк., 1999.
91. О. Фрейденберг, Миф и литература древности, М., 1978.
92. Дж. Дж. Фрэзер, Золотая ветвь, М., 1980.
93. О. Шпенглер, Закат Европы, I, М., 1993.
94. К. Г. Юнг, Архетип и символ, М., 1991.
95. К. Г. Юнг, Дух в человеке, искусстве и литературе, Минск – Харвест, 2003.
96. H. Kühn, Kunst und Kultur der vorleit Europas. Paläolithikum, Berlin, 1929.
97. H. Kühn, Eiszeitkunst. Die Geschichte ihrer Ertorschung, Berlin, 1965
98. H. Usener, Götternamen, Bonn, 1896.

წ ი გ ნ ი მ ე ო რ ე

კულტურის ტიპოლოგია
და
უნივერსალიები

კულტურისა და ცივილიზაციის განყოფა

კულტურასა და ცივილიზაციას ერთი ძირი აქვთ. ეს არის შექმნის პათოსი, სწრაფვათა და მოთხოვნილებათა წარმოსახვებად და საგნებად კონსტრუირება.

კულტურა და ცივილიზაცია ჩვენს ცხოვრებაში ერთმანეთისაგან განუყრელად არსებობენ. ამიტომ მათ ხშირად აიგივებენ კიდეც. ცივილიზაციაც ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სამოქალაქოს. იგი ვრცელდება XVIII საუკუნიდან, როგორც ველურობისა და ბარბაროსობის შემდგომი საფეხურის, ცოდნის პროგრესის და იმ დროის აღმნიშვნელი, როცა დაიწყო მკვიდრი ცხოვრება, შესაბამისი გარემოსა და ტრადიციების ჩამოყალიბება.

ზოგადად ყველაფერი კულტურაა, რაც გონებას, ინტელექტუალურ მოქმედებას უკავშირდება. მაგრამ როცა შემოგვაქვს ცივილიზაციის ცნება, იგი უნდა გამოვყოთ და განვასხვაოთ კულტურისაგან.

კულტურა სულიერებაა, შინაგანი არტისტიზმი და ესთეტიზმი, მეტყველების, გრძნობებისა და ქცევების მოწესრიგება. იგი ვლინდება არამატერიალურ, არაპრაქტიკულ სფეროში (მაგ., რელიგია, ხელოვნება, ზნეობა, ქცევა, რაც აყალიბებს ტრადიციებს).

კულტურა არ იძლევა საარსებო გარანტიას: ალამაზებს სიცოცხლეს, ადამიანებს აცილებს ცხოველურ ინსტინქტებს, მაგრამ სიცოცხლეს და საარსებო საშუალებებს არ ამკვიდრებს.

იგი რომანტიკულია, როგორც მთვარის შუქი.

რელიგია სულიერებაა. მაგრამ რომ აიგოს ტაძარი, საჭიროა მასალა – ხე, ქვა, კირი, აგური, მინა, რათა მივიღოთ შესატყვისი სივრცე, იატაკი, კედლები, ვიტრაჟები, კარები, გუმბათი, ლიტურგიის ატრიბუტიკა, რაც ცივილიზაციაა:

ხილული სიდიადე ბადებს მოკრძალებას.

ცივილიზაცია ერთი მხრივ არის პრაქტიციზმი, პრაგმატული მიმართება სინამდვილესთან, – ცხოვრების მოწესრიგება, რომლის მიზანია კომფორტის მიღწევა.

ეს კი ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკისა და სამართლებრივი ნორმების გარეშე შეუძლებელია.

ძველ დროში ქონებას ფლობდა გვაროვნული არისტოკრატია. ქონება მემკვიდრეობით გადადიოდა და იგი იყო თავისუფლების ძირითადი გარანტი. კულტურის წიაღი კი იყო რელიგიური გარემო, რელიგია, რომლის მოღვაწენი არისტოკრატიული ოჯახებიდან იყვნენ.

ახალ დროში ეკონომიკის სათავესთან დგას ბურჟუა, რომელიც ჯერ ვაჭარი იყო, შემდეგ ბიზნესმენი გახდა. იგი ქმნის ცივილიზაციის მატერიალურ სტრუქტურას, რომელშიც გადანაწილდება ადამიანთა შრომა და ასე განავრცობს თავის საკუთრებას.

არისტოკრატიას თუ უშრომელად შეეძლო ცხოვრება, ბურჟუა და ბიზნესმენი თავად არიან ქონების წარმოქმნის და გადანაწილების მონაწილე და დირიჟორი, რისთვისაც ითვისებენ ახალ ტექნიკას.

სიმდიდრე არის ცივილიზაციის საფუძველიც და მონაპოვარიც. ცივილიზაცია კი ქმნის პირობებს თანამედროვე დემოკრატიისათვის, სახელმწიფოებრივი წესრიგისა და დისციპლინისათვის, სადაც შეიძლება ყოველი ადამიანის საარსებო მინიმუმის დაკმაყოფილება და მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვა.

ცივილიზაციის პროგრესის დროს ერთმანეთს ერწყმის ეკონომიკა და ინტელექტი, რაც წარმოშობს ინტელიგენტს – გონებრივ მუშაკს.

ინტელიგენტის ბუნებაში ერთიანდება კულტურა და ცივილიზაცია, სული და გონება. როცა პოეტი ქმნის ლექსს – ეს კულტურაა. მაგრამ იგი რომ წიგნად იქცევა, რასაც სჭირდება ქაღალდი, საღებავი, წებო, შრიფტი, ბეჭდვა და აკინძვა – ეს ცივილიზაციაა.

ცივილიზაცია გონების მონაპოვარია, გარემოს შეცნობისა და გააზრების, ბუნების კანონების გამოყენების შედეგი. იგი აიოლებს

და ალამაზებს ცხოვრებას, წარმოშობს ახალ საარსებო წყაროებს, ახალ საგნებს, რაც არ იცის ბუნებამ, კორექტივი შეაქვს ბუნებრივ წესრიგში (შდრ – ტყე და პარკი).

კულტურის ცენტრი იყო ღმერთი, კულტურას ღვთაების ემანაციად მიიჩნევდნენ; ცივილიზაციის ცენტრი კი გონებაა, რომელიც ტექნიკის სახით ვლინდება.

ადამიანი იყო ღმერთის ხატი, ახლა კი ტექნიკის ხატია, მის ორგანოთა პროექცია ბუნებრივ მასალაზე (პ. გურევიჩი).

ტექნიკური პროგრესი ცვლის საწარმოო ძალებსა და იარაღებს, საწარმოო ურთიერთობას, მართვის ტექნოლოგიას, სოციალურ სტრუქტურას. ცივილიზაციის პირველი ნიშანია ქალაქების წარმოქმნა, რასაც ძვ. წ. V ათასწლეულს განაკუთვნებენ ანუ ამ დროიდან იწყება კულტურისა და ცივილიზაციის განყოფა, სულისა და გონის განცალკევება, ზრუნვა კომფორტსა და საკუთრებაზე, სახელმწიფოს ფორმირება.

მათ ერთმანეთისაგან სთიშავდა ძალა და ძალაუფლება.

კულტურა და ცივილიზაცია ერთმანეთში გადადის, ხან სრულად, ხანაც – ნაწილობრივ, ზოგჯერ კი ერთმანეთს უპირისპირდებიან.

მთავარი გამთიშველი და განმასხვავებელი იყო და არის სულიერება და გონება, მშვენიერება და ინტელექტის მიერ შექმნილი საგნობრივი წესრიგი, ახალი ხელოვნური სინამდვილე.

ქოხიდან ცათამბჯენამდე, ბილიკიდან ლიანდაგამდე, ურმიდან რაკეტამდე მანძილი ადამის ძემ ოცნებითა და თამაშით, შრომითა და ბრძოლით გამოვლო.

ეს გზა სისხლით არის მორწყული, რომელზეც ამოდიოდნენ ტანჯვის ორქიდეები.

ყოველი ახალი საგანი ახალი ლექსიკური ერთეულიც იყო. იგი სულის კუთვნილებად საუკუნეების მანძილზე თუ იქცეოდა.

მაგ., ცხენი, მახვილი, ქოხი თუ ტაძარი მშობლიური სიტყვებია, რომელთა ხსენებას ემოცია ახლავს. ისინი ჩაიძირნენ ჩვენს ფსიქი-

კაში, ისინი მშობლიური წარმოდგენების ნაწილად იქცნენ. მაგრამ როცა ვამბობთ ავტომობილს, მოტორს, თვითმფრინავს, ლიფტს თუ მეტალოპლასტმასს, მათ გონებით ვღებულობთ, პრაგმატულად აღვიქვამთ. ემოციურად მათდამი დამოკიდებულება განურჩეველია. ეს სიტყვები სულს ეუცხოება.

უნდა გავიდეს დიდი ხანი, ვიდრე ეს სიტყვები ისევე მახლობელი და მშობლიური გახდებიან, როგორც ამბიონი, ოლარი, ეტრატი თუ გუმბათი.

საუკუნეთა მანძილზე სისხლიანი გამოცდილებით ფსიქიკაში შთაბეჭდილი არქეტიპები სულს იდგამენ და გარეთ გამოდიან ცივილიზაციის ნიღბებითაც.

ცივილიზაცია ხან ნელი ნაბიჯით, ხანაც – ნახტომებით სრულყოფდა საცხოვრებელ გარემოს, საარსებო საგნებს, ლანდშაფტს, რათა ადამიანს შიმშილისა, სიცივისა და მტრისაგან თავი დაეცვა, მყუდრო და თბილი ბინა ჰქონოდა, მოხერხებულად და ლამაზად ყოფილიყო შემოსილი, გემრიელი და მრავალგვარი კერძი დაემზადებინა, დაეცვა პირადი ჰიგიენა, ტალახიანი გრუნტის გზები ქვაფენილითა და ასფალტით შეეცვალა, გამოეგონებინა მედიკამენტები, სამედიცინო ტექნიკა, გადაადგილების სწრაფი და ეფექტური საშუალებანი.

სულზე ფიქრი კულტურაა, სხეულზე ზრუნვა – ცივილიზაცია.

ცივილიზაციამ მოიტანა ცენტრალური გათბობა, კანალიზაცია, ნავთობი, ქვანახშირი, მანქანა, წყალმომარაგება, შუქი, გაზი, ვატერკლოზეტი, სარეცხი მანქანა, მეტროპოლიტენი, მრავალსართულიანი, მრავალბინიანი კორპუსები...

გონება ეძებდა ფორმებს, რათა ნივთები მოთხოვნილებათა ზუსტი და მარჯვე შესატყვისი ყოფილიყო, ნაკლებ ძალთა ხარჯვით მიეღო მეტი ენერგია და პროდუქტი, მეტი შრომის, ბრძოლისა და გართობის საგანი.

კულტურა ოცნება, ფიქრი და განსჯაა, მორალი და ზნეობა, ცივილიზაცია – წარმოსახვებიდან რეალობაში გასვლა, უხილავის ხორცშესხმა: საზოგადოებრივ ცხოვრებაში – კანონიერება და წესრი-

გი, იერარქია და დისციპლინა; ყოფით გარემოში – აეროდრომი, ავტოსტრადა, შენობა, მანქანა, მტვერსასრუტი, აბაზანა, ტელეფონი, ლიფტი ანუ ხაზებისა და ფერების პროპორცია, სიმტკიცე და სიმსუბუქე, რასაც სჭირდება ნედლეული – ოქრო-ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ხე, ქვა, ალუმინი, ცემენტი, კირი, მინა.

კულტურა ქმნის თავისი გავრცელებისა და დამკვიდრების ცივილიზაციურ ქსელს, რასაც უზრუნველყოფს იდეების ტექნიკური საშუალებით მატერიალიზება.

ტექნიკის სწრაფი განვითარების პერიოდებს ერქვა სამრეწველო რევოლუცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ელექტრონის საუკუნე, კომპიუტერის ერა და ა. შ.

ველური უმ ხორცს კბილებით გლეჯდა, ბარბაროსი – ჩეხდა, ხარშავდა და წვავდა. ცივილიზებული ადამიანი კი ჭურჭელსა და პროდუქტს რეცხავს და უამრავ კერძს ასე ამზადებს, ამზადებს ქვაბში, ტაფაზე, სადილობს მაგიდასთან, იყენებს დანა-ჩანგალს, კოვზს, თეფშებს, ხელსახოცს, ჭიქებს, ლამბაქებს, ფინჯნებს, ანუ პირველსაწყისი უთვალავ ვარიაციას გვაძლევს.

ბუნებრივი ნედლეულის მიღებასა და გარდაქმნას აჩქარებს და ასხვაფერებს ქიმიური ტექნოლოგიები ანუ გონება ცვლის როგორც საკვების მოპოვების, ისე მოხმარების წესებს.

ცივილიზაცია იჭრება ადათ-წესებში, რელიგიაში, პოლიტიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ესთეტიკურ აღქმაში, აძლიერებს აზრის დინამიკას და ამცირებს უშუალო გრძნობებს, სტიქიას უმორჩილებს კონტროლს, გონებრივ კონსტრუქციებს, მის დიფერენცირებულ სახეებს. მიუხედავად ამისა, ანთროპოლოგიურად ადამიანი არ შეცვლილა, არც მანკიერება აღმოფხვრილა, არც ბოროტება; არც ნიჭი მომატებია ვინმეს.

ცივილიზაციის როგორც საწყისი, ისე მიზანი და დანიშნულება არის კულტურა. მისი წარმოქმნისა და ფორმირების პროცესიც კულტურას მოითხოვს, რაც ნიშნავს გამოვლენისა და დაუფლების დონეს, ხარისხსა და ღირებულებას. ო. შპენგლერის სიტყვით, როცა

კულტურა გადადის ცივილიზაციაში, მცირდება სულიერება და იმარჯვებს გარეგნული ბრწყინვალება. ადამიანი იცლება განცდებისა და ტრადიციული ნორმებისაგან. იგი თავად ხდება ნივთი და ნივთის დამატება. ჰუმანურობის ადგილს იჭერს ფული და ტექნიკა, რომელიც დემონის დარად პიროვნების მოთხოვნით გონიდან გამოვიდა, თავის შემქმნელს გამოეყო, გამოეყო და დაიმორჩილა (მაგ., თანამედროვე მეგაპოლისები – ნიუ-იორკი, ჩიკაგო, მეხიკო, ტოკიო).

კულტურშემოქმედთა სახელები საყოველთაოდ ცნობილია (ჰომეროსი, პლატონი, ქრისტე, მუჰამედი, სერვანტესი, გოეთე, დანტე, რუსთაველი, მიქელანჯელო, ბეთჰოვენი, რაფაელი, მოცარტი, პიკასო...). მაგრამ რამდენმა იცის ვინ გამოიგონა ტელევიზორი, ლიფტი, რადიო, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ავტომანქანა, თვითმფრინავი, ფოტოგრაფია, კინემატოგრაფია, რომელთა გარეშეც ცხოვრება წარმოუდგენლად გვეჩვენება, ან ვინ შექმნა ქვანტური მექანიკა, ფარდობითობის თეორია, კიბერნეტიკა, ინფორმაციის თეორია, ატომური ბომბი, კოსმოსური ხომალდების სერია „აპოლონი“...

მეცნიერული აზრის პროგრესი აიოლებს და გარეგნულად ალამაზებს ცხოვრებას. მაგრამ პიროვნება ხდება ტექნიკურ კონფიგურაციათა ჯამი. მისი ოცნება და სწრაფვა საგნებად ნაწილდება, სული კი ცარიელდება, რომელიც კარგავს მიზანსა და სიმშვიდეს.

მას ეუფლება ნევროზი და ფსიქოზი, იპყრობს არარაობის განცდა ან რობოტს ემსგავსება, ტექნოკრატი ხდება (შდრ. მ. ფრიშის „ჰომო ფაბერი“). ამიტომ გააჩნდა დროის შესატყვისი ცნებები – „სნეული საუკუნე“, „ეჭვის ერა“ და ა. შ. სტერილურ, კიბერნეტიკულ ადამიანს არა აქვს არაცნობიერი – ის მხოლოდ გონებაა, ცნებებისა და ციფრების გროვა.

გავიხსენოთ ანდრეი ვოზნესენსკი:

„Все прогрессы реакционный,
Если рушится человек“.

კომფორტი არ არის ბედნიერების გარანტი.

უნდა გავიდეს დრო, ვიდრე ადამიანი შეეჩვევა არტეფაქტულ საგანთა სიმრავლეს, მათ ფუნქციას, ტექნიკის მართვას, ეკონომიკის რეგულირებას, სამართლებრივ ნორმათა ჩარჩოს ანუ მათზე სულიერ მბრძანებლობას შეძლებს, მათგან განთავისუფლდება, დასძლევს ზომბირებას (ზომბი – გვამი, რომელსაც აცოცხლებს და ამოძრავებს ჯადოსნური ძალა).

განსხვავებით კულტურისაგან, ცივილიზაციის განვითარების ტემპები უფრო და უფრო ძლიერდება. ჰომეროსზე, შექსპირზე ან რუსთაველზე დიდი პოეტი XX საუკუნეს არ წარმოუშვია. მაგრამ ისინი არც მანქანას იცნობდნენ, არც მაგნიტოფონს, არც ელექტრონს.

დღეს ხელოვანი იყენებს ტექნიკის მრავალ საოცრებას, მაგრამ ვერც უკეთ წერს, ვერც უკეთ ხატავს, ვერც უკეთ აზროვნებს.

მთვარესთან მისვლა ტექნიკის ტრიუმფია. მაგრამ ამ ფაქტზე მეტად აღელვებს სულს ლექსი, სიმღერა, მუსიკა, რომანი, კინოფილმი ან რელიგიური რწმენა.

კულტურა და ცივილიზაცია დისპროპორციულად ვითარდება. კულტურა სპირალია, ცივილიზაცია – კიბე.

ცივილიზაციამ რეგრესი შეიძლება განიცადოს ლოკალურ გარემოსა და მოკლე დროში. მაგრამ საერთო სურათი მხოლოდ აღმასვლას გვიჩვენებს. თანაც საოცარი ტემპებითა და შედეგებით: ლამის მოხდეს ყველა ფიქრისა და ოცნების მატერიალური ხორცშესხმა, ფანტასტიკის რეალიზება.

ამ პროცესში არიან ჩართული სახელმწიფოები, ერები, თაობები, სხვადასხვა რასის, ფსიქიკის, ცნობიერების, ნებელობის ადამიანები. ისინი ერთად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ავითარებენ ცივილიზაციის ტექნიკურ შედეგებს (მაგ., აშშ და სსრკ ერთმანეთისაგან ფარულად ქმნიდნენ ბირთვულ იარაღს).

კულტურა კი თავისთავს იმეორებს, ძველ ნიმუშებს სახავს მაგალითად. ასე რომ კულტურა ისევე კონსერვატიული მოვლენაა, როგორც ფსიქიკა. ტრადიციის მოდერნიზაციისათვის, ახალ მოთხოვნათა შესაბამისი ფორმების საძიებლად კულტურშემოქმედი ცვლის

ესთეტიკას, სტილს, ხედვას, ობიექტებს, მასალას (მაგ., იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, დადაიზმი).

ხელოვნების მიზანი მუდმივი განახლებაა, თუნდაც ახალი ვერ სჯობდეს ძველს, ისევ როგორც შვილი-მამას, ან თუნდაც შორეულ წინაპარს.

სიცოცხლის არსი მოძრაობაა, მოძრაობა კი ცვალებადობაა, რაღაცის დაკარგვა, რაღაცის შეძენა.

ხელოვნებაში, განსხვავებით ტექნიკისაგან, წინსვლა არ ნიშნავს აღმასვლას. ცივილიზაცია კი მუდმივი პროგრესია, როცა ახალი აღემატება ძველს (მაგ., მანქანის სიმძლავრე, სიჩქარე, მანევრირება, საწვავის ხარჯვა, სისტემის გამარტივება, დიზაინი).

ადამიანი მტერს ქვითაც კლავდა და ხანჯლითაც. მაგრამ მასობრივი განადგურების იარაღი ამცირებს ფიზიკურ ძალთა ხარჯვას, იცავს მომხმარებელს და იოლად უსწორდება მოწინააღმდეგეს. სწორედ ცივილიზაციური უპირატესობით სძლევს ერთი ქვეყანა მეორეს, იმორჩილებს და თავს ახვევს თავის კულტურას (მაგ., ქრისტიანობისა და მუსულმანობის დამკვიდრება).

ძველ დროში „ილიადა“, ბიბლია თუ „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. გადაწერა საკმაო დროს, კარგ კალიგრაფიასა და შრომას მოითხოვდა. მაგრამ ქაღალდი და სტამბა ახდენს ტექსტის ტირაჟირებას.

წიგნი გუტენბერგის გამოგონების შემდეგ (XV ს.) მასობრივი და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. ტექნიკამ კულტურა მასებში გადაიტანა, დაარღვია მისი კასტური წრე.

კულტურის ნიმუში ერთადერთი და განუმეორებელია. ხოლო ცივილიზაცია მისი ნაირგვარი ფორმითა და სიმრავლით კოპირებაა.

მაგრამ სიმრავლე იწვევს გაუფასურებას. ის, რაც მასობრივად ხელმისაწვდომია, ინტერესს კარგავს ანუ ხდება საკრალურის პროფანაცია (შდრ., რუსთაველი: „ოდეს ტურფა გაიეფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“).

კულტურას ქმნის რელიგიური და მხატვრული აზროვნება, ცივილიზაციას – ტექნიკა და ცნებითი აზროვნება, მოთხოვნილებათა რაციონალიზება და პრაქტიკული რეალიზება, მეცნიერული აზრი, რაც თავს იყრის სახელმწიფოს ცნებაში.

ტექნიკა უპირისპირდება რელიგიას, როგორც ეშმაკი ღმერთს ანუ ადამიანის არქეტიპულ წარმოდგენებს, თუმცა მათგან არის გამოსული.

მუსიკის, პოეზიის თუ ფერწერის აღსაქმელად გემოვნება და ერუდიციაა აუცილებელი. მაგრამ ტელევიზორის, მანქანის, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის მოხმარება არც ნიჭს მოითხოვს, არც განსაკუთრებულ ცოდნას.

სამაგიეროდ ამ საგნების შესაქმნელად სპეციფიკური განათლებაა საჭირო, რომლის ათვისებას ადამიანი დიდ დროსა და ძალას ალევს.

ამდენად არის კულტურა სტიქიური უნარის ტრანსფორმირება, ხოლო ცივილიზაცია – ინტელექტის ნაყოფი, პრაქტიკულ მოთხოვნილებათა შეფარდება ბუნებისა და სულის კანონზომიერებასთან.

კინო ხელოვნებაა, მაგრამ ფილმის გადაღების პროცესი ტექნიკურ საშუალებებს ემყარება, ისევე როგორც ესტრადა ან წიგნის ბეჭდვა. არქიტექტურაც ხელოვნებაა (მაგ., წმ. პეტრეს ტაძარი რომში, ლუვრი და ვერსალი, შაჰის მეჩეთი ისპაჰანში, სვეტიცხოველი, ისაკის ტაძარი პეტერბურგში, ნოტრდამი, ესკურიალი, აია სოფია, ტაჯ მაჰალი). მაგრამ ცათამბჯენის ან თუნდაც მრავალსართულიანი სახლის აშენება სამეცნიერო მონაცემთა გათვალისწინებისა და ტექნიკის გამოყენების გარეშე შეუძლებელია (შდრ – არქაულ დროში შენობის ფუნდამენტში ადამიანს ატანდნენ, საძირკველს სისხლით რწყავდნენ, ანდა – კაცის ჩრდილით ამაგრებდნენ) ანუ კულტურა ერწყმის ცივილიზაციას (მაგ., ეიფელის კოშკი ან ემპაიერი და სირს ტაუერი).

ასევე კულტურისა და ცივილიზაციის სინთეზია ავანგარდისტული ხელოვნება (რომელშიც ჭარბია ანტიესთეტიკური და ანტიმუსიკალური ნაკადი), ისევე როგორც მატერიალური კულტურა.

კულტურა კარგავს კავშირს ღმერთთან და სულიერებასთან, რომელთა ადგილს იკავებს ინტელექტუალიზმი, ტექნიკა და სახეცვლილი ბუნება. ტექნიკა იმორჩილებს ყოფიერებას (მ. ჰაიდეგერი) და სამყარო ერთიან ფაბრიკას ემსგავსება (კ. იასპერსი). ცივილიზაცია განურჩეველია ზნეობის მიმართ. მას არც ნაციონალიზმი აინტერესებს, არც ადათწესები და არც ინდივიდის თავისებურებანი.

იგი ზეპიროვნული, ზენაციონალური და ზეადამიანური მოვლენაა.

კულტურა კი სწორედ პიროვნულ, ნაციონალურ და ჰუმანურ ნიშანთვისებათა კონცენტრირება და ინდივიდუალური გამოხატვაა.

არსებობენ ლოკალური ცივილიზაციები. ისინი ჩაკეტილ სისტემას ქმნიან, რასაც არღვევს ან სპობს საერთო პროგრესი. მაგ., ქრება ძველი არქიტექტურა, ქალაქთმშენებლობა, შრომისა და ბრძოლის იარაღები, სამოსელი და ჩაცმის სტილი, ჰიგიენის დაცვის თუ ბინათმოწყობის წესი, სახელმწიფოს თუ ვაჭრობის ფორმები.

ბატონდება საერთო სტანდარტი – ნებაყოფლობით თუ ძალდატანებით, რასაც ითვისებს ინდივიდი, ერი თუ სახელმწიფო. ცივილიზაცია, რომელიც მოაქვთ გამარჯვებულ ერებს, გამოდის უნიფიკაციის, გათანაბრების, გაერთმნიშვნელიანების მოთხოვნით. ენასა და რელიგიაზე დაფუძნებული კულტურა კი ინახავს პიროვნულ და ეროვნულ ინდივიდუალობას, რაც პროგრესს ბარიერს უქმნის. მაგრამ სწორედ ამ ბარიერით იცავს დამოუკიდებლობას, თავისთავადობას.

ასე გადარჩება სამყაროს ფერადი სიმფონია.

მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გენეტიკა, თერმობირთვული სინთეზი, მიკროელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა, მათი კანონები ყველასათვის საერთოა. მაგრამ ეს არ ითქმის ხელოვნებაზე, რელიგიასა და ენაზე.

ცივილიზაციის ერთ-ერთი ნიშანია, ერთი მხრივ – სპეციალიზაცია და დიფერენცირება, მეორე მხრივ – ტექნოლოგიების სინთეზირება და ცენტრალიზება, კომფორტი და სოციალური დაყოფა.

ცივილიზაცია, ისევე როგორც კულტურა, ეფუძნება დამწერლობას, რომელიც ინახავს და ავრცელებს, შთამომავლობას გადასცემს დაგროვილ ინფორმაციას. დღეს დამწერლობის პარალელურად სწრაფი ტემპით ვითარდება და მასების გულისყურს იმორჩილებს კომპიუტერი, რაც საყოველთაობის, ცენტრალიზებისა და ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალებაა. კულტურისა და ცივილიზაციის მონაპოვართა ცოდნას, შენარჩუნებასა და გადაცემას უზრუნველყოფს სწავლა-აღზრდის პროცესი, რაც არის ინსტინქტურზე ძალდატანება, ცხოველური ბუნების ტრანსფორმირება.

ინსტინქტების დონეზე ადამიანები ერთმანეთს იოლად და სწრაფად უკავშირდებიან, რადგან ინსტინქტები და ემოციები ბიოლოგიის სფეროა. ბიოლოგიურად კი, ქრომოსომულ-გენურად, ანატომიურ-ფიზიოლოგიურად ყველა რასა ერთნაირია.

მათ თიშავთ ინტელექტი, რადგან ინტელექტი გონების სფეროა, რომელსაც ყოველი ეთნოსი და ინდივიდი განსხვავებულად ავლენს.

გარდა ამისა, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი ძალიან მცირეა. ასევე შეზღუდულია აღმქმელთა და ამთვისებელთა კონტიგენტი.

კულტურისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისაგან განსხვავებით, ცივილიზაციის შედეგებს ყველა ხარბად ეწაფება, თუმცა ასევე შეზღუდულია ცივილიზაციის შემოქმედთა წრე.

ცივილიზაცია, ისევე როგორც კულტურა, არათანაბრად ვლინდება. ერთნი თუ დაწინაურდნენ (მაგ., ევროპელი ერები), მეორენი ჩამორჩნენ და ახლა ცდილობენ დანაკლისის შევსებას (მაგ., აფრიკელი ერები).

თვით განვითარებულ ქვეყნებს შორის დომინირებენ ცალკეული რეგიონები, სოციალური ჯგუფები, რომლებიც კულმინაციას აღწევენ ცალკეულ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა სახით, რომელთაც წინ მიჰყავთ პროგრესი. მათი მიღწევა გადაეცემა მასას, როგორც შუქი მიდამოს ბნელ ღამეში, ემატება საერთო ინტელექტუალურ

მარაგს, რაც ნიშნავს წინსვლასა და ცივილიზაციის კულტურის შექმნას, რომლის გამოხატულებაა დიზაინი, ტექნიკური ესთეტიკა.

ცივილიზაციის ცენტრი ყოველთვის იყო ქალაქი, რომელმაც წარმოშვა სახელმწიფოს სტრუქტურა (მაგ., ბაბილონი, ათენი, რომი).

სახელმწიფო ემყარება ცივილიზაციის შედეგებს, რომლებშიც ნივთების სახით გადააქვს ინტელექტს ძალა. ქართველმა ხალხმა შექმნა დიდი კულტურა, მაგრამ ვერ შექმნა შესაბამისი ცივილიზაცია. ამისი მთავარი მიზეზი იყო სახელმწიფოს არქონა საუკუნეთა მანძილზე.

ცივილიზაციის ისტორია არსებითად სახელმწიფოებრიობის ისტორიაა, როგორც გვიჩვენებს არნ. ტოინბი.

კულტურის თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას გენია ყველა თანამედროვეზე მაღლა იდგა. მაგრამ ცივილიზაციურად მასზე უკეთ იყო მოწყობილი ნებისმიერი თავადი ან გენერალი.

კულტურის ათვისება და გადატანა უჭირთ, ცივილიზაციის ნიმუშებს კი ყველა ხედავს და ეტანება.

ცივილიზაციათა როგორც მოსპობას, ისე შერწყმასა და განვითარებას ისტორიულად აჩქარებდა ომის ფაქტორი, ერთის ძლევა მეორის მიერ, რაც პირველ რიგში უკავშირდება ძალაუფლების ნებას, სწრაფვის პათოსს (მაგ., ჩინელებს ესპანელებზე და ინგლისელებზე რიცხვმრავალი და ძლიერი არმადა ჰყავდათ, მაგრამ არ უცდიათ სხვათა ტერიტორიების დაპყრობა).

ეს ხდებოდა როგორც ენობრივ, რელიგიურ და ნაციონალურ ბარიერთა მსხვრევით, ისე ადამიანურ ძალთა მაქსიმალური გამოვლენით, გადარჩენის ინსტინქტებით, ინტელექტუალური აფეთქებით.

დენთი ჩინელებმა გამოიგონეს, მაგრამ იგი იარაღს და სამხედრო ძალას ევროპელებმა დაუკავშირეს. კომპასიც ჩინელებმა გამოიგონეს, მაგრამ ზღვაოსნები ევროპელები იყვნენ.

ცივილიზაციას წარმართავენ პოლიტიკური და ინტელექტუალური ცენტრები, რომელთა რიცხვი მცირდება და შესაბამისად ბატონდება ერთიანი ხედვა, წესრიგი, გემოვნება, რაც წამოსწევს გლო-

ბალიზაციის გარდაუვალობას. ამიტომ ტრადიციულ სახელმწიფო საზღვრებს, იდეოლოგიასა და სტრუქტურას არღვევენ ეკონომიკური და საკომუნიკაციო კავშირები.

ასე ცვლის აგრარულ და ინდუსტრიულ ცივილიზაციებს ინ-ფორმაციული ცივილიზაცია, რომლის ტემპი სიზმრის დროსავით უსწრაფესია და რომლის ჰუმანიზებას მუდმივად ესწრაფვის კულ-ტურა.

I. სივრცე-დროის მოდელირება: სამყაროს ათვისება

1. დიფერენცირება და ინტეგრირება

ჰერბერტ სპენსერის სიტყვით, ევოლუცია არის უსისტემო ერთ-სახოვნების გადასვლა სისტემურ მრავალსახოვნებაში, ქაოსის მოწეს-რიგება, განუსაზღვრელის განსაზღვრა.

სივრცე საგნებისაგან შედგება, რომელთა შორის რეალურად თუ წარმოსახვით მოძრაობს ადამიანი.

ნისლეულიდან მათი გამოყოფა და დაკონკრეტება არის სამყა-როს აღქმა და ათვისება, რაც ვლინდებოდა როგორც ადგილის, დრო-ისა და მოქმედების დიფერენცირება.

არქაული პერიოდის დრო უსასრულო და დაუნაწევრებელი იყო, სივრცე – ვიწრო და მშობლიური, კულტურა – სინკრეტული, რომლის ბირთვად, როგორც გვახსოვს, მიიჩნევენ რიტუალებს. რი-ტუალები კი ნადირობის ანუ მხეცის ძლევის იმიტაცია იყო, სადაც ნადირს ცვლიდა მამა-ბელადი ან სამსხვერპლო პირი, ტოტემ-ღმერ-თი ან ღმერთის შემცვლელი, როგორც მსახიობი სცენაზე.

მას თან გამოჰყვა სისხლის შუქი, რომელიც მზისგან მოდიოდა.

ამ საწყისი ბირთვის განშლა და განვითარება ისტორიულ დროში არის კულტურის ფორმები, მათი დაკონკრეტება, რომელიც მრავალ საუკუნეს და მრავალ ერს ითვლის. მაგ., ცალკე გამოიყო სიტყვის სფერო, სიტყვიდან – მითოსი, რომელიც რიტუალებისათ-ვის კოლექტიურად ითხზვებოდა და კოლექტიურადვე წარმოიდ-გინებოდა. შემდეგ მითოსი იქცა ლიტერატურად, რომელიც თავი-დან ისევ ზეპირად ითხზვებოდა, შემდეგ – ზეპირად სრულდებოდა, გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ლიტერატურის წერილობითმა ფიქსირებამ მოგვცა სამი გვარი – ლირიკა, ეპოსი, დრამა, როგორც საყოველთაოდ ცნობილია.

განტოტვის შედეგად დრამის სახეები გაიშალა ტრაგედიად, კომედიად, სკეტჩად, ვოდევილად...

ეპოსის დიფერენცირების შედეგია პოემა, რომანი, მოთხრობა, ნოველა. მათ ჟანრებს ვუწოდებთ. მაგრამ შიგნითაც გაგრძელდა ფორმათა სახეცვლა. მაგ., პოემა არის ეპიკური, ლირიკულ-ეპიკური, ლირიკული, რომანი – ისტორიული, თანამედროვე, სოციალური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური, ავანტიურისტული.

პროფესიონალიზმი დიფერენცირებას გულისხმობს, რადგან თემის თუ საკითხის დაუფლება, სიღრმისკენ სწრაფვა დეტალების დაკონკრეტებაა, სივრციდან საგნების გამოყოფა და ახალი დაჯგუფებაა.

იგი მოაქვს ემოციების რაციონალურ გადანაწილებას და დანაწევრებას.

ყოველი დაყოფა ისწრაფვის მაქსიმალიზმისაკენ. როცა ამოწურავს თავის თავს, მაშინ იწყება ინტეგრირება, სხვათა მონაცემებით შევსება და გამდიდრება (შდრ – რომანტიზმი, მოდერნიზმი, ავანგარდიზმი ქართულ ხელოვნებაში), ანუ აქაც ვლინდება სიცოცხლის ნიშანი – მოძრაობა და გარდასახვა, წარმოქმნა, განვითარება, კვდომა, მუდმივი წრებრუნვა.

განვითარება ყველაზე თვალნათლივ ფორმის სფეროში ვლინდება: აზრისა და გრძნობის აზვირთება და ღელვა ცვლის ზედაპირს, რაც სიახლის სიმპტომია.

ლირიკული ლექსი მცირე ფორმის ტექსტია, სულ რამდენიმე სტროფისაგან შედგება. მაგრამ ისიც აურაცხელ ვარიაციას გვაძლევს როგორც ზოგადად, ისე ნაციონალური ენის სფეროში. მაგ., მუხამბაზი და მუსტაზადი, სონეტი და ტრიოლეტი, რომელთა შიგნით მოქმედებს გარითმვის სპეციფიკური რეგლამენტი.

სალექსო სტრიქონები (ტაეპები) ასევე მრავალ სახედ ნაწილ-დება. მაგ., ქართულ ენაში ტაეპი შეიძლება იყოს ერთიდან ოცმარ-ცვლამდე.

ტაეპების კომბინაცია კი ქმნის სტროფს (მაგ., ტერცინა სამტაე-პიანია, კატრენი – ოთხტაეპიანი).

ასეთი დიფერენცირებით სიტყვა ღებულობს განსხვავებულ ჟღერადობას, რომელსაც დასრულებულ მელოდიურობას სძენს რითმა.

თავისი მხრივ რითმაც მრავალი სახისაა – ზუსტი და არაზუს-ტი, ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი; გარითმვის წესის მიხედ-ვით – ჯვარედინი, მომიჯნავე, რკალური.

რითმას არ იცნობს ანტიკური ეპოქა. იგი გვიანდელი მიგნებაა. არც „ილიადა“, არც „ენეიდა“ რითმებით არ არის დაწერილი. სტრო-ფიკას კი რითმა აყალიბებს. მაგრამ მეტრი ადრევე გამოვლინდა, რაც შინაგანი ღელვის, შინაგანი რიტმის სიტყვიერი მოწესრიგება იყო (რითმა პირველად ჩნდება ბიზანტიურ სამახარობლო „დაუჯდო-მელში“, 626 წლიდან, როგორ გვიჩვენებს სერგეი ავერინცევი).

ლექსთწყობის სისტემა ენის პოტენციალიდან ამოდის და ამდენად ნაციონალური მოვლენაა.

შესაბამისად გამოყოფენ მეტრულ, ტონურ, სილაბურ, სილა-ბურ-ტონურ სისტემებს. მაგრამ ეს ზოგადი სქემაა. თვით ეს სისტემე-ბი, კონკრეტული ენის პროსოდიიდან გამომდინარე, მრავალ სახედ იყოფა.

ქართულ პოეზიაში გალაკტიონამდე იყვნენ რუსთაველი და გურამიშვილი, ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი. მაგრამ გალაკ-ტიონ ტაბიძემ აღმოაჩინა სრულიად უცნობი საზომები, რითმები, რიტმულ-მეტაფორული ვარიაციები, შემოიტანა ახალი ლექსიკა, სიტყვის ესთეტიზების ახალი რეგლამენტი.

პოეტს ბიძგს აძლევდა იმპესიონისტულ-სიმბოლისტური ესთე-ტიკა და პოეტიკა, რომლის პრინციპები მოარგო მშობლიური ენის ბუნებას. ნიუანსთა უფაქიზესი აღქმით მან მიკროსკოპულად გააშუ-

ქა ქართული სიტყვა და მისი იდუმალი წიაღიდან გამოიყვანა ახალი სისტემა და მგრძნობელობა.

სიმბოლისტები სხვებიც იყვნენ და მეტი ცოდნაც ჰქონდათ, მაგრამ ეს ვერ შეძლეს. ხოლო აკაკი წერეთელს ან ვაჟა ფშაველას არც უცდიათ – სხვაგვარი იყო მათი ორიენტირი და აქცენტები.

როგორც ვთქვით, რიტუალების წიაღიდან ასევე გამოვიდა კულტურისა და ხელოვნების ყოველი დარგი, ყოველი სახე (იხ. პირველ წიგნში – „რიტუალი – კულტურის სახეობათა ბირთვი“). მაგრამ ეს შეიძლება უფრო თვალნათლივ ჩანდეს ენათა ოჯახების დიფერენცირების მაგალითზე:

ინდოევროპული ფუძე-ენა სხვადასხვა ეტაპზე, ისტორიულ გარემოებათა გამო, დაიშალა ირანულ, გერმანულ, რომანულ, სლავურ და სხვა ჯგუფებად.

გერმანიკული ენებია – გერმანული, ინგლისური, ჰოლანდიური, ნორვეგიული, დანიური... რომანული ენებია – ლათინური, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური... სლავური ენებია – რუსული, უკრაინული, პოლონური, სერბიული, სლოვენური...

ყოველ ენას თავისი დიალექტები აქვს, რასაც წარმოშობენ ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორები: ცენტრებისაგან დაცილება, სახელმწიფოს სისუსტე, ეკონომიკური კავშირების არქონა, ბუნებრივი ზღუდეებით გაყოფა (მთა, ზღვა, უდაბნო)...

ენის დიფერენცირების ფორმებს – დიალექტებს, კილოებს, იდიოლექტებს, აერთიანებს სახელმწიფო, ეკლესია, ლიტერატურა, კულტურულ-ეკონომიკური კავშირები.

კულტურის ფორმათა დიფერენცირებას იძლევა დროში უწყვეტი სწრაფვის პათოსი, როცა გრძნობათა გამოვლენა იქცევა ადექვატურ სახეებად.

სახეები კი ბგერით სამოსელში ეხვევა და სიტყვებად გვეცხადება.

სივრცობლივ ხელოვნებაში (არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება) ეს ხილვადია. დიდი დაკვირვება არ უნდა, რომ ემპაიერი გან-

ვასხვავოთ ნოტრდამისაგან, ან რემბრანდტი – პიკასოსაგან. მაგრამ წარმოსახვითი ხელოვნება (მაგ., ლიტერატურა) გემოვნების დახვეწას მოითხოვს, ხოლო მუსიკა – სპეციალურ მომზადებას.

პოეტმა შეიძლება ინსტინქტურად, გაუცნობიერებლად დაწეროს შედევრი. მაგრამ არქიტექტორი ან მუსიკოსი ამას ვერ შეძლებს. მათ ემოცია, ფიქრი და აზრი უნდა გაატარონ სპეციფიკურ სისტემაში, რათა სახეცვლილი ღელვა ახალ მგრძნობელობად დაიბრუნონ, ან გადასცენ სხვას.

განვითარება მუდმივი განშლის და დაშლის პროცესია, როცა ძველი კვდება ან დავიწყებას ეძლევა (მაგ., ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, იამბიკო ქართულ მწერლობაში), ან სუსტდება მათი გავლენის არეალი (მაგ., ეპიკური პოემა), ხანაც – გადავიწყებული უეცრად თავს შეგვახსენებს (მაგ., მითოსი და პრეისტორია).

ასევეა საკუთრებაც, რომელიც გამოყოფას და დაყოფას, დაცალკევებას ნიშნავს. რაც ყველასია, ის არავისია. სახელმწიფოს ვღებულობთ იმ მიწით, იმ სივრცით, რომელიც მას უკავია. სახელმწიფოების წარმოქმნა იყო ზოგადი სივრცის, ზოგადი მიწის დანაწევრება-დასაკუთრება. დაყოფა-გაყოფა არის კონფლიქტების მუდმივი წყარო. კონფლიქტს მოსდევს სახეცვლა. ამდენად არის განვითარების ზამბარა.

რელიგიაც, რომელიც ყველაზე კონსერვატიულია და არ სცნობს დრო-ჟამის ცვალებადობას, დიფერენცირების პრინციპს ემორჩილება, მიუხედავად სექტანტების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისა (მაგ., კათოლიკურ ეკლესიაში).

მსოფლიოში XX საუკუნის ბოლოსათვის არსებულა 3.000-მდე დიდი და მცირე სექტა, რომელთაგან ზოგი საყოველთაოდ ცნობილია (მაგ., ბაპტიზმი, იეღოვას მოწმეები, კრიშნაიზმი, ბახაიზმი), ზოგი – ნაკლებად (მაგ., ინგლისური სატანიზმი, ღვთის შვილები, საკურთხევლის რწმენა).

უკიდურესი ცალმხრივობა მთავრდება თვითმოსპობით ან სხვასთან შერწყმით, სხვად ქცევით.

ხელოვნებაშიც მაქსიმალიზმი ზღუდავს განვითარების პერსპექტივას (მაგ., მარინეტის „ბრძოლა ტრიპოლთან“, ჯოისის „ულისე“, კუბისტური მხატვრობა). ტრადიცია არის ის მიწა, რომელსაც უნდა დაჰკრას ფეხი შემოქმედმა, რათა აიჭრას ზეცისაკენ.

იგივე მოხდა მეცნიერებაში, რომლის სათავე იყო ფილოსოფია. შემდეგ კი დაიწყო ძირითადი დარგების გამოყოფა (მაგ., ფიზიკა, ბიოლოგია). სიღრმისკენ სწრაფვამ წარმოშვა ახალი დიფერენცირება (მაგ., ქვანტური მექანიკა, მიკრობიოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია), რომელიც მოითხოვდა სხვა დისციპლინათა მონაცემების გამოყენებას (მაგ., ანთროპოლოგია) ანუ მაქსიმალური დიფერენცირება ახალი შერწყმის, სინთეზის, ინტეგრირების დასაწყისია, როცა ერთის კვდომა სიცოცხლეს აძლევს მეორეს (აქედან – თავგანწირვის ფასი და მნიშვნელობა). კრიზისი არის გარდამტეხი პროცესი, სიახლის მშობელი.

კულტურაში დიფერენცირების პარალელურად მოქმედებს ინტეგრირების პროცესი. ეს რომ არა, განშლის შედეგად ისე დასცილდებოდა ერთმანეთს კულტურის დარგები და სახეები, რომ მათი მოქცევა ერთ სფეროში შეუძლებელი იქნებოდა, აღქმაც გაძნელდებოდა, კომუნიკაცია დაირღვეოდა.

განშლის ტენდენციას აკავებს, ამაგრებს და ავსებს ინტეგრირების პროცესი. ეს არის ფორმების ურთიერთგადასვლა, წარსულისა და აწმყოს მონაცვლეობა, დაკარგულის აღდგენა, ორი მოცემულობიდან ახალი – მესამე ფორმის მიღება, რომელიც აღარც ჰგავს პირველსაწყისს (შდრ – წყალი არის ჟანგბადისა და წყალბადის სინთეზი – H2 O).

ესთეტიკური გრძნობებიც ერთმანეთში გადადიან: ლირიზმს ენაცვლება დრამატიზმი, დრამატიზმს – ტრაგიზმი, ტრაგიზმს – კომიზმი, ეპიკურ თხრობას – ლირიკული პულსირება; ირღვევა ჟანრებს შორის ტრადიციული საზღვრები, იცვლება ბგერების ჟღერადობა, ფერების ხილვადობა, ფერების განაწილება, ხაზების პრო-

პორცია; მუსიკა იჭრება ფილოსოფიაში, ფილოსოფია – მუსიკაში, გეომეტრია – ფერწერაში, ტექნიკა – თეატრსა და კინოში და ა. შ.

ამგვარი სინთეზირებით აღდგება სინკრეტული დროის ერთიანობის მოდელი, ოღონდ სხვა დონეზე – უნივერსალიზმის პრინციპით.

ყოველ განვითარებას, დაშლას თუ სინთეზს აქვს თავისი მიზეზი, რომელიც ზოგჯერ აშკარაა, ხანაც – ფარული. მას ვერ ხედავს ვერც შემოქმედი, ვერც მჭვრეტელი. მაგრამ გვეძლევა შედეგი, რომელიც არის კულტურის ნიმუში.

დიფერენცირება – ინტეგრირების პროცესი განლაგებულია დრო-სივრცის სპირალის გარშემო, რომელიც ხან აღმა ადის, ხანაც – დაღმა ეშვება. მაგრამ მაინც წინ მიემართება, თუნდაც ძველი სჯობდეს ახალს.

დროთა მანძილზე დაშლის და შერწყმის სპირალური და ციკლური წრებრუნვა წარიმართა სამი მიმართულებით: ერთია პრაქტიკულ-პრაგმატული, მეორე – შემეცნებითი და მესამე – ესთეტიკური.

აქაც ისევე მოხდა დაყოფა, როგორც ხელისუფლებაში, რომელმაც წარმოშვა სამი შტო – საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი. ძალაუფლების გადანაწილება აუცილებელი გახდა იმიტომ, რომ ტექნოლოგიების სიმრავლემ გაართულა მართვის პროცესი. მხოლოდ ერთი კაცის ბრძანებითა და განკარგულებით, სიტუაციის ცოდნისა და საკითხის გააზრების გარეშე, შეუძლებელი ხდებოდა სახელმწიფოს სწორი ორიენტირება, რასაც საზოგადოება მიჰყავდა დემოკრატიის აუცილებლობამდე.

ამ პროცესს სპეციფიკურ ფორმასა და აზრს ანიჭებს დრო და სივრცე, ეპოქა და გარემო, პიროვნების ფაქტორი (შდრ – მონტენის „ცდები“, ლაროშფუკოს „მაქსიმები“, პასკალის „აზრები“, ლაბრუერის „ხასიათები“).

როგორც დიფერენცირება, ისე ინტეგრირება კონკრეტულ ინდივიდს, მის მეამბოხე, დაუცხრომელ და მეოცნებე სულს უკავშირ-

დება, რომელიც, როგორც სეისმოგრაფი, გრძნობს ახალ ტენდენციებს, დროის უხმო ძახილს.

იგი აჯამებს განვითარების ერთ პერიოდს ან იწყებს ახალ რკალს.

როგორც რელიგიის, ისე პოლიტიკისა და ხელოვნების მოსაქცევთან, გზაგასაყართან დგას ინდივიდი, რომლის იდეა, ნება და სახე გადაეცემა და იმორჩილებს მასას (იხ. პირველ წიგნში – „ინსტინქტები, სიმბოლოები და არქეტიპები“, „ძალა, ძალაუფლების ნება და კულტურშემოქმედი“).

მაგრამ დანამდვილებით ვერავინ, ვერც კულტურშემოქმედი, ვერც თუნდაც იმპერატორი ვერ იტყვის, რომ იგი შეძლებს ახალი გზის გაჭრას, რომ მილიონებს მიიზიდავს, რომ მის რომანს წაიკითხავენ მომავალი თაობები, რომ მისი მიგნება კაცობრიობას სიკეთეს მოუტანს.

მხოლოდ სფინქსივით იდუმალი დროა მსაჯული.

როგორც დიფერენცირება, ისე ინტეგრირება იერარქიის პრინციპს ექვემდებარება

2. სივრცე – დროის პარადიგმა კულტურაში

სივრცე ხილულია, დრო – უხილავი. სივრცესთან მივდივართ, დრო თავად მოდის და გვცვლის.

კულტურის განვითარებას, მსგავსებასა და განსხვავებას განსაზღვრავს კონკრეტული დრო და სივრცე, რითაც რეალურად ვგრძნობთ, ვხედავთ და განვიცდით აბსტრაქტული სივრცე-დროის პარადიგმას.

იგი უჩინრად მბრძანებლობს ჩვენზე, განაგებს ჩვენს ფიქრსა და მოქმედებას. მაგრამ კულტურშემოქმედი ნაირგვარ ნიღბებად აფიქსირებს მის სახესა და მდინარებას, უძებნის შესაბამისობას სულიერ

რხევებთან და ბობოქარ სწრაფვებთან (რელიგიის ფორმები, ხელოვნების ძეგლები, სახელმწიფოები...).

დრო კულტურაში ვლინდება როგორც შესატყვისი იდეა, სიახლე და ტრადიცია, ლიტერატურაში – როგორც პერსონაჟთა ასაკი და ურთიერთკონტაქტი, ბიოგრაფია და ასოციაცია, სკულპტურასა და არქიტექტურაში – როგორც მასალა და ხანიერება, მუსიკაში – როგორც ბგერითი ასოციაცია...

სივრცე – როგორც ტერიტორია, მიწა, წყალი და ზეცა, სამშობლო, სახლი და გზა, დისტანცია, ერთობა და განშლა...

მეხსიერება და სივრცე – დრო

წარსული არსებობს ჩვენს ცნობიერებაში და მას ინახავს მეხსიერება. მეხსიერება არის პიროვნების ინდივიდუალობა, რომლის შეცვლა ნიშნავს სხვადქცევას.

მეხსიერება ემყარება დროსა და საგნების ათვლას. ამიტომ არის კაცობრიობის ხსოვნა სიტყვა და ტაძარი, ლარნაკი და ყელსაბამი, ჯვარი და სვასტიკა, მახვილი და ფარი, ომი და წარღვნა.

ისინი ქმნიან ისტორიას, რომელიც შედგება სულის შემძვრელი ფაქტებისა, სიტყვებისა და საგნებისაგან. ჩვეულებრივი და ყოველდღიური კი სწრაფად გვავიწყდება.

ადამიანი ორიენტირებს დროის ფენებსა და საგანთა განლაგებაში მეხსიერებით, რაც კულტურის წინაპირობაა.

წარმოსახვა და სწრაფვა, ფიქრი და ოცნება ქმნის მათ და ამავე დროს ყოველი მათგანი მათზეა მიბმული.

ეს კი აყალიბებს ტრადიციების წრეს, სულიერ მემკვიდრეობას.

მეხსიერებაზე დაყრდნობით ხდებოდა კულტურის სახეობათა დიფერენცირება და ინტეგრირება, შეძენა და უარყოფა, მოპოვება და დავიწყება ანუ განვითარება.

სივრცე ჰორიზონტალური განფენილობაა, დრო – ვერტიკალი, მეხსიერების ჭა. კულტურა ამ გარემოში ვითარდება, წინ მიიწევს. რაღაცას კარგავს, რაღაცას იძენს, რაც იწვევს სახეცვლას.

განვითარება იღებს დიფერენცირება – ინტეგრირების სახეს, რაც არის სიცოცხლის თვისება.

სივრცე და საცხოვრისი

ჩვენ შეზღუდული ვართ სივრცე-დროით, ისევე როგორც გენეტიკურად. ადამიანი თავისი ოიკუმენიდან (საცხოვრისიდან) ხედავს ქვეყანას. მისთვის წარუშლელია პირველხილული საგნების განლაგება და ფერი. მაშინაც, როცა სტოვებს ან უარყოფს ოიკუმენს, სდევს მშობლიური გარემოს ლანდი, რომელსაც გრძნობს, რომლითაც საზღვრავს სამყაროს.

ოიკუმენი სამყაროს მიკრომოდელია. იგი შედგება მშობლიური სახლისა, მშობლებისა, ახლობლებისა, მეზობლებისა, მათი სახლებისა და გზებისაგან, რომლებიც მოქცეულია ბუნების ჩარჩოში. სახლი და გზა – ეს იგივე ცენტრი და პერიფერიაა, რომელსაც ერთ-ერთ ბინარულ ოპოზიციად მიიჩნევენ.

სახლი – მდგრადობა და სიმტკიცეა, გზა – მოძრაობა და მდინარება, ძიება და პოვნა, როგორც შენიშნავენ ხოლმე. სახლი ჩაკეტილი, შემოზღუდული სივრცეა, რომელიც გარე სამყაროს უერთდება კარ+ფანჯრებით, როგორც სააქაო საიქიოს – ქარონის ნავით.

სივრცეს აქვს სხვა ბინარული ოპოზიციაც – ზევით და ქვევით, წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, რაც ძველი დროის ცნობიერებამ განსაზღვრა როგორც ზესკნელი და ქვესკნელი, ქვეყნის ოთხი მხარე – აღმოსავლეთი და დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი.

ქრისტეს ჯვარცმის მოდელი სწორედ სამყაროს სიმბოლიკაა.

აქ ერთმანეთს ენაცვლება და უპირისპირდება სინათლე და სიბნელე, სიცხე და სიცივე, წვიმა და გვალვა, მზე და მთვარე, ცეცხლი და წყალი, მიწა და ჰაერი, თეთრი და შავი, ჩემი და სხვისი, სიცოცხლე და სიკვდილი.

სივრცე მათი კომბინაციით იქმნება, სულერთია – ეს არის ხედვითი, სმენითი თუ წარმოსახვითი. მაგრამ ყოველი კულტურშემოქმედი განსხვავებულად აღიქვამს და ითვალისწინებს სივრცეს. არქიტექტორისათვის იგი რეალურად არსებობს, პოეტისათვის – წარმოსახვით, თეატრალისათვის – სცენური პირობითობით, მუსიკოსისათვის – სმენითი აღქმით, მხატვრისათვის – ფერთა სიმრავლით.

სივრცის ათვისება მისი დიფერენცირებაა, დაყოფა და სიტყვით სახელდება. მაგ., ქვა, მთა, მდინარე, ველი, ჭაობი. მათაც კონკრეტული სახელი ჰქვიათ. ეს მდინარეა დუნაი, ვოლგა თუ რიონი, ეს მთა – იალბუზი, მონბლანი თუ კილიმანჯარო. ხანაც სივრცე სიმბოლიზებულია (მაგ; ფოლკნერის იოკნაპატოფა, ბულგაკოვის ქალაქი, მარკესის მაკონდო). ტოპონიმები და გვარ-სახელები რეალურად განყოფილ სივრცეს მეხსიერებაში ამკვიდრებენ

ფანტაზიამ სივრცე წარმოსახვით განავრცო და დაინახა მიცვალებულთა საუფლო, წინაპართა მარადი საცხოვრისი, სამოთხე და ჯოჯოხეთი.

სივრცე იცვლება დროში, რაც კულტურისათვის ისტორიული პერიოდია და არსებობს მეხსიერებაში. ჩვილი დიდხანს სწავლობს სივრცეში ორიენტირებას, ფეხის ადგმას, საგანთა აღქმას. მაგრამ იხვის ჭუკს, როგორც კი დატოვებს კვერცხის ნაჭუჭს, ცურვა შეუძლია.

ადამიანისათვის პირველადი სივრცე ქაოსია. ხოლო მანამდე, მითოსური კოსმოგონიით, არც ზეცა იყო, არც მიწა, არც ხე, არც სულიერი (იხ. პირველ წიგნში – „მითოსურ-კოსმოგონიური წარმოდგენები“).

სივრცე სიახლოვისა და დაცილების გამომხატველი მანძილია, რომლის რეალურ მნიშვნელობას ილუზიად აქცევენ ტელე, მობილური და ინტერნეტკავშირები.

სივრცე კულტურშემოქმედისათვის აპრიორულად არის მოცემული და ამიტომ იგი რეალური ან ვირტუალური სამყაროა, რომლის აბსტრაქტულ-ფილოსოფიური განსჯა და არსის შემეცნება არაფერს ჰმატებს. მას სჭირდება ლოკალური გარემოს აღქმა, ათვისება და გააზრება, სადაც არსებობენ საგნები და მოძრაობენ ადამიანები, სადაც ერთმანეთს ეჯახება ბობოქარი ვნებები და აზრები.

ძველი დროის ადამიანის წარმოსახვაში სივრცე ვერტიკალური იყო – ზეცა – ხმელეთის პირი – ქვესკნელი.

ადამიანი სტატიკური წერტილიდან, თავისი საცხოვრისიდან უყურებდა სამყაროს, ცხოვრობდა აწმყო დროით. წარსული და მომავალი ხანმოკლე იყო, როგორც მზის ამოსვლა და ჩასვლა.

ახალმა დრომ, ომებმა და ტექნიკამ, მოგზაურობამ და უცნობი მიწების ხილვამ სივრცის ზღვარი ჰორიზონტალურად გადასწია. არა ფიქრით და ოცნებით, არამედ რეალურად მისწვდნენ არნახულ სამყაროსა და ხალხებს, ადრე ზღაპრებსა და მითებში რომ ეგულებოდათ.

დაუდეგარი ავანტიურისტები, მეზღვაურები და მეომრები, ბედის ანუ ოქროს მაძიებლები ამსხვრევდნენ ძველ წარმოდგენებს. ზეციური სამოთხე მიწიერმა ელდორადომ შეცვალა, ისევე როგორც ვარსკვლავების მრავალწერტილი – ტელესკოპმა.

ადრე თუ ფანტაზიით თხზავდნენ საიქიოს, წყალგაღმა ქვეყანას, სამოთხესა და ჯოჯოხეთს, ლოცვით, დუმილითა და მისტიკური ექსტაზით ჰპოვებდნენ ღმერთთან მისაახლებელ საფეხურებს, ახლა გეოგრაფიულმა და არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ადამიანი მიახედა წარსულისაკენ. ახლა რეალურად უკუიქცა დრო-სივრცის შორეული ფენებისაკენ, გაარღვია ბიბლიური ჟამი, რათა აღედგინა პრეისტორია, ეპოვა შორეული ნაფეხურები მღვიმიდან ტაძრისაკენ.

გაჩნდა წარსულის რომანტიკა და ნოსტალგია.

დრო-სივრცე ისევ ვერტიკალური გახდა, რაც იწვევდა ნაციონალიზმის ახალ აზვირთებას, ახალ ომებსა და სისხლისღვრას.

სივრცე-დრო და კლასიფიკაცია

საგნებს სივრცეში განალაგებს და ამოძრავებს დროის რიტმი.

დროის ათვისებაც მისი დიფერენცირებაა, რომლის კლასიფიცირება რაღაც ნიშნით ხდება, რაც სიტყვით სახელდებაა, ყველა ენაში განსხვავებულად გამოხატული. დროსაც თავისი ბინარული ოპოზიცია აქვს – ადრე – გვიან, დღე – ღამე, ზამთარი – ზაფხული, უწინ – ახლა, ახლა – შემდეგ, ბავშვობა – სიბერე, რაც ადამიანმა ადრევე შენიშნა და სიტყვებით აღნიშნა.

ადრე ის არის, რაც მოხდა; გვიან, რაც დროულად არ აღსრულდა; ზამთარი სიცივეს გულისხმობს, ზაფხული – სიცხეს, დღე – სინათლეს, ღამე – სიბნელეს, შრომა – ტანჯვას, დასვენება – სიამოვნებას.

ბავშვობა და სიბერე აღნიშნავდა სიცოცხლის წრის გავლას, დასაწყისსა და დასასრულს, რომელიც ქართულ ენაში ერთი ძირიდან მოდის და ერთმანეთს ემსგავსება, როგორც 0 და 360 გრადუსი. ამიტომ არის ეს ერთი ძირი ბერ (შდრ – ბერი, ბავშვი, ბახალა, ბარტყი, ბელი, ბადიში, ბოკვერი). ამით ისიც იყო შემჩნეული, რომ დრო ციკლურად იმეორებს თავისთავს – მზე ამოდის და ჩადის, ზამთარი ცვლის ზაფხულს, წვიმა – გვალვას.

ყოველი მათგანისადმი ადამიანს გარკვეული აქვს თავისი მიმართება, რაც გადადის კულტურაში.

ყოველი საგანი თავისი სივრცე-დროის ფიქსატორია, ყოველი არტეფაქტი ატარებს ავტორის, ეპოქის, ერის, სახელმწიფოს, რელიგიის გარკვეულ ნიშან-თვისებებს, რის გამოც მას ღებულობს ან უარყოფს მომავალი თაობა.

როგორც აღნიშნავენ, ქრისტიანობამ შემოიღო დროის სწორხაზოვანი გაგება, რომელშიც საფეხურებრივად ერთმანეთს მიჰყვება სამყაროსა და ადამიანის შექმნა, პირველცოდვა, ქრისტეს მოვლინება, მისი მოწამეობრივი სიკვდილი და აღდგომა, განკითხვის დღე.

დროის ცნებას აკონკრეტებს და არეგულირებს რიცხვითი გაგება, მისი სიმეტრიული გადანაწილება. არსებობს მზისა და მთვარის კალენდრები, რომლებიც დღე-ღამის მონაცვლეობას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ.

დროის ცვალებადობა სუბიექტურად იქნა აღქმული, მისგან გამოიტანეს პოტენციურად არსებული, რათა ასე დაემორჩილებინათ ჟამის მდინარება.

საწყისი იყო ათვლის ობიექტი.

წელიწადის თვეებად დაყოფას საფუძვლად დაედო დედამიწის გარშემო მთვარის მოძრაობა; დედამიწის ერთი შემობრუნება მზის გარშემო – არის წელიწადი.

ძველ დროში გავრცელებული იყო მთვარის კალენდარი, დღე იწყებოდა საღამოდან და გრძელდებოდა მომდევნო საღამომდე. რომაელებმა შემოიღეს მზის კალენდარი. დღეთა აღრიცხვა დაიწყო შუაღამიდან, რაც უდრის ღამის 12 სთ-ს.

დღე დაიყო 24 საათად, საათი – 60 წუთად, წუთი – 60 წამად.

ასე მოხდა დროის მათემატიკური დიფერენცირება ანუ დამორჩილება.

წელთაღრიცხვას ჩვენ პირობითად ვიწყებთ ქრისტეს დაბადებიდან, რომელიც VI საუკუნეში შემოიღო რომაელმა ბერმა დიონისე მცირემ; მუსულმანები წელთაღრიცხვას იწყებენ მუჰამედის მექადან მედინაში გაქცევით – 622 წლიდან; ათასი წლის წინათ პეტავიუსმა ქრისტემდელ წელთაღრიცხვას უკუთვლა დაუდო საფუძვლად.

სხვაგვარია ქრონოლოგია ჩინეთში, სადაც თვეების ანალოგიით დღე 12 საათად განყვეს; სხვაგვარი იყო დროის აღქმა და რიცხვითი ათვლა ეგვიპტეში, ბაბილონში, ათენში.

რუსეთში პეტრე პირველმა შემოიღო ევროპული დრო 1700 წელს.

აწმყო დრო მეტისმეტად მოკლეა – გრძელდება წამის მეთვრამეტედიდან სამ წამამდე. ყველაფერი არსებობს წარსულში და

გადადის მერმისში, როგორც შენიშნავენ ფსიქოლოგები. ახლა, როცა დავწერ ამ სტრიქონს, ისიც წარსულის კუთვნილებად იქცევა.

როგორც ვთქვით, ველური აწმყო დროით ცხოვრობდა. მისი მეხსიერება ბუნდოვანი და ხანმოკლე იყო. მისთვის მომავალი დრო მომავალ საკვებს ნიშნავდა. ცნობიერების გამკვეთრებამ შემოინახა წარსული, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ – მრავალი თაობისა და ქვეყნისა, როცა იგი გახდა ფიქრისა და განსჯის საგანი, ისევე როგორც მომავალი, რომლისკენაც მიგვიძღვის იდეალი.

ველურობის დროიდან არსებობს ნათესაობის კლასიფიკაციის სისტემა, რაც თავიდანვე ასაკს ეფუძნებოდა: დედ-მამა, და-ძმა, ბებია-ბაბუა, შვილები, შვილიშვილები.

ეს არის ოჯახის სტრუქტურა.

ადამიანთა უმრავლესმა ნაწილმა არც იცის ბებიებისა და ბაბუების მიღმა ვინ იყვნენ წინაპრები – ყველაფერს დავიწყების ბურუსი ჰფარავს. მხოლოდ მოაზროვნე არსებას აწვალებს ფიქრი, გარდასულთა ხსოვნა, ისტორიის ქარტეხილები, რადგან ადამიანი არის მეხსიერება, მეხსიერების დიაპაზონი.

გარდასული დროის გასაზომად შემოღებული ქრონოლოგია ისტორიული მოვლენების საკლასიფიკაციო ცხრილია.

ქრონოლოგია აწესრიგებს საგანთა აღქმას, გარდასულ პროცესებს, დროის მდინარებას ანუ მეხსიერებას.

სხვადასხვაა – რეალური, სიზმრის, მითოსის, კოსმოსის დროები.

ინდუისტური წარმოდგენით, ბრაჰმას 100 წელი უდრის ადამიანთა 311.040.000.000.000 წელს.

გალაქტიკებს შორის მანძილი იზომება დროით და არა მეტრული საზომით. მას სინათლის წელიწადი ჰქვია ანუ მანძილი გადადის დროში, ისევე როგორც მასა – ენერგიაში.

როგორც ვიცით, სინათლის სიჩქარე არის 300.000 კმ წამში. ხოლო გალაქტიკები ჩვენგან დაცილებულია მილიარდობით სინათლის წელიწადით, ხოლო თავად გალაქტიკების რიცხვი 100 მილიარ-

დია, მათგან ჩვენ ვხედავთ მხოლოდ სამ გალაქტიკას, რასაც ზეცას ვეძახით.

უსასრულო სამყარო თითქოს სუნთქავს – გალაქტიკების გაფანტვას სცვლის შეკუმშვა.

ქრონოლოგიის საფუძველი ყველგან იყო ასტრონომია და ისტორია (ანატოლი სკრიპნიკი), რაც სახეცვლით დღესაც გრძელდება, როცა ყველა რევოლუცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავის გამარჯვების დღეს და ამის მიხედვით იწყებს ისტორიისა და დროის გადაკეთებას (მაგ., ბოლშევიკები, ნაციონალ-სოციალისტები).

სივრცე-დროის რიცხვით დიფერენცირებასა და ფიქსირებას, თვლის სისტემის წარმოქმნას (მაგ., ქართულში გვაქვს ოცობითი, რუსულში და გერმანულში – ათობითი სისტემა) მოჰყვა ინდოეთსა და რომში ციფრების გაჩენა. მათგან დღეს გაბატონებულია ინდური სისტემა, რომელიც არაბულის სახელით შევიდა ევროპაში.

დროისა და საგნების რიცხვით დიფერენცირებას მივყევართ კლასიფიკაციამდე, რაც ხდება მსგავსებისა და განსხვავების პრინციპით. ეს პრინციპი არსებითია, თუმცა შეიძლება თვალისათვის უხილავი იყოს. მაგ., ერთი ბიოლოგიურ ოჯახის წევრები არიან ლომი და კატა, თუმცა თითქოს ერთმანეთს არ გვანან. როგორც შენიშნავენ, ბიოლოგიურად ადამიანი მაიმუნის შემდეგ ყველაზე მეტად ჰგავს ღორს. იმიტომ, რომ ჩვენი უშორესი საერთო წინაპარი იყო ოპოსუმი.

ადამიანთა საზოგადოებაშიც ოჯახები, ოჯახის წევრები – დედა, მამა, და, ძმა გამოიყოფა ბიოლოგიური ნიშნით, რასაც ყოფით ენაზე სისხლით ნათესაობა ჰქვია. შვილი ატარებს მამის გვარს, თუმცა მშობლებისაგან იღებს გენების 50-50 პროცენტს, ბებიებისა და ბაბუებისაგან – 25-25 პროცენტს. ასე რომ გვარი გენეტიკურად პირობითი ცნებაა, როგორც სისტემური კლასიფიკაციის საფუძველი. ამიტომ ატარებს გვარი სიმბოლურ შინაარსს.

ტოტემების გამოყოფაც, ერთი ჯგუფის განსხვავება მეორისაგან, არაცნობიერად მოხდა კლასიფიკაციის პრინციპით, როცა საკუთარი

განირჩევა სხვისაგან. ერთი ტომის ტოტემი მუხაა, მეორისა – კენგურუ, მესამისა – ლომი, მეოთხისა – თევზი და ა. შ.

ისინი ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ.

კლასიფიკაციის ცხრილი ცოდნას სისტემურ სახეს აძლევს, შეაქვს წესრიგი დროის მდინარეებაში, საგანთა სიმრავლესა და ფანტაზიის მოძრაობაში. არც დროის აბსტრაქტულ-ფილოსოფიური განსჯა შესძენს რაიმეს კულტურშემოქმედს თუ ვერ იგრძნო ეპოქის სული, რიტმი და ფერისცვალება, თუ ვერ დაინახა კონკრეტული საგნების წესრიგი, ჟამით სახეცვლილი.

დროის შრეები

მოაზროვნე არსებას აქვს დროის დაუფლების სურვილი – ეს არის ხან გარდასულის აღდგენა (შდრ. მ. პრუსტის „დაკარგული დროის ძიება“), შევსება და გააზრება, უფრო კი – მომავლის განჭვრეტა, რაც უკავშირდება სხვადასხვა სახის ჯადოქრობას, ჰოროსკოპს, სიზმრების გარჩევას, მკითხაობას, სამეცნიერო პროგნოზებს.

ეს არის საკუთარი ბედის პოვნით ბედისწერის გარღვევის ცდა, იმის შეცვლა, რასაც უქადის ადამიანს ულმობელი სინამდვილე.

ამისათვის მიმართავდნენ ქურუმები მსხვერპლშეწირვას, მაგიურ მოქმედებას, მმართველები – იარაღსა და სისხლისღვრას, მღვდელმთავრები – ლოცვასა და ლიტურგიას, მეცნიერები – ლოგიკურ ცოდნას, პოლიტიკოსები – მოვლენათა განვითარების პერსპექტივას. თავად ღმერთი კი წინასწარმეტყველთა სახით აუწყებდა ხალხს განაჩენს, ან ცეცხლის, ელვის, ზღვის ტალღების საბურველით ეცხადებოდა.

ანტიკურ ტრაგედიაში ბედისწერა (მოირა, ფატუმი) იყო დაუძლეველი ძალა, რომლის გადალახვის ცდას ეწირებოდა გმირი.

ჩვეულებრივ – ვთვლით, რომ არსებობს სამი დრო – წარსული, აწმყო, მომავალი. მაგრამ ფანტაზია ცდილობს ამ სამი რეალური დროის დაშლას, დანაწევრებას, ნიუანსების პოვნას. მაგ., ქართულში წარსულის დროა – დავწერე, მაგრამ ასევე წარსულია დამიწერია.

აკ. შანიძე არ სცნობდა უღლებით დროის დიფერენცირებას. იგი აიგივებდა რეალურ და გრამატიკულ დროებს.

მაგრამ გერმანული ენის გრამატიკაში არის ექვსი დრო და მათ გამოავლენს ზმნის უღლებით ცვალებადობა.

ასე უფრო ნიუანსობრივად აღიქმება დროთა სხვადასხვა შრე, მათში განაწილებული მოქმედება და საგნები.

რაც შეეხება სიზმრის დროს, იგი რეალურ დროს არ ემთხვევა და შეიძლება წამში მთელი საათი ჩაეტიოს, ხოლო სივრცე და საგ-ნები იყოს ჰიპერტროფირებული, ბუნდოვანი და არეული (დიმიტრი უზნაძე).

დრო და ინფორმაცია

საგნებით დატვირთული სივრცე მრავალფეროვანს ხდის დრო-საც, რომელსაც ინახავს ცნობიერება (მაგ; ლირიკის აწმყო, ეპოსის გარდასული, რომანის პარალელური დროები, პერსონაჟთა ისტო-რია).

დროის აღქმა სუბიექტურია. მას ცვლის როგორც პიროვნების განწყობა, ისე რეალობა. ინფორმაციის სიუხვე ერთი მხრივ ავსებს დროს, მეორე მხრივ – აჩქარებს მის მდინარებას, რადგან გონება ვერ ასწრებს გააზრებას, ისე მისდევენ კადრები ერთმანეთს.

ამდენად – ცარიელი დრო გაწელილია, ინფორმაციებით სავსე – აჩქარებული. მეხსიერებაში კი რჩება ის, რაც მძაფრად შეეხება სუ-ლის სიმებს. მაგრამ ინფორმაციის სისწრაფე და სიუხვე აძნელებს

მის შთაბეჭდვას – იგი ზედაპირზე იხატება, ვერ ესწრება შთა-გრძნობა.

გონების სარკე მას აირეკლავს, სიღრმეში არ უშვებს.

გარემოსადმი მიმართება, ფსიქიკური აღქმის ხასიათი აჩქარებს ან ადუნებს ჟამის მდინარებას, ამკვრივებს ან ფანტავს მას, ანაწევ-რებს და განალაგებს, განავრცობს და კვეცს, რათა ცნობიერებამ შე-იგრძნოს და კონტროლი დაუწესოს დრო-სივრცეს, რომელშიც წარ-მოიშობა და ყალიბდება რასები, ერები, სახელმწიფოები, მათი ენა და კულტურა.

II. კულტურის ტიპოლოგია: ეროვნული და ზოგადი

კულტურა სივრცე-დროის სიმბოლური, წარმოსახვითი და საგნობრივი მოდელირებაა.

ჩვენ ვცხოვრობთ რეალურად შეკუმშულ და ოცნებით გავრცობილ სამყაროში, რომელიც ცდილობს კულტურის მონაცემთა მაქსიმალურ გაერთიანებას, როგორც წარსულის შორეული პლასტების, ისე აწმყოს სურათების თვალთახედვის არეში მოქცევას.

მაგრამ დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რათა მივხვდეთ, თუ როგორი განსხვავებაა სხვადასხვა ეპოქების, სხვადასხვა ქვეყნების, სხვადასხვა აღმსარებლობის კულტურებს შორის.

მაგ., ქრისტიანისათვის მიუღებელია მუსულმანური ლიტურგია, მუსულმანი ბუდისტურ ტაძარში არ ილოცებს; ერთმანეთს არ ჰგვანან მეჩეთი, ეკლესია, სინაგოგა, ბუდისტური პაგოდა.

კულტურის ინდივიდუალობას აყალიბებს მრავალი ფაქტორი – დრო, სივრცე, რელიგია, ენა, ეროვნება, სახელმწიფო, რომელთა დაწესებული ტრადიციების რკალი, რომელთა მოგვრილი იმპულსები და სიგნალები, პიროვნულ ფაქტორს, სუბიექტის ხედვას, განცდას, წარმოდგენას სპეციფიკური ნიშნებით აღბეჭდავს, აძლევს საერთო მიმართულებას, კრებად სახეს.

ამიტომ განირჩევა გერმანული კულტურა რომაულისაგან, ფრანგული – რუსულისაგან, ქართული – სომხურისაგან, სპარსული – არაბულისაგან.

მაგრამ აქვთ საერთო ნიშნები, რომლებიც აკავშირებენ ერთმანეთისაგან დაცილებულ კულტურებს – ისინი მაღლა დგებიან ეროვნულ კუთვნილებაზე, სძლევენ დრო-სივრცეს და აყალიბებენ ტიპოლოგიურ სისტემას, მსგავს სტილს, ხედვასა და ესთეტიკას, ასევე – ზოგად უნივერსალიებს, საერთო კანონზომიერებას.

როგორც ვთქვით, ცივილიზაციას განასხვავებენ კულტურისაგან. კულტურაში გამოყოფენ სხვადასხვა პერიოდებს (მაგ., არქაიკა, ანტიკა, შუასაუკუნეები, რენესანსი).

ზოგისათვის ამოსავალია რელიგია (მაგ., წარმართული კულტურა, ქრისტიანული კულტურა, ბუდისტური კულტურა) ან იდეოლოგია (მაგ., ბურჟუაზიული კულტურა, სოციალისტური კულტურა) და გეოგრაფიული პრინციპი (მაგ., აღმოსავლური კულტურა, დასავლური კულტურა) და ა. შ.

არნოლდ ტოინბიმ გამოყო 21 ცივილიზაცია. ამათგან მხოლოდ შვიდი განაგრძობს არსებობას; ოსვალდ შპენგლერი ანალოგიისა და ჰომოლოგიის მიხედვით განარჩევდა კულტურის ტიპებს, საწყისად მიაჩნდა სული (აპოლონური, მაგიური, ფაუსტური) და ასე ახდენდა კლასიფიცირებას (ჩინური, ბაბილონური, ეგვიპტური, ინდური, ანტიკური, დასავლური, არაბული, მაიას კულტურები); კარლ იასპერსი განასხვავებდა ოთხ ისტორიულ ტიპს...

კულტურათა და ცივილიზაციათა მსგავსება – განსხვავებას ყველა ვგრძნობთ და ვხედავთ, მაგრამ ჭირს ერთიანი მოწესრიგებული სისტემის შექმნა, საერთო საკლასიფიკაციო ცხრილის წარმოდგენა, რომელიც მრავალ სახეს დაიყვანდა საერთო საწყის ნიშნებამდე.

კულტურის ტიპოლოგიას, მსგავს ნიშნებსა და კავშირებს აყალიბებს მრავალი ფაქტორი – დრო, გეოგრაფიული მდებარეობა, რასა, ერი, ენა, რელიგია, ეკონომიკა, იდეოლოგია, მათი მუტაცია ან რომელიმე მათგანის აქცენტირება.

1. რასა, ერი, ენა

ბიოლოგიურმა ევოლუციამ, გეოგრაფიულმა და ისტორიულმა ფაქტორებმა წარმოშვა რასები და ერები – კულტურშემოქმედი ძალა.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ევროპაში ჩამოყალიბდა თეთრი, ქერა და ლურჯთვალა ევროპეიდი, აზიაში – ყვითელი, ბრტყელსახა და წვრილთვალა მონგოლოიდი, აფრიკაში – შავი, გრძელკიდურა და სქელტუჩა ნეგროიდი.

აბორიგენი ამერიკელები და ავსტრალიელები მონგოლოიდების შორეული შთამომავლები არიან. მაგრამ დრომ და გეოგრაფიულმა პირობებმა 20 ათასი წლის მანძილზე ისე შეცვალა ინდიელი, რომ მას ზოგჯერ წითელკანიანს უწოდებენ.

რასა და ისტორია

რასებს ერთმანეთისაგან განარჩევენ გარეგნულად – კანის, თმის, თვალების ფერით, თავის ქალას ფორმით, ცხვირისა და ყვრიმალების ზომით, თვალების ჭრილით, ტუჩების სისქით, სიმაღლით, თითების ანაბეჭდით თუ კბილების თავისებურებებით.

რასები ათასობით საუკუნე ყალიბდებოდა და მათი ნიშნები უცვლელია. ისტორიულ თვალსაწიერში სოციალური და გეოგრაფიული გარემო მათზე არ მოქმედებს. მაგრამ ბიოლოგიური შერწყმის შედეგად ჩნდება შუალედური ტიპები (მაგ., თეთრკანიანისა და ინდიელის ნაჯვარი არის მეტისი, თეთრკანიანისა და შავკანიანის – მულატი).

გენეტიკურად თურქი და უზბეკი ერთი ძირიდან – ალტაური სამყაროდან მოდიან, მაგრამ სხვადასხვა ტომებთან და ხალხებთან აღრევამ ისინი ანთროპოლოგიურად გათიშა. ენათა ოჯახი განეკუთვნება ერთ რომელიმე რასას. არ შეიძლება იგი წარმოშობილი იყოს ნეგროიდისა და მონგოლოიდისაგან, ევროპეიდისა და მონგოლოიდისაგან, მაგრამ ასიმილირება და სინთეზი არღვევს ასეთ ბიოლოგიურ პროპორციას (შდრ. აშშ-ს დღევანდელი მოსახლეობა), ცვლის ძირეულ მონაცემებს.

რასებს შორის განსხვავება, რაც ყველასათვის თვალსაცემია, ისტორიულად უნდობლობისა და უცხოობის გრძნობას იწვევდა. უცხო კი მტერთან ასოცირდებოდა, რაც იქცა რასობრივი დისკრიმინაციის საფუძვლად.

აშშ-ში მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში გაუქმდა მონობა (შდრ – ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“). ზანგებისადმი აპათია კი საზოგადოებას XX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. ასევე გვიან დაიძლია ანტისემიტიზმი, რაც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი გახდა ჰიტლერულ გერმანიაში.

ადამის მოდგმას ერთი ჯიში აქვს, ერთი ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ქრომოსომულ-გენური სტრუქტურა. მხოლოდ ისტორიულმა პროცესებმა განავითარა რასები და ერები არათანაბრად.

შესაბამისად განსხვავებული აღმოჩნდა მათი ინტელექტუალური პოტენციალი, კულტურის მიმღეობისა და შექმნის უნარი.

ამ თვალსაზრისით ევროპეიდი იყო ყოველთვის ლიდერი. ხოლო მონგოლოიდები და ნეგროიდები გვიან გამოჩნდნენ ასპარეზზე, რაც ალბათ მომავალში შეცვლის დისბალანსს (მაგ., უძველესი კულტურის ჩინელები, რომლებიც დემოგრაფიულად იპყრობენ მსოფლიოს).

თუ რატომ დაუკავშირდა ევროპეიდის სახელი უძველესი დროიდანვე კულტურის და ცივილიზაციის ტრიუმფს – ძნელი ასახსნელია.

ალბათ ერთი უმთავრესი მიზეზი უნდა ყოფილიყო ომები, სისხლისღვრა და ძალაუფლების ნება, სწრაფვის უნარი, რაც ადამიანს აიძულებდა სიკვდილის პირისპირ მუდმივად დგომას. ეს კი – ნიშნავდა ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას. ცივილიზაციური უპირატესობით მიღწეული გამარჯვება საშუალებას აძლევდა ევროპეიდს გამოეყენებინა სხვათა გამოცდილება, ცოდნა, ქონება, ფიზიკური ძალა, ტერიტორია, დაერღვია კარჩაკეტილობა და განევრცო თვალსაწიერი, ეგრძნო თავი უფლის ხატად.

ომი იყო ინდივიდისა და ქვეყნისათვის საშინელების მომტანი, კაცობრიობის წინსვლისათვის კი – აუცილებელი, ისევე როგორც დაბადება და სიკვდილი (მაგ., II მსოფლიო ომმა მისცა დასაბამი კოლონიალიზმის მსხვრევას, საერთაშორისო პრინციპებისა და კავშირების ჩამოყალიბებას, ატომურ და სარაკეტო მრეწველობას).

ამერიკელები, აფრიკელები, ავსტრალიელები თავიანთ ძალას მხოლოდ ლოკალურ კონფლიქტებში ხარჯავდნენ.

ასევე იქცეოდნენ ციმბირელებიც.

მონღოლებმა მხოლოდ XIII საუკუნეში დაიწყეს დაპყრობითი ომები. ჩინელებისა და ინდოელების ცივილიზაციური განვითარება დაამუხრუჭა აგრესიის სინაკლებემ.

მათ თავიანთი მსოფლიო შექმნეს.

აგრესია არის შინაგანი დაუოკებლობის გამოვლენა, სიცოცხლისა და სწრაფვის უნარი, როცა ადამიანს დუმილი და გაჩერება არ შეუძლია, როცა სულში მძლავრობს ლუციფერი – ძალაუფლების ნება.

ადამიანთა ბიოლოგიურ ერთიანობას – რასას, რომლის ფორმირებაც ალბათ მუსტიეს ეპოქაში დასრულდა, ექნებოდა კულტურის მსგავსი საერთო ნიშნები და მსგავსი ენობრივი ფორმები, რაც სხვადასხვა მიმართულებით გაიშალა. საწყისი კი დაიკარგა.

ყოველი რასა დრო-სივრცეში სახეებად და ქვესახეებად დაჰყო ტომთა გაერთიანებებმა, სახელმწიფოებმა, ერებმა, ბუნებრივმა და ბარბაროსულმა სელექციამ. მაგ., ევროპეიდულ რასაში განასხვავებენ ბალტიურ და ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ სახეებს. ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულიდან გამოყოფენ წინააზიურ განშტოებას. ამასაც ხუთ ქვესახეობად შლიან, რომლიდანაც მოდიან ქართველური ტომები (მალხაზ აბდუშელიშვილი).

ერი არ უდრის რომელიმე რასის ქვესახეს, რადგან იგი ხალხთა ისტორიულად ფორმირებული ერთიანობაა (და არა ბიოლოგიური), რაც წარიმართა ენისა და რელიგიის დომინანტობით.

ევროპეიდულ რასას განეკუთვნება შუმერიც და ეგვიპტელიც, ელინელიც და რომაელიც, კოლხიც და ებრაელიც. მაგრამ ენის, რელიგიის, ნაციონალობის თვალსაზრისით ისე განირჩევიან, როგორც ხის ტოტები ძირისაგან.

სისხლით ნათესავ ტომებს აკავშირებდა ენა, ღმერთები, ტერიტორია და პრაკულტურა. მათი ერთგვარობა იქცა სახელმწიფოს ჩანასახად, რომელსაც აღვივებდა ძალა და ძალაუფლების ნება.

ასე გამოვიდა კაცობრიობა პრეისტორიის ნისლეულიდან.

გენეტიკურ ნათესაობას ყველაზე მეტად ინახავს ენა. მაგრამ ისტორიულ პერიოდში ენის დიფერენციაცია არ ემთხვევა რასის დიფერენციაციას. მაგ., ინდოევროპული ენებია ბენგალური და გერმანული, იტალიური და ირანული, სომხური და პორტუგალიური.

რასა დღეს არ ქმნის კულტურის ტიპებს, მაგრამ ისტორიულად ჰქონდა მნიშვნელობა მათი ფორმირებისათვის.

მაგ., ჩინელი მოქანდაკე ან მხატვარი გამოსახავდა მონგოლოიდის ტიპს და ღმერთებიც მონგოლოიდის თვალებით იყურებოდნენ; ელინური ღმერთები და გმირები მათ ავტორებს – ელინელებს ჰგავდნენ.

ისინიც ისევე იქცეოდნენ, როგორც მათი შემქმნელი მოკვდავები.

კულტურისა და ცივილიზაციის პროგრესი ამცირებს და სპობს რასობრივ ფაქტორს.

ერი, ენა და სახელმწიფო

ერი, ენა და სახელმწიფო განუყრელი ტრიადაა.

იყო დრო, როცა სახელმწიფო ქმნიდა ერს, რასაც აღწევდა იზოლირებულ ტომთა მოსპობით და ასიმილირებით. მაგ., ეგვიპტელების ადგილზე დაემკვიდრნენ არაბები; ფრანკები გერმანული ტომე-

ბია, რომელთაც V საუკუნეში დაიკავეს გალიის ტერიტორია. სხვადასხვა ტომთა შერწყმით წარმოიშვა ახალი სახელმწიფო – საფრანგეთი, ფრანგი ერი და ფრანგული ენა, რომელიც გერმანიკულ ენათა ჯგუფს აღარც განეკუთვნება; I ათასწლეულში ბრიტანეთის კუნძულებზე შეიჭრნენ ჯერ გერმანელი ანგლო-საქსები, შემდეგ – ნორმანები და მათი ადგილობრივ კელტებთან შერწყმით დასაბამი მიეცა თანამედროვე ინგლისს, ინგლისელ ერს, ინგლისურ ენას.

ამერიკელი ერი წარმოშვა ოთხი ხალხის შედუღებამ (ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, იტალიელი). საკომუნიკაციო საშუალებად დარჩა ბრიტანელ კოლონიზატორთა ენა – ინგლისური, რომლის განვითარებამ მიიღო ამერიკული ვარიანტის სახე, ავსტრალიაში – ავსტრალიურისა.

ენათა ოჯახები და ჯგუფები ემყარება უძველეს გენეტიკურ ერთიანობას, სისხლით ნათესაობას, რაც ისტორიულ დროში ირღვევა და განიშლება, ქრება და იკარგება, მაგრამ ინახავს ენის სტრუქტურა. შემდეგ როცა დამკვიდრდა და განმტკიცდა ერის ცნება, რომელსაც აერთიანებდა ენა, კულტურა, რელიგია, წარმოდგენა ტერიტორიულ ერთობაზე, ერი ქმნიდა სახელმწიფოს – თუ დანგრეული ან შეკვეცილი იყო – აღადგენდა, თუ დაპყრობილი – ათავისუფლებდა, თუ ძალა ჰქონდა – განავრცობდა.

გერმანულმა ტომებმა 600 წლოვანი ომების შემდეგ დაანგრიეს რომის იმპერია; გერმანელები მონაწილეობდნენ ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, ესპანელი, ამერიკელი ერების ფორმირებაში. მაგრამ თავად მხოლოდ 1871 წელს შესძლეს გაერთიანება, თუმცა ჰქონდათ არაერთი ძლიერი სახელმწიფო – კარლოს დიდის ფრანკთა სამეფო, გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია, ავსტრიის იმპერია, პრუსია...

ერთიანობის არქონის გამო ცალკეული მხარეები სახელმწიფოებად იქცნენ (მაგ., ჰოლანდია, ავსტრია). საარსებო სივრცის გაფართოებისაკენ სწრაფვას მოჰყვა I და II მსოფლიო ომები.

XVIII საუკუნის ავსტრალიაში ცხოვრობდა 500-ზე მეტი ტომი და ყველა თავის ენაზე ლაპარაკობდა.

ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. რომ ეცადათ გაერთიანება, გაბატონდებოდა ერთი – გამარჯვებულის ენა, რაც ომით უნდა მომხდარიყო.

ეს გააკეთეს ინგლისელებმა, ოღონდ თავიანთი ენა და რელიგია დაამკვიდრეს, თავიანთ კოლონიად აქციეს მთელი კონტინენტი.

ებრაელებმა ტერიტორიასთან ერთად ენაც დაკარგეს. მაგრამ რელიგიამ იხსნა ასიმილირებისაგან.

რომ არ გაფანტულიყვნენ და სამშობლოში დარჩენილიყვნენ, ისევე გაქრებოდნენ, როგორც მესოპოტამიის ძველი ხალხები.

ეგვიპტელთა შთამომავალმა კოპტებმა, რომლებიც ქრისტიანები არიან, სალაპარაკო ენა დაკარგეს XII საუკუნეში.

დღეს მათი ენაა არაბული.

აღარ არსებობენ შუმერები, აქადები, ხეთები, მიდიელები, ფინიკიელები, გალები, ალბანელები, ურარტუელები, შესაბამისად – მათი ენებიც დიდი ხანია გადაშენდნენ.

ერების ტრანსფორმაცია ენათა ტრანსფორმაციის საფუძველია, რაც უკავშირდება სახელმწიფოებრიობას, სახელმწიფოს ბედს. მონოეთნიკური სახელმწიფო არ არსებობს. მაგრამ სახელმწიფო ერთი ენით იმართება, ერთია მთავარი საურთიერთო ენა, თუნდაც ის მოეტანოს მოსულ ხალხს (მაგ., აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის ენაა ინგლისური, ბრაზილიისა – პორტუგალიური, არგენტინის, მექსიკის თუ კუბის – ესპანური).

ზოგჯერ დამარცხებული გადადის დამპყრობელის ენაზე (მაგ., მცირე აზიის ხალხები შეერივნენ გამარჯვებულ თურქ-სელჯუკებს და მათი შთამომავლები დღეს თურქულად მეტყველებენ). მაგრამ ამგვარი შერწყმა რასობრივად ცვლის თავად დამპყრობელსაც (მაგ., თანამედროვე თურქი ან აზერბაიჯანელი სულაც არა ჰგავს მათ წინაპარ მონგოლოიდს).

ხდება პირიქითაც – როცა ენა მდიდარია და აქვს დიდი კულ-ტურა, დამპყრობელი მას ღებულობს, სათავისოდ იყენებს, რასაც უკუეფექტიც აქვს.

ირანს დიდხანს მართავდნენ თურქული წარმოშობის ტომები (მაგ., „შავბატკნიანები“, „თეთრბატკნიანები“, ყიზილბაშები), მაგრამ ქვეყნის მთავარი ენა – სპარსული არ შეუცვლიათ.

ერის მდგრადობა და სიმტკიცე ვლინდება ენის კონსერვატიზმ-ში. მაგ., ქართველი კითხულობს V საუკუნის „შუშანიკის მარტვი-ლობას“, მაგრამ სომეხს გრაბარი (ძველსომხური) არ ესმის.

ხალხთა კონსოლიდირების, ერად ქცევის ზიგზაგოვანი პრო-ცესი კვალს სტოვებს ენის ისტორიასა და სტრუქტურაში, ცვლის ან სპობს ენას.

ქართველური ფუძე-ენა ქართულ, სვანურ და კოლხურ ენებად გაიყო ძვ. წ. II ათასწლეულში (თ. გამყრელიძე).

ეს უკავშირდებოდა პოლიტიკურ პროცესებს, როცა უკვე გამქ-რალია მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის მატერიალური კულტურე-ბი, როცა განადგურდა ხეთების სამეფო და წარმოიქმნა ქართველურ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი – კოლხა და დიაოხი, მცირე აზიაში – მუშქების (მესხების) სამეფო (ძვ. წ. XII ს.).

შიდაინტეგრაციას ამჯერად აჩქარებდა ახლად შემოსული ცხენი და გაჩენილი რკინა ანუ ცივილიზაციური მონაპოვარი.

განყოფამ ალბათ ადრევე არსებული დიალექტები ენებად აქცია. შეიძლება თავად ეს დიალექტებიც ქმნიდა ტომთა შორის გაუცხოე-ბის საფუძველს.

ძველ დროში ენა იყო ტომთა განმასხვავებელი ნიშანი.

ამერიკა დაიპყრეს და აითვისეს XVI საუკუნეში, ავსტრალია – XVIII საუკუნის დამლევს. შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობა, შესაბამისად – ენაც.

ამერიკაში დამკვიდრდა ინგლისური, ესპანური და პორტუგა-ლიური, ავსტრალიაში – ინგლისური. აფრიკის კონტინენტზეც ევ-

როპელ კოლონიზატორთა ენამ განდევნა აბორიგენ ტომთა მეტყველება.

ზოგი დაშლილი, დანაწევრებული ქვეყნისათვის ენა გახდა გამაერთიანებელი, გადარჩენის გარანტი (მაგ., დანტეს ტოსკანური დიალექტი იტალიისათვის).

ზოგ ერს (მაგ., ბერძნებს) არც აქვს საერთო სალიტერატურო ენა, რაც გამოიწვია საუკუნეთა მანძილზე ეროვნული სახელმწიფოს არქონამ: განარჩევენ წმინდა (არქაულ), სახალხო და ნარევ ენებს.

არც ანტიკურ პერიოდში ჰქონიათ ბერძნებს ერთიანი ენა. ისინი წერდნენ ატიკურ, იონიურ, დორიულ და ეოლიურ დიალექტებზე. მათი ერთობის ფაქტორი იყო მითოსი და ჰომეროსი. შემდეგ კი სალიტერატურო კოინე ენას საფუძვლად დაედო ატიკური დიალექტი, რომელსაც IV საუკუნის დასაწყისიდან, რაც კონსტანტინეპოლი გახდა იმპერიის დედაქალაქი, დაუპირისპირდა სალაპარაკო კოინე.

ლათინური მიჩნეულია მსოფლიოს საუკეთესო ენად, რომელიც გაამდიდრეს ეტრუსკულმა და ძველბერძნულმა ენებმა. მას ხვეწდნენ ძლევამოსილი იმპერიის მწერლები, ორატორები, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, მაგრამ როგორც იცვლებოდა მოსახლეობა, ისე იცვლებოდა სალაპარაკო ლათინურიც.

ვულგარული ლათინური საფუძვლად დაედო რომანულ ენებს. ხოლო მკვდარი „ოქროსა“ და „ვერცხლის“ ლათინური დარჩა ინტელექტუალების, მეცნიერებისა და კათოლიკური ეკლესიის ენად, რომელიც ტერმინების სახით შეიჭრა ყველა ენაში.

ასევე რთულია გერმანული და გერმანიკული ენების ტრანსფორმაცია, კვდომა (მაგ., გუთური) და დიფერენცირება.

კიდევ უფრო დახლართულია ინდური ენების ისტორია და სტრუქტურა. აქ გამოყოფენ ვედურს, სანსკრიტს, საშუალო ინდურს (მკვდარი ენებია), ჰინდის (ინდოეთის სახელმწიფო ენა), ურდუს (პაკისტანის სახელმწიფო ენა), ნეპალურს (ნეპალის სახელმწიფო ენა), ბენგალურს (ბანგლადეშის სახელმწიფო ენა), პენჯაბურს, გუჯარათულს და ა.შ.

ინდოელებს აქვთ 20-მდე სალიტერატურო ენა, 400-ზე მეტი ენა, 2000-ზე მეტი დიალექტი.

არიელების შეჭრამდე კი ინდოეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ დრავიდული ტომები, რომელთა ენებზე დღეისათვის ლაპარაკობს 150 მლნ კაცი.

ინდოეთის მეორე სახელმწიფო ენაა ინგლისური, რომელიც აერთიანებს მრავალ ენაზე მოლაპარაკე მილიარდიან მოსახლეობას.

მხოლოდ ჩინური ენაა მსოფლიოში, რომელიც მშობლიურია მილიარდზე მეტი კაცისათვის.

ღარიბი კულტურის ერს ენაც მწირი და ღარიბი აქვს, ვერ სწვდება თანამედროვე საგნებსა და პროცესებს. ამიტომ იყო ყველაზე მდიდარი და გამომსახველი უამრავი ტომის, ხალხის, კულტურის, რელიგიის გამაერთიანებელი რომაელების ენა – ლათინური.

დღეს იგივე ითქმის ინგლისურზე, შექსპირის ენაზე, რომელიც ხელმეორედ აღაზევა აშშ-მ. ხოლო ყოველდღიურ პრაქტიკაში დაამკვიდრა კომპიუტერმა, ინტერნეტქსელმა.

რაც დრო გადის, ენის განვითარებას მეტად წარმართავენ ცნობიერი პროცესები, რაც გულისხმობს ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ სისტემაში ჩართვას.

ებრაელებს ბიბლიამ და რელიგიურმა ფაქტორმა, ადათ-წესებმა და სამშობლოში დაბრუნების რწმენამ შეუძლებელი შეაძლებინა. ისინი არ აღირივნენ სხვა ერებთან, შეინარჩუნეს თავიანთი ანთროპოლოგიური სახეც და აღადგინეს არა მხოლოდ 2000 წლის წინათ დაკარგული სამშობლო, არამედ – უძველესი ენაც – ივრითი.

ენა იხვეწება მწერლებისა და ორატორების ხელში, რომელსაც იყენებს სახელმწიფო, ეკლესია, მეცნიერება, იყენებს და ანიჭებს სპეციფიკურ ელფერს, ლექსიკას, ჟღერადობას, ცნებით მნიშვნელობას, ავრცობს და აკონკრეტებს.

მაგრამ რაფინირება ენას განაშორებს ყოველდღიური მეტყველებისაგან. ჩნდება ბარიერი ხალხსა და ელიტას შორის, როგორც ითქვა.

ელიტა კონსერვატიულია, მასა – დემოკრატიული, ცვალებადი და მერყევი.

ისტორიის გრიგალ-ქარში ენაც დგას როგორც მრავალსაუკუნოვანი მუხა, რომელსაც სცვივა ფოთლები, ემსხვრევა ტოტები, მაგრამ კვლავაც მწვანით რომ იმოსება.

ენა ინახავს ერის კულტურას და უნარჩუნებს ნაციონალურ სახეს, ერის ფსიქიკასა და მდგომარეობას გამოხატავს.

ქართული ენის განვითარებას წარმართავდა ეკლესია – ბიბლიით, ლიტურგიით, ეკლესიის მამათა წიგნების თარგმანებით, სწავლა-აღზრდით, ვიდრე შეიქმნებოდა „ვეფხისტყაოსანი“.

ასე გაგრძელდა XIX საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე რუსები ქართულ ეკლესიას ავტოკეფალიას წაართმევდნენ.

შემდგომ ამგვარი მეტყველება, ანტონ კათალიკოსის მაღალი სტილი შეარყია ქალაქურმა ჰიბრიდმა – ქართულში არეულმა რუსულმა, სომხურმა და თათრულმა ლექსიკამ, ინტონაციამ, სიტყვათწყობამ.

60-იანი წლებიდან კი ქართულმა ლიტერატურამ და ჟურნალისტიკამ უარყო, ერთი მხრივ, ანტონ კათალიკოსის მწიგნობრული სტილი, მეორე მხრივ – თბილისური ჰიბრიდი და გზა გაუხსნა ხალხის მეტყველებას.

ასეთი გეზი აიღო ილია ჭავჭავაძემ.

ხალხს, რომელსაც არც სახელმწიფო ჰქონდა და არც ეკლესია, მწერლები, ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები უნარჩუნებდნენ თავისუფლებას, რათა შეეჩერებინათ რუსიფიცირების ტალღა.

ენობრივი კონსერვატიზმი

ენის სპეციფიკასა და მდგრადობას განსაზღვრავს სინტაქსი, სიტყვათწარმოქმნის, ბრუნებისა და უღლების სისტემები.

ისინი არ ემორჩილებიან ზეგავლენას, ენობრივ კავშირებს, უცხო სიტყვათა შემოტევას.

ამიტომ არის იოლი ლექსიკის ნაციონალურ გარსში მოქცევა. ლაბილობა, მიმღეობა და შემგუებლობა აქვს ყოველ ენას, რათა დაიცვას ძირეული, სიღრმისეული სტრუქტურა.

ენები განირჩევა არა მხოლოდ ლექსიკით, სიტყვათწარმოქმნისა და წარმოთქმის წესით, არამედ – ბრუნებითა და უღლებითაც. მაგ., სემიტურში იუღლება და იბრუნვის ხმოვნები, თანხმოვნები კი უცვლელია; ქართულში გვაქვს 7 ბრუნვა, რუსულში – 6, გერმანულში – 4, არაბულში – 3 ან 2 და ა.შ.

ასევე სხვადასხვაა ასობგერათა რიცხვი.

ზოგი ენა მახვილიანია (მაგ., რუსული), ზოგი – უმახვილო.

ენის ფონოლოგიური მონაცემები განსაზღვრავს ლექსთწყობას, რაც შესაბამისად ყველა ერისათვის სპეციფიკურია. მაგრამ ენის ცვალებადობა არღვევს ლექსთწყობის სისტემასაც. მაგ., ძველი ბერძნული ლექსთწყობა კვანტიტატურია – ემყარება ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს (ომეგა და ომიკრონი, ეტა და ეფსილონი), რაც V-VI საუკუნეებში მწერლებსაც კი ეშლებოდათ (ს. ყაუხჩიშვილი).

წარმოიქმნა ბიზანტიური თხუთმეტ და თორმეტმარცვლოვანი საზომები. მათში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის ადგილი დაიკავა მახვილმა და მარცვალთა რაოდენობამ.

პირველი დაქტილური ჰეგზამეტრის, მეორე – იამბური ტრიმეტრის მემკვიდრეა. თორმეტმარცვლოვანი ლექსი ცეზურით იყოფა 5 ან 7 მარცვლის შემდეგ. აქედან – ქართული იამბიკო:

„ღვთისმშობელი და // ყოვლად პატიოსანი,

მას უგალობდა // ანგელოსი ფრთოსანი“ (დემეტრე I, XII ს.).

იამბიკო არ მიიღო ქართულმა ლექსთწყობამ.

ლექსის სტრუქტურა ამოდის ენის რიტმულ-მელოდიკური პოტენციიდან და მისი გადატანა შეიძლება მხოლოდ მონათესავე ენების წრეში.

პოეტი ამჟღავნებს ენაში დაფარულ შესაძლებლობას და დაგროვილ კოლექტიურ გამოცდილებას.

ხალხების სახეცვლასთან ერთად კულტურისა და ცივილიზაციის პროგრესიც ცვლის ენას.

მომავალში ცალკე იქნება გამოყოფილი ამერიკული, ბრაზილიური, პორტუგალიური, მექსიკური თუ არგენტინული ენები, ისევე როგორც ცალკე ენებად იქცნენ ინგლისური, ფრანგული, ესპანური თუ უკრაინული.

ენის დიფერენცირება ჩვენს თვალწინაც გრძელდება. როგორც ვთქვით, ისტორიულად ერთმანეთისაგან განუყრელია სახელმწიფო, ერი და ენა. მათ ბედიც საერთო აქვთ, როგორც წარმატება, ისე უკუსვლა. გამარჯვებული ერის ენას საფრთხე არ ემუქრება.

ენა არის უდიდესი მონაპოვარი, რომლის სტრუქტურა არაცნობიერად წარმოიქმნა, მაგრამ დღეს ენა არ უდრის ერს.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგა აერთიანებს 22 ქვეყანას (მაროკო, ალჟირი, ლიბია, სირია, ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი, იორდანია და ა.შ.). მათი ენაა არაბული, აღმსარებლობა – მუსულმანობა, წმინდა წიგნი – ყურანი, მაგრამ ეთნიკურად თანდათან დასცილდნენ ერთმანეთს. შესაბამისად ჩამოყალიბდა ტერიტორიული და სოციალური დიალექტები.

ძველი ერთიანობა დრომ დაშალა, ვერც ენა და ვერც რელიგია ვერ გახდა შემკავებელი ფაქტორი.

როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ერთ სახელმწიფოს აქვს მრავალი ენა, ხანაც – მრავალ ქვეყანას ერთი ენა.

მიზეზი არის ისტორიის ღელვა, ძალაუფლების ნება, ხალხის სიმრავლე და ერის მდგრადობა. მხოლოდ ლიტერატურა და ეკლესია ვერ აკავებს დროის ქარიშხალს, როცა ირღვევა ერის სხეული.

იბერიელ-კავკასიელი ალბანელები (მითანისა და ურარტუს სახელმწიფოთა შემქმნელი ხურიტების შთამომავლები, ჩეჩენ-დაღესტნელთა წინაპრები) ქრისტიანები იყვნენ. მეტყველებდნენ 26 ენაზე, რაც ნიშნავს ერის სისუსტეს, სახელმწიფოებრივ სიმყიფეს. მათ ან-

ბანი და დამწერლობაც ჰქონდათ, განვითარებული კულტურაც. მაგრამ XI საუკუნიდან გაქრნენ, აღირივნენ შუა აზიიდან წამოსულ თურქ-სელჯუკებთან (აზერბაიჯანელთა წინაპრები), ნაწილობრივ – ქართველებთან და სომხებთან.

სახელმწიფოებრივ გარსს არა მხოლოდ მტერი ამსხვრევს, იგი შინაგანადაც იბზარება; ხალხი იღლება და იფიტება, კარგავს თავგანწირვისა და სწრაფვის უნარს.

ყველა დროში ენა იყო ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალება. მაგრამ კომუნიკაციას ერთვის ექსპრესია, რათა ასე შეაღწიოს სხვის ფსიქიკაში და იქ ადგილი დაიმკვიდროს. ასეთი ინტერვენციით ერთის აზრი გადადის მეორეში და იქ აგრძელებს სიცოცხლეს.

ამას ყველაზე უკეთ ახერხებს ლიტერატურა, კერძოდ – პოეზია.

მაგრამ ენა უაღრესად ნაციონალური მოვლენაა და იგი თუ ერთ ენობრივ წრეში აკავშირებს ადამიანებს და უძლიერებს ერთად ყოფნის მნიშვნელობას, ერთა შორის ბარიერად იქცევა.

ასეთ დროს ენა გამთიშველი და გამყოფი ხდება. მაგრამ ეს ფაქტი განამტკიცებს კულტურის დამოუკიდებლობას და თავისთავადობას.

ერთა სიმრავლეზე უფრო დიდ პრობლემებს ქმნის ენათა სიმრავლე, რაც აფერხებს ინტეგრაციას. ღმერთმა ბაბილონის გოდოლის მშენებლებს ენა აურია და ისინი ვერ მისწვდნენ უფალს.

უცხოობის ფაქტორს ძველ დროში განსაზღვრავდა ენა და რელიგია. უცხო კი, როგორც ვთქვით, მტრად მიიჩნეოდა. მტერი უნდა მოეკლათ ან მონად ექციათ.

ადამიანი ვერ იტანს ახლობელთა წრეშიც განსხვავებასა და აღმატებას, ვინც არღვევს წესრიგსა და იერარქიას, ვისაც ვერ უგებენ, ვისიც არ ესმით. უცნაურს გარიყვა ელის, აღმატებულს – დამხობა.

დღეს, როცა დაპატარავდა დედამიწა და რეზინის ბურთივით შეიკუმშა, უფრო მწვავედ იგრძნობა ენობრივი ბარიერი. ამიტომ აუცილებელი ხდება ერთი მაკავშირებელი ენა.

ეს ხელოვნურად, ძალდატანებით ვერ მოხდება. თავად ცხოვრებამ უნდა დაგარწმუნოს, რომ სწორედ ეს ენაა აუცილებელი. ამის პირობას ქმნის სახელმწიფოს სამხედრო, კულტურულ-ეკონომიური თუ ინტელექტუალური სიძლიერე.

დღევანდელმა ვითარებამ ამიტომაც მიანიჭა პრიორიტეტი ინგლისურ ენას. თუმცა ჩინურ ენაზე გაცილებით მეტი მეტყველებს.

XIX საუკუნეშიც ცდილობდნენ საერთაშორისო ენის შემოტანას. ქმნიდნენ ხელოვნურ ენებს (მაგ., ესპერანტო). მაგრამ ამ ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა. XVII-XVIII საუკუნეების ქართული არისტოკრატიისათვის სანიმუშო იყო სპარსული ენა, უფრო ადრე-ბიზანტიური და არაბული. XIX-XX საუკუნეებში მათი ადგილი დაიკავა რუსულმა. ამგვარ აუცილებლობას ქმნიდა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა.

თავად რუსებისათვის სამაგალითო იყო ჯერ ფრანგული, შემდეგ – გერმანული, განსაკუთრებით საბჭოთა ეპოქაში, რადგან იგი იყო მარქსისა და ენგელსის ენა.

ენა და დროის აგრესია

ენა მუდმივად ივსება ახალი სიტყვებით, რადგან ახალი საგნები წარმოიქმნება. შესაბამისად – ქრება ძველი საგნები და მათი აღმნიშვნელი ლექსიკა ან იცვლის მნიშვნელობას, ფართოვდება ან ვიწროვდება, კარგავს მიმზიდველობას ან პირიქით – უეცრად თავს იჩენს (მაგ., რელიგიური ლექსიკა კომუნისტურ და პოსტკომუნისტურ ეპოქებში).

როცა ვკითხულობთ სულხან-საბას „სიტყვის კონას“, ვხედავთ თუ სამასი წლის მანძილზე როგორ გაქრა მრავალი სიტყვა, როგორ შეიცვალა ბევრის მნიშვნელობა. მაგ., მამონა – უსამართლოდ მოგებული სიმდიდრე, ერი – მსოფლიო კაცი, მარაქა – ქალთა ჯარი

ლხინში, მატრაკვეცი – მხევლის მხევალი, მაჭაკალი – სიძვის შუამავალი, ტურტლი – თევზთა სკორე, თუთქი – ცხელი ნაცარი, ყუა – პურის კიდე, ლოყა – პირუტყუთ ღაწვი, მეძავი – ქალი უქმრო ბოზი, მრუშება – მეუღლიანის ბოზობა, ქრთამი – საცოდავი ძღვენი, გმირი – კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა, კუბო – ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, რომელსაც აქლემს აკიდებენ ან ხელით მიაქვთ, ცხედარი – სარეცელი, ტორი – მწყემსების დიდი და გრძელი ჯოხი, მორი – მამაკაცის ასო სარცხვინელი...

კულტურულ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი კავშირები აახლებს, ასხვავებს ან სპობს ენებს. ყალიბდება საერთაშორისო ლექსიკური ფონდი, რომელიც ყოველი ენის კუთვნილებაა. განსაკუთრებით ეს ეხება ბერძნული და ლათინური ძირის სიტყვებს. შესაბამისად – მცირდება ნაციონალური ლექსიკა, ლექსიკის შემცირება კი ანელებს ნაციონალურ გრძნობათა მარაგს. რელიგია და სახელმწიფო კრძალავენ განკერძოებას, რომელიც დაშლის წინაპირობაა. პოლიტიკაში ეს არის სეპარატიზმი, რელიგიაში – სექტანტობა, საზოგადოებაში – მარტოობა.

დროდადრო აუცილებელია პლებეური ნაკადის ათვისება, რადგან ენის შემოქმედი არის ხალხი, რომლის უდიდესი ნაწილი შორს დგას მეცნიერებისა და ხელოვნებისაგან, მაღალი სააზროვნო პრინციპებისა და იდეალებისაგან. ხალხი სტიქიურად აქცევს ახალ საგნებსა და სიტუაციებს მშობლიურ ბგერათა გარსში (მაგ., მანქანის ნაწილების რუსული სახელები).

მღვრიე ნაკადს, რომელსაც უხვად შემოჰყვება შლამი და ლექი, სჭირდება გაფილტვრა და გაწმენდა, ან – რათა უსიერი ტყისაგან მივიღოთ პარკი, რათა არ მოხდეს მეტყველების დეფორმირება, სტრუქტურის რღვევა.

დიალექტები ენობრივი სეპარატიზმია, რასაც იწვევს სუსტი ცენტრალიზმი, გამოხატული არა იმდენად ძალაუფლებით, რამდენადაც – კულტურულ-ეკონომიკური კავშირებით. ცალკეული ჯგუ-

ფებიც ქმნიან თავიანთ ლექსიკას (მაგ., ქურდული ჟარგონი), რომლებიც ეურჩებიან ან გამოეყოფიან მდინარებას. ასევე იქცევა ცალკეული შემოქმედი, რომელიც თავის ინდივიდუალობას ავლენს ორიგინალური ენით (მაგ., ჯ. ჯოისი, საქართველოში – ვაჟა-ფშაველა, ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, ო. ჩხეიძე, გ. დოჩანაშვილი), რაც არც მანერულობას არის მოკლებული.

სტილიზებული ენა ხშირად ქმნის ბარიერს ავტორსა და მკითხველს შორის, რომელიც კონსერვატიულად ეკიდება კომუნიკაციის ცვალებადობას.

ხალხთა კონტაქტები კვალს სტოვებს ენის სტრუქტურაში. ყოველ დროს შემოაქვს ახალი შრეები, რომელსაც ენა გარდაქმნის და აქცევს თავისი სტრუქტურის ნაწილად. მაგ., ძველ ქართულში შემოვიდა და დამკვიდრდა მრავალი ბიზანტიური სიტყვა, სიტყვათწარმოქმნის წესი. ამგვარი ლექსიკა და კალკები ნელნელა შეეზარდა მშობლიურ მეტყველებას და მხოლოდ სპეციალისტის თვალი თუ აღმოაჩენს. მაგ., უშემასმენლო წინადადება, ნაცვალსახელოვანი პლეონაზმი, სახელობითი ბრუნვა წოდებითის ფუნქციით, და კავშირის სიხშირე, თანდებულის კონსტრუქციები. კალკებია დღეისათვის ბუნებრივი კომპოზიტები – მრავლისმეტყველება, მცირედმორწმუნე, ცილისწამება, გულფიცხელობა, ცრუწინასწარმეტყველი, დაეშენა, როგორც შენიშნავს ზურაბ სარჯველაძე.

ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა ენაში აისახება და იგი რჩება, როგორც მიწის ქანებში სხვადასხვა შრე. თუ XIX საუკუნეში ქართული ენა იოლად დასცილდა სპარსულ სამყაროს, ასევე იოლად ჩაბარდა რუსული ენის სტიქიას. სამაგიეროდ XX საუკუნეში გამკვეთრდა ენობრივი ნაციონალიზმი და რუსული ლექსიკისა და კალკებისათვის ლიტერატურაში კარი დაიხშო.

პოლიტიკური ვითარება ისევ რომ შეიცვალა, ქართული მეტყველება ინგლისურს დამორჩილდა და ლამის წალეკოს ჩვენი ენა ინგლისურმა სიტყვებმა და კონსტრუქციებმა. ეს მაშინ, როცა ამ ენის კარგი მცოდნე, ბუნებრივია, მეტისმეტად მცირეა.

კულტურის ტიპოლოგიისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ენობრივ ჯგუფებს (მაგ., სლავური, ირანული, გერმანიკული, რომანული, კელტური, ქართველური ენები), ვიდრე ენათა ოჯახს (მაგ., ინდო-ევროპული ან ალტაური), რომლის სათავე შორეულ წარსულშია ჩაკარგული. თუმცა პოლიტიკა აქაც ერევა. მაგ., ოსური ირანული ჯგუფის ენაა, მაგრამ ტიპოლოგიურად შედის რუსული კულტურის წრეში; გფრ და გდრ ორივე გერმანული სახელმწიფო იყო, მაგრამ მათი კულტურა გათიშა მარქსისტულმა იდეოლოგიამ; აფხაზური იბერიულ-კავკასიური ენაა, მაგრამ პოლიტიკის დაწოლით აფხაზები მოსწყდნენ ამ სამყაროს და მოექცნენ რუსული კულტურის ფარვატერში.

დღეს გლობალიზაციის პროცესით მთავრდება მრავალსაუკუნოვანი დაშლისა და განკერძოების პერიოდები. რასების, ენების, ერების სწრაფი დაახლოების ტენდენცია ინტეგრირებისაკენ მიემართება და თანამედროვეთათვის მეტისმეტად მტკივნეულია (შდრ – რასულ გამზატოვი: „თუ ჩემი ენა ხვალ უნდა მოკვდეს, მე რომ დღეს მოვკვდე, ის მირჩევნია“).

2. კულტურის რელიგიური კუთვნილება

კულტურას ღმერთები წარმოშობენ, ღმერთები მოსავენ განუმეორებელი ელფერით და სულში იჭრებიან.

უზენაესი ძალა ქმნის პირველად ყალიბს, რომლის ფსიქიკაში შთაბეჭდილი ხატი აკავშირებს ხალხებსა და სახელმწიფოებს. ეს მაშინ, როცა ენა სთიშავს და აცალკევებს. რელიგია გამაერთიანებელი ძალაა, ენა – გამყოფი, ისევე როგორც სახელმწიფო.

რელიგია ინტერნაციონალურია, ენა და სახელმწიფო – ნაციონალური, რაც აწონასწორებს კულტურას.

რელიგია რადიკალურად ცვლის ონომასტიკას, საკუთარ წიაღში კი ერთმანეთს ამგვანებს (შდრ-მუსულმანი და ქრისტიანი ქართველების საკუთარი სახელები – მუსტაფა და გიორგი, ზუბეიდე და თამარი).

ღმერთის მყოფობა

ქრისტიანული ღმერთი დაუსაბამოა, უხილავი და განუსაზღვრელი, ყოვლის შემოქმედი და ყოვლის მხილველი, ერთარსება სამება (მამაღმერთი, ძე ღმერთი, სულიწმინდა);

ებრაელების ღმერთის სახელი ტეტრაგრამით არის ტაბუირებული YHWH – იგი იკითხება და წარმოითქმის როგორც იაჰვე, ელოჰიმი, ცაბაოთი, ადონაი, უფალი (იხ. „ვინ არს ძალი უხილავი“).

ალაჰი ერთადერთია, მარადიული, ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე, განკითხვის დღის მეუფე.

ალტაელების, მონღოლებისა და ძველი თურქების მარადიული ცის ღმერთის თვითმზარდი თენგრის რიცხვი იყო 9, 33, 77, 99.

ღმერთის შეგრძნებასა და შეცნობას ყველა მორწმუნე სხვადასხვაგვარად აღწევდა. ქრისტიანისათვის ეს არის ლოცვა, დუმილი და მისტიკური ექსტაზი, წარმართი ელინელისათვის – წმ. მუხის ფოთლების შრიალი, წყაროს ლიკლიკი, ბრინჯაოს ჭურჭელზე წკეპლის დაკვრა ან დაბინდული გონება.

როცა აქილევსს დასტიროდნენ და ესმოდათ ზღვის ხმაური – ეს თეტიდა გლოვობდა თავის თავს.

როცა ქარი გრიალებდა და ხეთა შტოებს ამსხვრევდა – ეს ოდინი დაქროდა თავისი ეტლით.

ღმერთების ნებას შეიცნობდნენ სხვადასხვა სახის მარჩიელობით (მაგ., სიზმრებით, ფრინველთა ორიენტირით, ვარსკვლავთა განლაგებით, მამლის ყივილით, ყორნის ჩხავილით).

ქურუმი ტრანსში ვარდებოდა და ბოდვით იუწყებოდა განგების ნებას; ზევსი ელვითა და მეხით ევლინებოდა ადამიანს; უფალი მოსეს ღრუბლებიდან ესაუბრებოდა და გადასცემდა თავის სიტყვას.

ღმერთის დანახვას, მის მზიურ ელვას მოკვდავის თვალები ვერ უძლებენ. მხოლოდ მინიშნებით შეიძლება მისი მყოფობის წარმოდგენა და რაციონალიზება (მაგ., ბუდას საფეხურებრივი სტრუქტურა, როგორც არსთან მიახლების ცდა).

რელიგიების სათავესთან დგანან ისტორიულად არსებული პირები – მოსე, ქრისტე, მაჰავირუ, ბუდა გაუტამა (შაკიების ტომის ბელადი), ლაოძი, მუჰამედი, ზარატუსტრა, კონფუცი, მანი, რომელთა სახელი მიმდევრებმა ლეგენდებით შემოსეს და ღმერთად გამოაცხადეს.

მათგან მხოლოდ ქრისტე არ მიიღო თავისმა ხალხმა.

ისინი სტოვებენ საცხოვრებელს, ახლობელთა წრეს, გაივლიან მარტოობის გზას, გააცხადებენ უფლის სიტყვას, შემდეგ ჰპოვებენ მიმდევრებს და იწყებენ რწმენის ქადაგებას.

პოლითეისტური იერარქია

სამყაროს დანაწევრებული აღქმა ღმერთების სახელითა და სახით ხმიანდებოდა, რაც სისხლით ნათესავ ტომებს ერთიანი რწმენით ჰკრავდა.

ყოველი საგანი ბურანიდან გამოსულ გონებას დამთრგუნველად ანუ, ჩვენი ენით რომ გამოვთქვათ – ღმერთად მიაჩნდა, რომლის არსი ბგერებში მოაქცია.

მრავალი ღმერთი მრავალ დღესასწაულს მოითხოვდა, მსხვერპლსა და სისხლს მოელოდა. მათ სახელზე ტაძრები იგებოდა და სისხლი იღვრებოდა. ღმერთები ჯერ ზეცაში არ ცხოვრობდნენ.

ველური ეჭვით და შიშით დააბიჯებდა მათ შორის, ტაბუირებით იცილებდა და ახდენდა დისტანცირებას და ასე მიიკვლევდა გზას.

როგორც ღმერთები განირჩეოდნენ, ისე იყო განსხვავებული მათგან გამოსული, მათზე აგებული, მათი მსახური მითოსი, რიტუალი და ლიტურგია.

როგორც წარმოიშვა მრავალი გვარტომი, ისე იშვა მრავალი პროტო-ენა და მრავალი ღმერთი, რომელიც საგნის აღმნიშვნელი სიტყვა იყო (მაგ., აცტეკებს სიმინდის ღმერთიც კი ჰყავდათ).

მაგრამ მარტივი სტრუქტურის გამო ყველა ტოტემი, ღმერთი თუ პროტო-ენა ერთმანეთს ჰგავდა, ერთ საწყისს იმეორებდა.

ხალხები თავიანთი ღმერთების თვალებით აღიქვამდნენ ფერად სამყაროს, ზესკნელსა და ქვესკნელს. ღმერთები კი თავიანთ წარმომშობ ხალხებს ჰგავდნენ ანუ, როგორც ვთქვით, მოკვდავი ასე უკვდავყოფდა სულის სწრაფვას.

მხოლოდ იმ კულტურას ჰქონდა პერსპექტივა, რომელიც სისხლით იყო განბანილი. ღმერთებს რომ ეცოცხლათ, ადამიანებს მისთვის სისხლი უნდა მიეცათ, რაც იგივე სული და სუნთქვა იყო.

ღმერთებს სისხლი უდგამდა სულს, როგორც წვიმა – მცენარეს.

როგორც ვიცით, სიცოცხლე არსებობს მხოლოდ სიცოცხლის ხარჯზე, როცა არაორგანული გარდაიქმნება ორგანულად.

ტომს რომ ეცოცხლა, მასაც სისხლი ანუ სიცოცხლის შთანთქმა სჭირდებოდა. სისხლს იგი იღებდა ბელადის მკვლელობით, ვინც ნადირ-ტოტემის ტყავში ეხვეოდა. პოლითეისტური რელიგიების მთავარი დღესასწაულია მსხვერპლშეწირვა, რომელსაც ქურუმი წარმართავდა. მსხვერპლშეწირვის გაგრძელება იყო ომები. სისხლი იღვრებოდა და მეომარი კვდებოდა ან მტერს კლავდა – თავისი ღმერთებისა და ტომისათვის.

აქაც დაღვრილი სისხლი და დაკარგული სიცოცხლე მოძმეს უბრუნდებოდა და ძალას ჰმატებდა. მაგრამ ეს მაშინ, თუ გამარჯვებას მოიპოვებდა.

ამან წარმოშვა გმირის აუცილებლობა, რომელიც დადგა ღმერთებსა და ადამიანებს შორის, როგორც კაცთა გადამრჩენი. სულიერების სფეროში მას შეენაცვლა წინასწარმეტყველი, ძე ღვთისა, უფლის რწმუნებული.

შიშისგან შობილი და სისხლით განმტკიცებული, შემდეგ – ლოცვით, მორჩილებით და ერთგულებით აღვსილი რწმენა სივრცე-დროის შესაფერად იმოსებოდა:

მრავალტომიან, მრავალენიან, მრავალღმერთიან ინდოეთში წარმოქმნილი ბუდიზმის პანთეონი ღმერთებისა, ნახევარღმერთებისა და მითოსური პერსონაჟებისაგან შედგებოდა.

იქ იმდენმა ღმერთმა მოიყარა თავი, რომ ზღვარი წაიშალა ადამიანებსა და ღმერთებს შორის. შევიდნენ სხვა ხალხებისა და რელიგიების ღვთაებებიც, როცა ბუდიზმი მთელს აღმოსავლეთ აზიას მოედო და იაპონიის კუნძულებზეც გადავიდა.

ბუდა იყო სულიერი სრულქმნის სიმბოლო, ადამიანებში – ის, ვინც ამ ზღვარს მიაღწია (XII საუკუნეში კათოლიკურმა ეკლესიამ ბუდა იოსაფატ ინდოელის სახელით წმინდანად გამოაცხადა).

ასევე უამრავი მიმდევარი ჰყავს პოლითეისტურ ინდუიზმს, რომელიც ბრაჰმანიზმისაგან იშვა. ბრაჰმანიზმის ფუძე ვედების რელიგია იყო. შემდეგ ინდუიზმი გაიყო შივაიზმად და ვიშნუიზმად, როგორც ბუდიზმი ჰინაიანად, მეჰაიანად, ვაჯრაიანად;

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ჩინურ დაოსურ პანთეონში თავმოყრილია ათასობით უკვდავი, გმირი, წმინდანი, ქაჯი, სული, მათ შორის – 30.000 ადამიანის სხეულის სული. მათ სათავეში დგას ტრიადა – ლაო-ძი, ხუან-დი და პან-გუ ანუ აქაც არის ცდა უთვალავი ღმერთი დაიყვანონ რამდენიმე ერთეულამდე.

ტრიადა კი მრავალ რელიგიაში არის გავრცელებული.

ვრცელ ტერიტორიაზე, მრავალრიცხოვან მოსახლეობაში ძნელი იყო ინტეგრირება. იქ უხვ ფანტაზიას შეჰქონდა ნაირგვარი წარმოდგენები. მაგრამ მცირე ტერიტორია და მოსახლეობის სინაკლებე იძლეოდა ერთნაირი ხედვის საშუალებას.

ასე მოხდა ხმელთაშუაზღვისპირეთში, სადაც მრავალი ღმერთის ათინათი ერთი დემიურგის შუქზე ქრებოდა. ნისლივით იფანტებოდა მათი სახელები, მათი მაგია – ისინი უბრალო სიტყვები ხდებოდნენ, როგორც ქვა, ხე, წყალი.

მთავარი ღმერთი ერთადერთ ზეციურ ძალად იქცეოდა, რომელიც თავის გარშემო იკრებდა ძველ წარმოდგენებს, სძლევდა ენობრივ და ტომობრივ ბარიერებს და კულტურის დარგებსაც გარდაქმნიდა.

მაგ., ძველი არაბების ალაჰი ზეცისა და წვიმის ღმერთი იყო, სამყაროს შემოქმედი, მთავარი ღვთაება, სანამ ერთადერთ ღმერთად აქცევდა ისლამი.

ბერძნულ რელიგიაში წინა პლანზე აყენებენ მითოსს, ქრისტიანობაში – ლოცვასა და ქადაგებას, რომაულში – რიტუალს, ისევე როგორც ინდიელებში.

მითოსი ქმნიდა ტომთა წარმომავლობის ანუ ერთიანობის ლეგენდას, ამკვიდრებდა წარმოსახვით გენეტიკურ საწყისს. მაგ., როგორც ვთქვით, ბერძენთა ეთნარქია ჰელინოსი, ქართველთა – ქართლოსი, რომაელთა – ენეასი, რომელიც ვერგილიუსის ჩვენებით, ტროის ომის მონაწილე ყოფილა.

ამდენად – მითოსი ნაციონალურ რწმენას აყალიბებდა. რწმენა კი უფრო მტკიცეა და ურყევი, ვიდრე რეალობა, ვიდრე ისტორია.

პოლითეისტურ იერარქიას წესრიგი შეჰქონდა რელიგიურ წარმოდგენებში. მაგრამ იგი დროში იცვლებოდა.

მონოთეისტური კალეიდოსკოპი

აზრის პროგრესი, ცნობიერების განვითარება ერთი ღმერთის გარშემო განალაგებდა მრავალფერ წარმოდგენებს, ხედვა იცვლებოდა ჭვრეტით, არსის ძიებითა და პოვნით.

ამიტომ მონოთეისტურ რელიგიებში (მაგ., იუდაიზმი, ქრისტიანობა, მუსულმანობა, რომლებიც სემიტურ წრეში, ერთ გეოგრაფიულ არეალში, მაგრამ სხვადასხვა დროში იშვნენ) სხვადასხვაგვარია ღმერთმსახურება, ღმერთის მოთხოვნები, აღთქმა უფლისადმი.

ებრაელისათვის წმინდა წიგნია ტანაქი და თალმუდი, ქრისტიანისათვის – ბიბლია (რომლის ძველი აღთქმა ეკუთვნით ებრაელებსაც), მუსულმანისათვის – ყურანი, ზოროასტრელისათვის – ავესტა, ბუდისტისათვის – ტიპიტაკი.

მამა-ღმერთსა და ადამიანს შორის დგას: ებრაელისათვის – მოსე, ქრისტიანისათვის – ქრისტე, მუსულმანისათვის – მუჰამედი, ინდოელისათვის – ბუდა, ზოროასტრელისათვის – ზარატუსტრა.

ებრაელთა რელიგიური ერთიანობის ცენტრია სინაგოგა („ბეტ ხაკნესეტ“), რომელიც ჩნდება ძვ. წ. VI საუკუნეში, ქრისტიანისათვის – ეკლესია, მუსულმანისათვის – მეჩეთი, ბუდისტისათვის – პაგოდა, მრავალიარუსიანი კოშკი, სადაც ლოცულობენ და ქადაგებენ თავიანთ რწმენას. საფუძველია წმინდა წიგნები.

წმინდა წიგნები შეიცავს ძირითად ზნეობრივ და მორალურ ცნებებს, სამართლებრივ ნორმებს, ღმერთმსახურებისა და ცხოვრების წესებს, არქაულ თაობათა გამოცდილებას. მათი კონსერვატიზმი აყალიბებს ტრადიციებს. წმინდა წიგნი კონსტიტუციების პირველი სახეა. მაგრამ კონსტიტუცია იცვლება და იფარგლება ერთი სახელმწიფოთი. იგი რაციონალური აზროვნების წყობაა. ხოლო წმინდა წიგნის ირაციონალური და მისტიკური წარმოდგენები გადადის ზეგრძნობად სამყაროში, ამოუხსნელია და ამდენად იმორჩილებს მორწმუნეს.

ბიზანტიურმა ეკლესიამ შექმნა საეკლესიო სამართლის ნორმები – ნომოკანონი. იგი შეიცავს მოციქულთა, საეკლესიო კრებათა, წმ. მამათა მიერ დადგენილ კანონებს.

მისი ნაწილი „მცირე სჯულისკანონის“ სახელით თარგმნა ექვთიმე ათონელმა (X ს.), მთლიანად კი გადმოიღო „დიდი სჯულის-

კანონის“ სახელით არსენ იყალთოელმა და დაურთო რუის-ურბნისის ძეგლისწერა (XII ს.).

ასკეტიზმი და მისტიციზმი ყველა მონოთეისტური რელიგიის თვისებაა, რაც ნიშნავს ხორციელობის დათრგუნვას და სულის ზეობას ანუ ინსტინქტებზე ინტელექტის გაბატონებას. რწმენის ფაქტორი განსჯას არ ექვემდებარება, ლოგიკურ ახსნას არ ემორჩილება. კონსტიტუცია კი ემყარება ლოგიკურ წარმოდგენებსა და რეალურ ურთიერთობებს.

იუდაიზმში მთავარია ებრაელთა რჩეულობის რწმენა და მესიანიზმი, ქრისტიანობაში – იესოს მკვდრეთით აღდგომისა და მეორედმოსვლის მისტერია.

აქ მსხვერპლშეწირვას ცვლის ლოცვა, სისხლს – სიტყვა, ღრიანცელს – დუმილი, სიშმაგეს – სიწყნარე.

იუდაისტური ნაციონალიზმის საპირისპიროდ ქრისტიანობა ქადაგებს საყოველთაო თანასწორობას, სიკეთესა და სათნოებას.

ქრისტიანობამ ამიტომაც სძლია ენობრივი და სახელმწიფოებრივი საზღვრები და ბიზანტიური კულტურის სახით შექმნა ახალი, ანტიკურის საპირისპირო ხედვა, რომელიც მრავალი საუკუნე ბატონობდა.

დროთა მანძილზე კოსმოპოლიტურ ქრისტიანობას ნაციონალურ სახეს აძლევდა ენა, ანბანი, მწერლობა, ლიტურგია, სახელმწიფო ინტერესები (მაგ., რუსეთში, საქართველოში, სომხეთში).

ენობრივი და სახელმწიფობრივი ბარიერები, მათი კონსერვატიზმი აკავებს რელიგიის ექსპანსიას, რითაც ინიღბებოდნენ ძლიერი სახელმწიფოები და გამართლებას უძებნიდნენ დამპყრობლურ, დამანგრეველ ომებს.

სხვადასხვა ერებში შესაღწევად, განსხვავებით არაბებისგან, ქრისტიანებმა ადრევე დაიწყეს ნაციონალურ ენებზე ბიბლიის თარგმნა – მაგ., IV საუკუნეში კოპტურ და გუთურ ენებზე, 405 წელს იერონიმმა ლათინურად გადაიღო, რომელსაც ვულგატა ეწოდება.

ამავე პერიოდში იწყება ქართულ და სომხურ ენებზე ბიბლიის თარგმნა.

იუდეველებთან და მუსულმანებთან რელიგია გაიგივებული იყო ეროვნებასთან. ამიტომ მუსულმანი ქართველი თურქს არჩევდა ქრისტიან ქართველს; ორი საუკუნის მანძილზე ახალციხის ფაშები ჯაყელები და ხიმშიაშვილები იყვნენ. მაგრამ სწორედ ისინი აწიოკებდნენ ქართლსა და იმერეთს.

თანამედროვე ქართველთა უპირატესი ნაწილი მუსულმანია, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთში, ირანში, აზერბაიჯანში. მაგრამ ისინი არა მხოლოდ სახელმწიფოებრივად, არამედ – კულტურულადაც მოსწყდნენ ისტორიულ სამშობლოს.

ქართული მუსულმანური კულტურა რეალურად არ არსებობს.

ავტორის რწმენა, რელიგიური აღმსარებლობა ირეკლება მის ქმნილებაზე, რაც უნდა დისტანცირებული იყოს მასალის მიმართ.

რელიგია კოლექტიური ცნობიერებაა და არა ინდივიდის თვალსაზრისი და მსოფლხედვა. ეს კოლექტიური ცნობიერება ედება საფუძვლად კულტურ-შემოქმედის აზროვნებას, რომელსაც აძლევს ინდივიდუალურ ფორმას.

ბრიტანელი ანგლიკანელი, ამერიკელი ბაპტისტი, გერმანელი პროტესტანტი, სომეხი გრიგორიანელი, რუსი მართლმადიდებელი, ჩინელი კონფუციანელი, არაბი მუსულმანი, ინდოელი ბუდისტი თავიანთ ნაციონალობას ამკვეთრებენ რელიგიური წარმოდგენებით. მაგრამ იგივე რელიგია აკავშირებს სხვა ერებთან თუ მათაც ასეთივე აღმსარებლობა აქვთ.

მაგ., ქართველი მართლმადიდებელი რუს მართლმადიდებელს მოკავშირედ მიიჩნევდა, მუსულმანს კი მტრად და მოძალადედ აღიქვამდა. მაგრამ კათოლიკესაც უცხოდ თვლიდა. ამიტომ ათრიეს წვერით სულხან-საბა ორბელიანი. ხოლო კათალიკოსი ანტონ I, ყველაზე დიდი ქართველი მღვდელმთავარი, ერეკლე II და თეიმურაზ II უახლოესი ნათესავი, კათოლიკობის ბრალდებით გადააყენეს.

თავისი არეალის გასაფართოებლად რელიგია მახვილსაც მოუხმობდა (მაგ., ჯვაროსნული ომები, ინდიელების განადგურება, აფრიკელების დამონება, მუსულმანთა დაპყრობითი ლაშქრობები და ისლამის ძალადობით გავრცელება).

ადამიანთა კონკრეტული კულტურის კალაპოტში მოქცევას სდევდა სისხლი და მსხვერპლი. მხოლოდ ლოცვა და წიგნი ვერ შესცვლიდა ბნელი, ბარბაროსობისაკენ მიდრეკილი მასების ცნობიერებას.

თავად რელიგიების დამკვიდრებასაც დიდი მსხვერპლი ახლდა: მაგ., ჩინეთის გამაერთიანებელმა ცინ ში-ხუანმა კონფუცის წიგნები დაწვა და ასეულობით კონფუციანელი ცოცხლად ჩამარხა მიწაში; რომის იმპერიაში სდევნიდნენ და ჯვარზე აკრავდნენ ქრისტეს მიმდევრებს.

ალბათ ამიტომაც ქრისტიანობამ თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა წარმართობის მიმართ, თუმცა მისი ძირითადი დოგმატების საწყისები წარმართობასა და იუდაიზმშია (იხ. „ხელოვნების რეგრესი“).

კიდევ უფრო სასტიკი იყო ისლამი, რომლისათვის ყველა ქრისტიანი ურჯულოს ნიშნავდა (შიიტური ჯიხადის ერთ-ერთი პუნქტი).

ქრისტიანული რჯულის მიღების სპეციფიკური ფორმაა ნათლობა, იუდეველისა და მუსულმანისათვის იგივეა წინადაცვეთა, ზოროასტრელისათვის – პერანგის ჩაცმა და ქამრის შემოკვრა.

მუსულმანი იმარხება გარდაცვალების დღესვე – მზის ჩასვლამდე, ქრისტიანი – რამდენიმე დღის შემდეგ; ქრისტიანს კუბოში ასვენებენ, მუსულმანს სუდარაში ახვევდნენ და ისე აბარებდნენ მიწას. ებრაელისათვის წმინდა დღეა შაბათი. ამ დღეს ყველა სახლშია, ცეცხლს არ დაანთებენ, საჭმელს არ დაამზადებენ, საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ. მუსულმანი მლოცველი მიმართული უნდა იყოს ქააბის ტაძრისაკენ, მკაცრად დაიცვას ლოცვის დრო და განრიგი.

ქრისტიანისა და მუსულმანის მარხვის წესებიც განსხვავებულია: მართლმადიდებელს აქვს ოთხი მრავალდღიანი მარხვა, ემატება ოთხშაბათი და პარასკევიც; მუსულმანი რამადანის თვეში 30 დღე მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე არ ჭამს, არ სვამს, არ ეწევა, ქალს არ ეკარება. ღამით კი ყველაფერი ნებადართულია.

სინაგოგა ებრაელისათვის ნოეს კიდობნის ალეგორიაა, რომელმაც წარღვნისაგან გადაარჩინა ადამის მოდგმა.

სინაგოგას, ისევე როგორც ეკლესიას, უნდა შემოეკრიბა მორწმუნეები და კაცთა სული ეხსნა ბიწიერებისაგან.

ყველა რელიგიას აქვს თავისი დღესასწაულები (მაგ., წარმართული მსხვერპლშეწირვა, ებრაული ხანუკა, ქრისტიანული შობა, მუსულმანური ყურბან ბაირამი), თავისი დოგმები და ცხოვრების წესები.

მაგ., მუჰამედმა, არაბებში გავრცელებული მემთვრალეობა რომ აღეკვეთა, ღვინის ნაცვლად დააწესა შარბათის – მარილიანი წყლის დალევა.

რელიგიათა სხვაობას მოჰქონდა ხალხთა დაპირისპირება. მოსეს თორა მოუწოდებდა ებრაელებს, რომ როცა ქალაქს აიღებდნენ – მოესპოთ ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ქრისტიანობა კი მიტევებას ქადაგებს – მარჯვენა ლოყაზე რომ შემოგკრან, მარცხენა მიუშვირეო ანუ ესწრაფვის ბოროტების ძლევას ჰუმანურობით.

ისლამი ასე მოძღვრავს მორწმუნეს – ებრძოლე მას, ვინც გებრძვის და მოჰკალი იგი, მაგრამ იყავი სამართლიანი (ყურანი, 2, 184-187).

მაზდეანების ტაძრებში ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო. ამიტომ ამ რელიგიას უცხოელები, მათ შორის ქართველებიც, ცეცხლთაყვანისმცემლობას ეძახდნენ (იხ. ევსტათი მცხეთელისა და აბიბოს ნეკრესელის წამებათა ტექსტები).

ირანელებიც ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ აჰურამაზდას რწმენას, თუმცა აჰურამაზდა სინათლისა და სიკეთის ღმერთი იყო. რწმენით აწვდილი მახვილი უფრო ბასრად ელავდა.

ჯვარი და ნახევარმთვარე

ღმერთის ნებას იუდაიზმში აცხადებენ წინასწარმეტყველები (მაგ., მოსე, ისაია, იერემია, იეზეკიელი); ქრისტიანი უფლის სახელს იცავს და განადიდებს მსახურებითა და თავშეწირვით, რაც მას წმინდანად აქცევს (მაგ., შუშანიკი ან გრიგოლ ხანძთელი).

ქრისტიანული მოძღვრების საფუძველია იუდაიზმი და ბერძნული ფილოსოფია, განსაკუთრებით – ნეოპლატონიზმი და სტოიციზმი.

I საუკუნეში იუდეველთა ერთ-ერთი სექტა იუწყებოდა, რომ ქვეყანას მოევლინა მხსნელი, ძე ღვთისა, მესია (ბერძნულად – ქრისტე).

სექტის წევრები არამეულად ლაპარაკობდნენ.

შემდეგ, II-III საუკუნეებში ანტიოქიაში ჩნდება პირველი ქრისტიანული ორგანიზაციები – წარმართ ღარიბთა, გლახაკთა, ქვრივთა და მონათა თემები.

ამგვარი თემებიდან გამოდის ეკლესია, რომლის ქონებას განაგებდა ეპისკოპოსი.

თანდათან იქმნება ახალი ჰუმანური მოძღვრება, დოგმატები და საეკლესიო სტრუქტურა, რომლის ცენტრში დგას ჯვარცმული იესო ქრისტე.

ქრისტიანული ორგანიზაცია, დოგმატიკა და ლიტურგია, სახარება და მამათა სწავლება, თეოლოგია და სიმბოლიზმი, ეგზეგეტიკა და ჰომილეტიკა, ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია ახალ ხედვასა და მგრძნობელობას, ცხოვრების ახალ წესს, კულტურის რადიკალურად განსხვავებულ ტიპოლოგიას აყალიბებენ (კ. კეკელიძე).

ქრისტიანობა საყოველთაო თანასწორობასა და სიყვარულს ქადაგებდა, რომელმაც ხორციელობას სულიერება დაუპირისპირა, ძალადობას – მორჩილება, აღვირახსნილ ცხოვრებას – ასკეტური იდეალები.

ხორციელობის ზეიმს ახლდა სისხლისღვრა, გარყვნილება, შფოთი და სიძულვილი, რითაც გამოირჩეოდა რომის იმპერია.

მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მკაცრი იყო მართლმადიდებლობა. იგი სასტიკად ებრძოდა ერესს, რომელმაც ადრევე იჩინა თავი, ებრძოდა განსხვავებულ ხედვას, დოგმატების რევიზიას.

სასჯელს ვერ ასცდნენ გამოჩენილი სასულიერო პირებიც კი (მაგ., კონსტანტინეპოლის პატრიარქები ნესტორი და იოანე ოქროპირი, თეოლოგი მაქსიმე აღმსარებელი, რომელსაც ენა და მარჯვენა მოკვეთეს). პირველი დიდი გათიშვა მოხდა 451 წელს, ქალკედონის მსოფლიო კრებაზე, როცა ერთმანეთს დასცილდნენ დიოფიზიტები და მონოფიზიტები.

ზოგჯერ მწვალებლობა იმდენად ფართო სახეს ღებულობდა, ისე ცვლიდა დოგმატებს, რომ ლამის ახალ რელიგიად ქცეულიყო. მაგ., პავლიკიანობა, რომელიც დააარსა სომეხმა კონსტანტინემ.

პავლიკიანები არ სცნობდნენ მოციქულებს, ღვთისმშობელს, ეკლესიას, წმინდანებს, ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას.

პავლიკიანთა დათრგუნვა მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებით გახდა შესაძლებელი (IX ს.); ნესტორიანობა გავრცელდა აღმოსავლეთში, მაგ., ჩინგის-ხანის შთამომავლებში.

კათარები უარყოფდნენ ოჯახს, ქორწინებას, გამრავლებას, ძარცვავდნენ და წვავდნენ ეკლესიებს.

რუსული ეკლესია 1666 წელს გაიყო. გადააყენეს პატრიარქი ნიკონი, რომელმაც მაქსიმალურად დაუახლოვა რუსული ლიტურგია ბიზანტიურს. ხოლო ძველი, შერყვნილი მღვდელმსახურების მომხრეები (სტაროვერები) ანათემას მისცეს.

რელიგია ემორჩილებოდა და მიჰყვებოდა ხელისუფლებას (ქრისტე – „კეისარს კეისრისა“). იერარქებს სწამდათ მეფეების ღვთიური წარმომავლობა და ამიტომ სჯერდებოდნენ ზეგავლენას, სულიერ მბრძანებლობას – ტახტის მიტაცებას ან ხელისუფლების

დამხობას არ ცდილობდნენ (მაგ., ჩინელი კონფუციანელებისათვის ხელმწიფე „ზეცის შვილია“).

ბიზანტიაში ამგვარ თანხმობას „სიმფონია“ ერქვა.

ქართული ეკლესია ყოველთვის მეფისა და ხალხის გვერდით იდგა, როცა წყდებოდა სამშობლოს ბედი.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიაც ასევე იყო სამეფო დინასტიის იდეოლოგი.

ქრისტიანული კულტურის განვითარებას კვალი დაატყო კათოლიკურ-ორთადოქსალური ეკლესიის განყოფამ:

1054 წელს საბოლოოდ ცალ-ცალკე წავიდნენ რომის კათოლიკური და კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიები.

განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ 800 წელს პაპმა რომაელი კეისრების მემკვიდრედ სცნო ფრანკთა მეფეები, ნაცვლად ბიზანტიელი იმპერატორებისა, თუმცა დავა ადრევე ჰქონდათ დაწყებული.

კათოლიკურ სამყაროში ხან რომის პაპი იყო წარმმართველი ძალა, რომელსაც მიჰყვებოდნენ მონარქები (შდრ – პაპი ურბან მეორე და ჯვაროსნული ლაშქრობები; გრიგოლ VII-მ აიძულა გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ IV, ფეხშიშველა ხლებოდა კანოსაში), ხანაც მონარქები თავიანთი მიზნებისათვის იყენებდნენ პაპის სახელს (მაგ., კარლოს დიდი, ნაპოლეონ პირველი; შდრ – ე. წ. ავინიონის ტყვეობა – XIV ს.).

მართლმადიდებლობისა და კათოლიკობის წიაღშიც ჩნდებოდა და ახალი მიმდინარეობანი (მაგ., ლუთერის პროტესტანტობა), რომელსაც ღებულობდა ზოგი სახელმწიფო (მაგ., გერმანია). ზოგან სისხლისღვრას იწვევდა (მაგ., ბართლომეს ღამე საფრანგეთში – ჰუგენოტების ჟლეტა). ეს კი განსხვავებულ ელფერს სძენდა კულტურას.

ლუთერი არ დაემორჩილა ინკვიზიციას, საჯაროდ დაწვა პაპის ბულა მისი ეკლესიიდან განკვეთის შესახებ, შეცვალა კათოლიციზმის დოგმები და მხარი დაუჭირა იან ჰუსს.

რწმენის დასაცავად, ერესისა და გადაცდომის აღსაკვეთად ეკლესია მრავალგვარ სასჯელს მიმართავდა (ეპიტიმია, ექსორია, ანათემა...).

XIII საუკუნიდან კათოლიკეებიც იძულებული გახდნენ აქტიურად ეფიქრათ რწმენის სიწმინდეზე.

ამ მიზნით შემოიღეს საეკლესიო სასამართლო – ინკვიზიცია:

რომის პაპის თანხმობით მწვალებელთა გამოსავლენად და დასასჯელად ჯერ დაარსდა დომინიკანელ, ფრანცისკელ, ავგუსტინელ მათხოვარ ბერთა ორდენები. შემდეგ, 1534 წელს, იგნატიუს ლიოლამ ჩამოაყალიბა უშიშროების სისტემის მსგავსი იეზუიტების („იესოს საზოგადოება“) დისციპლინირებული ორდენი.

თითქოს აღდგა წარმართული მსხვერპლშეწირვა:

ესპანეთში დიდი ინკვიზიტორის ტორკვემადას მოღვაწეობის დროს ცოცხლად დაწვეს 10.000-ზე მეტი კაცი, გაასახლეს მილიონზე მეტი, ძალათი გააქრისტიანეს ებრაელები და არაბები; საფრანგეთში გაანადგურეს ტამპლიერების ორდენი; ცეცხლში დაწვეს არაერთი გამოჩენილი მოღვაწე (მაგ., იან ჰუსი, ჯორდანო ბრუნო, სავონაროლა).

ყველა რელიგია გამოდის ერთიანობის მოწოდებით და ამას აღწევდა კიდეც, ოღონდ ლოკალურ დრო-სივრცეში.

ამჟამად 15 მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს ავტოკეფალია.

ქართული ეკლესია დამოუკიდებელია V საუკუნიდან, ვახტანგ გორგასლის დროიდან. ხოლო მირონის კურთხევის ნება მიეცა IX საუკუნიდან. ქართული ეკლესიის მეთაური „პატრიარქის“ წოდებას ატარებს XI საუკუნის დასაწყისიდან.

მართლმადიდებლობა უფრო ასკეტურია, ვიდრე კათოლიკობა, რომელიც ისევე როგორც ანგლიკანობა ან პროტესტანტობა, მაქსიმალურად დაუახლოვდა საერო ცხოვრების წესსა და ინტერესებს.

განსხვავება იოლი შესამჩნევია: კათოლიკურ ეკლესიაში ჟღერს ორღანი, დგას გრძელი სკამები. აბატი წვერს იპარსავს, არ ატარებს

შავ ანაფორას, სხვაგვარად გამოსახავს ჯვარს, სხვაგვარად იწერს პირჯვარს.

საიქიოში კი სამოთხესა და ჯოჯოხეთთან ერთად სალხინებელიც ეგულება; მუსულმანი ფეხშიშველა შედის მეჩეთში, დაჩოქილი ლოცულობს და მიწამდე ხრის თავს.

ცივილიზაციამ და კულტურამ მინიმუმამდე დაიყვანა რელიგიური განსხვავებების მნიშვნელობა. ტოლერანტობამ აქაც შეაღწია. ამიტომ ევროპასა და ამერიკაში ჩამოყალიბდა სინკრეტული კულტურა, რომელმაც არა რომელიმე დოქტრინა, არამედ – ქრისტეს სახელი აქცია სიკეთისა და ადამიანთა ერთობის სიმბოლოდ.

მუსულმანისათვის ყურანთან ერთად წმინდა წიგნია სუნა, რომელიც შედგება ხადისებისაგან – მუჰამედის გამონათქვამებისა და ცხოვრების ეპიზოდებისაგან.

წმინდა ადგილია მექა, რომლის ცენტრში დგას ტაძარი ქააბა. მისი ერთი კუთხე ამოშენებულია ალაჰის მიერ ზეციდან გამოგზავნილი შავი ქვით. იგი ყოფილა თეთრი იაგუნდი, მაგრამ კაცთა ცოდვების გამო გაშავებულა.

ადამიანთა ურთიერთობას არეგულირებს შარიათი, რაც არის სამართლის კანონები რელიგიურ საფუძველზე.

ყურანისა და სუნის განმარტებას ჰქვია ფიქხი, ხოლო რაც მათში არ არის ფიქსირებული, მას არეგულირებს იჯმა.

მუსულმანი ემორჩილება 5 ძირითად დოგმას:

1. არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა, და მუჰამედი არის მისი წინასწარმეტყველი;
2. ილოცოს დღეში ხუთჯერ (ნამაზი);
3. შეძლებისამებრ დაეხმაროს გაჭირვებულს;
4. შეინახოს მარხვა რამადანის თვეში მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე;
5. მოილოცოს მექაში (ჰაჯი), რათა მიუახლოვდეს ალაჰს.

მეექვსე ბურჯად შიიტები მიიჩნევენ ჯიხადს (ჰაზავათს), ბრძოლას ცოდვებისა და ურჯულოების წინააღმდეგ.

ბოროტება უნდა მოისპოს, შებრალება დაუშვებელია, – ქადაგებს ისლამი.

ქრისტიანულ სათნოებას, მიტევებას, მორჩილებას დაუპირისპირდა მებრძოლი რწმენა. თვით სიტყვა მუსულმანი კი მშვიდობისმყოფელს ნიშნავს.

ისლამს ჯვარის სიმბოლიკის წილ მოჰქონდა ყურანის სურებზე დაფუძნებული კულტურა, ნახევარმთვარე, ჩალმა, ჩადრი და ფესი, ფლავი და შარბათი, მრავალცოლიანობის ინსტიტუტი, ორნამენტული არქიტექტურა, მუეძინის ყივილი...

მუსულმანობასაც ღრღნიდა ერესი, რაც XX საუკუნეშიც გაგრძელდა. მაგრამ ძირითად მიმდინარეობებად ისევ რჩება სუნიტიზმი (მაგ., თურქეთში) და შიიტიზმი (მაგ., ირანში).

ისლამი არაბეთში წარმოიშვა და არაბთა ლიდერი იყო ხალიფა, რომელიც აერთიანებდა სასულიერო და საერო ხელისუფლებას.

მათ იგი მახვილით გაავრცელეს და დაამკვიდრეს აზიასა და აფრიკაში. ისლამი შეურიგებელი იყო ქრისტიანობისადმი, თუმცა მის ცალკეულ წარმოდგენებსა და წინასწარმეტყველებს სცნობდა. ქრისტიანობაც იბრძოდა მუსულმანების წინააღმდეგ (მაგ., ჯვაროსნული ლაშქრობები XI-XIII საუკუნეებში, რათა გაეთავისუფლებინათ იერუსალიმი და მცირე აზია), რათა შეეჩერებინათ მათი ექსპანსია და დაებრუნებინათ ისინი აზიაში (მაგ., რუსეთის ომები თურქეთთან და სპარსეთთან XVIII-XX საუკუნეებში, რამაც თავისუფლება მოუტანა მრავალ ერს). ფანატიკოსი მორწმუნე თავისთავში აერთიანებდა გმირსა და წმინდანს. ამიტომ იგი შეუდრეკელი და მამაცი მეომარი იყო.

ცხადია, ყველა რელიგიას ვერ შევეხებით. მაგრამ მათაც ასეთივე პრინციპი ამოქმედებთ – კულტურა ამოდის რელიგიიდან და არ უპირისპირდება დოგმატებს, თუ იზოლირებულია – მეტად იცავს, თუ ევრო-ამერიკასთან მჭიდრო კონტაქტი აქვს – ნელ-ნელა სცილდება.

ამასთან ერთად სპეციფიკური ნიშნებით აღბეჭდავს კულტურის ფორმებს, აძლევს განსხვავებულ ტიპოლოგიურ სახეს, რადიკალურად ცვლის როგორც ელიტის, ისე მასების ხედვას.

ყველა რელიგიას აერთიანებს ჰუმანურობის ნიშანი – ეს არის უსამართლობის, ურწმუნობის, ბოროტების, გარყვნილების, მკვლელობის, ქურდობის აკრძალვა (შდრ-მოსეს ათი მცნება).

მათი დაცვა რწმენად არის ქცეული და ამდენად ცნობიერებაში შეუცვლელადაა აღბეჭდილი. მაგრამ, ამასთანავე, ყველა რელიგია მიიჩნევს, რომ მხოლოდ თვითონაა ჭეშმარიტი, დანარჩენი – ყალბი. ეს კი გზას უხსნიდა ძალადობას და სიტყვა ეძლეოდა მახვილს.

ყველა რელიგიას მოაქვს თავისი ონომასტიკა, ნაწილობრივ – ტოპონიმიკაც. ასევე იქცეოდნენ კომუნისტებიც.

მიუხედავად რელიგიური სულის ბატონობისა, წარმართული და ბარბაროსული ჩვევების აღკვეთასა და კულტურიზებას საუკუნეები დასჭირდა სასულიერო იერარქთა და დიდებულთა წრეშიც კი.

საუკუნეთა უსიერ ტევრში მხოლოდ ის კულტურა გააგრძელებს არსებობას, რომელსაც ძალა უმაგრებს ზურგს, თუ არ ჩაიკეტება თავის ნაციონალურ და რელიგიურ სფეროებში.

ცივილიზაცია აძლიერებს პრაგმატიზმს და ასუსტებს რწმენას.

3. სახელმწიფო და იდეოლოგია

პოლიტიკურ-მატერიალური ბაზისი

ერი არ უდრის სახელმწიფოს, რადგან იგი მოიცავს მრავალ ეთნიკურ ჯგუფს. მაგრამ ერთია დომინანტი, რომლის სახელი ეძლევა ქვეყანას, რომელიც ავითარებს თავის კულტურას.

ძველ დროში სახელმწიფო კულტურას რელიგიის საშუალებით მართავდა, სახელმწიფოს იდეოლოგიას რელიგია განსაზღვრავდა.

სუსტი სახელმწიფო ღებულობს ან ემორჩილება ძლიერი სახელმწიფოს კულტურას, რომელსაც ძალმომრეობით ან ბუნებრივი ძალმოსილებით ავრცელებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსაზღვრეა.

ძლიერმა ქვეყანამაც შეიძლება აითვისოს ცალკეული ფორმები, ცალკეული ელემენტები, რომელთაც თავისად აქცევს, ანდა სულაც მიითვისოს.

აქ გადამწყვეტია პოლიტიკური და მატერიალური ბაზისი.

დამარცხებულ სახელმწიფოში სუსტია პოლიტიკური სტრუქტურა ან სულაც არ გააჩნია იგი – მთლიანად დამოკიდებულია უცხო, დამპყრობელ ძალაზე. ამიტომ მას უჭირს საკუთარი მეცნიერების, ხელოვნების, განათლების განვითარება, რომც შეძლოს, ანგარიში უნდა გაუწიოს მას, რომლის ნაწილი ან სატელიტია (მაგ., საქართველო საბჭოთა კავშირში).

არც სათანადო მატერიალური ბაზისი გააჩნია, რომ უახლესი მიღწევები აითვისოს და წინ წასწიოს ტექნიკური, მეცნიერული და მხატვრული აზრი. იგი უფრო ცალკეული ინდივიდების იმედად არის, რომლებიც თავგანწირვის ფასად ემსახურებიან კულტურას ისე, რომ არც დაფასებას, არც აღიარებას არ მოელიან (მაგ., ქართველი მოღვაწეები XIX საუკუნეში).

რაც დრო გადის, კულტურას მით უფრო სჭირდება მატერიალური ბაზისი, ტექნიკური საშუალება, მასობრივი პროპაგანდა, მით უფრო მცირდება ინდივიდუალური აქტივობის როლი და მნიშვნელობა.

სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობით, ეროვნული შეგნებით, რელიგიით (ან იდეოლოგიით), ენით აკავებს, ცხრილავს და ფილტრავს უცხო კულტურას, რათა თავისათვის მისაღებად აქციოს. შესაბამისად იგი ცდილობს დაიცვას საკუთარი ინდივიდუალობა, თუნდაც სუსტი, არ მოჰყვეს სხვა ტიპოლოგიის სივრცეში. მაგრამ

მსგავსი პოლიტიკური პროცესები, კულტურულ-ეკონომიკური კავშირები თავისთავად, ძალდატანების გარეშეც სძლევენ საზღვრებს და იჭრებიან ადამიანთა ცნობიერებაში, როგორც ატმოსფერული მოვლენები.

ასე გავრცელდა რომანტიზმი, მოდერნიზმი, ავანგარდიზმი, მათი ცალკეული სახეები და ფორმები, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ სოციოლოგიური იდეები სხვადასხვა ერების კულტურაში. მაგრამ ყველგან ნაციონალური ელფერით შეიმოსა და ასე მიაღწია სხვა ნიადაგზე წარმატებას.

სახელმწიფო იცავს თავის კულტურას და აკავებს უცხო ძალთა შემოტევას. იგი თავისი სტრუქტურებით, მატერიალური ბაზისის შექმნით ხელს უწყობს საკუთარი სულიერების განვითარებასა და განმტკიცებას, აყალიბებს და კოორდინირებას უწევს კულტურის ქსელს.

კულტურა პოლიტიკის ნაწილი ხდება, როცა ერთი სახელმწიფო უპირისპირდება მეორეს.

ძველ დროში სახელმწიფოს მონარქი განასახიერებდა (გავიხსენოთ რომის იმპერატორი კონსტანცი – „ჩემი ნება – აი, კანონი“, ფრანგი ლუდოვიკო XIV – „სახელმწიფო – ეს მე ვარ“).

მონარქი კი ღმერთის შვილი, ნაცვალი ან ჩამომავალი იყო, რომლის ნებით და ძალით მართავდა იგი ქვეყანას.

ამიტომ უმაღლესი ხელისუფალის ხელყოფა უდიდესი დანაშაული იყო.

მონარქია ერთპიროვნულ მართვას ნიშნავს – ბრძანებებითა და განკარგულებებით.

ეს მაშინ შესაძლებელი იყო, რადგან სახელმწიფო სტრუქტურა არ იყო დიფერენცირებული, არც სხვადასხვა დარგები არსებობდა. საერთაშორისო კავშირებიც სუსტი იყო. შემდეგ, როცა გართულდა კულტურისა და ცივილიზაციის ფორმები, საჭირო გახდა ხელისუფლების რამდენიმე შტოდ განყოფა (მთავრობა, კანონმდებლობა, მართლმსაჯულება) და კოლექტიური აზრის ჩამოყალიბება (პარლა-

მენტი), რომელთა მონაცემებს მიმართულებას აძლევს და პრიორიტეტებს ანიჭებს მმართველი (პრეზიდენტი).

მონარქები იცვლებოდნენ, რელიგია თაობათა თვალსაწიერის მანძილზე უცვლელი რჩებოდა. ამიტომ იგი ასეთივე მდგრად კულტურას აყალიბებდა. რელიგია კონსერვატიული მოძღვრებაა და არ სცნობს მეტამორფოზებს, შესაბამისად – კულტურაც კონსერვატიულია.

ახალ დროში რელიგიის ადგილს იკავებს იდეოლოგია, რომელიც რწმენას უარყოფს ან ნაკლებ ანგარიშს უწევს, ამკვიდრებს თავის პრაგმატულ სამართალს.

ასეთი ნაციონალისტური იდეოლოგია იყო ჩინელებისათვის კონფუციანელობა.

იდეოლოგია სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად იქმნებოდა. იგი სამოქმედო, პრაგმატულ-პრაქტიცისტული კონცეფციაა, რომელშიც მთავარი ადგილი უკავია ძალაუფლების ხელში აღებას და ამ გზით ქვეყნის გარდაქმნას. შესაბამისად – მერყევია და ცვალებადი. თუ მდგრადობა შეინარჩუნა – ცხოვრებას ჩამორჩება, თუ განვითარდა – გადაგვარდება.

ამ თვალსაზრისით, კულტურასთან მიმართებით გვინდა გამოვყოთ მარქსიზმი და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი.

ორივენი ამოდიოდნენ ტრადიციების ცალმხრივი, ტენდენციური გაგებიდან.

ჯერ ლენინმა და ტროცკიმ, შემდეგ სტალინმა და მაო ძე დუნმა მოახდინეს სოციალიზმის იდეალების ვულგარიზება და დოგმატიზება, ძალადობრივი დანერგვა, რასაც მოჰყვა არნახული სისხლი და მსხვერპლი. სხვამხრივ უტოპიას რეალობად ვერ აქცევდნენ.

სოციალიზმი, რომელიც ისევე საოცნებო იყო ხალხებისათვის, როგორც სამოთხე მორწმუნისათვის, მათ ჯოჯოხეთად აქციეს და კაცობრიობას შეაძულეს. კულტურას კი პოლიციური კოლექტივიზმის დიდება და ხოტბა დააკისრეს.

„განთავისუფლებული კლასების“ კულტურა

ლენინმა ლიტერატურა პარტიული საქმის ნაწილად გამოაცხადა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძალაუფლებისაგან შორს იდგა (1905).

შემდეგ ეს დოქტრინა ძალადობრივად გავრცელდა მთელს კულტურაზე, რომელსაც საფუძვლად დაედო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ხელოვნებას – სოციალისტური რეალიზმი.

მიზანი იყო კომუნიზმის აშენება ანუ უძველესი ჯოგური ერთიანობის აღდგენა ახალ რეალობაში.

კულტურული რევოლუციის პირველი ნაბიჯი იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიის, ხოლო ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფა.

იდეოლოგია იჭრებოდა ყოველ სფეროში და ქმნიდა არქაული რიტუალის მსგავს კოლექტიურ, გაქვავებულ სტრუქტურას, რომელშიც ყველა შემსრულებელი, ყველა მონაწილე უნდა ჩართულიყო.

კულტურშემოქმედს სახელმწიფოსათვის და სახელმწიფო ინტერესებით უნდა ეცხოვრა. თავისუფალი ოცნებისათვის დრო და ადგილი თითქმის აღარ დარჩა.

ვინც უფრო მარჯვედ გაშლიდა მარქსისტულ-ლენინურ დოგმებს – მეტად ფასდებოდა. მაგრამ სსრკ-ში ფარულად მოქმედებდა კიდევ ერთი, გადამწყვეტი ფაქტორი – ერთგულება რუსეთისადმი, რომელიც თავის გარშემო ჰკრავდა 14 რესპუბლიკას და სატელიტ სოციალისტურ სახელმწიფოებს.

ფორმალურად კი ითვლებოდა, რომ ყველა ერი თანასწორია და მთავარია ინტერნაციონალური პრინციპები.

ამ ფაქტმა დადებითად იმოქმედა ნაციონალურ კულტურებზე და, მიუხედავად რეპრესიებისა, დიდ წარმატებას მიაღწიეს.

კულტურა ჯანსაღი უნდა ყოფილიყო, ხალხისათვის გასაგები, შრომისა და გმირობის მეხოტბე, პარტიულ-კომუნისტური იდეების ილუსტრატორი და პროპაგანდისტი.

ამიტომ იყო აუცილებელი წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობის აღმოფხვრა, განათლების პროპაგანდა. ასე გაეხსნა გზა ფართო მასებს კულტურისაკენ („სწავლა, სწავლა და სწავლა", – ამბობდა ლენინი).

კულტურშემოქმედი ჯარისკაცს უნდა ჰგვანებოდა და ეცხოვრა პოლიციურ სახელმწიფოში, მუდმივ კონტროლქვეშ და დასჯის მოლოდინში; უნდა განედიდებინა ახალი ღმერთები – მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, მაო ძე დუნი, კიმ ირ სენი. შემდეგ პოსტზე დაცემული ბელადის ცხედარს, როგორც ფარაონის მუმიას, ისე ინახავდნენ მავზოლეუმში.

მასობრივი, პოპულარული, გმირული და ნათელი უნდა ყოფილიყო კომუნიზმის მშენებელი თავისუფალი ერების კულტურა.

მთავარი იყო კომუნისტის იდეალიზებული სახე.

ცალკეული კორექტივები, ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეჰქონდათ რესპუბლიკებსა და სახელმწიფოებს. მაგრამ არსი არ იცვლებოდა, ისევე როგორც ქრისტიანობამ ყველა ქვეყანაში მიიღო ეროვნული შეფერილობა, შეიერთა ადგილობრივი ადათწესები და დაემორჩილა ხელისუფლებას.

ყველა ქვეყანას უნდა მოეძებნა ამ მოდელის შესატყვისი გმირი და ანტიგმირი, ერთგული და მოღალატე, რათა დაეცვათ იდეური სიწმინდე.

სოციალისტური კულტურა უარყოფდა რელიგიასა და მისტიკას, არისტოკრატიასა და სამღვდელოებას, ინდივიდუალიზმსა და პესიმიზმს, უარყოფდა და ებრძოდა მუშათა კლასის სახელით.

იდეოლოგია კოლექტივიზმს ქადაგებდა, რომლის სათავეში იდგა, რომელსაც წარმართავდა უმაღლესი ერთი – ბელადი, თავისი იდეებითა და ბრძანებებით. იგი იყო ხალხთა მხსნელი, მამა და მასწავლებელი, წითელი დროშით, რომელზეც ნამგალი და ურო ეხატა.

ფორმალურად მთავარი იყო მშრომელთა მასა, რეალურად კი – პიროვნება, ლიდერი, ბელადი, რომლის კულტს პარტიის მოთხოვნით ამკვიდრებდა კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება.

ამავე დროს კომუნისტები დიდად ზრუნავდნენ კულტურის განვითარებაზე, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, კინოსა და თეატრზე, არქიტექტურასა და სკულპტურაზე, მათ წარმომადგენლებზე, წარსულის შესწავლაზე, ოღონდ ერთი პირობით – ყოფილიყვნენ მორჩილი საბჭოთა ხელისუფლებისა და დაეცვათ მარქსისტულ-ლენინური დოგმები, პარტიული პრინციპები, ბელადების კულტი.

განდგომა ურჩობას ნიშნავდა, ურჩი სასტიკად ისჯებოდა, თუნდაც ხელისუფლების მესაძირკვლე ყოფილიყო (მაგ., ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი), რასაც მოჰყვა არნახული რეპრესიები.

მასები იმართებოდნენ ლოზუნგებითა და ბრძანებებით ეჭვისა და შიშის საფუძველზე, რათა გადაეკეთებინათ მოქალაქეთა ფსიქიკა და ცნობიერება. აღზრდა იწყებოდა საბავშვო ბაღიდან, გრძელდებოდა მთელი სიცოცხლე.

ქვეყანას მართავდა არა პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, არამედ – გენერალური მდივანი, ცეკა, ჩეკა, არა კონსტიტუცია და კანონები, არამედ – გენერალური მდივნის განკარგულებები და პარტიული გადაწყვეტილებები.

ქრისტესათვის წამებულები შეცვალა რევოლუციისათვის, სტალინისათვის წამებულებმა. დაწესდა ბოლშევიკური დღესასწაულები. ბოლშევიკების სახელი დაერქვა ქალაქებს, ქუჩებს. მათი სახელი მიენიჭა უნივერსიტეტებს, დაწესებულებებს, კოლექტივებს, ფაბრიკა-ქარხნებს. მათი სურათებით, ძეგლებით დაიფარა ქვეყანა. მათ განადიდებდნენ პოეტები და მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები, რეჟისორები და აქტიორები.

ასე უნდა მიეღოთ საბჭოთა ადამიანი – ახალი რასობრივი სახე, ხოლო ერების ინტეგრაციით – საბჭოთა ხალხი, რომელსაც ექნებოდა ერთი ენა – რუსული.

ამ მიზნისათვის მოქმედებდნენ სკოლები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, შემოქმედებითი კავშირები, პარტიული და სახელმწიფო იერარქია, ლიტერატურა და ხელოვნება, პრესა, რადიო, ტელევიზია.

ისინი იკავებდნენ რელიგიური ცენტრების ადგილს.

მეტ-ნაკლები კორექტივებით საბჭოთა კულტურის მოდელი გადავიდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში (გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, მონღოლეთი, ჩრდილოეთი კორეა, ჩრდილო ვიეტნამი). მაგრამ უკიდურესი სახე მიიღო ჩინეთში „კულტურული რევოლუციის“ სახით, სადაც როგორც ადრე სსრკ-ში კომკავშირლები და პროლეტკულტელები, ხუნვეიბინები და ძაოფანები ანგრევდნენ ნაციონალურ ჩინურ კულტურას.

სვასტიკა და „სისხლის მითოსი“

თითქოს რადიკალურად იყო განსხვავებული გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, რომელიც აცხადებდა ერთი ერის დიქტატურას. მაგრამ სიღრმისეულ შრეში ბოლშევიკები და ფაშისტები ერთმანეთს ჰგავდნენ. ორივენი კოლექტივიზმსა და სოციალიზმს ქადაგებდნენ.

სიტყვა „ფაშიზმი“ მოდის ლათინური სიტყვიდან – „tascis“, რაც ნიშნავდა თელის თუ არყის ხის წკეპლებში გახვეულ პატარა ნაჯახს.

ეს იყო რომში ძალაუფლების სიმბოლო.

იგი აერთებდა სამხედრო და სასამართლო ხელისუფლებას, რაც დასჯით გამოიხატებოდა.

იტალიური ფაშიზმის სათავეში იდგა ყოფილი სოციალისტი ბენიტო მუსოლინი – დუჩე, იგივე ბელადი.

ფიურერი ადოლფ ჰიტლერიც უმაღლესი ერთი იყო, რომელიც მილიონების მწკრივის წინ ეწერა. ისიც ჯანმრთელ და პეროიკულ

კულტურას მოითხოვდა, გერმანული სახელმწიფოსათვის თავის გაწირვას.

ბოლშევიკებისათვის ამოსავალი იყო მუშათა კლასი, ფაშისტებისათვისაც – მუშათა კლასი, ოღონდ გერმანული.

სამართლებრივი ნორმები დაემორჩილა გერმანელი ერის ბრძოლასა და ბედისწერას, ისევე როგორც ეკონომიკური ბაზისი.

ნაციონალ-სოციალისტური კულტურის იდეალი იყო პირველყოფილი გერმანელი ტყის კაცი. გერმანულ-რასობრივ ხასიათად მიაჩნდათ ბარბაროსობა, რაც ქმნიდა სიკვდილისა და წამებულის მითოსს, ოდინისა და ვალჰალას კულტს.

არსი კი იყო სისხლის ერთიანობა და ბედისწერა ანუ მისტიკა.

პოლიტიკოსების მსგავსად კულტურის მუშაკები ქადაგებდნენ გერმანელთა განსაკუთრებულ მისიას (რომის იმპერიის დამხობა, ქრისტიანული რეფორმაცია...), საარსებო სივრცით უზრუნველყოფას, ქერა და ცისფერთვალა რასის აღზევებას (ალფრედ როზენბერგი), ანტისემიტიზმს, ღირსების, ჯარისკაცისა და სისხლის კულტს.

ჰიტლერი გერმანული ტომების ღმერთი ოდინი იყო, „ჩემი ბრძოლა“ – ახალი ბიბლია (როგორც მარქსის „კაპიტალი“ კომუნისტებისათვის), ომი – მსხვერპლშეწირვა, ცეპელინი – იკაროსი, ტანკი – ვეფხვი, ესესელი – ზეკაცი...

ნაციონალ-სოციალიზმი ამოდიოდა გერმანული მითებიდან და ლეგენდებიდან, ფილოსოფიიდან, ძველგერმანელთა და ტევტონების ომებიდან, ძალაუფლებისა და ძლიერი პიროვნების კულტიდან, აღმოსავლური მისტიციზმიდან, რაც აყალიბებდა პანგერმანიზმს.

სიმბოლო იყო წითელი წრის თეთრ სფეროში ჩახატული შავი სვასტიკა – პალეოლითური მზის ბორჯღალი.

„ნამდვილი მეომარი უდრის წმინდანს“, „ერი მხოლოდ ომში ავლენს თავის შესაძლებლობას“, „ისტორია მახვილით იქმნება“, – გაიძახოდა ჰიტლერი და იმეორებდნენ კულტურის მუშაკები, რომლებმაც უცხოეთში გაქცევას შინ დარჩენა არჩიეს.

„იმპერიის მწერალთა პალატა“ 1941 წლისათვის აერთიანებდა 35 ათას წევრს. იგი შედიოდა „იმპერიის კულტურის პალატაში“, რომლის თავმჯდომარე იყო პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსი. პარტიის ხაზით კი აკონტროლებდა „XX საუკუნის მითის“ ავტორი, დაპყრობილი ტერიტორიების მინისტრი ალფრედ როზენბერგი.

საერთო მიმართულების მიმცემი იყო „ჩემი ბრძოლა“ და პარტიული გადაწყვეტილებანი.

1933 წლის 10 მაისს ნაციონალ-სოციალისტებმა აუტოდაფე მოაწყვეს, ცეცხლში დაწვეს ებრაელებისა და მათთვის მიუღებელი გამოჩენილი მეცნიერებისა და მწერლების წიგნები, მხატვრების სურათები; ზოგი დაიჭირეს და სული ამოხადეს; ბევრი უცხოეთში გაიქცა, ზოგი შინ დარჩა და ვითარებას შეეგუა ან შინა ემიგრანტად იქცა.

ჰიტლერმა თავისი პოზიცია გადმოსცა სიტყვაში – „გერმანული ხელოვნება, როგორც გერმანელი ხალხის ყველაზე ამაყი დამცველი“ (1933, დეკემბერი), უარყო მოდერნიზმი და ავანგარდიზმი და მოითხოვა კულტურა დაბრუნებოდა უძველეს, ჯანსაღ ძირებს – მითოსს.

შესაბამისად – რომანებში, ჰიმნოგრაფიულ ლექსებში, კინემატოგრაფში, თინგ-თეატრებში გაბატონდა გმირული სული, ომისა და სისხლის კულტი, მსხვერპლშეწირვა და თავგანწირვა.

პიროვნება ქრებოდა მოზეიმე მასაში, რადგან პიროვნება არაფერია, ხალხი – ყველაფერი (მ. კვესელავა, ას ერგასის დღე, III, თბ., 1974).

ფორმალურად ასე იყო მიღებული სსრკ-შიც, თუმცა ორივე ქვეყანაში სწორედ პარტიული ლიდერების კულტი იყო გაბატონებული. ორივეგან მოქმედებდა ტრიადა: მასა, მითოსი, ბელადი.

ასე რომ, როგორც გერმანიაში, ისე საბჭოთა კავშირში კულტურა გახდა აგრესიული, ამბიციური პოლიტიკის ნაწილი. მას მიეცა უტილიტარული, გამოყენებითი ფუნქცია.

საბჭოთა კავშირში – კაცობრიობას, გერმანიაში – გერმანელ ერს არნახულ, სხივმოსილ, ბედნიერ მომავალს ჰპირდებოდნენ პოლიტიკოსები და იდეოლოგები.

ვინც ამ იდეების კარგი ილუსტრატორი იყო – განადიდებდნენ, ვინც ეწინააღმდეგებოდა – სჯიდნენ.

სტალინი ეჭვმიტანილებს ხვრეტდა ან ციმბირში მიერეკებოდა, ჰიტლერი ურჩებს ქვეყნიდან სდევნიდა ან ციხეში სვამდა.

ასე რომ – ჰიტლერის პოლიტიკა შედარებით ლოიალური აღმოჩნდა კულტურის სფეროში.

ორივე ქვეყანაში იდეოლოგიური წნეხი და სახელმწიფოებრივი ტერორი იწვევდა კულტურის დეფორმაციას, თავისუფლების აღკვეთას. შემოქმედის ინდივიდუალობას იმორჩილებდა კოლექტივიზმის უღელი.

მაგრამ ეს იმდენად დროებითი მოვლენა იყო, რომ ვერ მოასწრო ტრადიციებთან შეზრდა და რეჟიმთან ერთად შეწყვიტა არსებობა, თუმცა დარჩა როგორც ისტორიის ერთი სპირალის სისხლიანი რგოლი.

* * *

ზოგჯერ სახელმწიფო თითქოს გულგრილია და განურჩეველი თავისი კულტურის მიმართ (მაგ., აშშ). მაგრამ ქვეყნის სიმტკიცე, ეკონომიკურ-პოლიტიკური ბაზისი, დემოკრატიული პრინციპები, საერთაშორისო კონტაქტები კულტურას აძლევს მკვიდრ ნიადაგს, რათა თავისუფალმა აზრმა, თავისუფალმა კონკურენციამ განსაზღვროს მისი სახე, რომელსაც ერთობლივად ქმნის მრავალი დარგი და მრავალი მოღვაწე.

ასეთი ფაქტორებით ყალიბდებოდა კულტურის ტიპოლოგიური მოდელი.

ახლა გავეცნოთ კულტურის ისტორიული ტიპების კლასიფიკაციას.

4. კულტურის ისტორიული ტიპები

ისტორია და ტიპოლოგია

ა. ფერგიუსონმა (XVIII ს.) კაცობრიობის ისტორია დაჰყო სამ უმთავრეს პერიოდად – ველურობა, ბარბაროსობა, ცივილიზაცია.

ამ იდეას კონცეფციად აქცევენ ევოლუციონისტები (მაგ., ბახოფენი, ლებოკი, ტაილორი, მორგანი, სპენსერი, ფრეზერი). მათი აზრით, ცივილიზაცია იწყება ქალაქებისა და სახელმწიფოების წარმოქმნით, მონოგამიის დამკვიდრებით, კაცთშეწირვის რეგლამენტირება-გაუქმებით, ანბანის გამოგონებით.

ძველ საბერძნეთში, რომელიც ევროპის კულტურის ფუძე გახდა, ეს ჟამი დადგა IX საუკუნიდან.

ამ კონცეფციას ბევრი სპეციალისტი უარყოფს (მაგ., ბოასი).

ევოლუციონისტები ემხრობოდნენ ჩ. დარვინის სახეობათა წარმოშობის თეორიას.

ლესლი უაიტმა (1900-1975) კულტურის განვითარების საფუძვლად მიიჩნია ენერგიების გამოყენების ტექნოლოგიური საფეხურები:

1. საკუთარი სხეულის ენერგია;
2. მცენარეული და ცხოველური ენერგია;
3. სათბობი ენერგია (ნავთობი, ქვანახშირი, ელექტროობა);
4. ატომური ენერგია.

განვითარება უარყოფაც არის, როცა წინსვლის პროცესში იკარგება ძველი საგნები და იდეები, ქრება მათი სახელები. მათ სცვლის ახალი, რომელიც შეიძლება ძველს ვერ სჯობდეს, მაგრამ უფრო შეესაბამება თანამედროვე რეალიებსა და მოთხოვნებს.

ამგვარი წრებრუნვა იწვევს შეუმჩნეველ ტრანსფორმაციას. მაგრამ ეს ხდება უეცრადაც, როცა იჭრება უცხო ძალა, რომელიც ნერ-

გავს და ავრცელებს თავის წარმოდგენებს, თავის ძეგლებსა და სახელებს.

ამიტომ ერის კულტურა მუდმივად იცვლება. ერთ პერიოდში იგი შეიძლება განეკუთვნებოდეს a ტიპს. მაგრამ საუკუნეთა მანძილზე ან სწრაფადაც შეიძლება შეიძინოს B კულტურის სახე.

გააჩნია როგორია შინაგანი სიმტკიცე და დარტყმის ძალა. მაგ., ჩვენი მეზობელი ქრისტიანი ალბანელები სწრაფად დაემორჩილნენ მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას და გასომხება დაიწყეს. მაგრამ როცა თურქ-სელჯუკები დაეუფლნენ მათ ტერიტორიას, როგორც ვთქვით, ენაც დაკარგეს, ეროვნებაც და რჯულიც.

დრო, ომები, რელიგია, კულტურულ-ეკონომიკური კავშირები არღვევენ კულტურის პროფილს და ზოგჯერ არსსაც უცვლიან.

მაგ., ერთ ტიპოლოგიურ რკალში ვერ მოექცევა ფარაონების ეგვიპტური კულტურა და თანამედროვე ეგვიპტის მუსულმანური კულტურა.

აქ წყალგამყოფია ერის კატეგორია. გაბატონდა ახალი, არაბული რასა, ძველი ეგვიპტელები კი გადაშენების გზაზე დადგნენ, დაკარგეს ჰეგემონია საკუთარ ქვეყანაში.

საბერძნეთის კულტურაში გამოიყოფა სამი ისტორიული ტიპი – ანტიკურ-წარმართული, ბიზანტიურ-ქრისტიანული და თანამედროვე.

ეს პროცესი აისახა ენის განვითარების დინამიკაშიც.

ამიტომ აუცილებელია ქრონოლოგიის პრინციპის დაცვა.

ქართული და რუსული სოციალისტური კულტურები უფრო ახლოა ერთმანეთთან, ვიდრე ქართული სასულიერო და ქართული სოციალისტური ან შესაბამისი პერიოდების რუსული კულტურები.

ისტორიის ვერტიკალი და იდეოლოგიური სივრცე ქმნის არსებით განსხვავებას, დაცილებულ წარმოდგენებსა და სამყაროს ხედვას.

მაგრამ თანამედროვე არაბულ და ქართულ, ან არაბულ და გერმანულ კულტურებს ერთმანეთს ვერ დავამსგავსებთ.

აქ არსებით განსხვავებას გვაძლევს ისლამი. გადამწყვეტი მაინც არის ერი, რომელსაც აქვს თავისი ენა და სახელმწიფო, თავისი ტრადიციები.

კულტურის ტიპოლოგიას რადიკალურად ცვლის ერის კვდომა, შემდეგ – რელიგია და იდეოლოგია.

ასეთ მნიშვნელობას ვერ იძენენ ინტელექტუალურ-კულტურული ნაკადები (მაგ., რომანტიზმი, მოდერნიზმი ან ავანგარდიზმი), რომლებიც რჩებიან აზროვნებისა და ესთეტიკის სფეროში და შესამჩნევად ვერ სცვლიან მასების ფსიქიკასა და ცნობიერებას (შდრ – ქრისტემ უფრო დიდი გავლენა იქონია კულტურაზე, ვიდრე დანტემ, შექსპირმა ან გოეთემ).

კულტურის გეოგრაფია

კულტურის ტიპების როგორც ფორმირების, ისე გავრცელებისათვის მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიულ ფაქტორს, ქვეყნების მდებარეობას, ვინ ვის ემეზობლება, ვინ ვის ებრძვის. ეგვიპტური კულტურა არ წასულა სამხრეთით, რადგან კეტავდა უდაბნო; საქართველოსათვის ბუნებრივი ჩრდილო საზღვარი იყო კავკასიონი, რომლიდანაც იშვიათად გადმოდიოდა მტერი. ხოლო სამხრეთიდან წამოსულ ტალღებს რომ განრიდებოდნენ, მიიწევდნენ ყინულოვანი მთებისაკენ; ასევე ქმნიდა ზღვა და ოკეანე ბუნებრივ საზღვარს – ავსტრალია და ამერიკა აღმოაჩინეს მხოლოდ ხუთი საუკუნის წინათ. მათი კულტურა იზოლირებული იყო ევრაზიისაგან.

ამგვარი ჰერმეტიზმი სპობდა განვითარების პერსპექტივას.

პროგრესისათვის აუცილებელია სესხება, ურთიერთშეღწევა, ურთიერთბრძოლა და კონფლიქტი, რაც მოძრაობაა და სიცოცხლეს ნიშნავს. ტექნიკის განვითარება, ხომალდი, მანქანა, თვითმფრინავი

ამოკლებს მანძილს და აახლოებს ერებს. ხოლო რადიო, ტელევიზორი, ინტერნეტი კიდევ უფრო აჩქარებს ინტეგრაციას.

ადრე რაც ხდებოდა სისხლისმღვრელი ომებით, დღეს სრულდება უსისხლოდ – კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით, რომელთა აუცილებლობას წარმოშობს პროგრესი, სწრაფვა მომავლისაკენ, სასიცოცხლო აუცილებლობა.

ამიტომ დღეს სხვაგვარად დგება კულტურათა გავრცელების არეალი, ვიდრე თუნდაც XX საუკუნეში, როცა ახალი იდეები ნიაღვარივით იკავებდა მომიჯნავე ტერიტორიას და თანდათან კარგავდა ძალას, ერწყმოდა ტრადიციებს.

სტადიურ-თეისტური პრინციპი

კლასიფიკაციას რაღაც საერთო ნიშანი უნდა ჰქონდეს, საერთო ამოსავალი. ამგვარ სისტემატიზებას შეაქვს წესრიგი და სინათლე საგანთა სიმრავლეში.

მაგ., ანთროპოლოგიური პრინციპით განასხვავებენ ადამიანთა წარმოშობას, ფიზიკურ ტიპებს, მათ ვარიაციებს, ლინგვისტური პრინციპით – ენების წარმოშობას, ნათესაობას, მათ დიფერენცირებას, შესაბამისად – ენათა ოჯახებს, ერების მიხედვით – სახელმწიფოებს, ტომების მოძრაობას, ქვეყნების წარმოქმნა-გაქრობას, სოციალური კლასების მიხედვით – საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს.

ყველა მათგანი ითვალისწინებს ევოლუციის სტადიურობის პრინციპს, რაც ნიშნავს მსგავს ნიშან-თვისებათა სხვადასხვა დროსივრცეში არსებობას, სინქრონია-დიაქრონიას, განვითარების დონეებს.

ამის შედეგად დგება რასების, ენების, ერების, რელიგიების, სახელმწიფოების, კლასების ევოლუციისა და გავრცელების ისტორიული და თანამედროვე რუკები.

მათზე დამყარებით უნდა გამოვყოთ კულტურის რუკაც, მისი ძირითადი სახეები, მათი განშტოებანი.

როგორც ვთქვით, აქ მრავალგვარი მოსაზრება არსებობს. მაგრამ უფრო მართებულად მიგვაჩნია, კულტურის საფუძვლად ავიღოთ უზენაეს ძალებთან მიმართება, ამ მიმართების ფორმები დრო-სივრცეში.

როგორც აღვნიშნეთ, კულტურის პირველად ბიძგებს იძლევიან შიშის ძლევით, შიშისგან განმუხტვით შობილი ტოტემები და ღმერთები.

ამოუხსნელ ფსიქიკურ ლტოლვებს, შინაგან ღელვას მიეცა ცხოველის, მზის, ადამიანის სახე. გამოტანილი, გამოძევებული შიში და ნევროზი აწონასწორებდა მღელვარე სულს, აძლევდა უკვდავების რწმენას, სიცოცხლის აზრს, ადამიანად ყოფნით კმაყოფილებას.

ადამიანმა ღმერთები თავისი ფსიქიკური წარმოდგენებიდან ასე გამოიყვანა და შემდეგ ეთაყვანა, დაემორჩილა, როგორც მხსნელსა და მფარველს.

ასე მოიპოვა სულის სიმშვიდე და ჰარმონია შინაგან ღელვასა და სასტიკ სამყაროს შორის.

შემდეგაც, მთელი ისტორიის მანძილზე, ადამიანთა შეგნებასა და ცხოვრებას წარმართავენ ღმერთები, უფლისადმი სიყვარული, შიში და კრძალვა, იმედი და სიკეთე, რომლებიც ყველა რელიგიამ გულის გამთბობი შუქით შემოსა, სხვადასხვაგვარი ათინათი რომ ჰქონდა.

ბელადები ტოტემის ნიღბით, მეფეები – ღვთაებრივი წარმომავლობის ილუზიით და უფლის ბრძანებით, პატრიარქები, პაპები და ხალიფები – უფლის სახელით მართავდნენ და მოძღვრავდნენ ხალხებსა და ქვეყნებს.

ამიტომ უნდა ავიღოთ კულტურის ტიპოლოგიის საკლასიფიკაციო ნიშნად ღმერთისადმი მიმართება, მისი გარდმოვლენა, რაც ამავე დროს ცნობიერების განვითარებაა, რომელმაც რწმენა შეცვალა ცოდნით, ცოდნაზე დაფუძნებული ცივილიზაციით.

სტადიურ-თეისტური პრინციპით გამოიყოფა ექვსი ძირითადი ტიპი, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნიშნით იშლება მრავალ ქვეტიპად და მოიცავს მთელს ისტორიას, ხუთივე კონტინენტს, სხვადასხვა ფორმაციასა და სტადიას, ისევე როგორც ენათა ოჯახები, ჯგუფები და ენები, რასები და ანთროპოლოგიური ტიპები. ეს სტადიები სხვადასხვა დრო-სივრცეში განვლო ყველა ხალხმა, ქვეყანამ, რელიგიამ და მათგან მეტ-ნაკლები ძალით გამოსხივებულმა კულტურამ.

კულტურის რუკა

I. ანიმისტურ-ტოტემისტური

ყველა ხალხისათვის საერთო პრაკულტურა,
მატრიარქალურ-კანიბალისტური პერიოდი

II. მითოსურ-პოლითეისტური

ეგვიპტური	ბერძნული
ეგეოსური (კრეტა-მიკენის)	ირანული
შუმერულ-ბაბილონური	რომაული
ინდური	კელტური
ჩინური	ძველგერმანული

III. მონოთეისტურ – აზიური

ებრაული	სლავური
ბიზანტიური	არაბული
ქართული	სპარსული
სომხური	ოსმალური

IV. პოსტ-არქაული

მონღოლურ-ციმბირული	აფრიკული
ამერიკულ-ინდიური	ავსტრალიური

V. სინკრეტულ – ევროპული

ლათინურ-იტალიური	ესპანური
გერმანული	რუსული
ფრანგული	აშშ
ინგლისური	ლათინურ-ამერიკული

VI. ათეისტურ-სოციალისტური

სსრკ (15 რესპუბლიკა)	აღმოსავლეთ ევროპული
ჩინური	გერმანულ-ნაცისტური

ყოველი ტიპოლოგიური ჯგუფი ქვესახეებად იყოფა რელიგიისა და ენების, ან – ენისა და რელიგიების მიხედვით.

მაგ., მონოთეისტურ-აზიურში გამოიყოფა იუდაისტურ-ებრაული, ქრისტიანულ-ბიზანტიური, მუსულმანურ-არაბული.

ენების მიხედვით ეს სახეებიც იძლევა დიფერენცირებას. მაგ., ქრისტიანულ-ბიზანტიურში შედიან ქართული, სომხური, სლავური კულტურები. შემდეგ სლავურიც, დროისა და განვითარების მიხედვით, იყოფა ან გადადის ახალ ტიპოლოგიურ მოდელში (მაგ., რუსული).

ახლა ორიოდე სიტყვით განვმარტოთ თითოეული ძირითადი მოდელი:

I. ანიმისტურ-ტოტემისტური კულტურა ისტორიამდელი ტიპია, რომლის რეკონსტრუირებული სახე ნაჩვენები გვაქვს პირველ წიგნში.

იგი ჩვენი საერთო წარსულია, როცა არ არსებობდა რელიგიები, ერები და სახელმწიფოები. მაგრამ ცალკეული ტომები, მათი პრაენები, ტოტემები, აკრძალვათა სისტემა და კაცთშეწირვა, მატრიარქატი,

ბელადი და ქურუმი ნათესაურ სურათებსა და წარმოდგენებს იმეორებდნენ, რადგან ერთია ბიოლოგიური ბაზისი.

ესეც ცხადყოფს პოლიცენტრისტული თეორიის სისწორეს და ერთი პრაენის არარსებობას, რომ ენათა ოჯახი სიმბოლური ცნებაა.

არქაულ-ტოტემისტური კულტურა დღეს თითქმის არ არსებობს. იგი შემორჩა მხოლოდ ზოგიერთ მცირერიცხოვან ტომს ამერიკასა და აფრიკაში.

მაგ., ერთი ასეთი ტომი ამასწინათ აღმოაჩინეს ამაზონის მიუვალ ჯუნგლებში.

II. ეს კულტურა, კულტურის ეს სტადია, რომელსაც **მითოსურ-პოლითეისტურს** ვუწოდებთ, არსებობას იწყებს ძვ. წ. IV ათასწლეულიდან, წარმოქმნის ქალაქ-სახელმწიფოებს, არქაულ სამხედრო დემოკრატიას, ღმერთების იერარქიულ პანთეონს, კულტურის დარგებს, კაცთშეწირვას ცვლის მსხვერპლშეწირვით, იყენებს მონების შრომას, ჯერ ბრინჯაოს, შემდეგ – რკინის იარაღებს.

ერთ ტიპოლოგიურ რკალში მოვაქციეთ, ერთი მხრივ – ეგვიპტური, ბერძნული და რომაული, მეორე მხრივ – კელტური და ძველგერმანული კულტურები, რადგან ისინი გამოხატავენ მითოსურ-პოლითეისტური წარმოდგენების სხვადასხვა დონეს.

იგივე ითქმის სხვა კულტურათა მიმართ. ზოგი აგრესიული და მეომარი იყო (მაგ., გერმანული ტომები), ზოგმა ომი არც იცოდა (მაგ., კრეტელებმა). ამიტომ იოლად გაანადგურეს კრეტა-მიკენის კულტურა ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ბერძნულმა ტომებმა – აქაველებმა და დორიელებმა. მის ნანგრევებზე წამოიმართა ელინური ტაძრები და პოლისები.

ინდოევროპელი იყვნენ ვედები, ისევე როგორც ბერძნები, რომლებიც ჩრდილოეთიდან შეიჭრნენ ინდოეთის ნახევარკუნძულზე (ძვ. წ. II ათასწლეული).

მათი მთავარი ღმერთები იყვნენ ინდრა და ვარუნა.

შემდეგ ერთი ნაწილი დასავლეთით წავიდა (ირანელები) და ჩაებნენ ომებში მესოპოტამიელებთან, ბერძნებთან, ეგვიპტესთან.

მითოსურ-პოლითეისტურს ვუწოდებთ ამ კულტურას, რომელიც მითებისაგან განუყრელია და მრავალღმერთიანია.

ეს უბრალო მრავალღმერთიანობა კი არაა, როცა ყველა საგანი, მისი სულები ღმერთებად იყო მიჩნეული ანუ საგან-სიტყვა იყო ღმერთი, არამედ – როცა ღმერთები განსაზღვრავდნენ ადამიანთა ცხოვრებას, ფიქრსა და მოქმედებას, კულტურშემოქმედი კი ქურუმები იყვნენ.

წაშლილი იყო ზღვარი ღმერთებს, გმირებსა და ადამიანებს შორის. ამიტომ ჰყავდათ ხეთებს 1000, ეგვიპტელებსა და ინდოელებს უფრო მეტი ღმერთი. მხოლოდ რომაელები იწყებენ გამოსვლას მითოსისა და პოლითეიზმიდან, რაც დამთავრდა ქრისტიანული ერთი ღმერთის აღიარებითა და რომის დამხობით.

ამ კულტურის განფენის არე იყო ზომიერი სარტყელი, ატლანტიის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე, ხმელთაშუაზღვის აუზი, მესოპოტამია, მცირე აზია, ლურჯი ნილოსით გაყოფილი სემიტური ეგვიპტე, ირანი, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ერთი გეოგრაფიული განედი, სადაც მზე უხვად აფრქვევდა სხივებს.

აქ ცხოვრობდნენ ინდოევროპელები, სემიტები, ჩინელ-ტიბეტელები, იბერიელ-კავკასიელები, დაუდგენელი წარმომავლობის შუმერები, კრეტელები, ხათები.

გეოგრაფიული სიახლოვის გამო მესოპოტამიის ხალხთა კულტურები ერთმანეთში ირეოდა, ხან შუმერი ლიდერობდა, ხან ხეთების ქვეყანა ან ასურეთი. ზოგჯერ ზღვიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან იჭრებოდნენ ბარბაროსი ტომები, რომელთაც მოჰქონდათ ახალი ენერგია და ერწყმოდნენ შუამდინარეთის ხალხებს.

ყველაზე ურყევად, თავისი პირამიდებივით, ათასწლეულების მანძილზე იდგა ფარაონების ეგვიპტე, რომელიც ზღვებითა და უდაბნოებით იყო დაცული. ცხელი ჰავა, წყალუხვი ნილოსი და შავი მიწა კი სასიცოცხლო პირობებს ქმნიდა.

შუმერები შუამდინარეთში გამოჩნდნენ ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისში, დააარსეს ქალაქი-სახელმწიფოები (მაგ., ური და ურუ-

ქი), ააგეს ტაძრები, განავითარეს სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, შექმნეს დამწერლობა და ლიტერატურა.

შუმერის კულტურა აითვისეს და გააგრძელეს დამპყრობელმა სემიტებმა (აქადები, ასურელები). ისინიც ისევე მოვიდნენ, როგორც ვედები ინდოეთის ნახევარკუნძულზე, ბერძნული ტომები – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კელტები – დასავლეთ ევროპაში, გერმანელები – რომის იმპერიაში, რომლის ნანგრევებზე თავიანთი სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს.

ხალხების გადასახლება და შეჯახება კულტურის განახლების სიმპტომი იყო. ბერძნული და რომაული პოლითეისტური კულტურები საყოველთაოდ ცნობილია. ვიტყვით მხოლოდ, რომ რომაელები ბერძნების მიმბაძველები აღმოჩნდნენ. შემდეგ ბერძნებმა ბიზანტიის სახით გააგრძელეს რომაელთა მხედრული ტრადიციები. მაგრამ წინ წაიმძღვარეს ჯვარცმულის ხატი.

დასავლეთში რომაელებს უხდებოდათ კელტურ და ძველგერმანულ ტომებთან მუდმივი ომები, რომელთა ბარბაროსულ პოლითეიზმს უპირისპირდებოდა ცივილიზებული პოლითეიზმი.

აღმოსავლეთში ინდურ-ვედური კულტურის გაგრძელებაა ირანული, რომელმაც გამოიმუშავა თავისი რელიგია – მაზდეანობა, შექმნა წმინდა წიგნი – „ავესტა“, ჰყავდა მთავარი ღმერთი აჰურამაზდა და წინასწარმეტყველი ზარატუსტრა, რომელიც ათასი წლის შემდეგ დამარცხდა მუჰამედთან ბრძოლაში.

ინდური კულტურის ერთიანობის, ორიგინალობისა და დამოუკიდებლობის საფუძველია, ერთი მხრივ – დიდი ტერიტორია და მოსახლეობის სიმრავლე, რომელიც პაკისტანთან და ბანგლადეშთან ერთად (ჩამოსცილდნენ XX საუკუნეში) ჩინეთსაც კი აღემატება, მეორე მხრივ – უძველესი რელიგიები და ენები.

ინდოეთში, როგორც ვთქვით, მრავალი ძველი და თანამედროვე ენაა. ხოლო სამი რელიგია საყოველთაოდ ცნობილია – ინდუიზმი, რომელიც ძველი ვედური ბრაჰმანიზმის სახეცვლაა, ჯაინიზმი და ბუდიზმი, რომელიც მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. ამ ფაქტორების

კომბინაცია და ჩაკეტვა თავის თავში, თავის რწმენა-წარმოდგენებში, სახეცვლა ამ კონსერვატიულ რკალში ინდური კულტურის ყოველ სფეროს მკვეთრად განსხვავებულ სახეს აძლევს.

ინდოეთს ევროპიდან პირველად ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარმა მიაღწია. მაგრამ კოლუმბსაც კი არ ჰქონდა მის მდებარეობაზე სწორი წარმოდგენა.

ინდური ენები ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება, რაც მათ გენეტიკურ ერთიანობას ნიშნავს. მაგრამ რასობრივად ინდოელი დგას ევროპეიდსა და ნეგროიდს შორის.

არც ინდოეთს ჰქონია დიდი დაპყრობითი ომები. მასაც აკლდა აგრესია, სწრაფვის ჟინი, რის გამოც ეს უზარმაზარი ქვეყანა დიდხანს იყო დაშლილი, შემდეგ კი – დიდი ბრიტანეთის კოლონია.

იგი ჰგავს კოლოსს, რომელსაც მოძრაობა არ შეუძლია, მაგრამ ყველა ხედავს და ანგარიშს უწევს.

ჩინური კულტურის ერთიანობასა და სპეციფიკას, ინდურის მსგავსად, ქმნის გეოგრაფიული მდებარეობა (საზღვრები – ტიბეტის მთიანეთი, ჰიმალაი, გობის უდაბნო, წყნარი ოკეანის სანაპირო – 15.000 კმ.), ტერიტორიის სიდიდე და მოსახლეობის სიმრავლე.

საკუთარი სივრცის, სიდიადისა და ინდივიდუალობის განცდის გამო ჩინური კულტურა ჩაკეტილი აღმოჩნდა თავისთავში, დროულად არც გასცემდა და არც ღებულობდა. აქ მხოლოდ ბუდიზმმა შემოატანა და ერთი პერიოდი გაბატონდა კიდეც (VII-X სს.). აგრესია კი ვლინდებოდა ლოკალურ გარემოში.

ჩინეთს არ უცდია მაკედონელის ან ჩინგის ხანის მსგავსი დიდი დაპყრობითი ომები, უფრო თავს იცავდა მონღოლებისაგან, მანჯურიელებისაგან, იაპონელებისაგან, ინგლისელებისაგან.

მომხდურთა მოსაგერიებლად უძველეს დროში ააგეს ფანტასტიკური ჩინეთის დიდი კედელი.

ჩინური კულტურა ეყრდნობა ბუდიზმს, თავის მითოსსა და ფილოსოფიას (კონფუციანელობა, დაოსიზმი), რომელთა შერწყმამ

წარმოშვა რელიგიური სინკრეტიზმი, სადაც თანაარსებობენ სხვადასხვა აღმსარებლობისა და რანგის ღმერთები.

ჩინელი რასობრივად მონგოლოიდია, ენა განეკუთვნება ჩინურ-ტიბეტურ ოჯახს, სახელმწიფო აქვთ ძვ.წ. II ათასწლეულიდან, წერენ და კითხულობენ იეროგლიფებით. კულტურის უძველესი ნიმუშები კი III ათასწლეულით თარიღდება.

ჩინეთს არ ჰქონია კონტაქტი მესოპოტამიასთან, ეგვიპტესთან, ელადასთან, რომთან. ამგვარი იზოლირების შედეგად დამუხრუჭდა მისი განვითარება და ვერ შეძლეს ცალკეულ მიგნებათა ცივილიზაციური გამოყენება (მაგ., ქაღალდი, ბეჭდვა, დენთი).

პირველად მხოლოდ XIII საუკუნეში იმოგზაურეს ჯერ მარკო პოლომ და შემდეგ პაპის ელჩებმა ჩინეთში.

ამ კულტურის განშტოებაა ბირმული, ტაილანდური, ვიეტნამური კულტურები. მასვე უნდა დაუკავშირდეს კორეული და იაპონური კულტურები.

როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, ალტაური ოჯახის იაპონური ენის ძირების ნახევარი ჩინურია. ჩინეთიდან შევიდა იეროგლიფური დამწერლობაც, ბუდიზმიც, რომელიც ადგილობრივ სინტოიზმთან ერთად წამყვანი რელიგიაა.

III. პირველი **მონოთეისტური** რელიგია იუდაიზმი იყო. იგი ებრაელების წინამძღოლმა მოსემ ეგვიპტელებისაგან აიღო, ფარაონ ეხნატონისაგან (ძვ. წ. XV ს.), რომელმაც სცადა ატონის კულტის დამკვიდრება.

ფარაონის სიკვდილის შემდეგ ისევ აღადგინეს პოლითეიზმი, მაგრამ მოსემ ერთი ღმერთი, უხილავი და შეუცნობი იაჰვე წარუმძღვარა კემედან გამოსულ ებრაელებს და მახვილით გაიკაფა გზა ქანაანის ქვეყნისაკენ.

მონოთეიზმზე, თალმუდსა და ბიბლიაზე დაშენდა ებრაული კულტურა. განსხვავებით ქრისტესა და მუჰამედის სჯულისაგან, იგი არ გადასულა სხვა ერებში და ეს ერთღმერთიანი რელიგია იქცა ერთი ერის სინონიმად.

ქრისტიანობა რომის იმპერიამ აქცია მსოფლიო რელიგიად.

ბოსფორზე მდგარი კონსტანტინეპოლის ნათება ახალ ტაძრებსა და ეკლესიებს აჩენდა მისტიკურ აღმოსავლეთში. მან შექმნა ამ იდეოლოგიის შესაფერისი ხელოვნება და კულტურა, ფილოსოფია და მეცნიერება.

კულტურის ბიზანტიური მოდელი სანიმუშო იყო საქართველოსა და სომხეთისათვის, სლავებისათვის, ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ქრისტიანებისათვის.

იგი აზიური ფესვებით იკვებებოდა და უპირისპირდებოდა ლათინურ-ევროპულ კათოლიციზმს.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ V-XI საუკუნეთა ქართული კულტურა, კერძოდ – ლიტერატურა და ხელოვნება უფრო ასკეტური იყო, უფრო დაცილებული საერო ცხოვრებას, ვიდრე ბიზანტიური.

ასევე რელიგიური დოგმატები განსაზღვრავდა მუსულმანურ კულტურას, რომელიც VII საუკუნიდან არაბებმა გაავრცელეს აზიაში, ეგვიპტესა და ირანში, ნაწილობრივ – ევროპაშიც.

ქრისტიანული და მუსულმანური კულტურები, ჯვარი და ნახევარმთვარე, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ. ერთმანეთს უარყოფდნენ, მაგრამ ურთიერთზეგავლენას მაინც ახდენდნენ, იზოლირებულად არ არსებობდნენ.

მონოთეიზმიც ყველა ხალხში სხვათაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა. აქეთკენ მიჰყავდა ადამიანები ადრევე გამორჩეულ მთავარ ღმერთს.მაგ., ელინელთა ზევსი, რომაელთა იუპიტერი, ბაბილონელთა მარდუქი, ვედელთა ინდრა, ეგვიპტელთა ამონ-რა, ძველგერმანელთა ოდინი, ირანელთა აჰურამაზდა, ქართველთა არმაზი, მონღოლთა თენგრი, ჩინური, ინდური, აცტეკური ტრიადები.

IV. არქაულ-ტოტემისტური კულტურის გადმონაშთი და ისტორიულ პერიოდში გაგრძელებაა პოსტ-არქაული კულტურა.

ქრისტეს შემდეგ იგი შემორჩათ, მეტნაკლებად განვითარებული ფორმით, ამერიკელ ინდიელებს, აფრიკულ, ავსტრალიურ, თურქულ და მონღოლურ-ციმბირულ ტომებს, კანიბალისტ კელტებსა და

ბარბაროს ძველ გერმანელებს. ითვლიან პრიმიტიული ტომების 650-მდე კულტურას, მონღოლურ-ციმბირულ და შუა აზიის თურქულ ტომებს, ინდიელებს და ავსტრალიელებს საერთო წინაპარი ჰყავ-დათ. მათ მონგოლოიდურ რასას განაკუთვნებენ.

მრავალი საუკუნე ისინი გეოგრაფიულად იზოლირებული აღ-მოჩნდნენ კულტურულ-ცივილიზაციური ცენტრებისაგან, ასევე – ერთმანეთისაგან, მოსწყდნენ კაცობრიობის პროგრესის მაგისტრალს და ჩიხში შევიდნენ.

კულტურაც დაკონსერვდა, ვიდრე არ გასცდნენ თავიანთ ტერი-ტორიას (მაგ., თურქებისა და მონღოლების წინაპრები).

მკაცრი კლიმატური პირობების გამო მონღოლები, ტუნგუსები, ციმბირული ტომები იზოლირებული იყვნენ ინდური და ჩინური კულტურებისაგან.

მაშინაც, როცა XIII საუკუნეებში მონღოლებმა ცხენის ფლოქვე-ბით გადაუარეს აზიასა და ევროპას, როცა თავად შეეჯახნენ ცივი-ლიზაციას, ვერ შეძლეს, საომარი ტექნიკის გარდა, დამარცხებულ ხალხთა კულტურის ათვისება და ისე ჩაიკარგნენ მათში, როგორც ქვიშაში წყალი.

მონღოლებს ანბანი შეუქმნეს ჩინგის ხანის მითითებით, თუმცა თავად წერა-კითხვა არ იცოდა.

ასევე გაქრნენ თურქული მოდგმის მომთაბარე, ერთ დროს მრისხანე ტომები – ჰუნები, ხაზარები, ყივჩაღები. არც მათ ჰქონდათ კულტურის მიმღეობის უნარი, რადგან არა თანდათან, არამედ უეცრად აღმოჩნდნენ უცხო და ძლიერი ცივილიზაციის წინაშე, როგორც ბნელიდან გამოსული – კაშკაშა მზის წინ.

კულტურის არმქონე ხალხი ან ვისაც არა აქვს ათვისების უნარი – განწირულია ასიმილირებისათვის.

მეოცნეზე, მამაც და ავანტიურისტ ზღვაოსანთა წყალობით, ტექ-ნიკურ საშუალებათა განვითარების შედეგად, ევროპამ ამერიკის ტო-მებსა და სახელმწიფოებს მიაგნო XVI საუკუნეში, შემდეგ – აფრიკე-ლებსა და ავსტრალიელებს.

ავსტრალიის კოლონიზაცია დაიწყო მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევს.

ამ აღმოჩენამ, ერთი მხრივ, ფიზიკურად გაანადგურა ამ სამი კონტინენტის ბინადარნი, მეორე მხრივ – დაკარგეს საკუთარი სახე, საკუთარი მონაპოვარი, ევროპულ-ქრისტიანული კულტურა კი ვერ აითვისეს. მაიასა და აცტეკების შთამომავალნი კიდევ უფრო დაქვეითდნენ.

მხოლოდ აფრიკელმა ზანგებმა შესძლეს, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა, როცა თავისუფლება მოიპოვეს.

V. სინკრეტისტული კულტურა ევროპაში ჩამოყალიბდა. იგი იწყება რენესანსისა და წინარენესანსული პერიოდებიდან, როცა გალღობა დაიწყო ასკეტიზმის ყინულმა.

მისი საფუძველია ლათინური ენა და ბერძნულ-რომაული სამყარო, კათოლიციზმი და მისი განშტოებანი.

მნიშვნელობა იქონია ორასწლოვანმა ჯვაროსნულმა ომებმაც მუსულმანებთან. ამის შედეგად, აღმოსავლური ზეგავლენით, მღვრიე, სისხლსავსე და სასტიკი ცხოვრების ნაკადი იჭრება კულტურასა და ხელოვნებაში, ბრუნდება ანტიკური სილამაზე და ხორციელობა. ეს კი იწვევდა ქრისტიანული დოგმატების შერბილებას, არა მათთან დაპირისპირებას, არამედ – გვერდის ავლას.

ავტორი მორწმუნე იყო (მაგ., ბოკაჩო). მაგრამ აინტერესებდა მიწიერი ცხოვრება, ადამიანური ვნებები. ამიტომ ევროპული ლიტერატურიდან ასკეტური იდეალები გაქრა. ახალი დროის კულტურა საერო იყო, რომელსაც წარმართავდა არისტოკრატია, სამეფო კარი, სამხედრო ელიტა.

შემდეგ ამ ტენდენციას დაერთო ისევ ანტიკა და აღმოსავლეთი, ძველი და ახალი ღმერთების ხილვა, ძველი ფორმები და ახალი გამომგონებლობა. ფილოსოფია, ფერწერა, მუსიკა, სკულპტურა, არქიტექტურა, ლიტერატურა, ცხოვრების სტილი ისევ მიმართავდა

რელიგიურ თემებს, მაგრამ ავსებდა სინამდვილის ფერებით, სიცოცხლის ხალისით.

ევროპულ კულტურაში მოხდა კაცობრიობის გამოცდილების შერწყმა, რომელშიც გაერთიანდა მრავალი ეპოქა, ღმერთი, სტილი და მსოფლგანცდა, მეცნიერული, მხატვრული და პრაქტიკული, რელიგიური და სახელმწიფოებრივი აზროვნება.

ეს სინკრეტისტული კულტურა იყო, რომელიც ევროპელებს აფრიანი გემებით გადაჰქონდათ სხვა კონტინენტებზე – ამერიკაში, აზიაში, ავსტრალიაში.

გოტიკა და რომანული სტილი, ფრანგული არისტოკრატიზმი, ინგლისური კონსერვატიზმი, იტალიური ფერწერა და არქიტექტურა, გერმანული ფილოსოფია და მუსიკა საყოველთაო მიბაძვის საგანი ხდებოდა. მიუხედავად შიდაკონფლიქტებისა, ურთიერთშუღლისა, ფრანგული კულტურა იყო ახალ საუკუნეებში ტონის მიმცემი, გემოვნების განმსაზღვრელი, ფრანგული ენა – არისტოკრატთა ენა.

ფრანგები, ესპანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები მსოფლიოს მოედვნენ და ლამის მთელი პლანეტა კოლონიებად აქციეს.

ოქროს ელვარება და მახვილის ძალა, ბრწყინვალე ცხოვრების კულტი, სიცოცხლით ტკბობა, ახალი მიწების გაცნობა, ახალი იდეების აყვავება კულტურშემოქმედს ვეღარ დასტოვებდა ასკეტური იდეალების რკალში.

ევროპელებმა გადასერეს ზღვები და ოკეანეები, აღმოაჩინეს კონტინენტები და კუნძულები, შემოუარეს დედამიწას, გამოიგონეს ცეცხლსასროლი იარაღი და ორთქლის მანქანა, აღმოაჩინეს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის კანონები, შეისწავლეს ცხოველთა და ფრინველთა სამეფო, მიწის გული და ვარსკვლავეთი, ღმერთი და ადამიანი. ბოლოს მთვარესაც მისწვდნენ.

ამასთან ერთად ევროპული კულტურა კავშირს არ წყვეტდა ქრისტიანულ რელიგიასთან, მახვილთან ერთად ბიბლიაც მიჰქონდათ შორეულ ქვეყნებში. მაგრამ რელიგია აღარ იყო დომინანტი, დარჩა როგორც ტრადიცია, დეკორი და ესთეტიზმის ნაწილი.

სინკრეტული კულტურა, სამყაროს ინფორმაციული კონცენტ-რირება გზას უხსნის გლობალიზაციას.

VI. სულიერი ძიებანი, ესთეტიზმი, გრძნობისა და აზრის ზეიმი, პიროვნების თავისუფლება, შემოქმედის ინდივიდუალობა დაარღ-ვია და შეცვალა ახალმა იდეოლოგიებმა, **ათეისტურ-სოციალისტურ-მა თეორიებმა,** რომლებიც წიგნის ფურცლებიდან გადმოვიდნენ, მასებში შეიჭრნენ და ცივილიზაციას მოსპობით დაემუქრნენ (იხ. „სახელმწიფო და იდეოლოგია“).

ჩამოყალიბდა ტრადიციების ცალმხრივი და ტენდენციური გააზრება, რომელმაც მოიცვა სსრკ, ჩინეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ჰიტლერული გერმანია და მისი სატელიტი სახელმწიფოე-ბი. ეს იყო სახელმწიფოებრივი დიქტატით შექმნილი კულტურა, რომლის პროგრამას ადგენდნენ ახალი დროის ბელადები.

ათეისტურ-სოციალისტური კულტურის სათავეა გერმანული სამყარო.

P.S. იუნესკოს მიერ მიღებულია ცივილიზაციების ასეთი კლა-სიფიკაცია – ევროპული და ჩრდილოამერიკული, შორეულაღმოსავ-ლური, არაბულ-მუსულმანური, ინდური, ტროპიკულ-აფრიკული, ლათინურამერიკული.

იგი გეოგრაფიულ პრინციპს ემყარება.

5. ქართული კულტურის ტიპი

ქართული კულტურაც, მისი აღმასვლა თუ დაცემა, ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას გამოსახავდა.

იგი გამოვიდა უძველესი დროის მტკვარ-არაქსისა და თრია-ლეთის მატერიალური კულტურებიდან (ბორის კუფტინი), მათი

შემქმნელი ტომების ერთობიდან, ხურიტული და ხათურ-ხეთური გარემოდან (ძვ. წ. III-II ათასწლეულები).

როგორც ვიცით, ქართული ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ შტოს მეგრულთან, ლაზურთან და სვანურთან ერთად (ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, არნოლდ ჩიქობავა);

ანთროპოლოგიურად – ევროპეიდული რასის ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს, წინააზიურ სახეობას (მალხაზ აბდუშელიშვილი).

ანთროპოლოგიურ ტიპებს ისევე ცვლის ხალხთა მიმოქცევა, როგორც ენებს.

ჩვენს წინაპრებთან უძველეს დროში ჰქონდათ კონტაქტები, ჰქონდათ ბარბაროსული ბრძოლები ხეთებს, მითანელებს, ასურელებს, ურარტუელებს, სკვითებს, კიმერიელებს...

ჩვენი წინაპრები ტომებისა და ხალხების ქაოსში, ურთიერთშეხლასა და სისხლისღვრაში ითვისებდნენ მეზობელთა თუ დამპყრობელთა გამოცდილებას, კულტურისა და ტექნიკის პირველად ფორმებს, სჭედდნენ ბრინჯაოსა და რკინას, მოიპოვებდნენ ოქროს, ამუშავებდნენ მიწას, უვლიდნენ საქონელს, აგებდნენ შუაბოძიან ბრტყელსახურავიან სამოსახლოებს, იმარხებოდნენ ქვაყრილებსა და დოლმენებში, მიმართავდნენ კრემაციასაც;

თიხის ჭურჭლებზე გამოსახავდნენ გეომეტრიულ ფიგურებს, მათ შორის – სვასტიკასა და ჯვარს (ანდრია აფაქიძე);

ჰქონდათ თავიანთი რწმენა-წარმოდგენები, ჰყავდათ თავიანთი ღვთაებები (ივანე ჯავახიშვილი). ისინიც იცვლებოდნენ, იმის მიხედვით, თუ ვინ შემოდიოდა, ვის მოჰქონდა უფრო მრავალფერი და მოწესრიგებული კულტურა.

ამ მხრივ მისაბაძი იყვნენ ბერძნები. მათგან მოდის სიტყვა ბრძენი, როგორც გონიერების სინონიმი.

უცხო კულტურებიდან ფორმირების პროცესში მთავარი იყო ჯერ ხურიტული და ხეთური, შემდეგ – ელინური და ირანული.

წინაპარ ტომთა გაერთიანებებიდან სამი იყო უმთავრესი, ძვ. წ. XII საუკუნეში შექმნილი, ხეთასა და მითანის დაცემის შემდეგ: კოლხების (ჭოროხის აუზი და შავიზღვისპირეთი), მუშქებისა (მცირე აზია) და ხურიტულ-ქართველური დიაოხი (ევფრატის სათავის მიმდებარე ტერიტორია).

შეიძლება უფრო ადრე, III-II ათასწლეულთა მიჯნაზე, ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი, რომელიც შემდეგ ცნობილი გახდა კოლხთა (ზანთა) სახელით, ეგეიდაში გადასულიყო. მათი მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ პელაზგები (რისმაგ გორდეზიანი).

ალბათ ეს უნდა მოჰყოლოდა მტკვარ-არაქსის კულტურის დაშლას.

* * *

ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბერძნებმა შავი ზღვის პირას დააარსეს ფაქტორიები და ახალშენები. ისინი მეზღვაურები იყვნენ და მოჰყვებოდნენ ზღვის სანაპიროს, რაც მთელი თაობების მანძილზე გრძელდებოდა, გადადიოდნენ კუნძულიდან კუნძულზე (ხმელთაშუა ზღვაში უამრავი კუნძულია გაფანტული).

ძველ დროში ზღვით უფრო იოლი და უხიფათო იყო მოგზაურობა, ვიდრე ხმელეთით. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ბერძნების ურთიერთობა კოლხებთან ძვ. წ. VI საუკუნიდან, რაც აისახა არგონავტების ლაშქრობისა და პრომეთე-ამირანის მითებში.

ბერძნული ნაწარმი, ენა, ღმერთები, მონეტები, ცხოვრების წესი იზიდავდათ ძველ კოლხებს. მაგრამ მოქმედებდა მაზდეანური ძალაც, უფრო იბერიის, მცხეთა-არმაზის ტერიტორიაზე.

მთელი კავკასია VI საუკუნიდან ირანის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და, ცხადია, იგი თავისი ღმერთებითა და კულტურითაც მართავდა სატრაპიებს, არა მხოლოდ პიტიახშების ხელით.

ნაწილობრივი ზეგავლენა ფორმირების პროცესში უნდა ჰქონოდა მცირეაზიურ კულტურასაც. იგი შემოიტანეს ანატოლიიდან დღე-

ვანდელი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულმა მესხურმა ტომებმა, რომელთაც დააარსეს მცხეთა.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევებით განადგურებულ ქვეყნებს დიდი ხანი დასჭირდათ აღსადგენად (გიორგი მელიქიშვილი).

ასეთ ჟამს სწორედ უცხოური ფაქტორით უნდა დარღვეულიყო სტაბილობა, იმპერიული წესრიგი:

როცა ძვ. წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელმა დაანგრია ირანის იმპერია, კავკასიაც გამოეყო ირანს.

284 წლიდან ფარნავაზმა დაიწყო ქართველთა გაერთიანება, დადგა ხეთურ-ირანული ქანდაკებები. მაგრამ მაკედონელის იმპერიაც სწრაფად დაიშალა და ირანმა ისევ აღანთო მაზდეანური ცეცხლი.

დასავლეთით, ზღვისპირეთში გრძელდებოდა ელინიზების პროცესი მაშინაც, როცა რომაელები შემოვიდნენ. მაგ., ფაზისში, III-VI საუკუნეებში, მოქმედებდა ბერძნული რიტორიკული სკოლა. იქ კოლხებიც ეუფლებოდნენ ანტიკურ ცოდნას. სკოლა დაიხურა ქრისტიანობის აღიარების შემდეგ.

აღმოსავლეთში კი ირანულმა მაზდეანურმა კულტურამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, განსაკუთრებით – სასანიდების დროიდან.

ამ დროს საკუთრივ ქართული ნაკლებად ჩანს.

კონსოლიდირების პროცესი დუნე და ნელი იყო.

ელიტა, მმართველები და ქურუმები ან უცხოელები იყვნენ ან მათი ერთგული, მათთან დაახლოებული პირები. ისინი ამაყობდნენ რომაელებთან, ბერძნებთან და ირანელებთან მეგობრობითა და სიახლოვით (მაგ., ცხენზე ამხედრებული იბერიის მეფე ფარსმან მეორის ქანდაკება დადგეს რომში, II ს.).

რომაულ-ბერძნული და ირანული კულტურები ხელს უშლიდნენ ნაციონალური ცენტრების ფორმირებას. ამის აუცილებლობას ელიტა ვერ გრძნობდა, მასა კი კულტურისაგან შორს იდგა. იგი ითვისებდა შედეგებს, მაგრამ შემქმნელი არ იყო. ამიტომ სარგებლობდა

ელიტა ბერძნული, არამეული და ირანული ანბანით, მათი დამწერლობითა და ენებით, უცხო ონომასტიკითა და ტოპონიმიკით (საინტერესოა ვიცოდეთ, რომ არც კოლხი, არც იბერი, არც მესხი, არც დიაოხი ქართული სიტყვა არაა).

ამისი დასტურია არმაზში აღმოჩენილი ბილინგვა (II ს.).

ამ დროსაც დაფანტული იყვნენ ქართველური ტომები. ნაწილი თუ კოლხთა და იბერიის სამეფოებში შედიოდა, მეორე ნაწილი პონტოსა და კაპადოკიაში, საქართველოს სხვა მოსაზღვრე ზონებში ცხოვრობდა, სადაც ასიმილირება ელოდათ.

წარმართული ღმერთების ერთი ნაწილი ადგილობრივი იყო, რომელიც ტრადიციულ მსხვერპლშეწირვას, კაცის სისხლს მოითხოვდა, მეორე ნაწილი – ელინურ-რომაული, მესამე კი – ირანული.

ირანული პოლითეიზმი იყო უმთავრესი ათასწლეულთა მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოსათვის, იბერიის სამეფოსათვის. მაგრამ წარმართობა ისტორიას ბარდებოდა, რომს ახალი ღმერთი მოჰყავდა.

კაცთშეწირვა იბერიაში აკრძალა რევი მართალმა ახ. წ. III საუკუნის ბოლოს, ხოლო კოლხეთში, როგორც ჩანს, იგი შემორჩა VI საუკუნემდე, ქრისტეს რჯულის აღიარებამდე, რასაც ცხადყოფს დიდიჭყონის კულტი.

* * *

IV საუკუნე ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვანია. ამ დროს იბერიამ მიიღო ქრისტიანობა, თუმცა ირანის ვასალი იყო და ირანიზებული ღმერთები ჰყავდა (არმაზი და ზადენი, დაინინა და აინანა, გაც და გაიმ). ეს გააკეთეს მირიან მეფემ და ნანა დედოფალმა.

რელიგიის შეცვლა პოლიტიკური კურსის შეცვლას მოასწავებდა.

კულტურა სტოვებდა ირანულ-მაზდეანურ სამყაროს და ნაციონალურ ფორმებს ეძებდა.

ქრისტიანობის შემწეობით მოხდა ქართველი ხალხის თვით-გამორკვევა (გერონტი ქიქოძე).

ქრისტიანობის მიღების შემდეგ ჩამოყალიბდა ქართველი ერის სახე (გიორგი ჩუბინაშვილი).

დაიწყო გვარების წარმოქმნაც, მწერლობის ფორმირება.

ქრისტიანობის დასამკვიდრებლად იქმნება ქართული ანბანი (ერთ-ერთი მსოფლიოს 14 ანბანიდან) და დამწერლობა (კორნელი კეკელიძე, თამაზ გამყრელიძე). ბერძნულია „კალამი“ და „მელანი“, ხოლო „წიგნი“ – ლათინური (signum). იწყება ბიბლიური და სხვა საეკლესიო წიგნების თარგმნა, ეკლესია-ტაძრების მშენებლობა.

სამსხვერპლოს ადგილს იკავებს საკურთხეველი.

ქართული წარმოშობის მამები აყალიბებდნენ ბიზანტიური ქრისტიანული კულტურის საფუძვლებს (გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, ევაგრე პონტოელი, პეტრე იბერი – ფსევდოდიონისე არეოპაგელი).

V საუკუნის 70-იან წლებში იწერება პირველი ქართული მხატვრული ტექსტი – იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობა“.

ქვეყანა და კულტურა მაინც გზაჯვარედინს ვერ გასცილდა: რომელს გაჰყოლოდა საბოლოოდ – ირანს თუ ბიზანტიას.

ეს ყოყმანი აისახა შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის წამებათა ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში, ხოლო დაძლევა – მესხური კაპადოკიიდან მოსულ ე.წ. ასურელ მამათა სამონასტრო მოღვაწეობაში (VI ს.).

ლაზიკაც ასევე გაორებული იყო. მაგრამ ირანი სუსტდებოდა და ბიზანტია ძლიერდებოდა. ამიტომ გააკეთა ქრისტიანული არჩევანი ლაზიკამაც.

ამის შემდეგ, VI საუკუნიდან, ქართული კულტურის ერთადერთი ორიენტირი გახდა მართლმადიდებელი ბიზანტია, ქრისტიანული აღმსარებლობა, რომელსაც ასკეტური სიზუსტით მიჰყვებოდა XII საუკუნემდე.

მიზეზი ისიც იყო, რომ კულტურშემოქმედნი მაღალი წრიდან გამოსული სასულიერო პირები იყვნენ. ისინი სანიმუშოდ მიიჩ-

ნევდნენ ბიზანტიას. ზღვის გადაღმა რწმენისა და იმედის შუქად ბრწყინავდა წმ. სოფიოს ტაძარი და წმ. ირინეს ეკლესია.

ვერც არაბების მრავალგზისმა შემოსევამ შეარყია ნაზარეველისადმი ერთგულება, პირიქით – განამტკიცა უფრო, რადგან არაბები ახალი, უცხო რელიგიის – ისლამის დროშით მოდიოდნენ, ყურანითა და ჩადრით. ხალხი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე აღარც სახელმწიფო ჰქონდა, აღარც საკუთარი მეფე ჰყავდა, შეაკავშირა ჯვარმა და ქრისტეს ჯვარცმამ, სისხლმა და სიტყვამ.

ქრისტეს რჯული ეროვნების სინონიმი გახდა. უცხო ძალასთან ბრძოლის დროს ქრისტიანობა სიმტკიცეს სძენდა ეროვნულ შეგნებას, რომლის სიმბოლოდ აღიმართა არაერთი ტაძარი (მაგ., სვეტიცხოველი, გელათი, ოთხთა ეკლესია). საქართველოშიც კულტურა იქმნებოდა ეკლესია-მონასტრების წიაღში, ბერების მიერ, და ჰქონდა რელიგიურ-გამოყენებითი ფუნქცია.

აქედან უნდა გავრცელებულიყო ხალხში, არისტოკრატიასა და დაბალ ფენებში, რათა ადგილი არ ჰქონოდა ერესსა და სკეპტიციზმს.

ბიზანტიური სტილით იგებოდა ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეები. ბიზანტიური იყო წირვა, ლოცვა, გალობა, ხატწერა, ჯვარისწერა, ნათლობა, დამარხვის წესი. იწერებოდა და ითარგმნებოდა (ძირითადად – ბიზანტიურიდან) ჰაგიოგრაფიულ წამებათა და ცხოვრებათა ტექსტები, საგალობლები, ბიბლიის განმარტებები, ჰომილიები (ქადაგებები). იწერებოდა ფერწერული და ჭედური ხატები, მზადდებოდა ახალ-ახალი ხელნაწერები ბიბლიისა და სხვა პრაქტიკისათვის აუცილებელი წიგნებისა.

ეს ყოველივე უნდა მომსახურებოდა ლიტურგიას – მღვდელმსახურებას. გაცხოველდა კონტაქტები ქრისტიან ხალხებთან. გაჩნდა ინტერესი არაბული კულტურის მიმართაც. მაგრამ სუსტდებოდა არაბების ერთ დროს ძლევამოსილი, მუჰამედის ზეციურ შთაგონებაზე დამყარებული იმპერიაც და ეს იწვევდა სულიერ და ფიზიკურ ძალთა გააქტივებას, ერთიანობის შეგნებას.

არაბების სამასწლოვანმა ბატონობამ ერი და ბერი დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო ნათესავი ხალხების ერთად ყოფნა, რომ მხოლოდ ბიზანტიის იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

ანტიარაბულმა, ანტიმუსულმანურმა პათოსმა გააძლიერა ქრისტიანული აღმშენებლობა, გაამკვეთრა ეროვნული შეგნება (იოანე საბანისძის „აბოს მარტვილობა“, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ანონიმი ავტორის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“).

კულტურული აღმავლობა, რომელიც დაიწყო გრიგოლ ხანძთელმა (VIII-IX ს.ს.), გადავიდა პოლიტიკაში, გაერთიანებისათვის სწრაფვაში, რაც XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ მესამის დროს აღსრულდა კიდეც.

* * *

ქართველები გაცილებით დიდ დროსა და ენერგიას ალევდნენ თარგმნას, ვიდრე ორიგინალურ შემოქმედებას, ე.ი. უცხოური საკუთარზე მეტად ფასობდა.

ასურელი მამების შემდეგ ქართული კულტურისა და ქრისტიანობისათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო გრიგოლ ხანძთელის პრაქტიკული, სამონასტრო მოღვაწეობა.

მთარგმნელობით სფეროში ასევე დიდად დაშვრნენ ათონელები – ექვთიმე, გიორგი, გიორგი მცირე.

ითარგმნებოდა ბიბლიური წიგნები, ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ლიტურგიკული, ასკეტიკური, ეგზეგეტიკური ლიტერატურა.

ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბიზანტიურად გადათარგმნა „ბალავარიანი“, საიდანაც მთელს ევროპაში გავრცელდა.

ეფრემ მცირემ გადმოიღო ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეოლოგიური ტრაქტატები, იოანე პეტრიწმა – ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებით-

ნი“ და ორიგინალურად განმარტა, არსენ იყალთოელმა – „დიდი სჯულისკანონი“.

დაიწერა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951 წ.), მიქაელ მოდრეკილისა და იოანე მინჩხის ჰიმნები, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები.

სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ, დავით აღმაშენებლისა და თამარის მიერ საზღვრების გადაწევამ სამხრეთითა და აღმოსავლეთით, ქართველები ისევ დაუახლოვა ახლად მოგერიებულ თურქ-სელჯუკებს, ირანელებს, მუსულმანურ სამყაროს.

მეორე მხრივ – სამხედრო წარმატებებმა, ეკონომიკურმა აღმავლობამ შეარყია ასკეტური იდეალები. სასულიერო პირებიც კი დაინტერესდნენ ბერძნული წარმართული ფილოსოფიით.

წამოიწია მდიდრული ცხოვრების კულტი, საერო, მიწიერი ინტერესები, რაც მოჰქონდა ხმალშემართულ არისტოკრატიას.

ხალხის ბნელი წიაღი კი ისევ ინახავდა წარმართულ წარმოდგენებს.

ამის შედეგად შენელდა ბიზანტიური იმპულსები. ამიტომ იოლად მიიღეს სპარსული მუსულმანური პოეზია, რადიკალურად განსხვავებული ბიზანტიურ-ქრისტიანული ასკეტური იდეალებისაგან.

ამავე დროს ეს უნდა ყოფილიყო იმ შორეული, ათასწლოვანი კონტაქტების გახსენება, რაც ჯერ ქრისტიანებმა გაწყვიტეს, შემდეგ – არაბებმა და თურქ-სელჯუკებმა.

ჯვაროსანთა ლაშქრობით შერყეული მუსულმანური სამყარო, რომელმაც საქართველოსთან ორი დიდი ბრძოლა ერთბაშად წააგო (შამქორი და ბასიანი), საშიში აღარ ჩანდა. ეს კი უფრო შესაძლებელს ხდიდა კულტურულ სიახლოვეს (ნიკო მარი).

სპარსულ-მუსულმანური კულტურის მაშინდელი ცენტრი შირვანი საქართველოს ვასალი იყო (ნომადი ბართაია).

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ განვითარდა საერო მოტივები, ადამიანურ გრძნობათა მოდელირება, რომლის აპოთეოზია შოთა

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რენესანსული ტიპის პოემა (შალვა ნუცუბიძე).

როგორც ვთქვით, „ვეფხისტყაოსნის“ არცერთი პერსონაჟი ქრისტიანი არ არის, არც ქვეყნებია ქრისტიანული (არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი, ხორეზმი, მულღაზანზარი, გულანშარო), თუმცა ტექსტში ვლინდება ავტორის ქრისტიანული მსოფლმხედველობა (კ. კეკელიძე, ვ. ნოზაძე).

საუკუნეთა მანძილზე ქართველის რაინდულ და მეომარ სულს შთაგონებას აძლევდნენ წმ. გიორგის მსგავსი რუსთაველის უშიშარი, ბოროტების მძლეველი გმირები, ქალისადმი პატივისცემას აყალიბებდნენ ღვთისმშობელ მარიამის, წმ. ნინოს, თამარის, ნესტანისა და თინათინის სახეები.

აღმოსავლური ქვეყნებისადმი, არაქრისტიანული მოტივებისა და იდეალებისადმი ინტერესის გამოვლენა იყო ზოროასტრულ-სპარსული „ვისრამიანის“ პროზაული თარგმანი (სარგის თმოგველი), რომელიც ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი გახდა საქართველოში, მოსე ხონელის საგმირო-საფალავნო “ამირან დარეჯანიანი“.

ეს იყო ახალი ნაკადი ქართულ კულტურაში, რომელმაც გააწონასწორა რელიგიური ასკეტიზმი.

ასეთი კულტურის შემოქმედი ვერ იქნებოდა ბნელი სენაკის მკვიდრი, რომელსაც აკრძალული ჰქონდა ცეკვა-თამაში, სიმღერა და გართობა, საგმირო და სამიჯნურო ამბების თხზვა, სიცოცხლით თრობა, არაქრისტიანული ამბების გადმოცემა. კულტურშემოქმედი მონასტრიდან გამოვიდა. იგი გახდა საერო პირი – მეფე, თავადი, აზნაური, ვაჭარი,რომელსაც შეეძლო ფიქრი რელიგიურ იდეალებზეც და მიწიერ ვნებებზეც, სიყვარულსა და სიკვდილზე, ვერაგობასა და ერთგულებაზე, სიკეთესა და სიბილწეზე.

ქრისტეს ჯვარცმასა და ცად ამაღლებაში, წმ. გიორგის მიერ დრაკონის ძლევასა და შემდეგ მის წამებაში ქართველი თავის ბედისწერას ხედავდა. სულიერება შეივსო ხორციელობით, ზეციური – მიწიერით, ღვთაებრივი – ადამიანურით.

ამავდროულად ქართველი ბერ-მონაზვნები ისევ მოღვაწეობდნენ ათონის მთაზე, პეტრიწონში, კონსტანტინეპოლში, იერუსალიმში, შავ მთაზე, ადგილობრივ ეკლესია-მონასტრებში, კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით უძღვებოდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებს, წერდნენ, გადაწერდნენ, თარგმნიდნენ.

გამარჯვებული სახელმწიფო, მეფე, ჯარი, ციხე-სიმაგრეები უზრუნველყოფდნენ ხალხისა და კულტურის დაცვას.

ჯვარცმულის მიმართ რწმენა ისევ მტკიცე და ურყევი იყო, რომლის საფუძველზეც გაითავისეს და გაიაზრეს წარმართული ბერძნული და სპარსული მუსულმანური კულტურები.

ეს რწმენა გადარჩა აღმოსავლეთიდან შემოჭრილ დამპყრობლებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში, რომელთაგან ყველაზე დამანგრეველი აღმოჩნდა თემურ-ლენგის შემოსევები (XIV ს.).

ქრისტიანობას აცოცხლებდა მუსულმანობასთან დაპირისპირება.

რელიგია თავდაცვის იარაღად იქცა, თუმცა არეულ დროში თავად რწმენასაც ბზარი გაუჩნდა. ამიტომ შენიშნავს თეიმურაზ პირველი: „არვის უნდა სახარება“, „დალპეს ბევრი საღმთო წიგნი“.

მაგრამ მანამდეც, მონღოლთა ბატონობის დროიდანვე, დაიწყო ქართული კულტურის რეგრესი, რაც ვერ შესცვალა ვერც ქვეყნის აღდგენამ, ვერც ეკონომიკურმა აღმავლობამ.

თითქოს ერმა ამოწურა სასიცოცხლო ძალა და დაკარგა ძველებური აღმაფრენა.

დაღლილი ქვეყანა წასაქცევად იყო განწირული.

როცა XV საუკუნეში დაეცა კონსტანტინეპოლი და დაიშალა საქართველო, როცა მუსულმანური სამყაროს რკალში აღმოჩნდა ქვეყანა, კულტურა მკვეთრად გადაიხარა სპარსეთისაკენ, აღარ გააჩნდა შინაგანი საყრდენი.

დასავლეთის კარები დაიხურა, შავი ზღვა კიდევ უფრო გაშავდა.

* * *

ოსმალეთს ისეთი არაფერი ჰქონდა, გარდა ქონებისა და სამხედრო ძალისა, რომ მიეგბაძათ, ხოლო სპარსული კულტურა ახალი ბრწყინვალებით იზიდავდა ინტელექტუალებს. ძირითადი ელიტა კვლავაც ქრისტიანი იყო. მაგრამ კულტურა ტიპოლოგიურად სპარსულ არეალში მოექცა, რადგან სასულიერო მწერლობას უკვე აღარ ჰქონდა მამოძრავებელი იმპულსები.

ახლა სპარსული ლიტერატურა ითარგმნებოდა.

გმირობისა და სიყვარულის მაგალითებს, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ მსგავს პერსონაჟთა სახეებს ომის ქარცეცხლში გახვეული ხალხი ხედავდა ფირდოუსისა და ნიზამი განჯელის პოემებში.

მათგან მიღებულ შთაგონებას, ძალასა და ენერგიას ისევ მუსულმანების წინააღმდეგ ომებში ხარჯავდნენ.

XVI საუკუნიდან ოსმალებმა მიიტაცეს სამხრეთი საქართველო, ბაგრატიონების, გრიგოლ ხანძთელისა და შოთა რუსთაველის მიწა. მოსახლეობა გაამუსულმანეს. შაჰ-აბასმა 1614-1617 წლებში ირანში გადაასახლა 200.000 ქართველი, რომელთა შთამომავლები დღესაც არ კარგავენ მშობლიურ ენას.

როგორც აღნიშნავენ, ამჟამად მსოფლიოში ცხოვრობს მეტი მუსულმანი ქართველი, ვიდრე ქრისტიანი. მაგრამ მუსულმანური ქართული კულტურა არ არსებობს.

ესეც ცხადყოფს, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურისათვის რელიგიასა და სახელმწიფო წიაღს.

ელიტისათვის, მეფეებისა და დიდებულებისათვის XVI-XVIII საუკუნეებში სანიმუშოდ იქცა სპარსული კულტურა, სპარსული ენა, ხშირად – ცხოვრების წესიც.

რომ არა შაჰების სისასტიკე, შეიძლება ქართლ-კახეთი სპარსეთის ერთ რეგიონად ქცეულიყო, მაგრამ სთიშავდათ სისხლი და შურისძიების გრძნობა.

თვით თეიმურაზ I, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი და მუსულმანობის მაწყევარი, რომელიც მთელი სიცოცხლე სპარსეთს ებრძოდა და ასტრაბადის ციხეში აღესრულა, ვისი შვილები, დედა ქეთევანი და მრავალი ახლობელი ამ ბრძოლებს შეეწირა, პოეზიაში სპარსული ენისა და კულტურის მეხოტბე იყო.

წარმოიქმნა ქრისტიანულ-მუსულმანური ჰიბრიდი.

ქართველები აქტიურად ერეოდნენ თავად ისპაჰანის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაშიც, ინტრიგებსა და აღმშენებლობაში, დაცვასა და საზღვრების გადაწევაში.

მხოლოდ დავით გურამიშვილი იწყებს დაცილებას სპარსული კულტურისაგან. მაგრამ იგი არ ცხოვრობდა საქართველოში და, შესაბამისად, მის პოეზიასაც გვიან გაეცნენ.

ერთი მხრივ – სპარსეთთან სიახლოვემ გამოაცოცხლა მიმქრალი ქართული კულტურა, მეორე მხრივ – განვითარების პერსპექტივა მოუსპო, როგორც ოდესღაც ელინურმა და ირანულმა.

რჩებოდა ეპიგონობის გზა.

კულტურის ცენტრი უკვე არა მონასტერი, არამედ – ქალაქი იყო, კერძოდ – თბილისი. მაგრამ თბილისს ქართული ქალაქი მხოლოდ სიმბოლურად თუ ეთქმოდა. მაგ., 1700 წელს აქ ცხოვრობდა 10% ქართველი, 1803 წელს – 30%, 1910 წელს – 17,7% (პაატა გუგუშვილი).

არაბების ოთხასწლოვანმა ბატონობამ, შემდეგ – ხშირმა შემოსევებმა, ნგრევამ და ხოცვა-ჟლეტამ ქართველებისაგან დაცალა გორგასალის ქალაქი.

აქ დაემკვიდრნენ ვაჭარ-ხელოსნები – ლტოლვილი გრიგორიანელი სომხები და მუსულმანები, რომელთა შერევამ ქართველებთან წარმოშვა ჰიბრიდული კულტურა, სპეციფიკური ფოლკლორი, ნარევი მეტყველება, ლექსი, ცეკვა-სიმღერა.

რომ არა მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის მყოფობა, თბილისი აღარც სიმბოლურად იქნებოდა ქართული.

კულტურის ასეთი ცენტრი ვერ შესძლებდა ქართული იდეისა და სულიერების წარმართვას.

ამ როლს უფრო პერიფერია ასრულებდა, სადაც თავადი, გლეხი თუ აზნაური ინახავდა ენას, წარმართულ-ხალხურ და ქრისტიანულ ტრადიციებს, ერთიანობის რწმენას, ცეკვასა და სიმღერას, ლექსსა და ლეგენდას, არქაულ ტოპონიმიკასა და ონომასტიკას (მაგ., მგელიკა, ძაღლიკა, დათვია, ტოტია, ჯოღორია), გადასცემდა თაობიდან თაობას.

მაგრამ მთასა და ბარშიც მძლავრობდა თურქულ-სპარსული იატაგანი და ცალკეულ პირთა ნიჭი და თავგანწირვა ბედის ბორბალს ვერ შეატრიალებდა.

ერთხანს, ვახტანგ VI-ის დროს, როცა წიგნების ბეჭდვა დაიწყო, თითქოს ისევ გამოცოცხლდა ქართული სული.

მაგრამ მეფის პოლიტიკური შეცდომის მსხვერპლი გახდა ქართლი და თავადაც.

ვახტანგ VI 1200-კაციანი ამალით რუსეთს შეაფარა თავი და თან წაიღო ქართული კულტურა.

თბილისი თურქებსა და ყიზილბაშებს დარჩათ.

საქართველო, ქართული კულტურა ასცდა ევროპის მაგისტრალს. ეს მაშინ მოხდა, როცა თავად სპარსეთსაც კრიზისის ჟამი დაუდგა. ეს იყო ჩიხი. კათალიკოს ანტონ პირველის ევროპეისტულ ცდებს, კლასიციზმის პრინციპების შემოტანას არ შეეძლო საზოგადოების შემობრუნება, ისევე როგორც არჩილ მეფის „მართლის თქმის“ პრინციპს.

ქართულ კულტურას არ ჰქონდა შესაბამისი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა. ეს იწვევდა ცივილიზაციურ ჩამორჩენას. ორივე ფაქტორი კი დროთა მანძილზე დაბლა სწევდა კულტურულ აქტივობასაც, ზემოქმედებდა ფსიქიკასა და ხასიათზე. ქართველი კანონს იოლად არღვევდა, რადგან იგი უცხოსა და დამპყრობელთან ასოცირდებოდა; ვაჭრობას არ ეტანებოდა, რადგან ეს სომხის თვისებად მიაჩნდა; ფიზიკურად კი გლეხს უნდა ეშრომა.

სწრაფვას ძალაუფლებისა და ქონებისაკენ მშობლიურ გარემოში ასპარეზი აღარ ჰქონდა. ამიტომ უცხო სივრცეში ჰპოვებდნენ ოცნე-

ბის რეალიზებას (სპარსეთი, თურქეთი, რუმინეთი, ეგვიპტე, ერაყი, რუსეთი).

* * *

ქართველი ხალხი ისევ არჩევანის წინაშე დადგა – მუსულმანური სპარსეთი თუ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რუსეთი, რადგან ყველა ხედავდა, რომ დაშლილ, მრავალგზის დარბეულ ქვეყანას ძალა არ ყოფნიდა აგრესიის შესაჩერებლად, თავის გადასარჩენად.

დაწყებული VII საუკუნიდან ქართველ ხალხს მუსულმანთაგან მხოლოდ ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და წარტყვევნა ახსოვდა.

ამ სასტიკ ჭიდილში საქართველო დამარცხდა. რჩებოდა იმედი, რომ იქნებ ჯვარის ძალას ქვეყანა რუსული ხიშტით დაეფარა.

ამიტომ, 1801 წლიდან, ნაწილ-ნაწილ, მაგრამ ადვილად გადაყლაპა ორთავიანმა არწივმა საქართველო. თეთრი ხელმწიფისაკენ ისედაც ილტვოდნენ კახეთის, ქართლის, იმერეთის მეფეები.

მიუხედავად გლეხთა მრავალგზის აჯანყებისა, ქართველთა დამცირებისა, თავადაზნაურთა ერთი უნიათო შეთქმულებისა, სწრაფი ტემპით გავრცელდა რუსიფიცირება.

ისპაჰანი პეტერბურგმა შეცვალა. დაიწყო ევროპეიზების პროცესი.

გაბაასება, ხილთა ქება, ანბანთქება, ვარდი და ბულბული, ოსმალეთი და სპარსეთი დავიწყებას ეძლეოდა. ახლა სანიმუშო გახდა რუსული ენა, რუსული კულტურა, გენერლის მუნდირი, რუსული ქცევის წესები, ფრაკი და კოსტუმი, ბაბთა და გალსტუკი.

ქართველები თავიანთ ერთგულებას ხმლითა და დაღვრილი სისხლითაც უცხადებდნენ იმპერატორს; მეოცნებენი რუსული პრიზმიდან ჭვრეტდნენ რომანტიკულ ცისფერ ყვავილს, დასავლურ, უცნობ სამყაროს.

ევროპის შუქი ჯერ პეტერბურგის ტაძრებს ანათებდა და მისი ათინათი შემდეგ ეცემოდა მთაწმინდის კალთებს.

დარიალიდან შემოსული რუსულ-ევროპული რომანტიზმი ქართული სატკივარით გაიჟღინთა, დაერთო პოლიტიკური სევდა, ამაოებაზე ფიქრი (მაგ.,ნიკოლოზ ბარათაშვილი).

სამხედრო არისტოკრატია ნელ-ნელა სტოვებდა ასპარეზს. ახალი დრო წიგნის ხალხს მოუხმობდა, ძველ რომანტიკას ძალა ეცლებოდა.

ქართული ენა, ოცნება, მიზანი, ლიტერატურა და ხელოვნება რადიკალურად უნდა შეცვლილიყო, დაახლოებოდა რეალობას, რათა ეპოვნა პერსპექტივა, დაესახა სამოქმედო იდეალები.

ეს შეძლეს რუსულ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა „თერგდალეულებმა“.

შვილები აღდგნენ მამების წინააღმდეგ.

პეტერბურგში განსწავლული ახალი თაობა ეჭვით უყურებდა ცარისტულ კოლოსს და ფიქრობდა ხალხის კულტურით გათვითცნობიერებაზე.

ეს შეეძლო სიტყვას, გაზეთს, წიგნს, ბანკს, თეატრსა და სკოლას, მწერალსა და ჟურნალისტს, წერა-კითხვის მასობრივ გავრცელებას.

ხელოვნებასა და მეცნიერებას მიეცა განმანათლებლური და დიდაქტიკური ხასიათი.

კულტურა უნდა დამყარებოდა არა გვაროვნულ არისტოკრატიას, არამედ – ინტელიგენციას, ქვეყანა – კლასთა თანხმობას, – როგორც ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე ან უკუქცეულიყო არქაული ძირებისაკენ (ვაჟა-ფშაველა). ხმალი კალამს უნდა შეეცვალა.

შემდეგ „თერგდალეულთა“ განმანათლებლობას შეენაცვლა „რაინდალეულთა“ რეალური პოლიტიკა და კულტურული აქტივობამ დიდაქტიკას – ესთეტიზმი.

ბურჟუაზიულ ურთიერთობას ცივილიზაცია მოჰქონდა, რაც კლასთა დაპირისპირებაში გამოვლინდა და კულტურაშიც აისახა. ევროპა გახდა ახალთაობის ორიენტირი (პარიზი, მიუნხენი, ბერლინი), რომელმაც პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერული აზრი განყო და ახალი შუქით შემოსა.

ისევ აღდგნენ შვილები მამების წინააღმდეგ.

დაიწყო ქართული სულის რენესანსი, რომელსაც პოლიტიკური პარტიები და შემოქმედებითი ძალები ერთმანეთის პარალელურად ქმნიდნენ, რათა ხალხი კრიზისიდან, კულტურა – ჰერმეტიზმიდან გამოეყვანათ.

ქართული მოდერნიზმი და ავანგარდიზმი რუსული სფეროდან ევროპულში (გერმანული და ფრანგული) გადავიდა (გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია).

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმაც რუსულ ბოლშევიკურ სოციალიზმს ევროპული დემოკრატიული სოციალიზმი არჩიეს და ქვეყანა რუსეთიდან გამოყვეს (ნოე ჟორდანია).

შავი ზღვის ტალღებს რომანტიკული ლურჯი ფერი დაეცა.

იმ დროს, როცა მსოფლიოს ომისა და რევოლუციების გრიგალი არყევდა, ქართული ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება უჩვეულო აღმავლობას მოეცვა.

ახალი თაობის ქართველი პოლიტიკოსები იკავებდნენ რუსეთის ავანსცენას (მაგ., კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი).

ქართული ცნობიერება ევროპული სინკრეტისტული კულტურის ნაწილი ხდებოდა. მაგრამ ბოლშევიკებმა წითელი მარყუჟი ჩამოაცვეს ქვეყანას და თავიანთ სამსხვერპლოზე მიიყვანეს.

ისინი არა მხოლოდ მამების, არამედ – ისტორიისა და ადამიანის ბუნების წინააღმდეგაც აღდგნენ.

ევროპეიზმი ქართულ პოლიტიკასა და კულტურაში დამარცხდა.

* * *

დადგა სოციალისტურ-ათეისტური კულტურის სამოცდაათწლეული.

ახლა კრემლის წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი ანათებდა საქართველოს მთა-გორებს.

ნაციონალიზების პათოსი მაინც ძლიერი იყო. კულტურის მოღვაწენი აგრძელებდნენ 60-იან წლებში დაწყებულ და XX საუკუნის 10-იან წლებში განმტკიცებულ ეროვნულ ხაზს, რაც გულისხმობდა ქართული კულტურის უნივერსალიზებას, მისი ტრადიციების მოდერნიზებას, სიახლეთა დამკვიდრებას, რათა ქვეყანას, რომელსაც დიდი წარსული ჰქონდა, არც მომავლის კარი დახშოდა.

როგორც კულტურშემოქმედს, ისე რიგით მოქალაქეს სიდიადის ილუზიას უქმნიდა, რომ უდიდესი ქვეყნის სათავესთან იდგა ქართველი სტალინი, ვინც არნახული ცხოვრების გზას კვეთდა.

ამ რწმენას განამტკიცებდნენ მითით, რომ ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციას უძველეს დროში დასაბამი მისცეს ბელადის წინაპრებმა – იაფეტურმა თუ იბერიულმა ტომებმა – კავკასიაში, მცირეაზიაში, ბალკანეთზე, აპენინებზე, პირენეიზე (სიმონ ჯანაშია), რომ უდიდესი თეოლოგი ქართველი იყო, რომ ევროპულ რენესანსს წინ უსწრებდა აღმოსავლური რენესანსი (შალვა ნუცუბიძე), რომ საქართველოს ჰყავდა უდიდესი მონარქი (კონსტანტინე გამსახურდია), რომ ქართული ანბანი შეიქმნა ძვ. წ. VII საუკუნეში (ივანე ჯავახიშვილი), რომ ჰომეროსის დაქტილურ ჰეგზამეტრს ქართული საწყისი აქვს (პანტელეიმონ ბერაძე)...

ასეთი ტრადიციების მქონე სტალინის სამშობლოს წართმეული ტერიტორიებიც უნდა დაბრუნებოდა (ლავრენტი ბერია).

ბოლშევიკური მითოსის საპირისპიროდ კი, რეალობაში, თუმცა როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მსხვერპლი დიდი იყო, თუმცა მსოფლიო ომებსა და რეპრესიებს შეეწირა ასეულ ათასობით ქართველი, თუმცა ხალხს წაართვეს რელიგია და ეროვნული ტკივილების ხსენება აუკრძალეს, კულტურამ შეძლო სათავისოდ გამოეყენებინა საბჭოური დოგმები, მატერიალურ-ეკონომიკური ბაზისი და ჩაკეტილ, პოლიციურ სივრცეში განავითარა მრავალი დარგი, მეცნიერება და ხელოვნება, შეინარჩუნა ენა, ტრადიციები და აღიარებასაც მიაღწია.

XX საუკუნის საქართველოში შეიქმნა დიდი და მრავალსახოვანი კულტურა, რომელიც უფრო ევროპას უკავშირდებოდა, ვიდრე რუსეთს.

ამგვარი მიმღეობა, ქალური ხასიათი, სწორედ ეს ელასტიურობა და შემგუებლობა ინახავდა ქართველობას, ქართულ კულტურას. ქართული კულტურა ამიტომაც სწრაფად ითვისებდა ყოველ სიახლეს, ასევე სწრაფად აძლევდა ეროვნულ ელფერს, ეროვნულ სახეს: უცხოური ისევ სანიმუშო იყო, მაგრამ იგი უნდა გაქართულებულიყო.

ქრისტიანული ტრადიციები და ქალის კულტი, მუდმივი ბარბაროსული შემოსევები, თავგანწირული ბრძოლები და გმირის კულტი, წარმართულ-ხალხური ლექსი, ცეკვა და სიმღერა, სიახლოვე მუსულმანურ სპარსეთთან, ბიბლია, „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“, შემდეგ – რომანტიზმი და მოდერნიზმი, რევოლუციური იდეალები და ამ იდეალების მსხვრევა ქართულ კულტურას სინკრეტულ ხასიათს აძლევდა, აყალიბებდა რომანტიკულ-ჰეროიკულ სახეს.

რომანტიკულ-ჰეროიკულია ქართული ლიტერატურა, მისი მთავარი პერსონაჟები, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი, ბალეტი, კინემატოგრაფი, ეტიკეტი, ცხოვრების წესი, მიმართება წარსულთან, სწრაფვა მომავლისაკენ.

* * *

XX საუკუნის დამლევს ქვეყანამ კიდევ ერთხელ აღიდგინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა (ზვიად გამსახურდია). მაგრამ ქაოსურ ატმოსფეროში კულტურამ რეგრესი განიცადა: ვერც თავისუფლების მოპოვებამ, ვერც ქრისტიანული რწმენის დაბრუნებამ, ვერც ევროამერიკულ სამყაროსთან დაახლოებამ, ვერც შიდა ტრაგედიებმა ჯერჯერობით შთამაგონებელი, მაცოცხლებელი, განმაახლებელი სტიმული ვერ მისცა.

ქართულ კულტურას ხალხი და შემოქმედი ვერ პატრონობენ.

ნაციონალიზმი შეცვალა ნიჰილიზმმა.

მთელი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხი გადასარჩენად სისხლს ღვრიდა, კარგავდა ტერიტორიებს, მაგრამ არ თმობდა თავისუფლების იდეას, რელიგიას, ენას, ლიტერატურას, რამაც იხსნა ასიმილირებისაგან.

ამრიგად, ქართულმა კულტურამ გამოიარა ხურიტული, ელინური, ირანული, ბიზანტიური, სპარსული, რუსულ-ცარისტული, რუსულ-ევროპული, რუსულ-კომუნისტური პერიოდები, მაგრამ შეინარჩუნა თავისთავადობა, გაიაზრა ის სიახლე, რაც დროს მოჰქონდა, შეინარჩუნა მართლმადიდებლობა და ასე შეუერთდა ევროპელ ერთა დიდ ოჯახს, რომლის ნაწილადაც თავს ყოველთვის გრძნობდა.

III. აზროვნების პროცესი: სულის მოდელირება

ინტელექტუალთა წრე

კულტურას, სულიერს თუ მატერიალურს, რელიგიურს თუ ლიტერატურულს, ქმნის ადამიანთა მცირე ჯგუფი, მაგრამ მის ფორმირებასა და გავრცელებაში ერთვებიან სხვებიც. საზოგადოების უდიდესი ნაწილი მასში არ მონაწილეობს.

ისინი ამთვისებლები არიან, მტარებლები არიან, მეტ-ნაკლებად რომ იცავენ ტრადიციებს და კრძალავენ მათგან გადახვევას. შეიძლება, როგორც გამონაკლისი, თავად დაარღვიონ, მაგრამ სხვებისადმი კონსერვატიზმს ინარჩუნებენ.

ეს კონსერვატიზმი არის კულტურის მდგრადობა. მის გარეშე სულიერი მემკვიდრეობა, ეროვნული თუ საკაცობრიო, ვერ იარსებებს.

მცირე ჯგუფის – შემოქმედ ინტელექტუალთა წარმოდგენები, ფორმირებული ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები, ცხოვრების წესი, პოლიტიკური და რელიგიური იდეალები, ესთეტიკური ხედვა და საგნები გადაეცემა აღზრდის გზით შთამომავლობას, გადაეცემა მასებს, მის ცალკეულ ფენებს.

ამიტომ კულტურის პროგრესისათვის, შექმნისა, შენახვისა და გავრცელებისათვის მთავარია ინტელექტუალთა ვიწრო წრე. მაგრამ იგი მატერიალურ ძალად მაშინ იქცევა, როცა მასებს დაეუფლება, მასებს შესძრავს და დაიმორჩილებს.

ეს არის კულტურის, მისი ცალკეული დარგების სიცოცხლისუნარიანობა. სხვა მხრივ – რაც უნდა ჭკვიანურად, ესთეტიკურად იყოს მოფიქრებული კონცეფცია ან შეიქმნას საგანი, საერთო კულტურის ნაწილად ვერ იქცევა, პროცესში ვერ ჩაერთვება.

იგი დარჩება როგორც საინტერესო ექსპერიმენტი, რომელმაც ვერ გაამართლა, ანუ, როგორც იტყვიან – ვერ ჰპოვა აღიარება.

რელიგიური წარმოდგენების, ხელოვნების ნიმუშების, ქცევისა და ზნეობის ნორმების, ადათ-წესების შექმნა მუდმივი პროცესია, უწყვეტი მოძრაობაა, რაც მათ შენახვასა და დაცვას ნიშნავს შთამომავალთა მეხსიერებაში.

კულტურის ყოველ სახეს, ყოველ ფორმას იგონებს ინდივიდი, მაგრამ იხვეწება ინტელექტუალთა წრეში, საზოგადოების ზემოქმედებით, მათ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

მაგ., არქიტექტურა, რომელიც გამოვიდა საკულტო მოთხოვნილებიდან, თანდათან გადავიდა მასებში, მოახდინა მათი წარმოდგენების მატერიალიზება, დროის შესაბამისი მოდელირება და ფორმების დიფერენცირება.

თავად შექმნის პროცესი არის აზროვნება.

კულტურის ყოველ საგანს, ადამიანის ინტელექტუალურ მოქმედებას აქვს მიზანი და დანიშნულება. ამის მიხედვით განარჩევენ სხვადასხვა ტიპის აზროვნებას – ხატოვანს, პრაქტიკულს, შემეცნებითს. მათ უმაღლეს სახეს ავლენენ შემოქმედი ინტელექტუალები, ახალი დროის ინიციაციით ხელდასხმულნი, იდუმალი მისტერიით განდობილნი.

1. აზროვნების ტიპები

კულტურას ქმნის და წარმართავს აზროვნება.

აზროვნება თავის ტვინის თვისებაა. იგი ემყარება აღქმას, შეგრძნებებს, მეხსიერებას, ასოციაციურად პოულობს რეალურ თუ ილუზიურ კავშირებს საგანთა შორის, ასახავს მათდამი მიმართებებს, ემოციურ დამოკიდებულებას.

ჩვეულებრივ, აზროვნებას მეტყველებასთან ერთად წარმოიდგენენ, მათ განუყოფელ მთლიანობას სცნობენ.

ენა არის სააზროვნო ბაზა, იგი ვლინდება ფიქრით, ოცნებით, ჰალუცინაციით, განსჯით თუ მოქმედებით. მაგრამ ენასაც აქვს სხვადასხვა დონე – იგი არის კომუნიკაცია, ფიქრის პროცესი, ასოციაციური კავშირები, საგნის შეცნობა თუ ემოციური წარმოსახვა, აფექტების გამოხატვა.

მხატვრული აზროვნება

მხატვრული აზროვნება იგივე ხატოვანი აზროვნებაა, საკუთარი განცდების სიმბოლური წარმოდგენა.

რელიგიისა და ხელოვნების დარგების პირველსახე, როგორც ვაჩვენეთ, არის კაცთშეწირვის რიტუალი, რომლის სინკრეტიზმი დაიშალა და სულში ჩაიძირა. მას აღადგენს და სიმბოლური ფორმებით ააქტივებს კულტურშემოქმედი.

ხელოვანი აზროვნებს ხატებით (სურათებით). ხატებს აქვთ ნიშანი და მნიშვნელობა, ისინი ასოციაციურად უკავშირდებიან ერთმანეთს. ასოციაცია გამოდის საგნის ერთი, შეიძლება სულაც ფარული ნიშანთვისებიდან.

მხატვარი აზროვნებს ფერებით, კომპოზიტორი – ბგერებით, პოეტი – სახეებით, მოცეკვავე – რიტმული ფიგურებით, არქიტექტორი – ხაზების პროპორციით, მსახიობი და რეჟისორი – ამ ნიშანთა სინთეზით.

რელიგიაც მხატვრულ-ილუზიური სამყაროდან ამოდის (მაგ., ავესტა, ბიბლია, ყურანი), იტვირთება ჰალუცინაციების მსგავსი მისტიკური წარმოსახვების სისტემატიზებით, სიმბოლური დოგმატებით, მართავს რიტუალურ დღესასწაულებს, წირვასა და ლოცვას, ჯვარისწერის, ნათლობის, გასვენების პროცედურებს, უგალობს

ღმერთს, ანგელოსებს, მოციქულებს, მარტვილებსა და წმინდანებს, ხატავს მათ სახეებს.

ლიტურგიის პროცესი სრულდება, როგორც სპექტაკლი.

მას ჰყავს რეჟისორი, აქტიორები, მსმენელ-მაყურებლები, აქვს სცენა და დარბაზი, სამოქმედო სიუჟეტი, როგორც ეს იყო წარმართულ რიტუალებში.

ყოველი სიახლე სწრაფად ძველდება, შეეზრდება ტრადიციას, მისი ნაწილი ხდება. მაგ., მაქს რაინჰარტმა შემოიღო მბრუნავი სცენა; ანტიკურ თეატრში, იაპონურ კაბუკში ქალის როლს კაცი ასრულებდა; კლასიცისტური დრამისა და თეატრისათვის სავალდებულო იყო ადგილის, დროისა (24 საათი) და მოქმედების ერთიანობა; ძველ რომში პირველად დაუშვეს ფარდა, ხოლო 1829 წლიდან დეკორაციების შესაცვლელად იქნა იგი გამოყენებული.

მწერლისათვის წარმოსახული სამყარო სიტყვებში გადადის, სიტყვა აყალიბებს ილუზიურ, სინამდვილის მსგავსი ქვეყნის ანაბეჭდებს.

მაგრამ ხელოვანის აზროვნების მიზანი არის გრძნობადი, ემოციური მიმართებების შექმნა, რათა ის, რასაც თავად გრძნობს და განიცდის, გადასცეს სხვას – მკითხველს, მსმენელს, მაყურებელს, ოღონდ ეს ხდება ესთეტიკური კატეგორიებით, ესთეტიკური გაშუალებით, შთაგონებით, რაც იწვევს ფსიქიკური არქეტიპების გააქტივებას.

ამისათვის მიმართავს სიტყვას, ხმას, ფერებს, ხეს თუ ქვას, სპეციფიკურ ენასა და სტილს, დრამატულ და კომიკურ სიუჟეტებს, პერსონაჟთა მასას. ასე უფრო მძაფრად აღიბეჭდება ადრესატის მეხსიერებაში შემოქმედის სულის დრამა.

მხატვრული აზროვნება ლიტერატურაში, პროზასა, პოეზიასა და დრამატურგიაში ემოციების გააზრიანებით ავლენს მრავალგვარ პირობითობას, საგნის ფარულ თუ ასოციაციურ ნიშან-თვისებას, რაც გულისხმობს ფსიქიკურ წარმოდგენათა თამაშს, მიამიტურ და გუ-

ლუბრყვილო დამოკიდებულებას, როცა არ იჭრება არსში, არამედ – სურათებით მეტყველებს, ხატავს და მოძრაობს.

ამგვარ პირობითობას ჰქვია ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, სიმბოლო, ალეგორია, სიუჟეტი, პერსონაჟთა ხასიათი, როცა წარმოსახვაში საგნები ასოციაციურად მოძრაობენ, ერთმანეთს წაებმიან და გრძნობას აღგვიძრავენ.

არც ესენია უცვლელი. ყოველ სტილსა და მიმდინარეობას შემოაქვს ახალი გაგება, ახალი პირობითობა: რეალისტი მწერლის ესთეტიკა სიმბოლისტისათვის გაუგებარია; ფუტურისტული ზაუმი მკითხველს არ აინტერესებს; სოციალისტური რეალიზმის ტრაქტორი და სოცშეჯიბრება დღეს პაროდიულად აღიქმება; დეტალების სიზუსტე, რეალობის ასახვა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურისათვის უცხოა; სპარსული პოეზიის პირობითობაში გაზვიადების მიზანი ფაქტის გამძაფრებაა.

„გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბაღი შეღმა შე-რა-შენდა“, – წერს რუსთაველი; შექსპირისათვის ამგვარი სიტყვიერი არტისტიზმი უცნობია. მას სულში გათამაშებული დრამის რაციონალური გადმოცემით მივყევართ ტრაგიკული ფინალისაკენ, როცა სიტყვა ერწყმის მოქმედებას.

ყველა დროის სიტყვის ოსტატი გამოდის თავისი ეპოქის გემოვნებიდან, შემდეგ მას გადააკეთებს ან მძაფრად აღბეჭდავს. ხოლო ძველი დროის ესთეტიკის აღდგენა ან ფორმების რესტავრაცია მოწყვეტილია ცხოვრებას და მხოლოდ ინტელექტუალთა ოცნებაა. მაგ., კლასიცისტური პრინციპები, სამი სტილის თეორია, ძველბერძნული ჰეგზამეტრის გადმოტანა, რუსთაველის სტილისა და ესთეტიკის გაგრძელება XVI-XVIII საუკუნეთა ქართულ ლიტერატურაში.

ასევე იქცევა კომპოზიტორი, არქიტექტორი, მხატვარი თუ მსახიობი.

გრძნობათა გარდასახვა ყველგან არსებობს, რაც თამაშია. მაგრამ აქ მთავარი არის არა თამაში, არამედ – ბრძოლა, ვნებათა და აზრთა შეჯახება, მათი ჭიდილის გამოსახვა, რამაც წონასწორობა უნდა და-

ურღვიოს ამთვისებელს, თავი მოაწონოს, აღაფრთოვანოს, სინანული მოჰგვაროს, შეაყვაროს, შეაძულოს ანუ მოხდეს სტატიკური განწყობილების შეცვლა, ახალი ენერგიით დამუხტვა.

ასოციაციათა თამაშით, მეტაფორულ-სიუჟეტური თხზვით, რეალობის მიამიტურ-ილუზიური აღქმით გვეძლევა ბრძოლის, შფოთვის და ღელვის იმიტაცია, რაც გადადის ადრესატის სულში, ფსიქიკურ წარმოდგენებში.

ესთეტიკურ განცდათა გააზრიანება მისი პირველსახეების, არქეტიპული საწყისების პოვნა და მათი კავშირ-მიმართებების ჩამოყალიბებაა.

მხატვრული აზროვნება თუ ესთეტიკურ გრძნობას არ აღძრავს, ფუნქციას კარგავს. იგი იქნება არა ნამდვილი, არამედ სუროგატი, რომლის შედეგი არავის აღელვებს (მაგ., ტაძარი, სიმფონია, ოპერა, თეატრალური სპექტაკლი, კინოფილმი, ცეკვა-სიმღერა, ლექსი, რომანი, ტრაგედია). ამიტომ განარჩევენ ესთეტიკურ ტალღებს, რომელთაც მოაქვთ განსხვავებული ემოციები – ლირიკული და ეპიკური, ტრაგიკული და კომიკური.

ხატოვანი აზროვნება ყველა ადამიანის თვისებაა. მაგრამ მისი უმაღლესი გამოვლენა ფიქსირდება ხელოვნებაში, რომელიც ამ საწყისს აძლევს მოწესრიგებულ ფორმას, აძლევს მიზანსა და დანიშნულებას.

სულიერება ყველაზე მეტად ვლინდება მხატვრულ აზროვნებაში, შესაბამისად – სურათებსა და სახეებში, რეალურად კი – ქცევასა თუ მორალში.

იგი უძველესი დროის რუდიმენტის სახით არსებობს ადამიანის ცნობიერებაში, მოდის ცხოველური ჟამიდან, როცა სიტყვა უდრიდა საგანს, ხოლო საგნებს შიშითა და ღელვით აღიქვამდა, ტაბუირებით გამოყოფდა მის არაარსებით, ფარულ ნიშანს, საგნის სიმბოლურ სახეს, სასურველს იახლოვებდა, საშიშს – ირიდებდა.

ხელოვანი ამას დღეს აკეთებს შეგნებულად, იცის, რომ ეს ლოგიკურად ასე არ არის ან შეიძლება არ იყოს, მაგრამ ლამაზად და

მშვენივრად, რიტმითა და ფერით არის მოწვდილი, როგორც „სიბრძნე სიცრუისა“ და „მშვენიერი ტყუილი“.

ველურისათვის კი ეს იყო რეალური ფიქრი, აღქმა და მოქმედება.

მხატვრული აზროვნება უცხოობს განსჯას, ცნებით მსჯელობას, აბსტრაქციებს, ლოგიკურ ტერმინებს. იგი ხატავს და ხატვით გვიჩვენებს, სურათებით გვარწმუნებს და გვაღელვებს.

ეს სურათები რიტმულად ჟღერენ და ფერებით ელავენ, ემორჩილებიან საგნობრივ სიმეტრიასა და პროპორციას, დინამიკას.

მაგ., ლევი-ბრიულის ცნობით, ერთ-ერთ ტომს ჰქონდა „თოვლის“ 41 სინონიმური სიტყვა. მაგრამ არ იცოდნენ თუ რა იყო თოვა, არ შეეძლოთ კონცენტრირებული, აბსტრაქტული აზროვნება და მხოლოდ ხედვითი ასოციაციებით ფიქრობდნენ, ემპირიულ ფაქტებს შორის კავშირს ვერ პოულობდნენ (დიმიტრი უზნაძე).

ჰქონდათ ცალ-ცალკე სიტყვები თევზის ან ხორცის ჭამის, აღმოსავლეთით ან დასავლეთით წასვლის შესაბამისი, მაგრამ არ იცნობდნენ ზოგადად „ჭამისა“ და „წასვლის“ ექვივალენტურ სიტყვებს.

ამიტომ პროტო-ენები შეიცავდა მრავალ სიტყვას, საგნის მრავალ ნიუანსს გამოხატავდა, მაგრამ მათი შერწყმით რომ საერთო ეპოვნათ, ეს არ შეეძლოთ.

ასე რომ მხატვრული აზროვნება ამოდის ასეთი და მსგავსი (რომლის მრავალი მაგალითი მოგვაქვს პირველ წიგნში) საგნების ერთი, ფარული და სიმბოლური ნიშნების ასოციაციებიდან, მათი სურათების ყნოსვით, ხედვით, სმენით, მოძრაობით გადაბმისაგან.

მხატვრული აზროვნება გრძნობათა ტალღის სახეებით, სურათებით, ასოციაციების გაშლა და დალაგებაა, სინამდვილის ანალოგიით სტილიზება (იხ. „იმპულსი, სიგნალი და ასოციაცია თხზვის პროცესში“).

მას აქვს საწყისი, განვითარება, დასასრული ანუ კომპოზიციური ჩარჩო. ტაძარი ამოდის ფუნდამენტიდან, რომელსაც ემყარება

კედლები, კარ-ფანჯრები, გუმბათი. მაგრამ მისი განფენა, სიმაღლე და სიგანე სასრულია.

იუველირი ოქროს ჯვარს, საყურეს ან ყელსაბამს რომ ამზადებს, თავიდანვე მოფიქრებული აქვს კომპოზიცია, ნივთის ზომა, დეტალების პროპორცია, პატიოსან თვალთა ფერი და ადგილი.

ოპერა სიმღერითა და მუსიკით შესრულებული მოქმედებაა.

თეატრში სიმღერას, არიას ენაცვლება სიტყვა-დიალოგი და მონოლოგი, ბალეტში – ცეკვით სტილიზებული მოქმედების გრადაცია.

სამივე მათგანი კი დრამა ან კომედიაა, რომელიც სიუჟეტური ხაზებით ავითარებს გრძნობიდან გამოსულ აზრს.

მუსიკა მოწესრიგებული ბგერითი მოდელებით, რიტმიკითა და მელოდიკით გადმოსცემს გრძნობათა ინტენსივობას, მოძრაობას, აჟღერებს საკრავი და ვოკალი. მუსიკა ახლავს არა მხოლოდ ბალეტს ან თეატრს, არამედ – პოეზიასა და პროზასაც. იგი იდუმალი მელოდიით გადმოდის ჩვენში და გადმოაქვს გრძნობითი ინფორმაცია, ერთვის და ცვლის ჩვენს იმპულსებს, სუნთქვას, გულისცემას, სისხლის მოძრაობას.

ხატოვან (მხატვრულ) აზროვნებას დღეს ერთვის ჭარბი ინტელექტუალური, შემეცნებითი ნაკადი, რითაც სახე ივსება ლოგიკური ცნებით, ნაივობა – რაციონალური განსჯით, ან კუბიზმის მსგავსი პირობითობით.

ამრიგად, ხატოვანი აზროვნება ხელოვნებისა და რელიგიის ენაა, კულტურქმნადობის საფუძველი, სურათების კონცენტრირება, სათქმელის სიმბოლური გაშუალება.

ცნებითი აზროვნება

ცნებითი აზროვნება გამოყოფს მეტყველების პროცესიდან სიტყვას, სიტყვათა ჯგუფს და მასში აქცევს აზრს, რაც არის ლოგიკური

განსჯის შედეგი. იგი მითოსურ-რელიგიური აზროვნების დაძლევაა, რაც ჩვენ ხატების სახით გადმოგვეცა. მას აინტერესებს ჭეშმარიტება, სიმართლე, რეალური საგანი. მხატვრული აზროვნება საგნებს ბურავს მშვენიერების სამოსელით და კონტურების ბუნდოვანებით, ბინდ-ბუნდის ფერებით აღწევს ემოციურ წესრიგს. ამიტომ შეიძლება მშვენიერი იყოს ყალბი ან ილუზიური, ხოლო ჭეშმარიტი – უინტერესო და უსარგებლო.

მას არ სჭირდება კონკრეტული საგანი ან სურათი, არამედ მათი გამაერთიანებელი ნიშანი, აბსტრაქცია, ზოგადი სახე. მას ვერ შევეხებით, არაა ნივთიერი, მაგრამ არსებობს ჩვენს ცნობიერებაში. მაგ., კონკრეტული გმირი, მაგრამ მისი განზოგადებაა გმირობა, კონკრეტულია მუხა, მაგრამ ზოგადია მცენარე.

როცა ზოგადი სახელები გადადიან აბსტრაქციაში, ვღებულობთ ცნებებს, რომელთა მეშვეობით მოაზროვნე სწვდება საგნის ან მოვლენის არსს. ასე იქცევიან მეცნიერები (მაგ., მათემატიკოსი, ფიზიკოსი). ისინი აყალიბებენ ცნებებს, რომელთაც მეტწილად ლათინური ან ბერძნული სიტყვით გამოსახავენ. ასე უფრო გასაგები იქნება იგი სხვა ენებზე მოაზროვნისათვის.

ცნებებს, ტერმინებს, აბსტრაქტულ მსჯელობას ყველაზე ადრე მიმართეს ფილოსოფოსებმა. ძველი დროის ფილოსოფია შემეცნების ყოველ დარგს აერთიანებდა.

შემდეგ ეს ინტელექტუალური მონაპოვარი დანაწევრდა, შეივსო ახალი ინფორმაციებით და დაიწყო სამეცნიერო დისციპლინების გამოყოფა (მაგ., ისააკ ნიუტონი თავის მიერ აღმოჩენილ ფიზიკის კანონებს ნატურფილოსოფიას განაკუთვნებდა).

ცნებითი ენა, ტერმინოლოგიური სტილი არა მხოლოდ ზოგადად არის სპეციფიკური, დაცილებული ხალხის მეტყველებისგან. იგი დიფერენცირებულია დარგების მიხედვითაც. მაგ., სპეციფიკურ ტერმინებს მიმართავენ ექიმი და ასტრონომი, მათემატიკოსი და ფსიქოლოგი, ლინგვისტი და ქიმიკოსი. ამიტომ ერთი დარგის სპე-

ციალისტი ვერ იგებს მეორე დარგის ენას (მაგ., ფილოსოფიის სფეროშიც კი).

დიფერენციაცია იმდენად ღრმად არის წასული, რომ ახალი ინტეგრირების გარეშე მეცნიერების ცალკეული სფეროები ჰერმეტული კვლევით იზღუდებიან.

ამგვარი ძიება მაქსიმალისტურია და აქვს პრეტენზია, რომ საკითხი ამოწუროს. ცალკეული დარგები (მაგ., ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა) ცნების სიზუსტისათვის მიმართავენ ფორმულებს. ფორმულას არა აქვს ენობრივი ბარიერი. აქ ბარიერს ქმნის სპეციალობა, ცოდნის სახე.

ცნების შემუშავების პროცესში თავს იყრის საგნის არსებითი ნიშნები. მათი განყენებით, ურთიერთშეფარდებით, გამოყოფით ვპოულობთ განმსაზღვრელ თვისებას.

ხოლო ასეთი ცნებების გამოყენებით, აბსტრაგირებული სიტყვებით ვმსჯელობთ, განვიხილავთ და, როგორც ლოგიკოსები ამბობენ, დაგროვილი წანამძღვრებიდან დედუქციის, ინდუქციისა და ანალოგიის ხერხებით მივდივართ დასკვნისაკენ.

ტერმინებიც ძველდება და ბერდება. მოაზროვნე მასში ვეღარ ატევს თავის სათქმელს, რადგან იგი სხვა ნიშანზე აკეთებს აქცენტს და ახდენს მის გააბსოლუტებას.

ამიტომ ძველი ცნება აღარ იწვევს ფანტაზიის გააქტიურებას. მაგრამ, ცხადია, ახალი ტერმინის შემოტანა არ ცვლის საგანთა კონფიგურაციას. განლაგება და თვისება იგივე რჩება, მაგრამ ახალი მათი აბსტრაქტული მოდელირებაა, რომელიც განსხვავებული კუთხით და განათებით გვახედებს რეალობაში.

ენა თავადაც შეიცავს შეცდომების წყაროს. ამიტომ მაქსიმალური სიზუსტით მსჯელობა შეუძლებელია. საამისოდ მიმართავენ მათემატიკურ ენას – ფორმულებს.

განსჯისა და მსჯელობის პროცესში თავად ძირითადი ტერმინების აზრიც ცვალებადია. ინდივიდს საყოველთაოდ ცნობილ და

მიღებულ ტერმინებში შეაქვს თავისი მსოფლგანცდა, ხედვა და ტემპერამენტი, აქცენტს აკეთებს ერთ, მისთვის მახლობელ ნიშანზე.

ეს იწვევს ტერმინის დეფორმირებას. ჩვენ ვმსჯელობთ ერთი და იგივე სიტყვებით, მაგრამ მათ მიმოქცევაში ვპოულობთ განსხვავებულ ნიუანსებს. მათი რიცხვი და მნიშვნელობა ზოგჯერ იმდენად მრავალგვარია, რომ ჭირს საერთო თანხმობის მიღწევა.

თვით ისეთი ცნება, როგორიცაა კულტურა, ათასამდე ინტერპრეტაციას ითვლის.

როგორც ვთქვით, ჟამთა დენაში იცვლება სიტყვების მნიშვნელობა (მაგ., სტილი ძველ ბერძნულში წაწვეტებულ ჯოხს ნიშნავდა). ყოველ თაობას მათში შეაქვს ახალი ნიუანსები. ასევე იცვლება ცნებები, როცა მეცნიერი ცდილობს საგნის ან ფაქტის ზუსტ განსაზღვრას. იგი თითქოს არსში იჭრება და მას პოულობს. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ძიებამ სხვა სფეროში გადაიყვანა.

ცნებითი აზროვნება გონების ასპარეზია, სადაც მინიმუმამდე დადის გრძნობა, ემოცია, რომელსაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს სტიმულისათვის, მიმართულების ასარჩევად, კვლევის ბიძგისათვის.

ფორმულებით აზროვნება მთლიანად აბსტრაქციების სფეროა და კავშირი აღარც აქვს ყოველდღიურ მეტყველებასთან. იგი სავსებით შეუთავსებელია მხატვრულ აზროვნებასთან, თუმცა ერთ დროს ცდილობდნენ, რომ ლიტერატურაშიც შემოეტანათ (მაგ., ფუტურისტები).

ცნებითი აზროვნება მეცნიერების სპეციფიკაა, რომელიც მხოლოდ ინტელექტის, გონების, აზრის პრიმატს სცნობს. მაგრამ ახალ დროში ეს ინტელექტუალური ნაკადი ჭარბად შემოდის ხელოვნებაში, განსაკუთრებით ეს ეხება ავანგარდისტულ სკოლებს (მაგ., კუბიზმი, ფუტურიზმი, „ცნობიერების ნაკადი“). მას ითვისებენ პოეტები (მაგ., თ. ს. ელიოტი) და პროზაიკოსები (მაგ., თ. მანი, ჰ. ჰესე), მუსიკოსები (მაგ., ა. შონბერგი), მხატვრები (მაგ., პ. პიკასო, ს. დალი), რეჟისორები (მაგ., ფ. ფელინი), ჟურნალისტები და ესსეისტები.

ცნება ხატოვანი აზროვნების სიმბოლოს განვითარებაა. სიმბოლო გრძნობადი სამყაროდან ამოდიოდა, იყო მინიშნება, რომელიც კრებდა ადამიანებს (მაგ., ჯვარი და სვასტიკა, ნამგალი და ურო). ცნებას ეს არ შეუძლია. იგი დიფერენცირების, არსის წვდომის, ამ არსის კლასიფიცირების შედეგად ჩნდება და პრაქტიკისათვის, ცხოვრების მოწესრიგებისათვის არის გამიზნული. მაგ., მეცნიერული აზროვნების, სამეცნიერო მონაცემთა გათვალისწინების გარეშე თანამედროვე არქიტექტურა წარმოუდგენელია.

ცივილიზაცია ემყარება ცნებითი აზროვნების შედეგებს, მეცნიერების პროგრესს. სული გადადის ცნებებში, ცნებები – რკინასა და მოტორში, ელექტრონსა და მანქანაში, რაც ამოძრავებს ქვეყნიერებას.

ცნება და ფორმულა ცვლის რწმენასა და მხატვრულ სახეს.

ტექნიკას არც ღმერთი სჭირდება, არც ზნეობა, არც ეროვნება, არც მუსიკა და პოეზია. ერთი სიტყვით, ცნებითი აზროვნება მეცნიერების ენაა, რომელმაც შექმნა თანამედროვე ცივილიზაცია.

როგორც მხატვრული, ისე ცნებითი აზროვნება თეორიის სფეროს განეკუთვნება. ისინი პრაქტიკისათვის, სასიცოცხლო ინტერესებისათვის ვითარდება, როცა მოქმედებას ცვლის ჭვრეტა, ფიქრი და ოცნება, დაკვირვება და განსჯა.

ამგვარი პრაგმატიზმის გამო შენიშნავს მარტინ ჰაიდეგერი, რომ მეცნიერებას არაფერი ესაქმება აზროვნებასთან.

ცნებითი აზროვნება წარმოშობს მეცნიერებას, მეცნიერება – ტექნიკას, ტექნიკა – ცივილიზაციას, რომელსაც აწესრიგებს პრაქტიკული აზროვნება.

პრაქტიკული აზროვნება

პრაქტიკული აზროვნებაც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. იგი მოქმედებით ვლინდება. ეს გამოიხატება ცხოვრების მოწესრიგებით,

კომფორტის მიღწევით, არასასურველი სიტუაციების თავიდან აცილებით, კარიერით.

პრაქტიკული აზროვნებისათვის მთავარია ის, რაც სასარგებლოა, რაც სუბიექტს სჭირდება არსებობისა და მიზნის მისაღწევად. პრაქტიცისტი არ ფიქრობს მშვენიერსა და ჭეშმარიტზე, სანაცვლოდ აწყდება მორალსა და ზნეობას, ცდილობს მათთან მორიგებას. პოლიტიკოსისათვის მიზანი ამართლებს საშუალებას (ნიკოლო მაკიაველი) და, ასე რომ, ამ საკითხს იოლად წყვეტს. ცხოვრებაში კი ეს დილემა მუდმივად არსებობს.

ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს პრაქტიკული ინტერესებით. ხატოვანი და ცნებითი აზროვნება მას ემორჩილება, რათა სუბიექტმა იოლად მიაღწიოს მიზანს. მხოლოდ ცალკეული, იდეას შეწირული პირები ცხოვრობენ პრაქტიკის, პრაგმატულ ჩვევათა იგნორირებით, აკვიატებული, არაცხოვრებისეული მიზნისაკენ სწრაფვით (მაგ., განდეგილი, ხელოვანი).

პრაქტიკული უნარი სჭირდება ღვთისმსახურსაც, რათა გზა გაიკაფოს სასულიერო პირთა იერარქიაში, შეძლოს ორიენტირება სხვადასხვა ხასიათის თუნდაც თანამოაზრეთა შორის.

ასეთი უნარი უნდა ჰქონოდა ველურსაც, რათა თავი ერჩინა, სარჩო მოეპოვებინა, გაეძლო სიცივისა და სიცხისათვის, მტერი და ნადირი მოეგერიებინა. ეს თანდათან უვითარებდა დაკვირვების, მოქმედების ალღოს, რათა უფრო კარგად ენადირა, უკეთ დაეცვა თავი. ამ მიზნით იშველიებდა სულებს, მიმართავდა აკრძალვათა სისტემას, შემდეგ – ღმერთებს. ეს ილუზია მას რეალობად წარმოედგინა.

პრაქტიკული აზროვნება ვლინდება თამაშში, შრომასა და ბრძოლაში, პოლიტიკაში, ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში, სიყვარულსა და სიძულვილში, ამჯერად, როგორც გონების დაბინდვა.

დ. უზნაძეს მოაქვს ვ. კელერის ცდის მაგალითები:

შიმპანზეს ჭერზე ბანანი დაუკიდეს. ვერ მიწვდა მაიმუნი მიმ-ზიდველ საკვებს, თუმცა ბევრი ირბინა გალიაში, ყუთზეც შეხტა, რომელიც ბანანისგან შორს იდგა.

რომ დაიღალა, გაჩერდა. მაშინ ბანანს ფორთოხალი დაუმატეს, რომლის სურნელმა ისევ აღაგზნო მაიმუნი. ისევ დაიწყო სირბილი, მივიდა ყუთთან, აიღო, დადგა ბანანის ქვეშ, ზედ შეხტა და მიწვდა ბანანს, ე.ი. რეაქციის სიმძაფრემ და მოძრაობამ შესძინა მოხერხება.

მაგრამ ეს ერთჯერადი აქტია, ამ მონაპოვრის განზოგადება და კვლავ გამოყენება მას არ შეუძლია.

ახლა გალიის გარეთ დაუგდეს ბანანი ისე, რომ ხელით ვერ მის-წვდენოდა, გალიაში კი ლერწმის ორი ჯოხი დადეს. ვერც ახლა მისწვდა შიმპანზე ბანანს, თუმცა ბევრი იწრიალა. შემდეგ ერთმა-ნეთს მოარგო ჯოხები და ასე შემოითრია ბანანი გალიაში.

თითქოს გაჩნდა აზროვნების ნასახი, პრაქტიკული მოქმედების უნარი. მაგრამ შიმპანზემ როგორც კი ბანანი შეჭამა, ჯოხები გადა-ყარა. ცდა რომ გაუმეორეს, ისევ წვალება დასჭირდა, ვიდრე მიხვდე-ბოდა, რომ ახლაც ჯოხების შეერთება იყო საჭირო, ე.ი. ინსტინქტმა მასში ვერ ჩამოაყალიბა გონივრული მოქმედების უნარი.

მიხვედრა დარჩა ერთჯერად აქტად, რაც მოჰყვა მოძრაობას, ცდების სერიას.

ადამიანი კი ითვალისწინებს თავის დაკვირვებას, წინაპართა გამოცდილებას. იგი ბევრს ივიწყებს, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცი-ლებელ ხერხებს იხსომებს და იყენებს.

ასე გროვდება პრაქტიკული ცოდნა – როგორ ააგოს სახლი, გაიყვანოს გზა, ჩაიცვას ტანსაცმელი, მოკლას ნადირი, მოიწიოს პუ-რი, მოჭრას ხე, დაანთოს ცეცხლი, შეწვას ხორცი...

უნარ-ჩვევა გადაეცემა თაობიდან თაობას და იძენს მეტ მრავალ სახესა და კომფორტს, რითაც ყალიბდება ყოფითი და პიროვნული კულტურა.

პრაქტიკული აზროვნება ყველაზე მეტად ვლინდება მართვის პროცესში, როცა მეფე, პრეზიდენტი, სარდალი თუ დირექტორი ანუ

ლიდერი თავისი იდეების მიხედვით განალაგებს ადამიანთა მასას, საზოგადოების ფენებს, ლავირებს სხვადასხვა ნებელობის, ფსიქიკის, გონის, ტემპერამენტის პირთა შორის, იცავს წესრიგსა და იერარქიას, წარმართავს მათ ერთი მიზნის აღსასრულებლად.

განსაკუთრებით იგი სჭირდება ბიზნესმენსა და პოლიტიკოსს, რადგან მათი მოქმედება ამოძრავებს სხვებსაც. წარმატების შემდეგ პრაქტიციზმს ეძლევა პრაგმატულ-ეგოისტური განვითარება.

თომას მანს გადმოცემული აქვს ბიზნესის ჩასახვის, განვითარების, აყვავებისა და დაცემის მოდელი ოთხი თაობის სიცოცხლეში. ერთი ნულიდან იწყებს მოქმედებას, მეორე აგროვებს ქონებას, მესამეს იგი გადააქვს ძალაუფლებაში, მეოთხე კი გადადის დეგენერაციაში („ბუნდენბროკები“). მსგავსი მოდელი სულხან-საბა ორბელიანს ნაჩვენები აქვს პერსონაჟის ოცნებაში („გლახაკი და ქილა ერბო“), ლავრენტი არდაზიანს – რეალობაში, როცა ობოლი და ღატაკი სოლომონი ნაჩუქარი ბაღდადით იწყებს ჩარჩობას. იგი, ისევე როგორც ყველა ბურჟუა, მდიდრდება დაუზარელი მოქმედებით, სიძუნწით, ფულის მოგების ალღოთი, სიცრუით, ინტრიგებით, ვერაგობით, სიკეთით, შეურაცხყოფით, ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი აღქმით („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“).

პოლიტიკოსი ან ბიზნესმენი აზროვნებს არა სიტყვებით, არამედ – სიტუაციებით, მათი შექმნითა და გადაბმით, რომლის ფიგურები ადამიანები არიან. მათ მიღმა კი დგას იდეა და სწრაფვის უნარი.

პრაქტიკული აზროვნება მაშინ არის უფრო ეფექტური, როცა ლიდერს ქარიზმა გააჩნია, როცა მისი სიტყვა, მზერა და მოქმედება ხიბლავს თანამებრძოლებს, თანამდევ მასას.

ეს არის, ერთი მხრივ, იდუმალი ფსიქიკური არქეტიპების გააქტივება, მეორე მხრივ – მკვდრეთით აღმდგარ წარმოდგენათა მოქმედ ძალად ქცევა, ძალაუფლების ცხადი რეალიზება.

პრაქტიკული აზროვნება, განსაკუთრებით – პოლიტიკაში, უკავშირდება რისკს, ბედისწერას, სიცოცხლეს, როცა სუბიექტის

მცდარი ნაბიჯი მის დაღუპვას, ხოლო როცა ამას სჩადის ქვეყნის მეთაური – ქვეყნის კატასტროფას ნიშნავს.

ჰიტლერი თავის პოლიტიკურ ანდერძში ამბობს, რომ ბევრს ფიქრობდა, თავს დასხმოდა თუ არა საბჭოთა კავშირს, ითვალისწინებდა საერთაშორისო სიტუაციას, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს, საკუთარ გეოგრაფიულ მდებარეობასა და ძალებს, თვალწინ ედგა ნაპოლეონისა და გერმანიის ორ ფრონტზე ომის დამღუპველი მაგალითები.

მარცხი რომ აერიდებინა, მაქსიმალურად მოემზადა ომისათვის. საბჭოთა კავშირთან 2000 კილომეტრიან საზღვარზე, ბალტიიდან შავ ზღვამდე თავი მოუყარა გამარჯვებულ ომებში გამოწრთობილ საუკეთესოდ აღჭურვილ სამმილიონიან არმიას, რათა მოულოდნელი და საშინელი დარტყმით საბჭოთა კავშირი სწრაფად გაენეიტრალებინა.

ქვეყნის მთლიანი დაპყრობა არც ჰქონდა განზრახული.

მან იცოდა, რომ მრავალწლიანი ომი გერმანიას არ შეეძლო.

ჰიტლერმა თითქოს მიზანს მიაღწია, მოიპოვა არნახული მასშტაბის წარმატება და სამ თვეში მოსკოვთან იდგა.

თითქოს ომი უნდა დამთავრებულიყო, როგორც ეს მოხდა საფრანგეთთან წინა წელს.

მან ყველაფერი დეტალურად, გერმანული სიზუსტით გათვალა, მაგრამ გამორჩა ერთი რამ – მოწინააღმდეგის ლიდერის სტალინის პიროვნული ფაქტორი, თუმცა დიდად აფასებდა.

სტალინს გამოვლილი ჰქონდა ბანდიტური სკოლა, კატორღა და ციხეები, შიდა მგლური ბრძოლების პერიოდი, ქვეყანაში მოაწყო მილიონობით ადამიანის ხორცსაკეპი, ჰქონდა თავისი იდეების ფანატიკური რწმენა და ამდენად არც თავისი, არც მილიონების სიცოცხლე არაფრად უღირდა.

მას, ღატაკი და ლოთი მეჩექმის შვილს, უბრალო სემინარიელს, რომელსაც საკუთარი ბინაც არ გააჩნდა, დასაკარგი არაფერი ჰქონდა.

გარდა ამისა, იგი რუსი არ იყო, რომ ვინმე და რამე შებრალებოდა. იგი სხვის ქვეყანას მართავდა. დათმობის, ზავზე წასვლის დროს ყოველთვის დარჩებოდა ეჭვი, რომ ეს იმიტომ გააკეთა, რომ იგი ეთნიკურად რუსი არ იყო.

სტალინი ომს მაშინაც გააგრძელებდა, ჰიტლერს თუნდაც ურალამდე მიეღწია, რადგან იცოდა, რომ დიდი ბრიტანეთი და აშშ, ადრე თუ გვიან, მაინც მიაღწევდნენ წარმატებას.

ასე რომ, ჰიტლერის პოლიტიკური გათვლა მცდარი აღმოჩნდა.

მებრძოლს სინდისი არა აქვს, სინდისი მაყურებელს აქვს, – შენიშნავდა გოეთე; მიზანი ამართლებს საშუალებას, – აცხადებდა მაკიაველი; ტრაგედია ერთი ადამიანის სიკვდილია, მილიონების დაღუპვა სტატისტიკაა, – ამბობდა სტალინი; ღალატი დროის საკითხია, – თავს იმართლებდა ტალეირანი ანუ პრაქტიკული მოქმედება მიზნის მისაღწევად, თუ დასჭირდა, ყველა აკრძალულ, უზნეო და საზარელ ხერხს მიმართავს.

ლიდერი მაშინ აღწევს წარმატებას, როცა სწორად აფასებს სიტუაციას და სწრაფად მოქმედებს. დაყოვნების ჟამს თავს იჩენენ ახალი ფაქტორები და ძველი ანალიზი მცდარი ხდება.

ჰიტლერიც შენიშნავდა, რომ ომი მაისში უნდა დაეწყო და მხოლოდ მუსოლინის უუნარობის გამო ვერ შეძლო ეს.

გალიის მრავალწლიან ომებში გამარჯვებული იულიუს კეისარი იტალიის საზღვართან – მდინარე რუბიკონთან შეჩერდა. მას აკრძალული ჰქონდა ჯარით საზღვარზე გადასვლა, უნდა გადამდგარიყო სარდლობიდან და ისე ჩასულიყო რომში. მაგრამ შეიძლებოდა ამ ვითარებით მეტოქეებს ესარგებლათ და იგი სიკვდილით დაესაჯათ. ხოლო ჯარით რუბიკონის გადალახვა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ომს მოასწავებდა, რასაც შეიძლებოდა კატასტროფა მოეტანა.

სამდღიანი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ კეისარმა ბრძანა, რომ ჯარს რუბიკონი გადაელახა და რომისაკენ დაძრულიყო.

ლიდერის პრაქტიკულ აზროვნებას არ ჰყოფნის სიმართლე ან ლავირება, გააჩნია როგორი საზოგადოებასთან აქვს საქმე, რა პრაქტიკული აზროვნება აქვს მას, რომელსაც მართავს.

ზვიად გამსახურდია თავის მოწინააღმდეგეებს „კრემლის აგენტებს“ ეძახდა. ყველა არც იქნებოდა აგენტი, მაგრამ ისინი ასრულებდნენ რუსულ იდეას და ამ მხრივ პრეზიდენტი მართალი იყო. ეს, ერთი მხრივ, მათ აღიზიანებდა, აღიზიანებდა საზოგადოების ინერტულ ნაწილსაც, ე.ი. არ იყო დიპლომატიური მეტაფორა. მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ ამგვარი პირდაპირობის გამო იწვევდა მომხრეთა აღფრთოვანებას, რომელთაც სიმართლე სწყუროდათ.

„მონღოლი ყველას კლავდა“, – წერს ჩინგის ხანის სისასტიკით შეძრწუნებული ერთი ჟამთააღმწერელი. მაგ., როცა ჰერათი აიღეს და დაანგრიეს, დახოცეს მილიონნახევარი ადამიანი; ნიშაფურში მკვდრებისა და ცოცხლებისაგან პირამიდა ააშენეს, ქალაქი გადახნეს და ქერი დათესეს; ჩინეთში მოსპეს 18 მლნ ადამიანი, ბაღდადში მოკლეს 800.000 არაბი...

ასე იქცეოდნენ ყველგან, სადაც წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. მიზანი მხოლოდ დაპყრობა არ ყოფილა. მონღოლებმა იცოდნენ, რომ ისინი გაცილებით მცირერიცხოვანი იყვნენ, ვიდრე დაპყრობილი ხალხები. ამიტომ, ძალაუფლების განსამტკიცებლად, აუცილებელი იყო მათი განადგურება, დემოგრაფიული ბალანსის შეცვლა.

ამას აიძულებდათ არა მხოლოდ ველური სისხლის წყურვილი, არამედ – პრაქტიკული აზროვნება. „ყაენი ბედნიერი ვერ იქნება, თუ ხალხი უბედურია“, – ამბობდა ჩინგის ხანი. ამას კი აკეთებდა სხვათა მოსპობისა და დამონების ხარჯზე.

ასეთივე ბარბაროსული პრინციპით მოქმედებდნენ იულიუს კეისარი, თემურ ლენგი თუ ადოლფ ჰიტლერი.

საზოგადოების ფენების შეკავშირებისათვის საჭიროა დიადი იდეა, რაც იწვევს მასობრივ ფსიქოზს, თავგანწირვას, ფანატიკურ სწრაფვას (მაგ., პაპის ურბან მეორის მიერ მუსულმანთაგან იერუსალიმის განთავისუფლებისაკენ მოწოდება, რელიგიური აღტკინება,

სოციალიზმისა და კომუნიზმის ქადაგება). ხოლო თუ ამ იდეას გადასცემს ქარიზმატული ლიდერი (მაგ., ნაპოლეონი, ტროცკი ან ჰიტლერი), მაშინ მილიონები დგება სამსხვერპლოზე.

ქარიზმატული ლიდერის მოქმედება გამორიცხავს დეტალებსა და ნიუანსებს, ყოფით პრაქტიციზმს. ამიტომ თრობას მოსდევს გამოფხიზლება ანუ დამარცხება.

პრაქტიკული მოქმედება იერთებს ხატოვან და ცნებით აზროვნებასაც. მაგრამ კულტურშემოქმედსაც სჭირდება იგი, რათა თავისი ნააზრევი გაიტანოს და დაამკვიდროს.

რელიგიურ მოღვაწეს, ხელოვანს, მეცნიერს, პოლიტიკოსს თავისი იდეების განხორციელებისათვის, საზოგადოების მოსაწონებლად უნდა შეეძლოს ადამიანურ ურთიერთობათა ჯუნგლებში ლავირება. გარემოების სათავისოდ გამოყენება, ადამიანთა რეალური თუ სიმბოლური დარაზმვა.

ეს უნარი არ ჰქონდათ რომანტიკულ და რეალისტურ ლიტერატურაში ცნობილ უდროობის გმირებს, მსოფლიო სევდის რაინდებს, ზედმეტ ადამიანებს, ცალკეულ მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს.

ისინი ამოვარდნენ თავისი საზოგადოების, თავისი დროის კონტექსტიდან. მხოლოდ ზემძლავრ შუქურებს შეუძლიათ დარჩნენ თავიანთი თავის ამარა, თუმცა ელით ნარ-ეკლიანი ცხოვრების გზა.

ჭარბი პრაქტიციზმი და პრაგმატიზმი იწვევს შემოქმედებითი უნარის დაქვეითებას. სულიერება საგნებად იფანტება და ადამიანს უჭირს ფსიქიკურ ძალთა კონცენტრირება. კომფორტი, კარიერა და ტკბილი ცხოვრება, ცივილიზაციური სიკეთე ადუნებს სწრაფვისა და რწმენისათვის მარტვილობის უნარს.

პრაქტიკული აზროვნება ყოველთვის გამოდის ეგოისტური ინტერესებიდან, მაგრამ ისე, რომ მოახერხოს სხვათა ინტერესებთან შეფარდება ან შეგუება. როცა ეს ვერ ხერხდება – კონფლიქტი გარდაუვალია.

ეგოისტურ ზრახვებს ფარავს სიტყვა, რომლითაც ზონდირებს ადამიანი.

ასეთ თვალთახედვას კარგად გამოხატავს ერთი ანეკდოტი: ველურს ჰკითხეს თუ რა არის კარგი და ცუდი, ბოროტება და სიკეთე.

პასუხი მარტივი იყო:

– უცხო რომ თავს დამესხმის, ქოხს დამიწვავს, საქონელს გაირეკავს, ცოლს წამართმევს, ეს ცუდია. ო, ეს ძალიან ცუდია, ეს ბოროტებაა. შემდეგ ჰკითხეს, სიკეთე რაღა არისო.

პასუხი ისევ მარტივი იყო:

– აი, მე რომ უცხოს თავს დავეცემი, ქოხს დავუწვავ, საქონელს გამორეკავ, ცოლს წავართმევ, ეს ძალიან კარგია, ეს სიკეთეაო!

აგრესიულ ბირთვს აყალიბებენ და წარმართავენ სხვადასხვა მიმართულებით, ნებელობით, ინტენსივობით, ფორმით სასიცოცხლო ინსტინქტები.

აგრესიულობის პრაქტიკული გამოვლენაა ძალაუფლება, საკუთრება, დამორჩილებისა და აღმატებისაკენ სწრაფვა.

მათ კეტავს კულტურა და ზნეობა, რათა მოხდეს რეალობასთან შეფარდება, ადამიანურ ურთიერთობათა ბუნდოვან და ეკლიან ქსელში გზის გაკვლევა.

ინტუიცია და ინტელექტი

აზროვნების პროცესში ინტუიცია და ინტელექტი განუთიშველად მოქმედებენ. ერთი ავსებს მეორეს, ხან ერთის როლია მეტი, ხან – მეორისა.

ინტუიცია კულტურშემოქმედისათვის არის უეცარი, იმპულსური განათება, არაცნობიერი სამყაროს ამოძრავება. იგი ამოდის გრძნობადი სფეროდან, როცა შთაგონებით, შთაგონების სხივით ცო-

ცხლდება მემკვიდრეობით გადმოცემული, მაგრამ მიძინებული არ-ქეტიპები.

როგორც შენიშნავენ სპეციალისტები, არაცნობიერ დონეზე დროის ერთეულში მუშავდება ათ მილიონჯერ მეტი ინფორმაცია, ვიდრე ცნობიერ დონეზე და თანაც იხარჯება გაცილებით ნაკლები ენერგია.

ცნობიერებაში კადრები სინათლის სისწრაფით ცვლიან ერთ-მანეთს და ერთ რომელიმეზე ჩერდება ფირი ან სისწრაფეში ხდება მუტაცია და სურათები ღებულობენ განსხვავებულ ფერსა და განზო-მილებას – გონების ცენზურით.

ინტელექტი გონებაა, ცოდნა და შემეცნება. იგი ინტუიციის მიერ მოწვდილ სახეებს განალაგებს, უძებნის ჩარჩოს, სიმეტრიას, ზედ-მეტს იცილებს და წარმართავს მიზნისაკენ. მაგრამ თავად არ არის შემოქმედი ძალა.

ინტელექტი ცოდნას ემყარება, ინტუიცია – სიცოცხლის ნებას.

ამიტომ ცოდნა და გამოცდილება შეიძლება ხელოვნებაში ბორკილად იქცეს, ვინაიდან მთავარია ემოციური ნაკადის სიჭარბე და მისი დაუფლების ხარისხი, წარმოსახვათა მართვის ნიჭი, კონსტ-რუირების უნარი. ჭაბუკს გული ერჩის, მაგრამ არ იცის, მოხუცმა იცის, მაგრამ ძალა არ შესწევს.

ხოლო მეცნიერებაში ინტუიცია დაგროვილი გამოცდილებისა და შეძენილი ცოდნის საფუძველზე წარმოიქმნება, დასაბუთების გა-რეშე, როგორც შედეგი, რომლისაკენ მისაღწევი პროცესი არაცნობიე-რად, ელვისებურად ვითარდება.

პრაქტიკული აზროვნების დროს იგი ვლინდება როგორც სწრა-ფი, მომენტალური, იმპულსური ქცევა და გადაწყვეტილება, რომე-ლიც რადიკალურად ცვლის სიტუაციას, ამოვარდნილია ლოგიკური წესრიგიდან, მოვლენათა თანმიმდევრული განვითარებიდან.

ინტუიციური განათების ღირსება პრაქტიკით მოწმდება. ამ პირველად ბიძგს, იდეასა და ინფორმაციას, ხელოვნებასა და მეცნიე-

რებაში სჭირდება შემდგომი რაციონალიზება, შევსება და დაზუსტება, ინტელექტუალურ არეალში გადატანა.

ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ინტელექტი, მცირდება ინტუიცია აზროვნების პროცესში. ისინი ერთმანეთს შველიან და ავსებენ, მაგრამ მკვეთრად იცვლება თანაფარდობის შკალა.

ინტუიცია ცვალებადი უნარია.

იგი ძლიერდება, როცა ინფორმაცია ილექება სულის ფსკერზე და ხდება მგრძნობელობის ნაწილი, როცა ფსიქიკა იჟღინთება ინტელექტუალური წარმოდგენებით და ისინი უცხო, გარედან შემოჭრილ სიგნალებად აღარ აღიქმება.

ამიტომ ჭარბი კითხვა, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან მიბმა მავნებელია, ნელდება აქტივობა და ნებისყოფა.

დიდი ცოდნა ინტელექტუალურ ბალასტად იქცევა, რომელიც სულს კი არ რგებს, არამედ – ვნებს.

კულტურშემოქმედი აღქმას, გააზრებას, გათავისებას ვერ ასწრებს, ისე ეფინება ძველს ახალი ინფორმაცია. ინფორმაციის კასკადი ცნობიერებას რეგისტრატორის ფუნქციასაც უკარგავს.

ასეთ დროს მეხსიერება ინახავს არა კონკრეტულ ფაქტებსა და აზრებს, არამედ – მათი მდინარების სურათს. ყველაფრის მცოდნე კი არაფრისმცოდნეა.

სასიცოცხლო ძალთა შენელება ამცირებს ინტუიციური გაელვების შუქსაც.

ამიტომ შემოქმედებითი უნარის შენარჩუნება მომეტებულ ასაკში შეიძლება მხოლოდ პროფესიული ჩვევებითა და დისციპლინით.

მუსიკოსს, სკულპტორს, მხატვარს, არქიტექტორს სჭირდება პროფესიული დაოსტატება, მრავალწლიანი განსწავლა, სპეციფიკური თეორიული განათლება. ეს მაშინ, როცა სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ მწერალმა დაამთავროს ფილოლოგიის ფაკულტეტი, ერკვეოდეს პოეტიკის საკითხებში, ვერსიფიკაციის ნიუანსებში, ესთეტიკურ კატეგორიებსა ან ჟანრულ სისტემაში.

მაგ., თვითნასწავლი მხატვარი იყო ფიროსმანი, რომელიც ვერ იცავდა სურათზე პროპორციებს, საგანთა სიმეტრიას, სივრცის პერსპექტივას. მაგრამ ჰქონდა ფერების უჩვეულო აღქმის უნარი, რაც სურათს ნაივობას ჰმატებს და მნახველს იზიდავს.

პროფესიონალი მხატვრის აკადემიზმი და რაციონალური გათვლა კი ხელს უშლის ემოციის წარმოქმნას (მაგ., უჩა ჯაფარიძის ფერწერა).

აზროვნება და შედეგი

აზროვნების პროცესი, სულერთია, ეს იქნება მხატვრული, ცნებითი თუ პრაქტიკული, შედგება რამდენიმე ფაზისაგან, რომელთაგან მთავარია ფანტაზირება, სურათების, ფაქტების, ცნებების, კონცენტრირება და შერჩევა. ოღონდ მათი დოზირება განსხვავებულია, განსხვავებულია როგორც აზროვნების ტიპების, ისე ინდივიდების მიხედვით.

ფანტაზია ყველგან აუცილებელია. მაგრამ მხატვრულ აზროვნებაში იგი ძირითადია, პრაქტიკაში კი – საგნებით და სიტუაციებით, მეცნიერებაში – ლოგიკური აუცილებლობით შეზღუდული.

კონცენტრირება მასალისა და განცდების თავმოყრაა, რომელშიც ერთიანდება მეხსიერება, დაკვირვების უნარი, ნებისყოფა. იგი განსაკუთრებით აუცილებელია ცნებით აზროვნებაში, ლირიკას კი ნაკლებად სჭირდება. ასევე მნიშვნელოვანია იგი პრაქტიკაში, როცა საქმე ეხება სამხედრო მოქმედებას, პოლიტიკურ ანალიზს, ეკონომიკური სიტუაციის შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებას.

ფანტაზიით მოწვდილი ცნებები და სურათები, მათი ინტუიციური თუ ინტელექტუალური კონცენტრირება მუდმივად იცვლება, ვიდრე დასრულებულ შედეგად იქცეოდეს.

ამ დროს გადამწყვეტია შერჩევის უნარი, რომელ კადრზე, რომელ ეტაპზე შეჩერდეს ასოციაცია. ხელოვნებაში ეს არის გემოვნების, ესთეტიკური ერუდიციის საკითხი, მეცნიერებაში – დასკვნის მიღება, პრაქტიკულ აზროვნებაში – სიტუაციის შეფასება, გადაწყვეტილება და შესაბამისი მოქმედება.

აქაც მრავალი ფაქტორი მონაწილეობს – დროის მოთხოვნილება, სუბიექტის ინტერესი, ეგოისტური სწრაფვა, აკვიატებული იდეა თუ გამოცდილება.

აზროვნება იცვლება დროში, გარე ფაქტორების თუ შინაგანი ცვალებადობის მიხედვით, ძლიერდება ან ქვეითდება.

მხატვრული აზროვნების განვითარება ემყარება იდუმალ, ირაციონალურ ძალებს, ნაკლებად შველის ცნობიერის ზემოქმედება. ხელოვანი რაც უნდა მშრომელი და განათლებული იყოს, შედევრს ვერ შექმნის, თუ ტალანტი არ გააჩნია.

მეცნიერი სწორედ შრომით, ცოდნით აღწევს წარმატებას. ცხადია, ტალანტი მასაც სჭირდება, მაგრამ ეს ვერ იქნება გადამწყვეტი თუ სათანადო ინტელექტუალური ბაზა არ შეიქმნა.

პრაქტიკოსის უნარი ცხოვრებისეული კონფლიქტების ანალიზსა და გადაჭრაში, ახალი სიტუაციების დაძლევაში ვლინდება, მუდმივ კონტაქტებში იხვეწება და ვითარდება. ამისათვის მას სჭირდება დრო და საშუალება. მაგ., რევოლუციონერ სტალინს არ ჰქონდა დიდი განათლება, ცხადია, არც სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამოცდილება გააჩნდა და ამდენად დემოკრატიული გზით ქვეყნის სათავეში ვერ მოვიდოდა. მაგრამ მუდმივი შრომით, თვითგანათლებით, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევით, იდეის ფანატიკური რწმენით, პრაქტიკული ალღოთი შეძლო აზროვნების განვითარება.

სტალინი რომ მმართველი მხოლოდ 4 ან 8 წელი ყოფილიყო, ვერც ამდენ წარმატებას მიაღწევდა და ვერც ამდენ დანაშაულს ჩაიდენდა.

აზროვნების ძალა და ხარისხი მიღწეული შედეგით განიზომება.

2. კულტურშემოქმედი

ტალანტი – ლიდერი

5-6 ათასი წლის მანძილზე ადამის მოდგმამ უდიდესი ცოდნა დააგროვა, კულტურის მრავალი დარგი და ფორმა შექმნა, ცივილიზაციამ ადამიანი უფლის ხატად კი არა – მეტოქედ აქცია.

თავგანწირულმა შრომამ და ბრძოლამ ცხოველური სული და გონი უფალს დაუახლოვა. ამ პროცესში იყვნენ ჩართული რასები, ხალხები, ერები, ტომები, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ბრძენი და შლეგი, ბერი და მეომარი, მეფე და მონა.

ასე მიაღწიეს ამ საოცრებას.

როგორც ვთქვით, კულტურას ყველა დროში ქმნიდა და წარმართავდა მცირე ჯგუფი, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად. მათ მასიდან გამოყოფდა ტალანტი, ნიჭი, გენი, სიტუაცია, რეაგირება ხალხის მოთხოვნილებაზე.

ინტელექტი, ერუდიცია, სპეციფიკური ცოდნა შეიძლება ყველამ შეიძინოს, ვისაც აქვს ათვისების უნარი ანუ გააჩნია მინიმალური გონი. მაგრამ ტალანტი განსაკუთრებული ბუნების ადამიანია, ხოლო გენია – ზებუნებრივი, ვინც თავის დაღს ასვამს კულტურას, გარდატეხს მის მდინარებას, შეავსებს ახალი ფორმებითა და სახეებით.

ტალანტი ბუნებისაგან, სტიქიისაგან გადმოეცემა ადამიანს. მას აყალიბებენ გარკვეული ფაქტორები, ავითარებენ გარე და შიგა ძალები, მაგრამ თუ საწყისი არა აქვს პიროვნების სულსა და სხეულს, მისი ჩანერგვა ვერ მოხერხდება.

ტალანტი, უნარი მხოლოდ უფალმა უნდა დაგანათლოს ანუ მოდიოდეს საკუთარი გენებიდან, სხეულებრივი სისტემებით გარემოდან მიღებული სიგნალების მოდელირებიდან.

ვინ მოსთვლის რამდენი ლექსი, სკულპტურული ძეგლი, მხატვრის ნახატი, მუსიკალური ოპუსი ან რელიგიურ-ერეტიკული

კონცეფცია მიეცა დავიწყებას, რამდენი მეფე ან პრეზიდენტი გადაეგო უსახელოდ. იმიტომ, რომ ვერ შეძლეს მასების სულის დამორჩილება, მათ ფსიქიკაში შეჭრა და აღბეჭდვა; იმიტომ, რომ აკლდათ ენერგიის სინათლე, რომელსაც გენერატორის მსგავსად გამოსცემს ტალანტი და გენია.

ადამიანთა ცხოვრებას და შესაბამისად კულტურას ამოქმედებს, წარმართავს და არეგულირებს სამი ინსტინქტი – ლიბიდო (სექსი), სიკვდილის (ღმერთის) შიში და ძალაუფლების ნება (კარიერისაკენ სწრაფვა).

ტალანტი არის თავის სფეროში ლიდერი, სულის გმირი, რომელმაც ვერ შეძლო იდეების, ცხოვრებისეული რეალიზება და ფანტაზიას შეეფარა, ქვეყნისა და ადამიანის სიმბოლური მოდელი შექმნა, რათა ასე ემოქმედა საზოგადოების ცნობიერებაზე (იხ. „ძალა, ძალაუფლების ნება და კულტურშემოქმედი“). მაგ., მუჰამედი, რომელსაც მუსკულური ისტერია სჭირდა, ბედუინების ლიდერად ვერ გამოდგებოდა. ამიტომ სენი ფანტაზირებისაკენ უბიძგებდა, თითქოს მთავარანგელოზმა ჯიბრაელმა უკარნახა „ყურანი“ და თავისი მოძღვრებით შეძლო როგორც ხალხის ცნობიერების შეცვლა, ისე თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

იესო ქრისტე წამებით რომ არ აღსრულებულიყო და ისე მომხდარიყო ცად ამაღლება, აღარ იქნებოდა სინანულისა და დანაშაულის გრძნობა, რომელმაც შესძრა მილიონების გული.

როგორც ადრე ვწერდით, ტალანტს აყალიბებს პიროვნების, ამ შემთხვევაში – კულტურშემოქმედის კონსტიტუცია და ტემპერამენტი, ფსიქო-ნერვული სისტემა, ბიოგრაფია, პოლიტიკურ-კულტურული ატმოსფერო, კულტურული ორიენტირი, რაც თავს იყრის იმპულსებისა და სიგნალების კოორდინირებასა, გაშიფვრასა და გააზრებაში.

შინაგან არქეტიპულ მოცემულობას ააქტივებს შთაგონების იდუმალი პაროლები, იმპულსები, სწრაფვა და გარდასახვა, როცა შემოქმედება არის ფსიქოთერაპია, მსხვერპლშეწირვა თუ ძალაუფლე-

ბის ნების ტრანსფორმაცია. ენერგიას კი იძლევა თავისუფლებისაკენ სწრაფვა, მისი განცდის ხარისხი.

ტალანტი ვლინდება სპეციფიკურ სფეროებში – ერთი მუსიკოსია, მეორე – არქიტექტორი, მესამე – მწერალი, მეოთხე – თეატრალი. მხოლოდ რენესანსის ეპოქაში იყვნენ ცალკეული უნივერსალური გენიოსები (მაგ., მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი). დიფერენცირების შედეგად მწერალიც კი მუშაობს ერთ ვიწრო ჟანრში. მაგ., ლირიკოსი იშვიათად წერს რომანს, რომანისტი – ტრაგედიას, ლირიკოსი – პოემას, კომიკოსი – დრამას.

კულტურას ქმნის, მის ფორმებს ამკვიდრებს მხოლოდ ის, ვისაც საამისო უნარი გააჩნია, არა ის, ვისაც სურვილი აქვს.

პიროვნების ზოგადი გონიერება სულაც არ ნიშნავს კონკრეტულ დარგში, მაგ., პოეზიაში, მუსიკაში ნიჭიერებას, პირიქით – ინტელექტუალობა ამძიმებს მხატვრულ აზროვნებას, ამცირებს აუდიტორიას და შეიძლება ფანტაზიასაც ფრთა შეაკვეცოს.

ტალანტი უკავშირდება ინტუიციურ განათებას და ჭარბი რაციონალური ჭვრეტა მას ძნელად სახილველს ხდის.

რამდენადაც ნიჭიერია ავტორი, იმდენად ცოცხლობს კულტურის ძეგლი. მაგ., რომაელები ბერძნული ქანდაკებების ასლებს ამზადებდნენ და ასე ახდენდნენ ტირაჟირებას; წიგნი თუ ინტერესს არ იწვევდა, არავინ გადაწერდა; ფილმს თუ მაყურებელი არ ჰყავს, ეკრანიდან ჩამოდის; რომანს თუ არ კითხულობენ, მეორედ არავინ გამოსცემს; აქტიორი თუ ნდობას ვერ ამართლებს, სცენას უნდა ჩამოშორდეს.

ტალანტი არის ზოგადი უნარის ცალმხრივი განვითარება, როცა ენერგია ჰპოვებს ვიწრო სადინარს და შადრევანივით ამოიფრქვევა. მაგრამ ეს ერთბაშად შეიძლება თავს მხოლოდ ლირიკაში იჩენდეს. სხვა სფეროებში მუდმივ ვარჯიშსა და პროფესიულ სრულქმნას მოაქვს წარმატება.

ახალგაზრდა სკულპტორი რომ ქანდაკებას კვეთს, ან – კომპოზიტორი წერს კანტატას, აქტიორი რომ პირველ ნაბიჯებს დგამს

სცენაზე – არ შეიძლება სანიმუშო იყოს. ისინი ბაძავენ, სწავლობენ, ითვისებენ, მისდევენ გრძნობათა ნაკადს, ეუფლებიან მათ მართვას, აქცევენ ჟანრის სქემაში და თვით ეს პროცესი ექცევათ სტიმულად. მაგრამ როცა იმორჩილებენ ფანტაზიას, როცა აღწევენ პროფესიონალურ სრულყოფას, სწორედ მაშინ ელევათ ძალა და ეკარგებათ სათქმელი.

შემოქმედის ბიოგრაფიას, მორალს, შეხედულებებს ყურადღებას აქცევენ თანამედროვენი, რადგან მათ წარმოდგენაში შედევრის ავტორი ღმერთკაცია, ე.ი. სანიმუშო და უნაკლო.

ამ თანაფარდობის დარღვევას მტკივნეულად განიცდიან, რადგან ასევე ჭირს ახალი ვარსკვლავების შერჩევა, მათთვის ადგილის განსაზღვრა შეჩვეულ საგანთა შორის, რაც ნიშნავს ახალი იერარქიის დამკვიდრებას.

როგორც ვთქვით, საზოგადოებას არ სურს დადგენილი წონასწორობის დარღვევა. იგი ძველ სახელებს ენდობა – ახალ გემოვნებას, სტილს ან იდეებს ნაკლებად ღებულობს. ამიტომ სკეპტიკურად ეკიდება ნოვაციებს. თუ აღიარებს, მასში ეძებს სრულყოფილებას, თავისი ოცნების რეალიზებას.

მაგრამ მოდიან თაობები და ისინი, ერთი მხრივ, ივიწყებენ მამების კუმირებს, მეორე მხრივ, რომელთაც სცნობენ, ყველაფერს პატიობენ. მათთვის არსებობს წარუვალი შედევრი და მისი პატივისცემით ცალკეულ შემოქმედთა უზნეობას, სამშობლოს ღალატს, უვიცობას, კრიმინალურ წარსულს ახსნასა და გამართლებას უძებნიან, თხზავენ ლეგენდებს, ცუდს აცილებენ და კარგს ადიდებენ.

მაგ., ჭაბუა ამირეჯიბი 18 წელი იყო ციხესა და გადასახლებაში, თუმცა მისჯილი ჰქონდა გაცილებით მეტი. მის სახელს დაუკავშირდა არაერთი უსიამოვნო ფაქტი (მაგ., სუკთან ურთიერთობა, მეგობრის გაწირვა, სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობა).

მაგრამ იგი „დათა თუთაშხიას“ ავტორია, რომელმაც მოიხვეჭა ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანის სახელი. მწვავე ცხოვრე-

ბისეული ფაქტები, ფათერაკები და შეცდომები აძლევდა ენერგიას, რათა ისინი შემოქმედებაში გარდაესახა.

ის, ვინც სტერილური ან მკაცრი ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრობს, ვინც ზუსტად იცავს საზოგადოებრივ ნორმებს, ვერ ჰპოვებს მსგავს ძალას, რადგან ძალის გენერატორი არის კონფლიქტი, სულში გათამაშებული დრამა, მისი ზნეობრივი გააზრება.

შემოქმედი საკუთარ ტკივილსა და სიბნელეს აქცევს სხვათა სიხარულად და სინათლედ.

ამდენად არის ტალანტი ძალაუფლების ნების გარდასახვა (ფრ. ნიცშე), ლიბიდოურ ლტოლვათა ინტელექტური ტრანსფორმაცია (ზ. ფროიდი), არქეტიპულ სახეთა აღორძინება (კ. გ. იუნგი), არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევა (ა. ადლერი).

ძირითადად იგი ეფუძნება ასთენიკურ კონსტიტუციასა და შიზოთიმიკურ ტემპერამენტს (ე. კრეჩმერი). მათ განაპირობებს ენდოკრინული სისტემა, უჯრედების ბიოქიმიური სინთეზი, გენური აქტივობა, რაც თავს იყრის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, იმპულსებისა და სიგნალების ფსიქიკურ წარმოდგენებად მოდელირებაში.

არა მხოლოდ მწერალს ან მუსიკოსს, მხატვარს ან პოეტს, არამედ მასაც მსგავსი შინაგანი დრამა უღადრავდა ყელს, ვინც ხატებს წერდა, ოქროს ყელსაბამებსა და საყურეებს ამზადებდა, ტაძრის კედელში ქვას ქვაზე აწყობდა, გულდამწვარი მღეროდა და როკავდა, ვინც ტრანსში გადასული ჭვრეტდა ჰალუცინაციურ ლანდებს.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა

ტალანტის ფორმირების პროცესში მთავარია თავისუფლებისაკენ სწრაფვა. ეს არაცნობიერი განცდაა, ჯერ იდეად არც არის ქცეული. მას განსაზღვრავს ინსტინქტები – თავდაცვის, აგრესიის, სექსუა-

ლობის, შიმშილის, რაც კოდირებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში.

ნეირონები შერჩევითი ფაზური ურთიერთმოქმედებით ეკიდებიან იმპულსებსა და სიგნალებს, მუდმივად იცილებენ (ივიწყებენ) და იხსომებენ წარმოდგენებს, შლიან დეტალებს, ამატებენ ნიუანსებს.

ასე რომ, როგორც ამტკიცებენ, ნეირონების სელექციურ გრამატიკაში ძევს თავისუფლების პრინციპი.

ეს პირველმიზეზი არის შემოქმედების, ქცევის, აზროვნების ინდივიდუალობისა და ორიგინალობის სათავე, რაც განვითარებას ჰპოვებს კულტურაში, როგორც თავისთავადობასა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, ჟანრების, დარგების, ფორმების არჩევა.

დამოუკიდებლობის ანუ თავისუფლების გარანტი არის კერძო საკუთრება, როცა სხვაზე არ ხარ მიჯაჭვული. მაგრამ საკუთრების შექმნა და დაცვა კონფლიქტების სათავეა (ქონება, მიწა, ქალი, კარიერა). იმიტომ, რომ სხვაც ასევე ცდილობს, იყოს დამოუკიდებელი, ხელჰყოს არსებული ან მოპოვებისათვის სწრაფვაში ჩამოიცილოს კონკურენტები.

სამიზნეთა რიცხვი შეზღუდულია, ხოლო მათკენ მსწრაფვი – მილიონია.

ეს ხდება როგორც პოლიტიკურ, ისე სულიერ და ყოფით სფეროებში.

გონებით ადამიანი წესრიგს, კანონს, დისციპლინას ემორჩილება. მაგრამ ინსტინქტები ამ შეზღუდვას არ სცნობენ. ისინი მუდამ მზად არიან ამბოხისათვის, ჩუმად არიან მანამ, ვიდრე კულტურის რეგლამენტი აძლევთ ამის საშუალებას. შეიძლება მათი გარდასახვა, არა ჩახშობა.

მაგ., განსხვავებით მოლას ვირისაგან, ადამიანი ჭამას ვერ გადაეჩვევა. შიმშილის ატანა შეიძლება განსაზღვრულ დროში. შემდეგ იგი აგრესიაში გადავა, მაგრამ თუ ინდივიდს მაინც შერჩა ამ მოთხოვნილების დათრგუნვის შეგნება – სიკვდილი გარდაუვალია.

ადამიანი ასევე იმორჩილებს სექსუალურ ინსტინქტებს, უწესებს კალაპოტსა და რეგლამენტს. ამგვარ ლტოლვათა ჩახშობა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. მაგ., მოწოდება, რომ ნეტარია ის, ვინც თავისი თავი თვითონ გამოისაჭურისა. მაგრამ ეს რომ მასობრივი გახდეს – კაცობრიობა არსებობას დაასრულებს, არც კულტურას ეყოლება პატრონი, არც ცივილიზაციას, არც ჯვარსა და ეკლესია-მონასტრებს.

ძალაუფლების ნება, სექსუალობის ტრანსფორმაცია, მათი რეალიზების უნარი ვლინდება პიროვნული, სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ამ ინტერესების კულტურად ქცევაში, კულტურის სახეებად და ფორმებად დანაწილებაში.

ეს არის ახალი ბორკილი, რომელიც სულის სწრაფვას დაედება. მისი მორგების აუცილებლობა და დარღვევის ჟინი განაგებს კულტურშემოქმედის აზროვნებას, უბიძგებს სიახლისკენ, რათა ნაცნობი წრიდან შეაბიჯოს უცნობ სივრცეში, დაივიწყოს მტანჯველი ყოფიერება და ააგოს ოცნების ტაძარი.

კულტურშემოქმედს ზღუდავს სხვადასხვა ფაქტორი. მაგ., ეკონომიკური შესაძლებლობა, პოლიტიკური სიტუაცია, საზოგადოებრივი აზრი, ტრადიციების ბარიერი. მათგან იგი ფიქრითა და ოცნებით თავისუფლდება, თავისი წარმოსახვებით ქმნის საყვარელ საგანს (მაგ., სკულპტორი – ქანდაკებას), გვაძლევს ბედისწერისაგან გასხლტომის იმიტაციას (მაგ., მუსიკოსი), სძლევს მტანჯველ სნეულებებს, ფსიქოზს და ნევროზს, თავისუფლებისაკენ სწრაფვას აძლევს ნივთიერ და სიმბოლურ სახეს (მაგ., პოეტი).

შემოქმედი ყოველთვის ჩიოდა, რომ ღმერთებისა და გმირების ჟამი წავიდა, აღარც რაინდები არიან, აღარც ნიჭიერები. მას კი ცხოვრება უხდება მწირ, უგმირო, მითოსმოკლებულ დროში, როცა იდეალები აღარ ფასობს, წიგნებს არ კითხულობენ, მუსიკას არ უსმენენ, ინტელექტი არ სჭირდებათ, როცა ხელისუფალი და ვაჭარი ახშობენ სულიერებას და სპობენ განვითარების პერსპექტივას.

მაგრამ როცა სახელმწიფო ქმნის თავისუფალ გარემოს, ამკვიდრებს დემოკრატიის პრინციპებს ანუ რეალობად იქცევა კულტურშემოქმედის ოცნება, კულტურშემოქმედი სწორედ მაშინ დუნდება, უქრება სწრაფვის ჟინი და ნებდება ტრადიციის ინერციას, კომფორტული ცხოვრების კულტს.

ამრიგად, მისთვის მთავარია ლტოლვა და ბრძოლა თავისუფლებისათვის, ამ იდეალისაკენ განვლილი გზა, არა თავად თავისუფლება.

კულტურშემოქმედის ტიპი

ველური მღვიმის კედელზე ხატავდა ნადირს, ნადირობის სცენებს, ამზადებდა სხვადასხვა სახის, მათ შორის – ქალის ფიგურებს, იგონებდა ცულებს, შუბისა და დანისპირებს, საფხეკებს, მღეროდა, როკავდა, თხზავდა მითებსა და ლექსებს, ნადირობდა, თამაშობდა, სისხლს ღვრიდა, გლოვობდა, ქალს იტაცებდა, მტერს კლავდა.

პრაკულტურის შემოქმედი თავის ზრახვებს ინსტინქტურად ავლენდა. იგი ჯოგის წევრი იყო, ოღონდ ისეთი, რომელსაც ოცნება ერჩია მოქმედებას.

შემდეგ კულტურშემოქმედის ადგილი დაიკავა ქურუმმა, რომელმაც მეტყველებას, ფსიქიკურ მირაჟებს, ტოტემებსა და აკრძალვებს, მწყობრი, გამოკვეთილი სახე მისცა.

ქრისტიანული პერიოდიდან ქურუმი შეცვალა ეკლესიის მსახურმა. მაგრამ წარმართული წარმოდგენები გაგრძელდა ხალხურ პოეზიასა და ცეკვა-სიმღერაში, თამაშებში, თეატრალიზებულ კარნავალებში (მაგ., ბერიკაობა), მსხვერპლშეწირვებში, ადათ-წესებში, ლეგენდებსა, თქმულებებსა და ზღაპრებში. მაგ., გერმანული „სიმღერა ჰილდებრანდზე“, სკანდინავიური „უფროსი ედა“, კელტური ქუჰულინის ციკლი, ფრანგული „სიმღერა როლანდზე“, გერმანული „ნიბელუნგების გასაჭირი“ და „გუდრუნი“.

კელტი ბარდები თუ ჩვენი ხევსურები ზეპირად თხზავდნენ და საკრავზე დამღეროდნენ საგმირო და სატრფიალო ლექსებს, ექსპრომტული ლექსებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, უწმაწურად ესიტყვებოდნენ ერთმანეთს (მაგ., ქართული გაშაირება).

ეს არ იყო ფიქსირებული კულტურა – ხალხი ინახავდა, როგორც ტრადიციებს, ზეპირად გადასცემდა, ურთავდა ქრისტიანულ რწმენას ანუ ინარჩუნებდა მას, რაც აშკარად არ უპირისპირდებოდა ჯვარცმულის აღმსარებლობას. მაგრამ იცილებდა ველურ-ბარბაროსულ ჩვევებს. ეს ჭირდა, ფარულად ისევ ცოცხლობდა, მაგრამ სააშკარაოდ ვეღარ გამოჰქონდათ.

კულტურშემოქმედის სახელს ჰკარგავდა რელიგიური მოღვაწე. უფრო მძლავრობდა ცხოვრების ნაკადი, მღვრიე და სისხლჭარბი სინამდვილე, რომლის ტალღებს ვეღარ ფილტრავდა ინკვიზიციაც კი.

XII საუკუნიდან, ჯვაროსანთა ლაშქრობის დროიდან, როცა მეომრები გაეცნენ მუსულმანურ აღმოსავლეთს, ევროპაში ყალიბდება არისტოკრატიული სულისკვეთების კურტუაზული ლიტერატურა, რომლის ცენტრში დგას ქალი, არა რელიგიური, არამედ – მიწიერი არსება.

მაგრამ ეს ქალი გათხოვილი იყო. რაინდი მას ეტრფოდა. ეს იყო ადიულტერი, ღალატი, ცოლ-ქმრული, ეკლესიური სიყვარულის იდეის დარღვევა, თავისუფლებისა და თავისუფალი სიყვარულის ხოტბა.

დამკვიდრდა მოხეტიალე პოეტი – მომღერლის ტიპი, რომელიც განადიდებს, ქებით ამკობს თავის სატრფოს – გათხოვილ ქალს (შდრ. – რუსთაველი: „ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი... ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“).

ეს იყო აღდგენა ძველი ტრადიციისა, როცა პოეტი ზეპირად თხზავდა (მაგ., ჰომეროსი) და ლექსი თუ პოემა ზეპირი შესრულებით, სიმღერით ან რეჩიტატივით ვრცელდებოდა.

პროვანსი და პროვანსელი ტრუბადურები გაანადგურეს. მაგრამ მათი განწირული სიმღერა მთელს ევროპას გადასწვდა. მათმა ჰან-

გებმა გამოაღვიძა ფრანგი ტრუვერები და გერმანელი მინეზინგერე-ბი, შემდეგ კი გაგრძელდა ფოლკლორსა და ლიტერატურულ ბოჰე-მაში.

ბანოვანისადმი თავდადება ისევ იყო მთავარი თემა. რაინდი მი-სი სიყვარულით, რუსთაველის ტარიელის მსგავსად, გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, ებრძვის ზღაპრულ არსებებს, სძლევს მრავალ დაბრკოლებას.

კულტურშემოქმედი იყო როგორც რელიგიური, ისე საერო ტი-პი. ბერი წერდა სიყვარულსა და გარყვნილებაზე, საერო პირი – საი-ქიოს ცხოვრებაზე, ქრისტიან იერარქებზე, სამოთხესა, სალხინებელ-სა და ჯოჯოხეთზე, რწმენის მისტიკურ სიმტკიცეზე (დანტე ალი-გიერი).

ეს ორი ნაკადი ერთმანეთს ავსებდა (იხ. „კრიზისი და პროგრე-სი“).

1634 წელს დაარსდა საფრანგეთის აკადემია, რომელმაც თავი მოუყარა ინტელექტუალებს. აკადემია და მეფის სასახლე ადგენდა მაღალი საზოგადოების ესთეტიკას. დეკარტემ გონება გამოაცხადა ჭეშმარიტების საზომად („ვაზროვნებ, მაშასადამე – ვარსებობ“), რაც გადაიტანეს კლასიცისტურ ლიტერატურაში.

ახალ დროში კულტურშემოქმედი გახდა არისტოკრატი და ინტელიგენტი. არისტოკრატიას მემკვიდრეობით გადმოცემული ქო-ნება აძლევდა საშუალებას, მიეღო კარგი განათლება და ჰქონოდა სა-მუშაო პირობები. ინტელიგენტი, მეტწილად, დაბალი ფენებიდან იყო გამოსული. მან შეძლო პლებეური ენერგიის კულტურად გარ-დასახვა – მუდმივი შრომით, ძიებით, ცოდნით, შეამცირა ემოციის როლი და გააბატონა ინტელექტი (ვრცლად იხ. „მხატვრული აზ-როვნება: გენეზისი და სტრუქტურა“, თბ., 2007).

დიდი შემოქმედება დიდი ჯაფა და მუდმივი ვარჯიშია. მაგ., თეოფილ გოტიეს 200 ტომი აქვს დაწერილი, ალექსანდრე დიუმას (მამა) – 300, გოეთეს – 140, ლევ ტოლსტოის – 130. შდრ – „ჩემი

ხელები მუშის ხელებია“ (ალ. დიუმა – მამა), „მე ვმუშაობ, როგორც ზანგი“ (ბიზე), „მე ვმუშაობ, როგორც ტრაქტორი“ (დილან ტომასი).

ცხოვრების მანძილზე იცვლება შემოქმედის მსოფლმხედველობა. რაც დღეს მოსწონს, ხვალ შეიძლება უინტერესოდ მოეჩვენოს, გადააკეთოს, გაუმჯობესოს ან წაახდინოს თავისი ნაწერი. შეიძლება ეს მოხდეს საზოგადოებრივი ან პოლიტიკური აზრის დაწოლით (მაგ., საბჭოთა კავშირში) ან პიროვნული ევოლუციით, ძველი წარმოდგენების გადაფასებით (მაგ., ტორკვატო ტასო უარყოფდა „განთავისუფლებულ იერუსალიმს“, ბოკაჩო – „დეკამერონს“). ამიტომ ტალანტთან ერთად მნიშვნელობა აქვს ხასიათს, ნებისყოფას.

გამოყოფენ შემოქმედის განსხვავებულ ტიპებს – ფაქტოლოგი, მეთოდისტი, კლასიფიკატორი, ანალიტიკოსი, სინთეტიკოსი, ბოსი, ესთეტი, პიონერი, ფანატიკოსი, დიაგნოსტი და ა.შ. დღეს ავტორის ცნებაც იცვლება, რასაც იწვევს უხვი ინფორმაციის კომპიუტერული ათვისება. მაგ., როცა რონალდ რეიგანი წერდა ავტობიოგრაფიულ „ამერიკულ ცხოვრებას“, ჟურნალისტების, ლიტერატურული აგენტების, მდივნების, თანაშემწეების მთელი გუნდი ეხმარებოდა. მაგრამ ამერიკელ ფანტასტს აიზეკ აზიმოვს არც მდივანი ჰყოლია, არც მემანქანე ან სტენოგრაფისტი, ისე დაწერა 200-ზე მეტი წიგნი და 1000-ზე მეტი სტატია. ამიტომ ეძახდნენ „რობოტს“, „ასულდგმულებულ მანქანას“.

კულტურშემოქმედის ბედი

კულტურშემოქმედი თავის ოცნების აღსრულებას სიცოცხლეს სწირავდა. მაგ., ზოგი ოპერის მომღერალი თავს ისაჭურისებდა, რათა ხმას უფრო წმინდა და ძლიერი ჟღერადობა ჰქონოდა.

ბევრი ებრძოდა სიდუხჭირეს, მაგ., ბალზაკმა გამოსცა „ჰალსტუხის განასკვის 30 გაკვეთილი“; დოსტოევსკიმ რომანის წერა შეწყ-

ვიტა, რათა ვალები გადაეხადა და ამ შუალედში ერთ თვეში მეორე რომანი დაწერა; შემოქმედს არსობის პურის მოსაპოვებლად უხდებოდა აეტანა მრავალი დამცირება, ფიზიკურად ეშრომა, ერჩინა ცოლ-შვილი და როგორც წამებულს, ისე ეცხოვრა (მაგ., ვაჟა-ფშაველა); გაეზიარებინა ჯარისკაცის ხვედრი, ებრძოლა სამშობლოს გადასარჩენად და ბრძოლაში დაღუპულიყო (მაგ., პეტეფი და აპოლინერი); მჯდარიყო ციხეში (მაგ., სერვანტესი პირატებმა დაიჭირეს და მონად მიჰყიდეს ალჟირის ფაშას). ზოგს წიგნის გამოცემაც უჭირდა (მაგ., ჯოისს „დუბლინელების“ გამოცემაზე 40-მა გამომცემლობამ უთხრა უარი. ხოლო „ულისე“ ინგლისში მთელი 15 წელი აკრძალული იყო).

სდევდათ ავადმყოფობა, შიზოფრენია (მაგ., ჰოლდერლინი, ნიცშე, მოპასანი, აკუტაგავა) და ჭლექი (მაგ., ჩეხოვი, ეგნატე ნინოშვილი, ჭოლა ლომთათიძე), ეპილეპსია (მაგ., დოსტოევსკი, პეტრარკა) და სოდომის ცოდვა (მაგ., უაილდი, პრუსტი, მალერი).

დეპრესიის მოახლოვებას ზოგი ვერ უძლებდა და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდა (მაგ., ჯეკ ლონდონი, ერნესტ ჰემინგუეი, ალექსანდრ ფადეევი, გალაკტიონ ტაბიძე).

ისინი სტოვებდნენ ასპარეზს, რათა უფრო სხივმოსილი მოვლენოდნენ სამყაროს.

ხელოვანს ამოქმედებდა თავისუფლებისაკენ სწრაფვა. ამ გზაზე უხდებოდა სნეულებასთან ბრძოლა, ინტრიგების აცილება, ხელისუფლების კულისებში ლავირება (მაგ., საბჭოთა პერიოდში), საარსებო მინიმუმის მოპოვება. იყენებდა ნარკოტიკებსაც (მაგ., ედიტ პიაფი).

მათ მილიონებისათვის სიხარული მოჰქონდათ – თავიანთი სიცოცხლის დაფერფვლის ხარჯზე.

სტანჯავდათ სატრფოს გულცივობა, მისგან სიშორე, უარყოფა, დაცილება ან ღალატი. მაგრამ სწორედ ამგვარი ტანჯვა აძლევდათ ენერგიას.

ზოგი გამარჯვებული და თითქოს ბედნიერიც იყო; მდიდარი და აღიარებულიც, მაგრამ მიღწეული მაინც ეცოტავებოდათ, მეტისკენ ისწრაფოდნენ და ლამის ღმერთს შესცილებოდნენ (მაგ., გოეთე, ლევ ტოლსტოი) ან უაზროდ, ლოთობასა და ხელისუფალთა პირფერობაში ლევდნენ დარჩენილ წლებს (მაგ., მიხეილ შოლოხოვი).

დიდი შემოქმედებითი აღტკინება დიდი დეპრესიის მომტანიცაა, როცა სული ღელვისაგან განიმუხტება და აღარ იცი, კიდევ რა გააკეთო, რა აზრი აქვს სიცოცხლეს. აღარც აღიარება, აღარც პრემიები, აღარც დიდი ჰონორარები აღარ იწვევენ სიხარულს.

48 წლის შექსპირმა თავი მიანება ლონდონსა და თეატრს, შეწყვიტა წერა და დაუბრუნდა ოჯახს, რომელიც 26 წელი ფაქტიურად მიტოვებული ჰყავდა.

მაინც მთავარია მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი, ვინც ავტორს უგებს და აფასებს (მაგ., მაიაკოვსკის კუბოს 100 000 კაცი მიჰყვებოდა).

არიან ცალკეული გამონაკლისები, რომელთაც დიდება თავბრუს არ ახვევს და ისევ, სიცოცხლის ბოლომდე, არა ვინმეს საამებლად ან ლუკმაპურისათვის, არამედ – სულის გზნებით, აგრძელებენ შემოქმედებით წვას, იცავენ წონასწორობას, ხელს არ უშლით არც სნეულება, არც სამშობლოს კატასტროფა (მაგ., თომას მანი).

ზოგს არც სიბრმავე (მაგ., ჯონ მილტონი), არც სიყრუე (მაგ., ბეთჰოვენი), არც დევნა (მაგ., დანტე) არ უკლავდა შთაგონებას.

შემოქმედებას მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილი ან ჯალათის ტყვია, რომელიც საკუთარმა ხელისუფლებამ არგუნა (მაგ., გარსია ლორკა, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ბორის პილნიაკი, ოსიპ მანდელშტამი, ნიკოლაი გუმილიოვი), უსვამდა საბოლოო წერტილს.

შემოქმედის აღიარების უმაღლესი სიმბოლოა ნობელის პრემია. ყველაზე პოპულარული კი არის კინომსახიობი და ესტრადის მომღერალი.

ხელოვანის ცხოვრებაში ვარიაციულად მეორდება, როგორც არქეტიპი, ქრისტეს ჯვარცმის მისტერია.

ადამიანთა უმრავლეს ნაწილს რაღაც ფიზიკური ნაკლი აქვს, სტანჯავს ფიზიკური ან ფსიქიკური სნეულება. ეს ძალიან ცოტამ იცის და ცოტას აინტერესებს. მაგრამ შემოქმედის ყოველ ზადს საზოგადოება ცნობილს ხდის. მის ქცევას, ბიოგრაფიას გამადიდებელი შუშით აკვირდებიან, გადასცემენ შთამომავლობას. პიროვნების ფსიქიკა და ხასიათი განვითარებას ჰპოვებს შემოქმედებაში.

ამიტომ ჰგონიათ, რომ თითქოს მხოლოდ მათ ჰქონდეთ ნაკლოვანებათა ესოდენი სპექტრი, საზოგადოება კი ჯანსაღია, რომ მკითხველს, მსმენელს, მაყურებელს ასეთი არაფერი აწუხებს.

სცენაზე მდგარს, რამპის შუქით განათებულს, უამრავი ცნობისმოყვარე თვალი შესცქერის და მათ მზერას არაფერი დაემალება.

რა წარმოშობს ეგოიზმს კულტურაში?

საერთო საწყისი ბიოლოგიურია – სწრაფვა დასაკუთრებისა და დამორჩილებისაკენ, მოქმედებს მეორეც – სოციალურ-კულტურული ფაქტორები.

ყველა კარგად იცნობს თავის თავს, ცოდნისა და განათლების ხარისხს, გაკეთებულ საქმეებს, დაწერილ წიგნებს, სიკეთესა და სიმამაცეს.

ამიტომ ადამიანს სრული წარმოდგენა აქვს თავის თავზე. ეს მას მხნეობას აძლევს.

მაგრამ იგი ცუდად ან ნაწილობრივ იცნობს სხვებს, მათ საქმეებს, ერუდიციას, დაწერილ წიგნებს, სიკეთესა და სიმამაცეს.

ამიტომ მთელი ყოველთვის აღემატება ნაწილს. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ ადამიანი, თავის უნარზე დამყარებით, ხედავს პერსპექტივას, გრძნობს პოტენციურ ძალას, რომელსაც ნაკლებად ამჩნევს სხვებში. ამიტომ იგი ოცნებაშიც აღემატება მათ.

ეს ორი ფაქტორი აძლევს მყარ საყრდენს, რათა გულრწრფელად იფიქროს, რომ იგი სხვებზე უკეთესია, ეკუთვნის მეტი დაფასება, აღიარება (შდრ – ტოლსტოი არ სცნობდა შექსპირსა და ბეთჰოვენს).

შემოქმედებით პროცესში ეგოისტური ბირთვი აღწევს თვითრეალიზაციას, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე გადადის განდიდების მანიასა და სხვათა იგნორირებაში: სოციალურ-კულტურული აძლიერებს ბიოლოგიურ ტენდენციებს.

რეალობის გრძნობა სუსტდება და მხოლოდ გონების კონტროლი აიძულებს, რომ საზოგადოებას დაუმორჩილოს თავისი ფანტაზია.

მაგრამ როცა შემოქმედი აღწევს მეტნაკლებ წარმატებას, ერთი მხრივ, ძლიერდება განდიდების მანია, მეორე მხრივ – სწორედ არქეტიპულად გადმოცემული ტენდენციები მომეტებულად ვლინდება, რაც აისახება ფსიქო-ნერვულ სისტემაში, რომელსაც არყევს მუდმივი და ზენორმული ღელვა. ამიტომ უჭირს შემოქმედს სტაბილობის შენარჩუნება და კონტაქტი კოლეგებთან.

3. შემოქმედების პროცესი

კულტურის ყოველი სახე, ყოველი ფორმა ადამიანის სწრაფვასა და ინტერესებს გამოხატავს, შინასამყაროს ნიუანსებს ავლენს და საგნებად ანაწევრებს.

რაც კარგად არის მოწვდილი, ყველაფერი საჭიროა. მაგრამ იერარქია მაინც არსებობს დარგსა და ჟანრში. მაგ., მუსიკოსი ან მხატვარი მრავალია, მათგან ერთეულებია ნიჭიერი, ხოლო გენიოსის მოვლენა ცის გახსნასავით იშვიათია.

ასე რომ ყველა შემოქმედი ვერ იქნება ღირებულ ფასეულობათა ავტორი. თვით დარგებსა და ჟანრებს შორისაც არსებობს განსხვავება. ჯერ კიდევ არისტოტელე გამოყოფდა ტრაგედიას, რუსთაველი ახარისხებდა მელექსეებს.

დიზაინერი აუცილებელ საქმეს აკეთებს. იგი აერთებს კულტურას ცივილიზაციასთან, პასუხობს მასების მოთხოვნილებასა და გემოვნებას, ალამაზებს გარემოსა და ადამიანთა ცხოვრებას, ქმნის კომფორტულ, სასიამოვნო პირობებს.

მიუხედავად ამისა, ვერავინ იტყვის, რომ დიზაინერი აღემატება პოეტს, მხატვარს ან მუსიკოსს, თუმცა მათ გარეშეც მშვენივრად ცხოვრობს ხალხი და მხოლოდ მცირე ნაწილი ეტანება წმინდა ხელოვნებას. მაგრამ ყველა გონიერმა იცის, რომ საუკეთესო დიზაინერი ვერ შეედრება საუკეთესო პოეტს (ვთქვათ, ჰომეროსს, შექსპირს ან რუსთაველს).

შემოქმედების პროცესი განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს ავტორს. იგი მასის ნაწილია, მაგრამ თავისი აზროვნებით, საქმით გამოეყოფა გარემოს. ზოგი ეწირება თავის შემოქმედებას, ემორჩილება შინაგან ხმას, ფანტაზიას, წარმოსახულ ლანდებს. ზოგიც საკუთარ ტკივილებს, სიხარულს, განცდებს აქცევს სიუჟეტებად და პერსონაჟებად, ფერებად და ბგერებად, თითქოს ფსიქოთერაპევტივით მკურნალობს თავის თავს. სხვა კიდევ – რეალობაში ვერ აკეთებს, ვერ ახერხებს ოცნებათა და იდეათა რეალიზებას ან მარცხდება და სტოვებს ბრძოლის ველს, მიდის თავის სენაკში, როგორც ბერი და წარმოსახვით ქმნის სანატრელ სამყაროს, სადაც თავად არის არა მხოლოდ მეფე და მეუფე, არამედ – დემიურგიც.

კინოხელოვნებაში რეალობა ქმნის წარმოსახვით სივრცეს. მაგ., „ტიტანიკი“ აუზში გადაიღეს და არა ოკეანეში, რაც მაყურებლისთვის შეუმჩნეველია.

ძველ დროში როგორც ზეპირად ან სიმღერით სრულდებოდა ტექსტი, ავტორიც ასევე ზეპირად თხზავდა. მაგ., ბრმა მილტონმა ვრცელი პოემა „დაკარგული სამოთხე“ მდივანს უკარნახა. იგი ოთახში დადიოდა, სტრიქონებს ამეორებინებდა და ტექსტს ასე ასწორებდა. ასეთ დროს ავტორი შთაგონებით არ თხზავს, იგი შრომობს, რაციონალურად აზროვნებს და ამ პროცესის მოწმე არის ტექსტის ჩამ-

წერი. შემდეგ ავტორი უბრუნდება ფიქსირებულ მასალას და ასწორებს.

არის შემოქმედი-მოთამაშეც, ოღონდ აქ თამაში არ უდრის გარდასახვას, აქტიორულ სხვადქცევას ან რეჟისორულ კონცენტრირებას. ეს არის ის პროცესი, როცა შემოქმედი აკეთებს იმ საქმეს, რომელიც არ უყვარს, ემსახურება იმ იდეის განსხეულებას, რომელიც არ სწამს. მაგრამ ხდება ისეც, რომ ამგვარი არტისტიზმი ზოგჯერ უჩვეულო შედეგსაც იძლევა, როცა ნიღაბი სახეს შეეზრდება (მაგ., საბჭოთა ხელოვნებაში).

შემოქმედის გზნება აერთებს ცნობიერსა და არაცნობიერს, ცოდნასა და იდუმალ სწრაფვებს, ინტუიციასა და ინტელექტს.

დიონისური და აპოლონური სტიქიები

ინტუიციასა და ინტელექტს ამოძრავებს ფსიქო-ნერვული ტალღების, იმპულსების, გარედან მიღებული სიგნალების, წარმოდგენების სიტყვად, ნივთად, რიტმად, ფერებად ქცევა, მათი ასოციაციური კავშირები. მათ აქვთ სხვადასხვაგვარი გამოვლენის ფორმა, ხარისხი, სიღრმე, ინტენსივობა ან მნიშვნელობა. ამის მიხედვით ფრ. ნიცშემ განასხვავა ორი სტიქია და მათ უწოდა ანტიკური ღმერთების – დიონისესა და აპოლონის სახელები.

ეს განსაზღვრა სწრაფად გავრცელდა და დამკვიდრდა ხელოვნებაში, ესთეტიკურ ლიტერატურაში, თუმცა ავტორი მხოლოდ ელინურ მასალას ემყარებოდა. ხოლო კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტები უარყოფდნენ (მაგ., მოელენდორფი).

ფრ. ნიცშეს წარმოდგენით, კაცი უნდა ქცეულიყო ზეკაცად, რათა ამქვეყნიურ ყოფნას აზრი ჰქონოდა. ამიტომ არის არსებობა სიცოცხლის ნება და ძალაუფლების ნება, რომლის რეალიზება ხდება კულტურითა და ცივილიზაციით, სულიერ ღირებულებათა შექმ-

ნით. შემოქმედის ინდივიდს და ინტელექტს კი ორგვარი სტიქია მართავს – დიონისური და აპოლონური.

დიონისური რიტუალების საფუძველი იყო თრობა და სექსუალური გარყვნილება, ავხორცობა და სისასტიკე ანუ ველურობის აღდგენა, უკუქცევა თავისუფლებისაკენ, რაც იყო უზომო სიხარული.

დიონისური სტიქია ღელვა და მოძრაობაა, რიტმი და მუსიკა, როკვა და სიმღერა, რღვევა და წარმოშობა, თრობა და ექსტაზი, ბნელი ქაოსი, ბარბაროსული ძალა.

აპოლონური სტიქია ესწრაფვის სინათლეს, ჰარმონიას, წესრიგს, მშვენიერებას. იგი მიამიტურია, როგორც სიზმარი და პლასტიკური – ხედვითი. ამიტომ აქვს კონკრეტული ფორმა, რაციონალური და არისტოკრატიული.

ვიაჩესლავ ივანოვის სიტყვით, ელინური კულტურის კოსმოსი შექმნა დიონისურმა და აპოლონურმა სტიქიებმა. ისინი განუყრელად არსებობენ ჩვენს სწრაფვასა და ფანტაზიაშიც, როგორც რაციონალური და ირაციონალური, აწონასწორებენ ერთმანეთს, მონაცვლეობენ და ავსებენ. მათი გამოვლენა ემყარება ჩვენს ტემპერამენტს, ფსიქო-ნერვულ სისტემას, აღზრდას, გემოვნებას, განათლებას.

სტიმული და შთაგონება

ქალი არ ქმნის კულტურას. იგი მას ინახავს და აღვივებს, როგორც მიწა – თესლს, გადასცემს იმპულსებს, შთაგონებას, სტიმულს, რომელსაც აზრს, მიმართულებას აძლევს და ავითარებს მამაკაცი.

ელინელთა აზრით, შთაგონებას ანუ შემოქმედებით განწყობას, აღმაფრენას ადამიანს ჰგვრიდნენ მუზები, ზევსისა და მნემოსინას (მეხსიერების ღმერთქალი) ქალიშვილები.

ხელოვნების ყველა დარგს თავისი მუზა ჰყავდა (მაგ., ლირიკას – ერატო, ტრაგედიას – მელპომენე, ცეკვას – ტერპსიქორე).

ოლიმპიელი მუზების ტრადიცია სათავეს იღებს ხთონური, ქვესკნელის არსებებიდან ანუ ხელოვნებას იდუმალ, შეუცნობელ, ბნელ ძალებთან აკავშირებდნენ, ისევე როგორც ქურუმებს. მათ მფარველობდნენ, ჯერ – დიონისე მუსაგეტი და შემდეგ – აპოლონ მუსაგეტი.

შემოქმედს, შთაგონებას ანათესავებდნენ ნევროზთან და ფსიქოზთან. ეს ანტიკურ საბერძნეთში. მაგრამ საერთოდ შემოქმედის ღელვა, ემოციების მოძალება, ფიქრსა და ოცნებაში დანთქმა, კონტაქტის შესუსტება ჰგავს ტრანსში გადასული ქურუმის ხილვას, რომელიც ბოდვას ჰგავდა და თავადაც შეშლილად იქცეოდა.

ძველ დროში კი, შემოქმედი ქურუმი იყო.

განასხვავებდნენ კიდევ სამი სახის შეშლილობას, რაც სულს იპყრობდა. ისინი მომდინარეობდნენ: ბაკხური – დიონისესაგან, წინასწარმეტყველური – აპოლონისაგან, სასიყვარულო – აფროდიტესა და ეროსისაგან (პლატონი).

შთაგონებას აღძრავს მრავალი ფაქტი, ხილული საგანი, სატრფო, მოგონება, ალკოჰოლი, ნარკოტიკი. ეს იწვევს სისხლის ამოძრავებას ანუ, ყოფითი ენით რომ ვთქვათ – გულის აჩქროლებას, რაც ამღერებაში გადადიოდა. მაგ., დანტეს შთაგონება იყო ბეატრიჩე, პეტრარკასი – ლაურა, ბოკაჩოსი – მარია, ტორკვატო ტასოსი – ელეონორა.

შთაგონების გამოწვევას სჭირდება სტიმულიც. ეს არის მატერიალური წახალისება, რასაც ჰონორარით გამოხატავენ. ეს ახალ დროში.

ინტელიგენტი, მოაზროვნე, კულტურშემოქმედი ნაკლებად ფლობს ისეთ საკუთრებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს, შეეძლოს თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნება. იგი ცხოვრობს თავისი გონების ხარჯზე. აქ ისევ შემოდის კომერცია.

ფრანსუაზა საგანი 18 წლის იყო, როცა დაწერა პირველი რომანი – „სალამი, სევდავ!“. ავტორი ებრძოდა მოწყენილობას, დეპრესიას და თხზვის პროცესმა გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან. წიგნს უდი-

დესი პოპულარობა ხვდა წილად, გაიყიდა ასეულ ათასობით ეგზემპლარი, ითარგმნა ევროპულ ენებზე და ფრანსუაზა ერთბაშად გამდიდრდა.

გონების პროდუქტი, რომელიც არ საღდება, არავის სჭირდება. მაგრამ კულტურშემოქმედი როცა საქმეს ჰკიდებს ხელს, მოელის შესაბამის ანაზღაურებას. მეტწილად, ეს მოლოდინი წინასწარი კონტრაქტით არის განსაზღვრული ანუ შეკვეთის ფორმას ღებულობს.

ასეთ დროს ფანტაზია ექცევა შესაბამის ჩარჩოში. მაგრამ როცა მხატვარი, დიზაინერი, კომპოზიტორი ან მწერალი ჯერ ქმნის და შემდეგ ავრცელებს ანუ ჰყიდის თავის პროდუქციას, არავინ იცის რა შედეგი მოჰყვება ასეთ გარჯას.

სტიმულირება განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი დარგისთვის, რომელიც დიდ დაფინანსებას ან ნაკლებ შთაგონებას მოითხოვს.

პოეტს რომც აუკრძალო, ლექსს მაინც დაწერს. მაგრამ ქიმიკოსს ან ასტრონომს, მუსიკოსს ან რეჟისორს სჭირდება შესაბამისი აღჭურვილობა, ატრიბუტიკა, ინვენტარი, არა მხოლოდ საარსებო მინიმუმი. ამიტომ არის სტიმულირება შთაგონების წინმსწრები ფაქტორი, წინა საფეხური, რაც აერთებს ცნობიერსა და არაცნობიერს, გონებასა და ოცნებას.

ინდივიდუალური და კოლექტიური

არქაული რიტუალები – უზენაეს ძალთა სადიდებელი (მაგ., მსხვერპლშეწირვა) თუ სავედრებელი (მაგ., წვიმის მოყვანა) კოლექტიურად სრულდებოდა, ყველა იყო მონაწილეც და მაყურებელიც.

მათ აერთიანებდათ მიზანი, როკვა, სიმღერა, ყიჟინა, სისხლი, ნათესაური წრე, ენა, მშობლიური ველ-მიდამო.

ამის გამო რიტუალი ჰგავდა თანამედროვე თეატრალურ სპექ-ტაკლს, რომელიც ძირითადად უცვლელად მეორდებოდა. შესაბამი-სად – იგი იყო კოლექტიური მოქმედება. მასში მონაწილე ინდივი-დები ოღონდ ცალკე როლებს არ ასრულებდნენ (მაგ., როცა ერთი მღერის და მეორე როკავს).

ასე შეიქმნა კულტურის მითოსურ-ფოლკლორული ფენაც, როგორც კოლექტიური შემოქმედება, ძირითადად – ერთი ტომის ან ხალხის წრეში. იგი გაგრძელდა ხალხურ წარმართულ კარნავალებში, ტექსტების ზეპირ თხზვასა და შესრულებაში.

ცხადია, წარმოშობის თვალსაზრისით ყველაფერი ინდივიდუა-ლურია. მაგრამ მითი, ლეგენდა, როკვა თუ სიმღერა იხვეწება თაობა-თა მანძილზე. მოცემულ სქემაში კორექტივი შეაქვს დროს. მაშინაც, როცა იგი უკვე ჩამოყალიბებულია, ახალი ინდივიდები ფსიქიკისა და სწრაფვის მიხედვით გარდაქმნიან ცალკეულ დეტალებს, რაც თანდათან გადადის სრულ სახეცვლილებაში, ანდა – იკარგება ინტე-რესი და კვდება მითი, ლეგენდა თუ ლექსი.

რელიგიასაც იწყებდა კონკრეტული პირი. მაგრამ შემდეგ იგი ივსებოდა ახალი წარმოდგენებით, ეძლეოდა სიღრმე და სირთულე, მკაცრი სტრუქტურა. მისი კანონიზების შემდეგ ცალკეული ცვლი-ლებანი აღიქმებოდა როგორც ერესი (შდრ – ქრისტე, ქრისტიანული მოძღვრება და მწვალებლები).

კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია თეატრალური სპექტაკ-ლი, ტელე და კინოფილმი, მორალი, ეტიკეტი.

თეატრალურ სპექტაკლს აქვს სცენარი (პიესა), წარმოდგენის ადგილი, ჰყავს მაყურებელი, მსახიობები, რეჟისორი, რომელიც თავს უყრის ყოველ დეტალს და განალაგებს, არჩევს შემსრულებლებს.

სცენას, სადაც ხდება სიმბოლური მოქმედება, სჭირდება ინვენ-ტარი, განათება, აკუსტიკის დაცვა.

შემოქმედება თავისი არსით ინდივიდუალურია. კოლექტიური იგი ხდება მაშინ, როცა ზეპირად ვრცელდება, იცვლება, იმპროვიზა-ციულად სრულდება, რაც ფოლკლორის სფეროა.

თვით სპექტაკლებსა, კინოფილმებსა და სიმფონიების ორკესტრულ შესრულებაში ინდივიდები მოქმედებენ, ინდივიდები ასრულებენ მათთვის რეჟისორის (დირიჟორის) მიერ მიჩენილ და პიესით (პარტიტურით) განსაზღვრულ ფუნქციას.

სპექტაკლს ჩარჩოში აქცევს, მთლიანობას ანიჭებს სცენა, სცენარი (პიესა) და რეჟისორი.

თეატრალური სპექტაკლი იხვეწება რეპეტიციებსა (მაგ., რობერტ სტურუამ „რიჩარდ III“-ის 400 რეპეტიცია ჩაატარა) და წარმოდგენებში, რომელსაც მაყურებელი აკონტროლებს.

კინოკადრები მოქმედებას აფიქსირებენ და რომც სურდეთ, რეჟისორი და მსახიობები ვერაფერს შეცვლიან. აქ ხან რეჟისორია მთავარი ფიგურა, ხანაც – მსახიობი.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა ანბანი და დაიწყო ტექსტების ჩაწერა, გაჩნდა ლიტერატურაც, რომელსაც ჰყავს ერთი ავტორი, ისევე როგორც როგორც მუსიკას, სიმღერას, ქანდაკებას. ზოგჯერ ერთ ძეგლს ან ნახატს ჰყავს ორი ან მეტი ავტორი, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა (მაგ., კუკრინიკსები საბჭოთა მხატვრობაში – კუპრიანოვი, კრილოვი და სოკოლოვი, კოზმა პრუტკოვი XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში (სამი ძმა ჟემჩიჟნიკოვი და ა.კ. ტოლსტოი).

ინდივიდუალურ შემოქმედებაში გადამწყვეტია ერთი ავტორი. მას რომ ათასი თანაავტორიც ამოუყენოთ, შედეგი იგივე იქნება (მაგ., რუსთაველს, ფირდოუსს ან თომას მანს თანაავტორები მხოლოდ ხელს თუ შეუშლიდნენ).

არსებობენ აღიარებული ტექსტები, რომელთაც ჰყავთ რამდენიმე ავტორი (მაგ., ილფისა და პეტროვის „12 სკამი“ და „ოქროს კერპი“, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „მეფე ლირი“). მაგრამ ეს ნაკლებად ხდება.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს აქვს გაგრძელება და გაგრძელებათა გაგრძელება („ომაინიანი“). გადაწერის პროცესში იცვლებოდა ცალკეული სტრიქონები, ემატებოდა სტროფები ან აკლდებოდა.

ასე რომ დღევანდელი „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალისაგან განსხვავებულია. მაგრამ დარჩა ძირითადი ტექსტი, სიუჟეტური ხაზი და პერსონაჟები, სალექსო სტრუქტურა და ესთეტიკა.

ხალხის მეხსიერებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს ავტორის ცნებას (მაგ., ვინ შექმნა ეს ლექსი, პოემა, ლეგენდა, სიმღერა, ვინ ააგო ეს ტაძარი, ვინ გამოიგონა მანქანა, თვითმფრინავი, ავტომატი ან ტანკი). იგი მომხმარებელია და აინტერესებს შედეგი, არა წარმოქმნის პროცესი ან წარმომქმნელის ვინაობა.

მაგრამ ამას აქვს მნიშვნელობა თანამედროვისათვის, ავტორის ახლობელთა წრისათვის, რომელიც ზღუდავს ან ავრცობს შედეგის გავლენის არეალს (შდრ. – „ტალანტი – ლიდერი“).

კომპიუტერი და ინტერნეტქსელი საერთოდ შლის ავტორის სახელს. შედეგი ხდება მასობრივი საკუთრება. მაგ., ბილ გეიტსის პროგრამებით მილიონები სარგებლობენ, თუმცა ძალიან ცოტამ იცის მისი სახელი და ღვაწლი.

როგორც ვხედავთ, დროთა მანძილზე მონაცვლეობენ ინდივიდუალური და კოლექტიური ავტორები. ისინი ერწყმიან თავიანთ მიერ მიღწეულ შედეგს, გარდაისახებიან მხატვრულ სახეთა სისტემად, სამეცნიერო აღმოჩენად თუ ტექნიკის საოცრებად.

შედევრი და პოპულარობა

განსაკუთრებულ მიღწევას ხელოვნებაში შედევრი ეწოდება. შედევრი რომ შეიქმნას, თავად ავტორსაც უჩვეულო უნარი უნდა გააჩნდეს.

შედევრი არის შემოქმედებით ძალთა, ფსიქიკური უნარის მაქსიმალური კონცენტრირება, რომელიც სანიმუშოდ რჩება ისტორიაში.

ხელოვნების განვითარების გზას განსაზღვრავენ შედევრები, მათი ავტორები. ისინი ცვლიან ძველ გემოვნებას, მოაქვთ ახალი ხედვა, რაც მანამდე უცნობი იყო. ამკვიდრებენ ახალ სტილს და მიმართულებას, სტიმულს აძლევენ მათ განვითარებას (მაგ., ქართულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსანი“, ქართულ ლირიკაში – გალაკტიონ ტაბიძე, ქართულ მუსიკაში ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“).

ისინი იჩენენ მიმდევრებს; მათ მიჰყვებიან, როგორც ფორმისა და გემოვნების სანიშნოებს.

მაგრამ შედევრის მიზიდულობის ძალა ბოჭავს და წინ არ უშვებს მიმბაძველებს. ამ მაგნიტური ველიდან გამღწევი ენერგია მათ არა აქვთ.

ოპერა ან კლასიკური მუსიკა ესმის პროფესიონალთა ვიწრო წრეს. მასა გაცილებით მეტი ინტერესით ეტანება ჯაზსა და საესტრადო სიმღერებს. მაგ., 60-იან წლებში ბითლზების პოპულარობა ყოველგვარ საზღვარს გასცდა. ამის გამო წამოსცდა ჯონ ლენონს – ჩვენ დღეს ქრისტეზე უფრო ცნობილი ვართო. მასის გემოვნებას რომ ვენდოთ, კულტურის ბევრი დარგი გაქრებოდა, როგორც მოსაწყენი.

ამიტომ მთავარია პროფესიონალის, სპეციალისტის აზრი და გემოვნება, რომელსაც წინ მიჰყავს კულტურა. იგი მეტად უძლებს დროს და მისი შუქი ამ ხანგრძლივ დროზე ნაწილდება, ხოლო ის, რაც მსუბუქია და გასართობი, ასანთის ალივით უცებ იფეთქებს და ჩაქრება.

„ვეფხისტყაოსანი“ ძველ საქართველოში უაღრესად პოპულარული იყო. რაინდობისა და ქალის კულტი გავლენას ახდენდა არა მხოლოდ მწერლობის განვითარებაზე, არამედ – ხალხის ფსიქიკაზეც.

„ვეფხისტყაოსანი“ რელიგიური დოგმებისათვის შეუთავსებელია. როგორც ვთქვით, პერსონაჟები ქრისტიანები არ არიან, არც ქრისტიანულ ქვეყნებში ხდება მოქმედება. თითქოს ეს სამყარო შეგნებულად არის იგნორირებული. პოემა საგრძნობ ტიპოლოგიურ და სახეობრივ სიახლოვეს ამჟღავნებს ფირდოუსთან და ნიზამი გან-

ჯელთან (მურმან თავდიშვილი). ადიულტერი, სისასტიკე (ავთანდილის ფლირტი ფატმანთან და მისი დავალებით ჭაშნაგირის მოკვლა), სიმბოლური ინცესტი (ნესტანისა და ტარიელის სიყვარული), რაინდული ეთიკის დარღვევა (ტარიელის მიერ ხვარაზმშას ძის მოკვლა) არც ქრისტიანული და არც მუსულმანური მრწამსით არ იყო მისაღები.

მაგრამ ხალხი აერთებდა ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულს. მათ ერთმანეთს არ უპირისპირებდა, როგორც ეს ხდებოდა კლერიკალურ წრეებში (მაგ., ანტონ კათალიკოსი მიიჩნევდა, რომ ბრძენი შოთა „ამაოდ დაშვრა“).

შედევრს პირველ რიგში აღიარებს ინტელექტუალური ელიტა და შემდეგ გადადის მასაში. ისიც ხდება, რომ პროფესიონალთა მიერ აღიარებულ ნიმუშებს მასა ვერ ღებულობს. მაგ., გოეთეს „ფაუსტი“, ჯოისის „ულისე“, თ. მანის „დოქტორი ფაუსტუსი“. სამაგიეროდ იგი აღტაცებას გამოსთქვამს გაცილებით ნაკლები ღირსების ნაწარმოების მიმართ (მაგ., ალ. დიუმას „სამი მუშკეტერი“ და „გრაფი მონტე კრისტო“, რემარკის „სამი მეგობარი“).

მასისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიწოდების ფორმას. პოეზია დეკლამაციით აღწევს პოპულარობას; ნიუანსების აქცენტირება და აჟღერება სწვდება სულის სიმებს, ხოლო თვალით წაკითხვისას ხმის ეფექტი არ არსებობს, ემოციას ვღებულობთ მხედველობით.

არასდროს პოპულარული არ ყოფილა გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის ან სიმონ ჩიქოვანის მიერ ჩატარებული პოეტური საღამოები. მაგრამ დარბაზი ტაშით ინგრეოდა, როცა იოსებ გრიშაშვილი, იოსებ ნონეშვილი ან მუხრან მაჭავარიანი კითხულობდნენ ლექსებს.

პოეტის ტალანტს აქ ერთვოდა აქტიორი–დეკლამატორის ტალანტი.

„დათა თუთაშხიას“ მასა პირველ რიგში ღებულობს კინოფილმის სახით, რომანი კი რჩება ლიტერატორთა და ლიტერატურის მოყვარულთა წრეში.

საბჭოთა კავშირში სამი სახის პოპულარობა არსებობდა – ოფიციალური, მასობრივი და ელიტარული. იშვიათად კი ეს სამივე ერთდებოდა (მაგ., საქართველოში – გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია).

პოპულარობა არ არის ღირსების საზომი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ გავრცელებულ ლექსს, რომანს თუ კინოფილმს რაღაც თვისება აქცევს პოპულარულად. შეიძლება მიზეზი ვეძიოთ ეროვნულ ან სოციალურ პრობლემებში, საზოგადოების განწყობილებაში, თავად ავტორის პიროვნებაში, მის ბიოგრაფიაში, პერსონაჟებში.

პოპულარობასაც აქვს დროის ზღვარი. იგი უსასრულოდ არ გრძელდება (შდრ. ჰემინგუეი და რემარკი). ის თაობა, რომლის მოთხოვნილებას პასუხობდა რომანი თუ კინოფილმი, სტოვებს სამზეოს. ახალ თაობას ახალი ჩირაღდნები მოაქვს, თუნდაც მკრთალი იყოს მისი შუქი (მაგ., 30-40-იან წლებში ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“).

მასობრივი პოპულარობა დროებითი მოვლენაა და ის, რასაც დღეს ეტანება ხალხი, ხვალ შეიძლება არენიდან გავიდეს. მის ადგილს იკავებს ახალი სიმღერა, ცეკვა თუ რომანი, ახალი ვარსკვლავი. მაგ., „ბითლზებს“ ადელაიდას აეროპორტში 300 ათასი ფანი დახვდა!

კინოთეატრის შესასვლელთან ახალგაზრდა, ელეგანტურად ჩაცმული ჩარლი ჩაპლინი მაყურებელთა ბრბომ კინაღამ დაახრჩო. ტანსაცმელი, ქუდი, პერანგი, ჰალსტუხი შემოახიეს, შემდეგ ხელში აიტაცეს და ასე შეიყვანეს ფოიეში.

ბრბომ სუვენირებად აქცია მისი სამოსელი. თავად ჩარლისაგან კი დარჩა დაძონძილი მაწანწალა, რომელიც ასე გიჟურად უყვარდა ხალხს.

კოშმარულ და სისხლიან ეპოქებში ჩარლის სიცილი ყველას სჭირდებოდა. ამას ჩარლიც შენიშნავდა, იცოდა, რომ მისი პოპულარობა დროის მოთხოვნილება იყო.

მაგრამ თვით შედევრებიც ძველდება და მხოლოდ სპეციალისტები უხანგრძლივებენ სიცოცხლეს; არ ივიწყებენ იმიტომ, რომ

დროის გარკვეულ მონაკვეთზე დაიმორჩილეს ინტელექტუალური წრე, განავითარეს ჟანრი,ფორმა ან გემოვნება. მაგ., თავის დროზე დიდად იყო პოპულარული გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ და ამ რომანის შთაგონებით ზოგი თავსაც კი იკლავდა. ნაპოლეონს იგი შვიდჯერ წაუკითხავს. მაგრამ დღეს მხოლოდ ისტორიულ ინტერესს იწვევს. იგივე ითქმის კლასიცისტურ ლიტერატურაზე, ფუტურისტებსა და დადაისტებზე, გერმანული რომანტიზმის ცალკეულ წარმომადგენლებზე.

ჯ. ჯოისის „ულისე“ ძალიან ცოტას აქვს წაკითხული, თვით მწერალთა შორისაც კი. მასისათვის კი იგი ყოველთვის უცხო და გაუგებარი იყო.

სპეციალისტები მას აღიარებენ, აფასებენ ამ წიგნს, რომელმაც დიფუზიური აზროვნების ტიპი შექმნა, ამოსწია ფიქრის დაბურდული, დაწყვეტილი, მღვრიე ენა და ამ სიახლით გავლენა იქონია ევრო-ამერიკულ ლიტერატურაზე, თხრობის ტექნიკასა და სტრუქტურაზე. თუმცა მასობრივ მკითხველს ეს რომანი-ექსპერიმენტი არ სჭირდება.

სწრაფად ძველდება სიმღერები, ცეკვები, ლექსები, რომანები, პოემები, ნახატები, სპექტაკლები და ფილმები. მაგ., ლადო გუდიაშვილის ფერწერა, ალექსანდრე ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ან იოსებ გრიშაშვილის ლირიკა, მიხეილ ჭიაურელის ფილმები, ალექსანდრე ყაზბეგის, გრიგოლ რობაქიძის რომანები დღეს არც მასაში, არც ინტელექტუალთა შორის აღარ არის ძველებურად აღიარებული.

აქტუალობა და შესაბამისად მკითხველი დაკარგა ჰიმნოგრაფიამ და ჰაგიოგრაფიამ. მხოლოდ „ბიბლია“ ინარჩუნებს პოპულარობას.

ლიტერატურის უდიდეს მიღწევად რჩება ჰომეროსის პოემები და შექსპირის ტრაგედიები.

დრო სცვლის გემოვნებას, ესთეტიკას, პრობლემატიკას. ამის გამო გუშინდელი შედევრი დღეს უინტერესოდ გვეჩვენება.

შეიძლება ხვალ ისევ შეიცვალოს მიმართება.

დამკვეთი და ადრესატი

ეს ყელსაბამები, ბეჭდები და საყურეები, ეს ლალის, ფირუზისა და ზურმუხტის თვლები, ეს ჯვრები, გემმები და კამეები ოსტატის ხელმა დაამზადა.

შეიძლება იუველირისთვის არავის უთხოვია, არც მყიდველი ვინმე ეგულებოდა. მაგრამ ითვალისწინებდა საზოგადოების მოთხოვნას, პოტენციურად არსებულ ადრესატს, რომელიც მოაგნებდა.

თუ ასეთი მოთხოვნა არ არსებობს, არ გამოჩნდება არც დამკვეთი, არც მყიდველი.

დაკვეთა ადრესატს გულისხმობს, შრომა – მიზანსა და შედეგს.

დამკვეთი და ადრესატი საზოგადოების წიაღიდან მოდიან, საზოგადოების გემოვნებას, მოდას, ქონებას, საჭიროებას ითვალისწინებენ.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ ქრისტიანული რწმენის ტაძარს – სვეტიცხოველს აგებს არსაკიძე.

ტაძრის აგება მას დაავალა გიორგი მეორემ, მეფემ.

აშენების იდეა ეკუთვნოდა კათალიკოს მელქისედეკ მეორეს, პირველ პატრიარქს ჩვენი ეკლესიის ისტორიაში.

ადრესატი იყო ქრისტიანული მრევლი.

მატერიალურად მშენებლობას უზრუნველყოფდა ხელისუფლება.

ამ ერთსულოვნებას თაობიდან თაობაში გადაიტანდა ახლად აღმართული რწმენის სიმბოლო.

დაკვეთით შეიქმნა ყოველივე დიადი, რასაც სჭირდებოდა განუზომელი მატერიალური რესურსი და ფიზიკური ძალა, ეს იქნება ეგვიპტის პირამიდები, ტაჯ მაჰალი, წმ. პეტრეს ტაძარი რომში თუ დიდი ჩინეთის კედელი, ნიუ-იორკის ემპაიერი თუ ლუვრი და ვერსალი, დუბაის და ჰონკონგის არქიტექტურა.

დაკვეთით შეიქმნა რენესანსის დიდი ფერწერა, ძველი ხელნაწერები და წიგნები, სამკაულები, შრომისა და ბრძოლის იარაღები, ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ვერგილიუსმა „ენეიდა“ დაწერა რომაელი სახელმწიფო მოღვაწის მეცენატის შეგონებითა და დახმარებით, ვისი სახელიც იქცა კულტურის მფარველისა და ხელშემწყობის სინონიმად.

იქ, სადაც არ ჩანს კონკრეტული პირი, დამკვეთი დროის ძახილი ან შინაგანი ხმაა, რომელიც მბრძანებლობს შემოქმედზე.

ფრიდრიხ ნიცშემ „ზარატუსტრას“ დაურთო განმარტება – „წიგნი ყველასათვის და არავისათვის“.

ეს იმიტომ, რომ იგი შინაგან ხმას ემორჩილებოდა, არ გულისხმობდა კონკრეტულ ადრესატებს, ვერც წარმოიდგენდა მათ რიცხვს.

დამკვეთი იძლევა ზოგად სქემას, მაგ., ვინ და რა დახატოს მხატვარმა, რა სიდიდის უნდა იყოს ტაძარი თუ სავაჭრო ცენტრი, რას მიეძღვნას ეს სიმფონია, რა თემაზე დაიწეროს ლექსი, პოემა თუ რომანი. მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმები ერეოდნენ კულტურშემოქმედის წარმოსახვებში (მაგ., ბოლშევიკები ლამის თანაავტორად ქცეულიყვნენ).

ასე ხდებოდა კულტურშემოქმედის მიერ სულის სიმბოლური და საგნობრივი მოდელირება.

IV. კულტურის შექმნა: ილუზიის რეალობა

1. კულტურის იერარქია

ტიპოლოგია კულტურის განფენილობაა, მისი გავრცელება დროსა და სივრცეში. მაგრამ ეროვნულ კულტურას თავისი სიღრმე (ვერტიკალი) გააჩნია, რითაც ემსგავსება სხვათა კულტურას.

ამ თვალსაზრისით კულტურა შეიძლება იყოს ღია (ეკზოტერული) და დახურული (ეზოტერული), რომლითაც, ერთი მხრივ – ახდენს საზოგადოების, საზოგადოებრივი ფენების სტრუქტურიზებას, მეორე მხრივ – თავად საზოგადოება მოითხოვს ასეთ დიფერენცირებულ ფორმებს. ისინი პასუხობენ მასების სწრაფვასა და ლტოლვას.

როგორც შენიშნავენ, სოფლის კულტურა არ ჰგავს ქალაქისას, ოფიციალური – ხალხურს, არისტოკრატიული – დემოკრატიულს, ქრისტიანული – წარმართულს, მატერიალისტური – მისტიკურს.

ეკზოტერული კულტურა

ღია სტრუქტურა და ვერტიკალური იერარქია აქვს სახელმწიფოს, მთავრობას, პარლამენტს, რელიგიას, საგანმანათლებლო სისტემას. რელიგია იყოფა ეკზოტერულ და ეზოტერულ სფეროებად (მაგ., მუსულმანებში ზაჰირული და ბათინური მიმდინარეობები). ღიაა და ყველასათვის ხილული მატერიალური კულტურა.

ღია კულტურა აყალიბებს შესაბამის დარგებსა და ინფრასტრუქტურას.

ისინი მიემართება მასებს და მათ ემსახურება. ეს პრაქტიკის, გამოყენების, ყოველდღიურობის სფეროა.

ეკზოტერული კულტურა ექვემდებარება დიფერენცირებასა და ინტეგრირებას (იხ. ზემოთ). მაგ., როცა ლიტერატურა იშლება გვარებად, გვარები – ჟანრებად, ჟანრები – სახეობებად, სახეობები – კონკრეტულ ტექსტებად, ტექსტები – სიუჟეტებად, სიუჟეტები – შემადგენელ ელემენტებად, ელემენტები – მხატვრულ სახეებად.

იგი ინტუიციური მოძრაობის რაციონალიზების ნაყოფია, რომელიც მემკვიდრეობით გადადის, ყველას ეკუთვნის, ყველას შეუძლია გამოყენება. მაგ., განმანათლებლებს პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებდათ. აქცენტი გადაჰქონდათ გონებაზე, მეცნიერებასა და პროგრესზე, მასების განათლებაზე.

ეზოტერული კულტურა

დახურულია ის კულტურა, რომელიც ვიწრო წრის საიდუმლო საკუთრებაა. იგი უკავშირდება უზენაეს, დაფარულ, წარმმართველ ძალებს, რომელთა გამხელა ტაბუირებულია. ამ წრეში ყველა ვერ შემოვა, რომ ცოდნას ეზიაროს. იგი ეკუთვნოდა მხოლოდ რჩეულებს, განდობილებს, ხელდასხმულებს. ამდენად აქვთ საღმრთო და მისტიკური არსი, ან მოდის ძალაუფლებით აღჭურვილი ქვეყნის მმართველისაგან, რომლის ნება განგების ძალას ეტოლება.

ეზოტერული იყო ქურუმების სიბრძნე, ჯადოქრობა და მკითხაობა, კაბალისტიკა, ასტროლოგია, ანტიკური თეატრის ქოროს ტექსტები, სხვადასხვა სახის სუბკულტურა.

ეზოტერული კულტურა იყოფა სუბკულტურებად, რომლებიც თავიანთ გარშემო დახურულ ზონებს ქმნიან. მათ აქვთ თავიანთი ჟარგონი, აკავშირებთ რაღაც საიდუმლო, იდეა, სექსი თუ დანაშაული. საიდუმლო ძალას იძლევა. ისინი თავიანთ წრეში სხვას არ უშვებენ. სხვა უცხოა, რომელიც ამ ვიწრო წრის რომანტიკას ვერ გაი-

გებს – ის გარეწრიდანაა, ე.ი. მასაც თავისი ზონა აქვს, ოღონდ უცხო და მიუღებელი.

დახურული კულტურა ამგვარ ავტონომიებად არის დანაწილებული და აქვს თავისი ინფრასტრუქტურა.

სუბკულტურა ეზოტერული

კულტურის ერთი სახეა ასაკობრივი ჯგუფები (მაგ., თინეიჯერული ან პენსიონერთა). ასაკის მიხედვით იქმნება სხვადასხვა გაერთიანებები (მაგ., ჰიპები, პანკები, ტედები), რომლებიც სტოვებენ თავიანთ ეროვნულ წრეს, უერთდებიან სხვა ერებში გაჩენილ ანალოგიურ ჯგუფებს ან პოულობენ საერთო ენას.

ასაკობრივი სუბკულტურა თავისი მხრივაც დიფერენცირებულია. ერთნი ლოთობენ, მეორენი – მოგზაურობენ, მესამენი – ქურდობენ, მეოთხენი – ბუდისტები არიან... ამ ჯგუფებს ერთმანეთის ბევრი არაფერი გაეგებათ.

მაგ., ჩვენში იყო გავრცელებული ე.წ. „საძმოები“ (ვერის, კულინარიელთა, მხედრიონელთა, თეთრი არწივის...). მათ აკავშირებდათ სკოლა, სამეზობლო, ნაცნობობა, ასაკი. მაგრამ აერთიანებდათ დანაშაული, რომლითაც უნდა ეშოვათ ფული, ნარკოტიკი, ქონება.

დანაშაული და ნარკოტიკი იყო მათი სხვათაგან გამომცალკევებელი, მათი საიდუმლო. იგი იძლეოდა ძალასა და რომანტიკას, რაც ერთმანეთთან აახლოებდათ და ჰკრავდა ჯგუფს.

ძველ დროში, როგორც ვწერდით, ასეთი საიდუმლო იყო ინიციაცია, სულისა და სხეულის წრთობა, რასაც მეორედ დაბადებას უწოდებდნენ.

სუბკულტურას აყალიბებდნენ ჰოსპიტალიერების, ტამპლიერების, ტევტონების, როზენკროიცერების ქრისტიანულ-რაინდული, ასასინების მუსულმანური ორდენები, აზიურ-მუსულმანური ფუ-

თუვეთის კოდექსი, რაც ჩვენში ყარაჩოხელების სახით გამოვლინდა, რევოლუციურ-ტერორისტული ჯგუფები.

ფორმალურად ასეთივე იყო ოქტომბრელთა, პიონერთა, კომკავშირელთა, კომუნისტთა ორგანიზაციები სსრკ-ში, ჰიტლერ-იუგენდი, SS, ნაციონალურ-სოციალისტური პარტია გერმანიაში. ყოველ მათგანს თავისი ლიდერი ჰყავდა.

ყველა ეს ორგანიზაცია სისხლსა და დანაშაულზე იდგა. ისინი ლეგალურად, ღიად არსებობდნენ, მაგრამ ნამდვილი არსი, სამოქმედო გეგმა და მიზანი დაფარული ჰქონდათ.

დახურულია ერეტიკულ-სექტანტური (მაგ., იეღოველების) ჯგუფები. ისინი აღიარებენ ოფიციალური რელიგიისაგან განსხვავებულ რწმენა-წარმოდგენებს. მათი მსახურება იწვევდა განკვეთას ან დასჯას, დღეს – საზოგადოებრივ გაკიცხვას. ამიტომ ერთმანეთთან საიდუმლოდ არიან განდობილნი, როგორც ოდესღაც ქრისტეს მიმდევრები.

ქურდებს, დამნაშავეებს, ბანდიტებს ანუ კრიმინალურ სამყაროს თავისი სუბკულტურა აქვს, თავისი ჟარგონი, წეს-ჩვეულებები, ცხოვრების წესი; ჰყავთ ავტორიტეტი (ე.წ. „კანონიერი ქურდი“, რომელსაც სცნობენ და ემორჩილებიან), ეხმარებიან ერთმანეთს. საამისოდ აგროვებენ საერთო თანხას (ე.წ. „ობშჩიაკი“). იცავენ კრიმინალურ საიდუმლოს. სჯიან მოღალატეს ან შემოგზავნილს.

კანონიერი ქურდის ინსტიტუტი ბოლშევიკებმა დაამკვიდრეს. ისინი სასულიერო სემინარიიდან იყვნენ გამოსული (მაგ., სტალინი) და კარგად იცნობდნენ იეზუიტთა ჩაკეტილ სისტემას, რაც გადაიტანეს სახელმწიფო მმართველობასა და ქურდულ სამყაროში.

ქურდს არ უნდა ჰქონოდა ოჯახი და ქონება, არ გარეულიყო პოლიტიკაში, არ თანაეგრძნო პოლიტპატიმრებისათვის. მათგან გამორჩეული ხელისუფლების ხელშეწყობით ხდებოდა კანონიერი ქურდი. მას უნდა დაეცვა ქურდული ტრადიციები, ყოფილიყო გონიერი და ხელმარჯვე, ჰქონოდა პირადი სიმამაცე, არ ყოფილიყო შემჩნეული უზნეობაში, აგენტობასა და ღალატში.

მაგრამ ისინი აგენტები იყვნენ და ორმაგი მორალით ცხოვრობდნენ, რაც კონფლიქტებს იწვევდა.

ადმინისტრაცია კანონიერი ქურდების ხელით მართავდა და აწესრიგებდა დამნაშავეთა სამყაროს. ურჩებს ძირავდნენ, სახელს უტეხდნენ, ცემდნენ ან კლავდნენ.

ბოლშევიკებმა საშკა იაპონჩიკის (ვიაჩესლავ ივანოვი), ფრენკელისა და მიშკა ბრილიანტის ხელით შექმნეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი და ჩააყენეს სახელმწიფოს ფარულ სამსახურში, როგორც კიდევ ერთი დამსჯელი ძალა.

საშკა იაპონჩიკი და მიშკა ბრილიანტი თავად ბოლშევიკებმა მოკლეს. ხოლო ოდესელი ებრაელი ფრენკელი შემდეგ ჩეკას გენერალი გახდა. იყო გულაგების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მას სტალინიც კი შეხვდა და დაავალა პატიმართა ძალით ბელომორ-კანალის მშენებლობა.

ქურდულ სამყაროს ენათესავება მაფიური სუბკულტურა, რომელშიც შერწყმულია დანაშაული და ინტელექტი (შდრ – ფრენსის ფორდ კოპოლას კინოფილმი „ნათლია“). იგი ესწრაფვის დიდი ქონების ხელში ჩაგდებას და ამ მიზნით კონტროლის დაწესებას ხელისუფლებაზე. მათგან ცალკე გამოიყოფა ნარკობიზნესის მაფია, რომლის წევრებს საერთაშორისო კავშირები და კონტაქტები აქვთ, ჩათრეული ჰყავთ მრავალი გავლენიანი პირი, ზოგჯერ – პრეზიდენტიც კი (მაგ., ნორიეგა, რომელიც ამერიკელებმა დააპატიმრეს).

მაფიასაც დანაშაული აკავშირებს, რომლის სამშობლოა სიცილია (მაგ., ცნობილი მაფიოზები – სალვატორე მარანზარა, ალ კაპონე, კარლო გამბინო, ჯოზეფ კოლომბო).

განსხვავებულია მასონური სუბკულტურა – თავისუფალ კალატოზთა საძმო.

იგი XVIII საუკუნის ინგლისში წარმოიშვა, სადაც შეიქმნა „დიდი ლოჟა“ და აქედან მთელს მსოფლიოში გავრცელდა. მასონებს კეთილი მიზანი ჰქონდათ – ძმობის, სიყვარულის, თანასწორობისა და

ურთიერთდახმარების საფუძველზე გაერთიანებულიყვნენ და ეს პრინციპები გადაენერგათ ხელისუფლებასა და საზოგადოებაში.

მასონები უარყოფდნენ საეკლესიო დოგმატებს, კონკრეტულ რელიგიას, რევოლუციას, მაგრამ ღმერთს აღიარებდნენ. მათ ბუნებაში შერწყმული იყო ფილანტროპია, ჰუმანიზმი, მისტიციზმი, სიკეთე და შრომისმოყვარეობა.

ეს იყო საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც ლოჟებისაგან შედგებოდა. მათ გაერთიანებას დიდი ლოჟა ერქვა, სათავეში მდგომს – დიდი მაგისტრი. ჰქონდათ იერარქია (შეგირდი, ქარგალი, ოსტატი, გროსმაისტერი), სიმბოლური ნიშნები (ჩაქუჩი, წინსაფარი...). შემდეგ იერარქია ისე გართულდა, რომ 99 საფეხურს მიაღწია.

ახალი წევრის მასონურ წრეში მიღება საიდუმლო და მისტიკურ ვითარებაში ხდებოდა.

მასონები იყვნენ ევროპელი მეფეები (მაგ., პრუსიის მეფე ფრიდრიხ II), პრემიერ-მინისტრები (მაგ., ჩერჩილი), ამერიკის პრეზიდენტები (მაგ., ჯ. ვაშინგტონი), მწერლები (მაგ., გოეთე), კომპოზიტორები (მაგ., მოცარტი), რევოლუციონერები (მაგ., ევგენი გეგეჭკორი და კარლო ჩხეიძე).

მასონობას ებრძოდა რომის პაპი, რუსეთის ზოგი იმპერატორი (მაგ., ნიკოლოზ I), როგორც რელიგიისა და ნაციონალური სახელმწიფოს ამფეთქებელს.

შემდეგ მასონობას გადაეწნა სიონისტური მოძრაობა, რომელიც იღვწოდა ებრაელთა აღთქმულ მიწაზე დასაბრუნებლად.

ჩაკეტილი სისტემა იყო ჩეკა (ოგპეუ, კგბ), როგორც ყოველი სადაზვერვო, საინფორმაციო და სადამსჯელო ორგანო. იგი აერთიანებდა ყველა ეზოტერულ სუბკულტურას, მაგრამ თავადაც გასაიდუმლოებული და საზოგადოებრივი აზრისათვის მიუწვდომელი იყო. ძველ ინიცირებულთა მსგავსად აქაც ერთმანეთს ერწყმოდა ფიზიკური, სამხედრო და ინტელექტუალური წრთობა, რათა ნებისმიერი დავალება, რომელსაც მიიღებდნენ ხელისუფლებისაგან, პირნათლად შეესრულებინათ.

იგი სახელმწიფო სტრუქტურებში, შემოქმედებით და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, განათლების სისტემაში გზავნიდა თავის მიერ საიდუმლოდ გამოზრდილ კადრებს.

კგბ-ს აკავშირებდა დანაშაული და ერთგულება ხელისუფლებისადმი, მაგრამ ამავე წიაღში მწიფდებოდა კონტრკულტურა, რომელიც ძალადობის პარალელურად სახავდა ახალ პერსპექტივას (მაგ., ბერიასა და ანდროპოვის მინისტრობის დროს) ანუ იგი დოგმების დამცველი იყო გარკვეულ დრომდე.

ხელოვანთა სუბკულტურული ჯგუფები ბოჰემის ხასიათს ატარებენ, ტრიალებენ თავიანთი იდეალის ირგვლივ (მაგ., „ცისფერყანწელები“).

კონტრკულტურა

მსოფლიოში უამრავი საიდუმლო ორგანიზაცია, გაერთიანება თუ კლუბი არსებობს, რომლებიც მხატვართა, მწერალთა, მუსიკოსთა, მეძავთა, სექსუალურ უმცირესობათა, ნარკომანთა, დამნაშავეთა, მისტიკოსთა თავშესაფარია. აქ ისინი ერთმანეთთან არიან განდობილი, უზიარებენ თავიანთ უბრალო თუ კრიმინალურ საიდუმლოს, რაც არის ნევროზისგან განმუხტვა, თავისუფლებით აღვსება, თანასწორობის აღიარება, საკუთარ სწრაფვათა რეალიზება.

ტერორისტული ორგანიზაციები ისედაც დახურულია (მაგ., იტალიური კამორა, ბოლშევიკური ჩეკა, კუკლუს კლანი აშშ-ში, ოასი – საფრანგეთში, ეტა – ესპანეთში, ესერები და ბოლშევიკები – მეფის რუსეთში, SS – გერმანიაში).

სუბკულტურები ნელ-ნელა ძირს უთხრიან ან შეუმჩნევლად ცვლიან მშობლიურ ტრადიციებს, კონსერვატულ კულტურას. ხოლო როცა ინტელექტუალურ წარმოდგენებს ერთვის ძალა, იმარჯვებს

ერთი ან რამდენიმე სუბკულტურა და ვღებულობთ კონტრკულტურას. ლოკალური გადადის უნივერსალურში.

საიდუმლო გამოდის სააშკარაოზე, ეზოტერული ცვლის ეკზოტერულს და ახლა იგი ამკვიდრებს კონტრკულტურას.

ასევე ხდება პოლიტიკურ პროცესებში, ხელისუფლებათა ცვალების ჟამს (მაგ., ბოლშევიზმი, მაოიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი).

ფორმირების პროცესში ხშირია გადაცდომა, როგორც ერესი ქრისტიანებთან ან მემარჯვენე თუ მემარცხენე გადახრები ბოლშევიზმში: დუღილის პროცესში მათ ერთმანეთი გაწყვიტეს. ამის შემდეგ ჩამოდგა სტაბილობის ჟამი. ბოლშევიზმმა მშობლიური კულტურის ნანგრევებზე დაამკვიდრა ახალი კულტურა, რასაც თეატრალურად მოითხოვდნენ იტალიელი ფუტურისტები.

კულტურის იერარქიას განამტკიცებს მასობრივი და ელიტარული დაყოფა და ინტერესები.

2. კულტურის ცენტრები

ქალაქი და კულტურა

კულტურის სტიქიურ პრაფორმებს მოწესრიგებულ სახეს აძლევდა ქალაქი, სადაც ყალიბდებოდა პროფესიული გაერთიანებები, თანამოაზრეთა წრე, სადაც დამკვეთიც იყო და მომხმარებელიც, სადაც წარმოიშვა კულტურშემოქმედის მოთხოვნილება.

ეს მოთხოვნილება ინახავდა ოქრომჭედელს, რკინის მჭედელს, მეთუნეს, ხელოსანს, ხუროთმოძღვარს, პოეტ-მომღერალს, მეჩანგესა და მესტვირეს, მითისმთხზველს, მხატვარსა და მოქანდაკეს.

დამკვეთი და მომხმარებელი იყო საერო და სასულიერო არისტოკრატია. მათი ინტერესები, მოთხოვნა უკეთესსა და უფრო მდიდრულ ნივთებზე, სიმღერასა თუ სამკაულზე ააქტივებდა ფანტაზიას.

დაბალი ფენა უფრო მარტივი და იაფი საქონლით კმაყოფილდებოდა. ამიტომ მათი მოთხოვნა წინ ვერ წასწევდა გემოვნებას. ის ეძებდა საარსებო მინიმუმს და არა აღმატებულს, მდიდრულსა და ორიგინალურს, ოქროს, ვერცხლსა და ძვირფას თვლებს.

ამიტომ ჰქონდა კულტურის პროგრესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ქალაქსა და არისტოკრატიას, შემდეგ – ბურჟუაზიას.

როგორც იტყოდნენ ფრანგები, პოეტები იბადებიან პროვინციაში და კვდებიან პარიზში. აქ უფრო შეიძლებოდა ინტელექტუალური ინტერესების გამოვლენა და განვითარება. კულტურის მიმღებიც მეტი იყო.

პროვინციიდან ჩამოდიოდნენ ტალანტები და გზას იკაფავდნენ სულიერების სფეროსაკენ. ისინი არისტოკრატები ვერ გახდებოდნენ, რადგან არ ჰქონდათ გვარი და ქონება. მაგრამ თუ ვინმე ლამაზ ყელსაბამს დაამზადებდა, უკეთ იმღერებდა, უკეთესს სახლს ააგებდა, ამისი დამშლელი არავინ იყო.

არისტოკრატი საამისოდ არც მოსცდებოდა. მისი საქმე მხედრობა და გართობა იყო, მახვილი და ქალი. მაგრამ მას შემდეგ, რაც განმტკიცდა სახელმწიფო და რელიგია, სწორედ არისტოკრატიამ აიღო ხელთ კულტურა, როგორც სასულიერო, ისე საერო.

არისტოკრატია აკომპლექტებდა სახელმწიფო სტრუქტურას, რელიგიურ იერარქიას, ეკლესია-მონასტრებს. იგი თავისი სამზერიდან უყურებდა საგნებს, ადამიანებს, მოვლენებს.

ათენსა და რომში, სადაც არისტოკრატია მონების შრომას ეყრდნობოდა, ჰქონდათ თავისუფალი დრო და შესაფერისი პირობები კულტურისათვის, ფიქრისა და ოცნებისათვის.

თეატრები, ოლიმპიური შეჯიბრებები, ოლიმპიური ღმერთების ტაძრები, პლატონის აკადემია, პერიპატეტიკოსთა სკოლა კრებდნენ ინტელექტუალებსა და მათ მიმდევრებს, დამფასებლებს.

როცა ბარბაროსებმა რომი დაანგრიეს, კულტურაც დაემხო, რადგან მეომარ ტომებს კულტურის დეტალები, ნიუანსები, ფერებისა და ხაზების პროპორცია, სილამაზე და სიმშვენიერე ნაკლებად სჭირდებოდათ.

კულტურა ეკლესია-ტაძრებმა შეიფარეს, საიდანაც იგი გადადიოდა არისტოკრატიაში და ცხოვრების ნორმად აქცევდა სამეფო კარი.

ხელოვნების რეგრესი

რომის იმპერიის დაცემას მოჰყვა ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი რეგრესი.

მთელს ევროპაში გერმანელი ტომები დათარეშობდნენ – ოსტგუთები და ვესტგუთები, ტევტონები და ალემანები, ვანდალები და ფრანკები, ანგლები და საქსები – მათ მოჰყვნენ სკანდინავიელი ვიკინგები. იმპერიის ნანგრევებზე ბარბაროსთა სამეფოები წამოიმართა.

კულტურის ძეგლები, კულტურის მტარებელი და კულტურშემოქმედი ხალხი განადგურდა. ამ ფონზე გავრცელდა ქრისტეს სჯული, რომელიც იწამეს ბარბაროსებმაც.

ამ რწმენას მრავალი ქრისტიანის სიცოცხლე შეეწირა, მაგრამ ჯვარისა და ჯვარცმულის ტრიუმფალური მსვლელობა არ შეჩერებულა.

313 წელს იმპერატორი კონსტანტინე იძულებული გახდა თანასწორუფლებიან რელიგიად გამოეცხადებინა იგი.

დაიწყო წარმართული ტაძრების ნგრევა და გადაკეთება, უძველესი ღმერთების მოსპობა (391 წელს იმპერატორ თეოდოსეს ბრძანებით დაიხურა ყველა წარმართული ტაძარი), თეოლოგიური კონცეფციების შექმნა (მაგ., ნეტარი ავგუსტინესა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, იგივე პეტრე იბერის მოძღვრებანი).

ჩამოყალიბდა ლიტურგიკა, ჰომილეტიკა, ეგზეგეტიკა, ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია. ძველ აღთქმას, ბიბლიის იუდეურ ნაწილს, დაერთო ახალი აღთქმა, ქრისტიანული მრწამსის საფუძველი.

ქრისტეს მიმდევრები სასტიკი და შეუბრალებელი აღმოჩნდნენ წარმართული კულტურის მიმართ, არ ინდომეს მშვიდობიანი თანაარსებობა.

ქრისტიანებმა თავიანთი საქმე ბარბაროსების ხელით გააკეთეს. რაც მათ გადაურჩა, თავად მოუღეს ბოლო.

გამარჯვებული ქრისტიანობისათვის, რომელიც ცხოვრების ახალ ხედვას, მკაცრ მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს ამკვიდრებდა, მოუღებელი იყო არა მხოლოდ ანტიკური პოლითეიზმი, არამედ – ცხოვრების წესიც:

ხორციელობის განდიდება, სიშიშვლე და ნაყროვანება, გართობა და სანახაობა, აღვირახსნილობა და გარყვნილება, რამაც წალეკა რომის არისტოკრატია.

მხოლოდ რომის კოლიზეუმში დაიღუპა 700 000 გლადიატორი.

თანასწორუფლებიანობის ქადაგებას, მოყვასისათვის ზრუნვას, ზნეობის პროგრესს მოჰყვა ხელოვნების რეგრესი.

ამფითეატრები დახურეს, შეწყდა გლადიატორთა სისხლიანი სპექტაკლები, შეწყდა სპორტული შეჯიბრებებიც, კრივი, ჭიდაობა, მარუსა, როკვა და რბოლა. სხეული მხოლოდ ომისათვის იწრთვნებოდა.

ზევსისადმი მიძღვნილი ოლიმპიური თამაშები, რომელიც დაიწყო ძვ. წ. 776 წელს, ახ. წ. 393 წელს გაუქმდა.

ქანდაკებები დაამსხვრიეს, დელფოს სამისნო გაანადგურეს, თეატრები შეზღუდეს, აბანოები დახურეს.

რომის იმპერატორმა თეოდოსი პირველმა აკრძალა სპექტაკლები კვირადღით, თეოდოსი მეორემ – ქრისტიანულ უქმე დღეებში.

ასევე აიკრძალა გალობა ეკლესიებში (365 წ.), გარდა ფსალმუნებისა.

მღვდელმთავრები (მაგ., იოანე ოქროპირი) გამოდიოდნენ თეატრისა და სანახაობების წინააღმდეგ.

ბერძნული ოლიმპიადები მიივიწყეს, სადაც მოასპარეზენი შიშველი გამოდიოდნენ. სხეული სამოსელს უნდა დაეფარა. მღვდელმსახურისა და მონაზონისათვის ეს იყო შავი, უხეში ჯვალო.

ყოველგვარი გართობა, ცეკვა-სიმღერა თუ მარჩიელობა ეშმაკეულის გამოვლინებად იქცა. როგორც სიცილი, ისე სიშმაგე შეცვალა დუმილმა, სიწყნარემ და ლოცვამ, ბედისწერა – უფლის ნებამ, სისხლი – სიტყვამ.

ადამიანს უნდა ეგლოვა ამქვეყნიური მოვლინება და მომზადებულიყო სიკვდილთან შესახვედრად, რაც იქნებოდა შმაგი სულის მიერ დარღვეული წონასწორობის აღდგენა სამყაროში.

ანტიკური კულტურა მოსპეს, მისი განვითარება შეწყვიტეს და ხელოვნება მთელი ათასწლეულით უკან დასწიეს გერმანელმა ბარბაროსებმა და ქრისტიანმა მღვდელმთავრებმა.

თავისუფალი პიროვნების ბერძნულ-რომაულ იდეალს დაუპირისპირდა ასკეტური იდეალი, გულს – გონება.

ქართული ეკლესიაც მოითხოვდა, რომ განეშორებინათ „მემღერენი, მოკიცხვარნი და ხუმარნი და მგოსანნი და მროკავნი, ვითარცა ვეშაპი”.

როცა სამეფო ნადიმს მოჰყვებოდა სახიობა, როცა გამოვიდოდნენ მგოსანნი და მეჩანგენი, მღვდელმსახურნი უნდა წასულიყვნენ (ვახუშტი ბატონიშვილი).

მუსულმანების მსგავსად მხატვრობაც აიკრძალა. მათ შორის ხატწერაც, რადგან ხატის თაყვანი კერპის თაყვანის ასოციაციას იწვევდა.

ღვთისმსახურები წმინდა საგნად მხოლოდ ხის უბრალო ჯვარს მიიჩნევდნენ. ხოლო ქრისტე უნდა გამოესახათ პურისა და ღვინის სიმბოლიკით, რაც იყო უფლის ხორცი და სისხლი.

754 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო ხატის თაყვანი. მაგრამ იგი მალევე უარყო რომის საეკლესიო კრებამ.

787 წელს ნიკეის საეკლესიო კრებამ აღადგინა ხატები, 815 წელს კი ისევ აკრძალეს.

უფლის მსახურებს ყველგან წარმართობა და ერესი ელანდებოდათ.

843 წელს საბოლოოდ აღადგინეს ხატები, გადახვევა მწვალებლობად გამოცხადდა. შედეგად 100.000-ზე მეტი ქრისტიანი სიკვდილით დასაჯეს.

ხატწერა დაზგურ ხელოვნებას მიეკუთვნება.

ხატმწერები მეტწილად ბერები იყვნენ, ისევე როგორც ჰაგიოგრაფები და ჰიმნოგრაფები.

ხის ფიცარს სპეციალური გრუნტით ფარავდნენ. ქრისტეს, ღვთისმშობელის, ანგელოსთა, მოციქულთა, წმინდანთა გამოსახულებებს ხატავდნენ ცვილით, ტემპერისა და ზეთის საღებავებით.

აკეთებდნენ მოზაიკებს, ჭედურ ხატებს (მაგ., ბექა და ბეშქენ ოპიზარები). ხატმწერები იყენებდნენ ოქროს, ცარცს, წებოს, კვერცხის გულს, ძმარს, მიწას, სელის ზეთს.

საწყისი იყო ანტიკური სამარხო პორტრეტები.

ანტიკური ხელოვნების წილ ქრისტიანობამ, პირველ რიგში ბიზანტიაში, შექმნა თავისი მისტიკური იდეალების მადიდებელი, დოგმებზე დაფუძნებული სტერილური, მკაცრად რეგლამენტირებული ხელოვნება.

მაგრამ ხალხის ბნელი წიაღი ინახავდა ხორციელობის კულტს. იგი გარეთ სწრაფად გააღწევდა თუ მზის შუქი მიადგებოდა, თუ სიტუაცია შეირყეოდა. ამიტომაც ელანდებოდა საუკუნეების მანძილზე ეკლესიას წარმართობა.

ევროპაში ათასწლოვანი გამყინვარების შემდეგ დაიწყო ადამიანურ ვნებათა და შესაბამისად – ანტიკური ტრადიციების აღდგენა, ოღონდ ქრისტიანობის შენარჩუნებით, რაც რენესანსის სახელითაა ცნობილი.

ეს პროცესი ვერ შეაჩერა ინკვიზიციის კოცონებმა (იხ. „კრიზისი და პროგრესი“).

მონასტერი და ასკეტური იდეალები

საშუალო საუკუნეებში კულტურშემოქმედნი ძირითადად სასულიერო პირები იყვნენ. განათლება მასებისათვის ხელმიუწვდომელი იყო. არისტოკრატიის დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა არც იცოდა. გლეხი და ხელოვანი წიგნისათვის ვერც მოიცლიდა.

მამაკაცის ძირითად საქმიანობად მხედრობა ითვლებოდა, ქვეყნისა და მეფის დაცვა, ლაშქრობა და აღლუმი, კარნავალი და ზეიმი. ეს სწორიც იყო, რადგან ხალხის ბედს სწყვეტდა ფიზიკური ძალა, არა მარხვა, ლოცვა ან უფლის დიდება. ამიტომ კულტურის სფერო რჩებოდათ მარტოობისაკენ მიდრეკილ, ამქვეყნიური ღელვისაგან განდგომილ ადამიანებს, რომელთაც ჰქონდათ ფიქრისა და აზროვნების დრო, დრო და საშუალება.

ბუდისტების აზრით, მონაზონი თუ გლახაკურად ცხოვრობს, განმარტოებულია და მხოლოდ ღმერთზე ფიქრობს – ნირვანას მიაღწევს.

ბუდისტებისა და ჯაინისტებისათვის ნირვანა არის სრულყოფა, ცოდვებით აღვსილი სულის განწმენდა, ვნებებისა და შიშისგან განთავისუფლება, ყოველგვარი მიწიერი ღელვისაგან დაცლა.

სრული ნირვანა მხოლოდ სიკვდილშია, რომელშიც მშვიდად გადადის მორწმუნის სული.

ჯაინისტი ბერი ტანს არ იბანს, კბილებს არ იწმენდს, ღამე ცეცხლს არ დაანთებს, სულიერს არ კლავს. მისი ვალია დიდხანს მარხვა და შიმშილით სიკვდილში გადასვლა.

მუსულმანი დერვიშები გმობდნენ მდიდრულ ცხოვრებას, დახეტიალობდნენ, მათხოვრობდნენ, ჟონგლიორობდნენ, აყალიბებდნენ თავიანთ ორდენებს (ელიზბარ ჯაველიძე, ფუთუვეთი – სულიერ-რაინდული ძმობა, თბ., 2010).

დიოგენე სინოპელი (ძვ. წ. IV ს.) სულაც კასრში ცხოვრობდა.

ქრისტიანული, ბუდისტური ან ინდუისტური რელიგიების დოგმატთა დანაწევრება, იერარქიული განლაგება, მისტიკური ჰალუცინაციების სისტემატიზება განსაკუთრებულ უნარს მოითხოვდა.

მაგრამ ეს არ კმაროდა – იგი უნდა ერწმუნათ, ერწმუნათ არა ვიწრო წრეში, თანამოაზრეთა შორის, არამედ – მოეპოვებინა სხვაგან მდებარე ეკლესია-მონასტრებშიც აღიარება.

ეს კი ჭეშმარიტებას მოწმობდა.

რელიგიური დოგმა რწმენას ეფუძნება, არ სჭირდება ცდით ან მტკიცებით დასაბუთება. ამიტომ მიღება ადვილიც არის და ძნელიც – ადვილია მორწმუნისათვის, რომელსაც მსგავსი წარმოდგენები აქვს, ძნელი და შეუძლებელი – ურწმუნოსათვის, რომელიც უხილავს ხილულად ვერ ღებულობს.

ასეთი ცხოვრების წესის შესაბამის მისტიკურ კონცეფციებს ქმნიდა ყველა აღმსარებლობა, რაც აისახებოდა ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მხატვრულ თუ შემეცნებით აზროვნებაში.

კათოლიკური ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კართაგენელ ნეტარი ავგუსტინეს (354-430), მართლმადიდებლური ეკლესიისათვის – ფსევდო-დიონისე არეოპაგელს (პეტრე იბერი, 410-491), მის მიერ დახარისხებულ ზეციურ და მიწიერ იერარქიას, სიკეთისა და ბოროტების გაგებას, წართქმით და უკუთქმით ღვთისმეტყველებას, მისტიკური ექსტაზით, დუმილითა და ლოცვით ღმერთთან მიახლოებას.

მათ ქრისტიანულ მოძღვრებას შეურიეს ნეოპლატონური ნაკადი, სიყვარული გამოაცხადეს სიცოცხლის საზრისად და ღმერთს მზის მნიშვნელობა მიანიჭეს.

როგორც ვთქვით, ქრისტიანული ლიტურგიაც ქართულ წარმოშობის კაპადოკიელმა მამებმა შექმნეს – გრიგოლ ნაზიანზელმა, ბასილი დიდმა და გრიგოლ ნოსელმა, ხოლო ჰომილეტიკა – ევაგრე პონტოელმა.

მართლმადიდებლობის თეოლოგიურ საფუძვლებს საბოლოოდ აფორმებს იოანე დამასკელი („წყარო ცოდნისა“, VIII ს.).

პირველი მონასტრები ბუდისტმა ბერებმა კლდეში გამოკვეთეს (ძვ. წ. I ათასწლეული) ინდოეთსა და ჩინეთში: კაპადოკიელებმა მიწისქვეშ რვასართულიანი, მრავალოთახიანი სამონასტრო ანსამბლი გამოჭრეს (VIII ს.); კლდეში ნაკვეთი ვარძია ცამეტ სართულად არის განლაგებული და შედგება 420 სათავსოსგან (XII-XIII ს. ს.).

ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ისე განვითარდა სამონასტრო არქიტექტურა, რომ ეკლესია-მონასტრები ციხე-სიმაგრეს დაემსგავსა, რომელსაც დიდი გალავანი ერტყა.

მონასტრებს ჰქონდათ მიწები და მოძრავი ქონება. ბერ-მონაზვნები თავადაც შრომობდნენ და შესაწირავსაც ღებულობდნენ. მატერიალური ბაზისი იძლეოდა ფიქრის, მსჯელობის, სულიერი გარჯის საშუალებას.

საყოველთაოდ ცნობილია ბენედიქტელების, დომინიკელების, ავგუსტინელების, ფრანცისკელების, ცისტერიანელების, იეზუიტების ორდენები.

ბერებს ჰქონდათ შრომისა და ლოცვის, სამონასტრო ცხოვრების მკაცრი შინაგანაწესი.

საერო პირები ქმნიდნენ ქრისტიანობისათვის მებრძოლ რელიგიურ-რაინდულ ორდენებს – ჰოსპიტალიერების, ტევტონების, ტამპლიერების, რაც მოჰყვა ჯვაროსანთა ლაშქრობებს.

პირველი, წმ. ბენედიქტეს ორდენი 529 წელს შეიქმნა. ბერები მკაცრ დისციპლინას ემორჩილებოდნენ, ტანსაცმლით წვებოდნენ, მუშაობდნენ 5 საათს ფიზიკურად, ამუშავებდნენ მიწას, ეწეოდნენ ხელოსნობას.

ფიზიკურ ჯაფას მოსდევდა გონებრივი ჯაფა – წერდნენ, გადაწერდნენ, ლოცულობდნენ, ზრდიდნენ მორჩილებს, ადგენდნენ ანალებს.

მონასტერში ჰქონდათ სკოლა, ბიბლიოთეკა, სკრიპტორია.

ცხოვრებისაგან იზოლირებული ბერები დაუცხრომლად, ნებაყოფლობით შრომობდნენ უფლისათვის და უფლის დიდებაში ლევდნენ სულს.

უფლის იდეალის გარდა მათ არაფერი გააჩნდათ.

ასე ქმნიდნენ გრიგოლ ხანძთელი და გიორგი მერჩულე, იოანე მინჩხი და მიქელ მოდრეკილი, ექვთიმე და გიორგი ათონელები, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და ანტონ პირველი.

წარმართი ქურუმი, როგორც გვახსოვს, ასკეტი იყო. ქრისტიანობამ ეს ტრადიცია გააგრძელა. უფლის მსახური ვნებათა ძახილს, მიწიერ მოთხოვნილებებს უნდა შელეოდა, დაემორჩილებინა ინსტინქტები, ეცხოვრა ქრისტეს მიბაძვით, რათა ასე მოეპოვებინა მარადიული სასუფეველი და სხვებისათვის მაგალითად ქცეულიყო.

ღვთისმოსავი დაკავებული უნდა ყოფილიყო დღესასწაულებით (ქრისტეშობა, ახალი წელი, ნათლისღება, აღდგომა, მიძინება...), წმინდანთა ხსენებით, მათდამი მიძღვნილი წირვა-გალობითა და საკითხავებით, სხვადასხვა სახის ლოცვებით – აღსარების წინ, ზიარების წინ, ზიარების შემდგომ, ტაძარში შესვლის წინ, საქმის დაწყების წინ, საზრდელის მიღების წინ, საზრდელის მიღების შემდგომ, ყოველდღიური ლოცვებით, სადიდებელ-სავედრებლებით; ეთქვა მოძღვრის წინაშე აღსარება, რათა სული განეწმინდა; დაეცვა მარხვის გრაფიკი.

უფლის მუდმივი დიდება აცხრობდა ვნებებს, განაშორებდა ბოროტს და სულს სიკეთით ავსებდა. მორწმუნისა და ღვთისმსახურის მზერა მარადიული სასუფევლისკენ – საიქიოსკენ იყო მიპყრობილი.

სექსის დათრგუნვა იყო ასკეტიზმის საფუძველი. მაგრამ ქრისტიანობა საერო პირებისთვისაც სავალდებულოს ხდიდა სექსისა და სისხლის მოწესრიგებას, რაც ახალი ზნეობის არსი იყო.

ამ ქვეყნიდან განმდგართა საცხოვრისი იყო მონასტერი, რომელიც რაც დაცილებული იქნებოდა ადამიანთა დასახლებიდან, რაც

უფრო მკაცრ და მიუწვდომელ გარემოში აშენდებოდა – მით უკეთესი იქნებოდა.

ერთნი ჯგუფურად ცხოვრობდნენ, ემორჩილებოდნენ წინამძღვარს (კათოლიკეებში – აბატი, მართლმადიდებლებში – იღუმენი), მეორენი განდეგილობას, მარტოობას არჩევდნენ (გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“).

ბერ-მონაზვნური ღმერთმსახურების წესი ყალიბდება III-IV საუკუნეებში და მას უკავშირებენ წმ. ანტონი დიდისა და წმ. პახომის სახელებს, საქართველოში – ე. წ. ასურელ მამებს (VI ს.).

ბერ-მონაზონის აღთქმა იყო – ქონებაზე უარის თქმა, დაუქორწინებლობა, მორჩილება ტიპიკონისადმი (შინაგანაწესი), კავშირის გაწყვეტა ნათესავებთან.

უფრო ასკეტური ფორმა იყო განდეგილობა, მესვეტეობა, დუმილის დაცვა, მარხვის შენახვა.

ბერის მიერ დუმილის დარღვევას განსაკუთრებული ეფექტი ჰქონდა და უკავშირდებოდა მნიშვნელოვან მოვლენას. მაგ., კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელში“ 13 წელს დაყუდებულმა ბერმა დაარღვია დუმილის აღთქმა და მეფეს შეევედრა – ებრძოლა თურქების წინააღმდეგ.

ღმერთს შეწირული, ასაკში შესული ან რაღაც მიზეზით ცხოვრებაზე გულაყრილი მონასტერში მიდიოდა (შდრ – ჭაბუკი ზენონი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“).

ასე ემზადებოდა სიკვდილთან შესახვედრად.

მონასტერი იყო სააქაოსა და საიქიოს შორის მდებარე ხილული საგანი, როგორც ქარონის ნავი ელინელისათვის.

მონაზონს თმა უნდა მოეკვეცა, ჩაეცვა ჯვალო და შეეცვალა სახელი (მაგ., კ. გამსახურდიას შორენა კოლონკელიძეს ეწოდა შუშანიკ, რუსუდან დედოფალს – რიფსიმე), ელოცა, ეტრატები ეკითხა და გადაეწერა. X საუკუნიდან რომის პაპიც იცვლის სახელს.

აღმოსავლური ასკეტიზმის ფონზე კიდევ უფრო შემზარავია პაპებისა და ანტიპაპების ბოროტმოქმედება, ინდულგენციებით ვაჭ-

რობა, ჰედონიზმი და გარყვნილება (მაგ., მკვლელი და ეროტომანი ბალთაზარ კოსა, ალექსანდრე VI ბორჯია, რომელსაც საყვარლად ჰყავდა თავისი ქალიშვილი).

ერთხელ პაპის ტახტზე ფულით აიყვანეს 12 წლის ბავშვი; ერთხელ კი ქალი აღმოჩნდა პეტრე მოციქულის ადგილზე, რომელმაც საზეიმო პროცესიაზე იმშობიარა და გადაჰყვა კიდეც.

რწმენისათვის წამებულს ან სანიმუშო მოღვაწეს ეკლესია წმინდანად აცხადებდა, ე. ი. უკვდავყოფდა, რაც ღმერთთან მიახლებას ნიშნავდა.

ქრისტიანული სიკეთე და სიყვარული, სიბრძნე და ჭეშმარიტება, ჭვრეტა და ლოცვა ნაკლებ ადგილს სტოვებს გმირული მოქმედებისათვის. ამ პასიური ცხოვრების შევსებაა წმ. გიორგის გმირული იდეალი, სიკეთისათვის დრაკონის, ე. ი. ბოროტების განგმირვა.

ეკლესია ხალხში ავრცელებდა ქრისტიანულ ცოდნას, სამების, ანგელოსების, მოციქულების, წმინდანების, ჯვარის რწმენას, ამკვიდრებდა სასულიერო და საერო ცხოვრების წესს, ქრისტიანულ სიმბოლოებსა და ესქატოლოგიას. მაგრამ მათი შემუშავება ხდებოდა მონასტრებში, განდგომილთა სავანეში, სადაც წერდნენ და თარგმნიდნენ, გადაწერდნენ და კითხულობდნენ, მისტიკური ჭვრეტით ქმნიდნენ თეოლოგიურ კონცეფციებს.

ეკლესიამ და მონასტერმა განავითარა ახალი კულტურა, რათა მისი მეშვეობით შეეცვალა წარმართული ცნობიერება, სისხლის ყიჟინა.

არქიტექტურა, მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, ფილოსოფია, ცხოვრებისა და ქცევის წესი რელიგიური წარმოდგენებიდან გამომდინარეობდა.

ამიტომ ერთი აღმსარებლობის სივრცეში ხალხთა კულტურა იყო ურთიერთმსგავსი. მაგ., ბიზანტიელი და სხვა ქრისტიანი ხალხების – ქართველების, სომხების და რუსების.

როგორც აღვნიშნეთ, კულტურის ტიპს რელიგია აძლევდა შინაარსს, იდეასა და მიზანს, ფორმასა და სტრუქტურას, აკავშირებდა უზენაეს ძალებთან.

მარტოობა და დუმილი იძლევა ფიქრის საშუალებას, აზროვნებისა და ლოცვის პირობებს. სიჩუმესა და სიწყნარეში შობილი იდეები საერო პირთა ხელით, მატერიალური დახმარებით იქცეოდა რწმენის ხილულ ძეგლებად: პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, კონსტანტინეპოლის აია სოფია, რომელიც მეჩეთად გადააკეთა მეჰმედ მეორემ, ვასილი ნეტარის ტაძარი მოსკოვში, წმ. პეტრეს ტაძარი რომში, გელათი და სვეტიცხოველი, სამების ტაძარი თბილისში...

მთელი ქრისტიანული სამყარო ეკლესია-მონასტრებით მოიფინა. ქართველებიც მოღვაწეობდნენ იერუსალიმში, ათონის მთაზე, შავ მთაზე, კონსტანტინეპოლში; საქართველოშიც უამრავი ეკლესია და ტაძარი აიგო (მაგ., ხანძთა, ოშკი, ბანა, სვეტიცხოველი, გელათი, დავით-გარეჯისა და ვარძიის კომპლექსები).

როგორც ვთქვით, ცოდნის შექმნისა და დაგროვების ცენტრი იყო ეკლესია-მონასტრები. ამიტომ რენესანსის ეპოქამდე ქრისტიანული კულტურა ღრმად რელიგიური და ერთგვარია და ამდენად ქმნის საერთო შუასაუკუნობრივ ტიპოლოგიურ მოდელს.

ასევე თეისტურ მოდელს ქმნიან იუდაიზმი და მუსულმანობა, ისევე როგორც პოლითეისტური რელიგიები, რადგან, გარდა რწმენისა, ისიც იყო მთავარი, რომ კულტურშემოქმედი და კულტურის ორგანიზატორი სასულიერო პირი იყო – რაბინი, კათალიკოსი, პაპი, ეპისკოპოსი, აბატი, ბერი, ხალიფა, აიათოლა, მოლა, ბრაჰმანი თუ ქურუმი და შამანი.

ასე მოვიდა სულის გმირი წინარენესანსულ და რენესანსულ დრომდე, რომლის შემდეგ, კულტურშემოქმედმა დატოვა მონასტერი, ანაფორა გადააგდო.

საერო კულტურას საერო პირი ქმნიდა, რომელიც ინდივიდუალურად მოქმედებდა. ან აყალიბებდნენ პროფესიულ გაერთიანე-

ბებს, სადაც მუშავდებოდა საერთო პრინციპები, ახალი ხედვა და სტილი.

ეს ხდება XIX საუკუნიდან, რომანტიზმის ეპოქიდან, რომელმაც მოიცვა სულიერების ყოველი სფერო. მასში მოექცა მითოსური და რელიგიური თვალთახედვაც.

თუ მონასტერი ხორციელობის დათრგუნვა და სულის ზეიმი იყო, თეატრი სულისა და სხეულის ჰარმონიას ასახიერებდა.

თეატრი – ახალი ჰარმონია

მონასტერი კულტურის მდუმარე და უსისხლო კერა იყო. ხოლო რენესანსის პირმშო თეატრი, რომელიც არისტოკრატთა ოჯახებს ან სამეფო კარს ეკუთვნოდა, მდუღარე ვნებებს აფრქვევდა.

ცხოვრება სცენაზე ავიდა და თან შფოთი აიტანა.

სცენაზე დაქროდნენ მეფეები და დედოფლები, პაჟები და პრინცები, დიდებულები და მასხარები. ჯერ ისევ კაცი ასრულებდა ქალის როლს,

ერთმანეთს სცვლიდა სიცილი და სისხლი, შუქ-ჩრდილები, კოსტიუმები და ნიღბები.

დარბაზს ტაში ანგრევდა, ცრემლი სწვავდა.

წმინდანები და მოციქულები ჩარჩნენ ეკლესიებსა და მონასტრების ბნელ სენაკებში.

რენესანსის დროიდან აღდგა მღვდელმთავრების მიერ აკრძალული თეატრი და სახიობა, რომელიც თავს ინახავდა სახალხო დღესასწაულებში, მისტერიებსა და კარნავალებში, ტაძრის ბარელიეფების მცენარეთა და ცხოველთა ფიგურებში, მგოსან-მელექსეთა პოეზიაში, მოხეტიალე მსახიობების – ჰისტრიონებისა და ჟონგლიორების თამაშებში.

თეატრი იკრებდა დრამატურგებს, აქტიორებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ხელოვნების მუშაკებს, ელიტარულ მაყურებელს.

XVI საუკუნიდან იგი გახდა საერო კულტურის ცენტრი. თეატრს ჯერ რეჟისორი არ ჰყავდა. ხოლო სპექტაკლებს ახლდა სმაჭამა, ღრიანცელი, ჩხუბი. ხალხი გართობას და სანახაობას ეტანებოდა, სტანდარტულ, სისხლიანს თუ სასაცილოს (მაგ., 1580-1642 წლების ლონდონში ამგვარ წარმოდგენებს დასწრებია 50 მლნ მაყურებელი).

ამავდროულად იტალიაში ჩამოყალიბდა მუსიკალური დრამის თეატრი – ოპერა, სადაც სიმღერამ შეცვალა მეტყველება და მოქმედება ვოკალის პრინციპებით გაშალა.

ხალხის წიაღში ფორმირებული უძველესი ცეკვები მოედო სცენას და ბალეტის სახე მიიღო (იტალია და საფრანგეთი).

ბალეტში სიმღერა ცეკვამ და პანტომიმამ შეცვალა.

ასე რომ სტილიზებული მოქმედება განიყო სამ სფეროდ, სადაც სიტყვა, სიმღერა და ცეკვა სხეულის მოძრაობასა და სულის რიტმიკას აჟღერებდა. ჩამოყალიბდა დეკორაციების სამი ტიპი – ტრაგედიისა, კომედიისა და პასტორალებისათვის.

მუსიკამაც დატოვა ეკლესია-ტაძრების თაღები და სცენაზე აიტანა ხალხური მელოდიები, არფა და ლირა.

ცეკვასა და სიმღერას ექსტაზი უნდა აღეძრა, სიტყვა და მოძრაობა მგრძნობელობად ექცია.

მკვდრეთით აღმდგარმა თეატრმა აითვისა ბუალოს კლასიცისტური სამი სტილის თეორია, ადგილის, დროისა და მოქმედების ანტიკური პრინციპი (მალერბი, კორნელი, რასინი, მოლიერი), რაც ბუალომ გადმოსცა „პოეტურ ხელოვნებაში“ (1674).

შემდეგ, დროის მოთხოვნით, ააჟღერა რომანტიკული „მსოფლიო სევდა“, ითამაშა რეალისტური ფათერაკები, იგრძნო სიმბოლისტური ლურჯი ფრინველის ფრთების შრიალი, ტანკების გუგუნი და ყოფიერების აბსურდული ამაოება.

ახალი თეატრი გამოვიდა ლიტურგიკული დრამიდან, რომლის ტექსტს ლათინურად წერდნენ, გადმოსცემდნენ მოციქულთა და წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდებს და ასრულებდნენ საშობაო და სააღდგომო ღვთისმსახურების დროს.

შემდეგ, დროის კარნახით, ლიტურგიკულ დრამაში შეიჭრა საერო მოტივები, სივრცე განივრცო; დრამამ ტაძარი დატოვა და ქალაქის მოედნებზე გადავიდა.

სულიერების საერთო განახლებამ კი მიაბრუნა ანტიკური ტრადიციებისაკენ, მღელვარე ცხოვრებისა და ადამიანური განცდებისაკენ, სადაც მონაცვლეობს ტრაგიზმი და კომიზმი (შექსპირი, კალდერონი, ლოპე და ვეგა, ბომარშე, ლესინგი, გოეთე, შილერი), სცენაზე აიყვანა გმირი და ყოველდღიური წვრილმანებით გაწამებული პერსონაჟი.

ლიტერატურისა და თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა უილიამ შექსპირი, ყველა დროის უდიდესი შემოქმედი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე წარმართავს ევროპულ თეატრს და ქართულ სინამდვილეშიც დიდად პოპულარულია (მაგ., ივანე მაჩაბლის თარგმანები, უშანგი ჩხეიძის ჰამლეტი, აკაკი ხორავას და ვახტანგ ჭაბუკიანის ოტელო, რობერტ სტურუას „რიჩარდ III“).

ერთხანს შექსპირის სახელი დაჩრდილა კლასიცისტურმა პრინციპებმა. მაგრამ XVIII საუკუნიდან სცენას ისევ დაეუფლა.

თეატრი აჩვენებდა ყოფით ურთიერთობებს, ფარსს, ვოდევილს, სკეტჩს, კომედიას, მაგრამ მთავარი იყო დრამა, ტრაგედია, რომანტიკულ-ჰეროიკული სახეები და მოტივები. ეს უფრო თვალნათლივ გამოჩნდა დრამასა და ბალეტში.

მათში მთლიანად გაბატონდა რომანტიკა და ჰეროიკა. ახალი დროის რეალიებისათვის ადგილი აღარც დარჩა.

ხომ წარმოუდგენელია, რომ ბალეტში ცეკვავდნენ ლენინი და სტალინი, არიებს მღეროდნენ ელექტროფიკაციასა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, ან სცენაზე გამოჩნდეს ტრაქტორი, კოლმეურნე თოხით ხელში, ჩატარდეს პარტაქტივის კრება ანუ ოპერასა და ბა-

ლეტში უნდა შემოსულიყო გაფილტრული სინამდვილე, ესთეტიზებული მოტივები და თემები, მათი შესატყვისი პერსონაჟები.

დრამატული თეატრი უფრო კომუნიკაბელური და დემოკრატიული იყო და ჰქონდა ფართო სპექტრი.

იგი გახდა მართალი და მგზნებარე სიტყვის ტრიბუნა. ასე აღაგზნებდა მასებს, წარმართავდა მათ სულისკვეთებას, კრებდა ინტელექტუალებს, მიდიოდა ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, გემოვნების ევოლუციის, ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ.

ამის მიხედვით იცვლებოდა აქტიორი და რეჟისორი, ვიდრე არ გამოჩნდა კინემატოგრაფი და ტელევიზია, ვიდრე არ დაირღვა სცენური ცხოვრების რიტმი, დეკორაცია და პირობითობა.

ცივილიზაციის კულტურა

ყველა დროის ადამიანს უნდოდა, რომ უკეთ ეცხოვრა, დაცული ყოფილიყო შიმშილისა და მტრისაგან, ჰყოლოდა ოჯახი, ჰქონოდა სიკეთე და სიხარული.

ამ მარტივი ოცნების აღსრულებაც ჭირდა და ამიტომ ხელში იღებდა მახვილს. ამავე დროს ცდილობდა, რომ ფიქრით და გონებით დაეძლია მრავალი დაბრკოლება.

ინტელექტუალთა წრე აგროვებდა ცოდნასა და გამოცდილებას, რეალობად აქცევდა და გადასცემდა მასებს.

ეკონომიკის განვითარება, ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი, რელიგიური ფანატიზმის შენელება, ცხოვრებისეული იდეალები და კომფორტული ცხოვრების კულტი – ეს ახალი დროის ნობათი იყო.

მათ ხშირი კონტაქტები და ხმაურიანი ქალაქი ამკვიდრებდა, სადაც ინტელექტს მეტი ასპარეზი ჰქონდა, ვიდრე პასტორალურ სიჩუმეში.

ქალაქების ძლიერებას, სიმდიდრეს განამტკიცებდა დაპყრობითი ომებიდან შემოსული ოქრო და ვერცხლი, ნაძარცვი ქონება, მონების შრომა.

ლამის მთელი მსოფლიო ევროპის კოლონიად იქცა.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ დიდი ბრიტანელი და ესპანელი, ჰოლანდიელი და პორტუგალიელი ზღვაოსნები.

ქვეყნების დაპყრობას წინ უძღოდა მამაც ადამიანთა მოგზაურობა, უცხო მიწების მოხილვა.

კათოლიკე მისიონერები არა მხოლოდ ქრისტეს რწმენას ავრცელებდნენ, არამედ უცხო ქვეყნებსა და ხალხებსაც აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ.

ვენეციელმა მარკო პოლომ მონღოლები და ჩინელები გააცნო ევროპას, პორტუგალიელმა მაგელანმა მსოფლიოს შემოუარა. გენუელმა კოლუმბმა ამერიკას მიაღწია, მაგრამ ეგონა, რომ ინდოეთის ახალი საზღვაო გზა აღმოაჩინა. არადა – ეს პატივი ერგო პორტუგალიელ ვასკო და გამას.

კაპიტნები ეძებდნენ გზას, მიწებსა და ოქროს, ეწირებოდნენ თავიანთ ოცნებას (მაგ., მაგელანი მოკლეს, კუკი შეჭამეს ველურებმა).

დედამიწა მრგვალი აღმოჩნდა. იგი თურმე მზის გარშემო ბრუნავდა. თურმე დასავლეთიდან ინდოეთისაკენ გზას უზარმაზარი მატერიკი ჰკეტავდა, რომელსაც ამერიკა დაერქვა, ფლორენციელი ამერიგო ვესპუჩის სახელი.

აღმოჩნდა სრულიად უცნობი ცივილიზაცია, რომელიც ჯერ მოსპეს და შემდეგ შესწავლა დაიწყეს. მას შემდეგ მხოლოდ ხუთასი წელია გასული ანუ მათუსალას სიცოცხლის ნახევარი. ამერიკის კონტინენტი კი დაიფარა მრავალი საოცრებით, რომელთაგან ცათამბჯენი ეხმიანება პირამიდას და ბაბილონის გოდოლს.

ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის, აზიის ცალკეული ქვეყნების დაპყრობით მოპოვებული ქონება, საქონელი და ნაწარმი მოაწყდა ევროპას.

ასე, მახვილითა და ჯვრით შეესივნენ რაინდები მუსულმანურ აღმოსავლეთსაც.

ეს ორასწლოვანი ეპოპეა დიდი მსხვერპლითა და დამარცხებით დამთავრდა.

ახალი ლაშქრობის დროს ევროპელები ცივილიზაციურად გაცილებით მაღლა იდგნენ, ვიდრე ამერიკული და აფრიკული ტომები. ხოლო ინდოელები ბრძოლის უნარით არც არასოდეს გამოირჩეოდნენ.

ამიტომ იოლად შესძლეს უზარმაზარი ტერიტორიების დამორჩილება, იქ ევროპული წესრიგის დამყარება, ქრისტიანული კულტურის გავრცელება.

ფრ. ნიცშე ამერიკას ევროპის ქალიშვილს ეძახდა, კ. გ. იუნგი – ევროპელისა და ინდიელის უცნაურ ნაჯვარს.

ჯერ ევროპელი ბედისა და ოქროსმაძიებლები, ავანტიურისტები და რეციდივისტები გადადიოდნენ ახალ კონტინენტზე, იქ სახლდებოდნენ. შემდეგ, როცა აშშ ტექნიკის სიმბოლო გახდა, ინტელექტუალებმაც მიაშურეს დაკარგულ წინაპართა და ნათესავთა მიერ მოპოვებულ მიწას (მაგ., ატომური ბომბი შექმნეს ევროპიდან ახალმისულმა ფიზიკოსებმა); რაკეტა „აპოლონი“, რომელმაც ასტრონავტები აიყვანა მთვარეზე, შექმნა გერმანელმა ვერნერ ფონ ბრაუნმა.

დემოკრატიის ის იდეალები, რისთვისაც მილიონები დაიღუპნენ საფრანგეთში, გერმანიასა და რუსეთში, თითქმის უსისხლოდ აღსრულდა და დამკვიდრდა;

აშშ-მ საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე მიიღო კონსტიტუცია და შექმნა დემოკრატიული მმართველობა, რომელსაც უძღვებოდა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი. ეს მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებს ჯერაც იმპერატორები და მეფეები განაგებდნენ.

ტექნიკის პროგრესმა და ეკონომიკის ბუმმა განკურნა სოციალური და ეროვნული ტკივილები.

იაფი და უფასო მუშახელი, მილიონობით ადამიანი იხოცებოდა, სისხლსა და ოფლს ღვრიდა, რათა ევროპელებს ჰქონოდათ სა-

სახლეები, ტაძრები, მოკირწყლული ქუჩები, პარკები, შადრევნები, წიგნი და თეატრი, ბრწყინვალე ავეჯი და სამოსელი, სამკაული და ტკბილი ცხოვრება, ჰქონოდათ ფიქრის დრო და საშუალება.

ათენისა და რომის მსგავსად, ევროპის კულტურაც დამონებული, დაპყრობილი ხალხების სისხლით იკვებებოდა.

აშშ-ის სამხრეთ ნაწილში მონობა მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში გაუქმდა.

სტამბოლისა და ისპანეთის მეჩეთებიც დაპყრობილი ხალხების სისხლით ელვარებდა.

კულტურას შეექმნა მკვიდრი მატერიალური ბაზისი.

გრძელდებოდა ქალაქების მშენებლობა და გამშვენიერება, ყალიბდებოდა კულტურის ცენტრები. არისტოკრატების გვერდით დაბალი ფენებიდან გამოსული ტალანტების სახეებიც გამოჩნდნენ. ზღვაოსანთა, მეომართა, პლანტატორთა, მიწათმფლობელთა შთამომავალნი ფიქრობდნენ ფილოსოფიასა და ხელოვნებაზე, ფიზიკასა და მათემატიკაზე, ისტორიასა და დღევანდელობაზე, ცხოვრებისა და ტექნიკის პროგრესზე.

ისტორიის მანძილზე მრავალი ცენტრი არსებობდა – ყარაყორუმი, მოსკოვი, პეტერბურგი, მემფისი, ბაბილონი, ბაღდადი, ბერლინი, ფლორენცია, სტამბოლი, ისპანი. მაგრამ მთავარი აღმოჩნდა ათენი – რომი – ფლორენცია – პარიზი – ვენა – ლონდონი – ნიუიორკი.

მათ კულტურულ სხივმოსილებას აძლევდა პოლიტიკური ძალა, ეკონომიკური ბაზისი, საერთაშორისო კონტაქტები.

მაგ,. XX საუკუნის ბოლოს ნიუ-იორკში იყო 100 ცათამბჯენი, 65 ხიდი, 100 000 ნომერი პირველი კლასის ოთახები ოტელებში, 25 000 რესტორანი, მეტროს ხაზის სიგრძე შეადგენდა 370 კმ-ს... ფართობი – 10 ათასი კვ.კმ, მოსახლეობა – 20 მლნ.

ევროპაში არა მხოლოდ ქონება გროვდებოდა, არა მხოლოდ შენდებოდა, არამედ – შემოდიოდა ინტელექტუალური ცოდნაც.

ევროპელები სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნების წარსულს, კულტურას, ენებს, ითვისებდნენ მათ გამოცდილებას, ავითარებდნენ და სრულყოფდნენ, სათავისოდ იყენებდნენ.

წარსულს ეძებდნენ იეროგლიფების საბურველში, მიწაში, ნანგრევებში, პაპირუსებსა და პერგამენტებში, ადათ-წესებში, ზღვებსა და ოკეანეებში.

ამ ცოდნას გარდაქმნიდნენ, უფარდებდნენ დროის მოთხოვნებს, განსჯიდნენ, ფიქრობდნენ, რაც უკვე სახესა და ელფერს აძლევდა შორეული ძირებიდან წამოსულ ენერგიას (მაგ., ვინკელმანის „ანტიკური ხელოვნების ისტორია“, მომზენის „რომის რესპუბლიკის ისტორია“, ბურკჰარდტის „იტალიის რენესანსის ისტორია“, ნიცშეს „ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან“, შპენგლერის „დასავლეთის დაისი“, ჰეგელის „რელიგიის ფილოსოფია“, ლინგვისტთა, ფილოლოგთა, არქეოლოგთა და ისტორიკოსთა ნაშრომები).

კულტურა სხვადასხვა მიმართულებით იტოტებოდა, კვეთდა ახალ კალაპოტებს, როგორც მთიდან მომსკდარი ლანქერი.

ეს იყო სინკრეტიზმის საფუძველი.

საუკუნეთა მანძილზე პარიზი იყო კულტურის ცენტრი, გემოვნების, მოდის ორიენტირი, ფრანგული ენა – არისტოკრატთა, დიპლომატთა, პოლიტიკოსთა ენა.

ლუვრი, ვერსალი, მონმარტრი, პერ ლაშეზი, ელისეის მინდვრები, შემდეგ – ეიფელის კოშკი და მონპარნასი ყველა ქვეყნის შემოქმედმა იცოდა, თუნდაც ფეხი არ დაედგა ამ ქალაქის მიწაზე.

„პარიზი დღესასწაულია, რომელიც მუდამ შენთან არი“, – წერდა ერნესტ ჰემინგუეი.

პოეტები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრალები, აქტიორები ისწრაფოდნენ ამ ქალაქისაკენ, საიდანაც მოდიოდა რომანტიკული, კლასიცისტური, პარნასული, იმპრესიონისტული, სიმბოლისტური, კუბისტური ხელოვნების შუქი.

ნაპოლეონმა დიდი რევოლუციის იდეები მსოფლიოს მოჰფინა. ბონაპარტის სახელი აიტაცეს რომანტიკოსებმა. იგი მათი კერპიც იყო, ვის სამშობლოსაც განადგურებით ემუქრებოდა კორსიკელი.

პარიზი იქცა კულტურის მექად.

აქ გამარჯვება, აღიარება, წარმატება უკვდავების გარანტი იყო. შემოქმედს ერთხელ მაინც უნდა ენახა ეს ქალაქი, ეცხოვრა მისი ბოჰემით, კაფეებითა და სალონებით, მუზეუმებითა და ტაძრებით.

ქართველი მწერალი, პოეტი, მხატვარიც აქეთკენ ისწრაფოდა. მაგრამ მეცნიერული ცოდნის მოსურნე ახალგაზრდობას უფრო გერმანია იზიდავდა, რომელიც ინტელექტუალობის ცენტრად ყალიბდებოდა.

ვენა, მიუნხენი, ლაიპციგი, ბერლინი, კენისბერგი, ამ ქალაქების უნივერსიტეტები, ფილოსოფოსები, მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, გოეთე, შოპენჰაუერი, მოცარტი, ბახი, ბეთჰოვენი, კანტი, ჰეგელი, ნიცშე, მარქსი, ვაგნერი, აინშტაინი სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალთა აღფრთოვანებას იწვევდა.

საუკუნეთა მიჯნაზე გერმანია გახდა პოლიტიკისა და კულტურის ცენტრი, როგორც მაშინ, როცა ანგრევდა რომის ცივილიზაციას.

პარიზი გემოვნების ცენტრი იყო, ვენა – მუსიკის, მიუნხენი, კენიგსბერგი, ლაიპციგი, ბერლინი – ინტელექტუალობის, რომი – კათოლიკური ეკლესიის, ლონდონი – ეკონომიკური აზროვნების.

მარქსიზმის იდეოლოგია იერთებდა ფრანგ სოციალისტ-უტოპისტთა, ინგლისელ ეკონომისტთა და გერმანელ ფილოსოფოსთა ოცნებას, ოცნებას თავისუფლებასა და თანასწორობაზე, ამქვეყნიურ სამოთხეზე.

ნაციონალ-სოციალიზმის სამშობლოც გერმანია იყო. იგი ამოდიოდა უძველესი დროიდან, ელინურ-რომაული ტრადიციებიდან, მითებიდან, საკუთარი ისტორიის გააზრებიდან.

ამ ორი იდეოლოგიის პოლიტიკაში გადასვლამ და შემდეგ შეჯახებამ მსოფლიო კატასტროფამდე მიიყვანა. 1789 წლიდან 1945 წლამდე ევროპამ მრავალი რევოლუცია, დამანგრეველი ომები და

იმედების გაცრუება გადაიტანა, მათ შორის – ორი მსოფლიო სისხლისღვრა.

მიუხედავად ამდენი საშინელებისა, ტექნიკა, კულტურა, ცივილიზაცია არ შეფერხებულა და თავბრუდამხვევი სიჩქარით ვითარდებოდა, თითქოს ყველა საოცრება ერთი თაობის სიცოცხლეში უნდა ამხდარიყო. ადამიანი მიწაზე ვერ ეტეოდა, ოკეანე ვერ აჩერებდა და ცად აიჭრა, დაიპყრო ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები, უდაბნოები და მთათა მწვერვალები, ჯუნგლები და ყინულეთი, ტუნდრა და ტაიგა. რევოლუციები და ომები მილიონებს იწირავდა და ქალაქებს წვავდა, მაგრამ სულის აფეთქებასაც იწვევდა.

დაუცხრომელი ენერგია დანგრეულს აღადგენდა და მეტი სისწრაფით მიექანებოდა შეუცნობელი მომავლისაკენ.

სულის ზეიმს ენაცვლებოდა ტექნიკის ტრიუმფი, ტექნიკის მასობრივი გავრცელება. ადამიანი თავის შექმნილ „რკინის ეშმაკს“ (ო. შპენგლერი) დაემონა, როგორც ოდესღაც გამოგონილ ღმერთებს.

ეტლებსა და ფაეტონებს ცვლიდა მატარებელი და მანქანა, ორთქლმავალს – ელმავალი, აფრიან ხომალდებს – საზღვაო ლაინერი, ცხენის გულს – მოტორი, იკაროსის ოცნებას – თვითმფრინავი, ფოტოგრაფს – კინემატოგრაფი, რეალიზმს – მოდერნიზმი, მოდერნიზს – ავანგარდიზმი, სიყვარულს – სექსი.

აჩქარებული, ბორბლებზე შემდგარი დრო სწრაფად წარმოქმნის და ამხობს კულტურის სახეებს, ნიმუშებს, იდეოლოგიებს. მაგ., XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გავრცელდა სამი „M“-ის თეორია, რომლის თანახმად მარქსი ღმერთია, მაო მისი მახვილი, ხოლო მარკუზე – მისი წინასწარმეტყველი ანუ მარქსი ეკუთვნის წარსულს, მაო – დღევანდელობას, მარკუზე – მომავალს.

ცივილიზაციამ თავისი კულტურა ჩამოაყალიბა, რომლის სფეროში შემოიტანა ტექნიკის სიმბოლოები – ელექტრონი, ტელეხედვა, რადიოტელეფონი, ცათამბჯენი, რაკეტა, კომპიუტერი, მანქანა, ლაზერი.

ჟორჟ სიმენონის სიტყვით, მომავლის ქრისტე იქნება არა ღმერთი, არამედ – ეკონომისტი ანუ ეკონომიკური კავშირები სძლევენ რელიგიასა და იდეოლოგიას.

სწრაფად გავრცელდა და ყველა ერის გულისყური დაიპყრო ტექნიკის საფუძველზე წარმოქმნილმა სინთეზურმა ხელოვნებამ – კინემატოგრაფმა, რომლის ცენტრია აშშ, ჰოლივუდი.

დღეს უაღრესად პოპულარულია საესტრადო მუსიკა, რომელსაც მძლავრი იმპულსი მისცა ბითლზების გუნდმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კულტურის ცენტრმა გადაინაცვლა დანგრეული ევროპიდან აღმავალი გზით მიმავალი აშშ-საკენ, რომელიც არ სცნობდა ბოლშევიკურ სსრკ-სა და ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიას და კრიტიკულად განეწყო ევროპული ფაუსტური კულტურის მიმართაც.

ევროპული კულტურა სულიერებიდან ამოდის, ამერიკული – ცივილიზაციიდან, შესაბამისად – ერთი კულტურის სიმბოლოა, მეორე – ცივილიზაციისა.

3. მასობრივი და ელიტარული კულტურები

კლასიკა და მოდერნიზმი კულტურშემოქმედის წარმოდგენებში იცვლის სახესა და ფუნქციას, რათა მასებისათვის ადვილად მისაწვდომი და იოლი აღსაქმელი გახდეს.

არის თემები, რაც ყველას აღელვებს – სიცოცხლე და სიკვდილი, ვერაგობა და სიყვარული, გმირობა და მოვალეობა, სამშობლო და ოჯახი... ეს თემები, ეს გრძნობები, ეს მოტივები საერთოა ელიტისა და მასისათვის, თუმცა დრო, ცივილიზაცია, კომფორტი ცვლის მათი განცდისა და გამოხატვის ფორმებს, ობიექტებსა და ადრესატებს, ცვლის კულტურის მანიფესტებს.

კულტურის ზოგი დარგი უაღრესად პოპულარულია და სწრაფად ვრცელდება საზოგადოებაში (მაგ., საესტრადო სიმღერა, კინოფილმი), ზოგი რჩება პროფესიონალთა ვიწრო წრეში (მაგ., კლასიკური მუსიკა, ოპერა).

კულტურშემოქმედი შებოჭილია ჟანრის კანონებით, რომელშიც უნდა მოაქციოს ფანტაზია. მაგრამ თვით ჟანრის შიგნითაც ზოგი მეტად იზიდავს მასის გულისყურს, ზოგი – ნაკლებად; ზოგის აღქმა ძნელია, ზოგისა – იოლი. ერთისათვის შემოქმედება ექსპერიმენტული რისკი და სიახლეა, მეორისათვის – მასობრივი პოპულარობა.

ამის მიხედვით განასხვავებენ მასობრივ და ელიტარულ კულტურებს, მათ შუალედურ ფორმებს.

სულიერ კულტურას, როგორც ვთქვით, ყველა დროში ერთეულები ქმნიდნენ, ქმნიდნენ შთაგონებითა და ტანჯვით, ფანატიკური რწმენით, თავგანწირვით, მაგრამ იგი მასებში გადაჰქონდა ელიტას - სამეფო კარს, სამღვდელო, სამხედრო და საერო არისტოკრატიას,

გვაროვნული ელიტა ერთეულების მონაპოვარს ხვეწდა, აკონკრეტებდა, ავსებდა, უფარდებდა ცხოვრებას, აძლევდა გარეგნულ ელვარებასა და მომხიბვლელობას. იგი იყო მასებისათვის სანიშნო შუქურა, რომელიც ანათებდა და მაგნიტივით იკრებდა მილიონების მზერასა და გულისყურს.

მასების ბნელი წიაღი ელიტის შუქით ნათდებოდა. მაგრამ მასა იყო ის მკვებავი ნიადაგი, რომელზეც იდგა კულტურის რტომრავალი, მარადმწვანე მცენარე (შდრ– მიწა და მისგან მომდინარე წყალი).

მასკულტურა, როგორც ნარკოტიკი

მასობრივი კულტურა აკმაყოფილებს ფართო ფენების მოთხოვნებს. გარდა იმისა, რომ ზოგი დარგი თავისი ბუნებით აქეთკენ

არის მიმართული (მაგ., ესტრადა), ყველა დარგში გამოიყოფა ცალკეული ნიმუშები, რომელთა სიმსუბუქე, სინათლე პასუხობს დროის მტკივნეულ კითხვებს და თავად დროის სულის გადმოცემა საზოგადოებისათვის საინტერესოა (მაგ., ვ. ჰიუგოს ან ა. წერეთლის, გოეთეს ან ჰაინეს პოეზია).

20-30-იანი წლების ქართულ კულტურაში გაბატონდა რომანტიკულ-ჰეროიკული სტილი. იგი თავად ეპოქის სულისა და რიტმის ფიქსირება იყო. ომგამომვლილი, რევოლუციებში მონაწილე, გამარჯვებასა და დამარცხებას, გმირობასა და ნგრევას შეჩვეული თაობები გამამხნევებელ, ზეაღმტაც, მეოცნებე კულტურას ქმნიდნენ, რადგან ხალხსაც ეს აინტერესებდა.

60-80-იან წლებში, როცა მშვიდი ცხოვრება ჩამოდგა და ხალხმა ეკონომიურად სული მოითქვა, წამოიწია ერთი მხრივ – კომიზმი, მეორე მხრივ, ინტელექტუალური ჭვრეტა, ხოლო ტრაგედია უკანა პლანზე გადავიდა.

გაბატონდა სექსი და ეროტიკა, დეტექტივი და სუპერმენი, საშინელება და ძალადობა, სპორტი და ფანტასტიკა, სენსაცია და სკანდალური ქრონიკა ანუ ის, რაც მიიზიდავს და შეარყევს მასის ფსიქიკას.

ინსტინქტებზე თამაშით იგი ცვლის ხალხის ცნობიერებას, იმორჩილებს როგორც, დოპინგი და ნარკოტიკი.

ადამიანი დამოკიდებული ხდება მასკულტურაზე.

იგი უკავშირდება ბიზნესს, შესაბამისად – პრაგმატულია: კარგია ის, რაც იყიდება, რასაც ფული მოაქვს.

რადიო და ტელევიზია, ჟურნალი და გაზეთი შედის ყველა ოჯახში, ესაუბრება მათ, ართობს, ანიჭებს სიხარულს, უქარვებს ნაღველს, აცნობს სიახლეს, სთავაზობს სენსაციასა და რეკლამას.

მომხმარებელს თავისი განცდები გადააქვს მოსმენილ, წაკითხულ და ნაჩვენებ ისტორიებზე, მსუბუქი, კომიკური, ფანტასტიკური ფილმების სიუჟეტებსა და პერსონაჟებზე.

ადამიანი შოშმინდება, ნევროზებისა და სტრესებისგან განიმუხ-ტება, სულში ისადგურებს სასიამოვნო სიცარიელე.

დამკვეთი და შემსრულებელი აღძრული ემოციებით მიმართუ-ლებას აძლევენ მომხმარებლის ცნობიერებას, თანაც აძლევენ ყოველ-დღიური კონტაქტებისათვის საჭირო ცოდნას, რათა მოქალაქემ იგრძნოს თავისი დრო, სტილი და მოდა, გამოვიდეს მარტოობის უდაბნოდან და ჩაერთოს ცხოვრების რიტმში.

ასე ხდება როგორც ინფორმირება, ისე დეზინფორმირება.

საფუძველი არის გართობა, მიზანი – მოგება, შედეგი – ცნობიე-რების შეცვლა.

ავტორი მუშაობს, როგორც კონვეიერი: გერმანელმა ქალმა ჰედ-ვიგ კურტს-მალერმა დაწერა 209 წიგნი, მეტწილად – რომანები.

გერმანულ ენაზე გამოიცა 30 მლნ. ეგზემპლარი.

ასევე ათეულმილიონობით დაიბეჭდა კარლ მაის თხზულებები – სათავგადასავლო ლიტერატურა, სულ – 74 ტომად.

ფრანგი ჟორჟ სიმენონი ავტორია ორასზე მეტი რომანისა.

1973 წლის ფრანკფურტის ბაზრობაზე წარმოადგინეს 300.000 დასახელების წიგნი, აქედან – 40.000 გფრ-ში გამოცემული.

დასავლეთ გერმანიის წიგნის ბაზარზე, ფდბ-ოს აგენტ ჯერი კოტონზე, ყოველკვირეულად 300.000 ტირაჟით ახალი რომანი გამო-დიოდა.

ამ წიგნებს ჯგუფურად წერდნენ. ავტორთა რიცხვი ზოგჯერ 40-ს აღწევდა.

ასევე ყოველკვირეული სერია იყო პერი როდანზე, ამერიკელ ასტრონავტზე, რომელიც ატომური ომის შემდეგ ბრუნდება დე-დამიწაზე.

წიგნების ტირაჟი იყო 230.000 ცალი. იცემოდა ჯიბის ფორმა-ტითაც. აქაც კოლექტიურად წერდნენ რომანებს.

ამერიკელ ლუი ლამურს 80-იანი წლებისათვის თავისი 80 წიგნი გამოცემული ჰქონდა 130 მლნ ტირაჟით.

ასევე უაღრესად პოპულარული იყო ფლემინგის რომანები ავანტიურულ-ჯაშუშურ თემებზე, ქსევრიერა ჰოლანდერის „სექსუალური მემუარები“. ეს მაშინ, როცა „ულისე“ პირველად მხოლოდ ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა, ხოლო ნიცშეს „ზარატუსტრას“ IV ნაწილი – 40 ცალი.

70-იანი წლების აშშ-ში ყოველთვიურად იყიდებოდა 40 მლნ. კომიკსების წიგნი (ეროტიკული, სათავგადასავლო, კომიკური).

შემდეგ სერიული რომანები ტელესერიალებმა შეცვალა.

რომანისტები სცენარისტებად იქცნენ და ახალი ინდუსტრია შეიქმნა.

მაგ., „სანტა ბარბარა“ 2500 თუ 3000 სერიისაგან შედგება და წლების მანძილზე გადიოდა ტელეეკრანებზე.

ჩვენ ყველა ვხედავთ თუ როგორ არის გადატვირთული ტელესივრცე ერთმანეთის მსგავსი სერიალებით. ისინი აკმაყოფილებენ მასების წარმავალ მოთხოვნებს და სწრაფად ქრებიან. მათ ადგილს იჭერს ახალი სუროგატი.

შესაბამისად – კულტურის ინდუსტრია (თეოდორ ადორნოს ტერმინია) მრავალმილიარდიან ბიზნესს ატრიალებს, რომელშიც წინა პლანზე გამოდიან კინომსახიობები და ესტრადის ვარსკვლავები (მაგ., რეპერ კენი უესტის ბოტასები აუქციონზე 16 მლნ დოლარად გაიყიდა).

ამერიკელმა აქტიორმა რობერტ დაუნი-უმცროსმა ერთ წელიწადში 75 მლნ დოლარი აიღო. იგი თამაშობს ფილმში „რკინის კაცი – 3“, რომლის შემოსავალი 213 წელს იყო 1,1 მლრდ დოლარი.

მასას გართობა აინტერესებს, პური და სანახაობა, ცეკვა და სიმღერა, სიცილი და ლაღობა, რაც კულტურას აცლის დრამატულ საფუძველს.

მაღალი იდეალები დახურდავებულია. ყველაფერი მსუბუქია და წარმავალი, როგორც შეღამების ნიავი.

მასობრივისა და ელიტარულის განყოფა

მასობრივი კულტურის ნიმუშები, შესრულებული ტექნიკითა და სათანადო გემოვნებით, დიდად პოპულარულია. მაგრამ მათ წინ არ მიჰყავთ ინტელექტუალური აზრი, ესთეტიკური ფორმა და სტილი. ისინი გვიჩვენებენ არსებულის დაუფლების დონეს (შდრ: რომანტიზმი და ფრანგული „ბულვარული რომანტიზმი“, ბელეტ-რისტიკა და „ბულვარული ბელეტრისტიკა“, ფერწერა და ფერადი ფოტოგრაფია, კლასიკური მუსიკა და ჯაზი).

მასობრივი კულტურა ხალხურ-ფოლკლორული ტენდენციების იმიტირება და გაგრძელებაა შეცვლილ გარემოში, შეცვლილი ატრი-ბუტიკით.

მისი მომხმარებელია საზოგადოების ფართო ფენები, რომელ-თაც არა აქვთ და არც სჭირდებათ მკაცრი ესთეტიკური იდეალი.

საპირისპიროა ელიტარული კულტურა, რომელსაც აქვს პრე-ტენზია იყოს ახალი გზის გამჭრელი, გემოვნების კანონმდებელი, ფორმისა და აზრის ნოვატორი: ბარის სიმხურვალეს ენაცვლება მწვერვალების სიცივე.

(შდრ – ჯოისის „დუბლინელების“ პირველი გამოცემა ექვს თვე-ში მხოლოდ შვიდი ცალი გაიყიდა!).

ასეთი ორიენტირი იწვევს სტილის გართულებასა და სიმძიმეს: აღქმას სჭირდება მომზადება, სიახლეს კი შეეგუება.

ელიტარული კულტურა არისტოკრატიზმის გაგრძელებაა, თუმცა იყენებს დემოკრატიულ ფორმებსაც, ყოფით მეტყველებასა და ჰანგებს.

ელიტარული კულტურაა კლასიცისტური ხელოვნება, პარნა-სელთა პოეზია, სიმბოლიზმი, კუბიზმი, „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურა, ინტელექტუალური მწერლობა (მაგ., თ. ს. ელიოტი, თ. მანი, ჰ. ჰესე), გოტიკური არქიტექტურა, კლასიკური მუსიკა, ოპე-რა.

ავანგარდიზმიც ელიტარულია, მაგრამ თამაშობს დემოკრატიზმის ნიღბებით, ახდენს ხალხურობისა და ყოფითი ცხოვრების იმიტირებას.

მასობრივი კულტურა შოუ-ბიზნესის ნაწილია, ემორჩილება ფულს, კომფორტული ცხოვრების კულტს. იგი იღებს ელიტარულისაგან ცალკეულ მოდელებს, მათ ანიჭებს პოპულარულ სახეს და ასე ეუფლება საზოგადოებას (მაგ., ტელესერიალები, ანიმაციური, საშინელებათა და სექს-ფილმები).

ელიტარულ კულტურას ეს მიზანი არა აქვს. მას დღევანდელ ტაშისცემას ურჩევნია ხვალინდელი სიცოცხლე, არსებობის გაგრძელება თაობათა მეხსიერებაში (მაგ., ჯ. ჯოისი, მ. პრუსტი, ა. ჟიდი, პ. ვალერი, სტ. გეორგე, რ.მ. რილკე, თ. მანი, ფრ. კაფკა, ჰ. ჰესე, უ. ფოლკნერი, ჟ. პ. სარტრი, მ. ჰაიდეგერი, გ.გ. მარკესი, ი. ბერგმანი, ფ. ფელინი, პ. პიკასო, ს. დალი, ა. შონბერგი) ანუ შედევრის შექმნა.

იგი ინტელექტუალური მარტვილობითა და განზე დგომით იქცევს ყურადღებას, როგორც მეზღვაურთა შუქურა, რომელიც ნიშანს იძლევა თუ საით უნდა იმოძრაონ.

იდეალი არის მათი სინთეზი. როცა მასობრივი ერწყმის ელიტარულს, მაშინ იგი იხვეჭს ყველა თაობის, ყველა ფენის სიყვარულს (მაგ., ბიბლია და ყურანი, ჰომეროსის პოემები, შექსპირის ტრაგედიები, დოსტოევსკის, ბალზაკის, დიკენსის, სერვანტესის, ლ. ტოლსტოის რომანები, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“).

ელიტარული კულტურის მიღმა ყოველთვის როდი დგას არისტოკრატი, ან საზოგადოების რომელიმე მაღალი ფენის წარმომადგენელი.

მაგ., ინტელექტუალური ბოჰემა ცხოვრობს დეკლასირებულ ადამიანთა წრეშიც, სადაც ირევიან მაწანწალები, ლოთები და მეძავები.

ისინი არ ესწრაფიან საზოგადოების იერარქიულ კიბეს, ბიზნესს, თანამდებობას, არ ერწყმიან მმართველ ელიტას, არ ცდილობენ მასთან სიახლოვეს.

მათ ყველაფერს ურჩევნიათ თავიანთი მიკრო-სამყარო, თავიანთი იდეებით წარმოქმნილი რომანტიკა. ისინი ქადაგებენ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, რომლის პრინციპი წამოაყენა პარნასელმა თეოფილ გოტიემ. არაოფიციალურად საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა ელიტარული კულტურა, როგორც პარტიულ-ადმინისტრაციული სისტემის ნაწილი. იგი თითქოს მასებისათვის შეიქმნა, მაგრამ მათ განწყობილებებსა და მოთხოვნებს ნაკლებად პასუხობდა.

ასეთ დროს გაორება გარდაუვალი იყო. მაგ., მიხეილ შოლოხოვი იყო სკკპ ცეკას წევრი, აკადემიკოსი, დეპუტატი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური, სტალინური და ნობელის პრემიების ლაურეატი, რომლის მართლაც უდიდესი რომანი „წყნარი დონი“ ავტორის სიცოცხლეში 600-ჯერ გამოიცა.

სიტყვითა და ქცევით იგი ცეკას ყველა გენერალური მდივნისა და პარტიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი იყო, მაგრამ შემოქმედებაში სიმართლეს იცავდა. ამისი დასტურია „წყნარი დონი“ – კაზაკების ტრაგედიის ეპოპეა.

მასობრივი კულტურა გულისხმობს ადრესატს, ელიტარული – არა. მასკულტურა კი არ ქმნის, არამედ – სერიულად ამზადებს არტეფაქტებს რომელიღაც ფენისა, ასაკისა და დროისათვის, ელიტარული ზედროული და ზეეროვნულია.

მასკულტურა კომერციის ნაწილია. ეს არის ის, რაც კარგად იყიდება. ხოლო ის, რაც იყიდება, არ შეიძლება იყოს მტკიცე და ურყევი.

მას განსაზღვრავს არა შემქმნელის, არამედ – მომხმარებლის გემოვნება და ინტერესები. მომხმარებელი საზოგადოების უპირატესი ნაწილია და ავტორი იძულებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება.

მასობრივი ვრცელდება სივრცეში, ელიტარული – დროში.

ელიტარული კულტურა არ საჭიროებს მომხმარებელს, მყიდველს, მსმენელს, მაყურებელს. მისი აუდიტორია მცირეა, ამთვისებელი – ინტელექტუალთა, პროფესიონალთა ვიწრო წრე, რომელსაც ან-

გარიშს უწევს მასობრივი ხელოვნება, გადააქვს მისი მიღწევები კორექტირებული ფორმით მასებში, ახდენს მათ კომერციალიზებას.

ელიტარული კულტურა არ სცნობს კოლექტიურ ინტერესებს. იგი ენდობა ინდივიდუალურ აღმაფრენას, რომელსაც გაჰყვება მასა.

ამიტომ ქმნის თანამოაზრეთა ვიწრო წრეს (მაგ., იმპრესიონისტები, სიმბოლისტები, კუბისტები, ექსპრესიონისტები) და აქ კოლექტიურად ამკვიდრებს ახალ პრინციპებს.

ზოგჯერ ელიტარული ერწყმის მასობრივს, პოლიტიკური და სოციალური პრობლემატიკა იკავებს კულტურის სფეროს და ეს საერთო ნაკადი საზოგადოების შეცვლას ისახავს მიზნად (მაგ., „ახალი ჟურნალიზმი“ აშშ-ში, „ახალი მემარცხენეები“ – ევროპის ქვეყნებში), ან – ელიტარული ბიძგს აძლევს მასკულტურას (მაგ., გოტიკური რომანი), როცა ვნებათა ამბოხი გადადის საშინელებათა და სექსუალურ ძალადობათა სურათებში, პორნოგრაფიასა და ბილწსიტყვაობაში.

მშვენიერებას ცვლის სილამაზე, სიყვარულს – სექსი, გმირულ სულს – ფანტასტიკა. წიგნის ბაზარსა და კინოსცენას იკავებს ავანტიურული, ფსევდო-ისტორიული, სამხედრო-სათავგადასავლო, ჯაშუშური, დეტექტიური, ოკულტური, პორნოგრაფიული თემები და სიუჟეტები, ადვილად აღსაქმელი რომანები, ფილმები, მულტფილმები, ტელესერიალები, ჟურნალ-გაზეთები.

ისინი ზემოქმედებენ მილიარდიან აუდიტორიაზე, აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებას და ამასთან ერთად ცვლიან მას.

მათი ფუნქცია გართობაა და რა სისწრაფითაც იკავებენ სცენას, ასევე ჩქარა ქრებიან. მათ ენაცვლება მასკულტურის ახალი ნიმუშები.

პროდიუსერები რეკლამებით ამკვიდრებენ სტარიზმს – ვარსკვლავთა კულტს.

რეკლამა და პროპაგანდა მაღლა სწევს საესტრადო ანსამბლის, წიგნის თუ ფილმის სახელს. მაგრამ ეს მაინც სტიმულირებაა, ღირსების წარმოჩენა და განმარტებაა. თუ მასის მოთხოვნილებას ხელოვნების ნიმუში არ შეესაბამება, რეკლამა საქმეს ვერ შველის. კო-

მუნისტების დროს მძლავრი სახელმწიფო მანქანა ეწეოდა სასურველი ავტორების პროპაგანდას, მაგრამ მასა მათდამი მაინც გულგრილი რჩებოდა.

ბესტსელერებსა და სტედისელერებს ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები პოპულარობით ვერ შეედრებიან. მაგრამ ცალკეული ავტორები, წიგნები, ფილმები თუ მსახიობები აღწევენ ფართო პოპულარობას, რაც დროში მეტხანს გრძელდება, მაგ., თომას მანის „ბუდენბროკები“, ერნესტ ჰემინგუეის, ერიხ მარია რემარკის, ფრანსუაზა საგანის რომანები, ფედერიკო გარსია ლორკას პოეზია, ჩარლი ჩაპლინის ფილმები.

(შდრ – სოთბის აუქციონზე მოდილიანის „ალექსანდრა დადიანი“ გაიყიდა 26 მლნ დოლარად).

ბიულეტენები, პრესა, რადიო და ტელევიზია პერიოდულად აქვეყნებენ ბესტსელერთა სიას, შემოსავლის ოდენობას, ტირაჟს თუ თარგმანთა რიცხვს. მაგ., ჰიტ-პარადის მიხედვით „ჰარი პოტერის“ ავტორმა ჯოან როულინგმა მიიღო 3 მლრდ დოლარი ჰონორარი, წიგნის ტირაჟმა კი 400 მლნ-ს გადააჭარბა.

კლასიცისტურ-ელიტარული წესრიგი

არისტოკრატია დისტანცირებულია საზოგადოების მიმართ. იგი კარნახობს თავის წესებს მასას და მორჩილებას მოითხოვს, უარყოფს იმპულსურ ქცევასა და შესაბამისად – ასეთსავე აზროვნებას.

არისტოკრატია მოითხოვს დისტანციის დაცვას თავის წრეშიც, იერარქიულ დანაწილებას ანუ რაციონალიზებას, კლასიფიკაციას, გრძნობათა შეკავებას, ზომიერებას. ეს კი თავიდანვე ჭვრეტას ანიჭებს უპირატესობას.

არისტოკრატიას თავისი ენაც ჰქონდა, რითაც განირჩეოდა მასებისაგან. მაგ., ევროპელებს – ლათინური ან სანსკრიტი, რუსებს – ფრანგული ან გერმანული, ქართველებს – ჯერ ბერძნული და ირანული, შემდეგ – ბიზანტიური და არაბული, სპარსული, რუსული, ამჟამად – ინგლისური.

ზედაფენაზე მოქმედებს სიტუაციის ცვალებადობა. მაგრამ ინტელექტუალთა წრეში ეს ვლინდება როგორც კონსერვატიზმი.

არისტოკრატის მეტყველება სტილიზებული, მშრალი, ზუსტი, კონკრეტული, მოწესრიგებული, ყოველდღიური წვრილმანებისაგან განტვირთულია. ხალხის ენა მისთვის ვულგარულია, უხეში, ძნელად მოსასმენი. იგი მოითხოვს ენის სტანდარტიზებას, ეს მაშინ, როცა ხალხში დუღილი გრძელდება.

იგი ცხოვრობს სიმბოლურ და არა რეალურ წრესა და ურთიერთობებში, სცილდება მიწას, ყოველდღიურ მღვრიე ცხოვრებას.

ამიტომ პასუხობს ელიტარულ გემოვნებას კლასიკური მუსიკა, ოპერა და ბალეტი, სპორტში – ჩოგბურთი, ჭადრაკი ან ბილიარდი.

არისტოკრატია თავისი წიაღიდან გამოყოფს მმართველ და კულტურშემოქმედ ფენებს. მმართველი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერია, კულტურშემოქმედი – რელიგიური ან ხელოვნების მოღვაწე.

ამიტომ იყო რენესანსის შემდეგ ევროპული არისტოკრატიული კულტურის ფორმები ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი.

ელიტკულტურა მკაცრი რაციონალიზებისა და ეტიკეტის დაცვის გამო სქემას ემსგავსება, თითქოს მსახიობები გამოდიოდნენ სცენაზე და თამაშობდნენ სპექტაკლს, ოტელოს, ჰამლეტის თუ მეფე ლირის როლებს.

ამიტომ იგი ჩარჩოში ექცევა, კარგავს შემოქმედებით აღმაფრენას. ცხოვრება კი გრძელდება, იჭრება ელიტაში და ცვლის გუშინდელ მასკულტურასაც.

დროდადრო ხელოვნებაში ირღვევა ელიტარული პრინციპი და იგი იძირება მასების განწყობილებაში. შემდეგ ესეც ახდენს თავისი გრძნობების ელიტარიზებას.

ეს პროცესი მუდმივად მონაცვლეობს.

ელიტკულტურა მიემართება საზოგადოების ვიწრო წრეს, სხვადასხვა, მაგრამ მაღალ ფენებს – არისტოკრატიულს, ინტელექტუალურს, პოლიტიკურს, რელიგიურს. მათ აქვთ პრეტენზია, რომ იყვნენ გემოვნების, ესთეტიზმის, აზრის, პროგრესის ლიდერები.

თავად ელიტკულტურის მიზანია სულიერ ფასეულობათა შექმნა, მომავლის სანიშნო შუქურების ანთება.

ელიტკულტურა ქმნის შედევრს, მასკულტურა ახდენს მის ტირაჟირებას და შაბლონიზებას. ამიტომ სდევნის წიგნს კომპიუტერი, თეატრს – კინო, კლასიკურ მუსიკას – ჯაზი, ფერწერას – ფოტოგრაფია, რადიოს – ტელევიზია, ოპერას – ესტრადა.

როცა ქრის რევოლუციის გრიგალი, იმსხვრევა ტახტები და სალონები, ირღვევა წყნარი, მშვიდი ცხოვრება და ასპარეზზე გამოდიან სისხლმოწყურებული მშიერი მასები – ელიტკულტურა გზას უთმობს მასკულტურას.

მასას მოაქვს ახალი პრინციპები, სტილი და იდეალები.

მაგ., ფრანგი არისტოკრატის პარიკი, პუდრი, თეთრი გამაშები, ბურბუშელა საყელო ნაკლებად სჭირდებოდა კვერცხისა და ქათმის ვაჭარს. იგი მალე ბურჟუად იქცეოდა და დაადგენდა ახალ ეტიკეტს, ცხოვრების სტილს, უფრო ბუნებრივს, განტვირთულს ზიზილ-„პიპილებისა და ბუტაფორიისაგან. მას არქიტექტურაც შესაბამისი უნდოდა, ავეჯიც, სამოსელიც, ზნეობაც, ლიტერატურაც.

მასკულტურის სათავე არის კლასიცისტური „სამი სტილის თეორია“, რომლის თანახმად ხალხური ენით კომედიები და რომანები უნდა ეწერათ.

კომედია იყო მიჩნეული „დაბალ ჟანრად“, ტრაგედია – „მაღალ“ ჟანრად. ხელოვანს ბუნებისათვის უნდა მიებაძა. შერჩევითი პრინციპით გაემშვენიერებინა სინამდვილე. კლასიციზმის ორსახოვანი

ბუნება – არისტოკრატიული და დემოკრატიული, ანტიკური და ყოფითი, მაღალი და დაბალი, ტრაგიკული და კომიკური, ზუსტი და ანარქიული განვითარდა ელიტარულ და მასობრივ კულტურებად.

შემდეგ დემოკრატიულ ნაკადს ამკვიდრებდნენ რეალისტები და ნატურალისტები, სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობები (მაგ., სოციალ-დემოკრატები), რათა მასები მიემხროთ. ისინი ეყრდნობოდნენ ხალხურ მასალას, ცხოვრებისეულ თემებს, ყოფით ენას.

დემოკრატიულ ნაკადს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, რომლის მობილური ფორმები შოუ-ბიზნესში ჩაერთო.

კლასიცისტური ჰარმონია და სიმეტრია ყველაზე ზუსტად გეომეტრიულ ფორმებშია გამოხატული, შესაბამისად – სკულპტურასა და ფერწერაში, არქიტექტურასა და მუსიკაში.

ბუნების კონსტრუირებაც გეომეტრიული პრინციპით ხდებოდა. მაგ., პარკების გაშენება, რომელსაც უნდა ჰქონოდა სწორი ხეივნები, ერთი სიმაღლის ხეები და ბუჩქები, მათ შორის მანძილი ერთნაირი სიზუსტით უნდა ყოფილიყო დაცული.

ასეთი წესრიგი ბატონობდა ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებში და ამიტომ ჰქონდა ნეოკლასიცისტური ხასიათი მათ კულტურას (მაგ., სტალინური ეპოქის არქიტექტურა).

კლასიცისტური რაციონალიზმი გადავიდა განმანათლებლობაში, გონებისა და ცოდნის აპოლოგიაში. მაგ., განმანათლებლები იყვნენ ჩვენი „თერგდალეულები“, რომელთაც დაუპირისპირდნენ „შვილები“: პოლიტიკაში – სოციალ-დემოკრატები, კულტურაში – მოდერნისტები და ავანგარდისტები.

XX საუკუნის ინტელექტუალური ნაკადის პოეზიაში (მაგ., ეზრა პაუნდი, პოლ ვალერი, ტომას სტერნზ ელიოტი, ბორის პასტერნაკი, სენ ჟონ პერსი) ერთმანეთს შეერწყა კლასიცისტური სინათლე, ბერგსონის ინტუიტივიზმი, ანტირომანტიკული პათოსი, ფილოსოფიური ჭვრეტა, რაციონალიზმი.

ასეთივე თვისება აქვს მარსელ პრუსტის, თომას მანისა და ჰერმან ჰესეს პროზას, სადაც მთავარია არა კონფლიქტები, სიუჟეტური დრამატიზმი, არამედ – აზრობრივი კონსტრუქცია და დინამიკა.

ყველა კულტურა, ყველა ხელისუფლება ბოლოს კლასიცისტური ხდება, რადგან მთავრდება რომანტიკულ სიახლეთა ქადაგება, მთავრდება რევოლუცია და დამკვიდრებულ იდეებს თუ ფორმებს სჭირდება კონსერვატიზება. თანდათან ისინი დოგმებად იქცევიან და წინსვლას აბრკოლებენ ან ხდება პროფანაცია, გადაგვარება და გაუხამსება. ამგვარი სახეცვლაც უკვე განვითარებაა, მაგრამ რეგრესული, ხოლო ჭარბი გამყინვარება, დოგმატების ფეტიშიზება თავის წიაღში ამზადებს ახალ რევოლუციას, რომლის მდუღარე ნაკადები წალეკავენ ძველ ბარიერებს (მაგ., რაციონალისტური, სქემატიზებული კლასიციზმიდან იშვა სენტიმენტალიზმი, რომელიც გადავიდა რომანტიზმში).

კლასიცისტურ-ელიტარულ წესრიგს ენაცვლება რევოლუციურ-პლებეური ანარქია, რომელიც დაამკვიდრებს სიახლეს, გაიმეორებს ძველ გზას და ბედიც იგივე ეწევა. მაგ., გოეთე ჯერ ებრძოდა კლასიციზმს, შემდეგ თავად გახდა კლასიცისტი. ამიტომ მოხდა რომანტიკოსების მასთან დაპირისპირება.

კონსერვატიზმი და მოდერნიზმი მარად ურთიერთმონაცვლე ძალებია, რასაც წინ მიჰყავს კულტურა და საზოგადოება.

მოძრაობა და ცვალებადობა კულტურისა და საზოგადოების სიცოცხლის ნიშან-თვისებაა (იხ. „ექსპერიმენტი – ესთეტიკური და ანტიესთეტიკური“).

მასკულტურის ფორმები

მასობრივმა კულტურამ, აუდიტორის მოსაზიდად, ერთმანეთში გათქვიფა სხვადასხვა სტილი, იდეა, ფორმა; არია ჟურნალიზმი და

რომანტიზმი, ნატურალიზმი და ავანგარდიზმი, ერთი მხრივ – დავიდა სინამდვილემდე, ვულგარულ და უხეშ ყოველდღიურობამდე, მეორე მხრივ – წამოსწია ის თემები და მოტივები, რომელთა თამაში აღვიძებს ინსტინქტებს, შეესაბამება მდაბალ გემოვნებას.

მასკულტურისათვის მთავარია პრაგმატიზმის თეორიული პოსტულატი – ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა (პირსი, ჯემსი, დიუი). მასობრივმა კულტურამ შექმნა თავისი ჟანრები, ფორმები, ლექსიკა, დიზაინი, თავისი სტერეოტიპი, თავისი იმიჯი.

პრაგმატული, ინტერკავშირებით გაერთიანებული სამყარო მოუხმობს მოქმედ, ენერგიულ, პრაქტიკულ ადამიანებს – მათ სევდისა და ჭვრეტისათვის არ სცალიათ.

მასკულტურის ხელოვანი დადის ინსტინქტებამდე, რადგან ინსტინქტები ყველა ერსა და რასას მეტნაკლებად აერთიანებს.

მათი მოდელირებით ყალიბდება ყველასთვის გასაგები ინტერკულტურა, რაც ხელს უწყობს გლობალიზაციას.

„ახალი რომანი“, „სტრუქტურული კინო“, „იატაკქვეშა კინო“, კონკრეტული პოეზია, ბრეიქდანსი, ჯაზი, ელექტრონული მუსიკა, ვესტერნი და დეტექტივი, ტრილერები და ტელესერიალები, სპორტი და ესტრადა, ფანტასტიკა და პორნოგრაფია, საშინელებათა და სათავგადასავლო, ისტორიული და ბიოგრაფიული კინო და ტელეფილმები ავრცელებენ პოპულარულ, იოლად აღსაქმელ თემებს, მოტივებს, პერსონაჟებს, სიუჟეტებს.

ლიტერატურისა და კინოხელოვნების პერსონაჟები გახდნენ ბოევიკი და სუპერმენი, მკვლელი და სექსბომბა, კოვბოი და ფლეიბოი.

სუპერმენი თანამედროვე ზეკაცია, რომელიც თავის სხვებზე უპირატესობას ამკვიდრებს. იგი დაუმარცხებელი, ყოვლისშემძლე გმირია, ტყვია არ ეკარება ცეცხლი არ ეკიდება, ყველა ხიფათს თავს აღწევს (მაგ., სტალონე, შვარცნეგერი).

ცხადია, მათ გარდა ხელოვნება აჩვენებს ეჭვით, სევდით, ნევროზით შეპყრობილ ან თავიანთი საქმითა და განცდებით დაკავებულ უმწეო და უბრალო ადამიანებს, დისნეის მიკი მაუსის მსგავს

აუტსაიდერებს, პატრიოტებსა და ინტელექტუალებს. მაგრამ ისინი არ არიან მასის იდეალი, მათი ფიქრები და ოცნებები არ გადადის ზეაღმტაც ბრძოლასა და თამაშში.

მასების მოთხოვნა არის ჰიტი, შლაგერი, ბესტსელერი, როგორც მათი გემოვნების შესატყვისი.

მათ ბადებენ პარალიტერატურა, ტრილერი, პორნო-კიჩი, ჰეპპენინგი, გინიოლი, ვესტერნი, ოპ-არტი და პოპ-არტი.

პოპ-არტი პუბლიკის მოსაზიდად, აუდიტორიის დასაპყრობად მიმართავს ექსპერიმენტებსაც, ანტიესთეტიკურსა და ნატურალისტურს.

ლიტერატურაში იგი ვლინდება სიუჟეტის, ხასიათის, კომპოზიციის დაშლით, ცხოვრების სურათების თავისუფალი, ასოციაციური დინებით, საგაზეთო ტექსტებითა და რეკლამებით, ინფორმაციების განმეორებით, ვულგარული ენით.

მეტყველება გამოდის სხეულიდან, ფიზიოლოგიური პროცესებიდან, არა გონებიდან. შესაბამისად იგი მიემართება არა ინტელექტს, არამედ – ინსტინქტებს, – თვლის პოპ-არტი („მე, პირველ ყოვლისა, ვარ სხეული, ცხოვრება კი მხოლოდ სხეულის ისტორიაა“).

ამისი შესატყვისია სპორტში კიჩი – ბრძოლა წესების გარეშე, რათა რეალობასთან მაქსიმალურმა მიახლებამ აღძრას მძაფრი ემოციები, როგორც ოდესღაც ამფითეატრში ბრძოლებმა ან დღევანდელ კორიდაზე – ხარებთან შეტაკებამ.

პოპ-არტის თეორია ჩამოაყალიბა იტალიელმა ანჯელო გულიელმიმ წიგნში – „ეკონომური ლიტერატურა (1973)“, „მასობრივი საზოგადოების“ თეორია კი – უოლტ როსტოუმ წიგნში – „ეკონომიკური ზრდის თეორიები“ (1960).

გულიელმის სიტყვით, ლიტერატურამ ქაოსი უნდა შექმნას, მუდმივი დისჰარმონია, არ შეეგუოს არსებულ წყობილებას, ქცევის ნორმებს, უარყოს ესთეტიზმი და ენობრივი წესრიგი. პოპ-არტი ცივილიზაციის კულტურაა, მისი სამოქმედო გარემოა თანამედროვე ქალაქი.

პოპ-არტი იყო კონტრკულტურა. იგი ჰიპებისა და ბიტნიკების მისამართით პირველად 1960 წელს გაისმა. ისინი აგრესიას სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ, მათ შორის ეროტიკის სფეროში – ჰომოსექსუალიზმით. ცივილიზაცია და კომფორტული ცხოვრება უღვივებდათ ნიჰილიზმსა და დეპრესიას, როცა არ იცი რა გააკეთო, შენ რაღა დაგრჩა მისაღწევი.

სხვადასხვა თაობის თინეიჯერებმა შექმნეს თავიანთი სუბ-კულტურა, მაგ., როკერებმა – ტყავით შემოსილმა მოტოციკლისტებ-მა გააღმერთეს როკი, შეკრეს თავიანთი ბანდა, სადაც დაამკვიდრეს მამაკაცური სტილი, აგრესია და ჩხუბი.

ერთხანს გავრცელდა პანკური მოძრაობა (პანკი „ქუჩის გოგო-ნას“ ნიშნავს) – პანკ-მუსიკა, პანკ-პოლიტიკა, პანკ-კულტურა, ანსამბ-ლი „სექს პისტოლზი“, პანკური ჯგუფები – „მახრჩობელები“, „დაწ-ყევლილები“, „იქს თაობა“... შემდეგ მათ დაუპირისპირდნენ ტედები, ტედებს – ბაბები. ბაბა ჰიპს ბაძავდა, ნარკოტიკებს იყენებდა, მთელი დღე მუსიკას ისმენდა, გრძელ თმებს ატარებდა.

საზოგადოების დიფერენცირება აისახა მასობრივ კულტურაში, რაც, სოციოლოგიური თვალსაზრისით, კარგად გამოავლინა პოპ-არტმა.

მხატვრობაში სიტყვა „პოპი“ პირველად იტალიელმა ედუარდო პაოლოციმ გამოიყენა (1947), ხოლო გაავრცელა ინგლისელმა რი-ჩარდ ჰამილტონმა, რომლის კოლაჟი პორნო-ნატურალისტურ ფო-ტოგრაფიას ჰგავდა (1956). მაგრამ ოფიციალურ დამწყებად ითვლე-ბიან ამერიკელები – რობერტ რაუშენბერგი და ჯასპერ ჯონსი.

პოპ-არტი გადმოცემდა ნატურალისტურ, ყოფით, კულინარი-ულ, ეროტიკულ, ექსცენტრულ, ურბანულ სცენებს, რომელთა ად-რესატი არის ახალგაზრდობა.

პოპ-არტში მნიშვნელობას ჰკარგავს შემოქმედებითი ნიჭი, შთა-გონება და აღმაფრენა. აქ მთავარია ფიზიკური რეალობის ნატურა-ლისტურ-ფოტოგრაფიული, პლაკატური წარმოდგენა, მანქანური მოქმედება.

ასევეა კომიკსებშიც, სადაც სურათებს ერწყმის ტექსტი, როგორც ტელეეკრანებზე – კადრებს ტიტრები.

პოპ-არტში მთავარია კოლაჟი – სხვადასხვა საგნებისა და ფაქტების ნატურალისტური თავმოყრა, მხატვრობაში – ქაღალდზე ან ტილოზე დაწებებული ყოფითი საგნები, ფერებითა და სიტყვებით თამაში. ასევე იქცეოდნენ პიკასო და ბრაკი. პოპ-არტი გააქვს საზოგადოებაში და რეკლამას უწევს მას-მედია, ხოლო ითვისებს მას-მარკეტი – მაყურებელი, მსმენელი, მკითხველი. ისინი წარმოშობენ ე.წ. ვარსკვლავებს, რომელთა სახელებით წარმართავენ შოუ-ბიზნესს, მას-მედიას. ვარსკვლავსა და მას-მარკერტს ერთმანეთი სჭირდებათ. ამ ტრიადის სინქრონულ მოქმედებას მოაქვს ფინანსური წარმატება, რაც არის მიზანი (მაგ., ჰიუსტონის სიცოცხლეში გაიყიდა მისი სიმღერების 170 მლნ ფირფიტა, ხოლო მაიკლ ჯექსონისა – 750 მლნ ჩანაწერი).

პოპ-მუსიკა და როკი მსუბუქ, საესტრადო სიმღერებს ავრცელებს, რომლებიც სრულდება ელექტროინსტრუმენტებზე და აკმაყოფილებს ახალგაზრდების აღგზნებულ ფანტაზიას.

მათ ჰყავთ თავიანთი ფანები და ფენზები.

მათ ერქვათ ჰიპები და პანკები, ბიტლომანები და ბიტნიკები. ისინი ანარქიულად მოძრაობდნენ, ესწრაფვოდნენ თავისუფლებას, ებრძოდნენ მორალურ ნორმებს, კომფორტულ ცხოვრებას, მიმართავდნენ ნარკოტიკებს, გრასსა (მსუბუქი ნარკოტიკი – ბალახი) და ტრიპს (ხანგრძლივი ზემოქმედების ნარკოტიკი).

„ამსტერდამისაკენ“ – ეს იყო ჰიპების პაროლი, რომელთაც მდიდრულ ცხოვრებას არჩიეს უკუქცევა პირველყოფილობისაკენ.

„გადარეულ მოდგმას“ (აზიური ფუცინტოკუ), „გატეხილ თაობას“ თუ „გაბრაზებულ ახალგაზრდობას“ თავისი მესიტყვენი მოჰყავდა, რომლებიც ასცილდებოდნენ ოფიციოზს, დაამსხვრევდნენ კონსერვატიზმს, ტრადიციულ ნორმებს.

კულტურული და სექსუალური რევოლუციები სხვადასხვა სფეროებში ახდენდა გადატრიალებას. იცვლებოდა გემოვნება, თაობების შეგნება, ღირებულებები, დამოკიდებულებანი.

ჯინსიანი „შვილი“ ცილინდრიანი „მამისაგან“ განსხვავებულ გზას ეძებდა. მას ორიენტირიც სჭირდებოდა, რაც შეაკავშირებდა სხვადასხვა თაობებსა და მასებს.

საყოველთაოდაა ცნობილი ფრენსის კოპოლას „ნათლია“, ჟან მარეს ფანტომასი, ჟორჟ სიმენონის კომისარი მეგრე, კონან დოილის გამომძიებელი შერლოკ ჰოლმსი, ჯილბერტ ჩესტერტონის პატრი ბრაუნი, ალექს რაიმონდის ფლეშ გორდონი, იან ფლემინგის ჯეიმს ბონდი, ვაისმიულერის ტარზანი, შვარცნეგერის ტერმინატორი - ხორცშესხმული ფოლადის ჩონჩხი...

ერთმანეთში ირევა სინამდვილე და ფანტაზია, სენსაცია და მელოდრამა, ოცნება და რეკლამა, ფაქტები და სააზროვნო მოდელები.

მთავარია წიგნს მყიდველი ჰყავდეს, ფილმს – მაყურებელი, კონცერტსა და ესტრადას – მსმენელი. ამ ტენდენციას მოჰყვა პოლიტიკური თემებით სპეკულირება, მაგ., ფაშიზმის ისტორიასა და ჰიტლერზე დაიწერა 100.000-მდე ნაშრომი. კინო, ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება, ფირფიტები, პრესა, ტელევიზია – ერთი პერიოდი დიდ ადგილს უთმობდა ჰიტლერის თემას.

დაიბეჭდა მესამე რაიხის გენერლებისა და მოღვაწეების უამრავი მემუარები. გფრ-ში ყოველკვირა გამოდიოდა 100.000-იანი ტირაჟით ე.წ. „რვეულები“, სადაც ქვეყნდებოდა ყოფილ ჰიტლერელთა მოგონებები. არ დარჩენილა არცერთი გერმანული დივიზია, რომელსაც არ მისძღვნოდა გამოკვლევა.

მოხდა ისტორიული გმირებისა და ფაქტების გადახარისხება, ფსიქოანალიზური გადააზრება. მაგ., ცნობილ კინოფილმში „სპარტაკი“ (მსახიობი კერკ დუგლასი) გამოყვანილია არა შარვანდმოსილი მამაცი მეამბოხე, არამედ – არც თუ წარმატებული გლადიატორი, რომელიც შემთხვევით გახდა ლიდერი; ბრძოლაში კი არ დაიღუპა, არამედ – წამებით აღესრულა.

მასკულტურის შემოქმედებს, მის ვარსკვლავებს ასეულობით მილიონი დოლარი ჰქონდათ, სდევდათ ფანების ტაში და ლამის ღმერთებს გაუტოლეს. მაგრამ სასტიკი ბედისწერა მათ სიცოცხლესაც ანადგურებდა:

ჯონ ლენონი ფანატიკოსმა მოკლა, ელვის პრესლი, რომელიც ოქროთი დაფარული „კადილაკით“ დადიოდა, დეპრესიამ შეიწირა, მერილინ მონრომ თავი მოიკლა, რიტა ჰეიორთი, რომლის პერსონაჟის სახელი „ჯილდა“ ეწერა ნაგასაკიზე ჩამოგდებულ ატომურ ბომბს, ალკოჰოლს გადაჰყვა, ნარკოტიკების მსხვერპლი გახდნენ ედიტ პიაფი, ფრედი მერკური, მაიკლ ჯექსონი, უიტნი ჰიუსტონი...

მასკულტურა არღვევს აკადემიურ ფორმებს, შემოაქვს გრძნობათა მღვრიე და მსუბუქი ნაკადი, რათა კულტურას ჰქონდეს არა სტერილური, არამედ – ცხოვრების შესატყვისი სახე. ამიტომ მასკულტურა გადადის ელიტარულში, ელიტარული იშლება მასკულტურაში ან ყალიბდება შუალედური ჟანრები, რომლებიც ზომიერად აერთებენ ავანგარდისტულ ექსცენტრიკასა და ტრადიციულ კონსერვატიზმს (მაგ., დილან ტომასის პოეზია, ვლადიმერ ნაბოკოვის „ლოლიტა“).

საბჭოთა კავშირში ამგვარი დაყოფა არ იყო მიღებული – აქ ყველაფერი მასისათვის იქმნებოდა, მაგრამ მას უნდა ჰქონოდა ინტელექტუალურ-იდეოლოგიური აზრი და ფორმა. ელიტარული ყოველივე სძულდათ ბოლშევიკებს – ეს აგონებდათ არისტოკრატიულსა და ბურჟუაზიულს.

გარდა ამისა, სახელმწიფო უზრუნველყოფდა კულტურის განვითარებასა და გავრცელებას, აყალიბებდა იერარქიის პრინციპზე აგებულ კორპორაციულ კავშირებს. ამიტომ არ სჭირდებოდათ ფიქრი აუდიტორიის დასაპყრობად. ხელოვანი არსებული ფორმებისა და იდეების ჩარჩოში მოძრაობდა, ახალზე ფიქრი მხოლოდ ახალი თავსატეხი ხდებოდა – მას არ მიიღებდა ან ეჭვით შეხედავდა როგორც მასა, ისე პარტიული ელიტა.

მაგრამ არსებობდა ელიტარული და მასობრივი ტენდენციები. ეს უკვე გამოდიოდა თავად კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების სპეციფიკიდან, რომ ზოგი ფორმა და იდეა მეტადაა პოპულარული, ზოგი – ნაკლებად. ცხადია, აქაც არსებობდა დაუფლების ხარისხი, მარჯვე და მომგებიანი თემების მეტი ექსპლოატაციის უნარი, ან – ჭვრეტისა და აზროვნებისაკენ მიდრეკილება (მაგ., ბ. პასტერნაკის, ს. ჩიქოვანის პოეზია, მ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ა. ტარკოვსკის ფილმები).

საბჭოთა კავშირში უნდოდათ, რომ კულტურის ეს ორი თვისება, ეს ორი ნაკადი გაეერთიანებინათ – წიგნი, სპექტაკლი თუ მუსიკა ერთდროულად ყოფილიყო როგორც მასებისთვის მისაწვდომი, ისე მაღალინტელექტუალური (ცხადია, პარტიული გაგებით).

საქართველოშიც ასე ხდებოდა.

ელიტარიზებაზე უფრო ფასობდა პოპულარობა, რადგან ეს პოპულარობა მოპოვებული იყო ფილტრაცია-შემოწმების სისტემაგავლილი სპექტაკლებით, რომანებით, ფილმებით, სიმღერებით.

საქართველოში გატაცებით კითხულობდნენ „ჯაყოს ხიზნებსა“ და „არსენა მარაბდელს“, „მთვარის მოტაცებასა“ და „დიდოსტატის მარჯვენას, „ილიკოსა და ილარიონს“, „დათა თუთაშხიას“. მაგრამ კიდევ უფრო პოპულარული იყო პარმენ ლორიას რომანები.

ერთხანს მათ გადაამეტა გვეტაძის „მონანიებამ“, რამაც მწერალთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

მასობრიობის ნიშანი იყო ხალხურობა და გასაგები ენა, ელიტარულობის – პარტიისათვის მისაღები იდეების (საბჭოთა პატრიოტიზმი, კლასთა ბრძოლა, მშვიდობის ქადაგება, საკოლმეურნეო მოძრაობა, ახალი ადამიანის – ბოლშევიკის ფორმირება) რეალისტური ფორმებით გადმოცემა.

ამიტომ მასკულტურა საბჭოთა კულტურის თანამდევი იყო და სავსებით ბუნებრივია, რომ იგი ხალხის მხარდაჭერას ჰპოვებდა. ელიტარული ტენდენციები უარყოფილი არ იყო (მაგ., საქართველოში გალაკტიონის, ს. ჩიქოვანის პოეზია, კ. გამსახურდიას პროზა,

თ. აბულაძის ფილმები, რ. სტურუას სპექტაკლები, ო. ჭილაძის პოეზია და პროზა), დაფასებულიც გახლდათ, მაგრამ ახალთაობისათვის მისაბაძ ნიმუშად არ თვლიდნენ.

შოთა ნიშნიანიძე, ერთი მხრივ წერდა იდეოლოგიზებულ, კარგ ლექსებს, მეორე მხრივ – ისინი არ იყო ისე სადა, როგორც ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე"; ალიო მირცხულავას კომკავშირულ-პარტიული პოეზია იდეოლოგიურ დოგმებს აკმაყოფილებდა, მაგრამ მათ მიღმა ვერ იხედებოდა, ე.ი. შეზღუდული იყო, აუდიტორიას ვერ იკრებდა. ამ თვალსაზრისით სანიმუშოდ იყო მიჩნეული ნოდარ დუმბაძის პროზა და მიენიჭა კიდეც ლენინური პრემია – საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო.

ჭაბუა ამირეჯიბის პოპულარობას დიდად შეეშველა სატელევიზიო კინოფილმი. იდეოლოგიის გარეშეც მასკულტურის ტენდენციები განაპირობებდა ლადო ასათიანის, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის პოეზიის, რევაზ მიშველაძის ნოველების წარმატებებს. ხოლო ელიტარობისაკენ სწრაფვა ზღუდავდათ ტარიელ ჭანტურიას, ოთარ ჭილაძეს, ლია სტურუას, ოთარ ჩხეიძეს, რეზო ჭეიშვილს.

90-იანი წლებიდან საქართველოში მასკულტურა ანტიკულტურად იქცა. გაბატონდა ნატურალიზმი, პორნოგრაფია და ბილწსიტყვაობა, რითაც დაუპირისპირდა როგორც კლასიკას, ისე მოდერნიზმს. შედეგად პუბლიკა დაკარგა როგორც მასაში, ისე ელიტაში.

ალბათ საქართველოშიც მოხდება განყოფა ელიტარულ და მასობრივ კულტურებს შორის, ექნებათ თავიანთი ფორმები. ჯერ-ჯერობით ხდება მასობრივის ვულგარიზება და ელიტარულის და პროფესიონალურის უარყოფა.

V. კულტურის ევოლუცია: პროგრესისა და რეგრესის დიალექტიკა

ხელოვნების სამი ტიპი

ბენედეტო კროჩეს სიტყვით, არსებობს ხელოვნების ორი ტიპი – კლასიცისტური და რომანტიკული.

მაგრამ XX საუკუნემ წარმოშვა მათი უარმყოფელი მესამე ტიპიც.

ეს არის ავანგარდიზმი. დანარჩენი მხოლოდ ვარიაციაა.

კლასიციზმი – ეს იგივე ტრადიციების კრისტალიზება და ნორმად ქცევაა, სადაც ფორმა მკაცრად არის დაცული; რომანტიზმი გრძნობათა აფეთქებაა, რომელიც არ სცნობს პრაგმატიზმს და არღვევს კონსერვატიზმს, შემბოჭველ წესებს.

ამგვარი უარყოფა შეიცავს მორალურ დანაშაულსაც, რადგან კულტურშემოქმედი უპირისპირდება მშობლიურ წარმოდგენებს. ეს არის განვითარების ულმობელი დიალექტიკა, რაც კულტურაშიც მტკივნეულია, ხოლო პოლიტიკაში სისხლი და მსხვერპლი ახლავს.

ტრადიცია კრძალავს ამბოხსა და ცვალებადობას.

იგი კონსერვატიულია, როგორც მამა და ცადმფრინავ სულს მიწისაკენ ეზიდება.

მას რომ დავნებდეთ, პროგრესი აღარ იარსებებს.

რომანტიკა კი ზეაღმტაცი ძალაა და სიახლისაკენ მიგვაქანებს. იგი დაუდეგარი, მაძიებელი შვილია, რომლის ნოვაცია მომავლისაკენ მიემართება, თუნდაც აკლდეს ძალა და კულტურა (შდრ – გოეთე და რომანტიკოსები). იგი არის ახალი დროის მითი, რომელიც გადადის ტექნიკის ფანტასტიკურ სახესა და სრბოლაში.

კულტურის ერთი ფაზა ამოწურავს თავისთავს და ამთავრებს არსებობას, გადადის კონსერვატიზმში, კლასიცისტურ წესრიგში.

მაგრამ მის წიაღში წარმოიქმნება და ძლიერდება ნაკადი, რომელიც არღვევს მას. იგი საზოგადოების ფსიქიკური თუ პოლიტიკური ცვალებადობის რეალური და სიმბოლური ამეტყველებაა.

კულტურას ენაცვლება კონტრკულტურა (მაგ., კლასიციზმს – რომანტიზმი, რომანტიზმს – რეალიზმი, რეალიზმს – მოდერნიზმი, მოდერნიზმს – ავანგარდიზმი).

კონტრკულტურა ებრძვის და უარყოფს წარმომქმნელ წიაღს, როგორც თავისუფალი სული – ხელისუფლებას. მაგრამ ყოველი დიდი კულტურული მოძრაობა არის სოციალურ-პოლიტიკური პროცესების უკუფენა. აქ მოქმედებენ სხვადასხვა თაობები – „მამები“ და „შვილები“.

როგორც წესი, ახალი სახელი უარყოფს წინამორბედს, მას, ვინც გზა გაუკაფა და მწედ მოუხმობს წინაპარს, ძველ ტრადიციას.

ყოველი კულტურული მოძრაობა იწყება რომანტიკული აფეთქებით, რომელსაც წარმართავს დიონისური სტიქია, და მთავრდება კლასიცისტური კონსერვირებით, რასაც აწესრიგებს აპოლონური სტიქია.

მათ ანულირებას, ერთმანეთში გათქვეფას, იდეებისა და ფორმების დაშლას, ინსტინქტების ნიჰილისტურ მოდელირებას ცდილობს ავანგარდიზმი.

კლასიციზმიდან – ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის პრინციპიდან, სტილთა თეორიიდან, მითიურის გარდა ყოველგვარი ფანტასტიკის უარყოფიდან გამოდის რეალიზმი.

რეალისტური ხედვის, განცდებისა და ასახვის რეგულატორი არის სინამდვილე.

1. სოციალურ-პოლიტიკური ძვრები და კულტურული მოძრაობა

სტრუქტურული კავშირი

როგორც ვწერდით, განვითარების არქაულ პერიოდში ენა ქმნიდა ტომსა და სახელმწიფოს, შემდეგ – ერი აყალიბებდა ენასა და სახელმწიფოს.

ორივე პროცესში ფიგურირებს ტომის, ხალხის, ერის ცნება;

ერი ასევე ქმნის ნაციონალურ კულტურას სხვადასხვა ფაქტორის მონაწილეობით. ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა ერის სტრუქტურულ ცვლილებებს. ზოგჯერ ეს პირდაპირ აირეკლება კულტურის განვითარებაზე ან – ფარულად და ირიბად (მაგ., ბაროკო და როკოკო, რომანტიზმი და რეალიზმი, მოდერნიზმი და ავანგარდიზმი).

ერი ერთი ენით, რწმენით, სისხლით, ტერიტორიით, ეკონომიკური კავშირებით გაერთიანებულ ადამიანთა კრებულია, რაც გადადის კულტურის სხვადასხვა დარგსა და ფორმაში.

შემდეგ კი თავად კულტურა კრავს და ამაგრებს ადამიანთა მასას, როგორც ჰომეროსი – ელინებს, რუსთაველი – ქართველებს ან როგორც ღმერთები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი, ნათესაური წრე და ენა.

კულტურისათვის მთავარია არა გენეტიკური წარმომავლობა, არამედ – ცნობიერება, რაც განსაზღვრავს ინდივიდის ერისადმი კუთვნილებას.

რამდენი ცნობილი ეთნიკურად არარუსი ჰყავს რუსულ კულტურასა და პოლიტიკას, როგორც არაფრანგი – ფრანგულ კულტურასა და პოლიტიკას. მაგ., აპოლინერი მამით გერმანელი იყო, დედით - პოლონელი. კარლოს დიდი გერმანელი იყო, ნაპოლეონი – კორსიკელი, ლენინი – ყალმუხ-ებრაელი, ჰიტლერი – ავსტრიელი, სტალინი – ქართველი, შაჰ-აბასი – ყიზილბაში, მოსე – ეგვიპტელი,

ალექსანდრე დიდი – მაკედონელი, ფროიდი და აინშტაინი, მარქსი და ტროცკი – ებრაელი, ჯოისი – ირლანდიელი, გოგოლი – უკრაინელი, ნიზამი განჯელი – აზერბაიჯანელი...

ქართველთა ერთი განმანათლებელი გრიგოლი სომეხი იყო, მეორე – წმ. ნინო – კაპადოკიელი, მეფე მირიანი – სპარსელი, დედოფალი ნანა – პონტოელი.

სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურის სტრუქტურებს შორის არსებობს პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი, სიმბოლური და რეალური ნათესაობა.

ცივილიზაციური განვითარება ერის ძლიერების პირდაპირ-პროპორციულია. მაგრამ შეიძლება ლექსი ან რომანი, სიმღერა ან ოპერა განწირულმა სულისკვეთებამ მეტი წარმატებით დაწეროს, ვიდრე დალხენილმა ფანტაზიამ.

ამავე დროს მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სიტუაციას, სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს, რაც უჩინრადაც მოქმედებს ფსიქიკაზე.

როგორც ქარი და ღრუბელი არ სცნობს სახელმწიფო საზღვრებს, როგორც ერთიანია ყველა ოკეანე, როგორც ერთიანი ატმოსფერო აკრავს დედამიწას და ერთი მზე ანათებს, რაც უზრუნველყოფს უჩინარი რხევების, სითბოსა და სიცივის გავრცელებას, ისე დაცილებულ კულტურებშიც ურთიერთმსგავსი პროცესები ისახება და ვითარდება.

აქ დიდი ცოდნა და დაკვირვება არც არის საჭირო, არამედ – ინტუიციური წვდომა და განცდა, იდუმალი სიგნალების ველში ჩართვა.

მაგ., ნიკოლოზ ბარათაშვილმა და გალაკტიონ ტაბიძემ ევროპული ენები არ იცოდნენ. მაგრამ ყველაზე კარგად გამოხატეს რომანტიკული და სიმბოლისტური სული. ერთი ნაპოლეონს განადიდებდა, მეორე – ვერლენს მამას ეძახდა.

ქალაქმა წარმოშვა კულტურა. მაგრამ დღეს ქალაქი, რომელიც არის მეგაპოლისი და დიდი სასტუმრო, სპობს თავის ნაშიერს – კულტურას, როგორც კრონოსი – თავის შვილებს.

სოციალური იერარქია

ადამიანის ქცევას განსაზღვრავს საზოგადოებრივი სტატუსი, ქონებრივი ცენზი, ინტელექტი და ფსიქიკა. ინდივიდთა ერთობლივობით ხელისუფლება ადგენს სოციალურ და პოლიტიკურ წესრიგს. იგი გასცემს ბრძანებას, რომელსაც მასა ასრულებს, როგორც იერარქიულად, ისე ჰორიზონტალური განფენით.

ხელისუფლება საამისოდ ემყარება ძალას, ძალოვან სტრუქტურას. ასე იმორჩილებს სუბიექტურ ტენდენციებს, ახდენს ინდივიდუალურ მიდრეკილებათა და თვისებათა გადანაწილებასა და კონსოლიდირებას.

ადამიანთა ერთობას ბუნებრივ სიმყარეს ანიჭებს სისხლით ნათესაობა, ნათესაური წრე, ოჯახი, დედა და მამა: დედა, როგორც მშობელი და მკვებავი, მამა, როგორც ძალა და ავტორიტეტი. ერთი – გრძნობაა, მეორე – გონი.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა გამოვლო ველურობისა და ბარბაროსობის პერიოდები და დასაბამი მისცა ცივილიზაციას, საზოგადოება დაიყო კლასებად. ისინი თავიანთი წრიდან წამოსწევენ ლიდერებს, რომლებიც ქმნიან მმართველ სტრუქტურას. უდიდესი ნაწილი კი დაქვემდებარებულია.

ძველ დროში, მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის პერიოდებში, მმართველი ფენა გვაროვნული არისტოკრატია იყო, რომელსაც ქონება და მართვის უფლება მემკვიდრეობით გადაეცემოდა, არა ნიჭისა და ინტელექტის გამო.

სოციალური იერარქია წესრიგისა და სიმტკიცის გარანტია იყო.

სახელმწიფოსა და კლასების წარმოქმნის პერიოდში არსებობენ ინდივიდი, გვარი, ფრატრია, ტომი. შემდეგ ფრატრიასა და ტომს ცვლის ხალხი და ერი, ბელადს – მეფე. ირღვევა არქაული დემოკრატია, თანასწორობის პრინციპი და საზოგადოება ქონებისა და ძალაუფლების მიხედვით რადიკალურ განსხვავებულ ფენებად იყოფა, რასაც მარქსისტები კლასებს უწოდებდნენ.

ადრეულ პერიოდში თუ მონობა არ იყო, შემდეგ სწორედ მონის შრომას დაემყარა არქაული დემოკრატია და ცივილიზაციური პროგრესი.

განსაკუთრებით დიდხანს გასტანა რასობრივმა დისკრიმინაციამ და სხვა ერთა მიმართ შეუწყნარებლობამ.

რონალდ რეიგანი იხსენებს, მისი ბავშვობის წლებში როგორ ცალცალკე ისხდნენ კინო-თეატრებში თეთრები და შავები, როგორ არ აჩერებდა სასტუმროში ზოგი მენეჯერი ებრაელებს, როგორ იყო გამოყოფილი ადგილი „ძაღლებისა და ირლანდიელებისათვის“ („ამერიკული ცხოვრება“).

შუა საუკუნეების ინდოეთში ოთხი პროფესიული კასტა (ჯატი) არსებობდა. „უმაღლესი კასტა (ბრაჰმანების) ბრაჰმის ტუჩებისგან წარმოსდგა; მხედართა (კშატრიების) – მისი ხელებიდან; ვაჭრების (ვაიშიების) კასტა – მისი გვერდიდან; ხელოსნების კასტა (შუდრა) – ბრაჰმის ტერფიდან“ (გრიგოლ ჩხარტიშვილი).

დანარჩენი მასა კასტის გარეშე იდგა. ზოგი უმიწაწყლო ხალხი უწმინდურად ითვლებოდა. მათ შეიძლებოდა მხოლოდ ძაღლი და ვირი ჰყოლოდათ, ესარგებლათ გატეხილი ჭურჭლით და ჩაეცვათ მიცვალებულის ტანისამოსი.

ქართულში გლეხი გლახას და გალახულს უკავშირდება, რაც ცუდს, არასრულფასოვანს ნიშნავს, ხოლო მეფე – მეუფეს ანუ უფალს. თავადი არის ის, ვინც დამოუკიდებელია და ეკუთვნის თავის თავს.

ყოველი ქვეყნის საზოგადოება ერთმანეთს მსგავსი კლასებისა და ფენებისაგან შედგება. ყველგან არის პრივილეგირებული ფენა –

არისტოკრატია, რომელსაც ქონება მემკვიდრეობით გადაეცემა. მას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა – ეს იყო პატრიციუსი, თავადი, ბოიარინი, გრაფი, აზნაური, ჰერცოგი... მემკვიდრეობითი ქონება არსებობის გარანტია იყო. ამიტომ მათგან გამოდიოდნენ რაინდები, სასულიერო პირები, მმართველები, სარდლები.

არისტოკრატიის სათავეში იდგა მეფე, რომელსაც განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა და, ამ მხრივ, მართლაც იყო ღმერთის ძე თუ მოადგილე. მეფე ერთპიროვნულად ღებულობდა გადაწყვეტილებებს, თუმცა ზოგჯერ ეთათბირებოდა თავის გარემოცვას, რომელსაც ევროპაში მინისტრები ერქვა, აზიაში – ვეზირები, ჩვენთან – უხუცესები.

შემდეგ, როცა ინტელექტის განვითარებამ გამოიწვია დარგებისა და პროფესიების მკვეთრი დიფერენცირება, გვაროვნულ-ფეოდალური მმართველობა ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა: ერთ კაცს არ შეეძლო ყველაფერი სცოდნოდა. საჭირო გახდა მეტი გონი და ცოდნა, მმართველობათა დიფერენცირება.

ეს უკვე ნიშნავდა დემოკრატიზაციის აუცილებლობას.

სამეფო ტახტი მემკვიდრეობით გადადიოდა, მეტწილად – უფროს შვილზე. ამგვარი გადაცემა სტაბილობის შესანარჩუნებლად იყო მოფიქრებული. მაგრამ ნაკლიც ახლდა – შეიძლება ასეთი მემკვიდრე არც ჭკვიანი ყოფილიყო, არც სხვა ძმებზე უკეთესი. მხოლოდ ნიჭს, უნარს, ნებისყოფას რომ განესაზღვრა მომავალი მეფე, შუღლი და შინაომი გარდაუვალი იქნებოდა (მაგ., ოსმალეთის ერთმა სულთანმა მოკლა თავისი ცხრამეტი ძმა). ეს მაინც ხდებოდა, რადგან ყოველთვის წინაურდებოდა რომელიმე ნიჭიერი სარდალი ან მმართველი. ამიტომ იყო, რომ ბუნებრივი სიკვდილით იშვიათად თუ მომკვდარა რომის რომელიმე იმპერატორი.

საქართველოში ათასი წელი მეფობდნენ ბაგრატიონები. მსგავსი მოვლენები აქაც ხდებოდა. მეფეც ჩამოუგდიათ, მამაც მოუკლავთ ან მონასტერში გაუძევებიათ. მაგრამ ეს არ ეხებოდა დინასტიის ბედს. ბაგრატიონების ავტორიტეტი შეუცვლელი იყო. მაშინაც, როცა ებრ-

ძოდნენ მეფეს, ცდილობდნენ მის უფლებათა შეზღუდვას, მის შეცვლას, მისგან გამოყოფას და არა საკუთარი გვარის ტახტზე აყვანას (მაგ., ორბელები, ჯაყელები).

არისტოკრატიის წრიდან იყო გამოსული ბერ-მონაზვნები, მღვდლები და ეპისკოპოსები, კათოლიკოსები, სპასალარები.

საზოგადოების ძირითადი ფენა კი იყვნენ სოფლად – გლეხები, ქალაქად – მოსამსახურეები, ვაჭრები და ხელოსნები. გლეხი მიწას იყო მიბმული, მიწას და თავის თავადს თუ აზნაურს.

ვაჭარი გარჯით, მოხერხებით, მოძრაობით თავად შოულობდა ქონებას. იგი არ იყო გვარისშვილი. ამიტომ არ იწვევდა ეს ფენა რუსთაველის პატივისცემას. მაგრამ როცა ფეოდალურ-გვაროვნული ფორმა საზოგადოების განვითარების მუხრუჭი გახდა, სწორედ ვაჭართა ფენამ წარმოშვა ახალი კლასი – ბურჟუაზია, რომელიც საკუთარი გამჭრიახობითა და მოხერხებით ავითარებდა წარმოებას, აგროვებდა ქონებას, ქმნიდა ახალ ურთიერთობებს, ახალ კულტურას.

ფეოდალურ ევროპაში დიფერენცირებული იყო ურთიერთდამოკიდებულება. სუზერენს ჰყავდა ვასალები. მაგრამ ვასალთა შორისაც იერარქია არსებობდა. ამიტომ გავრცელდა ცნობილი გამოთქმა: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“.

საზოგადოების შიგნით მრავალი სუბკულტურული ჯგუფი და გაერთიანება იქმნებოდა, რომელთაც პროფესია აერთიანებდა (მაგ., ბერ-მონაზონთა, ხელოსანთა, ვაჭართა, მეძავთა, რაინდთა, თავადაზნაურთა).

ასეთი იერარქია ერთ მხრივ თუ საზოგადოებას სიმტკიცეს ანიჭებდა, მეორე მხრივ – დაშლის წინაპირობადაც იქცეოდა, როცა დგებოდა კრიზისული სიტუაციები.

ახალ დროში, როცა დაიშალა ან გაუქმდა გვაროვნული უფლებები (მაგ., რუსეთის იმპერიაში) და თანასწორობის პრინციპი აღიარეს, წარმართველი გახდა პიროვნული ფაქტორი. ამის შედეგად ყალიბდება ბურჟუაზია და ინტელიგენცია.

ინტელიგენტი გონებრივი მუშაკია – ხელოვანი, მეცნიერი, სახელმწიფო მოხელე, რომელსაც შეიძლება არც გააჩნდეს ქონებრივი ცენზი. იგი თავისი ცოდნით, განათლებით, მოღვაწეობით იქმნის კარიერას, რაც არ გადადის მემკვიდრეობით.

სსრკ უარყოფდა კერძო საკუთრებას. მოქალაქეს ბინა ეძლეოდა დროებით სარგებლობაში, თუმცა ეს დროებითი – მთელი ცხოვრება გრძელდებოდა, ოღონდ გაყიდვის უფლება არ ჰქონდა. ასევე არ იყიდებოდა მიწა, რომელიც ნორმირებული სახით ეძლეოდა სოფლის მობინადრეს.

მიწა, საბინაო ფონდი, დაწესებულებები, კულტურის შენობები საერთო-სახალხო საკუთრება იყო. მათ განკარგავდა სახელმწიფო, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული აპარატი, რომელიც მუდმივად იცვლებოდა.

სოციალურ იერარქიას ეფუძნება ან ცვლის პოლიტიკური იერარქია. იგი ამოდის საზოგადოების სტრუქტურიდან, შემდეგ კი თავად გარდაქმნის საზოგადოებას.

ახალმა დრომ მოიტანა ხელისუფლების მონაცვლეობისა და არჩევითობის პრინციპი, რაც ნიშნავდა, რომ არც მუდმივი, არც შეუცვლელი არავინ უნდა იყოს. უმაღლესი ხელისუფლება კი გარკვეული ვადით უნდა იყოს შეზღუდული (მაგ., აშშ-ის პრეზიდენტს ირჩევენ ოთხი წლით და ზედიზედ მხოლოდ ორჯერ), აღადგინეს არქაული კოლექტიური მმართველობა – პარლამენტი.

კომუნისტები ხელისუფლების დემოკრატიულ ცვლას სიტყვიერად აღიარებდნენ. მაგრამ რეალურად მეფესავით ტახტზე უნდა მომკვდარიყვნენ (მაგ., ლენინი, სტალინი, ბრეჟნევი, მაო ძედუნი, ტიტო, ხო ში მინი, კიმ ირ სენი, ანდროპოვი, ჩერნენკო). ხდებოდა გამონაკლისებიც, როცა გენერალურ მდივნებს გადააყენებდნენ ხოლმე (მაგ., ხრუშჩოვი და გორბაჩოვი).

საზოგადოების სოციალური დიფერენცირება კოლექტიური თუ ინდივიდუალური გონის შედეგი იყო, რაც აისახებოდა კულტურის ფორმებში. შემდეგ ეს ახალი კულტურა ზეგავლენას ახდენდა

კლასობრივ შეგნებასა და სწავლა-აღზრდის პროცესზე, შესაბამისად – საზოგადოების სტრუქტურაზე, სოციალურ იერარქიაზე.

ომი და რევოლუცია

ომი ცვლიდა საზღვრებს, ეკონომიკას, ტერიტორიას, ხალხთა შემადგენლობას, ქალაქებს, ფსიქიკასა და კულტურას. ადამიანი მუდამ მშვიდობასა და სიწყნარეს ესწრაფოდა. მაგრამ სულში გაფოთლილი ძალაუფლების ნება, დაპყრობისა და დამორჩილების ჟინი დაუდეგარ ავანტიურისტებს სიკეთის სახელით სიკვდილისაკენ მიერეკებოდა.

რომ არა ომი, აღარც სახელმწიფო იქნებოდა, აღარც ინტეგრაცია, აღარც პროგრესი. მაგრამ ეს იყო ძველ დროში. XX საუკუნეში კი ომი იქცა უდიდეს საფრთხედ, რომელიც მოსპობით დაემუქრა კაცობრიობას.

ძველ დროში ასევე მხოლოდ დამანგრეველი ძალა ჰქონდათ კიმერიელებს, ჰუნებს, თურქ-სელჯუკებს, მონღოლებს, ალტაური ძირიდან წამოსულ მეომარ ხალხებს (მაგ., ჩინგიზ ხანმა ხორეზმის წინააღმდეგ დასძრა 200 000 მეომარი. მობილიზაცია გაუკეთდა 16-დან 70 წლამდე ყველა მამაკაცს).

მიწათმფლობელურ საზოგადოებაში ომი იყო მუშახელის მოპოვების წყარო. მონა იყო საწარმოო ძალა, რომლის შრომასა და ტანჯვაზე იშლებოდა კულტურა და ცივილიზაცია.

ომები არის კულტურისა და აზროვნებისათვის ულევი მასალა, როგორც ისტორიის შემქმნელი, როგორც სიმამაცის ნიმუში და გაკვეთილი.

ადამიანთა შორის, სახელმწიფოთა შორის მუდამ წარმოიშობა კონფლიქტები, განსხვავებული ინტერესები. მათი სიტყვით მოგვარება შეუძლებელია. მაგ., ბრიტანელმა, ესპანელმა და პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა დაიპყრეს ამერიკის კონტინენტი, გაჟლი-

ტეს აბორიგენი მოსახლეობა, მოსპეს მათი ქალაქები და კულტურის ძეგლები, შეცვალეს დემოგრაფიული ბალანსი და როცა გაძლიერდნენ, მეტროპოლიას დაუპირისპირდნენ.

ახლა მეტროპოლიას გაუმართეს ომი და დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს. ის თაობები, რომლებიც ამერიკის კონტინენტზე გაჩნდნენ, სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათ წინაპართა სამშობლო აღარ აინტერესებდათ.

ევროპელებმა აფრიკის კონტინენტი დაიპყრეს. მაგრამ აქ სხვაგვარად წარიმართა ვითარება. ზანგი მონები გაჰყავდათ ამერიკაში, მაგრამ აფრიკისკენ არ მიდიოდა ავანტიურისტთა და ოქროსმაძიებელთა იმდენი მასა. ამიტომ მოსახლეობა გადარჩა და როცა მთელს მსოფლიოს მოედო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიგნალები, აფრიკამაც გაიღვიძა.

უამრავი აფრიკელი დაიღუპა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეები, არამედ – პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრებიც კი (მაგ., პატრის ლუმუმბა).

ევროპა არ თმობდა კოლონიებს. მაგალითად, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ გამოიხსნეს თავი ჩაგვრის უღლისაგან ალჟირისა და კონგოს ხალხებმა.

ჩვენს თვალწინ მოხდა „შავი კონტინენტის" ფერისცვალება.

აფრიკელები უეცრად აღმოჩნდნენ თავბრუდამხვევი ცივილიზაციის ცენტრში. ისინი თითქოს პრესტორიიდან გადმოფრინდნენ ატომისა და ელექტრონის საუკუნეში. მათი მშობლები ხეზე ისხდნენ ან ტიტველი დარბოდნენ აფრიკის მცხუნვარე მზეში, ზოგი პრეზიდენტი კაცის ხორცს ინახავდა მაცივარში (მაგ., ბოკასა).

მათ თავისუფლება მოიპოვეს ომით, სისხლით და რკინით.

რკინით და სისხლით უნდა გადაწყვეტილიყო სადავო საკითხები, – აცხადებდა გერმანელი ბისმარკი. იგი უპირისპირდებოდა ავსტრიელი მეტერნიხის სამშვიდობო პათოსს, რომ კონფლიქტები სიტყვას უნდა მოეგვარებინა, მოლაპარაკებასა და დიპლომატიას.

მეტერნიხის ეს იდეა შთამბეჭდავი იყო ნაპოლეონის ხანგრძლივი ომების ფონზე. დაღლილ, სისხლგამოცლილ ევროპას სიმშვიდე ეწადა. მაგრამ ადამიანის ბუნებას კეთილი სურვილი ვერ შეცვლის. პრობლემები დარჩა, კონფლიქტებიც დარჩა, დარჩა განსხვავებული ინტერესები.

მათი შეჯერება ვერ მოხერხდა და სწორედ მეტერნიხის შემდეგ გაჩაღდა სასტიკი ომები და რევოლუციები.

თითქოს ბისმარკის იდეა სწორი იყო. მაგრამ ევროპის კონტინენტი ვერ გადააკეთა ორმა უდიდესმა ომმაც. საზღვრები და სახელმწიფოები თითქმის იგივე დარჩა, უამრავი ხალხი კი დაიხოცა. ასევე კატასტროფული იყო გერმანიისათვის ოცდაათწლიანი ომი (1616-1648), რომლის შედეგად ქვეყანა ასეულობით წვრილ ერთეულად დაიშალა და გაჩანაგდა;

ინგლისში წითელი და თეთრი ვარდების შინაომები 40 წელი გაგრძელდა (1445-1485);

ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომი ინტერვალებით ას წელზე მეტხანს გაგრძელდა (1337-1454). ამას დაერთო გლეხთა ომი – ჟაკერია და შიდაპროვინციების გაუთავებელი ურთიერთბრძოლები.

ასე რომ მშვიდობა და ომი გამოდიან ადამიანის ფსიქიკიდან და აგრესიულ ინსტინქტებს ჰუმანიზმის ქადაგებით ვერ მოვსპობთ. თუ მოისპო, სიცოცხლის იმპულსიც გაქრება.

სახელმწიფოს შინაგან სტრუქტურას მკვეთრად ცვლის, უეცრად ასხვაფერებს რევოლუცია. ეს შინაგანი აფეთქებაა, როცა ქვეყანა იხლიჩება. ომის დროს უცხო ძალა მოდის, რაც აერთიანებს შინაგან დაპირისპირებულ ძალებს. მხოლოდ ბოლშევიკებს უნდოდათ, რომ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად ექციათ, მხარი დაეჭირათ ხელისუფლებისადმი სიძულვილის გამო საკუთარი ქვეყნის დამხობისათვის.

რევოლუციას მოსდევს სამოქალაქო ომი და ეს ქვეყნისათვის ყველაზე დიდი საშინელებაა, ვიდრე თუნდაც დამარცხება. დამარცხების დროს, როცა უცხო გებრძვის, ეს შინაგან ერთიანობასაც კი

იწვევს. ხოლო სამოქალაქო ომი ხანგრძლივი გათიშვაა. მაგ., უილიამ ფოლკნერის ბაბუა სამხრეთის ჯარებში იბრძოდა და მწერალი მრავალი წლის შემდეგაც მწარედ განიცდიდა სამხრეთელთა დამარცხებას. თუმცა ეს ომი პროგრესული იყო – გაერთიანდა ამერიკის შეერთებული შტატები და მოისპო მონობა;

ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა იყო 1917 წლის 25 ოქტომბრის გადატრიალება რუსეთში. ეს თითქმის უსისხლოდ მოხდა, მაგრამ მოჰყვა დამანგრეველი შედეგები – სამოქალაქო ომი, მრავალმილიონიანი ემიგრაცია, მრავალი მილიონი მსხვერპლი ქვეყნის შიგნით, ეკონომიკის დაცემა, შიმშილი და ზნეობრივი რეგრესი, რაც ყველაზე საშინელია – გაიმარჯვა ბოლშევიზმმა, რომელმაც გამოიწვია დიდი ტერორი და ახალი მსოფლიო ომი.

რევოლუცია ან ამბოხი არ არის თვითმიზანი. იგი ვინმეს ახირებით არ ხდება. უნდა შეიქმნას სიტუაცია, რომლიდანაც გამოსავალს აფეთქებაში ხედავენ, რაც განმუხტავს ვითარებას (მაგ., რუსეთში სტეფან რაზინისა და ემელიან პუგაჩოვის აჯანყებები).

რუსეთში თებერვლის რევოლუცია ისე მოხდა, რომ ლენინმა არც არაფერი იცოდა. მაგრამ გერმანიის დახმარებამ და ლენინ-ტროცკის ავანტიურამ შეცვალა სიტუაცია. მათ შესძლეს გატანჯული მასების გაბრიყვება და აყოლიება.

რომ არა ომი, რევოლუცია არც მოხდებოდა. ოთხწლიანმა ომმა გერმანია-ავსტრიასთან და თურქეთთან, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და მიუღწეველმა ნაციონალურმა მიზანმა ხალხი ხელისუფლების საპირისპიროდ შეაბრუნა, რათა ასე მაინც მოეპოვებინათ პური და ზავი. ამავე მიზეზით მოხდა რევოლუცია კაიზერულ გერმანიაში.

მარქსისტები თვლიდნენ, რომ რევოლუციებს იწვევს საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა კონფლიქტი. ისინი „კაპიტალიდან“ გამოდიოდნენ და ეკონომიკის ტერმინებით მსჯელობდნენ, თუმცა ყველაზე დიდი მარცხი სწორედ ამ სფეროში იწვნიეს.

საწარმოო ძალები ანუ ტექნიკა სწრაფად ვითარდება, ურთიერთობები კონსერვატიულია. ამგვარი დისპროპორცია, ნოვაციის შეჯახება ტრადიციებთან მშვიდობიანად ვერ მთავრდება.

1789 წელს მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელსაც ჯერ შიდა დაპირისპირება და რეპრესიები მოჰყვა, რასაც ლიდერებიც შეეწირა (მაგ., რობესპიერი და დანტონი), შემდეგ კი ნაპოლეონის ლაშქრობები და ომები ევროპაში.

ამ დროიდან ყველა რევოლუციის დროშაზე ეწერა თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის სიტყვები. ბოლშევიკებმა მათ დაუმატეს „მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას“, თუმცა ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება მეორე დღესვე გარეკეს.

აზრის პროგრესი, ცვლილებები საზოგადოებაში, ახალი მოთხოვნილებანი და ინტერესები უპირისპირდებოდა კონსერვატიულ მონარქიას, არა მხოლოდ ინსტიტუტს, არამედ – მის მმართველებსაც.

ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემა ანაქრონული გახდა.

ინგლისმაც დაამხო მონარქი. მაგრამ შემდეგ აქ გამოსავალი კონსტიტუციურ მონარქიაში იპოვეს, როცა ხელისუფალი მეფობს, მაგრამ არ მართავს.

ევროპისათვის საფრანგეთი ახალი ორიენტირი იყო. ყველგან ელოდნენ თავიანთი მონარქების აღსასრულს. მაგრამ ნაპოლეონმა რევოლუციურ იდეალებს მაინც ტახტი არჩია, თუმცა თავის არმიებს რევოლუციის სახელით მიუძღოდა.

ინგლისში, საფრანგეთსა და რუსეთში აჯანყებულთა მასამ მონარქი სიკვდილით დასაჯა, ხოლო გერმანიაში განდევნა აკმარეს.

მონარქის ხელყოფა ყველგან და ყველა დროში უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა. მაგ., მიცვალებიდან ორი წლის შემდეგ ოლივერ კრომველის გვამი ჩამოახრჩეს, მერმე კი თავი მოკვეთეს! რუსთაველის ტარიელი ამბობს: „ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე“.

როცა ევროპა ირყეოდა, სოციალურ-პოლიტიკური ავანსცენა ქანაობდა და ექსპერიმენტებს მიმართავდნენ, აშშ უსისხლოდ გადავიდა დემოკრატიაზე, პრეზიდენტიც აირჩიეს, პარლამენტიც და მეფობის სურვილი არავის გასჩენია. ყველას დაუწესეს დროის რეგლამენტი, მართვის ვადა.

აშშ-მ უკვე გააკეთა ის, რისთვისაც ევროპაში სისხლი იქცეოდა და რევოლუცია რევოლუციას მოსდევდა, რომელსაც ყველაზე საზარელი შედეგი რუსეთში მოჰყვა.

ომი, რევოლუცია, აჯანყება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მრავალი საშინელების, სისხლისა და ნგრევის მომტანია. მაგრამ ეს არის გარდაუვალი პროცესი, როცა ვნებათა აფეთქება იდეების სახელით ხდება. ყველა ერი ცდილობს თავისუფლების მიღწევას, საზოგადოების ყველა ფენას, ყოველ ინდივიდს ასეთივე სურვილი აქვს.

თავისუფლების ცნება ყველას განსხვავებულად ესმის. თეორიულად ლამაზი იდეები ცხოვრებაში ძნელად ხორციელდება, აწყდება გაუთვალისწინებელ დაბრკოლებებს, რის გამოც მწყობრი კონცეფცია ირღვევა და შეიძლება სიკეთე ბოროტებად იქცეს.

მაგ., ბოლშევიკებს ეწადათ სამოთხე ამქვეყნიური რეალობა ყოფილიყო. საამისო მატერიალური რესურსი არ გააჩნდათ, არც იმის წარმოდგენა – ეს კონკრეტულად რანაირ სახეს მიიღებდა. ბუნდოვანება ზრდიდა უნდობლობასა და წინააღმდეგობას. გამოსავალი იყო ურწმუნოთა დასჯა, საკუთარი უძალობის სხვისთვის გადაბრალება – ოპოზიციისა და კაპიტალისტური გარემოცვისათვის. ამიტომ რეპრესიები და რევოლუციური ომები, რევოლუციის ექსპორტი აუცილებელი ხდებოდა, რასაც პერმანენტულ რევოლუციას უწოდებდა ტროცკი.

სტალინს უშველა ჰიტლერმა, მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც ჩამოწერა ბელადის უტოპიური იდეები, დანაშაული საკუთარი ხალხის წინაშე, დიდი ტერორის საშინელება.

რომ არა ომში გამარჯვება, სტალინზე უფრო შემზარავი მმართველი ისტორიას არ ეყოლებოდა. იგი ლენინის, ტროცკისა და ჰიტლერის სახელებით ჰკრავდა ქვეყნას: ერთი იდეოლოგია იყო, მეორე – საშინაო და მესამე – საგარეო საფრთხე.

ომებისა და რევოლუციების მიერ შობილი იდეები, შეცვლილი საზოგადოება, სახელმწიფო სტრუქტურა, შეცვლილი ქვეყნები და კლასები კულტურას ახალ მოდელირებას აძლევენ. მაგ., საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის სახელს, გამარჯვებებსა და დამარცხებას მოჰყვა რომანტიზმი, რომელიც იშლებოდა სხვადასხვაგვარად როიალისტთა თუ რევოლუციონერთა, ნაციონალისტთა თუ ბონაპარტისტთა ფანტაზიაში.

დიდ კულტურულ მოძრაობას წინ უსწრებს დიდი სოციალურ-პოლიტიკური განახლება, ხან როგორც არეკლვა ან არაცნობიერად მისგან გამოსვლა, ხან – დაპირისპირება, იშვიათად კი – ხოტბა.

ყოველი საზოგადოება თავის წიაღში წარმოშობს იდეებს, რომელიც ამავე საზოგადოების შემცვლელი და დამამხობელია. იდეები გადადიან კულტურიდან პოლიტიკაში და ძალას იძენენ. მაგრამ როცა ისინი გაბატონდებიან, მაძიებელი, მოუსვენარი აზრი იწყებს ახალ განტოტვას, არსებულის კრიტიკას და ამ რეალობის წინააღმდეგ ახალ იდეურ მზადებას (მაგ., ავანგარდიზმი).

კონსერვატიზმი განსაზღვრავს საზოგადოების მდგრადობას, შემოქმედებითი, მეცნიერული თუ პოლიტიკური აზრი ესწრაფვის მის შეცვლას, გაუკეთესებას, გარდაქმნას.

საზოგადოების კონსერვატიზმს უპირისპირდება ინდივიდი, რომელიც ნოვაციის მომტანია. მეტწილად ეს დაპირებაა და სურვილი ქარივით უკვალოდ ქრება. მაგრამ ზოჯერ ამართლებს და ამას მოსდევს კულტურული განახლება, რევოლუცია, ქვეყნის გარდაქმნა, ხან – ანარქია, მარცხი და კატასტროფა.

ნაპოლეონს ან ჰიტლერს ხომ არ ეგონათ, რომ დამარცხდებოდნენ. არც სტალინი ფიქრობდა, რომ მისი აშენებული ქვეყანა დაიშლე-

ბოდა, სოციალიზმი უტოპია აღმოჩნდებოდა, ხოლო მისი შვილები მამის ფანატიზმსა და აკვიატებულ იდეებს შეეწირებოდნენ.

საზოგადოების, კლასების, სახელმწიფოების მუდმივი რყევა და განახლება კულტურაში ჩასახული იდეების რეალიზებაა. მაგრამ შემდეგ თავად ეს პროცესი იძლევა ახალ იმპულსსა და ტენდენციებს, რასაც ითვისებს კულტურა.

ევოლუცია და ტექნიკური პროგრესი

ომებისა და რევოლუციების დროს საზოგადოება, ერი, ქვეყანა ნახტომებით ვითარდება. ამაღლებას ცვლის დაცემა, გულგატეხას – აღმაფრენა და პირიქით. წამოიწევა გმირთა სახელი, ჩნდება თავდადებისა და ღალატის მაგალითები. მოვლენები პოლარიზებულია. ეს არის მოკლე გზით უფსკრულის გადალახვა.

ევოლუცია კი კონსერვატიზმის გაგრძელებაა, ნელი, შეუმჩნეველი ცვლილებები. ასეთ დროს მოქმედებს რწმენის ფაქტორი. ძალაუფლების სათავეში ვერ მოვა შემთხვევითი პირი. ცხოვრება მოწესრიგებელი და გაწონასწორებულია.

წინ მდებარე უფსკრულს შორი გზიდან უვლიან და ასე მშვიდობინად აღწევენ ტაძრამდე.

საზოგადოების ევოლუციას უზრუნველყოფდა რევოლუცია აზროვნებაში – დიდი გეოგრაფიული და სამეცნიერო აღმოჩენები, პროგრესი მათემატიკასა, ფიზიკასა და ქიმიაში, რაც პრაქტიკულ შედეგს ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებით იძლეოდა.

ამიტომ შეეძლო თავად საზოგადოებას დაეცვა და შეენახა ტრადიციები, მშვიდად ეცხოვრა, შფოთი და ღელვა სინამდვილიდან წარმოსახვების სფეროში გადაეტანა.

კონსერვატიზმის მაგალითია დიდი ბრიტანეთი, რომელსაც ჩარლზ პირველის თავის მოკვეთის შემდეგ სახალხო ამბოხის გრიგალი არ შეხებია. ხოლო საფრანგეთი რევოლუციების აკვანად იქცა.

წყნარი, მშვიდი ცხოვრება გმირებს, განსაკუთრებულ სახელებს ნაკლებად წარმოშობს. იგი გონის კალაპოტშია მოქცეული. ინგლისელებმა თავიანთი აგრესია კოლონიებზე გადაიტანეს. დაუდეგარი ხალხი თავიანთი სწრაფვის რეალიზებას ქვეყნის გარეთ ახდენდა.

ნაპოლეონი ველინგტონმა დაამარცხა. მაგრამ თაობების სიმპათია ეკუთვნის დამარცხებულ რევოლუციონერს, თუმცა გამარჯვებულმა კონსერვატორმა ევროპას მოაშორა კორსიკელი ურჩხული და ბრიტანეთის კუნძულებს მშვიდობა მოუტანა.

ბრიტანული ევოლუციური განვითარების მოდელი გაითავისეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. არც აქ მომხდარა სახალხო ამბოხი, არ შემოჭრილა უცხო ქვეყნის ჯარი მას შემდეგ, რაც თავი დაიხსნა მეტროპოლიისაგან. ერთადერთი იყო სამოქალაქო ომი სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატების გასაერთიანებლად, რაც ისევე აუცილებელი იყო, როგორც ოპერაცია სნეულისათვის.

დიდი ბრიტანეთი და აშშ ნიმუშია ევოლუციური, თანდათანობითი განვითარებისა. დიდი ბრიტანეთი კოლონიური სახელმწიფო იყო, მისი იმპერია მსოფლიოს ლამის ნახევარს მოიცავდა და ეს აძლევდა საშუალებას, რომ ეკონომიკა კატაკლიზმების, ნახტომების, ზიგზაგების გარეშე განევითარებინა. აშშ კი ემყარებოდა თავის პოტენციალს, თავის წიაღს, ეკონომიკის მართვის უნარს, რომლის საფუძველი იყო ტექნიკური პროგრესი. მისთვის პოლიტიკა, ბიზნესი, კულტურა მართლაც არის თამაში, რადგან უზრუნველყოფილი ცხოვრება იძლევა საამისო გარანტიას, არ აქვს გადასაწყვეტი ტერიტორიული პრობლემა, დამოკიდებელი არ არის არავისზე.

სხვა იყო გერმანიის მდგომარეობა, რომელსაც უძველესი დროიდან უხდებოდა ბრძოლა სივრცისა და არსებობისათვის. მისთვის პოლიტიკაც, კულტურაც, კომერციაც არის ბრძოლა და ბედისწერა. მას არ შეეძლო ევოლუციის ერთგული დარჩენილიყო, მდინარებას მიჰყოლოდა და მხოლოდ პროცესები ემართა. ამიტომ მისთვის მოპოვება, ყოველი წარმატება ომს დაუკავშირდა და სიტყვიერადაც გამოხატა – „kriegen“ (მოომება).

ევოლუცია კონსერვატიზმს ემყარება. კონსერვატიზმი მყარ ტრადიციებს აყალიბებს, რაც ფსიქიკას სიმტკიცეს ანიჭებს. ასეთ დროს ნაკლებია რისკი, სწრაფვა, შეიძლება მოვლენების ფხიზელი რაციონალური ჭვრეტა და მართვა.

რისკი და ექსპერიმენტი რეალობიდან გადადის მეცნიერებასა და ხელოვნებაში. მეცნიერება, რომელმაც ყველა სფეროში საოცარ წარმატებას მიაღწია, XIX საუკუნის მიწურულიდან სინამდვილის კონსტრუქტორი გახდა. მან გარდაქმნა ან შექმნა კულტურის ახალი ფორმებიც (მაგ., ავანგარდიზმი ხელოვნებაში, კუბიზმი და ფუტურიზმი, მასობრივი კულტურა, კინემატოგრაფი, ტელევიზია, ინტერვიზია, ინტერნეტქსელი, ინტერნეტ-პროგრამები).

ტექნიკური პროგრესი კულტურიდან ცივილიზაციაში გადავიდა, რამაც შესაძლებელი გახადა საზოგადოების ევოლუციური განვითარება, მატერიალური ბაზის შექმნა, მაქსიმალური კომფორტის მიღწევა. ამის შედეგად კი წაიშალა კლასობრივი დაპირისპირება, საზოგადოების დაყოფა მდიდრებად და ღატაკებად.

სოციალური რევოლუციები დღის წესრიგიდან მოხსნა ტექნიკურმა პროგრესმა. სამაგიეროდ საზოგადოებას ელოდა სხვა რევოლუციები – ურბანული, სექსუალური, ინფორმაციული, ზნეობრივი.

ცხადია, ეკონომიკური ან ინტელექტუალური დიფერენცირება ყოველთვის იარსებებს. მაგრამ ეს არ ხდება დრამატიზმის საფუძველი. ყველა პოეტი თვალსაჩინო ფიგურა ვერ იქნება, ყველა მინისტრობას ვერ მიაღწევს, ყველა მილიონებს ვერ იშოვნის. ეს არც არის აუცილებელი. აუცილებელია საარსებო მინიმუმის შექმნა, მასობრივი კომფორტის სისტემაში ჩართვა, როცა ყოველ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად და ნორმალურად იცხოვროს, როცა პრივილეგირებული საგნები აღარ არის მანქანა, ბინა, ავეჯი, ტელევიზორი, მაცივარი, კომპიუტერი, როცა შეიძლება თავისუფალი გადაადგილება, აზრის თავისუფალი გამოხატვა.

ტექნიკური პროგრესი, ერთი მხრივ – ქმნის მატერიალურ ბაზისს, მატერიალური ბაზისი კი უზრუნველყოფს დემოკრატიას, კა-

ნონის უზენაესობას, კანონისადმი მორჩილებას. ამიტომ საზოგადოებას აღარ სჭირდება რევოლუცია.

რევოლუცია შეიძლება მოხდეს რომელიმე დარგში, რომელიმე სფეროში, ოღონდ არა საზოგადოების სტრუქტურაში. რევოლუციას ცვლის რეფორმები, რაც მუდმივად გრძელდება. სწორედ ტექნიკის განვითარებით გახდა კონტინენტებისა და ქვეყნების, კუნძულებისა და ნახევარკუნძულების აღმოჩენა, კოლონიზაცია, ახალი საზღვაო და სახმელეთო გზების გაკვლევა, აღწერა და შესწავლა.

ეს პროცესი იწყება XV საუკუნიდან, აღორძინების ეპოქაში.

საწარმოო ძალთა ანუ ტექნიკის მასობრივი განვითარება და გავრცელება ამავდროულად იძლევა საშუალებას საწარმოო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, რაც არის დემოკრატიზების პროცესი, პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა.

მარქსისტულმა პარტიებმა ეს ვერ შეძლეს. მათ მიზანს ანუ სოციალისტურ იდეალებს მიაღწია სწორედ კაპიტალისტურმა სამყარომ, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას შეალიეს ყოველი რესურსი.

მეცნიერული და ტექნიკური აზრი იმ ზღვარზე დგას, რომლის შემდეგ შესაძლოა თვით ადამიანის ცნება დაირღვეს (მაგ., კლონირება, სქესის შეცვლა, სხეულის ნაწილების გადანერგვა), საეჭვო გახდეს საერთოდ სიცოცხლის ბედი (მაგ., ატომური ომის საფრთხე).

ტექნიკური აზრის შედეგები ცვლის საზოგადოების სტრუქტურას, სახელმწიფოთა საზღვრებსა და კავშირებს, პიროვნების ფსიქიკასა და ხასიათს, ინტელექტსა და ზნეობას. მაგრამ ეს გლობალიზაციის პრობლემაა და მომდევნო წიგნში განვიხილავთ.

2. ინტელექტუალური ინტერესების ტრანსფორმაცია

საუკუნეთა მანძილზე ღვთისმსახურთა ინტელექტუალური ინტერესები უცვლელია. ისინი არ სცნობენ სიახლეს თეოლოგიასა და ლიტურგიაში, საეკლესიო წესებსა და კანონებში.

აქ სიახლე არის ერეტიზმი და სექტანტობა.

მსგავსი კონსერვატიზმი ხელოვნებაში დაუშვებელია. აქ სწორედ ნოვაცია, სტილთა და მიმართულებათა მუდმივი ცვალებადობაა აუცილებელი. ოღონდ იგი კრძალავს ჟანრთა სისტემის რღვევას, განსაკუთრებით – მუსიკაში.

საფუძველი არის ფსიქიკისა და ცნობიერების მუდმივი სახეცვლა, რაც მოაქვს დროს, ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებს, ახალ კონსტიტუციებს.

ხელოვნების იდეური წყაროები

ხელოვანს ემოციას აღუძრავს, შთაგონებას ჰგვრის სატრფო თუ ვარდი, თოვლი თუ ქარი, ისტორიული გმირი თუ დაღუპული ახლობელი. ეს შეიძლება კმაროდეს ლირიკისათვის, სიმღერისა თუ პეიზაჟისათვის. ხოლო ეპიკურ და დრამატულ ტექსტებს სიმტკიცეს ანიჭებს იდეა და კონცეფცია, ან როცა თავად იდეა და კონცეფცია იქცევა შთაგონებად.

როგორც ვნახეთ, ხელოვანისთვის ერთი უდიდესი შთაგონება და იდეური წყარო იყო რელიგია. როდესაც დანტე ალიგიერი წერდა „ღვთაებრივ კომედიას“, ემყარებოდა თეოლოგიურ კონცეფციას, ფსევდო-დიონისე არეოპაგელს, საიქიოს კათოლიკურ სტრუქტურას (სამოთხე, ჯოჯოხეთი, განსაწმენდელი), რომელთაც ფანტაზიაში ავსებდა რეალური და ისტორიული პერსონაჟებით.

ხელოვანი ორიგინალური აზროვნებით არ გამოირჩევა. ეს არც სჭირდება, რადგან მისთვის მთავარია იდეისა და აზრის განცდა და მოდელირება.

„ულისეს“ წერის დროს ჯოისი არ იცნობდა ფროიდის ფსიქოანალიზს; არც ფოლკნერი იცნობდა ამ მოძღვრებას, როცა „ხმაურსა და მძვინვარებას“ თხზავდა. მაგრამ მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ მოაზროვნის იდეები აქვთ გამოყენებული. მაშინ ფოლკნერს „ულისე“ არ წაეკითხა, მაგრამ რომანის დროის მოდელს მაინც ჯოისს უკავშირებენ. ალბათ იმიტომ, რომ ატმოსფერული მოვლენების მსგავსად სივრცე ერთნაირი ნაპერწკლებით არის დამუხტული. აქ მთავარია ვინ იყო პირველი, ვინ ვის დაასწრო.

ფსიქიკაც ისევე იცვლება, როგორც პოლიტიკური რეალიები და ეკონომიკური კავშირები. მაგ., პეტრარკამ სანიმუშოდ დასახა ანტიკური ფილოსოფია და ხელოვნება.

კარლ მარქსის „კაპიტალი“ ერთ-ერთ დიდ მეცნიერულ ნაშრომად არის მიჩნეული ევროპაშიც. მაგრამ იგი კომუნისტი ხელოვანისთვისაც არ ქცეულა შთაგონებად და იდეურ წყაროდ.

არც ლენინის, ტროცკისა და სტალინის ნაშრომები იყო მწერალთა, მხატვართა და მუსიკოსთა თანამდევი წიგნები, როგორც ქრისტიანისათვის ბიბლია და მუსულმანისათვის – ყურანი.

ამიტომ ხოტბას ასხამდნენ მათ სახელებს, მოქმედებას, რევოლუციურ იდეალებს. ხოლო ნაშრომები წაკითხული არც ჰქონდათ. მათი იდეები ისედაც ჰქონდათ შეთვისებული პროპაგანდისტებისა და კომენტატორებისაგან.

აქცენტი გადაჰქონდათ ბიოგრაფიულ ფაქტებზე, ზოგად იდეალებზე.

მხოლოდ აზრთა ის სისტემა იზიდავს ხელოვანს, რომლის სტრუქტურა ენათესავება ფანტაზიას, სწვდება გულსა და შეათრთოლებს.

ზედმეტი სიცხადე და სინათლე ინტერესს მოკლებულია, ხელოვანისათვის მავნებელია.

ამიტომ არის მთავარი არა ჭეშმარიტება, არამედ – მშვენიერება და ზნეობა, რაც გამოხატავს ადამიანურობას, ჰუმანურობას, სიკეთესა და თანალმობას.

სტალინზე, რევოლუციებზე, სოციალიზმის იდეალებზე საუკეთესო ლექსები დაწერეს გიორგი ლეონიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, შოთა ნიშნიანიძემ, თუმცა არ ჩანს, რომ მათ წაეკითხოთ „კაპიტალი“ ან „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ქრისტიანული რელიგიიდანაც მთავარი იყო არა დოგმები, არამედ – მარიამ ღვთისმშობლის ხატი, ქრისტეს ჯვარცმის მისტერია, წმ. გიორგის შებრძოლება დრაკონთან, აპოკალიპსური წარღვნის მითი, ცალკეულ წამებულთა ცხოვრების მაგალითები, ჩაგრულისა და ტანჯულისადმი თანალმობა, ბიბლიური სიუჟეტები, მოსეს ორმოცწლიანი ოდისეა.

ხელოვანს პლატონი უფრო იზიდავდა, ვიდრე არისტოტელე, კანტს ერჩია შოპენჰაუერი, წმინდა ლოგიკურ განსჯას – ემოციური მსჯელობა. იგი მისდევდა არა აზრის განვითარებას, არამედ – ცალკეულ დეტალებს, იდეებს, დაკვირვებებს იყენებდა. მთლიანი კონცეფცია ან მისი სიზუსტე არც აინტერესებდა.

დეკარტეს რაციონალიზმი გაიზიარა და აითვისა კლასიციზმმა, შოპენჰაუერისა და ნიცშეს ვოლუნტარისტული სისტემა – სიმბოლიზმმა, ფროიდის ფსიქოანალიზი და ბერგსონის ინტუიციტიზმი – „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურამ და სიურრეალიზმმა, ეგზისტენციალიზმის იდეები – აბსურდის დრამამ და თეატრმა, მარქსიზმ-ლენინიზმი – სოციალისტური რეალიზმის მწერლობამ, გერმანული მითოსი, შლეგელები, ფიხტე, შელინგი – გერმანულმა რომანტიზმმა, ნაპოლეონის ჰეროიკა – საერთოდ რომანტიზმმა, მატერიალიზმი და პოზიტივიზმი – რეალიზმმა.

ევროპული კულტურა ასევე უხვად ღებულობდა აფრიკულ, ამერიკულ, აზიურ სახეებს, მოტივებს, სიუჟეტებს, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მასალას, ჩინურ და ინდურ ფილოსოფიას.

როცა ფრიდრიხ ნიცშემ წარმოადგინა დიონისური და აპოლონური სტიქიები, ზეკაცის სახე, გადააფასა ქრისტიანული ღირებულებანი და მიაშურა ელადას, სიცოცხლის მამოძრავებელ ენერგიად მიიჩნია ძალაუფლების ნება – არ უცდია მკაცრი მსჯელობით, ლო-

გიკური კატეგორიებით ეაზროვნა და ასე დაეჯერებინა მკითხველი თავის სიმართლეში.

მან ანალოგიებით, მეტაფორებით, სიმბოლოებითა და შედარებებით, პოეტური ენით გადმოსცა თავისი სათქმელი. ესსეისტურ-იმპრესიონისტული, ნათელი და ცხადი სურათები, ჩანახატები, აფორიზმები თავისთავად იმორჩილებდა მკითხველს. მაგრამ ისინი უჩვეულო იდეებსაც შეიცავდნენ, რაც გასცდა ფილოსოფიის სფეროს და ხელოვნებაში შეიჭრა, პოლიტიკაში გადავიდა და მრავალ ხელოვანზე იქონია ზეგავლენა. მათ შეიძლება კარგად არც იცოდნენ ნიცშეს ფილოსოფია, მაგრამ ხიბლავდათ აზროვნების სტილი, გადმოცემის მანერა, აზრების კასკადი, ანტიკური მზე და ზეკაცის მითი (მაგ., ო. უაილდი, სტ. გეორგე, ჯ. ლონდონი, თ. მანი, კ. გამსახურდია).

ამიტომ იოლად შესძლო ჰიტლერმა ნიცშეს ნაციონალ-სოციალისტური მოდელირება, თავისი პოლიტიკის სამსახურში ჩაყენება, ისევე როგორც სხვა მოაზროვნეთა იდეების ვულგარიზება.

ზვიად გამსახურდიამ ნაციონალისტური მითოსით აღაგზნო და შეაკავშირა ხალხი. ეს მითი თეორიულად დაასაბუთა („საქართველოს სულიერი მისსია“), რომლის აღსრულების ნებას არ იძლეოდა სსრკ. ამიტომ ნგრევის სამიზნედ იგი იქნა დასახული, როგორც ანტიქრისტეს ციტადელი და ხალხთა საპყრობილე. მხოლოდ ასე შეიძლებოდა ლეთარგიული ძილისაგან საზოგადოების გამოყვანა.

მითოსი ხელოვნების უშრეტი წყარო იყო, მაგრამ მითის პირდაპირი მნიშვნელობა უინტერესოა. მას სჭირდება სიმბოლური წაკითხვა. მხოლოდ ასე შეიძლება არსის წვდომა, რომელიც ყველა დროში აქტუალურია.

გერმანელმა რომანტიკოსებმა (მაგ., ჰოლდერლინი და ნოვალისი) მას დაურთეს ქრისტიანული თეოლოგია და ამგვარი ჭვრეტით აზროვნების პროცესად აქციეს. ვაგნერმა მითოსური პერსონაჟები მუსიკალურ დრამაში გადაიყვანა და ოპერის ენით აამეტყველა (მაგ.,

ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭედი“: „რაინის ოქრო“, „ვალკირია“, „ზიგფრიდი“ და „ღმერთების აღსასრული“).

მითოსი ირაციონალურისა და მისტიკისაგან განუყრელია. ეს ორივე თვისება ემოციას გვანიჭებს, როგორც იდუმალი და ბუნდოვანი.

ზიგმუნდ ფროიდმა და კარლ გუსტავ იუნგმა მითებში სულის პირველადი პროექცია გამოავლინეს, ლიტერატურასა და ხელოვნებაში არაცნობიერის სტრუქტურიზება და პერსონალიზება დაინახეს, სექსუალურ ლტოლვებში ფსიქიკური ენერგია წარმოადგინეს, სიზმრებით არქაული და სიმბოლური ცნობიერება აღადგინეს.

მათ მოახდინეს არაცნობიერი ფსიქიკის რაციონალიზება და სტრუქტურიზება ანუ შეთხზეს ახალი მითი.

ხელოვანს ასეთი ხედვა სტიმულს აძლევდა, გადაჰყავდა იდუმალ სამყაროში, რომლის ინტელექტუალიზება და რაციონალიზება სიმტკიცეს ანიჭებდა ფანტაზიას. ეს ჭეშმარიტება იყო თუ ილუზია, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ხელოვანს აინტერესებს მშვენიერება, სილამაზე, ფორმა, აზრის გრძნობითი მოდელირება, ადამიანური ტკივილები, სიყვარული და სიკეთე (მაგ., ჰ. ჰესე, დ. ჰ. ლორენსი, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ჟ.პ. სარტრი, ს. ცვაიგი, ა. მალრო). არც თავად ამ კონცეფციების კარგი ცოდნა ჰმატებდა ხელოვანს რამეს. საკმარისია ემოციური წვდომა, თუნდაც ზერელე წარმოდგენა, ოღონდ განცდა უნდა იყოს ღრმა და მძაფრი.

ასე უფრო იოლია ტრადიციის გადააზრება.

მაგ., გალაკტიონი სიმბოლისტი და იმპრესიონისტი იყო, ავლენდა კლასიცისტურ-პარნასულ ტენდენციებსაც. თუმცა არც ამ სტილთა და მიმართულებათა საფუძვლები შეუსწავლია, არც ფრანგული ენა იცოდა, პარიზი, ვერსალი და მონმარტრი მაშინ ნახა, როცა შედევრები დიდი ხნის დაწერილი ჰქონდა.

ასე რომ საკმარისი იყო იდეურ-სტილური სამყაროს განცდა, იდუმალი, სიმბოლური ხატების, სიგნალების ათვისება და მოდელირება, არა შეცნობა ან დანახვა (შდრ. – არტურ რემბოს ჯერ ზღვა

არ ენახა, როცა „მთვრალ ხომალდს“ წერდა, გალაკტიონმაც ჯერ „ნიკორწმინდა“ დაწერა, ტაძარი კი მერე ნახა და გულგაცრუებულიც დარჩა: წარმოდგენა სჯობდა რეალობას).

30-იან წლებში ბაგინეთსა და არმაზში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, აღმოჩნდა ქრისტიანობის შემოსვლამდე არსებული კულტურის ძეგლები (მაგ., ბილინგვური სტელა), რამაც წარსულის სიღრმეში გადასწია ჩვენი ისტორია. ტრაქტორისა და კოლექტივის ქების წილ ხელოვანმა ახალი სამყარო დაინახა, რამაც აღუძრა ნამდვილი შთაგონება (მაგ., ს. ჩიქოვანის „არმაზის აჩრდილები“, კ. ჭიჭინაძის „სერაფიტი“, გრ. აბაშიძის „ძევახ პიტიახშს“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“).

ეს თითქოს იმპრესიონისტული აღქმა იყო, მაგრამ იგი ჩასმულ იქნა ქართული საბჭოთა მესიანიზმის მითში, რომელსაც ლავრენტი ბერია ისტორიკოსებთან, ლინგვისტებთან, ფილოსოფოსებთან, მწერლებთან ერთად ამკვიდრებდა, რომ სტალინი უძველესი და დიდი კულტურის შვილი იყო, რომ იგი სსრკ ხალხებს, საქართველოს და მთელს კაცობრიობას დიად მომავალს უმზადებდა.

ხელოვანისათვის არც ჰქონდა მნიშვნელობა ჩვენ ვიყავით თუ არა იაფეტიდები, მოვედით თუ არა მცირე აზიიდან, ურარტუ იყო თუ არა ქართველური. მთავარი იყო სიდიადის შეგნება და იმისი დანახვა, რომ სტალინმა აღუდგინა საქართველოს დაფერფლილი დიდება.

ამ ასპექტში ბელადის ხოტბას ნაციონალური მნიშვნელობა ემლეოდა, პროლეტარულ-ინტერნაციონალური მისია მხოლოდ ბოლშევიკების საკუთრებად რჩებოდა. ეს თითქოს ისედაც იგულისხმებოდა.

ხელოვანი თავად არ იმუშავებს იდეებს, თეორიებს, კონცეფციებს – მათ ქმნიან პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები და შეაქვთ ხელოვნებაში; მას ქმნიან გმირები, განსაკუთრებული ბედისა და ბედისწერის ადამიანები, რომელთა ცხოვრება დრომ მითად აქცია.

ეს მითი რომანტიკაა, მხურვალე გრძნობა, რომელიც ცივ იდეას სულს უდგამს, ამწვანებს ნაცრისფერ თეორიას.

ძალაუფლების ნებით შეპყრობილ მეცნებეებს დანაშაულისა და სისხლის გზით არნახული სივრცისაკენ მიჰყავთ მთელი თაობები, დუნე, ინერტულ ადამიანებსაც მამაცად აქცევენ.

ასეთი იყო ნაპოლეონი. კორსიკელის სისხლიანი და რომანტიკული ფიგურა ხელოვანის ფანტაზიას ისევე აფორიაქებდა, როგორც ალექსანდრე მაკედონელი და იულიუს კეისარი, როგორც უდიდესი ნაციონალური ომების, მშობლიური ქვეყნის ტრაგედიისა თუ ტრიუმფის მონაწილე გმირები.

მათი სახელები ყველა ერის კუთვნილებაა.

საზოგადოებრივ-კულტურულ მოძრაობას ზოგჯერ თავად ხელოვნებიდან წამოსული იდეებიც აძლევს სტიმულს. მაგ., „ახალი მემარცხენეები“ (თეოდორ ადორნო, ერიხ ფრომი, ჰერბერტ მარკუზე, ჟან პოლ სარტრი) გამოდიოდნენ დადაიზმიდან, სიურრეალიზმიდან, აბსურდის დრამიდან, შემდეგ კი დაურთეს ეგზისტენციალიზმი, მარქსიზმი, საზოგადოებრივი ცნობიერების ანალიზი (მაგ., გოლიზმის კრიტიკა), რაც გადაიზარდა სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობაში. ამ მოძრაობამ თავისი ქცევა, მეტყველება, ბოჰემა, პროტესტი და უზნეობის იდეოლოგიური გამართლება მოიტანა. ხოლო როცა კრიზისის ჟამი დაუდგა, კულტურა უარყო და ინსტინქტებს მიენდო, ბუნტარული სული ექსტრემიზმად და ტერორიზმად აქცია, დაეუფლა აპათია და პროსტრაცია.

თავად სიცოცხლე იქცა აბსურდის დრამად და თეატრად ანუ თამაშად.

ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სკოლები, პოლიტიკური მოძღვრებები, ხელოვნების მიმდინარეობები, კონცეფციები და თეორიები უხვად იქმნებოდა ევროპასა და ამერიკაში. აზრის მუდმივი მოძრაობა, შეჯახება, მსხვრევა და შერწყმა, ტექნიკური პროგრესი შემოქმედის ფანტაზიას არყევდა, აძლევდა ძალასა და იმედს, მაგრამ ამაოებისა და განურჩევლობის განცდაც იპყრობდა.

მიმართულება და სტილი

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კულტურის სტილი და მიმართულება, რასაც ხშირად აიგივებენ ხოლმე.

მიმართულება – ეს არის ეპოქასთან შერწყმული, ეპოქის ინტერესების გამოსახვა, მისგან გამომდინარე ინტელექტუალურ-კულტურული ნაკადი. იგი ახლებურად წარმოგვიდგენს კულტურის სხვადასხვა ფორმას, აძლევს საერთო ნიშან-თვისებას, რომელიც ბატონობს დროის გარკვეულ პერიოდში.

მაგ., კლასიციზმი იყო ელიტარული კულტურა, რომელიც წარმოიშვა საფრანგეთში, ლუი XIV-ის ეპოქაში და პასუხობდა აბსოლუტური მონარქიისა და არისტოკრატიის ინტერესებს. იგი გამოხატავდა მშვიდი, გაწონასწორებული, ჭვრეტით გართული გონების ფიქრსა და სწრაფვას, მოიცავდა ფილოსოფიას, ლიტერატურას, თეატრს, არქიტექტურას, მუსიკას, ფერწერას; ჰქონდა პერსონაჟის სტერეოტიპი: არისტოკრატი – გმირი, ბურჟუა – ძუნწი, მღვდელი – პირფერი, მსახური – ცბიერი.

შემდეგ, როცა დაირღვა დეკარტესეული რაციონალიზმის პრინციპი, როცა მღვრიე ცხოვრების ტალღებმა შეატორტმანა – ანტიკური იდეალების, კლასიციზმის ადგილი დაიკავა სენტიმენტალიზმმა და რომანტიზმმა, „მსოფლიო სევდამ“, მარტოობის გმირმა.

რომანტიზმი იყო კლასიციზმის საპირისპირო, ასევე უნივერსალური, ყოვლისმომცველი და განმაახლებელი მიმართულება, რომელმაც დაამსხვრია ბარიერები და სულს თავისუფლება მიანიჭა.

მაგრამ დარჩა კლასიციზმი, როგორც სტილი, რომელიც პერიოდულად მეორდებოდა, ხან რომელიმე დარგში (მაგ., მუსიკა და არქიტექტურა), ხან რომელიმე ავტორის შემოქმედებაში.

კლასიციზმის წესრიგი, ფორმალური სიზუსტე, არისტოკრატიზმი ყველაზე უფრო მოერგო მუსიკას (მოცარტი, ბეთჰოვენი, ბახი, ჰაიდნი).

XIX საუკუნეში იგი გააცოცხლეს ფრანგმა პარნასელებმა, რომლებიც ისევ მიუბრუნდნენ კანონიზებულ, ცივ ფორმებს, შთაგონება შეცვალეს რაციონალური ჭვრეტით და მზერა მიაპყრეს ანტიკასა და შუასაუკუნეებს, მითოსსა და ისტორიას.

ასევე, როგორც რომანტიზმის ნისლი გაიფანტა და სასტიკი რეალობა გახდა ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკის წყარო, დარჩა იგი როგორც გამოხატვის სტილი, როგორც მსოფლგანცდისა და წარმოსახვის შემადგენელი ნაწილი. ამ თვალსაზრისით ღებულობდნენ რომანტიზმს სოციალისტურ რეალიზმში, როგორც აღმაფრენას, სწრაფვას, ოცნებას, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი მოდელირება.

პარნასიზმიც სწრაფად გადავიდა, მაგრამ დარჩა პარნასული სტილი. ასევე დარჩა რეალისტური სტილი.

ერთი სიტყვით, მიმართულებები სწრაფად სდევნიან ერთმანეთს, სწრაფად იცვლებიან, მაგრამ რჩება გამომუშავებული სტილი, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც პერიოდულად ვლინდება, როგორც წინაპართა გენები ჩვენს არსებაში.

გავლენა და მიბაძვა

ყოველი კონტრკულტურა ქმნის განშტოებათა ქსელს, რითაც მთლიანად ასხვაფერებს ტრადიციებს. სიახლეს ყოველთვის გამოუჩნდება მიმბაძველები. ისინი ცდილობენ განავითარონ და თავის დროს მიუსადაგონ წარმოქმნილი იდეები და ფორმები.

სიახლე ისე სწრაფად ვრცელდება და მოიცავს ვრცელ კულტურულ არეალს, როგორც ვირუსული ეპიდემია.

საამისო წანამძღვარია ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაცია, ფსიქიკის ცვალებადობა.

სიახლის მიმდევარი, თუ არ ჰყოფნის ნიჭი და ფანტაზია, მიმბაძველი ხდება. ეს მეტწილად ასეა ხოლმე. მაგრამ დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მათი ლეგიონი საჭიროა. სხვა მხრივ დიდი მოვლენა კულტურაში უკვალოდ ჩაივლის, არ ექნება რეზონანსი, არ შთაიბეჭდება ხალხთა და თაობათა მეხსიერებაში.

ეს ეხება ცალკეულ პიროვნებებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს, მათ ინდივიდუალურ ნააზრევს (მაგ., მარქსიზმი, ფროიდიზმი, დარვინიზმი, ბაირონიზმი, ნიცშეანელობა) და არა მიმართულებებს (მაგ., რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, სიურრეალიზმი), რომელთაც მთელი თაობები ქმნიან.

მიმბაძველები ავითარებენ ცალკეულ დეტალებს ან სესხულობენ თავიანთი კონცეფციის ნაწილად, უერთებენ საკუთარ მსოფლგანცდას, მსოფლხედვას.

მაგ., შუასაუკუნეების პოეზიაში ასე წარმოიშვა პეტრარკიზმი და გონგორიზმი.

პეტრარკა იტალიური ენის ფუძემდებელია დანტესთან და ბოკაჩოსთან ერთად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის ლირიკას, ლაურასადმი მიძღვნილ სონეტებს, კანცონებს, სექსტინებს, ბალადებსა და მადრიგალებს.

პეტრარკიზმი ჩამოყალიბდა პოეტის გარდაცვალებიდან საუკუნენახევრის შემდეგ, მოიცვა მთელი ევროპა და გადასწვდა შექსპირსაც კი.

ასევე პოპულარული იყო გონგორიზმი.

ესპანელი გონგორა ი არგოტე ბაროკოული სტილის პოეტად ითვლება, რომელმაც რენესანსული სინათლის საპირისპიროდ შემოიტანა რთული, ბნელი, დანისლული სტილი. მისი სიმბოლოები, მეტაფორები, ენობრივი გადახვევები იზიდავდა პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს.

გონგორას ტრადიცია მახლობელი აღმოჩნდა სიმბოლისტებისთვისაც, რომლებიც მსგავს ფანტაზირებას და ძნელად აღსაქმელ სახეებს მიმართავდნენ.

რომანტიზმისათვის გადამწყვეტი იყო ორი სახელი – ნაპოლეონი და ბაირონი.

გავლენის გარეშე კულტურა ვერ განვითარდება. მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე თუ გავლენა არ იქნა დაძლეული, თუ არ ამოიზარდა ახალი კონტრკულტურა, მაშინ ეს რეგრესის მომასწავებელია. ხოლო დროის მცირე ლოკალში იგი ხელს უწყობს პოპულარობას და სრულ წარმოდგენას.

საქართველოში რუსთაველის ტრადიცია საუკუნეები ბატონობდა. დღეს ასეთი რამ არ ხდება, რადგან სიახლე სწრაფად ძველდება და ათწლეულებიც საკმარისია ინერციის დასაძლევად, პროცესის დირიჟორები სწრაფად ემხობიან. რომანტიზმი, სიმბოლიზმი, ავანგარდისტული სკოლები მთელს მსოფლიოში ქმნიდნენ ინფრასტრუქტურას, იჭრებოდნენ სხვადასხვა ერების, სხვადასხვა თაობების ცნობიერებაში, ბიძგს აძლევდნენ ნაციონალურ ფორმებს, რაც ამავე დროს იყო ამ მიმართულებათა არსის წარმოჩენა, უნივერსალიზება (მაგ., საქართველოში). გავლენა და მიბაძვა კულტურის მიმართულებისა და სტილის ძლიერების ნიშანია. ეს არის ნებაყოფლობითი პროცესი, რომელსაც არავინ გკარნახობს.

რომანტიკა და ესთეტიზმი

რომანტიკულ-დიონისური სწრაფვა აძლევს შემოქმედს ენერგიას, რაც ამოაგდებს ტრადიციული კულტურის ველიდან და ახალ იდეალს აპოვნინებს.

რომანტიკა აღმაფრენაც არის და გლოვაც, სიხარულიც და სევდაც. მაგრამ მეტწილად იგი რეალობიდან დაცილებაა, როცა სინამდვილე ისეთი არაა, როგორიც გინდა იყოს. ამიტომ ხელოვანს სდევს ნაღველი და მელანქოლია, როცა მათ იშორებს – თხზავს ოცნების სამყაროს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეალების მარცხი, ნაპოლეონის დემონური პიროვნების ქროლვა და აღსასრული ზრდიდა რომანტიკას. იგი არღვევდა კლასიცისტურ ყინულს, განმანათლებელთა რაციონალიზმს, სიფხიზლესა და ჭვრეტას, იძენდა სპეციფიკურ ხედვას, მსოფლგანცდას.

ყალიბდებოდა ახალი სტილი და მიმართულება – რომანტიზმი, რომელმაც სენტიმენტალიზმის გრძნობათა ნაკადი, რაც იწვევდა ვერტერის სასოწარმკვეთ სევდას, შეცვალა აზროვნების დინამიკით. საამისოდ მიმართა ისტორიას, მითოსს, შუასაუკუნეებს, ფილოსოფიას.

რომანტიზმი გავრცელდა მთელს ევროპაში, მოიცვა ხელოვნების სხვადასხვა დარგი – პოეზია, პროზა, დრამატურგია, მუსიკა, თეატრი, ფერწერა, წამოსწია დიადი სახელები (ბაირონი, შელი, კიტსი, ნოვალისი, ჰოლდერლინი, შლეგელები, მიცკევიჩი, გოია, დელაკრუა, ვაგნერი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბარათაშვილი, შოპენი, შატობრიანი, ჰიუგო, მიუსე, დე ვინი, ჰაინე, პაგანინი, შუმანი, შუბერტი, როსინი, დავიდი, ლონგფელო, ემერსონი, ლეოპარდი, ედგარ პო), ამასთანავე – ყველგან ნაციონალური სევდითა და ოცნებით შეიმოსა.

ადამ მიცკევიჩსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს სამშობლოს ბედი უკლავდათ გულს, ბაირონს „მსოფლიო სევდა“ დაატარებდა ევროპასა და ოცნების დარბაზებში, ედგარ პოს შავი ყორანი ეზმანებოდა, ჰოლდერლინი ანტიკისაკენ უკუიქცა, ნოვალისი ქალად ქცეულ ცისფერ ყვავილს ეტრფოდა.

სტენდალიც ხმას უერთებდა რომანტიკოსებს. მისი ჟულიენ სორელი და ფაბრიციოც ვატერლოოს დამარცხებას გლოვობენ, ნა-

პოლეონს აიდეალებენ, აწვალებთ „მსოფლიო სევდა“ და სიყვარულში ცდილობენ ნაღველის ჩახშობას.

მიცკევიჩი და ბარათაშვილი მტანჯველი განგებისაგან გასხლტომას ცდილობდნენ და სულის ქროლვა მითოსურ პეგასად აქციეს. ლერმონტოვის დემონი, ბაირონის ჩაილდ-ჰაროლდი და დონჟუანი არღვევდნენ ობივატელურ სიწყნარეს, სტოვებდნენ საზოგადოებას და ბედისწერის ძახილად იქცეოდნენ.

რომანტიზმის არსი ყველაზე კარგად გამოხატა ჯორჯ ბაირონმა. ამიტომ ბაირონიზმი ლამის მთელი მიმართულების სინონიმად იქცა. აქ თავისი სიტყვა თქვა ინგლისელი ლორდის ბიოგრაფიამ, ბუნტარულმა სულმა, რომანულმა ფათერაკებმა და უეცარმა აღსასრულმა.

კულტურის ისტორიაში ძველი საბერძნეთის, რენესანსისა და რომანტიზმის შემდეგ სულის ყველაზე დიდი აფეთქება იყო მოდერნიზმი, რაც არსებითად არის იგივე ნეორომანტიზმი, რომანტიკული ტრადიციების აღდგენა და განახლება, შევსება ახალი რეალიებითა და მგრძნობელობით.

იგი ჩამოდგა პარნასელების, რეალისტებისა და ნატურალისტების ხანმოკლე ბატონობის შემდეგ, როგორც კონტრკულტურა, მათი დარღვევა და გადალახვა.

მოდერნიზმშიც გამოიყოფა რამდენიმე მიმართულება – იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, რომლებიც, თავიანთი მხრივ, იშლება მრავალ სკოლად და განშტოებად (მაგ., საქართველოში – „ცისფერი ყანწები“), თუმცა ბევრი ინდივიდუალურად ქმნიდა (მაგ., გალაკტიონ ტაბიძე).

მხატვრების, მუსიკოსების, პოეტების, არქიტექტორების გაერთიანებებს აკავშირებდათ საერთო პრინციპები. ასე იკაფავდნენ გზას, იპყრობდნენ პარნასს. ინდივიდუალურად ეს მეტისმეტად ძნელი იყო. ელიტარული კულტურა მასებისაკენ მიიწევდა და ახალ ტალანტს ჩაძირვით ემუქრებოდა. იგი რომელიმე ტალღის თანამგზავ-

რი უნდა გამხდარიყო, რათა ხმაურსა და ორომტრიალში მისი დახმარებით წამოწეულიყო, შეეცვალა ინტელექტუალური ინტერესები.

კულტურის ცენტრი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზეც იყო პარიზი. აქეთკენ ისწრაფოდნენ პოეტები და პროზაიკოსები, მხატვრები და მუსიკოსები, რათა ახალი კულტურის მირონი მიეღოთ.

მოდერნისტებმა ისევ აღადგინეს პრინციპი – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, წამოსწიეს სიმახინჯე, დაცემის მოტივები, მაგრამ განსაკუთრებული ზრუნვის საგნად აქციეს მხატვრული ფორმა, მხატვრული აზროვნება. ამისათვის მათაც მიმართეს ფილოსოფიას, მითოსს, ისტორიას, საკუთარ ბედსა და ბედისწერას.

მოდერნიზმიც მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და ყველგან სიახლე შეიტანა – ლიტერატურაში (მაგ., საფრანგეთში – ბოდლერი, ვერლენი, რემბო, მალარმე, ინგლისში – უაილდი, ავსტრიაში – რილკე, გერმანიაში – გეორგე, ბელგიაში – მეტერლინკი, რუსეთში – ბლოკი და ბელი, ლათინურ ამერიკაში – დარიო, საქართველოში – გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია), მუსიკაში (მაგ., რიჰარდ შტრაუსი), არქიტექტურაში (მაგ., „მოდერნის“ სტილი), მხატვრობაში (მაგ., ვრუბელი, იმპრესიონისტები და პოსტ-იმპრესიონისტები), თეატრში (მაგ., რაინჰარდტი და მეიერჰოლდი), თეოლოგიაში (მაგ., ნეოთომისტები – კათოლიკური წარმოდგენების კორექცია).

ასევე მოხდა საქართველოში (იხ. ჩემი წიგნი – „მოდერნიზმი“, 2008).

ამის შემდეგ ცხრება რომანტიკული აღმაფრენა, იკარგება არტისტიზმი, სილამაზისა და მშვენიერების კულტი, ნელდება ჰეროიკა და ლირიზმი, ძლიერდება ინტელექტუალური და ანტი-ინტელექტუალური ძიებანი.

რომანტიკულ-მოდერნისტულ ესთეტიზმს ცვლის ავანგარდისტული ანტიესთეტიზმი, გულს – გონება, გონებას – ტექნიკა, არტისტიზმს – ექსცენტრიკა.

3. კრიზისი და პროგრესი

კულტურის დიფერენცირებასა და ინტეგრირებას, სპირალურ წრებრუნვას მუდმივად ახლავს კრიზისული პროცესები, როგორც ლითონსა და მიწის ქანებს – კოროზია და ეროზია.

ეს იწვევს კვდომას და ამზადებს ცვალებადობას.

თავად კულტურის ცეცხლს აქრობს არა მხოლოდ წარმომშობი ხალხის განადგურება, ასიმილირება ან ტრანსფორმაცია, არამედ – წარმომქმნელ ძალთა ამოწურვაც, არსიდან ფორმაზე გადასვლა, ამ ფორმების გაქვავება, სინამდვილის სიგნალების აღუქმელობა.

სხეულის მსგავსად კულტურას აქვს თავისი რეცეპტორები (რომლებიც გარედან ღებულობენ სიგნალებს) და ეფექტორები (რომლებიც პასუხობენ ამ სიგნალებს), აქვს შინაგანი იმპულსები, რაც საკუთარი ტრადიციების, დროის, ეროვნული სულისკვეთების ძახილია.

ამიტომ არცოდნაც არის კულტურის საფუძველი, როცა ნაცნობი სქემები უინტერესოა, ხოლო უცნობ სივრცეში შესვლა სულს შთაგონებით ავსებს, ანდა – როცა არ იცი, რა არ შეიძლება.

კრიზისი მეტწილად ეროვნულ სივრცეში იშლება, იშვიათად – გლობალურია და მოიცავს უამრავ ხალხს, მრავალ საუკუნეს. ამ დროს კულტურა რადიკალურად იცვლება.

ასე მოხდა ანტიკურ საბერძნეთში, ჩინეთსა და ინდოეთში, ეგ-ვიპტესა და მესოპოტამიაში, როცა ადამიანის გონმა უკან მოიტოვა ველური და ბარბაროსული ეპოქები, როცა გაბატონდა პოლითე-იზმი, მითოსი და ბედისწერა.

ხედვა ყველგან ერთნაირი იყო, ფორმები – განსხვავებული.

როგორც ვნახეთ, ყველა ტომი და ხალხი ერთნაირად აწესრი-გებდა სქესთა კავშირს, იცილებდა კანიბალიზმს, ქმნიდა ენას და ტომთა ერთობას, იწყებდა ომებს, ქალაქების მშენებლობას, აყალი-ბებდა კოლექტიურ მმართველობას, განადიდებდა ღმერთებს.

ლოკალურ კულტურას განსაზღვრავს ერის ბედი, აღმასვლა და დაცემა, ნაციონალური ძირები. როცა ამოიწურება სააზროვნო წყაროები, კულტურას კრიზისი ეუფლება. მაგ., როცა რომის იმპერია დაშლის პირას იდგა, როცა საკუთარი ღმერთები აღარ იწვევდა შთაგონებას, მაშინ შემოჰყავდათ აღმოსავლური ღმერთები და ერთი ასეთი ღმერთი იყო ქრისტე, რომელიც ერთადერთი გახდა.

პოლითეიზმი, მითოსი და ბედისწერა აღარ იწვევდა სულიერ ძალთა მობილიზებას. ქრისტიანობას მოჰქონდა შეცვლილი ხედვა, რომლის საფუძველი იყო ასკეტიზმი, მორჩილება, სულიერების განდიდება ხორციელობის ხარჯზე, თანასწორობის იდეა. ეს ნიშნავდა ინსტინქტების არა მხოლოდ რეგულირებას, არამედ – დათრგუნვასაც, რაც შეუძლებელი გახდა.

როგორც ვთქვით, ხელოვნებას ათასწლოვანი რეგრესის ჟამი დაუდგა, ხოლო კულტურამ დაკარგა განვითარების პერსპექტივა. მაგრამ ამ კრიზისული პერიოდიდან გამომყვანი იყო ისევ ინსტინქტების აღზევება, მათი ახლებური რეგულირება.

ეს კრიზისი იყო ქრისტიანობის თვალსაზრისით, რაც ერეტიზმად იწოდებოდა. რეალურად კი განახლების სიმპტომი იყო, როგორც ნაკადული გაზაფხულის თოვლქვეშ.

კრიზისის გააზრება ან არაცნობიერი განცდა პროგრესისაკენ ნახტომია, რადგან ნიშნავს ახალ თვისობრიობაში გადასვლას, ძველისადმი არა თაყვანსა და მორჩილებას, არამედ – კრიტიკულ დამოკიდებულებას, უარყოფის უარყოფას. კონტრკულტურა კულტურის არამთავარ, ფარულ ტენდენციებს ძირითად მიმართულებად აქცევს და ასე გამოჰყავს სულიერება კრიზისიდან.

რენესანსის მნიშვნელობა

ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რენესანსის ეპოქას. ეს იყო, როგორც ვიცით, ანტიკურობის აღორ-

ძინება (ბუნების შეცნობა, სხეულის კულტი, ტრაგედია, თეატრი, ლირიკა, სკულპტურა, არქიტექტურა), ბუნებრიობის აღდგენა, ჰუმანიზმი, რომელიც რელიგიის ალტერნატივად ყალიბდებოდა.

XIV-XVI საუკუნეებში ეს ტერმინი არც არსებობდა. იგი შემოიღეს მოგვიანებით. მაგრამ ჩინეთიდან ბრიტანეთის კუნძულებამდე რაღაც საერთო, ურთიერთმსგავსი ტენდენციები იქსელებოდა.

არც რენესანსის მოღვაწენი იცნობდნენ ერთმანეთს ან ერთმანეთის შემოქმედებას (მაგ., პეტრარკას ან ბოკაჩოს რუსთაველის სახელი არც გაეგონათ). მაგრამ ფსიქიკის ურთიერთმსგავსი ვიბრაცია ყველგან ნათესაურ წარმოდგენებს გამოსცემდა.

აქეთკენ მიჰყავდა ადამიანი რელიგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ევოლუციას, როგორც ოდესღაც ტოტემსა და ტაბუს, შემდეგ – პოლითეიზმს.

პირველი საუკუნეებისათვის კაცობრიობა მომზადდა ერთადერთი და წამებული ღმერთის აღიარებისათვის, რაც იყო ანიმისტურ-ტოტემისტური და ბელადის მკვლელობის მითოსურ-რეალური წარმოდგენების ქრისტეს სახეში შეჯამება.

ქრისტეს მითს კი ქმნიდნენ მთელი თაობები და ხალხები და სისხლით ამკვიდრებდნენ.

ათასი წლის გვემის, მარტვილობისა და ტრიუმფის შემდეგ ქრისტიანული სამყაროც მომზადდა ცვლილებებისათვის: თავისივე წიაღში, ერეტიკული და მუსულმანური წარმოდგენების ზეგავლენით, ცხოვრების სტიქიის დაწოლით მოამწიფა კონტრკულტურა, რომელმაც ხორცდაშრეტილი, საიქიოსაკენ მზირალი სახეები ადამიანური ვნებებით აღავსო და მიწიერი ღელვისაკენ მოაბრუნა.

როგორც ოდესღაც, როცა პირველი ღიმილი და სიმღერა აპობდა ველურის ბაგეებს, ისე ამჯერადაც ქალის სახე სინაზითა და სიმამაცით აღანთებდა მეომრის უხეშ სულს, ფალავანს რაინდად აქცევდა.

მაშინ ეს იყო დედა, ახლა – ქალწული მარიამი, სატრფო, ჰეტერა, კურტიზანი.

საიქიოსკენ მიპყრობილი ცივი მზერა ქალის სითბომ გაალღო. ვნებათა ახალი აფეთქება არღვევდა ქრისტიანულ მორალსა და ეთიკას და კულტურად გარდაისახებოდა, როგორც ძველ ათენში.

მეროვინგული და კაროლინგური კულტურა ადგილს უთმობდა რომანული სტილის ხელოვნებას. შემდეგ მას სცვლიდა ცადაჭრილი გოტიკა (მაგ., პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელსაც უამრავი ქანდაკება ამკობს), გოტიკურ ტაძრებს – ანტიკური ორდერული სისტემა.

სამყაროს ცენტრი ღმერთიდან ადამიანში გადმოდიოდა, რომელიც ბუნების ნაწილია. ეს არ ნიშნავდა ღმერთის კრიტიკას ან უარყოფას, არამედ – უზენაესისა და მიწიერის ჰარმონიზებას, რასაც ესწრაფოდა ფილოსოფია და ხელოვნება, არისტოკრატია და ბურჟუაზია, ქალაქური კულტურა.

რენესანსი ყველაზე მკვეთრად იტალიაში გამოვლინდა (ფლორენციის, სიენის, უმბრიის, რომის, ვენეციის, ფერარის, პადუის, მანტუის სკოლები), რომელიც რომის იმპერიის მემკვიდრე იყო, თუმცა თავისი სახელმწიფო არც ჰქონდა.

ერესი და სკეპტიციზმი

მსგავსი განახლებისაკენ, მეტ-ნაკლები ძალით, ყველა კულტურული ერი ისწრაფოდა. ამის გამო გაჩნდა „აღმოსავლური რენესანსის“ ცნება (შალვა ნუცუბიძე). შემდეგ მისი საწყისები შორეულ ჩინეთშიც დაინახეს (ნიკოლაი კონრადი).

ეს იყო პრერენესანსული მოძრაობა. იგი იცილებდა ასკეტურ, ფორმალიზებულ იდეალებს და იბრუნებდა ცხოვრების სურათებს. ამ პროცესში ყველაზე დიდი მოკავშირე და საყრდენი იტალიელებისათვის იყო ბერძნულ-რომაული კულტურა.

მათ თვალწინ ედგათ დიდი ისტორიის ნაშთები და აჩრდილები, რომელთაც ათასი წელი ნისლი ებურა.

როცა დაინახეს – ესეც გახდა შთაგონება, ხოლო XX საუკუნეში ფუტურისტ მარინეტისთვის ბორკილად იქცა, რომელსაც იტალია უზარმაზარ სასაფლაოს აგონებდა. ამიტომ მოითხოვდა ძეგლებისა და მუზეუმების განადგურებას, სულიერების ტექნიკით შეცვლას.

როგორც შალვა ნუცუბიძე შენიშნავს, მთავარი იყო რელიგიური ოფიციოზის დაძლევა, არა მისი უარყოფა, არამედ – მისგან გამოსვლა და დისტანცირება.აქეთკენ მიჰყავდა მოაზროვნე ფიქრს, ეჭვს, ყოყმანს, ანალიზს, რაც ერესის სახით ვლინდებოდა.

ერეტიკული მოძღვრებები ან გადაცდომა, ანათემა და დასჯა უკვე ახალ ეჭვსა და სკეპტიციზმს აღძრავდა, რაც საუკუნეთა მანძილზე ნიშნავდა ფიქრსა და ოცნებას.

ერეტიკულ მოძღვრებებს კი უხვად თხზავდნენ როგორც ქრისტეს, ისე მუჰამედის მიმდევრები (ერთი მხრივ – პავლიკიანები, ჰენრიხელები, ხონდრაკისტები, მაზდაკისტები, კათარები, მეორე მხრივ – დერვიშები, ფითიანები, ასასები, რინდები, სუფიები).

მათ უკან წარმართული ისტორია იდგა, თვალწინ – ბობოქარი ადამიანური ვნებები, ომი და ეროტიკა.

ბიზანტიურ მწერლობაში არც არასოდეს გამქრალა ინტერესი ანტიკისა და მითოსისადმი (მაგ., ნონოს პანოპოლელის პოემა „დიონისიაკა“ – V ს.), არც საერო მოტივები აღკვეთილა (მაგ., გიორგი პისიდიელის „პოემა ავართა შემოსევაზე“ – VII ს.). თავიდანვე ღვთის მსახურებმა ნეოპლატონისტური ნაკადი თეოლოგიის სამსახურში ჩააყენეს ანუ მოახდინეს ბერძნულ-რომაული კულტურის ქრისტიანიზება, როგორც ეს გააკეთეს საბჭოთა პერიოდში, როცა მასებს ეძლეოდათ კულტურისა და ისტორიის მარქსისტული ინტერპრეტაცია. მაგრამ როცა ერთი მხრივ არსებობდა ერესი და სკეპტიციზმი, მეორე მხრივ – დიდი წარმართული ტრადიციები, მათი ძლიერი ინერცია, საუკუნეთა მანძილზე სტიქია მაინც გაარღვევდა რელიგიური ინტელექტუალიზმის გარსს.

აქ მისტიციზმიც მოკავშირე იყო, როგორც მარად თანამდევი, შეუცნობელი, მაძიებელი ძალა (მაგია, კაბალა, ასტროლოგია, ალქიმია).

1215 წელს საეკლესიო კრებამ გამოაცხადა მწვალებელთა ძებნა და დასჯა.

1231-1235 წლებში პაპმა გრიგოლ IX-მ მწვალებელთა გამოვლენა დაავალა რწმუნებულებს – ინკვიზიტორებს.

ისინი ტრიბუნალებს ქმნიდნენ. შემდეგ ბრალდებულთა გამოსატეხად წამებაც შემოიღეს.

ჯადოქართა, მისანთა და ერეტიკოსთა სიკვდილით დასჯა – ჩამოხრჩობა ან კოცონზე დაწვა შემოიტანა პაპმა იოანე XXII-მ (1317). 192 ისინი სატანის მონებად ითვლებოდნენ.

ამ გადაწყვეტილებას უამრავი ადამიანი შეეწირა. მაგ., როგორც ვთქვით, დიდმა ინკვიზიტორმა ესპანელმა ტორკვემადამ ცოცხლად დაწვა 10.000 ქრისტიანი (XV ს.).

ფერდინანდ კათოლიკემ 1492 წელს ესპანეთიდან გაასახლა მილიონამდე ებრაელი, ორ მილიონამდე მაჰმადიანი, რასაც განუზომელი მსხვერპლი მოჰყვა.

„დეკამერონი“ დაწვა სავონაროლამ, ხოლო კათოლიკურმა ეკლესიამ აკრძალულ წიგნთა სიაში შეიტანა.

მთელს ევროპაში ინიკვიზიციის კოცონები გიზგიზებდა.

ასე ებრძოდა რწმენის კრიზისს კათოლიკური ეკლესია.

ჯვაროსნები და მუსულმანური აღმოსავლეთი

ამ პროცესს აჩქარებდა მუსულმანურ აღმოსავლეთთან ურთიერთობა, ორასწლოვანი ჯვაროსნული ომები (XI საუკუნის დამლევიდან XIII საუკუნის ბოლომდე), ბრძოლა ქრისტეს საფლავისათვის, იერუსალიმის გამოსახსნელად და დასაცავად.

რომ არა ჯვაროსანთა სისხლი, შეიძლება მუსულმანები ევროპას შესეოდნენ და ადრევე დაემხოთ კონსტანტინეპოლი (გოეთე, რენე გრუსე).

ასეულ ათასობით მეომარი რაინდი ჩავიდა მცირე აზიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში. უამრავი დაიღუპა, მაგრამ ბევრიც დაბრუნდა საფრანგეთსა და გერმანიაში, იტალიასა და ინგლისში, დაბრუნდა და ჩაიტანა განსხვავებული ხედვა და წარმოდგენები.

ისინი ილექებოდა მოაზროვნეთა ცნობიერებაში, აყალიბებდა საერო და ჰედონისტური ცხოვრების კულტს, სიცოცხლის და სტიქიის პრიმატს, რაინდობასა და სიყვარულს.

აზიაში ქრისტიანი და მუსულმანი მეომრები ერთმანეთს კარგად გაეცნენ. ერთმანეთს ხოცავდნენ, თანაც მეგობრობდნენ, ზოგჯერ უჩვეულო ლმობიერებასაც იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ (მაგ., სალადინი, ვინც იერუსალიმი დაიბრუნა ჯვაროსანთაგან).

ერთმა მუსულმანმა სარდალმა გაიგო, რომ შუა ომში რიჩარდ ლომგულს ცხენი დაღლოდა და ბრძოლა უჭირდა. მუსულმანმა ორი ცხენი შეაშველა ქრისტიან მეტოქეს!

ასეთი სიახლოვე არ არსებობდა საქართველოში. აქ მხოლოდ დაუნდობელ მტერს ხედავდნენ მუსულმანურ სამყაროში, იმდენად დიდი იყო რწმენა და ტრადიცია.

საოცარია, როგორ უნდა წარმოშობილიყო ქრისტიანული დოგმებით შებოჭილ XII საუკუნის საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“. ეს მაშინ, როცა V საუკუნიდან მოყოლებული არც ერესი მძლავრობდა, არც ეროტიკა და საერო მოტივები, არც ანტიკური თემები.

მაგრამ ერთია ამგვარი შინაარსით პოემისა და რომანის თუნდაც აღვსება, მეორე – მისი უმაღლესი მოდელირება.

ავტორსა და მთარგმნელს აღმოაჩნდათ სიცოცხლის უზომო წყურვილი, რაც მოიკლეს აღმოსავლურ, არაქრისტიანულ სივრცეში.

საქართველოშიც ჰუმანურობა ვლინდებოდა რაინდობითა და ქალის კულტით. აქაც დიდად ფასობდა მეომარი, რომელსაც ახალი ღირსება მოჰქონდა.

ქრისტიანთათვის აღმოსავლეთი არც იყო ასკეტური. აქაც უამრავი სუბკულტურა მოქმედებდა (მაგ., სუფისტური, დერვიშული, ფუთუვეთური, აჰიური, რინდული), რაც სიცოცხლის სტიქიას განასახიერებდა.

ინკვიზიციის კოცონები ვერ ახშობდა სისხლის სიმღერას, ერესსა და ეროსს.

სექსი და ეროტიკა

ზვიად გამსახურდიას აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ქრისტიანული წარმომავლობის მუსულმანური სუფიზმი შეერწყა არეოპაგიტულ საიდუმლო ღვთისმეტყველებას, საიდუმლო ტრფიალების გაგებას, ქალის ქრისტიანულ კულტს, რაც ჩვენში გამოიხატა თამარ მეფის გაღმერთებით.

სულიერი პროგრესი, ფრ. ნიცშეს სიტყვით, წინ მიჰყავთ თავაწყვეტილ, გაუწონასწორებელ და სუსტი მორალის პიროვნებებს, ე.ი. მათ, რომლებიც არღვევენ დამკვიდრებულ წესრიგს.

ბევრი მათგანი იღუპება და უკვალოდ ქრება. მაგრამ ისინი ასუსტებენ და აავადებენ მტკიცე და კონსერვატიულ საზოგადოებას. ძლიერი ნატურები მას იცავენ, მეამბოხენი – ანგრევენ, სუსტები – უძალობის გამო ნელ-ნელა შლიან.

სუსტი არის ის, ვისაც აწვალებს „არასრულფასოვნების კომპლექსი“ (ალფრედ ადლერი) და ამიტომ ცხოვრებამ გაინაპირა. მაგრამ აქვს შინაგანი, ძალაუფლების ნება, რაც გადააქვს სულიერ სფეროში.

ისინი აწყლულებენ სტაბილურ საზოგადოებას, ეთიკურ და ესთეტიკურ ნორმებს. ამას აღიქვამენ როგორც ბედისწერის დარტყმას.

ეს იწვევს განკურნების მოთხოვნილებას ანუ ლპობისა და გახრწნის პროცესი აჩენს ახალ ყვავილებს, რაც ნიშნავს განახლებას, გაზაფხულის დადგომას.

უკან იხევენ, რათა გააკეთონ დიდი ნახტომი.

შვედმა ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ საცობებისაგან განმუხტვას ხელს უწყობენ სწორედ ის მძღოლები, რომლებიც არღვევენ მოძრაობის წესს!

ევროპელი ხალხები ნაკლებად ცხოვრობდნენ ქრისტიანული მორალით. ჩვეულებრივი ამბავი იყო ქალის მოტყუება, გაუპატიურება, ცემა, ორცოლიანობა, აზარტული თამაშები, ქურდობა და მკვლელობა, მონათვაჭრობა, ბილწსიტყვაობა (ეპისკოპოსთა წრეშიც კი).

არც ქალები გამოირჩეოდნენ კდემამოსილებით. ისინიც თავიანთი წინაპარი რომაელებივით იქცეოდნენ.

მოქმედებდა „პირველი ღამის“ სენიორული უფლება, რელიგიური და სამოქალაქო პროსტიტუცია. გავრცელებული იყო ეროტიკული სექტები (მაგ., პიკარდისტების), მასობრივი სისხლის აღრევა. თითქოს სირცხვილი უფალს შესწირეს. ზოგი დღისით, ხალხის თვალწინ, შიშველი ეძლეოდა ორგიას, ზოგიც ცოლით ვაჭრობდა (ჩეზარე ლომბროზო).

გარყვნილებისა და უზნეობის წინააღმდეგ კანონებს ღებულობდნენ, ჯარიმებს აწესებდნენ, არეგულირებდნენ მეძავთა მოქმედებასა და სამყოფელს, ქურდებს ამათრახებდნენ, ცხელი რკინით დაღავდნენ, თვალებს სთხრიდნენ. მაგრამ ვერც სასამართლო, ვერც ეკლესია ჭუჭყისა და ბიწიერების ნაკადს ვერ აკავებდა.

ვერც ღვთისმსახურები იცავდნენ დაწესებულ ასკეტურ დოგმებს, თვით ქრისტეს მოსაყდრე რომის პაპებიც კი (მაგ., ალექსანდრე VI ბორჯია, ბალთაზარ კოსა).

„მღვდლების უმრავლესობა მექრთამე და გარყვნილია“, – წერდა თომა აქვინელი.

მეომართა მასობრივი დაღუპვა აღმოსავლეთში და ქალთა სიმრავლე ფანტასტიკურად ზრდიდა პროსტიტუციასა და ალკოჰოლიზმს.

პროსტიტუციამ მოიცვა ქუჩა, თეატრი, ცირკი, მონასტრები, არა მხოლოდ სახლები და გადავიდა სისხლის აღრევასა და ჰომოსექსუალიზმში, ლესბოსურ სიყვარულში. სამეფო კარი გახდა მეძავების თავშესაფარი.

მარგარიტა ვალუას მთელი სიცოცხლე საყვარლებად თავისი ძმები ჰყავდა, მათ შორის – კარლ IX.

ეკატერინე მედიჩის ჰყავდა 300-მდე მეძავი, რომლებიც დედოფლის მითითებით სექსუალურ ქსელს ხლართავდნენ.

მეძაობამ იმდენად დიდი მასშტაბი მიიღო, რომ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო IX კანონიც კი გამოსცა პროსტიტუტკების ქვეყნიდან გასაძევებლად. მეძავს ერქვა რიბაუდ, შეკრების ადგილებს – პუტარია და პუტაგიუმი, ქოხს – ბორდე (აქედან – ბორდელი).

ერთი სიტყვით, სექსი და მღვრიე ცხოვრება წალეკვით ემუქრებოდა ქრისტიანულ წესრიგსა და ასკეტურ ნორმებს, არისტოკრატთა გარეგნულ ბრწყინვალებას.

ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, მოაზროვნეთა შორის კარგად იყო ცნობილი ანტიკური კულტურის კორიფეები, ერეტიკული და მისტიკური მოძღვრებები, აღმოსავლეთში, სუფისტურ პოეზიასა და პროვანსელ ტრუბადურებთან, იტალიასა და არაბულ ესპანეთში გავრცელებული ქალის კულტი, როგორც ღვთაების ალეგორია. ახალი აღთქმა, ფსევდო-დიონისე, თომა აქვინელი სიყვარულს აიგივებდნენ სოფიასთან, სულიწმინდასთან, ღმერთთან. შემდეგ ერთმანეთს გამოეყო ქალის კულტის რეალური და მისტიკური გაგება.

სიცოცხლის ღელვა გადაიჭრა ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, ისტორიოგრაფიაში, არქიტექტურაში, ფერწერასა და სკულპტურაში, თეატრსა და მუსიკაში, საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ეს პროცესი ვითარდებოდა ინკვიზიციური სასამართლოებისა და კაცთშეწირვის პარალელურად, რაც ვერ სძლევდა მშფოთვარე სულსა და ვნებებს, სწრაფვას თავისუფლებისაკენ.

რწმენის რღვევა და გარყვნილება ხელს უწყობდა აღორძინებას. ეს მაშინ, როცა რომი სწორედ აღვირახსნილ ცხოვრებას გადაჰყვა.

XV საუკუნის იტალიაში ფართოდ გავრცელდა ესთეტიკური პროსტიტუცია. მშვენიერების კულტმა და მარტოობამ ძლიერი ბიძგი მისცა სულიერ პროგრესს, როგორც პერიკლეს საბერძნეთში (თავად პერიკლემ ჰეტერა ასპაზია შეირთო ცოლად).

კათოლიკური ეკლესია შეეცადა სექსის რეგულირებას, ჯვარის-წერასთან ერთად ქალწული მარიამისადმი მისტიკური სიყვარუ-ლით, რაც წარუმძღვარა რაინდობის ინსტიტუტს. ასე რომ – ერესი და სექსი იქცა რენესანსის საფუძვლად, რამაც ადამიანები მიაბრუნა ანტიკისაკენ, მღვრიე ცხოვრებისაკენ.

კურტუაზული იდეალები

რაინდი ძველ მეომრულ ტრადიციებს ახამებდა მაღალ, საერო საზოგადოების ინტერესებთან.

VIII საუკუნიდან ევროპაში მკვეთრად გაიყო ქრისტიანული აღზრდის ორი ფორმა – სასულიერო და სარაინდო (საერო).

პირველი რაინდები ფრანკები იყვნენ, რომელთაც მიიღეს ძველ-გერმანული „მხედრის“ (der Ritter) სახელი (ქართული რაინდი მო-დის მუსულმანური რინდისაგან).

მათი არქეტიპი იყო დრაკონის მმუსვრელი წმ. გიორგი. რაინ-დობის გაგებაზეც გავლენას ახდენდა ჯვაროსნული ომები, არაბული ესპანეთი და საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა. მაგრამ მუდამ ჰქონდა მისტიკური ხასიათი.

რაინდი ხან მოხეტიალე მეომარი იყო, ხან – კარის მსახური, ზოგჯერ კი – თავისი მამულის მკვიდრი.

XIII საუკუნიდან რაინდის აღზრდას სჭირდებოდა სამი შვიდწლიანი ციკლი. პირველი 7 წელი მშობლებთან სრულდებოდა. შემდეგი 7 წელი მომავალი რაინდი სასახლის კარზე პაჟი (ვალეტი) იყო. მესამე 7 წელი რომელიმე დამა (ქალბატონი) უნერგავდა ქრისტიანულ რწმენას, მამაკაცები კი ასწავლიდნენ ქცევის წესებს, იარაღის ხმარებას, ცხენოსნობას, ცურვას, მშვილდოსნობას, ფარიკაობას, ნადირობას, სიმღერას.

21 წლიდან ჭაბუკი რაინდად იყო ინიცირებული და ატარებდა ტილოს თეთრ ტანსაცმელს (ლათ. candidus – თეთრი, აქედან – სიტყვა „კანდიდატი“, სახელი „კანდიდი“).

ტურნირზე გამარჯვებულ რაინდს დამები გადასცემდნენ ჯილდოს, უძღვნიდნენ სიმღერებს, კონფლიქტური სიტუაცია კი დუელს უნდა გადაეჭრა. შეიძლება ეს შებრძოლება სიკვდილით დამთავრებულიყო.

დამარცხებული თუ გადარჩებოდა, კარგავდა რაინდის ტიტულს.

ეს წესი მთელს ევროპაში ტრადიციად იქცა და თუმცა შემდეგ აიკრძალა, მაინც გრძელდებოდა (მაგ., პუშკინი და ლერმონტოვი დუელში მოკლეს).

რაინდი უნდა ყოფილიყო დიდსულოვანი, კანონიერად შობილი, უხვი, გამორჩეული, მამაცი. ამ ხუთი ლათინური სიტყვის პირველი ასოებით იყო კოდირებული რაინდული სისტემა – Miles, რაც მეომარს ნიშნავდა (ა. სკრიპნიკი).

არსებობდნენ მწვანე, თეთრი, წითელი და შავი რაინდები, რაც შეესაბამება აპოკალიპსის ცხენთა ფერების სიმბოლიკას. ყოველ მათგანს რთული აზრობრივი პლასტები გააჩნია.

რაინდის სპეციფიკური თვისება იყო ქალის კულტი, რომლის საფუძვლად მიიჩნევდნენ ღვთისმშობლისადმი თაყვანს, რომ ქალწულ მარიამისადმი სიყვარულის შუქის ანასხლეტი დაეცა დედო-

ფალს ან რომელიმე სენიორის მეუღლეს (მაგ., ქრეტიენ დე ტრუას უბრალო რაინდი ლანსელოტი დიდხანს ეტრფოდა დედოფალ ჯინევრას და ბოლოს შესძლო ქალის მოხიბვლა).

რაინდი მას ირჩევდა, ხდებოდა მისი ვასალი, მსახური და დამცველი. უნდა გაეძლო მრავალი გამოცდისათვის და შეიძლებოდა სურვილი ვერც აეხდინა. მადონამ დაიკავა ღვთისმშობლის ადგილი. ღვთაებრივი სიყვარულის იდეა ქალის სხეულით შეიმოსა.

საომრად მიმავალი რაინდის მეუღლე „ერთგულების ქამრით“ იყო შეკრული, რათა ქმრის ღალატი ვერ შესძლებოდა.

რაინდები ერთი მხრივ წესიერებასა და წესრიგს განასახიერებდნენ, მეორე მხრივ – უცხოთა მიმართ და უცხო გარემოში ჩვეულებრივი ავაზაკებივით იქცეოდნენ.

უფრო მკაცრი იყო ტამპლიერების, ჰოსპიტალიერების, ტევტონების რაინდულ-სულიერი ორდენები, რომლის წევრებს მიწიერი სიყვარული ეკრძალებოდათ – მათთვის მხოლოდ ქალწული მარიამი არსებობდა.

ესენი იყვნენ რაინდი ბერები. რაინდი – ეს იყო სული, ხოლო ცხენი – სხეული.

სერვანტესის ალონსო კიხანო, 50 წლის მამაკაცი, ეურჩება დროის ცვალებადობას, გაფერავს დაჟანგულ აბჯარს, ამხედრდება ძვალტყავა როსინანტზე და სანჩო პანსასთან ერთად მიდის საგმირო საქმეთა აღსასრულებლად, არარსებული ქალბატონის დულსინეა ტობოსელის საპოვნელად.

რაინდული სიყვარულის მისტიკამ მოატანა XX საუკუნემდე (მაგ., იგი საბედისწეროდ აისახა ალექსანდრ ბლოკის ცხოვრებასა და პოეზიაში).

რაინდული ქალის კულტი ყველაზე ადრე და სრულყოფილად გამოვლინდა დამოუკიდებელ პროვანსში, საკარო (კურტუაზულ) ლიტერატურაში.

პროვანსი (თანამედროვე საფრანგეთის სამხრეთი პროვინცია, ხმელთაშუაზღვისპირეთი) ესაზღვრებოდა ესპანეთის არაბულ კულ-

ტურას, საიდანაც ვრცელდებოდა მავრიტანიული ხელოვნება, ცეკვა და სიმღერა, ანდალუზიური ეროტიკული პოეზია.

სუფისტური ასკეტიზმი აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების ზეგავლენით (ზვიად გამსახურდია). არაბთა ეროტიკულ პოეზიაში სატრფო არის ღვთის სიმბოლო. სატრფო გააღმერთეს როგორც ევროპელმა რაინდებმა და პოეტებმა, ისე აზიელმა რუსთაველმა.

რაინდული სიყვარული, მეომრის სიმამაცე არღვევდა ცოლქმრულ ერთგულებას და პოეტები ღალატს უმღეროდნენ (ენგელსი).

მაგ., სერენადა საღამოს სიმღერაა, რომლითაც მიჯნური სატრფოს მოუხმობს, ხოლო ალბა – დილისა, რომლითაც მეგობარი აფრთხილებს შეყვარებულს, რომ განშორების დრო მოვიდა.

ერთმანეთს დასცილდა მისტიკური სიყვარული და რეალური ვნება. პროსტიტუციის ტალღის დაწმენდა და რეგულირება, პროტესტი მორიგებით გათხოვებისადმი – ეს იყო ტრუბადურების სიყვარული.

პროვანსელმა ტრუბადურებმა ლექსი და სიმღერა გააერთიანეს, შექმნეს ლირიკის ახალი ფორმები – კანცონა, სერენადა, ალბა, ბალადა, პასტორელა.

ამ ხაზს აგრძელებდნენ ფრანგი მენესტრელები და ტრუვერები (მაგ., ქრეტიენ დე ტრუა), გერმანელი მინეზინგერები (მაგ., ვოლფრამ ფონ ეშენბახი, ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე).

სარაინდო რომანებშიც მთავარი იყო ქალისადმი სამსახური. მათგან განსაკუთრებით პოპულარული იყო კელტურ-ბრეტონული ციკლის რომანები ტრისტანსა და იზოლდაზე, მეფე არტურსა და წმინდა გრაალზე.

ალბიგოლების განადგურების შემდეგ (1218) ტრუბადურები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ და იქ შეიტანეს მხურვალე სუნთქვა.

შემდეგ დრომ წაშალა მისტიკური სიმბოლოები და ალეგორიები, დაიკარგა ეზოტერული ცოდნა, დარჩა აზრისაგან დაცლილი სიუჟეტები და პერსონაჟები.

კურტუაზულმა ლიტერატურამ, ჰედონიზმმა და ეროტიკამ დაარღვია ქრისტიანული ასკეტიზმი და სქოლასტიკა, რაც საერთო რენესანსული მოძრაობის საწყისი გახდა. შემდეგ ფლორენციაში აღდგა პლატონის აკადემია, სადაც მთავარი იყო საუბარი და დიალოგი.

რენესანსმა წარმოშვა უდიდესი სახელები: საქართველოში – რუსთაველი, იტალიაში – დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო, რაფაელი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, საფრანგეთში – რაბლე, ინგლისში – შექსპირი, გერმანიაში – ლუთერი, დიურერი, ესპანეთში – სერვანტესი...

რენესანსის ნიადაგზე დგას თანამედროვე ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, საზოგადოებრივი აზროვნება.

აღორძინების დროიდან კულტურამ დატოვა რელიგიის წიაღი, თუმცა შეინარჩუნა ბინდი და იდუმალება და მიიღო სრულიად ახალი ფორმები – კლასიციზმი, ბაროკო, როკოკო. ეს იყო ანტიკური სახეების გაქვავება და ესთეტიზება, დაცილება იმ მღელვარე ცხოვრებისაგან, რომელმაც რენესანსი გამოიწვია, აბსოლუტური მონარქიისა და არისტოკრატიზმის კულტი.

ალქიმიიდან გამოვიდა ქიმია, ასტროლოგიიდან – ასტრონომია, ჯადოქრობიდან – მედიცინა, ხატწერიდან – ფერწერა, თეოლოგიიდან – ფილოსოფია, ჰიმნოგრაფიიდან – პოეზია, ჰაგიოგრაფიიდან – პროზა, ლიტურგიკული დრამიდან – თეატრი ანუ რწმენის იდუმალება დღის სინათლით იმოსებოდა.

ადამიანის ინდივიდუალობა მხატვრობაში დააფიქსირა პორტრეტმა, ლიტერატურაში – ვნებებმა და კონფლიქტებმა.

XVI საუკუნეში აღორძინების ეპოქის იდეები გადავიდა რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობაში კათოლიციზმის წინააღმდეგ, რაც რეფორმაციის სახელით არის ცნობილი.

მარტინ ლუთერი განუდგა რომის პაპს, უმთავრეს ავტორიტეტად გამოაცხადა საღმრთო წერილი (და არა საეკლესიო ტრადიცია), მოძღვრება რწმენით სულის გამოხსნის შესახებ.

კათოლიციზმისაგან განდგომამ რევოლუციები და სახალხო აჯანყებები გამოიწვია დასავლეთ ევროპაში.

ლუთერანობა გავრცელდა გერმანიაში, ფინეთში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ისლანდიაში. აქედან გადავიდა ინგლისში, სადაც ჩამოყალიბდა ანგლიკანური ეკლესია.

შვეიცარიაში თეოლოგმა ცვინგლიმ ეკლესია დაუქვემდებარა კანტონებს; კალვინის მოძღვრებამ გაიმარჯვა შოტლანდიასა და ჰოლანდიაში, ხოლო საფრანგეთში დიდი სისხლისღვრა, სამოქალაქო ომები მოჰყვა (მაგ., ბართლომეს ღამე – ჰუგენოტების ამოხოცვა).

პროტესტანტული მოძრაობა ანელებდა რელიგიურ ფანატიზმს, იწვევდა სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს, კულტურის განთავისუფლებას რელიგიის დიქტატისაგან. მაგ., ლუთერანები და კალვინისტები 7 საიდუმლოდან სცნობენ მხოლოდ ორს – ნათლობასა და ზიარებას.

კრიზისი რელიგიაში იყო პროგრესი ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის, პოლიტიკური და სოციალური აზროვნებისათვის.

ასე იყო ევროპაში.

საქართველოში კი კულტურას რადიკალურად ცვლიდა პოლიტიკური კრიზისი, პოლიტიკური ორიენტაცია.

ჩიხი და პერსპექტივა

ევროპულმა კულტურამ შესძლო ჩიხიდან გამოსვლა, იპოვა განვითარების პერსპექტივა, ოღონდ ჯერ ეს დაინახა წარსულში – ანტიკურ ძეგლებში.

კლასიცისტებისათვის ლუი XIV – ეს იგივე ავგუსტუსი იყო.

შემდეგაც, XIX თუ XX საუკუნეშიც, მრავალი ამტკიცებდა, რომ ევროპა დაბერდა, რომ დალპა კაპიტალიზმი, რომ მოკვდა ლექსი,

რომანი და თეატრი, რომ ევროპელი სულის კრიზისმა შეიპყრო, დეპრესიამ და ნიჰილიზმმა.

ამიტომ ხსნად მიაჩნდათ ბარბაროსობისაკენ უკუქცევა.

პესიმისტური პროგნოზები არ მართლდებოდა, არც ევროპის აღსასრული დამდგარა, გადაიტანა ორი აპოკალიპსური წარღვნა და ნანგრევებიდან ამოვიდა.

ზოგს მიაჩნია, რომ ყველა კულტურა საინტერესოა და თანაბრად საგულისხმო. ამგვარი მტკიცება გამორიცხავს ღირებულების ცნებას, რადგან განფენილობით, გავლენის ძალით, სიცოცხლის უნარით ერთ სიბრტყეზე ვერ დავაყენებთ, ვთქვათ – გერმანულ და ირანულ კულტურას, რომანულ და სლავურ კულტურას, მოდერნიზმსა და სოციალისტურ რეალიზმს.

აფრიკული ან ავსტრალიური ტომებისა და ხალხების მიღწევებზე საუბარიც ზედმეტია. აქ უეჭველად ეკუთვნის პრიორიტეტი ევროპას, დაწყებული ძველი საბერძნეთიდან.

ბედუინი, რომელიც მცხუნვარე მზეში აქლემით სერავდა უდაბნოს, ან ინდოელი, რომელიც ბუდისტურ პაგოდაში ნირვანას ეძლეოდა, ვერ აღმოჩნდა ისეთი მაძიებელი და მოუსვენარი, ვინც ახალ პერსპექტივას მიაგნებდა.

ევროპელი სწორედ თავისი დაუცხრომელი ბუნების გამო, ნებსით თუ უნებლიეთ, მიდიოდა ექსპერიმენტზე, ეძებდა, მოგზაურობდა, იპყრობდა, სისხლს ღვრიდა. ამ მშფოთვარე გზაზე არც მომმეს ინდობდა, არც მეზობელს.

ამიტომ სდებდა გერმანელი ფაუსტი ეშმაკთან ხელშეკრულებას.

ევროპის კონტინენტმა გადაიტანა ყველაზე მეტი, ყველაზე სასტიკი ომები. შესაბამისად – მსხვერპლიც განუზომელი იყო.

მიუხედავად ამისა, სწორედ ევროპამ გაასწრო აზიის ქვეყნებს, მსოფლიოს უკარნახა თავისი ხედვა, კულტურისა და ცხოვრების სტილი.

აქ ორი მთავარი ძალა უნდა გავიაზროთ – რომანული და გერმანული. საერთო ფუძე კი ელადა იყო, რომელიც, თავისი მხრივ – აღმოსავლეთიდანაც, კერძოდ – ეგვიპტიდან სესხულობდა იდეებს.

ეგვიპტესა და მესოპოტამიას არ აღმოაჩნდა ისეთი მემკვიდრე, როგორიც – ელადასა და რომს. დიდი ხნის შემდეგ მათ ისევ ევროპამ მიაგნო და უპატრონა.

რომის იმპერიის დამხობა კულტურის კატასტროფა იყო.

აპოლონური სინატიფე დამარცხდა დიონისურ ბარბაროსობასთან 600-წლოვანი ჭიდილის შემდეგ. მაგრამ გერმანულმა ტომებმა მიიღეს ქრისტიანული მრწამსი, რომელიც აღმოსავლეთიდან მოვიდა, თავი გამოაცხადეს რომის მემკვიდრეებად. ამ სახელით სახელმწიფოც შექმნეს – „გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია“, რომელმაც 800 წელი იარსება.

ევროპას ქაოსი და ანარქია წალეკავდა, რომ არა ქრისტეს რწმენა. ჯვარცმულის სახელით მოხერხდა ბარბაროსულ ძალთა კულტურიზება, რომანული ინტელექტისა და გერმანული ენერგიის ბალანსირება, იუპიტერისა და ოდინის შვილთა მორიგება.

ევროპას მართავდნენ: სულიერად – ქრისტიანული, კათოლიკური ეკლესია, ფიზიკურად – გერმანული ტომები, მათგან წარმომდგარი სახელმწიფოები (მაგ., საფრანგეთი და ინგლისი).

კონსტანტინეს ქალაქი კი აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა და ამ მზერას შეეწირა კიდეც.

ეგვიპტე და მესოპოტამია დავიწყებას მიეცა, ქვიშა ფარავდა და მზე შლიდა პირამიდებსა და ზიქურათებს; ინდოელები და ჩინელები ევროპისაკენ არ ისწრაფოდნენ; თურქი და სპარსი ჰაშიშით, ომებითა და ჰარამხანებით ერთობოდნენ; დიდი სპარსული პოეზია ჩაიკეტა თავის სფეროში და საკუთარ თავს იმეორებდა, განვითარება კი მიღებასა და გაცემას გულისხმობს.

როგორც ადამიანი ვერ იქნება იზოლირებული გარემომცველი მატერიისა, საგნებისა და ცოცხალი არსებებისაგან, ისე კულტურა ჰერმეტულ სივრცეში განწირულია რეგრესისა და დაღუპვისათვის.

სიმშვიდე, სიწყნარე და სიჩუმე ენერგიის სინაკლეზეა. მაგრამ მოჭარბებულ ძალასაც, რაც ჰქონდათ მუსულმანებს, სჭირდება წარმართვა და ინტელექტუალიზება, სულიერ სფეროში გადატანა (მაგ., ჰუნებმა და მონღოლებმა კულტურა ვერ შექმნეს).

ეს შეძლეს ევროპელებმა და მათ რენესანსის სახით კიდევ ერთხელ დაძლიეს კრიზისი და იპოვეს განვითარების პერსპექტივა, გადაიტანეს თავიანთი სახელი და კულტურა ძველ და ახალ კონტინენტებზე.

როგორც ლოკალური და დროებითი, ისე გლობალური კრიზისები ახლავს ყოველ დროს, ყოველი ქვეყნის კულტურას, სტილსა და მიმართულებას, რაც გარდატეხის წინაპირობაა.

4. ექსპერიმენტი – ესთეტიკური და ანტიესთეტიკური

ექსპერიმენტი კულტურასა და ხელოვნებაში იგივეა, რაც მუტაცია გენეტიკაში. ოღონდ იწვევს და წარმართავს გონი – მისტიკურად თუ ნატურალისტურად შეფერილი.

ხელოვნების ორ კლასიკურ ტიპს – კლასიცისტურსა და რომანტიკულს, XX საუკუნემ დაუმატა მესამე ტიპი – ავანგარდისტული.

მას იწყებენ მხატვრობაში კუბიზმი და ლიტერატურაში ფუტურიზმი. შემდეგ კი მოედო მთელს ხელოვნებას, წარმოქმნა სკოლები და მიმდინარეობები.

ისინი ტრადიციაში არსებული ტენდენციების, დეტალების, ნიუანსების უნივერსალიზებას ახდენენ. მაგ., ეს იყო ემილ ზოლას ნატურალიზმი, ემილ ვერჰარნის ურბანიზმი, აფრიკული ქანდაკება, ინდიელთა ცეკვები, პრიმიტივიზმი, ტექნიციზმი, სიცოცხლის ფილოსოფია და ეგზისტენციალიზმი.

ავანგარდიზმი ცდილობს ჰეროიზმისა და ლირიზმის გაუფასურებას. მათ ადგილს იკავებს ნიჰილიზმი, ცინიზმი, გროტესკი, სამეცნიერო ინფორმაცია, გეომეტრიული ფიგურები, აბსტრაქციები, ალოგიზმი, სახეების ავტომატური რეესტრი.

ავანგარდიზმი აღიარებს გონებას, მაგრამ არა ლოგიკურს, არამედ აბსურდულს, არა წესრიგს, არამედ საგანთა რღვევას. აზრი გადასულია ავტომატიზმში, მანქანურ მოქმედებაში, ელექტრონულ მუსიკაში, სტიქიურ სიტყვათნაკადში.

ავანგარდიზმი ექსპერიმენტს ეფუძნება, ცდასა და ძიებას, სიახლისაკენ სწრაფვას, რაც ხშირად გადის ესთეტიკური სფეროდან და უპირისპირდება მშვენიერების კლასიცისტურ ან რომანტიკულ იდეალს.

თავად ექსპერიმენტის საფუძველი კი არის ცნობიერების მანქანური მოდელირება, ტექნიციზმით შეფერილი ხედვა, რაც ავრცობს თვალსაწიერს, მაგრამ ეკარგება ნაცნობი, აპრობირებული იდეალი.

ამდენად, ავანგარდიზმი არის მოდერნიზმის უარყოფა, შესაბამისად – რომანტიზმის, იმპრესიონიზმის, სიმბოლიზმის უკუგდება, „მსოფლიო სევდის“ სანაცვლოდ ნიჰილიზმისა და აბსურდის გაბატონება (შდრ. ელდარ შენგელაიას კინო-ფილმი „ტიანშანი ანუ ცისფერი მთები“).

ავანგარდიზმი ურბანული და ინფორმაციული კულტურაა.

სულის კრიზისი

ცხოვრებას, ენას, ადათ-წესებს ქმნიან მასები, კულტურას – ერთეულები. ერთეულები მასმედიის, ხელოვნების ფორმების, ადამიანთა ინტერესების დიფერენცირების გამო ვეღარ წარმართავენ მასების გემოვნებასა და მოთხოვნილებას.

ეს შეიძლებოდა სახელმწიფოს დიქტატითა და კონტროლით, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში კულტურა თავისუფალია და თითქმის სტიქიურად რეგულირდება.

ათასი ცდიდან ამართლებს ერთი ანუ რაოდენობრივი გადადის თვისობრივში, მაგრამ ამ ერთსაც ერთეულები ენდობიან.

ტყეში გზადაბნეული, მაგრამ ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, რომელიც ეძებს გამოსავალს, ზოგჯერ სრულიად შემთხვევით აღმოაჩენს ახალ, უცნობ გზას (ფრ. ნიცშე).

დღეს ინგლისში ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 90%, აშშ-ში – 85%. ურბანული გარემო და ინფორმაციის სიხშირე, თავისუფლება და დემოკრატია ცვლის სოციალურ სტრუქტურას, საზოგადოების მოთხოვნილებას. მას არ აქვს ის ინტერესები, რაც გუშინ ჰქონდა.

მაგ., სუსტდება ნათესაური კავშირები, მცირდება ოჯახური გარემოს მნიშვნელობა, მეზობელი თითქმის აღარ არსებობს. პიროვნების თავისუფლების გაგებას მინიმუმამდე დაჰყავს სოციალური კონტროლი. ურთიერთობები პრაგმატულია და ზედაპირული. ზოგადად ყველა და ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება, მაგრამ – არა კონკრეტულად.

ქალაქებში ცხოვრობდა ინდუსტრიული მუშათა კლასი, დღევანდელ მეგაპოლისებში – ინტელიგენტი-ინფორმატიკოსი, რომელიც კომპიუტერით ეცნობა და მართავს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებს, თავდაცვის სისტემას თუ კოსმოსურ სადგურებს, ჰყავს ვირტუალური მეგობრები.

საჰაერო რეისებით, ეკონომიკური კავშირებით, ინტერნეტქსელით, სახელმწიფოებრივი კონტაქტებითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებით გაერთიანებულ სამყაროში ადამიანი გახდა „მომთაბარე – კოსმოპოლიტი“ (ო. შპენგლერი), „უცხო“ (გ. ზიმელი) და „მარგინალური“ (რ. პარკი), რომელსაც აღარ გააჩნია მყარი ინტელექტუალური ინტერესები.

შრომისა და დროის დანაწილება, ცხოვრების რიტმი და კომფორტი, ვირტუალური სამყაროს აღმატება რეალურზე, რეალურის

ცენტრალიზება და დეტალური სტრუქტურიზება ასევე ამცირებს გრძნობების მნიშვნელობას. მათ უმორჩილებს პრაგმატულ და ტექ-ნიკურ ურთიერთობებს.

ასეთი ადამიანები სტანდარტულია და აქვთ ერთმანეთის მსგავ-სი ინტერესები და მოთხოვნილებები. მათ სჭირდებათ, თუ სჭირ-დებათ საერთოდ, მასობრივი კულტურა, როგორც გართობა, დოპინგი და ნარკოტიკი.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევიდან ლიტერატურაშიც იწ-ყება ფიქრი კულტურის კრიზისზე, სიცოცხლით დაღლაზე, სიკვ-დილისაკენ სწრაფვაზე (მაგ., პ. ბურჟე, მ. ბარესი, ე. ვერჰარნი, რ. როლანი, პ. ვალერი, თ.ს. ელიოტი, თ. მანი).

მარტინ ჰაიდეგერის სიტყვით, ბერძნებს არ შეუქმნიათ თეო-რიული ესთეტიკა და ამიტომაც ჰქონდათ დიდი ხელოვნება. თანა-მედროვეობა უღრმავდება ესთეტიკურ აზრს და საგანს კი შორდება. ამიტომ მიაჩნია, რომ დასავლური კულტურა ნიჰილიზმითაა დაა-ვადებული და საზოგადოება არარაობისაკენ მიექანება, როგორც ბნელი ექსპრესი.

კარლ იასპერსი ნიჰილიზმს უკავშირებს ფრიდრიხ ნიცშეს სა-ხელს, მის აფორიზმს, რომ ყველაფერი ნებადართულია. თავად ნიც-შე ამგვარი დეკადენტობის საწყისს ხედავდა სოკრატესთან. მაგრამ აქ ეკლეზიასტეც უნდა ვახსენოთ, ისრაელის მეფე, დავითის ძე – „ამაოება ამოებათა, ყოველივე ამაოა“.

გამოდის, რომ კაცობრიობას მუდამ სდევდა მტანჯველი არარაობის შეგრძნება. ამიტომ ჟან პოლ სარტრი ნიცშეს მსგავსად იტყვის, რომ თავად ადამიანი არის არარა.

ამგვარი ტოტალური ნიჰილიზმის მძლეველი ძალა ნიცშესათ-ვის იყო ზეკაცის ძალაუფლების ნება, ჰაიდეგერისათვის – ექსტა-ტიური აქტივობა, კამიუსათვის – ბუნტარობა.

ალბერ კამიუს აზრით, ვინც არ არის ბუნტარი, ის ბიუროკრატია ან პოლიციელი. მისმა პერსონაჟმა მერსომ არც იცის, დედა დღეს

მოუკვდა თუ გუშინ („უცხო“). ჰერბერტ მარკუზეს რწმენით კი ჩვენი დროის სახე გამოკვეთა ბეკეტმა, მისმა აბსურდის მსოფლგანცდამ.

ასე რომ, აბსურდს რომ გავექცეთ, საჭიროა მას მივანიჭოთ სახე და ფორმა.

ნიჰილიზმი, უარყოფა, არარა ჰკვებავდა ფუტურისტებს, დადაისტებს, სიურრეალისტებს, რაც ბეკეტის აბსურდად და კამიუს აბსურდულ თვითმკვლელობად იქცა.

აბსურდისაგან თავის დაღწევა კი ასევე შეიძლება ირონიით, რადგან თუ ყველაფერი უაზრობაა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ არ გავიცინოთ (ეჟენი იონესკო).

ამგვარი იდეები და განწყობილებები გაითავისეს ნეოავანგარდისტებმა, პოპ-არტის მხატვრებმა, მწერლებმა და მუსიკოსებმა.

ძიება და ტექნიციზმი

კლასიციზმი იყო ჰარმონია, სიმეტრია, პროპორცია. ეს ავანგარდიზმს არ აინტერესებს, რადგან ნაკლები დისციპლინით, ნაკლები ადამიანურობით ხასიათდება.

ის, რაც მოიპოვა რენესანსმა, დაკარგა ავანგარდიზმმა.

ტექნიკისა და ცივილიზაციის პროგრესმა შეცვალა ხელოვნების დარგები. რომანტიკული, ესთეტიზებული, არისტოკრატიული სახეები წარსულს ბარდება, რადგან რეალობა, რომელმაც ისინი წარმოშვა, აღარ არსებობს. სამაგიეროდ ცივილიზაცია ამკვიდრებს მანქანურ აზროვნებას, პრაგმატულ კავშირებს, ანგარიშიან ურთიერთობებს, სადაც ცრემლისა და სევდისათვის არავის სცალია.

ხედვის რეკონსტრუქციას თავად ახალი რეალიები არეგულირებენ (მაგ; ლათინურ ამერიკული „მაგიური რეალიზმი“).

ტექნიკის სულს გადმოსცემს ტექნოკრატი, რომელიც ინდუსტრიული პროცესების მმართველია (მენეჯერია). მას აქვს ფული და

ძალაუფლება, მართვის უნარი, მაგრამ არ გააჩნია ის სულიერება, რომელიც ქმნიდა ტრადიციულ კულტურას, თუნდაც კლასიციზმსა და რომანტიზმს.

ავანგარდიზმი სიახლე იყო და მან მრავალი ჯგუფი, მრავალი ხელოვანი შთააგონა. იგი დროის რიტმიკას კარგად გრძნობდა და, მოდერნიზმისაგან განსხვავებით, უარყოფდა არტისტულ და არისტოკრატიულ ფორმებს, სევდასა და მელანქოლიას, მარტოობასა და გმირულ სულს. მაგრამ სიღრმეში, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ნიჰილიზმსა და ცინიზმს ატარებდა, ყოფიერების აბსურდულობას მიჰყავდა ავტომატურ ქცევამდე. მათ განსჯას უკვე აზრი ჰქონდა დაკარგული. ამიტომ ეს უფრო იყო უილაჯობა და უმწეობის განცდა, ვიდრე რომანტიკოსების უდროობა და სულით ობლობა.

აბსურდულ ყოფიერებას აღარც ცისფერი ყვავილი სჭირდება, აღარც ცისფერი მთები, აღარც ლურჯა და აღარც მწვანე ცხენი. იგი გოდოს მოლოდინშია, რომელიც არ მოდის, თუმცა არც იცის, ეს გოდო ვინ არის (სემუელ ბეკეტი).

ელიტარული კულტურა არსებობას აგრძელებს ექსპერიმენტებში, რომელთა დიდ ნაწილს ისევე არა აქვს მომავალი, როგორც დიზაინერ მხატვრის მიერ წარმოდგენილ მოდელებს.

აქ ელიტარული გადადის მასობრივში, აბსტრაქტული – ნატურალისტურში და მათ შორის ზღვარი იშლება (იხ. „მასკულტურის ფორმები“).

ავანგარდისტმა მხატვრებმა ტრადიციული ხედვა, იმპრესიონისტული სიმსუბუქე და სიმბოლისტური ნისლეული შეცვალეს გეომეტრიული ფიგურებით, სამკუთხედებითა და ოთხკუთხედებით, სფეროებით. მათ აქვთ ზუსტი ფერი, მოძრაობის რიტმი. იგი სათავეს იღებს პოლ სეზანის ფერწერიდან.

კუბიზმის პრინციპები ჩამოაყალიბეს პარიზში მხატვრებმა – პ. პიკასომ, ჟ. ბრაკმა, ხ. გრისმა, მწერლებმა გ. აპოლინერმა და გ. სტაინმა. მათ სწრაფად გამოუჩნდნენ მიმდევრები.

შემდეგ გეომეტრიული ფორმები შეცვალა კოლაჟმა, უხეშმა ნატურალიზმა, რაც რეალობის სახელით ხდებოდა, და თანდათან გადავიდა აბსტრაქციონიზმში (ვ. კანდინსკი, კ. მალევიჩი), აბსტრაქტულ ფერწერასა, ქანდაკებასა და მუსიკაში.

ლიტერატურაში კუბიზმი ფუტურიზმის ფორმით წარმოადგინა იტალიელმა მარინეტიმ (შდრ. რუსული კუბოფუტურიზმი). მან მთლიანად უარყო დისკურსიული აზროვნება, ფსიქოლოგია, სიუჟეტი და ხასიათი. სამაგიეროდ შემოიტანა დაწყვეტილი, ტელეგრაფული, პუნქტირისებრი მეტყველება და მანქანით შეცვალა ადამიანი. თავად უფრო თეორეტიკოსი აღმოჩნდა, ვიდრე მხატვარი, მაგრამ მისმა იდეებმა მრავალ ქვეყანაში შეაღწია და არაერთი მიმდინარეობა წარმოშვა (მაგ., სუპრემატიზმი, ტაქტილიზმი).

ფუტურისტები იყვნენ სიჭაბუკეში ვლადიმერ მაიკოვსკი, ბორის პასტერნაკი, სიმონ ჩიქოვანი. ისინიც უარყოფდნენ კლასიკას, ტრადიციებს და პირველ რიგში ებრძოდნენ სიმბოლისტებს, მათ რომანტიკასა და ესთეტიზმს.

თუ ქართველი სიმბოლისტები თავიანთ ჯგუფს ნოვალისის ცისფერი ყვავილისა და მეტერლინკის ცისფერი ჩიტის ასოციაციით „ცისფერ ყანწებს“ არქმევდნენ, ქართველი ავანგარდისტები ანტიესთეტიკურ გოგირდმჟავას ფორმულას – H2 SO4 -ს არჩევდნენ.

ავანგარდიზმი ცივილიზაციის კულტურაა და გამოხატავს არა მხოლოდ ჰუმანიტარების, საერთოდ ინტელიგენციის ცნობიერებას, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებების ხედვასა და მოთხოვნებს. ამიტომ გადავიდა კინოხელოვნებაში, არქიტექტურაში, თეატრსა და მუსიკაში, მხატვრობასა და ტექნიკურ ესთეტიკაში.

ტექნიკური ესთეტიკა არა წარმოსახვით, არამედ – რეალურად ცვლის გარემოს, ცხოვრებას, საგნებს, როგორც ადამიანს – პლასტიკური ოპერაცია.

ასეთ სწრაფვას გამოხატავდა კონსტრუქტივიზმი.

მხატვრობისა და ლიტერატურის პარალელურად ავანგარდული სული დამკვიდრდა მუსიკაში, სადაც ქრომატული გამის თორმეტი-ვე ბგერა გარკვეული თანმიმდევრობით მეორდება (ა. შონბერგი, ა. ბერგი, ა. ვებერნი, ბ. ბარტოკი).

მას დოდეკაფონიას უწოდებენ. არქიტექტურაში კი, გოტიკის მსგავსად, რკინისა და შუშის კედელი ზეცისკენ მიიწევს და ღმერ-თებს ემუქრება, როგორც ბაბილონის გოდოლი.

მაძიებელი გონი არ ისვენებდა, ეძებდა ახალ ფორმებს, უშვებდა შეცდომებს, ფიქრობდა, თამაშობდა, იბრძოდა, ერთობოდა, არ ნებდებოდა რომანტიკული ესთეტიზმის ინერციას.

კაფკასებური პატარა ადამიანი, ადამიანი მსხვერპლი არ ესწ-რაფვის ძალაუფლებას, რადგან ძალაუფლება ბოროტებასა და ძალა-დობას ემყარება. ის არჩევს ტოლერანტობას, განსხვავებისა და ინდი-ვიდუალობის წაშლას. მაგრამ ამას მოსდევს სექსთა შორის ზღვარის წაშლაც. ხელთ გვრჩება სტერილური ადამიანი, კიბერნეტიკული პერსონა, რომელსაც არა აქვს არაცნობიერი, შესაბამისად – არც ვნება და არც კონკრეტული ენა.

კონკრეტისტი პოეტები ტიპოგრაფიული ნიშნებით, საწარმოო ესთეტიკითა და დიზაინის ფორმებით მეტყველებენ; პროზაიკოსები ამსხვრევენ ენას, შლიან მას ატომებად, მიმართავენ არეულ ორთო-გრაფიას, ორაზროვან და უაზრო სიტყვებს, სიტყვების თამაშს, დაწ-ყვეტილ ფრაზებს, შემოაქვთ ფსიქოანალიზი, ირონია და პაროდია, სიზმრული ცნობიერება, ვარაუდისა და ალბათობის სტილი (მაგ., არნო შმიდტი).

ისტორიული პროზა, ისტორიის დოკუმენტური აღდგენა უარ-ყოფილია. წარსული არის მხოლოდ მასალა პარაბოლისა, იდეისა და ანტიიდეისათვის.

გიუნტერ გრასის რომანის „თუნუქის დოლის“ მთავარი პერსო-ნაჟი ოსკარ მაცერატი სამი წლისა გადაწყვეტს, რომ აღარ გაიზარ-დოს. ხოლო 30 წლისა საგიჟეთიდან გვიყვება თავისი და თავისი დროის ამბავს – გიჟი და გნომი განსჯის თავის ეპოქას,

ჰაინრიხ ბიოლის რომანში „ჯგუფური პორტრეტი ქალითურთ“ საერთოდ არ ჩანს მთავარი გმირი ქალი – მასზე სხვები მოგვითხრობენ.

პეტერ ვაისის პიესაში „მარატი-სადი“ მარკიზ დე სადი საგიჟეთში დგამს პიესას მარატის მკვლელობაზე, როლებს გიჟები ასრულებენ.

ზოგჯერ სრულიად გაურკვეველია სიუჟეტი და საგნებს იდუმალების ბურუსი ფარავს. მაგ., პერსონაჟი ადის კოშკში, რომელიც არ არსებობს და სხვის წარმოსახვაში იძირება (იოჰანეს ბობროვსკი, „ლიტვური კლავირები“).

ექსპერიმენტულია ადამიანი (რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“), ექსპერიმენტულია ატმოსფერო (თომას მანის „ჯადოსნური მთა“, ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“), ექსპერიმენტულია სივრცე-დრო (მაგ., გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელი“, ჰერმან ბროხის რომანის „ვერგილიუსის სიკვდილის“ დრო მოიცავს 18 საათს. სამოქმედო ადგილია სასიკვდილო სარეცელი), რაც სიუჟეტსაც ილუზიად აქცევს (მაგ., არნო შმიდტის რომანი „ფსკერას სიზმარი“, ვოლფგანგ ჰილდესჰაიმერის ანტირომანი „ტიუნზეტი“).

60-იანი წლებიდან გფრსა და საფრანგეთში, შემდეგ – ინგლისში, ავსტრიაში, ნორვეგიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბრაზილიაში ჩნდება „კონკრეტული“ ანუ „კიბერნეტიკული“ პოეზია. ასეთი ლექსები ითხზვება კომპიუტერის მეშვეობით. სიტყვას ენაცვლება მათემატიკური ფორმულა და გრაფიკული ნახატი (ასე წერდნენ ქართველი „H_2SO_4“-ელებიც).

ასეთი პოეზიის თეორეტიკოსები იყვნენ მაქს ბენზე და ავრაამ მოლი.

ფრანგული „ტელ კელის“ ჯგუფი ორიენტირს იღებდა რუსულ ფორმალიზმსა და პრაღის სკოლაზე, სტრუქტურალიზმსა და სემიოტიკაზე. სახვით ხელოვნებაში მისი შესატყვისი იყო „პოპ-არტი“.

მათემატიკური პოეზია განვითარდა „შტუტგარტის წრეში“. „ტელ კელსა“ და „შტუტგარტის წრის“ შუა იდგა ჰელმუტ ჰაიზენ-ბიუტელი თავისი „ტექსტბუხებით“.

ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიჭრა ელექტრონული მუსიკაც.

ეს იყო ფუტურიზმის აღორძინება. იტალიაში ისევ პოპულა-რული გახდა ტრიადა – დანუნციო – მარინეტი – მუსოლინი, რო-გორც გფრ-ში – ჰიტლერი და მესამე რაიხი. მათ დაერთო ინტერესი ბიბლიისა და მითებისადმი, ჯადოქრობისა და მაგიისადმი; ტექნი-ციზმი შეუერთდა ველურობის სტილიზებას (შდრ. გოეთე – „ბარ-ბაროსობის პირველი ნიშანია მშვენიერების უარყოფა“).

აბსურდი და თვითმკვლელობა

ლიტერატურაში რომანტიკულ-სიმბოლისტური „მსოფლიო სევდა“, მელანქოლია და სიმახინჯის ესთეტიკა გადავიდა ნიჰი-ლიზმსა და ცინიზმში, რაც განვითარდა დადაიზმის, „ცნობიერების ნაკადის“, აბსურდის დრამა – თეატრის მიმართულებით. ხოლო ფსიქიკის ავტომატურმა, ინსტინქტურმა მოძრაობამ ზერეალური (სიურრეალისტური) სინამდვილე გვიჩვენა (მაგ., ანდრე ბრეტონი პოეზიაში, სალვადორ დალი მხატვრობაში), რაც იგივე პარანოიდის ხილვებია.

ლიტერატურაში უკიდურესად ექსპერიმენტულია ჯეიმს ჯოი-სის „ულისე“ და „ფინეგანის ქელეხი“. აქ არათუ მხატვრული, საერ-თოდ აზროვნება მიდის თვითუარყოფამდე, თვითმკვლელობამდე.

რელიგიური საიქიოს ადგილი დაიკავა კულტურის სუიციდმა, რაც არის გაუცხოების შედეგი, როცა ადამიანი ემონება თავის მიერ შექმნილ საგნებს.

ნიჰილიზმი, სიცოცხლის დაკარგული აზრი არღვევს კულტურის ფორმებს – ქრება ლექსი, რითმა და მეტრი, სიყვარული და პატრიოტიკა.

კონკრეტულ საგანთა და სახეთა ძიება კი ისევ უფორმო სიცარიელესა და აბსტრაქციაში გვძირავს.

მაგ., ფრანგული „ახალი რომანი“ (ალენ რობ-გრიიე, ნატალი საროტი, კლოდ სიმონი, მიშელ ბიუტორი) თვლიდა, რომ ლიტერატურა უნდა გათავისუფლებულიყო პოლიტიკისა და მორალის ტყვეობისაგან, ასოციაციური თხრობით, მონოლოგებით, საგანთა ჩქარი ცვალებით დაეშალათ სიუჟეტი, დაერღვიათ დრო – სივრცე, მოეცილებინათ პერსონაჟი-გმირი, ყური ეგდოთ ქვეცნობიერის მოძრაობისა და მგრძნობელობისათვის.

ლუდვიგ ვიტგენშტაინის სიტყვით, ლიტერატურის მიზანი არის სიტყვებით თამაში, რომ ეს არის საზოგადოების კრიტიკა და პიროვნების თავისუფლება.

ეს თეორია გამოდის ავანგარდისტების პრაქტიკიდან და ეხმიანება ჰეიზინგას კონცეფციას, რომლის მიხედვით კულტურის სტიმული არის თამაში, რაც პოლიტიკაშიც შეიტანეს. მაგ., აშშ-ისათვის პოლიტიკური შეჯახება ან აზრთა სხვაობა არის თამაში.

როცა იდეალები აღარ არსებობს, კონკრეტიკა მხოლოდ აბსტრაქციის საბურველია. მუსიკოსები ხმაურს იწერენ, მხატვრები საბურავისა და პალტოს ნაგლეჯებს ტილოზე აწებებენ, რომანისტები მღვრიე მოგონებებში დაცურავენ, პოეტები დასტირიან დაღუპულ მეჟოლიას.

ამ პროცესს ხელოვნების დეჰუმანიზაციად მიიჩნევდა ორტეგა ი გასეტი. ადამიანის ადგილს იჭერს მანქანა და ტექნოკრატი, გულს ცვლის მოტორი, ტვინს – კომპიუტერი, სიყვარულს – სექსი, სიცოცხლეს – მოგონება, ლიტერატურას – ანტილიტერატურა, ლექსს – ანტილექსი, გმირს – ანტიგმირი.

პარალელურად სპორტიც უარყოფს კლასიკურ სახეობებს, რომელთაც აკანონებს ოლიმპიური თამაშების წესი. აქაც ირღვევა

ნორმები და ფანტაზია უკიდეგანო სივრცეში მოძრაობს, რომლის უამრავ უცნაურ მაგალითს გვაცნობს გინესის რეკორდების წიგნი.

მაგ., ერთმანეთს ეჯიბრებიან თუ ვინ გაიმარჯვებს ლუდის სმაში, ჭინჭრის ჭამაში, ჭაობში ცურვაში, ყვირილში, მობილური ტელეფონების ტყორცნაში, ხინკლის ჭამაში, ერთმანეთის შეფურთხებაში, კოცნის ხანგრძლივობაში, ვინ მეტხანს დაუკრავს როიალზე ან რამდენად სწრაფად დაწერს რომანს.

აბსურდი ცხადდება ჭეშმარიტებად, ინსტიქტური სწრაფვების ფიქსირება – მშვენიერებად, რეალობა – ზმანებად, რომელსაც განაგებს ინდივიდის „მე“, ეგოიზმი და ექსცენტრიკა.

მეცნიერებაში ავანგარდისტულ ხელოვნებას სემიოტიკა შეესაბამება, რომელიც ვირტუალურ სამყაროს ვირტუალური ნიშნებით სწავლობს.

ავანგარდისტულ კულტურაში შემოდის მასობრივი ხელოვნების ფორმები, რათა ექსპერიმენტი არ დარჩეს ელიტის წრეში. ზოგჯერ ეს ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ ავანგარდი იძირება მასის მოთხოვნილებაში, კლოუნს ემსგავსება და ყოველდღიურობის იმიტატორი ხდება. მაგ., რუსი და ქართველი ფუტურისტების აგიტაციურ-პლაკატური პოეზია, ევროპელი და ამერიკელი ავანგარდისტი მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები.

ელიტარულსა და მასობრივს ინსტინქტური საწყისები, მათი აღზევება აერთიანებს.

იშლება ზღვარი ნორმალობასა და შეშლილობას შორის, სექსუალურ ორიენტაციებს შორის, ფორმებსა და ჟანრებს შორის. იმსხვრევა ენა, სტილი, სტრუქტურა ანუ უპირატესობა ეძლევა არატრადიციულს, ექსპერიმენტულს.

სიტყვა სცილდება საგანს, ენა – ერს. მაგ., ფრანგულ აბსურდის დრამას ქმნიან ირლანდიელი ბეკეტი, სომეხი ადამოვი, რუმინელი იონესკო.

რობ-გრიიეს სცენარის მიხედვით ალენ რენემ გადაიღო ფილმი „შარშან, მარიენბადში“. აქ არის „ცნობიერების ნაკადი“, არ არის მოქ-

მედება, პერსონაჟებს არა აქვთ სახელი. ისინი ლანდებივით მოძრაობენ ციხის მსგავს სასტუმროში, რომელსაც ამშვენებს პარკი, კოლონები, ქანდაკებები, სარკეები.

დადგება დღე, როცა არსებობა შეწყვეტს რემბრანდტის უკანასკნელი სურათი და მოცარტის მუსიკის უკანასკნელი ტაქტი, თუმცა შეიძლება დარჩეს ტილო და ნოტები. მაგრამ აღარ იქნება აღმქმელი თვალი და მომსმენი ყური, – წერდა აპოკალიპსური მომავლით შეძრული ოსვალდ შპენგლერი საუკუნის წინათ.

ამგვარი აპოკალიპსი მოიტანეს ხელოვნებაში ნეოავანგარდისტებმა და ნეონატურალისტებმა ანუ ნიჰილისტურად გაიმეორეს ძველი ლოზუნგი – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

ექსპერიმენტი ცხადდება პანაცეად.

ექსპერიმენტი იყო, როცა კადრები ეკრანზე ამოძრავდა, როცა კინომ ენა ამოიდგა, როცა ფერები შეიძინა, როცა კინო ტელევიზიად იქცა, როცა დაიწყო პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟები და ჩართვები.

მაგრამ რამდენი ექსპერიმენტი უკვალოდ გაქრა ან დარჩა მეხსიერებაში, როგორც კურიოზი და სიგიჟე. მაგრამ მხოლოდ ცდა და ძიება მიგვიყვანს წარმატებულ შედეგამდე, რაც არის აზრის პროგრესი.

როგორც ვთქვით, ყოველი დიდი, მწვავე, ხანგრძლივი კრიზისი თავის წიაღში წარმოქმნის განახლების ტალღებს.

მხოლოდ ტრადიციებისადმი ერთგულება, კონსერვატიული ხედვა ნიშნავს არა მდგომარეობის, არსებული დონის შენარჩუნებას, არამედ რეგრესსა და დაქვეითებას, რადგან მშფოთვარე ცხოვრებას მოაქვს ახალი ინტერესები, ახალი შეხედულებანი.

ექსპერიმენტი ამ მდინარების მოდელირებაა, სხვა საკითხია – რამდენად წარმატებული.

მხატვრების მსგავსად კოლაჟს მიმართავენ ავანგარდისტი მწერლებიც: მათი ანტირომანები და ანტილექსები არის სხვადასხვა ავტორთა ციტატები, სარეკლამო ტექსტები, სატელეფონო ცნობარის

ნაწყვეტები, რომელთაც აერთიანებს ყოველდღიური, უაზრო და აბსურდული მეტყველება.

ჰელმუტ ჰაიზენბიუტელის სიტყვით, სხვადასხვა ტექსტებიდან ამოგლეჯილი და მექანიკურად გადაბმული ციტატები არის ახალი სინტაქსური რეალობა.

მისთვის ხელოვანი არის ტრანზიტი, მედიუმი, სახელი. იგი ქმნის, მაგრამ რას და როგორ – არ აქვს მნიშვნელობა, არც ის არის საინტერესო თუ თავად ვინ არის. ასე გრძელდება დადაისტური, ინტელექტუალური დებილის მეტყველება, რაც არის ბოდვა და ლუღლუღი, მოგონებები და წამიერი განცდები.

უილიამ ფოლკნერის ყრუ-მუნჯი ბენჯის შინაგანი მონოლოგი უფრო მისაწვდომია, ვიდრე ცალკეული ავანგარდისტების მეტყველება.

ისინი ყურადღების მიზიდვას ცდილობენ – უცნაური ქცევით, ფორმით, აზრით, სიტყვით, კოლაჟით, აბსურდულობით, უჩვეულო კონფიგურაციით, დაშლილი სტრუქტურითა და დარღვეული ცნობიერებით.

ამერიკელი მხატვარი და რეჟისორი ენდი უორჰოლი წერს რომანს – „ა“, წერს უცნაური ფორმით: დადგა მაგნიტოფონი, მიყოლებით ჩაიწერა 24-საათიანი საუბრები თავის მეგობარ ნარკომან და ჰომოსექსუალისტ ონდინზე. შემდეგ კი ტექსტი მემანქანემ გაშიფრა.

წიგნს აღტაცებით შეხვდნენ ევროპასა და ამერიკაში.

გერმანელი კლაუს შტილერის წიგნი „ჰ“ არის ჰიტლერის „ჩემი ბრძოლისა“ და სუფრული საუბრების მონტაჟი.

ლუდვიდ ჰარიგმა რომანს დაარქვა „კონსულტაციები გერმანულფრანგული ურთიერთგაგებისა და „საერთო ბაზრის“ სხვა წევრთა ურთიერთგაგებისათვის“. წიგნის საფუძველია გერმანიაში გამოცემული ფრანგული ენის სახელმძღვანელო.

ყოველდღიური ფუსფუსით დაღლილი ცხრა ინტელიგენტი გამოჰყავს ჰაიზენბიუტელს 900-გვერდიან რომანში „დ'ალამბერის აღსასრული. პროექტი №1“. მოქმედება ხდება 1968 წლის ივლისში,

ჰამბურგში. პერსონაჟებს აქვთ თავიანთი სიმპათიები, ფარული გრძნობები. მაგრამ ინკუბატორის წიწილებივით ერთმანეთს ჰგვანან – კითხულობენ ერთსადაიმავე წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ცხოვრობენ ერთნაირ ბინებში, ერთ ქალაქში, დადიან ერთ თეატრში, ერთ რესტორანსა და ბარში.

ამერიკელმა მხატვარმა, პოპ-არტის დამწყებმა რობერტ რაუშენბერგმა სპოლეტოს ხელოვნების ფესტივალზე წარადგინა „სურათი“ – საწოლი ბალიშებითა და ნაჭრის საბნით!

მხატვარი ბოისი რამდენიმე კვირით, ჯავშანჟილეტით, კოიოტთან ერთად გალიაში ჩაჯდა და ასე დახატა პროტესტი ამერიკელების მიერ ადგილობრივი კულტურის განადგურების გამო!

ეს იყო ცოცხალი კოლაჟი!

ამიტომ აცხადებენ, რომ ხელოვნება მოკვდა (ჰაიდეგერი), მოკვდა ლიტერატურა (ენცენსბერგერი), მოკვდა კრიტიკა და ესთეტიკა (ბელიხი); რეკავენ გლოვის ზარები, დაკრძალვაზე მისულებს კი წუხილი არ ეტყობათ.

ასე იქმნება ანტიესთეტიზმის ესთეტიკა, როცა ექსპერიმენტი თვითმიზანია ან როცა ბატონობს ნიჰილიზმი და ყველაფერი სულერთია, ყველაფერი სისულელე და აბსურდია, მთავარია იმოძრაო და არ გაჩუმდე, არ მოკვდე სიკვდილამდე.

კრიზისი და ექსპერიმენტი კი გრძელდება ანუ მართლდება ჰეიზინგას თამაშის თეორია.

ჩიხში მდგარ მატარებელს მგზავრების ფორიაქი, ხმაური ან ცეკვა-სიმღერა ვერ დასძრავს თუ არ მოვიდა მემანქანე.

სინამდვილის მხატვრული კონსტრუირება

ვლადიმერ მაიაკოვსკი მოითხოვდა, რომ ხელოვნება ქუჩაში გამოსულიყო, არამხოლოდ ქუჩის ხმაური გადმოეცა.

ბოლშევიკები ქადაგებდნენ, რომ რელიგია მავნებელია, რელიგია ოპიუმია, ხოლო ცოდნა, ხელოვნება ეკუთვნით მასებს, რომ ლექსი, რომანი თუ სპექტაკლი იქმნება მასებისათვის, მათი გემოვნებისა და სულიერების ასამაღლებლად.

ყველა დროის ხელოვანი ცდილობდა, რომ თავისი ნააზრევის პროპაგანდისტი ყოფილიყო ან ხელი შეეწყო წარმოჩენისათვის.

მიუხედავად კერძო პირთა, ცალკეული ჯგუფების, სამეფო კარის თუ ხელისუფლების ცდისა და მონდომებისა, ხელოვნებას მაინც უფრო ნაკლები დამფასებელი ჰყავს, უფრო ნაკლები მსმენელი, მაყურებელი და მიმდევარი, ვიდრე რელიგიას.

ამიტომ სტიქიურად მოხდა სინამდვილისა და მასების დაპყრობა სხვა საშუალებით. დაიწყო სინამდვილის მხატვრული კონსტრუირება, როცა გემოვნებას, სილამაზეს, მშვენიერებას დაემორჩილა ადამიანის ინტელექტუალური მოქმედება, როცა ხელოვანი კონსტრუქტორი გახდა, ოცნების რეალიზატორი.

ამ მიმართებით პირველი არქიტექტურა მიდიოდა. ტაძრები, სასახლეები, ციხე-დარბაზები, აკლდამები, პროსპექტები, ბაღები, სკვერები ცვლიდნენ გარემოს. მაგრამ მას შემდეგ, რაც კულტურა გადავიდა ცივილიზაციაში, დიზაინმა და ტექნიკურმა ესთეტიკამ ფერი უცვალა საგნებს.

ყველაფერი დაემორჩილა სილამაზეს, რომლის ტირაჟირებას ახდენს ტექნიკა. მანქანა უსაფრთხო უნდა იყოს, კარგად მუშაობდეს, მცირე საწვავი სჭირდებოდეს, მაგრამ თუ იგი უშნოა, არ შეიძენენ.

ასეთ მოთხოვნას ურემს არავინ უყენებდა.

მანქანა, ხომალდი, თვითმფრინავი არა მხოლოდ სიმტკიცითა და კომფორტით, არამედ – სილამაზითაც უნდა გამოირჩეოდეს, როგორც გარეთ, ისე შიგნით.

ასევე ბინის ინტერიერი, ავეჯი, შპალერი თუ ჭაღები, იატაკი, კარ-ფანჯარა სილამაზეს უნდა ასხივებდეს, რათა ადამიანი კმაყოფილი იყოს.

იგივე ითქმის ტანსაცმელზე, ტანსაცმლის მოდებზე, სამრეწველო პროდუქციაზე.

ღამე ქალაქი თვალისმომჭრელი, ნაირგვარი ფიგურებით ანათებს; სუპერმარკეტში რომ შევდივართ, თვალს იტაცებს პროდუქციის დიზაინი, რაც გვიზიდავს და გვაცდუნებს კიდეც;

სუფრას რომ ვუსხედვართ, ყურადღებას იქცევს დანა-ჩანგალი, ჭიქები და თეფშები, საჭმელ-სასმელის დალაგება და დანაწილება.

ერთმანეთს ერწყმის პრაქტიციზმი და ესთეტიზმი, სიმაგრე და სილამაზე, ელიტარული და მასობრივი.

ესთეტიკამ დატოვა ხელოვნების სფერო, წარმოსახვებიდან რეალობაში გადაიჭრა, პლასტიკურმა და ქირურგიულმა ოპერაციებმა ადამიანს გარეგნობაც შეუცვალა და სქესიც.

სინამდვილე გახდა ესთეტიკური, ხელოვნება – ანტიესთეტიკური.

ადამიანი ყოველთვის ოცნებობდა. დრო რომ დადგა, დაიწყო ოცნებათა რეალიზება. მფრინავი ხალიჩა თვითმფრინავად იქცა, ურემი – მანქანად, ნავი – საზღვაო ლაინერად, ქოხი – ცათამბჯენად.

როცა ჟიულ ვერნი აღწერდა „ნაუტილუსს“ და გვიჩვენებდა მის მოძრაობას, წყალქვეშა ნავი ჯერ არ არსებობდა.

მხატვარ-კონსტრუქტორი, მხატვარ-მოდელიორი თუ ნებისმიერი დიზაინერი გარდაქმნის საგნებს, ცვლის გარემოს. მაგრამ მას უნდა გააჩნდეს გემოვნება, ალღო, სილამაზის განცდა, რათა კონკურენციაში გაიმარჯვოს.

ასე რომ ერთია სინამდვილის ტექნიკური კონსტრუირება, მეორე – მხატვრული კონსტრუირება. მათი სინთეზი – ეს იგივე კულტურის გადასვლაა ცივილიზაციაში.

ტრადიცია ცოცხლობს მუდმივი ტრანსფორმაციებით, როგორც ბიოლოგიური სხეული. ცვალებადობის პროცესში, თაობათა მანძილზე, იგი ინარჩუნებს ძირეულ, არქეტიპულ სტრუქტურას. მაგრამ მოდიფიკაცია თუ ამ საწყისს შეეხო, მაშინ ირღვევა კულტურის არსიც.

ექსპერიმენტები გვიჩვენებენ, რომ დასრულდა ის დიდი კულტურული ციკლი, რომელიც დაიწყო რენესანსიდან, როგორც დასრულდა ანტიკური პერიოდი;

დასრულდა კლასიცისტურ-რეალისტური და რომანტიკულ-მოდერნისტული სულიერი აღზევება.

კრიზისი იწყება ავანგარდიზმიდან, როცა ადამიანს ცვლის მანქანა, რომანტიკას – ანგარიში, სულს – გონება, ემოციას – აზრი. ეს შეიძლება აღმოჩნდეს სულიერების ფიასკო, ანდა – ახალი კულტურის წიაღი, რეალობის ტოტალური ესთეტიკური კონსტრუირება.

როგორც იტყოდა ფრიდრიხ ნიცშე, მალე ხელოვანს შეხედავენ როგორც მშვენიერ გადმონაშთს, როგორც საოცარ უცხოელს.

მზე უკვე ჩავიდა, მას ვეღარ ვხედავთ, მაგრამ ჩვენი ცხოვრების ზეცას ჯერ კიდევ ანათებს მისი სხივები.

VII. ინფორმაციის კონცენტრირება: ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემა

ხშირად მეცნიერები, განსაკუთრებით ჰუმანიტარები, იკვლევენ ერთ პრობლემას, ღებულობენ ერთმანეთის მსგავს შედეგებს, მაგრამ აღნიშნავენ განსხვავებული ტერმინებით, განსხვავებული ნიუანსებით. ამის გამო თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ვერ უგებენ და ხელიდან გვეცლება მიღწეული შედეგები.

არადა, სავსებით შესაძლებელია მათი ერთმანეთთან დაკავშირება, შევსება და ასე სწრაფვა უნივერსალიზმისაკენ. ეს თვისება ჰქონდა ზიგმუნდ ფროიდს, რომელიც სხვადასხვა მეცნიერების შედეგებს აერთებდა, როგორც ქიმიკოსი – ელემენტებს, და ასე ღებულობდა სავსებით ახალ და შთამბეჭდავ თეორიებს.

ასევე მოიქცნენ მარქსი და ენგელსი, როცა ინგლისური პოლიტ-ეკონომია, ფრანგული უტოპიური სოციალიზმი და გერმანული კლასიკური ფილოსოფია შეაერთეს და საზოგადოების შეცვლის მოდელი წარმოადგინეს. ასევე მოხდა ინფორმაციის კონცენტრირება და კონდენსირება ნიშანთა, საგანთა და სიმბოლოთა სისტემაში, რომელიც კიბერნეტიკამ მართვის პროცესების ვირტუალურ სივრცეში გადაიტანა.

ინფორმაციის კონცენტრირება პირობითობასა და შიფრს გულისხმობს, რაც აიოლებს აღქმასა და გადაცემას.

1. საგანი, ნიშანი და სიმბოლო

სიმბოლო უძველესი დროიდან იღებს სათავეს, როცა ადამიანმა დაიწყო საგნების დამახსოვრება, მოვლენების მინიშნება, ფაქტებზე აქცენტირება, გამოცდილების შენახვა და გადანაწილება.

თავიდან იგი იყო პაროლი, სიგნალი, რაღაც საიდუმლოს შენახვა და გადაცემა, რომელიც იცოდნენ ვიწრო წრეში.

სიმბოლო იდეის პრასახეა. იგი უკავშირდება ალეგორიას, მეტაფორას, შედარებას, ეპითეტს, არქაულ დროში – ტოტემსა და ტაბუს, შემდეგ – ღმერთებსა და მხატვრულ-რელიგიურ აზროვნებას.

ამიტომ ასრულებს დიდ როლს ხელოვნებაში, სადაც იდეები სურათებითა და მოქმედებით იკვეთება და იშლება, ასევე რელიგიაში, სადაც ნერგავს მისტიკურ რწმენას და ოკულტურ წარმოდგენებში, რაც გადადის მაგიასა და ჯადოქრობაში.

სიმბოლო ემოციურ და ინტელექტუალურ აზრთა ნაკადს ანიჭებს წესრიგს, ფუნქციას, მიზანს. იგი განმასხვავებელი პოლივალენტური ნიშანია.

„Simbolon“ ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავდა ამოსაცნობ ნიშანს ბერძენთა საიდუმლო ორგანიზაციის წევრებისათვის, ე.ი. ჰქონდა პაროლის მნიშვნელობა.

თავისი სიმბოლოები აქვთ სოციალურ ფენებს, რელიგიებს, სექტებს, სუბკულტურებს.

ეს ჰგავს ერთ ანეკდოტს:

გიჟებმა დანომრეს ანეკდოტები, რათა ერთი და იგივე ხშირად არ გაემეორებინათ. 2 თუ 10 ნომერი იყო კონკრეტული ანეკდოტი, რომელთა თქმა იწვევდა გახსენებას.

ნომერი მათთვის იყო სიმბოლო თუ ნიშანი, რომლის საიდუმლო იცოდნენ ვიწრო წრეში და მხოლოდ აქ იწვევდა სიცილს. სხვისთვის კი ეს მართლაც გიჟის ქცევა იყო.

საგანი მიაჩნდათ ღმერთად, ღმერთი – სიტყვად. მინიშნებათა გადაბმით სწვდებოდნენ ინფორმაციას, რომელიც მის წიაღში იგულისხმებოდა. იგი არ ითქმოდა, მისი არსებობა იცოდნენ და გრძნობდნენ. ასე მიეცა სიმბოლოს მისტიკური და საკრალური აზრი.

როცა ველური ხატავდა მღვიმის კედელზე ნადირობის სცენებს, მას მხატვრობა კი არ აინტერესებდა, არამედ – მაგია, რომელიც

გადმოსცემდა მომავალ სისხლიან სურათს და წარმატებაში დაეხმარებოდა.

ის რეალობიდან სიმბოლოში გადადიოდა და სიმბოლო მიუ-ძღოდა რეალობისაკენ, სიმბოლო იძლეოდა რწმენას, რწმენა – ძალას.

ასევე იყო სიტყვა კონკრეტული საგნის ნიშანი, რომელსაც შიში ზებუნებრივ ძალას ანიჭებდა. ამიტომ იყო სამყაროში იმდენი ღმერთი, რამდენიც – საგანი.

საგანთა სიმრავლე ნიშანთა (სიტყვათა) სიმრავლეა, ნიშანთა სიმრავლე – მრავალღმერთიანობა (პოლითეიზმი).

ნიშანთა უნივერსალურ მნიშვნელობას ხაზს უსვამდა ჩარლზ პირსი. ემოციას იგი თვლიდა ნიშნად და საგნის პრედიკატად.

ეს თვალსაზრისი ფერდინანდ დე სოსიურმა ლინგვისტიკაში გადაიტანა, ერნსტ კასირერმა – კულტურფილოსოფიაში.

ფსიქიკურ არქეტიპთა, პირველად ნიშანთა გაშლა და უნივერ-სალიზებაა გილგამეში და ჰამლეტი, მოსე და ეკლეზიასტე, აქილევ-სი და ოდისევსი, დონ კიხოტი და დონ ჟუანი, მეფე ლირი და ფაუს-ტი.

ავტორი პერსონაჟთა სახით თავისი განცდებისაგან თავისუფლ-დება და გადადის სიმბოლოში, ისევე როგორც ქურუმების ფანტაზია – ღმერთებში.

აქილევსი, ოდისევსი, მოსე ბრძოლაა, გილგამეში, ეკლეზიასტე, ჰამლეტი – ფიქრი და ჭმუნვა, დონ კიხოტი – მოგზაურობა და ძიება, ფაუსტი – შემეცნება, ჯვარი, გრაალის თასი, თეთრი ვარდი, ცისფე-რი ყვავილი – მისტიკური იდეალები.

ერნსტ კასირერმა ამიტომაც მიიჩნია ენა, რელიგია, ხელოვნება, მითოსი სამყაროს სიმბოლურ წარმოდგენებად, რომელთაც ყოველი ენობრივი წრე, ეთნოსი და რელიგია განსხვავებული ბგერებით, განსხვავებული სიტყვებით გადმოსცემს, თუმცა არსი ერთია.

არსის უცვლელობა იძლევა თარგმანის საშუალებას.

ადამიანი ცხოვრობს არა მხოლოდ რეალურ, არამედ – სიმბოლურ სამყაროშიც. ამ სიმბოლოებით ქმნის კულტურასა და ცივილიზაციას. დღეს მას ერთვის კომპიუტერის ვირტუალური სივრცე.

მითს მნიშვნელობა ეძლევა მხოლოდ სიმბოლური ახსნის შემდეგ, სხვაგვარად იგი მარტივი ან ფანტასტიკური ამბავია. მითში აზრს ჩვენ როდი ვდებთ. უძველეს დროშივე, როცა მითი იქმნებოდა, იგი სწორედ სიმბოლური აზრით ითხზვებოდა. შემდეგ მითები რელიგიებმა გამოშიგნეს და აზრი დაუკარგეს, სიმბოლო წაართვეს. მხოლოდ მოგვიანებით დაუბრუნეს მითებს პირველადი, ინსტინქტური, პოლივალენტური აზრი.

ერნსტ კასირერამდე მითების არსს განმარტავდნენ ბახოფენი და მორგანი, ტაილორი და ფრეზერი ფროიდი და იუნგი. ზიგმუნდ ფროიდი კულტურის საწყისს ხედავდა ლიბიდოურ ძალებში, სექსუალიზმის ტრანსფორმაციაში. სექსუალობის შეკავება, პირველადი ტრავმა, კულტურის დაწოლა წარმოშობს ნევროზებს, რომელთა აგრესიული ბირთვი არის ენერგია. იგი მოდის უძველესი დროიდან, როგორც კომპლექსი (მაგ., „ოიდიპოსის კომპლექსი“, „ელექტრას კომპლექსი“, „კასტრაციის კომპლექსი“).

არტურ შოპენჰაუერისათვის ეს არის სიცოცხლის ნება, ფრიდრიხ ნიცშესათვის – დიონისური სტიქია, რომელიც მეტყველებს ზეკაცში და ნიშნავს ძალაუფლებისაკენ სწრაფვას, ალფრედ ადლერისთვის – „არასრულფასოვნების კომპლექსი“ და უკავშირდება ძალაუფლების ნებას.

როგორც ვხედავთ, იცვლება ცნებები, შემოდის ახალი ტერმინები, მაგრამ არსი ერთი და იგივეა – ეს არის სასიცოცხლო ძალთა შიფრი, მათი წაკითხვა და თარგმნა სიმბოლოთა სისტემით.

იუნგმა ფროიდის კომპლექსები არქეტიპებით შეცვალა, რაც კაცობრიობის კულტურული გამოცდილების ნალექია. იგი ფსიქიკაში ფორმირებული უნდა ყოფილიყო უძლიერესი განცდებით, ტრავმებით, სხვანაირად ვერ აღიბეჭდებოდა, ვერ დასტოვებდა მემკვიდრეობით ანაბეჭდებს.

მაგრამ თავად არქეტიპიც ხომ სიმბოლოა. ეს არის სულის გენი, რომლის განვითარება იქცევა კულტურის სახედ, ფორმად, იდეად, ტიპად, როგორც კვერცხის ჩანასახიდან გამოდის ქათამი თუ არწივი.

ჯერ სტრუქტურალისტებმა, შემდეგ სემიოტიკოსებმა არქეტიპის ადგილზე ჩასვეს ნიშანი, რომელიც უძველესი ანდა დაკარგული სიმბოლური კოლერატია. მათი კავშირი ქმნის სტრუქტურას, ფორმალურ და სემანტიკურ ერთეულებს.

კულტურის სიმბოლური ინტერპრეტაცია ფარული აზრის პოვნაა, რაც საერთოა ყველა დონისა და ეთნოსისათვის. მისი საწყისია ქურუმების დაშიფრული სიბრძნე.

ფსიქიკაში საგნები სიმბოლურად აისახება, სიგნალები და იმპულსები ტვინს ეძლევა კოდების სახით, რომელთაც ხსნის ცნობიერება.

ასე აღიქმება სამყარო.

ბუნებაში უშუალოდ არც ფერები არსებობს: საგნები ასხივებენ ელექტრომაგნიტურ ტალღებს, რომლებიც არხევენ ჰაერს. ადამიანის თვალის ბადურა აღიქვამს ჰაერის რხევას ერგის ერთი მეათმილიონედიდან ერთ მეათიათასამდე. ეს რხევები გადაეცემა დიდი ტვინის ქერქის მხედველობის ცენტრს და ტალღის სიგრძის შესაბამის ფერად გარდაიქმნება. მაგ., წითელი ფერის ტალღის სიგრძე 760 მილი-მიკრონია, იისფერის – 360.

შეიძლება ითქვას, რომ ვარსკვლავთა მსგავსად ფერიც ილუზიაა. იგი დამოკიდებულია განათების ხარისხსა და აღმქმელზე, რომელიც განასხვავებს ტალღების სიგრძე-სიმოკლის თამაშს.

მაიმუნებიც ჩვენსავით აღიქვამენ ფერებს. მაგრამ ზოგი სახეობა (მაგ., გველი, კატა, ხარი) ფერებს ვერ არჩევს, ზოგიც მკრთალად განასხვავებს (მაგ., ძაღლი), ზოგი რუხ ფერში ხედავს ქვეყანას (მაგ., ლომი).

იგივე ითქმის ბგერების, სუნის, საგნის სიდიდის აღქმაზე. მაგ., ცხენი 1,5-ჯერ დიდად ხედავს საგანს, ვიდრე ადამიანი.

პლანეტების შესატყვის პატიოსან თვალთა (ფირუზი, ლალი, ზურმუხტი...) მეშვეობით განწყობილება ფერებში გადაჰქონდათ. ბედისწერის სიმბოლოდ მიაჩნდათ გემმა, ამულეტი, ბეჭედი. ისინი იდუმალებას ასხივებდნენ, პიროვნებას იცავდნენ ავი თვალისაგან, ავი სიტყვისაგან, განგების ბოროტი ნებისაგან (გავიხსენოთ სმარაგდის ბეჭედი „დიონისოს ღიმილში“).

სიმბოლო ამბივალენტურიცაა. კოცნა სიყვარულსა და ერთგულებას ნიშნავს. მაგრამ ღალატსაც ნიღბავს (მაგ., იუდას ამბორი).

ძველი ქალაქის სიმბოლოები იყო ტაძრები, ქანდაკებები, მოედნები, ჩუქურთმებიანი შენობები, გამზირები. ახლა მას ცვლის ქალაქი ცათამბჯენებით, ქალაქი-ბაღით, შუშის ფასადებით, მანქანების კოლონით, კომპიუტერით, მობილური ტელეფონით.

ძველ კულტურას ჰკვებავდა მითოსურ-რელიგიური სიმბოლოები. ავანგარდისტებმა მათ შეუნაცვლეს უნიტაზი, ჯინსი, დაფლეთილი შარვალი, დროშის ნახევი თუ დალურსმული მაგიდა ანუ მოხდა რომანტიკულ-ჰეროიკულის ცინიკური დამდაბლება.

ყველგან დომინირებს სახეობათა სუბიექტური ფაქტორი და არა ობიექტური რეალობა. არსებობს მხოლოდ ადამიანური ჭეშმარიტება და მშვენიერება. ხომ ლამაზია ტანმოხატული ვეფხვი, ხომ უშნოა ტალახში ამოგანგლული ღორი, მაგრამ ცხოველთათვის ან ფრინველთათვის არც ერთს აქვს მნიშვნელობა და არც მეორეს. მთავარია ძალა, შიშის ფაქტორი.

ადამიანიც თავისი თვალთახედვით განსაზღვრავს სამყაროს და მას მიიჩნევს ობიექტურ რეალობად.

კოდები, ნიშნები, სიმბოლოები სამყაროს შეგრძნებები და აღქმის პირველადი და ძირითადი საშუალებებია. მაგრამ თუ ადამიანებს, როგორც ერთიან ბიოლოგიურ სახეობას, ერთნაირი უნარი გააჩნიათ, განსხვავებულია და დიფერენცირებული, როგორც მეორადი, კულტურის აღქმა.

როგორც ვნახეთ, ესეც მრავალ ფაქტორს უკავშირდება, რაც გვეძლევა ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემებად.

ემბრიონის ქრომოსომებში ჩაწერილია ცოცხალი არსების მომავალი გეგმა, რაც იწვევს ბედისწერის ასოციაციას.

ნიშანთა და სიგნალთა სისტემას ემყარება მათემატიკა, ინფორმაციის თეორია, ფორმულები, კიბერნეტიკული მოდელები, სატელეფონო კავშირები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები, კომპიუტერული პროგრამები, მოძრაობის წესები, ჟესტიკულაცია, მიმიკა.

მათ სწავლობს სემიოტიკა, რომელიც შლის ზღვარს ტრადიციულ დისციპლინებს შორის, როგორც ზოგადი და გამაერთიანებელი მეცნიერება.

ტრადიციულად შავი არის გლოვა, თეთრი – სინათლე და სილამაზე, მწვანე – გაზაფხული და აღდგომა, წითელი – სიყვარული და სისხლისღვრა, ლურჯი – მარადისობა.

ბგერები იწვევენ ფერების ასოციაციებს.

ფერები შეესაბამება ადამიანის გრძნობებს, განწყობილებას, ტემპერამენტს: შავი – მელანქოლიკს, ყვითელი – ქოლერიკს, წითელი – სანგვინიკს, თეთრი – ფლეგმატიკს.

სირცხვილი და სიბრაზე წითელია, სევდა – ლურჯი და შავი, ეჭვი – მწვანე, ზოგი ფერი თბილია (მაგ., ყვითელი), ზოგი – ცივი (მაგ., ცისფერი).

სიტყვა საგნის ნიშანია. მაგრამ როცა ეძლევა ინსტინქტური თუ ინტელექტუალური დატვირთვა, მაშინ იგი ხდება სიმბოლო. თავის მხრივ, სიმბოლოთა ინდივიდუალური გაშლა და განვითარება წარმოქმნის მხატვრულ სახეთა სისტემას – ფანტაზიის, წარმოდგენების, ასოციაციების ცვალებისა და განლაგების საფუძველზე.

სიმბოლო აკავშირებს გარკვეულ ჯგუფს, მაგრამ ამასთანავე თიშავს უცხოსაგან, რომელიც გარეწრისაა. იგი გვანიშნებს, გვაძლევს ორიენტაციას, მოქმედების პაროლს (მაგ., ჯვარი ან სვასტიკა), იწვევს ემოციებს, გვიქმნის განწყობილებას. თუ სიმბოლოს არსი არ ვიცით, თუ მას არ განვიცდით, მაშინ იგი უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვაა.

როცა განცდა ძლიერია, სიმბოლო იმორჩილებს ადამიანს (მაგ., ჯვარი ქრისტიანს) და საკრალურ მნიშვნელობას ღებულობს, თუნდაც დარჩეს სიტყვად და არ ჰქონდეს საგნობრივი სახე.

მაგრამ იგივე ჯვარი მუსულმანისათვის უარყოფით განცდას იწვევს. ჰიტლერულ გერმანიაში სვასტიკა ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო იყო, სსრკ-ში კი – სძულდათ. დღევანდელობისათვის ასეთი მთავარი სიმბოლოა ნიუ-იორკის თავისუფლების ქანდაკება. იგი ეკუთვნის მოქანდაკე ბარტოლდის, რომელმაც მოდელად თავისი დედა გამოიყენა (შდრ – პირველი ატომური ბომბი და ინოლა გეი).

ნიშანთა სისტემა ავლენს სამყაროს ნათესაურ სურათს, მათ მაკავშირებელ კოდურ ძალებს, უხილავსა და იდუმალს.

ამ ძალთა წესრიგში ერთვება ადამიანი და აძლევს მას სასურველ მიმართულებას.

თეორიული განზოგადების გარეშე ყოველდღიურ პრაქტიკაში ვაწყდებით სიგნალებსა და ნიშნებს, ემბლემებსა და ფიგურალურ გამოთქმებს. მათ შეიცავენ ფერები, ბგერები, ტანსაცმელი, ავეჯი, ტრანსპორტი, სამკაულები.

ისინი არეგულირებენ ჩვენს არსებობას ისე, რომ ამაზე ნაკლებად ვფიქრობთ. მათ ემყარება მორალი, რიტუალი, ეტიკეტი.

ერთმანეთისაგან განსხვავებულია ქალისა და კაცის სამოსელი, სამხედრო და სამოქალაქო ფორმები, ქუდი, კოსტუმი, შარვალი, კაბა, ფეხსაცმელი.

მათაც თავიანთი სტილი აქვთ – კლასიკური, სპორტული, რომანტიკული, ყოველდღიური.

როგორც რელიგიების (მაგ., ბუდიზმის) ისე ბაროკოს, კლასიციზმის, როკოკოს სიმბოლოთა აზრობრივი პლასტები მწიგნობრული ასოციაციებით იყო შეთხზული. ისინი არ ამოდიოდნენ გრძნობადი სამყაროდან და ამიტომ ვერ გავრცელდა, დარჩა ვიწრო წრეში ან გონებაჭვრეტით, გულის გარეშე შექმნილ ტექსტებში.

ჰამლეტი თუ დონ ჟუანი, დონ კიხოტი თუ ფაუსტი შეესაბამებოდნენ ფსიქიკურ ლტოლვებს, ცნობიერების მოძრაობას და ამიტომ იქცნენ საყოველთაო სიმბოლოებად.

რაც შეეხება მხატვრული ტექსტის სტრუქტურას, აქ სიმბოლოები ღებულობენ ინდივიდუალურ გააზრებას, უერთდებიან ცხოვრების ნაკადს და თითქოს ახლად იბადებიან. ამასთან ერთად ითხზვება უამრავი ლოკალური სიმბოლო, რომლებიც ჩნდებიან და ქრებიან, უჩინრად არსებობენ და ავსებენ აზრობრივ სივრცეს, სიმტკიცეს სძენენ სიუჟეტსა და პერსონაჟთა ხასიათებს:

მაგ., კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში ლაიტმოტივურად გაშლილი არქეტიპების, ტოტემების, პერსონაჟთა სიმბოლური ჰიპოსტასების სისტემა, ფერთა და სახელთა მაგია, როგორც ფსიქიკაში დაძირული პრეისტორია.

უილიამ ფოლკნერის „ხმაურსა და მძვინვარებაში“ – საათი დროის ცვლაა, მდინარე – ამ ცვალებადობის მატერიალიზება, ჩრდილი – ადამიანის ნაწილი, წარსულისა და აწმყოს სიმეტრია, სახარება – ოთხთავი – რომანის სტრუქტურული არქეტიპი.

ჯეიმს ჯოისის „ულისეში“ ასეთი არქეტიპია ჰომეროსის „ოდისეა“, ხოლო დუბლინელები – დეგრადირებული მოქალაქეები. სტივენ დედალუსი არის ტელემაქე, ქრისტე და შექსპირი, მერიონი-პენელოპა და ქალწული მარიამი.

რომანის სტრუქტურის სიმბოლიკაა ადამიანის სხეულის ნაწილები: ბიბლიოთეკა – ტვინი, ქუჩები – სისხლის მიმოქცევის სისტემა, ბლუმის საუზმე – თირკმელი; ეპიზოდებს შეესაბამება ხელოვნების დარგები: ბიბლიოთეკა – ლიტერატურა, ბარი – მუსიკა, პლიაჟი – ფერწერა; ეპიზოდებსა და პერსონაჟებს თავიანთი ფერი აქვთ: გასვენება – შავი და თეთრი, პლაჟი – მწვანე, სტივენი – თეთრი და ოქროსფერი.

„ფინეგანის ქელეხში“ უფრო დახლართულია სიმბოლური სტრუქტურა: ფინეგანი არის ირლანდიური ბალადის გმირი ტიმ

ფინეგანი, გოლიათი ტიმ მაკული, ადამი, ნოე, ვოტანი, პრომეთე, დიონისე, კრიშნა, ბუდა, ოსირისი, კრომველი, წმ. პატრიკი.

ტრაქტირის მეპატრონე კუზიანი დუბლინელის ირვიკერის სიმბოლური სახეა ინიციალი HCE, მისი მეუღლე ანა მარია პლურაბელი არის ევა, დემეტრა, იზიდა, იზოლდა, ღრუბელი, მდინარე ლიფი...

წყალი ნაყოფიერება და ქალური საწყისია, ბანაობა – ნათლობა, საპონი – თილისმა, ტრამვაი – დრაკონი.

თომას მანის ჯადოსნური მთა მკვდართა სამეფოა, იოსების ბედი – კვდომადი და აღდგომადი ღმერთის ინიციაცია, ფრანც კაფკას გრეგორ ზამზას ხოჭოდქცევა – გაუცხოება და პროტესტი, დიმიტრი მერეჟკოვსკის ალექსეი – სამსხვერპლო კრავი, ფიოდორ სოლოგუბის ლუდმილა – აფროდიტე და ფურია, საშა – აპოლონი და დიონისე, გიორგი ლეონიძის ლირიკული გმირი – ყივჩაღი და ვეფხვი.

სიმბოლურია „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლეთი, პერსონაჟთა სახელები (მაგ., ტარიელი, ნესტან-დარეჯანი), ვეფხვის ტყავი, ქაჯეთის დამხობა, ინიციაციის გზა, ნესტანის გამოხსნა (ზ. გამსახურდია).

ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემით არის რეგულირებული ჩვენი ფსიქიკა და ცნობიერება, შესაბამისად – კულტურის ყოველი სფერო, რაც აისახება ყოფით რეალობაში, ეკონომიკასა და სამართალში, პოლიტიკაში, სახელმწიფოებრივ რეგალიებსა და ინსიგნიებში, ეტიკეტსა და მორალში.

ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს, აგრეთვე – ავტონომიურ ერთეულებს, აქვთ თავიანთი ატრიბუტიკა – გერბი, დროშა, ჰიმნი (ტექსტი და მუსიკა).

ეს არის სხვათაგან განმასხვავებელი სიმბოლოები, რომლებშიც იკრიბება სპეციფიკური ეროვნული, ისტორიული და თანამედროვე ნიშნები. ისინი ფიქსირებულია კონსტიტუციაში.

გერბი გამოსახულია სახელმწიფო დაწესებულებათა ბეჭდებსა და ბლანკებზე, შენობებსა და ფულზე; დროშა აღმართულია პრე-

ზიდენტის, მთავრობის, საელჩოების შენობებზე, დღესასწაულის დროს კი გამოფენენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და საცხოვრებელი სახლების შენობებზე.

ჰიმნი სრულდება საერთაშორისო შეხვედრებზე, სპორტულ შეჯიბრებებზე გამარჯვებულის პატივსაცემად. პარლამენტის სესიები იხსნება და იხურება ჰიმნის შესრულებით (მაგ., საგაზაფხულო და საშემოდგომო).

გერბს, დროშასა და ჰიმნს ღებულობს პარლამენტი და ამტკიცებს პრეზიდენტი.

ბრძოლაში დროშის წართმევა გამარჯვების ნიშანი იყო, დროშის დახრა გლოვას ნიშნავს.

1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გაიმართა გამარჯვების პარადი. ტრიბუნასთან ჩაატარეს სამხედრო ტყვეები და მთავარსარდლის წინ დაყარეს დამარცხებულ გერმანელთა დროშები.

მონღოლები თავიანთ დროშას – სულდეს ქსოვდნენ ცხენის ძუისაგან; ეს იყო ტოტემური სულის მატერიალიზება, რათა ებრძოლათ მისი რწმენითა და სახელით.

ბოლშევიკებს „წითლებს“ ეძახდნენ, რადგან მათ წითელი დროშა მიიღეს სიმბოლოდ. იგი პირველად გამოჩნდა რუსეთში 1900 წლის 1 მაისს, როგორც რევოლუციის ანუ სისხლისღვრის სიმბოლო.

წითელ ყელსახვევს ატარებდა პიონერი, წითელი იყო პასპორტი და პარტბილეთი, ორგანიზაციებს ჰქონდათ წითელი კუთხე, ქვეყანას ჰყავდა წითელი არმია.

სსრკ-ის გერბზე გამოსახეს ნამგალი და ურო, რასაც შრომის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ხოლო ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი ითვლებოდა ხუთი კონტინენტის სიმბოლოდ, სადაც პროლეტარიატს უნდა გაემარჯვა ანუ სისხლი დაეღვარა.

სსრკ-ის დაშლასთან ერთად გაქრა მისი სახელმწიფო ნიშნები, ემბლემები და სიმბოლოები, ურიცხვი დროშა და ბეჭედი. იგივე მოხდა თხუთმეტსავე საბჭოთა რესპუბლიკაში, მათ ავტონომიებში.

საქართველოში ჯერ აღადგინეს დემოკრატიული რესპუბლიკის ატრიბუტიკა. ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ესეც შეიცვალა. ახალ სიმბოლიკაში ერთმანეთს შეერწყა ქართულ-ისტორიული და ქრისტიანულ-კათოლიკური ნიშნები (მაგ., თეთრი დროშა წითელი ჯვრებით).

სახელმწიფოს ახალ წყობილებას მოაქვს ახალი სიმბოლოები.

ზღვიდან რომ ნიავი დაუბერავს, ეს ნიშანია, რომ მალე ტალღებიც წამოვა; მანქანა რომ სიგნალს იძლევა, ეს გაფრთხილებაა, რომ არასწორად გადადიხარ; ბინაზე ზარის ხმა გვაუწყებს, რომ ვიღაც მოვიდა; ქუდის მოხდა მისალმებაა, ისევე როგორც ხელის ჩამორთმევა; ცა ღრუბლით რომ დაიფარება, წვიმას ელოდები; გაღიმება კეთილგანწყობაა, ყვირილი – მრისხანება, ჩურჩული – საიდუმლოს გამხელა; გახარებული ძაღლი კუდს აქიცინებს, გაბრაზებული – კბილებს კრეჭს და იღრინება.

სპეციალისტები მიმართავენ ცხოველთა და ფრინველთა ნიშანდებას, რათა გაირკვეს მათი მიგრაცია, დაკავებულ ტერიტორიაზე გადაადგილება, სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ცხენს დაღავენ, ძაღლს ყელსაკიდს უმაგრებენ, საქონელს ყურზე რკინის ნიშანს უკეთებენ ან რქაზე ნომერს ამოსწვავენ.

ძაღლი მიაშარდავს ხეზე და ასე შემოხაზავს თავის ტერიტორიას (შდრ – ხეების შემოკოდვა გიორგი წერეთლის „რუხ მგელში“).

ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკში ადამიანი იყო ნომერი.

სამრეწველო პროდუქციას ახლავს თავისი საინფორმაციო ნიშნები, ტრანსპორტს აქვს სახელი და ნომერი.

ერთი სიტყვით, სიგნალი და ნიშანი რაღაც ფაქტს გვაუწყებს, ამახვილებს ჩვენს ყურადღებას, გამოარჩევს უსახური სიმრავლიდან, გამოყოფს სივრციდან და ასე ეძლევა საგანს თუ მოქმედებას ინდივიდუალური სახე. ეს კი იწვევს აზრისა და განწყობილების კონცენტრირებას, აქცენტს აძლევს მიმართულებას. მაგ., ქრისტიანული ხატების სიმბოლიკა – ღვთისმშობელი ყრმითურთ, საიდუმლო სერობა, სვლა ჯვრით გოლგოთისაკენ, ჯვარცმა, იესოს ცად ამაღლება.

ბიზანტიაში იმიტომ ებრძოდნენ ხატებს, რომ სურათს არ შეუძლია სრულად გადმოსცეს საკრალური. ეს შეუძლია ნიშან-ინდექსს, ნიშანსიმბოლოს.

რეალობა უთვალავი პირობითი ნიშნისა და სიმბოლოსაგან შედგება, რომელიც აწესრიგებს ცხოვრებას, ადამიანთა ურთიერთობას, მოქმედებას (მაგ., ტრანსპორტის მოძრაობის ნიშნები).

როგორც სიმბოლო, ისე ნიშანი, სიგნალი, ემბლემა შეთანხმებით იძენს აზრს. მაგ., დიდ ბრიტანეთში სხვაგვარად მოძრაობს ტრანსპორტი, ვიდრე უმრავლეს ქვეყნებში.

თუ ეს არ იცი, მანქანას ვერ მართავ.

ასო ბგერის ნიშანია, მაგრამ თუ ენა არ იცი, თუ არ გესმის სიტყვის მნიშვნელობა – ნიშანი აზრს კარგავს.

ნიშანი და სიგნალი დიდ როლს ასრულებს ცივილიზაციაში, სიმბოლო – კულტურაში. ისინი აგრძელებენ არქაულ ტრადიციებს, ოღონდ დაკარგეს საკრალური მნიშვნელობა. დაკარგული აზრი თავს იმალავს სიმბოლოებში, როგორც მთვარე ღრუბლებში.

ნიშნების, სიგნალებისა და სიმბოლოების მათემატიკური მოდელირებით შესაძლებელი გახდა მართვის სისტემებში ინფორმაციის უწყვეტი, ხან წყვეტილი მიღება, გადამუშავება, შენახვა, გადაცემა, რამაც მისტიკური სივრცე კომპიუტერის ვირტუალურ რეალობად აქცია.

2. მითოსურ-რელიგიური სიმბოლოები

„ვინ არს ძალი უხილავი“

ალექსეი ლოსევის თანახმად, ყოველი მითი არის სიმბოლო, მაგრამ ყოველი სიმბოლო როდია მითი (მაგ., სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა).

პლატონი მითებში ჭეშმარიტების ალეგორიას ხედავდა.

ნიშანი და სიმბოლო იყო საგნის, განცდის ან მოვლენის აქცენტირება, როგორც ლოკალური წრის მონაპოვარი.

სახელთა, ნიშანთა და სიმბოლოთა წარმოქმნის წყარო იყო ტაბუირება, ნამდვილის დამალვა. ხსენება უდრიდა დანახვას, სახელი კი საგნის ნაწილი იყო, ანდა – სულაც საგანი. ამიტომ სხვა სახელით უნდა დაფარულიყო (შდრ – რუსთაველი: „ამა საქმეს დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს“, „განგიცხადა დამალული გონებამ დაფარულმან“).

უცხოსა და მტრის რეაქცია გადადიოდა შერქმეულზე. დაფარული კი დაცული იყო.

ეს ზრდიდა იდუმალებას და აკავშირებდა ტომს. ნამდვილს უცხო ვერ მიაგნებდა, ზიანს ვერ მიაყენებდა, სიწმინდეს ვერ დაურღვევდა. ასე რომ – პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლეოდა.

შემდეგ სიმბოლომ მითებში შეისხა ხორცი, რიტუალის აზრად იქცა და ტრანსფორმირებული სახით გადავიდა რელიგიურ დოგმებში.

სიმბოლოები წარმართავენ რიტუალსა და ლიტურგიას, ღვთაებრივი ჩამოაქვთ მიწამდე.

ნიშანთა და სიმბოლოთა სიმრავლე, მათი ნიუანსური დაყოფა, ზრდიდა ლექსიკურ ფონდს, აზროვნების სპეციფიკას, ფიქრსა და ჭვრეტას, შესაბამისად – ღმერთების პანთეონს.

ღვთაების უხილავი სახე სიმბოლოებითა და ალეგორიებით უნდა წარმოჩენილიყო. ამან წარმოშვა წართქმითი (კატაფატიკა) და უკუთქმითი (აპოფატიკა) ღვთისმეტყველება.

ქრისტეს ეპითეტები და სიმბოლოებია ძე ღვთისა, ძე კაცისა, მაცხოვარი, მეფე, დავითის ძე, უჟამო ჟამი, თევზი...

ქრისტე ებრაული მესიის ბერძნული თარგმანია და მირონცხებულს ნიშნავს ანუ სიმბოლური ეპითეტია.

ბერძნულად „თევზი“ იშიფრება როგორც „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი“. ამიტომ იქცა იგი ქრისტეს სიმბოლოდ, „მეთევ-

ზე“ – ქრისტეს მიმდევრად, ე.ი. სიმბოლური კრიპტოგრამაა. მაგრამ თალმუდშიც მესია არის თევზი.

თევზის კულტი იყო გავრცელებული შუმერში, სირიაში, პალესტინაში, ირანში, კავკასიაში.

ნინევიაში აფრო-ევრაზიული იშთარის საკულტო ცენტრს „თევზის სახლი“ ერქვა ანუ ასეთია აბრევიატურა „ichtus“-ის ძირები.

ღმერთებს უამრავი სიმბოლური სახელი ჰქონდათ. მაგ., ბუდას სახელებია ტატჰაგატა, სუგატა, ჯინა, ბჰაგავატი და თავად ბუდაც უამრავია ასაკის, ადგილის, წარმოშობის მიხედვით.

ოდინს, რომელიც ცალთვალა თუ ბრმა იყო, ერქვა ალფოიდრი, ჰარი, ჰროფტი, ჰერიანი, იგგი, ჰარბარდი, ჰნიკარი...

ღმერთების სახელთა, ჰიპოსტასთა სიმრავლეს იწვევდა ისიც, რომ ტომები გაერთიანდნენ. გაერთიანებულ ტომში ტოტემებიც ერწყმოდნენ ერთმანეთს. ისინი იქცნენ ღვთაების სიმბოლოებად.

მაგ., ეგვიპტური აპისი არის ხარი, რა – მზე, ჰორი – შევარდენი, ჰატორი – ძროხა, ამონი – ცხვარი, ბასტი – კატა, ანუბისი – ტურა...

ებრაელების ღმერთის სახელი – დაშიფრული YHWH (იოდ-ე-ვო-ე) წელიწადში ერთხელ ჩურჩულით ითქმოდა რაბინთა მიერ და განიმარტებოდა როგორც იაჰვე, იეღოვა, ადონაი, იამა, ელოჰიმი. ხან იხსენიებოდა როგორც ცაბაოთი, რომლის მიღმა იგულისხმებოდა მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მთელი დაშიფრული სისტემა.

კაბალისტების მიხედვით მათ ემატება ქალური ჰიპოსტასი – შეხირა (ებრაული „კ-ბ-ლ“ გადმოცემას ნიშნავს).

იაჰვეს არა აქვს ბიოგრაფია, არც პორტრეტი, მხოლოდ მისი ხმა ესმის მოსეს ცეცხლის შუაგულიდან.

მისი სული არის ქარის სტიქია. საერთოდ კი სული არის სუნთქვის ანუ სიცოცხლის სიმბოლო და გაიგივებულია სისხლთან. ებრაელებთან, ქრისტიანებთან, მუსულმანებთან ღმერთის სუნთქვა ქცეულია ანგელოსებად.

ისინი უსხეულოა და უხილავი.

უფლის მახარობელთა რიცხვი იოანე ოქროპირის მიხედვით არის ათასჯერ ათასი.

ფსევდო-დიონისემ დაჰყო ანგელოსთა იერარქია ცხრა ჩინად, სამ ტრიადად. მათ შეუსაბამა სამი საეკლესიო ტრიადა, ცხრა ჩინი (რანგი).

ხალხის წარმოდგენით, ანგელოსი საჭურისად იყო მიჩნეული. ალბათ იმიტომ, რომ მეტწილად, ყველა დროსა და ქვეყანაში მეფის სასახლის კარს განაგებდნენ საჭურისები.

როგორც მითები, ისე რელიგიური სახეები და დოგმატები თავიანთ წრეში ქმნიან სიმბოლურ, ეზოტერულ სუბკულტურას.

სიმბოლო იმდენად არის ძლიერი, რამდენადაც აქვს სიღრმე და პერსპექტივა, რამდენადაც აღიბეჭდება სულში ანუ შეესატყვისება პიროვნების აზრობრივ და გრძნობად სამყაროს.

ამის მიხედვით არის აზრობრივი და გრძნობადი სიმბოლოები.

სიმბოლისტებს უნდოდათ გაეხსნათ ზემგრძნობელობის იდუმალება, როგორც მარადისობის სახე. ეს ნიშნავდა ხელოვნების რელიგიით ცხოვრებას, როცა რეალობა ეწირება მშვენიერებას.

ყველა რელიგიაში უმაღლესი ღმერთი უკავშირდება ცას, მოდის ცისგან და შემდეგ ტაბუირებით ხდება გადასახელება. თანდათან იკარგება ნამდვილი სახელი და გვრჩება პრედიკატები და სიმბოლოები, რომელთაც ყველა რელიგია, ყველა ენა განსხვავებულად წარმოთქვამს.

ამისი მაგალითია ალტაურ-მონღოლური თენგრის, ვედური ინდრას, ბერძნული ზევსის საწყისი და ტრანსფორმაციები.

ვაჯრაიანას მითოსში დჰიანი-ბუდა არის ამიტაბჰა; მანდალაში შეესაბამება დასავლეთი, ფერი – წითელი, სტიქია – წყალი, მითოსურ პერსონაჟთა ოჯახში – მანი, მიწიერად – შაკიამუნი და ა.შ.

ბუდისტი თავის მფარველად ირჩევს პანთეონის რომელიმე პერსონაჟს. მას ჰქვია იდამი. იდამიც მრავალგვარია და შეესატყვისება გრძნობებს (მაგ., მრისხანებას).

ესენიც იყოფა – კაცად და ქალად.

კაცის მრისხანეების სიმბოლოა ჰერუკა, ქალისა – დაკინი.

იდამის სხეულის აგებულებას შეესაბამება იდეები: ვაჯრაბ-ჰაირავას 9 თავი ბუდისტური კანონის 9 ნაწილის სიმბოლოა, 2 რქა – აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, 16 ფეხი – სიცარიელის კონცეფციის 16 ასპექტისა...

საუკუნეების მანძილზე აბსტრაქტული და მისტიკური ჭვრეტით ყალიბდებოდა ჰინაიანას, მაჰაიანას, ვაჯრაიანას იერარქიული სტრუქტურა – ჰორიზონტალური და ვერტიკალური.

კულტურაში უამრავი სიმბოლოა დალექილი და დაქსელილი. ისინი ცოცხლობენ სიტყვებში და მნიშვნელობას იძენენ გააზრიანების შემდეგ.

ეკლესია ხომალდია, დრაკონი – სატანა, ფენიქსი – აღდგომა, ზიგფრიდი – მზე და სინათლე, თეთრი მტრედი – მშვიდობა, რგოლი (წრე) – მარადისობა, სასწორი – სამართლიანობა...

ნემეზიდას ერთ ხელში უჭირავს სასწორი, მეორეში – მახვილი ანუ სიმართლეს სჭირდება განსაზღვრა და დაცვა.

მუსულმანთა ღმერთის ალაჰის სახელიც ტაბუირებულია. ძველ არაბებში იგი იყო ცისა და წვიმის უფალი. მან გაჰყო ზეცა და მიწა. ორ დღეში წყლიდან გამოიყვანა მიწა და შვიდი ცა, მზე დააწესა მანათობლად. მეშვიდე ცაზე არის ალაჰის ტახტი.

ქრისტიანულ სატანას აქ შეესაბამება შაითანი – ესეც დაცემული ანგელოსი. მუჰამედი კი იყო რეალურად არსებული პიროვნება (570-632), ჩვეულებრივი მოკვდავი, ოღონდ – ალაჰის წინასწარმეტყველი, მახარობელი.

სიმბოლოებით ყველაზე მეტად დახლართულია „იოანეს გამოცხადება“ – აპოკალიფსი. იგი არის ტექსტი–კრიპტოგრამა, რომლის სიტყვები და სახელები სხვადასხვაგვარად იშიფრება (მაგ., 7 ანგელოსი, 4 ცხენი, რიცხვი 666, 7 სასანთლე, 7 ვარსკვლავი, ბუკის ხმა და მახვილის სახე, ბეჭდების ახსნა, ათრქიანი და შვიდთავიანი დრაკონი, 4 ცხოველი, 12 თვალი პატიოსანი, ქვეყნის ნგრევა და მიცვალებულთა აღდგომა).

რელიგიური სიმბოლოები გონებაჭვრეტით, მისტიკური წარმოსახვით არის შექმნილი, თანაც იმდენად ბევრია, რომ მათი აღქმა მორწმუნესაც უჭირს. მხოლოდ მთავარი სიმბოლოებია პოპულარული (მაგ., ქრისტიანული სამება, განკითხვის დღე, ღვთისმშობლის კულტი, ჯვარი, ქრისტეს ჯვარცმა და ცად ამაღლება).

საიდუმლო ცოდნას ღმერთებზე ფლობდნენ ქურუმები და მისტები. ეს ეზოტერული ცოდნა იყო. იგი მასას არ უნდა გადასცემოდა. ჩაკეტილი წრე მას ხვეწდა, ავითარებდა, გადადიოდა ოკულტურ-ასტროლოგიურ და ჰალუცინაციურ წარმოდგენებში, რელიგიებში. ამგვარი ძიება ერესის სახეს ღებულობდა, მაგრამ ძირითადი ცოდნა მაინც უცვლელი რჩებოდა. მაგ., ქრისტეს სულიწმინდისაგან ჩასახვის სიმბოლო, მარიამის ქალწულობა.

ეს მითი არის ტოტემური ინკარნაციის გაგრძელება, როცა ეგონათ, რომ ბავშვის გაჩენაში მონაწილეობს არა მამაკაცი, არამედ – ტოტემის სული, ცხოველი თუ მცენარე, ქვა თუ წვიმა (იხ. „ტოტემური ინკარნაცია“).

არათუ უძველეს დროში, არამედ რომაელებიც კი თვლიდნენ, რომ რომული და რემი იყვენ მარსის ძე, ოქტავიანე – აპოლონისა, რომ დედამისს იგი დრაკონის სახით შეეუღლა.

სულიწმინდის განსხეულება ქალწულში განამტკიცებდა ქრისტეს ღვთაებრივ წარმომავლობას. კათოლიკური რწმენით, თავად მარიამიც ასე ჩაესახა ანას.

ღმერთი და ძალაუფლება

ღმერთების ნება კონცენტრირებული იყო ძალაუფლებაში, რომელიც მმართველს (ბელადს, მეფეს, სულთანს, შაჰს, იმპერატორს) ზეციდან გადმოეცემოდა.

მეფე სიმბოლურად არის გვარის და ტომის ეთნარქი, რომელიც თავისი ტოტემით ენათესავება ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (იხ. „სიმბოლო – საკრალური ნიშანი“).

მეფის სიმბოლოებია ტახტი, სკიპტრა, გვირგვინი, ეტლი, სამოსელი.

თავიანთი მხრივ, – ესენიც სიმბოლოთა შრეს შეიცავენ. ტახტი არის ამაღლებული ადგილი, როგორც გორა. იგი ხაზს უსვამს მეფის აღმატებას, სიდიადეს, საიდანაც იყურება დაბლა – ქვეშევრდომებისაკენ. მისი მზერა მიმართულია მაღლიდან ძირს, როგორც მზის სხივი. იგი ზეცის ანუ ღმერთის შვილია და ფეხი მიწაზე არ უნდა დაედგა.

ამას ადასტურებს გვირგვინი, რომელიც მას ხურავს, როგორც ზევსს – ელვა. მისი ნათება იწვევს მზის სხივთა და ჭექა-ქუხილის ასოციაციას (შდრ., გვირგვინი და გრგვინვა). ხოლო სკიპტრა არის კომბალისა და ფალოსის სიმბოლო, რაც ძალაუფლების სიმბოლოცაა, ცხვართა და ტომთა პატრონისა.

მეფე უკავშირდებოდა როგორც ცასა და მზეს, ისე ქვესკნელს – სიკვდილს, როგორც მედიუმი. იგი იყო მიწიერი ღმერთი, რომელიც ყოველწლიურად ბუნების ჭკნობასთან ერთად უნდა შეცვლილიყო.

როგორც ვთქვით, მეფე (ბელადი) სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ამიტომ სიბერით ვერ მოკვდებოდა – რიტუალურად უნდა მოეკლათ, რათა მისი ძალა და სისხლი ხალხს გადასცემოდა (იხ. „წამებული ღმერთი – კაცთა მხსნელი“). იგი ციდან იყო ჩამოსული და ცად უნდა ამაღლებულიყო.

ძველი ინდოელების ინდრა იყო ღმერთების რაჯა (მეფე). ხოლო რაჯა – ხალხის ინდრა ანუ ღმერთის მოადგილე ხალხის წარმოდგენაში ცვლიდა ღმერთს.

რელიგიურ ეპოქებში ზოგი სიმბოლო რეალობაზე უფრო ძლიერი იყო:

როცა ბარბაროსმა ოდოაკრმა 476 წელს დაამხო რომის უკანასკ-ნელი იმპერატორი რომულ ავგუსტული, ვერ მიითვისა იმპერატო-რის ინსიგნიები:

მან ისინი გაუგზავნა იმპერატორ ზენონს, კონსტანტინოპოლში.

ოდოაკრმა ტერიტორია მიიტაცა, სამეფო ნიშნები – ვერა, რად-გან უზენაესისგან იყო გადმოცემული.

ოსტგუთი ვიტალისი ებრძოდა იუსტინიანეს, მაგრამ მონეტაზე კვეთდა არა საკუთარ, არამედ – იუსტინიანეს სახეს.

ღვთაებრივი, ტრადიციული და რეალური იყო გაერთიანებული გერმანელთა მიერ იტალიის მიწაზე შექმნილი სახელმწიფოს სა-ხელწოდებაში – „გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია“, რო-მელმაც 800 წელზე მეტხანს იარსება.

ბიზანტიის იმპერატორი იყო ქრისტეს მოადგილე, ხალიფა – მუჰამედისა.

დღესასწაულზე იმპერატორი ტახტის მარცხენა მხარეს ჯდებო-და, მარჯვენა მხარე ქრისტეს ეკუთვნოდა. იმპერატორებს ეს ად-გილი ეკავათ დროებით – ქრისტეს მოსვლამდე, რაც განსაზღვრული იყო ესქატოლოგიით.

ეგონათ, რომ ოტტონ III (983-1002) რომის უკანასკნელი იმპე-რატორი იქნებოდა, რადგან ათასწლეულის მიჯნაზე იესოს მეორედ მოსვლას ელოდნენ. ამიტომ იმპერატორის სურათებს ამკობდნენ ჰიერატიული, იეროგლიფური ნიშნებით.

ქრისტიანობა იყო იმპერიის სიმბოლო, იმპერია – ქრისტიანო-ბისა (სერგეი ავერინცევი).

ბიზანტიის იმპერატორები პურპურისფერ (მეწამულ) სამოსელს ატარებდნენ, წერდნენ პურპურით, რადგან ქრისტეს სისხლი – ეს პურპურის მელანი იყო, ხოლო დასისხლული სხეული – პაპირუსის ქარტია.

ღმერთი უხილავი იყო, მეფე – ხილული. ხალხს ორივე მათ-განის შიში და სიყვარული უნდა ჰქონოდა. მათგან მოდიოდა რო-გორც სიკეთე, ისე რისხვა, როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი.

მისტიკური ცნობიერება ქმნიდა საკრალურ ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემას და ასე ზემოქმედებდა მორწმუნეთა ფსიქიკაზე.

3. ოთხი სტიქია

სამყაროს ოთხი სტიქია, ოთხი ელემენტი – ჰაერი, მიწა, ცეცხლი, წყალი – ემპედოკლეს სახელით არის ცნობილი (ძვ. წ. V ს.), თუმცა უფრო ადრე შეიმუშავეს ინდოელებმა. ხოლო კიდევ უფრო ადრე გამოვლინდა სხვადასხვა ხალხის მითოსში. შემდეგ მიეცა მრავალგვარი გააზრება, დაუკავშირდა ფსიქიკას, ხასიათს, ტემპერამენტს, რელიგიას, მხატვრულ აზროვნებას.

ოთხ ელემენტს შეესაბამება მითოსური პირველსაწყისები – ქაოსი, გეა, ტარტარი და ეროსი, რომელთაგან მოდიან ღმერთები ანუ საგნები.

ოთხი რიცხვიც ისევე მაგიურია და სიმბოლური, როგორც 1, 2, 3, 7, 9, 12. რიცხვთა მისტიკა ცალკე სფეროა და იერთებს ანბანთა და გეომეტრიულ ფორმათა სიმბოლოებსაც.

ჰაერი და ცეცხლი მამრული საწყისია, მიწა და წყალი – მდედრული.

ჰაერი სუნთქვას და სულს უკავშირდება ანუ სიცოცხლეს. ასეა ძველებრაულში, ძველბერძნულში, ლათინურში, რუსულში.

ინდუიზმში სამყარო ბრაჰმას სუნთქვით იქმნება და ქრება. ასევეა ჩინურ მითოსში, ძველინდურში. ქარიშხალს მოაქვს უფლის სუნთქვა, ქარიშხალმა აღუძრა ხილვა იოანე ღვთისმეტყველს, ქარს მოჰყავს ანგელოსები და გადაჰყავს ღმერთები (მაგ., ოდინი).

სული წმინდა ხომ სამების ერთი ჰიპოსტასია, ე.ი. სიმბოლო. მაგრამ მასაც აქვს თავისი სიმბოლო – მტრედი, დედალი მტრედი. ამას კი უკავშირებენ კოსმიურ კვერცხს, რომლისგანაც იშვა სამყარო ან დემიურგი, მაგრამ სიკვდილიც აქედან ისახება.

სააღდგომო კვერცხი წითლად არის შეღებილი ანუ ქრისტეს სისხლით, რადგან იესომ გამოისყიდა კაცთა ცოდვა და თავისი სისხლით იხსნა კაცთა მოდგმა.

ჩინური ტრადიციით ქათმის კვერცხში არის გაერთიანებული მიწა და ზეცა. ხან კვერცხი – ეს იგივე მზეა (მაგ., ვედებთან), რომლისგანაც იბადება პრაჯაპათი.

სიმბოლოები, როგორც სინონიმური სიტყვები, მეორდება სხვადასხვა ენაში, მეორდება სემანტიკური ვარიაციით სხვადასხვა კულტურაში. ისინი ერთმანეთს ჰგავს, ენათესავება, თუნდაც გენეტიკური კავშირი ვერ ვიპოვოთ. შემდეგ გადადიან სხვა სიმბოლურ წრეში, იძენენ ახალ ნიუანსებს და ასე მოგზაურობენ დასაბამიდან დღემდე.

ბევრი იკარგება ან რჩება ისტორიულ მეხსიერებაში. მცირე ნაწილი მონაწილეობს დღევანდელ ცხოვრებასა და კულტურაში. მხოლოდ ცალკეულ შემოქმედთა მიერ ხდება გამქრალ სიმბოლოთა აღდგენა, მივიწყებულთა გააქტივება.

ცეცხლი უკავშირდება მზეს, რომელსაც მოაქვს სხივების სახით სითბო და სიცოცხლე.

ამიტომ ჩნდება მითებში ცეცხლის მოტაცების მოტივი. მაგ., ინდიელთა ტომებში მას იტაცებს შევარდენი, ხან – ჩიტი, ხან დედაბრები იცავენ და მალავენ. მაგრამ უცხო კაცი მიდის, ალს მოიკიდებს და ასე მიაქვს თავის ტომში. ავსტრალიურ ტომებში ცეცხლი არის მზის ნამსხვრევი, ზოგან – მთვარის ნათება ან ელვის ანარეკლი.

ცეცხლს მეტწილად ფლობენ ქალები. ჩრდილოეთის ხალხებისათვის იგი ქალია. ეს უნდა იყოს მატრიარქალური დროის ანარეკლი, როცა მამაკაცი ნადირობდა, ქალი კი კერას იცავდა.

ცეცხლი თაყვანისცემის ობიექტია. მაგ., ვედების აგნი ცეცხლს ნიშნავს (შდრ – რუსული огонь). ხოლო მაზდეანობა ცეცხლთაყვანისმცემლობის სახელითაა ჩვენში ცნობილი (გავიხსენოთ აბიბოს ნეკრესელის „ევსტათი მცხეთელის წამება“, VI ს.).

ცეცხლის ჩაქრობა როგორც რომაულ მითოსში, ისე ჩვენთან ფუძის მოშლაა; გმირის საფლავზე მარადიული ცეცხლი ანთია; სანამ ალი ანათებს, სიცოცხლე გრძელდება. იგი სულის მატერიალური სახეა.

ცეცხლს უკავშირდება შრომისა და ბრძოლის იარაღები, ბერძნული ჰეფესტო და იტალიური ვულკანი, მათი მჭედლები.

ცეცხლის ალი არის სული, რომელიც ქარს მოაქვს.

ოლიმპიურ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა პრომეთემ, რათა იგი კაცთათვის გადაეცა (ქართული ვარიანტით – ამირანი). ამისათვის კი სამუდამოდ დაისაჯა ანუ ცეცხლს სჭირდება მოპოვება, მუდმივი დაცვა და გაღვივება. ეს კი იგივე ტანჯვა და სისხლის გაღებაა.

მიწისა და ზეცის საღვთო ქორწინებით იქმნება სამყარო და ჩნდებიან ღმერთები. ეს ქორწინება ციკლურად მეორდება. ერთმანეთთან კი აკავშირებთ თოვლი, წვიმა, ელვა, მზისა და მთვარის შუქი. მიწა დედაა ყველა მითოსში (გარდა ეგვიპტურისა).

ინდიელი მონადირე ტომები იცავდნენ მიწის ქალწულობას, მიწათმოქმედი ტომებისათვის კი თესვა არის განაყოფიერება, გუთანი – ფალოსი.

მიწა გამოდის მსოფლიო კვერცხიდან, ზოგჯერ კი – პირველკაცის შეწირული სხეულიდან (მაგ., აქადური თიამათი, ვედური პურუშა, სკანდინავიური იმირი, ჩინური პან-გუ).

ინდიელ და ციმბირელ ტომთა მითოსით, მიწა წყლიდან გამოჰყავს წყალმყვინთავ ფრინველს, ძველბერძენთა წარმოდგენით – ქაოსიდან გამოდის. შემდეგ კი უკავშირდება ქტონურ ძალებს (იხ. „მითოსურ-კოსმოგონიური წარმოდგენები“).

წყალი სიმბოლურად შეესაბამება პირველყოფილ ქაოსს, როგორც პირველადი ოკეანე, ეგვიპტური ნუნი, გარემო, სადაც სიცოცხლე ისახება.

წყალი ცეცხლის ოპოზიციაა.

ზოგჯერ იგი არის როგორც კაცური, ისე ქალური საწყისი, თესლი და საშო. მას უკავშირდება ქრისტიანული ნათლობა, რო-

გორც მეორედ დაბადება, გამოსვლა წყლიდან და განწმენდა. მაგრამ სიკვდილის მაცნეცაა, როგორც უფსკრული, ურჩხულთა საუფლო და მწარღვნელი ძალა, მსოფლიო კატასტროფის მომტანი.

ოთხი ელემენტიდან გამოჰყავთ ადამიანის ოთხი ტემპერამენტი: ცეცხლიდან – ქოლერიკი, მიწიდან – მელანქოლიკი, წყლიდან – ფლეგმატიკი, ჰაერიდან – სანგვინიკი (გუსტავ ბაშლიარი), რაც საფუძვლად ედება მხატვრული აზროვნების სპეციფიკას.

ცისა და მზის სინათლეს უპირისპირდება ხთონური ბნელი საწყისი, რომლის სიმბოლოა გველი ან დრაკონი, რაც ქრისტიანული სიმბოლიკით კეთილისა და ბოროტის მარადი ჭიდილია. ამ ჭიდილში მატერიალურისაგან თავისუფლდება სული და ეზიარება უმაღლეს სიკეთეს, რაც მიღმა ქვეყანაა.

4. მცენარეთა და ცხოველთა სიმბოლიკა

ადამიანს გარს ეკრა მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. იგი მისი ნაწილი იყო, ასე ცოცხლობდა და იბრძოდა. პირველადი წარმოდგენებიც მათ დაუკავშირდა, სულის ძახილი მათ შემოეხვია.

უძველესი ნახატები კლდეებზე, მღვიმეებში გვაცნობს ცხოველებს – ცხენს, დათვს, ბიზონს, მამონტს, კატას, ირემს, თევზებს, ფრინველებს, იშვიათად ადამიანს – ქალსა და კაცს. მათ ჰქონდათ მაგიურ-პრაქტიკული დანიშნულება, საკრალური მნიშვნელობა. შველოდნენ მონადირეს, გამოხატავდნენ თაყვანსა და პატივისცემას, შესთხოვდნენ დახმარებას ან ერიდებოდნენ.

მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს უკავშირდება ადამიანთა სახელები და გვარები, როგორც გადატანით, ტაბუირებით, ისე სიმბოლურად, რაღაც ნიშნის მიმსგავსებით, როცა ნიშანი გადადის სიმბოლოში და შთანთქავს რეალურ საგანს:

მაგ., აზო – თხა (ირან.), არსაკ – დათვი (ირან.), ვოლფგანგ – მგლის სვლა (გერმ.), ადოლფ – კეთილი მგელი (გერმ.), ყამარი – მთვარე (არაბ.), ვარაზი – ტახი (ირან.), გიორგი – მიწის მუშა (ბერძნ.), გოდერძი – ძლიერი ხარი (ირან.), თამარი – ფინიკის რტო (ებრ.).

ცხოველთა სამყარო შემდეგ ფანტაზიამ ცად აიტანა და მნათობებად გამოსახა, როგორც მიწიერის ზეციური ორეულები (მაგ., თხის რქა, კურო, მორიელი).

ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა, თევზთა თუ ქვეწარმავალთა სახეობებს მინიჭებული ჰქონდათ ფუნქციები, სიმბოლური აზრი. ისინი მონაწილეობდნენ ოთხელემენტოვანი სამყაროს შექმნაში, ადამიანთა ცხოვრებაში და ადამიანსაც მათდამი დამოკიდებულება ტაბუირებით უნდა გამოევლინა, ტაბუირებით გაეკვლია გზა.

ყველა სიმბოლიკაზე საუბარი შეუძლებელია. ზოგი განხილულიც გვაქვს (მაგ., ტოტემური წარმოდგენები, მუხის კულტი, გველის კულტი, ცხენის კულტი).

ამიტომ უნდა წარმოვადგინოთ მხოლოდ ზოგადი სტრუქტურა.

„მწყურობდა ცისფერი ვარდები“

ევროპელ ხალხთა წინაპრებს ეგონათ, რომ ისინი ხეებისაგან იშვნენ, რომ სული ცხოვრობდა ტოტებში, ფოთლებში, ყვავილებში, მათ შრიალში ღმერთების ხმა ისმოდა;

ეგონათ, ხეებიც ადამიანებივით გრძნობენ, ლაპარაკობენ და სუნთქავენ. მართლაც – უახლესმა ცდებმა აჩვენა, რომ მცენარეს აქვს განცდის მინიმუმი, აღიქვამს შუქსა და სიბნელეს, სითბოსა და სიცივეს, მუსიკასა და მტრულ მოპყრობას.

მოჭრილ ხეთა საკომპენსაციოდ, რაც სჭირდებოდა სახლს, ხიდს, ნავს, მიმართავდნენ მსხვერპლშეწირვას.

მცენარე იძლეოდა საკვებს, მაგრამ იგი სიმბოლურადაც მონაწილეობდა კაცთა ცხოვრებაში.

მუხა უკავშირდება ზეცას, ძლიერებას, ადამიანთა მოდგმას, ბროწეული – სიკვდილსა და იმედს, ანწლი – ბოროტ სულებსა და უბედურებას, ნაძვი – ერთგულებასა და უკვდავებას, ტირიფი – მუზებს, წიფელი – ანბანსა და დამწერლობას (ინდოევროპულ ენებში), პალმა – ფალოსს (ქრისტიანული ტრადიციით – სიწმინდეს), ლერწამი – ძალაუფლებას (ქრისტიანული ტრადიციით – მორჩილებასა და სამართლიანობას)...

მაგიური თვისებები აქვთ ბალახს (შდრ. რუსთაველი – „მოლი რამე წამოისხა“), ვარდებს, ყვავილებს, სოკოებს. ამჯერად ვნახოთ ერთი მათგანი – ვარდი.

ბუდისტებთან ვარდი ცვლის ლოტოსს. იგი იყო სიხარულის წყარო, იდუმალებისა და სიჩუმის სიმბოლო.

საბერძნეთში, რომში, გერმანულ ქვეყნებში, ჩინეთში ვარდი დაუკავშირდა სიკვდილს. ვარდის სურნელი და იდუმალება გახდა მიცვალებულთა სამეფოს ემბლემა (შდრ – გალაკტიონის წიგნი – „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“).

სხვადასხვა ასპექტში ვარდი არის სილამაზე და სიბრძნე, სიყვარული და სიხარული, სიჩუმე და სიამოვნება.

რომაელებს ვარდი ვენერას ცრემლად მიაჩნდათ. ალბათ ამიტომ იქცა იგი ქრისტიანულ ევროპაში ქალის სახედ, ისევე როგორც მუსულმანურ აღმოსავლეთსა და საქართველოში (მაგ., თეიმურაზ პირველის „ვარდბულბულიანი“, – „კოკობი და უფურჭვნელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი“, – ეუბნება რუსთაველის თინათინი ავთანდილს).

როცა წერს გალაკტიონი – „რომელი იყო ჟამი უვარდო და ან რომელი დღე საცნაური“, რეალურ ვარდებს გულისხმობს. მაგრამ ისინი ირეალურია, მისტიკური და არაამქვეყნიური, როცა გვეუბნება: „წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა“.

კათოლიკური ეკლესია ვარდს ლოცვას აღუვლენს. მას ლათინურად „როზარიუმი“ ჰქვია, გერმანულად – „როზენკრანცი“, რომლის სახელს ატარებდა რაინდთა ორდენი.

კათოლიციზმი ვარდთან აკავშირებს მარიამ ღვთისმშობელს, იესო ქრისტეს, წმ. გიორგის, ცალკეულ წმინდანებს და საერთოდ ეკლესიას, ღამის იდუმალებასა და სულთა საუფლოს, საითკენაც მოკვდავი გადაჰყავს ლოცვას, მისტიკურ ექსტაზს, სიზმარსა და ხილვას. აქედან გადავიდა ვარდის სიმბოლიკა ევროპულ კულტურაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

შემდეგ უფრო დაკონკრეტდა და ვარდის ტოტის სიმწვანე იქცა სიხარულად, ეკალი – მწუხარებად, ყვავილი – დიდებად.

ვარდი თეთრია, მაგრამ წითელი იმიტომ გახდა, რომ ფოთოლზე აფროდიტეს ფეხის სისხლის წვეთი დაეცა, როცა იგი ადონისს ეძებდა და ეკალმა უჩხვლიტა. წითელი ვარდი იწვევდა სიყვარულისთვის დაღვრილი სისხლის ასოციაციას (შდრ – წითელი და თეთრი ვარდების ომი XV საუკუნის ინგლისში).

კათოლიციზმში ვარდი ატარებს ქალის იდეას, ქალის სახეს. ასეთი ალეგორიით არის დაწერილი ფრანგული „ვარდის რომანი“, (XIII ს.) გილიომ დე ლორისისა და ჟან დე მიონის პოემა.

სიზმრულ ხილვაში ჭაბუკი პოეტი ჰპოვებს ვარდს, რომელსაც გაუმიჯნურდა. მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ მოწყვეტს მას და კიდეც გაეღვიძება.

ვარდი არის სიზმარეული ქალის სიმბოლიკა, ღვთაებრივი სიბრძნის – სოფიას ვარიაცია.

დანტეს თეთრი ვარდის ფოთლები, რომელიც ჩნდება პოემის ფინალში, სამოთხეში, წმინდანთა სულებია. მათგან უმშვენიერესი კი არის ღვთისმშობელი („ღვთაებრივი კომედია“).

სამოთხეში დანტემ იხილა ნათელი მდინარე, რომლის წინწკლები ეფრქვეოდა სურნელოვან ყვავილებს,. პოეტი დაეწაფა მდინარის წყალს და უცებ იგი დამრგვალდა, გაქრნენ ყვავილებიც და ეს წალკოტი გადაიქცა უზარმაზარ სხივმოსილ ვარდად.

მადონამ იგი შეიყვანა ვარდის გულში. აქ იხილა ტახტი და ოქროს გვირგვინი, წმინდა მხედრობა. ბეატრიჩე გაქრა და ხელთ შერჩა ვიღაც მოხუცი, სათნო ბერნარდი, ვინც აჩვენა მომღიმარე ათასზე მეტი ანგელოსი და ღვთისმშობელი. აქ არიან რაჰილი, ბეატრიჩე, სარა, რებეკა, ივდითი.

რომანტიკოსმა ნოვალისმა კათოლიკური თეთრი ვარდი შეცვალა ცისფერი ვარდით, რაც შორეულის, იდუმალისა და მიუწვდომელის სიმბოლოა. იგი ანათებს მიღმა ქვეყნიდან, ზეციდან და ამიტომ აქვს ზეცის ფერი. აქაც ვარდი უდრის ქალს.

ვარდის ესთეტიკა მისტიკური სიმბოლოებით დაინისლა.

ნოვალისის ჰაინრიხი სიზმრად იხილავს წყაროსთან ამოსულ ცისფერ ვარდს, რომლის სიღრმიდან ანათებს ქალის სახე („ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი“).

ეს არის ზეციური სატრფო, რომლის ძიება და მოპოვება მატილდასთან ქორწინებაა.

ცისფერი რომანტიკოსთა ემბლემად იქცა (ნ. ბარათაშვილი – „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“). შემდეგ მოდერნისტებმაც იხილეს შორეული ციმციმი (გალაკტიონი – „აქ მრავალია ცისფერი ფერი, ეს ფერი მარად თვალს ეყვარება“), როცა საგანი ფერში გადავიდა.

ამ სიმბოლოს ვარიაციაა ზღვისა და ცისფერთვალა ქალის კულტი, რომანტიკოსთა და მოდერნისტთა ცისფერი მერი, არტურ რემბოს ზღვა, მორის მეტერლინკის ცისფერი ჩიტი, გალაკტიონ ტაბიძის, ვისაც „სწყუროდა ცისფერი ვარდები“, ლურჯა ცხენები, ალექსანდრ ბლოკის ქრისტე „თოვლის ვარდების თეთრ საყელოთი“, ვასილი კანდინსკის ცისფერი მხედარი, კონსტანტინე გამსახურდიას აპოკალიპსური მწვანე ცხენი, გერმანელ ექსპრესიონისტთა „ცისფერი მხედარი“ თუ ქართველ სიმბოლისტთა „ცისფერი ყანწები“...

ყველა მათგანი უკავშირდება მიღმა სამყაროს, სულთა საუფლოს, ძიებასა და სულის ქროლვას, მარადისობის იდეას, ანუ ქალსა და სიკვდილს.

მგელი და ცხვარი

მგელი და ცხვარი ადამიანთა ყოფისაგან განუყრელია და შესაბამისად – ფანტაზიის მუდმივი ბინადარი.

მგელი, რომელიც დასაბამიდან მოსდევს კაცობრიობას, ერთი ყველაზე გავრცელებული ტოტემი იყო. იგი მიაჩნდათ სიმამაცისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ.

ქართული ხალხური ლექსი გვასწავლის:

„კაი ყმა, მგელი, არწივი
არცერთ არ გაიწურთნების“.

„შემოხედვაც მექნეს მე მგლური“, – ამბობს კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარი. ხოლო თამაზ ვარდანიძე ამ მტაცებელს „ძმას“ ეძახის.

დღევანდელ მეტყველებაში მგელს შემორჩა როგორც ვაჟკაცობის, ისე დაუნდობლობის სიმბოლო.

მგელი ახლდა ომის ღმერთებს, მაგ., მარსს; ოდინს ჰყავდა ორი მგელი – გერი და ფრეკი; მგელმა აწოვა ძუძუ რომულსა და რემის, კიროსს, თურქების პირველწინაპარს ბურტაჩინოს.

მრისხანების ჟამს ტომის ბელადი მგლად იქცეოდა; სლავურ მითოსში გმირი მგელი იყო; მას ბადებდა ცეცხლოვანი გველი – კატის სახითა და მგლის ბალნით. შეეძლო ფრინველადაც გადაქცევა, სხვა ცხოველის სახის მიღება; იერთებდა დათვის თვისებებსაც.

V საუკუნის ქართლის მეფე ვახტანგი გორგასალად იწოდებოდა, რაც სპარსული სიტყვაა და ქართულად “მგელთავას” ნიშნავს.

მეომრის სინონიმი ხეთურ, ირანულ, ბერძნულ, გერმანულ მითებში მგელი იყო; გუთები დღესასწაულზე მგლის ტყავში ეხვეოდნენ; ასევე იქცეოდნენ სლავები; მაგრამ დამნაშავეც მგლად იყო შერაცხილი; მგელს სწირავდნენ ღმერთებს, რაც გამარჯვების ნიშანი იყო; ზოგან „მგლის თვედ“ იწოდებოდა დეკემბერი; ვიკინგები მგლის ტყავს ატარებდნენ და ბრძოლის წინ მგლის სისხლს სვამდნენ.

მგლის სიმბოლიკა ადრევე შევიდა ხელოვნებასა და რელიგიაში, მხატვრობაში, სკულპტურაში, ლიტერატურაში (შდრ – ჯეკ ლონდონთან, ჰერმან ჰესესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან).

აპოლინერი სატრფოს ულმობელ მგელს ადარებს.

მგლის ოპოზიციური სახეა ცხვარი (კრავი, ბატკანი).

მგელი თუ მხეცია და ადამიანი მისგან მუდმივად ელის თავდასხმას, ცხვარი ათასწლეულების მანძილზე მისი უწყინარი თანამგზავრია, რომლისგან ღებულობს საკვებსა და სამოსელს.

ცხვარი მორჩილებისა და უმწეობის სიმბოლოა, რომელსაც იტაცებს მგელი. მგელი ცხვრის ბიოლოგიური მტერია. მათი მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია. ზოგჯერ სიმბოლურად ერთდება ამ ორი ცხოველის თვისება; მაგ., ფლიდსა და ორპირზე იტყვიან, ცხვრის ტყავში გადაცმული მგელიაო.

მგელი თუ მამაკაცურ ბუნებას განასახიერებს, ცხვარი ქალურ საწყისს განეკუთვნება. ხოლო კრავი მსხვერპლის სიმბოლოა.

აქ მნიშვნელობა ეძლევა ფერს. მაგ., შავ ცხვარს სწირავდნენ ქვესკნელის ღმერთებს, ბოროტ სულებს.

რიტუალებში ცხვრის ტყავითაც იმოსებოდნენ, ცხვრის სისხლით ინათლებოდნენ; ეგვიპტელები ამონს ცხვარს სწირავდნენ. ისიც ტოტემური ცხოველი იყო. ამიტომ მგლის მსგავსად ისიც გვარად იქცა. ზოგ ღმერთს ცხვრის თავი ჰქონდა (მაგ., მენდესელ ოსირისს) ან ზოგჯერ ფრთოსან ვერძად გამოსახავდნენ (მაგ., ამონს).

ფრთოსანი ვერძი იქნებოდა ჩვენი ფასკუნჯიც.

ოქროს ვერძს დაუკავშირდა არგონავტების მითი. ამ თემაზე დაიწერა აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკა“. ოქროს ვერძით გადაფრინდა ფრიქსი კოლხეთში; აიეტს ამ ვერძის ტყავი – ოქროს საწმისი არესის ჭალაში მუხის ტოტზე ეკიდა და დრაკონი იცავდა.

ცხვრის სიმბოლოებს სხვადასხვა ასპექტში ინაწილებენ კრავი, ვერძი, ერკემალი, თხა (შდრ. ბიბლიური პერიფრაზი რუსთაველთან – „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“).

ქრისტიანული სიმბოლიკით იესო არის მწყემსი, მრევლი – ცხვარი; ქრისტიანობის სათნოებასა და სიკეთეს, ფიზიკური ძალის სულის რწმენითა და ზნეობრივი სიმტკიცით ძლევას გამოხატავს ცხვარი და ბატკანი, კრავი და თიკანი.

ცხვრისა და მგლის სიმბოლიკა ახლავს სიცოცხლის ხეს, ზოდიაქოს, მითებსა და ლეგენდებს, რელიგიებსა და ხელოვნების ძეგლებს, ადამიანთა მეტყველებას (Мифы народов мира, I, M., 1991, II, M., 1992).

5. ასტრალური სიმბოლიკა

კულტურის ფენებში ღრმად არის შესული ასტრალური სიმბოლოები. ზოგი მათგანი სიტყვათმიმოქცევაში ჩარჩა გაქვავებული სახით. ბევრიც მხატვრული აზროვნების ელემენტად იქცა.

ფანტაზიამ ცხოველთა სამყარო ცაში აიტანა, ვარსკვლავებსა და თანავარსკვლავედებს მათი სახელები მოარგო; მაგ., დიდი დათვის თანავარსკვლავედი, ირმის ნახტომი.

ევენკებისათვის ვარსკვლავთა სამყარო – ეს ზეციური ტაიგაა.

სამხრეთ ამერიკის ინდიელებისათვის ორიონის თანავარსკვლავედი ადამიანთა დაჩეხილი ნაწილებია. ზოგ მითოსში – ვარსკვლავები ცად ასული ტბებია ან ხეთა ფესვები, რომლებიც ზეცაში იზრდებიან.

უფრო გავრცელებულია რწმენა, რომ ეს ცაში აჭრილი სულებია, ახლა მნათობებად რომ ციმციმებენ. მათ ცოლებიც ჰყავთ მიწაზე და სიკვდილის შემდეგ ისინიც ვარსკვლავებად აენთებიან.

ბაბილონში მზის წლიური მოძრაობის მიხედვით ვარსკვლავედებს შორის, რომელთაც ცხოველების სახელები დაერქვა, ჩამოყალიბდა ასტრალური სისტემა. იგი გადავიდა საბერძნეთში, იქ დაერქვა ზოდიაქო (ბერძნ. ცხოველი) და ასე გავრცელდა.

ასეთივე სისტემები შეიქმნა ჩინეთსა და ინდიელთა ტომებში, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად.

12 თანავარსკვლავედი 12 სახლია, წელიწადის 12 თვის ასტრალური სიმბოლო. 12 წელიწადისაგან შედგებოდა ე. წ. „დიდი წელი“. აღმოსავლეთში მასაც ცხოველის სიმბოლიკა ჰქონდა. მაგ., ვეფხვის წელი, თაგვის წელი, დრაკონის წელი.

ბაბილონში ყოველ ღმერთს ცად ჰყავდა შესაბამისი პლანეტა, მაგ., ინანას – ვენერა. ასევე იყო საბერძნეთში, რომში, სკანდინავიაში, ებრაელთა 12 ტომში.

საბერძნეთში მორიელის ზოდიაქალური ნიშანია პლანეტა არესი, რომში – მარსი, სკანდინავიაში – ჰერმოიდი, ებრაელებში – დანი; შესაბამისი სახელებია ძუ მგელი, ფარი, ბეჭედი, გველი.

ასევე ზოდიაქოს მიხედვით ნაწილდება 4 საუკუნე, 4 სტიქია, დღის 4 დრო, ამინდის 4 თვისება, ადამიანის 4 პრინციპი, ფერები, ყვავილები, ასტრონომიული მდგომარეობა, მზის მოძრაობა...

ასე დგებოდა ფატალური კალენდრები. მათი ფიქსირებული დრო გადადიოდა ასტრალურ და მისტიკურ სიმბოლიკაში და ადამიანის ბედისწერას განსაზღვრავდა. მაგ., მზე 21 ივნისს შედის კიბოს თანავარსკვლავედში. მისი ნიშანია ბაბილონში – კიბორჩხალა, ჩინეთში – კურდღელი, ეგვიპტეში – ხოჭო, ევროპაშიც – კიბორჩხალა; პლანეტა – მზე, სული და სიცოცხლე, ყვავილი – მუხა, სტიქია – წყალი, ფერი – ყვითელი, თვისება – ქალური, ცივი, ნოტიო, უიღბლო, სხეულის ნაწილი – მკერდი.

როგორც მსოფლიო ხე, ისე ზოდიაქო გვაძლევს სამყაროს სიმბოლურ კლასიფიკაციას, სადაც ერთმანეთს ერწყმის რეალური, საკრალური, ცხოველური და ასტრალური ნიშნები.

ადამიანი უფრო მყარად იყო დაკავშირებული მზესთან და მთვარესთან, ვიდრე ვარსკვლავებთან. ამიტომ ადრევე გააღმერთეს ეს მნათობები, დააწესეს მათდამი მიძღვნილი დღესასწაულები, რაც მსხვერპლშეწირვით მთავრდებოდა. ამის მიხედვით შეიქმნა ლუნარული და სოლარული სიმბოლოები. მზე და მთვარე ხან და-ძმა,

ხანაც – ძმებია ან ცოლ-ქმარი. მზის სხივები დანებია, რომლებიც სერავენ ღამესა და მთვარეს. ამიტომ განილევა მთვარე. მაგრამ ინდიელების რწმენით, ეს იმიტომაა, რომ იგი ღამეც ანათებს და დღისითაც ანუ იღლება და ძალას კარგავს.

მზის დაბნელება იყო მთვარის გამარჯვების ნიშანი.

მთვარე რომ განილეოდა, გაღმა მხარეში გადადიოდა, სადაც სჯიდა დამნაშავეებს. ღრუბელი სიმბოლიზებულია გველეშაპის სახით, რომელიც მთვარეს იტაცებს ანუ აბნელებს.

მზე უკავშირდება ოქროს, სინათლეს, სამოთხის ბაღს, სიცოცხლეს. იგი სამყაროს ოთხივე მხარეს მოივლის ცხენშებმული ეტლით.

ასტრალური სამყარო გარდავლენილ სულთა მარადიული სამყოფელია, რომლის შვიდი მუსულმანური და ცხრა ქრისტიანული ცა რწმენის, სიწმინდისა და თავდადების ხარისხებს შეესაბამება.

ასტროლოგიურად გარკვეულია სულისა და სხეულის, ადამიანის ბედის შესატყვისობა ზეციურ მნათობებთან, დროთა ცვალებადობასთან. მაგრამ თურმე ეს რეალურადაც ასე ყოფილა:

ადამიანის ბიოლოგიური ცხოვრება სამ ციკლს მოიცავს – ფიზიკური (23 დღე), ემოციური (28 დღე) და ინტელექტუალური (33 დღე). ყველა მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი ფაზა. როცა სამივე ფაზა ერთად მოიყრის თავს, ეს არის „შავი დღე“ და საშიშია. ორი დღის თავმოყრა „კრიტიკული დღეა“.

მზე და მთვარე ცვლიან ამინდს, წელიწადის დროებს, შუქის ინტენსივობას, რაც ზემოქმედებს სხეულის ბიორიტმზე. ეს კი გადაეცემა ფსიქიკასა და ცნობიერებას. ამიტომ აკავშირებდნენ სიცოცხლესა და ბედისწერას ასტრალურ სიმბოლოებთან, ზეცასა და პლანეტებთან.

მზე ფანტავს და ებრძვის ბნელს. ამიტომ სიმბოლურად ხოცავენ ღმერთები და გმირები ხთონურ ძალებს, გველებსა და დრაკონებს, რათა სიცოცხლე და სინათლე დაამკვიდრონ დედამიწაზე (მაგ., ინდრა, აპოლონი, მარდუქი, ჰორუსი, თეზევსი, იაზონი, წმ. გიორგი).

ასტრალურ მნათობთა მიხედვით ადგენენ ადამიანთა სხეულის აგებულების, ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპოლოგიას. მას განსაზღვრავს დაბადების დროს პლანეტების განლაგება. მაგ., მარსის, სატურნის, ვენერას, მერკურის, მზის, იუპიტერის, მთვარის ტიპები.

6. ქრისტე – ძე ღვთისა

„ძე კაცისა“

სიმბოლოთა საბურველშია გახვეული ქრისტეს ცხოვრების თარიღები და ეპიზოდებიც – სულიწმინდისგან უბიწო ჩასახვა, დაბადება მღვიმეში, მეცხრე დღეს წინადაცვეთა, მეთორმეტე დღეს მიყვანა ეკლესიაში, მარიამისა და იოსების ყრმითურთ გაქცევა ეგვიპტეში, იესოს წინაშე კერპების დამხობა, ფრინველთა გამოძერწვა თიხისაგან და აფრენა, ნათლობა წყალში, 40 დღით უდაბნოში გასვლა, 12 წლის შესრულება, 12 მოციქული, რაც ეხმიანება ისრაელის 12 ტომს, იაკობის 12 ძისგან წარმოშობილს, წელწადის 12 თვეს, ზოდიაქოს 12 თანავარსკვლავედს, 30 წლის შესრულება, სახედრით შესვლა იერუსალიმში, პური და ღვინო, როგორც საკუთარი სისხლი და ხორცი, მოწაფეთათვის ფეხის დაბანა, იუდას მიერ 30 ვერცხლზე გაცემა, ჯვარზე, როგორც სიცოცხლის ხეზე გაკვრა, სვლა გოლგოთისაკენ (ებრ. „თავის ქალა“), ცად ამაღლება. ასე გვაცნობენ კანონიკური და აპოკრიფული სახარებები ქრისტეს ცხოვრებას.

ქრისტე არის ლოგოსი, აზრი, სიტყვა და გონება, წესრიგისა და ჰარმონიის შემტანი კაცთა ქაოსში. ღმერთი კი არის უხილავი, დაუსაბამო, შეუცნობი, ალფა და ომეგა, ყოვლის შემოქმედი და ყოვლის დამამხობელი.

მითოლოგიური სიმბოლოები მეტწილ ხილულია, ქრისტიანულ-რელიგიური – მეტწილ უხილავი.

სახელი იესო ბერძნული ტრანსფორმაციაა ებრაული იეშუასი, რაც ნიშნავს ხსნას. ამიტომ გახდა ქრისტეს სიმბოლო და ეპითეტი მაცხოვარი (მხსნელი). ასეთივე სიმბოლოს ატარებდა ზევსი, ასევე მიმართავდნენ გაღმერთებულ მეფეებს.

ქრისტეს ეპითეტ-სიმბოლოა გამომსყიდველიც, ვინც თავისი სისხლით გამოისყიდა კაცთა ცოდვები და ბოროტისაგან იხსნა ადამის მოდგმა.

ქრისტეს ადამიანურ და ღვთაებრივ ბუნებას გამოხატავს სიმბოლური – ძე ღვთისა და ძე კაცისა. იგი მეფეცაა, რადგან უფლისგან ებოძა ძალაუფლება მიწაზე და ცაში.

სიმბოლო „ძე კაცისა“, როგორც ეწოდება სახარებაში იესოს, გაქრა ლიტურგიასა და ღვთისმეტყველებაში.

ქრისტე არის უფალიც, რაც იყო ებრაულად ადონაი, იაჰვეს ტაბუირებული სახელი, აგრეთვე – კეისრების ტიტული.

ძე კაცისა იესო ღმერთი ხდება ჯვარზე გაკვრისა და ცად ამაღლების შემდეგ, ე. ი. ტანჯვა და სიკვდილი წინ უძღვის სულის უკვდავებას, დიდ საქმეს სჭირდება თავგანწირვა.

ქრისტეს მიემართება ეპითეტ-სიმბოლო „დავითის ძე“. იმიტომ, რომ მითოლოგიურად უკავშირებენ მარიამის გენეალოგიას ებრაელთა ძლევამოსილ მეფე დავითს.

იესოს დაბადება იწინასწარმეტყველა გაბრიელ მთავარანგელოზმა, როგორც სულიწმინდისაგან უმანკოდ ჩასახულის.

ჩვილი იესოს გადარჩენა იმეორებს მოსეს ცხოვრების ეპიზოდს.

30 წლის ქრისტე მეთევზეთაგან კრებს 12 მოციქულს. ეს არის ასაკი, როცა დავითი გამეფდა.

ქრისტეს სასწაულებიც სიმბოლურია და უკავშირდება ბიბლიურ და მესოპოტამიურ მითებს.

ქრისტე მეორედ მოსვლისას განსჯის კაცთა ცოდვებს, მოვა მახვილით და ეს იქნება განკითხვის დღე, როცა აღდგებიან მიცვალებულები და ქვეყანას შეარყევენ აპოკალიპსური ანგელოსების ბუკთა ხმები, აპოკალიპსურ ცხენთა თქარუნი.

ქრისტეს ორბუნებოვნებას სცნობდნენ დიოფიზიტები (ქალკედონისტები), რომ იგი იყო სრული ღმერთი და სრული კაცი. მონოფიზიტები (ანტიქალკედონისტები) მხოლოდ ღვთებრივობას აღიარებდნენ, რომ მასში ღვთაებრივმა მთლიანად შთანთქა ადამიანური.

ნესტორიანელები თვლიდნენ, რომ ქრისტეში ერთმანეთს არათანაბრად შეერწყა ღვთებრივი და ადამიანური. მსგავსი თვალსაზრისი, ჰქონდათ არიანელებს, რომ იგი იყო ადამიანი, რომელიც გაღმერთდა.

დღეს ეკლესია თვლის, რომ ქრისტე იყო განკაცებული ღმერთი, რომელსაც ცოდვებისაგან კაცთა დასახსნელად დასჭირდა მსხვერპლი, საკუთარი სისხლის გაღება (იხ. „წამებული ღმერთი – კაცთა მხსნელი“).

ევროპამ ქრისტეს სახით შექმნა უდიდესი კულტურა, რომელიც წარმართავს კაცობრიობის გზასა და ცნობიერებას. სულერთია, განადიდებენ თუ უარყოფენ – ინტელექტუალური გონი ტრიალებს ქრისტეს გარშემო.

სოფია – ზებუნებრივი სიბრძნე

ღმერთები, რომლებიც სიმბოლურად თუ რეალურად ერეოდნენ ადამიანთა ცხოვრებაში, ფლობდნენ არა მხოლოდ ზებუნებრივ ძალას, არამედ ზებუნებრივ სიბრძნესაც (მაგ., ჰომეროსის „ოდისეაში“).

მას ბერძნულად სოფია ერქვა.

იგი პირველად გამოიყენა ჰომეროსმა ათინასთან მიმართებით.

ათინა უცნაურად დაიბადა: ეჭვით შეპყრობილმა ზევსმა, რომ მომავალი შვილი მას ძალაუფლებას წაართმევდა, გადაყლაპა თავისი ორსული ცოლი თეტიდა. შემდეგ ჰეფესტომ ნაჯახით გაუპო თავი და ზევსის თავიდან გამოვიდა სამხედრო ფორმით აღჭურვილი ასული (შდრ – თეშუბი გამოვიდა მამის - კუმარბის თავიდან).

მისი ჰიპოსტასები იყო გველი და ზარნაშო, ატრიბუტი – ფარი, წმინდა ხე – ზეთისხილი, ბედისწერის ხე. ქალწული ათინა განასახიერებდა როგორც სიბრძნეს, ისე მეომრის ძალას, იყო ხელოვნებისა და ხელოსნობის მფარველი, რომლის სახელზეც აშენდა ატიკაში ქალაქი ათენი.

ძველებრაული ტრადიციით, ბიბლიის მიხედვით ასეთივე ზებუნებრივი სიბრძნე ჰქონდა სოლომონ მეფეს.

შენიშნავენ, რომ ბერძნული სიტყვა „სოფია“ და მისი ებრაული შესატყვისი მდედრობითი სქესის სიტყვაა, რაც გონებას უკავშირებს ქალს.

სოფია არის შემოქმედი ძალა. იგი როგორც დურგალი და ოქრომჭედელი, აგებს სახლს, რომელიც ქაოსისაგან კედლებით გამოიყოფა. ეს არის სამყაროს წესრიგის სახე.

ქრისტიანობამ მიიღო სოფიას წარმართული გაგება. იგი ლოგოსს დაუახლოვა, როგორც უსხეულო აზრთა მყოფობა. შემდეგ გადაიტანეს ქრისტესა, სულიწმინდასა და ადამიანთა საზოგადოებაზე, ქალის ალეგორიულ ტრფიალზე.

ბიზანტიაში სოფია გაიაზრეს როგორც სახელმწიფოს თეოკრატიული პრინციპი, რომში კი შეცვალეს ეკლესიის ცნებით. საბოლოოდ იგი ქალწულ მარიამის კულტს შეერწყა.

ლოგოსი – ქრისტე

სოფია მითოსური ცნებაა, ლოგოსი – ფილოსოფიური. ტერმინი ლოგოსი შემოიღო ბერძენმა ფილოსოფოსმა ჰერაკლიტემ (ძვ. წ. VI-V ს.ს.) და ნიშნავს სიტყვას, როგორც აზრსა და გონებას. მას სხვადასხვა მნიშვნელობით განმარტავენ ცალკეული მოაზროვნეები (მაგ., პლატონი და ჰეგელი).

იუდეურ-ალექსანდრიული სკოლის ფილოსოფოსმა ფილონმა (I ს.) ლოგოსი გაიაზრა როგორც პლატონური იდეების ერთობლიობა, რომელიც დააყენა ღმერთსა და ადამიანს შორის. ლოგოსს იგი უწოდებდა „ღვთისკაცსა“ და „მთავარანგელოზს“.

ასევე თვლიდა ნეოპლატონიზმი.

ქრისტიანობამ ლოგოსის ადგილას ჩასვა ქრისტე, როგორც სამების მეორე ჰიპოსტასი, რომელიც შუამავალია მამა-ღმერთსა და ადამიანს შორის. იგი უმაღლეს, დაფარულ ჭეშმარიტებას გააცხადებს ხალხში. ქრისტე შეიცავს ღვთაებრივსა და ადამიანურს, მეტია ადამიანურზე და ნაკლებია ღმერთზე.

„იყო, როცა არ იყო“, – ამბობს არიოზი (IV ს.).

ადამიანს არ ძალუძს ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა წვდომა, ღმერთს ვერ შეხედავს, მის ბუნებას ვერ განსაზღვრავს.

საჭიროა შუამავალი, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს, როგორც მაშა ბუხრიდან ნაკვერჩხლის გამოსაღებად.

უხეში შედარება რომ მოვიხმოთ, ელექტროენერგია ძალაა, მაგრამ სინათლედ რომ იქცეს, საჭიროა ნათურა. იგი გარდაქმნის ძალას სინათლედ, რომელიც ბნელს გაფანტავს და გვიცავს სასიკვდილო საფრთხისაგან.

ასეთი სინათლეა ქრისტე – ლოგოსი, რომელიც თავისთავში აერთებს ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას, ძალასა და სიკეთეს.

ქრისტეს სისხლი და გრაალის თასი

გრაალის თასი იყო იდუმალი ჭურჭელი, რომლის მიკარება რაინდს გმირული სულით აღავსებდა. ეს იმიტომ, რომ ამ თასში იდგა ქრისტეს სისხლი, ჯვარზე გაკრულს რომ დაედინა და იოსებ არიმათიელმა მოაგროვა.

ეს თასი ჰქონდათ ქრისტესა და 12 მოციქულს საიდუმლო სერობაზე ზიარებისათვის. იგი იყო ევქარისტული სიმბოლო, რომლითაც პური და ღვინო წარმოედგინათ ქრისტეს ხორცად და სისხლად. სხვა ვერსიით, ეს იყო ვერცხლის ლანგარი, რომელზეც იდო იოანე ნათლისმცემლის სისხლიანი თავი.

გრაალს ახლდა ორი სიმბოლური საგანიც – დავითის ხმალი და მშვილდი, რომელმაც განგმირა იესო.

გრაალის თასი იოსებ არიმათიელმა პალესტინიდან ევროპაში წაიღო, სადაც დაიკარგა და დარჩა ლეგენდა.

გრაალის მისტიკა დაუკავშირდა მეფე არტურსა და მრგვალი მაგიდის რაინდებს, ტაძრელთა რაინდულ საძმოს.

კელტი მეფე არტური ებრძოდა დამპყრობელ გერმანულ ტომებს – ანგლებსა და საქსებს, რომლებიც ბრიტანეთის კუნძულებზე შეიჭრნენ V-VI საუკუნეებში.

მეფე არტურის ლეგენდა ტრუვერებმა და მინეზინგერებმა ქრისტიანული მისტიკის საბურველში გახვიეს, დაუმატეს გრაალის მოტივი და მრგვალი მაგიდა, რაც თანასწორობის სიმბოლო იყო (შდრ. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა“).

დაკარგულ გრაალის თასს ეძებენ მრგვალი მაგიდის რაინდები პარციფალი და გოვენი.

ქრეტიენ დე ტრუას მიხედვით იგი არის არა თასი, არამედ – ანგელოსების მიერ ზეციდან ჩამოტანილი ქვა; ვოლფრამ ფონ ეშენბახის პარციფალი პოულობს გრაალის თასსა და აარსებს ტაძრელთა რაინდულ საძმოს.

გრაალზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია რიჰარდ ვაგნერის ოპერები „ლოენგრინი“ და „პარციფალი“.

გრაალის სიმბოლო წინ მიუძღოდათ ჯვაროსან რაინდებს, როცა ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთში და სისხლს ღვრიდნენ მუსულმანთაგან ქრისტეს საფლავის გამოსასხსნელად.

7. გეომეტრიულ-რიცხვითი მისტიკა

რიცხვი რიცხვი, ცალკე აღებული, აბსტრაქციაა. იგი კონკრეტულობას იძენს საგნებთან მიმართებით. ამიტომ არის იგი ნიშანი და სიმბოლო.

ძველქართულში რიცხვები შეესაბამებოდა ასოებს და ერთმანეთს ცვლიდნენ. მაგ., ა იყო 1, ბ – 2, გ – 3, დ – 4... კ – 20, რ – 100, ჩ – 1000, ც – 2000... 243 მაგ., ას ერგასის (150) ასონიშანი არის რნ.

რიცხვის ნიშანი არის ციფრი, ციფრი ასოს ნიშანია, ასო – ბგერის ნიშანი, ბგერა – ფილტვებიდან წამოსული ჰაერნაკადით ფსიქიკურ წარმოდგენათა დანაწევრების ნიშანი, ფსიქიკური წარმოდგენა – აღქმის ნიშანი და ა. შ.

თავდაპირველად ამ პრინციპზე იყო აგებული სემუელ მორზეს ანბანი, ვიდრე სისტემას შეიმუშავებდა (ალფრედ ვაილთან ერთად), სადაც ელექტრული ბიძგები წერენ პაუზებს, წერტილებსა და ტირეებს. ისინი ასო-ბგერებს შეესაბამება. შემდეგ კოდირების დახვეწით 1875 წელს ალექსანდრ გრეჰემ ბელმა გამოიგონა ტელეფონი.

რიცხვით ხდება საგნების კოდირება. ჩინეთში 1 იყო ცა, 2 – მიწა, 3 – ადამიანი... 1 არის საწყისი, რომელიც ნულების წინ იწერება და კრებს საგანთა სიმრავლეს. მაგ., 1.000.000. ერთი რომ მოიხსნას, ნულთა რაოდენობა არაფერს ნიშნავს. ამიტომ არის 1 ღმერთი, უმაღლესი მმართველი (შდრ – სკანდინავიელთა ღმერთი ოდინი და სლავური один – 1). იგი არის პირველი და ლიდერი, რომელსაც მიჰყვებიან. 1 იყო მთლიანობა, 2 უკვე გაყოფაა – მიწა და ცა, ქალი და კაცი, დღე და ღამე.

აქედან იწყება გამრავლება: ერთჯერ ერთი არის ერთი, ერთი გაყოფილი ერთზე არის 1. გამოკლება აქ არ არის, რადგან 1 თვის თავს ვერ გამოაკლდება, თუ გამოვაკელით – ვღებულობთ ნულს.

3 აბსოლუტური სრულყოფის სიმბოლოა. ამიტომ არის ქრისტიანობაში სამება, ბუდიზმში – ტრიკაია, ინდუიზმში – ტრიმურტი;

დევებს აქვთ 3 თავი, სამყაროს ვერტიკალი გაყოფილია 3 ნაწილად (ქვესკნელი, ზესკნელი, შუასკნელი), ანგელოსებს აქვთ 3 ტრიადა...

4-ს აქვს მყარი, სტატიკური სტრუქტურა. 4 მხარე აქვს სამყაროს, 4 დრო – წელიწადს, 4-ად იყოფა გზაჯვარედინი, 4 სტიქია ქმნის სამყაროს, 4 სიტყვისგან შედგება პირველკაცის სახელი – ადამ, 4 მიმართულება აქვს სვასტიკასა და ჯვარს... ასევე საკრალურია 7, რომელიც არის 3+4. ხოლო მათი ნამრავლი გვაძლევს 12-ს, რომელსაც მრავალი სიმბოლო უკავშირდება.

სინათლის სპექტრი 7 ფერად იშლება, ოქტავას აქვს 7 საფეხური, ისლამს აქვს 7 ცა...

რიცხვთა მისტიკიდან გამოდის წესრიგი, სიმეტრია და პროპორცია.

ანბანის რიცხვითი სიმბოლიკა გვაძლევს კრიპტოგრაფიას (გემატრია და იზოფსეფია).

ამგვარი კრიპტოგრამული კოდების ელექტრონული წაკითხვით, ინფორმაციის თეორიის საფუძველზე, გვეძლევა ხმაური, ხმა, სიტყვა და ფერადი სატელევიზიო გამოსახულებები. ამ უწყვეტ სიგნალებს ბგერითი ტალღებით ღებულობს კოსმოსური თანამგზავრი, მისგან კი იჭერს ანტენა. ის, რასაც სულთა კავშირს ეძახდა ველური, რეალობად იქცა.

თურმე სამყაროში არათუ ყველაფერი მეორდება, არამედ – ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება.

წრე და კვადრატი

ქაოსი წესრიგში გადადის გეომეტრიული ფორმებით (მაგ., სწორი ხაზი, წრე, კვადრატი, მართკუთხედი, სამკუთხედი).

სამკუთხედია სამების სიმბოლო, რიცხვი 3-ის ხილული ფორმა. 3 ფაზისაგან შედგება სიცოცხლე: დაბადება – ცხოვრება – სიკვდილი; ადამიანის არსება: სხეული – გონება – სული.

ჩინური სიმბოლიკით კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ მიდის 8 ტრიგრამა, რომელიც ისევე რთული და დახლართულია, როგორც მსოფლიო ხე ან მანდალა. შემდეგ მათი კომბინაცია გვაძლევს 64 სიტუაციას, რაც განსაზღვრავს ბნელისა და ნათლის ურთიერთკავშირს.

გეომეტრიულ სიმბოლოთა სიმრავლიდან გამოვყოთ წრე და კვადრატი.

წრე სწორი ხაზის მოდრეკა და ბოლოთა შეერთებაა. იგი განასახიერებს დრაკონს, რომელიც ყლაპავს საკუთარ კუდს.

წრეს არა აქვს საწყისი და დასასრული, ისევე როგორც ბურთს, რომელიც ასევე სიმრგვალეა. პრაქტიკაში მან ბორბლის სახე მიიღო.

სფერო (ბურთი) არის კვერცხი, დედამიწა, მზე, კოსმოსი, რომელთაც გარს აკრავს ქაოსი.

პითაგორელთა მოძღვრებით, სამყაროს 9 სფეროს აქვს, რომელსაც აქვს ერთი ცენტრი – ცეცხლი.

მზის წრიული მოძრაობა ანაწილებს დროს – დღე-ღამედ და წელიწადად.

წრე არის ბერძნული 12-ღმერთიანი პანთეონის სიმბოლო. იგი ითვლებოდა ბაბილონსა და ხეთებში მეფური სიდიადის ნიშნად.

ხაზი და წრე კი სქესთა სიმბოლიკაა.

ჯვარს აქვს ცენტრი და 4 მიმართულება, როგორც სამყაროს ოთხი კუთხე ანუ წრიდან გამოდის ხაზები.

წრე და სფერო გამოხატავს ერთიანობას, დასრულებას და უსასრულობას.

ახლა ვნახოთ წრის ანტითეზა კვადრატი, რომელსაც 4 კუთხე აქვს.

კვადრატის ტრიალი გვაძლევს წრეს. კვადრატის იდეა არის სისწორე და თანაბრობა, წესრიგი და სიმართლე, ჭეშმარიტება და სიბრძნე.

კვადრატი წარმოქმნის ოთხკუთხედს. პრაქტიკაში ეს არის სახლი.

ოთხკუთხედი მსოფლიოს ხის სივრცეა, რომელსაც აქვს 8 მიმართულება. იგი იტევს სამყაროს მოდელს, რომელიც თავის გარშემო იკრებს სიმბოლოთა და ნიშანთა სისტემას, ბინარულ ოპოზიციებს, სივრცე-დროის კოორდინატებს, კლასთა სტრუქტურას, სატაძრო არქიტექტურას.

წრე და კვადრატი მონაწილეობს ანბანთა გრაფიკაში (მაგ., ქართულში: თ. გამყრელიძე, ელ. მაჭავარიანი, რ. პატარიძე, თ. ჩხენკელი).

„მაგიურ კვადრატს“ აკავშირებენ იზოფსეფიურად აპოკალიპსის რიცხვ 666-თან, რაც მხეცს ნიშნავს და იგულისხმება ქრისტიანთა მჟლეტელი რომის იმპერატორი ნერონი („იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება“).

წრეს, კვადრატს, სამკუთხედს თუ მართკუთხედს მატერიალურ სახეს აძლევს არქიტექტურა და ტექნიკა.

* * *

სიმბოლოებისა და ნიშნების ფონდი ტრადიციების ნაწილია, რომელიც შეიქმნა კულტურის ტიპოლოგიათა მიხედვით.

ამიტომ მათი როგორც გაჩენა, ისე გამოყენება ან გაქრობა განსაზღვრულია ენით, ეთნოსით, რელიგიით, კონტაქტებით. მათ იყენებენ მწერლები და მხატვრები, ოკულტისტები და ასტროლოგები, ჯადოქრები და მკითხავები, პოლიტიკოსები და დიპლომატები, ანგარიშს უწევენ ყოველდღიურ ცხოვრებაში,

ეს არის ქურუმების მიერ კორექტირებული და განვითარებული პალეოანთროპული აზროვნების წესის შენახვა-მოდელირება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც შესუსტდა რელიგიის ფაქტორი და გაძლიერდა ინტეგრაცია, გაძლიერდა საერთაშორისო კავშირები – სიმბოლოები კარგავენ მისტიკურ იდუმალებას, გადადიან ერთი ეპოქიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან – მეორეში და ერთმანეთს ავსებენ.

სიმბოლოებს ეძლევათ რაციონალური სახე და პირობით ნიშნებთან ერთად აწესრიგებენ ინფორმაციის ნაკადს, კულტურას, ადამიანთა ურთიერთობას, პოლიტიკასა და ეკონომიკას, აახლოებენ ადამიანებსა და ერებს.

ამისი მაგალითია თანამედროვე ევრო-ამერიკული კულტურა, რომელიც აერთიანებს ისტორიის ვერტიკალსა და თანამედროვეობის ჰორიზონტალს.

VIII. პიროვნების კულტურა: მორალი და ეტიკეტი

რელიგიური რწმენა, ცოდნა და განათლება, შექმნისა და აღქმის უნარი ჰკარგავს მნიშვნელობას თუ ინდივიდი არ არის პიროვნება, თუ არ იცავს ტრადიციით გადმოცემულ სულიერ ღირებულებებს, ზნეობრივ მრწამსს, ეტიკეტს, თუ არ ერთვის საზოგადოებრივ პროცესში, ეს იქნება პირადი კონტაქტები, რიტუალები, დღესასწაულები თუ აღლუმები, სამგლოვიარო თუ საზეიმო ცერემონიალები.

პირადი კულტურა კი მოითხოვს ცივილიზაციის მინიმუმს მაინც (მაგ., ჰიგიენა, ჩაცმულობა), მორალურ თვისებებსა და ქცევის ნორმების ცოდნას. სწრაფვა კარიერისა და მაღალი საზოგადოებისაკენ ნიშნავს არა კულტურულ ღირებულებათა სრულყოფას, არამედ – ეტიკეტის დახვეწასა და ცივილიზაციური უპირატესობის არტისტულ გამოყენებას, პრაქტიკულ ალღოს.

XIX საუკუნემდე არისტოკრატიულ წრეებშიც კი ჰიგიენის მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო, რაც ეპიდემიის წყაროდ იქცეოდა ხოლმე.

თავს ვერ იცავდნენ ტილების, რწყილებისა და ბაღლინჯოებისაგან; არ არსებობდა ტუალეტის ქაღალდი; არ იყენებდნენ აბაზანებს – იყო მხოლოდ აბანოები; ვერ იცილებდნენ ოფლის სუნს; არ იცნობდნენ კბილის პასტას; სარგებლობდნენ ღამის ქოთნებით; ტილებს ებრძოდნენ ვერცხლისწყლით, რაც მეტად სარისკო იყო; ქალაქის ქუჩებში ნაკელი და კაცთა განავალი ჩვეულებრივ ფაქტად მიაჩნდათ,

ასე რომ – დიდ კულტურას არ ჰქონდა სათანადო ცივილიზაციური გაფორმება, რაც შემდეგში შესძლო ტექნიკის პროგრესმა.

1. მორალი და ტრადიციები

პიროვნება და საზოგადოება

მორალი (ეთიკა, ზნეობა) იშვა უშორეს დროში, ტაბუირების წიაღში. ადამიანი აკეთებდა იმას, რაც არ იყო აკრძალული, ავლენდა ნებადართულ გრძნობებს – სიკეთეს, სიმამაცეს, ერთგულებას, სათნოებას, სამართლიანობას, სიყვარულს...

აკრძალვები სწვდებოდა ფსიქიკის ფენებს, იქცეოდა ნევროზებად და იღებდა კულტურად გარდასახულ ფორმებს, როგორც ფიქრი და ოცნება, შინაგანი ღელვისაგან განთავისუფლება.

აზრის განვითარებას მოჰქონდა უფლის შიში, მშვენიერების განცდა და ზნეობრივი გრძნობა ანუ სიყვარული მოყვასისადმი.

ეგოიზმი ყველა არსების თვისებაა, ალტრუიზმი სხვაზე ზრუნვაა, სხვისი ინტერესების გათვალისწინება.

აქ არ იგულისხმება საკუთარი ნაშიერი, რადგან იგი მშობელთა სისხლის ნაწილია და სხვას არ განეკუთვნება.

პიროვნების საზოგადოებრივ სახეს აწონასწორებს ეგოიზმი და ალტრუიზმი.

სხვისადმი კეთილი მიმართება შველის ადამიანს, რათა დაიცვას თავისი თავიც, კონფლიქტები აიცილოს, არ მიმართოს ძალმომრეობას, დაიმორჩილოს აგრესიული ინსტინქტები და გარდასახოს ისინი.

ეგოიზმი კი აუცილებელია, რათა პიროვნებამ განავითაროს, დაიცვას და სრულყოს თავისი ინდივიდუალობა.

ზოგი მომთაბარე ტომი მშობლებს უპატრონოდ ტოვებდა; ჩუქჩები საბელით ახრჩობდნენ, გერმანელები კლდიდან ყრიდნენ, ჩვენს წინაპრებს მთაზე აჰყავდათ და იქ აგდებდნენ.

მათ არ ჰქონდათ მოვალეობის გრძნობა.

არისტოტელე შენიშნავს, რომ ზოგ ტომში დედას მსხვერპლად სწირავდნენ და შემდეგ ჭამდნენ, ორსულ ქალს მუცელს უფატრავდნენ და ჩანასახს შეექცეოდნენ, ღრეობის დროს ერთმანეთს ბავშვების ხორცით უმასპინძლდებოდნენ („ნიკომაქეს ეთიკა“).

ამგვარი მხეცური საქციელი, როცა იფანტება გონების ბურუსი და მოქმედებს აკრძალვა, სულში სტოვებს დანაშაულისა და სინანულის მწვავე განცდას.

ეს არის ველური გამოცდილების უარყოფა, ამღვრეულ გრძნობათაგან განწმენდა, რომლის რეგულირება იყო, როგორც ვაჩვენეთ, კაცთშეწირვის რიტუალები.

როცა ადამიანი არ ასრულებს აკრძალვებს – იგი ისჯება. ტაბუს დარღვევის შიში, რასაც მოსდევს ღმერთების რისხვა, ადამიანს აიძულებს თავშეკავებას, მორჩილებას, სიკეთესა და სათნოებას ანუ დასჯის შიში უნერგავს ზნეობრივი ქცევის წესებს, რასაც განსაზღვრავს ჯერ ღმერთი, შემდეგ – კანონი. კანონის წინაშე კი ყველა თანაბარია.

საზოგადოება შედგება ინდივიდებისაგან, მათი კავშირებისაგან. ყოველი ინდივიდი მიკროსამყაროა, რომელსაც აქვს თავისი ეგო და შეხედულებათა, ინტერესთა სფერო – საზოგადოება არსებობს მათი თანხმობის საფუძველზე.

ჩაკეტილი სისტემაა ერთი. ის უნდა შეუერთდეს მეორეს, მესამეს და წარმოშვას ერთობლიობა. სხვამხრივ ინდივიდი ვერ იარსებებს.

საზოგადოება არა მხოლოდ სოციალურ-კულტურული, არამედ – ბიოლოგიური აუცილებლობაა, რაც ადრე ყალიბდებოდა სისხლით ნათესავთა წრეში, გვარტომსა და კლანში.

ინტერესთა და სასიცოცხლო პირობების გაფართოებასთან ერთად აუცილებელი გახდა ინდივიდთა დაკავშირება. მაგრამ ეს ჰარმონიულად არ ხდება და მეტწილად იწვევს ფარულ თუ აშკარა კონფლიქტებს. აქ მოქმედებს მრავალი ფაქტორი, ინსტინქტური სწრაფ-

ვები, ცნობიერი მიდრეკილებანი. მათი მორიგება, შეთანხმება ან დათრგუნვა არის საზოგადოება.

ამ გზაზე უმთავრესია ღმერთი და ხელისუფალი. ისინი აწესრიგებენ სიტუაციებს, ძალის, იერარქიისა და ინტელექტის საფუძველზე კრავენ საზოგადოების ბირთვს, შემოაქვთ კანონები, რომელთაც უმორჩილებენ ინდივიდთა აგრესიულ ეგოიზმს.

ამ ერთიანობას ხელს უშლის ზოგადი კატეგორიებიც – რელიგია, ენა, ერი, სახელმწიფო, ერთი ეთნოსის საფუძველზე კი ხელს უწყობს.

ამიტომ არსებობს ნაციონალური და ინტერნაციონალური ბარიერები. ისინი მუდმივად არსებობენ და ასევე პიროვნება მუდმივად ცდილობს მათ დაძლევას, ეს იქნება სისხლისღვრით, მორიგებით თუ კულტურით, სიტყვით თუ მახვილით.

პიროვნების კულტურა არის ის თვისება, რაც შესაძლებელს ხდის ადამიანთა დაახლოებას, ინტერესთა შეხამებას და კონფლიქტების შენელებას.

ეთიკა, მორალი, ეტიკეტი, რიტუალი თუ დღესასწაული ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, მათ ინტერესებს აერთიანებს და ერთად ყოფნის წესებსაც არეგულირებს, განსაზღვრავს პიროვნების კულტურას.

რელიგია, ხელოვნება, ცოდნა წვრთნის ფსიქიკასა და ცნობიერებას, ანიჭებს ელასტიურობას, რათა მოხდეს ეგოს გარდასახვა, ცხოვრება გაიოლდეს და გარდაუვალი განსაცდელი შორს იქნეს გადაწეული. ეს არის ჰუმანიზმი და ჰუმანისტური იდეალები.

პიროვნების კულტურა, განსაკუთრებით ახალ დროში, ემყარება ცივილიზაციურ მდგომარეობას, ცივილიზაციის შედეგების ათვისებასა და პრაქტიკულ გამოყენებას. ეს კი უკავშირდება ეკონომიკურ შესაძლებლობას.

ათი მცნებიდან

ათი მცნება, რელიგიური და ეთიკურ-სამართლებრივი ნორმები, ცხოვრების წესი ისრაელიანებს უფალმა სინას მთიდან ცეცხლის ალით, ჭექა-ქუხილითა და საყვირის ხმებით ამცნო.

იგი ესმოდა მხოლოდ მოსეს, მხოლოდ მოსეს შეეძლო უზენაესის ნება ხალხისათვის გადაეცა.

მოსეს სჯული სწყევლიდა მას, ვინც დაწვებოდა თავის დასთან, სიდედრთან, მამის ცოლთან, დედის ქალიშვილთან, პირუტყვთან, ვინც კაცს კლავდა ან ქრთამს იღებდა (მეორე რჯული, თ. 27).

მისი შესრულება აუცილებელი იყო, დარღვევა შურისძიებასა და ღვთის რისხვას ნიშნავდა: სიცოცხლე სიცოცხლის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ.

ქრისტიანობამ ნაწილობრივ მიიღო ისინი, არსი გაიზიარა და დაურთო ახალი მცნებები – ცხრა ნეტარება, სამი სათნოება, შვიდი საიდუმლო, სულიწმინდის შვიდი ნიჭი, სულიწმინდის ცხრა ნაყოფი, ხორციელ საქმეთა შვიდი მოწყალება და სულიერ საქმეთა შვიდი მოწყალება.

ყველა რელიგია, პოლითეისტური თუ მონოთეისტური, უფლის სახელით აკანონებდა ადამიანთა ურთიერთობისა და ცხოვრების წესებს, ზნეობრივ ნორმებს, სიკეთისა და ბოროტების გაგებას.

კაცთა სამართალს მაშინ ეძლეოდა ძალა თუ იგი უფლისაგან მოდიოდა ან უფალს უკავშირდებოდა (მაგ., მოსესა და ლიკურგეს კანონები).

შემდეგ, მათზე დაყრდნობით, იქმნებოდა სამართლებრივი ნორმები, რაც დიფერენცირებულად არეგულირებდა ადამიანთა ურთიერთობას, განსაზღვრავდა დანაშაულის ხარისხებს (მაგ., სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი).

ახალ დროში მათი საყრდენი გახდა არა ბიბლია ან ყურანი, არამედ – კონსტიტუცია, სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

პირველი კონსტიტუცია მიიღეს აშშ-ში 1787 წლის 17 სექტემ-ბერს, საქართველოში – 1921 წლის 21 თებერვალს, დამხობამდე რამ-დენიმე დღით ადრე.

კონსტიტუციას უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. იგი გან-საზღვრავს სახელმწიფოს წეს-წყობილებას, სტრუქტურას, მოქალა-ქეთა უფლებებს, საარჩევნო სისტემას, ტერიტორიას.

კონსტიტუციას განიხილავს და ღებულობს პარლამენტი ან გა-მოაქვთ რეფერენდუმზე. ამტკიცებს სახელმწიფოს მეთაური (მეფე, პრეზიდენტი).

ათი მცნების განვითარებაა სხვადასხვა დროის მოაზროვნეთა, რელიგიურ მოღვაწეთა, თაობებისა და ერების მიერ შექმნილი მო-რალური პრინციპები, რაც შეიძლება დავაჯგუფოთ როგორც ღირ-სების კოდექსი და ცოდვის კოდექსი.

ღირსების კოდექსი

ღირსების კოდექსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არისტოკრატიისათვის, რაც სრულყვეს ევროპელმა რაინდებმა. მათ საამისოდ შექმნეს ნიშანთა და სიმბოლოთა მთელი სისტემა და გამოხატეს ქალთან მიმართებით.

პიროვნების ღირსების ხელყოფას, უხეშ მოპყრობას, შეურა-ცხყოფას საპასუხო რეაგირება მოჰყვებოდა. დაბალ ფენებში ეს იყო ჩხუბი, ცემა-ტყეპა, ჯოხისა და ხანჯლის ტრიალი, მაღალ საზოგა-დოებაში – დუელი, რომელსაც თავისი წესები ჰქონდა. მაგ., სეკუნ-დანტების თანხლებით დაშნებით ბრძოლა, სროლა დისტანციის დაცვით, ან ცხენდაცხენ შუბებით შეტაკება.

მეფე (იმპერატორი, ფარაონი, სულთანი, შაჰი, ყაენი) ყოველ ნიუანსზე რეაგირებდა. მისი ქცევა დაკავშირებული იყო ეჭვთან. ამიტომ მცირეოდენი გადაცდომა კარისკაცის ან დიდებულის მიერ –

შერისხვას ნიშნავდა. ვაჟი ქუჩაში მიდის სატრფოსთან ერთად. ამ დროს ვიღაცა აჩერებს მას, ხელს ჰკრავს ან ქალს შეაგინებს.

ვაჟი თავს ვალდებულად თვლის, რომ დაიცვას თავისი და ქალის ღირსება. ასეთ დროს კონფლიქტი გარდაუვალია, რაც შეიძლება სავალალოდ დამთავრდეს.

ვაჟი რომ მარტო ყოფილიყო, იქნებ ყურადღება არც მიექცია თავხედისათვის. მაგრამ გრძნობათა სიფაქიზე მოითხოვს ეტიკეტის ზუსტ დაცვას.

„ფარით ან ფარზე“, – ეუბნება დედა ომში მიმავალ სპარტელ მეომარს, ე. ი. დაბრუნდეს ფარით ან დაეცეს გმირულად და ფარზე დაასვენონ.

ღირსება მეტია სიცოცხლეზე, სირცხვილს სიკვდილი სჯობია.

ფეხმარდ აქილევსს აგამემნონმა წაართვა ტყვე ქალი ბრისეიდა. განრისხებულმა აქილევსმა ბრძოლაზე უარი განაცხადა. მაგრამ როცა ჰექტორმა მოუკლა მეგობარი პატროკლე, შურისძიებით აღივსო და სისხლი აიღო – მოკლა ჰექტორი („ილიადა“).

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, – გვაფრთხილებს შოთა რუსთაველი;

ღირსების კოდექსს განსაზღვრავს სამშობლოს, ქალის და სუზერენისადმი მიმართება. სამშობლო დაცვასა და მსხვერპლს მოითხოვს, რაც წარმოშობს გმირს. გმირი ყველა დროისა და ყველა ხალხის იდეალია. ქრისტიანისათვის ეს არის რწმენის გამო წამებული, რომელიც ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა (მაგ., 40 სებასტიელი მოწამე,შუშანიკი). გმირი სწორედ ომებში იხვეჭდა სახელსა და ქონებას. იგი ლეგენდებში გადადიოდა, პოეტები ადიდებდნენ და უმღეროდნენ, როგორც მამაც მეომარს, ქვეყნის დამცველს, ძალისა და სამართლიანობის სიმბოლოს (მაგ., უახლესი მაგალითები მეორე მსოფლიო ომიდან).

„უცხოელო, გადაეცი ლაკედემონელებს, რომ ჩვენ აქ ვწევართ მათი ბრძანების მორჩილნი“, – ასე დააწერეს თერმოპილთან დაღუპულ სამასი სპარტელის საფლავს; ტრაფალგარის ბრძოლის წინ ად-

მირალმა ნელსონმა ასე მიმართა მეომრებს: „ინგლისი ელის, რომ თითოეული თქვენთაგანი შეასრულებს თავის მოვალეობას“;

ქრისტიანობამ გმირი შეცვალა წმინდანით. ახალმა დრომ წამოსწია გონება, რომლის უმაღლესი სახეა გენია.

ნიცშესათვის პიროვნების იდეალია მეომარი ზეკაცი, ინდივიდუალისტი და არისტოკრატი, ნაციონალ-სოციალიზმისათვის – გერმანული იდეალებისათვის თავგანწირული, ბოლშევიზმისათვის – ქვეყნის დაცვისათვის დაღუპული, მშრომელი კოლექტივისტი.

ბაგრატიონებს სძულდათ გიორგი სააკაძე. მაგრამ არჩილ მეფე არ მალავს დიდი მოურავის სიმამაცეს: „მოურავმა იმ ომშია მუზარადი არ დაიდგა, ვაჰ თუ მიცნას მტერმა, მაშინ ახლო ბრძოლად ვინ მომიდგა“.

ღირსების დაცვის გამო არაერთი რაინდი, არისტოკრატი და პოეტი (მაგ., პუშკინი და ლერმონტოვი) მომკვდარა დუელში (შდრ – დიუმას „სამი მუშკეტერი“, მერიმეს „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“), ან მოძმის წინააღმდეგ გამოსულა და მტერი დაუცავს (შდრ – ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“).

რაინდული ეთიკა გამორიცხავდა ღალატს, ბრძოლის წესების დარღვევას, მიპარვას, ქურდობას ანუ თავად უნდა ყოფილიყო ღირსების დაცვის მაგალითი (შდრ – პრ. მერიმეს „მათეო ფალკონე“, ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“).

მაგრამ ეს პრინციპი ირღვეოდა, როცა ჭირდა მიზნის მიღწევა ან სხვა გამოსავალი არ იყო, ან პიროვნებას იმორჩილებდა შურისძიების გრძნობა: მომაკვდავი ჰექტორი სთხოვს აქილევსს, რომ არ შეურაცხყოს მისი გვამი. მაგრამ მძვინვარე პელაზგი ეტლს მიაბამს მეტოქის ცხედარს და ისე მიათრევს თავის ბანაკში, როგორც ნანადირევს.

რუსთაველის ტარიელი მიპარვით ჰკლავს ხვრაზმშას ძეს და ხოცავს მდევრებს; ავთანდილი – ჭაშნაგირს და მის ორ მცველს. ორივე სიტუაციაში გმირები უღირსად იქცევიან. მაგრამ ტარიელს

ასე რომ არ ემოქმედნა, ნესტანს დაკარგავდა, ავთანდილი – ფატმანს. ასე რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, როგორც გვეუბნება ნიკოლო მაკიაველი.

ავთანდილმა ბეჭდიანი თითი წააჭრა ჭაშნაგირს და ფატმანს მიუტანა, ასე დაარწმუნა, რომ სიტყვა შეასრულა.

ზოგჯერ პიროვნების ღირსებას იცავდნენ სასტიკ ომებშიც:

როცა იერუსალიმის მეფე ბალდუინ III გარდაიცვალა, მუსულმანების ათაბეგმა ნურ ედ-დინმა იერიშზე უარი თქვა;

1185 წელს, როცა საშინელი გვალვის გამო ფრანკებს შიმშილი დაემუქრათ, სალადინმა მათ სურსათ-სანოვაგე გაუგზავნა;

როცა სალადინმა დაამარცხა ჯვაროსნები და იერუსალიმი აიღო, შეეძლო ყველა ქრისტიანი დაეხოცა. მაგრამ ნება დართო, რომ წასულიყვნენ და ევაკუაციაში დაეხმარა კიდეც. ქალაქში ჩარჩენილებს კი, რომელთაც ქმრები დაეხოცათ ან დაობლდნენ, თავისი სალაროდან მისცა ფული.

როცა სულთანს ფანატიკოსებმა ურჩიეს, რომ ქრისტეს საფლავი მოესპო, იგი პირიქით მოიქცა – თანამებრძოლებს ქრისტეს ადგილის პატივისცემისაკენ მოუწოდა; როცა სალადინისა და ფრანკების მეომრები ბრძოლას წყვეტდნენ და ისვენებდნენ, ისინი ერთმანეთთან მიდიოდნენ, ერთად ცეკვავდნენ და მღეროდნენ, შემდეგ კი ისევ აგრძელებდნენ ომს!

ისტორიამ ამგვარი სულგრძელობის, ლმობიერებისა და მეტოქის დაფასების უამრავი მაგალითი იცის. მაგრამ, ცხადია, გაცილებით მეტი სისასტიკის ფაქტები შემოგვინახა: მაგ., თემურ ლენგმა 70.000 მოჭრილი თავისაგან მინარეთები ააგო;

ნაპოლეონის ომები თეატრალურ სპექტაკლებს ჰგავდა, ისეთი საზეიმო ფორმა ეცვათ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს.

XX საუკუნის ომებში ამგვარი ღირსების კოდექსი აღარ მოქმედებდა: ყველა ხერხი მიმართული იყო მტრის მოსასპობად (მაგ., II მსოფლიო ომში). მაგრამ უაზრო ომს სდევს ფსიქიკური ტრავმა და

დეპრესია. მაგ., ვიეტნამის ომიდან შინდაბრუნებულმა 75.000-მა ამერიკელმა ჯარისკაცმა თავი მოიკლა!

ღირსება განსხვავებულად ვლინდება სოციალურ ფენებში, მათ სუბკულტურებში, რადგან აქ მოქმედებს ჩაკეტილ შეხედულებათა და ინტერესთა სისტემა – მიზეზი, მიზანი, იდეალი, იდეალისაკენ სწრაფვა და ცხოვრების წესი.

პროლეტარს არა აქვს საწარმოო იარაღები, არ აქვს საკუთრება. იგი შრომით, ფიზიკურ ძალთა ხარჯვით ირჩენს თავს და არჩენს ოჯახს.

ინტელიგენტს ცოდნა, სპეციალობა, პროფესია გააჩნია. იგი გონებრივ უნარს ხარჯავს და საზოგადოებაში იცავს, ავლენს და ამკვიდრებს თავის მორალსა და ეტიკეტს, ურთიერთობათა სისტემას.

მუშას არ სჭირდება დახვეწილი მანერები, თეთრი საყელო, ჰალსტუხი ან ბაბთა. ესენი არც გლეხს სჭირდება. მას აქვს საარსებო მინიმუმი – მიწა და პრიმიტიული საწარმოო იარაღები. ისიც ფიზიკური შრომით ირჩენს თავს, ითვალისწინებს ნიადაგის მონაცემებს, კლიმატს, არჩევს სასოფლო კულტურას (მაგ., ხილი, სიმინდი თუ ხორბალი).

მაგრამ შემოდის ტექნიკა, ცოდნა, განათლება, იშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის და შესაბამისად ვრცელდება სპეციალიზაცია.

ძველი სოციალური დაყოფა აზრს კარგავს. ტექნიკის პროგრესი აერთიანებს დაცილებულ წერტილებს, განსხვავებულ ინტერესებს და ხდება ნიველირება, რაც აისახება ტრადიციულ ღირსებაზე.

ასევე სხვაგვარია ჯენტლმენის მორალი, რომელიც ანგარიშს უწევს დეტალების სიზუსტეს, მათ რიტუალიზებას. ის, რაც პროლეტარისათვის უმნიშვნელო შეურაცხყოფაა, ჯენტლმენისათვის შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს. იგი რეაგირებს წვრილმანებზე და სხვებისაგანაც ასეთსავე მოპყრობას მოითხოვს.

არისტოკრატი ცხენზე რომ ვერ შეჯდეს, უხერხულია. ინტელიგენტს ეს არ მოეთხოვება. არისტოკრატს დახვეწილი მანერები

უნდა ჰქონდეს, იცოდეს ცეკვა, დაკვრა, საზოგადოებაში გალანტური მოქცევა. მაგრამ შეიძლება ღრმა და სპეციალური ცოდნა არ გაჩნდეს. ინტელიგენტთან კი ეს ყოველივე პირიქით არის მოცემული.

ტექნოკრატისათვის ღირსებას სცვლის ანგარიში, სარგებლიანობა, პრაგმატული ურთიერთდამოკიდებულება. მისთვის მთავარი შედეგია და არა შედეგისკენ მისასვლელი გზები, არა მორალი, არამედ – აზრი, არა ემოცია, არამედ – პრაქტიკა. ამიტომ იფლანგება სულის სიმდიდრე და ადამიანი ხდება ტექნიკის ნაწილი, ტექნიკური საგნის დამატება.

ის, რაც ერთგან სირცხვილია, მეორეგან არაფერს ნიშნავს, ან რაც ერთგან გმირობაა, მეორეგან მხოლოდ ცარიელი სიტყვაა. ღირსების ცნება იცვლება დრო – სივრცეში, სუბკულტურებში, კულტურის ტიპებში.

დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებულია ერთიანი მორალი, მაგრამ ისტორიულად მას ჰქონდა კლასობრივი ხასიათი. ერთმანეთისაგან განირჩეოდა ბატონისა და მონის მორალი, იდეალები და პირადი კულტურა.

ადამიანის უფლებათა, მოვალეობათა და თანასწორობის პრინციპების აღიარებამ, რასაც მილიონების სიცოცხლე შეეწირა, წაშალა არსებითი განსხვავებანი.

საზოგადოება მართავს რიტუალებს, აღლუმებს, დღესასწაულებს, საზეიმოს თუ სამგლოვიაროს, რელიგიურს თუ სამოქალაქოს, სამხედროს თუ თეატრალურს.

სახელმწიფო ფუნქციონირებს სამთავრობო, კერძო თუ რელიგიური სტრუქტურებით, მათი ინფრასტრუქტურებით, სადაც სამსახურეობრივად ჩართული არიან მოქალაქეები. ამ წრეში ავლენენ თავიანთ ხასიათს, ზნეს, უნარს, პროფესიულ კეთილსინდისიერებას.

მოქალაქე იცავს საკუთარ და სახელმწიფოს ღირსებას, იცავს, თუ საჭირო გახდა, სისხლით, პირადი თავგანწირვით.

სახელმწიფოს დაცვა თითოეული მოქალაქის არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ კონსტიტუციური მოვალეობაა და მისი დამრღვევი კანონით ისჯება.

ასე გადადის მორალი კანონში.

ცოდვის კოდექსი

ცოდვა ზნეობის სფეროა, დანაშაული – სისხლის სამართლის.

სცოდავს იგი, ვინც ვერ იცავს ან უნებურად არღვევს ცხოვრების წესს. მორწმუნე აღსარებას ეუბნება თავის მოძღვარს, რათა ასე განიწმინდოს ცოდვებისაგან, ჰპოვოს სულის სიმსუბუქე.

აღსარება ფსიქოთერაპიაა, როცა საიდუმლო ითქმის, მაგრამ მოძღვარის წინაშე, რომელიც იცავს ამ საიდუმლოს.

თითქოს უფალი ისმენს გულწრფელ სიტყვებს, იძლევა შენდობას და ეს აწყნარებს სინდისის ქეჯნას.

ხელოვნებაში ამ პროცესს შეეფარდება შემოქმედება, რეალობაში – პრაქტიკული მოქმედება, როგორც ღელვისაგან დამძიმებული სულის განმუხტვა.

ასე რომ – ცოდვა აღმოთქმულია, თუმცა ისევ რჩება სხვათათვის დაფარულად. ზოგი, რაც ცოდვად არის მიჩნეული (მაგ., ავაზაკობა, ბოროტმოქმედება, კაცისკვლა, მიწის მითვისება, გაუპატიურება), ამავე დროს დანაშაულია და კანონით ისჯება. მათი მხოლოდ აღიარება, მონანიება საკმარისი არ არის. მათ განსჯის იურიდიული კანონები.

ცოდვის კოდექსი იმდენად მრავალგვარია, რომ მათი არიდება შეუძლებელია. ღვთისმოსავი მაინც მუდმივად განაგდებს ეშმაკეულს და ცდილობს ზნეობრივად მუდმივ სრულყოფას.

მაგ., გარყვნილება არის არა მხოლოდ მოქმედება, არამედ – თქმა და ფიქრიც კი (შდრ. – ილია ჭავჭავაძის განდეგილი).

ზოგი იმდენად უმნიშვნელო ცოდვაა, რომ ვერავინ გაითვალისწინებს (მაგ., აღშფოთება, ბოროტი სიზმარი, გაბუტვა, ეჭვიანობა, თამბაქოს წევა, ტრაბახი, ლოცვის გამოტოვება, სიმთვრალე), ან იმდენად პოპულარულია საზოგადოებაში, რომ ცოდვად კი არა, ღირსებად ითვლება (მაგ., მსახიობობა, მუსიკოსობა, იარაღის მოყვარეობა, ხუმრობა, ჰიპნოზიორობა).

ქრისტიანობას დღემდე შემორჩა გასართობი თამაშების, მუსიკისა და მსახიობობის, როკვისა და სახის მორთვის უარყოფა, როგორც ანაქრონიზმი.

ბევრი კი, რაც ცოდვის კოდექსს განეკუთვნება, ადამიანის თანდაყოლილი, ინსტინქტთა მოძალებით ფრთაასხმული მანკიერებაა (მაგ., უმოწყალობა, პირფერობა, ორპირობა, ნაყროვანება, მოტყუება, მოუთმენლობა, სიცრუე, ვერცხლისმოყვარეობა).

თუ მორწმუნე ყველა ამ ნაკლს უკუაგდებს, ხელთ შეგვრჩება რობოტი, რომელიც მანქანასავით მოქმედებს და გრძნობა არ გააჩნია.

საერო ცხოვრებაში ცოდვის კოდექსს უპირისპირდება ღირსების კოდექსი, რათა ქრისტიანული დოგმებით შებოჭილი სული ახსნას და შეაგუოს პრაქტიკას, საწუთროს მოთხოვნილებას, ამქვეყნიურ არსებობას, ოღონდ არ დაუშვას დანაშაული და მძიმე ცოდვა (მაგ., ღვთის გმობა, მამათმავლობა, დაბეზღება, ვერაგობა, კაცთა მტრობა, კერპთა თაყვანი, ნარკოტიკების მოხმარება, ქრთამის აღება-გაცემა).

ბრძოლა არსებობისათვის, კარიერისა და სიყვარულისათვის, სიამოვნებისა და ბედნიერებისათვის გზას უხსნის ეგოისტურ მეს, აგრესიულ ინსტინქტებს. აგრესია ბადებს კონფლიქტებს, რაც ნიშნავს ველურობისაკენ უკუქცევას.

საზოგადოებაში უმძიმესი დანაშაულია მკვლელობა, რაც მრავალ ქვეყანაში სიკვდილით ისჯება. ძველ დროში მოქმედებდა შურისგების პრინციპი – მკვლელი თავისი სიცოცხლით აგებდა პასუხს დანაშაულისათვის. დაღვრილი სისხლის გამო კონფლიქტი გადადიოდა თაობიდან თაობაში და ახალ მსხვერპლს იწვევდა (გავიხსენოთ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ბალზაკის „ვენდეტა“, კ. გამსა-

ხურდიას „მთვარის მოტაცება“, ვაჟა-ფშაველას „სისხლის ძიება“ და „სტუმარმასპინძელი“).

მაგრამ, ამავე დროს, ასეთი სისასტიკე ნერგავდა სიფრთხილესაც.

ბუდიზმის მიხედვით, ყოფიერების საფუძველი არის ტანჯვა. მას ავიცილებთ თუ შევძლებთ ვნებათა დათრგუნვას, სურვილების ალაგმვას.

ქრისტიანული თვალსაზრისით, ის არის ნეტარი, ვინც დაძლია თავისი მიწიერი, ამქვეყნიური, ადამიანური ბუნება და განწმენდილი ქვენაგრძნობათაგან შეუდგა უფლის გზას.

ზნეობისათვის მთავარი იყო უფლისა და ხელისუფალის ნება, სახელმწიფო და სამართალი, რომელთა ძალით ყალიბდებოდა ადამიანური შეგნება. იგი მუდმივად ირღვეოდა, მაგრამ იდეალად მაინც რჩებოდა. ამ იდეალს გადასცემდა მშობელი შვილს, ღვთისმსახური – მრევლს, ხელისუფალი – ქვეშევრდომებს.

მორალი აწესრიგებს ადამიანთა მასას, ურთიერთობებს, სექსუალურ კავშირებს, თავდადებასა და განდგომას.

ერთგულება იკვრება ფიცით, შეთანხმება – ხელშეკრულებით. დარღვევა ითვლება დანაშაულად.

ესესელთა დევიზი იყო: „ღირსების უპირველესი ნიშანი არის ერთგულება“ ანუ ორგულობა აზიანებდა არა მხოლოდ სხვას, არამედ თავად დამნაშავესაც.

ერთგულება ნიშნავს იერარქიულ დამოკიდებულებას, სიმამაცესა და თავდადებას, სიცოცხლის გაწირვას ღირსების დასაცავად.

როცა ადამიანი ბრძოლით ან ლავირებით მიზანს ვერ აღწევს, ვერ იკმაყოფილებს ინსტინქტებს, მიმართავს ღალატს. ეს არის აკრძალული, მაგრამ მოკლე გზა არსებობის გადასარჩენად, სიამოვნების მოსაპოვებლად, ქონების მისაღებად, კარიერის გზაზე.

ღალატი ყოველთვის სასტიკად ისჯებოდა, მაგ., სამშობლოს, რელიგიის, მეუღლის მიმართ ორგულობა.

ჰამურაბის კანონის მიხედვით ქმარს შეეძლო მოღალატე ცოლი დაეხრჩო. სოლონის კანონი ნებას იძლეოდა თუ ქალს მრუშობაზე წაასწრებდნენ, იქვე მოეკლათ. ამავე დროს არსებობდა რელიგიური პროსტიტუცია, კურტუაზული სიყვარული, ქმრის მიერ ნებადართული თავისუფალი ქცევა (მაგ., ძველ სპარტაში).

შენიშნავენ, რომ გოეთეს მეუღლე ქრისტინა ვულპიუსი, რომელიც თავს ევლებოდა სათაყვანო ქმარს, ამავე დროს არც გართობას იკლებდა, არც საყვარლებს, არც ალკოჰოლს.

განსაკუთრებით სასტიკი იყო ხელისუფალი ქვეგამხედვართა მიმართ. საკმარისი იყო ოდნავი გადახრაც ან ეჭვის მიტანა, არათუ შეთქმულება ან შეიარაღებული დაპირისპირება.

ხელისუფალი ყველა დროში ხელშეუხებელი იყო.

1944 წლის 20 ივლისს კრახით დამთავრდა თავდასხმა ჰიტლერზე. გადარჩენილმა ფიურერმა მიმართა „ღირსების სამსჯავროს“ – 4.980 კაცი დახვრიტა, ჩამოახრჩო ან ჩანგალზე ჩამოაცვა, მათ შორის – ფელდმარშლები და გენერლები.

ერთგულება ყველა დროში ღირსებად ითვლებოდა, ღალატი – დანაშაულად (შდრ – რუსთაველი: „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“).

ის, ვინც ღალატსაა ჩვეული ან უზნეობის გზას ადგას, მეტწილად აცნობიერებს თუ რა არის კარგი და ცუდი. მაგრამ ფსიქიკური და ნევროზული მდგომარეობიდან ან სოციალური სიტუაციიდან გამომდინარე ვერ სძლევს მანკიერებას. ამიტომ ინიღბება და საზოგადოების წინაშე გამოდის, როგორც ზნეობის დამცველი. მან იცის, რომ საზოგადოება არც პროსტიტუციას მოიწონებს, არც ჰომოსექსუალიზმს, არც ნარკომანიას ან მექრთამეობას.

თუ რეალურად არა, გარეგნულად მაინც ყველას უნდა, რომ ჰქონდეს პატიოსანი მოქალაქის რეპუტაცია.

ეს ნიშნავს, რომ ძლიერია საზოგადოებრივი აზრი, ძლიერია ტრადიციული ღირებულებები და მოქალაქე ანგარიშს უწევს მათ.

ადამიანის ცხოვრების ბილიკი ცოდვა-მადლის, სიკეთე–ბოროტების ჯუნგლებში მიემართება.

2. ეტიკეტი

სიტუაცია და ქცევა

ეტიკეტი საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებია, რითაც ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან. მისი სათავეც შორეულ წარსულშია, როცა დაიწყო კულტურის ფორმირება. იგი დროთა მანძილზე იხვეწებოდა და იცვლებოდა, ემლეოდა რიტუალური ხასიათი.

ეტიკეტი სხვადასხვაგვარია სოციალურ წრეებში. მას ქმნიდნენ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბელადები და ქურუმები, სამღვდელონი, სამეფო კარი, არისტოკრატია, ცალკეული ჯგუფები და კასტები. მაგ., ქართული სამეფო კარის ეტიკეტი გადმოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.).

ეტიკეტი აღზრდისა და განათლების ნაწილია.

ეტიკეტის ნიუანსების დაცვა სავალდებულო იყო როგორც რელიგიური პირისა, ისე კარისკაცისათვის. დარღვევა ან არცოდნა დანაშაული იყო და მას ეწირებოდა არა მხოლოდ პიროვნების კარიერა, არამედ, შესაძლოა, სიცოცხლეც კი.

ასე რეგულირდებოდა ადამიანთა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური იერარქია, ეროვნული ცნობიერება.

ეტიკეტი საზოგადოებას ტრადიციებით გადაეცემა. იგი ისწავლება ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებრივ წრეში, რომელშიც იმყოფება პიროვნება. მაგ., მიმართვა უფროსისა, თანატოლისა თუ ქალისადმი, საუბრის მანერა, სიარული, ჯდომა, ჰიგიენის დაცვა, ტანსაცმლის ტარება, სუბორდინაცია.

ცოდნას უნდა ახლდეს არტისტიზმი, სიმსუბუქე, ელასტიურობა და ბუნებრიობა, რათა თუ სიტუაციას ვერ წარმართავ, დისონანსი მაინც არ შეიტანო.

ეტიკეტი ვლინდება მოძრაობასა და მეტყველებაში, ჟესტებსა და მიმიკაში. იგი შინაგანი ბუნების გარეგანი გამოხატვაა.

წესები აქაც დიფერენცირებულია. ქუჩაში, სტადიონზე ან სასახლეში ადამიანი სხვადასხვაგვარად დადის, ასევე განსხვავებულად მეტყველებს.

სტადიონზე სირბილი ან ყვირილი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ეს დაუშვებელია მაღალ საზოგადოებაში, ინტელიგენტურ და არისტოკრატიულ გარემოში, სამთავრობო და დიპლომატიურ შეხვედრებზე.

ქალთან – დედასთან, დასთან, სატრფოსთან, მეუღლესთან თუ ნაცნობთან საუბარიც ასევე დიფერენცირებულია. აქ ეტიკეტს განსაზღვრავს ობიექტი, მისდამი გრძნობითი და აზრობრივი დამოკიდებულებანი.

ეტიკეტი უკავშირდება სამართალსა და მორალს, ფსიქიკას, ტრადიციებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და რელიგიურ იერარქიას. მარტო ცოდნა არ კმარა, საჭიროა გამოხატვის თავისუფლება, მოძრაობისა და მეტყველების დამორჩილება, სიტუაციაში სწრაფი გარკვევა, გაქვავებული ნორმების არტისტული შესრულება და მათი ახალი ნიუანსებით აღვსება.

ეტიკეტი ინტელექტუალურად და სოციალურად ჰყოფდა საზოგადოების ფენებს: გლეხი ან მუშა ვერ დაიცავდა სასახლის წესებს, რიტუალსა და ჩაცმულობის ატრიბუტიკას, არც დიქცია და ხმის ტემბრი ექნებოდა შესაფერი, არც ლექსიკა და სიტუაციის გრძნობა, როდის რა ეთქვა, ვისთან როგორ მოქცეულიყო, ვერ შესძლებდა ეცეკვა ვალსი ან დაეკრა როიალზე.

ყველა სუბკულტურა თავის ეტიკეტს ამკვიდრებს და იცავს (მაგ., ქურდული სამყარო). ეტიკეტი მრავალგვარია – სამეფო კარისა და მაღალი საზოგადოების, საერთაშორისო ანუ დიპლომატიური,

ბიზნესმენთა, სამსახურებრივი, სამხედრო, სპორტული, სამოქალაქო, რელიგიური...

ყოველ მათგანს თავისი სპეციფიკა აქვს, თავისი ნიშანთა სისტემა, შესაფერი სამოსი (დეტალურად იხ. გურამ ჯოლია, „ეტიკეტის საფუძვლები“, თბ., 2000).

მაგ., დიპლომატთა ჩაცმულობის ატრიბუტიკა ასეთია: დღის ოფიციალურ ცერემონიალზე ფრაკი და შავი ჟილეტი, თეთრი პერანგი, ჰალსტუხი – თეთრი, შავი ან ნაცრისფერი, ხელთათმანი – თეთრი ან ლაიკის, ქუდი – ცილინდრი, ფეხსაცმელი – შავი, პალტო – შავი;

თითქმის იგივეა სამგლოვიარო ჩაცმულობაც;

საღამოს ცერემონიებზე – ფრაკი და თეთრი ჟილეტი, პერანგი – თეთრი, ჰალსტუხი – თეთრი ან შავი, ან ბაბთა, ხელთათმანი – თეთრი ზამშის, ქუდი – ცილინდრი, ფეხსაცმელი – შავი ლაქის.

ჩაცმულობის ეტიკეტს გვანიშნებს სიტუაცია, დრო და ადგილი. მაგ., დაუშვებელია დიპლომატიურ სამსახურში სპორტული ფორმით გამოცხადება, მიუღებელია კოსტუმითა და ჰალსტუხით ტურისტული ლაშქრობა, პანაშვიდზე თეთრი სამოსელით მისვლა.

ასევე სხვადასხვაა სეზონური ტანსაცმელი, დღისა და საღამოს ჩაცმულობა, ფერების შერჩევა და შეხამება.

ადამიანთა კეთილგანწყობილების ერთ-ერთი ნიშანია სუვენირების გადაცემა. ამასაც თავისი წესი აქვს. ის, რაც სიამოვნებს ქრისტიანს, მუსულმანისათვის შეიძლება მიუღებელი იყოს. ამიტომ საჭიროა ტაქტი და სიფრთხილე. აუცილებელია სუბორდინაციის დაცვაც: ერთნაირი საჩუქარი არ შეიძლება გადასცე დირექტორსა და მის მოადგილეს, ან ყურადღება არ მიაქციო შეფუთვას, სუვენირის ფერს, მარკას. მაგ., ჩვენთვის თეთრი სიწმინდის ნიშანია, ჩინელისათვის – მწუხარების.

საჩუქარი თუ ხაზგასმულად ძვირფასია, მაშინ იგი ქრთამის ფორმას ღებულობს.

სოციალური წრის, დროისა და ადათ-წესების შესაბამისი ეტიკეტი ჰქონდათ ჰომეროსის აქილევსსა და ოდისევსს, რუსთაველის თინათინსა და ნესტანს, ავთანდილსა და ტარიელს, ჰაგიოგრაფიის პერსონაჟებს, სტენდალის ფაბრიციოს, ჟულიენს, მატილდას, ბალზაკის მამა გორიოს, ზოლას აბე მურეს, ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძეს, ლევ ტოლსტოის პიერ ბეზუხოვსა და ანდრეი ბალკონსკის, ანა კარენინასა და ჰაჯი მურატს, კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარსა და არზაყან ზვამბაიას, გიორგი მეფესა და არსაკიძეს.

მუსულმანურ აღმოსავლეთში, ფუთუვეთის სულიერ ძმობაში მისაღები ეტიკეტი იყო თავის გადაპარსვა, ქამრის შემორტყმა, შარვლის ჩაცმა, ტყავზე ჯდომა, შარბათის (მარილ-წყალი) დალევა (ელიზბარ ჯაველიძე). XIX საუკუნის 20-იანი წლების ტფილისში, სანამ ეტლები გამოჩნდებოდა, არისტოკრატ ქალებს ავდარში ზორბა მუშები ისვამდნენ კისერზე და ასე მიჰყავდათ მთავარმართებლის წვეულებაზე (დიმიტრი ყიფიანი)!

ტრადიციებიდან, ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე ცუდ ტონად ითვლება: საფრანგეთში – ქრიზანთემებისა და მიხაკების ჩუქება, საჭმლის თეფშზე დატოვება, მოლაპარაკების დროს ვაჭრობა; დიდ ბრიტანეთში – ხმამაღალი საუბარი, დედოფლის ხელზე კოცნა, სტუმრად საჩუქრით მისვლა, სუფრასთან ხელების მაგიდაზე დაწყობა; გერმანიაში – არაპუქტუალობა და არასერიოზულობა, ქრიზანთემების ჩუქება, ხელფასის ოდენობის შეკითხვა, ოჯახში მოწვევისას დიასახლისთან ყვავილების გარეშე მისვლა; იტალიაში – ზედმეტი პუნქტუალობა, ბიჟუტერიის გაკეთება, ქუჩაში ხელის აწევით ტაქსის გაჩერება, გრძელი სადღეგრძელოები; ესპანეთში – ფამილარული ურთიერთობა, ქრიზანთემების ჩუქება, ღირსების შელახვა, შეუთანხმებლად ოჯახში მისვლა; იაპონიაში – უხეშობა და მოუთმენლობა, მისალმებისას ხელის ჩამორთმევა, სავიზიტო ბარათის არქონა, მოსაუბრის ხელზე შეხება; აშშ-ში – საზოგადოებრივი ნორმების დაუცველობა, დროის დაუფასებლობა, ხმამაღალი საუბარი, უპასუხისმგებლობა და არაკომპეტენტურობა; ჩინეთში – პარტნიო-

რისათვის სახელით მიმართვა, თეთრი და ცისფერი ყვავილების ჩუქება, ეგზოტიკურ კერძზე უარისთქმა, ტრაბახი; არაბულ ქვეყნებში – უცნობ არაბ ქალთან ურთიერთობა, დანით პურის დაჭრა, მარცხენა ხელით ნივთის გადაცემა, აბანოში შიშველი ბანაობა, ფეხის ფეხზე გადადება...

ასეთი და მსგავსი წესების ერთობლიობიდან დღევანდელობა ზოგს ღებულობს, ზოგს უარყოფს და ასე ყალიბდება საერთო ეტიკეტური სტილი, რაც აახლოებს სხვადასხვა ერისა და რელიგიის შვილებს.

ტაქტი და ტოლერანტობა, გაგება და შეგნება ქმნის ამის საშუალებას.

თანამედროვე საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს პიროვნების იმიჯს, რაც არის ფსიქიკის, ხასიათის, ტემპერამენტის, ცნობიერების სიტუაციის შესაბამისი გამოვლენა, რეპუტაცია, ავტორიტეტი, საზოგადოებრივი აზრი პიროვნებაზე.

იმიჯის გაგება სუბიექტურია. ამიტომ შეიძლება მისი შეცვლა. აქ მთავარია ორი რამ – პიროვნების არტისტიზმი, გარდასახვის უნარი და იმიჯის შემქმნელი ინფორმაციის გამოყენება, ამ ინფორმაციის ჩართვა პიროვნების სამსახურში (მაგ., საარჩევნო ბატალიების დროს).

ეს არის მანერებისა და მეტყველების კულტურის დახვეწა, გარეგნობის მოწესრიგება, არტეფაქტების შექმნა, ადექვატური რეაგირება საზოგადოების მოთხოვნებზე, დროის კონტექსტში მოძრაობა, პერსპექტივის ჩვენება.

ეტიკეტი ვლინდება საზოგადოებრივ ურთიერთობებში. იგი სრულად წარმოაჩენს როგორც ღირსებას, ისე ნაკლოვანებას, განსაკუთრებით ახალ სიტუაციებში, ახალ საგნებთან და ადამიანებთან მიმართებით.

სუფრის წესები

ნიშანთა სისტემაზე არის აგებული სუფრის ეტიკეტი, სადაც ყოველი დეტალი გათვალისწინებულია.

სუფრა არის ოფიციალური და არაოფიციალური, საბანკეტო და ოჯახური. ამის მიხედვით ხდება ატრიბუტიკის გადანაწილება.

ოფიციალური მიღებისათვის გულდასმით ემზადებიან, არჩევენ მოსაწვევ პირებს, წარმოსათქმელი სიტყვის ტექსტებს, ადგილების თანმიმდევრობას.

სტუმრებს იწვევენ ბლანკზე დაბეჭდილი ბარათით, რომელზეც აღნიშნულია მისამართი და თარიღი.

სტუმართა საერთო რაოდენობას შეეფარდება დარბაზის ფართობი. დარბაზი უნდა იყოს ორი – ერთში თავს იყრიან სტუმრები, მეორეში – სუფრა იშლება.

პირველ დარბაზში დგას სავარძლები, პატარა მაგიდები სიგარეტებითა და საფერფლეებით. სანამ საბანკეტო სუფრას მიუსხდებიან, სტუმრებს სთავაზობენ მინერალურ წყალს, ღვინოს, კონიაკს, შამპანურს.

სტუმრები ადგილს იკავებენ რანგების მიხედვით თუ ვინ უფრო საპატიოა. სუფრასთან პირველი მიდის დიასახლისი, შემდეგ – სტუმრები. მასპინძელი ადგილს იკავებს ცენტრში, მის პირდაპირ – ყველაზე საპატიო სტუმარი. ქალები და კაცები სხდებიან ერთმანეთის მონაცვლეობით. არის ამ მოდელის ვარიაციები: სუფრის თავთან ჯდება მასპინძელი კაცი. მაშინ მეორე ბოლოში ადგილს იკავებს დიასახლისი. არაოფიციალურ სუფრაზე ისინი ერთმანეთის გვერდით სხდებიან.

სადილის დამთავრების შემდეგ პირველი დგება დიასახლისი, შემდეგ – სტუმრები.

ფრანგული სტილის სუფრას ოფიციანტი ემსახურება. მას გადააქვს კერძი სტუმრის თეფშზე, დგება სტუმრის მარჯვენა მხარეს.

ოჯახური სტილის დროს სუფრაზე კერძები დიასახლისს შემოაქვს, მამაკაცი არიგებს ხორცის ნაჭრებს, მამაკაცი ავსებს ჭიქებს.

კერძების შემოტანის გრაფიკი ყველგან განსხვავებულია. დანა (დანები) და კოვზი (კოვზები) იდება თეფშების მარჯვნივ, ჩანგალი (ჩანგლები) მარცხნივ, ხელსახოცთან ერთად, თეფშის წინ – საფერფლე.

სუფრაზე იდება სხვადასხვა ზომის თეფშების სამეული – ცივი და ცხელი საუზმისათვის. დესერტის თეფში განკუთვნილია ტკბილეულისა და ხილისათვის. მის წინ ეწყობა დესერტის დანა-ჩანგალი. ოფიციალურ სუფრაზე თითოეულ წევრს უდგას ოთხი სასმისი სხვადასხვა სასმელებისათვის. რაც უფრო მაგარია სასმელი, ჭიქა მით უფრო პატარაა.

ოფიციალური სადილის მენიუ მკაცრია, ისევე როგორც სადღეგრძელოთა თანმიმდევრობა და წარმოთქმის წესი. ჭიქის გამოცლა არ არის აუცილებელი.

ოფიციალური და საზეიმო მიღების დროს სუფრა თეთრი და ქათქათა უნდა იყოს.

გემოვნების საკითხია, ქალი რა სამკაულით ან სუნამოს სურნელით მოვა, მამაკაცს წვერი როგორ ექნება გაპარსული.

დარბაზში, სადაც სუფრაა გაშლილი, პირველი შედის დიასახლისი და სტუმრებს სთხოვს, რომ დაიკავონ ადგილები ისე, რომ ქალი კაცის გვერდით აღმოჩნდეს.

მამაკაცი კერძებსა და სასმელს სთავაზობს ქალს, რომელიც მარჯვნივ უზის.

არ შეიძლება სუფრასთან თავისუფალი ჯდომა, იდაყვის მაგიდაზე დაყრდნობა, ან მეზობლის სკამზე ხელის გადადება.

გახამებულ ხელსახოცს მუხლზე იფენენ, რათა ტანსაცმელი კერძის ან სასმელის წვეთებისაგან დაიცვან.

მიუღებელია უწმაწური ანეკდოტები, ბილწსიტყვაობა და ხარხარი. ასეთი სტერილური სახე არა აქვს ოჯახურ, ამხანაგურ, მეგობ-

რულ სუფრებს, სადაც მთავარია განწყობილებისა და ურთიერთსიყვარულის გამოცხადება.

აქ კლასიკურ მუსიკასა და კლასიკურ ცეკვებს სცვლის სიმღერები, ესტრადა, თანამედროვე ცეკვების ნაირსახეობა, სიცილი და მხიარულება, ოღონდ ღრეობაში არ უნდა გადავიდეს.

ქართულ სუფრას წარმართავს თამადა. იგი იცავს სადღეგრძელოთა გარკვეულ გრაფიკს, რომლის მიზანია თავშეყრის მიზნის წარმოჩენა და გამოკვეთა, სუფრის წევრების ურთიერთგაცნობა.

სადღეგრძელოს მამაკაცები ფეხზე მდგარი ამბობენ, ქალები – დამსხდარი უსმენენ.

ჭამის დროსაც საჭიროა ნორმების დაცვა და თავშეკავება.

ყველა სასმელს შესაფერისი კერძი სჭირდება.

ასევე რეგლამენტირებულია სადღეგრძელოთა წარმოთქმის წესი. იგი უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული.

არაოფიციალური, მეგობრული სუფრებიც ძირითადად ოფიციალურის სქემას იმეორებს. მაგრამ ოფიციალურ სუფრაზე ყოველი დეტალი, სიტყვა და ქცევა რიტუალიზებულია, ყოველ ნიშანს თავისი აზრი აქვს. ასეთ ნიშანთა სისტემაზე არის აგებული ადამიანთა ქცევის, ურთიერთობის სხვა მრავალი ფორმაც.

ეტიკეტის მიხედვით გადანაწილდება როგორც ადამიანთა ცხოვრებაში, ისე კულტურის დარგებში რიტუალები და სიმბოლოები, დიპლომატიური და სამოქალაქო კავშირები, ტრადიციული წარმოდგენები.

3. ამბივალენტური ქალი

საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი არის ქალისადმი მიმართება. იგი ასევე განსაზღვრავს პიროვნების კულტურას, ეტიკეტს, ხასიათს, ფსიქიკას.

პატრიარქატმა, განსაკუთრებით კი – რელიგიებმა დააკნინეს ქალის როლი და იგი არასრულქმნილ არსებად წარმოსახეს. ეს კი იწვევდა ქალის ჩაგვრას. საქმეს ვერ შველოდა, სიტუაციას ვერ ცვლიდა ის ფაქტი, რომ დედის ნაშობია ყველა წინასწარმეტყველი და განკაცებული ღმერთი – ქრისტე, მუჰამედი, საკია მუნი, ზარატუსტრა, რომ ქრისტიანობაში არსებობდა მარიამ ღვთისმშობლის კულტი, რომ ქალი იყო მეომართა და ხელოვანთა შთაგონება.

ადამის ნეკნიდან შექმნილ ქალს ცოდვად ედო მამაკაცის ცთუნება და შედეგად სამოთხის დაკარგვა.

ქალის საზოგადოებრივ ფუნქციას აკნინებდა ბიოლოგიური ტვირთი – ფიზიკური სიფაქიზე, მენსტრუაცია, ორსულობა, მშობიარობა. ეს ფაქტორები ზღუდავდა ქალის ფიზიკურ და ინტელექტუალურ აქტივობას, ხოლო მამაკაცს ძალმომრეობის საშუალებას აძლევდა.

ძველ ათენში ქალი ვერ დაესწრებოდა ოლიმპიურ თამაშებს, სპექტაკლებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ასევე მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ ცხოვრებას. დასაშვები იყო ცოლის საყვარლის ადგილზე მოკვლა (ნანა ტონია).

დღესაც ზოგან, მაგ., ახალი გვინეის ბატაგუს ტომში, არსებობს საოცარი ქალთმოძულეობა, ქალთაგან იზოლირება, სადიზმი და სისასტიკე (შდრ - რუსთაველი: „სჯობს სიშორე დიაცისა ვისგან ვითა დაითმობის“).

აფრიკის ტომებში ახლაც მასობრივად მიმართავენ ქალთა წინდაცვეთას.

ისტორიამდელ დროში ქალი არის სიცოცხლისა და გვარის საწყისი, ოჯახის განმკარგავი და ტომის ლიდერი. ეს ფუნქცია შემორჩათ ეგვიპტელ ფარაონებს, სადაც ტახტი ქალზე გადადიოდა და ამიტომ ფარაონი თავის დაზე ქორწინდებოდა. მონღოლ არღუნ ყაენს, რომელმაც სიკვდილით დასაჯა დემეტრე თავდადებული, ცოლად ჰყავდა საკუთარი დედა თუ დედობილი ხათუნ ბულუგანი. ეს

ქალი 1286 წლის 7 აპრილს საქართველოში გარდაიცვალა (ჰენრი ჰარტი, ვენეციელი მარკო პოლო, 2011, გვ. 169).

შემდეგ, ისტორიულ ეპოქებში, მამაკაცის ფიზიკურმა ძალამ და ინტელექტმა ქალი მეორე პლანზე გადაიყვანა. სისხლიანი, სასტიკი ჟამი, ფიქრი და ძიება, მახვილი და გონი თავისთავად ზრდიდა მეომრის მნიშვნელობას. იგი იყო მხსნელი, დამცველი, მტერთა რისხვა, ქალის ღირსების გადამრჩენი.

ამავე დროს ცნობილია არაერთი ენერგიული, გონიერი, ძლიერი ხასიათის ქალი (მაგ., პერიკლეს ჰეტერა ასპაზია, ალექსანდრე მაკედონელის დედა ოლიმპია, ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, სამგზის დედოფალი გალლა პლაციდა, სულეიმან ბრწყინვალის რჩეული სლავი ჰიურემი, ჩვენი თამარ მეფე. შდრ. – რუსთაველის თინათინი და ნესტანი).

როგორც აღვნიშნეთ, მატრიარქატის დროიდან, ქალს მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს სასტიკად ექცეოდნენ და თითქმის პირუტყვთან ჰყავდათ გათანაბრებული, ე.ი. ადრევე ყალიბდებოდა ამბივალენტური მიმართება – ერთი მხრივ, – კულტი და მორჩილება, მეორე მხრივ – ჩაგვრა და დამორჩილება.

„მანუს კანონების“ მიხედვით, ქალი მუდამ კაცის მონა უნდა ყოფილიყო, ჯერ – მამის, შემდეგ – ქმრის, ბოლოს – ვაჟების.

როგორც ბიბლია, ისე ყურანი უპირატესობას ანიჭებენ მამაკაცს – ქალი არის კაცის დამატება.

ებრაელი უფალს ყოველდღე მადლს მიაგებდა, რომ ქალად არ გააჩინა.

585 წლის საეკლესიო კრებამ მხოლოდ ერთი ხმით გადაწყვიტა, რომ ქალს აქვს სული. შემდეგაც არაერთხელ დასმულა კითხვა და წიგნებიც დაწერილა ამ თემაზე – არის თუ არა ქალი ადამიანი?

უძველეს დროში შამხათმა სექსის ძალით გარდაქმნა ველური ენქიდუ და გილგამეშს მტერი მეგობრად უქცია, ე.ი. ინტუიციურად გრძნობდნენ ქალის კულტურულ მისიას, გამაუკეთესებელ გავლენას.

ინკვიზიციამ გაცილებით მეტი ქალი დასაჯა, ვიდრე კაცი.

ქალი არ უნდა ყოფილიყო სასულიერო იერარქი – მღვდელი, აბატი, ეპისკოპოსი, კარდინალი, მიტროპოლიტი, კათალიკოს-პატრიარქი, პაპი.

ქალს არ ჰქონდა საარჩევნო უფლება, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების მიღების უფლება. მას მხოლოდ შვილები უნდა გაეჩინა, აღეზარდა და ოჯახისათვის მოევლო, ყოფილიყო ქმრისა და შვილების ერთგული.

ქმარი კი მოქცეოდა როგორც ნივთს, ხან როგორც ძვირფასს, ხან როგორც უვარგისს.

XX საუკუნის დასაწყისშიც კი თურქეთში ქალს არ ჰქონდა ნება მამაკაცთან ერთად ქუჩაში გამოსულიყო, რაიმე შეკრებაში მონაწილეობა მიეღო; გემსა და ტრამვაიში ქალი და კაცი ერთად მსხდარიყო; თეატრში ქალის როლს მამაკაცი ან ქრისტიანი ქალი ასრულებდა; უცხო მამაკაცს ქალის სახის დანახვა არ შეეძლო; სკოლაში პედაგოგი მამაკაცი საჭურისი უნდა ყოფილიყო (ლორდი კინროსი, ათათურქი, თბ., 2011).

ქალისათვის აკრძალული იყო თავისუფალი სექსი, სექსი გათხოვებამდე, გასათხოვარს თავი ქალწულად უნდა შეენახა (მეტწილ ქვეყნებში). ნებადართული იყო მხოლოდ რელიგიური პროსტიტუცია, რაც ღმერთთან სიმბოლურ კავშირსა და ალეგორიულ ურთიერთობას ნიშნავდა (მაგ., ქალი თითქოს ასტარტა იყო, ვაჟი – ადონისი, ტაძარი კი უფლის სახლი).

როგორც ვთქვით, ქმრის ღალატი და გათხოვილი ქალის პროსტიტუცია ყველა დროსა და ქვეყანაში სასტიკად ისჯებოდა. მხოლოდ სექსუალურმა რევოლუციამ შეარყია ამგვარი კონსერვატიზმი და დღეს თუმცა ღალატი ისევ საუგოდ ითვლება, მას არ მოსდევს ძველებური სასჯელი. ხოლო მარტოხელა ქალი თავად აკეთებს არჩევანს – ჰყავდეს პარტნიორი, შეიცვალოს იგი თუ დარჩეს მონაზონის ამპლუაში.

მატრიარქატში ყველაფერი პირიქით იყო: ოჯახს (კლანს) განსაზღვრავდა დედა, კაცი იჩაგრებოდა. მაგ., მარონის კუნძულებზე XVII საუკუნეში მიაკვლიეს მატრიარქატს: თემის ცხოვრებას ქალები განაგებდნენ, მათ ჰქონდათ სექსუალური თავისუფლება, მოღალატე მამაკაცს ქონებას უწვავდნენ, თემიდან აძევებდნენ და ზოგჯერ კლავდნენ კიდეც.

ახალმა დრომ, ჭარბმა კონტაქტებმა, ტექნიკურმა პროგრესმა, სამსახურის გარემომ აუცილებელი გახადა ქალის გააქტიურება, გამოსვლა ოჯახიდან.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგი „თავისუფლება, თანასწორობა, ერთობა“ არ შეხებია ქალის უფლებებს. მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება ფემინისტური მოძრაობა.

მარქსისტები, სოციალისტები, ბოლშევიკები სცნობდნენ ქალისა და კაცის თანასწორობის იდეას. მათ გზა გაუხსნეს ქალებს პარტიისა და სახელმწიფო სისტემისაკენ, კულტურისა და განათლებისაკენ.

კომუნისტებმა დააარსეს ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი, რომელსაც საქართველოში დაუმატეს დედის დღე – 3 მარტი.

რელიგიურ სფეროში კი ისევ გრძელდება ამბივალენტური მიმართება: ერთი მხრივ – ქალი ეკლესიის მრევლია, ეკლესია მას მოუწოდებს გამრავლებისაკენ; ეკლესია ატარებს ჯვრისწერისა და ნათლობის რიტუალებს, ხელს უშლის განქორწინებას, მეორე მხრივ – თავის იერარქიაში ქალს არ უშვებს და არ ხსნის პირველცოდვის დოგმატს.

მუსულმანური მრავალცოლიანობის ინსტიტუტი და ჩადრი ჩაგვრის მძიმე ფორმა იყო, რაც ცივილიზაციამ თანდათან გააუქმა.

თავიდან კი მრავალცოლიანობა სწორედ ქალის ღირსების დასაცავად – პროსტიტუციის აღსაკვეთად იყო გამიზნული: მამაკაცები ომებში იხოცებოდნენ და ქალისა და კაცის რიცხვობრივი თანაფარდობა ყოველთვის მკვეთრად იყო დარღვეული.

როცა თურქეთის პირველმა პრეზიდენტმა ქემალ ათათურქმა წამოსწია ქალის უფლებები, მან თანამოძმეებს მოუწოდა, რომ პირ-

ველ რიგში ყველას თავისი დედა და ქალიშვილები ეხსნა სამარცხვინო მდგომარეობისაგან.

ქორწინება და განქორწინება ყველა ქვეყანაში კანონით რეგულირდება, რათა დაცულ იქნეს როგორც ქალის, ისე შვილების უფლებები.

მაგ., თუ მუსულმანს ქმარი გარდაეცვალა, თავშეკავების ვადად უწესდება 130 დღე; ცოლი ქმარს ვერ გაეყრება მენსტრუაციის პერიოდში; ძველი, წარმართული წესით ცოლი ქმარგაყრილად ითვლებოდა თუ ქმარი ეტყოდა – „ჩემთვის იგივე ხარ, რაც დედაჩემის ზურგი“.

დაახლოებით ასე მოიქცა პრეზიდენტი ათათურქი, როცა დასცილდა მეუღლეს – ლატიფე ჰანუმს, თუმცა არღვევდა ძველ ტრადიციებს და ევროპეიზმს ნერგავდა თურქეთში.

ბევრ ქვეყანაში ფორმდება წყვილებს შორის საქორწინო ხელშეკრულება, რაც ჭარბი დეტალიზების გამო კურიოზულად გვეჩვენება. მაგ., შვედურ საქორწინო გარიგებაში დეტალურად არის გაწერილი – ქმარმა ცოლს რამდენი კრონი გადაუხადოს ყავის მოდუღებისათვის, ბინის დალაგებისათვის, ჭურჭლის ან თეთრეულის გარეცხვისათვის, კინოსა და თეატრში წაყოლისათვის...

უფასოა სექსი კვირაში ორჯერ – თუ ქმარი მეტს მოინდომებს, ცოლს ფული უნდა გადაუხადოს!

ისტორიულად დიფერენცირებულია დამოკიდებულება დედისა, ცოლის, დისა და ქალიშვილისადმი.

ტრადიციული ჩაგვრის ობიექტია ცოლი და სხვა ქალი, მაგრამ არა დედა ან ქალიშვილი.

ქალის გარეგნობის, სილამაზის, ქცევის იდეალი შექმნა მამაკაცმა, როგორც ღმერთმა ევა – ადამის ნეკნიდან, შექმნა და შემოახვია თავის ლტოლვებს რომანტიკული შარავანდედი. შემდეგ ქალი თავად დაემორჩილა მამაკაცის მიერ მისთვის მორგებულ როლსა და ნიღაბს.

როგორც ითქვა, საქართველოში ქალის იდეალი ჩამოყალიბდა მარიამ ღვთისმშობლის, წმ. ნინოს, თამარის, ნესტანის, თინათინის, ქეთევან წამებულის სახეებით. მათ გააერთიანეს სუზერენი, სატრფო და დედა, რელიგიური და მიწიერი გრძნობები.

ქალი ისე ირთვება, ისე უვლის სახესა და სხეულს, ლაპარაკობს, დადის ან იქცევა, რომ მამაკაცი მიიზიდოს, თავი მოაწონოს. მას თავისთავადი ფუნქცია ან იდეალი არ გააჩნია და მთლიანად დამოკიდებულია მამაკაცზე, რომელსაც თავის მიერ ფორმირებული მშვენიერების ხატი აძლევს იმპულსს, შთაგონებას, სიცოცხლის ხალისს, რათა შეიქმნას გმირობისა და სიყვარულის მაგალითები, ხელოვნების ნიმუშები, ცხოვრების ჰარმონია (შდრ. – გოეთე: „ჩვენ გვიყვარს ქალის სილამაზე და არა გონება“).

4. კვება და რაციონი

ითვლება, რომ ადამიანი შიმშილს უძლებს დაახლოებით 40 დღე, წყურვილს – რამდენიმე დღე, უჟანგბადობას – რამდენიმე წუთი.

შემდეგ იღუპება.

ბინა, ავეჯი, ტანსაცმელი, ჭურჭლეული – ეს ყოველივე მეორადი მოხმარების საგნებია. ადამიანს მთელი ცხოვრება უწევს ბრძოლა, შრომა და თამაში არსობის პურის მოსაპოვებლად.

ამიტომ უკავია ესოდენ დიდი ადგილი პიროვნების ცხოვრებაში სუფრას, მეგობრულს, საზეიმოს თუ სამგლოვიაროს, შინაურულს თუ სახელდახელოს, შესაბამისი კულინარიით, ეტიკეტით, დროის, ადგილის და წესრიგის დაცვით.

ბიბლიური მითის თანახმად, ეს ხდება მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამსა და ევას სამოთხის ბაღი დაატოვებინა. იქ ჩვენი წინაპარი უზრუნველად, უშრომელად ცხოვრობდა, როგორც შიმპანზე ტრო-

პიკულ ტყეებში, ხეზე რომ სძინავს, მიწაზე ზოგჯერ თუ ჩამოვა, არც სიცხე აწუხებს, არც სიცივე.

მიზეზი ის იყო, რომ გველის რჩევით ევამ აჭამა ადამს ცნობადის ხის ნაყოფი, რამაც სექსისაკენ უბიძგათ. აქედანვე მოდის სირცხვილის გრძნობა, რაც ზნეობის საწყისია.

სექსის გარეშე სიცოცხლე გადაშენდება, მაგრამ ეს მოხდება თაობათა მანძილზე, წელთა ხანგრძლივ მდინარებაში. ხოლო წყურვილი და შიმშილი სწრაფად მუსრავს ყოველივე სულდგმულს. ამიტომ არის შიმშილი უძლიერესი ინსტინქტების გამომწვევი, ყოველი ბოროტების სათავე, რაც გადადის კაცთა ჩაგვრაში, სოციალურ უთანასწორობაში, ომებსა და აჯანყებებში.

უძველესი დროიდან ნადირი და მცენარე იძლეოდა საკვებს. შემდეგ მათ დაერთო მარცვლეული.

ცივილიზების პირველი ნიშანი იყო, როცა ადამიანმა უარი თქვა უმ საკვებზე, უმ ხორცზე, ნედლ თევზზე და დაიწყო ხარშვა. მაგ., ატილას მეომრები უნაგირქვეშ, ცხენის ზურგზე ინახავდნენ ხორცის ნაჭერს. იგი თბებოდა, იბეგვებოდა და ასე უმად ჭამდნენ.

როგორც ვთქვით, სასმელ-საჭმელი იყო ღმერთების სისხლი და ხორცი, ტრაპეზი – ადგილი, სადაც კოლექტიურად ეზიარებოდნენ უზენაეს ძალებს.

ადამიანი ღმერთს უკავშირდებოდა სისხლით – ნადირის, შეწირული პირის, პირუტყვის, რაც იგივე სული იყო. შემდეგ სისხლი განდევნა ღვინომ (მაგ., დიონისურ რიტუალებში).

ქრისტიანობა თრობის ექსტაზს ცვლის ლოცვის ექსტაზითა და მისტიკური ხილვებით.

როგორც ვთქვით, ნადიმი იყო საკრალიზებული და რიტუალიზებული, რომელმაც თავისი ეტიკეტი გამოიმუშავა. ეტიკეტიც ისევე იცვლებოდა დროსა და სივრცეში, როგორც საზოგადოების ცნობიერება, იცვლებოდა რელიგიებში, სახელმწიფოებში, მაღალ და დაბალ ფენებში, ასაკობრივ ჯგუფებში (მაგ., სპარტელი მამაკაცები საჯაროდ ერთად სადილობდნენ და არა სახლში).

ყველა კონტინენტსა და განედზე სხვადასხვა ცხოველი და მცენარე იყო გავრცელებული. ადამიანიც ამიტომ იკვებებოდა განსხვავებულად. შემდეგ რელიგია ჩაერია კვების რაციონსა და გრაფიკში, ადგილობრივ პირობებთან შესაბამისად დააწესა აკრძალვა, განარჩია რა იყო კარგი და რა უვარგისი.

მაგ., მოსეს თანახმად, ებრაელს უნდა ეჭამა ის პირუტყვი, რომელიც იცოხნება და ჩლიქგაპობილია; ღორი არ იცოხნება, ამიტომ არ იჭმეოდა, ასევე – მწერები, არაწმინდა ფრინველები, ლეში და სისხლი; თევზი იჭმეოდა ფარფლიანი და ქერცლიანი (მეორე რჯული, თ. მეთოთხმეტე).

დღეს ზოგ ქვეყანაში ჭამენ ბაყაყს, გველს, ცხენის ხორცს, ეგზოტიკურ ფრინველებს ან მწერებს, მაგ., ხოჭოებს, ლოკოკინებს.

ჩინეთში ჭამენ ყოველ მოძრავ არსებას.

ყველა ქვეყანას აქვს თავისი კულინარია, საჭმლის მომზადების წესი. იგი გამოდის რელიგიიდან, გარემოს სპეციფიკიდან, ადამიანის პრაქტიკული საჭიროებიდან. მაგ., შავიზღვიპირელი ქართველები ეტანებოდნენ ცხარე, წიწაკიან, ნივრიან კერძებს, რაც მათ იცავდა ციებისაგან; სპარსელებს ერჩივნათ ტკბილი, დაშაქრული საჭმელები, ჩრდილოეთის ბინადარნი ღვინის სანაცვლოდ არაყს სვამდნენ, არისტოკრატები – კონიაკსა და შამპანიურს, მდაბიონი – ერთ ან ორნახად არაყს, ლუდს, ღვინოს.

ევროპიდან შემოვიდა რამშტექსი, ბივშტექსი, შნიცელი, კატლეტი, რაგუ, რუსეთიდან – ბორშჩი, სუპი, აზიიდან – მწვადი, ჩანახი, ბოზბაში, ქაბაბი.

ნაციონალური სამზარეულოები აგრძელებენ არსებობას, მაგრამ პარალელურად ვრცელდება ის კერძები, ის კულინარიული წესები, რაც ყველასათვის მისაღებია (იხ. ქართული და ევროპული საჭმელები, თბ., 1990; Kochkunst, Leipzig, 1990). კულინარია მოქმედებს სუფრის ეტიკეტზე.

რელიგიები აწესებდნენ მარხვა-ხსნილის გრაფიკს, რომლის დაცვა მორწმუნისათვის სავალდებულო იყო. ერთი მხრივ – ეს შვე-

ლოდა პროდუქტის მარაგის განაწილებას, მეორე მხრივ ხელს უწყობდა ორგანიზმის კალორიების რეგულაციას, ხორცეული ცხიმისაგან განწმენდას, რაც მორწმუნეს უფრო განაწყობდა ლოცვისა და უფლის მორჩილებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია კვების რაციონი – საკვებში შემავალი ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, ამინომჟავების, პროტეინების რაოდენობა, რასაც პროცენტულად განსაზღვრავს სპეციალისტი.

საკვები მოქმედებს ჰუმორალურ სისტემაზე, შესაბამისად – მთელს სხეულზე, ფსიქიკა-ცნობიერებაზე. ძლიერმოქმედია: ნარკოტიკები, ალკოჰოლი, ნიკოტინი, მედიკამენტები. თითქოს უწყინარი საკვები კი ერთს რომ რგებს, მეორეს ვნებს (მაგ., ღორის ხორცი), ერთს აღაგზნებს, მეორეს ამშვიდებს – გააჩნია ადამიანის ჯანმრთელობას, ასაკს, კლიმატს, სეზონს, ფსიქიკას, ფიზიკურ სიგამხდრე-სიმსუქნეს.

უძველეს დროშიც იცოდნენ, რომ ადამიანზე მოქმედებს საკვები, მის ენერგიაზე, ბუნება-განწყობილებაზე, ფიქრსა და აღტაცებაზე. ამიტომ, როგორც ვთქვით, მეომარი ხორცს ეტანებოდა, ხოლო რომაელ ქურუმს სისხლისათვის არც უნდა შეეხედა.

დღეს მოსახლეობა იკვებება გენმოდიფიცირებული პროდუქტებით, შინაური ცხოველების, ინკუბატორში გამოყვანილი ფრინველის ხორცით, ფხვნილის რძითა და ყველით, სათბურის კიტრითა და პამიდორით, ქიმიური დანამატებით, ფალსიფიცირებული ჩაით, წვენებით, ალკოჰოლური სასმელებით, ლიმონათებით, ე. ი. იკარგება ბუნებრივი ბუნება და საკვებს ღებულობს ხელოვნური გარემოდან – ხელოვნური, ქიმიური ტექნოლოგიებით.

თაობათა მანძილზე ერთნაირი საკვები, ერთნაირი კულინარია აყალიბებს მსგავს ანატომიურ და ჰუმორალურ სტრუქტურას, ანელებს აგრესიას, სექსუალურ და ნაციონალისტურ სწრაფვებს, რაც ამზადებს ბიოლოგიურ ბაზისს გლობალიზაციისათვის, შესაბამისი იდეოლოგიისათვის.

5. ცხოვრება, როგორც რიტუალი

დასაბამიდან ყოველი სახეობა თავის თავს ერთნაირი უცვლელობით იმეორებს. მილიონობით წელი ფუტკარი ასე ზუზუნით დაფრინავს და ყვავილების ნექტარისაგან აგროვებს თაფლს; ასე ეცემა ლომი თავის მსხვერპლს; ასე აძინებს სიცივე შემოდგომით ქვეწარმავალს და სითბო აღვიძებს გაზაფხულზე; ასე უვლის მდედრი თავის ნაშიერს.

ეს არის ინსტინქტებით განსაზღვრული სასიცოცხლო წესრიგი, რომლის დარღვევა ანომალიაა.

მათი რეგულატორი არის ბრძოლა არსებობისათვის, რომლის მიღმა დგას გენებში კოდირებული სიკვდილის შიში,

ადამიანი ამ დაუძლეველ სასიცოცხლო წესრიგს ურთავს ინტელექტუალურ წესრიგს, რამაც შვა კულტურა და ცივილიზაცია,

ასე გაიოლდა და გალამაზდა სასტიკი სინამდვილე, როცა შეელია საიქიოს მითს, უკვდავების ილუზიას.

ამის მიხედვით ქართული ენა ერთმანეთისაგან განასხვავებს „სიცოცხლესა“ და „ცხოვრებას“.

ადამიანი ცხოვრობს, ნადირი და ფრინველი ცოცხლობს.

სიცოცხლე ბიოლოგიური პროცესია, ცხოვრება - სოციალურ-კულტურული. რუსულ ენას არ აქვს ასეთი დაყოფა და ორივე მათგანი ერთი სიტყვით აღინიშნება - „жизнь“, ასევეა გერმანულშიც - „das leben“.

იგივე ითქმის „ძალაუფლებისა“ და „ხელისუფლების“ შესახებ - „власть“ და „die Macht“.

სიცოცხლე და ძალაუფლება უკავშირდება „სისხლს“, „სულს“. ცხოვრება და ხელისუფლება მას ურთავს „რწმენას“, „იდეას“.

ადამიანის ცხოვრებას წარმართავს, აზრს აძლევს რაღაც იდეალი, თავად სუბიექტისათვის ბუნდოვნად არსებული, არაცნობიე-

რად მოცემული თუ აშკარად გამოკვეთილი, რომელიც ამოქმედებს პიროვნებას,

ზოგისათვის ეს არის პოლიტიკა, ხელოვნება თუ ბიზნესი, უმრავლესი ნაწილისათვის – კარგი ცხოვრება, ეროტიკა, ფათერაკები, დროსტარება თუ მოგზაურობა.

ისინი წარმოიქმნება შინაგანი ძახილის გარემოსთან შეჯვარებით.

მათ მისაღწევად, თუ ჩამოყალიბების პროცესში, ადამიანი გაივლის საყოველთაო საფეხურებს – ეს არის აღზრდა, სკოლა, უნივერსიტეტი, სამსახური, ქმნის ოჯახს, აჩენს შვილებს, ემორჩილება ბანალურ ყოველდღიურობას – ძილი, ადგომა, პირის დაბანა, ტუალეტი, კვება, შრომა, ახლობლებთან კონტაქტი, ტანსაცმლის ცვლა, მუდმივი მოძრაობა და გადაადგილება, საკუთარი ინტერესების დაცვა, კონფლიქტი, სწრაფვა, დასვენება,

ეს თითქოს თავისთავად ხდება, ანგარიშმიუცემლად, როგორც სიზმარში, და ალამაზებს სხვადასხვა სახის დღესასწაულებით, აიოლებს და დატვირთვას იცილებს ტექნიკის გამოყენებით.

ყოველი პროფესია, სამსახური, ინდივიდი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია იმეორებს და თან ფერს უცვლის ამ იერარქიას, ადამიანთა ურთიერთობასა და ქცევის კონფიგურაციას.

ცხოვრება არის სპექტაკლი, რომელსაც ყოველდღე ვთამაშობთ, როგორც აქტიორი. ყოველი როლი ერთმანეთის მსგავსია. მაგრამ ინდივიდს ამ სცენარში შეაქვს თავისი სწრაფვა, ხასიათი, ტემპერამენტი, აზრი და ასე ხდება როგორც ბედნიერი, ისე უბედური.

ფინალი მეტ-ნაკლებად ტრაგიკულია, რომელიც არავინ იცის, როდის დადგება.

ეს ტრაგი-კომიკური სპექტაკლი რიტუალურად სრულდება; იგი გონით, ტრადიციებით, ფსიქიკური ლტოლვით, კანონებით, რელიგიით, ენით, მორალითა და ეტიკეტით არის განსაზღვრული, რაც ხელოვანს წარმოსახვებში გადააქვს.

ისინი ილექსება თაობათა ფსიქიკასა და ცნობიერებაში, მათ ვითვისებთ როგორც ავტომატურად, ისე ძალდატანებით, რაც არის პიროვნების კულტურა.

ინსტინქტურად ვემყარებით რიტუალურ პირობითობას და აღარც გვახსოვს ყოველდღიური ფიქრი და მოქმედება თუ ეს წესრიგი არ დავარღვიეთ.

ყოველი დღე თავისთავს იმეორებს. ჩვენ კი გვსურს როგორც რიტუალური წესრიგის დაცვა, ისე დამსხვრევა და არავინ უწყის რომელს მოსდევს ტანჯვა ან სიხარული. ერთმანეთს ეჯახება კოლექტიური ტრადიცია და ინდივიდუალური აღმაფრენა, კონსერვატიზმი და შემოქმედი სული, ტრადიციის დარღვევის შიში და სიახლე, ბიოლოგიური მუტაციის მსგავსი.

ამ ერთობითა და კონფლიქტით კრისტალდება კულტურის ჩონჩხი, მყარი სტრუქტურა, მრავალი თაობისა და მრავალი ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე რწმენითა და ბრძოლით, თამაშითა და შრომით შექმნილი და დაცული.

IX. კულტურის გადაცემა: სულის უკვდავება

1. უკვდავების იდეის ტრანსფორმაცია

XVIII საუკუნეში ფრანგმა არისტოკრატმა მონტესკიემ, ინგლისური კანონების გავლენით, წამოაყენა ძალაუფლების დემოკრატიზების პრინციპი, დაჰყო იგი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

მანვე მოითხოვა მოქალაქეთა თანასწორობა და საარჩევნო უფლება, სახელმწიფოს ფედერაციული ფორმა, თუმცა კონსტიტუციური მონარქიის იდეოლოგი იყო.

ახალმა დრომ დაამკვიდრა ეს იდეები, ოღონდ დიდი სისხლისღვრის ფასად.

მმართველობის სამი შტო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და თანაც ერთმანეთს აკონტროლებენ. მათ სათავეში დგას შეზღუდული უფლების მქონე მონარქი, ხალხის ან პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი ან კანცლერი.

უზენაესის წიაღს სტოვებდა ძალაუფლებაც. იგი არა მემკვიდრეობით, არამედ – ხალხის მიერ არჩევნების გზით გადაიცემოდა.

ამიტომაც მოხდა 1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელმაც უკვდავ მეფეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

უფრო ადრე თავი მოკვეთეს ინგლისის მეფე ჩარლზ პირველს. ხოლო XX საუკუნეში ბოლშევიკებმა ამოწყვიტეს ნიკოლოზ მეორის ოჯახი; გერმანელებმა ტახტი დაატოვებინეს ვილჰელმ მეორეს; ჩინეთში ცინების დინასტია დაამხეს 1911 წელს.

მეფე აღარ იყო უფლის ჩამომავალი, აღარც უმაღლესი რელიგიური პირი, როგორც აღმოსავლეთსა და ძველ რომში.

უფლისაგან დაწესებული და გადმოცემული ძალაუფლება განიყო, გადანაწილდა და ვადით შეიზღუდა, რათა დესპოტიისათვის ადგილი აღარ ყოფილიყო.

ამგვარი დიფერენცირება აზრის თავისუფლებისა და მასების ამოძრავების ნიშანი იყო, რაც სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა ფორმით წარიმართა.

ასევე ხდებოდა კულტურის სფეროში დიფერენცირება, ხელოვნებისა და მეცნიერების გათავისუფლება, რაც აისახა უკვდავების იდეის, სულის მარადიულობის ტრანსფორმაციაში.

სულის უკვდავების რწმენა

რა იქნება ჩვენი სიკვდილის შემდეგ, ნუთუ მთავრდება ყველაფერი და წინ მხოლოდ მიწადქცევაა, არარაობა და არაფერი?

ეს ფიქრი მუდამ აწვალებდა მოაზროვნე არსებას. ამ სევდით შეპყრობილი ჩავიდა სამარეში ძლევამოსილი გილგამეში, ამ წუხილმა შეთხზა მითი სულის მარადიულობაზე, იმქვეყნიურ სასუფეველზე, როცა ფანტაზიამ გადასწია სახილველი ზღვარი.

ეს რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატი იყო, რადგან იგი სხეულებრივ უკვდავებას ადრევე შეელია. პირამიდები, აკლდამები, კატაკომბები, მუმიები დავიწყებას მიეცა.

მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა სულის მისტიკურ უკვდავებასა და მოგზაურობაზე, უსხეულო ანგელოსებსა და სულებით დასახლებულ მიღმა ქვეყანაზე, რომელიც იყო მარადიული და არა მიწიერ სიცოცხლესავით დროებითი და წარმავალი.

მაგრამ ფიქრი სულის უკვდავებაზე ერესის წყაროც იყო. თავისუფალი აზრი ამ სივრცეშიც ეძებდა სიახლეს, ცდილობდა მეტ დასაბუთებას, ეჭვის დაცხრომას, უარყოფდა ფორმალიზებულ დოგმატებს, რათა რწმენისათვის მეტი დამაჯერებლობა მიეცათ. ეს კი

წარმოშობდა სექტებს. ზოგი წარმატებული სექტა მიმდინარეობად იქცეოდა ან ძირითადი რელიგია განხეთქილების შედეგად ითი-შებოდა (მაგ., მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი, დიოფი-ზიტობა და მონოფიზიტობა, შიიტიზმი და სუნიტიზმი).

ისინი ერთმანეთს მწვალებლებს ეძახდნენ, ანათემას გადასცემ-დნენ, არ სცნობდნენ. მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც დამოუკიდებ-ლად აგრძელებდნენ არსებობას.

დიფერენცირება კი გრძელდებოდა.

მსოფლიოში, მეტ-ნაკლებ სივრცეში, მეტ-ნაკლები მრევლით მოქმედებს 70-მდე რელიგია და 3.000-მდე სექტა. მათ აქვთ საერთო – ღმერთის რწმენა და სულის უკვდავების იდეა.

წარმოქმნას ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორი, როგორიც დოგ-მატურის სრულქმნის სურვილი, ისე ფსიქიკური გადახრა ან ძალა-უფლების ნება, დამოუკიდებლობისა და პირველობის მანია.

მილიარდობით ადამიანი დღესაც რწმენის ერთგულია. მათ სუ-ლიერ ტკივილებს, იდეალებს, სწრაფვას ესალბუნება ღვთაებრივი ნათელი.

რწმენა იძლევა ძალას, სტიმულს, იმედს. ასე რომ, არა აქვს მნიშვნელობა რწმენის წყარო რეალურია თუ არა. მირაჟია ვარსკვლა-ვეთი: რამდენი ვარსკვლავი, რომელთა შუქი ახლა აღწევს ჩვენამდე, უკვე მილიონი თუ მილიარდი წლის წინათ არის ჩამქრალი. ხოლო ზოგი რომელიც ანთებულია, თავის სხივს დედამიწაზე მოატანს მილიონი თუ მილიარდი წლის შემდეგ.

ზეცაში კი, როგორც გვეუბნებიან, არსებობს მილიარდი გალაქ-ტიკა და თითოეული მათგანი მილიარდობით ვარსკვლავს შეიცავს.

ამ უკიდეგანო სივრცეს ემატება წინაპართა ჩვენთა სულები (მაგ., „ირმის ნახტომის“ გალაქტიკაში ითვლიან მლრდ ვარსკვალვს).

ძალაუფლება და ამქვეყნიური სამოთხე

ყველა დროის ხელისუფალი ესწრაფოდა ძალაუფლებას, ძალაუფლების განმტკიცებას, შემდეგ – ოცნების რეალიზებას, რაც იყო საზღვრების გაფართოება, მიწიდან ამოზრდილი არქიტექტურით საგნების შეცვლა, ეკონომიკური სიძლიერე, კულტურა და ცივილიზაცია ანუ რელიგიური სამოთხის მიწაზე გადმოტანა, თავისი ხალხისათვის სიკეთისა და წესრიგის მოპოვება.

ასე იცოცხლებდა იგი შთამომავალთა მეხსიერებაში.

ეს იყო სულის უკვდავყოფა პრაქტიკული მოქმედებით, საკუთარი კვალის აღბეჭდვა, რომელსაც ულმობელი დრო ვერ წაშლიდა.

ამიტომ ღებულობდა გამორჩეული ხელისუფალი წმინდანის შარავანდედს (მაგ., დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე).

ხელისუფლება იყენებს მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს, რაც დაეხმარება იდეების მატერიალიზებაში. მაგრამ ცალკეული ადამიანებიც ოცნებობდნენ, წარმოსახვაში ქმნიდნენ სახელმწიფოს მოდელს, ადგენდნენ მმართველის ფუნქციებს, კანონთა კოდექსს, საზოგადოების იდეალებს, ფიქრობდნენ ადამიანთა თანასწოროობაზე, სოციალურ ურთიერთობათა მოწესრიგებაზე, რათა ომი, სისხლისღვრა, შური და შუღლი საყოველთაო სიკეთით შეეცვალათ.

ამ ოცნებამ შვა სოციალიზმი, სოციალიზმის მაცთუნებელი იდეალები. 1516 წელს ტომას მორი წერს დიალოგს „უტოპია“, რომლიდანაც იწყება ამ მოძღვრების ისტორია.

ტომას მორი ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე იყო, ერთხანს – კანცლერი. სიკვდილით დასაჯეს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით. მოგვიანებით კი კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა.

მან თავის „უტოპიაში“ დაგვიხატა ფანტასტიკური კუნძული, სადაც გაუქმებულია კერძო და პირადი საკუთრება, არსებობს არჩევითობა, შრომა ყველასათვის სავალდებულოა, ხოლო განაწილება

ხდება მოთხოვნილების მიხედვით ანუ აღდგენილია არქაული თემის სურათი, რაც გახდა კომუნისტური საზოგადოების მოდელი.

შემდეგ კამპანელა, მელიე, ბაბეფი აგრძელებენ ოცნებას საზოგადოების რეფორმებზე, რათა წაშლილიყო ზღვარი მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის.

ის, რაც მორისათვის უტოპია იყო, თანდათან რეალურ სახეს ღებულობდა. იმქვეყნიური სამოთხე ამ ქვეყნად უნდა გადმოეტანათ.

კლასობრივი ანტაგონიზმი მით უფრო საგრძნობი და დამთრგუნველი ხდებოდა, რაც იზრდებოდა საზოგადოების შეგნება და მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი.

XIX საუკუნეში მეტი ინტენსივობით გაგრძელდა სოციალისტური თეორიების თხზვა (საფრანგეთში – სენ-სიმონი და ფურიე, ინგლისში – ოუენი, რუსეთში – გერცენი და ჩერნიშევსკი). მაგრამ ეს რჩებოდა მართლაც უტოპიის სფეროში, ვიდრე მარქსმა, ენგელსმა, კაუცკიმ, სხვა იდეოლოგებმა სოციალიზმის იდეალები არ შეიტანეს მუშათა მოძრაობაში და არ შეიქმნა პოლიტიკური პარტიები.

პოლიტიკური პარტიის მიზანი იყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. საამისოდ ორი გზა არსებობდა – ევოლუციური (საპარლამენტო) და რევოლუციური (აჯანყება და გადატრიალება). სისტემის შეცვლა მხოლოდ ასე შეიძლებოდა.

სოციალისტური იდეები ორი საპირისპირო მიმართულებით განვითარდა – ერთი იყო ინტერნაციონალიზმი, მეორე – ნაციონალიზმი (მაგ., იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში).

მას შემდეგ, რაც ევროპაში დამკვიდრდა პარლამენტარიზმი, სოციალ-დემოკრატებს თუ ნაციონალ-სოციალისტებს შეეძლოთ ლეგალურად ებრძოლათ ხელისუფლების მოსაპოვებლად, თავიანთი იდეალების პროპაგანდა გაეწიათ, შეეცვალათ მასების ცნობიერება და ეჩვენებინათ ამქვეყნიური სამოთხის გზა.

მარქსი და ენგელსი მიიჩნევდნენ, რომ სოციალიზმს უნდა გაემარჯვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც უკვე არსებობდა ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზი-

სი თანასწორობისათვის, სოციალური ჩაგვრის მოსასპობად. მაგრამ ეს ერთბაშად უნდა მომხდარიყო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რათა ვერ შესძლებოდათ სოციალიზმის კერის ჩახშობა.

ისინი ათეისტები იყვნენ, უარყოფდნენ ღმერთსა და სულთა მარადიულ არსებობას.

ეს ორი საყრდენი თეზისი ისევ უტოპიის სფეროში სტოვებდა სოციალიზმის იდეალებს. იქ, სადაც ცხოვრების დონე მაღალი იყო, რევოლუცია სოციალურ ნიადაგზე არ მოხდებოდა, არ მოხდებოდა მითუმეტეს მთელს ევროპაში.

ეს ყველაზე კარგად გააცნობიერეს ლენინმა და ტროცკიმ. მათ უარყვეს პლეხანოვის რეფორმისტული, ევროპული გეზი და კურსი აიღეს ძალადობით ხელისუფლების დამხობაზე.

ეს რეალისტური, პრაქტიკული გზა იყო, თუმცა ღალატობდა სოციალიზმის ჰუმანურ იდეალებს. ამქვეყნიური სამოთხე, რომელ-საც კომუნიზმი დაერქვა, არათუ მაშინ, არც 50 წლის შემდეგ იცოდნენ თუ კონკრეტულად როგორი იქნებოდა, როდის იქნებოდა მიღწეული.

რევოლუცია, მარქსიზმის საპირისპიროდ, მოხდა ერთ და ისიც ეკონომიკურად ჩამორჩენილ, ომით დაუძლურებულ სახელმწიფო-ში. ამიტომ აქ არავითარი საფუძველი არ არსებობდა სოციალიზმის ოცნების აღსასრულებლად.

მთელს რუსეთის იმპერიაში იყო მხოლოდ 24.000 ბოლშევიკი, აქედან – მეტი წილი კრიმინალი და რეციდივისტი.

არსებობდა ისევ ძალადობის, მასობრივი ტერორის გზა, რაც წარმატებით გამოიყენა ლენინ-სტალინის პარტიამ.

უტოპიის რეალობად ქცევის ცდამ კაცობრიობას კატასტროფა მოუტანა, ტოტალიტარული რეჟიმები, რეპრესიები და მსოფლიო ომი, „სისხლი და ცხედრები“.

საბჭოთა პერიოდში დახვრიტეს 4 მლნ-ზე მეტი საკუთარი მო-ქალაქე, უცხოეთში გაიქცა რამდენიმე მილიონი, კიდევ უფრო მეტი გააციმბირეს.

ასეთსავე რეპრესიებს მიმართავდა მაო ძედუნი, ხოლო კამბოჯაში წითელმა კხმერებმა დახვრიტეს სამი თუ ორი მილიონი თანამემამულე.

სადაც კი კომუნისტები აღმოჩნდნენ ხელისუფლების სათავეში, ყველგან სისხლის ზღვა დააყენეს.

ამქვეყნიური სამოთხე მაინც ვერ შეიქმნა. სამაგიეროდ, როგორც ვთქვით, განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ევოლუციის გზით მიაღწიეს სოციალიზმს, მოსპეს კლასობრივი ანტაგონიზმი, ჩაატარეს რეფორმები, ბოლო მოუღეს კოლონიალიზმს, შექმნეს მატერიალური და საკანონმდებლო ბაზა რასების, ერების, ინდივიდების, სახელმწიფოების თანასწორობისათვის.

მაგრამ რომ არა რევოლუციები, ომები, გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, სსრკ და სოციალიზმის ქვეყნების ბანაკი, შეიძლება აშშ-ს, იაპონიას, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ესოდენი სწრაფი ტემპით არც მიეღწიათ სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიზმისა და მასობრივი კომფორტისათვის.

სოციალიზმის ქვეყნების სასტიკი გაკვეთილები ისევე აღმოჩნდა საჭირო, როგორც პარლამენტში ოპოზიცია მმართველი გუნდისათვის, როგორც გველის შხამი – მედიცინისათვის.

ასე მოხდა როგორც რელიგიური სამოთხის, ისე ჯოჯოხეთის მიწიერი ტრანსფორმაცია, ადამიანის გონითა და ხელით.

აზრის უკვდავება

ხელოვანმა და მეცნიერმა სულის უკვდავსაყოფად მიმართეს მხატვრულ სახესა და ლოგიკურ ცნებას. ესეც ოცნების სფერო იყო. მაგრამ მიზნად არ ისახავდა არც საზოგადოების გარდაქმნასა და გადაკეთებას, არც მზადებას მარადიული სასუფეველისათვის, არც დაპყრობით ომებს.

მათ ერთი მიზანი ჰქონდათ – შეეცნოთ ეს სამყარო და სიხარული მოეტანათ ადამიანთათვის, არა ნგრევითა და სისხლისღვრით, არამედ – ფიქრითა და განსჯით, წარმოსახვით, თამაშით, გამოგონებითა და აღმოჩენით.

აქეთკენ უბიძგებდათ „სულში ავობით მძვინვარე ლუციფერი" და მათ სხვაგვარად სიცოცხლე არ შეეძლოთ.

თვალწინ ედგათ სისხლიანი ისტორია და სასტიკი სინამდვილე, კონფლიქტური სიტუაციები, სიკვდილ-სიცოცხლის დრამა.

კულტურშემოქმედზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ დავსძენთ: ოცნების გადატანა ქაღალდზე, ქვად ამეტყველება თუ მუსიკალურ ჰანგებად ქცევა კულტურშემოქმედისათვის არის სიცოცხლის აზრი, გარდაუვალი, როგორც ბედისწერა. იგი ეწირება თავის საქმეს, რომელშიც განივთდება მისი სული და ასე აღწევს უკვდავებას, ასე გარდაისახება, როგორც შექსპირი – ჰამლეტად, ეიფელი – კოშკად, გოეთე – ფაუსტად, აიშტაინი – ფარდობითობის თეორიად, ჩაპლინი – მაწანწალად.

აზრის უკვდება – ეს იგივე სულის უკვდავებაა, რაც კულტურად ქცევას ნიშნავს. ბოლოს კი, როგორც ვნახეთ, ეს ყოველივე გადავიდა სინამდვილის მხატვრულ კონსტრუირებაში ანუ მაინც პრაქტიკას დაუკავშირდა.

2. კულტურის ფიქსირება

გავრცელება და გადაცემა

არქეოლოგი მიწის ფენებში ეძებს წარსულის ნაშთებს. მან ჯერ ნივთს უნდა მიაგნოს, უვნებლად ამოიღოს, გაასუფთაოს და გაამაგროს. ხოლო შენახვა, შესწავლა, დასისტემება – სხვა დროის ამოცანაა. ეს შეიძლება მპოვნელზე უკეთ სხვამ შეძლოს.

ასე ჩავიდა კომერსანტი შლიმანი ტროას ქვესკნელში.

კულტურის გავრცელება და გადაცემა ცივილიზაციური პროცესია და სხვადასხვა სისტემას მოიცავს.

კომპოზიტორი რომ წერს ოპერას, სიმფონიას ან ორატორიას, იგი შემსრულებელს მოელის. მათგან ზოგი უფრო ნიჭიერია, ზოგი – ნაკლები.

მას სჭირდება სათანადო გარემო – სცენა, შუქ-განათება, დარბაზი, შემსრულებელი, ორკესტრი, ფორტეპიანო.

ამის შემდეგ ნოტები გადაინაცვლებენ სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა მუსიკოს-შემსრულებლებისაკენ.

პარტიტურის და შემსრულებლის ღირსებას, ოსტატობას, ტალანტს განსაზღვრავს პროფესიონალი. მაგრამ ანგარიში ეწევა არა მხოლოდ თითო-ოროლა სპეციალისტის კვალიფიციურ აზრს, არამედ – რიგით მსმენელთა თვალსაზრისსაც.

აქ მოქმედებს დროის გემოვნება, კულტურული ატმოსფერო, პოლიტიკური კონიუქტურა, რათა მოდელირებული ბგერები სრულად აღვიქვათ.

ლიტერატურაში უფრო რთული ვითარებაა.

მწერალი რომ დაწერს რომანს, იგი მხოლოდ ავტორის კუთვნილებაა. ავტორის ნაფიქრალმა მკითხველისაკენ გზა რომ გაიკვლიოს, აუცილებელია პუბლიკაცია, გაზეთში, ჟურნალში დაბეჭდვა ან ცალკე წიგნად გამოცემა.

მკითხველზე პირველ რიგში მოქმედებს ტექსტი. მაგრამ ასევე საგულისხმოა წიგნის გაფორმება, ბეჭდვის ხარისხი, ქაღალდის ხარისხი, ფორმატი, წიგნის პროპაგანდა.

ასევე მნიშვნელოვანია დროის კონტექსტი, მკითხველის ინტელექტუალურ-ემოციური ინტერესები. ახალი წიგნი პირდაპირ თუ ირიბად უნდა პასუხობდეს თავისი ჟამის მტკივნეულ, აქტუალურ პრობლემებს, კულტურულს, სოციალურს თუ პოლიტიკურს.

სხვამხრივ მკითხველი არ მიიღებს.

წიგნი მკითხველთან, მომავალ თაობებში, გადადის თავისი დროის კონტექსტითაც. მაგ., დღეს რომ დაწერილიყო „შაჰნამე“, „ვეფხისტყაოსანი“ ან „დონ კიხოტი“, მკითხველს მათი აღქმა გაუძნელდებოდა.

ამიტომ არავინ ბაძავს მათ, თუმცა გენიალობას ყველა აღიარებს.

მაგრამ ეს წიგნები ზრდიდნენ თაობებს, ხვეწდნენ მათ ფსიქიკასა და ცნობიერებას. ისინი გადმოდიან თავიანთი დროით და ამ დროში გარდატეხილი ესთეტიკით, რაც ნიშნავს მხატვრულ პირობითობათა სიცოცხლის შენარჩუნებას, ამ პირობითობათა გათვალისწინებას.

მაგ., დღეს, დღეის თვალსაზრისით, გაუგებარია ტარიელის ველად გაჭრა, მრავალწლიანი ხეტიალი ან დონ კიხოტის აკვიატებები, მისი ფსევდო-რაინდობა.

წიგნი ბეჭდვით მიდის მკითხველთან. მაგრამ ერებს შორის დგას ენობრივი ბარიერი. მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის წინაშე ამგვარი დაბრკოლება არ არსებობს.

წიგნი უნდა ითარგმნოს ან ორიგინალის ენა აითვისონ (მაგ., ლ. ტოლსტოი სიბერეში ძველბერძნულს სწავლობდა, რათა ჰომეროსი წაეკითხა).

მაგრამ აქაც მრავალი ბარიერი გველოდება. მაგ., დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ გერმანელებმა 40-ჯერ თარგმნეს. ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთი არაა დამაკმაყოფილებელი, ვერცერთი ვერ გადმოსცემს დედნის ძალას.

თარგმანი არ უდრის ორიგინალს – რაღაც იკარგება, რაღაც ემატება, არა მხოლოდ პოეზიის, არამედ – პროზის თარგმანშიც.

ის, რაც ინგლისელისათვის სავსებით ბუნებრივია, ჩვენთვის შეიძლება უცხო იყოს ან ემოცია არ აღგვიძრას.

მაგ., „ვისრამიანში“ ძმას – ვიროს უყვარს და – ვისი. ვისი არის რამინის სატრფო, მაგრამ ამავე დროს იგი არის რამინის უფროსი ძმის – შაჰი მოაბადის ცოლი, თუმცა ეს ცოლ-ქმარობა პირობითია და მათ შორის სექსი არ ყოფილა.

მაინც ეს სიუჟეტი ქრისტიანისათვის უცხო უნდა ყოფილიყო. თუმცა, ჩვენი წინაპრები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, თითქოს ეს ფაქტები უფრო ამწვავებდნენ სიუჟეტსა და პერსონაჟების დრამატულ ბედს.

იგივე ითქმის ევროპულ „ტრისტან და იზოლდაზე“, სადაც იზოლდა ტრისტანის ბიცოლაა, ტრისტანის ბიძის, მარკ მეფის მეუღლე.

ვერც ორიგინალის ენის შესწავლა შველის საქმეს. პოეზიის ნიუანსების აღქმა მოითხოვს არა მხოლოდ ენის პრაქტიკულ ცოდნას, არამედ – მის განცდას არაცნობიერ დონეზე. ეს კი შეუძლებელია თუ ადამიანი არ ზის ამ ენის სტიქიაში, რაც იშვიათი მოვლენაა.

ბიბლიის თარგმანით დაიწყო არაერთი ქვეყნის მწერლობა. იგი კანონიკური ტექსტი იყო. მას ხვეწდნენ და აზუსტებდნენ თაობები, რათა სისწორე გამომსახველობისათვის შეეთავსებინათ.

მთარგმნელი უაღრესი მორწმუნე იყო, განიცდიდა ყოველ ფრაზას, უფრო მეტად, ვიდრე პოეტი ან რომანისტი.

ქართული მწერლობაც იწყება ბიბლიის თარგმანით, რაც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, ვიდრე სრულყოფას არ მიაღწია.

ცნებითი აზროვნება უფრო ნაკლები დანაკარგით გადადის. აქ მთავარია ის ნიადაგი, რომელზეც დაეცემა აზრის მარცვალი. მაგ., შეიძლება წაიკითხონ პლატონი და ნიცშე, კანტი და ჰეგელი, თითქოს გაიგონ კიდეც, მაგრამ თუ სუსტია ინტელექტუალური ბაზისი, მაშინ ამ ავტორებს ზემოქმედება არ ექნებათ, ასოციაციებს არ აღძრავენ.

კულტურის გადაცემას, მის მიღებას სჭირდება სათანადო ინტელექტუალური ბაზისი, რაც იქმნება აღზრდით, სწავლა-განათლებით.

უნდა არსებობდეს ფუნდამენტი, უამისოდ ყოველი ცდა დაღუპულია, რეგრესი გარდაუვალია.

ამიტომ კულტურის შექმნა, შენახვა, გადაცემა მუდმივად მოძრავი, განახლებადი პროცესია, ერთმანეთისაგან განუყრელი ტრიადა.

კულტურა ყველა დროში სხვადასხვა ფორმებით ვრცელდებოდა, ცხადია, ნაკლები მობილობითა და ინტენსივობით. მაგრამ მეტი ხნით იმორჩილებდა ხალხთა ცნობიერებას, ვიდრე დღეს.

ცოდნის კონცენტრირებასა, დაგროვებასა და გადაცემაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა განმარტებითმა და სხვადასხვა დარგის ლექსიკონებმა (მაგ., სულხან-საბას „სიტყვის კონა“ დაწერილია XVIII ს-ის პირველ მეოთხედში), ენციკლოპედიებმა (ბერძნ. – ცოდნის წრე).

მაგ., კალიმახის „ტაბულები“ (ძვ. წ. III ს.), მარკუს ტერენციუს ვარონის „დისციპლინები“ (ძვ. წ. I ს.), ჩინური „იუნ-ლე და დიანი“ (XV ს,), ვინცენტო ბოველის „დიდი სარკე“ (XIII ს.), ფრანგ განმანათლებელთა „ენციკლოპედია“ (XVIII ს.), „ბრიტანიკა“, „იტალიანა“, „ამერიკანა“, მაიერის, ლარუსის, ბროკჰაუზისა და ეფრონის უნივერსალური ლექსიკონები, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ (I გამოცემა – 66 ტომი), „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ და ა.შ.

ლექსიკონები და ენციკლოპედიები გვიჩვენებენ სახელმწიფოს კულტურულ და ცივილიზაციურ დონეს.

დღეს ინფორმაციის უსწრაფესი ცვალება არ იძლევა შეჩერების, დაყოვნების საშუალებას და ყოველი სიახლე უცებ ძველდება. მომენტალურად გადადიან ისტორიაში ცოცხალი კერპებიც ანუ ლიდერი არის „ხალიფა ერთი საათით“.

მაყურებელმა, მსმენელმა, მკითხველმა არ იცის რაზე შეაჩეროს ყურადღება. დამაბნეველია არა მხოლოდ კონტაქტების სიხშირე და სისწრაფე, არამედ პროპაგანდისა და რეკლამის უხვი სპექტრიც.

შექმნისა და ათვისების პროცესი წამიერად უნდა მოესწროს, ვიდრე ინფორმაციის ახალი ტალღა მოვარდებოდეს, რომელიც ძველს წალეკავს.

მეხსიერებას უჭირს მოდის, სტილის, ლიტერატურის თუ მუსიკის ნიმუშის გამორჩევა და შთაბეჭდვა. გლობალური ქარიშხალი ყველაფერს ცვლის და აუფასურებს.

ძველი დროს ბერ-მონაზვნები საქმის კურსში იყვნენ თუ რა იწერებოდა, რა ითარგმნებოდა ბიზანტიურ ენაზე, რა ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნად გაბნეულ მონასტრებში.

კონტაქტების ქსელი მუდამ არსებობდა, რომლის დროს შენელებულად აღვიქვამთ ჩვენ, როცა ტელევიზია, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი წუთიერად აერთიანებს მსოფლიოს. მათთვის კი დაყოვნებად არ აღიქმებოდა თუ ქართველი ბერი შავი მთიდან ან ათონის მთიდან ერთი წლის შემდეგ ჩამოაღწევდა და ჩამოიტანდა ახალ ხელნაწერებს.

კულტურის გადაცემას ხელს უწყობდა ბარბაროსული ინტეგრაცია – ომი, რომელსაც მოჰქონდა და გაჰქონდა ინფორმაცია, მოჰყავდა და გაჰყავდა ადამიანთა მასა.

მშვიდობიან დროს კი ვაჭრობა, გაცვლა-გამოცვლა, მექარავნეობა, საქარავნო გზები, რომლებიც მოემართებოდნენ ჩინეთიდან ბრიტანეთის კუნძულებამდე, ყინვასა და სიცხეში, ყაჩაღებითა და მკვლელებით დანაღმულ მთებსა და უდაბნოებში, უზრუნველყოფდნენ ინფორმაციათა, სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა მეტ-ნაკლებ გავრცელებას.

კულტურის ათვისება

კულტურის მთავარი ფუნქცია, როგორც ვთქვით, არის ინსტინქტების დამორჩილება, სახეცვლა და მოწესრიგება, მათი ინტელექტუალიზება და ჰარმონიზება ანუ მხეცის ჰუმანიზება.

ასეთ დროს ფსიქიკური და ფიზიკური ენერგია გადადის კონკრეტულ სახეებსა და ფორმებში, ხდება გადანაცვლება, ვნებებითა და

გრძნობებით, ათასგვარი ლტოლვებითა და სწრაფვებით აღვსილი სული შვებას ჰპოვებს.

ეს შექმნის პროცესში. მაგრამ ათვისების უნარის გამომუშავება და განვითარებაც მოითხოვს ძალდატანებას, შრომას, შეგუებას, მინავლული შემოქმედებითი ძალის გააქტივებას.

ბავშვს თამაში უფრო სიამოვნებს, ვიდრე სწავლა. კინოს სიხარულით უყურებს, მაგრამ თუ ცოდნა არ გააჩნია, ყველა ფილმის აღქმას ვერ შეძლებს. მხოლოდ საბრძოლო, კომიკურ და სატრფიალო სცენებზე თუ შეაჩერებს ყურადღებას.

ათვისებაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შექმნა. ეს უნარი თუ დაიკარგა, აღარც შექსპირი და ბეთჰოვენი დასჭირდება ვინმეს, აღარც ნოტრდამი და ეგვიპტური პირამიდა.

ნადირი ან ფრინველი ცივილიზაციის ძეგლებისა და კომფორტის გარეშეც მშვენივრად სძლებს და მრავლდება.

კულტურის როგორც ფუნქცია, ისე შექმნის ფაქტორი და ათვისება – შეფასების კრიტერიუმი რამდენიმე სფეროდ ნაწილდება – ეს არის, როგორც აღნიშნავენ ხოლმე, ჰედონისტური, ესთეტიკური, გამოყენებითი, რელიგიური, შემეცნებითი, ზნეობრივი.

ჰედონისტური მოიცავს სასიამოვნოსა და უსიამოვნოს, რელიგიური – ღვთაებრივსა და ეშმაკეულს, გამოყენებითი – სასარგებლოსა და მავნებელს, ესთეტიკური – მშვენიერსა და მახინჯს, შემეცნებითი – ჭეშმარიტსა და ცრუს, ზნეობრივი (მორალური) – კეთილსა და ბოროტს, კარგსა და ცუდს.

ამ ნიშან-თვისებებთან აზროვნებისა და აღქმის პროცესში ხან ერთი რომელიმე წამოიწევა, ხანაც ცნობიერება მათ კომბინაციას ახდენს, სადაც მონაცვლეობს გული და გონება, განსჯა და ფიქრი.

კულტურის ძირითადი მოდელი ფსიქიკაში შთაიბეჭდება სწავლა-განათლებით, აღზრდით, სანამ ადამიანი ზრდას განასრულებს. ამიტომ არის მთავარი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის სკოლისა და სკოლამდელი პერიოდები, ის კულტურული ატმოსფერო, რომელიც აკრავს.

აღზრდა და სწავლა

აღზრდის გარეშე ადამიანი ველურად დარჩება, სწავლის გარეშე – ცოდნას ვერ შეიძენს. უვიცი შეიძლება წესიერი მოქალაქე დადგეს, მაგრამ არ იქნება კაცობრიობის გამოცდილების მემკვიდრე, ვერც საკუთარ თავს გამოადგება, ვერც საზოგადოებას.

ადამიანს გენეტიკურად გადმოეცემა ბიოლოგიური ბაზისი, რომელზეც შეიძლება კულტურის დაშენება.

შეიძლება ძაღლის გაწვრთნა, ცხენის გახედვნა, მიმინოს დაგეშვა. რამდენიც უნდა ვეცადოთ მგლის ლეკვს ან ვეფხვის ბოკვერს ვერ მოვაშინაურებთ, მხეცურ ინსტინქტებს ვერ შევუცვლით.

ვერც მაიმუნს შევასწავლით მეტყველებას, ვერ გადავცემთ ადამიანის წეს-ჩვეულებებს.

ბიოლოგიური ბაზისი არის წინაპირობა. იგი ავტომატურად არ ნიშნავს კულტურის ან ინტელექტუალობის მიმღეობას.

საჭიროა მრავალწლიანი წვრთნა, რათა ინდივიდი მოქალაქედ ჩამოყალიბდეს, შეითვისოს საზოგადოებრივი ნორმები და ეტიკეტი.

როგორც ამბობენ ხოლმე, ბავშვის აღზრდა აკვნიდან იწყება. ჩვილი ამეტყველებას იწყებს ოჯახურ გარემოში, იმ ენაზე, რომლითაც ლაპარაკობენ მშობლები თუ აღმზრდელები, თუნდაც მიეკუთვნებოდეს სხვა ეროვნებას ან რასას.

ჩვილი მეტყველებასთან ერთად ინსტინქტურად სწავლობს მოვლის, კვების, ჩაცმის, ჰიგიენის წესებს, რასაც ითვისებს ოჯახურ წრეში. აქ მთავარია დედის როლი, რომლის ყურადღებასა და ზრუნვას ყველაზე მეტად გრძნობს ბავშვი.

აღზრდა ორგანიზებული პროცესია და მას ინტელექტუალურ სფეროში აგრძელებს სკოლა, სადაც ხდება გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური ჩამოყალიბება.

აქ კი მთავარი ფიგურაა მასწავლებელი, ძველქართული ტერმინით – მოძღვარი, რომელიც მას გადასცემს კულტურას, ცოდნას.

მაგრამ მიღებისათვის მნიშვნელობა აქვს მოზარდის ანატომიას, ჯანმრთელობას, ფსიქიკას, უნარს. ბავშვის დამოკიდებულება საგნისადმი ამის მიხედვით არის დიფერენცირებული. მიდრეკილების ჩამოყალიბებისათვის ასევე საგულისხმოა ოჯახური წრე, ოჯახის კულტურული ატმოსფერო, პედაგოგის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია შეაყვაროს მოსწავლეს საგანი ან შეაძულოს.

ინტელექტუალური ოჯახური წრე ხშირად წარმოშობს უინტელექტო, ცოდნის მოძულე მოზარდს, ხოლო უკულტურო გარემო, პირიქით, იძლევა განათლებისკენ სწრაფვის იმპულსს.

აქ მთავარი ხდება ფსიქიკური ფაქტორი, მოზარდის ინტერესები, რომელთა ფორმირებაც ასევე რთული პროცესია.

მასწავლებელი ყველას თანაბრად თხოვს გაკვეთილს, მაგრამ ცოტა სწავლობს, ბევრი ზარმაცობს ან წიგნს ამრეზით ეკიდება.

ამჯერადაც მთავარია ფსიქიკა, ზოგადი უნარი, რომელიც გამოვლენას ჰპოვებს კონკრეტულ საგანში. მაგ., ერთს მათემატიკა იტაცებს, მეორეს – ისტორია, მესამე – ფეხბურთი.

უმრავლესობა ინერტული მასაა, რომელსაც არა აქვს სურვილი იყოს ლიდერი, თუმცა კარგი ცხოვრება ყველას უნდა.

ძველ დროში ოჯახი მეტ როლს ასრულებდა, სასკოლო სისტემა არ იყო ორგანიზებული. სწავლას არეგულირებდა წოდებრიობის პრინციპი, შემდეგ – ქონებრივი ცენზი.

დემოკრატია ამ პრინციპებს არ სცნობს, მაგრამ ქონებრივი მდგომარეობა მაინც განსაზღვრავს განათლების მიმართულებას. მაგ., ყველა ვერ ისწავლის ოქსფორდსა და კემბრიჯში. ზოგს მცირე გადასახადის გადახდაც უჭირს. რაიონიდან ჩამოსულს არა აქვს ბინა, შეზღუდული აქვს კვების ან წიგნის შეძენის საშუალება.

მას დემოკრატიულმა კანონებმა თავისუფალი არჩევანის უფლება მისცა, მაგრამ თუ ამ არჩევანს არ აქვს მატერიალური უზრუნველყოფა, კანონი დეკლარაციად რჩება.

ასეთ დროს გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას სახელმწიფომ.

კარგი განათლება სულაც არ ნიშნავს პიროვნების ტალანტს. იგი უნარის გამოვლენის საშუალებაა. გალაკტიონ ტაბიძეს უნივერსიტეტში არ უსწავლია, იოსებ გრიშაშვილს სკოლაც არ დაუმთავრებია.

სტალინის უნივერსიტეტი ციხე და კატორღა იყო.

არც ჰიტლერს მიუღია კლასიკური განათლება.

დიდი ტალანტი თვითგანათლებითა და შრომით, პრაქტიკული აზროვნებით ივსებს დანაკლისს და ივითარებს უნარს.

უნივერსიტეტისა და ბიბლიოთეკის დარბაზებს, მშობლების სასახლეს, ქონებას მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა ეს ყოველივე ტალანტის ხელშია.

ტალანტი კი არ იქმნება, იგი შეიძლება მხოლოდ განვითარდეს. მაგრამ რომ განვითარდეს – უნდა არსებობდეს.

სკოლა, უნივერსიტეტი, სამეცნიერო იერარქია, ეს ბიუროკრატიული საფეხურები აუცილებელია, რათა პიროვნების სწრაფვა საზოგადოებრივ ჩარჩოში მოექცეს, თეორიულ ცოდნას მიეცეს პრაქტიკული დანიშნულება, აღიზარდოს კულტურული და ცივილიზებული ადამიანი.

ანტიკურ პერიოდში ყველა ცოდნას თავს უყრიდა ფილოსოფია, რომელსაც ჰყოფდნენ სამ ნაწილად – ფიზიკა, ეთიკა და ლოგიკა (დიალექტიკა).

სწავლების მიზანი იყო სხეულისა (გიმნასტიკური აღზრდა) და სულის (მუსიკური აღზრდა) ჰარმონიული განვითარება.

გიმნასტიკაზე მოწაფე შიშველი უნდა ყოფილიყო, სპარტაში – გოგონებიც (რ. გორდეზიანი).

ანტიკური გიმნაზიებიდან ყველაზე ცნობილია პლატონის აკადემია (იარსება 529 წლამდე) და არისტოტელეს ლიცეუმი.

სწავლება იწყებოდა 10 წლის ასაკიდან და 5-6 წელი გრძელდებოდა.

მოწაფეები მხოლოდ ვაჟები იყვნენ.

ბერძნულ-ალექსანდრიული სისტემა აითვისეს რომაელებმა და მისცეს პრაქტიკული ხასიათი, შემოიღეს სადამსჯელო საშუალებანი

– სახაზავი, მათრახი, როზგი, რაც წარმატებით მოქმედებდა მეფის რუსეთშიც.

ოთხი თვე გრძელდებოდა კანიკულები, რაც დაერქვა არდადეგებს სირიუსის ზეცაზე მოძრაობის მიხედვით.

მას შემდეგ, რაც დაიხურა წარმართული სკოლები, ქრისტიანობამ აიღო ხელთ განათლების კვერთხი. პირველი საეკლესიო და სამონასტრო სკოლები გაჩნდა ოსტგუთების იტალიაში, კონსტანტინეპოლსა და ანტიოქიაში (VI ს.).

აქ ასწავლიდნენ წერას, კითხვას, ბიბლიის განმარტებას. სამეცადინო ენა იყო ლათინური. ბერს, რომელსაც ვულგატას წაკითხვა არ შეეძლო, იდიოტი ერქვა (აქედან გავრცელდა ეს სიტყვა).

მაშინ ფეოდალებიც უსწავლელი იყვნენ. ისინი მამაკაცის საქმედ არ თვლიდნენ წერა-კითხვას. მამაკაცს უნდა ჰქონოდა მხედრის სული და ფიზიკური ძალა. ამიტომ განათლებას აძლევდნენ გოგონებს.

განათლების სისტემას აყალიბებდნენ სხვადასხვა ორდენის ბერები (მაგ., ბენედიქტელები, დომინიკელები), რომელსაც სქოლასტიკა ეწოდებოდა.

სკოლები იხსნებოდა დიდი ქალაქების საეპისკოპოსო კათედრებთან. სწავლებას ჰქონდა ლექციისა და დისპუტის ფორმა, რაც ანტიკური ტრადიციის გაგრძელება იყო („კამათში იბადება ჭეშმარიტება“).

როგორც ანტიკურ პერიოდში, აქაც შვიდ ხელოვნებას ასწავლიდნენ (გრამატიკა, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია). ეს იყო სევერიან ბოეცის სისტემა, ლათინურის საფუძველზე.

საეპისკოპოსო კათედრებიდან ამოიზარდა პირველი უნივერსიტეტები – ბოლონიაში (1088), პარიზში (1150), ოქსფორდში (1150).

სტუდენტები თავიანთი წრიდან ირჩევდნენ მმართველს, რომელსაც რექტორი ერქვა. მასწავლებელი მაგისტრად იწოდებოდა,

უმაღლესდამთავრებული კი ღებულობდა ბაკალავრისა და დოქტორის ხარისხს.

მეცნიერებაც სტოვებდა თეოლოგიას, ეკლესია-მონასტრებს და უნივერსიტეტში ინაცვლებდა, თუმცა თეოლოგია ისევ რჩებოდა ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციად. იგი არკვევდა ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობას, ღმერთის მყოფობას და საამისოდ იყენებდა ფილოსოფიას, ლოგიკურ და მისტიკურ მსჯელობას.

თეოლოგიის საფუძველი კი იყო ბიბლია და საეკლესიო მამების სწავლანი.

განათლების სახეცვლილი სისტემა, კონკრეტულად – გერმანული მოდელი, ევროპიდან რუსეთში შევიდა, რუსეთიდან კი – საქართველოში.

ქართველი ახალგაზრდობა, ძირითადად თავადაზნაურთა შვილები, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაეწაფა უმაღლეს განათლებას. მათი ორიენტირი იყო ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტი, შემდეგ – გერმანული უნივერსიტეტები, რათა ევროპული კულტურა და ცოდნა მიეღოთ.

კულტურის მართვა

მძლავრი ბერკეტი კულტურისა და საზოგადოების მართვისათვის არის განათლების სისტემა, განსაკუთრებით – იდეოლოგიზებულ ქვეყნებში.

განათლებას უკავშირდება ქვეყნის მომავალი და როგორც ყოველი ინდივიდი, ისე ხელისუფლებაც მეტ-ნაკლებად, ზრუნავდა სწავლა-აღზრდაზე.

ძველ დროში განათლებაც რელიგიის ხელში იყო. სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებში, მეჩეთებში (მედრესე).

ახალ დროში, როცა სკოლა და უნივერსიტეტი დასცილდა რელიგიას, სახელმწიფომ მთლიანად ან ნაწილობრივ ხელთ აიღო განათლების სისტემა.

სსრკ-ში დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლას, უნივერსიტეტებს და ინსტიტუტებს, შემოქმედებით ორგანიზაციებს, აკადემიებს. თავიდან აუცილებელი იყო წერა-კითხვის მასობრივი გავრცელება, შემდეგ – განათლების იდეოლოგიზება, რათა აღეზარდათ ახალი, საბჭოთა ადამიანი. ეს იყო პრაგმატული მიდგომა განათლებისადმი – არა მხოლოდ იმიტომ, რომ საჭიროა ცოდნა და კულტურა, არამედ იმიტომ, რომ აღზრდის პროცესში, თავიდანვე გამოემუშავებინათ კომუნისტური შეგნება, კოლექტიური შრომის სიყვარული.

ამიტომ იყო მოსწავლე ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი; ყველა სტუდენტს უნდა შეესწავლა სკკპ ისტორია, პოლიტეკონომია, მეცნიერული კომუნიზმი, რომელთა საფუძველი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები და მათი რელიგიური ეგზეგეტიკის მსგავსი განმარტებანი.

ფაშისტური გერმანია ზრდიდა ჰიტლერ-იუგენდს. ცხადია, იდეოლოგიას განსაზღვრავდა ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ და საჯარო გამოსვლები, ალფრედ როზენბერგის „XX საუკუნის მითი“, იოზეფ გებელსის პროპაგანდა, ჰაინრიხ ჰიმლერის ანთროპოლოგიურ-გენეტიკური ძიებანი, არიული რასის მითი, რომელსაც ქმნიდნენ პოლიტიკოსები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, მწერლები და გენერლები.

რელიგიაც მართავდა და საზღვრავდა კულტურას, როგორც ვთქვით. მაგრამ მოქმედებდა უზენაესი ძალის სახელით, მიღმური ქვეყნის რწმენით, ზნეობრივი პრინციპებით. ამიტომ სახელმწიფო ემყარებოდა რელიგიას, რომელმაც ადამიანის დამორჩილებას, თავის თარგზე გადაკეთებას მრავალი საუკუნე შეალია.

სტალინს და ჰიტლერს, მაო ძე-დუნსა და კიმ ირ სენს ეს თავიანთ სიცოცხლეში უნდოდათ, რომ მოესწროთ.

ხალხის ფსიქიკისა და ცნობიერების უეცარი შეცვლა შეუძლებელია. იგი შეუმჩნეველი, უმტკივნეულო პროცესი უნდა იყოს.

ამიტომ სისწრაფე იშველიებს რეპრესიების მექანიზმს. ურჩი უნდა დაისაჯოს და მოიკვეთოს, მორჩილი – დაწინაურდეს. რეპრესირება ძალადობაა, სისხლი და დანაშაული, რაც არ იკარგება და ამზადებს შურისძიების გრძნობას. ეს ვლინდება როგორც სიმართლისათვის ბრძოლა.

როგორც საბჭოთა კავშირში, ისე გერმანიაში მიზანი მიუღწეველი დარჩა, ვერ გადაკეთდა ადამიანი, ვერ შეიცვალა ბუნებრივი გრძნობები და ინსტინქტები. სამაგიეროდ განათლებასა და კულტურას შეექმნა მძლავრი პოლიტიკურ-მატერიალური ბაზისი.

ამ პროცესით ისარგებლეს რუსეთის მიერ ძალდატანებით შემოკრებილმა რესპუბლიკებმა, რომელთაც მოიპოვეს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და ატრიბუტიკა, მათ შორის – საქართველომაც.

კ. გამსახურდიას სიტყვით რომ ვთქვათ, როცა ერმა დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მას მთელი ძალები უნდა წარემართა კულტურისაკენ, გამოეცხადებინა კულტურის დიქტატურა, დაეცვა და განევითარებინა საკუთარი ენა, შეესწავლა ისტორია, დაემკვიდრებინა მეცნიერების უახლესი დარგები, გაეწია პროპაგანდა კულტურისათვის, ხელი შეეწყო ტალანტების გამოვლენისათვის ანუ შეექმნა მომავლის ბაზისი.

ეს ასეც მოხდა, მიუხედავად მოსკოვის ეჭვიანი მზერისა და ახალახალი ბარიერებისა. კულტურას მიეცა სოციალისტური ელფერი, მაგრამ, ამასთანავე, გამომუშავდა მისი გაცხრილვის მეთოდი, რათა ერთმანეთისაგან გარჩეული ყოფილიყო მთავარი და მეორადი, ნამდვილი და ყალბი.

სოციალისტურ-პარტიული ეტიკეტის დაცვა სავალდებულო იყო. მაგრამ ამ გარეგნული საბურველის მიღმა შეიძლებოდა ფიქრი და აზროვნება.

სახელმწიფო, პირდაპირ თუ ირიბად, ყოველთვის ერევა კულტურის მართვის პროცესში, რელიგიის, დიქტატის, პროპაგანდის თუ საერთაშორისო კონტაქტების სახით. მაგრამ ყველაზე მეტ ეფექტს

იძლევა ჩარევა პიროვნების ფორმირების პროცესში, როცა იღებს სწავლა-განათლებას.

საქართველოშიც შეეცადნენ განათლებისა და კულტურის რეფორმირებას. მიზანი იყო ევრო-ამერიკულ მოდელებთან დაახლოება, საბაბი – საბჭოური ტენდენციებისა და კადრების ჩამოცილება.

მოდერნიზება გაგებულ იქნა როგორც ნგრევა და დაშლა.

შენობა წაართვეს მწერალთა კავშირს, კვლევითი ინსტიტუტები – მეცნიერებათა აკადემიას, ძირითადი პროფესურა – უნივერსიტეტს.

ინსტიტუტები ჯერ შეზღუდეს, შემდეგ დაიწყეს გაუქმება.

დაიწყო წიგნის გაღაზიებისა და ბიბლიოთეკების დახურვაც.

აღიარებული სახელები ჩრდილში მოაქციეს და გაინაპირეს. წამოსწიეს ერთგული, ახალგაზრდა ენთუზიასტები. მათ დაუთმეს სატელევიზიო არხები. მისცეს გრანტები, შეიყვანეს პარლამენტსა, მთავრობასა და უნივერსიტეტებში.

მეტი პროპაგანდა მათგან გაუწიეს მას, ვინც ხელყოფდა მშობლიურ ტრადიციებს, ენას, ეთიკურ-ზნეობრივ ნორმებს. ეს ყალბი ევროპეიზმი თუ ამერიკანიზმი სიახლედ მოინათლა.

გაიხსნა უამრავი ფსევდო-უნივერსიტეტი, გაიოლდა ჟურნალ-გაზეთების, წიგნების გამოცემა (რომელთა მკითხველი ლამის ნულამდე დავიდა), ლექციების წაკითხვა. ყველა პროფესორი და აკადემიკოსი გახდა.

მასობრიობამ პროფესიონალიზმი შეიწირა და ცოდნა გააუფასურა. კულტურის ადგილი კომერციამ დაიკავა.

ამას შედეგად მოჰყვა რეგრესი ხელოვნებასა და მეცნიერებაში.

ასე ხდებოდა გასული საუკუნის 20-იანი წლების სსრკ-შიც.

სწავლა-აღზრდის, განათლების, კულტურის, ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის მყარი საფუძველი ათასწლეულთა მანძილზე იყო ფიქსირებული სიტყვა – დამწერლობა. ამიტომ სწორედ ლიტერატურა აღმოჩნდა ცინიზმისა და ნიჰილიზმის მსხვერპლი.

ბეჭდვითი სიტყვა

ასო-ნიშნების გამოგონებამ შესაძლებელი გახადა აზრისა და გრძნობის სიტყვიერი ფიქსირება.

ხალხი თავის დამოუკიდებელ სახეს დამწერლობით იმკვიდრებდა. საწერ მასალად იყენებდნენ პაპირუსს (მაგ., ძველ ეგვიპტეში), პერგამენტს (მაგ., ძველ საქართველოში), ქაღალდს (X საუკუნიდან). წერდნენ პაპირუსის ღეროთი, ბატის ფრთით, მელნად იყენებდნენ ბალახების ძირისაგან დამზადებულ სხვადასხვა ფერის სითხეს.

პაპირუსი ტროპიკული მცენარეა, ხოლო პერგამენტი (ეტრატი) – ხარის, ბატკნის ან თიკნის გაუთრიმლავი, ნაცარტუტაში გამოყვანილი ტყავი.

დღეს ქაღალდს ამზადებენ მცენარეული ბოჭკოებისაგან, ცელულოზისა და მერქნისაგან, სხვადასხვა დანამატებით. ქაღალდს განარჩევენ სისქით, სიგლუვით, გამჭვირვალობით, ფერით. სსრკ-ში არსებულა ქაღალდის 11 კლასი. მკვრივი ქაღალდი, რომელიც სისველეს უძლებდა, გამოიგონეს ჩინელებმა (ძვ. წ. II ს.). იგი არაბებმა შეიტანეს ევროპაში, ხოლო X საუკუნიდან დაიწყო წარმოება.

ქაღალდის ფულიც ჩინელებმა გამოიგონეს (VII ს.). ტექსტის გადაწერას კალიგრაფები სჭირდებოდა, დიდი დრო და ენერგია. გადაწერის პროცესში ჩნდებოდა ვარიანტული სხვადასხვაობა, ზოგს უმატებდნენ, ზოგს აკლებდნენ (მაგ., მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ 164 ხელნაწერი, რომლებიც განსხვავებულ წაკითხვებს იძლევიან).

ზოგჯერ პერგამენტს გადაფხეკდნენ ან გადარეცხდნენ და ზედ ახალ ტექსტს დაწერდნენ. სინათლეზე ძველი ნაწერიც ჩნდებოდა. ასეთ ეტრატს პალიმფსესტი ერქვა.

ყველაზე კანონიკური ქრისტიანულ სამყაროში სახარების ტექსტი იყო. არც ეს ვრცელდებოდა უცვლელად. მიზეზი ის იყო, რომ ბერძნულის მცოდნეებს შეჰქონდათ თარგმანში კორექტირებები.

სხვადასხვა ფერის და ზომის შრიფტით, ნახატებით და არშიებით მოკაზმული ეტრატები, ჩასმული მოჭედილ ყდაში, ხელოვნების ნიმუში იყო. მას უფრთხილდებოდნენ, ინახავდნენ, ატანდნენ მზითევში (მაგ., „ვეფხისტყაოსანს“), გადასცემდნენ თაობიდან თაობას და ასე მოატანეს ჩვენამდე (მაგ., სინური მრავალთავი 864 წლისა). მათ გამოაღწიეს საუკუნეთა ცეცხლისა და ნესტისაგან, გაუძლეს კაცთა გულგრილობას, ურჯულოთა მხეცობას.

ხელნაწერთა რიცხვი მცირე იყო, მცირე იყო წერა-კითხვის მცოდნეც. მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტი 1902 წელს იერუსალიმში აღმოაჩინა ნიკო მარმა. ათასი წელი მას არავინ გასცნობია.

ასე რომ სიტუაცია და ხელნაწერთა რიცხვი ზღუდავდა ტექსტების პოპულარობას. ისინი რჩებოდნენ კასტის წრეში.

თეატრის გავრცელების არეალიც შეზღუდული იყო. სპექტაკლს, რომელიც ერთჯერადი აქტი იყო, მხოლოდ მაყურებლის მეხსიერება ინახავდა. ისიც დროთა მანძილზე იცრიცებოდა.

ძნელი იყო სცენის ხალხში გატანა და ხალხის სცენასთან მისვლა. საამისო არც სიტუაცია, არც სურვილი არ არსებობდა.

წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობის ჟამს ზეპირი სიტყვა იპყრობდა გულისყურს – წაკითხვა, მოყოლა, მიმართვა, ქადაგება.

არც არისტოკრატები გამოირჩეოდნენ განათლებით. ბევრი სამღდველოც უწიგნური იყო. წოდებრივი, ქონებრივი ბარიერიც ზღუდავდა თეატრს, რომლის დარბაზში ვერ მოხვდებოდა შავი მუშა და წვერგაბურძგნული, ყოველდღიური ჯაფით წელგატეხილი გლეხი.

თეატრი და ოპერა არისტოკრატისა და ბურჟუის ხელში რჩებოდა, ხოლო როცა განათლებისა და ეკონომიკის პროგრესმა შეცვალა საზოგადოება, უკვე ბეჭდვით სიტყვას ჰქონდა დაპყრობილი არენა.

ეტრატი ძვირი იყო, ქაღალდი – იაფი, რაც ხელს უწყობდა ტირაჟირებას.

სახალხო წარმოდგენები თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ოღონდ იგი ლოკალური მოვლენა იყო. ხალხური ლექსი, ზღაპარი, სიმღერა, ანდაზა, ლეგენდა უამრავი ითხზვებოდა და ქრებოდა. მათგან მხოლოდ რამდენიმე გადარჩებოდა.

თეატრი უფრო კონსერვატიული და მტკიცე იყო, რომელმაც უკიდურეს სტილიზებულ ფორმას საოპერო ხელოვნებაში მიაღწია. ოპერის ტექსტი და მუსიკა უცვლელი იყო, ხმათა რეგისტრი, კოსტუმები და დეკორაცია – განსაზღვრული.

მომღერალს ინდივიდუალობა მკაცრად დადგენილი რეგლამენტის სივრცეში უნდა გამოევლინა. იმპროვიზაციის შედარებით მეტი საშუალება ჰქონდა დრამის ან კომედიის მსახიობს.

აქტიორთა დასის ნიჭი, შესრულებული სახეები სწრაფად იფერფლებოდა. რჩებოდა მხოლოდ შთაბეჭდილება, არტისტების გვარები და შესრულებული როლები. მათი განცდა უკვე აღარავის შეეძლო.

XIX საუკუნიდან წინა პლანზე გადმოვიდა ბეჭდვითი სიტყვა, გაზეთი, ჟურნალი, წიგნი.

ზეპირი სიტყვა შეცვალა დაბეჭდილმა სიტყვამ.

ეს ლიტერატურას პრიორიტეტს ანიჭებდა.

გაჩნდა ახალი პროფესია – ჟურნალისტიკა.

პრესა გაცილებით მობილური, მრავალფეროვანი, ოპერატიული იყო, ვიდრე თეატრი. ჟურნალისტი სწრაფად იღებდა ინფორმაციას. კრებდა მათ, ეხებოდა მიმდინარე პროცესებს და სწრაფადვე ავრცელებდა.

ტექნიკის განვითარება უზრუნველყოფდა ინფორმაციის სისავსეს, განფენის არეს, მობილობას. ამ ფუნქციას ასრულებდა ფოსტატელეგრაფი, სააგენტოები, საკორესპოდენტო ქსელი.

ბეჭდვის დაწყება უკავშირდება იოჰან გუტენბერგის სახელს. მან ევროპაში პირველმა დაამზადა ასონიშანთა ლიტერები – ლითონის ძელაკზე ასონიშნის ან ნახატის ამობურცული გამოსახულება, შეიმუშავა ლითონისა და საღებავის რეცეპტები, შექმნა შრიფტის ჩამოსასხმელი და საბეჭდი დაზგები.

ამ ხერხით დაიბეჭდა ევროპაში პირველი წიგნი 1445 წელს.

მაგრამ გუტენბერგის გამოგონებას წინ უსწრებდა ჩინური ხის, ქვის, სპილენძის საბეჭდი დაფები, გამომწვარი თიხის მოძრავი ლიტერები.

მსოფლიოში პირველი წიგნი ჩინელებმა დაბეჭდეს 868 წელს და გაზეთიც გამოსცეს.

ახალი დროის კულტურა და ცივილიზაცია ემყარება ბეჭდვით სიტყვას – წიგნს, გაზეთს, ჟურნალს, მიმოწერას, რამაც უზრუნველყო ინფორმაციის შეკრება, გავრცელება და შენახვა.

ზეპირი სიტყვა, ორატორული მეტყველების არტისტიზმი თანდათან ჩრდილში ექცეოდა, რადგან ესეც, ისევე როგორც აქტიორის სიტყვა და მოქმედება, ეფემერული იყო.

ბოლშევიკებმა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს შეუხამეს ბეჭდვითი სიტყვა და ორატორულ-პროპაგანდისტული გამოსვლები. ასევე იქცეოდნენ ნაციონალ-სოციალისტები.

აქ სრულიად განსაკუთრებული აღმოჩნდა ჰიტლერის ორატორული ტალანტი, რომელიც ფანატიკური სულით მუხტავდა მსმენელთა მასას.

პირველი ქართული წიგნები დაიბეჭდა ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილის) მიერ 1629 წელს, იტალიელი მისიონერების ინიციატივით, რომში. შემდეგ ვახტანგ VI ანთიმოზ ივერიელის დახმარებით თბილისში გამართა სტამბა და 1708 წელს დაიბეჭდა „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“, 1712 წელს კი – „ვეფხისტყაოსანი“.

პირველი ქართული გაზეთი გამოდიოდა 1819-1821 წლებში. რაც შეეხება ევროპას, აქ სტრასბურგში 1609 წელს გერმანულ ენაზე დაიბეჭდა პირველი გაზეთი – „Strassburger Relation“. შემდეგ კი ინფორმაციის ეს ახალი სახეობა სწრაფად გახდა პოპულარული.

ბეჭდვითი სიტყვა სჭირდებოდათ არა მხოლოდ მწერლებს, მეცნიერებასა და ჟურნალისტებს, მას ეფექტურად იყენებდნენ პოლიტიკოსები თავიანთი იდეების გავრცელებისა და ქვეყნის მართვისათვის, საზოგადოების ინფორმირებისა და დეზინფორმირებისათვის.

ბეჭდვითი სიტყვა დაუკავშირდა თავისუფლების საკითხს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ინფორმაციის შეუზღუდავი გავრცელება, მასმედიის საშუალებათა დაარსება, ხელისუფლების დიქტატის აცილება.

სახელმწიფოში მასმედია, ისევე როგორც სასამართლო, დამოუკიდებელია იმდენად, რამდენადაც მაღალია დემოკრატიის ხარისხი.

რედაქციები და გამომცემლობები მთელს ევროპასა და რუსეთში დაუბრკოლებლად ავრცელებდნენ წიგნს, ჟურნალს, გაზეთს.

ძლიერდებოდა პოლიგრაფია, ვითარდებოდა ტექნოლოგია.

საქართველოშიც პრესა თავის გარშემო იკრებდა ავტორებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, თეატრალებს, პოლიტიკოსებს (მაგ., ილია ჭავჭავაძის „ივერია“, სოციალ-დემოკრატების „კვალი“).

ლიტერატურული ჯგუფები აარსებდნენ ახალ გამოცემებს (მაგ., „ცისფერყანწელთა“ „ცისფერი ყანწები“ და „მეოცნებე ნიამორები“, ფუტურისტების „H2SO4“).

პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ საპროპაგანდო ტრიბუნა (მაგ., ბოლშევიკებს – „პრავდა“, ნაციონალ-სოციალისტებს – „ფოლკიშე ბეობახტერ“, ქართველ მენშევიკებს – „ერთობა“, სოციალისტ-ფედერალისტებს – „სახალხო საქმე“, ეროვნულ-დემოკრატებს – „საქართველო“, ჩინელ კომუნისტებს – „ჟენმინ ჟიბაო“, ფრანგ კომუნისტებს – „ლუმანიტე“).

შემოქმედებითი კავშირებიც თავიანთი ტრიბუნიდან მიმართავდნენ მკითხველს (მაგ., სსრკ მწერალთა კავშირის მთავარი გაზეთი იყო „ლიტერატურნაია გაზეტა“, მთავარი ჟურნალი – „ნოვი მირ“, ქართველ მწერალთა – „ლიტერატურული საქართველო“ და „მნათობი“).

აშშ-სა და ევროპაში პრესისა და წიგნის ნიაღვარმა წალეკა ბაზარი. მასობრიობას მოჰყვა გაუფასურება (იხ. „მასკულტურის ფორმები“).

დახვეწილი ფერადი ბეჭდვა მხატვრობისა და ფოტოგრაფიის მეტოქე გახდა. იგი ავსებს ტექსტს, როგორც საილუსტრაციო და სარეკლამო საშუალება.

ნაირგვარი შრიფტების მონაცვლეობა და განლაგებაც დეკორის ფუნქციას ასრულებს, რათა ჟურნალისტური მასალა აღვიქვათ არა მხოლოდ აზრობრივად, არამედ ვიზუალურადაც.

ბეჭდვის გაიოლებამ და მასობრიობამ სიტყვას ძალა დაუკარგა: ყველა წერს, ყველა სცემს, არავინ კითხულობს. თუ ვინმემ რამე წაიკითხა – ისიც სწრაფად ავიწყდება.

ამ ტოტალურ ქარიშხალში უაღრესად ძნელია გამოყოფა, გამორჩევა, დანახვა.

მას შემდეგ, რაც წერა-კითხვა სავალდებულო და აუცილებელი გახდა, რაც პრესისა და წიგნის ტირაჟმა ფანტასტიკურ ზღვარს მიაღწია (მაგ., საქართველოში გაზეთ „კომუნისტის“ ტირაჟმა 80-იან წლებში 700 ათასს გადაამეტა, „პრავდა“ იბეჭდებოდა 15 მლნ ცალი, „ნიუ-იორკ თაიმსის“ 1963 წლის ერთი ნომერი 700 გვერდისაგან შედგებოდა), გამოჩნდა მასობრივი ინფორმაციის, კულტურის გატანის კიდევ უფრო სწრაფი და ეფექტური საშუალებანი, ჯერ – რადიო და ტელევიზია, შემდეგ – კომპიუტერი და ინტერნეტქსელი.

შეიქმნა ციფრული ბიბლიოთეკები, ბეჭდვითი სიტყვის ელექტრონული ვერსიები. მაგრამ ინფორმაციისა და კულტურის დაცვისა და შენახვის თვალსაზრისით ბეჭდვითი სიტყვა უპირატესია, მათ შორის – წიგნი, რომელსაც ვერც ვირუსი დააზიანებს და რომლის წაკითხვას არ სჭირდება ელექტროობა და მუდმივი გადასახადი.

ელექტრონი და კომპიუტერი

კულტურას გადასცემდნენ და ავრცელებდნენ მეომრები და მეზღვაურები, მექარავნეები და ვაჭრები, ბერები, დერვიშები და

ბედის მაძიებელი ავანტიურისტები, სხვადასხვა სექტის, ორდენის წევრები, ემიგრანტული ნაკადები.

სერავდნენ ველებს, მთებს, უდაბნოებს ცხენითა და აქლემით, ეტლითა და ფაეტონით, სძლევდნენ წყლის სტიქიას ნავითა და გემით. 1776 წელს გამოიგონეს ორთქლის ძრავა, 1867 წელს – დინამო მანქანა. შემდეგ გაჩნდა შიგაწვის ძრავა (დგუშიანი, ტურბინული, რეაქტიული). კიდევ უფრო ამოძრავდა ბორბლები, დრო შეიკუმშა, მანძილი შემცირდა, გახშირდა ინფორმაციის ბრუნვა.

მატარებელმა და ავტომობილმა, თვითმფრინავმა და ტელეფონმა კიდევ უფრო ააჩქარა დრო და დააახლოვა სხვადასხვა კულტურის ხალხები. ცხენის გული შეცვალა მოტორმა.

ძველ შეშას დაემატა ახალი საწვავი – ნავთობი (რომელსაც „ბერძნულ ცეცხლს“ ეძახდნენ შუასაუკუნეებში), ტორფი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი, ბოლოს – ელექტრონი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცივილიზაციის კულტურისათვის ელექტრონის აღმოჩენას და პრაქტიკულ გამოყენებას. მთელი მსოფლიო დაიფარა ჰიდრო, თბო და ატომური ელექტროსადგურებით, გადამცემი სისტემებით, ელექტრო გენერატორებით.

ელექტრონს ჯერ განათებისათვის იყენებდნენ, შემდეგ კი შეიჭრა მრეწველობაში, კულტურაში, მედიცინაში. ელექტრონის გარეშე ადამის მოდგმა შუასაუკუნეების უკუნს ვერ გასცდებოდა. დედამიწა აენთო როგორც ფანტასტიკური ჭაღი ზეცის ოკეანეში. ტელესკოპმა და მიკროსკოპმა გახსნა უხილავი სამყარო.

ელექტრო მუხტების არსებობა დაადგინეს XVIII საუკუნეში (კულონის კანონი). შემდეგ ფარადეიმ, გალვანიმ, ვოლტამ, ერსტედმა, ჯოულმა და ლენცმა, მაქსველმა, ჰერცმა, ლორენცმა აღმოაჩინეს ახალი კანონები და შექმნეს ელექტრობის თეორია.

1897 წელს თავად ელექტრონსაც მიაგნეს (ჯ. ჯ. ტომსონი) და მისი თვისება დაადგინეს.

ელექტრული სიგნალები გარდაქმნეს აკუსტიკურ და ოპტიკურ სიგნალებად, რასაც დაემყარა რადიო, ტელეფონი, ხმოვანი კინო, ტელევიზია, კომპიუტერი. სიგნალი იქცა ბგერად და სურათად.

სული ამოძრავებს კულტურას, ელექტრონი – ცივილიზაციას, ფული – ეკონომიკას, როგორც სისხლი – ცოცხალ არსებას.

ტელევიზია და ინტერნეტქსელი ახდენს ცნობიერების ერთი კუთხით მობილიზებას, ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას.

ამ სისტემებში განსაკუთრებით ეფექტურია რეკლამა. იგი აქცენტირებულია სიახლეზე, კონკრეტულ საგანზე. ეს კი იწვევს მაყურებლის ყურადღებისა და მეხსიერების კონცენტრირებას. ასე ეძლევა მიმართულება მომხმარებლის ცნობიერებას.

რეკლამაც პოლიტიკური თუ ეკონომიკური მართვის ერთ-ერთი ფორმაა.

კომპიუტერი მუშაობს დადგენილი პროგრამებითა და ბრძანებათა თანმიმდევრობით. ინტერნეტქსელმა შესაძლებელი გახადა უხვი ინფორმაციის სწრაფი მობილიზება, კულტურათა, ერთა და ადამიანთა სიახლოვე.

ინტერნეტი იერთებს კულტურის ტრადიციულ დარგებს, ქმნის ვირტუალურ სამყაროს, ინახავს და გადასცემს კაცობრიობის ინტელექტუალურ მარაგს, აკავშირებს მილიარდობით მოქალაქეს.

კომპიუტერი ადამის მოდგმის ეფემერული მეხსიერებაა.

3. კულტურის შენახვა და დაცვა

მუზეუმებში, არქივებში, ბიბლიოთეკებში განისვენებს კაცთა ისტორია, ისევე როგორც მიწიქვეშეთში.

სულის გამონაშუქი აღბეჭდილია კედლებზე და თიხის ფირფიტებზე, შრომისა და ბრძოლის იარაღებზე, ეტრატებსა და პაპირუსებზე, ნოტებსა და ტილოებზე, ფირებსა და ფოტოებზე, დაბეჭ-

დილია ქაღალდზე, აღმართულია ძეგლებად და ტაძრებად, ციხე-სიმაგრეებად.

პირამიდები და ცათამბჯენები, ტაძრები და ძეგლები დგას ღია ცისქვეშ და ყველა ხედავს, ზოგს აოცებს, ზოგი გულგრილად ჩაუვლის.

დარჩა მღელვარე სულის იეროგლიფები, ძვალი და ხორცი კი მიწაში ჩავიდა, დავიწყებას მიეცა. მათგან ზოგი ცოცხალი მეხსიერებაა, ფიქრთა ჩვენთა თანამდევი, აღზრდით, ტრადიციით გადმოცემული, უმრავლესი კი – მკვდარი ფოთლების გროვა, დროის ქარი რომ გახვეტავს.

კულტურა, კონსერვატიული თუ მოდერნისტული, რელიგიური თუ შემოქმედებითი, ცოცხლობს მოძრაობით – შექმნა, გადაცემა, განვითარება, რაც ძირისაგან დაცილებაა.

ფუტურისტები მოითხოვდნენ მუზეუმებისა და ძეგლების განადგურებას ანუ მეხსიერების მოსპობას. ეს იმას ნიშნავდა, რომ მომავალი მათაც ასევე ცეცხლს მისცემდა.

ასე წინსვლა შეუძლებელია, რადგან უჩინარი თუ დიადი სახელები, ძეგლები და ეტრატები აყალიბებენ ტრადიციებს, როგორც მიწაში ჩასული მცენარეები ნიადაგის კულტურულ ფენას – ჰუმუსს.

ის ინახება, რაც გადაიცემა, რაც სხვას სჭირდება, რაც მუდმივად მოძრაობს, ეხება ხელი და მზერა, გული და გონი, რაც ემატება ტრადიციებს, ადათ-წესებს. დანარჩენი იმარხება მუზეუმებში, არქივებსა და ბიბლიოთეკებში ან უკვალოდ ქრება.

ეს იცოდნენ ძველ დროშიც. ბიბლიოთეკები არსებობდა ასურეთში, ძველ ეგვიპტეში, რომში. კოლექციებს აგროვებდნენ კერძო პირებიც. ხოლო რაც დაიწყო ბეჭდვა, ორგანიზებული სახე მიეცა წიგნის, გაზეთის, ჟურნალის დაცვას და შენახვას. იგი სახელმწიფოს ზრუნვისა და მფარველობის საგანი გახდა.

მსოფლიოს უდიდესი, მრავალმილიონიანი წიგნადი ფონდის მქონე ბიბლიოთეკებია ვაშინტონში, ლონდონში, პარიზში, ტოკიოში, მოსკოვში, პეტერბურგში, ვენაში, თბილისში.

ბიბლიოთეკა გულისხმობს ფონდის ორგანიზებას, აღრიცხვას, მუდმივ შევსებას, დაცვასა და მოვლას, მკითხველის მომსახურებას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია 15 მილიონამდე ბეჭდვითი ერთეული. იგი არსებობს 1846 წლიდან.

ბიბლიოთეკები ასევე ინახავენ მიკროფილმებს, ხელნაწერებს, ნოტებს, რუკებს, ფოტომასალას, რეპროდუქციებს. მუზეუმი მუზეების ტაძარს ერქვა. იგი ჰქონდა კნოსოსის სასახლეს კრეტაზე (ძვ. წ. XVI ს.).

მუზეუმები ინახავენ ხელოვნების ნიმუშებს, მემორიალურ ნივთებს, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს (მაგ., ქაიროს ნაციონალური მუზეუმი, დრეზდენის გალერეა, ლუვრი, ერმიტაჟი).

მუზეუმების უმრავლესი ნაწილი სპეციალიზებულია, იქნება ეს მემორიალური, მხარეთმცოდნეობითი, ისტორიული თუ საბუნებისმეტყველო.

მუზეუმი თავისი ფონდის პოპულარიზების, კულტურულ პროცესში ჩართვის მიზნით აწყობს ექსპოზიციებსა და გამოფენებს.

არქივებიც უძველესი დროიდან არსებობდა, ტაძრებთან და სასახლეებთან (მაგ., ასურეთში, ათენში, რომში). მათში თავმოყრილია ცალკეული პირთა, ორგანიზაციათა, საწარმოთა, სამინისტროთა, პარლამენტის, სამეფო კარის, პრეზიდენტის, მთავრობის მუშაობის ამსახველი დოკუმენტური მასალა, დიპლომატიური მიმოწერა, ბრძანებები და განკარგულებები, პირველწყაროები და აღწერის მონაცემები.

არქივი სახელმწიფოს დოკუმენტური მეხსიერებაა.

ყველა ქვეყანაში არქივს, მუზეუმს, ბიბლიოთეკას იცავს სახელმწიფო, ზრუნავს მათ კეთილმოწყობასა და ქსელის განვითარებაზე.

ზოგადად კულტურის ნაწილია მატერიალური ძეგლები, ტაძრები, ეკლესიები, სასახლეები, შრომისა და ბრძოლის იარაღები, პირადი ნივთები და სამკაულები, აკლდამები და საფლავის ქვები.

ისინი ჩვენი ისტორიული მეხსიერების ფუნდამენტია და კაცთა სულის ღელვას საგნობრივად ამეტყველებენ, ხილვად ფორმებში გამოხატავენ, ისევე როგორც მანქანა, ხომალდი და თვითმფრინავი.

მტერი მათ სპობდა, ისევე როგორც ტოპონიმებსა და გვარსახელებს, რათა მეხსიერება წაეშალა, მათ ადგილას კი თავისი დაემკვიდრებინა.ცივილიზაცია კულტურის მატერიალური სახეა, ხოლო სახელმწიფო – გარსი, რომელიც იცავს, კრავს და ამთლიანებს მათ.

პარალელურად არქივების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების ჩაკეტილი, იზოლირებული სამყარო კომპიუტერის ვირტუალურ, უნაპირო სივრცეში გადადის. მათ ფონდებს ინტერნეტქსელი ყველას საკუთრებად აქცევს და ისტორია აწმყოს რეალურად უერთდება.

მომხმარებელიც გუტენბერგის გალაქტიკიდან ინაცვლებს ელექტრონულ გალაქტიკამდე (მარშალ მაკლუენი).

კონდენსირებული მასალის – ცოდნის, კულტურის, ისტორიის მასობრიობა და იოლი აღქმა, ერთი მხრივ, პროგრესია, მეორე მხრივ – მათ მნიშვნელობას აუფასურებს, უკარგავს იდუმალ ძალას, ნელდება განახლების სტიმული, ახალ ღირებულებათა შექმნის იმპულსები. თითქოს ყველაფერი მიღწეულია, რაც ადამიანს სჭირდება.

როცა ეცნობი ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, სკულპტურის ნიმუშებს, როცა დადიხარ ქაიროს ნაციონალური მუზეუმის, ლუვრის, დრეზდენის გალერეის, ერმიტაჟის დარბაზებში, როცა შეჰყურებ ეგვიპტის პირამიდებს, ნიუ-იორკის და დუბაის ცათამბჯენებს, აკროპოლისა და კოლიზეუმის ნაშთებს, როცა წარმოიდგენ ჩინეთის დიდ კედელს ან თანამედროვე ტექნიკის საოცრებებს, ფიქრობ, რომ მათ შემოქმედთა გონსა და ხელებში ღმერთის ძალა გადმოვიდა, რომ თეოზისის იდეა მართლაც განხორციელდა.

თითქოს პროგრესმა ამოსწურა თავისი თავი და აწ მხოლოდ არსებულის დაუფლება, შენახვა და გადაცემაა ადამიანის დანიშნულება.

2011, ოქტომბერი – 2012, თებერვალი

მეორე წიგნში გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, თბ., 1989.
2. ადიშის ოთხთავი, თბ., 2003.
3. ავესტის გათები, თბ., 1979.
4. პ. აკროიდი, შექსპირი, თბ., 2013.
5. არისტოტელე, ნიკომაქეს ეთიკა, თბ., 2003.
6. გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბ., 1980.
7. ნ. ბართაია, ქართული საერო მწერლობის სათავეებთან ანუ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, თბ., 2011.
8. კ. ბრეგაძე, ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები, თბ., 2009.
9. უ. გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983.
10. კ. გამსახურდია, რვატომეული, ტ. VI, თბ., 1963, ტ. VIII, თბ., 1968.
11. ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991.
12. კ. ზ. გამსახურდია, წერილები უცხოეთიდან, თბ., 2006.
13. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.
14. გენდერი. კულტურა. თანამედროვეობა, თბ., 2005.
15. ა. გიდელი, პიკასო, თბ., 2013
16. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, I, თბ., 1988; II, თბ., 1997.
17. რ. გრუსე, ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია, ბათუმი, 2007.
18. ს. დალი, სალვადორ დალის იდუმალი ცხოვრების ამბავი, თბ., 2012.
19. დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე). ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, თბ. 1988.
20. თ. ს. ელიოტი, ათი ესეი, თბ., 2007.
21. პ. ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983.
22. ვ. ვულფი, ესეები, თბ., 1988.

23. მ. თავდიშვილი, რუსთაველი და ფირდოუსი, თბ., 2009.
24. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთაველი, თბ., 2010.
25. ე. კასირერი, რა არის ადამიანი? თბ., 1983.
26. დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III–XVIII სს. თბ., 2009.
27. მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები, I–II, თბ., 1961.
28. მ. კვესელავა, ას ერგასის დღე, I-III, თბ., 1968-1974.
29. კულტურა, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, თბ., 1977.
30. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, II, თბ., 1981.
31. ლ. კონროსი, ათათურქი, თბ., 2011.
32. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970.
33. ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბ., 2008.
34. რ. მიშველაძე, კულტურა. პოლიტიკა, თბ., 2010.
35. გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999.
36. მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი, თბ., 2012.
37. მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2017.
38. ნ. ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, თბ., 1986.
39. ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
40. ბ. პასკალი, აზრები, თბ., 1981.
41. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I-VIII, თბ., 1970-1980.
42. აპ. სილაგაძე, ქართული იდეა, თბ., 2010.
43. საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1977.
44. ედ. სეპირი, კულტურა, ენა და პიროვნება, თბ., 2005.
45. ს. სიგუა, ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1994.
46. ს. სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, თბ., 2007.
47. ს. სიგუა, მოდერნიზმი, თბ., 2008.
48. ს. სობელი, გალილეო გალილეი, თბ., 2012.
49. ნ. ტონია, ანტიკური სამყაროს პოეტესები, თბ., 2008.

50. ჯ. უეზერფორდი, ჩინგიზ ყაენი და ახალი სამყაროს დაბადება, თბ., 2012.
51. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, III-IV. თბ., 1964.
52. ქართლის ცხოვრება, თბ., 1996.
53. ქსე, I-XI, თბ., 1975-1989.
54. პ. ფერისი, ზიგმუნდ ფროიდი, თბ., 2013.
55. ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987.
56. მ. ფუკო, სიტყვები და საგნები, თბ., 2004.
57. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
58. პ. ჩხეიძე, კონსტიტუციისათვის, თბ., 2011.
59. პ. ჩხეიძე, რ. ჩხეიძე, კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე, თბ., 2011.
60. ა. ძამაშვილი, ფილოსოფია, თბ., 2009.
61. გრ. ჩხარტიშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, თბ., 1963.
62. მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.
63. ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1961.
64. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.
65. ე. ჯაველიძე, ფუთუვეთი – სულიერ-რაინდული ძმობა, თბ., 2010.
66. ი. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, I-XII, თბ., 1979-1998.
67. ს. ჯანაშია, შრომები, V, თბ., 1987.
68. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, თბ., 1996.
69. გ. ჯოლია, ეტიკეტის საფუძვლები, თბ., 2000.
70. ჰ. ჰარტი, ვენეციელი მარკო პოლო, თბ., 2011.
71. С. Арютинов, Народы и культуры, М., 1989.
72. Атлас мира, М., 1985.
73. Р. Барт, Избранные работы. Семиотика. Поэтика. М., 1989.
74. М. Бахтин, Эстетика Словесного творчества, М., 1979.

75. Борьба идей в эстетике, М., 1974.
76. Буржуазная философия XX века, М., 1974.
77. Византийская литература, М., 1974.
78. Гегель, Философия религии, I, М., 1976, П, М., 1977.
79. Р. Грубнер, История музыкальной культуры. 1, 2. М.Л., 1941, 1959.
80. В. фон Гумбольдт, Язык и философия культуры, М., 1985.
81. А. Гуревич, Средневековой мир: культура безмольствующего большинства, М., 1990.
82. П. Гуревич, Культурология. М., 2001.
83. Д. Затонский, зеркала искусства. М., 1975.
84. Д. Затонский, Искусство романа и XX век, М., 1973.
85. Коран, М., 1991.
86. Контекст – 1976, М., 1977.
87. Краткая литературная энциклопедия. I-IX, М., 1962-1978.
88. А. Кукаркин, Буржуазная массовая культура, М., 1978.
89. Литература США в 70-е годы XX века, М., 1983.
90. А. Ф. Лосев, Проблема символа и реалистическое искусство, М., 1976.
91. Мифы народов мира, I, М., 1991, II, М., 1992.
92. Фр. Ницше, Сочинения в двух томах, I, II, М., 1990.
93. Фр. Ницше, З. Фреид, Э. Фромм, А. Камю, Ж. П. Сартр, Сумерки богов, М. 1989.
94. Ш. Нуцубидзе, Руставели и восточный ренессанс, Тб., 1947.
95. Окультизм и магия, М., 1993.
96. А. Пайман, История русского символизма, М., 1998.
97. Ч. Педхем, Дж. Сондерс, Восприятие света и цвета, М. 1978.
98. Проблема человека в западной философии, М., 1988.
99. Писатели США о литературе, I, II, М., 1982.
100. Дж. Пирс, Символы, сигналы, шумы. Закономерности и процессы передачи информации, М., 1967.

101. В. Жирмунский, Теория стиха, Л., 1975.
102. Ренессанс. Барокко. Класицизм, М., 1988.
103. А. Скрипник, Культурология, М., 2006.
104. Современная литература за рубежом, М., 1983.
105. В. Стеженский, Л. Черная, Литературная борьба в ФГГ, М., 1978.
106. Структурализм: «За» и «Против», М., 1975.
107. Семиотика и художественное творчество, М., 1977.
108. А. Тойнби, Постижение истории, М., 1991.
109. З. Фрейд, Я и Оно, М., – Х, 1999.
110. О. Шпенглер, Закат Европы, I, М., 1993.
111. А. Штейн, На вершинах мировой литературы, М., 1977.
112. Р. Уэллек и О. Уоррен, Теория литературы, М., 1978.
113. М. Хайдегер, Время и бытие, М., 1993.
114. Й. Хёйзинга, Homo Ludens.В тени завтрашнего дня, М., 2004.
115. К.Г. Юнг, Символ и архетип, М., 1991.
116. К.Г. Юнг, Дух в человеке, искусстве и литературе, М.,-Х., 2003.

წიგნი მესამე

კულტურა და გლობალიზაცია

დრო და კულტურა

არაფერია მზისქვეშ ახალი – თაობა მიდის, თაობა მოდის, ქვეყანა კი იგივე რჩება, – გვეუბნება ეკლეზიასტე. ირღვევა და იშლება ეს ქვეყანაც, ეს კლდეები, ეს ტაძრები, ეს ქალაქები, იშლება და ისევ აღდგება.

არსი რჩება, ფორმები სახეს იცვლის – ეს არის მუდმივი წრებრუნვა, მუდმივი გასხლტომა სიკვდილის ხელებისაგან.

სახეს იცვლის კულტურაც. ამ პროცესს მტკივნეულად აღიქვამს თანამედროვე, რომლის მზერა შეეზარდა მყარ საგნებს, მყარ ტრადიციებს. მას ეჩვენება, რომ ყველაფერი იღუპება, არადა – ნანგრევებიდან ამოდის სიცოცხლის ხე და მწვანე ფოთლებით იმოსება.

კულტურა და მასის ინტერესები

მასა კონსერვატიულია, შემოქმედი – მეამბოხე: მასა ამთვისებელია და მომხმარებელი, შემოქმედი – ინდივიდი, მისგან გამოსული და მისი მოპირისპირე. ადამიანს უნდა თავად იმოქმედოს, გადაადგილდეს, გარემო იყოს მყარი ან ეს სიმყარე თავად შეცვალოს, თავის ნებას დაუმორჩილოს.

იგი ვერ იტანს ქაოსს, ნაცნობი და შეჩვეული წესრიგის აყირავებას. მაგრამ კულტურის მოთხოვნილების რეალიზება ხდება გარემოსთან მიმართებით: როცა სუბიექტიდან მოდის ნება – უნდა შეუხამოს გარე სამყაროს, პოლიტიკურ და რელიგიურ სისტემებს; როცა გარემო იძლევა მითითებებს, დაკვეთებს ან სიგნალებს – მაშინ სუბიექტს უნდა აღმოაჩნდეს მათი მიმღეობის უნარი, რაც არის შინაგან სწრაფვებთან თანხმოვანება.

მასის მიმართება არტეფაქტებთან პრაგმატულია, ნაკარნახევია პრაქტიკული მოთხოვნილებით, საარსებო აუცილებლობით. კულ-

ტურშემოქმედი ითვალისწინებს ამ ინტერესებს და აძლევს ელიტარულ გააზრებას.

კონსერვატიული მასა იცავს ენას, რელიგიას, სამშობლოს, ტრადიციებს. მაგრამ არ აინტერესებს სულიერი ღირებულებანი – ლიტერატურის, მუსიკის თუ მხატვრობის სფეროში. მათ არც მიიჩნევს ტრადიციის ნაწილად.

ელიტარული წრე ვიწროა. მაგრამ იგი აყალიბებს მოდას, სტილს, გემოვნებას. აქ ხდება იდეების წარმოქმნა და ფორმირება, მიმართულებათა და მიმართებათა განსაზღვრა (შდრ. – ქრისტე და ქრისტიანობა, მუჰამედი და მუსულმანობა, მარქსი და მარქსისტული იდეოლოგია).

ეს ჰგავს ატომის ბირთვის გახლეჩას, რომელიც გამოჰყოფს უდიდეს ენერგიას, თუ სამყაროს დიდ აფეთქებას, რისგანაც იშვნენ გალაქტიკები და ვარსკვლავები.

ისეც ხდება, რომ სუბიექტი არავის და არაფერს ანგარიშს არ უწევს – ელტვის მხოლოდ თვითგამოხატვას, სხვადქცევას, რაც ზოგჯერ რომელიმე დროსთან ჰპოვებს საერთო სიმებს.

კულტურის სახეცვლილებაც არის როგორც რევოლუციური, ისე ევოლუციური. რევოლუცია უკავშირდება ძლიერ ინდივიდებს, რომელნიც ძალაუფლების ნების კარნახით ცვლიან სისტემას, არსებულ წესრიგს, ცვლიან იდეოლოგიასა თუ ხელოვნებას, იწყებენ ახალ ეტაპს, რასაც მოსდევს საზოგადოების პოლარიზება, დაპირისპირება თანამედროვეობასთან. პოლიტიკაში მას ახლავს დიდი მსხვერპლი, რელიგიაში – სექტანტური განდგომა, ხელოვნებაში – თაობათა დაპირისპირება, საზოგადოებაში – კონფლიქტი და მარტოობა.

კულტურა, რომელზეც ამდენს ვსაუბრობთ, სხვა იყო წარმართი ელინელისათვის, სხვა იყო ასკეტი ქრისტიანისათვის თუ „მსოფლიო სევდით“ შეპყრობილი რომანტიკოსისათვის. ავანგარდისტისთვის ეს არის სულაც ანტიკულტურა.

ევოლუციური პროცესი თვალისათვის ლამის შეუმჩნეველია. იგი აყალიბებს კონსერვატიულ, უცვლელ, მყარ წარმოდგენებს, ამკ-

ვიდრეს მშვიდ და წყნარ ცხოვრებას. მაგრამ ხელოვნებაში ასეთი თანდათანობითი განვითარება წამგებიანია.

ფაქტიურად ეს არის მხოლოდ გაგრძელება. განვითარება კი არის გარდატეხა და მისი ხაზი ტეხილი და ზიგზაგოვანია.

ამ პროცესს ახლავს მშობლიური ღირებულებების გადაფასება, ტრადიციის ცალმხრივი განვითარება, ერთი ტენდენციის უნივერსალიზება. ასეთ სწრაფვებს, იდეალებს, ტრავმებს, იმპულსებს კი წარმოშობს არა გაწონასწორებული გარემო, არამედ – ტრაგიკული დრო. მღვრიე ჟამი იძლევა განახლებისა და განვითარების სტიმულს, თუმცა ადამიანთა მასას ამყოფებს მუდმივ ფორიაქში.

კულტურის ატმოსფეროს უამრავი ფაქტორი აყალიბებს. მათი მუტაცია ცნობიერ-არაცნობიერად ხორციელდება. დღეს რაც შეუძლებლად გვეჩვენება, ხვალ შეიძლება ცხოვრების ნორმა გახდეს, გაბატონდეს კულტურის სისტემაში. სიახლეს ელტვის ახალი თაობა, რომლის მეამბოხე სული ყველაზე მგრძნობიარე კამერტონია და ირეკლავს დროის უმცირეს ნიუანსებს.

XX საუკუნემ გადაიტანა ორი მსოფლიო ომი, მრავალი რევოლუცია, გაუძლო სოციალურ ექსპერიმენტებს, ფაშიზმსა და ბოლშევიზმს, მიაღწია ერების განთავისუფლებას, მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის ტრიუმფს.

შესაბამისად იცვლებოდა კულტურა, კულტურისადმი მიმართება, იცვლებოდა სულიერი ღირებულებები, მოდა და გემოვნება.

ახლა ვდგავართ გლობალიზაციის პრობლემათა სპექტრის წინაშე.

ასე რომ, ყოველ დროში სახელმწიფოსა და კულტურას პასუხი უნდა გაეცა ახალ და მტკივნეულ, სასიცოცხლო მნიშვნელობის კითხვებზე.

დიქტატორული სახელმწიფო ამკვიდრებდა თავისი თვალსაზრისის შესატყვის კულტურას, ამკვიდრებდა სწრაფად და ეფექტურად, სხვათა იგნორირების, რეპრესირებისა და ჩაგვრის ხარჯზე; დემოკრატია კულტურას თავისუფლებას ანიჭებს, სახელმწიფო მას

არ წარმართავს. ამიტომ მისი იდეალები დუნედ, თანდათან და შეუმჩნევლად იკვეთება.

ამას შეიძლება მოჰყვეს კულტურის გაუფასურებაც, რადგან მასობრივი პლურალიზმი არღვევს ნორმებს, ყველა ქმნის მიკროსამყაროს, სხვათაგან იზოლირებულს; აქ იკმაყოფილებს თავის ამბიციას, აქ აყალიბებს მიმართებათა სისტემას, რასაც საბოლოოდ მაინც მოსდევს საერთო ტენდენციის გამოკვეთა. ეს უფრო შეუძლია მასკულტურას, რომელიც ეუფლება საზოგადოებას, სწრაფად იმორჩილებს მის გულისყურს. მაგრამ ასევე სწრაფად ხუნდება და ძველდება. მაგ., ესტრადისა და კინოს ვარსკვლავებს, სპორტის ვარსკვლავებს აღმერთებენ, ტაშს უკრავენ მილიონები. მაგრამ მათი ბედის ბორბალი სწრაფად სცილდება ზენიტს და ახალი ვარსკვლავები იკავებენ ადგილს ცის კაბადონზე.

ამგვარი ვარსკვლავთცვენა მუდმივი პროცესია და აკმაყოფილებს მასების სიახლის წყურვილს. კონსერვატიული ელიტკულტურა კი თანდათან გამოდის ჩრდილიდან. იგი მასობრივად ვერ გავრცელდება, თუმცა დიდხანს ცოცხლობს.

კონსერვატიზმი არის არა ძალა, არა განვითარების ზამბარა და სტიმული, არამედ – საყრდენი პროგრესისათვის.

ლუდოვიკო XIV-ის თუ ნაპოლეონის საფრანგეთს, ვიქტორიანულ დიდ ბრიტანეთს, ჰიტლერის გერმანიას თუ სტალინის საბჭოთა კავშირს თავიანთი მკვეთრად გამოხატული, სხვათაგან გამორჩეული კულტურა ჰქონდათ, განსხვავებული მორალი და ეტიკეტი.

ისინი ტრადიციების მიწაზე იდგნენ, მაგრამ ცალმხრივად ავითარებდნენ, ასეთი ტენდენციით წარმართავდნენ მასების ხედვას, მათ ინტერესებს.

დრომ შეცვალა ყოფის სტილი ჩვენს თვალწინაც: მაგ., დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა ქვეყანაში ეტანება ჯინსებს; ქუდს თითქმის არავინ იხურავს (გავიხსენოთ რუსთაველი: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამდღე ვლიდეს“); ცილინდრი ძველ თაობას წაჰყვა, ისევე როგორც გალიფე, კიტელი და აზიური ჩექმები; აღარც ჰალს-

ტუხია ყოველდღიურობის ატრიბუტი; აკადემიურ და რომანტიკულ სტილს ავიწროვებს სპორტული სტილი; პალტო და ლაბადა შეცვალა ტყავისა და ქსოვილის ქურთუკებმა, ცხენი და ეტლი – მანქანამ, ტროსტი – მანქანის გასაღებმა.

ასეთი ცვალებადობა არ ხდება ვინმეს დიქტატით. იგი მოაქვს დროს, რომელშიც სინთეზირებულია ელიტისა და მასის ხედვა, გემოვნება, ვითარების აღქმა, პრაქტიციზმი, სიახლე და ფანტაზია.

კონცენტრირებული სივრცე – დრო

დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, როგორც კარუსელი, ისე გვატრიალებს. იგი მუდამ განუმეორებელი და ამოუხსნელი გვეჩვენება.

ზოგი რამ, რაც პათეტიკური და მშვენიერი გვეგონა, ყალბი და სასაცილო ყოფილა, ხოლო რაც არ მოგვწონდა – არც ისე დასაწუნი აღმოჩენილა ხოლმე.

ათასი ფაქტორი, რაც კულტურის ფორმებს აყალიბებს, დღეს გლობალიზაციის ელფერით არის აღბეჭდილი, როცა დედამიწა დაპატარავდა და დრო შეიკუმშა, როცა ერები და სახელმწიფოები აღარ არიან ერთმანეთისათვის უცხონი, როცა ცდილობენ განავითარონ ის, რაც აერთიანებთ, და უკუაგდონ ის, რაც ერთმანეთისაგან სთიშავთ.

გლობალიზაციის ეპოქის დრო-სივრცე კულტურას გაერთმნიშვნელიანებისაკენ უბიძგებს. ამ ერთობას ესწრაფიან ადამიანის გონი და ინსტინქტები. მაგრამ იგივე გონი და ინსტინქტები, ამავდროულად, ცდილობენ თვითგადარჩენას და ებრძვიან უნიფიკაციას.

ორიგინალობა ინდივიდის გენეტიკური თვისებაა. მაგრამ გენეტიკა უშვებს მუტაციას, რასაც კულტურის სფეროში შეესაბამება ექსპერიმენტი.

ორიგინალობას ანუ თავისთავადობას განსაზღვრავს არა მხოლოდ თანდაყოლილი, მემკვიდრული ნიშან-თვისებანი, არამედ – თავის ტვინის ფუნქციონირებაც.

ეგოისტური ბირთვი, რომელსაც ინსტინქტები აყალიბებენ, ეურჩება დამსგავსებასა და გათანაბრებას. იგი ცდილობს სხვის დამორჩილებასა და შთანთქმას, რაც ვლინდება ომსა და ძალადობაში, რათა თვითონ კი არ დაემსგავსოს, არამედ – სხვა დაიმსგავსოს.

ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ვირტუალურმა კავშირებმა დააახლოვა შორეულ კონტინენტებზე მცხოვრები განსხვავებული რასის, ეროვნების, რწმენის ადამიანები.

მანძილი მაქსიმალურად შემცირდა და ლამის დროში გადავიდეს. სივრცე დაძლია ენერგიამ და ის, რასაც რომელიმე მონარქი თვეების მანძილზე ელოდა, ვირტუალურად შეიძლება წუთში აღასრულოს, რეალურად კი – რამდენიმე საათში. შეკუმშული დრო-სივრცე ცვლის უსასრულოდ განფენილ დედამიწას.

რამდენი დრო იყო საჭირო მაგელანის ან კოლუმბის ექსპედიციისათვის, რა მანძილი უნდა გაევლოთ მათ ან რომელიმე იმპერატორს და ახალი, უცხო მიწების დამპყრობელს. მოვლენების სიხშირეს წელავდა დრო. მაგრამ ახლა თვალს ეპატარავება დედამიწა და მზერა გარბის კოსმოსისაკენ. სიჩქარემ შეცვალა დროის ძველი მდინარება. ახლა ადამიანს უნდა ყველაფერი ერთბაშად მოასწროს, ყველგან იყოს, ყველაფერს მისწვდეს, ხოლო კალენდარული დრო არ გაზრდილა. იგი ისევ დღეღამეში 24 საათია. არც ბიოლოგიური რიტმი გამოცვლილა – ადამიანი ძილს ჯერაც ვერ გადაჩვევია.

ინფორმაციის კასკადი არ იძლევა დაფიქრების საშუალებას. ჩვენ არ შეგვიძლია ფაქტების კორიანტელში გზა გავიკვალოთ. სისწრაფე სპობს სიმყარეს და ამიტომ ფუნდამენტალიზმი იცვლება მუდმივი მოძრაობით. თვალი აკვირდება არა საგნებს, არა საგნის არსს, არამედ – მათ სწრაფ მონაცვლეობას, როცა ნაკადები ერთმანეთს სდევენ და სდევნიან. ასეთ დროს ხშირია უზუსტობა, ზერელობა, მოჩვენებითობა.

ცნობიერება მოძრაობს მანქანური სიჩქარით. მაგრამ ასეთივე სისწრაფით ძველდება გუშინდელი მიღწევები. იცვლება მოდები. იცვლება გემოვნება. ცხადია, რჩება კონსერვატიული, მყარი საყრდენები, მაგრამ მათაც უტევს ოკეანის შტორმი და ემუქრება ჩაძირვით.

შეკუმშული დრო-სივრცე აუფასურებს ადგილობრივ ფეტიშებს, ლოკალურ ლიდერებს, ძველ კერპებს. გამარჯვებული ქვეყნის კულტურის ინდუსტრია ურიცხვი არხით და უსწრაფესად იჭრება ჩვენს ცნობიერებაში. კომპიუტერის ვირტუალური სივრცე, ინტერნეტ-პროგრამები, სოციალური ქსელები აახლოებენ წარმოდგენებს, სწრაფად ცვლიან ინფორმაციას, რა დროსაც გეოგრაფიულად უშორესი წერტილები ერთ წარმოსახვით სამყაროში ერთიანდება, როგორც ანტიკური ჰადესი თუ ქრისტიანული ზეციურ სულთა საუფლო.

თვითმფრინავმა, ტელეფონმა, ტელევიზიამ, კომპიუტერმა დაძლია სივრცე, რაც ისტორიულად სთიშავდა ადამიანებს და შორს მყოფი თითქოს დაკარგულიც იყო. თუ თვალი შორავს, გულიც შორავს, – გვეუბნება „ვისრამიანი“.

მანძილი მოსპო ტექნიკამ და უცხოობაც შეამცირა. მაგრამ შეამცირა უშუალობა, გრძნობა და ყველაფერი რაციონალურ გათვლას, ანგარიშიანობას, პრაგმატულ კავშირებს დაუმორჩილა.

ადამიანს შეუძლია უყვარდეს ვირტუალურად, მოქმედებდეს ვირტუალურად და არც გამოვიდეს თავისი „კარცერ-ლუქსიდან“, ისე ჰყავდეს უამრავი მეგობარი.

იგი ერთდროულად არის მსოფლიო მოქალაქე, ყველას ახლობელი, ამავე დროს – მარტოსული, ყველასგან მიტოვებული, რომლის ოცნებაში გაერთიანდა ქვესკნელი და მწვერვალი, ფიქრი და სამყარო, სილამაზე და სიმახინჯე.

ეს პროცესი თანაბრად არ ვითარდება და უკავშირდება ცივილიზაციის ბუმს. ამიტომ ძველ კულტურულ უთანაბრობას ემატება ახალი ტექნიკური დისპროპორცია. ეს ვლინდება კულტურის სტრუ-

ქტურასა და კონცეფციებში, სხვადასხვა სახის უსისხლო რევოლუციაში.

კულტურაც ისევე ცოცხლობს, ვითარდება და იღუპება, როგორც ბიოლოგიური სხეული (ედუარდ მაიერი).

ეს პროცესი დღეს დაჩქარებულია, რადგან კონცენტრირებული დრო-სივრცე და უხვი ინფორმაცია სიახლეს სწრაფად ახუნებს.

მისი შემქმნელი არის ტექნიკა, ტექნიკური პროგრესი, რომელიც ცვლის და აუფასურებს ძველ ცოდნას, ჰუმანიტარულ განათლებას, სულსა და ღმერთებს. თანამგზავრულმა სისტემამ შესაძლებელი გახადა ტელეპროგრამების მობილიზება და გავრცელება. მიკროინტეგრალური სქემების მოდელირებით კი შეიქმნა თანამედროვე კომპიუტერი.

ტექნიკური პროგრესი – გლობალიზაციის საფუძველი

ცივილიზაცია არის ტექნიკით ტირაჟირებული კულტურა, რომლის მიზანია მასობრივი კომფორტის მიღწევა.

გლობალიზაცია ემყარება ცივილიზაციას.

გლობალიზაცია ცდილობს კონფლიქტის წყაროების შემცირებას ან მოსპობას სოციალურ, ნაციონალურ თუ სექსუალურ სფეროში, რათა განკერძოების საფუძველი არ არსებობდეს.

ამისათვის კი საჭიროა, ერთი მხრივ – ტექნიკური პროგრესი, მეორე მხრივ – ადამიანის ფსიქიკის მოდელირება, ინსტინქტების მოდუნება, რათა დაკანონდეს ახალი ცნობიერება – მორჩილი და მართვადი.

გლობალიზაციის მოდელები ოცნებად რჩებოდა. აღსრულება სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვდა, რასაც ახლდა ნგრევა და სისასტიკე. მხოლოდ ახალ დროში შეიცვალა სიტუაცია, როცა ტექნიკურმა

პროგრესმა ზღაპარი სინამდვილედ აქცია. პირველივე ნაბიჯები ფანტაზიას ამიწიერებდა, როცა ოკეანის გადალახვა შესძლეს. მცირეოდენი წინსვლა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ადამიანს ამერიკის კონტინენტზე დაედგა ფეხი – მხოლოდ ნავებით ვერავინ გადასერავდა წყნარ ოკეანეს. ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი პირველ რიგში აისახებოდა სამხედრო მრეწველობაში. ცეცხლსასროლი იარაღი ენაცვლებოდა მშვილდისარს. ჯერ ისევ რჩებოდა მახვილი. მაგრამ თოფი, ზარბაზანი, რევოლვერი ზრდიდა საბრძოლო ეფექტს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ებრძოდნენ ველურ, პრიმიტიულ და ჩამორჩენილ ტომებს. ინდიელებს ცხენოსანი აფრთხობდათ, თორემ ზარბაზანი ხომ მთლად ღმერთების რისხვა ეგონათ.

იმარჯვებდა ის, ვინც იყო შეიარაღებული. შეიარაღება ტექნიკის განვითარებას უკავშირდებოდა, ტექნიკა – სამეცნიერო აზროვნებას. ყოველი ხელისუფალი ცდილობდა მაქსიმალურად კარგად ყოფილიყო აღჭურვილი. საბრძოლო ტექნიკის წარმოება ფინანსებს მოითხოვდა. ამიტომ დაპყრობითი ომები კიდევ უფრო ზრდიდა სამხედრო პოტენციალს. ტექნიკური პროგრესი, პირველყოვლისა, სამხედრო საქმეში იჩენდა თავს და შემდეგ გადადიოდა სამოქალაქო ცხოვრებაში.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო სწრაფად და მძლავრად იწევდა წინ ტექნიკა. ორთქლმავალი, მანქანა, ელმავალი, თვითმფრინავი, ელექტრონი, ლაზერი, მაზერი, ცათამბჯენები, საზღვაო ლაინერები, ავტომატი, ტანკი, ტყვიამფრქვევი, პროსპექტები და მაგისტრალები, რადიო, ტელეფონი, ტელევიზია, კომპიუტერი, ატომური ენერგია, ბალისტიკური რაკეტა ფანტასტიკასაც რეალობად გარდაქმნიდა.

პირველი ორთქლის მატარებელი 1825 წელს გამოჩნდა ინგლისში, პირველი ავტომობილი – ძრავიანი თვითმავალი ეტლი – 1885 წელს გერმანიაში (კონსტრუქტორები – დაიმლერი და ბენცი), პირველი სინემატოგრაფი – პარიზში 1895 წელს (ძმები ლიუმიერები), პირველი თვითმფრინავი – 1903 წელს (კონსტრუქტორ-მფრინავები ამერიკელი ძმები რაიტები), პირველი კომპიუტერი – 1945 წელს აშშ-ში

(პენსილვანიის უნივერსიტეტი), პირველი ატომური ბომბიც – 1945 წელს აშშ-ში (შექმნის ხელმძღვანელი რ. ოპენჰაიმერი).

1948 წელს ეცნობა მეცნიერება ნ. ვინერის „კიბერნეტიკას“ და კ. შენონის ინფორმაციის თეორიას („კავშირის მათემატიკური თეორია“).

1969 წლის 21 ივლისს მთვარეზე დაფრინდა ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-11“ და ნილ არმსტრონგმა მთვარის ზედაპირს დაადგა ფეხი (მთავარი კონსტრუქტორი ვერნერ ფონ ბრაუნი, გერმანული ფაუ-2-ის კონსტრუქტორი). ხომალდი გაიყვანა რაკეტა-მატარებელმა „სატურნ-5“-მა.

1800 წელს მსოფლიოში გამოდიოდა 100 სამეცნიერო ჟურნალი, 1950 წელს – 100.000, 1975 წელს – 200.000...

ინფორმაციის ზღვაში იძირება მეცნიერი, თითქოს აზრს კარგავს ძიება და გამოგონება. ტექნიკა კი მუდმივად წინ იჩქარის. სიახლის გამოყენებით უფრო ეფექტური ხდება სამრეწველო პროდუქციის წარმოება, ბიზნესი, გადაადგილება, სახელმწიფოებისა და ხალხების კონტაქტი, ინფორმაციის მიღება და გაცვლა-გამოცვლა, კონტროლი, წარმოების თუ საზოგადოების ორგანიზება, ადმინისტრირება.

რომ არა ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია ისევ იმპერიული მოდელის გამოხატულება იქნებოდა. ახალმა დრომ ნებაყოფლობით დააახლოვა ადამიანები, დაამსხვრია კარჩაკეტილობა და გაავრცელა საერთაშორისო მოდელები და სტანდარტები. ამას მოჰყვა ნაციონალური ატრიბუტიკის შემცირება და ზოგჯერ გაქრობაც. მაგ., ფაქტიურად აღარ არსებობს ნაციონალური ტანსაცმელი. ევროპული კოსტუმი, პალტო, შარვალი, პერანგი, ფეხსაცმელი, ჰალსტუხი სდევნის ეროვნულ რეკვიზიტებს. მათ მხოლოდ საპარადო ფუნქცია შერჩათ. მაგ., არავის უკვირს, რომ კავკასიური ჩოხა-ახალუხი, აზიური ჩექმები, ბოხოხი და ქამარ-ხანჯალი მხოლოდ ბუტაფორიაა.

ის, რაც აკლდა ერთ ქვეყანას, აიღო მეორისაგან და ასე შეიქმნა ფერადი მოზაიკა. ასე უფრო მრავალფეროვანი, სრულყოფილი და

კომფორტული გახდა ცხოვრება, თუმცა დაიკარგა ის, რამაც ვერ გაუძლო კონკურენციას, ვერ გახდა დროის შესატყვისი.

კულტურის გავრცელებას აიოლებს ტექნიკა. სანამ წიგნის ბეჭდვას დაიწყებდნენ, სანამ გუტენბერგის გალაქტიკა შეიქმნებოდა, ტექსტები ხელნაწერებად ვრცელდებოდა. ხელნაწერების რიცხვი მცირე იყო. ეს იწვევდა მათ მოსპობას. ბეჭდვის დაწყების შემდეგ გაფართოვდა წიგნის გეოგრაფია. ხოლო თარგმანის მეშვეობით იგი ჩაერთო გლობალურ ფარვატერში. თვით ბეჭდვის პროცესიც ვითარდებოდა. შავ-თეთრ ბეჭდვას სცვლიდა ფერადი ბეჭდვა, რაც ამაღლებდა რეპროდუქციის ხარისხს. ლინოტიპის ადგილი დაიკავა კომპიუტერმა, რაც აიოლებს ტექსტის აკრეფას, შრიფტების შერჩევასა და განლაგებას.

ბეჭდვის სისწრაფემ და სიმსუბუქემ გზა გაუხსნა ხალტურის მასობრივ ტირაჟირებასაც. მაგრამ ეს ცივილიზაციის თანმდევი პროცესია, რომელიც ეწევა საკრალურის პროფანაციას.

მთლიანად ტექნიკაზეა დამყარებული კინოხელოვნება, როგორც გადაღება, ისე ჩვენება. მუნჯი კინო კიდევ უფრო იოლად აკავშირებდა სხვადასხვა ერებს. ჩარლი ჩაპლინის იუმორი, პანტომიმური მოძრაობა და მოქმედება ყველგან სიხარულს იწვევდა. ეს სიხარული, ეს სიხალისე აერთიანებდა ადამიანებს, მილიონებს ერთნაირ განწყობილებას უქმნიდა. ამიტომ გადადიოდა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, არღვევდა საზღვრებს, კლასობრივ იერარქიას, თაობათა ზღუდეებს. შემდეგ კინოს ამეტყველებამ შექმნა ბარიერი.

მსოფლიოში მოქმედებს უამრავი სატელევიზიო არხი. ისინი თანამგზავრული სისტემით გადაეცემა ყველა კონტინენტს, ისევე როგორც რადიოტალღები. კომპიუტერი, ინტერნეტქსელი, სოციალური პროგრამები, ინტერნეტბიბლიოთეკა, ჟურნალი და გაზეთი ერთიან ვირტუალურ სივრცეს აყალიბებენ. ამ სივრცეში ყველა თანაბარია, შეიძლება ყველა ერთმანეთს დაუკავშირდეს, გადასცეს თავისი აზრები და შეხედულებები. სახლიდან გასვლა არც არის საჭირო, თითქოს ჭუჭრუტანიდან ვუყურებთ ვარსკვლავთა სამყაროს.

ის, რაც სულთა საუფლოდ იყო მიჩნეული, ახლა ამ წარმოსახულ გარემოში არის გაშლილი.

გლობალიზაციას ყველაზე მეტად აჩქარებს ის დარგები, რომლებიც გადააქვს ტექნიკას ანუ ცივილიზაციურად არის გაშუალებული.

XIX საუკუნის ბოლოდან, როცა წარსულს ბარდებოდა ცხენი, მახვილი და ეტლი, როცა მოტორმა და ბორბლებმა აამოძრავა სამყარო, დაიწყო ცნობიერების მანქანური მოდელირებაც. მხატვრებმა ქვეყანა დაინახეს გეომეტრიულ ფორმებში – კუბების, სამკუთხედების, მართკუთხედების, ოთხკუთხედების, ხაზების, სფეროების სახით; ფუტურისტებმა და კონსტრუქტივისტებმა ადამიანის ადგილზე მოათავსეს მანქანა, შემოიტანეს მათემატიკური ფორმულები; მუსიკოსებმა ხმაურით აავსეს მაჟორული და მელანქოლიური მელოდიები; პროზაიკოსებმა წესრიგი დაარღვიეს და მღვრიე ცნობიერება აქციეს დომინანტად; პოეტებმა ლირიზმსა და სიმღერას ფიქრი, განსჯა და ქუჩის რიტმები არჩიეს.

საბოლოოდ კი ტექნიკამ და კომფორტული ცხოვრების კულტმა შვა ნიჰილიზმი ინტელექტისა და ესთეტიზმის მიმართ, ნიჰილიზმმა – კლასიკური ჰარმონიისა და სიმეტრიის უარყოფა, აბსურდული ყოფის ამაოება (იხ. „ელექტრონული გალაქტიკა“).

დემოკრატიულ საზოგადოებაში უმთავრესი გახდა მასის ინტერესები, მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

დღეს პროგრესის კატალიზატორია ინფორმატიკა და მიკროელექტრონიკა. მათი მეშვეობით იზრდება შრომის ნაყოფიერება, იცვლება მართვის, მომსახურების, მუშაობის სტილი, ადვილდება მიზნის მიღწევა და ვრცელდება მასობრივი კომფორტი.

ადამიანი კოსმოსში გაიჭრა, მთვარეს დაადგა ფეხი. მაგრამ ამას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, რადგან ზეცაში ვერაფერი ჰპოვეს. მას აღელვებს ის, რაც აქ ხდება, რაც ხდება პიროვნების სულში, თავის გარშემო, ის, რაც სჭირდება.

ზოგ ნეოთომისტს მიაჩნდა, რომ ტექნიკა არის ღმერთის აზრის გაელვება, რადგან იგი თავის დიქტატს უმორჩილებს ყოფის ყოველ მხარეს, სინამდვილესა და ოცნებას, ფიქრსა და მოქმედებას. თან-დათან კი ადამიანიც ემგვანება მანქანას და იცლება გრძნობებისაგან, თუმცა ჰგონია, რომ მისი მეშვეობით იმორჩილებს ბუნების ფარულ ძალებს. მაგრამ ისიც, ხომ ბუნების ნაწილია და, მაშასადამე მასაც განაგებს ტექნიკა. იგი აწარმოებს ენერგიას, პროდუქტებს, ხელს უწყობს მასობრივი კომფორტის გავრცელებას, სწრაფ კავშირებსა და გადაადგილებას, აღმოჩენებს, თავდაცვასა და თავდასხმას, აიოლებს ცხოვრებას.

ტექნიკამ შექმნა ურბანული რეალობა, თანამედროვე ქალაქები, შუშისა და მეტალის არქიტექტურა, ზებგერითი საჰაერო ლაინერები, კოსმოსური ხომალდები და თანამგზავრები (იხ. „ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“).

თანამედროვე ახალგაზრდისათვის ისე ბუნებრივია მაცივარი, მობილური ტელეფონი, პლასტმასი და სინთეტიკა, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, კომპიუტერი, ლიფტი, ვატერკლოზეტი, გათბობა, გაზი და ელექტრონი, ცივი და ცხელი წყალი X თუ XV სართულზე, რომ ეს თითქოს ყოველთვის არსებობდა.

ეს კარგია, ამაზე არავინ ამბობს უარს. მაგრამ ადამიანი ხდება არა ტექნიკური საგნების გამგებელი, არამედ – ნაწილი. ტექნიკა მბრძანებლობს მასზე, მის სურვილსა და ქცევაზე. ბუნება იცვლება ტექნიკური ლანდშაფტით და ადამიანს ნიადაგი ეცლება ფეხქვეშ.

ამას ეგზისტენციალისტები გაუცხოებას ეძახიან. ასე რომ ტექ-ნიკის გაჩენაში ღმერთთან ერთად ეშმაკიც მონაწილეობს (შპენ-გლერი, ჰაიდეგერი, იასპერსი, დესაუერი, ელიული).

ფაუსტს მეფისტოფელი დღესაც სჭირდება.

იყო დრო, როცა ვერ იტანდნენ რკინიგზასა და გვირაბებს, ეიფელის კოშკი სიმახინჯედ მიაჩნდათ, მაგრამ ტექნიკის დემონმა სწორედ მას შემდეგ იჩინა თავი.

ტექნიკა, მისი გამოყენების წესი აკავშირებს და აერთიანებს ადამიანებს, გეოგრაფიულად დაცილებულ პუნქტებს და ხელს უწყობს ფსიქიკისა და ქცევის სტანდარტიზებას, სულის რობოტიზებას, უცნობ სიმრავლეთა დაყვანას ნაცნობ ერთეულებამდე, ერთი ფერის გაბატონებას, რაზეც ოცნებობდნენ ბოლშევიკები.

საბჭოთა კავშირში ახალი ფერისცვალება დაიწყო 1956 წლიდან, 60-იან წლებში. შემცირდა იდეოლოგიური ბარიერი და სოციალისტური კულტურის გვერდით აღმოცენდა ნეიტრალური კულტურა, რომელსაც სათავე დასავლეთში ჰქონდა. ცხადია, იდეოლოგიური დოგმების კრიტიკა იკრძალებოდა, მაგრამ ნეიტრალური კულტურა თავისი არსითა და ფორმებით, ირიბად, ფარულად სწორედ სოციალიზმის პრინციპებს აქარწყლებდა.

ასე მოხდა საქართველოშიც.

გლობალიზაციის პრობლემაზე, მასობრივ და ელიტარულ კულტურებზე, გუტენბერგის გალაქტიკასა და დროის ბიუჯეტზე, ტექნიციზმსა და ილუზიების ფაბრიკაზე, სტრუქტურალისტურ ანექსიასა და პიროვნების პროგრამირებაზე ვწერდი ჯერ კიდევ 1974 წელს (იხ. „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა“).

მაშინ გლობალიზაციის სივრცე ლოკალიზებული იყო სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკებით. ხოლო არსი იყო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი.

მას ევროპელი და ამერიკელი იდეოლოგების გავლენით ყურადღება მიაქციეს მარქსისტმა ავტორებმა, რუსმა მეცნიერებმა.

მოსკოვში კარგად ესმოდათ, რომ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი შლიდა ზღვარს იდეოლოგიებს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აუქმებდა კლასობრივ ბრძოლას, ამკვიდრებდა საყოველთაო მოდელებს აზროვნებასა და რეალობაში, არღვევდა ნაციონალურ ფორმებსა და ტრადიციებს, რაც ანტიკომუნისტურ მოვლენად ჩანდა.

ამიტომ ფრთხილად ცდილობდნენ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის შედეგების შეგუებას სოციალიზმის ინტერესებთან, რათა ამ უნივერსალური განმაახლებელი ძალის გააზრება არ დარჩენოდა კაპიტალისტურ სამყაროს.

მაგრამ დაიშალა სსრკ და სოციალიზმის ბანაკიც. ხოლო სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და ტოტალური რეკონსტრუირება შეივსო ამერიკანოცენტრისტული იდეოლოგიით და იქცა გლობალიზაციად.

გლობალიზაციას მივყავართ კომუნიზმის მსგავს ერთობასა და ნიველირებამდე, ინდივიდუალობის წაშლასა და უნიფიკაციამდე.

დემოკრატია კულტურაა, გლობალიზაცია – ცივილიზაცია. დღეს გლობალიზება უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე დემოკრატია. მაგრამ **გლობალიზების აღმავალ პროცესში უნდა დავინახოთ და განვასხვავოთ ორი მიმართულება:**

ერთი, რომელიც ბუნებრივია და ნელა მიმდინარეობს, მეორე, რომელიც ხელოვნურად არის დაჩქარებული, იდეოლოგიურად მოტივირებული და ორგანიზებული.

საზოგადოების წიაღში ჩნდება იდეა, რომელიც იდეოლოგიად იქცევა და გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, კულტურის ფორმებზე, მიმართულებებზე, პრობლემებზე. ასე იქმნებოდა გლობალიზაციის მოდელები.

გლობალიზაციის კონცეფციებს იმუშავებენ სპეცსამსახურები, პოლიტიკური ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი ანაწილებენ პოლიტოლოგთა, სოციოლოგთა, ეთნოლოგთა, კულტუროლოგთა თეორიებს, უფარდებენ რეალობასა და გლობალიზაციის პერსპექტივას. შემდეგ შეაქვთ მასმედიის, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სისტემაში, რათა საზოგადოება და კულტურა გაიჟღინთოს ამ იდეებით, დამკვიდრდეს რეალობაში.

ბოლოს მათ ახორციელებს საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი სტრუქტურები (მაგ., გაერო, ევროსაბჭო, აშშ).

I. გლობალიზაციის მოდელები: ერთიანი მსოფლიო

გლობალიზაცია ახალი ცნებაა. მაგრამ მარადიულია ოცნება მსოფლიო ბატონობაზე, რაც არ ასვენებდათ ძლევამოსილ იმპერატორებს, ყაენებსა და სულთნებს.

მსოფლიო ბატონობა კი ძველი დროის გლობალიზაციაა, როცა ერთი ერი, ერთი რელიგია, ერთი სახელმწიფო ძალადობით ცდილობდა სხვათა არსებობისა და კულტურის წარხოცვას, საკუთარი წარმოდგენების დამკვიდრებასა და გაფეტიშებას.

ცაბაოთი, ებრაელების უფალი, მოუწოდებდა თავის რჩეულ ერს, როცა ქალაქს დაიპყრობდნენ, მოესპოთ ყველა – დიდი და მცირე;

ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთამდე მივიდა, ნაპოლეონი თავს დაესხა ეგვიპტესა და რუსეთს, ჰიტლერის არმიები იდგნენ ლამანშიდან და საჰარიდან სტალინგრადამდე, დიდი ბრიტანეთი ფლობდა ავსტრალიას, აშშ-ს, კანადას, ინდოეთს, ახალ ზელანდიას, გერმანული ტომები მოედვნენ დამხობილ რომის იმპერიას.

ტერმინ გლობალიზაციას არ მიმართავენ ისტორიული პროცესების აღსანიშნავად. მაგრამ ფაქტი ერთია – ყოველთვის არსებობდა ოცნება და პრაქტიკული ცდა ერთიანი მსოფლიოს შესაქმნელად.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მუდამ არსებობდა გლობალიზების ტენდენციები, რაც სწრაფად იწყებოდა და ჩერდებოდა შუაგზაზე.

შემდეგ ამოქმედდებოდა საპირისპირო ან ახალი გლობალიზების ტალღა, რომელიც სძირავდა ძველს, მაგრამ ისიც შუაზე წყვეტდა მოძრაობას. ეს პროცესი პერიოდულად მეორდება, როგორც ინტეგრირება და დიფერენცირება.

თანამედროვე გლობალიზაცია უსისხლო პროცესია და ემყარება არა იარაღს, არამედ – ტექნიკურ პროგრესს, ცივილიზაციის კულტურას, ერთა ურთიერთდაახლოებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, პიროვნების თავისუფლებას.

როგორც ადრე, ისე შემდეგ იმპერიულ ამბიციას, კოლონიურ ექსპანსიას ეძლეოდა იდეოლოგიური გამართლება. დღეს გლობალიზაციის პროცესს ისე წარმართავს დასავლეთი, რომ არ ავიწყდება „განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე საკუთარი, არაპროპორციულად მაღალი მოგების მიღება“, რომ „ინდუსტრიულად უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა უარი თქვეს საკუთარ ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების პროდუქცია მიეღოთ, რომ ინარჩუნებდნენ კვოტას სხვადასხვა პროდუქციაზე.

ამავე დროს ისინი მოითხოვდნენ, რომ ამ ქვეყნებს მდიდარი ქვეყნებიდან საკუთარ ბაზარზე ექსპორტი არ შეეზღუდათ“, – წერს ჯოზეფ სტიგლიცი, ნობელის პრემიის ლაურეატი, აშშ-ის ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

ცალკეული ორგანიზაციები, მაგ., მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი თუ მსოფლიო ბანკი ძირითადად გამოხატავენ აშშ-ის ინტერესებს. ეს იწვევს პროტესტს, არეულობასა და კონფლიქტს, იწვევს გამოსვლებს როგორც ამ ორგანიზაციების, ისე თავად აშშ-ის წინააღმდეგ (მაგ., მუსულმანურ ქვეყნებში).

ამას აქვს რამდენიმე მიზეზი, გარდა ნაციონალურ სახელმწიფოთა ბუნებრივი წინააღმდეგობისა: აშშ ცდილობს თავის ძალასა და გავლენას დაუმორჩილოს გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესი; ეს მოახდინოს სწრაფად, მოახდინოს თავის მიერ აღზრდილი ადგილობრივი კადრებით, რომლებიც ყალიბდებიან როგორც ლიდერთა პრივილეგირებული კასტა (მაგ., საქართველოში).

ინტეგრირება და გლობალიზაცია

სახელმწიფო და საზოგადოება ინტეგრირებით იქმნება. სხვა მხრივ იგი ისევე ჩაკეტილი დარჩება, როგორც უძველესი კლანი. მაგრამ კლანთა შეერთებით წარმოიშვა ტომი, ტომთა კავშირი, პრასახელმწიფო.

რაც გადის დრო, ინტეგრაცია უფრო აუცილებელია. უამისოდ სამოქალაქო საზოგადოება და პროგრესი ვერ იქნება. მაგრამ პარალელურად, როგორც ვთქვით, მოქმედებს დამშლელი ძალები. მათი დაძლევით, გადალახვით ხდება ინტეგრირება. ეს არის ურთიერთშეღწევა, გამოცდილების გაზიარება და გადატანა, ვიწრო თვალსაწიერის გაფართოება, დიალექტიკის მიხედვით – დაპირისპირებულობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი.

ინტეგრირება გარკვეულ დონემდე საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. როგორც გარემოსთან მუდმივი კონტაქტის გარეშე ვერ იარსებებს ინდივიდი, ისე საზოგადოება ესწრაფვის ინტეგრირების პროცესის დაჩქარებასა და გავრცობას.

ადამიანთა ჯგუფების, ეთნიკური ჯგუფების ინტეგრირებით ყალიბდება სახელმწიფო. მისი საფუძველი არის ერის ცნება. მაგრამ დღეს ირღვევა საზღვრები, შეხედულებები, ტრადიციები და ტრადიციული ინტეგრირება გადადის გლობალიზაციაში.

ინტეგრირება მეტწილად ძალადობით ხდებოდა, როცა დამპყრობელი დამარცხებულს თავს ახვევდა თავს წარმოდგენებს. ეს იყო გზა ასიმილაციისაკენ. გლობალიზაცია ნებაყოფლობითი პროცესია, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით მოქმედებს ყველა სახელმწიფოში და მათ მიაქანებს ერთიანი სივრცისაკენ.

ინტეგრირება კულტურაზე სასიკეთოდ მოქმედებდა. ლოკალურ გარემოში იგი სპობდა განკერძოებას, ეთნოგრაფიზმსა და იზოლირებას.

სხვათა გამოცდილების გადმოტანით უფრო ავითარებდა იმ ტენდენციებს, რაც შესაძლებელი იყო უცხოსაც მიეღო.

ჩვენ ვნახეთ თუ როგორ ჩაიკეტნენ თავიანთ მატერიკზე ინდიელები, აფრიკელი და ავსტრალიელი ტომები, როგორ იმოქმედა ამ ფაქტორმა მათ ინტელექტუალურ უნარზე, არა მხოლოდ მიღწეულ შედეგებზე. შემდეგ იჩაგრებოდნენ ევროპელების მიერ, მიზეზად კი სწორედ მათ ჩამორჩენილობასა და ველურობას თვლიდნენ.

გლობალიზაცია გაერთმნიშვნელიანებაა, რომელსაც მიმართულებას აძლევს პოლიტიკა და კულტურა. ამ პროცესში კულტურას უმცირდება ეროვნულ თვისებათა მარაგი, შემოდის საერთაშორისო მოდელები, როგორც ენაში ინტერნაციონალური ლექსიკა, ზოგ დარგში ჭარბად (მაგ., არქიტექტურაში), ზოგ დარგში – ნაკლებად (მაგ., ლიტერატურაში). ის ტენდენციაც, რომელიც ამოდის ნაციონალური სიღრმიდან, ეროვნული ტრადიციებიდან, თუ არ იქნა მოდერნიზებული, მისადაგებული ახალი დროის სულისკვეთებასთან, უცხო და გაუგებარი დარჩება ლოკალურ წრეშიც, არათუ ზოგად სფეროში. უამისოდ ვეღარც წინ წავა, ხოლო კონსერვირება და შეჩერება რეგრესს მოასწავებს, რადგან, ერთი მხრივ, ვეღარ ააქტივებს შემოქმედებით ძალებს, მეორე მხრივ – სხვა აღწევს ახალ წარმატებას და წარმოიშობა დისბალანსი.

გლობალიზებით შესაძლებელი ხდება საკაცობრიო ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანება, საყოველთაო პროგრესი და მოახლოებულ კატასტროფათა აცილება. ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულ ასპექტში იგი აყენებს მრავალ მწვავე კითხვას, რაც ხდება ასპარეზი ახალი კონფლიქტებისა და კრიზისებისათვის.

გლობალიზაციას უფრო ემორჩილებიან განვითარებადი ქვეყნები.

გლობალიზაციის ყოველი მოდელი აყალიბებს შესაბამის კულტურას (მაგ., სოციალისტური კულტურა).

რელიგიური მოდელი

რელიგიური მოდელი ეფუძნება რწმენას.

მსოფლიოში ვერცერთი რელიგია ვერ გაბატონდა. მაგრამ ყველა მათგანი ცდილობდა სივრცის გაფართოებას, თავის რჯულზე სხვათა მოქცევას. ამისათვის მიმართავდა დარწმუნებას, ქადაგებას, მოსყიდვას, ძალადობას, სიკეთეს, სათნოებას.

ერთი რელიგია მეორისადმი შეუწყნარებელი იყო.

ერთი ძირიდან მოდიან იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. მათი შემქმნელები გენეტიკურადაც ნათესავი იყვნენ. მიუხედავად ამისა, ქრისტე და მუჰამედი ერთმანეთისადმი შეურიგებელი დარჩნენ და მათ ბრძოლებს უამრავი მსხვერპლი მოჰყვა.

კათოლიკე მისიონერები მთელ მსოფლიოში დადიოდნენ, რათა ურწმუნონი მოექციათ ქრისტეს რჯულზე. ხოლო მართლმადიდებლები კათოლიკობაზე გადაეყვანათ (მათ შორის – საქართველოშიც).

პროზელიტები ყველგან იყვნენ. მისიონერთა თავგანწირვას ჰქონდა გარკვეული ეფექტი. მაგრამ ვერ შეძლო ბუდიზმის, ისლამის ან კონფუცის მიმდევართა შეზღუდვა, მათი დამარცხება.

რელიგია იმარჯვებდა იქ, სადაც მახვილი მიუძღოდა და ძალადობრივად იწყებდა რწმენის დამკვიდრებას. ასე მოხდა ისლამის გავრცელება, რომელიც არაბთა რჯული იყო. მომთაბარე ბედუინებმა შეძლეს მახლობელი ტომების და ხალხების დამორჩილება და თავიანთი ქვეყნის საზღვრები გასწიეს ესპანეთიდან შუააზიამდე. ბევრმა ქვეყანამ დაკარგა წინაპართა რელიგია. მაგ., ზოროასტრული ირანი მუსულმანური გახდა. შემდეგ კი ოსმალეთთან ერთად იქცა მუჰამედის მცნების მედროშედ. თვით თურქებმა დაივიწყეს წინაპართა რწმენა და მიიღეს მუსულმანობა, რამაც სიმტკიცე მიანიჭა მათ იმპერიას.

საუკუნეთა მანძილზე თავგამოდებით იღვწოდნენ და იბრძოდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს ერთ რწმენაზე მოექციათ მსოფლიო.

ყველა აღიარებს უმაღლეს ერთს, რომელსაც ჰყავს თავისი ძე თუ წარმომადგენელი მიწაზე. იგი იმუშავებს, მისი სახელით ფორმდება ახალი თვალთახედვა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მიჰყვებიან მილიონები. მაგრამ ეს განსხვავებული თვალთახედვა სთიშავთ მორწმუნეებს. თვით ქრისტიანობის წიაღშიც ვერ ხერხდება ერთიანობის აღდგენა. 1948 წელს შეიქმნა პროტესტანტული და მართლმადიდებელი ეკლესიების მსოფლიო საბჭო. მაგრამ ეკუმენისტურ მოძრაობას არ უერთდებიან სხვა ქრისტიანული ეკლესიები (მაგ., კათოლიკური) და ამიტომ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ქართული სამოციქულო ეკლესიაც იყო ერთხანს მსოფლიო საეკლესიო კავშირის წევრი (1997 წლამდე).

ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა უამრავი სექტა. სექტის წევრებს ერთმანეთის სიყვარული და სოლიდარობა აქვთ. მაგრამ სასტიკად უსწორდებიან მეორე სექტის წევრებს, რომელთა ცხოვრების წესსა და წარმოდგენებს ვერ ჰგუობენ. ერთხანს ჩვენში შემოვიდა და გავრცელდა იეღოველთა რწმენა. 2003 წელს სახელმწიფომ მათი ორგანიზაცია დაარეგისტრირა. სწორედ ამის შემდეგ დაეცა იეღოვას მოწმეების აქტივობა, როცა ეგონათ, რომ პირიქით მოხდებოდა.

დიფერენცირება რელიგიის შიგნით ისტორიულად ხელს უშლიდა მის შემდგომ გავრცელებას, ახალი მრევლის ათვისებას. ეს იყო დაპირისპირება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის, სუნიტებსა და შიიტებს შორის. მაგ., 1613 წელს, როცა რუსეთში გამეფდა მიხაილ რომანოვი, ხოლო პატრიარქი გახდა მამამისი ფილარეტი, კათოლიკეების დაპატიმრება დაიწყეს, ხოლო სხვა ქვეყნის მართლმადიდებლებს გადანათვლას აიძულებდნენ.

ერთი რელიგიით ვერ გაერთიანდა კაცობრიობა. მაგრამ რამდენიმე ძირითად რელიგიას (მაგ., ქრისტიანობა, მუსულმანობა, ბუდიზმი) და მათ უამრავ სექტას დამორჩილებული ჰყავს მსოფლიო.

აშშ-ს არა აქვს ოფიციალური რელიგია, როგორც ვთქვათ, იტალიას – კათოლიციზმი, რუსეთს – მართლმადიდებლობა ან არაბულ

ქვეყნებს – მუსულმანობა. მაგრამ 2003 წლის გამოკითხვით მოსახლეობის 90 პროცენტს სწამს ღმერთი.

ეს მაშინ, როცა აშშ-ში მოქმედებს 1.300-ზე მეტი რელიგია, სექტა და კულტი. საქართველოში 81% თავს მიიჩნევს რელიგიურ პიროვნებად, ათეისტად – 6%, ხოლო რელიგიურ ცხოვრებას მისდევს 30%.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ერთია ღმერთის რწმენა, მეორე – იმის გაგება თუ რა როლს ასრულებს უფალი ადამიანის ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით ევროპაში ინდიფერენტიზმი ბატონობს: დიდ ბრიტანეთში 18% თვლის, რომ ღმერთი განსაზღვრავს მის ცხოვრებას; საფრანგეთში ასე ფიქრობს 14%, გერმანიაში – 16%. ეს ნიშნავს, რომ ფანატიზმი აღარ არსებობს და ღმერთს ადამიანი მიიჩნევს კულტურის ნაწილად. ამიტომ სუბკულტურების მიერ დიფერენცირებულ ღმერთს აღარა აქვს გამაერთიანებელი ძალა.

ამის გამო ვრცელდება რელიგიური პლურალიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ კონფენსიები მშვიდად თანაარსებობენ: ერთი ბუდაზე ლოცულობს, მეორე – ქრისტეზე; ერთი კათოლიკეა, მეორე – ბაპტისტი, მესამე – მართლმადიდებელი, მეოთხე – იეღოველი. მაგრამ ეს არ იწვევს კონფლიქტს, ყველას თავისებურად სწამს უფალი და თავისებურად განადიდებს უზენაესს.

რელიგიური რადიკალიზმის დაძლევით კი რწმენას ძალა ეკარგება.

რელიგია თავისი არსით კოსმოპოლიტური მოვლენაა, როგორც ქრისტიანობა, ისე ისლამი (შდრ – მუჰამედი ამბობს: „ყოველი მუსლიმი ერთმანეთის ძმა და დაა! თქვენი ღმერთი ერთია: თქვენ ყველა ადამის შვილები ხართ. არაბს არაარაბის მიმართ და არაარაბს არაბის მიმართ არავითარი უპირატესობა არა აქვს. ყველა თანასწორია“).

მაგრამ ძლიერი ხელისუფალი მას აყენებს თავის სამსახურში მართვისა და გავლენის გავრცელებისათვის. ამიტომ ხდებოდა რელიგიის ნაციონალიზება. პატარა ერისათვის იგი თავდაცვის იარაღიცაა, როცა მოძალადე სხვა კონფესიას განეკუთვნება. ქართველს მუსულმან აგრესორთა წინააღმდეგ ქრისტეს ჯვარი ძალას ჰმატებდა.

ამის შედეგად კი რწმენა გადავიდა ნაციონალისტურ მესიანიზმში და ეს გაცხადდა ცნობილ ენკომიაში.

ათასი წლის შემდეგ ამასვე იმეორებს ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი.

როგორც არაერთხელ ვთქვით, კულტურა გამოვიდა რელიგიის წიაღიდან და ეს წარმომავლობის ნიშანი მას დღემდე შერჩა (მაგ., განსხვავება ქრისტიანულ და მუსულმანურ კულტურებს შორის).

განმანათლებლობის დროიდან მცირდება რელიგიის გავლენა, ნელდება რელიგიური ფანატიზმი და მასებს ახალ სამოქმედო პროგრამას აწვდიან იდეოლოგიები. ისინი ენაცვლებიან რელიგიურ კონსერვატიზმს და ცდილობენ პასუხი გასცენ დროის მიერ წამოჭრილ პრობლემებს, რაც საერთოა სხვადასხვა ერისათვის. იდეოლოგიაში წამყვანია პრაგმატიზმი, მაგრამ ინარჩუნებს მისტიკურ ნაკადსაც (მაგ., ნაციონალ-სოციალიზმში – არიული რასის მითი, სოციალიზმში – კომუნიზმის აშენების იდეა).

იმპერიული მოდელი

როგორც ვთქვით, რელიგია იქ იმარჯვებდა, სადაც სახელმწიფო აღწევდა წარმატებას. მხოლოდ რელიგიური აფეთქება, როგორც ეს მოხდა ქრისტიანობასა და მუსულმანობაში, არ კმაროდა. რწმენას მახვილი უნდა შეშველებოდა, სისხლისღვრა, ტერიტორიის მიტაცება, ქვეყნის დაპყრობა გამართლებული უნდა ყოფილიყო. ეს მეომარს მეტ რწმენასა და ენერგიას აძლევდა, უზრუნველყფდა ქვეყნის მთლიანობასაც, რადგან რწმენის მიღმა იდგა უზენაესი და შეუცნობელი ძალა.

ერთი მეფე, ერთი ღმერთი, ერთი სახელმწიფო, ერთი ენა – ასეთი იყო იმპერიების სლოგანი და ამ იდეის აღსასრულებლად სწირავდნენ სიცოცხლესა და ძალას. განუზომელი მსხვერპლი ახლდა ამ

ლაშქრობებს, თუმცა მსოფლიო იმპერია ვერ შეიქმნა. მაგრამ ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ადამიანური პოტენციალის ამოქმედებისა და კონცენტრირებისათვის, რასაც მოჰქონდა პროგრესი. ასეთი ძალმომრეობისა და ძალადობის გარეშე ასპარეზი ვერ ექნებოდა ენას, კულტურას, ცივილიზაციას, ტექნიკას და კაცობრიობა დარჩებოდა თავის სოფლებსა და ქოხებში მიმოფანტული.

როცა არსებობდა რომის იმპერია, ყველა გზა რომში მიდიოდა. ის იყო კულტურის ცენტრი, ის ასხივებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს. სხვა ყველა ბარბაროსი იყო.

რომაულ სივრცეში ჩამოყალიბდა ერთიანი ცივილიზაცია.

როცა დიდი ბრიტანეთი კოლონიებად ინაწილებდა მსოფლიოს, როცა პორტუგალიელები და ესპანელები იპყრობდნენ ამერიკის კონტინენტს, როცა ევროპელები ძარცვავდნენ აფრიკას, ეს მხოლოდ სისხლისღვრა როდი იყო, არამედ – კულტურის გავრცელებაც. ეს პროცესი სასტიკი იყო, მაგრამ გარდაუვალი. უამისოდ ეროვნული, ტომობრივი თუ ენობრივი კარჩაკეტილობა ვერ დაირღვეოდა – ნებაყოფლობით არავინ დათმობდა თავის ღმერთებს, რწმენას, მიწას.

ეგოისტური ბირთვის დათრგუნვის გარეშე ადამიანთა ურთიერთობა ვერ იარსებებს. მაგრამ იმპერიული მოდელი არ სცნობს თანასწორობას. აქ არის მეტროპოლია და კოლონია, ცენტრი და პერიფერია. ადამიანური ღირებულებები, ფასეულობები, ღირსებები არის კოლონიზატორთა ხელში. ისინი თავს თვლიან უმაღლეს რასად, კულტურ-ტრეგერებად. ამიტომ თეთრკანიანი თუ ყვითელკანიანი იყო მონობისა და ჩაგვრის ობიექტი.

მკაცრად იყო განსაზღვრული რელიგიური, რასობრივი, ნაციონალური და სოციალური იერარქია.

მმართველი ელიტა არ ითვალისწინებდა მასების ინტერესებს: ელიტა აპრიორულად განასახიერებდა მთელს ერს, რომელიც მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

იმპერიის სამსახურში იდგა რელიგია და შესაბამისად მის მიერ ფორმირებული კულტურაც.

ცალკეული ეთნიკურად უცხო, მაგრამ აქტიური და ნიჭიერი პერსონაჟები იკეთებდნენ კარიერას თუ მიიღებდნენ იმპერიის რელიგიას და კანონებს (მაგ., რომში, ოსმალეთში, რუსეთში, სსრკ-ში), რაც ასევე გლობალიზების ნიშანი იყო,

იმპერიული მოდელი არსებობდა იძულების, ძალადობისა და ომების ხარჯზე (იხ. „სახელმწიფო და ომი“). მაგრამ დემოკრატიზების პროცესმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოსპო იმპერიალიზმი და კოლონიალური სისტემა (მაგ. 1960 წელს გაერომ 17 ყოფილი კოლონია მიიღო თავის წევრად).

იმპერიული მოდელიც ისტორიის კუთვნილებაა.

იდეოლოგიური მოდელი

ახალ დროში მოქმედებას წინ უსწრებს იდეოლოგიური კონცეფციები, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო, კლასები, საზოგადოებრიობა, კულტურა. იდეოლოგია ხშირად ებრძვის ან უგულველყოფს რელიგიას, თუმცა მის ზეგავლენას თავს მაინც ვერ აღწევს. ამასთან ერთად ინახავს იმპერიულ ოცნებასაც.

ასე რომ იდეოლოგია იერთებს რელიგიურ და იმპერიულ იდეებსაც და დროის შესაბამისად გარდაქმნის. ზოგჯერ კი ემყარება კიდეც (მაგ., ევროპოცენტრიზმი). ხშირად მას ახდენა არ უწერია და რჩება თეორიულ თვალსაზრისად. მაგრამ დიდი ხნის მანძილზე აღელვებს ადამიანთა ოცნებას. თუ მიეცემა საშუალება, ძველი მრწამსი ახალი ძალით იფეთქებს.

ასე მოხდა, როცა პანგერმანიზმი ნაციონალ-სოციალიზმად იქცა. გერმანელმა ფილოსოფოსებმა, კულტურის მოღვაწეებმა, გენერლებმა შექმნეს ეს მოძღვრება, რასაც ამზადებდა ამ ერის დიდი ისტორია. მათ მოახერხეს ცოდნის ყოველ სფეროში, ხელოვნების ყოველ დარგში განსაკუთრებული წარმატების მიღწევა, ადამიანურ

ურთიერთობათა რაციონალიზება, წესრიგისა და დისციპლინის შემუშავება. შემდეგ კი გაერთიანებაც შეძლეს.

გერმანელები 600 წელი ებრძოდნენ რომის იმპერიას და ბოლოს დაამხეს კიდეც. გერმანული ტომები მოედვნენ მთელს ევროპას და არაერთი სახელმწიფო დააარსეს რომის იმპერიის ნანგრევებზე.

მათგან ერთმა – გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიამ XIX საუკუნემდე მოატანა. მისი მემკვიდრეა დღევანდელი ავსტრია.

გერმანული ტომები მონაწილეობდნენ საფრანგეთის (ფრანკები), ინგლისის (ანგლო-საქსები), იტალიის, ესპანეთის სახელმწიფოებრივ ფორმირებაში. მათი შთამომავლები არიან ნორვეგიელები, შვედები, ჰოლანდიელები, დანიელები, შვეიცარიელები, ფლამანდიელები, ისლანდიელები.

გაერთიანებულ, ძლევამოსილ გერმანიას უნდა ეცხოვრა ვიწრო ევროპულ სივრცეში. მაშინ როცა ინგლისელები, ესპანელები, პორტუგალიელები, ჰოლანდიელები, ფრანგები ვრცელ კოლონიებს ფლობდნენ სხვადასხვა მატერიკზე; ენერგიისა და ინტელექტის სიჭარბე, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ტერიტორიის სიმცირე აიძულებდა საზღვრების გაფართოებას (ძველი პაროლი – „Drang nach osten“).

პანგერმანიზმი ამკვიდრებდა ოდინის ძეთა განსაკუთრებულ მისიას და მოვალეობას. ამ შეგნებით იყო გაჟღენთილი არა მხოლოდ ინტელექტუალი ან გენერალი, არამედ – რიგითი გერმანელიც. საკუთარი უპირატესობის შეგნება იძლეოდა ბიძგს მოქმედებისათვის. როცა ეს განცდა დოქტრინად იქცა და გადავიდა პოლიტიკაში, ომი გარდაუვალი იყო.

XX საუკუნეში გერმანიამ გადაიხადა ორი უდიდესი ომი, ორი მსოფლიო ომი. არნახულ დანაშაულთან და სისხლისღვრასთან ერთად ისტორიას დარჩა სიმამაცისა და ინტელექტუალური გმირობის უამრავი მაგალითი. მათ ახალი გეზი მისცეს ცივილიზაციას (მაგ., ნაციონალური მოძრაობა კოლონიებში).

პანგერმანიზმი იყო როგორც ევროპოცენტრიზმის განვითარება და დაკონკრეტება, ისე ამბოხი ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ (შდრ – კათოლიციზმი და ლუთერანობა, რომის იმპერია და გერმანული ტომები).

ევროპოცენტრიზმის ფუძე არის ელადა და რომი, ისევე როგორც პანგერმანიზმისათვის.

როგორც მკითხველმა იცის, ბერძენისა და რომაელისათვის ყველა არათვისტომი, ყველა უცხოელი იყო ბარბაროსი – ქვესკნელში მცხოვრები. შუასაუკუნეების ევროპელისათვისაც ევროპა იყო ქვეყნის ცენტრი, ევროპეიდული თეთრი რასა – უმაღლესი ღირსებისა, კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელი.

ამ მსოფლგანცდას განამტკიცებდა ქრისტიანული რწმენა, რათა დათრგუნული ყოფილიყო წარმართობა და ველურობა, მოძალებული მუსულმანობა, რომელიც ფეხს იკიდებდა ევროპის კონტინენტზეც.

ნეგროიდული და მონგოლოიდური რასები, ინდიელები ევროპელს მიაჩნდა დაბალი ღირსების ხალხებად, მუსულმანები – ურჯულოებად. ამის შედეგად თვლიდნენ თავიანთ ცივილიზაციურ უპირატესობას. ევროპეიდის რჩეულობის იდეა კი იყო სხვათა განადგურების, მოსპობის, დამონების, მათი მიწების მიტაცების გამართლება.

მოგვიანებით, როცა აღმოაჩინეს ძველი აღმოსავლეთი, ეგვიპტე და მესოპოტამია, ინდური და ჩინური კულტურები – ევროპა დაინტერესდა აღმოსავლეთით. შემდეგ აფრიკული და ამერიკელ ინდიელთა ცეკვისა და სიმღერის რიტმები, მითები და ლეგენდებიც შემოიჭრა. ამან თითქოს შეავსო ევროპელის მგრძნობელობა და თვალსაწიერი, რათა დაეძლია ცივი რაციონალიზმი.

ევროპელები ერთმანეთის სისხლს ღვრიდნენ, ერთმანეთს სტაცებდნენ ტერიტორიებს, წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს. მაგრამ აზიელების თუ აფრიკელების მიმართ ერთსულოვანი იყვნენ, რომ ისინი ცივილიზაციის დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში განათლება და კულტურა ევროპას უნდა შეეტანა. შემდეგ, როცა აღმოჩნდა შო-

რეული წარსული, როცა გაეცნენ დაპყრობილ ხალხთა ცხოვრებას, შენელდა ანტაგონიზმი.

ევროპოცენტრიზმის კრიზისმა გააცხოველა ინტერესი ორიენტალური სამყაროსადმი, აფრიკულ და ინდიელ ტომთა მოტივებისადმი, რათა ეპოვნათ დაკარგული მიწიერი საწყისი. ევროპოცენტრიზმი გლობალურ მოვლენად აქციეს გერმანიამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, რომელმაც ლამის მსოფლიო იმპერია შექმნა და ყველგან გაავრცელა ინგლისური ენა, ანგლიკანური ეკლესია, ევროპული ცხოვრების წესი.

მაგრამ ბრიტანული კოლონიალიზმი ხიშტებზე იდგა. როგორც კი გაბატონდა ლიბერალური ღირებულებები, დაიშალა კიდეც. ოღონდ სწორედ ლიბერალიზმის წყალობით აღიარებენ დღესაც მთელი რიგი ქვეყნები (მაგ., კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია) თავიანთი სახელმწიფოს მეთაურად დიდი ბრიტანეთის დედოფალს.

ევროპოცენტრიზმის ზეობას განამტკიცებდა კულტურა, ქრისტიანობა, ლიტერატურა და ხელოვნება, მუსიკა და ფილოსოფია, ცხოვრების წესი.

სსრკ აკრიტიკებდა ევროპოცენტრიზმს, დასავლეთის ქედმაღლურ დამოკიდებულებას აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათი კულტურისადმი (მაგ., შალვა ნუცუბიძე თავის წიგნს „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ მიიჩნევდა ევროპოცენტრიზმის დაძლევის ცდად).

ზოგი მოაზროვნისათვის კაცობრიობის ისტორია – ეს მხოლოდ ევროპეიზმის ისტორიაა.

დღეს ევროპულ კულტურას არ სჭირდება ძალდატანებით გავრცელება. მისკენ თავისთავად ისწრაფიან სხვადასხვა კონტინენტის შვილები, აღიარებენ მის უპირატესობას, ცივილიზაციურ ღირებულებას და ლიბერალური ევროპა ნელ-ნელა გახდა ადამიანური ცნობიერების უნივერსალობის სინონიმი.

ქართველობაც ყოველთვის ესწრაფოდა ევროპასთან სიახლოვეს. IV საუკუნიდან, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, დასავლეთს ქართველთა თვალში ბიზანტია განასახიერებდა. მაგრამ მანამდეც, ჯერ ბერძენი, შემდეგ – რომაელი იყო განათლებისა და კეთილშობილების სინონიმი.

პარალელურად მძლავრობდა ირანული კულტურის ზეგავლენა, რაც დროდადრო სძლევდა ელინურ-რომაულს. მაგრამ IV საუკუნიდან ერთადერთი ნებაყოფლობითი ორიენტირი იყო ბიზანტია. აქ გადამწყვეტი იყო ჯერ დიოფიზიტური, შემდეგ – მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

საქართველო დაიშალა მას შემდეგ, რაც დაეცა კონსტანტინეპოლი და ტრაპიზონი, გაწყდა კავშირი ქრისტიანულ ევროპასთან.

შემდეგ გამოჩნდა ახალი იმედი – რუსეთი, რომელსაც ჰქონდა პრეტენზია, ყოფილიყო მესამე რომი: ეგებ რუსეთს შესძლებოდა მუსულმანური ექსპანსიის შეჩერება.

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველო საბოლოოდ დაუბრუნდა ქრისტიანულ დასავლეთს და ერთადერთი ორიენტირი გახდა ევროპა, ევროპული სულიერი იდეალები.

ანთროპოლოგიურად, რწმენით, ისტორიით, გეოგრაფიულად საქართველო არის ევროპის ნაწილი და მის მომავალსაც განსაზღვრავს ევროპასთან ყოფნის პერსპექტივა.

ევროპოცენტრიზმს განუდგნენ სლავიანოფილები. მათ მიიჩნიეს, რომ რუსეთს ევროპისაგან განსხვავებული გზით უნდა ევლო, რათა განემტკიცებინა თვითმყოფადობა (რუსული პატრიარქალობა, მართლმადიდებლობა, კონსერვატიზმი), რასაც ზოგი ევრაზიულ კულტურას უწოდებს (ნიკოლაი ტრუბეცკოი).

ისინი უპირისპირდებოდნენ "ზაპადნიკებს", რომლებიც ხსნას ისევ ევროპისაგან ელოდნენ. ევროპოცენტრიზმის გაშლაა მასონობა, სიონიზმი და სოციალიზმი.

მასონობა ფარულად ესწრაფოდა ჰუმანისტური იდეალებით კაცობრიობის გაერთიანებას, ნაციონალიზმის დაძლევას და განდო-

ბილთა მიერ მსოფლიო მმართველობას. ამ იდეას იზიარებდა მრავალი მოაზროვნე (მაგ., ვოლტერი, ლესინგი, ფიხტე, მოცარტი, ჩერჩილი).

მასონობა იყო განმანათლებელთა ეზოტერული იდეების პრაქტიკაში გადატანის ცდა. ისინი თავიანთ ისტორიას უკავშირებდნენ სოლომონის ტაძრის მშენებლობას იერუსალიმში, ტამპლიერებისა და როზენკროიცერების რაინდულ ორდენებს. მასონობა თავისუფალ ქვისმთლელთა საძმოდ იწოდებოდა და ამიტომ აქცევდნენ არქიტექტურას განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ ეწადათ მისტიკური სიბრძნითა და განათლებით კაცობრიობა ექციათ ერთ ოჯახად; როგორც ქვები ცემენტით, ისე შეედუღებინათ ერები და ხალხები (მაგ., ე.წ. ბილდერბერგის კლუბი, დაარსებული როტშილდებისა და დევიდ როკფელერის მიერ).

სიონიზმი ებრაული ნაციონალისტური იდეოლოგიაა, რომლის მიზანი იყო ყველა იუდეველის დაბრუნება აღთქმულ მიწაზე, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ რადგან ეს შეუძლებელი ჩანდა, სიონისტები ცდილობდნენ ყველა ქვეყნის მთავრობაში შეღწევას, ამ ხერხით მსოფლიოს იდეოლოგიურ გაერთიანებას (შდრ – ლენინ-ტროცკის მთავრობა და პერმანენტული, მსოფლიო რევოლუციის იდეა).

ამ მხრივ სიონიზმი ენათესავება მასონობას. მათვე უკავშირდება სოციალიზმი. ისიც ერთი იდეოლოგიით ცდილობდა კაცობრიობის გაერთიანებას და საამისოდ ირჩევდა რევოლუციის გზას, სოციალური პრობლემების ძალისმიერ გადაჭრას, ჩაგრულთა ხსნას.

იგი ინტერნაციონალურ მოძრაობად ითვლებოდა.

მარქსისტები ოცნებობდნენ მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებაზე. კლასთა თანასწორობაზე, მჩაგვრელთა ლიკვიდირებაზე, ამქვეყნიურ სამოთხეზე, რომელსაც კომუნიზმი ერქვა.

თითქოს არც აინტერესებდათ კონკრეტული ერის ბედი.

ამ მიზნით შეიქმნა I, II, III, 2.5, IV ინტერნაციონალი. მათგან განსხვავდება სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელმაც უარი თქვა მარქსისტულ იდეოლოგიაზე.

ოციანი წლების ბოლშევიკები ებრძოდნენ პატრიოტებს, სამშობლოს ისტორიას, ოჯახს, სიყვარულს, მშობლიურ კულტურას, რელიგიურ რწმენას, ტრადიციებს, საზღვრების ურღვევობის პრინციპს, ე. ი. ჰგავდნენ დღევანდელ გლობალისტებს.

ისინი თავს მიიჩნევდნენ ინტერნაციონალისტებად და ამიტომ კრძალავდნენ რომელიმე ერის უპირატესობის ქადაგებას ან ეროვნულ დისკრიმინაციას.

ასევე განურჩეველი იყვნენ რასებისადმი.

მათ ინტერნაციონალიზმი გააიგივეს კოსმოპოლიზმთან (შდრ – ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

სსრკ ეომებოდა მესამე რაიხს. მაგრამ გერმანული ენა და კულტურა დიდად იყო დაფასებული საბჭოეთში. არც გერმანული სახელმწიფოებრიობა დამდგარა ეჭვქვეშ. მაგრამ სსრკ ქმნიდა სოციალისტურ კულტურას, რომელიც მკვეთრად იდეოლოგიური იყო და არ ცნობდა შემოქმედის თავისუფლებას.

შემდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გადაფარა რუსულმა შოვინიზმმა, რუსი გახდა „უფროსი ძმა“. კომუნიზმის იდეა იქცა კონკრეტული ერის იდეოლოგიად, რათა ასე გაბატონებულიყვნენ მსოფლიოში (შდრ – რუსეთი და ჩინეთი).

გლობალური მსოფლიოს მოდელი იყო სსრკ, რომლის გავრცობა ვერ მოხერხდა არათუ კაპიტალისტურ სამყაროზე, არამედ – სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზეც კი (მაგ., იუგოსლავია).

სოციალიზმს რუსეთში დახვდა პანსლავიზმი, ოცნება რუსი ხალხის მესიანიზმზე. ჩინეთში იგი იქცა ჩინოცენტრიზმად, რომელმაც დაიწყო გრძელვადიანი, მსოფლიოს დემოგრაფიული, უსისხლო დაპყრობა, რათა თავისი მილიარდნახევრიანი მოსახლეობით შესძლოს მსოფლიოს დამორჩილება, შემდეგ კი სულაც მონგოლოიდად გარდაქმნას ადამის მოდგმა.

ჩინეთის კანონმდებლობა ზღუდავს ერთზე მეტი შვილის ყოლას. ამიტომ ჩინელები მიდიან საზღვარგარეთ და იქ მრავლდებიან. მაგ., ერთხანს ისინი საკმაოდ იყვნენ საქართველოშიც.

საზღვარგარეთ დამკვიდრებისა და გამრავლებისათვის ჩინელები თავიანთი ხელისუფლებისაგან ღებულობენ დახმარებას, შეღავათიან კრედიტებს.

ევროპოცენტრიზმის ნაირსახეობად მიაჩნიათ ამერიკანოცენტრიზმი. მაგრამ ეს იყო ადრე. კარგა ხანია ამერიკანოცენტრიზმი ამერიკას თვლის კულტურისა და ცივილიზაციის ციტადელად, რომელიც ქმნის ახალ, განსხვავებულ კულტურას.

აშშ-ის მოსახლეობის 20-20 პროცენტს შეადგენენ ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და იტალიელები. ამ ქვეყნის ენაა გერმანიკული ჯგუფის ინგლისური. მაგრამ დრო მას აცილებს მშობლიურ ძირს და თანდათან გამოიკვეთა ამერიკული ვარიანტი. ჩამოყალიბდა ამერიკელი ერი, რომელსაც უკვე მხოლოდ წარმომავლობა აკავშირებს ევროპასთან. ამერიკელებმა საუკუნეთა მანძილზე შექმნეს ზემლიერი სახელმწიფო ახალი ტრადიციებით, ინტერესებით, თავისუფლების პრინციპებით და ახლა თავად განსაზღვრავენ სამყაროს მდინარებას. ამიტომ უწოდებდა ფრ. ნიცშე ამერიკას „ევროპის ქალიშვილს“.

თავიდან არც არავინ ხედავდა განსხვავებულ ამერიკანისტულ სწრაფვას. მაგრამ ამერიკული ცივილიზაცია წინ გაიჭრა, ცათამბჯენებით ზეცას დაემუქრა, დოლარით მსოფლიო ბაზარი დაიპყრო და შემდეგ გაჩნდა კითხვა ამერიკული კულტურის თვითმყოფადობაზეც.

ევროპელებს თუ სტანჯავთ სევდა წარსულზე, ამერიკული რომანტიკა მომავალზე ოცნებაა, რომელსაც არ სჭირდება ჰამლეტის ნაღველი.

ამერიკელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ინტელექტუალები თვლიან, რომ სწორედ მათ ხვდათ წილად, რომ დედამიწაზე საბოლოოდ დაამკვიდრონ მშვიდობა და კეთილდღეობა, ჰუმანიზმისა და

დემოკრატიის პრინციპები, ბოლო მოუღონ ერებს შორის გაუთავებელ შუღლსა და კონფლიქტებს.

ახლა ისინი გამოდიან ბებერი ევროპის მხსნელის როლში. ამერიკის რევოლუციას ადარებენ ებრელების ეგვიპტიდან გამოსვლას, ჯორჯ ვაშინგტონს – მოსეს. ქმნიან თავიანთ ნაციონალურ მითს, რომლის მთავარი თარიღებია – დამოუკიდებლობის დღე, ვაშინგტონის დაბადების დღე, მადლიერების დღე.

„ამერიკული ოცნებაა“ (შდრ – „ქართული ოცნება“), რომ აშშ გახდეს ამქვეყნიური სამოთხე. ამას აღწევენ კიდეც ცივილიზაციის ტრიუმფით, საყოველთაო კეთილდღეობით, სამხედრო ძლიერებითა და ადამიანის უფლებათა დაცვით.

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ისინი არიან მათი შთამომავალნი, ვინც ეძებდა თავისუფლებას ამ მიწაზე. მათ ეს შეძლეს და ახლა ისინი არიან თავისუფლების მისიონერები. მიწა, რომელიც ჰპოვეს მათმა წინაპრებმა, იყო ველურებით დასახლებული, მწირი და უდაბური. მათ აითვისეს ეს უცხო კონტინენტი, რომელსაც მიაგნო ქრისტეფორე კოლუმბმა. გაწმინდეს იგი და გამოავლინეს ადამიანის გონის ახალი პოტენციალი.

მაგრამ ასპარეზზე გამოვიდა ახალი იდეოლოგიაც – ეს არის აფროცენტრიზმი.

აფრიკა ფაქტიურად ამერიკის შემდეგ აღმოაჩინეს და აითვისეს. მანამდე იცნობდნენ მხოლოდ ნილოსის აუზსა და ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლს. შემდეგ, როცა განვითარდა ტექნიკა, დაიწყეს ოკეანისა და უდაბნოს ძლევა.

აფრიკა თეთრი კოლონიზატორების ხელში აღმოჩნდა. შავკანიანი მოსახლეობა მონად აქციეს. ისინი, როგორც პირუტყვი, ისე გადაჰყავდათ ამერიკის კონტინენტზე და იქაც სასტიკად ექცეოდნენ.

მხოლოდ 150 წლის წინათ აიკრძალა მონობა. მაგრამ შემდეგაც გაგრძელდა ზანგების დისკრიმინაცია.

II მსოფლიო ომის შემდეგ გაიღვიძა „შავმა კონტინენტმა“, დალეწა ბორკილები და თავისუფლებას ეზიარა. შავკანიანები თეთ-

რების სიძულვილს სიყვარულით ვერ უპასუხებდნენ. თავისუფლებისაკენ სწრაფვამ მათ წიაღში მოამწიფა ნეგრიტიანული ნაციონალიზმი.

შავკანიანები სწავლობდნენ ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს, რუსულს, სწავლობდნენ ევროპის, ამერიკის, სსრკ-ის უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ., პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტი მოსკოვში), იძენდნენ ცოდნას, ქმნიდნენ თავიანთ ინტელიგენციას (მაგ., ლეოპოლდ სენგორი, სენეგალის პირველი პრეზიდენტი, პოეტი და ფილოსოფოსი, აფროცენტრიზმის იდეოლოგი, წლების მანძილზე იყო საფრანგეთის მთავრობის მინისტრი).

მათ არ იკმარეს თანამედროვე შავკანიანთა განფენის რუკა და თავიანთ რასას მიაკუთვნეს სემიტებიც – ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბაბილონელები.

ასე შეიქმნეს ისტორიული საყრდენი, თუმცა აფროცენტრიზმის პირველი იდეოლოგები იყვნენ ამერიკელები – ბლაიდენი და კრამელი, გერმანელი ფრობენიუსი.

აფროცენტრისტები დაუპირისპირდნენ ევროპოცენტრისტებს, განასხვავეს ეს ორგვარი მგრძნობელობა და აზროვნება, გამოარჩიეს აფრიკული კულტურის სპეციფიკა, როგორც ბუნებრივი და მიწიერი. თუ ევროპელი უპირისპირდება ობიექტს, კლავს და სპობს, აფრიკელი არ სცნობს დისტანციას. იგი ბუნების შვილია, ცხოვრობს ობიექტთან ერთად და არ ებრძვის მას; მთელი სხეულით განიცდის სამყაროს რიტმს და ეს კოსმიური შეგრძნება აწყნარებს ნერვებს. იგი ვლინდება როგორც როკვა და სიმღერა, მუდმივი მოძრაობის რიტმი.

ზოგი თვლის, რომ აფრიკა არის არა კონტინენტი, არამედ – კონცეფცია, რომ აფრიკის გაგრძელებაა მანჰეტენის გეტოები და ლონდონის გარეუბნები, კარიბის კუნძულები და რიო-დე-ჟანეიროს კვარტალები.

აფროცენტრიზმი პერსპექტივაში თავს მიიჩნევს მომავლის კულტურად, ეს მაშინ, როცა ამერიკანიზმი დღევანდელობაა, ხოლო ევროპეიზმი დაბერდა და დაისს მიუახლოვდა.

აზიოცენტრიზმის განშტოებებია არაბული ნაციონალიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, პანთურქიზმი (შდრ – სულეიმან ბრწყინვალისა და მისი დიდვეზირის – ვენეციელი იბრაჰიმის ოცნება რომის დაპყრობაზე).

ამ ჭიდილში, კონკურენციასა და დაპირისპირებაში გამარჯვებულია გლობალიზაციის ამერიკული მოდელი, რომელმაც ყველაზე ეფექტურად შეაერთა ძალა, გონი, ეკონომიკა, ტექნოლოგია, იდეოლოგია, მთელს მსოფლიოში გადაანაწილა თავისი კადრები და ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა როგორც ახალი რომი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა „ცივ ომში“ გამარჯვების შემდეგ (ზ. ბჟეზინსკი, ჰ. კისინჯერი). იგი ემყარება არა რელიგიურ რწმენას ან იმპერიულ იძულებას, სოციალისტური თანასწორობის იდეას ან ნაციონალურ-სოციალისტური მოვალეობის პრინციპს, არამედ – თავისუფალ პრაგმატულ არჩევითობას.

ტექნიკურ-ეკონომიკური მოდელი

ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესი იდეოლოგიისა და ძალდატანების გარეშეც აახლოებს ერებსა და სახელმწიფოებს. ეს არის ნელი, ბუნებრივი, გარდაუვალი პროცესი, რომლის მიზანია სახელმწიფოთა ჰარმონიული, კეთილმეზობლური თანაარსებობა. მაგრამ „აგრესიული გლობალიზმი“ ამ სტიქიური მიმდინარეობის მართვას ცდილობს, რასაც მივყავართ დაჩქარებულ უნიფიკაციამდე.

„აგრესიული გლობალიზმის“ არსი ამერიკანოცენტრიზმია, რომელიც აშშ-ის სახელმწიფოებრივი ძლიერებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით არეგულირებს მიმდინარე პროცესს.

ტექნიკა და ეკონომიკა არის საყრდენი თანამედროვე დემოკ-რატიისა და პოლიტიკისათვის. წარმოება და ბაზარი შეუმჩნევლად აახლოებს ადამიანებსა და სახელმწიფოებს, როგორც საარსებო ინ-ტერესების რეალიზება, რომელსაც ახლავს როგორც წარმატება, ისე მარცხი. მწარმოებელს სახელმწიფო და კანონები სჭირდება, რათა ხელი არ შეეშალოს. იგი თავისი პროდუქციით, თავისი ნაწარმით არჩენს და ავითარებს საზოგადოებას.

სახელმწიფოს სიძლიერეს კი განსაზღვრავს ეკონომიკა. მეწარმე ეძებს გასაღების ახალ ბაზრებს, ეძებს იაფ ნედლეულსა და მუშა-ხელს. ამიტომ წარმოება გადააქვს სხვა, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ეს არის ორმხრივი მოგება – ბიზნესმენი, ინვესტორი ავი-თარებს თავის წარმოებას, ხოლო ქვეყანა, სადაც იგი აგებს ფაბრიკა-ქარხნებს, ეცნობა და ეუფლება ახალ ტექნოლოგიებს, ღებულობს მეტ მატერიალურ ანაზღაურებას, ყიდულობს უახლეს საქონელს, ამოიწევა ჩამორჩენილი ეროვნული ეკონომიკა.

ბიზმესმენი კი გადადის ისევ ახალ გარემოში, იმატებს ახალ ობიექტებს, სადაც ფულს დააბანდებს, აითვისებს ბაზრებს. ამის შედეგად კი ყალიბდება საწარმო და სავაჭრო საერთაშორისო ქსელი. ბანკები, კომპანიები, ფირმები, კონცერნები, კარტელები ეუფლებიან მთელ მსოფლიოს, აარსებენ ფილიალებსა და წარმომადგენლობებს. მაგ., „სტანდარტ ოილ ოვ ნიუ-ჯერსი“, „კრაისლერი“, „ფორდი“, „ნეს-ტლე“, „როიალ დაშჩელი“, „იუნილევერი“, „ლევი შტრაუსი“, „ერიქ-სონი“, „სიმენსი“, „გრიუნდიკი“, „ფილიპსი“, „ჰიტაჩი“, „არისტონი“, „სამსუნგი“...

ეს სახელები ის სიგნალებია, რაც ყველამ იცის და ეს ცოდნა აერთიანებს ადამიანთა ინტერესებს, როგორც პაროლი.

მათი წარმატება ხელს უწყობს საერთო პროგრესსა და კეთილ-დღეობას, ჩნდება მეტი მოთხოვნა, დაკმაყოფილების საშუალება, წარმოების გაფართოების პერსპექტივა, რითაც იქსელება გლობალუ-რი სისტემა.

ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარ მიმართულებად მიიჩნევენ საერთაშორისო ვაჭრობას, ფინანსურ ოპერაციებსა და წარმოების ფაქტორებს.

წარმოებისათვის აუცილებელია ნედლეული. მაგრამ დღეს მთავარია მისი მაღალტექნოლოგიური გადამუშავება. ამიტომ რუსეთი, რომელიც ფლობს ყველაზე მეტ ბუნებრივ ნედლეულსა და სასარგებლო წიაღისეულს, დიდად ჩამორჩება იაპონიას, რომლის წარმოება თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული.

ეკონომიკური გლობალიზაციაც ემყარება ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერებისა და ცივილიზაციის მიღწევებს, მათი მონაცემების რაციონალურ გამოყენებას, რათა შესაძლებელი გახდეს მაქსიმალური წესრიგისა და კეთილდღეობის მიღწევა.

შრომა და შრომის ორგანიზაცია, უახლესი ტექნოლოგიები, დიზაინი, ვაჭრობა, მარკეტინგი აერთიანებს წარმოებისა და განაწილების სტადიებს.

ეკონომიკა არ არსებობს ბუნების, ბუნებრივი პირობების გარეშე, რაც გულისხმობს ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებას. ინვესტორი, რომელიც მოდის ჩინეთიდან და საქართველოში აშენებს ელექტროსადგურებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ გარემოს, ნაკლებად იცავს ეკოლოგიურ წონასწორობას. ასევე იქცევა თურქიც, რომელიც ჭოროხზე აშენებს ჰიდროელექტროსადგურს. არც მას აინტერესებს, ამ მშენებლობის შედეგად დაზიანდება თუ არა ჭოროხის შესართავთან შავი ზღვის სანაპირო, სადაც მდინარე შლამს ვეღარ ჩაიტანს. აქ სიტყვას ამბობს სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია დაიცვას თავისი ტერიტორია, თავისი მოქალაქეები, მათი მომავალი.

ამერიკული კვლევების თანახმად, ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნებია – რუსეთი, აშშ, საუდის არაბეთი, ირანი, ჩინეთი, ბრაზილია, ავსტრალია, ერაყი და ვენესუელა.

რუსეთის საერთო მარაგის ღირებულებაა 75,7 ტრილიონზე მეტი, აქედან – ნავთობი 60 მლრდ ბარელი (7 ტრილიონი $), გაზი –

47,6 ტრილიონი კუბ. მეტრი (19 ტრილიონი $), ტყე – 1, 95 მლრდ აკრი (28 ტრილიონი $).

დღეს, როცა არსებობს ერთიანი საინფორმაციო სივრცე, როცა კაცობრიობას კი არ თიშავს, არამედ – აერთიანებს ზღვა, ჰაერი და ხმელეთი, როცა შეიძლება სახლების, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების სწრაფი და ეფექტური მშენებლობა, სწრაფი გადაადგილება, სწრაფი ფულადი მიმოქცევა – ტექნიკური პროგრესი არის ეკონომიკური პროგრესის საფუძველი.

კაპიტალი და ფინანსები გადადის ქვეყნიდან ქვეყანაში, სძლევს დაბრკოლებებს, უეცრად თავჩენილ კრიზისებს, ეგუება ახალ-ახალ კანონებს, უძლებს დაბეგვრის განსხვავებულ წესებს, ზრდის დასაქმებულთა რიცხვს, ზრდის ხელფასებს, შესაბამისად მატულობს პენსიებიც (პენსია შემოიღო ბისმარკმა, როგორც მოქალაქეობრივი სოლიდარობით გამოხატული ანტიკაპიტალისტური ელემენტი).

ბიზნესის ცივილიზაცია ერთმანეთს ამგვანებს საწარმოებს, მაღაზიებს, არქიტექტურას, კინოხელოვნებას, ტელევიზიას, ესტრადას, ფერწერულ კომპოზიციებს, ქალაქებსა და ქვეყნებს. მაგ., თითქოს ამერიკის გაგრძელებაა იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, დუბაი, კუვეიტი...

როცა ბაზარი ღიაა, არის თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობა, რასაც მოსდევს გლობალიზაცია, ნებაყოფლობითი კავშირები, ურთიერთგაცნობა.

მაგ., ფოლადჩამომსხმელი გერმანული კონცერნის „ტისენ-კრუპის“ კომპანიები მსოფლიოს 80 ქვეყანაშია, სადაც მუშაობს 182.425 ადამიანი. 2010-2011 წლების საქონელბრუნვა იყო 49 მლრდ ევრო.

მსოფლიოს აერთიანებს ინტერნეტქსელი, თანამგზავრული სატელევიზიო სისტემა, საფონდო ბირჟები, საკრედიტო ბარათები, დოლარი და ევრო, ინგლისური ენა.

ამ პირობებში სრულად რეალიზდება სმითის, რიკარდოს, მარქსის თეორიები. მარქსისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ეკონომიკას, მატერიალურ – ტექნიკური ბაზის შექმნას,

რომლითაც უნდა მიეღწია მსოფლიო პროლეტარიატს კეთილდღეობისა და ერთიანობისათვის. ამისათვის იქმნებოდა ინტერნაციონალები, პარტიები, ხდებოდა რევოლუციები, შეიარაღებული ინტერვენცია და რეპრესიები, ძალადობით გარეკვა აღქმული ქვეყნისაკენ.

კომუნიზმი იყო მარქსისტული გლობალიზაცია, რაც მიუღწეველი დარჩა.

ზოგი თვლის, რომ დღეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებობს არა გლობალიზაცია, არამედ – ინტერნაციონალიზაცია. ამჯერად ტერმინებს არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ყალიბდება მსოფლიო წარმოება და მსოფლიო ბაზარი, რომელიც იოლად გადადის საზღვრებზე, იოლად აღწევს მახლობელ თუ შორეულ სახელმწიფოებში; ერთმანეთს ეხლართება უამრავი ბანკი, ფირმა და საწარმო, რომლებიც რეგისტრირებულია მსოფლიო სხვადასხვა კუთხეში.

მათი კონკურენტუნარიანი პროდუქცია იჭრება ყველა კონტინენტზე. ადამიანი იძულებულია შეასრულოს მსოფლიო ბაზრის კანონები, დაემორჩილოს მათ.

იაფი და მოდური საქონელი სდევნის ადგილობრივ ნაწარმს, ანგრევს ეროვნულ ეკონომიკას და, სურს თუ არა, საზოგადოებას აქცევს გლობალიზაციის ტყვედ.

მკვეთრად ირღვევა იმპორტ-ექსპორტის ბალანსი, ადამიანთა ქონების თანაფარდობა.

მაგ., მსოფლიოს 62 სუპერმდიდარი ადამიანის ქონება დედამიწის ნახევარი მოსახლეობის ქონების ტოლია.

ასე ხდება კულტურაშიც. მაგ., ჩვენ გაცილებით მეტს ვიღებთ ევროპული თუ ამერიკული კულტურიდან, ვიდრე გაგვაქვს ან ვქმნით.

ასეთი ცალმხრივი კონტაქტი აჩქარებს დამსგავსებას, არღვევს თავისთავადობას. მაგ., ჩვენი მოდერნისტები გატაცებული იყვნენ ევროპული კულტურით, აითვისეს მათი გამოცდილება და შეუფარდეს ქართულ სინამდვილეს. მაგრამ ამას არავითარი ინტერესი

ევროპაში არ მოჰყოლია, არც მაშინ, როცა ბოლშევიზმი მათ მოსპობით დაემუქრა.

ეს იყო როგორც ევროპოცენტრიზმის გამოვლენა, ისე ჩვეულებრივი პრაგმატიზმი: როცა თარგმნიდნენ და დიდი ტირაჟით ბეჭდავდნენ, დიდად მადლიერი იყვნენ; როცა ჩვენი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები გამოდიოდნენ, დარბაზი ტაშით ინგრეოდა, იბეჭდებოდა აღტაცებული რეცენზიები, მაგრამ რამდენიმე დღეში ეს არავის ახსოვდა (გავიხსენოთ ქართული დოკუმენტური ფილმი „მსოფლიო ტაშს უკრავს“).

ადამიანი მუდამ ოცნებობდა, რომ მეტი სარგებელი მიეღო ნაკლები შრომით, უმცირეს ძალთა ხარჯვით.

ამას აღწევენ უახლესი ტექნოლოგიები.

მაგრამ პროდუქციის სიუხვე, ჭარბწარმოება იწვევს გაუფასურებას, ინფლაციას, უმუშევრობას, რომელსაც აღარა აქვს ლოკალური სფერო.

გლობალიზაციის განმსაზღვრელია წარმოება და ბაზარი. მაგრამ კრიზისსაც წარმოშობენ, რომლის რეგულირება უჭირს ძლიერ სახელმწიფოსაც. ასე რომ ნაციონალური სახელმწიფო აწყდება მრავალ ბარიერს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედან. მას უწევს სტრუქტურის ტრანსფორმირება, რათა გაითვალისწინოს მრავალგვარი ინტერესები, უწევს ლავირება, რათა აიცილოს კონფლიქტები და მიაღწიოს წარმატებას. მაგ., საქართველოში ეს გაკეთდა სახელმწიფო საკუთრების უცხოური კომპანიებისათვის მიყიდვით, მათი ინვესტიციებისათვის შეღავათიანი პირობების დაწესებით, სხვადასხვა სახის კრედიტების მიღებით.

სახელმწიფო ხდება მსოფლიო ეკონომიკის განუყრელი ნაწილი, რომლის რყევა მკვეთრად აისახება ქვეყნის მდგომარეობაზე, ხოლო წარმატება – ნაკლებად. ამიტომ უწევს სახელმწიფოს ფუნქციების, სუვერენიტეტის, მიმართებათა სისტემის სახეცვლა.

ადამიანი მართავს მანქანას, ცოცხალ ორგანიზმს, საზოგადოებას, სახელმწიფოს, მართავს სხვადასხვა ხერხებითა და ბერკეტებით,

მართავს ცალკეულ ტენდენციებს; სასურველს უქმნის უკეთეს პირობებს, რათა გამოიყოს, გამოირჩეს, როგორც კონტრკულტურა.

ასე ხდება გლობალიზაციის მიმართაც.

ზოგი თვლის, რომ იდეოლოგიების შეჯახება შეცვალა ცივილიზაციების შეჯახებამ (მაგ., ს. ჰანთინგტონი). მაგრამ ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი ამ სიმწვავესაც გაანელებს.

გლობალიზაციამ გარდაქმნა საზოგადოება და სახელმწიფო, პიროვნება და კულტურა. მეტნაკლებად ეს პროცესი შეეხო ყველა ქვეყანას. მაგრამ ყველაზე გლობალიზებულად მიაჩნიათ სინგაპური და ბელგია.

ენა – ბარიერი

გლობალიზაციას, ხალხების დაახლოებას, ხალხთა კავშირს ყველაზე მეტად აბრკოლებს ენა. ეს არ არის ბარიერი ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტისათვის. მაგრამ ელიტა საზოგადოების უმცირესი ნაწილია, ხოლო მასები – მილიარდები. უდიდესმა ნაწილმა იცის მხოლოდ მშობლიური ენა. ენების რიცხვი კი, როგორც ადრე ვთქვით, ათასობითაა. ამას ერთვის დიალექტების სიმრავლე, რაც ხდება ადამიანთა გაუცხოების მიზეზი.

ელიტამ ეს იცის და ტოლერანტულია ენობრივი განსხვავებისა და სიმრავლის მიმართ. მაგრამ მასა მტკივნეულად რეაგირებს, რადგან ენა არის კომუნიკაცია. როცა არ გესმის ენა, კონტაქტს ვერ ამყარებ, სხვას ვერ უგებ, სხვა ვერ გიგებს, რასაც მოსდევს კონფლიქტი და გათიშვა.

ამიტომაც აურია ენა უფალმა ბაბილონის გოდოლის მაშენებლებს. ახალი გოდოლი რომ აღიმართოს, საჭიროა თანხმობა ანუ ერთი ენა. რაც უნდა ამტკიცო, რომ ინგლისური არის საერთაშორისო ენა და მისი მეშვეობით ყველა შევძლებთ საერთო კომუნიკაციის

შექმნას, მაინც არაფერი გამოვა. ჯერ ერთი, ინგლისური იცის მცირე ნაწილმა, თანაც – არა მშობლიურზე უკეთ. ახლო მომავალში არც არის პერსპექტივა, რომ იგი მშობლიურის ტოლფასად ეცოდინება საზოგადოების საგრძნობ ნაწილს.

თავად ინგლისში საუკუნეების მანძილზე სახელმწიფო ენა იყო ფრანგული ანუ ენის გავრცელების ლოკალს განსაზღვრავს ქვეყნის ძლიერება.

დღეს ევროკავშირს აქვს სამი სამუშაო ენა – ინგლისური, გერმანული და ფრანგული.

ელიტა დამთმობია, ლოიალური და მერყევი – თავისი ცოდნის გამო, მაგრამ მასები ინსტინქტურად ერთგულობენ მშობლიურსა და პირველხილულს, მას, რაც იციან, მას, რასაც იცნობენ. არადა – მათ ცოტა იციან, მცირე რამეს იცნობენ. ეს არის კონსერვატიზმის საყრდენი, ეს არის დამცავი ჯავშანი.

კომპიუტერი, ინდუსტრია, პოლიტიკა, ტურიზმი, ესტრადა, ტელევიზია უფრო და უფრო მეტად ავრცელებს ინტერნაციონალურ ლექსიკას, სინტაქსურ ფორმებს, ავრცელებს ქალაქად და სოფლად, სახლებსა და ქოხებში, მოხუცის თუ ყმაწვილის ცნობიერებაში. მათ მოაქვთ საერთო განწყობილება, რაც შეუმჩნევლად ამცირებს მშობლიურ წარმოდგენებს. ენას ეძალება ბარბარიზმი, შერყვნილი ფორმები (მაგ., ერთი ჟურნალისტი ტელეეკრანიდან ლაპარაკობს „ფეხმძიმე ძროხაზე“, შემდეგ მინისტრი ახსენებს „დედალ ძროხას“, თითქოს არსებობდეს „მამალი ძროხაც“). მათი მოგერიება შეუძლებელია, იმდენი უხილავი ნასვრეტიდან იჭრებიან. ისინი მოჰყვებიან ცივილიზაციას, ტექნიკის ტრიუმფს, ახალ საგნებს. მათ ყველა ეტანება – კომფორტი, კარგი ცხოვრება, კარგი ბინა და მანქანა ყველას უნდა. ტექნიკური პროგრესი ყველაფერს აერთიანებს, ყველაფერს ათანასწორებს.

შეუმჩნევლად, ნელ-ნელა, თვალსა და ხელს შუა იცრიცება მშობლიური წარმოდგენები, საგნები და სიტყვები, იცრიცება და ხელიდან გეცლება.

რაც უფრო წინ მიდიხარ, მით მეტად სწყდები მშობლიურ ძირებს და უერთდები იმ ერთგვარობას, რასაც ადრე კოსმოპოლიტიზმი ერქვა. მაშინ ეს იყო მომავლის ნაადრევი დაწყება და აშკარა დაპირისპირება ნაციონალურ სულთან. დღეს ყველგან ერთნაირი სერიული გარემო მზადდება და ამ გათქვეფის პროცესს ყველაზე მკვეთრად აკავებს ენა, არა მხოლოდ ჩამორჩენილი, არამედ – მაღალკულტურულიც.

მაგ., ჩინელი არ დათმობს თავის მეტყველებას, არ გადავა ინგლისურზე. არც გერმანელს, ფრანგს ან ესპანელს ექნება სურვილი, რომ ერთი რომელიმე ენა გაბატონდეს. მხოლოდ ჩინელი და ამერიკელი ოცნებობს ერთი ენით მსოფლიოს ამეტყველებაზე. ეს უკავშირდება ამ ქვეყნების როგორც წარმატებას, ისე დემოგრაფიულ ექსპანსიას და კაცთა მოდგმის ერთად ყოფნის პერსპექტივას. ეს პერსპექტივა როგორი იქნება, დღესაც ბუნდოვანია, ისევე როგორც კომუნიზმის განთიადი. მაგრამ სახელმწიფოები და ერები რომ იცვლებიან, ეს ყველასათვის აშკარაა. იცვლებიან და ერთმანეთს უახლოვდებიან, ერთმანეთს ემსგავსებიან.

ამ ერთად ყოფნის გზაზე, როცა ყველგან ერთნაირი ბინა, მანქანა, ავეჯი, პროსპექტი, შენობა, ტელეფონი და ტანსაცმელია, მაინც რჩება ურთიერთგამთიშველი ფაქტორი – ეს არის ენა. ეს იცოდნენ XIX საუკუნეში და ამიტომ იგონებდნენ ხელოვნურ ენებს (მაგ., ესპერანტო, რომელიც 1887 წელს შექმნა ექიმმა ლ. ზამენჰოფმა).

ხელოვნურმა ენებმა ვერ გაამართლა, დიდ სახელმწიფოებს სულაც არ სურდათ საკუთარი დაეკარგათ, ბუნებრივი უარეყოთ და მინდობოდნენ იმ ექსპერიმენტს, რომელიც მასებს არ სწამდათ.

მოხდა პირიქით – ებრაელებმა აღადგინეს მრავალი საუკუნის წინათ დაკარგული ივრითი.

ენა არის გამაერთიანებელი ფაქტორი სახელმწიფოებრივ სივრცეში. სახელმწიფოს კი ქმნის ერთი ძირითადი ერი და მისი სახელი ეძლევა ქვეყანას. მაგრამ ქვეყნებს შორის კავშირისათვის იგი, როგორც უცხოობის საფუძველი, დაბრკოლებად იქცევა. ამგვარი დაბრ-

კოლება, როგორც ჯავშანი, იცავს ერს, რათა შეინარჩუნოს თავისთავადობა და სხვებთან არ აღირიოს.

მაგ., ნიუ-იორკის მცხოვრებთა 47% ლაპარაკობს თავის წინაპართა ენაზე.

ამიტომ გლობალისტები ებრძვიან სახელმწიფო ენას და ცდილობენ მის დაკნინება-დანაგვიანებას. საქართველოში ქართული ენა კონსტიტუციაში ფიქსირდება სახელმწიფო ენად. გაუქმდა ქართული ენის პალატა, სალიტერატურო ნორმების დამდგენი კომისია, მკვეთრად შეიზღუდა უნივერსიტეტებში ქართული ენის სწავლების არეალი, პრესა და ტელევიზია ამკვიდრებენ მღვრიე, ბარბარიზებულ, ვულგარიზებულ მეტყველებას, ახალგაზრდა მწერლები – უხამს სტილს და ამას ამართლებენ სიტყვის თავისუფლებით (იხ. „უხამსი მწერლობა – მიზეზთა შედეგი“).

რელიგია თავისი არსით კოსმოპოლიტურია და სახელმწიფოებს ტიპოლოგიურად აერთიანებს. ენა ნაციონალური მოვლენაა და მისი ინტერნაციონალიზება მხოლოდ დიდი სიფრთხილით თუ შეიძლება. ჭარბი უცხო კონტაქტები ენას უკარგავს ექსპრესიას, მგრძნობელობას, იგი ვეღარ ითვისებს ახალ საგნებს და რჩება მხოლოდ კომუნიკაციის, გაგებინების საშუალებად.

ენა გაუცხოების მინინუმს იძლევა ნაციონალურ სივრცეშიც. ეს არის დიალექტური მეტყველება, ეს არის იდიოლექტი. მაგრამ თვით გეოგრაფიული გარემოც ცვლის ენას (მაგ., ქალაქი და სოფელი, მთა და ბარი). ცვლის ინტელექტუალური გარემო, ზემოქმედებს პროფესიული ინტერესები. ურბანული პუნქტების დაცილება (მაგ., თბილისში, ბათუმში თუ ქუთაისში განსხვავებული ინტონაციით, ლექსიკითა და აქცენტით საუბრობენ), ოჯახი, პიროვნების ფსიქიკა, ხასიათი, განათლება.

დირექტივებით ენას ვერცერთი დიქტატორი ვერ აკრძალავს. იგი იარსებებს მანამ, სანამ ცოცხლობს ამ ენის შემოქმედი ხალხი. მხოლოდ ერის ასიმილირება, გადაგვარება, აღრევა სპობს ან რადიკალურად ცვლის მეტყველებას. ამიტომ აქვს პირველადი მნიშვ-

ნელობა საზოგადოების ფორმირებას, ახალ მენტალიტეტს, სახელმწიფოს ტრანსფორმაციას (მაგ., სულხან-საბას „სიტყვის კონა“ გვაჩვენებს თუ რამდენად შეცვლილა ქართული ენა ბოლო 300 წლის მანძილზე).

არ არის იმედი, რომ განვითარებული ნაციონალური ენები გადაშენდებიან, თუნდაც უახლოეს ათასწლეულში. ამიტომ ავრცელებენ ინგლისურს, როგორც პერსპექტივაში მეორე სახელმწიფო ენას, როგორც ეს ხდებოდა სსრკ-ში რუსული ენის მიმართ (მაგ., რესპუბლიკების კომპარტიის ცეკა და სუკი ფუნქციონირებდა რუსულ ენაზე).

მათ კონკურენციაში წარმატება ელის ინგლისურს, რომელსაც აქვს დიდი სახელმწიფოებრივი, მატერიალური და კულტურული მხარდაჭერა. იგი ამოძრავებს გლობალიზმის მთელ არსენალს (მაგ., სინგაპურის ოფიციალური ენებია – ინგლისური, მალაიური, ჩინური, ტამილური).

ინგლისური იქნება მსოფლიო საკომუნიკაციო საშუალება, როგორც მთავარი ენა გაეროსა და ევროსაბჭოში, მშობლიური ენა – შინ გამოსაყენებელი.

ასეთ როლს ასრულებს ჰუმანიტარებისათვის სემიოტიკა. იგი ინტეგრალური მეცნიერებაა, ისევე როგორც კულტუროლოგია და სწორედ ზოგადობისა და ტერმინოლოგიის გამო მიეცა პოლიტიკური დატვირთვა, ჩაერთო გლობალიზაციის პროცესში.

სემიოტიკა – სიმბოლურ – ნიშნადი ენა

მეცნიერული აზრის დიფერენცირება, დარგების განტოტვა მივიდა იმ ზღვრამდე, რომლის შემდეგ აუცილებელი იყო გამაერთიანებელი მოდელი. უამისოდ გაუცხოების ნაპრალი საბოლოოდ გათიშავდა ახალ ტენდენციებს, ძიება იქცეოდა თვითმიზნად.

ადრე ფილოსოფია იყო აზროვნების ფუძე. შემდეგ მას გამოეყვნენ ძირითადი მეცნიერებები, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო თუ მათემატიკური. ფილოსოფიას შერჩა უზოგადესი კატეგორიები, აბსტრაქტული ცნებები. მან ახალი იმპულსი შეიძინა მაშინ, როცა სიცოცხლეს, ადამიანურ არსებობას მიაპყრო მზერა. მაგრამ ეს მაინც ვერ აკავშირებდა გათიშულ სფეროებს, იმდენად დიდი იყო დაყოფა და დაცილება.

საჭირო ხდებოდა გამაერთიანებელი ცნებებისა და კატეგორიების ძიება, რომელსაც წარმოქმნიდა მეცნიერების, პოლიტიკის თუ ხელოვნების პროგრესი. თავისთავად ყველა დარგი დეტერმინირებული იყო, მაგრამ ერთმანეთის არაფერი გაეგებოდათ. მაგ., ფსიქოლოგიაში გაჩნდა მრავალი სკოლა. ყველა თავის სიმართლეს ამტკიცებდა და ყოველი მათგანი რაღაც დოზით შეიცავდა ჭეშმარიტებას. მაგ., ფსიქოანალიზი, გეშტალტფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი, განწყობის ფსიქოლოგია, ანალიზური ფსიქოლოგია, ხალხთა ფსიქოლოგია, შემოქმედების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია.

ყოველი მათგანი ისედაც ზოგადს ეძებდა. ხოლო ამ ზოგადთა ჯამი იქნებოდა უზოგადესი, რომელსაც თავისი სახელი უნდა დარქმეოდა. ასე მივიდა აზრის ძიება პოლიტოლოგიასა და კულტუროლოგიამდე. პარალელურად ასევე ხდებოდა ლინგვისტიკაში, ესთეტიკაში, ლიტერატურისმცოდნეობაში. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა კვლევის მეთოდის დამუშავება, კონცეფციის შექმნა, რომელიც მოერგებოდა კონკრეტულ მასალას, ამავე დროს – წარმოაჩენდა ფარულ კავშირებს, რაც მიემართებოდა ადამიანის გონს, ცნობიერების მოძრაობას.

ეს იქნებოდა გახედვა წარმოქმნილი დარგების მიღმა, მათი გაფანტვის შეჩერება და ახალი შეჯვარება, სინთეზი და ინტეგრირება.

ასე წარმოიშვა ჯერ სტრუქტურალიზმი, შემდეგ – სემიოტიკა – მოძღვრება ნიშანთა სისტემასა და მნიშვნელობაზე.

სემიოტიკა ისევე შეესატყვისება გლობალიზების პროცესს, როგორც ავანგარდიზმი და მასკულტურა, როგორც პოლიტოლოგია და კულტუროლოგია.

ჩარლზ პირსი ხაზს უსვამდა ნიშნის უნივერსალობას, ყოველი აზრი თუ ემოცია მიაჩნდა ნიშნად, როგორც საგნის პრედიკატი; ერნესტ კასირერისათვის ასეთი კოდი იყო სიმბოლო; ემილ ბენვენისტს ნიშანი მიაჩნდა სინამდვილის რეპრეზენპრირებად. თვით ნიშანს აქვს პოლივალენტური მნიშვნელობა, რასაც ნათლად ავლენს მხატვრული აზრი.

ერთი მხრივ, სემიოტიკა აღადგენს არქაულ სიმბოლურ-ნიშნად ენას, ოღონდ ახალი ცნებებით, მეორე მხრივ – სწორედ ახალი, უნიფიცირებული ცნებებით, ერთიანი ტერმინოლოგიით ამკვიდრებს გლობალიზებულ აზროვნებას. იგი ხელოვნურია და სულს ვერ ეგუება. მაგრამ გამოხატავს ერთიანობის იდეას, რათა ასე დაიძლიოს ნაციონალური ბარიერი და მაქსიმალურად გახდეს ურთიერთმაკავშირებელი, როგორც აზრის, ისე მეტყველების დონეზე. მას აინტერესებს არა ესთეტიზმი ან წარმოდგენა საგანზე, არამედ – საგნის არსი, ამ არსთა კავშირი.

ამასვე ცდილობდა სტრუქტურალიზმი. მაგრამ სემიოტიკა უფრო დასცილდა ტრადიციას და შემოიტანა მეტი ტერმინოლოგიური პირობითობა, რომელსაც სიზუსტეს ანიჭებს ინფორმაციის მათემატიკური მოდელირება.

ნელ-ნელა გადავდივართ აბსტრაქციების სფეროში. ქურუმის ბნელმეტყველება და სიმბოლური ენა სულიდან ამოდიოდა. ამიტომ ინახავდა იდუმალებას. სემიოტიკოსი ინტელექტუალურ მანიპულაციებს გადმოსცემს უცხო ენობრივი მონაცემებით, რაც ვერ აღწევს სულის სიღრმემდე, რჩება გონების ველზე. ამიტომ აკლია მიმზიდველობა და დამაჯერებლობა. მას არ ჰმოსავს ღვთაების შარავანდედი და ადგას მხოლოდ ტექნიკის სინათლე. ტექნიკას კი ეშმაკეულ ემანაციად მიიჩნევენ, რომელიც საჭიროა და აუცილებელი. მაგრამ სულს ეუცხოება.

ყოველი მოცემულობა – სურათი, რიტუალი თუ ქცევა ზოგი სემიოტიკოსისათვის არის ტექსტი. მხატვრული ტექსტი მისი მხოლოდ ერთი სფეროა. მაგრამ არც ეს უდრის ტრადიციულ ლიტერატურას. იგი უფრო არტეფაქტია ანუ სემიოტიკა ეძებს ფარულ მაერთიანებელ კავშირებს ნიშანთა სახით, ქმნის სამეცნიერო ესპერანტოს, როგორც გლობალიზაციის შესატყვისს. ასე შეცვალა ბუნებრივი ხელოვნურმა, გრძნობა – ინფორმაციამ, საგანი – ნიშანმა.

სემიოტიკა (მაგ., ფრანგული „ტელ კელის“ ჯგუფი) შეესაბამება ავანგარდისტულ ხელოვნებას. ამიტომ სამეცნიერო ინფორმაცია, ვულგარიზებული და გამარტივებული, გადააქვთ ლიტერატურაში, მხატვრობაში, კინოფილმებში.

სემიოტიკა ინტელექტუალური ელიტის სამეცნიერო ენაა. მასას კი პირველ რიგში მასმედია აძლევს გასაგები ენით სულიერ საზრდოსა და სატყუარს.

* * *

ამრიგად, იდეოლოგია, ტექნიკა, ეკონომიკა არ სცნობენ განმასხვავებელ ნიშნებს, სახელმწიფოთა საზღვრებს, რასებად და ერებად დაყოფას, მოქმედებენ სხვადასხვა მიმართულებით და ესწრაფიან საბოლოო მიზანს – ერთიან, გლობალიზებულ კაცობრიობას.

როგორც ცნობიერად, ისე არაცნობიერად ხდება სახელმწიფოს ტრანსფორმაცია, საზოგადოების რეფორმირება და ახალი მენტალიტეტის ჩამოყალიბება, შესაბამისად – კულტურის სახეცვლა: მასობრივის გავრცელება და ელიტარულის მასში ჩაძირკვა.

II. სახელმწიფოს ტრანსფორმაცია: დემოკრატია და უნიფიცირება

სახელმწიფოს სტრუქტურა, იდეოლოგია და ორიენტირი აისახება კულტურაში. აქ მთავარია არა დამოკიდებულება, იმპერატორის თუ პრეზიდენტის აზრი, როგორც ეს იყო ტოტალიტარულ ქვეყნებში, არამედ – შექმნილი ატმოსფერო, ჩამოყალიბებული ცნობიერება, ფორმირებული საზოგადოება, რომელიც წარმოშობს შესატყვის კულტურას.

გლობალიზაცია მოქმედებს სახელმწიფოს სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე, სახელმწიფო – საზოგადოებაზე და პირიქით. ორივე ერთად კი არის კულტურის მაფორმირებელი ძალა: ადრე ზეცაში ღმერთი იყო, მიწაზე – უფლის მონაცვლე მონარქი. ახლა ხალხი ირჩევს თავის მწყემსსა და წინამძღოლს.

სახელმწიფოს ცნების სახეცვლა ანელებს და ამცირებს ნაციონალობის განცდას, რაც კონფლიქტებისა და კატასტროფების მუდმივი წყარო იყო და არის.

სახელმწიფოსა და საზოგადოების ტრანსფორმაცია პირდაპირ თუ ირიბად თავს იჩენს კულტურის არსში. შემდეგ კულტურა ნერგავს ადამიანთა ცნობიერებაში პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ იდეალებს, ხშირად – თავად კულტურ-შემოქმედთა უნებურადაც.

ამიტომ შევეხოთ ორიოდე სიტყვით პოლიტიკურ პრობლემატიკასაც.

სახელმწიფო მანქანა

სახელმწიფო იქმნებოდა თავდაცვისა და თავდასხმისათვის. დამპყრობელი იყო ის, ვისაც სასიცოცხლო ინსტინქტები არ ასვენებ-

და, ვისაც ძალა ჰქონდა. სუსტი გადარჩენაზე ფიქრობდა და მოძალადეს ემორჩილებოდა.

სახელმწიფოს ფორმები იცვლებოდა (მაგ., იმპერია, რესპუბლიკა, ფედერაცია, კონფედერაცია). იცვლებოდა მმართველობის ფორმებიც (მაგ., საპრეზიდენტო და საპარლამენტო, მონარქია და კონსტიტუციური მონარქია), დამკვიდრდა ხელისუფლების მონაცვლეობა არჩევნების გზით, სხვადასხვა დონეზე და განსაზღვრული ვადით. მაგრამ არ შეწყვეტილა ფიქრი და დებატები მმართველობის სრულყოფაზე, ძალაუფლების ფორმირებაზე. მითი მმართველის ღვთაებრივ ჩამომავლობაზე ხელისუფალს ძალაუფლებას უნარჩუნებდა, შველოდა შიდა წესრიგის დასაცავად. ამას განამტკიცებდა სოციალური იერარქიაც, ურთიერთდამოკიდებულება მჩაგვრელ კასტასა და ჩაგრულ მასებს შორის. მაგრამ უცხო აგრესიისაგან ვერ იცავდა თუ სახელმწიფოს არ ჰქონდა ბრძოლის უნარი.

ყველა სახელმწიფოსათვის თავდაცვის საუკეთესო ფორმა იყო თავდასხმა, აგრესია, უცხო მიწების შემოერთება, უცხო ხალხის დამონება, მათი ქონების მითვისება. ზოგი თავის ძალას ეფექტურად იყენებდა (მაგ., რომაელები), ზოგი დროებით წარმატებას აღწევდა (მაგ., ჰუნები, ვიკინგები, ვანდალები).

საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა საზღვრები, ქრებოდა ერები და ენები. მათ ადგილს იკავებდა ახალი ძალა. უცვლელი იყო სახელმწიფოს ზოგადი სტრუქტურა, სადაც განმსაზღვრელი არის ერი, რომლის სახელიც ეძლევა ქვეყანას, რომლის ენაზეც ფუნქციონირებს სისტემა. მეტ-ნაკლებად სხვებიც მონაწილეობენ ქვეყნის აღმშენებლობასა, მმართველობასა თუ ომებში, მაგრამ ისინი აკეთებენ ძირითადი ერის საქმეს (შდრ – ქართველთა როლი ოსმალეთის, ეგვიპტის, ერაყი, სპარსეთის, სსრკ და რუსეთის ისტორიაში).

მმართველობის ეფექტური ფორმა იყო იმპერია. მაგრამ ახალ დროში, როცა გაიზარდა მასების თვითშეგნება და დადგა დემოკრატიზების აუცილებლობა, მწვავედ დადგა თავისუფლების პრობლემაც. ხალხთა კონგლომერატი იშლებოდა და თავად იმპერიაც თა-

ვის წიაღში აყალიბებდა დემოკრატიზების მოთხოვნილებას (შდრ – პერესტროიკის პერიოდი სსრკ-ში).

ამავდროულად ახალი ტექნიკის მიხედვით ხდებოდა იმპერიული სტრუქტურის მოდერნიზება. ამ ექსპერიმენტს ტოტალიტარიზმს უწოდებენ, სადაც ყველაფერი ცენტრალიზებულია და იდეოლოგიას დამორჩილებული (სტალინიზმი სსრკ-ში, ფაშიზმი – გერმანიასა, იტალიისა და ესპანეთში, მაოიზმი – ჩინეთში, მუსულმანური ფუნდამენტალიზმი – ჰომეინის ირანსა და თალიბების ავღანეთში), სადაც „ბარბაროსული ცეზარიზმი“ განაგებს მილიონების ბედს. იგი ქმნის თავის შესატყვის ხელოვნებას, სადაც ერთიანდება რომანტიკა, რეალიზმი და ჰეროიკა.

უმაღლესი მმართველი (ბელადი, ფიურერი) არა მხოლოდ განაგებს ქვეყანას, არამედ – თავად არის იდეების წყარო, სტიმული და შთაგონება. ტოტალიტარული ხელისუფლება თავისთავს ინიშნავს, თანაც – უვადოდ და კულტურისაგან მოითხოვს განდიდებას.

არცერთი სახელმწიფო არ არსებობს თავდაცვის სისტემისა და სპეცსამსახურების გარეშე. მათი ეფექტური მუშაობა არის ქვეყნის სიმტკიცისა და სიძლიერის გარანტია. ხოლო ფუნქციონირებას განსაზღვრავს არა მხოლოდ იდეოლოგია, კანონები და სამთავრობო გადაწყვეტილებები, არამედ – საიდუმლო ინსტრუქციები, შპიონაჟის სისტემა.

მაგ., აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში, რომელიც მთელ მსოფლიოშია გაფანტული, მუშაობს 120 000 კაცი. ბიუჯეტი შეადგენს 60 მლრდ დოლარს.

სააგენტო ახორციელებს რადიო-ელექტრონულ დაზვერვას, მოიპოვებს რადიო-სიგნალებს, ტეხს შიფრებს, ევალება დაშიფვრა და კოდირება, ფარული მოსმენები და ვიდეო გადაღებები, აღწევენ ბინებსა და ოფისებში.

იგი ფუნქციონირებს რადიო-ლოკალურ კომუნიკაციებსა და ინტერნეტქსელში. იყენებენ ასეულობით კოსმოსურ სატელიტურ ანტენას, წყალქვეშა ნავებს, გემებს, სამხედრო ბაზებს...

შესაბამისად სააგენტო იყოფა სამმართველოებად და განყოფილებებად, სადაც ინფორმაციას ფილტრავენ, ახდენენ კლასიფიცირებას და არქივში ინახავენ.

ამ მეცნიერულ ანალიზს იყენებს სახელმწიფო.

დემოკრატი მმართველები ემორჩილებოდნენ ხალხის არჩევანს და იცოდნენ, რომ გართულებული და უაღრესად დიფერენცირებული სახელმწიფო სტრუქტურა მოითხოვდა რეგლამენტირებულ ცვალებადობას, ძალაუფლების გადანაწილებას და კოლექტიურ აზრს. ადრევე გაჩნდა კაცთა თანასწორობის მაცდური იდეაც, რომელსაც სოციალისტური უტოპია დაერქვა.

სოციალიზმი სწორედ ჩაგრულთა იდეალებს გამოხატავდა. თანასწორობის, ერთობის, ძმობის იდეები იმორჩილებდა მასების გულისყურს დაწყებული 1789 წლიდან, საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან. ბევრი სისხლი დაიღვარა ადამიანის უფლებათა დასაცავად. მმართველობის დემოკრატიზებისათვის მანამდეც მრავალი აჯანყება მომხდარა, მაგრამ ეს იყო სტიქიური ამბოხი და შურისძიება, არა გააზრებული მოქმედება პროგრესისათვის.

მაგ., როცა პუგაჩოვი აწყობდა გლეხთა აჯანყებას, მან თავი პეტრე მესამედ გამოაცხადა, რათა ხალხი მიემხრო. მას არც სოციალური პროგრამა გააჩნდა, არც რაიმე კონკრეტული სამოქმედო გეგმა. თუ მოხდებოდა სასწაული და დაამხობდა ეკატერინე მეორეს, იმპერატორი გახდებოდა და იმავე მეთოდებით გააგრძელებდა ქვეყნის მართვას.

სოციალისტებისათვის სახელმწიფო იყო მჩაგვრელთა მანქანა ჩაგრულთა წინააღმდეგ. ამიტომ როცა სოციალური კლასები გაქრებოდა, სახელმწიფოს ფუნქცია ამოწურული იქნებოდა. მანამდე კი სწორედ სოციალისტ-ბოლშევიკებმა შექმნეს ყველაზე ზუსტი, მოწესრიგებული და სასტიკი სახელმწიფო მანქანა, როცა ქვეყანას განაგებდა არა კანონი, არამედ – იდეა. ეს იდეა კი ეკუთვნოდა ერთ კაცს. ამ მხრივ მას მხოლოდ გერმანული ნაციონალ-სოციალისტური სისტემა თუ შეედრებოდა.

ორივე სოციალიზმისა და მუშათა კლასის სახელით მოქმედებდა. ერთი იყო ნაციონალისტური, მეორე – ინტერნაციონალური. ორივე ზღუდავდა კერძო საკუთრებას, პიროვნების თავისუფლებას.

ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ პერსპექტივაში სახელმწიფო უნდა მომკვდარიყო. ეს მაშინ მოხდებოდა, როცა მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებდნენ და კლასობრივი ანტაგონიზმი მოისპობოდა. მაშინ აღარ იარსებებდა ომების წყარო და ქვეყნად მშვიდობა, სიკეთე, ჰარმონია დაისადგურებდა. მანამდე კი საჭირო იყო ტოტალიტარული რეჟიმი, პოლიცია, ერთპარტიული სისტემა, ქვეყნის გარდაქმნა სამხედრო ბანაკად ანუ მშვიდობისათვის უნდა მიეღწიათ ძალადობით.

ასე უნდა მომდარიყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მაგრამ რადგან ამის მიღწევა ვერ ხერხდებოდა, სიტყვა ეძლეოდა რეპრესიასა და აგრესიას. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი ეწირებოდა სამხედრო სამზადისს, არ კმაროდა აღზრდა და პროპაგანდა.

მეორე მსოფლიო ომმა და ატომურმა იარაღმა ყველას აჩვენა, რომ კაცობრიობა თვითგანადგურების ზღვართან მივიდა და რომ დასაშვები შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ლოკალური, შეზღუდული მასშტაბის ომები. კოლონიალიზმის დაშლა, ახალი ქვეყნების გაჩენა, მუდმივი ფიქრი განიარაღებაზე აისახებოდა სახელმწიფო სტრუქტურაზეც.

დასავლეთის სახელმწიფოებმა და აშშ-მ შეინარჩუნეს და განავითარეს ჰუმანისტური იდეალები მმართველობის სფეროშიც.

ძნელი სწორედ ქვეყნის დემოკრატიული მართვაა, როცა წარმატებას უნდა მიაღწიო კანონებისა და ადამიანის უფლებათა დაცვით, ძალაუფლების განაწილებით, ოპოზიციასთან დისკუსიით, საერთაშორისო სისტემაში ჩართულობით, თანაც, ეს უნდა მოასწრო განსაზღვრულ ვადაში, არჩეულ პერიოდში.

ეკონომიკურ სასწაულს ჰიტლერიც აღწევდა; უზარმაზარი ტერიტორიის ინდუსტრიალიზება შესძლო სტალინმაც, მაგრამ ბარბა-

როსული სისასტიკით და განუზომელი მსხვერპლის ფასად. თანაც, მათ ტაიტნოტი არ ემუქრებოდათ.

ეკონომიკურმა აღმავლობამ, დემოკრატიზების პროცესმა, ადამიანის უფლებათა დაცვამ გააცხოველა კავშირები ქვეყნებს შორის. ხოლო სივრცე – დროის ძლევამ წამოსწია გლობალიზაციის ნებაყოფლობითი პრინციპი.

გლობალიზაციამ კი მოითხოვა მკაცრი სახელმწიფო სისტემის ლიბერალური ტრანსფორმაცია, იძულების შეცვლა ნებაყოფლობით, პიროვნების თავისუფლების დაცვით.

აქ მთავარი იყო არა ერთი დოქტრინა, არამედ – კოლექტიური აზროვნება, იდეების მოძრაობა. ევოლუციურ პროცესს აყალიბებდა მრავალი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი, ეკონომისტი და იურისტი. საერთო ძალისხმევით, თაობათა მანძილზე, ომისა და მშვიდობის პერიოდებში იცვლებოდა სახელმწიფო სტრუქტურა. ზოგი გლობალისტი იყო, ზოგი – ანტიგლობალისტი, რათა იდეებისა და პრაქტიკის თავისუფალ შეჯიბრში გამოჩენილიყო ღირსება და ნაკლოვანება (მაგ., ჰავიერ სოლანა, რომელიც ებრძოდა ევრო გაერთიანების პროცესს, შემდეგ თავად გახდა მისი ერთ–ერთი ლიდერი).

ზოგი ქვეყნისათვის გლობალიზაცია შოკის მომგვრელი აღმოჩნდა (მაგ., გერმანია), ზოგი პირიქით – უფრო მოერგო ახალ სიტუაციას (მაგ., აშშ) და გარდაქმნა თავის იდეოლოგიად, როგორც მარქსიზმი – სსრკ-მა.

სახელმწიფო და ომი

ომი უკავშირდება სახელმწიფოს. სახელმწიფო წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც გაჩნდა მშვილდ-ისარი, შუბი და ბრინჯაოს მახვილები, როცა ამ პირველადი ტექნიკით შესაძლებელი გახდა ვიწრო ოიკუ-

მენის გაფართოება, სხვა ტომის მიწის ათვისება და ცხვარ-ძროხის მიტაცება.

ომის გარეშე ადამიანთა ერთობა და გენეტიკური ერთგვარობა ვერ ჩამოყალიბდებოდა. მაგრამ ეს იყო შორეულ ეპოქებში, როცა ომებს არ ჰქონდა გლობალური მასშტაბი და არ ახლდა ტოტალური მსხვერპლი.

ისტორიულად ომს ჰქონდა გადამწყვეტი პროგრესული მნიშვნელობა კაცთა გაერთიანების, ტექნის, ცივილიზაციის, აზროვნების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, უდიდესი მსხვერპლის შედეგად. ოღონდ ეს იყო წარსულში (იხ. „ომი და პროგრესი“ I წიგნში, „სისხლიანი მარსი და შემოქმედი“ წიგნში – „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“).

ომების შედეგად ტომი ტომს ერწყმოდა, კულტურა კულტურას ფერს უცვლიდა, ყალიბდებოდა განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც იძენდა კრებად ნიშან-თვისებებს.

ისტორია ინახავს ამის უამრავ მაგალითს.

მაგ., ვანდალების გერმანული ტომები სკანდინავიიდან გადავიდნენ ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, შემდეგ – III საუკუნისათვის დუნაის დინებას დაუყვნენ. V საუკუნეში დასავლეთისკენ დაიძრნენ, დაარბიეს გალია და ესპანეთი, გადავიდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში და იქ თავიანთი სამეფო დააარსეს; 455 წელს დაანგრიეს და გაძარცვეს რომი.

ასე მოითარეშეს მთელი ევროპა, მაგრამ VI საუკუნეში ბიზანტიელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ, დასუსტდნენ და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ასე გაქრნენ ისტორიის არენიდან ვანდალები. მაგრამ მათი სახელი დღემდე ცოცხლობს თაობათა მეხსიერებაში.

ძველ დროში ომებს ასევე ჰქონდა კონსოლიდირების, ერთა გაძლიერებისა და სახელმწიფოთა წარმოქმნის მნიშვნელობა.

მაშინ ინტეგრირების სხვა საშუალება არ არსებობდა. ტექნიკის განვითარება ზრდიდა ომების მასშტაბს, მსხვერპლთა რიცხვს, მეტი

ტერიტორიის სრულად ათვისების შესაძლებლობას. ამიტომ ომი, რომელიც იყო ცალკეული რეგიონებისა და ცალკეული მოქალაქეების ტრაგედია, მაგრამ ზოგადად პროგრესის მომტანი, დღეს კაცობრიობას მოსპობით ემუქრება.

კომუნისტები მშვიდობას ქადაგებდნენ, მოითხოვდნენ სადავო საკითხების დიალოგით მოგვარებას. ამავე დროს, ჯერ ღიად, შემდეგ ფარულად რევოლუციის ექსპორტს უჭერდნენ მხარს, საჭიროდ თვლიდნენ მთელი მსოფლიოს გაწითლებას. პერმანენტული რევოლუცია მთლიანად არასოდეს უარუყვიათ, უბრალოდ – ელოდნენ მომენტს, რათა ძალა გამოეყენებინათ, არასასურველი ხელისუფლება ძალადობით დაემხოთ (მაგ., 1979 წლის დეკემბერში შეჭრა ავღანეთში, 1991-1992 წლებში ხელისუფლების დამხობა საქართველოში, ომის შემდეგ – აღმოსავლეთ ევროპის გაკომუნისტება).

რევოლუცია სისხლი და ძალადობაა, რასაც მოსდევს ყველაზე საშინელი დაპირისპირება – სამოქალაქო ომი (შდრ – შოთა ნიშნიანიძე: „გიყვარდა მოხმობა გარდასულ გრიგალთა და სამოქალაქო ომები გიყვარდა“).

მეორე მსოფლიო ომმა 60 მილიონზე მეტის სიცოცხლე შეიწირა, კიდევ უფრო მეტი დაიჭრა და დასახიჩრდა, დაინგრა და დაიწვა ქალაქები და სოფლები.

მესამე მსოფლიო ომი კი შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს. მაგრამ სწორედ ატომური და სარაკეტო შეიარაღება იცავს წონასწორობას. თერმობირთვული იარაღი გახდა კონფლიქტების რეგულატორი. ატომური ომის საფრთხე აიძულებთ დიდ სახელმწიფოებს, რომ დაკმაყოფილდნენ ლოკალური კონფლიქტებით და თავი აარიდონ ურთიერთდაპირისპირებას, არჩიონ შეთანხმების ლოგიკა ძალის ლოგიკას.

ომის სათავე ადამიანის ბუნებაშია, მის აგრესიულ ინსტინქტებში, სწრაფვაში ძალისა და ძალაუფლებისაკენ, როცა ერთს მილიონები ემორჩილება. მაგრამ ამ უმაღლეს ერთს დესპოტია და დიქტატურა თუ არ ექნა დამყარებული, თუ შიშის ნაცვლად დემო-

კრატიული ნორმებით მართავს ქვეყანას, ნაკლებად მოსალოდნელია ვნებათა მასობრივი აფეთქება და ტოტალური სისხლის წყურვილი, რაც მილიონებს მიერეკება სასაკლაოზე.

ომი და კონფლიქტი რომ არ არსებობდეს, არ კმარა დემოკრატიული კანონები, უნდა შეიცვალოს კაცთა ინსტინქტები, რაც უკავშირდება თავდაცვას, გადარჩენას, საკუთარი მოდგმის გამრავლებას, უკეთეს ცხოვრებას.

1928 წელს დაიდო ბრიან-კელოგის პაქტი, რომელიც კრძალავდა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებას. ამ პაქტს 62-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი. მიუხედავად ამისა, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

ომის მიზეზი ისტორიულადაც არსებობს: ყველა ქვეყნის ტერიტორია სადავოა მეზობლებს შორის, იმდენად ხშირად შეცვლილა საზღვარი. ამ პრეტენზიას ფარულად ყველა ქვეყნის პოლიტიკოსი თუ ხელმძღვანელი ატარებს.

როცა სახელმწიფოს აქვს ძალა და ჰყავს აგრესიული ლიდერი, ომით იწყებს ისტორიული უსამართლობის (როგორც თავად თვლის) გასწორებას. დღეს ამგვარ სწრაფვას ახშობენ საერთაშორისო თანამეგობრობა და ორგანიზაციები, მოსალოდნელი ატომური კატასტროფის საფრთხე. ამიტომ ყველა თანხმდება, რომ საზღვრები გადახედვას არ ექვემდებარება, საზღვრები არ უნდა შეიცვალოს. ხოლო დაკარგული ტერიტორიების სიმწვავე უნდა გაანელოს დემოკრატიზების პროცესმა, სახელმწიფოთა ურთიერთდაახლოებამ, მიმოსვლის გაიოლებამ, კულტურამ და საყოველთაო კეთილდღეობამ.

ომს იწყებს ძლიერი ან დამონებული ერი. ძლიერს სჭირდება მეტი ტერიტორია, ქონება, ბაზარი, ზემოქმედების არეალი. დამონებული ესწრაფვის თავდახსნას, თავისუფლებას, საკუთარი ინდივიდუალობის განვითარებას.

სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია სპობს აგრესიას, ომის გაჩაღების შესაძლებლობას და იცავს პოლიტიკურ წესრიგს, ქმნის პირობებს ეკონომიკისა და კულტურისათვის.

დეცენტრალიზება

დეცენტრალიზება იწვევს სახელმწიფოს აგრესიისაგან განტვირთვას.

დეცენტრალიზება დემოკრატიის თვისებაა. ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება ნიშნავს სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას უმაღლესი ერთიდან ხელისუფლების ერთეულებზე. მაგ., ადრე იმპერატორი განაგებდა და წყვეტდა ყველაფერს. შემდეგ ხელისუფლება განიყო საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად. აქაც მოხდა დაყოფა: აღმასრულებელია მთავრობა, რომელსაც წარმართავს პრემიერ-მინისტრი, მაგრამ მხოლოდ იგი გართულებულ ცხოვრებას, სინამდვილის დახლართულ სფეროებს, სპეციფიკურ დარგებს ვერ სწვდება. ამიტომ ჰყავს კვალიფიციური სპეციალობის მინისტრები, მინისტრებს – მოადგილეები.

როგორც ვთქვით, ძველ დროში მართვა იოლი იყო – ერთპიროვნული ბრძანებებითა და განკარგულებებით. მაგრამ სინამდვილის განტოტვამ, ტექნიკურმა პროგრესმა, ინფრასტრუქტურების გართულებამ მმართველი აიძულა ავტოკრატიას შელეოდა და მართვის სრულყოფისათვის ძალაუფლება გადაენაწილებინა. ფორმალურად ასე ხდებოდა ტოტალიტარულ სახელმწიფოებშიც.

ეს ტენდენცია წარმოშობდა არასამთავრობო, პარტიულ, შემოქმედებით ორგანიზაციებს, პროფესიულ გაერთიანებებს. ისინი აყალიბებდნენ თავიანთ დაქვემდებარებულ ფილიალებს.

მართვის დეცენტრალიზება ვრცელდება არა მხოლოდ ვერტიკალში, არამედ – ჰორიზონტალშიც. როცა ქვეყანა ცენტრიდან იმარ-

თებოდა, ეს აუცილებელი იყო. სხვაგვარად ქაოსი და კონფლიქტი გარდაუვალი იქნებოდა (მაგ., ჰაიტში მოხდა 34 გადატრიალება, ვენესუელაში კი - 180!).

დღეს სამყაროს მრავალი ცენტრი აქვს. იგი მოძრავია და ცვალებადი. ერთმა ატომურმა წყალქვეშა ნავმაც კი შეიძლება მსოფლიო კატასტროფა გამოიწვიოს.

ქრება ცენტრისა და პერიფერიის ცნება, სოფლისა და ქალაქის ცნება.

ტელევიზია, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, თვითმფრინავი ამჭიდროებს დაცილებულ წერტილებს. სკაიპით შენს თვალწინ ზის ნიუ-იორკელი მოქალაქე და თითქოს მიღმა ქვეყნიდან გიყურებს და გესაუბრება.

პიროვნების უფლებების დაცვა, ინდივიდის როლის გაზრდა ხელს უწყობს სახელმწიფო მანქანის დასუსტებას, ტოტალიტარიზმის საფრთხის დაძლევას, მეტ თავისუფლებას.

მაგრამ მრავალი ცენტრის დაშლისა და გაუფასურების შემდეგ ჩნდება ახალი მონსტრი – ეს არის გლობალური, უკიდეგანო სამყარო. იგი სპობს ძველ ღობეებს და შარაგზებს, მშობლიურ ბილიკებსა და მოედნებს. ის არაა მშობლიური, მაგრამ თითქოს არც უცხოა, არც უცნობია. ტრადიციული დეცენტრალიზების შემდეგ იწყება ტოტალური გლობალიზაცია.

ტრადიციული ცენტრები კი იმიტომ ისპობა, რომ მათ არ დააბრკოლონ გაერთმნიშვნელიანების პროცესი, როგორც საოკეანო ლაინერი – ზღვაში გაფანტულმა კუნძულებმა.

დეცენტრალიზების გამოხატულებაა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნა და ფუნქციონირება ანუ დეცენტრალიზების ხარჯზე გზა ეხსნება ახალ ცენტრალიზებას.

ეს არის როგორც სტიქიური, ისე გააზრებული პროცესი, რეფორმა და ექსპერიმენტი.

საერთაშორისო ორგანიზაციები და სუვერენიტეტი

საერთაშორისო ორგანიზაციები ნებაყოფლობით იქმნება. იგი შეიძლება იყოს სახელმწიფოთაშორისი ან არასამთავრობო, სამეცნიერო თუ საბანკო, სამართლებრივი თუ ეკონომიკური. მათ აქვთ თავიანთი წესდება, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების წესს. ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას დამფუძნებელი აქტის (წესდების) პრინციპები და შემდგომი შეთანხმებები.

ამჟამად მსოფლიოში მოქმედებს 300 სამთავრობოთაშორისო, 4.700 არასამთავრობო საერთაშორისო, 10.000 ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია.

განსაკუთრებით ცნობილია გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ნატო, არაბთა ლიგა, საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, ჰააგის ტრიბუნალი, სტრასბურგის სასამართლო, ფიფა, უეფა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, იუნესკო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, წითელი ჯვარი, მშვიდობის სახლი, საერთაშორისო ამნისტია.

„ცივი ომის“ დროს არსებობდა ვარშავის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც უპირისპირდებოდა ნატოს.

საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება ეროვნული ორგანიზაციების უფლებათა დელეგირების ხარჯზე, როცა იკვეცება საკუთარი უფლებები. მაგ., ევროპის საფეხბურთო ორგანიზაცია უეფა აერთიანებს ეროვნულ ფედერაციებს. ისინი ვალდებული არიან დაემორჩილონ უეფას წესდებას, დაიცვან მიღებული თამაშის წესები, საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატი შეუსაბამონ ევროპის ჩემპიონატის გრაფიკს თუ სხვა სამატჩო ტურნეებს. ასევე იქცევიან სხვა სპორტული ორგანიზაციებიც.

როცა შეიქმნა ნატო, ევროსაბჭო, ევროკავშირი – ეს ნიშნავდა ევროპის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეზღუდვას, რათა ასე ჩა-

მოყალიბებულიყო მძლავრი ეკონომიკური და სამხედრო გაერთიანება.

შემდეგ იყო ცდა, რომ ევროკავშირს ევროსთან ერთად ჰქონოდა თავისი კონსტიტუცია. მაგრამ რეფერენდუმზე ვერ გავიდა. კონსტიტუცია რომ მიეღოთ, ევროკავშირს კონფედერაციული სახელმწიფოს სახე მიეცემოდა.

საერთაშორისო ორგანიზაციები გარედან ზემოქმედებენ სახელმწიფოზე და აიძულებენ, დაიცვას არსებული პოლიტიკური წესრიგი, ე. წ. თამაშის წესები, უწესებენ სანქციებს, სახელს უტეხენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში და პირიქით – უქმნიან რეკლამასა და ავტორიტეტს.

შიგნით კი აქტიურობენ ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, პარლამენტარები, ცალკეული პირები, რათა მთავრობის კურსი არ იყოს ამოვარდნილი საერთაშორისო კონტექსტიდან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ისინი მრავალ ქვეყანაში მოქმედებენ. ავრცელებენ თავიანთ გამოცდილებას, ეწევიან საქველმოქმედო მოღვაწეობას, იყენებენ ადგილობრივ კადრებს და მათ ასწავლიან საერთაშორისო სისტემაში ფუნქციონირებას. შედეგად გლობალიზაციას ემატება ახალი ელემენტი. მათი სიმრავლით იქსელება ნაციონალური სახელმწიფოები, რომელთაც ცენტრი აქვთ ქვეყნის მიღმა.

ისინი დემოკრატიის დაცვის საბაბით იძლევიან რეკომენდაციებს, აკვირდებიან პოლიტიკურ პროცესებს და ზეგავლენასაც ახდენენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს აშშ, რომლის ფინანსები და პოლიტიკური ზეგავლენა აძლევს მიმართულებას არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას, გაეროს თუ ევროსაბჭოს.

გაეროს ან ევროსაბჭოს არ შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ დიდ სახელმწიფოებზე. მეტწილად ეს ეხება უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრებს (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტა-

ნეთი, საფრანგეთი). მათ აქვთ ვეტოს უფლება და აქვთ ატომური იარაღი.

საუკუნის წინათ ოცნებობდნენ ევროპის შეერთებულ შტატებზე. ეს ვერ შეიქმნა. მაგრამ ჩამოყალიბდა ერთა ლიგა. მსოფლიო ომმა იგი დაშალა, როგორც ქმედითუუნარო. ომის შემდეგ გაჩნდა გაერო, ნატო, ვარშავის ბლოკი, „საერთო ბაზარი“, არაბთა ლიგა, დსთ, ევროსაბჭო, ევროკავშირი.

პოლიტიკური თუ ეკონომიკური კავშირები უფრო იქმნება იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც აქვთ მონათესავე კულტურა, საერთო რელიგია და ტრადიციები, ტერიტორიული სიახლოვე. ერთიანობის იდეა სახეს იცვლიდა, მაგრამ არ ქრებოდა. ამ ერთიანობის სტიმული იყო სსრკ, სოციალისტური ბანაკი, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა დასავლურ ცივილიზაციას. ერთი აგრესიული ბლოკი წარმოშობდა მეორე – თავდაცვით ბლოკს.

ქართველი მწერლებიც ოცნებობდნენ თუ როდის აფრიალდებოდა ეიფელზე წითელი დროშა; ერთიანობისა და გადარჩენისათვის ევროკავშირის სახელმწიფოები იძულებული გახდნენ დაეთმოთ თავიანთი ეროვნული ვალუტა (მაგ., ფრანკი, მარკა. მხოლოდ დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა სტერლინგი). ეს თავისთავად მტკივნეული იყო დიდი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის.

ევროგაერთიანებას ჰყავდა მილიონობით მოწინააღმდეგე. ეს იყო ექსპერიმენტი, რომელსაც უნდა მოესპო ტრადიციული კონფლიქტი სახელმწიფოთა შორის.

ამიტომ სახელმწიფო საზღვარი ფორმალობად იქცა და მას ძირითადად საბაჟოს ფუნქცია დაეკისრა. ამან შეანელა ფარული დაპირისპირება, რაც მოსდევს საუკუნეთა მანძილზე სახელმწიფოებს და უკავშირდება ტერიტორიულ დაყოფას, ტერიტორიების ძალადობრივ გადანაწილებას და შემდეგ მათი ხელშეკრულებებით დაკანონებას.

მაგ., საფრანგეთსა და გერმანიას შორის კონფლიქტს იწვევდა ელზას-ლოტარინგიის საკითხი და ამას მოჰყვა სამი ომი ამ ორ ქვეყანას შორის.

სახელმწიფოს დეცენტრალიზება ზრდის საერთაშორისო ორგანიზაციების როლს და პიროვნებას ანიჭებს რეალურ თავისუფლებას, როცა მას თავისი ქვეყანა მიაჩნია სამყაროს ჰარმონიულ ნაწილად, როცა იგი სხვას, უცხოს არ აღიქვამს მტრად.

მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება მაშინაა ეფექტური, როცა იცნობს ერის სპეციფიკას (მაგ., ჯ. სტიგლიცის აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მხოლოდ დააზარალა რუსეთი).

ამასთან ერთად დიდი ერები იბრძვიან თავიანთი კულტურითაც. კულტურის უკუგდება შეუძლებელია (მაგ., დასავლეთ ევროპა ცდილობს ამერიკული მასკულტურის განეიტრალებას).

ირღვევა სახელმწიფოთა კულტურის სუვერენიტეტი, რასაც ვერ გააპროტესტებ.

საინფორმაციო იმპერიალიზმი იოლად აღწევს წარმატებას. საერთოდ კი, სახელმწიფოს ტრანსფორმირებას წინ უსწრებს საზოგადოების წიაღში აღმოცენებული კონტრკულტურა, რომელიც აღწევს უნივერსალიზებას.

ამის შემდეგ არჩევნების თუ რევოლუციის გზით მოდის ხელისუფლებაში ახალი ძალა და იწყებს მმართველობის გარდაქმნას. ეს პროცესი უკავშირდება რისკსა და ექსპერიმენტს. მაგრამ როცა არსებობს ასეთი ექსპერიმენტის არაერთი მაგალითი და, შესაბამისად – საერთაშორისო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა, მაშინ იზრდება წარმატების ალბათობა.

დღეს სავალდებულოა დემოკრატიული მმართველობა. მაგრამ ამას საკმარისად არ მიიჩნევენ – ასევე აუცილებელია დემოკრატიული მმართველობის უნიფიცირება, რასაც ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები.

ფედერაცია და სუვერენიტეტი

სახელმწიფო თმობს თავის უფლებებს ქვეყნის შიგნითაც. მაგ., სსრკ შედგებოდა 15 რესპუბლიკისაგან. რესპუბლიკებს ჰქონდათ ავტონომიები და ავტონომიური ოლქები; აშშ 50 შტატის გაერთიანებაა, რომელთაც ჰყავს გუბერნატორი, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება; მხარეებისაგან შედგება გფრ, რაც ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალობის კონსტიტუციური გაფორმებაა; საფრანგეთში 21 რეგიონია, იტალიაში – 22, პორტუგალიაში – 2; დიდი ბრიტანეთის სამეფოს აქვს ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეა, უელსის ასამბლეა, შოტლანდიის პარლამენტი; ფედერაციული რესპუბლიკაა ინდოეთი.

სსრკ ფორმალურად აერთიანებდა ფედერაციისა და კონფედერაციის ნიშნებს.ფაქტიურად კი უნიტარული სახელმწიფო იყო. რეალურად რომ განხორციელებულიყო ეს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მართლაც სანიმუშო იქნებოდა. იგი თითქოს ითვალისწინებდა ყოველი ერისა და ეროვნების ინტერესებს, რათა დაჩაგრულად არავის ეგრძნო თავი. თითქოს ხალხებმა მართლაც მოიცილეს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელი. მაგრამ ეს სჭირდებოდა ფასადურ საბჭოთა დემოკრატიას, რომელსაც ახშობდა ოცნება კომუნიზმზე. ეს კი გულისხმობდა ენების, ერებისა და სახელმწიფოების კვდომას.

ფედერაციას არ ცნობდა მეფის რუსეთი – იგი იმპერია იყო.

ამ მხრივ თავის რეგიონებს მეტ თავისუფლებას აძლევდა ოსმალეთის იმპერია. მაგ., ახალციხის ფაშებს (ისინი ქართველები იყვნენ) შეეძლოთ დამოუკიდებელი საბრძოლო მოქმედება, რაც წარმოუდგენელი იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორისათვის.

როცა ნაპოლეონი თავს დაესხა მამელუკებს, მაშინ ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. მაგრამ ამის გამო სტამბოლს საფრანგეთისათვის ომი არ გამოუცხადებია.

დიდ ბრიტანეთსაც ჰქონდა ფედერაციისა და კონფედერაციის მოდელი. ამიტომ აერთიანებდა იგი დომინიონებს, აყალიბებდა თანამეგობრობას, დათმო საკუთარი სახელიც. შედეგი ის არის, რომ როგორც ვთქვით, არაერთი ყოფილი კოლონია დღესაც თავისი ქვეყნის მეთაურად აღიარებს დიდი ბრიტანეთის დედოფალს და ისევ სცნობს გენერალ-გუბერნატორს.

ასეთი ფედერაციები დღევანდელი გაეროსა და ევროკავშირის წინამორბედია, როცა სახელმწიფო უარს ამბობს სუვერენიტეტის ნაწილზე და იზიარებს საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და მოთხოვნებს. ყოველთვის ეს არც ხდება, როცა ეჯახება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ან ვერ შელევია იმპერიულ ამბიციებს.

მაგ., თურქეთი არ თმობს კვიპროსს, რუსეთი – სოხუმსა და ცხინვალს. ეს მაშინ, როცა დიდმა ბრიტანეთმა დათმო არა მხოლოდ უამრავი კოლონია, არამედ – ირლანდიაც კი და ლამის თავადაც დაიშალოს და დარჩეს მხოლოდ ინგლისი.

ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალებაა რეგიონალიზმის პრინციპი, რაც ეროვნებათა საფუძველზე ყველაზე სრულად გაიაზრა სტალინმა, ოღონდ სწორ დაყოფას თავადვე წაართვა რეალური შინაარსი.

ვინ განსაზღვრავს რეგიონალური ხელისუფლების ლეგიმიტაციას – ცენტრი თუ რეგიონი? ორივე შემთხვევაში ბალანსი ირღვევა. როცა ცენტრია მსაჯული, მაშინ იზღუდება რეგიონის თავისუფლება; თუ რეგიონის არჩევანია გადამწყვეტი, მწიფდება სეპარატიზმის საფრთხე (მაგ., კვებეკი – კანადაში, ბასკეთი და კატალონია – ესპანეთში, ჩრდილოეთ ირლანდია და შოტლანდია – დიდ ბრიტანეთში, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – საქართველოში, ჩეჩნეთი – რუსეთში).

ასეთ დროს თავისთავად იღებენ სიტყვას საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა ისინი იძლევიან მხოლოდ რეკომენდაციებს. ხოლო ძალდატანება დიდ ქვეყანაზე (მაგ., რუსეთის ფედერაციაზე)

არ შეუძლიათ. პატარა და სუსტი ქვეყანა კი (მაგ., საქართველო) იძულებულია რეკომენდაცია ულტიმატუმად მიიღოს.

1999 წელს „ევროპის პოლიტიკური კვლევების ცენტრში“ დამუშავდა მაიკლ ემერსონის „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ კონცეფცია. იგი აყენებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მონაწილეობით სამხრეთ კავკასიის თანამეგობრობის იდეას. არსებითად ეს უნდა ყოფილიყო კონფედერაცია (ამისი მსგავსი იდეა შემდეგ გაახმიანა მიხეილ სააკაშვილმა), რათა ამ გზით გადაჭრილიყო სეპარატიზმისა და ეკონომიკის პრობლემები.

„ასიმეტრიული ფედერაციის მოდელი“, როგორც მას თავად ავტორები უწოდებდნენ, არ იქნა გაზიარებული. ეს პროექტი ჩავარდა და ამის შემდეგ ევროსაბჭოს რაიმე არსებითი ინიციატივა არც გამოუჩენია.

დღეს სახელმწიფოები ქვეყნის შიგნითაც თმობენ სუვერენიტეტის ნაწილს, რათა შეინარჩუნონ მთლიანობა. ეს არის არსებობა კომპრომისის ხარჯზე, კომპრომისი კი კეთდება ჰუმანიზმისა და დემოკრატიის სახელით, აგრესიული ინსტინქტების გარდასახვით. მაგრამ როცა ეს ხდება ძალადობით, ძალმომრეობით – ემსახურება რომელიმე დიდი ქვეყნის ინტერესებს. მაგ., აგვისტოს ავანტიურის შემდეგ რუსეთის ზოგიერთმა პოლიტიკურმა წრემაც წამოაყენა კავკასიის კონფედერაციის იდეა, რომლის საფუძველი უნდა ყოფილიყო სამივე სახელმწიფოს დაშლა. პრეზიდენტი უნდა არჩეულიყო ერთი წლის ვადით და მორიგეობით (როგორც ეს იყო მიღებული ტიტოს შემდეგ იუგოსლავიაში, როგორც ეს არის ევროკავშირში).

ქვეყნის (მთავრობის) მეთაურის ასეთი არჩევის პრინციპი წამოაყენეს გაცილებით ადრე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა, რასაც უარყოფითად შეხვდნენ II ინტერნაციონალის ლიდერები (მაგ., კარლ კაუცკი).

ფედერაციული სახელმწიფო სტრუქტურა არის საუკეთესო საშუალება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, შიდაკონფლიქტების აღსაკვეთად, ეკონომიკური და კულტურული

პროგრესისათვის, როცა ყველა ხალხის ეგოიზმი, ნაციონალური ინტერესები გათვალისწინებულია და დაკმაყოფილებული. ეს ნიშნავს ცენტრის მიერ ძალაუფლების გადანაწილებას, ეროვნული უმცირესობების უფლებათა აღიარებასა და დაცვას.

რეალური ფედერაცია კი თითქოს არის გლობალიზებული მსოფლიოს მომავალი მოწყობის მოდელი, როცა ძალაუფლება იქნება არა ძალმომრეობის საგანი, არამედ – ნებაყოფლობითი მსახურება ადამიანთა ინტერესების დიფერენცირებისა და დაცვისათვის. მაგრამ როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ჭრილში ფედერაცია მიდის სახელმწიფოებრივი პოლიცენტრიზმისაკენ, რომელიც იქნება ევროკავშირის მსგავსი სტრუქტურა. საქართველოში ეს გაგებულ იქნა არა ძალაუფლების რეგიონებზე გადანაწილების, არამედ თავად ცენტრის, ხელისუფლების დაშლის თვალსაზრისით (მაგ., პარლამენტი – ქუთაისში, მთავრობა – თბილისში, საკონსტიტუციო სასამართლო – ბათუმში, თავად აჭარის პარლამენტი – ჩაქვში).

ასეთი პოლიცენტრიზმი ხელს უწყობს პრეზიდენტის ავტორიტარულ მმართველობას.

ძალაუფლებას როგორც კი ჩამოსცილდება პრივილეგია და ზეგავლენის საშუალება, როგორც კი იქცევა მხოლოდ შრომატევად სამსახურად, შეწყდება ხელისუფლებისაკენ სწრაფვა და იოლად იფუნქციონირებს სახელმწიფო სტრუქტურა, აღარ მოხდება მისი დეფორმირება. მაგ., დღეს საზოგადოებას საერთოდ არ აინტერესებს (და არც სჭირდება) ვინ არის ევროკავშირის ან ევროსაბჭოს ხელმძღვანელი. აქ მთავარია კოლექტიური აზრი, კოლექტიური მმართველობა. მსგავსი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული ლენინს, როცა ქმნიდა პოლიტბიუროს: პოლიტბიურო მაღლა იდგა ცეკას გენერალურ მდივანზე, რადგან იგი იყო ცეკას და არა პოლიტბიუროს გენერალური მდივანი. მაგრამ ამგვარი დემოკრატია გავრცელებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ბოლშევიკებს შორის.

ამავე დროს არსებობს ლიდერის გამოყოფის პრინციპი. მაგრამ მისი მოქმედება იფარგლება საშუალო დონით. ლიდერთა აქტივობა

და კონკურენცია კი ამავე დროს არის ერთმანეთის კონტროლი, რათა არ გადავიდეს ახალ ცეზარიზმში.

სეპარატიზმი – გლობალიზაციის მოკავშირე

მონოეთნიკური სახელმწიფო თითქმის არ არსებობს. ეროვნული უმცირესობა ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს (მაგ., საქართველოში). ამიტომ ბუნებრივად დგება უმრავლესობისა და უმცირესობის დემოკრატიული თანაარსებობის რეგულირების პრობლემა.

ამის გარეშე მწვავე კონფლიქტები გარდაუვალია, რამაც შეიძლება გახლიჩოს ქვეყნის მთლიანობა. ზოგჯერ საქმეს ვერ შველის ვერც ფედერაცია, ვერც კონფედერაცია, იმდენად ძლიერია გამთიშველი ძალები.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ მრავალი საერთაშორისო დოკუმენტია მიღებული (მაგ., გაეროს 1950 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, იუნესკოს 1960 წლის კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1992 წლის ევროპული „ჩარჩო-კონვენცია“, 1992 წლის ევროპის ქარტია, 1996 წლის ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლების შესახებ).

ერთი მხრივ, ამ დოკუმენტების დაცვა აუცილებელია, მეორე მხრივ – ასეთი ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი ხელს უწყობს უმცირესობათა სეპარატისტულ სწრაფვას, მითუმეტეს მაშინ, როცა გვერდით ისეთი წამქეზებელი ეგულება, როგორიცაა რუსეთი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმცირესობათა ენობრივი უფლებების დაცვას, ოღონდ ისე, რომ არ შეიზღუდოს სახელმწიფო (ოფიციალური) ენის ფუნქციონირება (მაგ., 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი, 1998 წლის ოსლოს დოკუმენტი).

ეს ჰგავს ცეცხლისა და წყლის მორიგებას. სახელმწიფო ენა აერთიანებს ქვეყანას. თუ ყველა ეროვნულმა უმცირესობამ ცალ-ცალკე გამოიყენა მხოლოდ თავისი ენა (მაგ., საქართველოში სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, რუსებმა), ეს სახელმწიფოს დაშლას მოასწავებს. ამიტომ ზოგან (მაგ., იტალიის ცალკეულ რეგიონებში) ორენოვანია საჯარო მომსახურება. ამასთან ერთად რეკომენდებულია, რომ უმცირესობამ ისწავლოს უმრავლესობის ენა.

როცა ერაყში დაამხეს სადამ ჰუსეინი, პრეზიდენტად აირჩიეს ქურთისტანის პატრიოტთა გაერთიანების გენერალური მდივანი ჯალალ თალაბანი, ეთნიკური უმცირესობის ლიდერი.

ეს, ერთი მხრივ – ქურთების აგრესიას დააცხრობდა, მეორე მხრივ – ერაყელების ნაციონალიზმს ალაგმავდა. ასე შეიძლება სეპარატიზმის თავიდან აცილება, ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება (მაგ., საქართველოს პრეზიდენტი რომ გახდეს აფხაზი).

მხოლოდ ფიქრი იმაზე, რომ გლობალიზაცია ბოლოს მოუღებს ეთნოკონფლიქტებს და გადაჭრის საზღვრების პრობლემას – გაუმართლებელია.

აშშ, გაერო, ნატო, დასავლეთი ევროპა „ცივი ომის“ პერიოდში რადიკალურად იყვნენ დაპირისპირებული საბჭოთა კავშირთან. ისინი მიესალმებოდნენ სოციალისტური ბანაკის დემონტაჟს, პერესტროიკას, კომპარტიის გაუქმებას, აღვივებდნენ რესპუბლიკებში ნაციონალიზმის კერებს. აქეთკენ იყო მიმართული მთელი პროპაგანდა, რადიოარხები „თავისუფლება“, „თავისუფალი ევროპა“, „ბი-ბი-სი“, „გერმანული ტალღა“, „ამერიკის ხმა“, რომელიც მაუწყებლობდა 44 ენაზე...

ისინი ებრძოდნენ ბოლშევიზმის ექსპორტს, კომუნისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თურმე არ სურდათ სსრკ-ის დაშლა. პრეზიდენტ ბუშს ეგონა, რომ ეს გამოიწვევდა კონფლიქტებს, დაარღვევდა სტაბილურობას. ეს უნდა მომხდარიყო თანდათან და არა უცებ ესოდენ ვრცელ ტერიტორიაზე.

სხვა საკითხია რეგიონული, მცირე მასშტაბის სეპარატიზმი, რაც ვერ დაარღვევს მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ წესრიგს.

სეპარატიზმი ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომა და განკერძოებაა, რომლის მიზანია ქვეყნისაგან ჩამოცილება და ცალკე სუვერენული ერთეულის შექმნა. ეს მაშინ, როცა აღარ სჯერდებიან ავტონომიას ან უფლებების დაცვას.

სეპარატიზმს კრძალავს და ებრძვის ყველა ხელისუფლება. მაგრამ იგი არსებობს, ღიად თუ ფარულად, მრავალ სახელმწიფოში. დაპირისპირების აღსაკვეთად დიდი ყურადღება ექცევა რეგიონალური დემოკრატიის კონცეფციის დამკვიდრებას.

ამიტომ მეტის მოთხოვნა – ტერიტორიული ცვლილება, საზღვრების დარღვევა დაუშვებლად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ისტორიული კატაკლიზმების დროს სააშკარაოზე გამოდიან სეპარატისტები და მხარდამჭერებსაც ჰპოვებენ.

ასე მოხდა სსრკ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დაშლა, რაც იყო როგორც კომუნისტური იდეოლოგიის კრახი, ისე პანსლავიზმის დამარცხება.

ერთი მხრივ აღიარებენ, რომ გაეროს მიერ დადასტურებული საზღვრები უცვლელია, მეორე მხრივ სცნობენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

პოლიტიკოსები ამ ორი შეუთავსებელი დებულების შეთანხმებას პრაგმატულად ეკიდებიან. მაგ., რუსეთმა სცნო აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ სისხლში ჩაახრჩო ჩეჩნების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.

ეს მაშინ, როცა სოხუმი და ცხინვალი საქართველოს მიღმა არასოდეს არსებულა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც ქართველია, ხოლო ჩეჩნეთი XVIII საუკუნის ბოლოს დაიპყრო რუსეთმა და მუდამ ომით უწევდა მისი შენარჩუნება.

დღეს გადაჭრით სეპარატიზმს არ ებრძვიან. მიზეზი ის არის, რომ დაშლა, დეცენტრალიზება ასუსტებს სახელმწიფოს მონოლითურ სტრუქტურას.

ხოლო მყიფე ერთეულებს ამოფარებული მმართველობა, სიმბოლური საზღვრები ხელს უწყობენ სახელმწიფოს ტრანსფორმაციას, გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებას.

ასეთ დროს გლობალიზმი აძლიერებს ნაციონალიზმს, ოღონდ დროებით. სუსტი სახელმწიფო დამოკიდებული ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებზე, იქნება ეს გაერო, ნატო თუ ევროსაბჭო. თუ არ შეასრულებს მათ მითითებას, სეპარატიზმი შეიძლება სხვა რეგიონებსაც მოედოს. თუ იქნება მორჩილი და სხვათა ნების მიმყოლი – დროებით მაინც შეჩერდება დაშლის პროცესი, ყოველ შემთხვევაში – ნაციონალიზმი დაითრგუნება.

სეპარატული ერთეულები ისედაც განწირული არიან გლობალიზაციისათვის. უამისოდ მათ არავინ მიხედავს, ვერ მიაღწევენ ვერც ეკონომიკურ, ვერც პოლიტიკურ წარმატებას.

დაქუცმაცებულ, დანაწევრებულ ქვეყანას გლობალიზაციის ტალღა იოლად გადაუვლის. ხორვატია, სერბია, კოსოვო თუ მაკედონია გაცილებით სუსტი სახელმწიფოებია, ვიდრე იუგოსლავია. იგივე ითქმის სსრკ-ის ყოფილ 15 რესპუბლიკასა და თავად სსრკ-ზე.

საქართველოსაც ასუსტებს აფხაზური და ოსური სეპარატიზმი. ამიტომ ის რჩება საერთაშორისო ძალების იმედად ან უნდა დაჰყვეს რუსეთის ნებას. თავად ოსები და აფხაზები კი განწირული არიან ასიმილირებისათვის.

ასე რომ სეპარატიზმი და ეთნოკონფლიქტები გლობალიზაციის მოკავშირეა. მაგრამ გლობალიზებულ მსოფლიოში აზრს კარგავს როგორც ნაციონალური სახელმწიფო, ისე სეპარატული ერთეულები – ყველა ერთი ბობოქარი გაერთმნიშვნელიანების პროცესში ითქვიფება: **„გლობალიზაცია ნიშნავს ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული საზოგადოების ერთიანობის რღვევას“** (ულრიხ ბეკი).

ჩვენ არ ვიცით, რა იქნება ათასი წლის შემდეგ, მაგრამ დღეს ნაციონალური ინტერესების იგნორირება, მითუმეტეს – ხელყოფა, იწვევს ახალ კონფლიქტებსა და დაპირისპირებას.

მიგრანტთა ნაკადები

ეროვნული სახელმწიფო სახეს იცვლის, კარგავს სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, ან მცირდება მათი ოდენობა. მათ ადგილს იკავებს საერთაშორისო ატრიბუტიკა, რომელიც არავის ეუცხოება. ასეთი სახელმწიფო არის მსოფლიო ფედერაციის ერთი შტატი. ასეთი ფედერაცია სიმბოლურად არსებობს – იგი არ არის არც გაერო, არც ევროსაბჭო. მათ მიღმა დგას ძლიერი ქვეყანა, დომინანტი სახელმწიფო, რომელიც ამ მსოფლიო ორკესტრის დირიჟორია.

ამჟამად ეს არის აშშ. მასთან ჭიდილში დამარცხდა სსრკ და დაიშალა. უფრო ადრე პრეტენზია ჰქონდა გერმანიას. მომავალში ჩინეთი ეცდება პირველობის პალმის წართმევას.

სახელმწიფოთა ურთიერთშეღწევა სხვადასხვა არხით ხორციელდება. ერთ-ერთია მიგრანტული და ემიგრანტული ნაკადი, რომელიც ნებაყოფლობით თუ იძულებით სტოვებს თავის სახელმწიფოს და თავს აფარებს სხვა ქვეყანას – ეს არის პოლიტიკური ემიგრაცია, ეკომიგრანტები, ბიზნესმენები თუ სამუშაოს მაძიებელნი.

ომებისა და რევოლუციების დროს უამრავი ადამიანი, ზოგჯერ მილიონობით (მაგ., რუსები) გარბოდა სამშობლოდან და ეძიებდა მყუდრო ნავსაყუდელს. აგერ ჩვენს თვალწინ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 20% ემიგრანტია. ისინი გაფანტული არიან რუსეთში, ევროპის ქვეყნებში, აშშ-სა და კანადაში. მათ შეაქვთ ახალ გარემოში თავიანთი ნიჭი, განათლება, წარმოდგენები. თავადაც იძენენ სიახლეს, იმაღლებენ კვალიფიკაციას, იცვლიან შეხედულებებს და თუ უკან დაბრუნდებიან, მოიტანენ ცხოვრების განსხვავებულ წესს, სხვაგვარ ცოდნას, ახალ მიმართებებს. ამავე დროს – ჩვენში შემოდიან არაბები, ინდოელები, ჩინელები.

ემიგრანტობა ქართველების თანამდევი ბედისწერა იყო. პოლიტიკური არეულობის გამო ისინი გაფანტული იყვნენ რუსეთში, სპარსეთში, ოსმალეთში, დასავლეთ ევროპაში, მამელუკებად იყი-

დებოდნენ აღმოსავლეთის მონათა ბაზრებზე, ან ნებაყოფლობით ემსახურებოდნენ სხვა ქვეყნების ძლიერებას. მაგ., სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია. ქართველი ემიგრანტის შვილია ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, რომელიც იყო ნატოს ჯარების მთავარსარდალი და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბების უფროსი.

კიდევ უფრო ძნელი იყო სომხების, ჩრდილო კავკასიელების ხვედრი.

1724 წელს დამარცხებული ვახტანგ VI 1200 მხლებელთან ერთად რუსეთში გადაიხვეწა. დაბრუნება მათ არ ეწერათ. შთამომავლები გარუსდნენ. როცა რუსეთმა შეიერთა ქართლ-კახეთი, ბაგრატიონები რუსეთში გაასახლა; როცა 1921 წელს დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ხელისუფლება და თანმხლები პირები ევროპას შეეფარნენ.

ისინი ლევილის სასაფლაოზე განისვენებენ.

იძულებითი და ნებაყოფლობითი ემიგრაცია, გადაადგილება, მოქალაქეობის შეცვლა ჩვეულებრივი ისტორიული პროცესია, რომელსაც ტრაგიზმთან ერთად სიკეთეც ახლავს.

დღევანდელი ამერიკისა და ავსტრალიის მოქალაქენი ემიგრანტების შთამომავლები არიან, რომელთაც ჯერაც ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა.

როცა ევროპელი კოლონიზატორები ჩადიოდნენ სხვა კონტინენტებზე, იქ იმორჩილებდნენ და იმონებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ჩაგრავდნენ და ხოცავდნენ (განსაკუთრებით – ინდიელებს). მაგრამ შეჰქონდათ ცივილიზაცია და კულტურა, აშენებდნენ ქალაქებს, კულტურის ცენტრებს. თანდათან ადგილობრივ მცხოვრებსაც უჩნდებოდა ინტერესი, რომ სწვეოდა ევროპას, ესწავლა იქაურ უნივერსიტეტებში, ესწავლა ევროპული ენები, შეეძინა უახლესი ცოდნა.

ევროპელებიც სწავლობდნენ აფრიკას, აზიას, ამერიკას, ავსტრალიას, იქაური ხალხებისა და ტომების გეოგრაფიას, მითოლოგიას, ეთნოგრაფიას, რელიგიას. ეს იწვევდა დაახლოებას მეტროპოლიასა

და კოლონიებს შორის, დაპირისპირების შენელებას, განსხვავების შემცირებას.

სწორედ ევროპამ აღმოაჩინა და გადაარჩინა აზიის, ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის ხალხების კულტურები.

კოლონიზატორთა ტალღა მიგრანტებისა და ემიგრანტებისაგან შედგებოდა, არა მხოლოდ მმართველებისა და ჯარისკაცებისაგან.

ემიგრაცია ამძაფრებს ნაციონალურ გრძნობას, როცა ეს პროცესი იძულებითია და იცი, რომ ვეღარ ნახავ სამშობლოს. მაგრამ როცა ჩადიხარ სასწავლებლად, სამუშაოდ, სტუმრად, ტურისტად, ან როცა იცი, რომ ნებისმიერ დროს შეგიძლია დაუბრუნდე შენს ქვეყანას, მაშინ დაცილებას სიმძაფრე აღარ ახლავს. სიმძაფრეს ანელებს საინფორმაციო ქსელიც – ტელეფონი, ინტერნეტი, ტელევიზორი, რაც ქმნის ახლობლობის გრძნობას. როცა ნათესავს ან მეგობარს ხედავ და ესაუბრები, მანძილი მცირდება, ქრება და თითქოს ერთი ქალაქის სხვადასხვა კვარტალში ცხოვრობთ.

გფრ-ში ჩასულია 10 მლნ თურქი. ისინი იქ სამუშაოს ეძებენ. მაგრამ ბევრი რჩება, ქმნის ოჯახს და თუკი დაბრუნდებიან, ნაკლებად ექნებათ როგორც ნაციონალიზმი, ისე მუსულმანური ფუნდამენტალიზმი.

მათგან განსხვავებით აშშ-ში მექსიკელები ქმნიან თავიანთ ოლქებს, პოლიტიკურ ჯგუფებს, სპორტულ კავშირებს, საბაზრო სტრუქტურას, ამკვიდრებენ დღესასწაულებს (მაგ., ქალწულ გვადელუპეს კულტი).

ეს არის მექსიკის გაგრძელება მეზობელ ქვეყანაში და არავის სურს, დაბრუნდეს თავის სამშობლოში, რომელიც იქვე გვერდითაა (შდრ – სომხები და აზერბაიჯანელები საქართველოში).

ემიგრანტული და მიგრანტული ნაკადები, ლეგალური თუ არალეგალური, ქმნიან თავიანთ დიასპორებს, აგრძელებენ თავიანთ კულტურას, აარსებენ ეკლესიებს, თეატრებს, ბეჭდავენ წიგნებსა და გაზეთებს (შდრ – 1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში). მათი რიცხვი დღეს 150 მილიონს ამეტებს.

აშშ-ში ემიგრანტთა მხარდასაჭერად ჩამოყალიბებულია დახმარების კომიტეტები, სოლიდარობის ჯგუფები, ადვოკატთა კანტორები. ემიგრანტები ითვისებენ ადგილობრივი ცხოვრების წესს, ენას, კულტურას.

ისინი კარგა ხანს კუნძულებად იქნებიან გაფანტული, მაგრამ თანდათან დაიშლებიან, გაიწოვებიან და გაქრებიან უკიდეგანო ოკეანეში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური ნაკადის გადინებას, „ტვინის იმპორტს“. მაგ., ამერიკული ატომისა და წყალბადის ბომბები შექმნეს ევროპელმა მიგრანტებმა.

მხოლოდ 1955-1965 წლებში აშშ-ში გადასახლდა 53.000 მეცნიერი. მათ ადგილობრივ კადრებთან შეერთებით შექმნეს უდიდესი სამეცნიერო პოტენციალი.

ესპანელმა პიკასომ მთელი ცხოვრება პარიზში გაატარა, ამერიკელმა ჰემინგუეიმ – კუბაში, ირლანდიელმა ჯოისმა – ჟენევაში, ქართველმა რობაქიძემ – ბერლინსა და ჟენევაში, ინგლისელმა ჩაპლინმა – აშშ-სა და შვეიცარიაში.

ემიგრანტები იყვნენ ბალმონტი, ბროდსკი, ბუნინი, მერეჟკოვსკი, ბერდიაევი, გიპიუსი, სოლჟენიცინი, თომას მანი, სხვადასხვა დროის მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები (მაგ., ლენინი და ტროცკი, კერენსკი და ჟორდანია).

ასევე ჭარბად გადაადგილდებიან, ნებაყოფლობით იცვლიან სახელმწიფოებს სპორტსმენები. ისინი ხშირად იცავენ სხვა ქვეყნის კლუბების ინტერესებს. მაგ., გერმანელი თამაშობს ინგლისში, ინგლისელი – გერმანიაში, იტალიელი – საფრანგეთში, ფრანგი – იტალიაში.

ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძე იყო ეროვნული ნაკრების კაპიტანი, მაგრამ იცავდა „მილანის“ ღირსებას, მარადონა – არგენტინის ნაკრების კაპიტანი თამაშობდა „ნაპოლში“.

უცხოეთში თამაშობდნენ ზიდანი, კრუიფი, პლატინი, დი სტეფანო, პუშკაში, რონალდო.

ამ დღეებში მსახიობმა დეპარდიემ მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, რადგან ფრანგული კანონმდებლობით უნდა გადაეხადა შემოსავლის 75%.

მიგრაციას ახლავს შერეული ქორწინებები და ეს თანამედროვე ფრატრიები უფრო აკავშირებთ ქვეყნებს. 1960 წელს გფრ-ში ყოველი ოცდამეხუთე იყო შერეული ქორწინება, 1994 წელს – ყოველი მეშვიდე (ულრიხ ბეკი). აქ იგულისხმება როგორც განსხვავებული ერის, ისე რასის შვილთა ქორწინება.

ამ მხრივ უფრო მრავალფეროვანია აშშ, სადაც ისტორიულად თავს იყრის და თავსდება მიგრანტული ნაკადები. ამის შედეგად ჩნდებიან მეტისები, მულატები, კვარტერონები (თეთრკანიანისა და მეტისის ნაჯვარი) ოქტორონები (თეთრკანიანისა და კვარტერონის ნაჯვარი). სხვადასხვა ერის შვილთა შთამომავლები ანუ ერები და რასები ერთმანეთში ითქვიფება და ყალიბდება გლობალიზებული დროის რასა და ერი, ახალი მოდელი სახელმწიფოსი.

ეს პროცესი უწყვეტად გრძელდება, ერთვებიან ახალი ნაკადები და მიემართება ანთროპოლოგიური გლობალიზაციისაკენ, რაც წაშლის რასების განსხვავებულ სახეს. ამას კი მოჰყვება ენათა რიცხვის შემცირება ან მათი როლის დაკნინება, თუ არ მოხდა მორიგი აფეთქება ანუ დიფერენცირება. მაგრამ ეს იქნება დიფერენცირება ინტეგრირების შემდეგ ანუ ახალ საფუძველზე.

სიმბოლური საზღვრები

ძველ დროში სახელმწიფოებს შორის გეოგრაფიული საზღვარი არსებობდა – მთა, მდინარე, ზღვა, უდაბნო, შემდეგ – სადაც მთავრდებოდა ძირითადი ერის დასახლებანი. ყველაზე მკაცრი საზღვრები

ჰქონდა სსრკ-ს, თითქოს ამ უკიდეგანო ქვეყანას გარს ეკრა კაციჭამიების სამყარო. უზარმაზარი ტერიტორია მტკიცედ იყო შემოსალტული, მავთულხლართებით დაცული, შეიარაღებული ძალებით და ტექნიკით გამაგრებული, რათა არავინ გაკარებოდა (მაგ., 1983 წელს, ანდროპოვის დროს, რუსებმა ჩამოაგდეს სამხრეთ კორეის სამგზავრო თვითმფრინავი მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე საათით შემოვიდა სსრკ-ის საჰაერო სივრცეში. დაიღუპა 269 ადამიანი).

ესეც არ იკმარეს და შექმნეს მრავალკილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი, სადაც შესვლა ნებართვის გარეშე შეეძლოთ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს. საქართველოში დახურულ ზონას განეკუთვნებოდა ასპინძა და ახალციხე, სარფი და კვარიათი. უცხოეთში წასვლა შეიძლებოდა მხოლოდ ტურისტად, ისიც მკაცრი ფილტრაციისა და შეზღუდვის შედეგად, ან დელეგაციის შემადგენლობასა და სპორტულ შეჯიბრებებზე.

ევროკავშირის ქვეყნებს საზღვრები სიმბოლურად აქვთ და დიდად არ განსხვავდება ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრებისაგან.

ევროკავშირის სივრცეში ამ გაერთიანების მოქალაქეებისთვის გადაადგილება უვიზოა. ასეა დსთ-შიც, მხოლოდ საქართველო იყო გამონაკლისი.

რკინის კედელი, რაც სსრკ-მ და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა შემოივლეს, დღეს აღარ არსებობს.

საზღვარი განარჩევს ტერიტორიებს, რაც არის საარსებო სივრცე, რომლის შემდეგ იწყება სხვის მიწა. ადრე ეს სხვა – მტერი ან უცხო იყო. დღეს საზღვარი ძირითადად კეტავს მიგრანტთა ტალღას, უვიზო გადაადგილებას, დამნაშავეთა სამყაროს მოძრაობას, აკონტროლებს ტვირთების გადატანას, არეგულირებს მგზავრთა ნაკადს (შდრ – გაყოფილი გერმანია და ბერლინი).

ადამიანს შეუძლია სახლი ჰქონდეს ნიუ-იორკში, პარიზში, თბილისში, ერთდროულად იყოს საფრანგეთისა და საქართველოს მოქალაქე; თუ აქვს საშუალება, როცა სურს მაშინ გაფრინდეს ვენაში,

დაათვალიეროს ეგვიპტის პირამიდები, ეწვიოს ლუვრსა და რომს, ინადიროს აფრიკაში.

ადამიანი ისევე წყნარად სტოვებს სახელმწიფო საზღვარს, როგორც ფრინველი. იგი ეწევა პოლიგამიურ ცხოვრებას, იცვლის ქალაქებს, სასტუმროებს, ქვეყნებს.

ადამიანს აღარა აქვს ნაციონალური ბიოგრაფია. მაგ., ამერიკის პრეზიდენტის ობამას მამა კენიელი შავკანიანი იყო, დედა – თეთრკანიანი ამერიკელი, მამა – მუსულმანი, დედა – იუდეველი, თავად – ქრისტიანი, ბაპტისტი.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი არის უნგრული წარმოშობის ებრაელი ფრანგი, აღმსარებლობით – კათოლიკე.

არც სტალინი ყოფილა რუსი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ იგი არ გამოხატავდა რუსი ხალხის ინტერესებს და თავის ენერგიას არ ახმარდა წითელი იმპერიის ძლიერებას; რომის იმპერიას ჰყოლია ბარბაროსული წარმოშობის იმპერატორები, მაგრამ ისინი ლათინიზებული მმართველები იყვნენ და თავიანთი სამშობლო აღარც აგონდებოდათ.

ახლა სხვა სიტუაციაა და უცხო წარმომავლობის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, თეორიულად მაინც, ხელს უწყობს ნაციონალიზმის შენელებას. მეორე მხრივ – ეს ნიშნავს თავად ერის ტოლერანტობას.

თანამედროვე ადამიანი აღარ არის მიჯაჭვული წინაპართა მიწას. მისთვის დედამიწა არის გავრცობილი სამშობლო.

იგი, ისევე როგორც მისი უძველესი წინაპარი, ეწევა მომთაბარე ცხოვრებას, გადაადგილდება მთელს მსოფლიოში, ცხოვრობს სასტუმროში, საკუთარ იახტასა და გემზე (როგორც ბერძენი მილიარდელი ონასისი), თვითმფრინავში (როგორც ჩვენი პრეზიდენტი). თან აქვს ტელეფონი და ლეპტოპი.

შეუძლია სულაც შინ იჯდეს, სახლში იყოს გამოკეტილი და ვირტუალურად მთელ მსოფლიოს წარუდგეს, ჩაატაროს საბანკო

ოპერაციები, გასცეს განკარგულებები, ჩართული იყო ცხოვრების ილუზიურ რიტმში.

სამყარო მისთვის არის მრავალსართულიანი, მრავალბინიანი კორპუსი. იგი მიწას მოწყვეტილი ტურისტია, რომელიც შეიძლება დაეხეტებოდეს მთელ მსოფლიოში, როგორც აგასფერი.

ასე იქცევა, ასე ცხოვრობს საზოგადოების მცირე ნაწილი. მაგრამ ამას გვისახავენ მომავლის პერსპექტივად.

საზღვრების არსებობა და მათი ურღვევობა ქვეყნის სუვერენობის ნიშანია. ძალადობრივი გადალახვა კონფლიქტს ან ომს მოასწავებს. საზღვრის დაცვა, რომელ ტერმინსაც შევეჩვიეთ, უფრო საბჭოური ცნებაა. ევროპაში არიან პატარა და ჯუჯა სახელმწიფოები (მაგ., ლუქსემბურგი, მონაკო), რომელთაც არათუ სიმბოლური საზღვრები აქვთ, არამედ თავადაც სიმბოლურად არსებობენ. მათ არავინ ემუქრებოდა წალეკვით მანამდეც, ვიდრე ევროკავშირი შეიქმნებოდა. წარმოიდგინეთ, რომ გვერდით ჰყოლოდათ რუსეთი, როგორ სწრაფად გაქრებოდნენ ეს ქვეყნები, გაქრებოდნენ ისე, რომ ავტონომიასაც ვერ ეღირსებოდნენ.

როცა საზღვარი სიმბოლური ხდება, აზრი არა აქვს მის შეცვლას ან დარღვევას. ეს კი ანელებს მოძმეთაგან დაცილების სიმწვავეს, დაკარგული ტერიტორიების ტრაგიზმს (მაგ., თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწები, იქ მცხოვრებ თანამემამულეთა ბედი), ამცირებს ასიმილირების პერსპექტივას. ეს კი შესაძლებელი ხდება კულტურული კონტაქტებით, ეროვნული ენისა და ცნობიერების შენარჩუნებით (მაგ., საინგილოში).

მაგრამ პრობლემები აქაც თავს იჩენს. მაგ., დღეს როცა შეიძლება სქესის წინასწარგანსაზღვრა, ჩინელები მასობრივად აჩენენ ვაჟებს. უახლეს ხანში იქ გოგონების დეფიციტი იქნება. ამიტომ ჭაბუკები იძულებული იქნებიან საცოლე სხვა ქვეყნებში ეძებონ.

თავიანთ სამშობლოში მათ ისედაც ეზღუდებათ მრავალშვილიანობა. ამას მოსდევს რელიგიური აღრევაც. მაგ., მუსულმანები მასობრივად მკვიდრდებიან ევროპაში და ავიწროებენ ქრისტიანო-

ბას: როცა ქრისტიანი ქალი თხოვდება მუსულმანზე, იცვლის აღმსარებლობას. მაგრამ ასე არ ხდება, როცა ქრისტიანი ვაჟი ირთავს მაჰმადის მიმდევარს; მიწის გაყიდვით კი პატარა ქვეყანა კარგავს საარსებო სივრცეს.

საზღვრის გადაკვეთის გაიოლებას მოსდევს ტრეფიკინგის საფრთხე, პროსტიტუციის, ნარკომანიის, ტერორიზმის ზრდა.

საერთაშორისო თანამეგობრობა იმიტომ იცავს საზღვრების ურღვევობის პრინციპს, რომ ეს არის სტაბილურობის გარანტია. საერთოდ უმთავრესად ითვლება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება. ეს, ცხადია, თითქმის ვერ ხერხდება. მაინც იმართება უთვალავი შეხვედრა, კონფერენცია, გაერო და ევროსაბჭო ღებულობენ დადგენილებებს. მაგრამ საქმე წინ არ მიდის (საკმარისია გავიხსენოთ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა). ეს არის ერთგვარი ფსიქოთერაპია, სიტყვითა და დაპირებებით ჭრილობების მოშუშება, როცა პრობლემა დრომ ანუ მომავალმა თაობებმა უნდა გადაჭრან (მაგ., კვიპროსის, ყარაბახის პრობლემა).

ისინი სხვაგვარად შეხედავენ კონფლიქტის მიზეზებსა და შედეგებს, აღარ ექნებათ ძველებური დაპირისპირება, ხოლო გლობალიზაცია უფრო დააახლოებს ქვეყნებს. ჯერჯერობით კი საჭიროა სტაბილურობის შენარჩუნება, რათა ადამიანებმა შეძლონ მშვიდობიანი ცხოვრება.

ტრანსნაციონალური პრობლემები

კაცობრიობას სურს თუ არა, აერთიანებს პრობლემები, რომელთა გადაჭრა ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ან თუ შესძლებს – მხოლოდ ნაწილობრივ. ეს ეხება დიდი პოტენციალის სახელმწიფოებს (მაგ., აშშ). პატარა სახელმწიფოები ვერ უმკლავდებიან სტიქიურ

კატასტროფებს თუ ფინანსურ კრიზისებს. მაგ., საბერძნეთს როცა კოლაფსი დაემუქრა, იგი ევროკავშირის სახელმწიფოებმა იხსნეს; როცა სპიტაკი მიწისძვრამ დაანგრია და დაიღუპა 25.000 კაცი, მთელმა მსოფლიომ გაუწოდა დახმარების ხელი.

ასეთი კატასტროფები იშვიათია. მაგრამ გლობალური დათბობა, რაც მოაქვს ტექნიკისა და წარმოების განვითარებას, ყველას თანაბრად ემუქრება. ტემპერატურის თუნდაც 1-2 გრადუსით აწევა გამოიწვევს ყინულის დნობას არქტიკასა და ანტარქტიდაში. რადიკალურად შეიცვლება კლიმატი. აიწევს წყლის დონე ზღვებსა და ოკეანეებში. ეს ჩაძირავს კონტინენტების ნაწილს.

ამ პრობლემის წინააღმდეგ ცალკე აღებული ვერც აშშ იბრძოლებს. აქ აუცილებელია ძალთა კონცენტრირება, ყველა სახელმწიფოსა და ტერიტორიის ჩართვა. მიწა, რომლისათვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა, რომელზეც უცხოვრია ამდენ თაობას, შეიძლება სიცოცხლისათვის უვარგისი გახდეს თუ ქვეყნად ჟანგბადი გამოილევა, თუ კოსმოსური მტვერი შემოიჭრება ატმოსფეროში ან კომეტა დაეჯახება დედამიწას.

ფანტაზიორი თავად ეძებს თავის დასაკლავ დანას.

ადამიანი გზას იკვლევს სხვა პლანტებისაკენ. როგორც ვთქვით, არსებობს მილიარდი გალაქტიკა და თითოეულ გალაქტიკაში მილიარდი ვარსკვლავია. ასე რომ ამ ფანტასტიკურ სრბოლაში, ფანტასტიკურ სიმრავლეში არაფერს ნიშნავს დედამიწის არც არსებობა, არც გაქრობა. ადამიანი ჩეხავს ტყეებს (მაგ., ჯუნგლებში ყოველწლიურად ისპობა 17 მლნ ჰექტარი ტროპიკული ტყე), ძარცვავს წიაღისეულს, ქვანახშირს, ნავთობს. მათი მარაგი ილევა და ახლო მომავალში ადამიანს არ ეცოდინება რა არის ნავთი ან ბენზინი. გამონაბოლქვით იბურება ინდუსტრიული ქალაქები. ელექტროენერგიის მეტი და მეტი მოხმარება ადამიანს აიძულებს, რომ ააშენოს ატომური ელექტროსადგურები, რაც მუდმივი საფრთხის საგანი იქნება (გავიხსენოთ ჩერნობილის ტრაგედია).

სომხეთის ატომური ელექტროსადგური რომ აფეთქდეს, მთელ კავკასიას დაღუპვა ელის. ასე რომ ეს არ არის ერთი ქვეყნის პრობლემა. ასევე დამღუპველია ატომური იარაღის გავრცელება. გარდაუვალი საფრთხე ყველას სიფრთხილისაკენ მოუწოდებს. მაგრამ არავინ იცის რას იზამს, ვთქვათ, ირანი, თუ ატომურ იარაღს დაეუფლება. მან შეიძლება ლოკალური პრობლემის გადაჭრა მოინდომოს ამ იარაღით, რაც უეჭველად გლობალურ კატასტროფას გამოიწვევს.

ხიროსიმა და ნაგასაკი კაცობრიობას ახსოვს, როგორც სასტიკი გაფრთხილება. ეს სიმშვიდის ჟამს. მაგრამ თუ ატომურ ქვეყანას მარცხი დაემუქრა, შეიძლება წარმატების მისაღწევად, გადარჩენის მოტივით, გასწიროს მეტოქეც და მასთან ერთად მთელი კაცობრიობაც.

ახლა ისიც ვახსენოთ თუ რამდენი მილიონი ავადმყოფობს ან შიმშილობს, როგორ იზრდება მსოფლიოს მოსახლეობა, როგორ არ ჰყოფნის მრავალმილიარდიან მსოფლიოს საკვები. მომავალში კიდევ უფრო გამრავლდება ადამის მოდგმა და ვერც ქიმიური ტექნოლოგიები, ვერც მიწა და წყალი, ვერც წარმოების მაქსიმალური გაფართოება ვერ უშველის მათ რჩენას.

მალთუსი კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებს თავს.

მსოფლიომ აქაც ერთად უნდა ეძებოს გამოსავალი. მაგრამ თუნდაც წარმოების განვითარება არ არის ხსნა. ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისი, მოთხოვნილების დისბალანსი სად და როდის წარმოიშობა – ვერავინ იტყვის. ამას აღნიშნავენ მაშინ, როცა ფაქტი მომხდარია და იწყებენ ანალიზს, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს. ეს დროებითი ღონისძიებაა, რომლისგანაც გონიერმა მმართველმა შეიძლება გამოიყვანოს ქვეყანა (მაგ., 20-იანი წლების გერმანია, 30-იანი წლების „დიდი დეპრესია“ აშშ-ში) და მიაღწიოს ეკონომიკურ სასწაულს (მაგ., იაპონია, სამხრეთი კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, ომის შემდგომი გერმანია). მაგრამ ვერავინ განჭვრეტს, ეს როდემდე გაგრძელდება.

ნავთობის ბუმმა 70-იანი წლებიდან არაბული ქვეყნები ააყვავა. მაგრამ ილევა ნავთობი, ისევე როგორც გაზი და ქვანახშირი და ალბათ 40-50 წლის შემდეგ მათაც კრიზისი დაემუქრებათ. ენერგორესურსის კრიზისი გარდაუვალია. ამიტომ ერთხანს ნუგეშად მიაჩნდათ ატომური ენერგია. მაგრამ ჩერნობილის ტრაგედიამ დააფრთხო მსოფლიო.

ყველა ცდილობს, რომ ქვეყანას განაგებდეს გონი. მაგრამ ინსტინქტები მაინც იფეთქებენ და ეთნოკონფლიქტები უსასრულოდ გაგრძელდება. წარსულის მემკვიდრეობისაგან განკურნება მეტისმეტად ძნელია. ისტორიულად დაგროვდა პრობლემები: დაკარგული ტერიტორიები, შეურაცხყოფილი რელიგიური თუ პატრიოტული გრძნობა მასებს ისევ საბრძოლველად განაწყობენ.

სიტუაციასთან შეგუება არავის უნდა. როგორც ამბობს ბიბლია – მამათა სჭამეს კაწახი და კბილნი შვილთა მოეკვეთნეს.

ასე ხდება მსოფლიოს მრავალ კუთხეში – ეს იქნება იუგოსლავიის ქვეყნები, პალესტინა – ისრაელი, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი თუ სომხეთი.

გლობალიზაციის პროცესი აშუშებს ასეთ ჭრილობებს. როცა საზღვრები პირობითი ხდება, როცა ტერიტორია აღარ სთიშავს ადამიანებს, როცა სახელმწიფო არსებობს როგორც ერთი დიდი კონცერნი თუ სავაჭრო პალატა – დაკარგულად აღარ მიიჩნევ ტაო–კლარჯეთს, საინგილოს თუ ლორე-ტაშირს. მაგრამ ეს წარმოშობს სხვა პრობლემებს, რაც განადამიანებას უკავშირდება.

ადამიანში მუდამ იარსებებენ რეცესიული გენები, განადგურების ინსტინქტები. კერძო დონეზე ისინი მართავენ ადამიანს და უბიძგებენ მოქმედებისაკენ, დანაშაულისა და სისხლისღვრისაკენ, ნარკოტიკებისა და მკვლელობისაკენ, რაც გადადის ტერორიზმში. ტერორისტი სიცოცხლეს არად მიიჩნევს. მაგ., მუსულმანი შახიდი თავის რწმენას ეწირება და სჯერა, რომ საიქიოში წარმტაცი ჰურიები ელოდებიან.

გლობალიზებულ სამყაროში ადამიანი უფრო დაუცველია ტერორისტისა და ფანატიკოსისაგან (მაგ., შარშან ნორვეგიელმა ბრეივიკმა 77 კაცი მოკლა და მიუსაჯეს მხოლოდ 20 წელი და ამასაც გაატარებს კომფორტულ ციხეში). ფსიქიკური დაავადებისაგან სნეული ვერ განიკურნება იდეებითა და თეორიებით (მაგ., კანიბალისტური ატავიზმი).

გენური ინჟინერია ცდილობს მემკვიდრეობით დაავადებათა მოსპობას. ადრე ევგენიკა ცდილობდა ჯანსაღი თაობის გამოყვანას. ახლა კლინიკებს მიმართავენ. ქირურგიული ჩარევით, მედიკამენტებით, ფსიქოთერაპიით, ყოფითი პირობების მოწესრიგებით თითქოს შეიძლება მანკიერების დაძლევა. მაგრამ ეს შეიძლება ერთეულების მიმართ მოხდეს. ექსპერიმენტები კი გრძელდება და ეგებ ადამიანმა ის ტოტი მოჭრას, რომელზეც ზის, დაარღვიოს გენეტიკური წესრიგი, დაარღვიოს სიკვდილ-სიცოცხლით რეგულირებული პროგრესი.

ძველ დროში ეპიდემიები მუსრს ავლებდა მილიონებს. დღევანდელობას სხვა დაავადებები მოეძალა (მაგ., კიბო, შიდსი, ებოლა, შიზოფრენია), რომელთაგან თავის დაღწევა შეუძლებელია.

ასე რომ არსებობს უამრავი პრობლემა, რომლის გადაჭრას მხოლოდ სახელმწიფოთა ინტერესების შეერთება და გონივრული წარმართვა თუ შეძლებს.

ცხადია, კონფლიქტებსა და პიროვნულ პრობლემებს ვერავინ აღმოფხვრის. მუდამ იარსებებს სიყვარული და სიძულვილი, სიკეთე და ბოროტება, სილამაზე და სიმახინჯე, შესაბამისად – გულდაწყვეტილი და გახარებული, გაწამებული და გამარჯვებული. იგივე ითქმის ჯანმრთელობისა თუ ლოკალურ, სახელმწიფო პრობლემებზე, რაც სხვისთვის გაუგებარია ან არ აინტერესებს.

ფეოდალიზმის დროს ადამიანი მარტივად ცხოვრობდა. გლეხი ემსახურებოდა ბატონს, ამუშავებდა მის კუთვნილ მიწას, უვლიდა ცხვარ-ძროხას, ცოლი უქსოვდა ტანსაცმელს, ჰქონდა მიწური, ჰყავდა მრავალი შვილი და თუ იყო მშვიდობა, ასეთ იდილიაში ატარებდა წუთისოფელს. იგი შორს იდგა კომფორტული ცხოვრე-

ბისაგან, რომელიც ჰქონდა არისტოკრატიას. მხოლოდ ავანტიურისტები, ვაჭრები, ყაჩაღები და მეროჭიკე ბერები დაეხეტებოდნენ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან – მეორეში.

გლეხი და თავადი დამოკიდებული იყო ამინდსა და მშვიდობაზე, მიწაზე.

ახლა, გლობალიზაციის დროს, ვალუტის კურსის ცვალებადობას, ინფლაციას, ეკონომიკურ კრიზისებს ვერ უძლებენ სახელმწიფოები, არათუ ცალკეული პირები. ყველა ერთმანეთზეა დამოკიდებული, რაც, ერთი მხრივ – შველის ცალკეულ სახელმწიფოს, მაგრამ, მეორე მხრივ – კრიზისში ითრევს იმ სახელმწიფოს, რომელსაც არაფერი ემუქრებოდა.

ამისი მაგალითია საბერძნეთის კრიზისი, რომლის მოქალაქენი გამოდიან ევროკავშირის წინააღმდეგ და თვლიან, რომ დამოუკიდებლად უკეთ მოუვლიდნენ თავიანთ პრობლემებს. არც გერმანიას ან საფრანგეთს სიამოვნებთ, რომ უწევთ ზედმეტი თანხის გაღება ჩაძირული მოკავშირის ამოსაყვანად.

გლობალიზაციას მოაქვს თავისი ეკონომიკური პრობლემები, არა მხოლოდ ნაციონალური. ვრცელ ტერიტორიაზე, დემოკრატიული მმართველობის პირობებში, სხვადასხვა სახელმწიფოში ჭირს ერთიანი ვალუტის მოქმედება, ერთიანი პოლიტიკის გატარება. კრიზისი სადმე მაინც იჩენს თავს.

ხშირად პიროვნების თავისუფლება ასუსტებს სახელმწიფოს. მხოლოდ ტექნიკაზე დამყარებით ძნელია ქვეყნის აყვავება და თავდაცვა, ადამიანთა ეგოიზმის შეკავება და მართვა.

მრავალი პრობლემა აქვს აშშ-საც, მიუხედავად ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერისა: მსოფლიოში 41-ე ადგილზეა ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ. ყოველი მესამე იბადება ქორწინების გარეშე, ყოველი მეთერთმეტე ამერიკელი კვდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, განვითარებულ ქვეყნებს შორის მოსწავლეებს აქვთ ყველაზე ცუდი საბაზო ცოდნა, არის უამრავი ფსიქოპათი, მანიაკი, ლესბოსელი, მამათმავალი.

აი, რას გვეუბნება სტატისტიკა:

„ამერიკელ უფროსკლასელთა 65% სექსუალურ ცხოვრებას ეწევა ქორწინების გარეშე და გაუკუღმართებული სახით; 75% სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის აღრიცხვაზეა პოლიციაში; მოზარდთა 45-50% აბორტს იკეთებს; მოსწავლეთა 10% ჰომოსექსუალიზმშია ჩაბმული; მოზარდთა შორის 3,5 მილიონი ლოთია; 1000 ამერიკელი ახალგაზრდა ყოველდღე ცდილობს თვითმკვლელობას“ (სერგი საჯაია).

ასე რომ, არც დემოკრატია, არც ეკონომიკა, არც გლობალიზაცია არ არის პანაცეა.

ტრანსნაციონალური სახელმწიფოსაკენ

მშობლიურ მიწისგან მოწყვეტილ ადამიანს არ აწუხებს ნოსტალგია. ეს თავისუფლებაა. მაგრამ უსაზღვრო თავისუფლება ადამიანურ ნიშან-თვისებათა დაკარგვაა. ადრე ამას იწვევდა დანაშაული. ახლა ტექნოკრატი არაფერს აშავებს, მაგრამ არც არავინ და არაფერი უყვარს, რობოტად არის ქცეული.

ასეთი რობოტები შექმნიან ტრანსნაციონალურ სახელმწიფოს, თვლიან გლობალისტები, რომელიც მაგნიტივით მიიზიდავს სხვა სახელმწიფოებს. იგი არ იქნება ერის ცნებაზე დამყარებული ინსტიტუტი. აქ წამყვანი გახდება საერთაშორისო ორგანიზაციები, კორპორაციები, სინდიკატები, დემოკრატიის პრინციპები, პიროვნების თავისუფლება, მოქმედება კანონის ჩარჩოებში – ასე ესახებათ გლობალისტებს მომავალი.

გლობალიზაციას ადრე იმპერიალიზმად ნათლავდნენ, ახლა ამერიკანიზაციას ეძახიან, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს საზოგადოებასთან გარიგებას და ეროვნულობის პრიმატს.

კაპიტალი, ისევე როგორც იდეები, გადადის ქვეყნიდან ქვეყანაში. სინდიკატებს, კორპორაციებს თუ სპორტულ ორგანიზაციებს აქვთ ფილიალი მრავალ ქვეყანაში. შესაბამისად იქ დასაქმებულია მრავალი ქვეყნის მოქალაქე. მათი ცენტრი არის ლონდონსა თუ ჩიკაგოში, მაგრამ გადასახადს უხდიან იმ მთავრობას, რომლის ტერიტორიაზეც ფუნქციონირებენ. ისინი ამზადებენ პროდუქციას, რომელიც მთელ მსოფლიოში იფანტება და იყიდება ნაციონალურ ვალუტაზე. შემდეგ იგი ღებულობს დოლარის თუ ევროს სახეს. მსოფლიო არის ერთი მთლიანი საწარმო და მთლიანი ბაზარი, სადაც ყველა ეტანება საჭირო და საუკეთესო და არა მაინცდამაინც ეროვნული წარმოების საქონელს.

პოლიტიკური თუ ეკონომიკური გლობალიზება ელიტის სფეროა. მაგრამ იგი თანდათან, ნელ-ნელა ჩადის დაბალ ფენებში, როგორც წვიმის წყალი მიწის სიღრმეში.

კომფორტული ცხოვრების კულტი ადამიანს აცლის ძირებს. იგი თითქოს ფერად ღრუბლებში დაცურავს. მას ჰბაძავენ, მას მიჰყვებიან ლეგიონები, განსაკუთრებით – ახალგაზრდები.

მაგრამ უნდა დაიცვან ცხოვრების თუ თამაშის წესები – ეს არის კანონმორჩილება, უარი ძალადობას, ქსენოფობიას, ნარკოტიკებს, კარჩაკეტილობას.

პიროვნება, ისევე როგორც ხელისუფლება, შეზღუდულია დემოკრატიული ცნებებით, მიჰყვება გონებას (და არა ინსტინქტების, ვნებების, გრძნობების აფეთქებას), კონსტიტუციას, კანონს.

ამიტომ ამ საყოველთაო რობოტიზებულ წესრიგში, ტექნოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ არევ-დარევა შეაქვს ქარიზმატულ ლიდერს.

აქ ლიდერი არჩეულია გარკვეული ვადით და ემორჩილება უმრავლესობის საპარლამენტო გადაწყვეტილებას, კანონებს, კოლეგიალურ განსჯასა და კოლექტიურ აზრს. იგი პირველი პირი – პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი – არის დროებით (მაგ., აშშ-ში) და სიმბოლურად (მაგ., პრეზიდენტი გფრ-ში).

კანონის დამრღვევს იმპიჩმენტი (გავიხსენოთ რიჩარდ ნიქსონი) ან პატიმრობა ელის (მაგ., სამხრეთ კორეის წარმატებული პრეზიდენტები).

* * *

გლობალიზებულ სამყაროს ეძლევა ამერიკული სახე. არავინ იცის ეს როდემდე გასტანს. სულერთია, მას შეცვლის ჩინეთი თუ აფრიკა, გლობალიზება გაგრძელდება, რაც რეალურად ნიშნავს ტრადიციულ, ეროვნულ სახელმწიფოთა კვდომას და მათ გარდაქმნას საერთაშორისო ორგანიზაციათა კონგლომერატად. ამ მიზანს საქართველოში ახორციელებდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი – ძალადობით და თვითნებურად.

გლობალიზაცია სტიქიური პროცესია, მაგრამ მას ფორმას და მიმართულებას აძლევენ პოლიტიკოსები და იდეოლოგები. ამიტომ მიიჩნევენ, რომ „გლობალურ მმართველობით სისტემას გლობალური მთავრობა“ უნდა ჰყავდეს (ჯ. სტიგლიცი).

III. საზოგადოების რეფორმირება: უსისხლო რევოლუცია

სახელმწიფოს ტრანსფორმაციის პარალელურად გლობალიზაცია ცვლის საზოგადოების არსსა და მენტალიტეტს, მის ჰაბიტუსს. ეს პროცესი იწყება სტიქიურად, შემდეგ კი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ეძლევა მიმართულება. საფუძველი, როგორც ვთქვით, არის ტექნიკური პროგრესი, ტექნიკის ტრიუმფი, ტექნიკური საშუალებებით ფანტაზიის რეალიზება.

გლობალისტები მიიჩნევენ, რომ საზოაგდოება ისე უნდა იყოს რეფორმირებული, რომ აღარ არსებობდეს კონფლიქტებისა და კატასტროფების წყარო. ასევე უნდა შეიცვალოს ადამიანის ინსტინქტების აქტივობა და შესაბამისად – ინტერესები.

ახალი მენტალიტეტი

საზოგადოება შედგება მრავალი სუბკულტურისაგან. იყოფა რასის, ეროვნების, მდგომარეობის, ქონების, სქესის, აღმსარებლობის, პარტიულობის, პროფესიის ნიშნით. ამგვარ დიფერენცირებას ახლავს განსხვავებული თვალსაზრისიც, რაც ინდივიდუალურ სამყაროთა სიმრავლეში გამოიხატება. ინდივიდი კი მიკროსამყაროა.

საზოგადოება ქმნის თავისი ინტერესებისა და გემოვნების შესატყვის სტილს, მოდას, მენტალიტეტს, კულტურას. სულერთია, მიჰყვები მდინარებას თუ უპირისპირდები, მისი მოთხოვნილებანი მაინც გადამწყვეტია და როგორც ბედისწერა, უჩინრად განაგებს ჩვენს ფიქრებს, შეგნებასა და მოქმედებას, ჩვენს ინდივიდუალობას.

შესაბამისად წარმოიშობა სუბკულტურები და კონტრკულ-ტურა.

ადრე კულტურა მოქმედებდა საზოგადოებაზე, ახლა საზოგა-დოების დიქტატი და მოთხოვნილებანი განაგებს კულტურას. სხვა მხრივ – მას მომხმარებელი არ ეყოლება, რადგან ყველაფერი კომერ-ციაა.

მაგრამ თუ საზოგადოება არ იქნა მომზადებული გლობალი-ზაციის პრინციპების მისაღებად, ვერც მთავრობა, ვერც საერთაშო-რისო ორგანიზაციები ვერაფერს გახდებიან.

მთავარი შემაკავებელი ფაქტორებია ენა, ტრადიციები და კონ-სერვატიზმი.

მათი უგულებელყოფა, მათი დარღვევა ბადებს კონფლიქტს თაობებს შორის. მაგ., მუსულმანი ვერ ეგუება თუ შვილი მუჰამედს უარყოფს და ქრისტეს იწამებს; დედ-მამა განიცდის, რომ შვილმა დაივიწყა მშობლიური ენა, რომ უცხო წესები შეითვისა, რომ უზნეო ქალი შეირთო, რომ ტაშს უკრავს მოძალადეს.

ასე იყო გუშინ, ასეა დღესაც.

ამიტომ მოქმედებს მრავალი არხი ცნობიერების შესაცვლელად, ახალი მენტალიტეტის ჩამოსაყალიბებლად. ერთხანს ევროპაში აქტიურობდნენ „ახალი მემარცხენეები“, ინტელიგენცია და სტუდენ-ტობა, რაც ჰერბერტ მარკუზეს ახალ რევოლუციურ ძალად მიაჩნდა. მაგრამ დამარცხდა პროტესტის სუბკულტურა. სტუდენტური რადი-კალიზმი მიჩნეულ იქნა დემოკრატიიდან გადახვევად.

საზოგადოების რეფორმირება უნდა მომხდარიყო მიტინგების და დემონსტრაციების გარეშე.

ევროპამ და ამერიკამ ჯერ აჯანყება უარყვეს, შემდეგ – აგრესი-ული სოციალური პროტესტი. მათ საზოგადოების შესაცვლელად სხვა, უსისხლო გზა მოძებნეს.

უსისხლო რევოლუცია მრავალი კომპონენტისა და ექსპერი-მენტისაგან შედგება. ზოგი სტიქიურად მოაქვს ცხოვრებას, ზოგის

დამკვიდრებას კი გლობალიზმის იდეოლოგები და პრაქტიკოსები ცდილობენ.

ტრადიციულისა და ეროვნულის მოსპობით შეიქმნება ახალი ადამიანი, რომელსაც ექნება სხვაგვარი ღირებულებები, ყველასათვის მისაღები და გასაგები. ჩამოყალიბდება მმართველი ელიტა, რომლის წევრებს ექნებათ ისეთივე იდუმალი კონტაქტი, როგორც მასონებს, შეეძლებათ იმუშაონ ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ნებისმიერ კონტინენტზე. ისინი ამაღლებული იქნებიან იმ სოციალურ დაყოფაზე, რაც ისტორიულად არსებობს ყველა ქვეყნის საზოგადოებაში (იხ. ალენ დალესის დოქტრინა).

ამ ოცნების რეალიზება დაწყებულია, მაგრამ გასავლელია ვრცელი გზა, დასაძლევია მრავალი პრობლემა. გლობალიზაციის ლამაზი ფასადის მიღმა იმალება მრავალი უკეთურება; სხვადასხვა ქვეყანაში ცდილობენ ცინიზმის, ნიჰილიზმისა და ვულგარიზმის დამკვიდრებით ტრადიციული, კონსერვატიული ღირებულებების გაუფასურებას.

ეს არის „აგრესიული გლობალიზმის“ მოქმედების მეთოდი და შედეგი.

ასე ყალიბდება მასობრივი საზოგადოება.

ამ მხრივ საგრძნობი ფუნქცია აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც დაიკავეს ძველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების (მაგ., შემოქმედებითი კავშირების) ადგილი, მასმედიასა და მასკულტურას.

არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი გრანტებით არსებობს. გრანტებს გასცემენ უცხოური, მეტწილად – აშშ-ის ორგანიზაციები. იგი გულისხმობს პროექტს, რომელსაც მოიწონებს დამფინანსებელი.

მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა უპირისპირდებოდეს იმ სახელმწიფოს ინტერესებს, რომელშიც განხორციელდება. მაგრამ, როგორც წერს ერთი პუბლიცისტი, ნიგოზი უფასოდ მხოლოდ სათაგურშია.

წარდგენილი პროექტი თუ არ ეთანხმება დემოკრატიზებასა და გლობალიზებას, მხარს არავინ დაუჭერს. ამიტომ ყოველი ასეთი ორგანიზაცია ჩასმულია ზოგად მოდელში და არის მისი ერთი დეტალი.

ამ დეტალებისაგან მექანიზმს ცენტრი აწყობს, რაც პერიოდულად გადაეცემა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ნაციონალურ სახელმწიფოებს.

არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ამასთანავე, მათი პოზიცია და თვალსაზრისი ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე. კადრების აღზრდასა და შერჩევაზე (მაგ., ჩვენში „თავისუფლების ინსტიტუტი“, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, „ახალგაზრდა იურისტების ასოციაცია“).

არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი ხელს უწყობს საზოგადოების როგორც რეფორმირებას, ისე სტაბილურობას, აბალანსებს მასასა და მმართველ ფენას, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს.

საზოგადოების წიაღში კი ერთმანეთს ებრძვიან გლობალისტები, ლიბერალები, რადიკალები, სხვადასხვა რწმენის, ზნეობის, ინტელექტუალობის, მატერიალური შეძლების, საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები, მმართველები და მართულები.

გლობალისტები მიიჩნევენ, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს ოჯახში, ხელოვნებაში, საზოგადოებაში, სახელმწიფო მმართველობაში, სქესთა ურთიერთობაში, ინდივიდის ცნობიერებაში, პარალელურად ტექნიკური და ეკონომიკური აღმასვლისა.

გლობალიზმის ერთ-ერთი მიმართულებაა პიროვნების ინსტინქტებზე ზემოქმედება, მათი შეუმჩნეველი შეცვლა. ასე ექცეოდნენ სსრკ-ში დისიდენტებს, როცა მათ აპატიმრებდნენ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებდნენ.

ადრე ევგენიკოსები ცდილობდნენ ადამიანის ჯიშის გაუმჯობესებას. შემდეგ ნაციონალ-სოციალისტები ზრუნავდნენ არიული რასის ჩამოყალიბებისათვის.

კომუნისტები გონებაზე ზემოქმედებით, შეგნების ზომბირებით ესწრაფვოდნენ ადამიანის ბუნების გადაკეთებას. თვლიდნენ, ადამიანი არანორმალური უნდა ყოფილიყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ მოსწონებოდა. ამიტომ საჭიროებდა ასეთი ხალხი შესაბამის მკურნალობას. ფსიქოტროპული წამლები მოქმედებენ ჰორმონალურ სისტემაზე, ჰორმონები – ინსტინქტებზე და ადამიანს უქრება გაბრაზება, გაღიზიანება, აგრესია, დაპირისპირების სურვილი. იგი მორჩილი ხდება, სხვის ნებასა და აზრზე დამოკიდებული.

ასეთი ტრანკვილიზატორი თუ ნარკოტიკი იმალება გენმოდიფიცირებულ, ქიმიური ტექნოლოგიით დამუშავებულ საკვებში, სხვადასხვა სახის მედიკამენტებში, რასაც უხვად ღებულობს საზოგადოება.

ამავე როლს ასრულებს ყვითელი პრესა, ტელევიზია, სერიალები, პოპ-მუსიკა, სხვადასხვა სახის შოუ, ცივილიზაციის მიღწევათა მრავალფეროვანი სპექტრი, სექსი, კომფორტული ცხოვრება, პრობლემების გაიოლება (იხ. „ელექტრონული გალაქტიკა“).

ადამიანს უჩნდება ნიჰილიზმი ტრადიციული ღირებულებებისადმი და მიუხედავად ტოლერანტობისა, ცინიკურად უყურებს იმ კერპებს, რომლებზეც მშობლები ლოცულობენ. იგი სიახლეს ესწრაფვის, არნახულსა და დაუჯერებელს.

ასეთი კი არის გლობალიზაცია, რომელსაც არა მხოლოდ გონებით, არამედ – გულითაც მიენდობა. მაგრამ აქ დგება თავად მოსახლეობის რაოდენობის საკითხი. ჭარბი მოსახლეობა, ზრდის ტემპები, პრობლემებს უქმნის როგორც ცალკეულ ქვეყნებს, ისე გლობალიზაციის პროცესს. მილიარდების გამოკვება მომავალში კიდევ უფრო გაჭირდება. უფრო ძნელია მილიარდების ცნობიერების გადაკეთება, მენტალიტეტის შეცვლა. გლობალისტებისათვის უმჯობესია, რომ მსოფლიოში ცხოვრობდეს არა 8, არამედ – 2 მილიარდი

ადამიანი. მათთვის გაცილებით იოლია მატერიალური კეთილ-დღეობის შექმნა. კონფლიქტებიც ნაკლები იქნება, არც ეკოლოგიური წინასწორობა დაირღვევა, აღარც სმოგის ღრუბელი დაახრჩობს ადამიანებს.

უმცირესობა ბედნიერად იცხოვრებს უმრავლესობის ანუ დაუბადებელი ბავშვების ხარჯზე. მაგრამ ეს იქნება მომავალში ანუ ოცნებაში. ჩინგის ხანსაც, ადოლფ ჰიტლერსაც, იოსებ სტალინსაც აწუხებდათ ჭარბი მოსახლეობა. განადგურება – ეს იყო ბარბაროსული ექსპერიმენტი. ახლა მას ცვლის დაგეგმვა, როგორც ეს ხდება ჩინეთში. ადრე დემოგრაფიული წონასწორობა სტიქიურად იყო მიღწეული. ახლა ეს რაციონალურად, უსისხლოდ, უკონფლიქტოდ უნდა განხორციელდეს.

ახალი მენტალიტეტი მოქმედებს ადამიანის უფლებათა დეკლარირებულ და აღიარებულ პრინციპებზე. ფორმირებულ ელიტასა და მასობრივ საზოგადოებას ექნებათ შესაბამისი კულტურა და მოთხოვნა კულტურაზე.

ადამიანის უფლებები

მას შემდეგ, რაც 1948 წელს გაერომ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, დაიწყო პიროვნების ორგანიზებული დაცვა სახელმწიფოსაგან. ტოტალიტარულ ქვეყნებში სიცოცხლეს ჩალის ფასი ჰქონდა. ადამიანი სრულიად უმწეო იყო და როცა ხელისუფალს მოესურვებოდა, მაშინ შეეძლო თავისი მოქალაქე გაეწირა.

სსრკ ისტორია აურაცხელი ასეთი ფაქტისაგან შედგება.

კაპიტალისტური სამყარო კი, რომელიც თითქოს ყვლეფდა მშრომელებს, იცავდა ადამიანის უფლებებს, მოითხოვდა თანასწორობას, მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, სქესისა, პოლიტიკური შეხედულებისა, ქონებრივი ცენზისა, განათლებისა. ასეთი ხერხით შე-

იძლებოდა კონტროლის გადატანა სოციალისტურ ბანაკშიც, რომელიც სიტყვიერად დემოკრატიისა და თავისუფლების აპოლოგეტი იყო.

ეს თავიდან შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ თანდათან, რაც სსრკ ჩაერთო საერთაშორისო სისტემაში და გახშირდა კონტაქტები, მომწიფდა ამგვარი კონტროლის აუცილებლობა, რაც გაფორმდა კიდეც გაეროს ადამიანის უფლებათა 1966 წლის პაქტებით და ჰელსინკის დეკლარაციით (1975).

მათ ხელს აწერს საბჭოთა კავშირიც. ამის შემდეგ იწყება დისიდენტური მოძრაობა სოციალისტურ ქვეყნებში, რომელმაც დიდი მასშტაბი მიიღო პოლონეთში და „სოლიდარობის“ სახელითაა ცნობილი. საქართველოში ზ. გამსახურდიას თაოსნობით ჩამოყალიბდა ჰელსინკის კავშირი.

მიუხედავად დასავლეთის მტკიცე პოზიციისა, კომუნისტები დისიდენტებს მკაცრად ექცეოდნენ. ისინი არ სცნობდნენ განსხვავებულ აზრს, პლურალიზმს, საჯაროობას (გავიხსენოთ ალექსანდრ სოლჟენიცინი, ანდრეი სახაროვი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა), მრავალპარტიულობას, რეალურ არჩევითობას, საბაზრო ეკონომიკას, მაქსიმალურად ზღუდავდნენ კერძო საკუთრებას, რელიგიებს.

ადამიანის უფლებათა დაცვას ჰქონდა მეორე ასპექტიც. იგი თავისუფლებათა სრული აღიარება იყო და მოქალაქე, თუ დაიცავდა კანონს, დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოზე, ხელისუფალთა თვითნებობაზე. მას შეეძლო თავისი ნიჭისა და უნარის სრული განვითარება, თავისუფალი განსჯა, მოქმედება, გადაადგილება, პროფესიის არჩევა, დასაქმება.

ეს კი შეუძლებელია კერძო საკუთრების გარეშე, რომელსაც ემყარება თანამედროვე გლობალიზაცია, განსხვავებით კომუნისტური გლობალიზაციისაგან, რომელშიც ადამიანი სახელმწიფოს ტყვე იყო.

კომუნისტების დროს მოქალაქეს ბინა უფასოდ ეძლეოდა, მაგრამ დროებით სარგებლობაში. იგი მემკვიდრეობით გადადიოდა

შვილზე, ოღონდ გაყიდვა არ შეიძლებოდა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კერძო საკუთრება დაცულია. იგი საარსებო საფუძველია, რაც პიროვნებას ღირსებას ანიჭებს და უქმნის მოქალაქეობრივ რეპუტაციას.

თითქოს საკუთრება ეწინააღმდეგება გლობალიზების პროცესს, რომელიც ყველაფერს აერთიანებს. ბიზნესმენს შეიძლება სახლი თუ საწარმო ჰქონდეს დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ჰყავდეს იახტა, თვითმფრინავი, მანქანები, ჰქონდეს კონცერნი თუ ჰოლდინგი, ანუ თავისუფალი პიროვნებაა. მაგრამ იგი არ არის მმართველი. ამას ვერც შესძლებს ობიექტების სიმრავლისა და სპეციფიკის გამო, თანაც – თუ თავად იქნა მმართველი, ეს თავისუფლებას წაართმევს, დროს დააკარგვინებს.

საკუთრება მართვის გადაცემით არის გაშუალებული და გლობალიზაციის პროცესში ჩართული. ბიზნესმენი ღებულობს წილით განსაზღვრულ მოგებას. თავისუფალი, მატერიალურად უზრუნველყოფილი პიროვნება უფრო იოლად მიჰყვება მდინარებას და ემორჩილება ახალ სტაბილურ ცხოვრებას. არადა – თითქოს პირიქით უნდა იყოს. მაგრამ აქ მოქმედებს დაკარგვის შიში, პერსპექტივის გრძნობა.

ასე რომ, თავისუფლება ფარდობითი ცნებაა ანუ როგორც ფილოსოფოსები გვეუბნებიან, აუცილებლობის შემეცნება და მისი პრაქტიკული გამოყენება.

პიროვნების თავისუფლება სახელმწიფოს აძლევს დემოკრატიულ სახეს. მაგრამ იწვევს მმართველობის ლიბერალიზებას, როცა სახელმწიფო ვეღარ ერევა პირად ცხოვრებაში. ასეთ დროს სახელმწიფო ანგარიშს უწევს მრავალ ფაქტორს, მრავალ დეტალსა და ნიუანსს. ტოტალიტარულ რეჟიმს ამგვარი სიფრთხილე და სიზუსტე არ სჭირდება. იქ ერთი პირი წყვეტს არათუ ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი ქვეყნის ბედს: პიროვნება არის უზარმაზარი მანქანის ჭანჭიკი, რომლის შეცვლა და გადაგდება ყოველ წუთს შეიძლება.

ადამიანის უფლებათა დაცვით ფორმირებული საზოგადოება ცვლის სახელმწიფოს აზრსა და სტრუქტურას. ამიტომ იგი მზად

არის გლობალიზაციის პრინციპების გასაზიარებლად. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ერევიან პოლიტიკური პროცესების რეგულირებაში, რათა ამხილონ ძალადობა:

1992 წლის იანვარში, როცა საქართველოში მოხდა გადატარიალება, ქვეყნის სათავეში მოვიდა სამხედრო-კრიმინალური ხუნტა. ისინი ძალაუფლებას არ თმობდნენ. მაშინ ამოქმედდა ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია ჰუმან რაიტს ვოჩი. პარალელურად გააქტიურდნენ განდევნილი პრეზიდენტის მომხრეები და ხუნტას დამხობით დაემუქრნენ. წესრიგის დასამყარებლად, ადამიანის უფლებათა დასაცავად ხუნტას მიეცა სამი დღე, რაც საამისოდ არ კმაროდა.

წესრიგისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად მოძალადე ხელისუფლება იძულებული იყო მიტინგები და დემონსტრაციები დაეხვრიტა. ეს კი ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა იყო და ასეთი ხელისუფლება დემოკრატიული ვერ იქნებოდა. ამიტომ იგი საერთაშორისო მხარდაჭერას ვერ ჰპოვებდა. ეს კი გზას უხსნიდა ედუარდ შევარდნაძეს, რათა ხელთ ეგდო ძალაუფლება და ჩამოეცილებინა როგორც განდევნილი პრეზიდენტის, ისე ხუნტის მმართველობა.

აქ მოხდა რუსეთისა და აშშ-ის ინტერესების თანახვდომა: რუსეთს პრეზიდენტად არ სურდა ზვიად გამსახურდია – მას ფართო მასები მხარს უჭერდნენ და ვერ შეძლებდა ცხინვალისა და სოხუმის მიტაცებას; აშშ-ს ზვიად გამსახურდიას ნაციონალიზმი ხელს უშლიდა გლობალისტური ტენდენციების განვითარებაში, რაც მაშინ ასე გამოკვეთილი არ იყო. მათი კანდიდატურა იყო შევარდნაძე.

ეს კონკრეტულ ერთ შემთხვევაში. ზოგადად კი ყველაფერი იქმნება ადამიანის მიერ და ადამიანისათვის. ამდენად არის აქტუალური მისი უფლებების დაცვა დედამიწის ყოველ კუთხეში, ყველა რეჟიმის დროს.

ადამიანის უფლებათა დაცვისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი შეგნება, ქრისტიანული სათნოება და მიმტევებლობა, რასაც დღეს ტოლერანტობას უწოდებენ.

რადიკალიზმი და ტოლერანტობა

საზოგადოება, რომელსაც მართავს ან აყალიბებს ავტოკრატიული რეჟიმი, რადიკალური და შეურიგებელია განსხვავებული წესრიგისადმი. იგი სცნობს და აღიარებს მხოლოდ თავისი ცხოვრების წესის მსგავს წესს, ერთ რელიგიას, ერთ პარტიას, ერთ შეხედულებას. ამას მიიჩნევს ერთსულოვნების გამოხატულებად (შდრ. ნაცნობი ლოზუნგი: „კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო“), ხოლო განსხვავებული აზრების სიმრავლეს თვლის შეცდომად.

ეს არის დაპირისპირებისა და კონფლიქტის საფუძველი. იგი გზას უხსნის აგრესიულ ინსტინქტებს. ავტოკრატიული რეჟიმი აძლიერებს ამ ინსტინქტებს და უძებნის იდეოლოგიურ გამართლებას. მაგ., საბჭოთა კავშირში კაპიტალისტი იყო მუშათა კლასის სისხლის მწოველი. ამიტომ იგი უნდა გაენადგურებინათ. „მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არც მიმაჩნია ადამიანად“, – წერდა ერთი ცნობილი ქართველი მწერალი; ნაციონალ-სოციალისტისათვის ებრაელი დამნაშავე იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ის ებრაელად დაიბადა (შდრ – ლოზუნგი: „ებრაელები და ტილები უნდა განადგურდნენ“).

ასევე შეუწყნარებელი იყო დასავლური სამყარო კომუნისტების მიმართ. ამგვარი პოლარიზება სახელმწიფოებს შორის ზრდიდა ომის საფრთხეს. როცა კომკავშირელმა პავლიკ მოროზოვმა დააბეზღა მშობლები, მას ეგონა, რომ კარგი საქმე გააკეთა (სამწუხაროდ, ერთმა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა პავლიკ მოროზოვი თავის იდეალად მიიჩნია), რადგან ასე იყო მოწამლული იდეოლოგიის მიერ.

როცა ქართველი პოეტი წერდა, მოვკლავ მამას და დავახრჩობ დედას, რევოლუცია თუკი მიბრძანებსო, ისიც შეურიგებელი რადიკალიზმით იყო მოშხამული.

ძველ დროში პიროვნება თავად იყო განმსჯელი და სამართლის აღმსრულებელიც. სახალხო კრება და უხუცესი იძლეოდნენ ამის დასტურს, რაც ბიბლიაში ფორმულირებულია როგორც სისხლი სისხლისა წილ, თვალი თვალისა წილ ანუ სამაგიეროს გადახდა – შურისძიება (სისხლის ძიება) ღირსებად ითვლებოდა.

შურისძიება გამორიცხავს სასამართლოს, სასჯელის გაშუალებას. სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ასპექტში იგი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით – პოლიტიკურ წრეებში და იყენებენ საკუთარი იდეებისა თუ ზრახვების მისაღწევად.

XX საუკუნეში გერმანიასა და რუსეთს ერთმანეთს შორის ჰქონდათ ორი უდიდესი ომი. პირველი რუსეთის დამარცხებით დამთავრდა, მეორე – გერმანიის განადგურებით. ამ ომებში დაიხოცა მილიონობით ადამიანი, დაინგრა უამრავი ქალაქი, განადგურდა მატერიალური ქონება.

მიუხედავად ამისა, მათ პოლიტიკას მოაშორეს საშინელი წარსული და ერთმანეთის მოკავშირენი გახდნენ.

1840 წელს ნაპოლეონის ნეშტი პარიზში დაკრძალეს ბურბონებმა. დევნილ იმპერატორს 200 00 კაცი დახვდა.

რადიკალიზმისა და დაპირისპირების გაგრძელება ერს დაღუპავს. საჭიროა საკუთარ ტკივილებზე ამაღლება და პერსპექტივის ძიება (მაგ., საქართველოს ურთიერთობა თანამედროვე თურქეთთან). რადიკალური განწყობითა და აზრებით კარის მეზობელთანაც კი შეუძლებელია თანაარსებობა, არათუ სახელმწიფოებს შორის.

დემოკრატია ყველა ერში პარალელურად მიმდინარე პროცესია და ერთის ტოლერანტობას ხვდება მეორის ტოლერანტობა.

შურისძიება, რასიზმი, ნაციონალიზმი, ქსენოფობია შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. სამოქალაქო საზოგადოება ემორჩილება კონსტიტუციურ წესრიგს, საკანონმდებლო

ნორმებს. ამიტომ უმცირესობის აზრიც ისევე პატივსაცემია, როგორც უმრავლესობისა. სუბკულტურები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მათდამი მიმართება თუ რადიკალიზმს დაემყარა, კონფლიქტი გარდაუვალია.

წესრიგის ცნობა არის ტოლერანტობის გამოვლენა, როცა შემწყნარებელი ხარ იმის მიმართ, ვინც, შენი აზრით, სწორად არ იქცევა, არ ცხოვრობს ისე, როგორც სასურველია, როცა არ მოგწონს მისი მორალი ან ეტიკეტი, რელიგიური რწმენა ან პოლიტიკური კრედო.

დემოკრატიულ საზოგადოებას სიმტკიცეს ანიჭებს ტოლერანტობა, ავტოკრატიულს – რადიკალიზმი.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია ისლამური ფუნდამენტალიზმი როგორც განსხვავებული რწმენის, ისე თავისი სიწმინდეებისადმი დამოკიდებულების გამო (გავიხსენოთ სალმან რუშდის დევნა „სატანური სურების“ დაბეჭდვისათვის).

საზოგადოების ინტეგრირების წინაპირობა არის ტოლერანტობა, შემგუებლობა, შემწყნარებლობა, რასაც სოციოლოგიაში განსაზღვრავენ ბოგარდუსის შკალით.

მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ ჰომოსექსუალის, ნარკომანის თუ შიდსით ავადმყოფის მიმართ.

ასეთი ხალხი საზოგადოებისაგან გარიყულად მიიჩნეოდა.

ამიტომ მათდამი ნორმალური დამოკიდებულება, მშვიდი თანაარსებობა აჩვენებს საზოგადოების ტოლერანტობის ხარისხს, როცა არ ერევი სხვის პირად ცხოვრებაში, არ განსჯი მას იმიტომ, რომ არ ცხოვრობს შენსავით, შენი მორალითა და შეხედულებით ანუ მოქმედებს პრინციპი – ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ!

ასე ისპობა კონფლიქტების წყარო. საქართველოს სახალხო დამცველთან ტოლერანტობის ცენტრიც კი არსებობს, თუმცა ვთვლით, რომ ისტორიულად ვიყავით ტოლერანტული ერი. ეს სწორია, მაგრამ თავად დრო ცვლის ამ ცნებას, მასში შეაქვს ახალი შინაარსი. ეს უფრო ეხება ზნეობრივ შემწყნარებლობას, ქრისტიანული ღირსების კოდექსს.

პატარა ერის ტოლერანტობა საკუთარი უმწეობის დაფარვის ცდაც არის, რათა არ გააღრმავოს კონფლიქტები. სასურველია დიდი ერის ტოლერანტობა (მაგ., რუსეთის), მან გაგრძნობინოს, რომ მართლაც გცნობს და გაფასებს.

ასევეა საზოგადოებაშიც, სადაც უმრავლესობას ყოველდღიური კონტაქტები აქვს სხვადასხვა სახის უმცირესობასთან.

პიროვნული შეუგუებლობა იოლად გადადის ეროვნულ აგრესიაში, როცა საქმე ეხება ეროვნულ უმცირესობასთან ურთიერთობას (მაგ., სომხების ეთნიკური წმენდა აზერბაიჯანში, აზერბაიჯანელების ეთნოწმენდა სომხეთში. ასევე მოხდა ქართველების მიმართ აფხაზეთში).

ყველაზე შემზარავი გენოციდი XX საუკუნეში იყო ნაციონალ-სოციალისტების მიერ ებრაელების მასობრივი განადგურება, ისევე როგორც ადრე ამერიკელი ინდიელებისა და აფრიკელი შავკანიანების ამოხოცვა თეთრკანიანი ევროპელების მიერ.

მაგრამ ეს ისტორიაა, როცა მახვილი ადგენდა სიმართლეს.

ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიურ და ეროვნულ შეურიგებლობას. ამ თვალსაზრისით ყველა ერს ახასიათებდა რადიკალიზმი, რასაც მოსდევდა კონფლიქტები, შეიარაღებული დაპირისპირება, ომები.

დღეს ასეთი აგრესია აღარ არსებობს. ქრისტიანი არ გმობს ვინმეს იმიტომ, რომ ის მუსულმანია ან იუდეველია. მაგრამ რადგან არსებობს ამგვარი განყოფა, ტოლერანტობა მიდის გარკვეულ ზღვრამდე. უცხოობის მინიმუმი მანამდე იარსებებს, სანამ ქრისტიანი დადის ეკლესიაში, ბუდისტი – პაგოდაში, ებრაელი – სინაგოგაში, მუსულმანი – მეჩეთში (მაგ., 2013 წლისათვის თურქეთში იყო 93 000 მეჩეთი, აქედან ერდოღანმა ააშენა 17 000).

რელიგიური გრძნობა და რწმენა, მითუმეტეს – მსახურება, იძლევა განსხვავებას. მაგრამ ეს რჩება პირადი ცხოვრების ნაწილად, რომელსაც შეიძლება არ იზიარებდე. ოღონდ ეს არ ცვლის ურთიერთობებს, არ სპობს ღიმილსა და თავაზიანობას.

ასევე მიუღებელია ქსენოფობიური დამოკიდებულება, ერთი ერის აღმატების ქადაგება მეორეზე, მითუმეტეს – ძალადობა, რაც იყო ომების მიზეზი, საომარი სულისკვეთების ფორმირება. ცხადია, ერთი ერი უფრო ძალმოსილია, ვიდრე მეორე. ერთს უფრო დიდი კულტურა და ისტორია აქვს, ვიდრე მეორეს. ამისი თქმა არც უნდა იწვევდეს რადიკალურ განწყობას, გაღიზიანებას, აგრესიას, რადიკალურ აზრებსა და მითუმეტეს – მოქმედებას.

ერის ნაციონალური ინსტინქტების აღზევება საკუთარი განუმეორებლობის ქადაგებაა, სხვათა დათრგუნვისა და განადგურების მოთხოვნილება, რაც ხდებოდა ისტორიულად, როგორც ამას იდეოლოგიურად ამართლებდნენ და ასაბუთებდნენ ნაციონალ-სოციალისტები.

მშვიდობიანი თანაარსებობის შესანარჩუნებლად, მშვიდობიანი მსოფლიოს მისაღწევად აუცილებელია სოციალური, ეროვნული და რელიგიური ტოლერანტობა.

რელიგიებს შორის მხოლოდ ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევრები არიან ძველებურად შეუწყნარებელი, რასაც მოსდევს კონფლიქტები და ტერორისტული მოქმედება (მაგ., ცათამბჯენების დანგრევა ნიუ-იორკში ისლამისტების მიერ).

კონფლიქტის მოსაწესრიგებლად თანამედროვეობა ერთადერთ სწორ გზად დიალოგს მიიჩნევს, როცა ხდება განსხვავებული პოზიციებისა და აზრების შეჯერება, ურთიერთდაახლოება, ახსნა და განმარტება.

ხშირად ეს არის მხოლოდ ფსიქოთერაპია, მაგრამ ასე მაინც შეიძლება რადიკალიზმის შეჩერება და დაშოშმინება.

ზოგჯერ ტოლერანტობის მოთხოვნა მიდის ადამიანურ გრძნობათა სტერილობამდე, როცა უმნიშვნელო ფრაზას ტრაგედიად აქცევენ ხოლმე:

ერთხელ ლევან ბერძენიშვილმა მათიას იორშს „უნგრელი ებრაელი“ უწოდა. ამის გამო მას ბოდიში მოახდევინეს, თუმცა იორში მართლაც არის უნგრელი ებრაელი!

ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთი საარჩევნო კამპანიის დროს თქვა – ქართველებს განსაკუთრებული გრძნობა გვაქვს მშობლიური მიწისადმიო. აი, სომხები ამდენი ხანია აქ ცხოვრობენ, მათი სამშობლო აქვე გვერდით არის, მიკვირს, რატომ არ მიდიანო!

მიხეილ სააკაშვილს წამოსცდა ქართულში იდიომად ქცეული ფრაზა – „ზანგები ხომ არ ვართო!“

დავით დარახველიძემ დააზუსტა: „სიძედ მირჩევნია რაჭველი მყავდეს, ვიდრე ზანგიო“! და ახლა ამაზე ატეხეს ისტერია.

ხოლო როცა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რუსები შარდსაც დალევენო, ეს მართლაც იყო შეურაცხმყოფელი ნათქვამი.

რობერტ სტურუა ქსენოფობიური ბრალდებით გაანთავისუფლეს რუსთაველის თეატრიდან, ეს მაშინ, როცა აღიზარდა კომუნისტი ხელოვანის ოჯახში და ბაბუა ჰყავდა ბოლშევიკი ფუნქციონერი.

ქსენოფობიური გადახრა ბუნებრივია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის თუ საომარი მოქმედების დროს. ეს ზრდის ერის კონსოლიდაციას და ამაღლებს საომარ სულისკვეთებას. მაგ., სსრკ-ის დაშლის დროს რომ არ ყოფილიყო ანტირუსული მოწოდებანი, თუ იტყოდნენ, რომ კრემლი კარგად გვეპყრობაო, მაშინ სსრკ არ დაიშლებოდა და არც არავინ გამოვიდოდა დამოუკიდებლობის მოთხოვნით. მაგრამ ეს აფრთხობდათ ავტონომიებს.

საომარი მენტალიტეტი განსხვავებულია მშვიდობიანი მოქალაქის მენტალიტეტისაგან, ისევე როგორც საარჩევნო რიტორიკა – შემდგომი პერიოდისაგან.

ტოლერანტობა კარგია, რათა არ გაჩნდეს კონფლიქტი. მაგრამ თუ მტერი თავს დაგესხა, მაშინ მეორე ლოყის მიშვერა მხოლოდ დაღუპვის საწინდარია.

ვნებათა კალაპოტში მოქცევა ყოველთვის ვერ ხერხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ნებადართულია. მაგ., სპორტული შეჯიბრების დროს, რაც ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდება, როცა აგრესია გადადის ძალადობაში: 1985 წლის 29 მაისს ევროპის საფეხ-

ბურთო თასის მოსაპოვებლად ერთმანეთს ხვდებოდნენ ტურინის „იუვენტუსი“ და ლივერპულის „რეძი“. ტრიბუნებზე გულშემატკივ-რებმა ატეხეს ჩხუბი, ჩამოანგრიეს ბეტონის კედელი და ღობე.

დაიღუპა 28 და დაიჭრა 250 გულშემატკივარი.

ასევე დიდი მსხვერპლი მოსდევს ზოგჯერ საპროტესტო მი-ტინგებსა და დემონსტრაციებს, როცა სიშმაგე და ვნებათა ღელვა პიკს აღწევს (მაგ., საყოველთაოდ ცნობილი 1989 წლის 9 აპრილი; 1992 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ხუნტამ დახვრიტა მიტინგები მეტრო „დელისთან“ და „დიდუბესთან“, დემონსტრაცია – ცირკთან).

დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის, როცა უამრავი ინტერესი ერთმანეთს არის გადახლართული, როცა ესოდენ ხშირია რეალური და ვირტუალური კონტაქტები, აუცი-ლებელია ტოლერანტობა, რაც არის იგივე ტრადიციული ქრისტია-ნული სათნოება, მიმტევებლობა და თანადგომა. ამის მისაღწევად აუცილებელია ნაციონალიზმის დაძლევა, ქსენოფობიის აღმოფხვრა, ეგოისტური ინსტინქტების გარდასახვა, ოღონდ არა საკუთარი ქვეყ-ნის არსებობის ხარჯზე.

თითქოს ტოლერანტობას ხელს უშლის ეგოიზმი, ეგოისტური ინსტინქტების გამოვლენა. მაგრამ ეს მაშინ, როცა ეგოიზმი ვი-თარდება ღირსების მიმართულებით. ხოლო ეგოიზმი პრაგმატიზმის მიმართულებით ხელს უწყობს გათითოკაცებას, ეს აბრკოლებს კონკ-რეტული იდეის გარშემო შემოკრებას. ხოლო ასე დაშლილი ერთეუ-ლებისაგან უფრო იოლია გლობალური საზოგადოების ფორმირება, რომელსაც მართავს უჩინარი ხელი.

ასეთ დროს იღვიძებს, თავს შეგვახსენებს ნაციონალიზმი, ეროვ-ნული გადარჩენის ინსტინქტები, გადარეცხილი და ჩამქრალი რომ გვეგონა.

ნაციონალიზმი – გლობალიზაციის მტერი

ნაციონალიზმი და გლობალიზმი შეუთავსებელი ცნებებია, როგორც ყინული და ცეცხლი. ნაციონალიზმი ტრადიციული სახელმწიფოს საფუძველია, რომელიც იცავს თავის ენას, ადათს, რელიგიას, კულტურას, ტერიტორიას, საზღვრებს. ამ ნიშნებით არის ერთი სახელმწიფო მეორისაგან გამიჯნული.

სახელმწიფო რომ დასუსტდეს, უნდა მოირყეს ერის მონოლითური ბუნება, ერი უნდა გარდაიქმნას. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა ნაციონალიზმის აკრძალვა (შდრ – სლობოდან მილოშევიჩისა და ზვიად გამსახურდიას ბედი), მისი დაკავშირება ფაშისტურ იდეოლოგიასთან, პატრიოტიზმის დისკრედიტირება.

ქვეყნებს შორის ისტორიული დაპირისპირება მთავრდებოდა ტერიტორიების გადანაწილებით, დაკარგვით ან შემოერთებით. ამიტომ ყოველი სახელმწიფო ცდილობს თავისი იდეოლოგიის გამომუშავებას, რომელიც შეუნარჩუნებს ინდივიდუალურ სახეს. ეს განსაკუთრებით უჭირს პატარა და სუსტ ქვეყანას. თავი რომ გადაირჩინოს, ის უფრო ემყარება ისტორიას, მშობლიურ წარმოდგენებს, ცდილობს არ აჰყვეს მოძალებულ გლობალიზაციას.

ამდენად – ნაციონალიზმი ებრძვის გლობალიზაციას, რომელიც მას წალეკვით ემუქრება. არადა – გლობალიზაცია ურიცხვი, ხილული და უხილავი არხებით იჭრება სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, ადამიანთა ცნობიერებაში. საერთო პროცესისაგან გამოთიშვა შეუძლებელია. ეს შეიძლებოდა ძველ დროში. ახლა მსოფლიო ერთიანი სისტემით არის დაქსელილი. განკერძოებას მოჰყვება უეჭველი ჩამორჩენა. საერთაშორისო ორგანიზაციები, ერთი მხრივ, თრგუნავენ ნაციონალიზმს, მეორე მხრივ – იცავენ ქვეყანას გარე თუ შიდა აგრესიული ძალებისაგან, უნარჩუნებენ წონასწორობას, ხელს უწყობენ ეკონომიურ კეთილდღეობას, პოლიტიკურ სტაბილობას.

ნაციონალიზმი არ გამორიცხავს სხვა ქვეყნების მიღწევების ათვისებას, ეს იქნება ტექნიკის, კულტურის თუ ცივილიზაციის სფერო.

მიზეზი სწორედ ნაციონალური ეგოიზმია, რათა ერი იყოს უფრო ძლიერი, არ ჩამორჩეს სხვას, კულტურისა და ცივილიზაციის პროგრესს.

ასე რომ, ხდება პარადოქსი – ნაციონალიზმი გადადის ინტერნაციონალიზმში, ნაციონალისტი აღმოჩნდება ინტერნაციონალისტი.

ლიტერატურა ყველაზე კონსერვატიული დარგია, მაგრამ აქაც აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გადმონერგვა და მშობლიური წარმოდგენების მოდერნიზება.

რა იქნებოდა ქართული ლიტერატურა, რომ არ შემოსულიყო რომანტიზმი, სიმბოლიზმი, ავანგარდიზმი, არ ყოფილიყო გამოყენებული ევროპული გამოცდილება, ევროპული აზროვნება, ევროპული ცხოვრების წესი. მაგრამ მოდერნიზება არ უნდა ნიშნავდეს მშობლიურის დაკარგვას (შდრ – გ. ტაბიძისა და კ. გამსახურდიას შემოქმედება).

ქართულ მწერლობას დასაბამიდან ჰქონდა კონტაქტი უცხოეთთან. ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, საეკლესიო ლიტერატურა შთაგონებული იყო ბიზანტიური მწერლობით. შემდეგ ბიზანტიურის ადგილი დაიკავა სპარსულმა პოეზიამ. XIX საუკუნიდან ახალი ორიენტირი გახდა რუსულ-ევროპული გზა. უცხოური მოდელები უნდა მორგებოდა ქართულ მასალას, ქართულ სინამდვილეს. განსაკუთრებით ეს ითქმის მოდერნისტულ და ავანგარდისტულ სკოლებზე, სოციალისტურ რეალიზმზე. მაგრამ უცხოური მოდელები იტვირთებოდა ქართული რეალიებით, სახელებით, პრობლემებით, ივსებოდა ისტორიის აჩრდილებით, რაც სხვებისათვის ძნელი აღსაქმელიც იყო. ეგონათ, რომ ქართველ მწერლებს, პოლიტიკოსებსა და მოღვაწეებს ჭარბად ჰქონდათ ნაციონალიზმი და ისტორიზმი. ეს იმიტომ, რომ ქვეყანას დაკარგული ჰქონდა თავისუფლება. ღირსების

ამაღლებისა და გამოფხიზლებისათვის საჭირო იყო რადიკალიზმი და ნოსტალგია, საკუთარი განსაკუთრებულობის შეგრძნება.

გამარჯვებული ერების წინაშე არ დგას მსგავსი პრობლემა და არც აქვთ მსგავსი გამახვილებული გრძნობა. მაგ., ლევ ტოლსტოი პატრიოტიზმს საერთოდ ზედმეტად მიიჩნევდა ლიტერატურისათვის.

ნაციონალიზმი გლობალიზაციის მტერია. ოღონდ ნაციონალიზმით შემოზღუდვა რეგრესია, ხოლო გლობალიზაციით გატაცება – თავის დაკარგვა. იდეალია მორიგება მშობლიურსა და უცხოს შორის, ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის. ოღონდ რაც გადის დრო, ეს უფრო ჭირს, იფანტება ნაციონალური სულის მარაგი და გლობალური მოდელები იპყრობენ ცნობიერებას.

ის, ვისაც უყვარს მშობლიური გარემო, ტრადიციები, ენა, ლიტერატურა – ვერ თმობს მათ. ამიტომ ბრძოლას უცხადებენ ამ სიყვარულს.

როცა გულგრილი ხარ – არც დათმობა გეძნელება.

გლობალიზმი არ ემუქრებათ ისეთ დიდ ქვეყნებს, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი. ისინი ცდილობენ თავიანთ დიქტატს დაუმორჩილონ სატელიტი ქვეყნები, გაავრცელონ თავიანთი გლობალიზების მოდელი. მაგრამ იქაც იცვლება განწყობილება და დამოკიდებულება, იქაც ძლიერია დასავლეთის მასკულტურის ზეგავლენა.

გლობალიზაციის შემოტევა ზოგან ამძაფრებს ნაციონალიზმს, ზოგან – ანელებს.

გლობალიზაციის იდეოლოგები არჩევენ პოლიეთნიკურ საზოგადოებას, მმართველებად – სხვადასხვა აღმსარებლობის, ეთნიკური წარმოშობის, უცხოეთში აღზრდილ პირებს. მათ თუ მოსპობილი არა, საგრძნობლად მაინც ექნებათ შემცირებული სიყვარული იმ ქვეყნისადმი, რომლის მოქალაქედაც იწოდებიან. ამგვარი კოსმოპოლიტიზმი ანელებს ეროვნულ აგრესიას, ანელებს დაკარგულ ტერიტორიებზე სევდას და შურისძიების გრძნობას. შედეგად ისპობა ომე-

ბის წყაროც, რაც საბედისწერო გახდება ატომისა და ბალისტიკური რაკეტების ეპოქაში.

ერის საარსებო ქვაკუთხედი არის ოჯახი. ქვეყანა ოჯახებისაგან შედგება, ეს მისი მიკრომოდელია. ამიტომ უნდა შეიცვალოს ოჯახის შინაარსი ან იგი შეცვალოს თავისუფალი ცხოვრების იდეამ, დროებითმა ან შემთხვევითმა კავშირებმა. არათუ ნაციონალისტური, ნაციონალურიც ზედმეტი ხდება, – თვლიან გლობალისტები.

ამ ფონზე სრული გაუგებრობაა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის **ნაციონალური პარტია.** ეს მაშინ, როცა იგი სწორედ ანტინაციონალური მოვლენა იყო და აგრესიული გლობალიზმით თავს იწონებდა, სიტყვიერად ქადაგებდა ქართველთა გამორჩეულობის იდეას, რომ თითქოს რაც გაკეთდებოდა, პირველი იყო ევროპაში თუ არა, ახლო აღმოსავლეთში. საქმით კი სპობდა ეროვნული სულიერების კერებს (მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი). ეს დაახლოებით იგივეა, როცა აგვისტოს კატასტროფა გამარჯვებად გამოაცხადა და ტერიტორიების დაკარგვა ზეიმით აღნიშვნინა დაბნეულ მოსახლეობას!

სწრაფი გლობალიზმი ნაციონალიზმის და დემოკრატიზმის ნიღბით – ასეთი იყო პრეზიდენტის სამოქმედო პროგრამა. საამისოდ მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, ე. წ. განათლების რეფორმა. მაგ., 2007 წელს გააუქმეს „სამშობლოს ღალატის“ მუხლი.

საერთოდ ბრძოლა ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ყველა ხელისუფალის (ზ. გამსახურდიას გარდა) საყვარელი თემაა და კარიერის ტრამპლინი, დაწყებული სოციალ–დემოკრატებიდან, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის განახევრება XX საუკუნეში. ნაციონალიზმის დასაძლევად, გასანეიტრალებლად უმოკლესი გზაა სექსუალური რევოლუცია და ოჯახის შიგნიდან აფეთქება, ეროვნული უჯრედების დაშლა.

ოჯახი და გენდერი

კაცობრიობის ერთ ნახევარს ქალები შეადგენენ – ისტორიულ პერიოდში დაჩაგრული და გაღმერთებული, შეურაცხყოფილი და პატივცემული: ქალი – დედა, ქალი – სატრფო, ქალი– მეუღლე, ქალი – შვილი.

დემოკრატიის პირობებში უფრო ჩანს თუ როგორ ილახებოდა ქალის უფლებები. უკვე ვწერდით ამისათვის (იხ. „პატრიარქატი და ქალის ჩაგვრა“, „ამბივალენტური ქალი“). ახლა დავამატოთ, რომ 208 წელს საეკლესიო კრებამ ქალებს წერა-კითხვა აუკრძალა.

ცხადია, ეს არ იცოდა ლუარსაბ თათქარიძემ, რომელსაც წიგნი ქალის საქმედ მიაჩნდა, რომ სცოდნოდა, დიდად გაოცებული დარჩებოდა.

ადრე ბევრს მსჯელობდნენ ქალთა ემანსიპაციაზე, ქალისა და კაცის თანასწორობაზე, ფემინიზმზე. ეს საკითხი ყველაზე ადრე გადაჭრეს ბოლშევიკებმა. მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე დაიწყეს ქალთა პრობლემის მოგვარება. მაგრამ ისე გათამამდნენ და აგრესიული გახდნენ ემანსიპირებული ქალები, რომ ოჯახს დაუპირისპირდნენ და კაცების დაჩაგვრა დაიწყეს (შდრ. მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“).

ლენინი იძულებული გახდა ეს პროცესი შეეჩერებინა. ევროპასა და ამერიკაში სუფრაჟისტი ქალების მრავალმხრივი აქტიურობის შემდეგ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მათ მოიპოვეს საარჩევნო უფლება. შემლებულ და გაუთხოვარ ქალებს კი შეეძლოთ ესწავლათ უნივერსიტეტში. შემდეგ დაწესდა 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღე, რაც იშვა პროსტიტუციის წიაღიდან.

საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა გარკვეული კვოტა ქალებისათვის ხელისუფლებაში, არჩევით ორგანოებში. ისინი სამსახურებრივად მამაკაცის თანასწორი იყვნენ. მათი ღირსება დაცული

იყო, არ არსებობდა შრომით ანაზღაურებაში სქესის ნიშნით განსხვავება, ქალი 55 წლისა გადიოდა პენსიაზე, კაცი – 60-ისა.

მაგრამ ქალის წარმოებაში ჩართვამ, საზოგადოებრივმა აქტივობამ, მამაკაცთან ფაქტიურმა გათანაბრებამ მას ტვირთი დაუმძიმა, რაც ჩაგვრის ახალი ფორმა აღმოჩნდა.

ქალის რეპროდუქციულ, ბიოლოგიურ ფუნქციას დაერთო მწარმოებლური და საზოგადოებრივი ფუნქციები. გაჩნდა დილემა – ამ ფუნქციების მოხსნა ქალს ისევ იმ მდგომარეობაში აბრუნებდა, რომელშიც იყო, როცა მეძავს მიიჩნევდნენ ბოროტებად, ქალწულს – სიწმინდედ, ხოლო დედას – აღმწარმოებლად.

თითქოს დასრულდა ქალის სოციალური დათრგუნვა. მაგრამ შრომა და პასუხისმგებლობა მოემატა. ხოლო ბევრ ქვეყანაში ვერ მიიღო მამაკაცის შესაბამისი ანაზღაურება.

ადამიანის კეთილდღეობას განსაზღვრავს სამი ინდიკატორი – სტატუსი, დროის ბიუჯეტი, ხელფასი. ამ უფლებათა მოპოვებისა და ბალანსირებისათვის ზრუნვა ისევ გაგრძელდა. ამან და სექსუალურმა რევოლუციამ, მამაკაცის აქტივობის შენელებამ წარმოშვა გენდერი – ქალთა ჩაგვრისადმი სოციალურ-კულტურული მიდგომა.

მას იწყებს ეგზისტენციალისტი სიმონა დე ბოვუარი, სარტრის მეუღლე.

ისტორიულ პერიოდში დაკანონდა მასკულინური (მამაკაცური) უფლებები, ხოლო ფემინური (ქალური) მას დაემორჩილა. ოჯახის უფროსად ტრადიციულად მიიჩნევა მამაკაცი, თუმცა დრომ შეარყია ეს ადათი. მაგ., ფრანგების 30% თვლის, რომ ოჯახის უფროსი ქალია.

ამიტომ ყურადღება მიექცა ოჯახს, ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, ოჯახურ ძალადობას, რაც მართლაც არსებობს და ქალის საზოგადოებრივმა გააქტიურებამ კიდევ უფრო გაამწვავა. ქალის ოჯახიდან გასვლამ, სამსახურმა, გადაადგილებამ ნიადაგი მოამზადა ეჭვისა და კონფლიქტისათვის.

შვილების გადასარჩენად ქალი მიდის უცხოეთში, რათა გახდეს ძიძა, შინამოსამსახურე, მომვლელი, მეძავი, ტრეფიკინგისა და სექსის ინდუსტრიის მსხვერპლი.

მატერიალურად უზრუნველყოფილი, ემანსიპირებული ქალი დადის რესტორანში, ეწევა სიგარეტს, ატარებს მანქანას, ჰყავს ბევრი ნაცნობი მამაკაცი, გადადის ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ხან – მარტო, ხან – მეუღლესთან ან საყვარელთან ერთად.

ასევეა მამაკაციც. ცოლი და ქმარი ცხოვრობენ თავიანთი ინტერესებით. ისინი აღარ არიან ერთსულ და ერთხორც, როგორც ამბობს რელიგია. ასეთ დროს ჩნდებიან პარტნიორები, რომლებიც ავსებენ წარმოქმნილ სიცარიელეს. ეს აღრმავებს კონფლიქტს და ოჯახი იშლება, რაც თავისთავად მტკივნეული პროცესია, განსაკუთრებით – შვილებისათვის. მაგრამ გაყრას წინ უძღვის ძალადობა, მოსდევს მატერიალური პრობლემები, დეპრესია და სასოწარკვეთა.

მსჯელობენ, რომ ცოლ-ქმარს ერთად არ უნდა ეძინოთ. ზოგან დედ-მამა შეცვალეს მშობელი 1 და მშობელი 2-ის ცნებებით.

ქალის უფლებათა დასაცავად 1993 წელს გაერომ მიიღო დეკლარაცია, რაც განმტკიცდა პეკინის 1995 წლის ქალთა IV მსოფლიო კონფერენციაზე. ამას დაერთო ევროსაბჭოს 2002 წლის რეკომენდაციები, რაც სავალდებულო გახდა წევრი ქვეყნებისათვის.

სექსუალური რევოლუციის საფუძველზე მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც ზრდიან ქალის უფლებებს და აკნინებენ კაცის ფუნქციას. საქართველოშიც მიიღეს კანონი, რომლის თანახმად ქალს ენიჭება სექსუალური თავისუფლება. იგი შეუზღუდავად მოქმედებს თავის არჩევანში. მაგ., შეუძლია ღამე სახლში არ გაათიოს, დილით კი სახლში მოიყვანოს პარტნიორი, ვისთანაც ღამე დარჩა. ქმარმა ეს ფაქტი გაგებით უნდა მიიღოს, კეთილმოსურნედ შეხვდეს ცოლსა და მის საყვარელს; თუ ეხამუშება, არ არის საჭირო ჩხუბი და აყალმაყალი, შეუძლია გასცილდეს ცოლს უხმაუროდ.

ასეთი ტოლერანტობის შედეგია ქალის გენდერული შურისძიება. ახლა უკვე კაცი იჩაგრება, რომელიც ძველებური აგრესიით ვე-

ღარ მოქმედებს, ვეღარ სწევს წინააღმდეგობას. საბჭოთა კანონიც ქალის მხარეს იყო, ახლა – მითუმეტეს.

ირღვევა ფალოსის გარშემო სტრუქტურიზებული სიმბოლური წესრიგი (ჟაკ ლაკანი).

გენდერი თითქოს ზრდის ქალის უფლებებს, იცავს მას, ააქტივებს როგორც საზოგადოების წევრს. მაგრამ მამაკაცის სტერილობის მოთხოვნა ასუსტებს ოჯახს. ამიტომ აქ წამოიწევა სხვა პრობლემა – ეს არის ოჯახის რღვევა, როცა ლაპარაკობენ ბავშვის უფლებებზე, რომ თურმე ხშირად დედა და მამა ცუდად ექცევიან შვილებს, რომ დასაცავია ძალადობისაგან არა მხოლოდ ქალები, არამედ – შვილებიც.

ასე მოხდება ოჯახური ბირთვის გაქრობა, რაც უფრო მოერგება გლობალიზაციის პროცესს (ცნობისათვის – საქართველოში ოჯახს ენდობა 90%). ოჯახი მაინც მოვალეობა და ბორკილია. ოჯახისაგან თავდახსნილი კი თავისუფლად მოძრაობს. მას არავინ ზღუდავს არჩევანში (მაგ., კოლორადოს შტატში სუზან ჰეინტზი მანეკენზე თხოვდება, ხოლო ბრიტანელი ამანდა როჯერსი საყვარელ ძაღლზე დაქორწინდა), სექსუალური თავისუფლება ანიჭებს რეალურ თავისუფლებას. არც ქალი, არც კაცი არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ იქნება.

ხოლო ოჯახის რღვევა მიმართულია მასკულინური საზოგადოებისა და კულტურის წინააღმდეგ. ერთგულების გაუქმებისა და ოჯახის აფეთქების შედეგად კაცი კარგავს თავისთავადობასა და ძალაუფლებას, სახელმწიფო – საყრდენს.

ფემინისტური ძალა უფრო იოლი სამართავია, ვიდრე მასკულინური. ამიტომ მიიჩნევენ აუცილებლად, რომ უნდა გაიზარდოს ელჩი, მინისტრი, დეპუტატი ქალების რიცხვი, ქალები დაინიშნონ პროკურორებად, მოსამართლეებად, თუნდაც ეს უფრო შეეფერებოდეს მამაკაცს (მაგ., ჩვენში შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი). აქაც

პროცენტული შეფარდებით ცდილობენ ბალანსის დადგენას, სულ-ერთია – ამდენი პროფესიონალი ქალი არის თუ არა.

მამაკაცური საწყისის დათრგუნვა ქვეყანას აქცევს იოლ სამარ-თავად, მდინარების მორჩილ მიმყოლად, რომელსაც არა აქვს სურ-ვილი დაიცვას თავისი პრინციპები და ღირებულებები.

ამას მოსდევს ქალის გამამაკაცება, კაცის გაქალება, სქესის, მო-რალის, ორიენტაციის აღრევა, დედისა და მამის, ქალისა და კაცის ცნებების გაუქმება.

დემოკრატიის, თავისუფლების, გენდერის საფარველქვეშ, სექ-სუალური რევოლუციის შედეგად, ტოლერანტობის მოთხოვნით ინ-დივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო ჰკარგავს სასიცოცხლო უნარს, საბრძოლო თვისებას და ემორჩილება გლობალიზების აგრესიულ ძალას. ამგვარი ტენდენცია ისევ მცირე ერებისათვის არის დამღუპ-ველი. მაგ., ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო შენელდა გამრავლების ტემპი, შემცირდა ქორწინებები და გახშირდა განქორწინებები. სო-ციალური პრობლემები, მასობრივი უმუშევრობა ხელს უშლის და-ქორწინებას, ზრდის მიგრაციას. შედეგი ის არის, რომ საქართველო შეჰყავთ მომაკვდავი ერების პირველ ათეულში.

გაეროს მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლი-სათვის კიდევ 28 პროცენტით შემცირდება.

ცოლის ქმრისადმი მორჩილებას მოითხოვს ინდური „მანუს კანონები“, ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, ყურანი. რელიგია განქორ-წინებას კრიტიკულად ეკიდება, კრძალავს მეძაობას, სექსუალურ გადახრას, ამორალურ ცხოვრებას. რელიგია დღესაც დიდი ნდობით სარგებლობს (მაგ., საქართველოში 93% თავს აკუთვნებს რომელიმე აღმსარებლობას, თუმცა რელიგიური ცხოვრებით ცხოვრობს 30%).

ამიტომ გლობალიზაციის მიზანი რელიგიური რწმენის შესუს-ტებაა. ეს უნდა მოხდეს ძირითადი რელიგიების შემდგომი დიფე-რენცირებით, სექტების წაქეზებით, რათა აღმსარებლობას არ ჰქონ-დეს გამაერთიანებელი ძალა, არ იყოს სახელმწიფოს ოფიციალური დოქტრინა, როგორც ეს არის ისლამურ ქვეყნებში (მაგ., ირანში).

როცა ქრისტიანობა ან ისლამი უამრავ სექტად დაიშლება, მას აღარც ზნეობაზე ექნება ზეგავლენა, დარჩება ცალკეულ პირთა რწმენად. ამის შემდეგ ოჯახსაც აღარ ექნება ბაზისი. სეკულარიზებული მორალი მერყევი და ცვალებადია, იოლად აჰყვება ტკბილ და მღვრიე ცხოვრებას.

ოჯახის დაშლას ახლავს კონფლიქტი და დისკომფორტი, დროებითი სექსუალური კავშირები, დროებითი პარტნიორები, შვილთა ფსიქიკური ტრავმა. ამიტომ რელიგიურ საწყისზე დაყრდნობით ოჯახის განმტკიცების, მრავალშვილიანობის, ხალხების დაახლოების აუცილებლობაც გაჩნდა ევროპაში (მაგ., ტეზეს მოძრაობა, ნეოკატეხუმენური მოძრაობა).

ქალის უფლებების დაცვა არ ნიშნავს ოჯახის დაცვას, პირიქით – ბევრი მას ოჯახის ინსტიტუტის დასამხობად იყენებს.

სექსუალური რევოლუცია

გლობალიზაციისათვის ერთ-ერთი საყრდენი ზნეობის სფეროში არის სექსუალური რევოლუცია. იგი მოიტანა მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა, ტექნიკურმა პროგრესმა, დემოკრატიის პროცესებმა, რაც აისახა ჰორმონების დისბალანსში.

ევროპაში საამისო ნიადაგი ადრევე იყო მომზადებული. თავისუფალი სექსი აქ ყოველ დროში არსებობდა, მაგრამ მას ახშობდა ქრისტიანული მორალი (იხ. II წიგნში – „კრიზისი და პროგრესი“).

მეორე მსოფლიო ომში უამრავი მამაკაცი დაიღუპა და დასახიჩრდა. ყველაფერმა ფასი დაკარგა, მათ შორის – პურიტანული და კონსერვატიული ცხოვრების წესმა. ამავე დროს ტექნიკურმა პროგრესმა და მასობრივმა კომფორტმა გააიოლა ცხოვრება, შეამსუბუქა ზნეობრივი არტახები. ქიმიური ტექნოლოგიებითა და კონსერვანტებით მიღებული საკვები, უძრაობა, მედიკამენტები და ნარკოტიკები,

დაძაბული ცხოვრების რიტმი, ნერვიულობა და დეპრესია ადუნებდა მამაკაცის კუნთოვან სისტემას. დაირღვა ჰორმონების პროპორცია, რასაც მოჰყვა სექსუალობის დაქვეითება და იმპოტენცია.

ქალებს საზოგადოებრივმა აქტივობამ და ნევროზმა, სექსუალურმა შიმშილმა არეული ცხოვრებისაკენ უბიძგა. ისინი ჩართული აღმოჩნდნენ პროსტიტუციაში სკოლის ასაკიდანვე. გაჩნდა ბოიფრენდისა და გელფრენდის ინსტიტუტი.

ქალიშვილობის ცნება, რომელზეც ჩვენში ახლა მსჯელობენ, იქ დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, ისევე როგორც რუსეთში. იაპონიაში სულაც ბავშვობაში ხდება დეფლორაცია.

ცსს-ს დირექტორმა ალენ დალასმა თავისი დოქტრინის ნაწილად აქცია ჰეტეროსექსუალებთან ჰომოსექსუალების დაპირისპირება, როგორც გაბატონების საშუალება.

1987 წელს აშშ-ში მამათმავალთა იდეოლოგმა მაიკლ სვიფტმა დაბეჭდა ჰომოსექსუალთა მანიფესტი, რომ ყველგან შეეღწიათ.

თავისუფალმა ცხოვრებამ წარმოშვა ვენერული დაავადებისა და შიდსის საფრთხე. აუცილებელი გახდა მათი თავიდან ასაცილებლად ახალგაზრდობის გაცნობიერება, პრეზერვატივისა და აბორტის საწინააღმდეგო საშუალებების ფართო რეკლამირება.

1991 წლიდან აშშ-ში დაიწყეს პრეზერვატივის ტელერეკლამა. ამ მხრივ ჩვენში განსაკუთრებით პოპულარული იყო გერმანული „ზიკო“.

ქორწინებას წინ უსწრებს სექსუალური კავშირი, რასაც აღარა აქვს ფარული ფორმა. ოდესღაც ემა ბოვარი და ანა კარენინა თავს იკლავდნენ ქმრისათვის ღალატის გამო, ვერ უძლებდნენ შინაგან დრამას. დღეს ასეთი რამ იუმორის სფეროში გადადის.

პროსტიტუციის ლეგალიზება და რეგულირება მოხდა პარტნიორის არჩევით, რომელიც იცვლება დროში. მაგრამ მოცემულ მომენტში ერთია.

შეიცვალა მეძავი ქალის ცნებაც. სულხან-საბას განმარტებით ბოზობა ორად განიყოფა – სიძვად და მრუშებად. სიძვა მარტოხელას

ბოზობაა, მრუშება – მეუღლიანისა. ასეთ ქცევას საზოგადოება ფრიად უარყოფითად ეკიდებოდა. ხოლო მოღალატე ცოლს ქმრისაგან სასტიკი სასჯელი მოელოდა, ყველაზე მსუბუქი იყო გაყრა.

ახლა ყოველგვარ კონფლიქტს ფარავს ტოლერანტობა – წყვილები მშვიდობიანად შორდებიან ერთმანეთს და მეგობრობასაც ინარჩუნებენ. პროსტიტუცია გახდა ლეგალიზებული და საზოგადოების მიერ შეწყნარებული, ისევე როგორც სექსუალური, ეთნიკური თუ რასობრივი უმცირესობა. ამას ხსნიან ჰუმანიზმის, ადამიანის უფლების დაცვის, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპებით:

პირადი ცხოვრებაც ისევე დაცული უნდა იყოს, როგორც კერძო საკუთრება, რელიგიური აღმსარებლობა თუ ეთნიკური წარმომავლობა.

გუშინდელი მეძავი დღეს სექსმუშაკია, რომელსაც რეკლამას უწევენ.

კინოფილმები, რეკლამები, ტელევიზორი, პოდიუმები, ესტრადა, ბორდელი, რესტორანი ექსპლუატაციას უწევს ქალის შიშველ სხეულს, რათა ეროტიკის მუხტი გადაეცეს აუდიტორიას. მაგრამ ჭარბ და ხშირ სიშიშვლეს ახლავს უკუეფექტი და იწვევს მამაკაცთა გაუცხოებას.

ქალის გააქტივება გამოწვეული იყო, როგორც ვთქვით, მამაკაცური ბუნების შესუსტებით, რაც განვითარდა ჰომოსექსუალიზმის მიმართულებით. კაცს შეუნელდა ლტოლვა ქალისადმი, ქალიც გულგრილი გახდა კაცისადმი, რამაც გააძლიერა ლესბოსური სიყვარული.

ლეგალიზებული პორნოგრაფია, აღვირახსნილი ცხოვრება, სქესთა აღრევა, რასაც შეესაბამება ბილწსიტყვაობა მასმედიასა და ლიტერატურაში, თითქოს კომპლექსების დაძლევაა, ადამიანის უფლებათა, პიროვნული თავისუფლების რეალიზება. ასეთ დროს კულტურისათვის ადგილი აღარ რჩება, რაც სწორედ ინსტინქტებისა და ლტოლვების შეკავება და სუბლიმირებაა. მაგრამ გლობალიზმი სცნობს არა ზნეობას, არამედ – კანონებს.

ევროპასა და ამერიკაში ჰომოსექსუალიზმმა იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ საზოგადოება იძულებული გახდა, შეგუებოდა მას. ჰომოსექსუალიზმს ადრე განიხილავდნენ როგორც მხოლოდ გარყვნილებას და კანონით ისჯებოდა, განსაკუთრებით – ტოტალიტარულ სახელმწიფოებში.

შემდეგ ავადმყოფობად თვლიდნენ, მაგრამ 1990 წელს გაეროს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ესეც უარყო და ნორმალურობად ჩათვალა.

სოდომის ცოდვა ებრაელებში სიკვდილით ისჯებოდა (ლევიტ. 20, 15-16). სოდომისტებს გმობდა და ჯოჯოხეთით აშინებდა რუისურბნისის ძეგლისწერა (XV კანონი).

ოსკარ უაილდი ასეთი უზნეობის გამო ციხეში იჯდა. ახლა ჰომოსექსუალისტებმა თავიანთი იდეოლოგია გამოიმუშავეს და ერთსქესიან ქორწინებასაც მიაღწიეს.

ერთსქესიანი ქორწინება ნებადართულია არგენტინაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში, ისლანდიაში, კანადაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში...

ასე რომ, ჰომოსექსუალიზმი აღარც გარყვნილებად ითვლება, აღარც ავადმყოფობად, ხოლო სიყვარული, როგორც ვთქვით, ავადმყოფობად შერაცხეს.

განსაკუთრებულ პატივში ჰყავთ ჰომოსექსუალისტები ჰოლანდიაში. ჰოლანდიის მოქალაქე ვერ გახდება ის, ვინც შეუწყნარებელია ჰომოსექსუალიზმის მიმართ და იცავს ტრადიციულ მორალს. ამას იმითი ხსნიან, რომ სექსუალური ცხოვრება ითვლება პირად საქმედ, რომელშიც ჩარევა მიჩნეულია ადამიანის უფლებათა დარღვევად.

ჰომოსექსუალია, თავისივე აღიარებით, პარიზის მერი, გათხოვდა ცნობილი მომღერალი ელტონ ჯონი, გათხოვდა გფრ-ის ერთ-ერთი მინისტრი გვიდო ვესტერველე და მას გაბედნიერება

მიულოცა კანცლერმა ანგელა მერკელმა! აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ქალიშვილი თავის დაქალზე დაქორწინდა

ასევე მოიქცა ისლანდიის პრემიერ-მინისტრი იოჰანნა სიგრ-დარს დოტირი, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც 500-კაციანი ქორწილი გადაიხადა.

2014 წელს ევროვიზიის ფესტივალზე გაიმარჯვა კონჩიტა ვურსტმა, ავსტრიელმა ჰომოსექსუალმა, გათხოვილმა მამაკაცმა, რო-მელიც ქალის სახელით გამოდიოდა.

„სქესს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ვისიამოვნო“, – ამბობს ერთი ჩვენი შოუმენი.

აშშ-ის ზოგიერთ შტატში ერთსქესიანთა ქორწინების მოწმობი-დან ამოიღეს ცოლისა და ქმრის ცნებები. მათი ადგილი დაიკავა ახალმა, აბსტრაქტულმა ცნებებმა – „პარტნიორი-ა“ და „პარტნიორი-ბ“.

მათ ბავშვის აყვანის უფლებაც აქვთ.

ყალიბდება ანდროგენის ტიპი.

მოსკოვში ყოფილა ერთსქესიანთა 27 000 ოჯახი; აშშ-ში აღრი-ცხულია 400 000-მდე ერთსქესიანთა ქორწინება, რიგში დგას 700 000 წყვილი...

ექსპერიმენტი ადამიანის ბიოლოგიასაც შეეხო: მედიცინაში გაჩნდა მამაკაცის დედობის იდეა. ფრანგების 35-მა პროცენტმა გა-ნაცხადა, რომ ღირდა დაფიქრება ამ საკითხზე. დღეს შესაძლებელია ამ ოცნების აღსრულებაც.

სექსის ინდუსტრია იგონებს ახალ ფორმებს და ითრევს ახალ თაობებს. მოსკოვში ორალური სექსის შემსწავლელი კურსებიც კი გაიხსნა. დაიწყო ქალის კაცად და კაცის ქალად გადაკეთება. ამას ხსნიან შესაბამისი სქესის ჰორმონების სიჭარბით და მას უნდა მიეცეს ადეკვატური სახე:

ადრე ქალი ყველა კაცს უნდოდა, მაგრამ არა ქალად ქცევა, ახლა ქალი აღარ უნდათ, მაგრამ ქალად გადაკეთება კი ენატრებათ.

გლობალიზაციის პროცესისათვის მისაღებია სქესთა აღრევა. დღეს სქესის ნიშნით, სექსუალური გადახრის გამო დისკრედიტირება ისევე მიუღებლად ითვლება, როგორც ეროვნების ან კანის ფერის მიხედვით. განმამაკაცებული მასალა იოლი სამართავია, უფრო კანონმორჩილია, უფრო ტოლერანტია. მისთვის მთავარია კომფორტი და თავისი სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

გლობალიზმი იძლევა ამის საშუალებას, პირობებს, გამართლებას:

რუს მსახიობს ალექსეი პანინს ძაღლთანაც კი აქვს სექსი, ეწევა ასეთი გარყვნილების პროპაგანდას და შიშველი დადის, საკუთარი რვა წლის ქალიშვილის წინაშეც კი; აფრიკაში ნიანგის გაუპატიურება სცადეს, რასაც რამდენიმე მოძალადე კინაღამ შეეწირა!

ზოგჯერ ტელევიზია პირდაპირ ეთერში უჩვენებს ბავშვის დაბადებას, ჰომოსექსუალთა ხვევნა-კოცნას, მამაკაცის სექსს ცხოველებთან, ქალისა და კაცის სექსს, სექსის სხვადასხვა ფორმებს, სტრიპტიზ-სცენებს, გადასცემს პორნოფილმებს. ამ მხრივ ყველაზე თავისუფალი სოციალური ქსელები და ინტერნეტია.

თავისუფალი ცხოვრების ტალღას მიჰყვა სკოლაც: ბავშვებს ასწავლიან სექსუალური ურთიერთობის ანა-ბანას, უხსნიან თუ რა არის ინცესტი, როგორ ხდება სექსუალური კავშირი, რა არის ჰომოსექსუალიზმი, როგორ ისარგებლონ პრეზერვატივით, უვითარებენ ეგოისტურ ინსტინქტებს.

ქუჩაში შიშველი გამოდიან და ამას სხეულის თავისუფლების ფესტივალს ეძახიან (მაგ., შვეიცარიაში, ბრაზილიაში).

ზოგ საბავშვო ბაღში მოზარდს უნერგავენ აზრს, რომ თავად უნდა გადაწყვიტოს – იგი გოგო იქნება თუ ბიჭი!

საზოგადოებაში ვრცელდება ინსტრუქციები თუ როგორ მოიქცეს მეძავი, რა ჩაიცვას, როგორ იმუშაოს ქუჩაში, ბინაში, მანქანაში, სასტუმროსა თუ საუნაში, როგორ შეარჩიოს პარტნიორი, როგორ დაიცვას თავი.

ეს ინსტრუქციები ევროსაბჭოს რეკომენდაციების დაკონკრეტებაა.

ჰომოსექსუალისტებს განაკუთვნებენ სექსუალურ უმცირესობას. მაგრამ ისინი ცდილობენ არეალის გაფართოებას და მიღწეულს არ სჯერდებიან. მათ უნდათ ხელისუფლებაში წამყვანი პოსტების დაკავება, რათა ერთმანეთს გამოუცხადონ ღია თუ ფარული სოლიდარობა და ის, რასაც ესწრაფვოდნენ მასონები, ახლა თავად აღასრულონ. დგება ინცესტისა და პედოფილიის ლეგალიზების საკითხიც. ინცესტს არქმევენ ახალ სექსუალურ ორიენტაციას.

ევროპასა და ამერიკაში იმართება გეი-პარადები, ყალიბდება გეი-კლუბები. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოძრაობაც. მაგ., ამას წინათ 2012 წლის 17 ნოემბერს, საფრანგეთის 75 ქალაქში ერთდროულად გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო აქციები ჰომოსექსუალური ქორწინებისა და ასეთი ოჯახების მიერ ბავშვის აყვანის წინააღმდეგ; ევროკავშირში ღებულობენ კანონს სექსიზმის წინააღმდეგ მასმედიასა, რეკლამასა და სადაზღვევო ბიზნესში, რაც იცავს სქესობრივ თანასწორობას. ამ პროცესს სდევს კურიოზებიც, მაგ., რუსეთის დეპუტატმა მაზულინამ მოითხოვა, რომ მინეტი აეკრძალათ.

სექსუალურ რევოლუციას მოაქვს თავისი სტილი და მოდა, რასაც პროპაგანდას უწევს მასმედია, კინო-ინდუსტრია, პოპ-მუსიკა; მასზეა მორგებული კანონები (შდრ– ე.წ. კაზანტიპის რესპუბლიკა, როგორც რეალობის ალტერნატივა).

სექსუალურ თავისუფლებას, სირცხვილის გადალახვას მიიჩნევენ საზოგადოების ნევროზებისაგან განმუხტვის ეფექტურ საშუალებად, რაც ადრე კულტურაში გარდასახვით ხდებოდა.

ის, რაც ფროიდს ქვეცნობიერში განდევნილად მიაჩნდა, ცნობიერში ამოვიდა. სამაგიეროდ კომფორტმა, ჰედონიზმმა და ეროტიკამ მაღალი იდეალები ქვეცნობიერში ჩაძირა ანუ არარაობად აქცია.

ცალკეული პოლიტიკური დოქტრინები, მასმედია და ინტერნეტი, საერთაშორისო ორგანიზაციები ხელს უწყობენ მესამე სქესის

ჩამოყალიბებას. ეს ხდება დემოკრატიის, თავისუფლების, ადამიანთა უფლებების დაცვის სახელით.

გამართლებას ეძებენ წარსულში – ისტორიასა და პრეისტორიაში, ცალკეულ გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიებში.

მაგ., ინდოეთში ძველი დროიდან არსებობდა ტრანსექსუალების, საჭურისებისა და ჰომოსექსუალების კასტა, რომელსაც ჰიჯრას უწოდებენ.

მათი უფლებები სცნო ინდოეთის სახელმწიფომ.

ასეთივე იყვნენ ბერდაშები ესკიმოსებსა და ჩრდილო ამერიკის ინდიელებში, საიდანაც გამოდიოდნენ შამანები და ექიმბაშები.

სექსუალური თავისუფლება და სიშიშვლის კულტი, გეი პარადები, ვულგარული ყოფითი ენის, ჩვევებისა და წესების ლეგალიზება გლობალიზაციის თანადმევი აღმოჩნდა, როგორც მასკულტურის ტრიუმფი.

სექსუალური რევოლუციით ფრთაასხმული ქალები, რომელთაც გუშინ ბოზებს ეძახდნენ, სექსუალური უმცირესობის წევრი კაცები, რომელთაც პედერასტებად იხსენიებდნენ, თავიანთი ზრახვების სრულ რეალიზებას აგრესიული გლობალიზმისაგან მოელიან.

გაბატონდა ცინიზმი და ნიჰილიზმი – მთავარია სიამოვნება და ინსტინქტურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ოღონდ კანონის ფარგლებში: ძირს მომავალი და მაღალი იდეალები...

განათლების სისტემის უნიფიცირება

საზოგადოების ფორმირებისათვის მაინც ყველაზე მთავარია განათლების მოდუსი.

განათლების სისტემა გარკვეულ სივრცეში ყოველთვის იყო უნიფიცირებული, ერთიან დოქტრინას დამორჩილებული. ქრისტია-

ნობა, ისლამი თუ ბუდიზმი სკოლას თავის წიაღში იგულვებდა და შესაბამის რელიგიურ სისტემას განახორციელებდა.

როგორც ვთქვით, იდეოლოგიზებულ ქვეყნებში – ჰიტლერულ გერმანიაში, სსრკ-ში, სოციალისტური ქვეყნების ბანაკში თავიანთ სივრცეს აყალიბებდნენ.

საქართველოს, უზბეკეთის, ყაზახეთის თუ ლიტვის სკოლის მოსწავლე ერთნაირ ყელსახვევს, კომკავშირელისა და ოქტომბრელის ნიშნებს ატარებდა, ერთნაირ სახელმძღვანელოებს სწავლობდა.

განსხვავებას ქმნიდა მხოლოდ ენა.

განათლების სისტემის უნიფიცირება სახელმწიფოს მიერ ჩვეულებრივი ფაქტია, რადგან ხელიდან ვერ გაუშვებს მომავალ თაობას. ამას იგი არქმევს მერმისზე ზრუნვას. მაგრამ ფარულად იგულისხმება იდეოლოგიური ფაქტორი თუ როგორ აღიზარდოს ახალი თაობა.

ავტოკრატიულ ქვეყნებში ეს აშკარაა და თვალში საცემი, დემოკრატიულ ქვეყნებში – ფარული და ძნელად დასანახი.

აღსანიშნავია, რომ ჯორჯ სოროსის „ღია საზოგადოებამ“ საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო განათლების პროგრამით. ეს იყო ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩვენში.

გლობალიზაცია მოითხოვს განათლების სისტემის უნიფიცირებასაც, რათა ჩვენი ატესტატი თუ უმაღლესი სკოლის დიპლომი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

როცა დედამიწის ყველა წერტილში გადაადგილდება ადამიანი, როცა ხშირია და ელვისებური კონტაქტები, იგი ვერ იქნება ერთ გეოგრაფიულ პუნქტზე მიბმული. მან შეიძლება ისწავლოს ინგლისში, იმუშაოს აშშ-ში, ავსტრალიაში თუ საქართველოში.

ეს რომ ასე მოხდეს, დიპლომს უნდა ჰქონდეს სათანადო სერტიფიკატი, მოქალაქეს შეძენილი განათლება უნდა დაეხმაროს, ხელი კი არ შეუშალოს.

ეს კი შეიძლება მაშინ, როცა ეს დიპლომი მიღებულია და აღიარებული განათლების სისტემის საფუძველზე, თუ სტუდენტმა

აითვისა ძირითადი საგნები, დაიცვა დროის გარკვეული ინტერვალი და საფეხურებრივი სისტემა (მაგ., ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

ამიტომ არის შემოღებული საქართველოში ბოლონიის პროცესის სისტემა, რაც გულისხმობს განათლების ერთიან მოდელს. ამიტომ ის დიპლომი, რომელსაც სტუდენტი აიღებს თბილისში, უნდა გამოადგეს ლონდონსა, პარიზსა თუ ვაშინგტონში.

სკოლაში ინერგება ინგლისური ენა და კომპიუტერი, რათა მომავალი თაობა მზად იყოს გლობალიზაციის პროცესში ჩასართავად. მისგან მოითხოვენ საკომუნიკაციო ცოდნის მინიმუმს, რათა შესძლოს მომსახურება.

თვლიან, რომ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ სჭირდება თავისი სამეცნიერო კადრები. ისინი ამთვისებელი არიან, განსაკუთრებით – განვითარებადი ქვეყნები. მეცნიერებას ქმნიან დიდი სახელმწიფოები, კერძოდ – აშშ. საკმარისია მისი თარგმნა და პოპულარიზება. ნაწილობრივ ეს მართალიც არის. მაგ., საქართველოს არ გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი, შესაბამისად – აღარც სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მასშტაბური სამეცნიერო კვლევებისათვის. ასეთ თვალსაზრისს ეწირება ჰუმანიტარული მეცნიერებაც. მას ყურადღება ექცევა იმდენად, რამდენადაც წაადგება გლობალიზაციის პროცესს.

მზადდება არა სპეციალისტები, არამედ – მენეჯერები და კომუნიკატორები.

ერთნაირი პროგრამები და სწავლის მეთოდები, ერთნაირი სახელმძღვანელოები, ინგლისური ენა, კომპიუტერი, ამერიკული ოცნება, კარგი ცხოვრების კულტი, ტექნიკით გაერთიანებული მსოფლიო ყველგან ერთმანეთის მსგავს ცნობიერებას ნერგავს, რომლის შემდგომი ძერწვა იოლია, როგორც შემთბარი ცვილისა, როცა მომხდარია სექსუალური რევოლუცია და სამშობლოს გრძნობა ზედმეტია.

უნიფიცირების იდილიას განამტკიცებს ცოდნის მასობრიობა, დილეტანტიზმი, მოჩვენებითობა, რაც მის გაუფასურებას ნიშნავს.

მაგ., მხოლოდ საქართველოში რამდენიმე ასეული სხვადასხვა დონის უნივერსიტეტია, 60-ზე მეტი „აკადემია“.

როცა პატარა საქართველო ყოველწლიურად უშვებს უამრავ დიპლომირებულ კურსდამთავრებულს (შდრ – სოლომონ დოდაშვილის სწავლის პერიოდში პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტს ჰყავდა მხოლოდ 122 სტუდენტი!), როცა უამრავი დოქტორანტი იცავს დისერტაციას – ეს არის დემოკრატიის სახელით განათლების დისკრედიტაცია.

ასე რომ, უნიფიცირება მასობრიობაა, მასობრიობა – გაუფასურება. მაგრამ ეს არის დემოკრატია, რომელიც არ სცნობს კასტურ პრივილეგიას და მონოპოლიას, საიდუმლო სიბრძნეს. ეს არის ტკბობა დღევანდელი დღით, არა ბრძოლა მაღალი იდეალებისათვის ან ფიქრი სულის ხსნასა და მარადიულ სასუფეველზე.

პრაგმატიზმმა ერთი მხრივ – განამტკიცა ათეიზმი და პრაქტიციზმი, მეორე მხრივ – შეინარჩუნა გამოშიგნული რელიგია, როგორც კულტურის დეკორი.

თითქოს ჩვენი საზოგადოება ცოდნაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამას მოითხოვს როგორც ჰუმანიტარული, ისე ტექნიკური დარგები.

ახალი ტექნოლოგიები სხვაგვარად ვერ განვითარდება. მაგრამ იცვლება თავად ცოდნის მოცულობა. ხოლო ჭარბი კლასიფიცირება და მასობრიობა, როცა გამოყენება შეუძლებელია, როცა ობიექტი არ არსებობს, ესეც აუფასურებს მის მნიშვნელობას.

შემენილი ცოდნა, თუ პრაქტიკაში არ გადავიდა, კონსერვდება და თანდათან ილევა. მაგრამ ზერელე ცოდნა, დილეტანტური განათლება ადამიანს აცილებს წიგნისაგან. კომპიუტერი კი იძლევა ინფორმაციას, არა მყარ, ფუნდამენტურ ცოდნას.

შედეგად ადამიანს აღარა აქვს ინტელექტუალური ბაზისი და რომც ჰქონდეს სურვილი, არ არის მზად რთული მსჯელობის

ათვისებისათვის. ის ორიენტირებულია გართობისა, კომფორტისა და ახალი ინფორმაციებისაკენ.

სწავლების ამერიკული მოდელი იძლევა ზოგად განათლებას, გერმანული მოდელი – ფუნდამენტურ ცოდნას. პირველი სჭირდება მასებს, მეორე – სპეციალისტებს.

მაგრამ ცოდნის ნიველირება და მასობრივი გავრცელება იწვევს უკურეაქციას – იგი კარგავს იდუმალებასა და საზოგადოებრივ ინ-ტერესს.

უნიფიცირებული განათლების სისტემა ახალთაობას ზრდის გლობალისტური სულისკვეთებით, სადაც სიყვარულის ადგილს იკავებს პრაგმატიზმი.

ცოდნის მასობრიობა და გაუფასურება

ცოდნა ყოველთვის ვიწრო წრის ხელში იყო, რომელიც უნდა სხვებს გადასცემოდა. ქურუმთა წრეში ეს იყო ხელდასხმული, უნი-ვერსიტეტში – სტუდენტი.

წიგნისა და მასმედიის სიმრავლემ გაავრცელა მრავალგვარი ცოდნა, მსუბუქი და ზერელე, ტყუილი და მართალი, მეცნიერული და სენსაციური.

გრაფომანები, ხალტურისტები, ფალსიფიკატორები, აკვიატებუ-ლი იდეებითა და წარმოდგენებით შეპყრობილები წერენ სენსაციურ წიგნებს, თხზავენ უცნაურ თეორიებს, ალაგებენ ტომებს. ბეჭდვის გაიოლება და სიტყვის თავისუფლება, რეკლამირება ზღვარს შლის სიმართლესა და სისულელეს შორის.

ინფორმაციის ზღვაში ძნელდება ფასეულისა და ღირებულის გამორჩევა, გამორჩევა და გადარჩევა.

როცა წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოების მცირე ნაწილი იყო, ხოლო ინფორმაციის გადაცემა-შეზღუდული, მაშინ დიდი მნიშვნე-

ლობა ჰქონდა ცოდნას. ახლა, როცა მას პროგრესი იმორჩილებს და ყოველ დარგს თავისი სპეციალისტი ჰყავს, საზოგადოება სარგებლობს მიღწეული შედეგებით, ეწევა მათ ექსპლოატაციას. მაგ., მობილური ტელეფონი ყველას სჭირდება, ყველა სარგებლობს, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის მისი მუშაობის მექანიზმი. დამზადება კი შეიძლება მხოლოდ სპეციალიზებულ საწარმოში.

მობილური ტელეფონი, რომელმაც ერთი სუნთქვით შეკრა მსოფლიო, რასები და ერები, ისეთივე ჩვეულებრივი ნივთი გახდა, როგორიც არის რადიო ან ტელევიზორი. ადამიანს იგი პრაქტიკული მიზნისთვის სჭირდება და სულაც არ ფიქრობს, რომ ტექნიკის საოცრებაა.

ცოდნა გადავიდა პრაქტიკულ სფეროში და საგნებად იქცა. ეს საგნები ახალი დროის აუცილებელი ნივთებია. მობილური ტელეფონი, ელექტროუთო თუ საპარსი, ავტომობილი, ლიფტი, მეტროპოლიტენი, ვატერკლოზეტი ყოველდღიური ყოფის ატრიბუტებია. თანამედროვე ადამიანი მათ გარეშე ვერ იცხოვრებს. ისინი ცოდნის მატერიალიზებაა, თეორიის პრაქტიკული ხორცშესხმა. მაგრამ თავად ცოდნა, რომელიც მასობრივი გახდა, ისე როგორც ცოდნის ნაყოფი, უკვე აზრს კარგავს. იგი აღარ იწვევს კრძალვას, აღფრთოვანებას ან შეძენის სურვილს.

დაშალეს თავად ადამიანის გენომიც. მაგ., დნმ-ის სტრუქტურა გაშიფრეს და მისი მოდელი ორმაგი სპირალის სახით წარმოადგინეს ამერიკელმა გენეტიკოს-ფიზიკოსებმა – ჯეიმს უოტსონმა და ფრენსის კრიკმა.

ამ ნიველირებისა და უნიფიცირების ფონზე მაინც გამოიკვეთება სიახლენი. მაგრამ მისი შემოქმედნი იქნებიან გლობალისტები ან ისინი, ვინც სცნობენ და იწონებენ კოსმოპოლიტურ ღირებულებებს.

გლობალისტური კულტურის ბაზისი იქნება ზოგადი, ზერელე და ინფორმაციული ცოდნა, როგორც კომუნიკაციის საშუალება.

ალბერტ აინშტაინს ღმერთს ადარებდნენ. იგი პლანეტის ყველაზე პოპულარული მოაზროვნე იყო. მაგრამ დღეს მხოლოდ ვიწრო წრეში იწვევს ინტერესს. ის, რაც ახსნილია, ის, რაც მიღწეულია ვერ იქნება შთაგონების, აღტაცებისა და გატაცების საგანი. ის წარსულს ეკუთვნის. წარსული კი დავიწყებაა. ცოდნის შემენა და მოპოვებაც პრაქტიციზმით არის ნაკარნახევი.

ამის გამო ჩნდება ნიჰილიზმი და ცინიზმი ინტელექტისა და ინტელექტუალიზმის მიმართ. ეს ყოველთვის იყო მასის თვისება. მას აზროვნებას მუდამ ერჩია მოქმედება, რადგან ეს არის პრაქტიკა და სიცოცხლის უნარი.

მათ ზრდიან ამერიკული უნივერსიტეტები. ხოლო არჩევენ, სწავლობენ და აკონკრეტებენ ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს თანამშრომლები, რათა შემდეგ დააბრუნონ თავიანთ სამშობლოში ახალი იდეოლოგიის გამტარებლებად.

საბოლოოდ ვღებულობთ, ერთი მხრივ, პროგრამირებულ, ზომბირებულ მოქალაქეებს, მეორე მხრივ, მმართველთა, მენეჯერთა, ლიდერთა კასტას, რასაც აფორმებს კანონი.

ასეთია გლობალისტური ინტელექტუალიზმის დიფერენცირების შედეგი.

პროგრამირება და ზომბირება

გონიერ ადამიანს ყველაფერი აინტერესებს, რაც ხდება გარშემო, აკვირდება ბუნებას, შენობებს, ქუჩებს, გამვლელებს.

ცხოველს ეს არ აინტერესებს. იგი რეაგირებს მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელ მოქმედებაზე, საფრთხეზე, საკვებზე. მაგრამ არ სჭირდება პროსპექტი, ხეივანი, შადრევანი ან ქანდაკება.

ასევეა ფსიქიკური ავადმყოფიც. იგი ცხოვრობს თავისი შინასამყაროთი, გარემოსთან კონტაქტი აღიზიანებს, აეჭვებს და აშინებს.

საფრთხესა და საკვებზე ისიც რეაგირებს. მაგრამ გარემოს მრავალი სპექტრის აღქმა არ შეუძლია, ე. ი. ინფორმაციის გაცვლა გარემოსთან მისთვის არ არსებობს, ვერ ასხვავებს ნამდვილსა და ილუზიურს. ამის გარეშე ფსიქიკა ნორმალური და ადექვატური ვერ იქნება. მას სჭირდება იმპულსებისა და სიგნალების ბალანსირება, ინფორმაციის მუდმივი ცვლა, შინაღელვისაგან განმუხტვა და გარემოვლენებით აღვსება.

ზომბირებული ადამიანიც მარტოა, ჩაკეტილია თავის თავში და ცხოვრობს ვირტუალური სამყაროთი, რომელსაც ღებულობს კომპიუტერის მონიტორიდან. იგი უსმენს, უყურებს, აკვირდება, მაგრამ არაფერზე რეაგირებს, არაფერს გრძნობს, არაფერს ესწრაფვის.

საჭიროა მხოლოდ ფული და თავისუფალი დრო.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მერი შელი (პოეტ პერსი ბიში შელის მეუღლე) ფანტაზიით ქმნიდა მახინჯ გიგანტს ფრანკენშტაინს, ჰაინრიხ ჰაინე-ადამიანის კოპირებულ მანქანას, რომელიც ითხოვდა სულის ჩადგმას.

რობოტი პროგრამირების მიხედვით მოძრაობს და მოქმედებს. რობოტებს მეტწილად იყენებენ სერიული წარმოების საამქროებში, სადაც შრომის მავნე პირობებია, იყენებენ კოსმონავტიკაში, ატომურ მრეწველობაში. მათ მართავს მანიპულატორი ანუ რობოტი არის მექანიკური მონა. რობოტის მსგავსად სტერილურ ადამიანს ამოცლილი აქვს სული და ეგოისტური ბირთვი, დაკარგული აქვს ინდივიდუალური „მე“, სამშობლოს გრძნობა, რელიგიური რწმენა, ტრადიციების სიყვარული. ისტორიული მეხსიერება ნისლით იბურება. თითქოს ისინი ადამიანს აღარ სჭირდება, თითქოს ისინი ხელს უწყობენ ეროვნულ განკერძოებას. განკერძოება და უცხოობა კი შეიძლება კონფლიქტების წყარო აღმოაჩნდეს, რაც სთიშავს ადამიანებს. გლობალიზმით პროგრამირებული მოქალაქე კი გამოსულია ეროვნული ჩარჩოდან და მისთვის მახლობელია ცივილიზაციის ყოველი მონაპოვარი.

ამიტომ აუცილებლად მიაჩნიათ მშობლიური მიწისა და სექსუალობის ცნებების ახლებური მოდელირება, დრამატიზმისაგან დაცლა.

გლობალიზების ელემენტები ყოველ ჩვენთაგანს გააჩნია. ისე ვიხსენებთ იულიუს კეისრის თუ ნაპოლეონის ომებს, აუსტერლიცსა და ვატერლოოს, დიდ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ეგვიპტურ პირამიდებს თუ ნოტრდამს, თითქოს ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყოს. ეს სახელები ეკუთვნის ყველას, ვისაც მათი აღქმა შეუძლია. ისინი კაცობრიობის კულტურისა და ისტორიის კუთვნილებაა, არა მხოლოდ რომელიმე ერისა.

მაგ., ბროდსკის განცხადებით, იგი იყო ეროვნებით ებრაელი, როგორც პოეტი – რუსი, როგორც ესსეისტი-ამერიკელი.

როცა კულტურის ადგილს იკავებს ცივილიზაცია, ადამიანი სულისაგან იცვლება, კარგავს განცდის უნარს და ფაქტებს გონებაში ისე განურჩევლად ინახავს, როგორც საჯარო რეესტრი.

იგი ცოცხლობს დღევანდელი დღითა და პრაგმატული კავშირებით, რეალობის მახინჯი აღქმით.

ინფორმაციის სიუხვე დამაბნეველია. დეტალებისა და ფაქტების სიმრავლე ხელს უშლის არსებითის პოვნას, აქცენტების განაწილებას.

შესაბამისად ცხოვრობენ ცალმხრივი მონაცემებით და არასწორი მიმართებებით, ანდა – ინფორმაცია თავად იქცევა დემონად, რომელიც მართავს ადამიანს.

ბუნების ექსპლოატატორი (ლესლი უაიტი) თავის გამოგონებას ემონება.

როგორი იქნება მომავალი?

გლობალიზებულ საზოგადოებაში დაბადებულს აღარ ექნება პირველადი ტრავმა, აღარც გმირობის მაგალითი. შესაბამისად – აღარც სწრაფვა განვითარდება, აღარც კომპენსირება. ზედმეტად ჩათვლის თავგანწირვას, უფრო სწორად – აღარ ექნება ძალა თავგანწირვისათვის.

იგი რეალური თუ ვირტუალური გადაადგილებით შეიქმნის ბიოგრაფიას. მას ყველგან მიესვლება, მაგრამ ეს პუნქტები არც მშობლიური იქნება, არც უცხო. სადღეისო რეალობითაც შესაძლოა, დედა თურქეთში მუშაობდეს, მამა თბილისში ცხოვრობდეს, ვაჟი ამერიკაში სწავლობდეს, ქალიშვილი გერმანიაში გათხოვდეს.

მათ გაერთიანებთ ფეისბუქი და სკაიპი, მობილური ტელეფონი და ფულადი გადარიცხვები.

შორეული ახლოვდება, ახლობელი უცხოვდება.

ადამიანს აქვს ინდივიდუალური საშინაო სკოლა - განათლების სისტემა, ვიდეოთეკა – კინოთეატრი შინიდან გაუსვლელად, ციფრული ბიბლიოთეკა, სილქ საფულე – მომსახურების გადახდა შინიდან, ასევე – შოპინგი, ბილეთების შეძენა, შეუძლიათ უამრავ კომბინაციაში ვირტუალური ჩართვა-მონაწილეობა, ჰყავთ ვირტუალურ მეგობართა მასა ფეისბუქსა თუ ტვიტერში.

ახლა ამას დაერთო ზუმის მეშვეობით ვირტუალური სწავლება უნივერსიტეტებსა და სკოლებში.

ადამიანი არსებობს და არც არსებობს. მას აცვია ფრანგული პიჯაკი, ამერიკული ჯინსი, გერმანული ფეხსაცმელი, იტალიური პერანგი, იძენს ჩინურ პროდუქტებს, უყურებს ამერიკულ ფილმებს, სვამს კახურ ღვინოს, სწავლობს ლურსმულ წარწერებს, ატარებს გერმანულ „მერსედესს“, ცხოვრობს ნიუ„იორკსა, ლონდონსა და მიუნხენში; ეროვნებით ქართველია, მაგრამ აქვს აშშ-ის მოქალაქის პასპორტი ანუ ადამიანი კარგავს ეროვნების განცდას, ადგილის სიყვარულს; მსოფლიო წარმოუდგენია, როგორც სამშობლო და მანქანის მსგავსად შედგება სხვადასხვა მარკის ნიშნებისაგან.

ასეთ ადამიანს არ აინტერესებს საზღვრები, ეროვნული ტრადიციები და იდეოლოგია. იგი გლობალიზებული ტექნოკრატია, Homo Faber-ი.

ადამიანი კარგავს არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ – ფიზიონომიას და შეიძლება გენეტიკური მოდელირებაც, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს თავად ადამიანის ჯიშის არსებობას.

შეცვლილი ცხოვრების პირობები და გარემო, კომფორტი და უძრაობა, საკვები, ნარკოტიკები, მედიკამენტები ცვლის ფსიქო-ნერვულ, ძვალკუნთოვან, ენდოკრინულ სისტემებსაც. შედეგად მრავლდება ფიზიკური (მაგ., სიმსივნე, ინფარქტი, ინსულტი) და ფსიქიატრიული დაავადებები (მაგ., შიზოფრენია), ნევროზი და დეპრესია, სექსუალური გადახრა, თუმცა მათ დასაძლევად მედიცინა სასწაულებს ახდენს.

გენმოდიფიცირებული ადამიანის აღქმა და სახელმწიფოებრივი განცდაც მოდიფიცირებული იქნება. როგორც ქვეყანას ეცლება საზღვარი, ისე ერღვევა გენოტიპს ჯავშანი.

შეიძლება მისი, როგორც მანქანის, შეკეთება (ტუჩების, ცხვირის, თმის, კბილების კორექცია), ენერგიის აღდგენა (მაგ., სექსუალობის), ფსიქიკური დაავადების კორექტირება (მაგ., შიზოფრენიის), ცალკეული ორგანოების გადანერგვა (მაგ., თირკმელის) ან შეცვლა პლასტმასის ნაწილებით (მაგ., გულის სარქველების), სქესის შეცვლა, სტენტირება და შუნტირება, კლონირება, როცა იქმნება ადამიანის ასლი.

ამგვარი შეკოწიწებული ან სტერილური ადამიანი ლიდერად ვერ გამოდგება.

ლიდერი იქნება ისეთი პირი, რომელსაც აქვს გლობალიზაციის პრინციპებისათვის ბრძოლის უნარი, ვინც მბრძანებლობს, როგორც ნიცშეს ზეკაცი. ოღონდ მბრძანებლობს ამ იდეისათვის.

ასეთი ლიდერებისაგან შეიქმნება მმართველი ელიტა.

მას დაემორჩილება ინერტული, უინიციატივო, კანონებით შეზოჭილი მასა.

აქაც ხდება დაყოფა – გლობალიზმის მეტროპოლიად და პერიფერიად. პერიფერიის ლიდერი დენაცონალიზაციის გასაგრძელებლად სასურველია იყოს ეროვნული უმცირესობიდან გამოსული ან ჰქონდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური დეფექტი, ან – დარღვეული სექსუალური ორიენტაცია, ან იყოს რელიგიური უმცირესობის მიმდევარი, იმყოფებოდეს შერეულ ქორწინებაში, განათლება ჰქონდეს

მიღებული საზღვარგარეთ, ცუდად ან საერთოდ არ იცნობდეს თავისი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას.

რაც შეეხება მეტროპოლიას, ამჯერად – აშშ-ს, იგი აყალიბებს თავის ნაციონალიზმს, ნაციონალურ კულტურას, ტრადიციებს, რომელთაც იცავს. მას არ სჭირდება ქარიზმატული ლიდერი.

ასევე ცდილობდნენ კომპარტია და ნაციონალ-სოციალიზმი ახალი ექსპერიმენტული ჯიშის გამოყვანას: ეს იყო კომუნისტი ჩეკისტი და არიელი ესესელი.

პროგრამირებას და ზომბირებას ვერ ექნება ვრცელი არეალი. იგი დაიმორჩილებს ელიტას, მაგრამ მასას ისევ შერჩება მიწიერი განცდები, ისევ შეაშფოთებს მტერთა შურისძიება და მეგობართა ცილისწამება (ლერმონტოვი), ისევ შესძრავს სიყვარული, „რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ (დანტე).

მასა და ელიტა

წარმოიშვა ელიტისა და მასის ახალი ურთიერთობა. ელიტას განეკუთვნებიან წარმატებული ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, მენეჯერები. მათ აქვთ განათლება, აგრესია, ენერგია, მართვის უნარი.

ეს არის ლიდერთა კასტა.

ისინი იცავენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, თავისუფლებას კანონის ფარგლებში, აკონტროლებენ ერთმანეთს და აწონასწორებენ ანუ როგორც დღეს იტყვიან – იცავენ თამაშის წესებს.

წესის დამრღვევი აქაც ისჯება.

დანარჩენი ყველა არის მასა – ხელოვანი, მეცნიერი, ჯარისკაცი, ჟურნალისტი, სპორტსმენი, ფერმერი, ძველი გაგების მუშა, გლეხი თუ ინტელიგენტი.

ისინი ემორჩილებიან ელიტის ინტერესებს, მოთხოვნილებებს, კანონებს. ამიტომ უნდა იყვნენ შემსრულებელნი, იმგვარი ინსტინქ-

ტების, ფსიქიკისა და ცნობიერების მქონენი, რასაც გულისხმობს საზოგადოების რეფორმირება. მეტი პრეტენზია მათ არა აქვთ, არ წამოიშობა კონფლიქტები და თავადაც თავს მშვიდად იგრძნობენ.

ეს აიოლებს ელიტისა და მასის ურთიერთობას, მათ ბალანსსა და ჰარმონიას, როცა ეკონომიკა იძლევა ამის საშუალებას.

მასიდანაც ამოიწევა ცალკეული ხელოვანი, მომღერალი თუ სპორტსმენი, რომელიც თავისი წარმატებისა და მოპოვებული ქონების გამო შედის ელიტაში, იხვეჭს რეკლამას და თავადაც ხდება სხვათა რეკლამიორი. ეს არის სანახაობის სფერო, რაც სჭირდება როგორც ელიტას, ისე მასას. ყველაფერი ნებადართულია, რაც კანონით არ იკრძალება.

ამდენად, მასა და ელიტა არ არის უცვლელი. იგი მუდმივად განახლებადია, რასაც იწვევს სიტუაცია, ცალკეულ პერსონათა უნარი და აქტივობა, თავისუფალი კონკურენცია.

ეს არის მტანჯველი, მაგრამ აუცილებელი პროცესი, რასაც მოაქვს საერთო პროგრესი, როცა ელიტარული იძირება მასის წრეში და მასობრივად ამოიწევა ახალი ელიტარული კულტურა.

ელიტარულ კულტურას შეიძლება სულაც არ ქმნიდეს ელიტის წევრი ან – ელიტა მასკულტურის შემოქმედი იყოს.

მულტიკულტურალიზმი

მულტიკულტურალიზმი გლობალიზაციის ნაწილია. იგი, როგორც ტერმინი, პირველად გამოუყენებიათ 1957 წელს. თუმცა ეს პროცესი მანამდეც არსებობდა, ოღონდ სხვა სახელებითა და მასშტაბით.

მულტიკულტურალიზმი განსხვავებულ ეთნიკურ, რელიგიურ, იდეოლოგიურ კულტურათა ერთიანობაა, რაც ნიშნავს მის მრავალფეროვნებას ანუ უარყოფას ტრადიციული ღირებულებებისა. ამი-

ტომ იწვევს იგი ნაციონალიზმის არა დაძლევას, არამედ – აგრესიას, რაც გადავიდა ტერორიზმში.

მულტიკულტურალიზმის შემქმნელია განათლება, მიგრაცია, შერეული ქორწინება, ეკონომიკური ინტეგრაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური კავშირები.

დღეს მიმდინარეობს ახალი იდეოლოგიური პროცესი, რასაც ზოგადად ვარქმევთ გლობალიზაციას. მაგრამ კონკრეტული ტერმინი მაინც არ არის მოძებნილი, ისეთი როგორიც იყო ადრე რელიგიური სახელები ან თუნდაც რენესანსი და სოციალიზმი.

ადამიანის შეცვლისა და გადაკეთების პროგრამა ადრევე ჰქონდათ რელიგიებს, რაც იწვევდა ომებსა და დაპირისპირებას, შემდეგ – იდეოლოგიებს. მაგ., სოციალიზმს, მის ნაირსახეობებს, რასაც მოჰყვა საშინელი რეპრესიები.

ამჯერად ეს ხდება არა მხოლოდ ცნობიერების დონეზე, არამედ – ინსტინქტების შეცვლითაც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სექსუალურ რევოლუციას, მის შედეგებს, რაც უკავშირდება ადამიანის უფლებებს, ტოლერანტობას, აგრესიის შენელებასა და შეცვლას, ცხოვრების წესს.

ტრადიციებთან ბრძოლის პროცესში მუსულმანობაც მულტიკულტურალიზმის მოკავშირეა, რადგან იგი ისტორიულად ქრისტიანობის საპირისპირო ძალაა, ისევე როგორვ ამორალური ქცევები, წარმოადგენები და ურთიერთობანი, და მიმართავს ტერორს.

კანონის უზენაესობა

თუნდაც ქვეყანა დაიქცეს, სამართალი უნდა აღსრულდეს, – ამბობდნენ რომაელები, ვინაიდან სახელმწიფო ვერ იარსებებს კანონისა და კანონიერების გარეშე. მათ მოიხმარს ძალა. ამიტომ უკავია თემიდას ერთ ხელში სასწორი, მეორეში – მახვილი. სუსტი ქვე-

ყანა კანონის იმედად ვერ დარჩება, მათ არავინ დაიცავს. მაგრამ ძლიერ ქვეყანას თუ უსამართლო კანონები განაგებს, ეს უფრო საშინელებაა. ეს იქნება რეპრესიის გამართლება, რასაც მიმართავენ ტოტალიტარული, ავტოკრატიული რეჟიმები.

ქვეყანა და საზოგადოება იმართება და კონფლიქტები რეგულირდება კანონებით, რომელთა საფუძველია კონსტიტუცია. კონსტიტუცია ქვეყნის სიმტკიცეზე მეტყველებს. იგი არის ერთიანობის, სტაბილობის, სამართლიანობისა და წესრიგის გარანტი. ამიტომ პოლიტიკურ რყევებს არ უნდა ექვემდებარებოდეს. მაგ., აშშ-ის კონსტიტუციაში შეტანილია მხოლოდ 26 შესწორება, მათგან 10 – 1791 წელს.

ეს მაშინ, როცა ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოში რამდენჯერმე მთლიანად შეიცვალა კონსტიტუცია.

სტალინის უმაღლესი საბჭოც ღებულობდა ბევრ სამართლიან, ზოგ უსამართლო კანონს. უსამართლო ზუსტად უნდა აღსრულებულიყო, სამართლიანი – რამდენადაც საჭირო იქნებოდა. მანამდე მსჯავრდებული უნდა შემზადებულიყო – წამებით მიეცა ბრალმდებელისათვის სასურველი ჩვენება.

აღიარება მტკიცების დედოფალია, – აცხადებდა ვიშინსკი, სსრკ გენერალური პროკურორი. აღიარებას წამებით აღწევდნენ, როცა პატიმარსა და დასაპატიმრებელს გამოგონილ საბრალდებულო სიუჟეტურ სქემაში ადგილი და ფუნქცია ჰქონდა მიჩენილი.

სასტიკი დრამა იდგმებოდა არა სცენაზე, არამედ ციხის საკნებში.

დემოკრატიულ სამყაროში სხვა ვითარებაა. აქ კანონი მოქმედებს ჩადენილი დანაშაულისათვის, არა მხოლოდ როგორც სასჯელი, არამედ იმისთვისაც, რომ არ განმეორდეს, გაფრთხილდეს საზოგადოება.

რომაული პრინციპი ისევ ძალაშია – სამართალი უნდა აღსრულდეს.

გლობალიზაციის პროცესში ჩართული სახელმწიფოს პარლამენტი ჰუმანიზმისა და ტოლერანტობის პოზიციიდან პედანტური სიზუსტის კანონებს ღებულობს. შემდეგ მკაცრად მოითხოვს მათ აღსრულებას სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ასე ეძლევა კანონიერი გზა გლობალიზაციას, ახალ მენტალიტეტს.

გლობალისტები აცხადებენ კანონის უზენაესობას, ისინიც მოითხოვენ მათდამი მორჩილებას. ყველა დროში კანონი გამოიყენება საზოგადოების სათანადო არტახებში მოსაქცევად, იდეოლოგიურად ფორმირებული მოქალაქეების სუბიექტური ნების დასათრგუნავად, ეკონომიკის რეგულირებისათვის.

კანონს ემორჩილებიან კოსმოპოლიტი ლიდერებიც, გაფანტული მობილური ინდივიდები, მომთაბარე მენეჯერები და ბიზნესმენები, ცვალებადი ბუნების პარტიები თუ ინდიფერენტული ადამიანები.

თავისუფლება კანონის კალაპოტში, ზნეობა უნდა დაექვემდებაროს კანონს, ყველაფერი ნებადართულია, რაც კანონით არ არის აკრძალული, – ასეთია გლობალიზმის სამოქმედო პოსტულატები.

კანონი საბოლოოდ აწყნარებს ადამიანს და აფორმებს გლობალიზების პროცესს, აჩვენებს რა ტენდენციაა მისაღები, ვინ არის ზედმეტი, ვინ არის წარმმართველი, ვინ კიდევ – მიუღებელი ან დამნაშავე. ასე რომ, დრო ისევ ახლებურად აყენებს ერთისა და სიმრავლის პრობლემას. მას აყალიბებს პრაქტიკული ალღო, რომელიც ელტვის მასობრივ კომფორტს.

* * *

ფორმირებული მასობრივი საზოგადოება მასკომუნიკაციების სპექტრითა და ქსელით ამკვიდრებს მასკულტურას, ერთდროულად და ერთიანი განცდით. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ – თავად მასკულტურა ავრცელებს ისეთ იდეებსა და ფორმებს, რაც განამტკიცებს საზოგადოების ახალ მოდუსს.

IV. კულტურის გლობალიზება: ელექტრონული გალაქტიკა

გლობალისტები თვლიან, რომ ინდივიდუალური და მასობრივი, ნაციონალური და სოციალური კონფლიქტები უნდა გადავიდეს კულტურაში, კულტურით განიმუხტოს. აქ მოხდეს მათი მოდელირება, რათა შემდეგ მისი მეშვეობით, გართობის გზით, შენელდეს ინსტინქტების აგრესია, შეიცვალოს ინტერესები, რაც უზრუნველყოფს სიმშვიდეს, თანასწორობას და ერთიანობას.

ერთმანეთს სცილდება დეფინიციები - ელიტარული კულტურა და ელიტის კულტურა, მასობრივი კულტურა და მასის კულტურა, რადგან მათ რაობას, ხასიათსა და ბუნებას ადგენს არა შემოქმედი, არამედ – მომხმარებელი.

ელიტა ცხოვრობს მასობრივი კულტურის ინტერესებითა და მოთხოვნილებებით.

ტექნიკა და ფანტაზია

ჩვენ ხშირად ვწერთ დაშლაზე, ტრადიციების მოსპობასა და შენაცვლებაზე. ცენტრისა და დიქტატის მოხსნა თითქოს თავისუფლებაა. რეალურად კი ამ პროცესის მიზანია ძველი – რელიგიური, ნაციონალური, სახელმწიფოებრივი ცნობიერების ადგილზე ახალი ღირებულებების დამკვიდრება, თანაც – ფორსირებული ტემპით.

ანგარიში აღარ ეწევა იმას, ახალი ძველს სჯობია თუ არა. მთავარია იყოს განსხვავებული პოზიცია, სხვაგვარი კულტურა, რაც კაცობრიობის გამოცდილებასთან მიმართებით არის ანტიკულტურა. ოღონდ ეს ანტიკულტურა იქნება ყველასათვის საერთო, ყველასათ-

ვის ერთგვარი და გასაგები, არ არის აუცილებელი, რომ იყოს მოსაწონი.

ეს იგივეა, რაც ქრისტესა და ანტიქრისტეს ანტინომია.

ამ ფუნქციას ასრულებენ პოპ-არტი, ავანგარდისტული და ნეოავანგარდისტული მიმართულებები (იხ. „მასობრივი და ელიტარული კულტურები“), მასმედიის საშუალებანი – ინტერვიზია და ინტერნეტი.

ისინი ამოდიან ტექნიკიდან, ტექნიკის მიხედვით მოდელირებული ფსიქიკიდან, ემყარებიან ტექნიკის შესაძლებლობას, როგორც გადმოცემისა და შესრულების, ისე გავრცელების თვალსაზრისით.

ამიტომ ეძახიან მათ ერთობლიობას „კულტურის ინდუსტრიას“ (თეოდორ ადორნო), „ელექტრონულ გალაქტიკას“, „ელექტრონულ ტექნოლოგიებს“ (მარშალ მაკლუენი).

გლობალიზმმა შექმნა შესაბამისი საინფორმაციო სპექტრი და ქსელი, შექმნა კულტურა – მსუბუქი და დემოკრატიული. ერთი მხრივ, იგი თავად არის ნიმუში, როგორც ერთიანი მოვლენა, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ნიველირებას, სტანდარტიზებას, ბარიერების მოშლას.

აჩქარებულ, გაერთიანებულ დროში აღარ არის ფიქრისა და დაკვირვების საშუალება. მათ ცვლის ინფორმაცია, ინფორმაციის სიხშირე და ცვალებადობა. ეს ინფორმაცია ყველას მისწვდება, მისწვდება უმცირეს დროში დედამიწის ყოველ წერტილში, რადგან როგორც ინგლისელები ამბობენ, დრო ფულია. ამერიკელები კი აცხადებენ, რომ ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა.

პრაგმატისტების ამ იდეას მიიჩნევენ ბიზნესის ქვაკუთხედად.

პრაგმატისტი ჯონ დიუი თვლის, რომ ინტელექტის ფუნქციაა არა ობიექტების ასახვა, არამედ – ამ ობიექტებთან ეფექტური და სასარგებლო მიმართებების დამყარება.

გლობალიზაციას მოაქვს ეკონომიკური და ინფორმაციული სიკეთე. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, კარგია და ჭეშმარიტი; მასკულტურას, შოუ-ბიზნესს მოაქვს დიდი მოგება, მაშასადამე, ისიც

კარგია და ჭეშმარიტი. ეს არის ვესტერნი, დეტექტივი, ტელესერიალი, ეროტიკული და საშინელებათა ფილმები, პოპ-მუსიკა, სუპერმენი და შოუმენი.

კიჩ-პროდუქციამ უნდა გაგაოცოს, ზედმეტია, რომ მოგწონდეს ან გიყვარდეს. იგი ამისათვის ეწევა ქვეცნობიერი სამყაროს, ინსტინქტების ექსპლოატაციას, იყენებს ვულგარულ ფორმებსა და მეტყველებას (მაგ., ერთ-ერთ გამოფენაზე წარმოადგინეს ლანგარზე დადებული განავალი).

ესთეტიზმის ადგილი დაიკავა ანტიესთეტიზმმა, კლასიკის წესრიგი შეცვალა ქაოსმა და ანარქიამ, გუტენბერგის გალაქტიკა – ელექტრონულმა გალაქტიკამ.

გლობალიზაცია კულტურასა და ხელოვნებას აცლის ნაციონალურ ნიშან-თვისებას. საამისოდ ტექნიკური მოდელირება კარგია და სასურველი, ასევე – ინსტინქტების აღზევება, მათი ნატურალისტური სტილიზება, მღვრიე ყოფითი, დაუხვეწავი მეტყველება, როგორც დემოკრატიის შესატყვისი; მუსიკაში – ჯაზი და როკი, მხატვრობაში – აბსტრაქციონიზმი, ლიტერატურაში – ნატურალიზმი და ნეო-ავანგარდიზმი, ესთეტიზმის სანაცვლოდ – ანტიესთეტიზმი, ჰეროიკის სანაცვლოდ – ცინიზმი და ნიჰილიზმი, ლირიზმის სანაცვლოდ – ინდიფერენტიზმი, გმირის სანაცვლოდ – ანტიგმირი.

გლობალისტურ კულტურას ავრცელებენ მასმედია, კინემატოგრაფი, დიზაინი, არქიტექტურა, ესტრადა, პოლიტიკური და ეკონომიკური თეორიები და აძლევენ ერთიანი ელექტრონული გალაქტიკის სახეს.

მასკულტურა არის დინამიური, რევოლუციური ძალა, რომელიც შლის ზღვარს კლასებს, ტრადიციებს, გემოვნებას შორის, სპობს განსხვავებას და აყალიბებს ერთსახოვან კულტურას (დუაიტ მაკდონალდი). ზოგი ვარაუდობს, რომ საერთაშორისო ძმობის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა დაშვება ინსტინქტების დონეზე, რადგან ინსტინქტები ყველას ერთნაირი აქვს (ბერნარდ როზენბერგი).

ანტიინტელექტუალური, ექსტატიური მასხელოვნების სინონიმი გახდა როკ-რევოლუცია.

ერთი მხრივ, თანამგზავრული სისტემა და მასკომუნიკაციის ქსელი ერთ მთლიანობად აქცევს დედამიწას, ერთდროულს ხდის მოქმედებას, მეორე მხრივ, თავად კულტურის დარგებში ვითარდება და იმარჯვებს სტრუქტურული ნიველირება.

ასეთ დროს აქტუალობას იძენს სპორტი და ტურიზმი, სხვადასხვა მხარეების არა წარმოსახვითი, არამედ – რეალური გაცნობა, უცხო ხალხთან კონტაქტი, ისტორიული მემკვიდრეობის ხილვა, დაპირისპირების შეჯიბრებად გარდასახვა.

ინტერესით ეცნობიან უძველესი ჟამის საგნებს, რადგან არქაიკა ყველასათვის საერთოა, ისევე როგორც ჰორმონები და ინსტინქტები.

ელექტრონული ერთიანობის იდეა ჩნდება იტალიური ფუტურიზმიდან, რომელმაც ადამიანის ადგილზე მანქანა მოათავსა და მანქანური ცნობიერებით, მავთულის ფსიქო-ნერვული სისტემით გამართა ხელოვნება.

მაგრამ ასეთივე რადიკალიზმი შეიტანა კომუნიკაციის სფეროში და ამიტომ მომხმარებელი ვერ ჰპოვა.

ეს იგრძნეს დადაისტებმა და სიურრეალისტებმა.

მათ ქვეცნობიერი სამყაროს მოძრაობა, მისი სტილიზება მიიჩნიეს სანიმუშოდ. ესეც არღვევდა აკადემიზმსა და მიღებულ წესრიგს („მოჰკალი, იქურდე, შეიყვარე რამდენიც გინდა!“).

კონსტრუქტივისტებმა კი მანქანა მიიჩნიეს რაციონალიზმისა და სიზუსტის მაცნედ. მათ მზერა წარმართეს სინამდვილის კონსტრუირებისაკენ, ახალი არქიტექტურისა და ტექნიკური ლანდშაფტის შესაქმნელად („ძირს მხატვრული ტრადიციები, გაუმარჯოს ტექნიკოს-კონსტრუქტივისტს“!).

კონსტრუქტივისტებმა მშვენიერებას დაუპირისპირეს ინჟინრის ფარგალის, სახაზავისა და ფორმულის სიზუსტე.

„ცნობიერების ნაკადსაც“ ქვეცნობიერი სამყაროს მოდელირება აინტერესებდა, რაც საერთო იქნებოდა ყველასათვის. მაგრამ აქაც

კომუნიკაციის პრობლემამ იჩინა თავი. ასოციაციები, ფრაგმენტული ფრაზები, დაწყვეტილი მეტყველება გზას ვერ იკვლევდა მასებისაკენ. ავანგარდიზმი უნდა შელეოდა ინტელექტუალურ ძიებებს და მომხმარებლის ინტერესებს დამორჩილებოდა.

ამან წარმოშვა პოპ-არტი, ახალი სუბ-კულტურა, მასკულტურის ფორმები და გმირები. ელექტრონულ გალაქტიკას ნიადაგი მოუმზადა საზოგადოების წიაღში მიმდინარე ძვრებმა, ხოლო ასპარეზი შეუქმნა მასმედიის გლობალურმა ქსელმა.

ცოდნა, კულტურა, შემოქმედება ემყარება ცნობიერების აქტივობას, ცნობიერება-მეხსიერებას. მეხსიერება ნანახის რეპროდუქციაა, ნანახის ტილოზე თუ ქაღალდზე გადატანა – მხატვრობა, სიმბოლური აღნიშვნა – ანბანი და შრიფტი.

ჯერ იყო მხატვრობა – ხელი, ტილო, საღებავი, ფუნჯი; შემდეგ გაჩნდა ქსილოგრაფია – ხის მასალაზე კვეთა (გრავირება), XIX საუკუნიდან – ლითოგრაფია, ქვიდან და ლითონიდან ანაბეჭდი. ეს სჭირდებოდა გაზეთისა და ჟურნალის ილუსტრირებას. ფოტოგრაფიაც სურათების ანაბეჭდი იყო, ოღონდ ჯერ ფირზე, ფირიდან – ქაღალდზე, ხოლო ფოტოკადრების ამოძრავება – კინემატოგრაფი, რაც ახალ პერსპექტივას შლიდა.

ასე ავითარებდა ტექნიკა ფანტაზიას, სამყაროს აღქმასა და თვითგამოხატვას, ვიდრე სანახაობა იქცეოდა ელექტრონულ გალაქტიკად.

კოლექტიური შემოქმედება თავისი სივრციდან აძევებს ავტორს. კინოფილმს ჰყავს მთავარი რეჟისორი და მისი სახელით გადის სცენაზე. მაგ., ფრენსის ფორდ კოპოლამ გადაიღო „ნათლია“. მაგრამ მის შექმნაში მონაწილეობდა უამრავი ადამიანი – სცენარისტები, მხატვრები, კომპოზიტორები, ოპერატორები, ტექნიკური მუშაკები, მსახიობები.

ნახევარი საუკუნის წინათ გადაიღეს „კლეოპატრა“, რომელიც იმდროისათვის რეკორდული თანხა – 40 მლნ დოლარი დაჯდა. ეს

თანხა მოხმარდა ფილმის გადამღები კოლექტივისა და დეკორაციების დაფინანსებას.

ასევე მრავალი ადამიანი ამზადებს ტელეგადაცემებს (მაგ., „სიენ-ენ“-ს ჰყავს 10.000 თანამშრომელი), ანსამბლების კონცერტებს, მათ რეკვიზიტებს (მაგ., ჯექსონის საესტრადო აპარატურა იწონიდა 375 კგ-ს).

ეს მაშინ, როცა ლექსს, რომანს თუ ტრაგედიას წერს ერთი ავტორი. ხოლო ბეჭდვის ან სცენაზე გადატანის პროცესი მოთხოვს მრავალ ხელს, როცა ხდება ტირაჟირება.

დღეს მომხმარებელს სულაც არ აინტერესებს თუ ვინ არის ინტერნეტში განთავსებული მასალის ავტორი. ეს არც ძველ დროში სჭირდებოდა ვინმეს (მაგ., ვინ აშენებდა პირამიდებს, ვინ გამოიგონა ტელევიზორი ან როგორ შეიქმნა მობილური ტელეფონი). მხოლოდ პერგამენტსა და ქაღალდზე გადატანილმა სიტყვამ შეინახა შემოქმედის სახელი, როგორც ტაძრის კედელზე ამოტვიფრულმა მარჯვენამ.

ელექტრონული გალაქტიკა ამ თვალსაზრისითაც იმეორებს უძველეს, კოლექტიური რიტუალის პრაქტიკას, როცა ყველა მონაწილე შემოქმედი და შემსრულებელი იყო ანუ მასა იყო უპიროვნო ავტორი.

ფანტაზია მასაში გადააქვს ტექნიკას. მაგრამ ფანტაზიაც ტექნიკის ფრთებს ისხამს, ხდება ტექნიცისტური (მარინეტი). ამიტომ თვლიან, რომ ტექნიკა ჩაყლაპავდა კულტურასა და ხელოვნებას (ჰერბერტ მარკუზე, ლუის მამფორდი), რომ ადამის მოდგმა უნდა განიკურნოს პოეზიის წყლულისაგან (ფრიდრიხ ნიცშე, გიიომ აპოლინერი), რომ ხელოვნება უკვე მკვდარია (მარტინ ჰაიდეგერი), რომ ნიჰილიზმი, აბსურდი და არარა გზას გაუხსნის ჭეშმარიტ ჰუმანიზმს (მარტინ ჰაიდეგერი, ჟან პოლ სარტრი, ალბერ კამიუ, სემუელ ბეკეტი).

მასმედია, როგორც ობობას ქსელი

გლობალურ სამყაროსთან ზიარებისათვის, ერთიანი და ერთდროული ველის შესაქმნელად განსაკუთრებით ეფექტურია მასმედიის საშუალებანი – პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი.

ჯერ პრესა იყო ლიდერი, შემდეგ – რადიო. მალე ორივე დაჩრდილა კინემატოგრაფმა. მაგრამ მათ გადაასწრო ტელევიზიამ. ბოლოს კი ყველა უკან მოიტოვა კომპიუტერმა.

ახლა ყველაფერს იტევს ტელეფონი.

როგორც ჩინელი მეცნიერები აღნიშნავენ, კომპიუტერთან დიდხანს მუშაობა ვნებს ჯანმრთელობას, ცვლის თავის ტვინს, შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია და ფსიქიკური გადახრაც კი.

მომხმარებელი ინტერნეტზე ისე ხდება დამოკიდებული, როგორც ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე. ეს არის ზომბირების საფუძველი. მსოფლიოში კი ყოველწლიურად იზრდება ინტერნეტმომხმარებელთა რიცხვი. 2012 წლისათვის მათმა რაოდენობამ 2 მლრდ-ს გადააჭარბა, საქართველოში – 1,5 მლნ-ს, ჩინეთში – 485 მლნ-ს.

ადამიანები ერთმანეთს ნაკლებად ხვდებიან. ისინი კონტაქტობენ სკაიპითა და ფეისბუქებით, რაც სძლევს მანძილს.

ფეისბუქი დააარსა ჰარვარდის უნივერსიტეტის 23 წლის სტუდენტმა მარკ ცუკერბერგმა 2004 წელს. ფეისბუქი 24 საათში აქვეყნებს 60 მილიონ შეტყობინებას და ამ დროში სარგებლობს მლრდ-ზე მეტი ადამიანი.

განსაკუთრებით პოპულარულია ინტერნეტი ახალგაზრდებს შორის, სოციალური ქსელები (მაგ., ფეისბუქი, ტვიტერი და ა.შ.).

მსოფლიოში 2011 წლის ბოლოსათვის იყო 555 მლნ ვებგვერდი, ფეისბუქს მოიხმარდა 800 მლნ., ტვიტერს – 225 მლნ.

გაჩნდა გაზეთებისა და წიგნების ელექტრონული ვერსიები, ყალიბდება ვიდეო-ბიბლიოთეკები. პრესის ან წიგნების გადაადგილება და გადატანა აღარ არის აუცილებელი.

მალე ლექტორიც ზედმეტი გახდება. პროფესორი ვიდეოკასეტაზე ჩაწერს ლექციას და კომპიუტერი წარუდგენს აუდიტორიას – ცოცხალი კონტაქტები სტუდენტებთან აღარ ექნება.

კომპიუტერის ენა ინგლისურია და ეს ფაქტორი კიდევ უფრო უწყობს ხელს ერთიანი სივრცის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გლობალური ბანკის ათვისებას.

ინტერნეტი, ერთი მხრივ – განუსაზღვრელ მასშტაბს აძლევს კონტაქტებს, მაგრამ ეს კონტაქტები ვირტუალურია, მეორე მხრივ – ზღუდავს და ამცირებს რეალურ კავშირებს. ადამიანს ჰგონია, მთელს მსოფლიოს ხედავს, ესაუბრება, უსმენს, ამ დროს – მარტოა. მაშველი ისევ ინტერნეტია.

გლობალური სისტემიდან გამორთული ადამიანი ჩამქრალ ნათურას ჰგავს. ის ცოცხლობს იმ ინფორმაციითა და ემოციით, რასაც აწვდის ინტერნეტი. ამიტომ გლობალიზაციაზეც დამოკიდებული ხდება, იმ იდეებზეც, რაც შემოაქვს სოციალურ ქსელებს, ინფორმაციის გაცვლას.

ადრე სენსაცია იყო მაგნიტოფონი, რომელმაც შეცვალა გრამოფონი და პატეფონი. მაგნიტური ფირი გერმანელებმა გამოიგონეს, მათვე დაიწყეს მაგნიტოფონების გამოშვება, რომელიც საკმაოდ მძიმე და მოუქნელი იყო.

შემდეგ დადგა ვიდეოს ერა. ბაზარი გაივსო აუდიო და ვიდეო კასეტებით, რამაც ხელი შეუწყო პორნოგრაფიის, ტურიზმისა და სადიზმის გავრცელებას.

ბოლოს გამოჩნდა კომპიუტერი თავისი ინტერნეტ-პროგრამებით, სოციალური ქსელებით, სკაიპითა და ფეისბუქით, ვებგვერდებით.

კომპიუტერში გაერთიანდა ტელევიზორი, ტელეფონი, მაგნიტოფონი, რემინგტონი, ფოტოგრაფია, ტელეფაქსი, ქსეროქსი, წიგნი, პრესა, ბიბლიოთეკა, მსოფლიოს დეტალიზებული რუკა.

იგი საყოველთაოც არის და ინდივიდუალურიც, ხელს უწყობს როგორც განკერძოებას, ისე მასობრივ ჩართულობას, როგორც გარ-

თობას, ისე შემეცნებას. რეალურად კი ეს არის მარტოობის ილუ-ზიური გარღვევა.

როგორც დღეს მსჯელობენ კომპიუტერის დადებით და უარ-ყოფით თვისებებზე, ისე დაობდნენ 40-50 წლის წინათ ტელევი-ზიაზე, ტელეხედვის მავნებლობაზე, გაცილებით ადრე კი – წიგნზე, კითხვის დამღუპველ ჩვევაზე.

ტელევიზია ცეცხლივით მოედო მსოფლიოს. არ არის ოჯახი, ერთი ტელევიზორი მაინც რომ არ ჰქონდეს და ვერც ვერავის წარ-მოუდგენია მის გარეშე არსებობა.

პირველი რეგულარული ტელეგადაცემები დაიწყო აშშ-ში 1939 წელს. პირველი სატელევიზიო გადაცემა კი გაიმართა გერმანიაში 1928 წელს. გერმანელებმა მოაწყვეს 1936 წლის ოლიმპიური თამაშე-ბის ტელეტრანსლაცია.

ტელეინდუსტრიაში ჯერ საკაბელო ტელევიზია შემოვიდა, შემ-დეგ თანამგზავრული სისტემის საშუალებით თეფშმა შეცვალა ან-ტენა და კაბელი.

თანამედროვე ადამიანისათვის ინფორმაცია ისეთივე საარსებო წყაროა, როგორც რესურსი და ენერგია. სწორედ ინფორმაციის კომ-პიუტერულმა პროგრამირებამ აქცია ახალგაზრდა ბილ გეიტსის „მაიკროსოფტი“ მსოფლიოს უმდიდრეს ფირმად.

ინტერნეტის მსგავსად, ტელევიზიაც ინტელექტუალური თამა-შია, როცა ადამიანი ინფორმაციებით ერთობა, ღებულობს სიამოვნე-ბას, ეცნობა სიახლეებს.

გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელეარხები გლობალურად ავრცელებენ მსუბუქ, პოპულარულ მასალასა და ეწევიან პოლიტი-კური და ეროტიკული თემების ექსპლოატაციას, ეძებენ სენსაციურ ამბებს, იჭრებიან პირად ცხოვრებაში, ცნობილ პირთა ურთიერთო-ბებში, ერთმანეთში ურევენ ტყუილ-მართალს, სერიოზულსა და სა-საცილოს, მომხმარებელს აცნობენ სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრებას, გადმოსცემენ გამომწვევი ფორმით, რათა ასე მიიზიდონ საზოგადოე-ბის ყოველი ფენა, გაართონ და გააბრუონ მაყურებელი და მსმენელი.

ადამიანს შეუძლია ყველგან ისარგებლოს მაგნიტოფონით, პრესით, პორტატული ტელევიზორით, ლეპტოპით – ზღვაზე თუ ჰაერში, მანქანაში თუ თვითმფრინავში; მობილური ტელეფონით ჰქონდეს მუდმივი კონტაქტი ყველგან და ყველასთან, ინფორმაციის უამრავ წყაროსთან.

ტელევიზიამ მახლობელი გახადა კონტინენტები და სახელმწიფოები. ადამიანები ერთიანი განცდით შეაკავშირა ტელესერიალებმა, რაც მასკულტურის ნაწილია და ხელოვნებას არ განეკუთვნება, თუმცა ზოგს აქვს შემეცნებითი ღირებულება (მაგ., 30-სერიიანი „ჩინგის ხანი“ ან „დიდებული საუკუნე“).

ამასთან ერთად ტელევიზია ქმნის ელექტრონული დროის ფოლკლორს, მითებსა და ლეგენდებს.

როგორც აღნიშნავენ სოციოლოგები, საშუალო ამერიკელი კვირაში 8 საათს ანდომებს პერიოდიკის გაცნობას, ხოლო ტელევიზორს უთმობს 26 საათს.

ფილმებს ისევ უჩვენებენ კინოთეატრებში. მაგრამ უფრო ეფექტური გამავრცელებელია ტელევიზია, რომელსაც იზოლირებულ ბინაში შემოაქვს შორეული სამყაროს სუნთქვა, ახალი ამბები, გასართობი პროგრამები.

80-იან წლებში გაჩნდა ერთ-ერთი პირველი ამერიკული ტელესერიალები – „დალასი“ და „დინასტია“, შემდეგ – ფრანგული „შატოვალონი“.

ამის შემდეგ ტელესივრცე წალეკა მექსიკურმა. ბრაზილიურმა, თურქულმა თუ ინდურმა სერიალებმა. სსრკ-ში პირველი იყო „მარიანა“, რომლის როლის შემსრულებელს მოსკოვი ტრიუმფით შეეგება. გაოცებულმა კასტრომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ტელესერიალებს აქვთ ბანალური და სენტიმენტალური სტერეოტიპი – ეს არის ოჯახური დრამა, კარგი ცხოვრება, სიყვარული და ღალატი, კონფლიქტი და მეგობრობა, რაც იპყრობს ფართო მასების გულისყურს.

ამიტომ მაყურებელი ვერ სცილდება ტელეეკრანს. თუ გადართავს სხვა პროგრამაზე, იქ ახალი სერიალი ელოდება. თუ გამოტოვა რამდენიმე სერია, არც ამითი შავდება რაიმე.

სერიალები ერთმანეთს ენაცვლებიან. შუალედებში კი ჩართულია საინფორმაციო გადაცემები, პოლიტიკური ამბების რეესტრი.

ეს არ ეხება სპეციალიზებულ არხებს, რომლებიც აშუქებენ პოლიტიკურ ცხოვრებას, ისტორიას, ესტრადის სიახლეებს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს, ბუნებას, სპორტს, კულტურას, ბავშვთა სამყაროს.

ასეთი სპეციალიზებული პროგრამებით ტელეარხები თავს აღწევენ დუბლირებას და იკრებენ მაყურებელს, ავრცობენ მის ინტერესებს.

ტელევიზია ცოცხლობს რეკლამებით, რაც თანამგზავრული სისტემის სატელიტური ანტენებით მთელ მსოფლიოს ეფინება.

საბჭოთა კავშირში რეკლამა არ არსებობდა, რადგან ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ხოლო საბაზრო ეკონომიკა იბრძვის ადგილის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად, კონკურენციის დასაძლევად, თავისი პროდუქციის წარმოჩენისა და სწრაფი გასაღებისათვის.

რეკლამა კიდევ იმიტომაა საჭირო, რომ მომხმარებელმა მიაგნოს მისთვის სასურველ საქონელს, საგანთა სიმრავლიდან გამოყოს და გამოარჩიოს იგი.

რეკლამა, რომლის ფასი და ხანგრძლივობა სხვადასხვაა, ავსებს მასმედიის ბიუჯეტს. მაგ., „სი-ენ-ენ“-ის ბიუჯეტი 2012 წელს იყო 30 მლრდ დოლარი, ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებლისა – 50 მლნ ლარი.

ტელევიზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანიმაციურ ფილმებს. უოლტ დისნეის გამოგონება სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მოზარდებისათვის ინტელექტუალური გართობის საუკეთესო საშუალებაა. მათი რეალობაში გაგრძელებაა ატრაქციონები (მაგ., დისნეი-ლენდი).

ისინი ზემოქმედებენ მოზარდების ფსიქიკაზე, გემოვნებასა და ხედვაზე.

მასმედიის სპექტრი, ე. წ. IV ხელისუფლება ემსახურება საზოგადოების როგორც ინფორმირებას, ისე დეზინფორმირებას, რათა რეკლამირებით, მასალისა და პიროვნებების აქცენტირებით გზა გაუკაფოს აქტუალურ იდეას, შექმნას ვარსკვლავი და ლიდერი, შეცვალოს ან შეინარჩუნოს მენტალიტეტი და ცხოვრების წესი, თავის ობობას ქსელში გახვიოს მსოფლიო.

აქაც განმსაზღვრელია ამერიკული მასმედია, რომელიც ჰოლდინგების სახით აერთიანებს ტელე და რადიოარხებს, ჟურნალებსა და გაზეთებს. იგი მობილური და კონცენტრირებულია, ოპერატიული მედიამასალითა და ინფორმაციებით მსოფლიოს თავს ახვევს ამერიკული ცხოვრების წესს.

პოპ-მუსიკა და შოუ-ბიზნესი

ხალხს აინტერესებს პური და სანახაობა, გართობა და სიამოვნება. ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ინსტინქტურ სწრაფვებს პასუხობს საესტრადო მუსიკა, რომელსაც გადააქვს მსუბუქი განწყობილებები, პოპულარული ჰანგები, სიტყვები და მოტივები.

ისინი სწვდებიან მასების გულისყურს, იწვევენ აღტკინებას, წრეგადასულ სიხარულს, აღძრავენ ენერგიას და ერთიანი გრძნობით აკავშირებენ სხვადასხვა რასისა და ერის შვილებს.

ელექტრონული მუსიკა ძლევს ყოველგვარ ბარიერს, მისი ჟღერა ესმით ყველა კონტინენტზე.

ესტრადა ყოველთვის პოპულარული იყო. ახალგაზრდების აღგზნებული ფანტაზია ხარბად ისრუტავს უცხოურ რიტმებსა და მელოდიებს, თუმცა ესპანური, იტალიური თუ ფრანგული შეიძლება ცოტას ესმოდეს.

რიტმი და მელოდია ერებისა და თაობების გამაერთიანებელია.

როცა ვისმენთ ედიტ პიაფს, არცა აქვს მნიშვნელობა, რაზე მღერის იგი, იმდენად გვიმორჩილებს მელოდიის ძალა.

როცა ბითლზების სიმღერა შემოიჭრა სსრკ-ში, ინგლისური თითქმის არავინ იცოდა, მაგრამ ჰანგი და მუსიკის ინსტრუმენტირება ყველას იტაცებდა. ბითლზების შავი როლინგსტონი, მოშვებული თმები და მელანქოლიური მზერა მოდად იქცა.

მაშინ გრამფირფიტები და მაგნიტოფონი ავრცელებდა მუსიკას. შემდეგ სცენიდან რადიოსა და ტელევიზიაში გადავიდა ესტრადა. ამერიკულმა ტელეარხებმა ვიდეოკლიპი გამოიგონეს, რათა მოკლე და ეფექტური, ასოციაციური სიუჟეტები ეჩვენებინათ მაყურებლისათვის.

აუდიოჩანაწერის გვერდით გაჩნდა ვიდეოჩანაწერი, რომელიც მუსიკას გამოსახულებით, სურათებით განმარტავდა და აკონკრეტებდა.

უკვე არა მხოლოდ მოსმენა, არამედ – საესტრადო სიმღერების ხედვაც შეიძლებოდა. ტელეპროგრამები დაიპყრო მუსიკალურმა კომპოზიციებმა, მუსიკალურმა კომედიებმა და ფილმებმა.

მუსიკა სინამდვილიდან გაქცევაა და მოქმედებს როგორც ნარკოტიკი, – ამბობდა როკ-გიტარისტი ამერიკელი ერიკ კლეპტონი.

სცენაზე კი ერთმანეთს ერწყმოდა სიმღერა, ინსტრუმენტული მუსიკა, როკვა და კლოუნადა, ჰანგი და სანახაობა ანუ ერთ მთელად იკვროდა ხმაურიანი, მჩქეფარე მიკრო-სამყარო, ელექტრონით აჟღერებული და გაძლიერებული.

აუდიტორია იმეორებს სიმღერის რიტმიკას, მელოდიებს და ერთიანი განწყობილება ყალიბდება. ელექტრული ნათება და ხმაური სისხლივით უვლის აგზნებულ დარბაზს, სტადიონს თუ მოედანს. აქ ყველა მონაწილეა, როგორც ეს იყო უძველეს სისხლიან რიტუალში. მონაწილე განიმუხტება მორჩილი ცხოვრებით დაგროვილი აგრესიული ენერგიისაგან, აგრესიული ინსტინქტებისაგან, ხმას უერთებს თავისუფლებისაკენ მოწოდებას.

პოპ-ვარსკვლავი უძღვება ამ პროცესს, როგორც შლეგი ქურუმი.

მუსიკის ენა ყველას ესმის, ისევე როგორც ფერწერა. მხოლოდ პროფესიონალიზმი ქმნის ბარიერს. მაგრამ ფერწერა სტატიკაა და ელექტრონს ვერ გაყვება, მასას ვერ გადაეცემა. შეზღუდულია მისი გავრცელების არეალი, მითუმეტეს – აბსტრაქტული სურათები.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა კინო მუნჯი იყო, ეკრანზე ჟღერდა მუსიკა, რაც განწყობილების ფორმირებას უწყობდა ხელს.

ეს იყო კლასიკური მუსიკა. შემდეგ გავრცელდა ჯაზი – ჩასაბერი და დასარტყმელი საკრავების მუსიკა. ჯაზს შეენაცვლა როკი, როკს – ბიგ-ბიტი.

ვიდეოკლიპს აკეთებენ სცენარისტი, რეჟისორი, მხატვარი, ასრულებენ მომღერლები და მუსიკოსები, იღებენ ოპერატორები. კარგი ვიდეოკლიპის გადაღება მილიონობით დოლარი ღირს. იგი გადაიცემა ტელევიზიებით, იჭრება ყველა სახელმწიფოში და უცებ ხდება პოპულარული.

ვიდეოკლიპი „ვარსკვლავის“ ჩამოყალიბების ეფექტური ხერხია, მითუმეტეს მაშინ, როცა რეკლამირებული მომღერალი ნიჭიერია, როცა ანსამბლი უკვე იხვეჭს პოპულარობას (მაგ., 1983 წელს სამ თვეში გაიყიდა ჯექსონის 23 მლნ. ფირფიტა).

ასე გაიცნეს მსოფლიოს ყოველ კუთხეში სინატრა, მაიკლ ჯექსონი, ელტონ ჯონი, ფრედი მერკური, ელვის კოსტელო, სტივ უანდერი, მაიკ ჯაგერი, ედიტ პიაფი, მირეი მატიე, ტინა ტერნერი, ელვის პრესლი, ანსამბლები – „ბითლზები“, „როლინგ სტოუნზი“, „სტინგი“, „პოლისი“, „ევრიტმიქსი“, „მოდერ ტოკინგი“...

ვარსკვლავებისა და ანსამბლების ფირფიტები, აუდიო და ვიდეოკასეტები, კომპაქტდისკები, რადიო და სატელევიზიო რეკლამები აღწევენ ცივ ციმბირში თუ ცხელ აფრიკაში.

მსოფლიოს თიშავს სიტყვა, აერთიანებს მუსიკა. წიგნს აღარ კითხულობენ, მუსიკას უსმენენ და უყურებენ.

აქაც ინსტინქტებია კომუნიკაციის საფუძველი.

გართობის ინდუსტრია აკავშირებს სხვადასხვა ერებისა და თაობების გულისცემას. იგი ერევა პოლიტიკაშიც, მონაწილეობს საარჩევნო ბატალიებში. მაგ., ნიქსონი სურათს იღებდა ელვის პრესლისთან, მიტერანი – მირეი მატიესთან, რეიგანი – ჯექსონთან.

ვარსკვლავის მასობრივი პოპულარობა, ფანების ტაში და ისტერია ამკვიდრებს მათი ქცევის, ჩაცმის, სიმღერის, მუსიკის სტილს, რასაც სანიმუშოდ მიიჩნევენ ახალგაზრდები. მაგრამ მოდა და თინეიჯერული ასაკი სწრაფად გადადის. ახლა სხვა ვარსკვლავები სხდებიან კაბადონზე. ამ პერიოდული მონაცვლეობის ჟამს რჩება სიახლის მოლოდინი და ერთიანობის მხურვალე გრძნობა.

შოუ-ბიზნესი, შოუ-სპექტაკლები, შოუ-კონცერტები, ტელემარათონები, სპორტული რეპორტაჟები მასკულტურის ყველაზე ეფექტური ნაწილია. მას ემორჩილება პრესა და წვლილი შეაქვს ამ ინდუსტრიის რეკლამირება-განვითარებაში.

ცხოვრება, რომელიც წარმოგვედგინა როგორც რიტუალი, გახდა შოუ-სპექტაკლი, გართობა და სანახაობა, ინსტინქტების ზეიმი და დაცხრომა.

შოუ-ბიზნესს მოაქვს დიდი მოგება როგორც პროდიუსერებისა, ისე აქტიორებისათვის – ვარსკვლავი იქმნის თავის სამყაროს. მისი სახელი სჭირდებათ, მას ეთაყვანებიან, მას ემსახურებიან, ახვევენ ლეგენდების საბურველში, რთავენ სარეკლამო რგოლებში, ართმევენ ავტოგრაფებს, ინტერვიუებს, მასზე აკეთებენ სატელევიზიო გადაცემებს. მაგრამ იგი თავისი პოპულარობის ტყვე ხდება, იძულებულია დაიცვას რეჟიმი, დაემორჩილოს პროდიუსერსა და პირად ექიმს, საგასტროლო გრაფიკს, აუდიტორიის მოთხოვნებს, საგადასახადო კანონს, ე. ი. ეწირება თავის ბიზნესს.

ასევეა სპორტსმენიც. ისიც მუდმივ ფორმაში უნდა იყოს. ფეხბურთელი, რომლის კარიერა 10-12 წელი გრძელდება, კვირაში ორ მატჩს ატარებს. ამიტომ მოქცეულია მკაცრ რეჟიმში და თავისუფლად ვერ იცხოვრებს, თავისუფლად ვერ გადაადგილდება, უნდა დაიცვას კვების, ვარჯიშის, დასვენების გრაფიკი (შდრ – ფეხბურ-

თელ მესის „ბარსელონა“ უხდის 24 მლნ ევროს და ემატება ბონუ-სები). სულ გამოსდის წელიწადში 125 მლნ.

საზოგადოება ვარსკვლავისაგან მოითხოვს მუდმივ სიახლესა და შესაძლებლობების მაქსიმუმის ჩვენებას. თუ ფორმიდან ამოვარ-და, მას შეცვლის სხვა ვარსკვლავი, რომელიც აუდიტორიას სთავა-ზობს ახალ რიტმსა და გრძნობას. ახლა მის გარშემო დატრიალდება შოუ-ბიზნესის კარუსელი, ახლა ის უნდა დაიფერფლოს სცენაზე.

ჩამქრალი ვარსკვლავი აღარ ჩანს ცის კაბადონზე და დავიწყებას ეძლევა.

ესთეტიკოსები და კრიტიკოსები მუდამ დაობენ ხელოვნების ნიმუშის ღირებულებაზე. კრიტერიუმი სხვადასხვაა, მაგრამ უპირა-ტესია გემოვნება. გემოვნება მეტწილად სუბიექტურია. შესაბამისად ირღვევა და იცვლება ფასეულობათა იერარქია.

შოუ-ბიზნესისა და მასკულტურის ღირსების საზომი და კრიტე-რიუმი გუნდის, სოლისტის, ანსამბლის, აქტიორის, ავტორის პო-პულარობაა. პოპულარობას კი განსაზღვრავს ფულადი შემოსავალი, გაყიდული წიგნი, კასეტა, რეკლამებიდან, კონცერტებიდან მიღებუ-ლი ჰონორარი.

ეს არის მყარი სტატისტიკა, რომელიც შეიძლება არ პასუხობდეს ესთეტიკურ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განაგებს ელიტარულ კულტურას. მასკულტურის ღირსება კი მოგების ოდენობაა, რასაც ფანები თანაბრად აფასებენ.

კრიტერიუმი ფულია!

ყველას ხიბლავს მწვერვალების სიდიადე. მაგრამ მათი სიმაღ-ლე და სიცივე აფრთხობს ადამიანს, ურჩევნიათ შორიდან უმზირონ.

მხოლოდ ერთეულები სძლევენ მათ ციცაბოებს.

სამაგიეროდ, ყველას უყვარს ბარის სითბო, სადაც ჩქეფს ცხოვ-რება – ლაღი და მშვენიერი, სასტიკი და დაუნდობელი.

ასეა კულტურაშიც, მის ელიტარულ და მასობრივ ფენებში.

ნეო-ნატურალიზმი და ნეო-ავანგარდიზმი

კულტურის ფორმები ყოველთვის ესწრაფვოდა დაახლოებას, ერთიანი სააზროვნო ველის შექმნას. ასე იქმნებოდა მოდა, სტილი ცნობიერებასა და ყოფიერებაში. რელიგია თუ იმპერია ავრცელებდა იდეებს, რაც უზრუნველყოფდა მათ გავლენასა და ზემოქმედებას.

ხელოვნებაშიც დროდადრო იფეთქებდა ახალი სტილი, რაც ცეცხლივით ედებოდა სხვადასხვა ქვეყნებს. მაგ., როცა ევროპაში რომანტიზმი ჩაისახა, იგი სწრაფად გავრცელდა ამერიკასა და რუსეთის იმპერიაში. ასევე უეცრად იპყრობდა ტერიტორიებს იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, მოდერნისტული და ავანგარდისტული სკოლები (მაგ., ფუტურიზმი, კუბიზმი, სიურრეალიზმი).

ხელოვნება ცოცხლობდა მუდმივი ტრანსფორმაციებით, ძიებითა და ექსპერიმენტით. იდეა და არსი, რომელიც გადადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში, ნაციონალური მასალით ივსებოდა. ეს ბადებდა ერთიანობის გრძნობას, ხელს უწყობდა ხელოვანთა სოლიდარობასა და კონსოლიდირებას (მაგ., სოციალისტური გლობალიზაციის ნიმუში გ. დანელიას კინოფილმი „მიმინო“).

ამ ინტეგრაციას ახლდა დიფერენცირებაც, გათიშვა და კონფლიქტი. მაგ., დადაისტი ვერ იტანდა სიმბოლისტს, სიმბოლისტი – ნატურალისტს, ნატურალისტი – იმპრესიონისტს. მაგრამ ყოველი მათგანი ამცირებდა ეროვნულ განსხვავებებს.

ასე რომ, ყალიბდებოდა ინტეგრაციის მოდელები, განსხვავებული რელიგიური თუ იმპერიული ინტეგრირებისაგან. ეს იყო ნებაყოფლობითი, სტიქიური ურთიერთსწრაფვა და ურთიერთგანლტოლვა. მაგ., ქართველი მოდერნისტების სოლიდარობა ევროპელი და რუსი ავტორებისადმი, მათი გამოცდილების ათვისება და მიბაძვა (ვრცლად იხ. „მოდერნიზმი“, თბ., 2008).

მაშინ არ არსებობდა გლობალური მასკომუნიკაცია, ერთიანი ტელესივრცე და ინტერნეტი. პრესა და წიგნი იყო ურთიერთგაცნობისა და დაახლოების საშუალება ან ჩასვლა კულტურის ცენტრებში, იქ სწავლა და მუშაობა, როგორც ამას აკეთებდნენ ქართველი ხელოვანები XX საუკუნის დასაწყისში (მაგ., ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, კონსტანტინე გამსახურდია).

როცა გაჩნდა კინემატოგრაფი, ეგონათ, რომ თეატრი მალე მოკვდებოდა, თეატრს ზოგი ადარებდა შუაგზაზე გაშხლართულ ლეშს.

კინო იყო სენსაცია, და როცა ეკრანზე წამოვიდა პირველი მატარებელი, დამფრთხალი დარბაზი ფეხზე წამოცვივდა.

მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, პოლიტიკოსები, მსახიობები კინოსაკენ ისწრაფოდნენ.

კინო უყვარდათ ლენინს, სტალინს, ჰიტლერს.

კინოვარსკვლავთა სახელები ყველას პირზე ეკერა.

ტექნიკურმა სრულყოფამ ფილმები ჯერ აამეტყველა, შემდეგ – გააფერადა. კინოინდუსტრიის განვითარებამ, გადაღების გაიოლებამ და დაფინანსების ზრდამ ჩამოაყალიბა ახალი ჟანრები და ფორმები.

აქაც ამინდს ქმნიან ამერიკული კინოსტუდიები. ისინი იპყრობენ მსოფლიო ბაზარს და ცდილობენ თავიანთ ქვეყანაში არ შეუშვან ევროპული თუ აზიური კინოპროდუქცია. მაგ., ინდოეთი იღებს ამერიკაზე მეტ კინოფილმს. მაგრამ ევროპულ და ამერიკულ ფილმებს ისინი კონკურენციას ვერ უწევენ: მათი სტილი, პრობლემატიკა, გემოვნება დასავლეთის მაყურებელს ნაკლებად იზიდავს.

განსაკუთრებით პოპულარულია ფანტასტიკური, პორნოგრაფიული, განგსტერული, სლეშერული ფილმები. მათი თემატიკა, პერსონაჟები, სიუჟეტები, კონფლიქტები სტანდარტულია, შესაბამისად – ყველასათვის გასაგები.

ეფექტი ეფუძნება **„შეძრწუნების ესთეტიკას“**.

გლობალიზაციის პროცესი შეეხო ხელოვნების ტრადიციულ დარგებსაც. აქ იგი განვითარდა სპეციფიკური ფორმებით, ანტიეს-

თეტიკური ექსპერიმენტებით, ნატურალიზმის რეანიმაციითა და ავანგარდიზმის მორიგი სახეცვლილებებით (იხ. „ექსპერიმენტი – ესთეტიკური და ანტიესთეტიკური“).

თანამედროვე მასკულტურას ქმნიან არქიტექტორი, დიზაინერი, მოდელიორი, შოუმენი, ჯაზმენი, როკმენი, მედკორექტორი, დეკორატორი, კინორეჟისორი და მსახიობი.

მხატვარი, პოეტი, დრამატურგი, ესთეტიკა მათი მსახურია.

პოეზიას აღარ კითხულობენ. ერთხანს, 60-იანი წლების ინგლისში, თითქოს აღიძრა ინტერესი, მაგრამ მალე ისევ მიივიწყეს. არც „ამხანაგთა სათრეველი“ ლექსი უნდათ, მითუმეტეს – დრამატული და ინტელექტუალური. ასეთ დროს პოეტი ირგებს კლოუნის ნიღაბს: იგი, როგორც პიერო თუ არლეკინო, ჟონგლიორობს, ლაზღანდარობს, ბილწსიტყვაობს, დასცინის პოეზიას, რათა ასე მაინც მიიქციოს ყურადღება, ვინმე გააცინოს და იქნებ დააფიქროს კიდეც.

ლექსი არის საჭირო როგორც ტექსტი ესტრადისათვის. რომანი ცოცხლობს. მაგრამ უფრო სასურველია როგორც მასკულტურის მასალა, როგორც სცენარი ფილმისათვის.

დრამატურგია ლიტერატურიდან გადავიდა თეატრსა და კინოინდუსტრიაში, ტელევიზიაში.

გლობალიზებულ სივრცეში მწერალი ისევე აღმოჩნდა ზედმეტი, როგორც პლატონის სახელმწიფოში.

თეატრიც, ლიტერატურაც მაყურებლისა და მკითხველის მისაზიდად ცდილობს ტრადიციის ირონიზებას, გადააზრებას (მაგ., ჩვენში ცნობილი პლენცდორფის „ახალი ვერტერის ახალი ვნებანი“), კლასიკის ექსპერიმენტულ წარმოდგენას (მაგ., რობერტ სტურუას სპექტაკლები), რათა შეცბუნებამ და გაოცებამ აღძრას აზრი, აზრმა – ემოციები.

ამიტომ ამჯერად მშვენიერს ცვლის საინტერესო, რაც არის **„მოლოდინის გამტყუნების”** ესთეტიკა.

ასეთი ხედვა მასობრივ კულტურასაც აძლევს ინტელექტუალურ ელფერს. მაგრამ გატანას სჭირდება ეფექტური რეკლამა. ახლა

რეკლამაა შუამავალი ხელოვნებასა და მასებს შორის, როგორც ადრე იყო კრიტიკოსი, რათა მიიზიდოს მომხმარებელი.

მაგ., სოთბის აუქციონზე ედვარდ მუნკის „კივილის“ პასტელით შესრულებული ვერსია 120 მლნ დოლარად გაიყიდა, პაბლო პიკასოს „შიშველი ქალი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“ – 106.6 მლნ დოლარად.

კრისტის აუქციონზე – გოგენის ტაიტური პერიოდის სურათი „შენ როდის თხოვდები?“ 300 მლნ დოლარად, პიკასოს „ალჟირელი ქალები“ – 179 მლნ-ად, მოდილიანის „მწოლიარე შიშველი ქალი“ – 170 მლნ-დ.

ამ სურათებს მხოლოდ ბიზნესმენი თუ შეიძენს.

პოპ-არტის ნიმუშები მასაში, დედამიწის სხვადასხვა წერტილში გააქვს კომუნიკაციის გლობალურ ქსელს. იგი ახდენს ხედვისა და აღქმის კონცენტრირებას. მაგრამ საამისოდ საჭიროა ისეთი ფორმები, ისეთი სტრუქტურები, რაც იოლად ძლევს ნაციონალურ და ენობრივ ბარიერებს.

ამან განაპირობა ნატურალიზმისაკენ მიბრუნება. ნატურალიზმის საწყისი იყო მატერიალისტური ცოდნა, სოციალ-დარვინიზმი, ბიოლოგიური ინსტინქტებისა და იმპულსების მოდელირება, რაც ახალ სიტუაციაში აღმოჩნდა საუკეთესო ხერხი ერთიანობის მისაღწევად, კულტურის მასობრიობისათვის.

ფუტურიზმმა და კუბიზმმა პირველად მოუხმეს მანქანას, გეომეტრიულ ფიგურებს, რკინას და ფოლადს – ჭარბი ესთეტიზმისა და ელიტარობის დასაძლევად (ვრცლად იხ. „H2 SO4“-დან „მემარცხენეობამდე“).

ტექნიკურმა ესთეტიკამ შექმნა დიზაინი, რაც არის მშვენიერების იდეალის გადატანა ოცნების სფეროდან რეალობაში, სიტყვის, ფერის, ბგერის, პროპორციისა და ჰარმონიის საგნებად ქცევა.

ახალმა ესთეტიკამ წამოსწია, ერთი მხრივ, ტექნიციზმი, რაციონალიზმი და პრაქტიციზმი (მაქს ბენზე, ავრაამ მოლი, მანფრედ

ტილი), მეორე მხრივ, ქაოსი და დისჰარმონია (ანჯელო გულიელმი), სექსი და ინსტინქტები.

პირველი განვითარდა კიბერნეტიკისა და ინფორმაციის თეორიის მიმართულებით (მაგ., „კონკრეტული პოეზია“), მეორემ ხელოვნება გააიგივა ცხოვრებასთან, ყოფით ენასთან და პოპ–არტის კულტურა ჩამოაყალიბა, რომელმაც შეინარჩუნა ფსიქოანალიზი. აჩქარებული და კონცენტრირებული დრო, დროის ნერვიული პულსაცია ექსპერიმენტებს მოითხოვს და აჩენს კიდეც (მაგ., ჩვენში ტ. ჭანტურიას პოეზია, გ. დოჩანაშვილის პროზა).

მაშინ, როცა შოუ-ბიზნესი მილიარდებს ატრიალებს და იმორჩილებს მთელ მსოფლიოს, როცა რეკლამა და დიზაინი თვალს იტაცებს, როგორც ტექნიკით კონსტრუირებული ლანდშაფტი, ხელოვნება ღებულობს ასეთ გამოწვევას – ის ცდილობს ექსპერიმენტებით, არნახული ფორმებითა და უცნაური ხედვით შეაცბუნოს მასმედია, მკითხველი, მაყურებელი (მაგ., პოპ-არტის ლიდერის რობერტ რაუშენბერგის ყველაზე ცნობილი სურათია თხის ფიტული, რომელსაც წამოცმული აქვს ავტომობილის საბურავი).

ამჯერად მოქმედებს **„სენსაციის ესთეტიკა“**. მაგ.: ზოგი მხატვარი ხატავს საკუთარი სისხლით, ზოგი – მენსტრუალური სისხლით!

ექსცენტრიკა არის ექსპერიმენტის საექსპლოატაციო მასალა, რაც გადაწვდა სტილსა და მეტყველებას.

ეს არის როგორც განდგომა და პროტესტი, ისე ინტელექტუალური ჩართვა.

ამგვარ ძიებას ახლავს ბანალობა, ვულგარობა, სექსი და ეროტიკა, სიტყვებით თამაში, სიუჟეტის, კომპოზიციისა და ხასიათების დაშლა, ინტელექტუალური წესრიგის აფეთქება და მიბრუნება ინსტინქტებისადმი, მათი წამოწევა, მათი სტილიზება, შეგნებული ქაოსის წარმოქმნა (პოპ ნიშნავს დარტყმას, აფეთქებას), ირონია, ჟარგონი, ცინიზმი და ნიჰილიზმი, როგორც თამაში.

ექსპერიმენტი აფართოებს ხელოვნების სივრცეს. ეს შეეხო რელიგიურ თემატიკასაც (მაგ., როკ-ოპერა „იესო ქრისტე – სუპერ–

ვარსკვლავი“). ზოგი (მაგ., ამერიკელი ლ. ფიდლერი) მოითხოვს ზღვარის წაშლას მასობრივ და ელიტარულ კულტურებს შორის, ტექნოლოგიურ რეალობასა და მითებს შორის.

მოდერნისტები უარყოფდნენ რეალისტებსა და ნატურალისტებს, ავანგარდისტები – მოდერნისტებს. მათ ერთმანეთისაგან სთიშავთ რომანტიკა, ესთეტიზმი, ტექნიციზმი.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ნეო-ავანგარდისტებიც ებრძვიან მოდერნისტულ ესთეტიკას და მოკავშირედ იგულვებენ გარდასული დროის ნატურალიზმს, რომელსაც ექსპერიმენტულს უწოდებდა ემილ ზოლა.

ახალმა დრომ ხომ მოიტანა ახალი ცოდნა ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის თუ ტექნიკის დარგებში. ამ ცოდნის მხატვრული მოდელირება თავისთავად არის ექსპერიმენტი.

ავანგარდიზმი ჩაიძირა ნატურალიზმში და მათი ნაერთი არის მასობრივი კულტურა, რომელმაც გამოიმუშავა თავისი მიმართებები, ანტიესთეტიკური ესთეტიკა, თავისი ჟანრები (იხ. „მასკულტურის ფორმები“). ამ ტენდენციამ კარგა ხანია შემოატანა ქართულ ლიტერატურაშიც.

ხელოვნებას შეუერთდა დიზაინი, რეკლამა, პროდუქციის გაფორმება, გარემოს ტექნიკური ორგანიზება, ირონიზებული ინტელექტუალური ნაკადი.

მასკულტურასაც სჭირდება თავისი პროფესიონალი, თავისი საქმის ოსტატი. ჩვენში ამ მხრივაც არეულია სტანდარტები: კაცი დღეს მწერალია, ხვალ – მუსიკოსი, ზეგ – მხატვარი. შემდეგ შეიძლება ხელოვნებას ჩამოსცილდეს, პროფესორად მონათლონ და რომელიმე უნივერსიტეტში სტუდენტებს გადასცეს თავისი ეკლექტური გამოცდილება. მაგ., როგორ წერდა ერთ დღეში რომანს.

როგორც ვთქვით, ესთეტიკა გავიდა ხელოვნებიდან და ტექნიკის საშუალებით გარდაქმნა გარემო – ქუჩა, ბაღი, ბინა, ტრანსპორტი, ავეჯი, ყოფითი ნივთები. მაგრამ თავად დარჩა გულგამოც-

ლილი და ზედმეტი, ვიწრო წრის საკუთრება, როგორც ეს იყო ძველად.

ხელოვნება ისევ ხაზგასმული ანტიესთეტიზმით ან სამეცნიერო ფანტასტიკით, ეროტიკითა და პორნოგრაფიით, დოკუმენტურობით ცდილობს ყურადღების მიქცევას და დაკარგული პოზიციის დაბრუნებას. ეს კი მოითხოვს მუდმივ ძიებას, ექსპერიმენტს, მუდმივ ავანგარდულ მზადყოფნას, ახალი ტექნიკური არსენალის გამოყენებას, ფანტაზირებას ფანტასტიკის თუ შეშლილობის ზღვარზე.

ამიტომ გაერთიანდა მასობრივ კულტურაში ნეო-ავანგარდიზმი და ნეო-ნატურალიზმი, რასაც პოსტ-მოდერნიზმს უწოდებენ ხოლმე.

ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი

გლობალისტური დროის ელექტრონული კულტურა ურბანისტულ ცენტრებში იქმნება. იგი ცივილიზაციის კულტურაა, რომელმაც შეცვალა გარემო, ლანდშაფტი, ცხოვრების წესი. ტექნიკის პროგრესმა დაიწყო ახალი ცენტრალიზება და იგი გადასცა მსოფლიოს, დაუმორჩილა ქვეყნები, თაობები, ხედვა და გემოვნება.

კულტურა და ცივილიზაცია ქალაქით იწყება, რომელიც აყალიბებს ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას (ჰ. სპენსერი, ე. დიურკჰაიმი, მ. ვებერი).

რამდენადაც განვითარებულია ტექნიკა და ეკონომიკა, იმდენად არის ქალაქი ურბანული, ლამაზი და მრავალრიცხოვანი.

ქალაქის დაცემა უკავშირდება სახელმწიფოს დაცემას.

როცა სახელმწიფო ძლიერია, სოფლიდან მიგრაციის ტალღა ისწრაფის ქალაქისაკენ. ეს არის საუკეთესო ნაწილი – ენერგიული და უნარიანი. მას აქვს ახალი სივრცის ათვისებისა და დაპყრობის წყურვილი. კონკურენცია, ბრძოლა ადგილის დამკვიდრებისათვის, ინფორმაციის გაცვლა ააქტიურებს გონებას.

მაგრამ სუპერქალაქები ბადებენ განლტოლვის ტენდენციას – ადამიანს ენატრება მიწა და სიმწვანე, თავისი მინისამყაროს დაცვა.

მოსახლეობის ზრდა ინტერესებსაც ზრდის. იწყება შრომის დანაწილება. სოფელში ეს არ არის. იქ ყველა ოჯახი მიკროსამყაროა და ყველა ყველაფერს აკეთებს – არის მევენახეც, მესიმინდეც, ხელოსანიც, მებაღეც, მესაქონლეც.

შრომის განაწილება ავითარებს პროფესიონალიზმს, რაც მიდის წარმოების ავტომატიზაციამდე.

დღისით სმოგით დაბურული და ღამით ელექტრონული რეკლამებით აელვებული ქალაქი პირველ რიგში მაინც არქიტექტურაა, შენობები, სტადიონები, პროსპექტები, მაღაზიები, პარკები. მათ აშენებს და ცვლის ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი. მეგაპოლისი ქალაქიც არის და ბაღიც.

XX საუკუნის დასაწყისიდან ადამიანი ისწრაფვის ზეცისაკენ, სულთა საუფლოსაკენ. რაიტისა და კორბუზიეს არქიტექტურა მსუბუქია და ნათელი. მრავალსართულიანი რკინის, ალუმინისა და შუშის კედლები ცისკენ აჭრილი ოცნებაა, რომელმაც გოტიკური, ბაროკოული თუ მოდერნული სტილი შეცვალა, გახდა უფრო ეფექტური და მობილური, უფრო რაციონალური, განტვირთული მორთულობისაგან.

ძველი არქიტექტურა თუ ხელოვნებაა, რომლის საუკეთესო ნიმუშები სასახლეები, ტაძრები და ეკლესიებია, ახალი სამეცნიერო მონაცემებს ემყარება (მაგ., ნიადაგის სიმყარე, მასალის გამძლეობა და ხარისხი). კვარტალები და კორპუსები კარკასული, მზიდი და საზიდი კონსტრუქციებით სერიულად შენდება.

ძველად თუ ქალაქი სტიქიურად ფართოვდებოდა, ახლა დაგეგმარება აუცილებელია. ადრე თუ ქუჩებს ანგარიში არ ეწეოდა, ახლა მოზღვავებული ტრანსპორტი აფიქრებს არქიტექტორს, რომ გეომეტრიული კონსტრუქციის მრავალსართულიანი შენობები შეუხამოს მაგისტრალებსა და ქუჩებს. ასევე შესაბამისად გადაწყვიტოს ოთახების შიდა განლაგება, ინტერიერი, შიდა კომუნიკაციები.

ურბანიზმი, ინდუსტრია, არქიტექტურა, დიზაინი, ავეჯი, ტრანსპორტი ნერგავს ფუნქციონირების საერთო რაციონალურ სტილს, ქალაქის ზოგად სტრუქტურას, რომელიც ერთმანეთს ჰგავს ნიუ-იორკსა და ტოკიოში, ჩიკაგოსა და ბერლინში, დუბაისა და სინგაპურში. ადამიანი მათ ემორჩილება ანუ, როგორც ვთქვით, ექცევა ტექნიკის სასიამოვნო ტყვეობაში.

ურბანიზმის, თანამედროვე ქალაქის დაგეგმარებისა და აშენების მრავალი კონცეფცია არსებობს, მრავალ მოდელსა და პროექტს იცნობს დღევანდელი მოქალაქე.

მათგან მნიშვნელოვანია რაიტისა და ლე კორბუზიეს ტრადიციები, ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლა (უ. ტომასი, რ. პარკი, ლ. ვირტი), ამერიკული ცათამბჯენების კოსმოპოლიტური სტილი, რაც მთელ მსოფლიოში გავრცელდა (მაგ., ნიუ-იორკის 102-სართულიანი ემპაიერი, რომელიც აშენდა ერთ წელიწადსა და ოთხ დღეში), რათა მიწის სიმცირე და სიძვირე დაეძლიათ ზეცისკენ სწრაფვით (მაგ., უმაღლესი ცათამბჯენი დუბაიში ბურჯ ხალიფა – 828 მეტრია, შანხაის თაუერი – 632 მ, მექას სამეფო კოშკი – 610 მ).

ურბანიზმს, პოსტინდუსტრიულ და ინდუსტრიულ საზოგადოებას მოაქვს ცხოვრების ახალი წესიც, რასაც ასე განმარტავენ:

ინდივიდებს შორის მეორეხარისხოვანი კონტაქტების უპირატესობა, ნათესაური კავშირების შესუსტება; ოჯახის სოციალური მნიშვნელობის შეკვეცა; მეზობლობის გაქრობა, სოციალური სოლიდარობის ტრადიციების დაკარგვა, სოციალური კონტროლის შემცირება, ზედაპირული და ანონიმური ურთიერთობები; ადამიანებისადმი საქმიანი დამოკიდებულება, რაც არის შრომის განაწილებისა და სპეციალიზების შედეგი (ლ. ვირტი).

პროგრამირებული და ზომბირებული ინდივიდი კანონებს ემორჩილება, უფრთხის ვნებათა და გრძნობათა აფეთქებას, მრავალსართულიანი კორპუსის კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრობს, როგორც კომფორტულ კარცერში; ტელევიზია და კომპიუტერი მთავარი გასართობია, მანქანა-გადაადგილების საშუალება, ცხოვ-

რება-თამაში. ახლობლები ჰყავს სამსახურში; მათთან აქვს საქმიანი ურთიერთობა; მკაცრად იცავს დროის ბიუჯეტს, დრო ზუსტად აქვს განაწილებული, როგორც შრომისა, ისე დასვენებისათვის, როგორც ოჯახისა, ისე ახლობლებისათვის (იხ. „პროგრამირება და ზომბირება“).

გარემოც სტანდარტულ საგნებს გვთავაზობს:

სერიულად მზადდება ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ავეჯი და ჭაღები, თეფშები, ჭიქები თუ დანა-ჩანგლები, ბეჭდები და საყურეები; სუპერ-მარკეტები ბრწყინავს ნაირგვარი პროდუქციის ეტიკეტებით; თვალს იტაცებს გამორჩეული დიზაინი; რეკლამების ცეცხლში იწვის ღამის ქალაქი. ყველაფერი ისე მასობრივად ვრცელდება მთელს მსოფლიოში, როგორც აუდიო და ვიდეო კასეტები, ფილმები და ტელესერიალები, ვრცელდება და ერთიან მოდას, ერთიან გემოვნებას ამკვიდრებს.

მსგავსი გარემო, ნივთები, ინფორმაცია აყალიბებს მსგავს წარმოდგენებს, ფსიქიკასა და ცნობიერებას. ნიველირებას, ერთი მხრივ, ესწრაფვის ადამიანის ბუნება, მეორე მხრივ – ეურჩება. ეს იწვევს ახალ ნევროზებს (მაგ., შოპინგომანია), ფსიქიკურ და სექსუალურ გადახრას, რაც ზოგჯერ ტრაგიკულად განიმუხტება (მაგ., აშშ-ში ამ დღეებში ერთმა ახალგაზრდამ დახოცა ოცი ბავშვი და ექვსი მასწავლებელი).

ტრანსფორმირებული სახელმწიფოები, ახალი მენტალიტეტის საზოგადოება, ტექნოკრატი მოქალაქენი ტყუპის ცალით ჰგვანან ერთმანეთს (გავიხსენოთ მაქს ფრიშის „Homo Faber“).

როგორც ურბანიზმი და არქიტექტურა, ისე ურბანული ცხოვრების წესი აერთიანებს ადამიანთა ინტერესებს, ხედვასა და სულისკვეთებას. გლობალიზებული ინდივიდები მეტნაკლებად ერთნაირად ცხოვრობენ ნიუ-იორკსა და ჰონკონგში, ჩიკაგოსა და პარიზში, ერთნაირად ფიქრობენ და აზროვნებენ.

გლობალისტური დროის ადამიანის ინტერესებს შეესაბამება ავანგარდისტული არქიტექტურა (მაგ., ზაჰა ჰადიდის).

კონსტრუირებული გარემო და ლანდშაფტი, ტრანსპორტი და ყოფითი ნივთები, ქუჩა და შენობა არის ახალი რეალობა. იგი ხელოვნებიდან გამოვიდა, ოცნება იყო და სინამდვილედ იქცა. ის, რაც ადრე ერთეულებს ეკუთვნოდათ, დღეს ყველასათვის ხელმისაწვდომია: ელიტარული გახდა მასობრივი, არისტოკრატიული – დემოკრატიული. ამას ამკვიდრებს ურბანიზმი და ურბანული ცხოვრების წესი, რაც მეგაპოლისების სახით აერთიანებს ვირტუალურად შეკავშირებულ ადამის მოდგმას.

ღირებულებათა კოლაფსი

ელიტარულმა კულტურამ არსებობის შესანარჩუნებლად, ყურადღების მისაზიდად ექსპერიმენტული გზა არჩია. მას დარჩა დამფასებელი, მაგრამ ერთობ ცოტა. მშვენიერების მუდმივმა ძიებამ, მისმა ვირტუალურმა ხილვებმა აღმოაჩინა ანტიმშვენიერება, როგორც სიმბოლიზმმა – სიმახინჯე.

ელიტას აღარ სჭირდება ელიტარული კულტურა.

როგორც ვწერდით, ხელოვნებას დაეუფლა ირონია, ცინიზმი, ნიჰილიზმი, ყოფიერების აბსურდულობის განცდა, როცა ყველაფერმა ფასი დაკარგა.

ასე რომ, იგი თავად ამბობს უარს თავის წარსულზე.

პრაგმატულ და პრაქტიცისტულ საზოგადოებას ხელოვნება სჭირდება იმდენად, რამდენადაც გაართობს, სჭირდება არა ხელოვანი-რეოლუციონერი, არამედ – ხელოვანი-კლოუნი, არა სულიერება, არამედ – ხმაური და მოძრაობა, რიტმი და როკვა, არა სიცოცხლის აზრის ძიება, არამედ – ტკბილი ცხოვრება.

რელიგიები სექტებად იშლება. ყველა სექტა თავის რწმენის ჭეშმარიტებას ქადაგებს, ასე მოძღვრავს თავის მრევლს.

მსოფლიოში არსებულ 3000-მდე სექტას უკვე უღმერთობა უფრო გააერთიანებს, ვიდრე ღმერთის რწმენა.

ფილოსოფოსები ისე გაერთნენ ჭეშმარიტების ძიებაში, რომ ერთმანეთისა აღარ ესმით და, როგორც სკეპტიკოსები ამბობენ, არც არავის აინტერესებს მათი განსჯა, აბსტრაქტული, ცხოვრებისაგან დაცილებული ცნებები.

ხელოვნებამ, რელიგიამ, მეცნიერებამ ფილოსოფიას ყველაფერი წაართვეს და ასე განძარცული დატოვეს.

თუ პრაგმატულ საზოგადოებას ტაძარი სჭირდება როგორც კულტურის დეკორი, უფლის სახელი – როგორც ფსიქოთერაპია, ფილოსოფიას არც სარგებლობა მოაქვს, არც სიკეთე, არც ჭეშმარიტება.

მეცნიერება ტექნიკაში გადავიდა, ტექნიკად ამეტყველდა. მაგრამ რაღა დარჩა საკვლევი, თითქოს ყველაფერი მოპოვებულია, შესაქმნელი – შექმნილია, აღმოსაჩენი – აღმოჩენილი.

ატომური ბომბით კაცობრიობა თავის აღსასრულს მიუახლოვდა. იგი ჯერჯერობით მშვიდობის რეგულატორია, მაგრამ ერთხელაც იქნება და ხმას ამოიღებს.

ისტორიასა და პრეისტორიას იკვლევენ, ეძებენ ენისა და აზროვნების საწყისებს, ეძებენ დაკარგულ დროს, ეძებენ უკვდავების წამალს.

მაგრამ პრაგმატულ და პრაქტიცისტულ საზოგადოებას უფრო ის აინტერესებს, როდის გაიზრდება ხელფასები და პენსიები, როდის დაიწევს ფასები ან როგორი ამინდი იქნება ხვალ...

კულტურა ცივილიზაციად იქცა.

მასობრივი კულტურის ქაოსსა და ანარქიაში აღარც წიგნი ფასობს, აღარც კლასიკური მუსიკა და კლასიკური ლიტერატურა.

მხატვრები კი ცდილობენ გაგვაოცონ ანტიესთეტიზმით, უცნაური ფორმებით, ვულგარული კოლაჟით, რათა ასე ჩარჩნენ ჩვენს მეხსიერებაში: მთავარია ვიღაცას ახსოვდე, არა აქვს მნიშვნელობა – როგორ.

ელექტრონული გალაქტიკის ცაზე მრავლდება ჩამქრალი მნათობები. ციმციმებენ ის ვარსკვლავები, რომელთაც აცოცხლებთ ფული და ტაშისცემის ენერგია. მალე ისინიც ჩამოცვივა და ახლები აენთებიან.

კულტურა პატივსაცემად მიაჩნიათ იმდენად, რამდენადაც მოემსახურება ცივილიზაციას, რამდენადაც დასჭირდება ურბანიზმის ინდუსტრიას.

ამიტომ ლოგიკური ცოდნის, ისტორიული მეხსიერების დაცვისა და გავრცობის სანაცვლოდ ფანტაზია ფალსიფიცირების საშუალებაა.

ტყუილი და მართალი, კარგი და ცუდი, ყალბი და ნამდვილი, სუროგატი და ორიგინალი ერთმანეთში ირევა და იმარჯვებს ის, რომელიც უფრო ეფექტურად აკმაყოფილებს მდაბალ ინსტინქტებს და შესაბამისად – მეტი ფული მოაქვს. აქ საექსპლოატაციო თემაა სექსი და პორნოგრაფია, ბილწსიტყვაობა, ცინიზმი და ნიჰილიზმი.

ასე რომ, დადგა ღირებულებათა კოლაფსის ჟამი.

ამას უფრო ამწვავებს ნაციონალური კულტურების ბედი. გლობალური გაერთმნიშვნელიანების დროს, როცა კონკურენცია ეროვნული საზღვრებიდან გავიდა, კიდევ უფრო დამძიმდა პოეტის, მხატვრის თუ რეჟისორის ხვედრი.

მათ შინაც ეჭვით უყურებენ, გარეთ როგორ შეხედავენ აღტაცებით. მითუმეტეს – რა იქნება ხვალ?

საყოველთაო ნიჰილიზმი, ეკლეზიასტეს ამაოება გზას უხსნის გლობალიზაციას, რომელიც გვპირდება უკონფლიქტო, მშვიდ, ტკბილ, ბედნიერ ცხოვრებას.

ეროვნული კულტურა უკავშირდება ერის ბედს. ერი კი, როგორც ვთქვით, ქმნის სახელმწიფოს. მაგრამ თუ მივნებდით გლობალიზაციის ტალღებს, ერი დაკარგავს თავისთავადობას და სახელმწიფო იქცევა ადმინისტრაციულ ერთეულად, ეკონომიკურ რეგიონად. ყველაფერი იქცევა წარსულად, ისტორიად, რომელსაც მხოლოდ მუზეუმები შეიფარებენ.

ამიტომ გლობალიზაციის ამ შეუქცევად მარათონში ყველა ქვეყანა, ყველა ქვეყნის კულტურა ეძებს თავის ადგილს, რათა არ ჩაიკარგოს და მოდერნიზებით შეინარჩუნოს ნაციონალური მოდუსი, რათა ისევ ჰყვაოდეს სიცოცხლის ხე, მწვანე ფოთლებით შემოსილი.

2012 წელი, ნოემბერი-დეკემბერი

მესამე წიგნში გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005.
2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი, I, II, თბ., 1999.
3. ამერიკის შესწავლის საკითხები, III, თბ., 2005.
4. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2010, I.
5. ნ. ბარათაშვილი, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და მსოფლიო წესრიგი, თბ., 2004.
6. აკ. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990.
7. უ. ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ., 2001.
8. გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა, თბ., 2005; II, თბ., 2007.
9. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003.
10. ს. დალი, სალვადორ დალის იდუმალი ცხოვრების ამბავი, თბ., 2012.
11. დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX ს.), თბ., 1988.
12. ნ. დევდარიანი, ლერწმის სტრატეგია, თბ., 2008.
13. ჰ. დევისი, ბიტლზი, თბ., 2011.
14. ლ. ერჰარდი, კეთილდღეობა ყველასათვის, თბ., 2011.
15. გ. ვაჩნაძე, ვიდეოს ერა. საუკუნე პირველი, თბ., 1988.
16. ი. კვესელავა, კულტურა და პოლიტიკა, წიგნში: კულტუროლოგია, თბ., 2010.
17. მ. კვესელავა, ასერგასის დღე, I-III თბ., 1968–1974.
18. ნ. კუპრეიშვილი, სიტყვის დეგუსტაცია, თვ., 2013.
19. კ. კუტუბიძე, სახელმწიფო სუვერენიტეტი და გლობალური ინტერესები, თბ., 2002.
20. ლი კუან იუ, მესამე სამყაროდან პირველში: სინგაპურის ისტორია: 1965-2000, თბ., 2012.
21. ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბ., 2008.

22. ნ. მანდელა, საუბრები საკუთარ თავთან, თბ., 2012.
23. მეცნიერებისა და ტექნიკის ჰორიზონტები, თბ., 1973.
24. რ. მიშველაძე, კულტურა, პოლიტიკა, თბ., 2010.
25. გ. მჭედლიშვილი, მითების ტყვეობაში, თბ., 2012.
26. ს. ს. მონტეფიორე, სტალინი. წითელი მეფის კარი, თბ., 2012.
27. თ. ნამიჩეიშვილი, ა. ფრანგიშვილი, კულტურა და მეცნიერება წიგნში: კულტუროლოგია, თბ. 2010.
28. რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი, №1-2, 2009.
29. გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია თბ., 2001.
30. ს. საჯაია, საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?! თბ., 2008.
31. ს. სიგუა, ეპოქა და სტილის პრობლემა, თბ., 1976.
32. ს. სიგუა, ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1994.
33. ჯ. სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ., 2012.
34. კ. უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი, თბ., 2003.
35. გ. ფანჯიკიძე, იქ, სადაც ცხოვრობდნენ ადამ და ევა, თბ., 1980.
36. პ. ფერისი, ზიგმუნდ ფროიდი,თბ., 2013
37. ფ. ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999.
38. ა. შპეერი, ჰიტლერი, მოგონებები, თბ., 2012.
39. ა. ჩიკვაიძე, პოლიტიკური ჭადრაკი, თბ., 2004.
40. გ. ჩოგოვაძე, ინფორმაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი, თბ., 2003.
41. მ. ცაცანაშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბ., 1999.
42. ვ. ჭანია, პოლიტოლოგიის საფუძვლები, თბ., 2000.
43. ტ. ჭანტურია, დინოზავრიდან დიზაინამდე, თბ., 1988.
44. ზ. ხონელიძე, საქართველოს არჩევანი, თბ., 2013.
45. ე. ჯაველიძე, უკუნეთი, თბ., 2001.

46. გ. ჯოლია, კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, თბ., 2016.
47. გ. ჯოლია, ვ. სართანია, მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა, თბ., 2013.
48. გ. ჯოლია, დ. სეხნიაშვილი, ცოდნის ეკონომიკა და მართვა, თბ., 2010.
49. ს. ჰანთინგტონი, ცივილიზაციათა შეჯახება?! თბ., 1997.
50. პ. ჰერსტი, გ. ტომპსონი, გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი. თბ., 2005.
51. Борьба идей в эстетике, м., 1974.
52. Б. Виппер, Произведение искусства в мире художественной культуры, М., 1988.
53. Л. Гастригин, П. Граве, Кибернетика как она есть (Кибернетика и психика). М., 1975.
54. П. Гуревич, Культурология, М., 2001.
55. Ле корбузье, Архитектура XX века, М., 1970.
56. Литературная история США, III, М., 1979.
57. А. Кукаркин, Буржуазная массовая культура, М., 1978.
58. Дж. Джекобс, Закат Америки, М., 2006.
59. Искусство и Научно-технический прогресс, М., 1973.
60. Семиотика и художественное творчество, М., 1977.
61. Многоликая глобализация, М., 2004.
62. Е. Михайлов, США. Проблема больших городов, М., 1972.
63. Дж. Сорос, О глобализации, М., 2004.
64. М. Паренти, Власть над миром, М., 2006.
65. А. Тойнби, Постижение истории, М., 1991.
66. О. Яницкий, Урбанизация и социальные противоречия капитализма, М., 1975.

პროფ. ეკა ცხადაძე

„კულტუროლოგიის საფუძვლების“ არსი და მნიშვნელობა

სოციალური კვლევების გააქტიურება პოსტიმპერიული ეპოქის მთავარი მოთხოვნაა, როცა ანდერგრაუნდი იძენს ოფიციალურ სახეს და მისი მარგინალიზაცია უკვე ცუდ ტონად მიიჩნევა. ამავე ორბიტაში მოიაზრება კულტურისა და ხელოვნების ფილოსოფიასთან და ისტორიასთან ინტეგრირებული კვლევა, რომლის საუკეთესო ნიმუშებში გაერთიანდა ძველი და ახალი რელიგიური მოცემულობები, არქეტიპებისა და სიმბოლოების ანალიზი, ისტორიულ მოვლენათა რაციონალურ-ირაციონალური აღქმა და მისი მეინსტიმად გადაქცევა.

კულტუროლოგიური კვლევის საუკეთესო ნიმუშებად ქართულ სინამდვილეში **სოსო სიგუას** ნაშრომები მიგვაჩნია, რომელიც მის მრავალფეროვან ინტერესთა შორის წამყვანი და უმთავრესი გახდა. დაინტერესებული საზოგადოება ერთგვარად განებივრებულიც კია ზურაბ კიკნაძის, სოსო სიგუას, როსტომ ჩხეიძის, ზაზა შათირიშვილის, დათო ანდრიაძის, გიგი თევზაძის კულტუროლოგიური ხასიათის ნაშრომებით. თითოეული მათგანი ქართული კულტურის არქაული ძირების ხელახალი ინტერპრეტაციით მიდის დასახული მიზნისაკენ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყოველი მათგანის ანალიტიკური დისკურსი, მთავარი აზრობრივი ნაკადის გაშლა და განფენა ინტერდისციპლინარულ კვლევათა ასპექტით.

სოსო სიგუა ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ტექსტების სტრუქტურული მრავალპლანიანობა მათი ესთეტიკური ფენომენის საფუძველთა საფუძველია; ინტუიცია ანგრევს ტრადიციულ ჩარჩოებს და ავტორი მაქსიმალურად უახლოვდება პერსონაჟს, ხოლო მკითხველს

შეთვისებულ ჩარჩოთა გადალახვა ავტორთან ერთად მოეთხოვება. ამგვარი უნივერსალურობა ახასიათებს მთელ თანამედროვე აზროვნებას, რასაც კულტუროლოგია ეწოდება.

კულტუროლოგია სიმბიოზური დისციპლინაა, რომელიც არსებული მეთოდებით ცდილობს მოიცვას ყველაფერი, რასაც კაცობრიობის მონაპოვარი და სიამაყის საგანი ჰქვია.

ჩვენ ამ შესავლით იმის თქმა გვინდა, რომ სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამტომეული არის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონის განმსაზღვრელი მოვლენა, რომლის თეორიული და პრაქტიკული მხარე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს და შეფასდეს.

„კულტუროლოგიის საფუძვლების“ პირველი ტომი **„კულტურის გენეზისი“ 2010 წ.,** მეორე ტომი **„კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიები“ 2012 წ.;** მესამე – **„კულტურა და გლობალიზაცია“ 2013 წ.** გამოქვეყნდა.

სოსო სიგუამ მიზნად დაისახა თანამედროვე მეცნიერების სამი მთავარი ბაზისის – ანთროპოლოგიის, კულტურის ისტორიისა და კულტურის თეორიის მეშვეობით წარმოედგინა თანამედროვე სულიერი ცხოვრების ურთულესი პროცესები და მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, თუმცა ამით ნამდვილად არ შემოფარგლულა და უხვად მოგვაწოდა ლიტერატურული თუ ისტორიული დისკურსები. ამ სამტომეულით სოსო სიგუამ დაგვიმტკიცა, რომ ადამიანის სულიერი მოთხოვნილებების დროსა და სივრცეში გააზრება, ფარული და ხილული ნიუანსების მონიშვნა, სტატიკური და დინამიკური ტენდენციების გამოვლენა – მართლაც ძალიან ძნელი და მიმზიდველი საქმეა.

პირველი წიგნი მთლიანად დაეთმო კულტურის გენეზისის საკითხს, მის ქრონოლოგიურობას და ქაოტურობას, რაციონალურ და ირაციონალურ პლასტებს, ევოლუციურ თუ რევოლუციურ განვითარებას, კულტურის და ძალაუფლების ნების თანაარსებობას, სახელმწიფოს წარმოქმნის უმთავრეს ელემენტებს.

„კულტურის გენეზისზე“ დაკვირვებისას ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გაცილებით ადრეული მონაცემების გახსენება, რადგან სოსო სიგუას ადრინდელი ნაშრომების გაუთვალისწინებლად ვერაფრით შევძლებთ მისი დიდი შრომის სრულყოფილად შეფასებას.

სოსო სიგუამ ქართულ სამეცნიერო სივრცეში მრავალი ორიგინალური და ინოვაციური მიგნებებით დაიმკვიდრა ადგილი. სამაგალითოა მისი გამოკვლევები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე. ყველასათვის თვალშისაცემია, რომ მწერლის შემოქმედების კვლევა გაცდა ქართული კულტურის არეალს და მკვლევარმა მთელი ევროპული ცივილიზაციის მიღწევების განვრცობა და გამსახურდიას შემოქმედების ამ არეალში მონიშვნა წარმატებით შეძლო. ამით გახდა პროფესიონალებისათვის მნიშვნელოვანი „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, „მარტვილი და ალამდარი“, „დევნილი ტრიუმფატორი“ და სხვა გამოკვლევები.

ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ სოსო სიგუა სანამ „კულტუროლოგიის საფუძვლებს“ შექმნიდა, მანამდეც კულტუროლოგის თვალთახედვით უდგებოდა საკუთრივ ფილოლოგიურ პრობლემებს. ეს მის მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია, რამაც იმთავითვე წარმატებულ და მისაბაძ მეცნიერად აქცია ჩვენთვის. თანაც ეს მაშინ ხდებოდა, როცა კულტუროლოგიის ხსენებაც არ იყო.

მოვლენათა გენეზისის კვლევისას სოსო სიგუა წარმატებით მიმართავს კულტურულ-ისტორიულ მეთოდს, სხვადასხვა ეპოქის მონაცემებიდან ამოდის და თანდათანობით წარმოგვიდგენს მთლიან სურათს, ერთიან სისტემას, რაც გაჯერებულია როგორც წინამორბედი მოაზროვნეების დაკვირვებებით, ისე საკუთრივ მისი ორიგინალური მსჯელობებით და დასკვნებით.

სოსო სიგუამ ქართული მასალის უხვად შემოტანით და ჩვენი კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გაანალიზებით დიდი წვლილი შეიტანა ქართულ კულტუროლოგიაში, რომელიც შედარებით ახალი საგანია ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში.

ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებში ტოტემი და ტაბუ გათავისებული და შესწავლილი თემაა, ამ კუთხით მრავალი საინტერესო ნაშრომი არსებობს. ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიისათვის ეს ნაცნობი და ორგანული მოვლენაა. სოსო სიგუას გვერდი არც მაშინ აუვლია ამ თემისთვის, როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას პროზას იკვლევდა ან როცა „ქართული მოდერნიზმის“ ესთეტიკას გვამცნობდა.

ტოტემისა და საერთოდ ცხოველთა სამყაროს კულტუროლოგიურ ასპექტში აღქმა და სამეცნიერო ანალიტიკაში მოქცევა ძალიან პოპულარულია ევროპასა და ამერიკაში. ყოველმხრივ არის შესწავლილი ცხოველთა და ფრინველთა მითოპოეტიკა – ისინი ოჯახის მფარველებად, ადამიანთა დამხმარე ძალებად, ხელოსნობის დამცველ სულებად გვევლინებიან. ადრე ამას ფოლკლორისტიკა, მითოლოგია, ეთნოლოგია ან არქეოლოგია შეისწავლიდა, მაგრამ დღეს ამას კულტუროლოგია აკეთებს. სწორედ კულტუროლოგიას აქვს პრეტენზია, რომ შეუძლია მეთოდოლოგიურად ამოწუროს ყველაფერი – ძველი სახელმწიფოებრივი რეგალიებიდან დაწყებული, ქალთა თავსაბურავებითა თუ კულინარიით დამთავრებული.

„კულტუროლოგიურ საფუძვლებში“ ქრონოლოგიასთან მიმართებით მთელი რიგი საკითხებია წარმოდგენილი, ერთ ფსიქოტიპურ მთლიანობად არის მოცემული ისეთი ირაციონალური მოვლენები, როგორიცაა – ტოტემი და ტაბუ, ფეტიში და ქარიზმა. თითოეული მათგანი წარმოდგენილია იმგვარად, რომ ცხადი ხდება ავტორის სწრაფვა მკაცრი სისტემიზაციისაკენ, ყველაფერი დალაგებულია მკაფიოდ მონიშნულ ჩარჩოში. მაგალითისთვის მოვიყვანთ ქვეთავს „კანიბალიზმიდან კაცთშეწირვამდე“, რომელიც რეგლამენტირებულია ასეთი მიმდევრობით:

კანიბალიზმი – მიცვალებულთა დამარხვა – კანიბალიზმის კაცთშეწირვით რეგლამენტირება – კაცთშეწირვის რიტუალი – კანიბალიზმისა და კაცთშეწირვის აღკვეთა – სისხლის გამოშვება – ცხო-

ველთზვარაკი – იეზუიტური კაცთშეწირვა – ბოლშევიკური კაცთშეწირვა – სიმბოლური კაცთშეწირვა.

ქვეთავში – „კანიბალიზმისა და კაცთშეწირვის აღკვეთა“, ვკითხულობთ:

„სისხლის სმა და უმი ხორცის ჭამა იწვევს კანიბალისტურ და მხეცურ ასოციაციებს.

ვეგეტარიანელი, წყნარი, მშვიდი, ხიდან ხეზე მოხტუნავე პიტეკანთროპი ჯერ სასტიკ, სისხლის მოყვარულ მხეცად გადაიქცა და შემდეგ დაიწყო მისგან მოაზროვნე არსების ფორმირება ანუ უკუქცევა და სისხლისღვრის რეგულირება, კანიბალიზმის აღკვეთა...

ეს ჰგავს ამღვრეული ზღვის ღელვასა და მრისხანებას, როცა ტალღები ნაპირზე გადმოაგდებენ ზედმეტ საგნებს ან ფსკერზე ძირავენ.

შემდეგ ზღვა წყნარდება, წყალი კამკამა და გამჭირვალე ხდება“.

მხოლოდ ამ მონაკვეთზე დაკვირვებით შეგვიძლია შევიქმნათ წარმოდგენა კაცობრიობის განვითარების უწყვეტ ეტაპზე, როცა ცხოველური ინსტინქტები ხან ძლიერდება და ხან ნელდება, მაგრამ არასოდეს ტოვებს ასპარეზს. იეზუიტების და ბოლშევიკების ამ კონტექსტში მოქცევა ძალიან გვიადვილებს ჩვენი ყოფითი რეალიების ახსნას და ჩვენივე სოციუმის ბუნების გაგებას.

სოსო სიგუა ძალაუფლების ნებას გამორჩეულად აკვირდება და აანალიზებს, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ამ საკითხის შესწავლით იწყება ისტორიზმის გამოვლენა ლიტერატურულ ტექსტებსა და ფილოსოფიურ ტრაქტატებში, მაგრამ მას უფრო პრაგმატული მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი, რაც ყოველგვარ ყალბ ინსინუაციებს გამორიცხავს და მოცემულობას წმინდა აზრობრივ ჩარჩოში აქცევს. სოსო სიგუა წერს: **„კულტურშემოქმედთა უმრავლესი ნაწილი დამარცხებული ან არშემდგარი ლიდერია. ამიტომ იყო კულტურის წიაღი ქურუმების წრე, რომელიც აყალიბებდა შიშიდან, განცვიფრებიდან, ტოტემური და აკრძალვათა სისტემიდან გამომდინარე ღმერ-**

თების პანთეონს, ღმერთების სახელით კი – ხელოვნებასა და მეცნიერებას, ცხოვრების წესს, მორალსა და ზნეობას, სქესთა კავშირს, ენას“.

როგორც აღიარებულია, ძალაუფლების ნებას ორი ფაქტორი ქმნიდა – შიში და აღზრდა. სოსო სიგუა ამ ორ კომპონენტს ათავსებს ისტორიის კონტექსტში და მის არეალში მოიაზრებს სახელმწიფოს, როგორც ერთსა და სიმრავლეს. მისი ინტერპრეტაციით, ცოდნა და წვრთნა უწყვეტი უნდა იყოს, საწინააღმდეგო შემთხვევაში კაცობრიობა წარმოუდგენელი სისწრაფით დაუბრუნდება „წინაპართა მღვიმეს“.

მკვლევრის აზრით, ყველა ეპოქაში წამყვანი იყო ძალისა და ინტელექტის ბალანსირება, რაც არქეტიპებისა ფორმების საფუძვლებს წარმოადგენდა. მთელი ეს კანონზომიერება კაცობრიობის ისტორიულ წარსულზე, სოციუმსა და ხელოვნების ქმნილებებზე დაკვირვების შედეგია.

„კულტურის ტიპოლოგიასა და უნივერსალიებში“ ერთ-ერთი მთავარი თემა კულტურის და ცივილიზაციის გამიჯვნაა, რაც ოსვალდ შპენგლერის წარმატების განმსაზღვრელი გახდა გასული საუკუნის დასაწყისში და რომელიც კარდინალურ საკითხად რჩება კულტურის ფილოსოფიაში. ასევე შესანიშნავად არის დიფერენცირებული ხელოვნების ტიპები, კულტურის რელიგიური კუთვნილება, სახელმწიფო და კულტურა, მასობრივი და ელიტარული კულტურები, ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემა.

„კულტუროლოგიის საფუძვლების“ მეორე ტომში განხილული კულტურის იერარქია და კულტურის ცენტრები – რაც დღევანდელი საზოგადოებისათვის უმთავრესი პრობლემაა. ჩვენი თანამედროვე მსოფლიოსათვის განსჯისა და ფიქრის საგანია ის დეჰუმანიზაციის და დეკულტურიზაციის პროცესები, რომელიც ღიად და გახსნილად მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის ელიტურობა, მხატვრული ტექსტის ინტელექტუალურ-ირაციონალურობა და რელიგიურობა

სოსო სიგუას ადრეულ გამოკვლევებშიც გამორჩეულ ადგილს იკავებდა.

სოსო სიგუას აზრით, ყოველდღიურობა, პრაგმატულობა, მასებზე ორიენტირება აყალიბებს თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას, რომელიც აქტიური განსჯის საგანია და საზოგადოების ცხარე კამათს იწვევს. დახურული კულტურა ვიწრო წრის კუთვნილებაა და მისი ნიშნები უძველეს ისტორიულ ყოფაში მოინიშნებოდა. ამის გათვალისწინებით ეკზოტერული და ეზოთერული კულტურები კაცობრიობის ნაწილებია და დიდწილად განსაზღვრავენ მის სახეს. სოსო სიგუა საგანგებოდ ჩერდება სუბკულტურებზე, მათ იერარქიულობასა და კასტურობაზე, სახელმწიფო სტრუქტურებში მათ არსებობასა და გავლენებზე.

თანამედროვე კონტრკულტურას თავისი ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს და ისიც მკაფიოდ ინდივიდუალურ აქტივობებს მოიცავს. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიზმი, მასებში არსებული მკვეთრად მზარდი უკმაყოფილება კონტრკულტურისათვის სასიცოცხლო ნიადაგია. სოსო სიგუა კულტურათა შინაგან კავშირებზე და ფორმირებაზე ასეთ დაკვირვებას გვთავაზობს:

„საიდუმლო გამოდის სააშკარაოზე, ეზოტერული ცვლის ეკზოტერულს და ახლა იგი ამკვიდრებს კონტრკულტურას.

ასევე ხდება პოლიტიკურ პროცესებში, ხელისუფლებათა ცვალების ჟამს (მაგ., ბოლშევიზმი, მაოიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი)...

ფორმირების პროცესში ხშირია გადაცდომა, როგორც ერესი ქრისტიანებთან ან მემარჯვენე თუ მემარცხენე გადახრები ბოლშევიზმში: დუღილის პროცესში მათ ერთმანეთი გაწყვიტეს. ამის შემდეგ ჩამოდგა სტაბილობის ჟამი. ბოლშევიზმმა მშობლიური კულტურის ნანგრევებზე დაამკვიდრა ახალი კულტურა, რასაც თეატრალურად მოითხოვდნენ იტალიელი ფუტურისტები“.

ამ მოსაზრებაში ბევრი ახალი თეზაა წარმოდგენილი, მთავარი არის ის, რომ ერთმანეთთან ღრმა შინაგანი კავშირია მონიშნული იტალიურ ფუტურიზმსა და ბოლშევიზმს შორის, ქრისტიანულ

ერესსა და სოციო-პოლიტიკურ მოვლენას შორის. როდესაც სოსო სიგუა მსჯელობს სუბკულტურის მიერ ტრადიციების შთანთქმის, მის მიერ კონსერვატიულ კულტურაზე გამარჯვების მიზანმიმართულ ხასიათზე, ამით თანამედროვეობის სახეს გამოკვეთს, რომლისთვის თვალის გასწორება ძალიან გვიჭირს.

ისტორიული ფაქტების სიმრავლე, დიდი ცოდნა და ამ ცოდნის სათანადოდ კლასიფიცირება კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის სოსო სიგუას ნაშრომს, მასში წამოჭრილ პრობლემებს, გამოთქმულ აზრებს და მოყვანილ არგუმენტებს.

მასობრივი და ელიტური კულტურების დეფინიციისას არაერთი მაგალითია მოხმობილი ანტიკური ხანიდან, რენესანსის ეპოქიდან და უფრო ახლო წარსულიდან.

სოსო სიგუა აღნიშნავს: „**როცა მასობრივი ერწყმის ელიტარულს, მაშინ იგი იხვეჭს ყველა თაობის, ყველა ფენის სიყვარულს. მაგ., ბიბლია, ყურანი, ჰომეროსის პოემები, შექსპირის ტრაგედიები, დოსტოევსკის, ბალზაკის, სერვანტესის, ლ. ტოლსტოის რომანები, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.**

მართლაც საინტერესოა, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს საყოველთაოდ მოსაწონი და მისაღები მხატვრული მოვლენები მაღალ მატერიებს და სულიერ პოსტულატებს; ანუ ელიტურ-გენიალური ქმნილებები მასობრივიც არიან და პროფესიულ წრეებშიც საყოველთაო აღიარებას პოვებენ.

ყველა დონის დაინტერესებული მკითხველისათვის მისაღები და მნიშვნელოვანია ქვეთავი „სოციალურ-პოლიტიკური ძვრები და კულტურული მოძრაობა“, სადაც ადამიანების ქცევები, ომები და რევოლუციები, ტექნიკური პროგრესი და გემოვნების ტრანსფორმაციებია გაშუქებული. სოსო სიგუა ეხება ერესსა და სკეპტიციზმს, ჯვაროსნულ ომებს, კურტუაზულ იდეალებს, კრიზისებს და მათ როლს კულტურის განვითარებაში.

ქართული ლიტერატურის სპეციალისტებისთვის ახლობელი და ძვირფასია ნიშანთა და სიმბოლოთა ის სისტემა, რომელსაც დი-

დი ადგილი ეთმობა სოსო სიგუას კულტუროლოგიურ დისკურსში. მითოსური და რელიგიური სიმბოლოები, მცენარეთა და ცხოველთა ტოტემები, ასტრალები და გეომეტრიულ-რიცხვითი მისტიკა მიმოხილულია ლოგოსთან და გრაალის თასთან ერთად. უზარმაზარი ინფორმაცია კონცენტრირდა ნიშანთა სისტემაში და მთლიანი სურათი შეიკრა. სოსო სიგუას მრავალმხრივი ინტერესი და ცოდნა ორიგინალური ინტერპრეტაციების საფუძველი გახდა.

სოსო სიგუა წერს: **„ადამიანს არ ძალუძს ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა წვდომა, ღმერთს ვერ შეხედავს, მის ბუნებას ვერ განსაზღვრავს.**

საჭიროა შუამავალი, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს.

უხეში შედარება რომ მოვიხმოთ, ელექტროენერგია ძალაა, მაგრამ სინათლედ რომ იქცეს, საჭიროა ნათურა. იგი გარდაქმნის ძალას სინათლედ, რომელიც ბნელს გაფანტავს. ასეთი სინათლეა ქრისტელოგოსი, რომელიც თავისთავში აერთებს ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას, ძალასა და სიკეთეს.“

იესოს, როგორც ძეს ღვთისას და როგორც ახალი წეს-ჩვეულებების, ახალი აზროვნების და კულტურის სიმბოლოს, თავისი ნიშნები აქვს: თევზი, ჯვარი, ღუზა, კრავი, მტრედი და მრავალი სხვა; ამავე დროს ანტიქრისტიანული სიმბოლოების სიმრავლეც მოგვეპოვება: სკარაბეუსი, სვასტიკა, ყოვლისმხილველი თვალი, მხეცის ნიშანი და ა.შ. ყოველივე ეს არის ყოველდღიური ქცევების, ურთიერთობების განმსაზღვრელი საგნები, ჩვენი კულტურის მაწილი. ამ წინააღმდეგობრივი და ოპოზიციური ნიშნების სტრუქტურიზება, სისტემაში მოქცევა, ფუნქციების და როლის განსაზღვრა რელიგიათმცოდნეობასთან, ანთროპოლოგიასთან, ეთნოლოგიასთან და სხვა დარგებთან ერთად ყველაზე უნივერსალური მეცნიერების, კულტუროლოგიის საგანია. სწორედ კულტუროლოგიას ხელეწიფება მთელი ამ მონაცემების რანგირება, სტრუქტურირება და ზოგადი ნიშნების სისტემაში მოაზრება. დასავლეთში კულტუროლოგია ანთროპოლო-

გია სინონიმები არიან და რაც ადამიანს ეხება, ყველაფერი კულტუროლოგიის არეალში ექცევა.

კულტუროლოგთა ახალი თაობის აღზრდას სოსო სიგუა გლობალიზაციის მოდელების წარმოდგენით იწყებს, მისი „კულტურა და გლობალოზაცია“, იძლევა ერთიან მსოფლიო მოდელს, სადაც მოიაზრება რელიგიური, იმპერიული, სემიოტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სახესხვაობანი. ადამიანთა უფლებები და „ახალი მენტალიტეტი“ უსისხლო რევოლუციის ნაწილია თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ნაციონალიზმი პროგრესის მტრად არის მიჩნეული და შესაბამისად გლობალიზაციას აფერხებს. ახლა, როცა ცოდნის მასობრიობა და გაუფასურება განათლების სისიტემის უნიფიცირების პირმშოა და ურბანიზმი ცხოვრების წესად იქცევა, კულტურათა თანაარსებობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება. სოსო სიგუა აღნიშნავს:

„მასობრივი კულტურის ქაოსსა და ანარქიაში აღარც წიგნი ფასობს, აღარც კლასიკური მუსიკა და კლასიკური ლიტერატურა.

მხატვრები კი ცდილობენ გაგვაოცონ ანტიესთეტიზმით, უცნაური ფორმებით, ვულგარული კოლაჟით, რათა ასე ჩარჩნენ ჩვენს მეხსიერებაში; მთავარია ვიღაცას ახსოვდე, არა აქვს მნიშვნელობა - როგორ.

ელექტრონული გალაქტიკის ცაზე მრავლდება ჩამქრალი მნათობები. ციმციმებენ ის ვარსკვლავები, რომელთაც აცოცხლებთ ფული და ტაშისცემის ენერგია. მალე ისინიც ჩამოცვივა და ახლები აენთებიან.

კულტურა პატივსაცემად მიაჩნიათ იმდენად, რამდენადაც მოემსახურება ცივილიზაციას, რამდენადაც დასჭირდება ურბანიზმის ინდუსტრიას.

ამიტომ ლოგიკური ცოდნის, ისტორიული მეხსიერების დაცვისა და გავრცობის სანაცვლოდ ფანტაზია ფალსიფიცირების საშუალებაა.

ტყუილი და მართალი, კარგი და ცუდი, ყალბი და ნამდვილი, სუროგატი და ორიგინალი ერთმანეთში ირევა და იმარჯვებს ის, რომელიც უფრო ეფექტურად აკმაყოფილებს მდაბალ ინსტინქტებს და შესაბამისად - მეტი ფული მოაქვს.

ასე რომ, დადგა ღირებულებათა კოლაფსის ჟამი."

აბსოლუტურად მისაღები და მართებული მსჯელობაა. გლობალიზაციის თანამედროვე შემოტევის ტემპის გათვალისწინებით, მცირერიცხოვანი ხალხთა ენის შენარჩუნება, ეროვნული კულტურის გადარჩენა თითქმის შეუძლებელი და სათუოა. ამ საყოველთაო ნიჰილიზმში, ურბანიზმის ინდუსტრიის ზეობაში – ერთადერთ თავშესაფრად ისევ და ისევ ეროვნული თავისთავადობის, კულტურის გადარჩენის პრობლემა დგას.

გადარჩება ეროვნული კულტურა, გადარჩება ერი. ესაა გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენი დღევანდელობის მთავარი საჯილდაო ქვა. სოსო სიგუას „ღირებულებათა კოლაფსში" ნათქვამია:

„საყოველთაო ნიჰილიზმი, ეკლესიასტეს ამაოება გზას უხსნის გლობალიზაციას, რომელიც გვპირდება უკონფლიქტო, მშვიდ, ტკბილ, ბედნიერ ცხოვრებას. როდესაც კულტურა ცივილიზაციად იქცევა, ისტორიისა და პრეისტორიულ კვლევას პრაენისა და უკვდავების წყაროს პოვნას პრაქტიციზმი ყოველდღიური საჭიროებებს დაუპირისპირებს და ადამიანებს მხოლოდ პენსიები და ხელფასები, ან ამინდის პროგნოზი დააინტერესებთ.

ეროვნული კულტურა უკავშირდება ერის ბედს. ერი კი, როგორც ვთქვით, ქმნის სახელმწიფოს. მაგრამ თუ მივნებდით გლობალიზაციის ტალღებს, ერი დაკარგავს თავისთავადობას და სახელმწიფო იქცევა ადმინისტრაციულ ერთეულად, ეკონომიკურ რეგიონად, ყველაფერი იქცევა წარსულად, ისტორიად, რომელსაც მხოლოდ მუზეუმები შეიფარებენ.

ამიტომ გლობალიზაციის ამ შეუქცევად მარათონში ყველა ქვეყანა, ყველა ქვეყნის კულტურა ეძებს თავის ადგილს, რათა არ ჩაი-

კარგოს და მოდერნიზებით შეინარჩუნოს ნაციონალური მოდუსი, რათა ისევ ჰყვაოდეს სიცოცხლის ხე, მწვანე ფოთლებით შემოსილი“.

სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლები“ თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომია; მისი მეცნიერული ღირებულება მასში წამოჭრილი და შესწავლილი პრობლემების რეალური არსებობით განისაზღვრება. სამტომეულმა ფაქტობრივად მოიცვა თანამედროვეობის ინტელექტუალური სააზროვნო სივრცე, დადგინდა ქართული კულტურის მიმართება უახლეს ტენდენციებთან; გაირკვა თვითგადარჩენის მუხტის არსებობა და მისი არქაული საფუძვლები; მოინიშნა ძირითადი ტენდენციები გადარჩენისათვის და უახლესი ტენდენციებიდან აუცილებელი განახლების მუხტის მიღებისათვის.

სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამტომეული არის სრულიად ახალი სიტყვა ქართულ კულტუროლოგიაში, რომელიც საჭირო და მნიშვნელოვანია არა მარტო სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის, არამედ მთელი განათლებული საზოგადოებისათვის, ვისაც თანამედროვე სოციო-კულტურულ პროცესებში ძირეულად გარკვევა მართლაც სურს.

2016 წლის 15 მაისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სტიქია, სისტემა და ინტეგრალი .....

კულტურა და სტიქია .....
კულტურის სისტემა .....
ინტეგრალური ხედვა.....
ერთიანი ტერმინოლოგია .....

წიგნი პირველი
კულტურის გენეზისი

I. ბიოლოგიური საწყისი: ფანტაზია და რეალობა .....

1. ქრონოლოგია და სტადიალობა.....

2. მითოსურ-კოსმოგონიური წარმოდგენები .....

დასაწყისი და დასასრული .....
ქაოსი .....
ადამიანის შექმნა .....
პირველკაცი და ეთნარქი .....
ადამიანი და მაიმუნი.....
ქართველური კოსმოგონია.....

3. წყალი – სიცოცხლის საწყისი .....

გენეტიკური ჯავშანი.....
ოკეანის შვილები.....

4. რამაპითეკიდან Homo sapiens-ისაკენ .....

რამაპითეკი თუ არდიპითეკი .....
მისტიკური პირველბიძგი.....
პათოლოგია და მუტაცია .....
მიგრაცია და ადაპტაცია.....

ხილიდან ხორცამდე.....
პრასამშობლოს ძიება.....
თავის ტვინი და აზროვნების დასაბამი.....

II. ველურის ცნობიერება და აზროვნება:
საგნების სახელდება და აკრძალვათა სისტემა.....

1. რეკონსტრუქციის მოდელი .....

2. პალეოანთროპის ფსიქიკა .....

შიში და ფანტაზია.....
შიში და აგრესია.....
აზროვნების ჰალუცინაციური სისტემა .....
მუსტიეს ეპოქა – კულტურის დასაბამი.....

3. აფექტები და სიტყვა-საგნები .....

საგნის აფექტური შთაბეჭდვა .....
ბავშვის ამეტყველება და მეხსიერება.....
ბგერითი სიგნალები და საარტიკულაციო ბაზისი.....
ენის გენი და ბროკას ცენტრი .....
პროტო-ენები .....
სიტყვის აკუსტიკა .....
გეოგრაფიული ფაქტორი და პრაენა .....
სიტყვა-საგანი: ფეტიში – სული .....

4. ტოტემისტური წარმოდგენები .....

საკვები და წარმოშობა .....
ტოტემური ჰიპოსტასები .....
ტოტემის მკვლელობა .....

5. აკრძალვათა სისტემა (ტაბუ).....

სახელთა წარმოქმნა და ცვლა .....
შიში და აკრძალვა .....
ყნოსვა და სულთა კავშირი .....
ეჭვი და ხიფათი .....
ძალაუფლების შეზღუდვა .....

მთელი და ნაწილი .....
მონადირე და სისხლი .....
მენსტრუალური ტაბუ .....
აკრძალვათა წარმოქმნის მექანიზმი .....

III. ინსტინქტების რეგულირება: სექსი და კანიბალიზმი .....

1. რიტუალი – კულტურის სახეობათა ბირთვი .....

თეორიები .....
არსი – აფექტები .....
ფორმა – თამაში .....
რიტუალი – სპექტაკლი .....

2. სექსის რეგულირება და მატრიარქატი .....

ჯოგური პოლიგამია .....
ტოტემური ინკარნაცია .....
დედობის ინსტინქტი და სისხლით ერთიანობა .....
მამისმკვლელობიდან ეგზოგამიამდე .....
პროსტიტუცია და წყვილადი ქორწინება .....
ეგოიზმი და ოჯახი .....
პატრიარქატი და ქალის ჩაგვრა .....
სამოსელი და სირცხვილის გრძნობა .....

3. ბელადი და ქურუმი .....

ველური – მონადირე და მეომარი .....
ტომის ორგანიზება .....
ბელადი – ტოტემის ხატი .....
ბელადი – ძალაუფლების არქეტიპი .....
ტერიტორიის გრძნობა .....
ქურუმი – შემოქმედის არქეტიპი .....
სექსი და ექსტაზი .....
ქურუმი – კანონმდებელი .....
ქურუმი – მისანი და ჯადოქარი .....
ქურუმ-ბელადი – ძალაუფლების კონცენტრირება .....

4. კანიბალიზმიდან კაცთშეწირვამდე .....

კანიბალიზმი .....
მიცვალებულთა დამარხვა .....
კანიბალიზმის კაცთშეწირვით რეგლამენტირება .....
კაცთშეწირვის რიტუალი .....
კანიბალიზმისა და კაცთშეწირვის აღკვეთა .....
სისხლის გამოშვება .....
ცხოველთზვარაკი .....
იეზუიტური კაცთშეწირვა .....
ბოლშევიკური კაცთშეწირვა .....
სიმბოლური კაცთშეწირვა .....

5. მუხის კულტი და კაცთშეწირვა ქართველურ ტომებში .....

მუხა – ღვთაება .....
მცენარის სული .....
მუხა – ტოტემი და სამსხვერპლო ხე .....
დიდი ჭყონი .....
„კრკოს ხე“ – წყანი .....

IV. კულტურის ფორმირება: ღმერთების ნება .....

1. ფეტიშიდან ღმერთამდე .....

ფეტიშიზმი და ღმერთის ცნება .....
ტოტემი – ღმერთის პირველსახე .....
ცხოველ-ღმერთები .....
პოლითეიზმიდან მონოთეიზმისაკენ .....
მისტიკა .....

2. ღმერთები და კულტურა .....

ღმერთების რწმენა .....
ღმერთების ცხოვრება – მითოსი .....
ღმერთიდან გმირამდე .....
უფლის სახლი – ტაძარი .....
უფლის სახე – ქანდაკება .....
უფლის სიტყვა – ანბანი .....
ასკეზი – ღმერთისადმი თვითშეწირვა .....

3. წამებული ღმერთი – კაცთა მხსნელი .....

სიკვდილი და საიქიო .....
სულთა მიგრაცია .....
კვდომადი და აღდგომადი ღმერთები .....
ბელადის მკვლელობა, როგორც მსხვერპლშეწირვა .....
ქრისტე – ძე ღვთისა .....

4. ინსტინქტები, სიმბოლოები და არქეტიპები .....

სიმბოლო – საკრალური ნიშანი .....
ფსიქიკური დანაშრევი .....
პრასახეთა სისტემა .....
ტალანტი და არქეტიპი .....

V. სახელმწიფოს წარმოქმნა: ძალაუფლების ნება .....

1. ცხენითა და მახვილით .....

მიწა და მცენარე .....
მწყემსი .....
ცხენი .....
სპილენძი და რკინა .....
სისხლი და ოფლი .....

2. სახელწიფო – კულტურის გარსი .....

ომი და პროგრესი .....
ამიერკავკასია – კულტურის ერთ-ერთი კერა .....
დაკარგული მცირე აზია .....
ქართველური ტომები ამიერკავკასიაში .....

3. არქაული დემოკრატია .....

ჯოგური თანასწორობა .....
ლიდერი .....
სექსის თავისუფლება .....
ხალხის არჩევანი .....
ტყვე და მონა .....
ინიციაცია – აღზრდის პრაფორმა .....

4. დემოკრატიიდან დიქტატურისაკენ .....

ტერიტორიული ერთიანობა .....
სივრცე და სწრაფვა.....
დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ .....

5. სახელმწიფოს პრამოდელი .....

ხელისუფალი .....
ცენტრი და საზღვრები .....
ჯარი და იარაღი .....
მართლმსაჯულება .....
ენა და დამწერლობა .....
ვაჭრობა და ფული .....

6. ძალა, ძალაუფლების ნება და კულტურშემოქმედი .....

ერთი და სიმრავლე .....
ქარიზმა – ღმერთების ნობათი .....
იდეალი .....
რეალობიდან ოცნებისაკენ .....

პირველ წიგნში გამოყენებული ლიტერატურა .....

წიგნი მეორე
კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიები

კულტურისა და ცივილიზაციის განყოფა .....

I. სივრცე-დროის მოდელირება: სამყაროს ათვისება .....

1. დიფერენცირება და ინტეგრირება .....

2. სივრცე – დროის პარადიგმა კულტურაში .....

მეხსიერება და სივრცე – დრო .....
სივრცე და საცხოვრისი .....

სივრცე-დრო და კლასიფიკაცია .....
დროის შრეები .....
დრო და ინფორმაცია .....

II. კულტურის ტიპოლოგია: ეროვნული და ზოგადი .....

1. რასა, ერი, ენა .....

რასა და ისტორია .....
ერი, ენა და სახელმწიფო .....
ენობრივი კონსერვატიზმი .....
ენა და დროის აგრესია .....

2. კულტურის რელიგიური კუთვნილება .....

ღმერთის მყოფობა .....
პოლითეისტური იერარქია .....
მონოთეისტური კალეიდოსკოპი .....
ჯვარი და ნახევარმთვარე .....

3. სახელმწიფო და იდეოლოგია .....

პოლიტიკურ-მატერიალური ბაზისი .....
„განთავისუფლებული კლასების“ კულტურა .....
სვასტიკა და „სისხლის მითოსი“ .....

4. კულტურის ისტორიული ტიპები .....

ისტორია და ტიპოლოგია .....
კულტურის გეოგრაფია .....
სტადიურ-თეისტური პრინციპი .....

5. ქართული კულტურის ტიპი .....

III. აზროვნების პროცესი: სულის მოდელირება .....

ინტელექტუალთა წრე .....

1. აზროვნების ტიპები .....

მხატვრული აზროვნება .....

ცნებითი აზროვნება .....
პრაქტიკული აზროვნება .....
ინტუიცია და ინტელექტი .....
აზროვნება და შედეგი .....
2. კულტურშემოქმედი .....

ტალანტი – ლიდერი .....
თავისუფლებისაკენ სწრაფვა .....
კულტურშემოქმედის ტიპი .....
კულტურშემოქმედის ბედი .....

3. შემოქმედების პროცესი .....

დიონისური და აპოლონური სტიქიები .....
სტიმული და შთაგონება .....
ინდივიდუალური და კოლექტიური .....
შედევრი და პოპულარობა .....
დამკვეთი და ადრესატი .....

IV. კულტურის შექმნა: ილუზიის რეალობა .....

1. კულტურის იერარქია .....

ეკზოტერული კულტურა .....
ეზოტერული კულტურა .....
სუბკულტურა ეზოტერული .....
კონტრკულტურა .....

2. კულტურის ცენტრები .....

ქალაქი და კულტურა .....
ხელოვნების რეგრესი .....
მონასტერი და ასკეტური იდეალები .....
თეატრი – ახალი ჰარმონია .....
ცივილიზაციის კულტურა .....

3. მასობრივი და ელიტარული კულტურები .....

მასკულტურა, როგორც ნარკოტიკი .....
მასობრივისა და ელიტარულის განყოფა .....

კლასიცისტურ-ელიტარული წესრიგი .....
მასკულტურის ფორმები .....

V. კულტურის ევოლუცია:
პროგრესისა და რეგრესის დიალექტიკა .....

ხელოვნების სამი ტიპი .....

1. **სოციალურ-პოლიტიკური ძვრები და კულტურული მოძრაობა** .....

სტრუქტურული კავშირი .....
სოციალური იერარქია .....
ომი და რევოლუცია .....
ევოლუცია და ტექნიკური პროგრესი .....

2. **ინტელექტუალური ინტერესების ტრანსფორმაცია** .....

ხელოვნების იდეური წყაროები .....
მიმართულება და სტილი .....
გავლენა და მიბაძვა .....
რომანტიკა და ესთეტიზმი .....

3. **კრიზისი და პროგრესი** .....

რენესანსის მნიშვნელობა .....
ერესი და სკეპტიციზმი .....
ჯვაროსნები და მუსულმანური აღმოსავლეთი .....
სექსი და ეროტიკა .....
კურტუაზული იდეალები .....
ჩიხი და პერსპექტივა .....

4. **ექსპერიმენტი – ესთეტიკური და ანტიესთეტიკური** .....

სულის კრიზისი .....
ძიება და ტექნიციზმი .....
აბსურდი და თვითმკვლელობა .....
სინამდვილის მხატვრული კონსტრუირება .....

VI. ინფორმაციის კონცენტრირება:

ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემა .....
1. საგანი, ნიშანი და სიმბოლო .....
2. მითოსურ-რელიგიური სიმბოლოები .....
„ვინ არს ძალი უხილავი“ .....
ღმერთი და ძალაუფლება .....
3. ოთხი სტიქია .....
4. მცენარეთა და ცხოველთა სიმბოლიკა .....
„მწყუროდა ცისფერი ვარდები“ .....
მგელი და ცხვარი .....
5. ასტრალური სიმბოლიკა .....
6. ქრისტე – ძე ღვთისა .....
„ძე კაცისა“ .....
სოფია – ზებუნებრივი სიბრძნე .....
ლოგოსი – ქრისტე .....
ქრისტეს სისხლი და გრაალის თასი .....
7. გეომეტრიულ-რიცხვითი მისტიკა .....
წრე და კვადრატი .....
VII. პიროვნების კულტურა: მორალი და ეტიკეტი .....
1. მორალი და ტრადიციები .....
პიროვნება და საზოგადოება .....
ათი მცნებიდან .....
ღირსების კოდექსი .....
ცოდვის კოდექსი .....
2. ეტიკეტი .....
სიტუაცია და ქცევა .....
სუფრის წესები .....

3. ამბივალენტური ქალი .....

4. კვება და რაციონი .....

5. ცხოვრება, როგორც რიტუალი .....

VIII. კულტურის გადაცემა: სულის უკვდავება .....

1. უკვდავების იდეის ტრანსფორმაცია .....

სულის უკვდავების რწმენა .....
ძალაუფლება და ამქვეყნიური სამოთხე .....
აზრის უკვდავება .....

2. კულტურის ფიქსირება .....

გავრცელება და გადაცემა .....
კულტურის ათვისება .....
აღზრდა და სწავლა .....
კულტურის მართვა .....
ბეჭდვითი სიტყვა .....
ელექტრონი და კომპიუტერი .....

3. კულტურის შენახვა და დაცვა .....

მეორე წიგნში გამოყენებული ლიტერატურა .....

წიგნი მესამე
კულტურა და გლობალიზაცია

დრო და კულტურა .....
კულტურა და მასის ინტერესები .....
კონცენტრირებული სივრცე – დრო .....
ტექნიკური პროგრესი – გლობალიზაციის საფუძველი .....

I. გლობალიზაციის მოდელები: ერთიანი მსოფლიო .....

ინტეგრირება და გლობალიზაცია .....
რელიგიური მოდელი .....
იმპერიული მოდელი .....
იდეოლოგიური მოდელი .....
ტექნიკურ-ეკონომიკური მოდელი .....
ენა – ბარიერი .....
სემიოტიკა – სიმბოლურ – ნიშნადი ენა .....

II. სახელმწიფოს ტრანსფორმაცია: დემოკრატია და უნიფიცირება .....

სახელმწიფო მანქანა .....
სახელმწიფო და ომი .....
დეცენტრალიზება .....
საერთაშორისო ორგანიზაციები და სუვერენიტეტი .....
ფედერაცია და სუვერენიტეტი .....
სეპარატიზმი – გლობალიზაციის მოკავშირე .....
მიგრანტთა ნაკადები .....
სიმბოლური საზღვრები .....
ტრანსნაციონალური პრობლემები .....
ტრანსნაციონალური სახელმწიფოსაკენ .....

III. საზოგადოების რეფორმირება: უსისხლო რევოლუცია .....

ახალი მენტალიტეტი .....
ადამიანის უფლებები .....
რადიკალიზმი და ტოლერანტობა .....
ნაციონალიზმი – გლობალიზაციის მტერი .....
ოჯახი და გენდერი .....
სექსუალური რევოლუცია .....
განათლების სისტემის უნიფიცირება .....
ცოდნის მასობრიობა და გაუფასურება .....
პროგრამირება და ზომბირება .....
მასა და ელიტა .....
მულტიკულტურალიზმი .....
კანონის უზენაესობა .....

IV. კულტურის გლობალიზება: ელექტრონული გალაქტიკა .....

ტექნიკა და ფანტაზია .....
მასმედია, როგორც ობობას ქსელი .....
პოპ-მუსიკა და შოუ-ბიზნესი .....
ნეო-ნატურალიზმი და ნეო-ავანგარდიზმი .....
ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი .....
ღირებულებათა კოლაფსი .....

მესამე წიგნში გამოყენებული ლიტერატურა .....

პროფ. ეკა ცხადაძე
„კულტუროლოგიის საფუძვლების“ არსი და მნიშვნელობა .....